სამცხე-საათაბაგო

ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები ხალხზედ, ვაჭრობაზედ, კათოლიკობასა და მათ სამღვდელობაზედ და სხვანი.

აღწერილი და დაბეჭდილი
ზ. ჭიჭინაძისაგან.

ტ ფ ი ლ ი ს ი
მსწრაფლ-მბეჭდავი ა. რ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქ. № 21.
1905

Длзволено цензурою, Тифлисъ, 4-го іюля 1905 г.

„სამცხე-საათაბაგოს“

უწყება მკითხველთადმი

„სამცხე-საათაბაგოს“ – შესახებ, ორ ნაწილად გავყავ, ერთი წიგნი უმეტესად შეეხება მესხეთ-ჯავახეთის აღწერას, ქართველ ქრისტიანებს, ქართველ კათოლიკებს და სხვათაც. ამაშივე არის ანუსხული ზოგი რამ ნაწილები ოსმალეთის საქართველოს ქართველ კათოლიკობაზედ. უმეტესი ნაწილი ამ წერილების ცალკეც იყო დაბეჭდილები. ეხლა ყველა იგინი ერთად ავკინძეთ, თუ რამ სადმე რამე ცნობა აქვნდა შესავსები, ისიც დაურთეთ და ეხლა ყველა ესენი მდგე დავბეჭდეთ.

ასე ცალკე დაბეჭვდის დიდი მსურველი იყო ჩვენ მიერ პატივის ცემით მოხსენებული კონსტანტინეს ზუბალაშვილი, ამის ნატვრა გახლდათ ორივ წიგნის ცალკ-ცალკე, ან ერთად დაბეჭვდა. მეორე წიგნი „სამცხე-საათაბაგო“ შეეხება ოსმალეთის საქართველოს და ქართველ მაჰმადიანებს. ქართველ მაჰმადიანების შესახებ სტეფან კონსტანტინეს ძე გაკვირვებული იყო. 1901 წ. „ქართველების გათათრება“ რომ დავბეჭდე, ამ წიგნის ერთი ცალი გადავეცი, წაეკითხა და განცვიფრებაში მოსულიყო, როგორც ღვთის მოსავი კაცი, მკითხა: თუ ამ ხალხს რა უნდა ეშველოსო? მე ბევრი რამ უამბე, ჯერეთ წიგნების ბეჭვდის შესახებ და მერე ვთხოვე შემდეგი:

ბათუმში, რომ ჩვენი წერაკითხვის სამართველოს სკოლა რომ გადაკეთდეს ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო სკოლად. აქ გამოიზარდნენ მომავალი ხოჯები და მოლები. მოლებს ყველა საგნები ქართულად და რუსულად ვასწავლოთ, ხოლო „ყურანი“ კი არაბულს ენაზედ, ზოგი რამ ლოცვის წესების ახსნა, ამისთვის საჭირო იქნება მსოლოდ ორი ღვთის მეტყველის ხაფიზ ხოჯის დაბარება სტამბოლიდამ. დანარჩენი ჩვენებური მასწავლებლები უნდა იყვნენ

და უნდა ვეცადოთ რომ მომავალს მოლებს ჩვენის ქვეყნის სიყვარუ-
ლით ვზრდიდეთ და ვაშზადებდეთ ჩვენებურის მოქალაქობისადმი პა-
ტივ საცემლად. ეს ცნობა სტეფან კონსტანტინეს ძეს დიდათ მოე-
წონა და მთხოვა ქართველ მაჰმადიანთ შესახებ წერილების წერა. რაც
შეეხება სკოლის საქმეს, ეგეც მოხერსდებაო, მაგრამ სოფელმა აღარ
აცალა.

ქართველ მაჰმადიანთ შესახებ მე მოვამზადე შემდეგი წიგნები:
1. ზეგანი. ვრცელი აღწერა. 2, აჭარა, ვრცელი აღწერა, 3. ლივა-
ნა, ვრცელი აღწერა. 4, მაჭახელი, ვრცელი აღწერა. 5, მურღულის
ხეობა, 6. შავშეთი და იმერხევი. 7. ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი და სამ-
ცხის მდგომარეობა 1828 წლამდე. 8. ალი ფაშა თავდგირიძე და
მათი გვარის ღალატი. 9. ოსმალეთის საქართველოს ისტორია. 10.
თამარ მეფე, მათში შეკრებილის ამბებით. 11. ქართველ გვარის
ფაშები. 12 ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდება. 13. მუჰაჯი-
რი, ანუ ემიგრაცია. 14. კინტრიში, ქობულეთი და ბათუმის აღწე-
რა. 15. „იარები“ ქართველ მაჰმადიანთა. 16. გურჯისტანის ქალი
და მრავალ ცოლიანობა. 17. სწავლა განათლებით საქმე ქართველ
მაჰმადიანთა. 18. მესხეთის და ჯავახეთის გათათრება. 19. ქართ-
ველთ მაჰმადიანთ მოწინავე პირნი და მათი თვით ცნობიერება. 20.
ჭანეთი და ლაზისტანის აღწერა. 21. ნავოსნობა და გემოსნობა
მათში. 22. ხელოსნობა და ვაჭრობა და 23. „ფუხარა" ანუ ხელ-
მოკლენი.

ყველა ესენი მზად არის ეხლა და როგორც ბედი გადაწყვეტს
საქმეს, ამ წიგნების ბეჭდაც ისე აღსრულდება ქართველ მაჰმადიანთ
სასარგებლოდ. ამას ჩვენ აქ მიტომ ვამბობთ, რადგანაც სტეფან
კონსტანტინეს ძე ამას ვედარ მოესწრა. მაინც ჩვენ მსახელს
იმოდენად პატივს ვსცემთ, როშ ყველა აშ შრომასაც მის ხსენებას
მიუძღვნით, მიტომ აქ მის სურათსაც ვათავსებთ. არის ნიშანი
 მისის დიდის მამულიშვილობის გამოხატვისა ჩვენ-მიერ.

სამცხე-საათაბაგოს გათათრება.

ქართველ კათოლიკეთ ერთმა მოძღვარმა თავის ქადა-
გებაში წარმოსთქვა შემდეგი: ქართველთ გათათრების და
ტანჯვა-ვაების ისტორია რომ დაიწეროს, 24-ს ტომზედ ნაკ-
ლები არ გამოვაო. ჭეშმარიტად ეს ასე იქმნებოდა, რომ
თავის დროს ვისმეს ხელი მიეყო, ცნობები ეგროვებინა და
თან ეწერა. ქართველთ გათათრება ადვილად არ მომხდარა,
მას დიდი, ვრცელი ისტორია აქვს, სამწუხაროდ ამ გათა-
თრების შესახებკი ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს.
როგორც კვალაც გვითქვამს, ამ საგანის შესახებ არც „ქარ-
თლის ცხოვრება“-ში და არც სხვა ისტორიულს წიგნებში
მოიპოვება რამე. ჩვენი ძველი მწერლობა ამაზედ მდუ-
მარებს.

მესხეთი და ჯავახეთი ოსმალთ ადრიდგანვე გაათათრეს.
ლაზისტანი, არტაანი, არდანუჯი, ლივანა, აჭარა, თორთო-

მი, ოლთისი და სხვა უშორესი ადგილები გათათრებული არ იყო, რომ მესხეთის და ჯავახეთის ქართველებს გათათრება დაუწყეს.

1635 წ. ახალციხე ოსმალეთის მთავარ საფაშალიკო ქალაქად დაინიშნა და ფაშად დადგენილ იქმნა ბექა ათაბაგი, რომელიც პირველად გათათრდა და სახელად საფარა ეწოდა.

რადგანაც ახალციხეს ოსმალეთის მთავრობაც იმას სცდილობდა, რომ ამ ადგილის გარეშემო მცხოვრებნიც მუსულმანის სარწმუნოების მიმდევარნი ყოფილიყვნენ, ამიტომ ქართველებს ძალით დაუწყეს გათათრება და ამ გათათრები-

სათვის მახვილსაც ხმარობდნენ. არც მესხეთ-ჯავახელნი აკლებდნენ მათ მტრობას. მესხთაგან მათ საქმე ძლიერ უჭირდებოდათ, ქართველთ გათათრება ერთობ უძნელდებოდა. მესხნი და ჯავახნი ჩვეულებრივის გმირობით ებრძოდნენ ოსმალთა სასულიერო წოდებას და არსად და არას დროს ადვილად არ ემორჩილებოდნენ. დროს განმავლობის და ჟამთა ვითარების მეოხებით, მესხნი და ჯავახნიც მოიღალნენ ბრძოლაში და ამიტომ, ზოგიერთს ადგილებში, იწყეს ბედის მორჩილება, სჯულის გამოცვლა. სჯულის გამოცვლას დიდად ერიდებოდა მესხელ და ჯავახელ ქართველთ დედაკაცობა. ამის საფუძვლად კმარა გავიხსენოთ თუნდა როსტომ ფაშა ჯაყელის ცოლის მაგალითი, რომელმაც დიდის ტანჯვით დასთმო ქრისტიანობა და ისლამს დაუკავშირდა. ამით დააწყნარა მან თავის ქმრის როსტომ ფაშის გული. სამცხეში ქრისტიან ქართველთ საქმე ისე გამწვავდა, რომ 1713 წ. ახალციხეში საქვეყნოდ იქმნა დახრჩობილი ელისე არქიმანდრიტი. ოსმალეთის მთავრობას საკმარისად მობეზრდა ქართველ ქრისტიანებთან ბრძოლა, ისლამის ვრცელება და ამიტომ მესხეთსა და ჯავახეთში შემოიღეს ისეთი წესები, რაც ქართველთ გათათრებას ხელს უწყობდა.

აი ეს წესებიც:

1) მოლის, თუ ხოჯისაგან მინარეთიდგან დაძახილ ლოცვის დროს, რომ ქრისტიან ქართველს ან გაეცინა, ან დაყვირებით გაეჯავრებინა, ან კენჭი ესროლა და სხვა ამ გვარნი, ამ ქართველს უსათუოდ სიკვდილით სასჯელი ელოდა და მამულების წართმევა. ეს ეპატიებოდა მაშინ, როცა იგი გათათრდებოდა.

2) ჯამეს წინ თუ გაევლო ქართველს და აქ რამე სიტყვა ეთქვა თათრის წინააღმდეგ, ან ჯამეში ლოცვის, ბანვის და სხვა დროს, იმას სიკვდილი ელოდა, პატიება მხოლოდ გათათრების მეოხების მოხდებოდა.

3) ქართველს აგინა თათარმა, შეუგინა ყველაფერი,

ქართველმაც პასუხი მისცა და სამგიერო გადუხადა სიტყვით, ან საქმით, და შეუგინა ზოგიერთი რამ სარწმუნოების მხარეები, მას სასჯელად სიკვდილი ელოდა. სიკვდილი ეპატიებოდა გათათრებით.

4) ქართველმა თუ თათრის სასაფლაოზე გაიარა და იქ დაპილწა, ამის სასჯელად ეკუთვნის დარბევა, მამულების წართმევა. ეს ეპატიება მხოლოდ – გათათრებით.

5) ქართველმა თათრის „მეჯლის", ყადებს, მათ მასლაათს და ხაფიზ (ღვთის-მეტყველი) ხოჯებს პატივი არ სცა მდივან-ხანაში, მის სასჯელად დარბევა და მამულების წართმევაა, პატივი გათათრებით ელოდა.

6) ქრისტიანმა ქართველმა ქართველისაგან ფული ისესხა და აღარ მისცა, ან ფული დასტყუა და უარი სთქვა, ამხანაგი იყო და ამხანაგს უღალატა და ფული გამორჩა, იმუშავა და ფული არ მისცა, იყიდა რამე და სამაგიერო არ გადაუხადა, ყველა ეს მას ეპატიებოდა გათათრებით.

7) ქართველმა მოკლა თავისი მამა, დედა, ცოლი, დაი, ან ძმა, გინდა სხვა მონათესავენიც და მასთან აიკლო დახოცილის ოჯახიც, ქართველს ყველ ეს ეპატივებოდა გათათრებით.

8) ქართველმა იქურდა, გაჰქურდა ეკლესიები, ეკკლესიების ნივთები აქა-იქ დაზიდა, ამას გარდა მოჰკლა მღვდელი, მთავარი, დიაკონი და აიკლო მათი სახლ-კარი, მას პატივება ელოდა მხოლოდ გათათრებით.

9) ქართველს საფაშო ხარჯი რომ ვერ გადაეხადნა და გინდ სიღარიბის გამო მას ამის გადახდა ვერც შესძლებოდა, ამის პატიობა მას გათათრებით ელოდა.

თუმცა მესხელ და ჯავახელ ქართველ ქრისტიანებს დაუწყეს გადაგვარება, მაგრამ იყვნენ მათში ისეთნიც, რომელნიც თვით უკანასკნელ სისხლის წვეთამდინაც-კი იღვწოდნენ მწარედ, ყოველნაირ საიდუმლო საშუალებას ხმარობდნენ და თათრობას-კი არ უკავშირდებოდნენ, თუ უკავშირ-

დებოდნენ და იმასაც ისე, რომ ისლამთან ერთად ქრისტიანობას არ ჰკარგავდნენ და საიდუმლოდ ინახავდენ, გარეგან-კი ისლამს აღიარებდნენ. ასეთ ჩუმ ქრისტიანთ ქართველთა რიცხვმა ჯავახეთში 1803 წლამდე მოახწია, ასევე იყო მურღულის ხეობისაკენ და პარხალში, რომელთ ქრისტიანეთ მომსწრეთ და მნახველად ითვლებოდნენ გრიგოლ გურიელი და დიმ. ბაქრაძე. მურღულის ჩუმ ქირისტიან ქართველთ მოძღვარი ღებრაძე ყოფილა, – მღებროვი, ტრაპიზონში ნამყოფი, ბერძნების სკოლაში ნასწავლი და იქვე ნაკურთხი იყო ბერძნის ეპისკოპოსისგან. საინტერესო აქ ერთი ის არის რომ ტრაპიზონის ბერძენთ სკოლაში გაზრდილს ქართველს და მასთანვე ბერძნულის ენით განვითარებულს ქართველი ენა და ისიც ძველი ხუცრის წიგნების კითხვა ისე კარგად სცოდნია, რომ მას თავისუფლად შესძლებია ქართ-

ული წიგნების კითხვა და მასთანვე დიდის შიშით და ძრწოლით ქართული ენით ქადაგება, იმ ენით მოქმედება და გრძნობა, რომელი ენაც ოსმალთაგან სასტიკათაც იდევნებოდა.

ოსმალეთის საქართველოში, აქა-იქ, სადაც-კი ქართველთ შეინახეს მამა-პაპური სჯული და ენა, ამათში სამღვდელონი ყოველთვის ერთის ოჯახიდგან გამოდიოდნენ. მღვდელი-მამა რომ მოკვდებოდა, მის სიკვდილის შემდეგ მღვდელობა შვილს რჩებოდა, რომელსაც თვით მამა ამზადებდა, მომზადების შემდეგ ამ სამღვდელო პირს ტრაპიზონს გზავნიდენ და იქ აკურთხებინებდნენ ბერძნის ეპისკოპოსს. ქართლსა და იმერეთში გადმოსვლას-კი ვერ ბედავდნენ, რადგანაც ოსმალთა სასულიერო წოდებისა ეშინოდათ, რომ არ შეგვიტყონო. რამდენსაც ოსმალნი რომელიმეს კუთხის ქართველთ უფრო სტანჯავდენ სარწმუნოების ცვლილებისათვის, იმდენი საუკეთესო ქართველნი და მებრძოლნიც იქ უფრო ხშირად სჩნდებოდნენ. ასეთია მაგალითებრ, ჯავახეთი და მესხეთი.

– 7 –

ასპინძის ომის შემდეგ ოსმალთა ჯავახეთში არამც თუ მართლმადიდებელთ, არამედ ქართველ კათოლიკეთაც-კი დაუწყეს დევნა. არსად აღარავის სიტყვის თქმის ნებასაც არ აძლევდენ და რამდენიმე ალაგას სტანჯეს ქრისტიანები ასპინძას, სოფ. ბალაჯარის და ახალ-შენის ქართველთ კათოლიკეებიც-კი დასაჯეს დ გაათათრეს. ასპინძის და ადუგენის კათოლიკენი მთლად მაშინ გათათრდენ, რომელთა შთამომავალ ფანატიკ შვილებთაგანნი დღესაც სცხოვრობენ სოფ. ასპინძას დ ზოგ- ნი ოსმალშიაც წავიდნენ. ამ დროს, ოსმალნი ისე აღმხედრდნენ ქართველებზედ, რომ მათ წინაღმდეგ ვეღარას აწყობდნენ თვით ქართველთ მხნე პატრეებიც. სწორედ ამ დროს, გაათათრეს მათ დიდი ძალი ქართველ კათოლიკებისა. თუმცა ასეთი საშინელი გარემოება დატრიალდა ოსმალთაგან, თუმცა ქართველთ დევნის ზომა საზღვარ გადავიდა, მაგრამ ამ დროსაც-კი ქართველთ შორის არ მოსპობილან აქა იქ თითო ოროლა ჩუმი ქრისტიან მოძღვართ რიცხვი, რომელთაც ხალხში აქა იქ თავ-გადადებითაც უღვაწნიათ. ასეთი პირების რიცხვს ეკუთვნიან ვასილი და საბა მღვდელი ორბელიანები, რომელნიც XVIII საუკუნის დამლევს სცხოვრობდნენ. გრიგოლ მღვდელი, დესპოდე ეპისკოპოსი, ტომით ბერძენი. მესხეთის ქართველთა საიდუმლო ქრისტიანეთ რიცხვი ყოველთვის არსებობდა და მათი რიცხვი 25 სოფელზედ მეტიც ყოფილა. ამათს საიდუმლო მღვდელს ოსმალურად ეცვა, თავზედ სარუღი ეხურა ან დოლობანდი, ხშირად ჩოხასაც იცვამდნენ, ზედ ნაბადს ისხამდნენ და საეკკლესიო ნივთებს და წიგნებს ქვეშ მალავდნენ.

თავიანთი სალოცავი ოთახი გაკეთებული ჰქონდათ დარნების მსგავსად, თხრილებში, სათონეში და სხვა. საიდუმლო

მღვდელნი ამ ადგილებში ულოცავდენ ჩუმ ქრისტიანებს. საღ-
მრთო მსახურებას ისე ოსტატურად ასრულებდნენ, რომ მა-
თის მოქმედებისა ვერავის-რა ესმოდა.

ასეთი მღვდლები 1819 წლებამდე ყოფილან და საი-

დუმლო ქრისტიანებიც მრავლად ჰყოლიათ. ეს საიდუმლო
ქრისტიან მღვდელნი და ერნი სისწორით ასრულებდნენ
თვით მუსულმანთა სჯულის წესებსაც. ჯამეში ერთგულად
დაიარებოდნენ, ყოველს სავალდებულო წესსაც ასრულ-
ებდნენ, და ისე, რომ კაცი თავის დღეში ვერ იფიქრებდა,
იგინი ნამდვილი მუსულმანები არ არიან და მათში ქრისტიანო-
ბის რამე არსებობსო.

ამით ეს პირნი დიდს შნოს, დიდს ოსტატობას იჩენ-
დნენ. ასრულებდნენ ქართველთ დღესასწაულებსაც მაგალით-
ებრ, აღდგომას; იცოდნენ კვერცხის შეღებვა, მილოცვა,
საღმრთოს დაკვლა და სხვა.

წმინდა სანთელს, ნართს და სხვა ამ გვარებსაც თვითონვე
ამზადებდნენ, ზიარება, სეფისკვერის დარიგება, ზეთის ცხებაც
სცოდნიათ.

საიდუმლო ქრისტიანეთ ასპარეზზედ დიდად დაიმსახურ-
ეს თავი რამდენიმე საიდუმლო მღვდელმა, ორბელიანებმა,
ხმალაძეებმა და სალარიძეებმა. ამათ შორის ფრიად გამოჩენი-
ლი ყოფილა ვასილი მღვდელი ორბელიანი, რომელიც იერუ-
სალიმიდამ 1757 წ. მოსულა საქართველოში. ეს მღვდელი
ანაფორას თურმე აშკარად ატარებდა. ამავ ვასილის დროს
ყოფილან მღვდლებად გრიგოლი, დიმიტრი და დესპოდე
ეპისკოპოზი. ესენი ყველგან ქართველთ ამხნევებდნენ, მომა-
ვლის იმედებს უნერგავდნენ და თან არწმუნებდნენ: მაგრად
იყავით, მომავალი ჩვენია, ჩვენ ქრისტიან ქართველებთან
დავკავშირდებითო. საიდუმლო ქართველნიც, რასაკვირველია,
გმირულად მოქმედებდნენ და იღვწოდნენ ყველაფერს ითმენ-
დნენ.

1805 წ. ამ მღვდლების ამბავი შეუტყვია ვიღაც ფან-
ატიკოს, ხოჯას, დავა აუტეხია და ეს დავა კონსტანტინე-
პოლს წასულა, იქაური შეიხ ულისლამი დიდად განრისხებ-
ულა. იქიდამ ახალციხის სელიმ ფაშას დიდი საყვედური და

მუქარის წერილი მოსვლია. ფაშა გაცეცხლებულა, მაშინვე
დაუბარებია ეს მღვდელნი და უკითხავს:

– შევიტყე, ქრისტიანების სჯულს არა სჯერდებით და
სხვებსაც ახვევთ თავზედ?

– არა, ჩვენო ფაშავ, ჩვენ იმდენი დრო სადა გვაქვს
ღა ან, როგორ მოვახერხებთ ამას.

– მე დამარწმუნეს, მასთან დიდი საყვედურიც მომივი-
და. გთხოვთ, ჩემს საბრძანებელს მოშორდეთ და წახვიდეთ

აქედგან?

– ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ.

– დახოცილ იქმნებით და აქ-კი არ დაშთებით!

– დაგვხოცე, მაინც ბოლო ეგ არის ჩვენი.

– უსათუოდ მოისპობით, მოშორდით აქაურობასა.

– ერთს წუთსაც ნუ გვაცოცხლებთ, თუ ჩვენზედ რამე ეჭვს იქონიებთ. თუ ან ვისმე თათარს ათქმევინებთ, რომ იმას ჩვენ ქრისტიანურად ვალოცებთ, ან მათში სადმე რამე გვექადაგოს ქართველებზედ.

– მაშ თქვენ თათრის ოჯახებში რად დაიარებით, იმათში რა გესაქმებათ, რა გინდათ?

– ისინი ჩვენი დოსტები არიან.

– მე ეგ არ ვიცი; ბრძანება ასეთია, ან მოშორდით ახალციხეს და ან გათათრდით.

– ვერც ახალციხეს მოვშორდებით, ვერც გავთათრდებით. აქედამ არსად წავალთ.

– იმას გარეშე, რომ თქვენ ჩვენს თათრებში ქრისტიანობას ავრცელებთ და ქართულად ლაპარაკობთ, ახალ-ციხიდამ რუსის მთავრობას ცნობებსაც უგზავნით, აქ რუსების მოყვანა გინდათ. თუ არ წახვალთ, იცოდეთ, დაიხოცებით. მე გიბრძანებთ, წახვიდეთ.

– არ წავალთ, არა, არა. რაც გენებოს, ისა ჰქენით, ჩვენთან ლაპარაკი უბრალოა.

– გირჩევთ, დაგვთანხმდეთ, თორემ თქვენი საქმე ცუდად იქმნება.

ფაშამ დარიგება მისცა და შინ გაისტუმრა. საპასუხო დროდ მეორე დღე იყო დანიშნული, მაგრამ მეორე დღესაც იგივე პასუხი მიიღო ფაშამ, რომელიც დაემუქრა: საქმე სიკვდილით გათავდებაო.

ესენი წავიდნენ შინ, შეკრიბეს ქრისტიანი ქართველები და გადასწყვიტეს: ჩვენ აქედგან ფეხს არ მოვიცვლითო.

დანიშნულს დღეს წავიდნენ ფაშასთან და მოახსენეს, აქედგან ვერსად წავალთ და ვერც გავთათრდებითო. ფაშას ჯავრი მოუვიდა და კვალად მისცა სამი დღის ვადა.

მესამე დღეს წარსდგნენ ფაშის წინაშე და ასეთი პასუხი მისცეს: „ვიდრე ცოცხლები ვართ, აქედგან წასულებს ვერ გვნახავ, აქ დავრჩებით და აქვე დავიხოცებით".

ფაშამ გადასწყვიტა, ეს სამივე კაცი სიკვდილით დაესჯა. ახალციხის ციხის გალავანში ფაშა სცხოვრებდა, დიდი მედრესეც იქ იყო და ქრისტიანეთ საჯალათოც, აქ პირველად თავი მოსჭრეს ვასილ მღვდელს, ორბელიანს, რომელმაც თავის მოჭრის წინად ფაშას მუქარით უთხრა:

– ყველას ხომ ვერ დასჭრი თავებს, დღეს თუ ხვალ სამაგიერო მოგეკითხება ქრისტიანეთაგან.

ვასილის შემდეგ, დესპოდე ეპისკოპოსი სტანჯეს, ჰგვემეს და თავი გააგდებინეს. გრიგოლ მღვდელს ამათის საცო-

დავობის ცქერით გული წაუვიდა და გარდაიცვალა. ესე რომ მისი დასჯა და თავის მოჭრა ვეღარ მოასწრეს.

ეს შემთხვევა მოხდა 1806 წ., შემოდგომის პირზედ, ამათი წამების ამბები ახალ ციხეში მალე მოიფინა. ფაშისათვის მოუხსენებიათ, მაგ დახოცილებს ერთი ამხანაგიც ჰყავსთო. ეს ყოფილა მთავარი სტეფანე ლორთქიფანიძე. ფაშას სტეფანე დაუბარებია, ფული მიუცია და თან დაუვალებია, ეს გვამები თქვენებურის წესით დაასაფლავეო. ლორთქიფანიძეს წაუსვენებია და დაუსაფლავებია იქ, სადაც დღეს

ახალციხის ქართველ წმ. მარინეს ეკკლესიაა, ხსენებულ ტაძრის ერთს კედელზედ არის ქართული წარწერაც, რომელიც ცხადად მოწმობს ვასილი მღვდელის ამაგს.

ამათ შემდეგ ახალციხეში მოღვაწეობდნენ იოსებ მღვდელი ორბელიანი, ძე ვასილისა და პეტრე მღვდელი ხმალაძე და სხვანი.

ამ ორბელიანთ მოძღვართა შთამომავალია აწინდელი ახალციხის მცხოვრები ცნობილი ქართველი იაკობ იოსების ძე ორბელიანი, კაცი ხნიერი და ცნობილი კეთილის ადამიანობით. ამათს ოჯახში ბევრი რამ ძველი ამბებია დაშთენილი და ამ ცნობების უმეტესი ნაწილიც მათში შევკრიბე. როგორც თვით იაკობი, ისევ ამისი დაც მეტად კარგი მომთხრობნი არიან ქართველთა ძველებურის ამბების.

მესხეთის და ჯავახეთის უმეტესმა ნაწილმა, ქართველ მაჰმადიანებისამ, დაკარგა ქართული ენა. თუმცა გარშემო ქართულად მოლაპარაკე ქართველები ახვევიან, მაგრამ ესენი კი ისე გათახსირდნენ და ისე გადაგვარდნენ, რომ დღეს არამც თუ ქართული ენის ხმარება, არამედ საქართველოს ხსენებაცკი ჭირივით სძულთ.

საომარი იარაღის ხელოსნობა და მისი დაცემა სამცხე-სათაბაგო და მაჭახელს.

ძველად, მაჭახელში, განთქმული იყო საომარი იარაღის კეთების ოსტატობა. მთელ დასავლეთ საქართველოში ქებული იყო ეს კუთხე ასეთ იარაღთა ხელოსნობით, მაჭახლელებს ასეთის კარგის ხელობის ცოდნით ძველადგანვე იცნობდენ ათაბეგში, გურიელები, დადიანები, შარუაშიძეები, დადიშქელიანები, მთავარნი და მეფენი ქართველთა. საქართველოს ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ მაჭახლელებმა სახელი განითქვეს ოსმალეთშიაც, ნამეტურ სტამბოლს, დიარბექირს, ქურთისტანს, შამს და სხვა უშორეს ადგილებშიაც.

როგორც ცნობები გვაუწყებს, მაჭახელში ეს ხელობა თითქმის საერო საკუთრებათ ყოფილა გადაქცეული. ყოველ

მაჭახლელს კარგად სცოდნია ეს ხელობა, თითქმის ძველის დროდამ, ვიდრე ოსმალი დაიჭერდა ამ კუთხეს, მინამდი ყოველი სოფელი თავისთვის ამზადებდა ყოველს საჭირო სახმარ იარაღს, ხოლო იყო ისეთი ადგილებიც – სოფლები, სადაც კერძოდ ამის ქარხანებიც არსებობდა. ასეთია მაგალითებრ სოფ. ხერთვისი, ევფრატი და სხვანი, სადაც ძველადგანვე ქარხანები არსებობდა და იქ მრავლად მუშაობდენ ხელოსნები და იარაღი გამოჰყვანდათ.

მაჭახლის იარაღი ქებული იყო ჯერეთ მეფეების დრომდენ და შემდგომ ოსმალთა მფლობელობისა. მაჭახლის იარაღს ქებით მოიხსენებენ მეზღაპრენი თავიანთ ზღაპრებში, მეშაირანი და მელექსენი. შაირებში იტყვიან ასე: – „მაჭახელი, ან სტამბოლი“, ე. ი. იარაღი უნდა იქმნეს მაჭახლის, ან სტამბოლსაო. ერთობ კაი ფასი ჰქონია აქაურს იარაღს. იარაღებთ შორის მთელს აზიაში და ოსმალეთს სახელოვნებდა

დამბაჩა „ნალფარა“ ძველადგანვე შემოღებული „სირმა" დახვევული, სევადებით „თაფურნე" და დაკენკილი. ორი შემოღებულია ქართველთ მეფობის დროს და თვით სახელებიც გვაუწყებს მას და ხოლო მესამეკი ოსმალთ მფლობელობის დროს უნდა იყოს შემოტანილი, რადგანც თვით სიტყვაც ოსმალურია.

ამ სამს დასახელებულთ გარდა სხვა იარაღებიც კარგად გამოჰყვანდათ, იარაღების სევადები, ყვავილები და ასოები ხელოვნურად ამოჭრილი განცვიფრებაში მოიყვანენ მნახველს, სანაქებოა მათი ნახვა და მზერა, ნამეტურ საინტერესო და მეტად იშვიათი სანახავია ისეთი იარაღები, რომლებიც ქართველთ მეფობის დროს არს გაკეთებული და რომლებზედაც ოსტატურად ქართული ასოებიც არს ამოჭრილი, დღეს კი ასეთი იარაღი იშვიათია და ქართული ასოების ხომ ჭაჭანებაც აღარ არის, რადგანაც მაჭახლელები ფანატიკები არიან და ქართველთ ენის აღარაფერი სწამთ. მაჭახლის იარაღი ისეთ ფასებში ყოფილა რომ თოფი, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი 20 მ. 300 მანეთამდე ავიდოდა და უფრო მეტ ფასიანიც იქმნებოდა, თუკი მას მსურველი გამოუჩნდებოდა. სტამბოლში, ყველა ფაშის სახლში და სახელმწიფო კაცთა იარაღს მაჭახელი პირველობდა, მათს მკერდს და გულს ესენი ამშვენებდენ. ოსმალეთში ყველა მეომარმა იცოდა მაჭახლურ ოსტატურ იარაღების მნიშვნელობა. ცნობები არს დაშთენილი, რომ მაჭახლური იარაღი სტამბოლს გარდა სხვა ქვეყნებშიც მიჰქონდათ დასაყიდათაო. ასეთს ქებაში ყოფილა ძველად მაჭახლის იარაღი.

დღესკი, მაჭახელში ამის მსგავსი აღარაფერია დაშთენილი. ყოველივე ჟამთა ვითარების მახვილმა ჩანთქა. აქ დავრდა მთლათ ეს ხელობა და დღეს მთელს მაჭახელში სულ ხუთი კაციღა იქმნება რომელთაც იციან ეს ძველებური სევადიანი ხელობის ოსტატობა, დანარჩენი ყოველივე მო-

ისპო და არქივს ჩაბარდა. კარგად ვიცით, რომ მაჭახელიდამ

წელიწადში რამდენიმე ათასი ცალი ხმალი, ხანჯალი, თოფი და დამბაჩა გამოვიდოდა. დღესკი მაჭახელში ამის აღარაფერია დარჩენლი და რამდენიმე ხნის შემდეგ აქ ეს სულ მოისპობა, აღარაფერი დაშთება. იქმნება ეს მოხსენება დაშთეს მის ნაშთად რომ ერთხელ მაჭახელში ასეთი ხელობა გაბრწყინვებული იყო და მრავლადაც მოფენილი აქა იქ. ისიცკი უნდა ითქვას, რომ მაჭახლურ თოფ-იარაღის კეთების ოსტატობას სხვა კუთხის მაჰმადიანებიც სწავლობდენ და მათ ეს ოსტატობა სხვაგანაც გაჰქონდათო.

იმასაცკი ლაპარაკობენ, რომ იარაღისათვის საჭირო რკინა, ტყვია, ფოლადი, თითბერი, სპილენძი და თუჯი აქვე მაჭახელში გამოჰყვანდათ. ყოველივეს აქ პოულობდენო. აქ იყო ყველას მადნებიო. მაჭახლელებისგან ეს ხელობა ლაზებს ძველადგანვე შეუსწავლიათ და გაურცელებიათ ლაზისტანში. მცოდნე კაცებმა მითხრეს, რომელთაც ლაზიკაში უმგზავრნიათ, რომ ამ ხელობამ იქაც იწყო საკმარისად კლებაო. დღეს თუ რამეა იქაც ნატამალობსო. ჯიბრს უწევს ევროპიელი იარაღი – ნამეტურ დამბაჩა, ანუ მარტენის სისტემის ლივერი. ლაზისტანში ამ ხელობასთან სხვაც ბევრი რამ ეცემა და ეძლევა დავიწყებას.

სამცხესა და ლაზისტანში გემების და ნავების კეთება, გემოსნობის და ნავოსნობის დაცემა მათში.

ნავოსნობა და გემოსნობა ქართველებში ერთობ ძველ დროს უნდა ვაკუთნოდ. ევროპის მსწავლულთა თქმით ქართველებს ნავოსნობა ბერძნებზედ ადრე სცოდნიათ. ამ აზრისა არის ბარონ როზენიც. კოლხები ძველ მწერლებისაგან შენიშნულნი არიან როგორც წარჩინებულ ძველ კულტურულ ხალხთაგანნი. კოლხები ხომ ქართველები არიან. კოლხებმა ძველადგანვე იცოდნენ კარგად ზღვაზედ მოგზაურობა და ცურვაც. იგინივე აკეთებდნენ კარგად გემებს,ნავებს, ხომალდებს და სხვა სამგზავრო სატარებელთ, რადგანაც გემების, ნავების და ხომალდების კეთებასთან მჭიდროთ არს გადაბმული თვით ნაოსნობაც. ამიტომ ჩვენ აქ ორივეზედ ერთად ვისაუბრებთ.

გემების და ხომალდების კეთება ითხოვს ისეთ ოსტატთა რიცხვს, რომელთაც კარგად უნდა იცოდენ ზღვაში მოგზაურობა და ნაოსნობაც. გარდა ამის ისიც თუ მოგზაურობის

დროს, მატარებელს სად რა ხიფათი შეემთხვევა, სად როგორის ვითარებით უნდა ასეთ მატარებელთ მოწყობა, მომართვა და ან კეთების დროს სად რა მხარე რა გვარის ზომით და ნაჭრებით უნდა დაიჭიროს. ესეთი ოსტატობა და მოხერხება ჩვენში ერთობ წინ ყოფილა წასული, რადგანაც მის განვითარებისთვის ქართველთ ერის მოგზაურობით პირობებიც მოითხოვდა. ნამეტურ ქართველთ მოგზაურობა საბერძნეთში და სხვაგანაც.

მოგეხსენებათ, რომ ქართველნი საბერძნეთში მოგზაურობას გემებით დ ხომალდებით ძველადგანვე შაეჩვივნენ. ქართველთაგანნი ხშირად მოგზაურობდენ იქ და ქრისტიანობის

მიღების შემდეგიდამ ხომ საქართველოდამ ქართველნი მიემგზავრებოდენ მუდამ თვეს, კვირას და თითქმის ყოველ დღეს. მიდიოდნენ მეფენი, მთავარნი, მოქალაქენი, გლეხნი, მღვდელნი, ბერნი და ქალებიც. ერთის სიტყვით, არ იყო ისეთი ქართველი კაცი, რომ იმას საბერძნეთში წასვლის ნატვრა არა ჰქონიყოს. ასეთმა გარემოებამ და მგზავრთა სიმრავლემ ქართველებში ძველადგანვე ააღორძინა ხსენებული ხელობა და მის მიმდევრობა. დროის განმავლობის წყალობით, X საუკუნეში ქართველებში ეს ოსტატობა უკვე კარგად იყო მოწყობილი და XII საუკუნეში ხომ დავით აღმაშენებლის ჟამს უმაღლეს ხელოვნების წერტილამდის აღვიდა. საქართველოში ნავოსნობის სკოლაცკი დაარსდა, მის მეთაურთ და ხელმძღვანელათ მცოდნე კაცები ირიცხებოდენ. ამათ საქმე ისე კარგად მოაწყეს და ნავოსნობა ისე დააწინაურეს, რომ მათ ძნელათ რომ რამეში შეცთომა მოსვლიყოთ. ამის აღორძინების დასაწყისი მათში თან და თან ის კარგის განვითარებით მომხდარა.

ნავოსნებამ კარგად იცოდნენ ზღვაზედ მოგზაურობა და ბანაობა, ამას იგინი სწავლობდენ პატარობიდანვე.

მათ კარგად იცოდნენ ტაროსის ვითარება და ზღვის ღელვის დასაწყისი, ღელვის ხანა და დაწყნარების დრო.

იცოდნენ კარგად ზღვაში სავალი ფონი, აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. კომპასი არ ჰქონდათ მრავლად, მაგრამ თვით იყვნენ კომპასი.

იცოდნენ ერთის სიტყვით ყველა საჭირო მხარე ნავების გემის და ხომალდების ტარების, მოსმის, გაყვანის, გადატანის, ხალხის მშვიდობით გადასხმის და ვინიცის რამდენი კიდევ სხვანი. შესწავლილი ჰქონდათ ღელვის ღროს თავის გადარჩენის ოსტატობაც და უკეთ რომ ვსთქვათ ღელვის დაწყების წინა-გრძნობა. იგინი იყვნენ ცოცხალი ბარომეტრი და ტერმომეტი.

იცოდენ ხელობა გემების კეთების, თოკების და ღაზლების

წვნის და გზაში ყოველივე თუ რამ დასჭირდებოდათ, სულ მათის ზედამხედველობის ქვეშ კეთდებოდა, ყველაფერს თვით აკეთებდენ, თან ჰქონდათ ყველაფერი იარაღი, რაცკი საჭირო იყო დაზიანებულ გემთა და ხომალდთა გასაკეთებლათ.

ვიტყვით აქ კიდევ დამატებით, რომ იგინივე იყვნენ კარგი მეთევზენი და ბადეების მქსოველნიც, სათევზავო საჭერი იარაღების გამკეთებელიც. ბევრის კიდევ სხვა მხარეთა და საგანთა ცოდნა აქვნდათ, რასაც ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით. ყველა ამ საქმეთა და საგანთა ცოდნა წარმოადგენდა აუცილებელს საჭიროებას და ღირსებას ქართველის გემოსანის, ნავოსანისთვის და სწორედ ესევე ღირსება იყო სახე ქართველის სანავოსნო სკოლისა. ვიტყვით, რომ ქართველებს სანავოსნო სკოლები ძველადგანვე გვქონდა, მისი ოსტატობა და ღირსება დიდის პატიოსნებით და ოსტატობით იყო გარე შემოსილი და მოსილი უამისობა არც შეიძლებოდა და ქართველთ ისე კარგად იცოდნენ ზღვაზედ მგზავრობა, რომ ამას აქებენ თავ-თავის დროის ქართველ ხელოვანი მწერლებიც. მოწმობენ, რომ ქართველთა ზღვაზედ მგზავრობა ისე კარგად იცოდენო, რომ თვით ღელვის დროსაცკი უვნოდ მგზავრობდენ. გრიგოლ ჩახრუხაძის თქმით, თვითქოს ზღვა დაწყნარებული იყო და მარტოდენ ნიავი ჰქროდაო, ისე ოსტატურად მიმოდიოდენ ზღვაში ღელვის დროსაცკი ქართველ ნავოსანი და გემოსნებიო. ესე ყოფილა ძველად ქართველ ნავოსნობის სკოლის სწავლის საქმე განვითარებული და ვგონებ ამაში ეჭვი არავის ექნება, ცილს ვერვინ დაგვწამებს.

როგორიც სკოლა იყო და მისი წესები საქართველოში ამაღლებული, ისევე კარგი უშიშარი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხში ზღვაზედ მოგზაურობას. რადგანაც ამ საქმის პატივის ცემა და მნიშვნელობა ყველას შეგნებული ჰქონია, ამიტომ ამ საქმეთა ხელობის ცოდნაც დიდის ხალისით იფინებოდა და ისწავლებოდა შავი ზღვის ნაპირას მდებარე მცხოვრებ ქართ-

ველთაგან და შესანიშნავია, რომ ამის ასპარეზედ ძველადგანვე დიდის ხალისით აღმოჩენილან ლაზები, ლივანელები და ყველა ის ქართველნი, ვინცკი ზღვასთან ახლოს სცხოვრებდენ და სანავოსნო ხელობასაც კარგად მისდევდენ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ლაზები და ლივანელები ნავოსნობით, გემოსნობით და ამ სამგზავრო ხომალდთა კეთების სიყვარულით გატაცებულნი ყოფილან. ლაზები ძველადგანვე ზღვის კაცებათ თუ შვილებათ ირიცხებოდენ და ლივანელნი ჭოროხის ხეობის და მდინარის მდევებათ.

ჩვენდა სამწუხაროდ არ გვაქვს მის ცნობები, თუ გემების და ხომალდების პატრონებად ვინ იყვნენ, თითო კაცი, თუ რამდენიმე ამხანაგი, ანუ შემდგარი ამხანაგობა. არც ის ვიცით თუ მგზავრობის ფასი როგორ იყო და ან მგზავრობა რა გვარად იცოდნენ. ცხადი საქმეა კი რომ მათ ყოველივე

ამის წესები მოწყობილი ექმნებოდათ და ისიცკი უნდა ვსთქვათ, რომ იგი არც უბრალოდ იქმნებოდა მომართული, რადგანაც ხშირად საქართველოდამ საბერძნეთში მგზავრობდენ თვით საქართველოს უმაღლესი პირნი-მეფენი. ესენი აბა ტივებზედ და ღია ნავებზედ ხომ არ დასხდებოდენ, უეჭველია მათთვის შესაფერად მოწყობილი გემები და ხომალდები ექმნებოდათ და მგზავრობის გეგმაც კარგად შედგენილი; შეუძლებელია, რომ ძველად ამ საზღვაო მგზავრობაზედ ქართველებს არა ეწეროთრა. წერით კი დასწერდენ, მაგრამ მათ ჩვენ დრომდე ჟამთა ვითარების მოსვლის წყალობით არ უნდა მოეღწიოთ. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ ხომ ჩვენ ასე ცარიელები არ დავშთებოდით. სამწუხაროდ ჩვენი საქმენი ასეა თვით ჩვენგანვე მოწყობილნი, რომ წინაღმდეგ მებრძოლად ჩვენს თავს და წარსულს თვით ჩვენვე უხდებით, ჩვენ ვარღვევთ და ვაუქმებთ ყოველივეს ჩვენსას რაც სხვები უნდა გვირღვევდნენ და გვისპობდენ, ესე გავთახსირდით ჩვენ. ესე უკუღმა წარვედით ცხოვრების გზაზედ.

დღევანდელ ზოგს ქართველს რომ უთხრათ, რომ ადრე

ქართველებს ნაოსნობის სკოლა გვქონიაო, ვინ იცის, იქმნება იგი მგელივით მოგვარდეს და დაგიწყოს კიცხვა და ყვირილი, რომ ნავოსნობის სკოლაკი არა და უნივერსიტეტიც ჰქონიათო! ამას რასაკვირველია მასხარობით იტყვის. უნდა ვსთქვათ, რომ ნავოსნობა და გემოსნობა ლაზებს გარდა მეგრელებსაც კარგად სცოდნიათ. ამის სრული მოწამეა ის გარემოება, რომ ჯერეთ ქრისტეს წინეთ და შემდეგაც, შავი ზღვიდამ, ფოთის მახლობლივ, გემები შემოდიოდენ რიონში, მერე რიონით მოემართებოდენ ორ პარამდის. მას აქეთ და იქითაც აუარებელი საქონელი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ. ბერძენთა ძველ მწერლებთა ცნობებით აქედამ წლიურად ვაჭრებს გაჰქონდათ რამდენიმე მილიონი საქონელი, ისევე შემოჰქონდათ. ყოველივე ესეთი პირობები ითხოვდა როგორც ქართველთ დაწინაურებას სახელოსნოს განვითარების მხრით, ისევე ნავოსნობას და მეზღვაურობის კარგად მიხვედრას. ასე იყო ძველად ქართველ ტომის ვითარება ამ საქმეთა ასპარეზედ, ქართველს საკმაოდ ჰქონდა დროის შესაფერად როგორც ხელოსნობის ნიჭი, ისევე მეზღვაურების, ნავოსნობის და ვაჭრობისაც.

დღესკი, ყოველივე მოისპო ქართველთ ტომისა. ჩვენში აღარაფერია დაშთენილი. ჩვენს საკუთრებათ დაშთა მხოლოდ მეტივობა. ქართველთაგან დღეს მეტივეს თუ დაასახლებს ვინმე და იტყვის, თორემ ნავოსანი, გემოსანი და მეზღვაურთა ხსენება ჭაჭანებითაც აღარ არის. ყოველივე არქივს ჩაბარდა. დღეს აქა იქ თუ ქართველ მენავეობას თუ შეხვდებით. მეზღვაურთ და გემების და ნავების მკეთებელთ, ესენი იქმნებიან ისევ და ისევ ლაზები, აფხაზნი, მეგრელნი და სხვანი, მაგრამ მათი რიცხვიც სულ მცირეა, ისიც უბრალო საქმეები

უკავიათ ხელში, რაც დღიურ მუშის ვალს შეადგენს. მეთა-
ურ-მეზღვაურ ხელოვან ოსტატები ჩვენში აღარავინ სჩანს.
მთელ დასავლეთ-სამხრეთ საქართველოში ერთ ქარხანასაც
ვეღარ ვნახავთ ამისასა. ორიოდ პატარა ქარხანები მოიპოვება

ლივანაში, სადაც გამოჰყავსთ ჭოროხში სამგზავრო ნავები,
რომელ ნავებსაც ართვინიდამ აწარმოებენ და იმგზავრებენ
კახაბრამდის. ისიკკი უნდა ითქვას, რომ ლაზებში ამბათ
არი დაშთენილი, რომ ძველად ქართველებმა ნავოსნობა და
გემების კეთების ხელობა ერთობ კარგად იცოდენ, ისე რომ
იგინი ბერძნებს, ოსმალებს და სხვათაც ამ ხელობის ცოდნით
დიდათ აღემატებოდენო. შედარება რომ ყოფილიყო, მაშინ
ქართველნი მათზედ მაღლა მდგარნიც აღმოსჩნდებოდენო.
ამასვე კარგად აჩენს დღევანდელ ლაზების და ჭანების მო-
ხერხებული მეზღვაურობა და გემების ოსტატურად კეთების
ხელოსნობა, რაც ლაზისტანში კიდევაც სჩანსო.

ლივანაში, ლაზისტანს და სხვა კუთხეებშიაც გემებს
აკეთებდენ სხვა და სხვა ზომისას. ზოგი ისეთი გრძელი იყო
და მასთან მაღალი, რომ სიგძე სიგანით დღეინდელ ევროპის
გემებს არაფრით ჩამოუვარდება, ზოგს ისეთი დიდრონი ხუფე-
ბიც ეხურა, რომ მასში წვიმა ადვილათ ვერ ჩააღწევდა. იალ-
ქნები, აფრანი და სხვანი ჭერის ბანზედ აქვნდათ მომართული
და ღუზაკი შიგ გემში იდო. როცა დასჭირდებოდათ იალქ-
ნებს, აფრებს და სხვებს ჭერიდამ აუშვებდენ და აქროლდებო-
დენ სხვა მოწყობილობით. ღუზასკი იქ უშვებდნენ სადაც
ალაგი იცოდენ და საჭირო იყო მათვის. გემები კლასებათ არ
იყო დაყოფილი, ყველა ერთად ისხდენ, მხოლოდ მოწინავე
პირებს საუკეთესო, უპარატესი ადგილი ეთმობოდათ. ფასის
გარდახდის საქმეც ვაჭრობით იყო| უნდა ითქვას რომ ქართ-
ველებმა და ნამეტურ ლაზებმა ისე კარგად იცოდენ გემების
და ხომალდების კეთების ხელოსნობა, რასაც ძნელად რომ
ბერძნების და ოსმალების ხელოსნობა სჯობნებოდა, თუმცა
ბერძნები ევროპულ ოსტატობის საშუალებითაც იყვნენ გაწურ-
თვნილნი გემების კეთებასა და ხელოსნობაში. ჩვენდა სამწუ-
ხაროდ, რაც საქართველოს დასავლეთ ნაწილი დაეცა და გა-
თათრება დაუწყეს, რაც იქ დაეცა ქართველთ გვაროვნობა
და ისლამის წყალობით ხალხოსნობაც ამოვარდა, ხალხოსნო-

ბასთან ერთად დაეცა ქართველ ერისაგან ძველად გაბრწყე-
ნილი გემების კეთების ხელოსნობა და მას სრულიად თა-
თრული, ანუ ოსმალური სუნი ჩაედგა, ოსმალური სახელი
ეწოდა. ის რაც წინეთ ქართველებისა იყო, დღეს ოსმა-
ლებისა არის, იგი დღეს მათს საკუთრებას შეადგენს. სამ-
წუხაროდ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ ქართველ ტომი-
საგან მონარუქებული გემების კეთების ხელოსნობა ოსმოლთა

ხელში დარჩა მკვდრად და უმოძრაოდ, მათ ხელში მან წინ ვერ წაიწია. დღეს მათში იგი წარმატების მაგიერ მოსპობაზეა დამდგარი, ეს იცის ისლამმა. ისლამის ხელში ჩვენი მამა პაპისაგან მონარუქებული ხელოსნობა დაჭლერქდა, სული ამოხდა და მოისპო. როგორც დასავლეთ საქართველოში მოისპო ქართველი გვარი, ისევე მოისპო ქართული ხელოსნობაც.

ვიტყვით კი, რომ ქართველ ტომის გემების და ხომალდების კეთების ისტორიას დიდი წარსული აქვს, მისი დასაწყისი რამდენიმე ათასი წლის წინა დროებიდამ იწყება. მას მოიხსენებენ რომაელთ და ბიზანტიელთ ძველი მეისტორიე მწერლებიც. იგი უმნიშვნელო არავის ეგონოს, მას დიდი ვრცელი ისტორია აქვს, მხოლოდ დაკვირვება უნდა, ძველის ძველ მეისტორიეთა ნაწერების კითხვა და ცნობების გარჩევა და გამოაშკარვება. ქართველი ტომის ძეთა დურგლობის, ხუროობის და მხერხავობის ნიჭს უარს ვერვინ ჰყოფს. თვით დღესაც კი ლაზები განთქმულნი არიან ხუროობით და დურგლობით. გემებიც სწორედ ამათგან კეთდებოდა, მხერხაობა საქართველოში საერთოდ ისე იყო გავრცელებელი, რომ ამას უაღრესად მისდევდენ თვით რაჭველებიც კი. დღესაც რაჭველები საქართველოში კარგა ხუროებად, მხერხავებად და დურგლებად ირიცხებიან. რაც შეეხება ლაზებს და მათ ხელოსნობას გეგმის სასარგებლოდ, ამას ხომ ეჭვი არ უნდა, რადგანაც იგინი არამც თუ ბარტოდ გემების და ხომალდების კაი მკეთებელნი იყვნენ, არამედ კარგი ნავოსნებიც. ნავო-

სნიობაც ამათის წყალობით გაბრწყინდა მძინარ ოსმალთ ტომში და ამის ხელოსნობაც. დღეს, შავი ზღვის ნაპირები ტრაპიზონ-სტამბოლამდე მოფენილია ქართველ და ლაზელ ტომის შვილებით, იგინი ირიცხებიან საუკეთესო ნავოსნებათ და ხელოსნებათ, იგინი ამგზავრებენ გემებს, ნავებს და მასთან მგზავრობის დროს, დაზიანებულთაც შეაკეთებენ კიდეც. ყველაფერს მარდათ უძღვებიან, ყველაფერს კარგად აკეთებენ, მხოლოდ ჩვენი უძლურება ის გახლავსთ, რომ ყველა მათ თურქები ეწოდებათ და მათი ხელოსნობაც თურქთა ტომის საკუთრებათ შთება, თუმცა ლაზები დღესაც ლაზურად ლაპარაკობენ, თურქული ბევრმა არცკი იცის, მაგრამ რა გაეწყობა, ისლამის წყალობით ჩაყლაპულნი არიან და ჩვენთვის საყოველთაოდ დაკარგული. დღეს ბევრს იქმნება საკურველათაც კი დაუშთეს ის ამბავი, რომ ქართველებში ძველად გემების კეთებაც იცოდნენ, ხომალდებისაც და მასთან კარგად მგზავრობა, ანუ ნაოსნობა. აქ საოცრება არავისთვის რა უნდა იქმნეს, თუ ჩვენში ისტორიული ცოდნა აღორძინდება და ქართველთა ტომის შვილები თვალს გაახელენ, თავიანთ წარსულს ნათელის თვალით შეხედვენ. ამის მოვალეა დღეს თვით ქართველ მაჰმადიანთ ახალგაზდობაც, რომ მათ შეისმინონ თავიანთი გვაროვნული მოვალეობა და

იძიონ ის რისაც მოვალეა ყოველი შვილი თავის ქვეყნისა – საქართველოსი. ამის ნიშნები უკვე არის, ქართველ მაჰმადიანთ იშვილები იღვიძებენ, თვალს ახელენ ისევე როგორც ეს უკვე წინეთ ქართველებში და ქართველ კათოლიკეებში მოხდა.

სამზადისი

გურიის გათათრებისა და გათათრებულ ალი (გიორგი) გურიელის დახვრეტა.

(ზეპირ ცნობები შეკრებილი აჭარაში)

ამ ალი გურიელის ამბავი მეტად უცხოა ჩვენთვის. ჩვენს ისტორიულს მასალებში ამ პირის შესახებ სულ არაფერი ცნობებია დაშთენილი. ამის შესახები ცნობები ადრე მე შევკრიბე აჭარაში, იგი მიამბო ერთმა მოხუცმა ქართველ მაჰმადიანმა, რომელიც 1878 წლის შემდეგ, ქართველ მაჰმადიანთ ოსმალეთში დიდის გარდასახლების დროს ტრაპიზონში გადასახლებულა და იქ ვაჭრობს. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ვაჭარი კაცი აჭარაში დაბრუნდა და შემთხვევით გავიცანი. ალი გურიელის შესახებ სხვა და სხვა ცნობებთან ერთი სახალხო ლექსიც მითხრა. ყველა ის ცნობები ერთად შეკრებილი თფილისში გამოვგზავნე „ივერიის" რედაქციაში დასაბეჭდათ, მაგრამ ეს წერილი რედაქციამდის არ მივიდა, გზაში დაიკარგა. ეხლა ახლად დავსწერე ეს ამბავი და ლექსი კი ვეღარ მოვიგონე.

XVIII საუკუნის დამლევს, ოსმალეთის ბძანებით ახალციხის ფაშებმა დიდი ზე გავლენა იწყეს გურიაზედ. ოსმალეთს დიდათ ენატრებოდა ურიის დაჭერა, მორჩილება და გურულების გათათრება. ამათ სურვილს განხორციელება არ ეძლეოდა, რადგანაც გურიელები ოსმალთა წინაშე დიდს ოსტატობას იჩენდნენ. საზოგადოთ გურულები, დადიანები, მასთან ყველა მთავრები საქართველს ნაწილებისა, იმერეთ

ბატონები და ქართლის მეფენი ოსმალთ, სპარსთა წინაშე დიდს ოსტატობას იჩენდნენ, მათ აღმოსავლეთის ერთა მეფეთა პოლიტიკა კარგად იცოდნენ, ამიტომაც გახლდათ რომ იგინი ამათ ვერ იმორჩილებდნენ, ვერ ატყუილებდნენ. აღმოსავლეთის ერთა საქმეებსა და პოლიტიკაში ქართველი მეფენი და მთავრებიც სჯობდენ, ამის შედარებაც არ შეიძლებოდა. ოსმალ სპარსებს ჩვენზედ ერთი უკეთესი შნო აქვნდათ მისი, რომ რაკი იგინი ჩვენ ვერ გვერეოდნენ, მერე თვით ჩვენში ეძებდნენ შინათ გამცემთ. ქართველებს იმხრობდენ და შინა-

ურის ღალატის საშვალებით გვესეოდნენ. სწორედ ამის მაგალითია სამცხე-საათაბაგოს დამორჩილების ისტორია და მისი გათათრების ამბები გურიაში. გურულებსაც კარგად შეეტყოთ. ალი მოვიდა თუ არა გურიაში, მაშინათვე დაიწყო მან საიდუმლოდ მოქმედება და თანამგრძნობთ ჯგუფის გაძლიერება. ხოლო ამის გაძლიერება გურიაში აღარ დასცალდა. გურულებმა მალე დაიჭირეს იგი და დააპატიმრეს. ერთ დღეს ალი გურიელს გურიის ერის ღალატიც გაუმჟღავნეს. ალი გურიელსა და გურულებს შორის დიდი უსიამოვნობა მოხდა. გურულებმა აღარ უძლეს ალი გურიელს და ბევრის თათბირის შემდეგ ხეზედ მიაკრეს და თოფით დახვრიტეს.

ეს ამბავი მთელს ქობულეთის, აჭარის და სხვათა ქართველ მაჰმადიანებს დიდთ ეწყინათ, ალიზედ გლოვნა დაიწყეს და მასზე ლექსიც გამოთქვეს. ლექსის შინაარსი მოუთხრობდა შემდეგს: როგორც მაისში ვარდი აჰყვავდება, როგორც მისი სუნი მოიფინება აქეთ იქითო, ისევე მუსულმანობა აღორძინდება გურიასა და გურჯისტანშიო. მართალია საბრალო ალი გურიელი დახვრიტეთ გურულებმა, მაგრამ დიდი ფადიშაჰი და მუჰამედი არ შეგარჩენთ თქვენაო.

ოსმალთაც ძრიელ ეჯავრათ ალი გურულის დახვრეტა, გურულებს დაემუქრნენ კიდეც, სამაგიეროს გადახდა უნდოდათ, მაგრამ წადილის შესრულებას კი ვეღარ შეუდგენ, რადგანაც

1800 წლის შემდეგიდამ საქართველო რუსეთს ჩაბარდა და გურიას და იმერეთთან კი ალი გურიელის გამო დავა-დარაბა აღარ გამოდგებოდა, არამედ მისთვის მეგობრობა იყო საჭირო და სიყვარულიო, რომ იმერეთის სამთავროები და სამეფო მათი ერთგულ მოსამზღვრენი ყოფილიყვნენო. დამორჩილების და გათათრებისთვის ოსმალთ აღარ სცალოდათ და ამიტომ უფრო დაანებეს თავი ალი გურიელის ისე დაკარგვისაო.

ალი გურული რომ გურულებს ისე მალე არ დაეხვრიტათ, იმას რომ ეცოცხლა, გურიის საქმე გათათრებით გათავდებოდაო. იქმნება ეს ზოგიერთებმა დამტკიცებით მიიღონ, მე კი ვიტყვი, რომ ალი გურიელს წადილი ვერ შეუსრულდებოდა, 1800 წლის შემდეგ გურიის ხალხი არ გათათრდებოდა. ვერც ძალით გაათათრებდენ. ის რაც ქობულეთში 1780 წლებს მოხდა, ეს გურიაში შემდეგ არ მოხდებოდა, ამას თავის მიზეზები აქვნდა. ოსმალთ ეგონათ, რომ როგორც სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი შევისყიდეთ და გავათათრეთო, გურიასაც ასე უზამთო.

სწორედ ასევე სურდათ გურიის დამორჩილებაც, როგორც იქ შეისყიდეს ბექა ჯაყელი, შემდეგ გათათრების საფარ ფაშა, ჯერეთ ეს გაათათრეს, მერე მთელი სამცხე გააუქმეს, მაგრა დაიჭირეს და ქართველების ყოველივე მოსპეს და დაამხეს, სწორედ ასეთსავე გზას ადგნენ გურიის დამორჩილებაში, ამათ მოსპობაში და გურულების ავტონომიის

გაუქმებაში.

XVIII საუკუნეს ბოლოს, ოსმალთა მიაღწიეს თავიანთ საწადელს, გურულებში, გურულების ოჯახში სცხოვრებდა ერთი გურიელთაგანი გიორგი. გიორგის ვინაობა რაღაც სიბნელით არის მოცული. ეს გიორგი გურიელი სტამბოლში გაზრდილა, ოსმალური ენა და სხვა ენებიც სცოდნია კარგად. თავის დროის კვალად იგი შესამჩნევად ცნობილი პირი ყოფილა და მასთან მოხერხებულიც. დროს შესვლის, ანუ მოწიფულობის შემდეგ ოსმალეთიდგან საქართველოში დაბ-

რუნებულა. იგი სცხოვრებდა გურიაში, რასაკვირველია გურიელების ოჯახში. მას ყველა პატივის სცემდა, რადგანაც იცოდნენ კარგად რომ იგი სტამბოლს იყო გასდილი და ოსმალეთის მთავრობაც იცნობდა კარგად, პატივსაც სცემდენ მას.

გიორგი გურიელი კარგის პატივით და ნდობით სარგებლობდა გურულების წინაშე. დიდის პატივით აღმატებული ვეღარ მოთავსდა თავის ქერქში. გურულების ღალატი ჩაიდო გულში. გაიქცა სტამბოლს, სულთანს გამოეცხადა და უთხრა: დიდებულო მზე და მთვარევ, მე მზათა ვარ რომ ვიწამო ისლამი და მაჰმადი, მის მერმე ვეცადო რომ მთელი გურიაც დაგიმორჩილოთ და მის მერმე იგინი ისე გაგიერთეულოდ, როა ბოლოს თათრობაც მივაღებინო. ხოლო ამისთვის საჭიროა თქვენი გზეებრივი დახმარებაც.

– მერე რა გინდა, რა გსურს, რომ გეწყალობოს ჩვენგან? ჰკითხა სულთანმა.

– მე მსურს, რომ გურიის გურულობა მე მიბოძოთ, მე ვიყო იქ თავი პირი და თქვენი ერთგული.

სულთანი თანახმა გახდა. გიორგი გურული მალე გაათარეს და სახელად ალი უწოდეს. მის მერმე იგი იწოდებოდა ალი გურიელად. ვიდრე ალი გურული თავის განძრახვას შესრულებას დაიწყებდა, მანამ მას გურიაში ჩამოსვლა მოუხდა და სათადარიკო კაცებთან თათბირი და ცდა.

ალი გურიელის წადილი გურულებმა მალე შეიტყეს. ლაპარაკი გაუგეს. იგიც გამოტყდა, გაამჟღავნა თავის წადილი, ეგონა თანამგრძნობთ რიცხვს მალე იპოვნიდა. რამდენიმე იპოვნა, მაგრამ ესენიც წინაღმდეგნი გაუხდენ. მალე საქმე ისე მოეწყო რომ ალი გურიელმა გურულები ვერც სულთანის სახელით შეაშინა, ვერც ჯარით და ვერცარა სხვა მუქარებით. გურულებმა არამც თუ თანხმობა განუცხადეს, არამედ როგორც მოღალატე დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და დახვრიტეს. დახვრეტა მიტომ უფრო გადასწყვიტეს, რადგანაც

შეიძლება არ გავთათრდეთ, მაგრამ ალი გურიელი არ მოგვა-

სვენებს, გურიელებს გადაეკიდება, ამას ომი მოჰყვება და მერე უფრო ძვირად დაგვიჯდებაო. ეს ჭეშმარიტად ასეც იქმნებოდა. სწორედ ასე მოხდებოდა, სამწუხაროდ ამ ალი გურიელის შესახებ არავიცით რა. ვფიქრობთ, რომ ეს ალი გურიელი გურიის მთავართ გურიელების შთამომავალი კი არ უნდა იყოს, არამედ ვინმე გურულთაგანი, რისთვისაც იგი გურიელადაც იწოდებოდა. არ შეიძლება კი ამ პირის შესახებ გურულ მოხუცებულთ შორის ვინმე არ მოიძებნოს და მან ამაზედ არაფერი იცოდეს.

გარდა ამისი ისიც კარგად ვიცით, რომ გურიის გათათრების ნატვრა ოსმალთაგან გამოთქმული იქმნა 1680 წლიდამ, ესე იგი მას შემდეგიდამ, რაც ქობულეთში თავდგერიძეები გაათათრეს და მერე ქობულეთსაც დაუწყეს გათათრება. ქობულეთის პირველი გათათრება 1690 წლებს ეკუთვნის. გურულებს ათათრებდენ შესყიდვით, გაქცეულებს და ტყვეთ წაყვანილთაც.

აფხაზეთის გათათრება

აჭარის გათათრების შემდეგ, ოსმალთა სახელმწიფო და სასულიერო წოდების ძალა აფხაზეთზედ იქმნა მოპყრობილი.

ყველამ ვიცით, რომ აფხაზეთი ძველად, საქართველოში განთქმული კუთხე იყო. დავით აღმაშენემელმა, ბაგრატ მესამემ და ბაგრატ მეოთხემაც აფხაზეთში გაიმაგრეს ფეხი და მერე ნაკუწ-ნაკუწად ქცეული საქართველოც განაძლიერეს. საქართველოს სამ სამეფოდ და ხუდ სამთავროდ გაყოფვის შემდეგ – იმერეთის კათოლიკოზი, იმერ-აფხაზთ კათოლიკოზად ირიცხებოდა. დიდი ადგილი და მნიშვნელობა აქვს ამ კუთხეს საქართველოს ისტორიაში. იყვნენ კერძოთ აფხაზეთის კათოლოკოზებიც, ეპისკოპოზნი და მთავრებიც. ბაგრატ მეოთხე როცა ევროპიელთაგან კეისრათ იქმნა წოდებული, მაშინ იგი იწოდებოდა: კეისარი აფხაზთ ქართველთა. ასე უწოდებენ თვით ბიზანტიის ძველი მწერლებიც ბაგრატს – იმპერატორად.

აფხაზეთი ძველადგანვე შეიმოსა ქართველთ მეფეთა ძლიერებით და მათგან განაკეთის ნაშთებით. დღესაც ამ ნაშთების მნახველი განცვიფრებაში მოჰყავსთ აფხაზეთში დღემდე დაშთენილ დიდებულ ნაშთებს. ასეთ იყო ძველად აფხაზეთი, ასეთი იყვნენ აფხაზნი. ქართული ენის სწავლა მათში უმაღლესად იყო წინ წასული და აღორძინებული. შემდეგ დროს კი, ანუ ოსმალთა გაძლიერებიდამ, აფხაზეთსაც ეწვია უბედურება. როგორც ვსთქვით ზემოთაც, ოსმალთა ადრიდგანვე იწყეს ამ კუთხის დამორჩილება, მაგრამ დაჭერას კი ვერ ახერხებდნენ. ბევრის ხრიკების და შინაური ღალატის შემდეგ, ოსმალთა აფხაზეთი დაიკავეს XVIII საუკუნეს დამდეგს,

ხოლო მისი ავტონომია კი სამცხე-საათაბაგოს მსგავსად დასტოვეს და მთავრებად შარუაშიძეები. მთავარნი ქრისტიანობით განაგებდნენ და მართავდენ. მცირე ხნის შემდეგ, ანუ 1690 წლებიდამ აფხაზთა ავტონომიაც მოსპეს, მთავართა და დიდებულთ შორის გათათრება შეიტანეს. მოისპო კათოლიკოზის სახელ-წოდება. არღა იქმნა იმერ-აფხაზთ კათოლიკოზი. აჭარაში თათრობის დამყარების შემდეგ, აფხაზეთის ერის წინაშე დაიჩოქა გათათრების ბრძოლამ. აქაც მოირთო გლოვის ძაძით ქართველთ სახელოვნება.

აფხაზნი პირველად დიდის გმირობით ეწინაღმდეგებოდენ ისლამის მიღებას, აქაც წინააღმდეგი ბრძოლა ისე იყო დაწყობილი, როგორც აჭარს და სხვაგანაც, მაგრამ მაინც ოსმალთა მოახერხეს და მარტოდ ოდენ ობლად შთენილი ხალხი დაიმორჩილეს, დაამდაბლეს, შეაშინეს და იწყეს მით ისლამის ვრცელება მათში. აფხაზთა გათათრებას დიდი ისტორია აქვს, მეტად სამძიმო. აფხაზნი სჯულის გულისთვის ისე იხოცავდწენ თავებს რომ მასზედ უსასტიკესი აღარა შეიძლებოდა რა. მოგეხსენებათ, რომ თვით აფხაზნიც მეტად კოჩაღი, მხნე ხალხია, იგინი ერთ დროს საქართველოს ძლიერების სახელნი იყვნენ. მიტომაც იყო რომ, ეს კუთხე დიდათ უყვარდათ ქართველთ მეფეებს. ესენი აქ ხშირად ისადგურებდენ. აქ აგებდნენ ციხე-კოშკებს, შესანიშნავ დიდრონს ტაძრებს, სასწავლებლებს და ხელოვნურად ნაგებ მონასტრებს, რასაც ჩვენი ისტორიაც მოწმობს. იყო ისეთი დრო როცა საქართველო ოსმალთ და სხვათა ეკავათ და აფხაზეთი კი თავისუფლად იყო დაშთენილი და აქედამ ეფინებოდა დანარჩენ ქართველობას პოლიტიკურად უფლების სხივები. თვით ბაგრატოვანების დინასტიის განძლიერებაც აქედამ იწყება, რაც შემდეგ მკაცრად იქმნა ოსმალთაგან დაცემული.

აფხაზეთი ძველი კერა ქრისტეს სჯულისა, აკვანი მოციქულთა ანდრიასი და სიმონ ქანანელის. ბინათ სადგური ბაგრატ მესამის, ბაგრატ მეოთხის, დავით აღმაშენებლის და

თამარის, სავანე წარჩინებულ ბრძენ მწერალთ აფხაზთა შვილების, მწიგნობართა და მწერალთა, იგი ღირსი გახდა შესანიშნავის ტაძრების და სასწავლებლების. აფხაზეთში ბედიის ტაძარი, დრანდის, პიწუნდის და სხვანი იყვნენ სასწავლებელნიც ერისა. აფხაზთა შვილებს აქედამ ეფინებოდათ დიადი სწავლა და განვითარების სიყვარული. ბედიელნი მამანი სასაქართველოს ისტორიაში დიდის დიდებით და ბრწყინვით სჩანან. საქართველოს ისტორია ასეთ პირთა ამბების მოთხრობით მეტად მდიდარია. მის ისტორიას განცვიფრებაში და მგლოვიარებაში მოჰყავს ქართველი კაცი.

XVIII საუკუნის ნახევრიდამ კი ასეთ კუთხეს ბედი ეცვალა, დიდებულ ერის შთამომავალთ შვილებს ოსმალთა გათა-

თრება დაუწყეს. ოსმალთა მთავრობის ცდამ იქამდის მიაღწია, რომ 1775 წელს უკვე აფხაზეთი თათრის სჯულის მაღიარებლად იქმნა გამოცხადებული, ამიტომ მის საფუძვლით მათში მრავლად იწყეს თათრის სჯულის თავი კაცების გზავნა, ნასწავლი მოლების, ხოჯების, ხაფიზების და სუნეთების. ოსმალთა მთავრობა ხალხს სასტიკად, მაგრა, ოსტატურა უშლიდა ქრისტიანობის შენახვას. ამ დაშლაში მათი სასულიერო წოდება არ ერეოდა ისე, ეს როგორც აჭარაში იყო. მთავრობა ამ სჯულის შენახვას სპობდა, სასტიკად ჰკრძალავდა, ყველგან ასე აცხადებდა: „ვინც მთავრობის ბრძანებას არ შეასრულებს, ის მთავრობის წინაღმდეგათ ჩაითვლება და ბოლოს სიკვდილათაც დაისჯებაო". ესენივე სდევნიდენ აფხაზთა სასულიერო წოდებას და სასტიკად უკრძალავდენ აფხაზეთში დარჩენას, მღვდელ მოქმედების აღსრულებას. ყოველივე დევნას მიეცა და 1760 წლიდამ ოსმალეთის მთავრობის წყალობით დაკეტილ იქმნენ მონასტერ-უდაბნო სასწავლებელნი, აფხაზთა შვილების სასწავლებლის ყოველივე ფერფლად იქმნა ქცეული და დაქცეული. ამ დღიდამ იწყება აფხაზთა შვილების სწავლა განათლების დაცემის დასაწყისი.

ოსმალთა აფხაზებს მარტო ეს არ ა კმარეს. მათ დაიწყეს

აფხაზთა შვილებზედ მძლავრად ნავარდობა. შვილების ტაცვა, ოსმალში წაყვანა, იქ დასყიდვა. მაჰმადის სჯულის მიღებამდის, ყოველი ოჯახის შვილებს, ანუ ქრისტიანებს, ოსმალთაგან შვილების მოტაცვა და დასყიდვა მოელოდა. მათს ამ გვარს უბედურების ასაცდენათ მხოლოდ ღა გათათრება იყო დაშთენილი. აფხაზთა სიმაგრის ასალაგმავათ და დასამორჩილებელ იარაღად ოსმალთა გამოაცხადეს ასეთი წესები, რაც მოეფინა და მოედო მთელს აფხაზეთს.

აფხაზეთში თუ დაშთება ვინმე ქრისტიან მღვდელთაგანი და წინაღმდეგ იმოქმედებს მაჰმადის სჯულის, იმას თუ შეუტყეთ ეს ამბავი, იცოდეს რომ სიკვდილის შემდეგ მის სხეულს მიწაში არ დავამარხვინებთ. იგი ღირსი არ იქმნება ჩვენგან პატივისცემის.

ესეთი წესები ოსმალთ ერთ დროს სამცხეშიც აქვნდათ წესათ მიღებული. მე მაქვს ერთი ძველი ოსმალური ქაღალდი რაც ამას მოწმობს. ერთ მღვდელს თურმე შეუტყეს ქრისტიანობის მფარველობა, ეს მღვდელი ამისთვის უნდა დაესაჯათ, მაგრამ იგი ავად გახდა და მალეც მოკვდა. დამარხვა არ უნდოდათ, მაგრამ სხვებმა იპატიეს მით, რომ გამოძიებას ვერ დაესწროვო. იქმნება ჭოროები მოუგონესო. ამიტომ ნება მისცეს ამ ღვდლის დამარხვის, მხოლოდ ისიც ისე რომ სამარე უნდა გაითხაროს ძალიან ღრმათაო, რომ იქიდამ მისი ცოდვილი ლეში უკან ამოსროლა მიწამ ვერ შესძლოსო, რადგანც თათრის სჯულის წინაღმდეგი მღვდელი ცოდვილი არისო, მტერი მაჰმადისა და ამას კიდევ მიწა არ მიიღებსო. ასეთის ოსტატობით ოსმალთა ძრიელ შეაშინეს ქარ-

თველთ ჩუმი მქადაგებელთ ქრისტიან მღვდელნი და მცირე ხნის განმავლობაში აფხაზეთი დაცალეს ასეთის პირებით. მაგარ ქრისტიანთა დასამორჩილებლად დააწესეს ასეთი ხრიკები: ეს ხრიკები მათგან იხმარებოდა 1705 წლიდან. ასე, რომ 1710 წელს საკათოლოკოზო მოქვიის ტაძარიც გაუქმდა. მასთან სხვებიც გაუქმდენ, თითქმის სრულიად.

აფხაზის ოჯახს თუ სურს ქრისტიანათ დაშთეს, მაშინ მან უნდა იცოდეს რომ თათრებზედ დაბლა იდგება, ყოველივე ხარჯი მეტი გადახდება. წინაღმდეგს ვერ იქმს. ეს წესები ადრიდგანვე იქმნა შესული, ამიტომ 1720 წლიდამ გათათრებისთვის ძალას არავის ატანდნენ. თათრობა თავის ნებით მიდიოდა წინ.

ოთხი შვილი თუ ჰყავს, მაშინ ორი მთავრობას უნდა მისცეს ხარკათ და ორი შვილი შეუძლიან თვით იყოლიოს ქრისტიანის სჯულზედ. ქრისტიანობაც აღარ იყო ადრიდგანვე, მოძღვარნი აღარ ჰყვანდათ 1700 წლებიდამ თითქმის.

იყვნენ ისეთი ოჯახები რომელნიც ამ გარემოებას არ ემორჩილებოდენ, იყვნენ ისეთნიც რომელნიც ემორჩილებოდნენ. ყოველ შემთხვევაში ასე თუ ისე, აფხაზთა ოჯახებს დიდი რიცხვი აკლდებოდა თვისი შვილების და მით მათი რიცხვიც მცირდებოდა.

ქრისტიან აფხაზთ ნება აქვნდათ, რომ მათ მოეტაცნათ საიდუმლო შთენილ ქრისტიან აფხაზთა შვილები და იგინი შორს სადმე გადაერეკათ და მხოლოდ პატრონის გაუგებრად ოსმალებზედ კარგ ფასად დაეყიდნათ. ასეთივე ნება აქვნდათ იმ აფხაზებს ვინც მაჰმადის სჯულს აღიარებდა. ამ გარემოებით აფხაზეთის ჩუმ თუ ცხად ქრისტიანთა შვილებს მრავალი მტერნი გაუჩნდენ და მათ შვილებს მრავლად უწყეს ტაცვა, ოსმალეთში გემებით გადაყვანა და დასყიდვა. ამ გარემოებამ მძლავრად და ძირიან ფესვიანად შეარყია ქრისტიანობის მაღიარებელთ რიცხვი აფხაზთ შორის და მთელი აფხაზეთი XIX საუკუნის დამდეგამდის თითქმის მტერფანატკი მაჰმადიანებათ იქმნენ გამოცხადებულნი.

ასეთმავე გარემოებამ შეამცირა მთლათ აფხაზთა რიცხვი. 1650 წ. აფხაზთა რიცხვი იყო ნახევარ მილიონზედ მეტი. თითქმის 600 ათასი. XVIII საუკუნის ნახევარს, ანუ 1770 წლებში იკლო დეა 400 ასზედ ავიდა. მერე კი მათი შვილების ტაცვამ, გათათრებამ და მუდმივ ომებმა იქამდის დააუ-

ძლურა და მოსპო რომ XIX საუკუნის დამდეგს 200 ათასი ძლივსღა იყო. შემდეგ ესეც მოისპო და დღეს რაც არის აფხაზთ რიცხვი ის ყველამ ვიცით. ასე დაემხო იუსტინე კეისართაგან დიდებულად ხმობილი ძველი საქართველოს ნაწილი – აფხაზეთი.

რადგანაც აფხაზთა შვილები ცქვიტი, მალხაზი და ლამაზი ხალხია, ამიტომ ძრიელ მრავლად გაჰყვანდათ ამათი შვილები სტამბოლს გარეშე სხვა ადგილებშიაც და ჰყიდნენ კაი ფასად. ამ დაყიდვას ცხადათ ასაბუთებს აფხაზეთის მალაქია კათოლიკოზისაგან დატოვებული ქადაგებანი, რაც უკვე ვახსენეთ, ამასვე ამტკიცებენ ევროპის მოგზაურნი და ნამეტურ კათოლიკეთ-ძმობის სხვა და სხვა ძმობის მამანი.

სტამბოლსა და სხვა ასეთ დიდს ქალაქებში, თითქმის ყველა ოსმალოს ოჯახში ნახავდით აფხაზთა ლამაზ ქალ-ვაჟებს. ზოგ ქალებს ცოლებათ ირთავდნენ, ზოგს ვაჟებს ისიძავებდენ სილამაზის გულისთვის და ამით ამშვენებდენ თვის ტომს. ბევრი და ბევრის ბევრიც ოჯახებში მონებად ჰყვანდათ. რაც ქრისტიანობის გულისთვის აფხაზეთს ვაება დაადგა და მათ ეს ვაებაც აიტანეს, ასეთი საქართველოს სხვა კუთხის ქართველთ არა უნახავთ რა. მიზეზი ამათის დიდის უბედურების ის იყო რომ აფხაზეთი საქართველოდამ, ანუ თვის მოსამზღვრე ქართველთ კუთხეებიდამ შორს, მიუვალ და მიყრუებულად სძევს, მეზობლობა მას არ აქვნდა დანარჩენ ქართველებთან გაბმული და ამიტომ უფრო იდევნებოდენ ოსმალთაგან და იტანჯებოდენ. მათ ზღვა-მეზობლობდა და ამიტომაც იგინი იყვნენ კარგი მეზღვაურნი, მენავენი და კარგი მობანავენი, თითქმის ზღვის შვილებად იწოდებოდენ ძველად.

დიახ ბატონო, აფხაზთა გათათრების საქმეს დიდი ისტორია აქვს. აფხაზთა გათათრება გახდა იარაღად თვით ამ ხალხის შემცირების და მოსპობის. ამ გარემოებას აწინდელ აფხაზთა'შვილებიც გულ-ცეცხლით სავსე უნდა უმზერდენ. ოსმალეთში აფხაზთა დაკარგეს ყოველივე გვაროვნული თვით ცნება.

სამცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავარნი
და მათი ეპარქიები:

1. მაწყვერელი – გვირგვინ ბისონიანი მღვდელ მთავარი ე. ი. მიტროპოლიტი.
2. კუმურდოელი მღვდელმთავარი და მისი სამწყსო.
3. იშხნელნი, მღვდელმთავარნი და იშხნის სამწყსო.
4. ანჩელის სამწყსო. მღვდელმთავარნი. აქედამ არს თფილისის ანჩისხატი, დღეს ანჩაში აღარაფერია დაშთენილი.
5. მტბევარის სამწყსო. ტბეთი შავშეთში არის დღემდე დაშთენილი მთლად.
6. წურწყალის სამწყსო და მღვდელმთავარნი.
7. წყაროსთაველის სამწყსო და მღვდელმთავარნი.
8. ერუშნელის სამწყსო და მის მღვდელმთავარნი"
9. ვალაშკერტელის სამწყსო და მის მღვდელმთავარნი.
10. ანელის სამწყსო და მის მღვდელმთავარნი.
11. კარელის სამწყსო და მის მღვდელმთავარნი.
12. ბანელის სამწყსო და მის მღვდელმთავარნი.

13. დადაშნელის სამწყსო და მის მღვდელმთავარნი.

—

დღეს, ამ ცამეტ საეპისკოპოსოს ქართველნი მთლად გათათრებულნი არიან, აქ, ამათში ქართველობის ყოველივე მოსპობილია და დამხობილი, ქართველობის ფესვიც აღარ არის დაშთენილი თვითურ ენის, ესეც ზოგი ერთ ალაგს, უმეტეს ნაწილს. ქართველთა დაკარგეს ქართული ენა და დღეს ოსმალურად ლაპარაკობენ. ამ ვრცელი კუთხის შესახებ ჩვენ არა გვაქვს ბევრი რამ ცნობები შეკრებილი, რაცკი ვახუშტის აქვს ანუხსული ის სულ ძველს ხანას შეეხება. ოსმალთგან ამ კუთხის დაჭერის და გათათრების დროიდგან კი ჩვენ ბევრი არაფერი მასალები გვაქვს ანუსხული. საჭირო კია რომ ამ კუთხის ადგილებს, ხალხს, სოფლებს და ბევრსაც კიდევ სხვა რამ ნაშთებს ქართველთაგან ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

———————

კარგა ხანია მას შემდეგ გასული, რაც სამცხე-საათაბაგო ში მცხოვრებ ქართველ ქრისტიანებთა ცნობებს ვაგროვებ, არა მცირედი მასალები შევკრიბე მათზედ და უეჭველია კიდევაც შეიკრიბება, თუკი ეს ვინმემ მოინდომა და ხელი მოჰკიდა. ამის შესრულება და გაცნობა კი ჩვენთვის აუცილებელი საჭიროებაა, რადგანაც სამცხე-საათაბაგოს შესახებ ჩვენ ერთობ მცირე ცნობები გვაქვს, აქვთ ისეთი კუთხეები და ხალხი, რომელნიც ქართულს ძველ აქოდა ახალს წიგნებში სახსენებლათაც არ მოიპოვება. თვით ვახუშტისაც კი ერთობ მცირე ცნობები აქვს ამ კუთხეზედ და ხალხზედ. არის ისეთი ვრცელი კუთხეები, რომელნიც ძველს რუკაზედ სახსენებლათაც არ არის, ასეთია ვრცელი არჯევანიძიანთ ხეობა, მირატის კუთხე, შატბერდი და ვინ იცის რამდენი კიდევ ენით დაუთვლელი, აქ ჩვენ ყველას ვერ მოვსთვლით, დავასახელებთ მხოლოდ შემდეგს:

ბევრჯერ ვიმგზავრე ჭანეთს (ლაზისტანს), მესხეთს, კლარჯეთს, მაგრამ ცნობების შეკრებაკი ძრიელ გამიძნელდა. აქეთ არის ისეთი მიუვალი, ბნელი ქაჯეთის კუთხეები, სადაც ქართველ მაჰმადიანებს ქრისტიანეთ სახე 1630 წლის შემდეგიდამ აღარ უნახავსთ, ასეთი კუთხეების ნახვა ქართველს განაცვიფრებს, მას თვალთ წინ წარმოუდგება ერთი დიდი ვრცელი კუთხე საქართველოსი, ხოლო აფრიკის მსგავსად უცხო, უცნობი და მეტად მიუვალი, მიუხვედრი, ოსმალეთის წყალობით თითქმის ვერანად ქცეული, გაველურებული. ასეთს დიდს კუთხეში, სადაც ოდესმე ქართველთ რიცხვი მილიონობით შესდგებოდა, სადაც ხმა კაცისა ძლიერის სამეურნეო მუშაკობით განისმოდა, იქ დღეს მხოლოდ გაველურება მყუდროებს, ყოველივეს სახე წაშლია, ყოველივე მოსპობილა ქართულ სახელ-

წოდებით, ყოველივე დაკარგულა ჩვენთვის, აღგვილა დედა-მიწის პირიდამ შეუმცნევლად. მნახველი ამ გვარის სურათე-ბისა ცხადათ დარწმუნდება მასზედ, თუ ხშირად ერთი ტომი როგორ აქრობს და არბევს მეორეს, მაგრამ თავისზედ ცოტა პატარა ერს, როგორ მუსრავს მის ყოველ ავკარგიანობას. ამის მოწამეა და ჩვენი ნიშან წყალი ოსმალეთის მახვილი და დასა-ვლეთ საქართველოს ქართველთაგან დაკარგვა, თვით ქართვე-ლობის გადაგვარება. დღეს, ჩვენთვის ოსმალეთის საქართვე-ლოს უმეტეს ადგილებთა არსებობა დაკარგულ რუკას წარ-მოადგენს.

ვიარეთ ჩვენის ფეხით, აქა იქ ვნახეთ ჩვენგან დაკარგული საქართველოს კუთხეები, გავიცანით გათათრებულ და გადა-გვარებულ ქართველთ ვითარება, ვნახეთ მათში ბევრი სულის შემხუთავა მხარეები და მასთანვე, მუსულმან ქართველთ გვე-რდით აქა იქ ვპოვეთ თითო ოროლა ისეთი სოფლებიც, სა-დაც მის მცხოვრებ ქართველთ შორის თითო ოროლას ქრი-სტიანობაც შეუნახავსთ. მათ დიდის ტანჯვით და სისხლის ღვრით მოუღწევიათ ჩვენ დრომდის და ქრისტიანობასთან და-კავშირებულთ არას დროსაც არ უღალატნიათ თავიანთის ტო-მის და თანმემამულეთა პატივისცემისთვის, ესენი ყოველთვის ფარი და ხმალნი ყოფილან თავიანთის სულის ძლიერების და არსად და არასდროს, მათ ოსმალთა წინაშე წარბიც არ შეუ-ხრიათ, ქედი არ მოუდრეკიათ დანარჩენ ქართველგბივით. ამი-ტომ ვალად ვსთვლით, რომ ასეთ ქართველთ შემოკლებული აღწერა ჩვენს ქართველობასაც გარდავსცეთ. გარდავსცეთ მით უფრო, რადგანაც აქეთ ყოველივე ქართველობის წაშლას ეძ-ლევა და მოსპობას.

ქართველი კათოლიკენი მესხეთსა და ჯავახეთში*).

ჯავახეთში ქართველთ გვარის კათოლიკენი შემდეგ სოფ-ლებში სცხოვრობენ:

*) 1901 წ. „ცნობის ფურცელი“ № 1495.

ხიზაბავრს – 180 კომლი, ორივე სქესის 1800 სული, სულ ქართულად მოლაპარაკენი.

სოფ. ხიზაბავრას (ახალქალაქის მაზრა), მამა მიხეილ ვარ-ძელაშვილის თაოსნობით, აშენდა ქართველთ კათოლიკეთა-თვის მშვენიერი თლილი ქვის ტაძარი. იგი შემკობილია ქარ-თულის წარწერებით და მას ნამდვილი საგვარტომო სული ჰმოსია გარს; ასეთი ტაძრის აგება ამისთანა მიყრუებულს კუ-თხეში დიდ შრომას და ღვაწლს მოითხოვს ადამიანისაგან.

ვარგავს – 23 კომლი, სულ 200 სული, ქართულად ლა-პარაკობენ. აქ მცირედ ქართველ მართლმადიდებელნიც ცხო-ვრობენ. აქაური იყო „მტარვალის" დამწერი იაკობ ლაზარე-

შვილი.

ბნელა – 5 კომლი, 40 სული. ქართულად ლაპარაკობენ.

ტურცხა – სულ 600 კომლია. ქართული ენა დაკარგეს. სომხურსა და თათრულს ლაპარაკობენ, ეკკლესიაში წირვა-ლოცვა სომხურად აქვთ.

კარტიკამი – 1200 სული, ქართული ენა დაკარგეს, მთლად. სომხურ-თათრულად ლაპარაკობენ, ეკკლესიაში სომხურად სწარმოებს წირვა-ლოცვა, აქვთ სამინისტრო სკოლა და იქაც რუსულ და სომხურ ენაზე სწარმოებს პატარა ქართველთ მეხსიების და ჯავახების სწავლა.

ხულგემო – 500 სული, ქართული ენა დაკარგეს, სომხურსა და თათრულს ენაზე საუბრობენ, წირვა-ლოცვაც ამ ენაზე სწარმოებს. ქადაგებას ხან თათრულადაც წარმოსთქვამენ, რადგანაც მრევლს თათრულიც ემარჯვება.

ბავრა – 400 სული. ქართული ენა დაკარგეს, სომხურსა და თათრულს ლაპარაკობენ. ორი სოფელი ძევს არტაანის ხეობისაკენ, სახელდობრ ჰური, სადაც ქართველთ ტომის ძენი სცხოვრობენ, ხოლო თათრულ-სომხურად საუბრობენ. მეორე სოფელი ალექსანდრეპოლის მაზრაში ძევს, ტიტოხარეზა, სადაც სულ ქართველ ტომის კათოლიკენი სცხოვრობენ, მაგრამ ქართული ენა დაკარგული აქვთ, სომხურ-თათრულ ენებზე ლაპარაკობენ.

ამ სოფლებს გარდა სხვა სოფლებიც არის, სადაც სომეხთა გვარის კათოლიკეებთან ქართველ გვარის კათოლიკენიც სცხოვრობენ, მაგრამ მათ ჩვენ აქ არ ავნუსხავთ. მათაც დაკარგეს ქართული ენა, ასეთია ეს სოფლები: ვარევანი, ეშტია, უჯმანა, ალასტანი, ტორია და სხვ.

ახალციხის მაზრაში სცხოვრობენ შემდეგ ადგილებში ქართველთა გვარის კათოლიკენი:

უდე – 1600 სული ქართულად მოლაპარაკენი. აქ არსებობს სამინისტრო სკოლა და „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სახალხო სამკითხველო. სამკითხველო ვნახე და მის სარგებლობის ნიშან-წყალს ცხადლივ შევატყე. მესხები მშვენივრად შესჩვევიან ქართულ გაზეთების კითხვას, სანატრელია ასეთ მხარეში ამისთანა საქმე.

არალი – 700 სული, სულ ქართულად ლაპარაკობენ.

ვალე – 800 სული, ქართულად ლაპარაკობენ.

ბალაჯირი – 40 სული, მთლად ქართულად ლაპარაკობენ.

ივლიტას – 5 კომლი, ქართულად მოლაპარაკენი.

ზოგნიც სცხოვრობენ სომხის გვარის კათოლიკეებთან ერთად, მაგალითად, სოფლებს ჯულგას, კულალის, წინაუბანს, სუფლისს, აბდახევს, წყალთფილას, მუსხს და სხ. მაგრამ ამათ ჩვენ სიმცირის გამო არ მოვიხსენებთ. ახალციხის სამი ეკკლესიის მრევლი ლაპარაკობს ქართულ ენაზე და ს. ივლიტას, ახალციხის გვერდით.

ზოგს ეკკლესიებში ქადაგება და ლოცვები ქართულად

სწარმოებს.

ერი შეწუხებულია იმაზე, რომ მათ ქართულს ენაზე წირვა-ლოცვა მოშლილი აქვთ, ამიტომ განიზრახეს მათ, რომ უმაღლეს მთავრობას კვალად მიმართონ თხოვნით, რათა მათ მიეცეს ნება ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულებისა. ვნახოთ!

– 7 –

ქვაბლიანის კათოლაკენი *) .

ს. უდე სძევს ახალციხის მაზრაში, ანუ ქვაბლიანში. ქვაბლიანიდგან ერთი გზა ფოცხოვით არტაანს გადადის, მეორე აჭარას, მესამე ადუგინის მხრით იმერეთს და მეოთხე ბორჯომისკენ მოდის. ძველად ეს მხარე მთლად დასახლებული იყო ქართველის ტომით. აქ ქართველთ შორის ქართული ენაც ისრევე მეფობდა, როგორც დღეს ეს ქართლსა, კახეთსა და იმერეთშია.

ჩვენდა საუბედუროდ, 1627 წ. მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დაუკავშირდა, მინამდის-კი მხოლოდ ხარჯს უხდიდა. აქაური წეს-წყობილება, გამგეობა, სამხედრო და სამოქალაქო უფლება ათაბეგებს ეკავათ და სამღვდელოებასაც თავისი საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდა, კუმურდოელი. სამხედრო და საერო კანონმდებლობას თავ-თავისი საკუთარი ადგილობრივი ბეჭედი ესვა. ბექამ და აღბუღმა მესხთათვის სამართლის წიგნიც შეადგინეს, (იხ. ნ. ხიზანაშვილის გამოკვლევა „ბექა და აღბუღა ათაბაგნი). მესხთა საქმენი ამათის წიგნებით განიჭობოდნენ, ასრევე სასულიერო წოდებას აქვნდა თავის სასულიერო კანონთა კრება, რომლის ძალითაც არჩევდნენ სასულიერო საქმეებს, ახალციხეში მათი კონსისტორიაც არსებობდა და სხ.

1625 წ. ბექა-ათაბაგი გათათრდა, ოსმალთა სამცხეში ათაბაგობა მოშალეს და ფაშობა განაწესეს; პირველ ფაშათ ეს ბექა დანიშნეს და სახელად საფარ ფაშა უწოდეს. ამათ გვარისა, ანუ ჯაყელების შთამომავალი ფაშები 1625 წ. 1740 წ. განაგებდნენ; ამათის გვარის დაუძლურების შემდეგ, სამცხის ფაშათ მცირე ხანს გათათრებული ფაშა, ნიბაძე განაგებდა, რომელსაც თავი მოსჭრეს 1770 წ. ამათ შემდეგ სამცხეში ხიმშიაშვილები გაბატონდნენ. 1829 წ. ვიდრე რუსები ახალციხეს დაიმორჩილებდნენ, მინამდის აქ ხიმშიაშვილის გვარის ფაშები ისხდნენ: აბდული, სელიმი, ახმედ ფაშა და სხვანი.

---

*) 1901 „ივერია“ № 125.

– 8 –

დასავლეთ საქართველოში, ოსმალთ ყველაზე ადრე ქვა-

ბლიანს, ოცხეს, ოძრხეს და ჯავახეთის ქართველთ დაუწყეს გათათრება. XVII საუკუნის გასვლამდე აქაურს ქართველებში მუსულმანობა ისე წავიდა წინ, რომ მის მეოხებით 1700 წლებში მოიშალა ვარძია, საფარა, ზარზმა, ჭულების ტაძარი და სხვანი. რადგანაც ოსმალის ფაშების შუაგულ ცენტრათ ახალციხე ითვლებოდა, ამიტომ ოსმალეთის სასულიერო წოდებამ ძველადვე იმეცადინა და ამ კუთხის ქართველს მუსულმანებში სრული ფანატიზმი დაქართველთა სიძულვილი დაამკვიდრა, ქართული ენა დაავიწყა. უკანასკნელად მათ მიაღწიეს თავიანთს საწადელსა და XIX საუკუნის ნახევრამდე ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა ძირეულად შეარყიეს, მოსპეს. დღეს ამ კუთხის მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართულის ენის ხმა აღარ გაისმის; თუ სადმე მცირედღა შენახულა, იქაც დავიწყებას ეძლევა, რადგანაც ოსმალეთის სასულიერო წოდება აქ სოხტებსა ჰნიშნავს; სოხტები მოდიან აქ და ქართულის ენის დავიწყებასა ჰქადაგებენ. ამათის მეოხებითვე ამოვარდა ქართული ენა შავშეთსა, არტაანსა, ჭანეთსა, კოლასა, ერუშეთსა, თორთომსა, ოლთისსა, ყარსში და სხვ. ესევე უბედურება აჭარასა და სხვა ადგილებსაც ეწვეოდა, რომ ეს ადგილები 1878 წ. რუსეთის საქართველოს არ დაკავშირებოდა. თვით აჭარის ქართველთ მაჰმადიანთ ბეგებიცკი ასე ამბობდნენ, რომ უკანასკნელ ეს დაკავშირება არ ყოფილიყოს, უამისოდ 30 წლის განმავლობაში აჭარას, ლივანას, მურღულს და ყველა იმ ადგილებში, სადაცკი ქართული ენა არსებობს, სადღეისოდ აღარა დარჩებოდარა, ქართული ენა მოისპობოდაო. მოისპობოდა მით უფრო რადგანაც ოსმალეთმა კარგად იცოდა ქართული ენის მოსპობის ოსტატობაო. მათ ქართული ენა ამოაგდეს საქართველოს დიდს ნაწილში და მაშასადამე აქაც აღარ გაუჭირდებოდათო. ამ ოსტატობით ქართული ენის მოსპობის საქმეს ხსენებულს ადგილებში ოსმალეთის იმპერია 1851 წ. დაადგა და მან რამდენიმე ალაგას ეს შეარყია კიდეც.

ქვაბლიანში სძევს შემდეგი სოფლები: ზაზალო, წყინსი, მარელი, ხონა, წარბასტუმანი, ორჯიშინა, ხურო, ღორძე, სამურე, კასარეთი, ავხერი, ლელოვანი, ყარათუბანი, გორგული, არალი, ჩორჩანი, სამოდა, წირვა, ოსიეთი, ნაქურდოვანი, მამიაური, გუგუნაური, ღორთუბანი, ციხის უბანი, ჭკლა, ჭეჭელა, უტყის უბანი, ზარზმა, მლაშე, მოსე, საირმია, შოყო, დესესელი, ფლატე, კიკიბო, კეხოვანი, გოდერძი, აფიეთი, ზანავი, ქაცარაული, გომარო, ღაღვი, არძნე, ვახნისი, ბოლაცური, ბენარი, ხევაშენი, წირე, წახანა, აბასთუმანი, ხარჯამი, წახნისი, წარო, უნწო, ფარეხა, ნაქურდევი (2), საღრიძე, ქიქინეთი, ჩუჩუტო, ჭაიხელი, წყალთბილა, უღელა, აბატ-ხევი, წინაუბანი, ნიოხსები, არალი, უდე, სხვილისი, პამაჯი, მეორე პამაჯი, ჯვარსის ციხე, არალი, საძელი, თხაკი, ობი, ბენარა, ფერეხა, უნცა, ვარსანა, უნცა, ხევაშენი, წყურთა, მიქელ

წმინდა, ფხერო, ენთელი, შოყა, სარჯანი, წახნისი, წყარო, ჭიხელი და სხვანი.

დღეს ყველა ამ სოფლებში ქართული ენა ძირეულად არის ამოვარდნილი, ქართველთ მარტო გვარები შერჩენიათ ქართულისა, ბევრს ესეც აღარ აქვთ; ქართული გვარები თათრულზედ შეუცვლიათ; ყველა გვარი ოღლით თავდება. ქართული სახელები მხოლოდ სოფლებს შერჩენიათ, მთებს, ხევებსა და ტყეებს. გარდა ამისა, თქვენ აქ ქართველთ შორის ისე ქართველს ვეღარა ნახავთ, რომ ყველა თათრულს ენაზედ არა ლაპარაკობდეს. ამ 40 წლის წინედ აქეთ იცოდნენ ქართული, დღეს-კი მათში ეს აღარ არის და ვინც იცის რამ, იმასაც სოხტები ნებას არ აძლევენ ქართულს ენაზედ ლაპარაკისას; ასე რომ ქართველმა თუ ძირეულს საქართველოს კუთხე ქვაბლიანში თუ თათრული არ იცის, უიმისოდ თავისს თანამემამულე გამაჰმადიანებულ ქართველთა წინაშე თარჯიმანი დასჭირდება.

ასე დაიკარგა, ასე ამოვარდა ქვაბლიანის ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა. დიდად სანატრელია, ამ კითხვებს ქართველი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდეს, თორემ თუ დღეს ამ მშვიდობიან დროს, ქართველთა შორის ქართული ენა ისპობა, მალე მოიძულებენ მასთან ერთად მთელს ხალხოსნობას და მის ხსოვნასაც.

– 10 –

დღეს, მთელს ქვაბლიანში, მხოლოდ ოთხს სოფელში ლაპარაკობენ ქართულს: უდეში, სადაც 200 კომლი ქართველთა გვარის კათოლიკენი სცხოვრობენ, მთლად ქართულად მოსაუბრენი; აქვთ ძველი ეკკლესია, მაგრამ დიდად შერყეული და საშიშს მდგომარეობაში მოსული. მღვდლად ჰყავთ სომეხთა კათოლიკეთ ტიბიკონზედ მდგომი მღვდელი სიმონ ჭილაშვილი, ქართულის ენის მოტრფიალე და დიდი პატივის მცემელი დედა ენისა. ამავე სოფელში არსებობს წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველოს მიერ გახსნილი საერო სამკითხველო, რომლის ნაყოფიც მე ჩემის თვალით ვნახე აქაურს ხალხში: მდაბიო ხალხი ქართულ წერა-კითხვას კარგად შესჩვევია, ქართულს გაზეთებსა და ჟურნალებს სიამოვნებით კითხულობს. ამ სოფელში მთლად ორივე სქესისა 1600 სული ირიცხება. ხალხი მეტად ღარიბია, კაცთა სამოსი მესხურია, ქალთა-კი ოსმალური. ამ სოფელში 40 კომლი ქართველ მაჰმადიანი სცხოვრობს; მართალია, ესენი ქართულს ენაზედ მოსაუბრე კათოლიკეთა გვერდით სცხოვრობენ და მოლაც ქართველი გვარისა ჰყავთ, მაგრამ ქართულს ენაზედ მაინც ხმას არ იღებენ და ყმაწვილებსაც თათრულად აჩვევენ ლაპარაკს, ქართული არავინ იცის. ამავე სოფელში არსებობს სამინისტრო სკოლა, რომელშიაც 80 მოწაფე სწავლობს. ამათში მხოლოდ ერთი ყმაწვილი დადის მაჰმადიანისა – გვარად ბარათაშვილი.

მეორე სოფ. ვალე, რომელშიაც 200 კ. სცხოვრობს; ამათგან 40 კომლი ქართველი მართლმადიდებელნი არიან, 100 კომლი ქართველი კათოლიკენი და 50 კ. ქართველი

მაჰმადიანები. ქარველ მაჰმადიანებს გარდა, კათოლიკენი და ქართველნი თავიანთს სამშობლო ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ; ქართველი მაჰმადიანები-კი მათთან საუბარში ქართულს ენაზედ ხმასაც არ იღებენ. მთელს სოფელში 1700 სულზედ მეტია ორივე სქესისა. სოფელს აქვს მართლმადიდებელთა ეკკლესია. კათოლიკეთა ეკკლესიაში მღვდლად იმყოფება მოხუცი მღვდელი სტეფანე ზაქრიანი, რომელიც უმეტეს ნაწილს საღმრთო მსახურებისას ქართულად ასრულებს. სოფელში არსე-

ბობს სამინისტროს სკოლა, რომელსაც მოსწავლენი ბლომათა ჰყავს და კარგადაც სწავლობენ პატარა მესხები.

მესამე სოფელია არალი, რომელშიაც ნ60 კომლი კათოლიკე (700 სულია ორივე სქესისა) სცხოვრობს, ყველა ქართულს ენაზედ მოსაუბრენ. ამათ აქვთ ეკკლესია და მღვდლათ ჰყავთ სომხის შთამომავალი მღვდელი, სომეხს კათოლიკეთა ტიბიკონზედ მდგომი. ეკკლესიაში მღვდლის-მსახურება სომხურად სრულდება. სოფლის გლეხნი დიდს სიღატაკეში არიან, რადგანაც სოფლის მამულები ფეზულა ბეგ ათაბეგოვმა წაართვა და აგერ ეს 15 წელიწადია დავა აქვთ, მაგრამ ამ საწყლებმა არ იციან რა ჰქმნან და თავი როგორ გაიტანონ.

მეოთხე სოფ. ბალაჯორი; აქ სახლობს 6 კომლი ქართველი გვარის კათოლიკე, მთლად ქართულად მოსაუბრენი. ამათ თავიანთი არც მღვდელი ჰყავთ და არც ეკკლესია, თუმცა სოფელში ორი ძველი დაქცეული ეკკლესიაა დღემდე დარჩენილი. ადრე ამ სოფლის ქართველთ კათოლიკეთაგან ოსმალებს 10 კომლი ქართველ კათოლიკებისა ძალით გაუთათრებიათ, დღეს ეს გათათრებული ქართველნიც ამ სოფელში სცხოვრობენ.

აი, სულ ეს სოფლებია, სადაც მცხოვრებნი ქართულს ენაზედ საუბრობენ. სხვა სოფლებში, რომლებიც-კი ზემოდ ჩამოვთვალეთ, ყველგან ქართული ენა დავიწყებულია და ამოვარდნილი. ზემოდ ჩამოთვლილს სოფლებს შორის რამდენსამე სოფელში სცხოვრობენ სხვა გვარის კათოლიკეთ შორის სომეხი კათოლიკენიც, სომხურ ენაზედ მოსაუბრენი, ესენი, აქ 1830 წ. გადმოსახლებულან არზრუმიდგან.

ადუგენის ხეობაში ორ-სამს სოფელში-ღა ლაპარაკობენ ქართულს, მაგრამ ისიც ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით. რაც უნდა გაუჭირდეს ქართველ მაჰმადიანს, იგი 100 სიტყვაზედ მეტს ქართულს ენაზედ არ დახარჯავს, რადგანაც სოხტების წინაშე ფიცი აქვთ მიცემული, რომ თუ არ გაჭირვებით, ქართულს ენაზედ ხმას არ ამოიღებენ და თუნდაც ამოიღონ 100 სიტყვაზედ მეტს არას იტყვიან, არ ილაპარაკებენ.

31 მაისს არტაანის ხეობიდგან სოფ. უდეში ქართველი

კათოლიკენი ჩამოვიდნენ და ამათ ამბავი მოიტანეს, რომ არტაანის ხეობის სოფ. ერუშეთის ძველი ეკკლესია ქართველმა

მაჰმადიანებმა მთლად დააქციესო. ასრევე დაუქცევიათ სხვა სოფლებშიაც და ქვები საჭიროებისათვის აქა-იქ გაუზიდნიათ.

ართვინის კათოლიკენი *).

ართვინი ბათუმიდგან 90 ვერსის მანძილზედა სძევს. ფოსტა კვირაში ერთხელ მოდის; ართვინის ხიდამდე ეტლით მოაქვთ და მერე ცხენებით ააქვთ, რადგანაც გზები არ არის, აღმართებია. გ. ყაზიბეგის ცნობით, ართვინი 10 ათასი ფუტის სიმაღლეზედ სძევს; მცხოვრებთა რიცხვი 2000 კომლამდეა, უმეტესად კათოლიკენი, გრიგორიანები და ქართველი მაჰმადიანები მცირეა. კათოლიკეებში დიდი ძალი ქართველი კათოლიკენი მოიპოვებიან, მაგრამ ამათში ქართული ენა დავიწყებულია ისრევე, როგორც ქართველს მაჰმადიანებში. დღეს ართვინში მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკეებმა და ქართველმა მაჰმადიანებმა სიტყვა, კრინტი აღარ იციან თავიანთის დედა-ენისა.

მაგალითს მოგახსენებთ: ართვინში, სხვათა შორის, არის ერთი ბაზაზის მაღაზია, რომელსაც გარედგან აწერია რუსულად „მაღაზია ალ. ალანიძისა." მე ესენი ქართველები მეგონნენ; შეველ მაღაზიაში, ქართულად დავეკითხე და მათ-კი მომიგეს, ქართული არ ვიცით, რუსულად ან თათრულად გველაპარაკეთო. მაშინ მაღაზიის გარედ დაწერილი გვარის ამბავი ვკითხე და მითხრეს დიახ, ადრე ქართველები ვყოფილვართ, მაგრამ ახლა თათრები ვართო. ასეთი მაგალითი ათასია.

ართვინი – ოლქის ქალაქად ირიცხება, არის ოლქის უფროსი ბოქაული და ნაწილის უფროსი. მომრიგებელ მოსამართლის გამგეობა აქ არ არსებობს, მუსულმანთა საქმეებს „მეჯლიში" არჩევს და ქრისტიანებისას ოლქის სამმართველო და ბოქაული.

---

*) 1901 „ივერია“ № 198.

ქალაქის მოხელე და მოსამსახურეთა შორის ქართველებიც არიან და ამიტომ ბევრს კათოლიკეს შეუსწავლია ქართული ლაპარაკი. ქართული ენის აღდგენის საქმეს აქეთ ძრიელ ხელს უწყობენ მარადიდელი მენავეები, რომლებიც ლივანიდგან ამოდიან აქ, თან კახაბრიდგან საქონლით დატვირთული ნავები ამოაქვთ და მერე ართვინიდგანაც ხალხითა და საქონლით დატვირთულები მიდიან ბათუმში. მთელი ამ ქალაქის ვაჭრები, მოხელეები, შავშეთის სოფლის ხალხი და სხვანიც სულ ამ ნავებით ჩადიან ბათუმში. ნავები ბათუმის ახლოს კახაბერში ჩერდებიან, რადგანაც ზღვაში ვერ შევლენ; ჭოროხს ნავები ერთობ შორს მიაქვს თავის ტალღებით და ამიტომ შეიძლება ნავი ადვილად დაიღუპოს. ლივანელნი და მარადიდელნი ნავოსნობასა და გემოსნობაში მეტად მოხერხებულნი არიან; ამათაგან ართვინის ახლო-მახლო მთელს დღეს სულ ქართული

ენა გაისმის. ართვინის ახლოს მდებარე სოფ. სინქოთიდგან-კი ქართული ენა იწყება ქართველ მაჰმადიანთა შორის და იგი დასავლეთამდე მიემართება.

ართვინში კათოლიკეთ აქვთ ოთხი ეკლესია. ამათგან კორძულის ეკკლესია ყველაზედ ძველია. ამ ეკკლესიას აქვს ქართული გუჯრებიც, რომლებიც 1501 წ. პაპას სიქსტო მესამესაც დაუმტკიცებია. გუჯრები მამულების შენახვის საქმეს შეეხება, იმ დროს კათოლიკეთ კორძულის ეკკლესიისათვის მამულები შეეწირეთ და შეწირვის გუჯრებიც ქართულად უწერიათ.

აქ კათოლიკეთ ბევრმა იციან, რომ ისინი ქართველთა შთამომავალი არიან. ასეთი მოხუცნი მეც ვნახე და აღიარეს, რომ ძველათ „ქართველ კათოლიკენი ვიყავითო". კორძული ამს ეკკლესიას მიტომ დაერქვა, რადგანაც ეკკლესიის განახლების დროს, კარის ალაგას ძველი კარები ჩაეტანებინათ და მისგან წარმომდგარა კორძულიო, ძველად-კი „კარ-ძველი" ერქვაო.

დანარჩენი ეკკლესიებიც ძველია; მესამე ეკკლესიას ეხლა აშენებენ ძველის ეკკლესიის ალაგას. სომხებს აქვთ ართვინში ერთი ეკლესია. ესეც ძველი ეკკლესიაა. საყურადღე-

ბოა ის, რომ ამ ეკკლესიაში ინახება ერთი ძვირფასი ქართული ძველი სახარება, ხუცურად ნაწერი, ძვირფასს პერგამენტზედა და ძვირფასადვე შემკული. იგი ძვირფასი განძია ჩვენის ლიტერატურის ისტორიისათვის და ნამეტურ პალეოგრაფიის მხრივ. როგორც სახარების ერთი წარწერა ჰმოწმობს, იგი გადაუწერია იშხნელს ეპისკოპოზს მაკარის, დაახლოვებით XI საუკუნის ნახევარში. ამ სახარებამ ადრე მრავალთა ყურადღება მიიპყრო. აქ გახლდათ ამისთვის განსვენბული დ. ბაქრაძე. გრიგოლ გურიელმა სყიდვა მოინდომა და 500 მან. აძლია, მაგრამ არ გაყიდეს. შემდეგ მეტიც აძლიეს, მაგრამ არა ჰქნეს, გაყიდვა არ შეიძლებაო.

იშხნის საეპისკოპოზო ტაძარი დღეს საქართველოს იმ კუთხეში სძევს, რომელიც ჯერედ კიდევ ოსმალეთს უჭირავს. დღეს იგი ოსმალეთის საკუთრებას შეადგენს და ჯამეთ არის გადაკეთებული, გათათრებული ქართველები ლოცულობენ.

იშხნის ხეობის ახლოს სძევს ხახულის ხეობა, სადაც დიდებული ტაძარია ხახულისა. რაც გელათში ნივთებია, ხახულის ხატი და სხვანი გათათრების დროს სულ აქედამ არის გადმოტანილი. ესეც ჯამეთ არის გადაკეთებული.

მესამე პარხლის ეკკლესია, უგუმბათო, მშვენიერი; ესეც ჯამეთ არის გადაკეთებული. ამ სამს ეკკლესიაზედ ძრიელ ბევრი ამბებია დარჩენილი აქაურს მაჰმადიანებში. მართლაც, შესანიშნავი ტაძრებია, დიდრონი, კარგად ნაშენი, თლილის ფერადის ქვებით, შიგნიდგან კენჭებით მორთული; ნამეტურ შესანიშნავია ხახულის ტაძარი და ხახულის ხეობა ჩვენებური ხახუტაშვილები აქედან ყოფილან მანდეთ წარსულნი. ამ ეკკლესიების მოხდენილობას კაცი ვერ აგიწერთ, განცვიფრდება.

ამ ეკკლესიებში რომ მუსულმანებმა ლოცვა არ მოშალონ, კარგი იქნება, დიდხანს დარჩებიან უვნებლად. ძრიელ დაძველებულან-კი. გარდა ამისა, ბევრი სხვა ნაშთებიც არის, მაგრამ ყველას სად ავწერთ.

მუსულმანებს ართვინში აქვსთ ერთი დიდი ჯამე. სდგას სწორეთ იმ ალაგას, სადაც ძველად ქართველების ართვინის

ტაძარი იდგა; ზედ მისს საძირკველზედა სდგას ეს დიდი ჯამე. მეორე ჯამე კორნძულში აქვთ; მუსულმანების აქ სხვა არაფერია დაშთენილთ, მათი რიცხვიც შემცირდა, რადგანაც 1879 წელს შემდეგ ოსმალეთში მრავალად გარდასახლდნენ.

ვახუშტის გეოგრაფიულის ცნობებით ართვინი ქრისტეს ქალაქს „ართვანი" ერქვა თურმე, რადგანაც ძრიელ მაღლა სძევს. „ართვანი" ხომ ქართული სიტყვა არის.

ქალაქში ვაჭრობა რიგზე სწარმოებს. არის ორი სასტუმრო, ყავახანები, სხვა და სხვა მაღაზიები და სახელოსნოები. აქაური კათოლიკის, სომხისა და ქართველ მაჰმადიანთა ქალები თათრულად იცმენ, შუბლზედ ოქროს ფულები აკრავთ და სიცხებშიაც-კი ხავერდისა და შალის ძვირფასს ტანისამოსში არიან გახვეულნი. ამის გარდა, ზაფხულის მშრალს დღეებშიაც ფეხთსაცმელზედ კალოშები აცვიათ! სანოვაგე ძვირად არ ფასობს. ართვინში ოსმალოს ვაჭრები და მუშებიც მოდიან.

ოსმალოს საღვარი სულ 10 ვერსზეა. ართვინიდგან ერთი გზა არდანუჯს მიდის; ამავე გზით მიდიან არტაანს (არდაგანი), ყარსს, არზრუმსა და სპარსეთს. მეორე გზა შავშეთს, აჭარისა და ბათუმს გადადის, მესამე ლაზისტანსა და მეოთხე ოსმალეთის სამფლობელო საქართველოს ადგილებში.

ერთი საკვირველობა აქ ის გახლავსთ, რომ ართვინს იქით, ოსმალეთის საქართველოში, ქართველი მაჰმადიანები ქართულს ენაზე ლაპარაკობენ და ართვინს აქეთ-კი, მარცხნივ და მარჯვნივ აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე, ართვინამდე, მთლად თათრულს ენაზედ საუბრობენ ქართველი მაჰმადიანები. ოსმალეთის მაჰმადიანი ქართველები უფრო კარგა სღუბრობენ ქართულს, ვიდრე აქეთა მხრისა, სადაც-კი ქართული ენა შენახულა. ქართული ენა მოსპობილია მთელის ქართლ-კახეთის ტოლა ადგილებში. ბევრს ადგილებს სრულიად არ ვასახელებთ. მთლად-კი ოსმალეთის წინად ყოფილა და დღემდე დაშთენილი ადგილების ზომა ნახევარ საქართველოზედ მეტს შეადგენს და ასევე მის კვალობაზედ ქრთველი

ტომის ერიც იქნებოდა. ქართული ენა ბურსამდე და თვით დიარბექირამდესაც ისმის.

ართვინის ოლქი წყლებითა, ხე-ტყით და მცენარეებითაც მდიდარია! ჰავაც კარგია, მოსავალიც კარგი იცის, ხილიც განთქმულია, ყურძენი და ღვინოც იციან აქეთ; უმეტესად

პურს, სიმინდსა და ქერსა სთესენ. მადნების მხრივაც ძრიელ მდიდარია ეს მხარე. დღეს აქეთ რამდენიმე კამპანიაა ევროპიდგან მოსული და სხვა და სხვა მადნის პატრონებთან მოლაპარაკება აქვთ, მადნის მთებს ყიდულობენ. ერთისაგან კიდევაც იყიდეს მურღულის ხეობაში 700 ათას მანეთად, სოფ. ძანცულს.

სამცხე-საათაბაგოს ქართველი კათოლიკენი *).

სამცხე-საათაბაგო – აღმოსავლეთით თრიალეთი საზღვრავდა – ბერდუჯის მდინარემდე, ჩრდილოეთით იმერეთი და ნაწილი ქარელისა, სამხრეთით არმენია – არზრუმამდე და დასავლეთით საბერძნეთის იმპერიის ძველი მიჯნა ტრაპიზონის მახლობლად – რკინის პალომდე. მთელი სამცხე-საათაბაგო ნახევარ საქართველოს უდრის. აქ ძველად ცამეტი საეპისკოპოსო კათედრა იყო, მაგალითებრ: მაწყვერელისა, ანჩელისა, მტბევარისა, წურწყაბლისა, წყაროს-თაველისა, ერუშნელისა, კუმურდულისა იშხნელისა, წყაროსთაველის, ერუშნელის, ვალაშკერტელის, ანელის, კარელის, ბანელისა, დადაშნელისა. XI და XII საუკ. ქვაბლიანიდგან დაწყებული, ოცხეს, ახალციხესა და ჯავახეთში ერთ მილიონამდე ქართველს უცხოვრია. მართლაცა და ეს რომ არა ყოფილიყო, უამისიოდ მცირე რიცხვოვანი ერი ვარძიას, კუმურდოს, საფარას, ზარზმასა და სხვა დიდრონს ეკკლესიებს ვერ ააშენებდნენ.

ვახუშტისა და სხვა ისტორიულის ცნობებით, დასავლეთს საქართველოში სულ ირიცხებოდა 1870 სოფელი. ამ

---

*) 1901 წ. „ივერია“ № 132.

ვრცელს კუთხეს ოსმალებმა ბრძოლა 1515 წლიდგან დაუწყეს, ე. ი. მის შემდეგ, როცა ბიზანტიის ნაწილის ტრაპიზონის იმპერია გააუქმეს, ძველი ბიზანტიის იმპერია სრულიად დასცეს, 1580 წლიდგან სამცხე-საათაბაგოც დაიმორჩილეს, ხოლო ათაბეგობა ვერ მოსპეს, მისი ძველი ავტონომია ხელ-შეუხებლივ დარჩა და ხარჯი დაადეს; ათაბაგნი წლიურად მხოლოდ ხარჯს აძლევდნენ, სხვა არაფერს. 1627 წ. სამცხე-საათაბაგოს ავტონომიაც გააუქმეს, უმთავრეს ქალაქათ ახალციხე გამოაცხადეს.

მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა 24 ნაწილად დაჰყო, მაგალითებრ: ჯავახეთის სანჯახი, არტაანისა (არდაგანი), ახალციხისა, ოცხისა, ჩილდირისა, შავშეთისა, ართვინისა, ოლთისისა, ზედა-აჭარისა, ქვედა-აჭარისა, მაჭახლისა, ლივანისა (ლიგვინის ხევი), ლაზისტანისა, კოლისა, ყარსისა, თორთოზისა, პარხლისა, ხახულისა, ერუშეთისა, თრიალეთისა, ფანასკერტის, ხოფისა, გონიისა, ბათუმისა და თავოს კარისა. სულ ამ ზემოხსენებულს კუთხეებში ოთხი ფაშა იჯდა: ახალციხისა, კოლისა, მაჭახელ-გონია-ლაზისტანისა და ოლთის-ყარსისა.

ყველა ფაშებზედ უფროს ფაფათ ახალციხის ფაშა ითვლებო-
და. იგი ექვემდებარებოდა არზრუმის სერესკერს, სამხედრო
გუბერნატორს – მთავარ-სარდალ ფაშას.

საქართველოს ამ დამონებულ ადგილთა მცხოვრებ ქარ-
თველთა ისლამთან დაკავშირება ოსმალთა მთავრობამ და სა-
სულიერო წოდებამ 1629 წ. დაიწყო, სწორედ იმ წელიწადს,
როცა ქართველ ერის გონებითი წარმატებისა და აღორძინე-
ბის დასაწყისი დამკვიდრდა, როდესაც რომში პაპის ურბან
მერვის ბრძანებით ქართული სტამბა დაარსდა; იქ 1629 წ.
პირველად გაჰფინეს ქართული დაბეჭდილი წიგნები და პაპის
კონგრეგაციამ „პროპაგანდოში" ქართული ენის კათედრა და-
აარსა და განწესდა ქართულის ენის მოწესე პროფესორი რო-
მელთა შორისაც, მარიოს მაჯის სიტყვით, ქართულის ენის
ცოდნის უაღრესობით აღმოჩნდნენ შემდეგი მოძღვარ-მქადა-
გებელ პროფესორნი მამანი:

პატრი კარაფა, რომელსაც საქართველოში დიდხანს უც-
ხოვრია, შეუსწავლია კარგად ქართული ენა და დაუწერია და
დაუსტამბავს 1640 წ. ქართული ენის საგრამატიკო კანონები.
ესევე ყოფილა „პრიპაგანდოში" ქართული ენის მოწესეთ.

პატრი ანტონ იარდინი, უცხოვრია 1650 .ამას
კარგა ხანს უცხოვრია საქართველოში. გაუცვნია ქართული
ენა და უკანასკნელად დაუწერია ქართულის ენის კანონები
და 1640 რომში დაუსტამბავს.

პატრი იოსტოს ფრატო, უცხოვრია იმავე წლებში, ე. ი.
1650 წ. შეუსწავლია კარგად ქართული ენა და ამ ენის შე-
სახები წერილი დაუსტამბავს 1650 წ.

პატრი ამბროსი ავგუსტიანელი, ყოფილა იმავე დროს,
1960 წ., სცოდნია ქართული ენა და უმეცადნია ამ ენის საგ-
რამატიკო მწერლობის აღორძინებისათვის.

პატრი იარგინი, თათრული ენის მცოდნე და მწერალი,
ესევე მცოდნეთ ითვლება საქართველოს ერისა და ისტორიისა.

პატრი ბერნარდო (დოქტორი) სცხოვრებდა მაშინვე, იყო
მცოდნე თათრულის ენის და საქართველოს ერის და ისტო-
რიის. ამ ორს პატრს თათრული ენის წიგნებიც უწერიათ,
ამათგან უსარგებლნია მაჯის თავის ქართულ-ტალიური გრა-
მატიკის შედგენის დროს.

პატრი იაკობს – სტეფანე, ყოფილა 1670 მცოდნე ქარ-
თურლის ენისა.

პატრი სტეფანე – პაულინი, ამის მიერ შედგენილი ქარ-
თულ-იტალიური ლექსიკონი რომში 1629 წელს დაისტამბა.

ამათ გარდა, ამავე დროს ქართულის ენის მცოდნეთ
ითვლება პატრი ბერნარდო, აღმოსავლეთის ერთა ისტორიისა
და ენის დოქტორი და ზემოდ მოხსენებული იარგინი. ყველა
ამათ საკმარისად უღვაწნიათ რომში ქართულის ენისათვის.

ეს ცნობები მოვიყვანეთ იმიტომ, რომ აღგვენიშნა მხო-
ლოდ შემდეგი უბედურება: როდესაც ახალციხეში ქართველთა

შთამომავლის ჯაყელის გვარის საფარ-ფაშისაგან ქართველთა გათათრება დაიწყეს, როდესაც ახალციხეში, ქართველთა შუა-

გულს კუთხეში, ქართველთა მტრების მეოხებით თათრის დიდი სასულიერო მედრესე დაარსდა და მათნი მღვთის-მეტყველნი ხაფიზნი და სოხტები განაწესეს, რომლებმაც გამუსულმანებულ ქართველთა აღზრდა იწყეს და ქართველთა შორის ისლამის ფანატიზმის დამკვიდრება, სწორედ იმ დროს, იმავე წელიწადს, ევროპაში კათოლიკეთა ბერებმა ქართულის ენის ღაღადება გამოჰფინეს, რომში სტამბა და ქართულის ენის კათედრა დაარსეს, წიგნების ბეჭდვა იწყეს და საქართველოშიაც მრავლად იწყეს მოგზაურობა.

ოსმალეთიდგან ქართველთა გათათრება 1629 წლიდგან დაიწყო და გასტანა 1798 წ. ჯავახეთში-კი 1800 წლის შემდეგ 1820 წლებამდისაც ათათრებდნენ, მაგრამ ძრიელ მცირედ. 1629-1798 წლებამდის ძირეულ ქართველთა შორის ქრისტიანობა ცამეტს საეპისკოპოსოში აღმოფხვრეს, ცამეტი საეპისკოპოსო მოსპეს, უმეტესი ნაწილი დაანგრიეს; მოსპეს ქართული წიგნები, ქართული ძველი წარწერები და გამაჰმადიანებულთ ქართველთა შორის დაამკვიდრეს სრული სიძულვილი თავიანთ მომმე ქართველ ქრისტიანებისადამი. ქართველთა გვარის შთამომავალს ისე არავინ სძულს, როგორც თავისივე ტომის ჩამომავალი ქართველი ქრისტიანი. ქართველს იგი ურჯულოს ეძახის, მურდალსა და სხვა. ეს იყო ოსმალთა ძველი პოლიტიკა, ამას ესწრაფოდნენ იგინი და არც თუ შესცდნენ: ამ გვარად გათათრებული უცხო ტომთა შვილების მეოხებით შეადგინეს და ააღორძინეს თურქის ტომი, თორემ ძველად მთელს დაცემულს ბიზანტიის იმპერიაში და ბალკანეთის კუნძულზედ თურქების ტომის რიცხვი დრეპერის სიტყვით XIV საუკ. ერთს მილიონზეც მეტი არა ყოფილა. დღევანდელი თურქის ტომი ასეთის სხვა და სხვა გათათრებულის ტომის შვილებისაგან შესდგება, მაგალითებრ: ქართველთაგან, ბერძენთა, ბოლგარელთა, სერბიელთა, რუმინელთა, ქალდეველთა და სომეხთაგან, რასაც თვით ამათი ჩამომავლობის ტიპიც ნათლად ამტკიცებს.

მთელს ზემოხსენებულს ცამეტს საეპისკოპოსო მრევლში

ისლამთა ბარბაროსობას გადარჩა მხოლოდ მცირე ქართველობა, რომლებიც მესხეთსა და ჯავახეთში, ანუ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში სცხოვრებენ. ასე და ამ გვარად 200 წლის განმამავლობაში ნახევარ საქართველოს ერმა ისლამი აღიარა, დაივიწყა თავისი დედა-ენა, ზნე-ჩვეულება, მოსწყდა თავისს მამა-პაპათა ტრადიციებს; ეს კიდევ არაფერი, – იგი დაუძინებელ მტრათაც გარდაიქცა. დღეს მას ქრისტიან ქართველთან საერთო აღარა აქვს-რა იგი სასტიკი მტერია ქართველისა.

ასე, ბატონებო, ჩვენ ჩვენს სამწერლო ასპარეზზე რაღაც თბილ-თბილს, სამღაღადებელო მანიფესტებსა ვჩეკავთ, ერთ-მანეთის ქიშპობითა და კამათით თავს ვიმტვრევთ, ტვინს ვიც-ხელებთ, დემოკრატია-ბურჟუაზიის ძახილით გონებას ვღა-ლავთ, ერთმანეთის სიძულვილით, სოციალიზმისა და სხვათა აზრების ცარიელ რახა-რუხით ხალხს თავბრუს ვასხამთ, ევროპიულ წიგნების კითხვა ჩვენს უნიადაგობას ვერ შეუთან-ხმეთ, ცხოვრების აგებულებასთან შეუსაბამოდ ვმოქმედებთ და თათრები და სომხები-კი იმითი მიდიან წინ, რასაც მათ ცხოვრება და მისი სამერმისო წესები ასწავლის. ისინიც ისე მოქმედებენ, ამას აკეთებენ. ვაი ჩვენს დღესა და ჩვენს გონებრივს ცრუ-განვითარებასა, რომ ჩვენის თვალით ვუმ-ზერთ ჩვენს გაწყალებას, ჩვენის ტომის მოსპობას. მოკლედ ავნუსხეთ, თუ 200 წლის განმავლობაში ნახევარ საქარ-თველოს ერი თავისს ავ-კარგიანობით როგორ მოისპო. გუ-ლი ბოროტებით მევსება მით უფრო, რომ ჩვენებურ უთავბო-ლოდ, შეუთანხმებლადა და უაზროდ არავინ იქცევა, მთელს დროს დასობასა და ფუჭ და უქმ, ჩვენთვის უნიადაგო მოძ-ღვრებათა კამათს ვანდომებთ. აი, თვითონ მე, თქვენი უმორ-ჩილესი მონა, ვკითხულობ „მშაკს“ „ნორდარს“, „მურჭს", „ტარაზს“, და სხვებიც მიკითხავს, საქართველოში ნაბეჭდი, კონსტანტინეპოლში თუ სხვა ქალაქებში, მაგრამ იქ მე ისე-თი არა შამიმჩნევია-რა, რასაც ჩვენში ჩვენები ჰქადაგებენ და სთესენ. აბა დამისახელეთ, რომელს გაზეთებში და წრეებში აქვთ ისეთი დასური კინკლაობა, როგორც ეს ჩვენშია. მარ-

თალია, მცირე განსხვავება მათშიაც მოიპოვება, ურთიერთ-შორის, მაგრამ ისეკი არა, როგორც ეს ჩვენშია, არამედ თავ-თავისს ალაგას, თავისს შესაფერად, პატრიოტობით, სხვათა მამულების შეძენით, ფულის მობოჭვითა და ვაჭრობით. მათ-ში ყველა ერთია: სოციალისტი, კომუნარი, ნიგილისტი, გინდ ანარქისტი, პატრიოტი და კაპიტალისტი, ყველა მაინც სო-მეხია და წმინდა სომეხი; სხვების წინააღმდეგ ისინი საერთო მიზნით არიან აღჭურვილნი, ყველა ერთს ჯგუფს წარმოად-გენს. ყველა „მშაკისტი“ თამამად აღიარებს, რომ სომხის ეკ-კლესია – არის ზედმდგარი, რომელზედაც სდგას, სცხოვრობს და განისვენებს სომხის გვარი. ეს ზედადგარი რომ გამოვაცა-ლოთ, მაშინათვე დაეცემაო. ასეთს ცნებებს განმარტვენ თვით ისინიც-კი, რომელნიც დემოკრატიულ დასის წევრებათ ითვ-ლებიან, კოსმოპოლიტურ აზროვნების მორევში სცურავენ, სოციალისტობასა და ნიგილისტობაზედ თავსა სდებენ. ყველა ეს აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ ჩვენი უსარგებლო მოძრაობა და ბღლაძუნი აღმენიშნა, აღმენიშნა ის, თუ რას ჩავდივართ, რა ამღვრეულ მორევის ზვირთებში ვცურავთ. იმ დროს, როცა მართლაცა და ევროპიელნი ასეთ მეცნიერებათა შეს-წავლით მიდიან წინ, როცა მეცნიერებას მართლაცა და მეც-ნიერულად სწავლობენ და მისი ვითარებაც თავ თავის ალა-

გას ნათლად აქვთ წარმოდგენილი, ჩვენ კი ვინ იცის რას
არ ჩავდივართ, ვერც არაფერს ვსწავლობთ. მაგრამ კმარა
ამაზედ და ისევ ჩვენს საგანს შევუდგეთ.

დღეს ახალციხის მაზრაში ოფიციალურად 209 სოფელი
ითვლება, ახალქალაქის მაზრაში-კი ამაზედ მცირეა. სულ ორ-
სავე მაზრაში ქართველი ქრისტიანები შემდეგს სოფლებში-ღა
სცხოვრობენ:

1. დიდი აგარა, 25 კომლი, მართლმადიდებელნი, ქარ-
თულად მოლაპარაკენი;

2. ანდრია წმინდა, 45 კომლი მართლ-მად. ქართულად
მოლაპარაკენი.

3. არალი, კათოლიკენი 100 კომ. ქართ. მოლაპარაკენი;

4. ახაშენი, 4 კომლი, მართლ-მადიდ. ქართულ. მოლა-
პარაკენი;

5. აწყური, 14 კომლი, მართლ-მად. ქართ. მოლაპარა-
კენი;

6. ბენარა, 8 კომლი, ქართლ-მად. კათოლიკენი, ქართ.
მოლაპარაკენი;

7. ბნელა, 8 კომლი, მართლ-მად. და კათოლიკენი, ქართ.
მოლაპარაკენი;

8. ბოლაჟური, 5 კომლი, ქართველი კათოლიკ., ქართ.
მოლაბარაკენი;

9. ვალე, 200 კომლი, ქართვ. კათოლიკენი, ქართ. მოლა-
პარაკენი.

10, გობიეთი, 1 კომ., მართლ-მადიდ., ქართულად მო-
ლაპარაკენი;

11, დადეში, 42 კომ, მართლ-მადიდ., ქართულად მო-
ლაპარაკენი;

12, დღვარი, 20 კომ. მართლ-მადიდ., ქართულად მო-
ლაპარაკენი;

13. დვილი, 45 კომ. მართლ-მადიდ., ქართულად მო-
ლაპარაკენი;

14) ზედა თმოგვი, 40 კომ, მართლ-მადიდ., ქართულად
მოლაპარაკენი;

15) ზურზელი, 40 კომლი,. მართლ-მადიდ. ქართ., მო-
ლაპარაკენი;

17. ქვაბის-ხევი, 29 კომლი მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.

17. კუცნა, 15 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.

18. მიქელ-წმინდა, 2 კომლი, მართლ-მადიდ. ქართ. მოლაპ.

19. სოკეთი, 16 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.

20. საკირეთი, 50 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.

21. ტაძრის, 30 კომლი, მართლ-მადიდ. ქართ. მოლაპ.

22. ტატანისი, 11 კომლი მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.

23. ტყემლანა 4 კომლი, მართლ-მადიდ, ქართ. მოლაპ.

24. ტობა, 9 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.

25. ტოლოში 124 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.
26. უდე, 200 კომლი ქართველი კათოლიკენი, ქართ. მოლაპ.
27. წნისი, 2 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.
28. ქობარეთი, 36 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ.მოლაპ.
29. ერკოტა, 40 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.
ამ სოფლით თავდება ახალცის სოფლები და დაიწყება ახალქალაქის მაზრის სოფლები მაგალითებრ:
30. სარო, 65 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.
31. ხიზაბავრა, 220 კომლი, ქართველ კათოლიკენი, ქართულად მოლაპარაკენი.
32. ვარგავი 825 კომლი, კათოლიკე და მართლ-მადიდ., ქართულად მოლაპარიკენი;
33. თოკი, 41 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპ.
34. ვარევანი 20 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
35. კოთელია 85 კომი, მართლ-მად., ქართ. მოლაპი.
36. ბარალეთი, 60 კომლი,მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
37. აზავრეთი, 2 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
38. ბალანთა, ვ კომლი, მართლ-მადი) ქართ. მოლაპ.
39. ქიხარულა, 4 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
40. ხუმვრისი, 4 კომლი, ახალი მონათლულები,მართლ-მადიდებელნი., ქართულ. მოლაპარაკენი;
41. მურჯახეთი, 14 კომ., მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
42. ახალქალაქში 10 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
43. ბრეტენა, 40 კომლი, მართლ-მად., ქართ მოლაპ.
44. ჩუნჩხა, 45 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
45. ქილდა, 65 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
46. გოგაშენი. 60 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
47. აფნია, 25 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
48. მუსხი, 70 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.
49. რაბათი, ახალციხის ძველი ნაწილი, 65კომლი, მართლ-მად., ქართ. კათ: 400 კომლი.

50. აბასთუმანი, 20 კომ., ქართ.მართლ-მად., და ქართ. კათოლიკენი, ქართ. მოლაპ.
51. კარტიკანი, 150 კომლი ქართველი კათოლიკენი, ქართული ენა დაკარგეს;
52. ხულგუმო, 25 კომლი, ქართ. კათოლიკენი, ქართული ენა დაკარგეს.
53. ბავრა, 20 კომლი, ქართ. კათოლ., ქართული ენა დაჰკარგეს;
54. ეშტია, 200 კომლი, ქართვ. კათოლიკენი, ქართული ენა დაჰკარგეს;
55. ტურცხა, 40 კომლი, ქართ. კათ., ქართული ენა დაჰკარგეს, ძიერ მცირე რიცხვს-კი ისევ ახსოვს ქართული

ენა.

ეს კათოლიკენი არტაანის ხეობიდან არიან აქ მოსულნი და დასახლებულნი. ქართული ენა ამათ იქვე დავიწყებიათ. რადგანაც ოსმალთა მეფობის დროს, იქით ქართული ენა დევნილი იყო, ამიტომ დღემდე ამ ქართველ გვარის კათოლიკებში ქართული ენა არ გავრცელებულა. დღეის შეშდეგ თუ გავრცელდა ეს მათში, ამაზედ ჩვენ ვერას ვიტყვით.

აი სულ ეს სოფლები და მასში მცხოვრები ქართველები გახლავან დღეს იმ ქართველეთა შთამომავალნი, რომელთა წინაპარნიც ადრე ოსმალეთის მთავრობამ ძალით გაათათრა. ამათში არსებობს ქართული ენა. 350 სოფელში უმეტესად ქართველთა გვარის მაჰმადიანები სცხოვრობდნენ, მათში ქართული ენა დამხობილია, ქალი, კაცი თუ ბავშვი სულ თათრულად ლაპარაკობენ. ზოგს სოფელში-კი იციან ქართული, მაგრამ იქაც მოსპობის გზაზეა დამდგარი თათრის სოხტებისა, ხაფიზებისა და მოლების მეოხებით.

ზემოდ ჩამომავალი ქართველთა მეგატონეებად უცხო კაცნი ირიცხებიან, გვარ-ტომობითი გარჩევა აქვთ. ამის გამო ქართველებს სდევნიან, ერეკებიან, საჩივარს უტეხენ და უფრო იაფ ფასად თავიანთ მონათესავე და მერჯულეებს ასახელებენ. რამდენიმე ქართველი სოფელი ასეთს ბრძოლას უკვე

გადაჰყვა თან და მთლად გაღატაკდა. ასეთია სოფ. არალი, ხიზაბავრა და სხვანი.

მოხუცებულთაგან ნაამბობი ამბები.

ქართველი კათოლიკენი არტაანის ხეობაში.

ჟამთა ვითარების მეოხებით ძველად ქართველნი კათოლიკების შესახებ არაფერს სწერდნენ. ქართველ კათოლიკეთა გვაროვნების შესახებ ჩვენში ძალიან ცოტა ცნობებია დაშთენილი. თუ რამ იკრიბება დღეს და იწერება, უმეტესი ნაწილიც ქართველ კათოლიკეთაგან ნაამბობია, ხალხში ზეპირსიტყვაობად დაშთენილი. რა გაეწყობა, ჩვენც უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც-კი ამ საგნის შესახებ ზეპირ ან მწერლობით დაშთენია. საუბედუროდ ამ ნაკლს არც თვით ქართველი კათოლიკენი აპყრობდნენ ყურადღებას.

ჩვენ, ქართველნი, მარტო ამ სარბიელზედ არ გახლავართ უკან ვრდომილნი, სხვა ასპარესზედაც უფრო დიდი ნაკლი გვაქვს, მაგალითად, აქამომდის ქართველ კათოლიკენი კი არა და თვით ქართველ მაჰმადიანთ გადაბირების, სჯულისა და გვარ-ტომობიდგან განდრეკის ცნობებიც არ ვიცოდით. ნახევარ საქართველოზედ მეტი გამაჰმადიანდა, გამაჰმადიანებულ ქართველთა ოცდა-ორმა ნაწილმა თავისი დედა-ენა დაჰკარგა, იგი თავის მოძმის დაუძინებელ მტრად შეიქმნა! ჩვენმა ძველებმა კი ამ ქართველთ განდრეკის, სჯულიდგან გამხელის და გვარ-ტომობის უარის-ყოფის მიზეზები და ცნობებიც კი არ აგვი-

წერეს. ამდენის ხალხის შესახებ თუ რომ დაიწერა და ითქვა, ისიც მხოლოდ ამ ბოლო დროს.

დღეს როგორც ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა არის ჩვენთვის საყურადღებო და გამოსარკვევი, ამაზედ მეტად ქართველ მაჰმადიანთა მდგომარეობაც გვაწუხებს. მაშ ჩვენ აქედგან დავიწყებთ ქართველ კათოლიკების შესახებ წერას და დრო და დრო ჩვენს მწერლობაში აღვინიშნავთ ყველა იმ ცნობას, რაც კი ამათ შესახებ ზეპირ ან ძველ მწერლობით სადმე რამე მოიპოვება.

დასავლეთ-სამხრეთ საქართველოში არტაანი შესანიშნავს კუთხეს წარმოადგენდა. ძველად მას ერუშეთი ეწოდებოდა. შემდეგ დროებში ოსმალთაგან მთელს ამ ვრცელ კუთხეს „ზარუ-შეთი" ეწოდა, თვით ერუშეთის ქალაქ არტაანის-კი არდაგანი. ძველად ერუშეთი ქართველის ტომით იყო დასახლებული. აქ ერთი მტკაველი ალაგიც არ იყო უხალხოდ დატოვებული. იგი ქართველებით ისევე იყო დასახლებული, როგორც იმე-რეთი, ქართლი და კახეთი. ოსმალთაგან დამორჩილების შემ-დეგ არტაანის ქართველთ შემცირება იწყეს: ზოგნი ქართველთ მეფეთა სამფლობელოში გადმოდიოდნენ და ზოგნიც სხვაგან. ვინც იქ დაშთნენ, იმათ დევნა დაუწყეს ოსმალებმა სჯულის გამო და უკანასკნელ გაამაჰმადიანეს კიდეც. ასე და ამ გვა-რად მთელს ერუშეთში მოისპო ქართველთ გვარის ხსენება და ქრისტიანობაც.

ვიდრე ქართველნი გამაჰმადიანდებოდნენ, მათ დიდი ტან-ჯვები გამოიარეს. ზოგმა სოფელმა დიდი საშინელი სისხლის ღვრაც ნახა. მაგრამ საბოლოოდ კი მაინც ვერ დარჩნენ. ყვე-ლა გამაჰმადიანდა. დარჩა მხოლოდ რამდენიმე სოფლის ხალხი. ქართველთა, რომელთაც არ მიიღეს მუსლიმანობა, ყველაფე-რი ტანჯვა აიტანეს, დასთმეს ყველაფერი და არ გამაჰმადიან-დნენ კი. ზოგნი ამათგანნი გაფრანგდნენ და მით გადაირჩინეს თავი, მაგრამ საბოლავოდ არც ეს ქართველი კათოლიკენი დაშთნენ ქართველის გვაროვნობით.

იმ დროს, არტაანს ფაშად ვიღაც გათათრებული ქართვე-ლი მჯდარა.

შავშელთა და იმერხევლთა გარდმოცემით, არტაანის პირ-ველ ფაშად მიქელაძე იყოვო, რადგანაც პირველად აქედ მი-ქელაძეები გამაჰმადიანდნენო. ერთ დროს ეს ფაშა ავად გამ-ხდარა, სენი ძრიელი „გასძალუანებია". აქეთ-იქით უვლიათ, მკურნალები უძებნიათ, მაგრამ მკურნალთ განკურნება კი ვერ მოუხერხებიათ. ამ დროს, ბატონთან მოსულა ერთი გამაჰმა-დიანებული ქართველი და მოუხსენებია ფაშისთვის.

– ფაშავ! ახალციხის ფაშის კარზედ სცხოვრებს ერთი

ექიმი პატრი, რომელიც ხალხს ძრიელ ადვილად არჩენს. მის-

წერეთ ფაშას წერილი და სთხოვეთ იმ პატრ ექიმის აქ გამოგზავნა; ის უსათუოდ მოგარჩენსთ თქვენ. ფაშას მოხსენება მოუსმენია და მერე ახალციხის ფაშისთვის წერილი გაუგზავნია და იმ ექიმ პატრის გამოგზავნა დაუვალებია.

ფაშას მალე მიუხმია პატრი და უამბნია თხოვნა. პატრი ფაშის ბრძანებით წასულა არდაგანში და სნეული ფაშა მოურჩენია ავადმყოფისაგან. მორჩენის შემდეგ პატრს ახალცხეში წასვლა განუზრახავს, მაგრამ ფაშას არ გაუშვია. უთქვამს:

– პატრო, მოიცადე, სრულიად კარგად გავხდე, ფეხზე ავდგე და მერე წადი, რა გეჩქარება?

– მე, ბატონო, ექიმად არ გახლავართ რომიდგან დანიშნული; მე მქადაგებელი ვარ. ექიმობაც ვიცი, რადგანაც ქადაგების დროს ეს ჩვენთვის საჭირო არის. ჩემი საქმე ის გახლავსთ, რომ ხალხში კათოლიკობა განვავრცო.

– კეთილი. აი რას გეტყვი, პატრო, მთელი არტაანის ქართველნი გავათათრეთ, მხოლოთ ვერ გავათათრეთ სამი სოფლის ხალხი, დღევანდლამდის იგინი გაუთათრებლად არიან დაშთენილნი. წადი იქ, ისინი გააფრანგე და მე ამისთვის დახმარებასაც მოგცემ, –ესეც ხომ საქმე გახლავსთ. შორს რაღას მიხვალ, აქვე აგიჩენ ასეთ საქმეეეს.

პატრი დასთანხმებია და იქ დარჩენილა. ფაშა კარგად გახდა, ფეხზე ადგა და სიარული დაიწყო. ამ დროს კი პატრი გაემგზავრა აღნიშნული სოფლის ხალხისკენ და მცხოვრებნი გაიცნო კარგად. ქრისტიან ქართველთა პატრი დიდის პატივით მიიღეს და თანაგრძნობაც აღმოუჩინეს.

პატრი დასახლდა იქ და დაიწყო ხალხში მოქმედება, სიტყვების წარმოთქმა და ქადაგება, თუ ქრისტიანი ქართველები როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რომ მათ ქრისტიანობა არ დაეკარგათ და შეენახათ. ამიტომ პატრი ეუბნებოდა მცხოვრებთ:

– შვილებო და ძმებო, მთელი არტაან-ერუშეთის ქართველნი გათათრდნენ. ოსმალთ სასტიკათ სძულთ ქართველნი.

ესენი თქვენი რჯულით არ დაგტოვებენ; უსათუოდ, როცა იქნება, დღეს თუ ხვალ, თქვენ სჯულს დაჰკარგავთ. ამიტომ მე გირჩევთ, რომ თქვენ წმიდა პეტრეს ბჭეს, კათოლიკობას, რომის ტახტს შეუერთდეთ; მერე თქვენ ვერავინ რას დაგაკლებთ. პაპასა და სულთანს შორის ხელშეკრულება არის დადგენილი, კათოლიკების დევნა და გათათრება ოსმალებს არ შეუძლიანთ. თქვენ ამით ისარგებლეთ და ქრისტიანობა დაიფარეთ.

ქართველნი დაფიქრდნენ. პატრის რჩევა სიამოვნებით მიიღეს და მალე გაფრანგების სურვილიც განაცხადეს. რამდენიმე ხნის განმავლობაში ეს სოფლის ხალხი პატრმა შეუკავშირა კათოლიკობას და ამის შესახებ მოხსენებაც გაგზავნა რომში. რომში ეს ახლად შეძენილნი კათოლიკენი ქართველის გვარ-ტომობით იქმნენ ცნობილ-მიღებულნი. სამღვდელმოქ-

მედო პირად აქ იქმნენ განწესებულ ლათინთ წესის რიგის პატრები; რომიდგან მოსული პატრები ყოველთვის ქართულს ენას სწავლობდნენ და ამ ენით ესაუბრებოდნენ მრევლს. მათში ქართულ ენას და გვარ-ტომობას თავის სრული უფლება და პატივისცემა ჰქონდა მინიჭებული.

განვლო დრო-ჟამმან, საქართველოს ერის საქმეებს ცუდი დარები უდგებოდა; ოსმალნი ძლიერდებოდნენ. ამათ აზრად ჰქონდათ, რომ ტასისკარიდგან და გურიიდგან მთელს იმერეთს და ქართლს ავიღებთო, დაღისტანს შევუერთებთ და მერე თბილისში ჩვენს ფაშას, ლეკთა ბელადს დავსვამთო. ეს იყო მათი პოლიტიკა, მათი სარწმუნოებრივი ქადილი. ამიტომ ამათ ლეკებს დიდი ძალა და დახმარება მისცეს; ლეკებთან ათასობით გადადიოდნენ ჩუმად ახალციხეში და იქ დიდს დახმარებას აძლევდნენ ქართველთ დასაღუპად. ლეკებმა და ოსმალთა უსამართლო კაცებმა მთელი დასავლეთი საქართველოს ქართველნი დაარბიეს, საქმე გაუჭირეს, ერთის სიტყვით, ყველა შეაწუხეს და ტანჯვას მისცეს.

ამ შავსა და ბნელს დღეებში, ვერც კათოლიკენი გადარჩნენ უდევნელნი და ვერც ლათინთ პატრები. პატრებს

ხშირად ეცემოდნენ და სცარცვავდენ. პატრები ყოველთვის შიშში იყვნენ. მთავრობა თუმც მომხრეობას უწევდა, მაგრამ უფრო ცალ მხრივ, თორემ იმავე დროს მათ გამცარცვავ ლეკს და თათრებს კიდეც ჰფარველობდა. ოსმალენი ამას იმიტომ ჩადიოდნენ, რადგანაც, უკანასკნელ, მათ შეიტყეს პატრების ჭკიანი მოქმედება ქრისტიანობის სასარგებლოდ, ქრისტიანებისთვის კეთილად შრომა კი მათთვის დაუძინებელი მტრობამ იყო.

უკანასკნელ პატრებს მობეზრდათ წვალება, ოსმალეთის ყაჩაღ მოხელებთან კამათი, ბრძოლა და დავიდარაბა. ამის შესახებ მათ ბევრ-გზის გზავნეს რომში მოხსენება, მაგრამ მათ თხოვნას და გარემოებას არა ეშველა-რა. ამიტომ პატრებმა გადასწყვიტეს თავიანთ სამწყსოს დატოვება და რომში გადასახლება. ეს მალე ასეც იქმნა, მეტი გზა არ ჰქონდათ, პატრების შემდეგ ყველა ეს ქართველ გვარის კათოლიკენი ჩაბარდენ სომეხთ კათოლიკეთა სამღვდელოების უურუსს ეპისკოპოზს, რომელიც მაშინ უკვე სტამბოლში იჯდა. იქ საეპისკოპოზო კათედრა უკვე არსებობდა. სომეხთ კათოლიკეთა სამღვდელოებამ ყურადღება მიაქცია ამ ხალხს და დაუწყეს პატრონობა. იმ დროში რა ენაზე სრულდებოდა ამ კა თოლიკეებში წირვა-ლოცვა, ეს ჩვენ არ ვიცით.

რაც დრო მიდიოდა, მითი ქართველთ გვარ-ტომობის ხსოვნა მკვიდრთ შორის მცირდებოდა; ნელნელა საქმე ისე მოეწყო ოსმალთა მეოხებით, რომ აქაურ ქართველ მაჰმადიანებმა დაივიწყეს თავიანთი გვარ ტომობა, დაჰკარგეს ქართული ენა, მთლად გადაგვარდნენ. ამ უძლურებას ვერც ქართველი კათოლიკენი ასცდნენ, ამათაც დაჰკარგეს ქართული ენა და

მთლად ოსმალურად იწყეს უბნობა; დროის მეოხებით სრულიად გაოსმალდნენ, ყველაფერი დაჰკარგეს, გარდა ქრისტიანობის-კათოლიკობის...

გავიდა რავდენიმე ხანი, დრონი იცვალნენ. ამ საუკუნეში რუსებმა ახალციხე აიღეს და მერე არზრუმს მიადგნენ. ამ დროს მთავარ მმართებელთან გამოცხადდნენ ზემოხსენებული

სოფლის კათოლიკენი და ითხოვეს მფარველობა, რომ თქვენს საბრძანებელში მიგვიღეთო. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა, იგინი გადმოსახლდნენ და ახალციხის მაზრაში დასახლდნენ. სამს სოფელში, დღევანდლამდე ეს ხალხი ამ სოფლებში სცხოვრობს.

დღესე ეს ქართველ ტომის შთამომავალნი რასაკვირველია თავიანთ თავს ქართველად უნდა სცნობდნენ, რადგანაც იგინი ქართველები არიან. დღეს ესენი სახლში და გარედ დედა-ენად ოსმალურ ენას ხმარობენ, ქართულისა აღარავინ-რა იცის. თუმცა ის კი იციან, რომ იმათი წინაპრები ქართველები ყოფილან. ეს ხალხნი გვარტომობის შთამომავლობით ქართველია, სამშობლო ენად თათრულ ენას ხმარობს და სარწმუნოებით კათოლიკეა. ასე რომ დღეს ამ ხალხთა ძველის გვარტომობის ხსოვნის და ნატამლობის აღარაფერია დაცული. დღეს ეს ხალხი მიწერილია სომეხ კათოლიკეთა სამღვდელოების კონსისტორიაზე; იგინი იგულისხმებიან სომხად „არმიანე კათოლიკად“; მათ ენიშნებათ სომხის რიგის მღვდელნი, ესენი მღვდელ მოქმედებას სომხურს ენაზე ასრულებენ, შემდგომ ამას თათრულის ენით უხსნიან და უთარგმნიან. თან აუწყებენ, რომ იგინი სომხის გვარის შთამომავალნი არიან, მათი დედა-ენა სომხურია, მათ საეკკლესიო ენად ეს ენა უნდა მიიღონ. მათმა მომავლებმაც ეს ენა უნდა შეისწავლონ, რადგანაც იგინი შთამომავლობით სომხები არიანო. საქმე ისეა მოხერხებულ-მოწყობილი, რომ ამ ხალხის ძირეულ გვარებსაც კი ასხვაფერებენ, მაგალითებრ: მიქელაშვილი – მიქელიანცი, ნიკოლაშვილი – ნიკოლოსოვი, მამულაშვილი – მამულოვი, თურმანიძე – თურვანდოვი, ზაქარიაშვილი – ზაქარიანი და ათასიც სხვა ამ გვარები.

ეხლა ჩვენ ვიკითხავთ, თუ ეს ხალხი რა ტომის ხალხად უნდა ვიწამოთ ჩვენ, და ან მომავალში რა მოელის ამათ, რანი იქნებიან ესენი, თუ ქართველ კათოლიკეთაგან მათ არაფერი მხარის მიცემა არ აღმოუჩნდათ? –რასაკვირველია, ჩანთქმა, თათრულის ენიდგან სომხურზე გადასვლა და გაქრობა!..

ასეთია ბატონებო, ჩვენი გვარტომობის ვითარება!..

ქართველ კათოლიკენი ლაზისტანის კუთხის ჩხალის ხეობაში.

ჭოროხის ხეობაში, ბორჩხას ახლოს, დასავლეთად მიდის

ერთი ხეობა, რომელსაც ჩხალის ხეობა ეწოდება. ეს ხეობა მიემართება ლაზისტანში. ლაზისტანის სოფლების რუსეთს სულ რამდენიმე სოფელი უჭირავს – ერთი სამამასახლისოა, დანარ ჩენი ადგილები მთლად ოსმალეთს ეკუთვნის. ლაზების რიცხვი დღეს 20,000-დე ირიცხება. ყველა ესენი ადრე ძალით გაუმაჰმადიანებიათ, ზოგნი კი გაფრანგებულან, ნამეტნავად ჩხალის ხეობის ლაზ-ქართველნი.

ჩხალის ხეობის შესახებ ჩვენში ბევრნაირი ამბებია დაშთენილი. ლაზისტანის გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალთ ლივანას ჩხალის ხეობიდან დაუწყეს გამაჰმადიანება. მთელმა ხეობამ იუკადრისა გამაჰმადიანება, აქეთ-იქით კაცები დაჰგზავნეს და ოსმალეთს ემუდარებოდნენ, რომ სჯულის გამო დევნისაგან ხელი აეღო. ოსმალთ არ შეისმინეს მოციქულთა მუდარება და ჩხალელებს სასტიკის ბრძოლით აუწყეს ქრისტიანობის დატოვება. მეტი გზა აღარა ჰქონდათ, ქრისტიანობა უნდა ეგმოთ, მაჰმადიანობა მიეღოთ. ზოგმა ადვილათ დასთმო სჯული და ზოგმა არა, – დღეს-ხვალობით ატყუებდნენ მტერთ.

ამ დროს ქალაქ ართვინის (ართვანი) ქართველნი უკვე გაფრანგებულნი იყვნენ. იგინი ადრევე იქმნენ მაჰმადიანობიდგან გადაყვანილნი კათოლიკობაზედ; იმათ კათოლიკობასთან დაკავშირების მიზეზად რომიდგან მოსულნი ლათინთა მოძღვრები არიან. მაშინდელ ქართველთ გვარის კათოლიკეთა ეკკლესიებში წირვა-ლოცვა ლათინურს ენაზედ სრულდება. სახარება, „წმიდაო ღმერთო", ზოგიერთი ლოცვები და ქადაგება კი ქართულად იცოდნენ. რომიდგან მოსული მოძღვრები დიდს მფარველობას უწევდნენ დევნილ ქართველებს; ქართველ კათოლიკების დევნა ოსმალეთსაც აღკრძალული ჰქონდა, რადგანაც პაპისა და ოსმალთ შორის ამისთვის ხელ-შეკრულობა იყო დადგენილი და კათოლიკეს დევნა არავის შეეძლო.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ართვინს კათოლიკების მოძღრებმა დიდი გავლენა იქონიეს ჩხალის ხეობის გასამაჰმადიანებელს ქართველებზედ. ქართველნი მალე წავიდნენ ართვინში და ლათინო მოძღვრებს მოახსენეს:

– ქებულის იესო ქრისტესთვის ჩვენ ვიხოცავთ თავებს და შველა არსაიდგან გვეძლევა. ჩხალის ხეობის უმეტესი სოფლები გამაჰმადიანდა, ქრისტიანობა მოისპო, ახლა მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ, რომ ჩვენ მაინც გვიშველოთ რამე, გამაჰმადიანებისაგან დაგვიხსნათ.

მოძღვართ მოისმინეს დევნილთა მუდარი და აუწყეს შემდეგი:

– აბა, რა გიყოთ, შვილო, ჩვენ კათოლიკენი ვართ. მფარველობას გაგიწევთ; მაგრამ როდემდის? ხომ ხედავთ, რომ ოსმალნი ქართველთა სისხლსა სმენ, იგინი თავიანთ საბრძანებელში ქართველს აღარ სტოვებენ. ოსმალნი ამბობენ, რომ ჩვენს სამეფოში ქართველის ხსენებას არ დავტოვებთო. ბერძნებისაც დიდი ჯავრი სჭირთ და რადგანაც თქვენ იმათი მერ-

ჯულნი ხართ, ამიტომ უფრო გდევნიან. ცხადი საქმეა, რომ დღეს თუ ხვალ თქვენც მიგაღებინებენ მაჰმადის სარწმუნოებას.

– კათოლიკობას მივიღებთ, მოახსენეს ჩხალის ხეობის ზოგიერთ სოფლის ქართველთა.

– კეთილი! თქვენ კათოლიკობა მიიღეთ, ჩვენ ამ საქმეს პაპსაც ვაცნობებთ და მთავრობასაც, მერე თქვენ აღარავინ რას გიზამთა, ქრისტიანობა თქვენში მტკიცედ დაშთება.

ჩხალელებმა მოიწონეს მოძღვართ რჩევა, საჩქაროდ წავიდნენ და ყოველისფერი დარიგება შინაურებს და ჩუმ ქრისტიან ქართველებს აცნობეს. რჩევა ყველას მოეწონა და რამდენისამე ხნის განმავლობაში ყველა ესენი საიდუმლოდ გაფრანგებულ იქმნენ. რამდენსამე ხნის შემდეგ ამათ ოსმალთაც აუწყეს:

– ჩვენ სჯულს არ გამოვიცვლით, ჩვენ ამის ამბავს პაპს ვაცნობებთ და რასაც ის გვიბრძანებს, ჩვენც იმ ბრძანების

კვალად მოვიქცევით, რადგანაც ჩვენ კათოლიკენი ვართ სარწმუნოებითაო.

ოსმალთა ჯავარი მოუვიდათ და ჩხალელებს დევნა დაუწყეს, რადგანაც იცოდნენ, რომ ეს ქართველი წინად სხვა სჯულისანი იყვნენ, ქართულის ეკკლესიის აღმსარებელნი, რასაც თვითონ მალავდენ. დიდი აურზაური ასტყდა და გაკათოლიკებულ ქართველებსაც სასტიკად დაუწყეს დევნა, სიცოცხლეს უმწარებდნენ და ძალას ატანდნენ კათოლიკობა უარ ეყოთ. ამ სასტიკობის გამო პატრებმა დავა დაიწყეს, მაგრამ ოსმალთა მახვილი მაინც ვერ შეაჩერეს. გაფრანგებულთ ისე გაუჭირდათ საქმე რომ თავიანთ სოფლებიდგან აიყარნენ, ზოგი ართვინში გადასახლდა, ზოგი სხვა დაშორებულ ქალაქებში, სადაც კი კათოლიკის სარწმუნოების ხალხი ეგულებოდათ. უმეტესი ნაწილი ართვინში წავიდა, ტრაპიზონს, სტამბოლს და არზრუმს, სადაც მათ კათოლიკენიც ეგულებოდათ.

დროის განმავლობის მეოხებით დასავლეთ საქართველოში რომის ლათინთა მოძღვართ გავლენა შესუსტდა შიშისა და უგზო-უკვლობის გამო. ამიტომაც მაშინდელს ქართველ კათოლიკეთ პატრონად სომეხ გვარის კათოლიკე მოძღვარნი აღმოუჩნდნენ, რომელნიც ლათინთ პატრებზედ არა ნაკლებ ჰფარველობდნენ ამ ახალ და ძველ გაფრანგებულ ქართველთ.

ეკკლესიებში ლათინურ ენის მაგიერ სომხურ ენაზედ დაიწყეს წირვა-ლოცვა. ხალხსაც უხაროდა ეს ცვლილება, რადგანაც ქართველ კაცთან სომხურ ენას უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდა, ვიდე ლათინურს. ქართველნი ადვილად სწავლობდნენ სომხურს ენას და ამ ენაზედ ლოცვებიც კარგათ ესმოდათ. დროის განმავლობის მეოხებით ქართველებმა ისე შეისწავლეს სომხური ენა, როგორც თავიანთი ეკკლესიის ენა, როგორც თავიანთ სამშობლო ენა. მაშინ მათგან უამისობა

არც შეიძლებოდა. ასეთი მოსავალი საშიში არ იყო, რადგანაც იმ დროის ქართველთა და სომეხთ შორის სადავო და სადავიდარაბო არ იყო რა, ხოლო იმ ცვლილებმა და წესების

შეტანამ ქართველებში რა გავლენა იქონია და მერმისისათვის რა ცვლილება მოახდინა, ამისას ჩვენ არას ვიტყვით, ამისი დასკვნა იმათთვის მიგვინდვია, ვინც ხსენებულ კუთხეში დასახლებულ კათოლიკეთა აწინდელი ცხოვრება-ვითარები კარგად და მიუფერებლად იცის...

ჩვენი ამბები რომ ყოველივე მართალია, ამას დაასაბუთებს შემდეგი მაგალითიც!

აჭარაში მგზავრობის დროს, დაბა ქედაში, გავიცანი ერთი ართვინელი სომეხ-კათოლიკეთაგანი – აშტრაკიანცი, ყმაწვილი კაცია ერთმანეთს ვინაობა ვკითხეთ. მან სთქვა:

– მე აქეტკენ ვმგზავრობ, აქა-იქ მთებში მადნებს ვეძებ, მერე ამ მადნების ცნობებს ევროპის ზოგიერთ მდიდარ მემადნე ვაჭრებს ვატყობინებ, ისინი მომყავს აქ და იჯარით იღებენ. ამის შემდეგ ართვინელ კათოლიკების შესახებ ჩამოვარდა სიტვა და მან განაგრძნო:

– „უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ძველები ამბობდნენ, რომ ჩვენ გვარ-ტომობით ადრე ქართველნი ვყოფილვართო, ჩვენ თურმე ჩხალის ხეობაზედ ვსცხოვრებდით ერთს სოფელში, იქ გავფრანგულვართ და მერე იქიდგან გადავსახლებულვართ ართვინში. ართვინში დაგვიწყებია ქართული ენა და ჩვენი გვარიც იქ გამოგცვლია, – დღეს აშტრაკიანცად ვიწოდებით. საკვირველია, ასე როგორ შევიცვალეთ, ასე როგორ გადავსხვაფერდით ყოველივეთი, რომ ქართველობის აღარაფერი შეგვრჩა, არც ენა, ვინაობას გარდა ძველი გვარის გაგებაც არ გვაქვს. ძალიან გვიკვირს ჩვენი ასე დავიწყება და გადაგვარება... ამბობენ რომ სხვა ქართველ კათოლიკებსაც ჩვენსავებ დავიწყებიათ ყველაფერი.

ახლა აქ მე ამაზე მეტს არას ვიტყვი, ვიმოწმებ თვით სომეხთ კათოლიკეთა ყოფილს გვამს და მან დააჭეშმარიტოს იმის შესახებ ცნობები, რომ ჩხალის ხეობის ქართველთ ძველად კათოლიკობა მიიღეს თუ არა და თუ მიიღეს, მაშინ ეს ქართველთ კათოლიკენი რა იქმნენ, სად წავიდნენ და სად სცხოვრობენ დღეს მათი მომდევარნი? ამიტომ მე ჩვენის სა-

ბუთების დასამტკიცებლად თვით სომეხ კათოლიკებს ვასახელებ, რომელთაც მრავალი რამ ცნობები იციან თავიანთ ვინაობის შესახებ, ამის ცოდნა ართვინელებს კარგათ აქვთ დაშთენილი, ხოლო იგინი დღეს ამ ცნობებს აღარ აშკარავებენ, მალამენ, სომხობენ.

ართვინის ქართველ-კათოლიკენი

ნაამბობი ართვინის კათოლიკეთ ეპისკოპოზის ზაქარიანის და იოან საფარიანისა. მოხუცებულთაგან გამიგონია, რომ ერთ დროს, აჭარაში ქართველ ქრისტიანებს ოსმალთაგან ძლიერ გაუჭირებიათ საქმე, ოსმალები ქართველთ გაუთათრებლად არ სტოვებდნენ. გაჭირდა საქმე, თათრობისათვის დიდი ძალი ქართველობა გამწყდარა. რაღაც შემთხვევით, ერთ დროს, ევროპის კათოლიკის ერთი მოგზაური პატრი ბათუმში მოსულა, იქ კარგა ხანს დარჩენილა, იქ იგი კათოლიკებს ერთ სახლში ალოცებდა, შემდეგ ევროპაში დაბრუნებულა, მაგრამ ზღვით-კი არა, არამედ ხმელეთით, ლივანის გზით. მგზავრობა მაჭახლის პირისკენაც მოხდენია; რამდენსამე დღეს აქა-იქ ქართველებში რჩებოდა და ცნობებს სწერდა. სხვათა შორის იგი მაჭახელშიაც დარჩენილა, ამ დროს იქ ქართველთ დიდი დევნა ყოფილა, მაჭახლის ნახევარი გათათრებული ყოფილა, ნახევარსაც ათათრებდნენ. ამ გათათრებულებს პატრმა მიმართა და უთხრა:

–„ შვილებო, რა გაწუხებთ, რად თათრდებით, კათოლიკობა მიიღეთ, ქრისტიანებად დაშთებით და ოსმალნიც ვერას გიზამენ. ტანჯულ ქართველთ შეუსმენიათ და ერთ დღეს სამ სოფელს განუცხადებიათ ოსმალთათვის, რომ ჩვენ კათოლიკები ვართ და არა ქართველებიო. ოსმალთ გაუნთავისუფლებიათ ესენი დევნისაგან.

რამდენიმე დღის შემდეგ ხსენებულის პატრისაგან სამ სოფლისაგან ხალხს მიუღია კათოლიკობა. ამ სამ სოფლის ხალხში 90 მეტი კომლი ზაქარიაძეები და საფარაძეები ყოფი-

ლან. დღეს ზაქარიაძეები სომეხ-კათოლიკეთ ირიცხებიან და ზაქარიანცათ იწოდებიან და საფარაშვილები – საფარიანცებათ. ყველა ესენი და ჩვენც ქართველთ გვარისანი ვართ, მაგრა დროის და სომეხ-კათოლიკეთ მეოხებით ჩვენ ჩვენი გვარი დაგვიტოვებია და სომხებს მივკედლებივართ, გავსომხებულვართ. დღესაც მაჭახელში რამდენსამე სოფელში სცხოვრებენ ზაქარიაძეები და საფარაშვილები, ყველა იგინი მაჰმადიანები არიან. რაც ართვინში და ასეთ დაშორებულ კუთხეებში სომეხ კათოლიკენი არიან, მათი რიცხვის ნახევარი ქართველ-გვარისაგან შესდგება. ასეთ კათოლიკებს თავიანთ გვარები ძველადგანვე გადუკეთებიათ სომხურით მაგალითებრ, დღევანდელი სომეხთ კათოლიკეთ მოძღვრის – ლაზიანი ძველი გვარი ლაზიშვილია, ქართველი მალხასაშვილი – მალხასიანი, ჭონიშვილი – ჭონიევი, აჭარელი – აჭარიანცი, ჭანიშვილი – ჭანიევი. ჭანი ხომ ვიცით რაც არის და მრავალიც სხვანი ამგვარნი.

მე ვკითხე:

– საკვირველია, რომ ეს ქართველნი ისე გადაგვარდნენ, რომ ქართველობის აღარაფერი შერჩათ, ნეტა როგორ მოხდა?

– გადაგვარება ერისა ადვილია, თუ ეს სადმე დაიწყო და მას ხელის შემშველი არავინ გამოუჩნდა! ქართველთ გა-

დაგვარებას ოსმალეთის საქართველოში ვეღარაფერი შეაჩერებდა. ოსმალთ დევნა და სომეხთ კათოლიკეთ ოსტატური მოქმედება აძლიერებდა. მაგრამ მაინც ქართველთ გვარის დამკარგავ კათოლიკებთ შორის ცნობები არის დაშთენილი, რომ ისინი ოდესმე ქართველ გვარს ეკუთნოდნენ და ქართულადაც ლაპარაკობდნენ. – განაგრძო კვალად:

– მაგალითებრ: მცენარეებს, პირუტყვებს და ბევრს კისდევ ასეთ არსებათა დღევანდლამდე ართვინის გასომხებულ ქართველ კათოლიკენი ქართულ სახელებს უწოდებდენ. მაგალითებრ, ქართული ქინძი დღესაც ასე იწოდება მათში, ქონდარი, ნიახური, რეჰანი, ბადრიჯანი, ცერცვი, წიწმატი, პილპილი, ბევრიც სხვა. ნამეტურ სახლის ავეჯეულობისა. დედა, მამა, ბიძა, დეიდა, მამიდა და სხვა ასეთ სახელწოდე-

ბანიც ხშირია მათში დღევანდლამდე დაშთენილი. საუბრის დროს ზოგჯერ მთელს წინადადებას ამბობენ ქართული სიტყვებით. დღეს რაც ართვინის სომეხ-კათოლიკენი არიან, იგინი მთლად ქართველ გვარის კათოლიკებისაგან შესდგებიან, ხოლო დროის მეოხებით გასომხებულან, ქართული ენა დაუკარგავთ დ მის მეოხებით გვარ-ტომობაც დაჰვიწყებიათ. თუმცა ამბები ამის შესახებ აქ ბევრმა მოხუც სომეხ-კათოლიკემ იცის, რომ ისინი ქართველთ შთამამავალნი არიან. ეს რომ მართალია, ამას ცხადათ ამტკიცებს შემდეგი გარემოებაც: ქართველები ისე სომეხ-კათოლიკებს არ სძულთ და ეჯავრებათ, როგორც სომეხ გრიგორიანებს.

ნეტავი შემატყობინა, თუ ამ მღვდელ-მთავრის ცნობებს როგორ მზერენ დღევანდელი გასომხებული ზაქარიანები და საფარიანები, რომელთაც თავიანთი გვარი ჭირივით სძულთ, ე. ი. ქართველობა და ქართული ენაც დავიწყებული აქვსთ. ერთმა მოხუცმა კათოლიკმა შემდეგი გადმომცა: – „დღევანდელ სომეხ-კათოლიკის მოძღვრის პუჩინიანის ძველი გვარი პუჭპუჭაშვილია, რადგანაც იგინი ძველად ქართველნი იყვნენ და ახალციხეს სცხოვრობდნენ, კათოლიკობის შემდეგ ართვინში გადმოსახლდნენ, აქ ენით და გვარტომობით გასომხდნენ, ყოველივე დაივიწყეს თავიანთი, დღეს ამას ვინ სჩივის, მათ ქართველობაც-კი სძულთ სასტიკათ. მაშინ ამათთან ერთად ახალ-ციხიდამ რამდენიმე კომლი გადმოსახლებულან, ყველას მათ აქ ართვინში დაუკარგავთ ქართული ენა და გვარტომობაც ისევე, როგორც მთელ ართვინის ქართველ-კათოლიკობამ დაკარგა ქართული ენა და გვარ-ტომობა.

მთელის ართვინის სომეხ კათოლიკენი შთამომავლობით ქართველნი არიან. მათში ქართული ენა ძირიანად შეირყა 1780 წლებში, შემდეგ 1800 წლებამდე ყველგან ამოვარდა, დიდმა, პატარამ ყველამ დაივიწყეს, მხოლოდ შიგა და შიგ მრავლად მაინც დარჩა ქართული სიტყვები, რომელსაც კათოლიკენი დღევანდლამდე ხმარობენ და არ ივიწყებენ XVIII საუკ. გასვლამდე. ამათში ქართული წერა-კითხვაც არსებობ-

და, სიმღერები, ხატობა, ღამისთევა, ჭიდაობა, ფერხული, თამაში და მრავალიც სხვა და სხვა წეს-ჩვეულებანი. თამარ მეფის და ერეკლე მეფის ამბებიც მრავლად იცოდნენ.

ასეთი კათოლიკები ართვინიდამ მოყოლებული სტამბოლამდის ძლიერ მრავლად ყოფილან. XVIII საუკ. მარტოდ სტამბოლში 1500 კომლი ქართველი კათოლიკე ყოფილა. დღეს იგინი სულ სომეხ-კათოლიკეთ ირიცხებიან, რადგანაც მათ სომეხთ-კათოლიკეთ სიმძლავრით ქართველობა დაკარგეს, ქართული ენა დაივიწყეს, სომხურად იწყეს საუბარი და გვარებიც სომხურის სიტყვების რიგით გადააკეთეს. ეს რომ ჭეშმარიტია, ამას ასაბუთებს შემდეგი მაგალითი: 1860 წლამდე კოსტანტინეპოლის კათოლიკეთა სასაფლაოზედ მიცვალებულთ ქვების უმეტესს ნაწილზედ ქართული წარწერები იყო. ასეთი ქვების უმეტესი ნაწილი შემდეგ სულ გაქრა. იქ დღესაც შეხვდება კაცი ასეთს ქვებს ხსენებულ სასაფლაოზედ აქა-იქ. შავშეთის კათოლიკენიც ქართველგვარის შთამომავალნი არიან. იქ მათში სომხის გვარის არავინ ურევია. ჩვენ ყველანი ქართველთ შთამომავალნი ვართ და ძველ საქართველოშიაც ვსცხოვრობთ. ჩვენი ძველებისაგანაც ასე გაგვიგონიაო.

პატრის პეტრე აღუშოვის ნაამბობი.

პ. შაჰყულიანი იტყოდა ხოლმე შემდეგს: „მე როცა რომში წავედი, ართვინზედ მომიხდა გავლა და მაშინ კორძულის ეკკლესიაში ზოგიერთ მოხუცებულებს ქართული ხელთნაწერი ლოცვები ეკავათ და კითხულობდნენო. მაშინდელ კორძულს ართვინელ ქართველ კათოლიკეთ მოხუცებულს უთქვამსთ, რომლ XVIII საუკ. ნახევრამდე აქაური ქართველ კათოლიკენი სულ ქართულ ლოცვის წიგნებს კითხულობდნენო. მას შემდეგ-კი შემცირება იწყო; რადგანაც წიგნები ცოტავდებოდა, გადაწერას აღარ ასწავლიდნენ სტამბოლიდამ მოსული სომეხ-კათოლიკის ხუცები და აბა სხვას საიდამ რას იშოვნიდნენ, ისევ ლოცვის წიგნებს ეწყობოდნენ და 1800 წლამდე მთელი ართვინის ქართველ-კათოლიკობა კარგად შეჩვია სომხურ ლოცვების კი-

თხვას, სომხურ ენის და სომხობის დაჩემებას. შემდეგ ამ ცნობას პატივცემულმა პატრმა აღუშოვმა დაუმატა: შეიძლებოდა ეს გარემოება ქართველ კათოლიკეთ არ მოსვლოდათ, რომ მათ ერთგული პატრონი და ქართული წიგნები ჰქონიყოთ. მაგრამ საიდამ, იმ დროის ქართველთ ამის დრო არ ჰქონდათ. XVIII საუკუნეში, სომეხ-კათოლიკეთ მრავლად იწყეს კათოლიკეთათვის საჭირო ლოცვის და საღმთო შინარსის წიგნების ბეჭდვა. იმ წიგნებს იგინი ყველგან ავრცელებდნენ, ქართველ კათოლიკენიც სიამოვნებით ეწაფებოდნენ ამ წიგნებს, რადგა-

ნაც ოსმალეთის ქართველ კათოლიკეთ ქართულს ენაზედ დაბეჭდილი წიგნები სულ არ ჰქონდათ. მაშ რას იზავდნენ, ლათინურს ხომ ვერ შეისწავლიდნენ, ისევ სომხურს დაუახლოვდნენ, ეს ენა მათთან ახლო იყო და მის შესწავლა სიადვილეს გარდა ესიამოვნებოდათ კიდეც. ესეც ჭეშმარიტება გახლავსთ.

სოფ კორძულის სომეხ კათოლიკეთ ეკკლესიის მოხუცი მნათეს ნაამბობი 1901 წ. და სხვათაგან.

ჩვენ ე. ი. კორძულელები ძველად სოფ. სვეტს ვცხოვრობდით, კათოლიკობაც იქ მიგვიღია. იქ კათოლიკები გამი რავლებულან. ალაგი არა ჰქონიათ, მაშინ დიდი ვიწროობა ყოფილა. აქ, ამ სოფელს,კორძულს მაშინ ხუთიოდ მოსახლე ყოფილან, ჯერეთ თათრობა არ ყოფილა აქეთ შემოსული. ართვინი, კორძული და სვეტშიკი კათოლიკენი ყოფილან. მაშინ ჩვენც ქართველ კათოლიკენი ვიყავით. ამ სოფელში კათოლიკენი უფრო სვეტიდგან გადმოსულან. კორძულიც მიტომ დარქმევია, რადგანაც როცა აქ კათოლიკენი მოსულან, მათ ეკკლესია არ ჰქონიათ, შემდეგ ერთობ მალე დაუწყვიათ ეკკლესიის შენება და ამ ეკკლესიაში ძველი კარი ჩაუტანებიათ და მიტომ დარქმევია კორძული, ანუ კარძველი. ჩვენც სულ ქართველ გვარის კათოლიკენი ვიყავით და ადრე სულ ქართულად ვლაპარაკობდით.

ბევრნი სრულიად უარს ჰყოფენ, რომ ვითომც ქართველთ შორის კათოლიკობის ხსენება ნატამლათაც არ იყოვო, ვითომც ეს მოგონილი ოცნება არის. თავის დღეში კათოლიკეთ ეკკლესიაშიაც ქართულს ენას ჭაჭანებათაც არ გაუვლიაო. ეს მტკნარი სიცრუეა, ამას ცხადათ ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ ძველად ქართველ გვარის კათოლიკენი თავიანთ ეკკლესიებს ხშირად შესწირავდნენ ქართულს სახარებებს, მხედრულ ნაწერს გარდა ხუცურად დაბეჭდილ-დაწერილიც-კი შეუწირავთ ხოლმე. ასეთია მაგალითებრ 1744 წ. შეწირული ხუცური სახარების ცნობა: – „ეს წმიდა სახარება შესწირა იაკობ საბაოვმა წმ. იოანეს ეკკლესიას 1744 წ. თებერვლის 22-სა.“ სახარებას ქართულად აქვს მიწერილი. ასეთ შეწირულ სახარებებით და სხვა საეკლესიო წიგნებით სავსე ყოფილან ადრინდელი ძველი ეკკლესიები, ქართველთ კათოლიკებს რომ თავიანთის გვაროვნობის მიმზიდველობით ეკკლესიის წინაშეც არ ჰქონიყოთ ხმა, გავლენა და მის სიყვარული, უმისოდ იგინი ვერც ქართულად წააწერდნენ ზედა და ცხადი საქმეა, რომ ეკკლესიაშიაც სახარების კითხვასაც ვერ მოახერხებდნენ, რადგანაც ტერ-პოღოსებისაგან ქართველთ გადაგვარების ტრფობა ადრიდგანვე გავრცელდა ქართველთა წინაშე. ქართულს ენაზე სახარების კითხვა წინწასული ყოფილა თვით ისეთ დროსაც როცა მთელი წირ-

ვა ლათინურად სრულდებოდა, ხოლო სახარებას-კი ქართუ-
ლად კითხულობდნენ. სახარების ქართულად კითხვა თვით
ოსმალეთის საქართველოშიაც სწარმოებდა, სადაც სომეხთ
კათოლიკეთ ძრიელება წინ იყო წასული, იქ ქართველნი გა-
დაგვარებას ეძლეოდნენ.

ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი ძველად იქამდე ყოფილა
გამრავლებული, რომ მათს რიცხვს თვით შუა გულს ქარ-
თლის ქალაქებს გარდა კავკავს, მოზდოკს და ყიზლარშიაც-
კი უჩენია თავი. ამ ქალაქებში ქართველ გვარის კათოლიკე-
ნი ძველადვე გაჩენილან, მაგრამ აქ მათ გვარტომობას ცნო-
ბილი ხიფათი მოვლენია და მათ ქართული ენა მთლად და-

ვიწყებიათ. კათოლიკებში მოიპოვებიან რამდენიმე გვარი
ქართველთ ძველის აზნაურებისა და თავადებისაც, მაგალი-
თებრ: იმერეთის თავად ჩხეიძეების გვარის წევრნი დღეს მო-
ზდოკში კათოლიკეთ ირიცხებინ, ქართული ენა დავიწყე-
ბიათ, სომხურს და რუსულს ენაზედ ლაპარაკობენ. ამ თავა-
დის გვართა წევრთა იმერეთის მეფის დავითისაგან წერილიც
აქვსთ მიღებული შესახებ მის, რომ იგინი ნამდვილად თავადი-
შვილები არიან, იგინი რუსეთის იმპერატორების მფარველო-
ბის ქვეშ სცხოვრობენ რუსეთსაო და ამიტომ ეს თავადის
შვილობის მოწმობაც ეძლევათ, რომ იგინი რუსეთშიაც თა-
ვადის შვილობის ხარისხით იქმნენ ცნობილნიო; აი თვით ეს
წერილიც:

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ მეფე დავით სრულიად იმე-
რეთისა ვძლევთ ამას სამეფოს ფურცელსა სიმონსა და პეტ-
რესა სამეოფისა ჩვენისა. თავადის 'შვილთა და ერთგულთ
ყრმათა ჩვენთა ჩხეიძეთა და ამით განუცხადებთ, ყოველთა
ერთგულთა ყმათა ჩვენთა რათა ამათ თავადათ სიმონსა და
პეტრესა აქვნდესთ პატივი მათ და ყოველთა მათგან შთამო-
მავალთა თავადობისა ჩვენისა და რადგან სვიმონ და პეტრე
მისის იმპერატორობის დიდებულობის საფარველის ქვეშ ცხო-
ვრებენ იქაც აქვნდესთ (იქაც) ღირსება სამეფოსა თავადო-
ბისა ჩვენისა, მიეცათ ფურცელი ესე სამეფო, და დამტკიცე-
ბული იქმნა სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა სამეფოსა, ქალაქსა
შინა ჩვენსა ქუთაისს“.

წელსა განხორციელებიდგან სიტყვისა
ღვთისასა ივნის 13 დღესა მეფეობისა ჩვენისა
მესამესა წელსა 1782 ს.

ეს კოპიო გადმოწერილ იქმნა ნამდვილ ფურცელიდგან
დ. გაბ. ასლანიშვილს მიერ 1893წ. მოზდოკსა. ჩხეიძეებს
გარდა სხვებსაც დავიწყებიათ ქართული ენა, თუმცა მათ კარ-
გად იციან, რომ იგინი ქართველის ტომის შთამომავალი
არიან. ძველად მოზდოკის და ყიზლარის ქართველ კათოლი-

კენი ქართულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ დროების მეოხებამ და ბედმა მათ ქართული ენა დაავიწყა და სხვა შეათვისა. ასეთია მოზსდოკის და ყიზლარის ქართველთ კათოლიკეთ გვაროვნობის საქმე. მაგრამ მათ რა დაეძრახებათ, რუსეთში-კი არა და თვით შავშეთშიაც ასევე მოხდა და იქ ქართველ კათოლიკებმა ქართული ენის აღარაფერი იციან.

ჩვენის მაგალითების თანახმა ცნობებს წარმოადგენს პატივცემულის პატრის გაბრიელ ასლანიშვილის ცნობა*) შესახებ მის, როდესაც ერთ ქართულ გაზეთში მოზდოკის კათოლიკენი სომხის გვარის კათოლიკეთ იყვნენ დასახელებულნი. ამაზე აი რას მოგვითხრობს პატივცემული პატრი:

„გთხოვ უმორჩილესად თქვენ პატივცემულ გაზეთში დაუთმოთ რამდენიმე პწკარი შემდეგ განმარტებას. № 358 „ცნობის ფურცლის“ ფელეტონში ყოვლად მშვენიერად აღწერილი იყო უფ. კახაბერისაგან ღვთის მშობლის სასწაულთ მოქმედ ხატის მოსვენება მოზდოკიდგან კავკავში; მხოლოდ ავტორს მცირე შეცილება მოსვლია, რომელიც მოკლებულია სინამდვილეს.

კახაბერი ამბობს: „მოზდოკში, ყოველ წლობით ჩვეულებისამებრ 15 აგვისტოს, დღესასწაულობენ ღვთის მშობლის მიძინებას და მლოცველნი არა მხოლოდ არიან მართლ მადიდებელნი, არამედ მათთან ერთად შეერთებულნი სომეხთ კათოლიკენი და სომეხთ გრიგორიანნიო..."

დარწმუნებული ვარ, რომ კახაბერი არ მიიღებს საწყენად ამ ჩემს განმარტებას, ვინაიდგან 1893 წელს მე თვითონ გახლდი განწესებული მოძღვრად თვით მოზდოკში. შემლელად იმ რომის კათოლიკეთა მრევლისა, რომელნიც შესდგებიან ქართველთ ტომთაგან და ლათინის წესის კათოლიკეთაგან და არა სომეხ კათოლიკეთაგან. თვით მათი გვარტომობა დაუმტკიცებენ მოზდოკის კათოლიკეთა რომ იგინი არიან წამდვილად გვარით ქართველნი და სარწმუნოებით რომის

*) იხ. „ცნობის ფურცელი“.

კათოლიკენი. მაგალითად ჩხეიძეები, მაისურაძე, მამულაშვილი და საყვარელიძეები და სხ.

თუმც მართალია მოზდოკის კათოლიკეთა მცირედ იციან ქართული ენა, ესეც უნდა მივაწეროთ ჩვენი ქართველ კაცის გულგრილობას, რომ არ ვიქცევით, როგორათაც გვასწავლის მაცხოვარი თვის სახარებაში: „კაცს თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცდეს ერთი მათგანი არამე დაუტევნესა ოთხმოც და ათ ცხრამეტნი იგი მათ ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი."

ჩვენ, ქართველნი არა თუ ვცდილობთ ჩვენ გვარ-ტომნი განვამრავლოთ და უკეთუ საითმე კიდეთი ქვეყანისათა ჰგიეზენ სამკალობა აღმოუჩინოთ და შევკრიბოთ ერთად, არამედ

ჩვენის უზრუნველობით რაიც-კი შუა თვით საქართველოში ქართველ-კათოლიკენი მოიპოვებიან, იმათაც კი სხვა და სხვა გვაროვნობას ვაკუთნებთ. მიკვირს მართლად, რა მიზეზისა გამო ზოგიერთნი ვერ მიმხვდარან ამ სიბრძნის მოყვარეობის ანდაზას: „სახე არ შესცვლის არსებას“. რასაკვირველია ეს ასეც უნდა იყოს, რა დააშავეს ერთ მუჭა ქართველთ კათოლიკეთა, რომ ხან სომხებათ და ხან ფრანგებათ უწოდებენ? დრო არს მერწმუნეთ გამოვიღვიძოთ და პირველად განვარჩიოთ ჩვენ ნათელი ბნელისაგან, რათა შემდეგ სხვათაც შეიძლონ ჩვენი გვარტომობის გარჩევა.“

ჩვენ, აქ ქართველ კათოლიკეთა თავადაზნაურთა გვარების ცნობების მოყვანას რომ გავყვეთ, ეს ერთობ შორს წავა. ეს აქ მხოლოდ მაგალითად მოვიყვანეთ, რომ ქართველ კათოლიკეთ რიცხვი არამც თუ მარტოდ საქართველოში ყოფილა, არამედ ქართველ თავად აზნაურთ რიცხვი საქართველოს გარეშე ისეთ უცხო ადგილებსა და ქალაქებშიაც ყოფილა XVIII საუკუნიდამვე გამრავლებულა, როგორც იმ დროს ქართველთათვის მოზდოკი იყო. საქართველოში ხომ ძველადგანვე მრავლად იყვნენ ქართველ კათოლიკე თავადის შვილის გვარები.

ახალციხის ქართველ კათოლიკენი.

ახალციხის დაარსება მეტად ძველ დროს ეკუთვნის, ძველად მას ლომსია ერქვა. საქართველოს სამ სამეფოდ და 5სამ. გაყოფის შემდეგ, ახალციხე ათაბეგების (ჯაყელი) პირველ ქალაქათ ითვლებოდა, მაშინ ახალციხეს მთლად ქართველნი სცხოვრებდენ. 1629 წ. ახალციხე ოსმალებმა დაიჭირეს, იქით მუსულმანობის ვრცელება ადრევე დაიწყეს, ქართველებს ძალათ ათათრებდენ, ამ დროს, ქართველთ შორის კათოლიკობაც წინ იყო წასული. XVII საუკუნოდამ უფრო წინ წავიდა. ახალციხის მცხოვრებთ რიცხვი მთლათ ქართველ გვარის კათოლიკეთაგან შესდგებოდა. ოსმალის ხელში მყოფ ქართველ კათოლიკენი ვაჭრობას და აღებ-მიცემას შეეჩვივნენ, მათი სამთავრო ანუ სამეფო აღარ იყო, რომ მის არსებობის მეოხებით ხელში ხმალი და ხანჯალი სჭეროდათ, კულანდებურათ მტერი ეგერებინათ. ამის დრო და საჭიროება აღარ იყო, ამას მათს სამშობლოში ოსმალნი ასრულებდნენ. ამიტომ ქართველთ ხელში არშინი და დავთარი დაიჭირეს, ვაჭრობა დაიწყეს, ამისთვის აქეთ იქით მგზავრობაც. ძველად ახალციხეში ქართველ კათოლიკეთ რიცხვი დიდი იყო, იგინი ესახლნენ ახალციხიდამ ვიდრე ივლიტამდე. მათ სულ სახლები და დუქან ბაზარი ჰქონიათ, ყველა ეს სხვა და სხვა დროის ომებს და თავდასხმას მოუსპია. დღეს ახალციხის და ივლიტის შუა ამისი არაფერი ნიშანია დაშთენილი. ძველად ქართველ კათოლიკენი ვაჭრობას გარდა ხვნა თესვასაც მისლევდნენ. დროის კვალად, მათ კაი შეძლება ეკავათ ოსმალ-

თა დროს, ახალციხეში იგინი უპირველეს ხალხათ ითვლე-
ბოდნენ, თათრის ფაშები მათ პატივს უაღრესობით იპყრობ-
დენ.

დღეს, კათოლიკენი, ახალციხეს სცხოვრებენ ქალაქის
იმ ნაწილში, რომელსაც ძველი ქალაქი ეწოდება. კათოლი-
კეთ რიცხვი იქ 4000 სულამდე არის, ყველანი ქართველ
გვარისანი არიან, მათში კათოლიკეთ სარწმუნოების გავრცე-

ლების დასაწყისი XIII საუკუნიდამ იწყება. დღევანდელ კა-
თოლიკეთ მდგომარეობა მეტად უნუგეშოა, იგინი სცხოვრე-
ბენ ახალციხის ძველს ნაწილში, მაღლა, აღმართზედ, სადაც
მხოლოდ ჰაერია კარგი, თორემ სხვა რამ წარმოება ხელოს-
ნობა და ვაჭრობა იქ სულ დაცემულია, თითქმის არც კი
არსებობს. რაც არსებობს, იგიც მხოლოდ მათთვის, ე. ი.
ქართველ კათოლიკეთათვის. მათი სამწუხარო ასეთი გარემოე-
ბა დაბადა იმ პირობებმა, რომ 1829 რუსებმა ახალციხე
აიღეს, მას შემდეგ ქალაქი ძირს, ვაკეზედ გააშენეს. გარდა
ამისა აქ გადმოასახლეს არზრუმელი სომხები და საუკეთესო
ადგილები მათ დაურიგეს.

დღეს მთელი ახალციხის მოძრაობა, ამ ახალ მოსულს
სობებს უკავიათ ხელში, მთელი ქალაქის ავი და კარგი მხო-
ლოდ მათ ეკუთვნისთ, ვაჭრობა, ქარხნები, სახელოსნო დუ-
ქნები, ეტლები, სახლები, დუქნის შენობანი, სხვა და სხვა
საქმეები, მრეწვალობანი, ერთის სიტყვით დღეს ახალციხის მე-
ბატონე წარმომადგენელად მხოლოდ ეს მოსული სომხები
გახლავან. საცა რამ ბაღებია, ან სახნავი მიწები, ტყეები და
ჭალები სულ ამათ ეკუთვნისთ. აქაური ძირეული ქართველნი
კი ახალციხის მაღლა ძველს ქალაქში არიან შეკუნტული,
სადაც ჟამთა ვითარების მეოხებით დაძველებულ და განიერ
დაქცეულ ქოხმახების მეტი სხვა აღარაფერია დაშთენილი.
ძირს ახალს ნაწილში მშვენიერი შენობებია, რომლებიც
სხვებს ეკუთვნისთ და მაღლა კი უბრალო ქოხმახებია.

როგორც ვსთქვით, დღევანდელ ქართველ კათოლიკეთ
მდგომარეობა და მათთან ყველა იმათი, ვინც კი ამ ძველს
ნაწილში სცხოვრობენ თითქმის წყალწაღებული კაცის სუ-
რათს ჰგავს. ეს გარემოება ქართველ კათოლიკებმა ადრევე
შეიგნეს, მათ კარგათ ნახეს თავიანთი დაქვეითება და ამი-
ტომ ახალციხიდგან აქეთ იქით სხვა ქალაქებში იწყეს გარ-
დასახლება, მაგალითებრ იმერეთში გადასახლებას იგინი XVIII
საუკუნიდანვე იყვნენ შეჩვეულნი, ხოლო 1827 წლის შემ-
დეგიდამ უფრო მრავლად დაიწყეს, მას შემდეგ ტფილისშიაც

გადმოდიოდნენ და სხვაგანაც მიდიოდნენ, უკანასკნელ ბა-
თუმშიაც იწყეს გარდასახლება და დღეს ქუთაისს, ბათუმს და
სხვა კუთხის ქალაქებშიაც სადმე თუ ქართველ გვარის კათო-

ლიკენი სცხოვრობენ, მათი უმეტესი ნაწილი სულ ახალციხელები არიან. დაქვეითებულმა ცხოვრებამ დაფანტა იგინი და ახალციხეს მოაცილა, თორემ დღეს ახალციხეს, მარტოდ ქართველ კათოლიკეთ რიცხვი 10000 სულზედ მეტს თუ არა ნაკლები არ იქნებოდნენ. ერთის სიტყვით დღესაც კი ვისაც შეძლება აქვსთ მათში, ისინიც კი ამისთვის იღწვიან, რომ ძირეულს მამაპაპეულს კუთხეს მოსცილდეს და იქ გადასახლდნენ სადაც მათ აღებ-მიცემა და საქმიანობა ექნებათ.

თუმცა ესეთი ზნე და ჩვეულება ქართველის დარგს არ შეადგენს, თუმცა ქართველი ფრთხილია ძრიელ თავის სამშობლოდგან სხვაგან გადასახლებასა და დაფანტვაზედ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ კათოლიკეთ ისეთი ვითარება სულაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს საზოგადო მიზანს. ქართველი კათოლიკე ახალციხიდამ სხვა ტომის ქვეყანაში დროებით მიდის, იგი არას შემთხვევაში სომეხი კაცივით სხვის ქვეყანაში არ დარჩება, ახალციხეს თუ არა საქართველოში მაინც დასახლდება. ამით ისე ფრთხილნი არიან, რომ ქართველთ უცხოეთში არც თუ ცოცხალი რჩება, არამედ მკვდარსაც კი არ სტოვებენ. იქ დროებით მარხამენ და მერე საქართველოში მოაქვთ. ამის ნიშნები ჩვენში ათასია და მასთან ცხადიც რაც ჩვენი ტომის დარგათ უნდა ჩაითვალოს. რაჭველები, მეგრელები და გურულები თავიანთ მიცვალებულებს საქართველოშიაც კი მძიმეს გრძნობით სტოვებენ. ასევე ქართველ კათოლიკებმა იციან და მათ განსვლა ახალციხიდამ ჩვენ არ მიგვაჩნია ქართველი ტომის დასაღუპათ და დასაქსაქსად, არამედ მათი განსვლა დროებითია. სწორედ ეს დარგია ჩვენს ქვა კუთხე ძალათ და ამან მოგვაღწევინა ჩვენს ქვეყანაში დღემდე ფეხ უცვლელად.

თვით კათოლიკენი არიან მეამიტი ხალხი, უეშმაკო, ისე როგორც ქართველ კაცს შეჰფერის, ქალაქური ხრიკები და

შარები და მითქმა მოთქმა მათში სულ არ არსებობს. მთელს ძველს ქალაქში მხოლოდ ერთი ყავახანა არის და ოთხიც პატარა სასმელების დუქანი. საზოგადოთ, კათოლიკები აქ თავ-"შენახული ხალხია. შედარებით იგინი სიღნაღელებს, თელაველებს და გორელებზედ ათასჯერ მაღლა დგანან ყველაფრით. მთელი თვე რომ იცხოვროთ ამ ძველს ნაწილში, თქვენ ერთხელაც ვერ ნახავთ მთვრალ ხალხს, ჩხუბს, ან გინებას რამე ცუდი სახლების შენახვა ხომ აქ ჭაჭანებაც არ ყოფილა. ყოველი ოჯახი სიწყნარის და მშვიდობის წარმომადგენია, ურთიერთ შორის მათში არც დავი დარაბა იციან, არც მტრობა და განხეთქილება ისე, როგორც ეს სხვაგან არის ქართველთ შორის. ნათესავურ მიმართულების აზროვნებას მათში დიდი ადგილი უკავია. მოკლეთ უნდა ვსთქვათ, რომ ახალციხელ ქართველ კათოლიკეთ ყოფა ქცევა ათასჯერ სჯობია იქვე სწორე ალაგას მცხოვრებ ახალციხის სომხებისას, სადაც მტრობა, კონკურენცია, დავა, დარაბა, მეძავობა, ლოთობა, ქურ-

დობა და ბევრიც სხვა რამ ფართოთ არის გავრცელებული. ვინც კი იცხოვრებს ახალციხეს, ის ამას ორივე ტომის ერს მალე შეამჩნევს.

ასეთი საქებ თვისების არიან.ახალციხელი ქართველ კათოლიკენი, სანაქებო მეპურ მარილენი, ჭირსა და ლხინში მოყვრის და მეგობრის გამტანი და ბევრს საქმეში ადამიანობის ღირსებით საკმარისად დაჯილდოებულნი, ხოლო მათდა საუბედუროთ ბევრი კეთილის საქმისთვის ხელმოკლენი და ღარიბ ღატაკნი, რომელსაც არც დასასრული ეძლევა საიდამე და არც შველა, იგინი რჩებიან ჩვეულებრივ ღატაკს მდგომარეობაში და საბრალოთ სწუხან დროსა და გარემოებაზედ, რომ ბევრი დღეს თავის ქონებით ისიც აღარ არის, რაც ამ 100 წლის წინეთ ყოფილა. დრომა და მომავალმა, ჩვენდა საუბედუროდ, მცხოვრებთ შორის ბევრი ძველი წარჩინებული გვარის მოქალაქენი დააუძლურა და გააწყალა. ასეთ დაქვეითებულ შთამომავალთა რიცხვს თითო ოროლა წევრთ კიდევ ნახავთ აქა იქ, მაგრამ ერთობ უღონოს, უსახსროს. ვის ოჯახშიაც, ადრე

ღამეში ხუთი სამთელი აინთებოდა, დღეს იმ ოჯახში ერთ ნავთის ბოლიანი თუნუქა ღა ბჟუტავს. ვინც ადრე მზიან, კარგს, ოთახებში იდგნენ, ისინი დღეს ერთს პატარა მიწურს ძველს ქოხში არიან მოთავსებულნი, რომელთაც ესეც ლამის თავზედ დაექცესთ.

თვით ძველი ქალაქის ნაწილი ისეთის ქოხმახებისაგან შესდგება, რომლის სურათიც უფრო ძველებურს სოროებსა ჰგავს, ვიდრე კაცის სადგომს-საცხოვრებელს. ყველას სახლები მიწაშია მოთავსებულნი, კედლები მიწისა, ჭერიც მიწის პირას, სინათლე მეტათ ძვირია, ზოგი მეტად ძველიც არის, ნესტიანი, შმორისა და ზინტლის სულიც უხვათ იცის, სიცივეც შესაფერი აქვს, შუა გულს ზაფხულში, ერთ სახლში ნესტიანის მიწის კედლებისაგან ისე ცივოდა, რომ თითო პირმა ორორი საბანი დაიხურა, ქუჩებიც არის ერთობ ვიწრო, ოღრო-ჩოღრო, აღმართ-დაღმართი და დაუგველიც. აქ ჰაერი,წვიმა, და ქარი თუ გაწმენდს ქუჩებს, თორემ მცხოვრებნი არა დროს არ დაჰგვიან. ერთის სიტყვით სახლებისა და ქუჩების მხრივ ახალციხელნი უბედურნი არიან. ეს კიდევ არაფერი, ამათი უბედურებაზედ უბედურება წყალია – წყალი. მთელს ძველს ნაწილში ერთი კარგი წყაროც არ არის. მართალია ორი წყაროა, მაგრამ ორივე უვარგისნი, რადგანაც იგინი მრავალ უწმინდურ ადგილების გვერდით უბრალო თიხის მილებით არის გამოყვანილი. წყაროებიც მეტათ პატარებია, თითის ტოლაც არ არის. ზამთარში წყალი აქ ისე ძვირობს, რომ თითო ლიტრას ერთმანეთს მუდარებით ესესხებიან. ამის მხრით დიდს უბედურებაშია ჩავარდნილი ეს ძველი ნაწილი ახალციხის მცხოვრებთა.

როგორც კაცები, ისევე ახალციხელი ქართველ დედაკაცობაც მეტად წყნარის თვისების არიან, კეთილნი, ქმარ-

შვილში პატიოსნები, მაღალ სათნოების მექონნი, ჭრა-კერვის მიმდევარნი, მღვთას მოსავნი, მორიდებულნი, მუშაკნი ყველა საქმეში და ქებულნი ოჯახობაში. მთელს ძველს ნაწილის დედაკაცებთ შორის ერთსაც ვერ ნახავთ, რომ იგი ასეთი

მეჭორე კაპასი, ან მოურიდალი იყოს, როგორც ჩვენდა საუბედუროთ ეს სხვაგან სჩნდება ეხლა და ფეხსაც იდგამს. რაც შეეხება ამათ ჩაცმა, დახურვას და ჭამა-სმას ამაშიაც მეტად ზომიერნი არიან და ოჯახის და თავის შემნახავნი. ერთი უძლურება ამათი ის არის, რომ მეტის მეტი ღატაკნი არიან და შემბრალ-დამხმარე არავინა ჰყავთ. ისევ ურთიერთშორის თუ დაეხმარებიან რამეს თორემ სხვებისაგან მათ არა მოელისთ რა. ქალის გათხოვების წესები ისეთივეა, როგორც ჩვენში, ქორწილობა, ლხინი, ნათლობა და სხვაც ისე იციან. დასაფლავება, მგლოვიარობა და წირვის წესის გარდახდაც ჩვენებურად იციან, ქართულის სახით,ხოლო მცირედ უფრო იაფად რჩებიან, უფრო ადვილათ. რაც აქ ჩვენ ვსთქვით ახალციხის კათოლიკებზედ, იგივე ითქმის მთელს მესხეთის და ჯავახეთის ქართველ კათოლიკებზედაც.

ქართველ კათოლიკებში, როგორც ძველად, ისე შემდეგაც, ქართული წერა-კითხვა მრავალად იყო გავრცელებული. ქალმა თუ კაცმა თითქმის ყველამ იცოდა ქართული წერა-კითხვა, უამისობა მათში ძრიელ ძნელი იყო. კათოლიკე მაშინ უფრო წმინდა კათოლიკედ ითვლებოდა, როცა ის თვით შეიძლებდა ზოგიერთი ლოცვების წაკითხვას. ამ გარემოებას სამღვდელოებაც უწყობდა ხელს და ეხმარებოდა, იგინი დიდის ხალისით და სასოებით მოსავდნენ კათოლიკეთ კაცსა და ქალსა, ყოველთვის დაუზარებლივ ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ამ მოძღვართა მეოხებით მრევლში წერა-კითხვის გარდა მკურნალობაც იფინებოდა და შემდეგ დროებში, მკურნალობასა და წერა-კითხვაში მომზადებულ გლეხთაგან სხვა და სხვა სამკურნალო წიგნებიც გადიწერებოდა და იწერებოდა კიდევაც. ახალციხელები საეკლესიო საქმეთა პატივცემაში პირველნი ყოფილან, მიტომაც იყო ძველადგანვე მარტოდ ახალციხის ძველს ნაწილში სამი ეკლესია ჰქონდათ და მეოთხეც სოფ. ივლიტას, რომელიც დღეს ახალციხეზედვეა მოწერილი და იგიც ახალციხის ნაწილად ითვლება. ძველად ახალციხის კათოლიკეთ შორის, ქალებს წერა-კითხვას თვით ქალებივე ასწავლიდენ ოჯახებში და ვაჟებს ეკლესიის მოძღვარნი.

რაც შეეხება ქართველ კათოლიკეთ ვინაობას და მათ გვარის ისტორიას, ესეც როგორც ქართველის ერის სულ ქართული გვარი და სახელებია, ხოლო დრო, და დრო უცხო გვარად გადაკეთებულან. ზოგ გვარს ოსმალური წოდება მიუღია, ზოგს თავის ფორმა შესცვლია, ზოგი სომხურათ გადა-

კეთებულა, მაინც ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ გვარს ქართული სახელწოდების ნიშნები მაინც შერჩენია, ზოგს კი ნახევრადაც ეტყობა, ზოგს არაფერი დასტყობია, როგორც ძველი გვარი ყოფილა, ისევე იხმარება, ზოგს კი მაგალითებრ ისე შესცვლიათ, რომ ძველ სამცხის აზნაურის გვარის ხურსიძეებს XVII საუკუნის შემდეგიდამ ისრალოვი ანუ ისარლი აღასი სწოდებიათ. ისარელი ოსმალური სიტყვა არის, ასევე სხვებსაც გარდაკეთებიათ ძველი გვარები ქართველთა. მათ მაგიერ სულ სხვა ნაირის ფორმით სწოდებიათ. აი ესეც ზოგიერთი გვარები ახალციხის ქართველ კათოლიკეთა, რომელიც გამოვკრიფეთ ერთის ძველის ხელთნაწერის კონდაკიდამ.

დივანანთი, სართალათი, მელიქანთი, თათულათი, ამრეხიანთი, ყანდინათი, ნიჯორელი, კლდიელი, ლაქაანთი, პაპიდათი, ხიზანათი, გულასპათი, კრუხათი, გორელი, ნანუათი, გულხუღანთი, ბერბელათი, ბეროთი, ნარიბეგათი, ნასყიდათი, აწყვერელი, ტრაპიზონელი, ხიზაბარველი, კრუხიჭამიათ, უდელი, მარჯალათი, ნავროზათი, ტყიხათი, მალხაზათი, ლოკორათი, ჭიჭიკათი, ფარუათი, ქუთათელი, ქათამათი, სხარელი, არლელი, სათლელი, კბიელი,დოდორელათი, ქოცეცათი, მესარკიანთ, სოლომანთი,ბაბუნათი, ოცხელი, ჩიტანთი, კენჭიათი, ხირინეთი, რუათი, თაყიანთი, მებამბიანთი, ბობელათი, ტეტიათი, ნარუანთი, მალაქათი, ნინიათ, ჭოჭუათი, დედეათი, მებოხჩიანთი, კანდელაკიანთი, გლახათი, გლოროთი, ჯაქიათი, მელქიანთი, ბეჟათი, გულიათი, გობერდათი, თუმბელათი, ფისირათი, ბერომელათი, მურვანათი, ჯარჯაფათი, ქვიკენტათი, ნანათი, ტიტინათი, ბაგელათი, კორთამათი, ბეშქენათი, ნადირათი, გედათი, ელიოზათი, კოკათი, სრაბოლათი, კიკინათი, სადარათი, ნებიერათი, ტოლათი, მამაჯანთი,

კოჭოთი, ხოშათი, მადრაბეთი, ფათარათი, ოქრაუთი ღანჯუათი, ავთანდილათი, გარსევანათი, ჭრელათი, ლიფსიათი, კიჭიათი, აბესალათი, ბაქათი, ჭუჭულათი, ნამლიათი, კაკუათი, კუჭათი, მელარაათი, ბოსტიათი, ტლიჭუათი, წვენიათი, აბასაძე, მელჩუნათი, ჩინტათი, ჩაქელათი, პურდათი, კაკანათი, მეყარათი, ყრუათი, ბაგინათი, ყაყათი, მოცათი, დარბანათი, ნაზვრეტათი, კენჭიხაშათი, კიკინათი, ხორველათი, ვოცეცათი, ჭოჭუათი, ყვარყვარათი, კოპინათი, შერგილანთი, გელგელჭარათი, მეხრიანთი, ვეცათი, რომანათი, მწარეპანტათი, ფარემუზათი, მახარაბლიანთი, ფახათი, ფუშრუქათი, რატიათი, რამაზათი, ჭიაბურათი, ჩიტირეკათი, პურდათი, პრიათი, ოთარათი.

ქვემო ეკლესის: ოქრობაგეთელი, მანანელი, სათლელი, არტაანელი, არტანუჯელი, არსიანელი, ხეველი, კოლელი, ირიზელი, შავშელი.

ამ გვარების გარდაკეთების ხანათ ჩვენ მიგვაჩნია XVIII საუკუნე, როცა ახალციხეში კათოლიკენი ლათინის წესრიგს ეკუთვნოდენ და მათს საეკლესიო საქმეებს პატრები განაგებ-

დნენ. ამ გვარების ასე გადაკეთება მხოლოთ ლათინის პატ-
რებმა იცოდნენ, რომელნიც ევრობიდგან მოდიოდნენ საქარ-
თველოში. მათვე ასე გადააკეთეს გორის და თბილისის ქარ-
თველ კათოლიკეთ გვარებიც. მაგალითებრ თვით დღესაც კი
რომში ცნობილი მიხეილ თამარაშვილი – თამარათათ იწოდება.
ასე გვარის წოდება ვგონები იტალიის ენის ფორმასაც ძრიელ
უახლოვდება, მიტომაც უყვარდათ პატრებს ასე გადაკეთება,
შემდეგ დროებშიკი, როცა პატრების გავლენა შესუსტდა და
ლათინის ტიბიკონზედ მდგარი ქართველ გვარის კათოლიკენი
სომხის კათოლიკის ტიბიკონზედ იქმნენ გადაყვანილი, მაშინ-
კი ახალციხელთ შორისაც გაჩდენ სომხური გვარები, რასა-
კვირველია იანცების თანადართვით. ასეთ გარდასხვაფერე-
ბულ გვარის წევრთა ჩვენ დრომდისაც მრავლად მოაღწიეს. აი
ესეც სახელები იმ ქართველ კათოლიკეთა, რომელთაც ძველა-
დგანვე სწოდებოდათ:

როსტომი, ზურაბი, საბა, დალა, ელისაბარი, ბეჟანი,
შალვა, გურგენი, ქაიხოსრო, ბერუვა, ამირანა, დარჩია, სფ-
ლია, ილოვათა, ნანო, ფარსადანი, ქრისტესია, ავთანდილი,
მალხაზო, ბატონა, მზა, ჭარო, ვარდო, ზენო, ნაგულა, ბე-
ჟუა, გოდერძა, რევაზი, მაჭა, ძაჯა, გლახა, აღდგომელა, მა-
მუჩარა, ბაქარა, ვარძიგულა, მიგიტა, ლამაზა, მამგლა, კაკოი,
შაქარა, ბატუ, პაატა, ნონო, ერეკლე, სარარა, სუპ, ხარა,
შტოპი, მზეჭაბუკი, ოქროპირა.

ეს სახელები მამაკაცებთ შორის ქართველ კათოლიკებში
ძველადგანვე იხმარება, ხოლო XVIII საუკუნის ნახევრიდგან
კი ისპობა. აი ესეც ქალების სახელები:

რუსუდანა, ასთანდარა, მზისანდარა, მზექალა, გულუხ-
ჩა, გულქანა, იაგუნდა, ლალება,თინათითინა, თუთუშა, მანი-
ჟავა, თურეანდა, დულო, დარეჯანა, ხორეშანა, თინა, აფე-
ლა, ქეთევანა, ნათელა, ხვარამზე, ანაქალა, თუთა, ლალისხა-
ნა, გულახარა, დედაქალა, თამარი, ვარდა, მანია, მარინე,
გუგუნა, კაკლო, გუნდო, ფოფალა, და მრავალიც სხვანი. აქ
თქვენ შეამცნევთ, რომ ესევე სახელები გორშიაც იხმარებოდა.
და მესხეთის და ჯავახეთის ყველა ქართველთ კათოლიკებში-
აცა, ამიტომ ამ სახელებს სხვაგან აღარ ვახსენებთ, რადგანაც
ეს ერთი და იგივეობა გამოვა. ხოლო ისკი უნდა ითქვას, რომ
როგორც მამაკაცებთ შორის ისე დედაკაცებთ შორის ამ სახე-
ლებმა XVIII საუკუნის შემდეგიდამ მოსპობა იწყო. დღეს
მათში ეს ნატამალობს. ქართველ კათოლიკებს, ახალციხეში
მრავალი მტერი ჰყავდა, ერთის მხრით ოსმალეთის მთავრობა
მტრობდა, მეორეს მხრით აჭარელები და მესამეს მხრითა დრო-
თა მიერ მონარუქებული გარემოება. მაინც ახალციხელნი ყვე-
ლა ამ მტრებს წინ უხვდებოდენ და მათ მუცელს აოკებდნენ,
ხან მკლავით და ხან ფულით აწყნარებდნენ მათ. ასე იყო მა-
შინ ახალციხელთ საქმე. ხომ მოგეხსენებათ, „ხე რომ წაიქ-
ცევა, ცულიანი და უცულო ზედ მიადგებოდაო“. ახალცი-

ხელ ქართველ კათოლიკებსაც ასე მოუვიდათ. მას შემდეგ რაც სამცხე ოსმალმა დაიკავა, კათოლიკეთ საქმეც ძრიელ ცუდათ

წავიდა, ხალხს ცალკე ცხოვრება უჭირდებოდა მათგან და კათოლიკის მღვდლებსაც ძრიელ გაუჭირდათ საქმე. რაც ახალციხეს და მთელს სამცხე-საათაბაგოში ქართველი გვარის კათოლიკენი არიან, ყველა იგინი კათოლიკობასთან დაკავშირებულ იქმნენ მხოლოდ მაშინ როცა სამცხე საათაბაგო ათაბაგ ჯაყელებს ექვემდებარეობდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჯაყელების გვარიდამ კათოლიკობას ყველა უაღრესად სცემდა პატივს. ახალციხის კათოლიკობას მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვს ქართველთ წინაშე, იგინი იყვნენ ფარი და ხმალი ყველა ქართველთ ტყვეებისა, რომელთაც კი ოსმალნი იტაცავდენ, ან ქართველთ მებატონენი ჰყიდნენ თათრებზედ, მერე ამათ ახალციხელნი იხსნიდნენ. ახალციხელნივე იყვნენ მფარველნი მთელს მესხეთის კათოლიკობის, ქართველ მართლმადიდებლების და მრავალიც სხვების. მათი ძალა და ქონება სულ ქართველთ ტყვეთა და დევნილთ საჭიროებას ხმარდებოდა, იგინი ყველას მალამონი იყვნენ. ამას გარდა იგინივე დიდათ ეხმარებოდნენ ქართველთ მეფეებს და ოსმალთა ფაშების ცნობებს, რაც კი საქართველოს დაღუპვას შეეხებოდა ყველაფერს სისწორით ატყობინებდნენ.

ასეთ უტყუარ ჭეშმარიტების ფაქტს წარმოგვიდგენს ხურსიძეების (ისარლოვები) ამბავი, რომელნიც ქართველ მეფეებს სულით და გულით ევედრებოდნენ, რომ ამათ ოსმალთათვის ომი დაეწყოთ და ახალციხე და მის კუთხეები წაერთმიათ, რაშიაც თვითაც იღებდნენ მონაწილებას. ასეთი ღვაწლი მიუძღვით ახალციხელთ ქართველთ წინაშე და დღეს კი ამ ღვაწლდებულ შთამომავალთ საქმე ისეა დაქვეითებული, რომ ახალციხეში კათოლიკებს არა აქვსთ ერთი სახალხო სკოლა, რასაკვირველია შეუძლებლობის გამო, არა ჰყავთ ერთი მოწაფე თფილისის ალექსანდროვის ინსტიტუტში, ან სხვაგან სადმე ასეთ სასწავლებელში, არა აქვსთ სხვა რამ საქველმოქმელ წრეები. ერთის სიტყვით, სიღარიბის მეოხებით ლამის სახლ-კარი თავზედ დაექცეთ, ლამის სულ ახალციხის სომხების მონებათ გახდენ სიღარიბის გამო. ამ დროს კი, ქართ-

ველთ კათოლიკეთ მდიდრები თფილისის სამოქალაქო გამგეობას ნახევარ მილიონობით სწირვენ. მერე ისიც ვისთვის, უწყის ღმერთმან, ჩვენ აქ მტრობით არას ვამბობთ, გვენატრება მხოლოდ ის, რომ ვინც უფრო ღარიბია დახმარებაც იმას უნდა მიეცეს, სომეხია, ქართველი, თუ თათარი ეს ორივ ერთია, ხოლო ჩვენ შორის ჭეშმარიტი შეხედულება და გარჩევა უნდა იქმნეს სახეში მიღებული. რაც შეეხება კათოლიკეთ სამღვდელოებას, მათს შუა გულ ადგილათაც მარტოდ-

ეს ახალციხე ითვლებოდა. ყველა საეკკლესიო კითხვები აქ სწარმოებდა, აქ იყო სამღვდელუფროსო კრება და მის გამგე, აქ განიბჭებოდა ყველა სასულიერო საქმე და მერე თუ ვერ მორიგდებოდა, კონსტანტინეპოლს კათოლიკეთ ეპისკოპოსის გამგეობას გადაეცემოდა. ახალციხეში ძველადგანვე შესანიშნი ქართველ კათოლიკეთ მღვდელნი ყოფილან, ბევრს უმწყესია ახალციხის ეკკლესიაში ნათლად და კარგათ. ნამეტურ ივანე ნათლის ცემელის ეკკლესიაში. აქ იყვნენ დეკანოზებათ ისეთი მოძღვარნი, ისეთი შემძლე პირნი, რომელთაც თავიანთ სახლში სამღვდელო სასწავლებელიც ჰქონდათ და ქართველ კათოლიკეთათვის მღვდლებსაც ამზადებდენ. ასეთ შემძლე მოძღვართ ითვლებიან პავლე შაჰყულიანი, გრ. მეფისოვი, ანტონ ხუცისშვილი, და მრავალიც სხვანი. ჩვენ აქ ბევრს აღარას ვიტყვით, გავიხსენებთ მხოლოთ იმას, რომ ახალციხის ქართველ კათოლიკეთ მდგომარეობა ძრიელ სამწუხარო პირობებშია მოთავსებული. მათ თუ განათლების, ვაჭრობის და ხელოსნობის მხრით არა ეშველათრა, დროის განმავლობაში სულ ნელნელა წავლენ აქეთ იქით ისე, რომ უკანასკნელ იქ აღარავინ დაშთება. ამის ნიშნები უკვე ჩვენ კარგათ ვიცით და ამიტომ აქ ასე თამამათ ვსჯით.

ქართლის (გორის) ქართველ კათოლიკენი.

ქართლში – კათოლიკობა ყველაზედ წინეთ გორში აღორძინდა. გორის ქართველთ კათოლიკეთ რიცხვის გაჩენა თით-

ქმის იმ დროს ეკუთვნის, როცა კათოლიკობამ ქართველთ შორის, სამცხე საათაბაგოშიაც იჩინა თავი და წარმატებას მიეცა. პირველ დროის შემდეგ, კათოლიკობამ გორში ისეთი წარმატებითი მსვლელობა არ მიიღო, როგორც სამცხე-სათაბაგოს. ამას რასაკვირველია თავის განკერძოებული მიზეზი აქვს. თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ მაინცა და მაინც ეს არც გორში იქმნა შეზღუდვილი, დროის და გარემოების კვალად აქაც იდგამდა ფეხს და ნელ-ნელა გორიდამ სხვა და სხვა სოფლებშიაც იდგამდა ფეხს. მაგალითებრ გორს გარდა ქართველ კათოლიკეთ რიცხვი არსებობდა ცხინვალს, ატენს, შინდისს, არაშენდას, ხელთუბანს, ხანდაკს, მუხრანს, კარალეთს, ტყვიავს, რუისს, დუშეთს და სხვაგანაც. მართალია რიცხვით ესენი მრავლად არ ყოფილან, მაგრამ ცხინვალს გარდა ყველა სოფელში ოროლ-სამი კომლი მაინც ყოფილან. ამის უმთავრეს საფუძვლათ ჩვენ მიგვაჩნია გორელ კათოლიკების ნათესავური, ანუ მეგობრული კავშირი სოფლის ხალხთან, ურომლისობა რაც არც შეიძლებოდა, ვფიქრობთ, რომ იმ დროს კათოლიკებში დიდი სიმტკიცის ქსელი იქნებოდა გავლებული.

როგორც შევამჩნევთ, გორის კათოლიკეთ გარეშე სხვა და სხვა სოფლებში კათოლიკობა უფრო ისეთ ოჯახობაში

იფინებოდა, რომელნიც უფრო წარმატებით იყვნენ შემოსილ-
ნი, ანუ შეძლება და ცხოვრების სახსარი უფრო მეტი ჰქონ-
დათ, უმრავლესობასაგანაც თვალთ საჩინოდ განირჩეოდნენ. სწო-
რეთ ამის მიზეზებათ და საფუძვლათაც უნდა ჩაითვალოს ის
გარემოება, რომ ყველგან, სადაც კი ასეთი ქართველობა სჩნდე-
ბოდა და იგინი სარწმუნოებას იცვლიდნენ, ყველა იგინი სჩნდე-
ბოდენ უფრო მიხვედრილ ხალხად, მათ სრული წარმოდგენა
ჰქონდათ არა მარტო თავიანთ შინაურს საქმეებზედ და ცხო-
ვრებაზედ, არამედ საზოგადო კითხვებზედ, სარწმუნოებრივ
კითხვებზედაც და უკეთუ რომ ვსთქვათ საერთოდ ყველაფერ-
ზედ. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ უბირი ტეტია კაცი
ისეთ ცვლილებას ვერ გაბედავდა, რადგანაც მის გაგებაც არ

ექნებოდა. იქ კი ჩვენ სულ წინაღმღეგს ვხედავთ. კათოლიკენი
ახალ სარწმუნოების მიღების შემდეგ სხვებთან ბევრათ მაღლა
მდგარათ სჩანან, იგინი თავიანთ ცხოვრებას სამაგალითოდ
ბრწყენენ და ამ გაბრწყენას, როგორც ეს ჩვენ სხვაგანაც
გვითქვამს, მათი მოძღვარნიც უწყობდნენ ხელს და აძლიერე-
ბდნენ წარმატებას მოძრაობით. ამას ეჭვი არ უნდა, რადგა-
ნაც კარგათ ვიცით, რომ თვით სამღვდელოების მოქმედების
წესდების უპირველეს მუხლს ეს შეადგენდა. გორის კათოლი-
კენი მაღლა დადგნენ სხვათა მცხოვრებლებზედ, ესენი სხვების
წინაშე სამაგალითოდ გახდენ და მისაბაძათ. ამათში ძველად-
განვე იჩინა თავი ხელოსნობის და ვაჭრობის აღორძინების
დასაწყისმა, მათში გაჩდენ ისეთი ვაჭრებიც, რომელნიც სხვა
და სხვა ქვეყნებშიაც მოგზაურობდენ და ვაჭრობდნენ. რაც
შეეხება ხვნა-თესვას, ანუ მეურნეობას, არც ამაში ყოფილან
უკან ჩამორჩენილნი. ამის ნიჭიერება მათი ძველი მემკვიდრეო-
ბა ყოფილა, ძველი ნარუქი, შემდეგ-კი ანუ ევროპის სამღვდე-
ლოთა მეოხებით მათში სხვაც ბევრი რამ საქმეთა პატივის-
ცემის მიმდევრობა აღორძინებულა. ამიტომაც გორელებში,
ქართველ კათოლიკობაში, ძველადგანვე სჩანან ხარაზი, ჭონი,
მეშანდლე, მესამთლე, ოქრომჭედელი, ქურქჩი, დალაქი, კა-
ლატოზი, დურგალი, მერკინე, მექვაბე. ვაჭრებს შორის
მეჩითე, მეწვრიმალე, ალაფი, მებამბე, და სხვანი. რომელთ
ვაჭართათვის საჭირო ყოფილა ზარაფნიც და თვით XVIII
საუკუნის ნახევარს, გორში ორი ზარაფი ყოფილა. ორი ზა-
რაფი, ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად დიდ საქმეთ მიგვა-
ჩნია და მასთან საყურადღებოა ზარაფთა არსებობის ვითა-
რების გაცნობა. უნდა ვსთქვათ, რომ გორს გარდა, კათო-
ლიკენი სხვაგანაც სადაც-კი ყოფილან ქართულს სოფ-
ლებში, ყველგან იგინი ვაჭრობის, ხელოსნობის, მეურნეობის
გზაზედ დამდგარან და ამ საქმეთა ასპარეზედ ფეხიც კარგათ
გაუმაგრებიათ .

ძველად, გორში თუ რამოდოლად ყოფილა კათოლიკეთ
რიცხვი გამრავლებული, ეს სჩანს შემდეგის გვარებიდამაც,

რომელ გვარის ქართველ კათოლიკენი გორში XVIII საუ-
კუნის დამლევამდისაც-კი სცხოვრებდენ. შემდეგ-კი, სხვა და
სხვა პირობების მეოხებით აქ ბევრმა იწყო მოსპობა და უკა-
ნასკნელ სულაც მოისპენ გორს. მიზეზი ამის მრავალნაირია.
აქ ჩვენ ამას არ შევეხებით, მარტოდ გვარებს დავასახე-
ლებთ. სამაგალითოდ, აი ესეც ძველი გვარები ქართველ კა-
თოლიკეთა:

ხოსრუაშვილი, (დღეს ხოსროევი), ანდრონიკაშვილი, ჯუ-
ლაბაშვილი, ბეზირგანისშვილი, ყანდინაშილი, დავრისაშვილი,
მებურნუთეშვილი, (პატრების ყმა) ღარიბაშვილი, კასკანაშვი-
ლი, მეშანდლესშვილი, ბაქრაძე (კარალეთელი) ალპაპაშვილი,
მეჯანიკაშვილი, ამირაღაშვილი, ქამბურნათისშვილ, ჩილბაჩი-
შვილი, შაუაშვილი, შიმშიაშვილი, ნაცვლიშვილი, ზუბალა-
შვილები, ზუბაანთი, მამულაშვილი შიხინაშვილი, გალუსტა-
შვილი, სააკაშვილი, ბიბუაშვილი, აფრიაშვილი, ჯიქშიაშვილი,
არჩილაშვილი, თარალაშვილი, დავითაშვილი, შეშაბურელი,
ფარემუზაშვილი, ყულუმბიაშვილი, გოგიაშვილი, ჯაფარაშვილი,
ულუმიაშვილი, ბაქრაძე, პოღოსაშვილი, მესარკოვი, ჩიქოვა-
ნი, მაკარაშვილი, ბეჟანოვი, ყორხმაზიშვილი, ანტონაშვი-
ლი, მალხაზაშვილი, ნარეკლიშვილი, გერასიმეშვილი, ჩოლო-
ყაშვილი, მისდურაშვილი, გოგილაშვილი, მამასახლისშვილი,
ადუკაშვილა, თუთულაშვილი, ურუაშვილი, შავრაშიძე, სამუ-
ელაშვილი ჯიკაშვილი, გიორგობიანი, ამრივაანთ, გოდერძია-
ნი, ხუდადელი, როსტევანიშვილი, მკერვაშვილი, (სტე-
ფანე 1780 წ.)დიარაშვილი, (1780 წ.)დათუაშვილი, ჩარჩი-
შვილი, (ჩარჩიევი) ყანწიშვილი, ზაალიშვილი, ლალმისაშვი-
ლი, პაატაშვილი, ფისუდურაშვილი. პაპუნანი, მამუჩარაშვილი,
გაბოაანთ მღვდლისასშვილი, ფირუმაშვილი, ზარაფიშვილი,
ყირმიზაშვილი, ოჰანჯანაშვილი, სტეფანეშვილი, (ზარაფი
1788 წ.) ბერბუკაშვილი, ხითარაშვილი, თემურაშვილი, ტუ-
ლუკაშვილი, ამსუაშვილი, ალიბეგაშვილი, ტერუაშვილი, (მე-
ზარ ნიშე), ქურქჩიშვილი, მემანდარბაშიშვილი, ყორღანაშვი-
ლი, მურადაშვილი, თავლიდარაშვილი, ჭოჭუაშვილი, ჭარა-

შვილი, (აზნაური) ჯაშნიაშვილი, დადამაშვილი, ლელაშვილი,
ჭანჭუაშვილი. (მოსდოკელი) ტიღაშვილი, მოქალაქე იავრინო-
ვი, გვარამდინისშვილი, ფიბუაშვილი, იექაშვილი და მრავა-
ლიც სხვანი ენით მოუთვლელნი.

ყველა ესენი თავიანთ დროის კვალად პირველ ოჯახის-
შვილებათ ითვლებოდენ ყველგან, მემამულებათ გორსა და აქა
იქ სოფლებშიაც, გარდა ამის სულ მეურნე, ხელოსნები და
ვაჭრებიც ყოფილან. ამათ წარმატებას მათი მღვდლები უფრო
აფართოვებდნენ. მათში სჩანან ისეთ იშვიათ ხელობის კაცნიც,
როგორიც ყოფილა ხელობა ბეზარნიშე, თავლიდარი და ზო-
გიც სხვანი. აღსანიშნავია, რომ ბევრნი ამათში გაკეთებული

კაცნიც ყოფილან. ამათის მეოხებით გორში ქართველი მოქალაქობა ძველადგანვე დაარსებულა, გორის მოქალაქეთა შორის ძველადგანვე სჩანან მრავალნი. მოქალაქეთ გარდა აზნაურისშვილებიც ურევიან და თავადნიც. თავადნი არიან ხელთუბნელი თუმანისშვილები, რომელთა კათოლიკობასთან დაკავშირების ხანა 1650 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელი თავადის თუმანიშვილების რამდენიმე ოჯახი სჩანს XVIII საუკუნის ნახევრამდე. ჰაზრი არის დაშთენილი, რომ ოზურგეთელ თუმანიშვილები ძველად ხელთუბნიდამ უნდა იყვნენ გასულნი იმერეთს, შემდგომ სამცხეს და გურიას გადასულნი, რაის გამო მათ თავიანთი წოდების ცნობაც დაუკარგავსთ. 1815 წლებს, გურიელი დავითი ჰპირდებოდა მათ აღდგენას. ამ გვარის გარდა კათოლიკ თავადის შვილების გორში ყოფილან ანდრონიკაშვილები, ვგონებთ კახეთიდგან გადმოსულნი ძველადგანვე, XVIII საუკ. ჩიქუანი და ორბელიანი (თფილისელი) და აზნაურისშვილების ბაქრაძე, ყანდინაშვილი, ჭარაშვილი, გაბუნია, გოდერძიშვილი, გიორგობიანი, გიგილაშვილი, ავთანდილისშვილი, ბეზირგანისშვილი და მრავალიც სხვანი, რომელთაც ჩვენ აქ არ ვახსენებთ.

ზოგი გვარის წევრთა რიცხვი სამი და ოთხის მოსახლისგან შესდგება, მაგალითებრ ასეთია ზუბალაშვილი, სააკაშვილები, დავრიშაშვილი, შიიხნაშკილი, ყლუბაშვილი, ანდრო-

ნიკაშვილი, ბაქრაძე და მრავალიც სხვანი. დღეს კი ამ ძველი გვარების მეოცე ნაწილიც აღარ სცხოვრობენ გორში. ხსენებული გვარები-კი გორში XVIII საუკუნემდე მრავალობდენ, მას შემდეგ მათ აქეთ იქით იწყეს განსვლა, ზოგი ვაჭრობის მხრით, ზოგი სხვა და სხვა საქმეების მეოხებით, ისე რომ დღეს გორში სულ ხუთ ექვს გვარსღა ჰპოვებთ ქართველ კათოლიკეთ. აქ საოცრება ერთი ის არის, რომ ყველა ამ პირებმა აქეთ იქით გასვლის შემდეგ თავისი გვარებიც გადაიკეთეს. მათში გვარების გადაკეთება 1829 წლიდგან შემოდის, იჩების მიმატების ხანაც იმავე დროს ეკუთვნის. უნდა მოგახსენოთ, რომ რა გარემოებაც გორის კათოლიკებთ შორის დატრიალდა და იქ ამან მათ რიცხვი მოსპო, შეამცირა, სწორედ იგივე გარემოება დატრიალდა გორის ახლო მახლო მდებარე სოფლის ქართველ კათოლიკებშიაცა და აქაც ისევე იწყეს შემცირება როგორც გორს. მაგალითებრ, დღეს გორის მაზრის სოფლებში თქვენ ერთ მოსახლესაც ვეღარ ნახავთ, რომ ის კათოლიკობას ეკუთვნოდეს. საით წავიდენ და გაქრენ ყველა ესენი, ამისი კაცმა არა იცის რა. ქართველ კათოლიკეთ სახლიკაცთ მართლმადიდებელთ რიცხვს კი აქა იქ მრავლად ჰპოვებთ და მათში ზოგნი გრიგორიანებიც არიან. ზემოთ მოყვანილის გარემოებიდამ სცნავთ, რომ უმეტესი ნაწილი კათოლიკებისა ნამდვილს ქართულის გვარისანი არიან.

შეიძლება ბევრისთვის ეს ქართული გვარებიც არ იქმნეს საკმარისად და მათ რამე ეჭვი აღიარონ კათოლიკეთ ქართვე-

ლობაზედ, ამიტომ ახლა ჩვენ აქედგან მოვიყვანთ თვით კა-
თოლიკეთა სახელებსაც, რომელნიც უფრო კარგათ დაასაბუ-
თებენ. ეს სახელები ჩვენ გამოვკრიბეთ გორის ეკლესიის ძვე-
ლის წიგნებიდგან. მაგალითებრ ქალის სახელები:

რუსუდანი, იაგუნდა, ნათელა, ქალება, მარეხა, თამარი,
ხორეშანა, ეფემია, დარეჯანა, თინათინი, ელისუა, მაია, ფა-
შახათუნ, ანახანუმ, ისმინა, ნენია, და სხვაც მრავალნი. კა-
ცის სახელები:

შიხი, ზალი, ბეჟანი, როსტევანი, იასე, ავთანდილი, პაატა,

დათუნა, ფარსადანი, ხოშია, ნონია, გლახა, გოგია, მიქელა,
და სხვაც მრავალნი ენით მოუთვლელნი. საინტერესოა აქ გო-
რის კაროლიკეთა შორის ეს გარემოებაც, რომ გორში სცხო-
ვრობენ ყიზლარიდგან მოსული ქართველი კითოლიკენი, მოს-
დოკიდამ, ახალციხიდგან, ქუთაისიდამ და თვით ივლიტიდა-
მაც, სადაც დღეს ხუთი კომლიღა სცხოვრებს. საყურადღებოა
აგრეთვე ისიც რომ 1810 გორში მოიხსენება ერთი კათო-
ლიკის დედაკაცი, ასული „წმინდა სარწმუნოებისათვის დევ-
ნილი ანასტასია" (!) მეორე ქალი არს სოფ. ველელი. ველი
არდაჰანის ხეობაში სძევს, დღეს იქ ქართული ენის აღარავინ
რა იცის. სჩანს 1800 წლებში, ველელებმა ქართული ენა
კარგათ იცოდენ და თავიანთ თანამორწმუნე ქართველ კათო-
ლიკეთ ხსოვნასაც კარგი ჰქონდათ, რომ ქართლშიაც მოდიოდ-
ნენ.

გორელ კათოლიკებს მაინც ჩვეულებათ ჰქონდათ ყველა
დევნილ და ღარიბთ მიკედლება და ხელის გამართვა. ეს ცხა-
დათ მტკიცდება იმ გარემოებიდამაც, რომ გორის პატრებს
XVIII საუკუნეში, გორსა და სხვა და სხვა სოფლებში მრა-
ვალი ყმები ჰყვანდათ და იგინი იმ ყმებს კარგათაც ჰპატ-
რონობდნენ. მათვე გორის კათოლიკეთ მცხოვრებნიც ეხმა-
რებოდნენ. მაინც გორელ კათოლიკებს ჩვეულებათ დაჰყვათ
მხნეთ ყოფნა და მოქმედება. აი კიდევ მაგალითი, 1701 წ.
თფილისს, ქართველ კათოლიკეთ შეუდგენიათ და დაუარსე-
ბიათ, „სავარდისის" ძმობა. ამათისავე მიბაძვით დაუარსებიათ
გორელ კათოლიკებსაც. მოგვითხრობე, რომ 1755 წ. რად-
განაც ფრანგის პატრებს საქართველოდამ ექსორია უყვეს,
ამიტომ გორის კათოლიკეთ ძმობაც დაიხურაო. შემდგომ 1755
წ. ეს ძმობა აღარ ყოფილა ქ. გორს. 1760 წ. პატრებს კვა-
ლად მიეცათ ნება საქართველოში ყოფნის, მაგრამ ძმობა კი
ვეღარ განაახლეს. 1780 წ. დანიშნულ იქმნა პატრი ანდრია
პალერმელი, რომელმაც მართლაც და კვალად განაახლა ხსე-
ნებული ძმობა. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ძმობის დაარსება
იმ დროის ქართველთაგან და ისიც დევნილ კათოლიკეთაგან,

ჩვენ ერთობ დიდს საყურადღებო საქმეთ მიგვაჩნია. შემდგომ

ამის ეს ძმობა აღარ მოსპობილა და დღემდეც არსებობს ქ. გორს, კათოლიკეთ ეკლესიის მახლობლივ.

ძველად ამ ძმობას ეკუთვნოდენ ყველა ის კათოლიკენი, რომელნიც-კი ქართლის სოფლებში სცხოვრებდენ. მაგალითებრ ცხინვალს, ალს, ალელათ ბეჟან ამირაღაშვილია მოხსენებული 1788 წ. გორელი ჭონბერუაშვილი, მოსდოკს მოვაჭრე, ხელთუბნელი თავადი თუმანიშვილი, რუისელი ორმოსიძე და სხვა. ატენელი ნერსესა მიც. 1780 წ. შინდისელი ალუყაშვილი, არაშინდელი 1803 წ. ხანდაკელი, ჩიხარელი მეჩითე თამაზა 1785 წ. ცნობა სჩანს, რომ კეთილ ვაჭრობის მოწყობის გულისთვის გორის კათოლიკებს გორისავე გრიგორიანები დიდათ ემტერებოდნენ. მათში ვაჭრობის საქმე განხეთქილებას სთესდა. კათოლიკენი ყოველთვის სჯობნიდენ სინდისიერის ვაჭრობით. საქმე ისე მოაწყეს გრიგორიანებმა, რომ თვისკენ გადიბირეს ერთი კათოლიკის მღებრიშვილის მეუღლე თინათინი, მაგრამ ეს დიდ ხანს არ დაშთა, 1821 კვალად დაუბრუნდა თავის ძველს სჯულს, კათოლიკობას. ამ გარემოებამაც დიდი უკმაყოფილება დასთესა მცხოვრებთ შორის. გორის კათოლიკებს ძველადგანვე დიდათ უყვარდათ გლახაკთ შემწეობა, გაკითხვა, იგინი ვაჭრობის დროს არც ისე სჩაგრავდენ-ხალხს, როგორც სხვანი. ესენი დიდის სიბრალულით პატრონობდენ მოხუცებულთ, უძლურთ, ვრდომილთ, ღატაკთა და სნეულთა. ერთის სიტყვით გორის კათოლიკებს ცალი ხელი ღარიბებისაკენ ჰქონდათ გაწვდილი და მათ შველოდნენ უანგარიშოთ. რაც შეეხება გორის კათოლიკეთ მოძღვართა, ესენიც ხომ მალამოები ყოფილან თავიანთ მრევლისა.

საკუთარ მრევლს გარდა იგინი სხვათა სარწმუნოების ხალხსაც ჰპატრონობდნენ. მათ საერთოთ მიაჩნდათ ყველას გაჭირება. ამას გარდა მათ ჰქონდათ გახსნილი საექიმო და წამალხანა, სადაც საწყალი ხალხი დადიოდა და მუქთად სწამლობდნენ. ექიმობა და წამლები მათ ყოველთვის უშურველად ეკავათ ხელში. პატრებთ შორის ყველაზედ უფრო შე-

სამჩნევი ყოფილან შემდეგი პირნი: პატრი ანდრია პალერმელი, პატრი ბერნარდინე აქვოლელი 1780, პატრი პავლე ქამოისრელი, ბონვინთურა თავრინელი, პატრი კარლო ონქოელი, პატრი ანტონიო პადუელი, პატრი მარიას ტულაპტელი, პატრი ფილიპე რომაელი, ფრა კარლო რომაელი, პატრი ემიდო მორაველი, პატრი დამიან ვიაჯელი, პატრი ანსელმო მღებრიშვილი, პატრი გაბრიელ ასლანიშვილი. ყველა ამათ თავთავიანდ წილად საკმარისი შრომა და ღვაწლი მიუძღვისთ კერძოთ გორის კათოლიკებზედ და საზოგადოთ. ყველაზედ, ვინც კი გორში სცხოვრობდენ და გაჭირებაში იყვნენ, პატრების ერთ უმთავრეს სანაქებო საქმეს ის გარემოებაც შეადგენდა, რომ მათ გორში ძველადგანვე დაარსეს საეროდ სასწავლებელი, სადაც კათოლიკეთ ბავშვებს გარდა სხვა სარწმუნოების ყმაწვილებსაც ასწავლიდნენ. ასეთი შრომის მფა-

ველობა პატრებს თვით ისეთ დროსაც-კი არ დაუტოვე-ბიათ, როცა იგინი დევნას იყვნენ უმეცართაგან მიცემულნი.

დღევანდელ გორის ქართველთ კათოლიკენი მისდევენ აღებ-მიცემას და ხვნა-თესვას. ძველის გვარებისა აქ მთლათ შემცირებულ არიან და ვინც დარჩენილან ისინიც აქა იქ, სხვა ქალაქებში გადადიან, რადგანაც შვილების სწავლა მათ საქმეს უჭირებს. რაც შეეხება ამათ ქონებრივ ძალას ამითიც თუ არიან მაინც და მაინც შესანიშნავი, მათში საერთოდ ყველა საშუალ შემლების პატრონათ ითვლებოდა. აქვსთ ერ-თი ეკლესია და ჰყავსთ მოძღვარი. მოძღვარი ერთგული თავის მრევლისა და მრავალ ნაირად დაჯილდოვებული და პატივ-საცემი პირი ადგილობრივ კათოლიკეთ და ქართველთ წინა-შეც. გორის კათოლიკენი ვაჭრობით ძველიდგანვე წასულან წინ, მათგანნი ხშირად მგზავრობდენ ევროპის და აზიის ქალაქებს, ნამეტურ თვით რომში შვილების გზავნა XVII საუკუნიდამ დაუწყვიათ, რასაც ცხადათ ამტკიცებს პატრი მიხეილ თამარაშვილის პატივ საცემი შრომანიც. ისიც უნ-და მოვიხსენოთ, რომ გორის ქართველ კათოლიკეთაგანმა პირველად რომში სწავლა მიიღო დავით ტულუკაშვილმა,

რომელმაც იქ 1733 წ. ქართულს ენაზედ წიგნების ბეჭ-დვაც მოაწყო. 1675 წ. რომის ქართული დაძინებული სტამბა 1733 მან განაახლა. პატრი დავითი რომშივე დაშ-თენილა სიკვდილამდე. ასეთი პირები გორელებში ძველად მრავლად ყოფილან. ბევრს ვაჭრობის და მეურნეობის ასპა-რეზედაც გამოუჩენიათ შესამჩნევად შემძლებლობა.

სამოსამართლო მხარე ქართველ კათოლიკეთა.

ქართველ კათოლიკებს ძველგანვე წეს ჩვეულებათ და-შთენიათ, რომ ოსმალეთის ხელში, მრავალს თავიანთ სადა-ვო და საკამათო საქმეს თვითონ აბჭობდნენ და ასამართლე-ბდენ. ეს მიმართულება მათში ისე ყოფილა წინ წასული, რომ იგინი ერთმანერთში მორიგებით სახლებსაც კი მიჰყიდ-ნენ. მათის ბარათების ძალა დღეინდელ საბუთის ქაღალდები-ვით შთებოდენ. მამულის გაყიდვას, ან საქმის გათავების შე-მდეგ, ყოველივე პირობის ქაღალდი იმ ძალით შთებოდა, როგორც ერთი რთული ხელთ უხლებელი და დაურღვეველი საბუთი. ასეთ საქმეთა გარდა რაც შეეხება თამასუქების წე-რას და ესეც ხომ სულ ერთმანეთში სცოდნიათ, იშვიათად, რომ რომელიმე პირის თამასუქი გაბათილებულიყოს. რაც შეეხება დღეინდელს, „ატკაზებს" და სხვა ასეთ ხრიკებს, მა-შინ ეს ჭაჭანებათაც არ ყოფილა. კათოლიკენი თვით იყვნენ მსაჯულნი თავიანთ საქმეების, ვექილნი, ბოქაულნი, მოურავ-ნი და სხვა. ერთის სიტყვით, იშვიათი საქმე იყო, რომ კა-თოლიკე თავისავე ძმაზედ საჩივლელად თათრის სამართალში წასულიყო. გინდა რომ წასულიყო, მაინც თათრის გამგეო-

ბაში, ქართველ კათოლიკეთათვის სამართლის გზა და კვალი დახშული იყო, მათში ქრთამი და სულ ქრთამით კეთდებოდა ყველაფერი და ხშირათ ქრთამსაც ართმევდენ, მაგრამ მაინც ქრისტიანებს ამტყუნებდენ. იშვიათად, რომ თათრის სამართალში ქრისტიანი გაემართლებინათ და მის მოკამათე მტყუანი თათარი კი გაემტყუნებინათ. ეს შეუძლებელი იყო. ქართველი რაც გინდ მართალი ყოფილიყოს თათრის წინაშე,

მაინც მას გამტყუნება ელოდა და თათარს კი გამართლება. ამიტომ ქართველ კათოლიკენი ძველადგანვე თათრებთან რამე საქმის დაჭერას და ჩივილს დიდათ ერიდებოდენ. ზოგი ერთი კაცი თათრისაგან რომ დაჩაგრულიყო, იგი მაინც თათრის სამართალში საჩივლელად არ წავიდოდა, რადგანაც მან იცოდა, რომ იქ მათთვის სამართალი არ იქნებოდა. მართალი გამტყუნდებოდა მხოლოდ მიტომ, რომ იგი ქრისტიანი იყო. ამიტომ ქართველ კათოლიკებს ურთიერთ შორის წერილების, თამასუქების, ნასყიდობის და პირობების წერა არამც თუ მარტო საქართველოში სცოდნიათ, არამედ საქართველოს გარეშე უცხო სახელმწიფოთა ქალაქებშიაც, თვით კონსტანტინეპოლსაც კი,სადაც ევროპიელთ ძალა დიდი იყო, მაგრამ მაინც ქართველ კათოლიკებს ჩვეულება არ ჰქონიათ რამე საქმეების გამო სამართველოებში სიარული და დავა. ასეთ მიმართულებას მათი მოძღვრებიც აფართოვებდენ. ძველათ რომ კათოლიკებს ურთიერთ შორის დავა ძრიელ ეჯავრებოდათ და ყოველი მათი საქმე მშვიდობით თავდებოდა, ეს დღესაც ბევრს მოხუცებულს ეხსომება და ის სიამოვნებით მოიგონებს. უნდა ვსთქვათ, რომ არამც თუ მარტოდ ოსმალეთის ქართველ კათოლიკებში ყოფილა ასე, არამედ ქუთაისს, გორს და თფილისშიაც, უდავობის გამო აქაური ქართველ კათოლიკენი ძველადგანვე ქებულან. ყველანი კი იმათ ასეთ ღირსებას სულ პატრებს აწერდენ, რომ პატრები ასწავლიან და ამზადებენ ამ მშვიდობიანი მხრის ნიადაგს მათშიო. აი ესეც ერთი წერილი, რომელიც მომყავს აქ და რომელიც ცხადათ ასაბუთებს აღნიშნულ ბაასის სინამდვილეს. იქონიეთ სახეში, რომ ეს წერილი დაწერილია კონსტანტინეპოლს 1823 წ.

პირობის წერილი (სტამბოლს) დაწერილი.

„1823 წელსა, ღვინობისთვის პირველს, ესე ძველისა წიგნი დაგიწერე და მოგეცი მე სარიანთ შენდობილ არუთინას შვილმა უსტა

აკოფამ ამ რომ ქამარ აღოში, ახორ უსტი ვეზირი ხანში
რვა ოდის მუჰლი იყიდეს ახალციხის იშხნებმა და ივლიტის იშხნებმა ახალციხის ეკლესიის ფასითა და ივლიტის ეკკლესიის ფულითა ექვსი ოდა ზედა ზედა ყათში და ორი ოდა ქვეშა მათში ამა რვა ოდის

მულქი ძმებმა ჩემზე დაწერეს, მაგრამ მე ლახ არა მაქვს და არა ჩემს ჩამომავალსა, ამის ქვემოთ ხელის მამწერელი ძმა კაცების მოწმობითა უსტა აკოფას ხელის მოცემით და მისი თხოვნით მე პოღოს ოსეფიჩ ფროვს (!)დამიწერია და მოწამეც ვარ“.

წერილი კარგა ბნელად არის დაწერილი, ჩვენთვის გაუგებარის სიტყვებით. ამისიც ხანა იყო იმ დროის ქართველთათვის ოსმალოს ხელში.

ქართველ კათოლიკობის არსებობის სიმტკიცეს ის გარემოებაც ასაბუთებს კარგათ, რომ სულ ძველის ძველად კათოლიკეთ ეკკლესიის ქვებზე ქართული წარწერები მოიპოვება, მაგალითებრ ეკკლესიის მახლობლივ მიცვალებულთ საფლავის ქვებზე ყველგან ქართული წარწერაა, მიცვალებული იხსენება რომის კათოლიკეთ, და არა სომხის კათოლიკეთ. საფლავის ქვებს გარდა ქართული წარწერანი მოიპოვებიან ეკკლესიის კედლების თლილ ქვებზედაც, სადაც მოიხსენება ეკკლესიის მაშენებელის გვარი და სახელი, ან განმაახლებელის. მაგალითად: ახალციხის იოანე ნათლის მცემლის ეკკლესია განუახლებიათ 1753 წელსა. ერთს ქვაზე ასე აწერია: – „წელსა უფლისა 1753-სა განახლდა ეკკლესია წმ. იოანე ნათლის მცემლის ხარჯითა და წარსაგებითა საზოგადო ერთა ქალთა და კაცთა შემდგომ განახლებისა ეკკლესიისა შემკობისათვის წმ. იოანეს ტაძრისა რომელთამე შესწირეს რამეები და არიან ესენი". აქ შემდეგ ქართველი გვარებია ჩამოთვლილნი. ესევე წარწერა ამ ეკკლესიის კონდაკშიაც მოიპოვება. კონდაკის მოხსენებაში სხვათა შორის არის: – „ღმერთმან განაძლიეროს სტამბოლს მყოფი ახალციხის კათოლიკე ერნი". მეორე ალაგას: – „ღმერთმან განაძრიელოს სტამბოლში მყოფნი ახალციხის კათოლიკე ვაჭარნი“. არსად ამ მოხსენებაში სიტყვა სომეხი სრულიათ არ მოიხსენება.

ამიტომ ჩვენ აქ მოგვყავს თვით კონდაკის ზოგიერთი ად-

გილები, რომელნიც ცხადათ ამტკიცებს ჩვენის საუბრის დედა ჰაზრებს. დარწმუნებით ვიტყვი, რომ ახალციხის კათოლიკენი ქართველის გვარის არ ყოფილიყვენ, უამისოთ ისინი ქართულს ენაზედ კონდაკის წერას არ განიძრახავდენ. გინდ რომ მრევლს განეძრახა, მათი სამღვდელოება მაინც არ მისცემდა ნებას, რადგანაც 1720 წლიდან აომეხთ კათოლიკეთ ხუცების გავლენა ქართველთ კათოლიკებზედ სასტიკათ გავრცელდა, მღვდლებმა გულღიათ იწყეს მოქმედება და მეტადრე ოსმალეთის საქართველოში ესენი თავიანთ ნებისათ მოქმედებდენ. კონდაკის ცნობათ დაწერის დრო 1720 წლიდან იწყება და გრძელდება იგი დღემდე. პირველ წლებს აღწერას, ანუ მოხსენებაში სომხური სახელების ხსენება სულ არ არის, შემდეგკი ანუ 1760 წლიდან კი სომხური სახელებიც სჩნდება. მათში მიზეზი ამისი მრავალ ნაირია და ერთ უმთავრეს მიზეზათ ჩვენ ის გარემოებაც მიგვაჩნია, რომ 1755 წ. მოუფიქრებელის მეფის თეიმურაზის წყალობით თფილისიდამა და გორიდამ კათოლიკის პატრები განდევნეს, პატრები ახალციხეს გადავიდენ იქ დაისადგურეს. ამ გარემოებამ ცუდი გავლენა იქონია ქართველ კათო-

ლიკებზედ და ქართველი კათოლიკენი ძლიერ გაგულისდენ ქართველებზედ. ახალციხელ კათოლიკებს და ქართველთ შუა დიდი მტრობა დათესეს. მტრობა მათში შემცარდა 1760 წლიდგან, რადგანაც ახალციხის მეფე ერეკლემ თავის და და თან სხვა კაცები გაგზავნა პატრებთან. ესენი პატრებს ბოდიშს სთხოვდენ და თფილისში დაბრუნებას ავედრებდენ, კათოლიკეთა მშვიდობით ყოფნას, თავისუფლებას და სხვანი, რაც მართლაცა მოხდა კიდეც.

1760 წლიდამ საქართველოში კათოლიკეთ ყვავილოვანი ხანა დაიწყო, ხოლო სომეხთ კათოლიკეთგან გავრცელებულს ძლიერებას კი თავისი გზა და კვალი მიეცა, შემდეგისათვის იგი უფრო გაფართოვდა. უკანასკნელ ისე დაუტრიალდა საქმე რომ სომხური სახელები ქართველ გვარის კათოლიკეთათვის სანუკვარიც კი გახდა. ამ გარემოებას აღარც პატრები ეწინააღმდეგებოდნენ. ისიც კი კარგად სჩანს, რომ პირველ წლებს

მღვდლებს მრევლის ნებას და კვალზედ უწერიათ ყოველივე; შემდეგ კი ნელნელა თვისი გავლენაც უვრცელებიათ მათზედ. ხუნდა შეინიშნოს, რომ ამ სახელებში ზოგი ისეთი გვარებიც არის მოხსენებული, რომელიც ოსმალეთის ძლიერების მეოხებით მათებურ ენის წესზედ არის გადაკეთებული. ზოგიერთ კათოლიკეთ ისეთი გვარი ეწოდება, რა ხელობის კაციც თვითონ ყოფილა, ხელობის სახელი მის გვარად მოიხსენება, როგორც ყაუხჩი, მანქანდორი და სხ. აი ესეც თვით კონდაკის ადგილები.

1. ღმერთმა შეიწყალოს ბეშქენათ ასთანდარაი, რომელმან შესწირა წმიდა იოანეს საყდარსა ერთი სპილენძის ფახრაჭი.

2. ღმერთმა შეიწყალოს ბალას შვილი ზაქანდარა და მისი მეუღლე თურვანდა, რომელთა შესწირეს ორი ხალიჩა.

3. ღმერთმა ადღეგრძელოს როსტომას მეუღლე მანიჟავა, რომელმაც შესწირა ერთი ხელი შესამოსი.

4. ღმერთმა მაგიერი მიაგოს ქვიანთ სკანდარას მეუღლე ხამბეგას, რომელმან შესწირა ერთი ვერცხლის ბარძიმი 1747 წ.

5. ღმერთმა შეიწყალოს აღოშაანთ ავთანდილა და მათი რძლები ფერიხან, დარეჯანა და მანიჟავ, რომელთა შესწირეს ერთი ვერცხლის ვაკასი და ვერცხლის ქამარი.

6. ღმერთმა შეუწიროს ბეჟუანთ გოზალას, მეუღლე თინათინას, რომელმა შესწირა ამავე ეკლესიას ერთი ვერცხლის ბარძიმი, რომლის წონა არის 244 დრამა.

7. ღმერთმა შეიწყალოს ხოჯა ამირა და მისა შვილები: მელქი, ელისბარი და შვილის-შვილი ბატონჯანა, რომელთაც შესწირეს იოანეს ეკლესიას ოთხი ხატი, ერთი ჯვარი და ერთიც საათი.

8. ღმერთმა შეიწყალოს აღოშაანთ დავითას მეუღლე დარეჯანა, დომელმაც შესწირა ერთი სახარება.

ღმერთმა ადღეგრძელოს გურგენას ქალი შუშანა, რო-

მელმაც შესწირა ერთი ბოხჩა.

ღმერთმა შეიწყალოს ნადირაანთ ავთანდილა, რომელმა შესწირა შავი ფილონი.

ღმერთმა შეიწყალოს ხიზანანთ თამაზას მეუღლე თინათინა, რომელმაც შესწირა ერთი დიდი ფიჩიღ.

ღმერთმა შეიწყალოს ჩილათ ელისბარას მეუღლე მარიამი, რომელმა შესწირა ერთი დუქანი და ერთიც ხელთ ნაწერი სახარება.

ღმერთმა შეიწყალოს ბარაქჩიანთ ელისბარას მეუღლე მზისანდარა, რომელმა შესწირა ერთი ჩით-მანდილი.

1752-განიწყობა სომხური სახელები სომხების გავლენით. ღმერთმა შეიწყალოს ქრისტესას შვილი გრიქორა, რომელმა შესწირა ერთი ფარდაგი, ხალიჩა და ბემაბის საბურავი.

ღმერთმა შეიწყალოს აბინაანთ იესაი, რომელმაც შესწირა ერთი მძიმე ვერცხლის ჯვარი.

ღმერთმა შეიწყალოს ფრუსტუნათ ბაღდასარა და მისი მეუღლე თურმანდა, რომელთაც შესწირეს ერთი შურჩალი, ხალიჩა და ვერცხლის ვაკასი (?)

ღმერთმა შეიწყალოს განგელას შვილი არუთინა, რომელმა შესწირა ერთი ქვაბი თავისი ქაფჩითა.

ღმერთმა შეიწყალოს აღოშაანთ ავთანდილას ქალი გასანა, რომელმა შესწირა ერთი ვერცხლის ქამარი, წონით არის 80 დრამი.

ღმერთმა შეიწყალოს ხუციანთ იოვანეს მეუღლე, ელენა, რომელმა შესწირა ერთი წითელი დიბის სურჩალი.

ღმერთმა შეიწყალოს კრუხი ჭამიაანთ(ისარლოვი) პეტრისა და მისი მეუღლე ჰარუნა, რომელმა შესწირა ორი წირვის პერანგი.

ღმერთმა შეიწყალოს ზოზოთ აწყურელ პატარა იოანესა, (გვარამაძე), რომელმა შესწირა ერთი ნარევის წიგნი და ორიც შანდალი.

ღმერთმა შეიწყალოს ხუციაანთ სკანდარაშვილი ტერ ანტონი, რომელმა იოვანე ნათლის მცემელის საყდარს ერთი ხელი წირვის შესამოსი და ასი ყურუში თეთრი და სხვა ამისთანები მრავალი შესწირა.

„კონდაკი“ იწყება 1720 წლიდგან. წინა ფურცლები-

დაკარგულია; სჩანს, რომ ეს კონდაკი 1720 წელზე ბევრად წინა უნდა შეედგინათ. რასაკვირველია, შიგ ძველი ცნობებიც იქნებოდა მოყვანილი და ეს ცნობები ჩვენს გვარის ისტორიის შესახებ ბევრს რამე ცნობებს მოგვცემდა; მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ეს წინა ფურცლები ვიღაცას უნდა ამოეხიოს. ამის მოხევა რაიმე განძრახვით მოხდებოდა და ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ძველათვე უნდა იქმნეს მოხეული. მაინც

ჩვენთვის ესეც კმარა, ვგონებთ, აქედანაც ცხადი იქნება მრავალთათვის, რომ ახალციხის ძველ მკვიდრნი ქართველის გვარისა არ ყოფილიყვნენ, უამისოდ მათი მოძღვარნი ამ კონდაკის მოხსენებათ ქართულად არ დასწერდენ. XVIII საუკუნის ნახევარს ახალციხეს სომხების რიცხვი ძლიერ მცირე იყო; იგი აღსანიშნავადაც არ ღირს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სომხები ახალციხეს არ ეტანებოდენ; იქ იყვნენ მხოლოდ რამდენიმე კომლი ქართველ გრიგორიანებისა, რომელნიც მართლმადიდებლობიდგან გრიგორიანებზედ იქნენ გადასულნი, ხოლო ძირეული სომხები კი იქ არავინ ყოფილა ძველადგანვე; იქ მხოლოდ სომეხთ კათოლიკეთ და გრიგორიანთ მღვდლები იყვნენ, რომელნიც მათი ენის და გვარის სასარგებლოთ მოქმედებდენ ქართველთ კათოლიკებში.

ქართველ კათოლიკეთ სამღვდელო პირთათვის ახალციხე ძველადგანვე ისეთს ცენტრს შეადგენდა, როგორც ქართველთათვის ტფილისი. მესხეთსა და ჯავახეთში ახალციხე ითვლებოდა უმთავრეს ქალაქად და ლავონაში ართვინი. ახალციხის ივანე ნათლის მცემლის ეკკლესიაში ინიშნებოდნენ ახალგაზდა მღვდლები, რომელთაც იქ სწურთვნიდნენ. გაწურთვნაში მიღებული ჰქონდათ ქართული ენა, ქადაგებასაც ქართული ენით ასწავლიდნენ. სახელმძღვანელოების ხმარება კი სომხურათ ჰქონდათ მიღებული. წინეთკი, როგორც ვიცით ქართულათაც ჰქონიათ სახელმძღვანელების ხმარება. XVIII საუკუნის 30 წლებში, ქართულის მაგიერ სომხური წიგნები მიუღიათ. XIX საუკუნის დამდეგს, სახელმძღვანელოების საჭიროება პავლე შაჰყულიანს შეუგნია და ამის სხვა და სხვა საჭირო სახელ-

მძღვანელოს წიგნების თარგმნაც დაუწყია. რამდენიმე უთარგმნია, თარგმანების ზოგმა ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს, უმეტეს ნაწილი კი დაკარგულან. საზოგადოთ შენიშნულია რომ ახალციხეში. ქართველ კათოლიკეთ შორის, სამღვდელო პირთათვის სახელმძღვანელოდ თუმც სომხური ენა ყოფილა მიღებული, მათ შორის მაინც ყოფილან ისეთი მოძღვარნიც, რომელთაც ქათულნი ენის ხელმძღვანელობაც კარგათ ჰქონიათ.

ქართული ენის საჭიროება სამღვდელოთ შორის ისე ყოფილა აღორძინებული და საჭიროთ მიჩნეული, რომ ქართულ ენას სწავლობდენ თვით ნამდვილ სომხის გვარის კათოლიკეთ მღვდელნიც, რასაკვირველია უმეტეს თავიანთ მიზნის მისაღწევათ. ახალციხეში, არ ყოფილა დღე, კვირა, თვე და წელიწადი, რომ თითო ეკკლესიაში რამდენ რამდენიმე მღვდელი არ ყოფილიყოს. ძველად, ახალციხის ეკკლესიებში სიებიც კი ყოფილა შედგენილი, სადაც ანუსხულ ყოფილან ქართველ კათოლიკეთ მოძღვარნი. დღეს ასეთი სიების აღარაფერია დაშთენილი, დაკარგულან. მათში ბევრი ძველი ქართული გვარის მოძღვარნი იქმნებოდენ მოხსენებულნი, ბევრნი რომიდამ მოყურადღებო ცნობებს შევადგენდით. მოძღვართ შორის ბევრი შესანიშნავი პირის სახელი და მოქმედების ცნობები აღ-

სდგებოდა, ბევრის მოძღვრის ქართულ ენით მოქმედებას მიეცემოდა შესაფერი გზა და კვალი, ბევრი შეიმოსებოდა ნათლის სხივით, ეს მომავლის თავობისათვისაც კარგი იქნებოდა. ეხლა აქ მოვიყვან ერთ სიას, რომელიც გამოკრებილია ახალციხის ივანე ნათლის მცემლის „კონდაკიდამ“. ამ ცნობებიდგან გამოსჩნდება, თუ ძველად რა მრავლად ყოფილან ქართველ კათოლიკეთ გვარის მოძღვარნი და ან მათ რა გვარ ჰყვარებიათ ქართული ენა და ან ეს მოძღვარნი სიკვდილისა შემდეგ როგორ აუნუსხავთ ივანე ნათლის მცემლის „კონდაკში“ ქართულად. აი ეს სიაც: ამათი ცნობა როგორც „კონდაკებშია“ ისევე საფლავის ქვებზედ სულ ქართულად მოიპოვებიან.

– 71 –

1764 წ. 21 აპრილს, ლაზარე (ივლიტას მიიცვ)
1764 წ. 29 აპრ. დონ სტეფანე ბავთიტელი (ივლიტა მიიცვ).
1764 წ.ნ 23 მაისს, აწყვერელი იოანე (ივლიტას მიიცვ.)
1767 წ. 20 მკათათ. დონ ანტონი.
1771 წ. ვაჰრამ სტეფანე.
1773 წ. 25 ქრისტ. იაკობი საბაშვილი ბარეხი.
1774 წ. 19 მკათათვეს. პატრი გიორგი.
1779 წ. 5 თებერვალს ტერ იოანე გარსევანაშვილი. მოწამლული სოფ. ოქრობაგეთს, შავშეთს, სომხებისგან, მარხია მარცხენა ტაძრის შესავალში.
1779 წ. 16 მკათათვეს ჩიგიაანთ იოანე ვართაპეტი პროვიქრი (ივლიტას მიეცვ).
1783 წ. 19 მარიამთვეს არაქელი.
1786 წ. 4 თიბათვეს. გრიგოლ კრუხიჭამიანთი.
1786 წ. 21 მკათათვეს დიდი იოანე აივაზიანი.
1797 წ. 4 თებერვალს მაქანდარაანთ იოანე.
1795 წ. გოძელი ტირაცუა ბატონ ჯანამ
1798 წ. 25 მარიამობისთვეს. ნარუაანთ გრიგოლ.
1800 წ. 6 იანვარს პროვიქარი ანტონ ქოჩოხათი.
1800 წ. 21 მკათათვეს მიიცვალა ჟამით. პატრი ბონვემთურა.
1800 წ. 15 ენკენისთვეს მიიცვალა ჟამით. აღამალაანთ ტერ სტეფანე.
1805 წ. 31 დეკენბერს. ისკანდერაანთ პოღოსი.
1209 წ. 13 თიბათვეს. ხოჯივანანთ იოანე.
1810 წ. 28 მაისს. მიიცვალა მეხით ვართანანთ ხეჩატურა, საღამოს ჟამს, ლოცვა სახარებას რომ კითხულობდა, ტაძარს კარშუა ფანჯარიდგან დაეცა მეხი ნახევარი საათი იცოცხლა. მარხია წმ. გიორგის ტრაპეზის წინ.
1814 წ. 23 თიბათვეს მიიცვალა გორელი ფრანჩისკე.
1818 წ. 6 მაისს ხუციაანთ უდელი ტერ პოღოსი.

1819 წ. 15 დეკემბერს, ორთავათ დიდი იოსები(?)
1824 წ. 10 თებერვალს, სათლელი გაბრიელი.
1828 წ. 18 გიორგობისთვეს, სილაჯიანთ იოანე.
1828 წ. 31 გიორგობისთვეს, მეფისაანთ გრძელწვერა სტეფანე.
1829 წ. 7 ქრისტიშობისთვეს მღებრიაანთ სტეფანე.
1835 წ. 14 მარიამობისთვეს პატრი ფილიპე.
1837 წ. 30 იანვარს ოცხელი იოანე (უფროსი).
1838 წ. 4 მაის ეფრემ სეთიანი.
1839 წ. 11 მაის ჟამით პატრი თომა ქაფუჩინი.
1839 წ. 17 იანვარს ნავროზაანთ სტეფანე.
1841 წ. 2 თებერვალს ანტონი ოჰონაანთ ქარელა-შვილი.
1842 წ 12 თიბათვის აღოშაანთ ტერ სტეფანე.
1854 წ. 14 იანვარს ტერ პოღოს ხარისჭირაშვილი.
1855 წ. 23 თიბათვეს დავით პავლე არქიმნდსტ შაჰყულიანი.
1858 წ. 7 მაის, გრიგოლ ვართაპეტ ზარაფიანი.
1856 წ. ხუციაანთ ანტონი.
1862 წ.22 ქრისტიშობისთვეს არზრუმელი გაბრიელი.
1864 წ. 23 მაისს, იაკობ ფეიქაროვი.
1870 წ. 22 ქრისტიშობისთვეს სარქის მხითარიანი.
1873 წ. 2 აპრილს მეფისაანთ გრიგორი.
1873წ. 2 მკათათვეს მურადაანთ იაკობი.
1871 წ. მიც. მღვდელი პავლე ლაზარეშვილი, ვარგაკელი ახლო ასაფლეია.
1883 წ. 7 თებერვალს გალუსტაანთ იოსები.
1890 წ. 17 თებერვალს ხიზაბავრელი ხუციაანთ იოსები.
1890 წ. 28 ენკენისთვეს ხარისჭირაშვილი აბბა, პეტრე, კონსტანცინეპოლს.
1892 წ. 22 მარ. სიმონ ასლანოვი წევრი.
1892 წ. 13 მაისს არალის პოღოს ბალახოვი.
1894 წ. 22 იანვარს არალს ელაზარანთ პოღოსი.

1895 წ. 9 მარტს ვალელი გოზალაანთ სტეფანე.
1899 წ. 25 იანვარს აღოშაანო მამა პეტროსი 27 დასაფ.
1899 წ. 8 მკათათვეს უდეს ბალახათი სიმონი.
1900 წ. 8 აპრილს იაკობ აბკაროვი ჩითიანი.
გოგელი, მღვდელი ბატონჯონა 11795 წ.
ლაზარე ივლიტე 1764 წ. 31 აპრილს.
დონ სტებანე ბავთიტელი 1764 წ. 29 აპრილს
აწყვერელი იოანე 1763 წ. 23 მაისს.

ჩიგიაანთ მღვდელი იოანე პროვიქატორი. 1779 წ. 16 მკათათვეს. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ ყველგან მამის მაგიერ ტერ იხმარებ, ასე ჰქონდათ ძველათ ქართველთ კათოლიკეთ

მიღებული. ეს რასაკვირველია სომეხ კათოლიკეთ გავლენისაგან აიხსნება. ჩვენ აქ ყველგან ტერის მაგიერ მამა ვიხმარეთ, რადგანაც სომხურათ მამა – ტერს ნიშნავს.

ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს ერი ოსმალეთის ხელში საკმარისად იდევნებოდა, იდევნებოდა სარწმუნოებით, ენით, მწიგნობრობით და სხ. იდევნებოდენ არა მარტო ქართველ ქრისტიანები, არამედ თვით კათოლიკენიც, რომ ყოველივე ეს მართალია, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ოსმალეთის საქართველოში ქართველთა დაჰკარგეს თავისი სჯული, მწიგნობრობა და ენა: სჯული იდევნებოდა, ძველი წიგნები ისევ იფხრიწებოდა მტრისაგან და ქართულ ენასაც საერთოდ ავიწყებდენ აქა იქ ძალით. ბევრს ალგას დაავიწყეს ქართველებს დედა ენა, ბევრს სოფელში და ხეობაში მოისპო ქართული ენა, არა მარტო ქართველი მაჰმადიანთ შრომის, არამედ ქართველ ქრისტიანების და კათოლიკებისაც, მაგრამ მაინც ყოფილა ისეთ კათოლიკეთ სოფლელები, სადაც ქართველ კათოლიკენი ქართულის ენის ხსოვნით თვით XVIII საუკუნის დამლევამდისინაც სჩანან. ეს ადგილებია შემდეგი:

ყიზლარს, XVIII საუკუნის დამლევამდე მოსახლებდენ ქართველ კათოლიკენი, რომელთაც ქართული ენა კიდევ იცოდენ.

მოზდოკს XVIII საუკ. იქ ქართველ კათოლიკენი მრავ-

ლად იყვნენ და ქართული ენაც კარგათ იცოდნენ.

ატოცელთა იცოდენ ქართული XVIII საუკუნის შემდეგაც.

ტატანისელთა, იცოდენ ქართული და იქაური კათოლიკენი ქართულათ მოლაპარაკენი, 1788 მოიხსენებიან.

კლდიელნი ქართული ენით მოსაუბრე კათოლიკენი მოიხსენებიან XVIII საუკ.

ვარძიელნი, ასევე ყოფილან ძველად ქართულ ენაზედ მოსაუბრენი.

აბაზთუმნელი, იყვნენ მთლად ქართველ გვარის კათოლიკენი, ქართულად მოსაუბრენი.

ახალქალაქელნი, ქართული ენის მცოდნეთ მოხსენებულია თომა ახალქალაქელი და სხვანიც მრავალნი.

კორძელელნი ქართული ენის ცოდნით მოხსენებულ არიან 1790 წლებში.

პხიკურელნი, აწყვერელნი და სხვანიც XVIII საუკ. ბოლომდე. კბიელთა სცოდნიათ XVIII საუკუნომდე, ასევე გოკიელებს, ჩხარელთ, ოცხელთ, არსნელთ, ხეველთ, არტანელთ, კოლელთ, შაშველთ და ხერთვისელთაც. დღეს ამ სოფლებში ქართული ენა დამხობილია. აქ საკვირველება ის არის, რომ ქართულ ენას რამდენსამე სოფლებში, ქართველ მაჰმადიანებთან ერთად ქართველ კათოლიკენიც ჰკარგავენ. სჩანს, როგორც მუსულმან ქართველთ, ისე ქრისტიანებს ქართული ენის დავიწყებისათვის ერთნაირი პირი ჰქონიათ კარს მიმდგარი. ჩვენ ასე ვფიქრობთ და ეს მართლაც ასე უნდა იყოს.

ზემო ხსენებულ სოფლის მცხოვრებთ კათოლიკეთ დედა ენათ რომ ქართული ენა ყოფილა XVIII საუკუნის გასვლამდე, ეს მოხსენებულია სხვა და სხვა ძველს „კონდაკებში“ რითაც უტყუარჭთაც მტკიცდება.

ქართველ კათოლიკეთ სასწავლებლები 1624 წლიდგან.

ქართველ კათოლიკეთ სასწავლებლების დახსნა საქართველოში ისეთ დროს შეეხება, როცა საქართველოში, ქართველთ შორის კათოლიკობა აღორძინდა. საუბედუროთ ამ პირველ

დროის სკოლების არსებობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჩვენ ბევრი არა გვაქვს რა. მხოლოდXVII საუკუნის დამდეგიდამ კი იწყება აქა იქ ცნობები. მაგალითებრ კარგათ სჩანს, რომ იმ დროის კათოლიკე მოძღვართ 1624 წ. თფილისში, კათოლიკების ეკკლესიის გვერდით, გაუხსნიათ საერო სასწავლებელი, სადაც კათოლიკეთ ბავშვებს გარდა სხვა სარწმუნოების ყმაწვილებსაც ასწავლიდენ. სწორედ ამ სასწავლებლის შთამომავალია დღეინდელი თფილისის ქართველთ სასწავლებელი. ასე და ამ გვარად თფილისში, ქართველ კათოლიკეთ დღეინდელი სკოლის დარსება ეკუთვნის 1624 წელს.

თფილისის კათოლიკეთ სკოლა დაარსებულ იქმნა თფილისის, ქართველთ კათოლიკეთ ეკკლესიის გალავანში, რასაკვირელია ქართველთ მთავრობის ნებართვით. მასწავლებელათ და მფარველათ ყოველთვის ფრანგის პატრები ითვლებოდენ, მათი დამხმარე არავინ იყო, იგინი ინახავდენ თავიანთის სრულის საფასით, ბავშვებს ასწავლიდენ ქართულ და ევროპიულს ენებსაც, ზოგიერთ ევროპიულს სამეცნიერო საგნებსაც. ამით მათ ქართველობაში დიდი ამაგი მიუძღვისთ, დიდი შრომა. მათ ბევრი რამ შემოიტანეს, და განავრცეს და ყველაზედ უფრო მათგან საყურადღებოა საექიმო ხელოსნობის განვითარება. ამით იგინი იყვნენ ხელოვანნი მკურნალნი, ნამეტურ ჯარა ექიმობაში. ამიტომ მოზარდ მოწაფეს მკურნალობასაც ასწავლიდნენ. მოწაფეთა გარდა არც სხვებისათვის იშურვებდენ ექიმობის სწავლობას. ესეთი მიმართვა და ექიმობის ვრცელების პატივის ცემა მათში თვით XVIII საუკუნის დამლევამდე არსებობდა. საქართველოს დედა ქალაქ თფილისში მათ ყოველთვის ჰქონდათ საექიმო სასწავლებელი და მასთან აფთიაქი-წამალხანაც.

ამ ძველი სასწავლებლის არსებობას მრავალი ცნობები ამტკიცებენ. სასწავლებელში სწავლება ყოველთვის სწარმოებდა გარდა უქმე დღეების და ზაფხულის, ეს როგორც დღესაც არის. მოსწავლეებს ფასათ არაფერი ერთმევოდათ. ობოლ ბავშვებს და უპატრონოებს პატრები ფარველობდნენ. იგინი სზდი-

დენ და ჰპატრონობდნენ, ბინასაც ეკკლესიის ახლოს აძლევ-
დნენ, იქვე ტანთ აცმევდნენ, და ზდიდენ დროის შესა-
ფერისათ. ეკკლესიის გვერდით მათ ჰქონდათ სამადლო სახ-
ლიც, სადაც ფარველობდნენ მოხუცთ ღატაკ და უპატრო-
ნოებს. სახელმღვანელო წიგნებათ აქ დიდხანს ხმარობდნენ
რომში დაბეჭდილ ქართულ ანბანს, ქართულ იტალიურს გრა-
მატიკას, ლექსიკონს, ლოცვის წიგნს და ზოგთაც სხვებს ხელთ-
ნაწერებს. სასწავლებელს პატრებს გარდა ქართველთ ბატონი-
შვილი და შემლებულნი გვამნიც აძლევდენ დახმარებას,რად-
განაც მათ იცოდნენ პატრების მნიშვნელობა და ის საქმე,
რომ მათ სკოლის არსებობით და მოქმედობით დიდი სარგებ-
ლობა მოჰქონდათ ქართველთათვის. ამ სასწავლებლიდამ ბევ-
რი მწიგნობარი პირი გამოსულა. საინტერესოა ამ სკოლის
ისტორია და მასთან ერთობ ვრცელი და მდიდარი. როგორც
იქმნა ავათ თუ კარგათ ამ სკოლამ 1624 წლიდან 1890 წლამ-
დე მოაღწია, მაგრამ ვაი მის მოღწევას. უკანასკნელ წლებს
სკოლაში მოწაფეთა რიცხვი გამრავლდა. სწავლის საჭიროება
ყველამ შეიგნო, ხოლო სკოლა კი შეუძლოთ შთებოდა და
სწავლაც ძველებურათ მიდიოდა. ეს გარემოება ძრიელ ბევრს
აწუხებდა, დროც ისეთი იყო, რომ სკოლის გარემოება აღარ
ითმენდა, უსათუოთ იგი შინაგან და გარეგან უნდა შეცვლი-
ლიყო. სწორეთ ამ დროს შეესწრა პატრი დიმიტრი თუმანი-
შვილი, რომელმაც სხვათა დახმარებით თავს იდვა სკოლის გადა-
კეთების და სრულიად განახლების შრომა. საქმეს მალეც შე-
უდგა და მოკლეს დროის განმავლობაში პატარა სამრევლო
სკოლის შენობის მაგიერ გააკეთა მშვენიერი შენობა. მთავრო-
ბისგან ნებართვა აიღო ორ კლასიან სასწავლებლათ გადაკეთე-
ბაზე. მასწავლებლებთაც უკეთესი პირები მოიწვია. ასე რომ
დღეს სკოლის საქმე ფეხზედ დგას. იმედია მომავალში იგი უფ-
რო წინ წავა და ამ სკოლიდამ გამოსული ძენი სხვა და სხვა
სასწავლებლებშიაც განაგრძობენ სწავლას და მით შესცვლიან
მათში არსებულ წესებს, რომ დღეს მთელს თფილისის სასწა-
ვლებელში ერთი კათოლიკის შვილიც არ სწავლობს, ნამეტურ

ალექსანდროვის ინსტიტუტში, სადაც ხუთ წელიწადში ერთხელ
მაინც უნდა შედიოდეს მოწაფეთ თითო ქართველ კათოლიკეთ
ძენი. აი ასეთი იყო წინანდელი მდგომარეობა სკოლისა და
ასეთი გახლავსთ დღეს. სკოლის შესანახი ფული საეკლესიო
ძმობიდამ იფარება. მე ვფიქრობ რომ ბევრმა იქნება არც კი
იცის რომ ეს სკოლა ასეთი ძველი სკოლა არის და მისი მომ-
დინარეობა 1624 წლიდამ იწყება. ეს საზოგადოთ კი არა და
ბევრს თვით ქართველ კათოლიკეთაც არ ეცოდინებათ. ამ სკო-
ლას შარდენიც მოიხსენებს, მის დროს, ე. ი. 1670 წ. სკო-
ლაში რამდენიმე მოსწავლე ყოფილა. ისიც კი უნდა ითქვას,
რომ ხანდისხან სკოლა დაკეტილი კიდეც. მაგრამ დროებით,
მიზეზი ქალაქზედ მუსულმანთ თავდასხმა ყოფილა, ომები და
სხვა. მაგრამ ასეთი დახურვა მხოლოდ დროებითი ყოფილა.

რაც უნდა უმნიშვნელო ვიქონიოთ სახეში ამ სასწავლებლის დიდი ხნის განმავლობაში არსებობის შესახებ, მას მაინც თავისებური მაღალი მნიშვნელობა არ მოაკლდება. ამ სკოლიდამ ბევრს ქართველს შეუსწავლია წერა-კითხვა, ყოფილა ისეთი დღეები, რომ მთელს თფილისის ქართველებში ერთი სკოლაც არ ყოფილა, სხვა და სხვა მიზეზებისაგან მთლად მოსპობილან, ხოლო კათოლიკებს კი რამე უბედურების განვლის უმალვე გაუხსნით და ბავშვებისათვის განურჩევლად უსწავლებიათ. ძველათ თფილისში, ვაჭრებში თუ იყო გავრცელებული ქართული წერა-კითხვა სულ ამ სკოლიდამა, ვაჭრებს გარდა სხვა წოდების შვილებიც სწავლობდენ და ნამეტურ ქართველ გლეხების. ამიტომ ამ სასწავლებლის არსებობა ჩვენ საპატიო მოსაგონრათ მიგვაჩნია.

1670 წლებში, გორს კათოლიკეთ ეკკლესიის გვერდით გაიხსნა სამრევლო სკოლა, რომლის არსებობაც 1756 წლამდე გაგრძელდა, ამ წლის შემდეგ კი იგი დახურულ იქმნა, რადგანაც მათს მოძღვართ ექსორია უყვეს. შემდეგ თუმც მობრუნდნენ მოძღვარნი, მაგრამ სკოლა კი ვეღარ გახსნეს, ბავშვებს შინაურულათ ასწავლიდენ. ასევე მოხდა თფილისში. თფილისიდამ პატრების განდევნის შემდეგ სკოლაც დაიხურა,

მაგრამ როცა პატრები მობრუნდნენ ე. ი. 1762 წ. მაშინათვე გახსნეს ხსენებული სასწავლებელი. ისიც უნდა ითქვას, რომ თუმცა 1755 წ. თფილისის სასწავლებელი დაიკეტა, მაგრამ მოსიარულე მოწაფეთა რიცხვი მაინც არ მოსპობილა. ბავშვები მაინც დაიარებოდენ. მათში ვინც უფროსი იყო, ის ასრულებდა მასწავლებლობას, ეკკლესიასაც ის აღებდა, რჩეული მოწაფენი გალობდენ და ჰპატრონობდენ ყველა საქმეს. ქუთაისის კათოლიკეთ სასწავლებლის მოწყობის, ანუ შინაურულად, ეკკლესიის გვერდით გახსნა ეკუთვნის 1740 წლებს. შემდეგაც აქ ეს სასწავლებელი არ მოსპობილა, იმერთა მეფე და ბატონიშვილებიც საკმარის დახმარებას უჩენდნენ. ერთხელ მოხდა, რომ სოლომონ დიდმა იმერთ კათალიკოზის მეოხებით სდევნა, თორემ სხვა დროს მაგალითიც არ ყოფილა. როგორც თფილისში, მეფე ერეკლე ჰფარველობდა პატრებს და ფრანგებს, ისევ სოლომონ დიდი ქუთაისის და სხვა კუთხის ქართველ კათოლიკებს ანიჭებდა პატივს. მან ზოგიერთი პირნი კათოლიკეთა გააზნაურა კიდევაც, ორს ოჯახს თავადიშვილობაც მიანიჭა და სამცხელ აზნაურ ხურსიძეებს, ისარლოვებს, აზნაურიშვილობაც აღუდგინა. ასე რომ იმერეთში, კათოლიკენი ყოველთვის სამეფოს მფარველობის ქვეშ იყვნენ, ამათ სასწავლებელსაც რაკი მეფე პატივს ანიჭებდა, ამიტომ სხვანიც მეფის მაგალითს ჰბაძავდნენ. 1810 წ. რომ რუსეთმა იმერეთი დაიჭირა, მაშინ მათ იქ, კათოლიკეთ ეკკლესიის გვერდით, სამრევლო სასწავლებელიც დახვდათ. 1820 წლებს, ეს სასწავლებელი მოისპო. მის შემდეგ ეს სკოლა კვალად აღორძინდა შემწირელობით და დღეინდელი საეკკლესიო

სკოლა 1850 წ. იქმნა განახლებული, ხოლო ქუთაისის კა-
თოლიკეთ სკოლის დაარსების პირველ დროთ კი 1735 წ.
უნდა მივიღოთ.

ახალციხის კათოლიკეთათვის წიგნის საკითხი, სასწავლებ-
ლის დაარსება ძველადგანვე იწყება, თითქმის იმ დროიდამ,
როცა იქ კათოლიკობა აღორძინდა. ხოლო სკოლის არსე-
ბობის ცნობები XVII საუკუნის ნახევრიდამ სჩანს. ეს სამ-

რევლო საეკკლესიო სასწავლებელი XVIII საუკუნეში გა-
ფართოვდა. ხსენებულისავე საუკუნის დამლევს, პავლე შაჰ-
ყულიანის მეთაურობით ევროპიულათ გადაკეთდა. მისი არსე-
ბობა გაუმჯობესდა. პატარა ბავშვების გარდა იქ სამღვდელო
პირთაც ამზადებდენ. ახალციხის ძველს სასწავლებელს მდი-
დარი ისტორია აქვს, თფილისის სკოლაზედ გაცილებით წინ
წასული, ხოლო ამ მდიდარი ისტორიის ცნობები ჩვენ არ
გვაქვს, ხოლო ის კა უნდა ითქვას, რომ ვინც კი ძველად-
განვე სამცხე-საათაბაგოში, ქართველთ გვარის კათოლიკეთ
შორის, ქართველ მოძღვარნი გამოსულან, ყველა ესენი ამ
სკოლიდამ ყოფილან, პირველათ აქ უსწავლიათ და მერე
აქედამ სხვაგან წასულან. აქ ყოფილთ პირებს შესახებ ჩვენ
დაწვრილებით ვერ ვისაუბრებთ, ეს ერთობ შორს წავა. ზო-
გიერთ პირთა ბიოგრაფიებიც გაუწყებთ ამას, რადგანაც თავ-
თავის ალაგას მოხსენებულია ისიც თუ სად ვინ სწავლობდა.
ვინც კი ჩვენ აგვიწერია, იქ მოგვიხსენებია აღნიშნულ პირის
პირველ დაწყებითი სწავლა და სასწავლებელიც. იქ თქვენ
ნახავთ, რომ ახალციხეს ასეთ საქმეთა ასპარეზზედ ქართველ-
თა წინაშე პირველი ადგილი უნდა დაეთმოს. თფილისის
სკოლიდამ წასულთ და რომში მოსწავლეთ რამდენსამე პირთ
ვხედავთ, ასე 4-5, გორიდამ მხოლოდ ერთს, პატრს დავი-
თა ტულუკაშვილს და ახალციხიდამ კი ყოველთვის რამდენი-
მე პირს, მასთან ისეთებსაც, რომელთაც ჩვენი მწერლობის
და საზოგადო საქმეთა ასპარეზზედ ბრწყინვალე პირებათაც
აღმოსჩნდენ. კმარა თუნდა დავასახელოთ ის გარემოება, რომ
ამ სასწავლებლიდამ არის პ. შაჰყულიანი, პ. ხარისჭირაშვი-
ლი, ივანე გვარამაძე, ანტონ ხუციშვილი, გრიგოლ მამულა-
შვილი, და მრავალიც სხვანი მოქართულე მოძღვარნი და სა-
ქართველოსთვის დიდათ გულ-შემატკივარნი.

დღეს კი ასეთ პირთა პირველ აღმზრდელ სკოლის საქ-
მე სამწუხარო მდგომარეობაშია მოთავსებული და სკოლა
თითქმის გაუქმებულია შეუძლებლობის გამო. ჩვენ კანონიერს
მოვალეობათ მიგვაჩნია, რომ ასეთ სასწავლებელს ყურადღება

მიექცეს და შეძლების და გვარად დახმარება აღმოუჩინოს,
რათა ძველის დროიდგან დაარსებული შთენი არ მოისპოს
საყოველთავოდ და მისი ძველი ღირსებისა და ამაგის ცნო-

ბაც არ გაუქმდეს, ამ საქმისთვის დიდათ იღწვის პატივცემული მოძღვარი ივანე გვარამაძე და ვნახოთ, იქნება ბედმა გაუღიმოს და ეს მიმტკნარებული ძველი სასწავლებელი ისევ ფეხზედ დადგეს. ასეთია დღეს ახალციხის ძველი ბრწყინვალე სკოლის შთამომავლის მდგომარეობა. XIX საუკუნეში, პ. შაჰყულიანს სურდა, რომ ეს ძველი სამრევლო სკოლა სასულიერო სემენარიად გადაკეთებულიყო. ამისთვის მთავრობასაც სთხოვდა, მაგრამ სხვადასხვა მტრების მეოხებით საქმე ვერ მოხერხდა. ძველი სკოლა ისევ ისე დაშთა. ხოლო 1820 წლებიდამ კი სკოლის სწავლის საქმე ისე მოაწყო პ. შაჰყულიანმა, რომ იქ სწავლობდენ და ემზადებოდენ თვით სოფლის მღვდელნიც, რომელთაც აქ სწავლის მიღების შემდეგ პირდაპირ მღვდლათ აკურთხებდენ. მარტოდ ამ სკოლაში ყოფილთ მოწაფეთ, ნასწავლთ და მერე მღვდლათ კურთხეულთ რიცხვი დღესაც არს ჯავახეთში აქა იქ სოფლებში. მე თვით ვიცნობ ისეთ მოძღვართა, რომელთაც ხსენებული სკოლის კარის გარდა სხვა არ უნახავთ-რა. ყველა ამ მოძღვართ საეკკლესიო სახელმძღვანელო წიგნებს სომხურს წნაზედ ასწავლიდნენ. ხოლო ქადაგებისა და ბევრს სხვა რამ სასწავლო წიგნების კითხვაში ქართულად, ქართულს კანონიერს წერა-კითხვას და სჯას კანონიერად ასწავლიდენ. ამას ცხადათ ამტკიცებს ზოგიერთი აქ ნასწავლ მღვდელთაგან ნაწერი ქართული წიგნებიც. დღეს სკოლას რამდენიმე მოწაფე ჰყავს, უბრალო სამრევლოთა სკოლათ არის გადაქცეული და ერთი მასწავლებელი ჰყავსთ. ძველათ კი, აქ ყოველთვის მღვდლები და პატრები ასწავლიდნენ და ყოველს დროს რამდენიმე მასწავლებელი იყო.

თბილისის ქართველ კათოლიკენი XVIII საუკ. ბოლოს და XIX საუკუნ.

ქართველ კათოლიკეთ რიცხვი თფილისში, XVIII საუკუნეში, არ იყო მცირე. ქართველ კათოლიკეთა რიცხვში იყვნენ ქართველი გლეხკაცნი ყმანი თფილისის კათოლიკის ეკკლესიისა და თავისუფალნი, რომელნიც თფილისში თავს ირჩენდნენ ხვნა თესვით, ღვინის მოსავლით, სხვადასხვა სახელოსნოს მუშაობით, მუშაკობით და სხვანი. თფილისის კათოლიკეთ გლეხნი ყოველთვის მაღლა იდგნენ სხვა სარწმუნოების გლეხებზედ. ცოდნა და გამოცდილებაც მეტი ჰქონდათ, ცხოვრებითაც სჯობდენ. კათოლიკეთ გლეხებში მოსპობილი იყო ჩხუბი, გმობა და ერთმანერთის მტრობა ისე, როგორც ეს სხვა გლეხებმა იცოდნენ. კათოლიკეთ გლეხნი სამაგალითონი იყვნენ და ყველასაგან მისაბაძნი.

თფილისის მოქალაქეთა რიცხვშიაც ქართველ კათოლიკებს საპატიო ადგილი ეკავათ. იგინი როგორც მოქალაქენი დაწინაურებული იყვნენ სხვა მოქალაქებზედ მრავალნაირად. როგორც გლეხნი, ისევე მოქალაქენი ექვემდებარებოდენ

თფილისის კათოლიკეთ ეკკლესიას. მოქალაქენი ყოველთვის ერთგულნი იყვნენ პაპისა და რომისა. იგინი ხშირად რომშიაც მოგზაურობდენ, პაპისაგან ლოცვა-კურთხევას იღებდნენ და მერე იქიდან ნავაჭრნი საქართველოში ბრუნდებოდნენ. თფილისის და გორის ქართველ კათოლიკეთა საქართველოდამ ევროპაში საქონლის გატანა და ვაჭრობა ერთობ ადრიდგან დაიწყეს. როგორც გვითქვემს, ასეთ სანაქებო საქმეში დიდს ხელმძღვანელობას უჩენდნენ ლათინის პატრები. როგორც თფილისის კათოლიკეთ გლეხნი, ისევე მოქალაქენიც, სხვათა მოქალაქებზედ ერთობ მაღლა იდგნენ. შედარება რომ ყოფილიყო, მაშინ კათოლიკებს ცხადათ შენიშნავდით წარმატებას. უნდა აღინიშნოს, რომ თფილისში, ძველად კათოლიკეთ ვაჭართაგან ბევრი რამ ძვირფასი საქმეები გაკეთებულა და თან საქებიც, ამიტომ ამ მოქალაქებს საკმარისს ბატივს სცემდნენ თვით მეფენი და მათი ძენი, ნათესავები და სხვა-

ნიც. რიცხვი მოქალაქეთა არა მცირე იყო. მათში იყვნენ მრავალნი ისეთის გვარისანი, რომელთა შთამომავალთა ძენი დღეს აღარ სცხოვრებენ. მაგალითებრ ძველად კათოლიკენი იყვნენ ყალამქრიშვილი, ფინთუაშვილი, გულგულაშვილი, აბესალამისშვილი, ყუზანაშვილი, და ბევრიც სხვანი მრავალნი ენით მოუთვლელნი. დღეს ძველ მოქალაქეთაგან, მხოლოდ მელიქიშვილების ძენი არიან დაშთენილი. ამ ქართველ კათოლიკეთ მოქალაქეთაგანია ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი მელიქიშვილი, უმიაკაშვილი, თამაზაშვილი, კობიაშვილი და სხ. იკითხავთ თუ ყველა ესენი რა იქმნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგი გვარის წევრნი მოისპენ. მიზეზი მოსპობის ოჯახის წევრთა სიმცირე უნდა ჩაითვალოს. მეორეს მხრით უცხო სახელმწიფოებში მოქალაქეთ მგზავრობა. ხშირად იგინი აღარც კი ბრუნდებოდნენ, რადგანაც აქ მათ სხვა სარწმუნოების მექონ ერთაგან დევნა ელოდათ. მიტომ თავს აფარებდნენ უცხო სახელმწიფოთა ქალაქებში, სადაც გადა გვარდებოდენ კიდევაც.

თავადაზნაურთა რიცხვიც არ იყო თფილისში მცირე, მაგალითებრ XVIII საუკუნის დამლევს, ქართველ კათოლიკე აზნაურისშვილობით არიან ცნობილნი შემდეგნი გვარნი: ხურსიძენი (ისარლოვები) ვითარცა სამცხის ძველი აზნაურის შთამომავალნი, ნებიერიძენი, დღეს ამათი შთამომალნი თფილისში კი აღარ სცხოვრობენ და სამცხეს კი არიან. ყარაშვილები, მეფის ექიმბაშნი და დოსტაქრები, თავიანთ დროის კვალად მრავალნი და მეფეთგან პატივცემულნი, უკანასკნელ ექიმბაშათ ირიცხებოდენ ექიმი ანტონა, თათულა, იოსების და სხვანიც მათის გვარის წევრნი, ხოლო უაღრესის დროის გვამნი და მიტომ დროთა უბედურებისა გამო ისტორიაში არ ჩენილნი, მივიწყებულნი შთამომავალნი ამ ძველი ქართველ კათოლიკეთ აზნაურთა გვარების დღესაც არიან. ჩიგიანები იყვნენ მრავლად, დღესაც არიან მცირედ, იყვნენ დავითაშვი-

ლენი, დღეს აღარ არის ამ გვარის წევრნი. იყვნენ კიდევ ბეზირგნისშვილი, ნაზარბეგისშვილი, დანიბეგისშვილი, შე-

რიმანისშვილი, დღეს შერიმანოვი, ყაითმაზიშვილი, დღეს ყაითმაზოვი, ბასტამისშვილი, დღეს ბასტამოვი, და მრავალიც სხვანი. ამ გვარებში ბევრი აღარ მოიპოვებიან კათოლიკის სარწმუნოს წევრნი, მოისპენ. ყველა აქ მოხსენებულნი გვარის წევრნი ძველად აზნაურებათაც იყვნენ წოდებულნი. დანიბეგისშვილის ოჯახის წევრთაგანია რაფიელ დანიბეგოვი, რომელიც მეფე ერეკლის ბრძანებით ინგლისის ინდოეთის ქალაქ მადრასეში იქმნა გაგზავნილი შესახებ საქართველოს ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. დღეს აღარც ეს გვარია დაშთენილი და რამდენი კიდევ სხვა ამისთანანი.

თავადისშვილებთაგანი იყვნენ ორბელიანები, საბა ორბელიანის ძმა ვახტანგი, ივანე, ბიძაშვილები და მრავალიც სხვანი, მიტომაც XVIII საუკ. პაპთან სწერს ერთი ორბელიანი და აღიარებს, რომ კათოლიკობას და პაპის პატივისმცემლად „მთელი ჩვენი გვარი" არისო *).

ორბელიანთ გარდა იყვნენ ერისთვისშვილები, თუმანისფმილები, ვგონებთ სოფელ ხელთუბნელები უნდა ყოფილიყვნენ, შეიძლება თფილისელებიც იყვნენ. გარდა ამათის,თითქმის ფორმალურად აღიარებდენ კათოლიკობას ციცისშვილების გვარის წევრნი, ბარათაშვილების და კახელთაგანაც რამდენიმე გვარი. ესენი ხშირად დაიარებოდნეს თფილისის კათოლიკეთ ეკკლესიაში და დიდის სიამოვნებით ისმენდნენ ლათინურს და ქართულს წირვას და პატრების მჭევრმეტყველებით სავსე ქადაგებას.

ჩვენგან უფრო უკეთესი იქნება, რომ აქ მოვიყვანოთ ცნობები იმ ძველის კათოლიკეთ გვარების, რომელნიც XVIII საუკუნის დამლევამდე სცხოვრებდენ.

ანდრონიკაშვილები, თავადისშვილის გვარის წარმომადგენნია. ამათი ძველები სპარსეთში დაკავშირებიან კათოლიკობას. ანდრონიკაშვილების შთამომავალნი უნდა იყვნენ დღეინდელი კათოლიკ ანდრონიკაშვილები, ხოლო ამათ თავა-

---

*) Propaganda Eide პაპის არქივის ცნობა.

დისშვილობა დაკარგული აქვსთ და არ უწყით რათა? თუმც ეეეი არავის შეუძლიან იქონიოს ამაზედ. რაც შეეხება რუსეთის მთავრობისათვისაც ეს ეჭვ მიუკარებელი უნდა იქმნეს და მე დარწმუნებული ვარ, რომ თვით ანდრონიკაშვილების ოჯახშიაც იქმნება დაცული ბევრი რამ საინტერესო სიგელგუჯრები, ქართველთ მეფეთაგან ბოძებული, რომელნიც ამას ცხადათ დაამტკიცებენ. დაბეჯითებით ვიტყვით, რომ ანდრონიკაშვილების წევრნი თუ არ თავიანთ დროის კვალად

წარჩინებულ და დაწინარებულ ოჯახის შვილები, უამისოდ ისინი საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ იმ სახელოვნებით და შეძლებით არ აღმოსჩნდებოდენ, როგორათაც ქართველ კათოლიკე ანდრონიკაშვილები აღმოჩნდნენ. დღეს ამ გვარის მნიშვნელობა ჩვენში იმ პატივისცემით და ღირსებით არის გარემოცული, როგორც ერთი და ორის ქართველ კათოლიკეთ უპირველეს ოჯახის შვილებისა.

ეს გვარი მეტად ძველისძველია, ამ გვარის ისტორიას ბიზანტიის მწერლებიც აღგვიწერენ. სხვათა შორის ამ გვარს მოიხსენებს X საუკუნის ბიზანტიის მწერალი ალექსანდრე პორფიროგენტიც.

უძველესი გვარია და უძველეს დროსვე აღორძინებული საქართველოში, მხოლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ იმ თავიდგანვე ამ გვარის წევრებათ სულ წარჩინებული პირები სჩანან. მდაბიოთაგანი, ანუ შეუძლონი და გლეხნი ამ გვარის წევრნი ჩვენ საქართველოში ძველადგანვე დღემდე არ გვინახავს და ეს არის უფრო რომ გვაფიქრებინებს ქართველ კათოლიკ ანდრონიკაშვილების გვარის ისტორიას და კავშირს ქართველ თავადისშვილს ანდრონიკაშვილებთან. არავინ იფიქროს, რომ ჩვენ რამე წოდებრივი ოცნებების პატივისმცემელი ვიყოთ და ან მას რამე განსაკუთრებითი მნიშვნელობას ვაძლევდეთ, არა, რა დროს ამის ხანა არის, აქ ჩვენ მარტო გარემოება გვალაპარაკებს. გარდა ამის მთელს საქართველოში ცნობილია საერთოდ ხალხში, რომ ქართველ კათოლიკ ანდრონიკაშვილები თავადები არიანო. ხომ მოგეხსენებათ,

რაც კი ერთხელ რამე დაინერგება ხალხში, ის სამერმისოდ მათ ცხოვლათ დააჩნდებათ გონებაზედ. ასევე ემჩნეოდათ ხალხს ამ გვარის ცნობები და მიტომაც აღიარებდნენ ამათ თავადობას, თორემ უამისოდ იგინი რამე მოგონების საჭიროებას სულ არ ინდომებდნენ და ეს მათთვის არც საჭირო იყო.

ყარაშვილები (ყარაევი) ოსეთიდგან გადმოსულნი საქართველოს სამეფოს წინაშე, სახელგანთქმულნი და შემდეგ დროს კათოლიკობასთან დაკავშირებული. ყარაევები, კარაევები და ყარაშვილები დღეს ოსეთშიაც არიან მრავლად.

სადაც ქართველ კათოლიკეთ ერთი და ორი წარჩინებული გვარი მოიხსენება, იქვე უნდა აღინიშნონ ყარაშვილებიც, ანუ დღეს ყარაევებათ წოდებულნი, ყარაევები ძველადგანვე გაითქმნენ მკურნალობის მხრით საქართველოს მეფეების წინაშე და ამიტომ დაჯილდოვებულნიც აზნაურისშვილობით, ამ გვარის წევრთ საექიმოს მხრით საკმარისი ამაგი მიუძღვით თვის თანამედროვე ქართველთ წინაშე. იგინი იქებოდნენ მრავალთაგან, მეფიდგან დაწყობილი თითქმის ყველასაგან, რადგანაც ერში, სადაც კი ღატაკს ავადმყოფს ნახავდენ, ყველა მათ უფასოდ მკურნალობდნენ. გარდა ამის თუ ავადმყოფს სახსარი არ ჰქონდა ამითიც ეხმარებოდნენ და

ვიდრე ავადმყოფი ფეხზედ არ დადგებოდა, მანამდის იგინი მას თავს არ დაანებებდნენ. ესეთი საქციელი ყარაშვილებისა ყველამ იცოდა, დიდმა და პატარამ. მათი სახლის კარი ყოველთვის ღია იყო, როცა კი მივიდოდა ვინმე, ყოველთვის, ღამე, შუაღამისას და გათენებისას, იგინი დაუზარებლივ მიდიოდნენ ავადმყოფებთან. თავიანთ საკუთარს სახლშიაც ინახავდნენ ისეთ ავადმყოფებს, რომელთაც რჩენის და წამლობის შეძლება არ ჰქონდათ.

ასე და ამისთანა საქმეებით ყარაშვილები საკმარისს სამსახურს უწევდენ ქართველთ, ნამეტურ თფილისის შეუძლო ერს. ყარაშვილებში ყოველთვის ყოფილან რამდენიმე ექიმნი ლდა დოსტაქრები, ხან მთელის გვარის წევრნი მარტოდ ამ

შრომას და საერო სამსახურს მისდევდნენ. საუბედუროდ, ჩვენს ისტორიაში კი მხოლოდ სამი ექიმ ყარაშვილების სახელებია მოხსენებული, ისინიც რომელნიც მეფე ერეკლეს და გიორგის ემსახურებოდნენ, მოიხსენებიან ვითაარცა მეფის ექიმნი. მოკლედ უნდა მოგახსენოთ, რომ XVIII საუკუნეში ამ გვარის წევრთ თფილისში საკმარისი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდათ. მათგან ჩვენ ვიცნობთ: ანტონ ექიმს, თათულას და იოსებს. მამაკაცებს გარდა ამათ გვარში დედაკაცებიც მისდევდნენ ექიმობა-ბებიობას. ასეთის თანამდებობის გამო ყარაშვილებს როგორც თავადაზნაურობაში ეჭირათ პირველი ადგილი ისევე მოქალაქებში. ასე, რომ თფილისში ამათი ოჯახი გამოჩენილ გავლენიან ოჯახათ ითვლებოდა და წევრნი ამ ოჯახისა იყვნენ დიდათ საყვარელი მეფე ერეკლესი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეფის საბჭოში, ანუ სამეფო რამე საქმის განხილვაში ესენიც იღებდენ მონაწილეობას და ხშირად განაბჭობდნენ რამე კითხვებს. ხშირათ ამათ თვით სამეფოს საყურადღებო საქმეების გარჩევაშიაც მიუღიათ მონაწილეობა. იგინი შენიშნულნი იქმნენ მეფეთა და დიდებულთაგან როგორც ჭკვიანი აზნაურისშვილები და საქართველოს სამეფოს საქმეების დიდათ გულშემატკივარნი. ყარაშვილები საქართველოს სამეფოს და მის წარმომადგენთ პატივისცემა იქამდე განცხოველებული ჰქონდათ, რომ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგაც კი ქებით მოიგონებდიენ იმ გარემოებას, რომ იგინი მეფე ერეკლეს ექიმებათ ახლდნენ. მაგალითებრ სოლოლაკის კათოლიკეთ სასაფლავოზედ ექიმის იოსებ ყარაევის მეუღლის საფლავის ქვას შემ-. დეგი წარწერა აქვს:

„მეფის ერეკლეს აქიმბაშის ყარაევის მეუღლე ელისაბედი გარდაიცვალა ხმიერ სოფლიდგან, გთხოვთ ვინც წაიკითხოთ, შენდობა მიბძანოთ წელსა 1832-სა“ და მრავალიც სხვა ამ გვარნი, რომელნიც ცხადათ მოწმობენ ყარაშვილების საკმარის შემძლებლობას, აღსანიშნავია ის ცნობებიც, რომ ყარაშვილები დახელოვნებული ქართული მწიგნობრებიც ყოფილან, კარგნი

მწერალნი, სიტყვა პასუხის მიმგებნი და თავიანთ დროის კვალად ქართული ენის ზედ მიწევნით კარგად მცოდნენი. ქალაქის მართვის საქმეებშიაც დახელოვნებულნი ყოფილან და ხშირად ქალაქის საქმეებიც უმართავთ უნაკლულოდ.

ზუბალაშვილები, ირიცხებოდენ XVIII საუკუნის თფილისის და გორის წარჩინებულ ქართველ კათოლიკეთ ოჯახებათ. ამათზედ იხილეთ მათი გვარის ისტორია.

ხურსიძეებ (ისარლოვი) წარჩინებული ძველი აზნაურის გვარი სამცხე საათაბაგოსი, მოხსენებულ არიან X საუკუნის წიგნში. XVIII საუკუნის დამლევამდე, ამათ დიდს პატივს აპყრობდენ თფილისში ვითაარცა ქართველთ წარჩინებულს უძველეს გვარის ოჯახს. მეფე ერეკლეს დროს, თბილისში სცხოვრებდა ლუკა ერეკლეს ძე ისარლოვი, რომელმაც მეფე ერეკლეს თფილისის კათოლიკეთ სასაფლაოდ აწინდელი სოლოლაკის სასაფლავოს ადგილი გამოსთხოვა და მეფე ერეკლემაც სიამოვნებით დაუთმო. უკეთესად მიგვაჩნია ახლა აქ მოვიყვანოთ თვით თფილისის ძველ ქართველ კათოლიკეთ ზოგიერთა გვარები. ამ გვარებიდამ მკითხველი კარგად მიხვდება, რომ ყველა ესენი ქართველ გვარის წევრნი უნდა იყვნენ, ქართული ოჯახის შვილები. აქ ამიტომ ვლაპარაკობთ ასე, რადგანაც მრავლათ იციან ახირება, რომ ქართველ გვარის კათოლიკენი სულ არ არსებობენო. აი ესეც ცხადი დასამტკიცებელი საბუთი, რომ ქართველ კათოლიკენი თფილისში ძველადგანვე ყოფილან. ვინც ამას არ დასჯერდება, მაშინ იმან აგვიხსნას ვითარება ამ ქართულის გვარების ისტორიის შესახებ და ისიც, თუ ასეთს გვარებს სომხები რათ დაირქმევდენ. ეს რომ ენდომნათ და დაერქმიათ, მაშინ თავიანთ გვარებს რაღას უზამდნენ ან რათა და რისთვის და რა მიზეზით უნდა მომხდარიყოს ეს მათში. ამიტომ მოგვყავს ეს გვარები უფრო აქ ასე აღსავსებით.

ფითუაშვილები, ამ ფითუაშვილების შთამომავალნი არიან დღევანდელი ფითუაშვილები, რომელთა გვარის ისტორია ჩვენ კარგათ ვიცით. დღევანდელი მდიდარი ფითუაშვილები

ამათ შთამომავალნი არიან, ხოლო ზოგი კათოლიკ ფითუაშვილები XVIII საუკუნის ნახევარს, ძალით თუ შესყიდვით იქმნენ გრიგორიანებთან დაკავშირებულნი. (ნაზირის იოსებისშვილი – ზურაბი).

ყაფლანის შვილები, თავადისა, ცნობილნი გვამნი. თფილისში დღეს ამათ შთამომავალნი აღარავინ არის, კათოლიკეთ ყავლანისშვილები ძველადვე მოისპენ.

ბარათაშვილები, დღეს აღარავინ არის.

ჩოლაყაშვილი იოანე რამდენიმე კომლი, დღეს მათი შთამომავალნი აღარავინ არის.

ორბელიანები, მდივნის იოანეს-შვილები, დღეს აღარავინ

არის დაშთენილი.

ბეგთაბეგისშვილი, დღეს აღარავინ არის ამ გვარის წევრთაგანი კათოლიკის სარწმუნოებისა, გასომხდნენ.

იყვნენ კიდევ აზნაურისშვილები:

მელიქიშვილები, ნებიერიძე, ბეზირგანისშვილები, ბაქრაძე, მხეიძე, შავერდაშვილი, შარვაშიძე, თუმანიშვილები, თუმანიშვილები აზნაურებიც ყოფილან და თავადისშვილებიც. დანიბაგასშვილი, – აზნაურად ცნობილი. ყარაევებიც ძლიერ მრავალნი. ზოგის ჩვენ არც გვარი ვიცით და არც სახელები. მათ ცნობამ ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. უკეთესად მიგვაჩნია ახლა აქ თფილისის მცხოვრებთ ქართველ კათოლიკეთ გვარებიც მოვიყვანოთ.

ღარიბაშვილი, (დღეს ღარიბოვი) ყამაზიშვილი (ყამაზოვი) შადინაშვილები – მრავალნი. ჩუთმირზაშვილები, ცოცხალაანი, ჭიანურაშვილები, ხოჯა-სიმონაშვილები, ჯანუაშვილი, ოქონანთშვილი, კაკულაშვილი, ჯანელაშვილი მრავალი. მირაქაშვილი, ხანუმაშვილი, იერიანი, ურიხანასშვილი, ვართანაშვილი, შუაშვილები, ტერუაშვილები, ამათი მონათესავე მართლმადიდებელ ქართველ აზნაურისშვილები დღესაც სცხოვრობენ, სომხიაშვილი, იეზოვი, მღებრიშვილი, ოცხელი, გიუნოვი. ამათ მეგვარე მართლმადიდებელი ქართველი გლეხნი დღესაც სცხოვრებენ პატარძეულს. ბერიკაშვილი,

ამათ მეგვარე იმერეთშიაც სცხოვრებენ. ქართველ მართლმადიდებელ გლეხნი. ყარაზანაშვილები, ამათ მეგვარე ქართველ მართლმადიდებელნი მრავლად სცხოვრებენ თფილისში. ბაბულაშვილი, შიშმანაშვილი, დონიასშვილი, კიშურაშვილი, მადათოვი, მამუკაშვილი, საიფოვი, სიმონიშვილი, მართლმადიდებელნიც არიან დღემდე დაშთენილნი. კაიბეგოვი, საფარაშვილი, თავქალაშვილი, იამერანისშვილი, დავიდოვი, კირაკოზოვი, ბეჟანისშვილი, საინოვი, ბოსთანაშვილი, კწუაშვილები (მრავალნი), თამამშაანი (როსტომა), თუთულაშვილები, იავრინასშვილები, კოსტანაშვილი, კუკუჯანაშვილი, დოინანანი, ასბარაშვილი, გრიგოლისშვილი, ჩითახაშვილი, ალავერდაშვილი, ამირაანი, ამუსაშვილები, (პაპუნბეგი) პაპა ლაშვილი, ბოსტანჩიაანი, ბიცუაანი, მურცკოსიაანი, (?) ქარუმიშვილი (ქარუმი), თუმანიშვილი, დზანდარაშვილი, ამათ მონათესავე მართლმადიდებელნი ქართველნი სოფ დიღომს სცხოვრებენ. ნარიმანაანი, ქოქოვი, ჯიმშერისშვილი, გურგენისშვილი, ჯანყულოვი, ჯანაშია, ჩარახჩიანი, (მექალამნე) შაკრაბიძე, ქუჩუკაშვილი, ყაზმინაანი, ქამიაანი, ყარამდივნისშვილი, ნანეტალაშვილი, წონიაშვილი, ორთაჭალელი ბენიამინე ყალუჭაანი, ბადინაანი, შანდანურაანი, სათუმაშვილი, ფაჩიაშვილი, პავლიევი, ქვაბიაშვილი, ქარჩიევი, დაჩინაშვილი, მომზიაანი, ტერშმნოვი, ტერ-სააკოვი, კობახიძე, საპონჯანაშვილი, ალხაზოვი, (მოზდოკელი) ბაინდურასშვილი, ჯიმშეროვი, ნალბანდოვი, ყაიბეგაშვილი, იზმიროვი, ყაუხ-

ბისშვილი, არაქელაშვილი, არუთინასშვილი, გიორგისშვილი, აკოფასშვილი, ვარლამასშვილი, ლაზარესშვილი, მესამთლესშვილი, ფილიპესშვილი, ნონაშვილი, პეჩოაშვილი, შაიშმელაშვილი, ონანაშვილი, პეტრიაშვილი, კობალაძე, თოროზაშვილი, თომასშვილი, თორმანასშვილი, უზბაშისშვილი, უზბაშოვი, შერგილაშვილი, ანტონოვი, მიზანდარი, ზაქარიაშვილი, მაისურაძე, გორელისშვილი, საფაროვი, ჯანყულოვი, მამალაშვილი, ზარაფოვი, (დიდი გვარი) ხანუმაშვილი, ონანოვი, ჭარიევი, ამირაღაშვილი, ვართანოვი, კანდელაკი მი-

დოდაშვილი, ოქრომჭედლისშვილი, ჯერუნაანი, ხანპატოვი, შუაშვილი, ფიბუაშვილი, მადათოვი, ალიბეგისშვილი, (დღეს ალიბეგოვი) გოგიასშვილი, მიტუაანი, გალუსტაშვილი, მდივნისშვილი გულამყარისშვილი, კობიაშვილი, გულელმოსესაშვილი, დალაქბესუაშვილი, თავლიდარაშვილი, კუნთიაშვილი, გულაშვილი, აღმურაშვილი, ყასპიშვილი, არუთინასშვილი, პოღოსოვი, ქურქჩიშვილი, პავლეშვილი, დარჩიაშვილი, გვარაუდინასშვილი, თერძისშვილი, ყაზახაშვილი, ყამაზაანი, შარუაშვილი, ჩითახოვი, ჩუჩარმაზისშვილი, ჭაუკელი, პეტრუსასშვილი, ხოჯა სიმონაანთ სიმონაშვილი, ბაღდასარაშვილი, ტულუკაშვილი, ფონდუაშვილი, (ფონდოევი) ოჰანეზასშვილი, იოსებისშვილი, კაკოლაშვილი, მარჯანაშვილი, დოღრელაშვილი, და მრავალიც სხვანი ამგვარნი.

ვგონებთ აქედამ მკითხველი კარგად მიხვდება, რომ ბევრი რამ გვარის სახე და მოხსენება ნათლად მოწმობს, რომ იგი ქართველი კაცის გვარი უნდა იყოს და მას არას დროს არავინ არ დაირქმევდა უცხო ტომისა. ზოგს გვარებს კი სომხური სახელწოდებაც აქვს, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი ჩონჩხია, იგი სომეხთ კათოლიკეთ მღვდელთა გავლენით დარქმევიათ ქართველს კათოლიკებს. როგორც გნებავდეთ თქვენ ისე მიიღეთ, ჩვენ კი ეს გვარები გამოვკრიბეთ ძველის „კონდაკის" დასხვადასხვა ბარათებიდამ. ამათ გარდა ჩვენ იმ კათოლიკეთ კი არ ვახსენებთ, რომელნიც ნამდვილ სომხის ჩამომავლობას ეკუთვნიან და იგინი XIX საუკუნის პირველს რიცხვებიდგან თფილისში გადმოსახლდნენ და სცხოვრობდნენ. ისიც კი უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენგან მოხსენებულ გვარების მეოცე ნაწილიც აღარ სცხოვრებენ თფილისში. ქართველ კათოლიკეთა შორის, სულ გადაბირდნენ აქეთ იქით და სხვებს შეუერთდნენ, რაცაღსანიშნავია ჩვენგან და საყურადღებო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თფილისის ქართველ კათოლიკებში იყვნენ ისეთნიც, რომელნიც პატრეზის და კათოლიკეთ ეკკლესიის ყმებათ ითვლებოდენ. ყმებში

ქალებიც კი ურევიან და სხვა და სხვა დიდ გვარისშვილთა

გამდლებიც. მამაკაცთ შორის ყმათა სახელებიც კი არის დაშთენილი, მაგალითებრ: ქიტუა, ონანა, გიორგი, გოგია, პეტრე, როსტომა, თუსა, მიქელა, ბერუა, ანდრია, ივანე, ღარიბაშვილა და სხვა. რაც შეეხება ქალთა და კაცთა სახელებიც თითქმის სულ ქართულებია, სომხური სახელები მათში უკანასკნელ დროებში შემოვიდა. როგორც ვსთქვით, ძველადგანვე თფილისის ქართველ კათოლიკენი უმეტესად მისდევდნენ ვაჭრობის საქმეს, მათში იყვნენ თითქმის ყველა ხელობის და ვაჭრობის ხალხნი, თფილისში თუ კი რამ შეიძლებოდა, რომ ვისმეს რამე ეკითხნა, ეძებნა და ეყიდნა, ის ამათში უსათუოდ ნახავდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ძველ ქართველ კათოლიკეთ სიაში თითქმის ყველა დღეინდელ გამოჩენილ მოქალაქეთ გვარებიც მოიხსენებიან, რომელთა წინაპარნიც ადრე კათოლიკენი ყოფილან და დღეს კი მათი რიცხვი აღარ არის.

ქართველ კათოლიკეთ სოფლები საქართველოში ძველად მრავალი იყო. მესხეთსა, ჯავახეთსა, ერუშეთს და ართვინისაკენ ვერ ნახავდით ისეთ ქართველთ სოფლებს, რომ იქ ქართველ კათოლიკეთ რიცხვი არ ყოფილიყოს და მათ თავიანთი ეკკლესია არ ჰქონებოდათ. დროის მეოხებით ასე მრავლად ხსენებულ სოფლებმა ჩვენ დრომდი ვერ მოაღწიეს. უმეტესი ნაწილი შემდეგ დროებში მუსულმანთა თავდასხმით აღიგავენ ამ ქყეყნის პირიდგან და მათში მცხოვრებნი ზოგი ოსმალეთის შუაგულს ქალაქებში გადასახლდნენ და ზოგნიც აქეთ იქით წავიდნენ. ვინც ამ დიდ რიცხვს გადარჩნენ, ესენი არიან ის პირნი, რომელნიც დღემდე დაშთენილან და აქა იქ მესხეთს და ჯავახეთს სცხოვრობენ. თუ რამდენად მრავალი უნდა ყოფილიყოს ძველად საქართველოში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი ეს გამოჩნდება შემდეგის ცნობებიდგან, რომელიც ჩვენ აქ ძველის წიგნებიდგან მოგვყავს ჩვენის აზრების დასამტკიცებლად.

მაგალითებრ, ძველად ქართლში გორის და ტფილისის გარდა კათოლიკენი სცხოვრობდნენ ცხინვალს, თელავს, კარალეთს, მეჯვრის ხევს, დუშეთს, მცხეთას და რამდენიმეც სხვა სოფელს. ცხინვალის კათოლიკეთ შესახებ ქვემოთ მოყვანილი გუჯარი დაამტკიცებს, რომელიც ეკუთვნის მცხეთის ძველ მკვიდრთ კათოლიკეთ იზაშვილებს. კათოლიკის შვილები მცხეთის ტაძრის ყმანი ყოფილან. ეს სიგელი მათ XVII საუკ. მიუღიათ საქართველოს პატრიარქისაგან. შემდეგ ამავე სიგელს მათ უახლებს ანტონ კათოლიკოზი მე- XVIII საუკ. იმერეთს ქუთაისს გარდა ქართველ კათოლიკენი ყოფილან სამეგრელოს, გურიას, სამტრედიას, ხონს, ფოთს, ყვირილას, საჩხერეს და სხვა დიდრონ ქალაქებში.

მესხეთს და ჯავახეთს, ანუ სამცხე საათაბაგოს ქართველ გვარის კათოლიკენი ახალციხის, ახალქალაქის, არდანუჯს, ართვინს და არტაანან გარდა შემდეგ სოფლებშიაც სცხოვ-

რობდნენ, მაგალითებრ: კლდეს, ვარძიას, ოცხეს, აბასთუ-
მანს, სათლეს, ოქრო ბაზეთს, კორძულას, პხიკიურას, აწ-
ყურს, უდეს, ვალეს, არალს, ბალაჯურს და ბევრს კიდევ
სხვა სოფლებში, რის ცნობაც არ გვაქვს. ამათ გარდა სომეხ-
კათოლიკებთან არევით ქართველ გვარის კათოლიკენი სცოვ-
რობენ შემდეგ სოფლებში: აბდახევს, სხვილისს, წინუბანს,
ნაოხრებს, ჯურხას, კულალისს, მუსხს, წყალთბილას, ალას-
ტანს, ტორიას, კარტიკანს, უჯმანას, ეშტიას, ვარევანს,
ხოლგუმოს, ბავრას, ვალეს, ბნელას, ტიტო ხარებას (ალექ-
სანდროპოლის მაზრაში) და სხვაგან. ამათ გარდა კათოლი-
კეთ რიცხვი ძველადგანვე სხვაგანაც ყოფილა გამრავლებუ-
ლი, მაგრამ მათი რიცხვი სრულიად გამქრალა ქართველი
სომეხ-კათოლიკებს შესთვისებია, მათში ქართული ენა ამო-
ვარდნილა და სომხური გამეფებულა. ბევრს ალაგას ამის ამ-
ბებიც იციან ზეპირად, ბევრს ალაგას კი დავიწყებიათ. მაგა-
ლითები ძლიერ ბევრია. ასეთ გადაგვარებულ ქართველ კა-
თოლიკეთ ძლიერ ბევრს ნახავთ აზრუმს და ამის მოსაზღვრე
ქალაქებში, სადაც ქართველნი მრავლად მირბოდნენ ოსმალ-

თა დევნილობის გამო. თუ მე-XVIII საუკ. კონსტანტინე-
პოლს 1500 კომლი იყო ქართველ გვარის კათოლიკენი, არ-
ზრუმსაც არა მასზე ნაკლები იქნებოდა. სხვა ქალაქებთა
ცნობაზე ხომ არას ვიტყვით. შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში
ყველაზედ მეტი ქირთველთ კათოლიკენი ტრაპიზონს ყოფი-
ლან, ლაზისტანის დაბა და ქალაქებში და ბათუმსაც, მაგრამ
ყველგან ერთი და იგივე ხიფათი დახვდა, ენის დაკარგვა,
გვარტომობის მომდინარეობის დავიწყება. დღეს ტრაპიზონს
ძლიერ ბევრია ქართველი კათოლიკობა, რომელთაც ქართუ-
ლი ენა მე- XVIII საუკუნის ბოლოს დაჰკარგეს და დღეს
ისევე აღარა ახსოვთ რა თავიანთი გვარტომობის, როგორც
ეს კონსტანტინეპოლის ქართველთ შთამომავალთ გასომხე-
ბულ კათოლიკებმა აღარა იციან რა. ამის დასამტკიცებელ
ნიშნებს ისიც წარმოადგენს, რომ სომეხთ კათოლიკებში
მრავლად მოიპოვებიან ჩერქეზიანი,ლაზიანი, აჭარიანი, ჭანი-
ანი და მრავალიც სხვა ამ გვარნი.

საქართველოში, დღეს ქართველ კათოლიკებს სამშობ-
ლო ენა დაკარგული აქვსთ ართვინს, არდანუჯს, სათლეს,
ფხიკიურას, ოქრობაგეთს, მამანელიას, ალასტანს, ვარევანს,
ტურცხას, ხოლგუმას, კარტიკანს, ტორიას, უჯმანას, ეშტიას,
ბნელას, ტიტო ხარებას, კულალისს, ჯულგას, ნაოხრებს,
წინაუბანს, სხვილისს, აბდახევს, წყალთბილას და ბევრსაც
სხვა ადგილებსა ყველას ვერ მოვსთვლით. ზოგ სოფელში
სომხის გვარის კათოლიკებთან არიან არეულნი, რომელთა-
რიცხვი მესამედი იქნება. ზოგში ნახევარზე მეტი ქართველო-
ბაა არეული და ზოგში მეტ-ნაკლები. ბევრს ალაგას მათში
ისეა დავიწყებული ქართული ენა და გვარტომობის მომდინა-
რეობისა, რომ მათ ქართველობისა აღარა ახსოვთ რა, ვინა-

ობას სომხად აღიარებენ. არის ისეთი სოფლებიც, სადაც
ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრობენ, ხოლო მათ
ქართული ენა დავიწყებული აქვსთ, თათრულად ლაპარაკო-
ბენ და სომეხ-კათოლიკეთ ტიბიკონზე სდგანან. მღვდელნი
მათ სომხურად უწირავენ, ქადაგებას კი თათრულს ენაზე წარ-

მოსთქმენ. დღეს თუმცა ასეთ კათოლიკების ზოგმა კარგად
იცის, რომ ისინი ქართველის შთამომავალნი არიან, მაგრამ
ნელ-ნელა ეს მათშიაც ჰქრემა, იგინი ცხადად ივიწყებენ თა-
ვიანთ ვინაობას და ამ დავიწყებას ეკკლესიაში სომხური ენის
ხმარებაც უწყობს ხელს და მასთან სომეხ-კათოლიკეთ სამღვ-
დელოების მხნე მოქმედებაც.

თფილისის მოქალაქეთა და მცხეთის საკათალიკოზო ეკ-
კლესიის ყმათა ქართველ კათოლიკეთ იეზაანთ სიგელით განახ-
ლებული ძველის სიგელიდამ ანტონ საქართველოს პირველის
კათოლიკების მიერ, აი:

„ჩვენ ყოვლისა საქართველოისა დიდმან მამათ მთავარმან ღვ-
თივ ცხებულთა მეფეთა შარშანდელმან ძემან ქართველთა მეფის იე-
სემან კათოლიკოზ პატრიარქმან ანტონმა. ესე უკუნისამდე ჟამთა და
დროთა ცვალებადთა გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი სამკვიდ-
რო და საბოლოვო და ყოვლისა კაცის უცვალებელი და მიზეზ მე-
მოუკლებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ
თქვენ ცათა მობაძავს სვეტის ცხოველისა მკვიდრსა და ჟამსა ჩვენ-
სა მოქალაქესა იეზაანთ ბეჟინაშვილსა ოჰანეზას (?) შვილსა და მო-
მავალსა სახლსა შენისასა, ასე რომე დიდი ზურაბის სახლი და კარი
უმკვიდრო შექმნილიყო და პირველთ კათოლიკოზ პატრიარქთან
შენს
პაპას იეზამვილს ფასინას და იმის ძმას ოჰანეზას ეშოვნა და წყა-
ლობა ექმნათ, მერმე პაპა შენი და ბიძა შენი უმკვიდრო შექმნილი-
ყვნენ ოვანა და ნაფარა და თქვენც გაუყრელი იყავთ, აწე მოხვედით
კარსა და დარბაზსა პალატისა ჩვენისასა და ოჰანეზა და საფარას
ექვს წილს სახლ-კარს და გვიაჯეთ. ვისმინეთ აქა და გახსენება
თქვენი
და რადგან პირველთ კათ. პატრიარქთაგან წყალობის წიგნი გქონ-
დათ, ჩვენცა ისევე წყალობა გიყავით და სიგელითა ამით დაგიმტ-
კიცეთ და ბერძენ მხატვარს აბისტოლესაც ცოტა ხანს ჰქონებოდა
იასი სახლები და ისიც უმკვიდრო ქმნილიყო, რადგან
არავის ეხელმოდა ისევ თქვენ წყალობა გიყავით, აწე გქონდესთ, გი-
ბედნიეროს ღმერთმან. ჩვენსა ერთგულებასა და სვეტიცხოვლის სამ-
სახურსა შინა არ მოგეშალოს არა, ჩვენგან და არც სხვათა მეპა-
ტრონეთაგან, არცა მეფეთა და დედოფალთა და უფლის წულთა და

მთავართაგან, არცა დიდთა, არცა მცირეთაგან. ხოლო,
დამტკიცებულნი
ამისნი ღმერთმან აკურთხნეს აწ შემდგომად ჩვენისა ყოვლად სანა-

ტრელისა კათოლიკოს პატრიარხს თქვენც ესევე გამრიგეთ და დაუ-
მტკიცეთ რათა თქვენი გეგებულ და გარიგებულ ღმერთმან მტკიცე
ჰყოს ამის მოწამენი და ნების დამფარველნი და დამრთველნი დაი-
წერა ინდიკტონსა ზ. პატრიარქობასა ჩვენის საამის ხმლითა მდივან
ქალამ მაღალაძის ნიკოლოზისათა, თვესა აპრილის 3. ქრისტეს აქეთ
1749 წ.

„ეს წიგნი მოგეცი მე ქალაქის მელიქი გიორგის ძმის პაპის
ტალაბმა ქეთევანამ შენ იეზაანთ ბეჟანის შვილის ოჰანეზას".

ამ იეზაანთ შთამომავალია დღეს, ქართველი კათოლიკე
პავლე იეზოვი, რომელმაც სომეხთ საპასუხოთ დასწერა წე-
რილი ქართველ კათოლიკეთ შესახებ და რომელიც ჯერეთ
რუსულათ დაბეჭდა „კავკაზ"-ში და მერე მე დავბეჭდე ცალ-
კე წიგნად „ივერიიდამ".

უნდა მოგახსენოთ რომ აქ მოხსენებული სომხური სა-
ხელები იზაშვილებში შემოტანილია 1700 წ. შემდეგიდამ. ეს
არამც თუ მარტოდ ამათ გვარზედ, არამედ, სხვა ქართველთ
კათოლიკებზედაც ასევე იქმნა თბილისში და ბევრს ქართველ
კათოლიკის ოჯახის წევრთ დაერქვათ სომხური სახელები, ეს
მანქანება სულ მისი ბრალია, რადგანაც სომეხთ კათოლიკეთ
ხუცებმა 1700 წლიდგან თფილისის ქართველ კათოლიკებზედაც.

იწყეს დიდი ზედ წავლენა. ამ ზე გავლენისათვის სომეხთ
კათოლიკეთა დიდი ძალაც შესწევდათ. იგინი ამისთვის მომზადე-
ბულნიც იყვნენ. ქართველთ უარის ყოფა და ქართული ენის
ჩაყლაპვა მათ არამც თუ 1700 წ. იწყეს, არამედ ბევრად
უფრო ადრე, 1650 წლებში. რომში მათ საქართველოს ხსენე-
ბაც-კი უარ ჰყვეს პაპის წინაშე და აღიარეს, რომ სწორედ
ის ადგილები, რომლებიც „კონკგრეგაციას“ საქართველო
ჰგონია, ის სომხეთი არისო და ჩვენ ქართველობას არც ვიც-
ნობთო. ეს განცხადება მერე მოგზაურმა დელავალემ დაარღვია.
ასე, რომ ასეთ ყლაპიობისათვის სომეხნი ადრევე იყვნენ აღ-
ბორგებულნი. მათ ამის დროც ჰქონდათ და შნოც, ხო-

ლო რაც 1700 წლიდამ ვენეციას, სევასტ მხითარმა კათო-
ლიკეთ კონგრეგაცია დაარსა, იქ სომეხთ გვარის მოწესენი
შეკრიბა და მათ სომხის გვარის სასარგებლოთ შრომა იწყო.
მის შემდეგ-კი სომეხთ კათოლიკეთ საქმე მეფურს გარემოებაში
ჩავარდა და რაც შეეხება ამათ მეზობელ ქართველ კათოლიკეთ
საქმეს, ესენი მათ მონებათ შთავარდნენ. აბა რათ უნდა გაგვი-
კვირდეს ეს და ან რათ უნდა გვეუცხოვოს ასეთი ოსტატო-
ბა, როცა ვენეციის მხითარისტებმა 1700 წლის შემდეგიდამ
ქართველ კათოლიკობაზედ ოსტატურათ იწყეს მოქმედება და
მათ ამის ხელის შემშლელიც არავინ უჩნდებოდა.

ამიტომ ნურავის გაუკვირდება ესე რომ კათოლიკ ქართ-
ველთ სომხის სახელები ეწოდებათ, კათოლიკ ქართველთ –
კი არა და იგინი თვით მართლმადიდებელ ქართველთაც
როცა-კი გადაიყვანდნენ გრიგორანობაზედ, ან კათოლიკობა-
ზედ, მაშინათვე მათ ისეთ სახელებს უწოდებდნენ, რაც მათ

მკაცრად მოგლიჯავდა თვის თანა მენათესავეებს, მეგვარეებს და მერჯულეთ. ეს ოსტატობა მაშინ უფრო წავიდა წინ, როცა სომეხთ კათოლიკეთ გარდა მთელს სომხობაზედ ვენეციის მხითარისტებმა ოსტატურად და მძლავრად იწყეს მოქმედება. ერთის სიტყვით, იგინი ქრისტიანობის სწავლის ხსენებით ჩუმი და ნელი მყლაპავნი იყვნენ სხვა გვარის ერისა. სწორეთ ასევე დაგვემართა ჩვენ, ქართველებსაც, რაც პირ და პირ მხითარისტების ბრჭყალებს და ოსტატურს განკარგულებას უნდა მიეწეროს. ასეთ სომხურ სახელებს არამც თუ იზაშვილების. გვარში ვპოვებთ, არამედ ჯავახეთის ქართველთ ტეტიების გვარშიაც ვნახათ და თვით ქართველ კათოლიკეთ თავად აზნაურებისაშიაც, რომელთაც სომხებთან არც ნათესავობა ჰქონიათ ოდესმე და არც აქვსთ და რომელნიც ნამდვილ ქართველთ შთამომავლობას ეკუთვნიან. ასეა საქმე, მაგრამ რას ვიზამთ. ყველა ეს იმისი ბრალია რომ ქართველთ კათოლიკენი იმდენი არ იყო, რამდენიც სომხების და მეორე სომხის გვარი ძველადგანვე დაიბნენ სომხეთიდგან, იგინი მთელს ევროპას მოედნენ, კონსტანტინეპოლს ოსმალების ქვეშ თავი შეიფარეს, იქ დიდი

ძალა შეიკრიბეს, ოსმალის მთავრობას ბერძნების ჯაშუშებათ იყვნენ, არც ქართველებს ზოგავდნენ, საქართველოსთვისაც ბასრს კბილებს ლესავდნენ. ათას ნაირს დასაღუპს მანქანებს ამზადებდენ, ხოლო ამისთვის-კი ქართველ კათოლიკეთ და თვით ქართველთაც არაფერი ძალა შესწევდათ. აი ამის წყალობა გახლავთ ეს მოწყალეობა, რომ ქართველ გვარის შვილებს ასეთი სახელი და გვარები ეწოდებათ. მხიტარისტების ძმობა სომხის გვარის სასარგებლოდ სწორედ ასეთ საქმეთა გავრცელების ძმობათ უნდა ითვლებოდეს სხვა და სხვა გვარის და ტომის ერში.

ნაამბობი ახალციხის ქართველ მართლმადიდებელ ბლაღოჩინის დიმიტრი ხახუტაშვილის-მიერ.

ჯავახეთის და მესხეთის ქართველებში ბევრი რამ ამბებია ქართველ კათოლიკეთ შესახებ დაშთენილი. ზოგი მე გამიგონია ჩემის ყურით, ზოგი სხვათაგან ნაამბობი შემიტყვია, ზოგიც თვით გადაგვარებულ ქართველ კათოლიკებს უამბნიათ.

სოფ. ხულგუმოს, ბავრას და კარტიკამს, რომელნიც დღეს ლაპარაკობენ სრულიად თათრულად, ათასში ერთმაღა იცის მათში ქართული, სხვებს სულ დავიწყებიათ. არც ის ენა იციან, ე. ი. სომხური, რომელსაც სხვები მათ დედაენათ ჰგონებენ. ამ სოფლებს გარდა სოფ. ტურცხაშიაც არიან ქართველ გვარის კათოლიკენი, სადაც სომხის გვარის კათოლიკენიც ურევიან. ქართველ კათოლიკეთ რიცხვი 40 კომლია, ესენიც თათრულად ლაპარაკობენ, ხოლო ამ უკანასკნელ დროს მათაც სომხურს ენაზედ დაუწყვიათ სწავლება, რადგანაც მათი მოძღვარნი სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ დგა-

ნან და მათს დედაენათაც ამ სომხურ ენას ასმენენ. მაგრამ არიან ისეთი კათოლიკენიც, რომელნიც ლაპარაკობენ ქართულს და თავიც ქართულ მოლაპარაკე კათოლიკეთ მიაჩნიათ.

ამათში წინეთ კი ყველამ იცოდა ქარული ენა. სომხის კათოლიკეთ მღვდლების მეოხებით დაკარგეს ამათ ქართული

ენა. ეს კათოლიკენი რომ ქართველის ტომისანი არიან, ამას ამტკიცებს ის გარემოებაცა, რომ მათ აქვს ნათესავობა მართლმადიდებელ ქართველებთან, ამას გარდა მისვლა მოსვლაცა და როგორც ნახავთ თქვენ ამ გადაგვარებულ ქართველ კათოლიკეთ და ქართველ მართლმადიდებელთ, მაშინათვე შეამჩნევთ, რომ იგინი ქართველის შთამომავლობის უნდა იყვნენ და ორივე ამათგან, ხოლო ერთი ტომის შვილები, ძრიელ წაჰგვანან ერთმანეთს, ნამდვილ სომხის გვარის კათოლიკენი კი დიდათ განირჩევიან მათგან არა მარტო სახით, არამედ ზნით, ხასიათით და სხვაც ბევრი რამ საგვარტომო ჩვეულებებითაც. აქ ხსენებულ სოფლებს გარდა ქართველ გვარის კათთლიკენი სხვაგანაც მრავალად სცხოვრებენ, ხოლო იგინიც სომეხ კათოლიკებში არეულები არიან და ამიტომ მათ თავიანთი ზნე, ხასიათი და წეს ჩვეულებაც დაუკარგავთ, თვით ენით და ხასიათითაც კი ცხადათ დამსგავსებიან სომეხ კათოლიკებს. აქ შუა გულს ქართლში რომ ეს ასე მომხდარ, ამ საქართველოს განაპირა და ოსმალეთში მცხოვრებ ქართველ კათოლიკებს რაღა დაემართებოდა, სადაც ძველათ მათი რიცხვი დიდი ყოფილა და დღეს კი იქ აღარაფერი სჩანს ქართველ კათოლიკების.

ქართველ კათოლიკენი სოფ. ხიზაბავრს.

ხიზაბავრა ახალქალაქის მაზრაში სძევს, ახალციხის და ახალქალაქის შუა, მაღლა, რამდენიმე ათასი ფუთის სიმაღლეზედ არის. მაინც საზოგადოთ ჯავახეთის სოფლები სულ ასე მაღლა ადგილებზედ არიან გაშენებულნი. არის ისეთი სოფლები რომლებიც ხიზაბავრაზედ მაღლა მდებარეობენ. ისკი უნდა ითქვას რომ ჯავახეთის სოფლები თავიანთ სიმაღლით და სილამაზით მშვენიერს სანახაობას წარმოადგენენ. ჯავახეთში, ანუ ახალქალაქის მაზრაში, სოფი ხიზაბავრაც ისეთივე ვრცელი და გვარიანი სოფელია, როგორც ერთი და ორი სოფელიც სხვა არის ამ მაზრის სოფლებში.

მოგეხსენებათ რომ ადრე ამ კუთხეში მთლად ქართველი ხალხი ესახლა, ყველა სოფელი ქართველის იყო, შიგ ქართველი მოსახლობდა. თათრობის მეოხებით დღეს აქ ისე აღარ არის, ქართველნი აქა იქ თითო ოროლა სოფლებში სცხოვ-

რებენ, უმეტეს ნაწილი ქურთები, თათრები და ახლად მოსუ-
ლი სომხები არიან, მაინც ყოველს შემთხვევაში მესხეთსა და
ჯავახეთში ქართველთ სოფლები სულ 55 მეტი არ იქნება. რა
გაეწყობა, ესეც კარგია, კარგი რომ ოსმალის მონების დროს
სულაც არ მოისპო იქ. იმ სოფლებს კი სადაც დღემდე ქართ-
ველებმა თავი შეინარჩუნეს, უნდა ითქვას, რომ მათ საერ-
თოდ დიდი შრომა მიუძღვით. როგორც თავიანთ შინაგან
ცხოვრების წესების დაფარვით და შენახვით, ისევე სარწმუ-
ნოებით, მტრის მოგერებით და საყოველთავოდ ქართველო-
ბის დაშთენით. სწორეთ ასეთი სოფელია ხიზაბავრა და
მის მცხოვრებნი. ადრე ხიზაბავრას ქართველ მართლმადიდე-
ბელნიც სცხოვრებდენ. აქ მათი ეკკლესიაც არის დღემდე
დაშთენილი. დღეს კი მთლათ ქართველ გვარის კათოლიკენი
სცხოვრებენ, ხოლო ეს ქართველ გვარის კათოლიკენი სომ-
ხის კათოლიკეთ ტიბიკონზედ სდგანან.

ხიზაბავრელთა კათოლიკობასთან დაკავშირება ცნობილ
დროს ეკუთვნის, ზედ მიწევნით ვერ განვსაზღვრავთ, XVII
საუკუნეზედ უგვიანეს კი აღარ იქნებოდა, ე. ი. ისეთ დროს,
როცა სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის სახელმწიფოს ფორმა-
ლურად არ ემორჩილებოდა. წინეთ ხიზაბავრელები კი ლათი-
ნის წესზედ მდგარან. სომხის კათოლიკეთ ტიბიკონზედ გა-
დასვლა უნდა ეკუთვნოდეს XVIII საუკ. დასაწყისს. შესანიშ-
ნავი ისტორია აქვს, ამ სოფელს და მის მცხოვრებ ქართველ კა-
თოლიკებს მრავალ ტანჯვა უნახავსთ მტერთაგან. მრავალი
ცარცვა და გლეჯა, მაგრამ თავიანთ დღეში სჯულისათვის
კი არ უღალატნიათ. ნაცვლათ ამისი იგინი მედგრათ ამხნე-
ვებდნენ თვის ახლო მახლო მდებარე ქართველ მართლმადი-
დებელთ სოფლელებსაც რომ ამათაც მათებურათ შეენახათ
ქრისტიანობა, არ დაკავშირებოდენ ისლამს, მამა პაპის ხსოვნა

და გვაროვნობა არ გამქრალიყო მათში. ამ სოფლის ახლო-
მახლო ქართველთ სოფლებში ქართველებს გარდა სხვა ტო-
მის ხალხიც სცხოვრებს, რომელნიც შემდეგ არიან მოსულნი
და ზოგიც გადაგვარებულნი ქართველნი, გამაჰმადიანებული.

ადრე ხიზაბავრს 30 კომლი იყო. დღეს 200 კომლია,
ადგილები კი იგივე აქვსთ, რაც 30 კომლს ჰქონდა. საუკე-
თესო ადგილები აქაურის კუთხისა, როგორც ვსთქვით ზემოთ,
მოტაცებული აქვსთ სხვა და სხვა ტომის ერთ. ხიზაბავრელი
ამიტომ მეტის მეტის შეწუხებით სცხოვრობდნენ. იგი-
ნი თავიანთის ძველის მდგომარეობითაც ვეღარ რჩებიან და
უფრო დაკნინებას,დაქუცმაცებას ეძლევიან. რჩებიან ისევ ისე
მამა პაპურს სოროებში, თხრილებში და აქამდინ მათგან ვერც
ერთი კაცი ვერ გამოვიდა კარში, მაღლა მზეზედ, თავისუფალთ
კედლიანი სახლი არავინ გაიკეთა. მთელი სოფელი როგორც
იყო ამ 100 წლის წინეთ, თითქმის ისევ ისე არიან. სოფლის
სახლები თაგვის სოროებსა ჰგავს. სახლს არც ბანი უჩანს
ბევრს ალაგას და არც სანათურები. გარედამ რომ შეხედავთ

სოფელი სოფლებს კი არ ჰგავს, არამედ ქვა ყრილს თათრულ ხორხს (აულს). გარედამ ასეა, სადაც სინათლე და ჰაერი-მუშავობს და შიგ თქვენი მტერი, უცხო კაცი ერთ ღამესაც ტანჯვით გაათევს. შეხვალთ შიგ, მაგრამ სიბნელის მეტს ვერას ნახავთ, ცუდი სუნი, ზინტლიანი ლოგინი, ჩულები, კონკები, დედაკაცების თათრული ტანთსაცმელის კონკები და ათასიც სხვა ამ გვარნი, რომელნიც ქართველ კაცად კაცის გულში მაღალს მწუხარებას ბადვენ.

თქვენი მტერი, აქ რომ ასეთი მდიდარი ბუნება არ იყოს, მაშინ უამისოდ ხიზაბარელნი თავიანთ სოროებში გამრავლების მაგიერ სულ ამოიხრჩობოდნენ, მოისპობოდნენ, რადგანაც ამათ თავიანთ ოჯახის და ცხოვრების კაი პირობების სახსრათ ის ჩვეულებაც დაკარგეს, რაც ძველათ ეპყრათ ხელში. გამრავლებულთ და სიღატაკის მეოხებით სხვა ახალი, უკეთესიც ვერა შეიძინეს რა. როგორც ხუხულა ქოხებია, ისევე სოფლის ოღრო-ჩოღრო გზებიც იგეთივე ბინძურებია, ეზოებიც

ბინძურებია. ერთის სიტყვით, ხიზაბავრელთ ცხოვრება, რამდენათაც ქართულია და ადამიანური, იმაზედ მეტი თათრული, აზიური და რაღაც ნარევი ყველაფერში. მამაკაცებს თუ შეამჩნევთ, რომ იგინი ქართულები უნდა იყვნენ, თორემ დედაკაცებს მთლათ თათრული ტანთსაცმელი აცვიათ, წითელ-ყვითელ, ტანზედ სახვევ საკრავები, წინ წითელი ტილოს მისაფარებელი და მრავალიც სხვა ამ გვარნი. რაც შეეხება სახლის ავეჯეულებას და სხვა ასეთ საჭირო ნივთებს, ტანთ საცმლის სარეცხს, ჭურჭელს დ სხვა ასეთ საჭიროებას ამითიც დაქვეითებულნი არიან. მეურნეობის მხრით მისდევენ საქონლის შენახვას მევენახეობაც იციან. აქეთ მევენახობა ხილის ხეთა გამრავლება მოშენებით იციან. ვაზი ასეთ მაღალ ადგილებში არ გვარობს, თუმცა ხიზაბავრელებს მცირე ვაზის ვენახებიც აქვთ, ხოლო სოფელის შორს, დაბლა 7 ათსს ფუთს ქვემოთ, სადაც გვარობს ვაზი. აღებ მიცემაში უხერხულნი არიან, ამის ეშმაკობას მათ სულ არაფერი მოეძევებათ, ამით წმინდათ ქართველები არიან.

ურთიერთ შორის მეგობრობა და ნათესავობაში ძრიელ განწყობილნი და კეთილ თვისებისანი არიან. მათში კაცს და ქალს, ფლიდობა, მზაკვრობა, მტრობა და შური სულ არა აქვსთ. გინება-ლანძღვა, ლოთობა, მეძავობა მთლად მოსპობილია. ყოველივე სრულდება ძველ პატიოსნურად, წყნარად და კეთილ თვისებიანათ. ლაპარაკში და ზრდილობაშიაც ჩენილნი არიან. ბევრი რამ სანაქებო თვისება სჭირთ. ქართლ კახეთის გლეხკაცობაზედ იგინი ბევრის რამით სდგანან მაღლა. კათოლიკობას მტკიცეთ იფარვენ. უკანასკნელ წლებს კარგათ შეიტყეს, რომ იგინი სარწმუნოებით კათოლიკენი არიან, ხოლო ტომით ქართველნი, საქართველოს შვილნი. ძრიელ სწყინთ, რომ მათს ეკკლესიაში წირვა ლოცვა უმეტესად სომხურს ენაზედ სწარმოებს, რადგანაც იგინი სომხის კათოლიკის რიგზედ

სდგანან. ამაზდ-კი ძრიელ უკმაყოფილონი არიან. უკმაყოფი-
ლონი იყვნენ თვით ისეთ დროსაც, როცა მათ გვარტომობის
შესახებ არაფერი წარმოდგენა ჰქონდათ, მაშინაც-კი ნატრო-

ბდენ ქართულ ენას ეკკლესიაში სახმარებლად და მოიგონებ-
დნენ ნატვრით ძველს დროს და პატრებისგან ნახმარ ქართულ
ენას.

ასეთ საქმეთა შემცნებაში მეტად დიდი ამაგი მიუძღვის
პატივცემულს მოძღვარს ვინმე მესხს. ეს მოძღვარი თუმც სომ-
ხის ტიბიკონზედ სდგანს, მაგრამ უმეტეს სულ ქართულად
სწირავდა და ქადაგებდა. ამანვე გაუღვიძა მათ ქართველობის
ჰაზროვნება და სწავლის სიყვარული. ამ მოძღვრის შემდეგ
იქ დიდის ენერგიით აღმოსჩნდა მღვდელი მიხეილ ვარძელა-
შვილი. ეს მოძღვარიც თუმცა სომეხ კათოლიკეთ რიგზედ
სდგას, მაგრამ მღვდელ მოქმედებას უმეტესად ქართულად
ასრულებს. ამ მოძღვარმა თავის მხნეობით ხიზაბავრელებს
ისეთი კარგი ეკკლესია გაუკეთა, რაზედაც 30,000 მანეთზე მეტი
დახარჯა და ამ ფულში ხიზაბავრელ გლეხების სრულებით
არა რეულა რა, ეს ფული მან ევროპაში მოაგროვა. დიდი
შრომა მიიღო ამის გამო მან. ახლა ესევე მოძღვარი მათვის
მეცადინეობას, რომ სოფელს სკოლა გაუხსნას, ამისთვის
მან 1901 წ. უმაღლესად ხელმწიფე იმპერატორსაც მიმართა
თხოვნით, დაავალა იქ სკოლის გახსნა, რადგანაც ჩვენ ამის
მოხერხების შეძლება არა გვაქსო. ამას გარდა ქართული სამ-
კითხველოს ჰაზრიც განავრცო მცხოვრებლებში და მრავალთ
იწყეს წერა-კითხვის შესწავლა და ქართული წიგნების კითხვა.
უკანასკნელ ჟამს თხოვნაც მისცა ამ მოძღვარმა სადაც ჯერ
იყო სამკითხველოს გახსნის ნებართვის შესახებ.

სწავლა განათლების ტრფიალი ხიზაბავრელებში ისეა
გაღვიძებული, რომ ამ გარემოებას მთავრობამ ადრიდანვე მია-
ქცია ყურადღება და იქ სამინისტროს სასოფლო სკოლაც
გახსნა. სკოლას მოწაფენი მრავლად ჰყვანდენ, საქმეც ყოველ-
თვის კარგათ მიდიოდა, ხოლო სკოლის შენობა კი ისე დაძ-
ველდა, რომ დღეს მასში ყმაწვილების სწავლება შეუძლებელი
გახდა და ამიტომ სკოლაც მოისპო თითქმის დროებით. სანა-
ტრელი უნდა იყოს უფრო ჩვენ ქართველთათვის, რომ ასეთ
მიყრუებულს და მიუვალს კუთხის სოფლებში, როგორც არის

ჯავახეთი და მის სოფლები, რომ სკოლები გვქონდეს დახ-
სნილი და ხალხი ამით მაინც წაიყვანოთ წინ, თორემ ჩვენდა-
საუბედუროდ ჯავახელი გლეხნი რაღაც ქართლ-კახეთის გლე-
ხებივით მძიმენი არიან, სახლიდამ კარში არ გადიან, უცხო
ქვეყნებში მოსამსახურედ წასვლას, ან შვილების ხელობაზედ
ღა ვაჭრობაზედ მიბარებას რაღაც ვერ ეწყობიან, ვერ მისდე-
ვენ. ამის მხრით იგინიც ნამდვილი ტეტიები არიან. რაც შეე-

ხება ასეთის მდგომარეობიდამ გამოსვლის და თვალის გახილე-
ბისთვის ეკკლესიაში დიდის გულს მოდგინეობით მღვ.
მ. ვარძელაშვილიც ჰქადაგებს და ეს თვით ხიზაბავრელ დედა-
კაცებსაც კი ურჩევს, რომ მათ თათრული ტანისამოსი გადა-
აგდონ და მის მაგიერ ქართული ტანთსაცმელი ჩაიცონ. ამის
დრო არის უკვეო.

ხიზამბარელთ იგივე წესები აქვსთ მიღებული რაც სხვა
იქაურ სოფლის ხალხს. კაცის, დედაკაცის, თუ წვრილფეხო-
ბის იგივე მხარეებია, იგივე დაწყობილება, რაც სხვაგან არ-
სებობს მესხეთსა და ჯავახეთში. ამათის წესებისაგან მცირედ
გაირჩევიან ახლად მოსულ სომხის სოფლის ხალხი და თათ-
რების. ხიზაბავრა კარგა ვრცელი სოფელია, 200 კომლზედ
მეტი სცხოვრებს და სულადათ კი 2000 მდე ადის. ეს ცნო-
ბა ადრინდელია და დღეს ვგონებთ მეტიც იყოს. როგორც
ვსთქვით ზემოდ ყველა ესენი არიან ქართველ გვარის კათო-
ლიკენი. სცხოვრობენ ერთად, მაგრამ დიდის გაჭირებით და
სიღატაკით. იგინი სახლობენ ვიღაც თათრის და სომხის მება-
ტონის ადგილზედ. ეს გასაკვირველი არ უნდა იყოს. ხიზაბა-
ვრელნი, ეს ძირეულნი ქართველნი, თავიანთ სისხლით და
ცრემლით შენახულს ქვეყანაში სხვის მამულზედ უნდა სცხოვ-
რებდენ და ისიც ვისზედ, ვიღაც მოსულ მტრებისაზედ. სად
არის აქ სამართალი, სინიდისი და მართლმსაჯულება. მაგრამ
ღმერთმა დაღუპოს ათაბაგების გვარი, ამოვარდეს მათი სინ-
სილა საქართველოში და მათთან ერთად შეიმუსროს და გაწყ-
დეს ქართველ ბეგების უმეცრული მედიდურობა და თვისე-
ბა, რომ მათის მეოხებით დღეის შემდეგაც, საწყალ ქართ-

ველ გლეხობას კიდევ არ წაერთვას ხელიდამ მამულები ისევე,
როგორც ეს ხიზაბავრელებს და მრავალ სხვებსაც წარტაცეს
ძველათვე მათმა მებატონეებმა. ხიზაბავრელის მცხოვრები ქართ-
ველთ კათოლიკენი უმამულობისაგან მეტად შევიწროვებით
სცხოვრებენ. საქმემ იქამდე მიახწია და ესენი უკანასკნელ
დროს ისე გამრავლდენ, რომ უადგილობის გამო რამდენიმე
კომლი გუმბრისკენ გარდასახლდნენ. იქ სახლობენ დღესაც
სხვის მიწაზედ, ხოლო ამ მოკლე დროის განმავლობაში მათ
თავიანთი დედა ენა კი დაკარგეს.

ხიზაბავრელ ქართველ კათოლიკეთ გლეხნი რომ ნამდ-
ვილად ქართველები არიან, ამას ამტკიცებს თვით მათი ქარ-
თული გვარები, რომლებიც დღემდე კიდევ შერჩენიათ მათ
მტერთა ხელშეუხებლად. დღეს მათში არიან ისეთ გლეხის
შვილნი, რომელთაც ახალციხის სამოქალაქო სკოლაში სწავ-
ლაც მიუღიათ ღა იგინი თავიანთ სოფლების ხალხის სიყვა-
რულის გამო იქიტკენვე სცხოვრებენ. ხიზაბავრელთაგან
სამღვდელო პირნიც ხშირად გამოსულან. ზოგნი ამისთვის
რმშიაც წასულან. ერთი დღესაც არის მოძღვარი, ლათინის
ტიბიკონზედ მდგარი დ. ნუღაშოვი და ცნობილი მქადაგე-
ბელი პატრი ალფონს ხითარიშვილი. რაც შეეხება ხიზაბავ-

რელების ხმაურობას, ენას, სიმღერას და სხვა ამ გვარებს, ყოველივე ქართულს ენაზედ აქვსთ და ამის მხრით იგინი სამაგალითონიც არიან, იგინი ამ უკანასკნელ დროს ნატვრით ეძიებენ უფლებას, რათა ეკკლესიაში საყოველთავოდ ქართული ენა ჰქონდესთ მიღებული.

კოსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკენი.

ზოგს ეს სახელი გაუკვირდება კიდეც, მაგრამ აქ გასაკვირველი არა არის რა. ჩვენ კარგათ ვიცით და ამას მ. იი. გვარამაძეც მოგვითხრობს, რომ კოსტანტინეპოლს, XVIII საუკუნის ნახევარს, ქართველთ რიცხვი 4500 სულზედ მეტი ყოფილა. დღეს კი სტამბოლში ამ 4500 სულის შთამომავა-

ლის აღარავინ სჩანს, მთლად მოსპობილია მათ შორის ქართული ხმაურობა. უეჭველია ამაზედ იკითხავთ, რომ ეს ქართველ კათოლიკენი იქ ან საიდან გაჩნდნენ და ან თუ გაჩნდნენ, მერე სადღა წავიდნენ, სად გაქრნენო. ამაზედ ერთსაც მოგახსენებთ და მეორესაც.

დასავლეთ საქართველო ოსმალეთმა 1628 წლიდამ აშკარად დაიმორჩილა. აქამდის მათ ხელქვეშ ყოფილ სამცხე-საათაბაგოს ავტონომიაც გააუქმეს. ამ დღიდამ მათ სასტიკათ დევნა დაუწყეს ქრისტიანებს. მკაცრათ სტანჯავდნენ მართლმადიდებელთ ქართველთ და საკმარისად ავიწროვებდენ ქართველ კათოლიკეთაც. ერთის სიტყვით ერთსაცა და მეორესაც მათის დესპოტიზმის მეოხებით სიცოცხლე და ცხოვრების წუთები უბნელდებოდათ. ქართველ ქრისტიანეთათვის დამდგარი იყო დიდი ვაების და შეწუხების დღეები. ქართველთ ქრისტიანეთათვის დადგა აქეთ იქით გარდასახლების და გაქცევის, ან გაპარვის ხანა. მართლმადიდებელ ქართველნი ოსმალოს საქართველოდამ თავიანთ თანამერჯულე იმერეთს, ქართლს და კახელებთან გადმოდიოდნენ და სახლდებოდენ და ქართველ კათოლიკენი კი სტამბოლს მიილტოდნენ, სადაც მათ მერჯულე სომეხთ კათოლიკეთ რიცხვი ერთობ დიდი იყო. რაკი ერთი წყობა დაიძრა ქართველთ კათოლიკებისა და წავიდა სტამბოლს სომეხთ კათოლიკებთან, მის შემდეგ დაირეკა სომეხთ კათოლიკეთ ზარი და მთელ დასავლეთ საქართველოს ქართველ გვარის კათოლიკებმა სულ იქ იწყეს გარდასახლება და ცვოვრება. გარდასახლება ისე წავიდა წინა, რომ როგორც ზემოთ ვსთქვით, XVIII საუკუნის დამლევს კოსტანტინეპოლს ქართველ კათოლიკეთ რიცხვი 1500კომლი იყოვო, ზოგს ოჯახში 10 სული იქნებოდა.

კოსტანტინეპოლს ქართველნი სახლდებოდენ აჭარიდამ, მესხეთიდამ, ჯავახედიდამ, ლაზისტანიდამაც ძლიერ ბევრი. როგორც ვიცით, კათოლიკობას ლაზები ძრიელ მრავლად დაკავშირებიან შავშეთიდამ, ართვინიდამ,არტიაანიდამ, კარი-

დამ, (ყარსი) ოლთისიდამ და სხვანი. კონსტანტინეპოლს ქართველთ კათოლიკენი ყოველთვის მიკედლებულ იყვნენ. სომეხთ კათოლიკებს დიდი გავლენა ჰქონდათ და 1744 წელს კონსტანტინეპოლს მათი საპატრიაქო წესიც განწესდა, ამორჩეულ ქმნა სომხეთ კათოლიკეთ პატრიაქიც, რომელიც დიდის დიდებით მფარველობდა კათოლიკე სომხებს და მათთან ქართველებსაც ერთად. ქართველ კათოლიკებს სომეხ კათოლიკენი, მათი სამღვდელოება და პატრიარქი დიდს ყურადღებას აპყრობდენ, ყოველ ნაირის მხრით მფარველობას და მამობას უწევდნენ. მაშინ ქართველთ კათოლიკეთ ხსენება გვაროვნობით გარჩევა სულ არ არსებობდა. ქართველთ შესახებ არამც თუ რამე ჰაზრი, ოცნებაც არავის ჰქონდათ თავში მიღებული და გამოხატული.

ასე და ამგვარად, კონსტანტინეპოლს, ქართველ გვარის კათოლიკენი წმინდა ქრისტიანობის სიყვარულის მეოხებით დაჩრდილებულ იქმნენ სომხის გვარის კათოლიკეთ გავლენის ქვეშ, უკანასკნელ სომეხთ კათოლიკეთ ასეთი გავლენა და განკარგულება კი პირდაპირ ისეთ ძალას შეადგენს და პირობებს, რაც ქართველ კათოლიკებში ქართულ ენას სპობდა, მათში ქართველობის ხსოვნას უნებლიედ აქარწყლებდა, წირვა, ლოცვა, აღსარების თქმა სულ სომხურს ენაზედ უხდებოდათ საყოველთაოდ თქმა ამ ქართველთ, ამიტომ მათში ერთმა თაობამ თუ იცოდა ქართული ენა, მიტომ მეორე თაობას კი ისე აღარ როგორც პირველს. მესამე თაობასა კი თლად ავიწყდებოდა და სომხურს ეთვისებოდა, ამ გარემოებას კონსტანტინეპოლის მოქალაქური მოძრაობა და ხალხის სიმრავლეც უწყობდენ ხელს. გარდა ამისა ქართველ კათოლიკეთ შვილების სწავლაც სკოლებში სომხურს ენაზედ სწარმოებდა. რაც შეეხება ამათი გვარების გარდაკეთებას, ესეც იმავე დროს შეეხება. ქართული ენის და გვარების დაკარგვა და დავიწყება ერთად აღორძინებულა მათში. ასე რომ სულ ერთი საუკუნის განმავლობაში კოსტანტინეპოლის ქართველთ დაკარგეს ქართული ენა და ქართველობა.

პირველ დროებში კი, ქართველ კვთოლიკებს, ქართული ენა კარგა ხანს ჰკავებიათ შეურყევლად. საქმე იქამდე ყოფილა განცხოვლებული, მათ ისე კარგათ სცოდნიათ თავიანთი ვინაობა და ქართული ენა, რომ, სიკვდილის შემდეგაც კი მიცვალებულის საფლავის ქვების მოხსენებას მხოლოდ ქართულად აწერდნენ. ძველად, კონსტანტინეპოლის კათოლიკეთ ძველს სასაფლაოზედ კაცი ხშირად ნახავდა ქართულ წარწერიან ქვებსაო, ზოგიც იქნება დღემდეც არის დარჩენილი, უმეტესი ნაწილი კი მოსპობილა. 1860 წლებამდე კი მრავლად იყოვო და უმეტესი ნაწილი ქვების წარწერებისა

XVIII საუკუნის ნახევარს ეკუთვნოდაო. ე.ი. იმ დროს, როცა ქართველ კათოლიკეებმა ქართული ენა კარგად იცოდნენ, როცა ამის ხსოვნა მათ ჰქონდათ. რაც შეეხება კოსტანტინეპოლის ქართველთ კათოლიკეთ მოკრებას, ეს შეეხება 1770 წლამდე. ამ წელს შემდეგ სტამბოლში ქართველ კათოლიკეთაგანი არავინ გარდასახლებულა, ამ ხნის წინეთ კი ძრიელ ბევრი, თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდგან მიდიოდნენ იქ ქართველი კათოლიკენი. ესენი მისვლისთანავე ეთვისებოდენ კათოლიკეთ წესებს, ტანთსაცმელს, ზნეს, ხასიათს, ლაპარაკს და სხვა. ასე რომ, რაც დღეს კოსტანტინეპოლში სომეხთ კათოლიკენი არიან, მათი მესამედი ქართველ გვარის კათოლიკეთაგან შესდგება. ამას ამტკიცებენ თვით კოსტანტინეპოლის სომეხთ კათოლიკეთ უმრავლესობის სახის მოყვანილობა. ქართველ შთამომავალთ თქვენ როგორც შეხედავთ თუ არა, მაშინვე იცნობთ, რომ იგინი სომხის ჩამომავალნი არ უნდა იყვნენ, რადგანაც იგინი გვანან კოსტანტინეპოლის არც გრიგორიან სომხებს და არც კათოლიკებს. ერთის სიტყვით, ეს მათში ისე აშკარა არის, როგორც დღის ნათელი. ძლიერ ხშირად და მრავლად ნახავთ ისეთ სომეხთ კათოლიკეთა, რომელნიც ერთის შეხედვითვე გამცნევენ, რომ ის ან ჭანის შთამომავალი უნდა იყოს და ან სხვა რომელიმე ასეთის სილამაზით შენიშნულის ტომის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კოსტანტინეპოლში,

XVIII საუკუნის ნახევარს, ქართველ კათოლიკებთ გარდა ძრიელ მრავლად სცხოვრობდენ ქართველ მაჰმადიანები, რომლებთაგანი ზოგნი მუშები იყვნენ, მენავენი, ხელოსნები და ვაჭრებიც. იყვნენ ფაშები და სხვა ასეთი კაცნი, რომელთაც სახელმწიფო სამსახური ეკავათ. იყვნენ თვით ქართველთ ხოჯები, მოლები, ყადები და სხვა ამ გვარნიც. ქართველ მაჰმადიანებს გარდა მართლმადიდებელ ქართველნიც მრავლად იყვნენ. მართლმადიდებლებში ერივნენ თავადნი და აზნაურნიც, ხშირად სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის მთავრის შვილებიც ერივნენ, ქართველი ქალებიც მრავლად სცხოვრებდენ: სცხოვრებდენ აგრეთვე ქართველთ მოძღვარნი, ბერნი-არქიმანდრიტნი და ეპისკოპოსნიც. თვით სულთანის სახლიც სავსე იყო ქართველის მოსამსახურეებით. ყველა ამათში მაშინ ქართული ენა შეურყევლად სუფევდა, ყველა ქართულად ლაპარაკობდა. დღეს იქ ამ ქართველთ შთამომავალთა ცნებაც აღარ იციან მისი, რომ ოდესმე იგინი გურჯების შთამომალნი იყვნენ. ერთის სიტყვით, ერთის საუკუნის განმავლობაში ამოდენა ქართველობამ დაკარგა თავისი დედა ენა და ვინაობა. ქართველ კათოლიკებმა ქართული ენა და გვაროვნება დაკარგეს ოსმალთა ბოროტის მძლავრის გავლენის ქვეშ. ქართველ მაჰმდიანებმა ქართული ენა და გვაროვნობა დაკარგეს ოსმალთავე სჯულის ზეგავლენის წყალობით, ისლამის და სახელმწიფო ენის საჭიროებით.

ქართველ მართლმადიდებელთა ქართველობა და ქართული ენა დაკარგეს ბერძნების ზეგავლენით, მათის კავშირით, ეკკლესიის ენის წყალობით, რადგანაც მათ ბერძნების ეკკლესიებში იწყეს სიარული და იქ კი ყოველთვის და ყველგან ქართველთათვის სულ ბერძნულსენაზედ სწარმოებდა წირვა ლოცვა, აღსარების თქმა, ქორწილი, დასაფლავება და მონათვლა. ამას ცხადათ ამტკიცებს დღემდე მათში დაშთენილი ქართველი გვარები. XVIII საუკუნეში, გაბერძნებული ქართველისშვილი მე თვით ვნახე, რომელმაც ამ საგანზედ ილაპარაკა და ეს გაბრძნებული ქართველი გვარადაც

ქართველიშვილი იყო. ასე და ამ გვარად კონსტანტინეპოლის ქართველებს ისლამმა, კათოლიკობამ და თვით მართლმადიდებლობამაც ყოველივემ შეჭამა.

ერთის სიტყვით, ჩვენი ქართველობის ფარსაგათ არც ერთი სჯული არ გამოგვადგა, ყველამ ჩვენს ტომს უწყო კბენა და ჩაყლაპვა. ამაზედ ითქმის: – „საითაც გავიქეცით იქით წავიქეცით", სადაც რა სარწმუნოების ბადეში კი გავყავით თავი, ყველგან მის მეოხებით დავკარგეთ დედა-ენა, გვაროვნობის ცნობა და სხვა. კმარა დავასახელოთ თუნდ ის გარემოებაც, რომ კონსტანტინოპოლის სომხებში დ სხვებშიაც ძრიელ მრავლად ნახავს კაცი თვით საქართველოს სამთავროების მთავრის შვილების მეგვარეებს, მაგალითებრ როგორც დადიანი, შარვაშიძე, ერისთავებს და სხვებს. დადიანებს ოსმალეთში ხომ დღესაც დიდი ადგილი უკავიათ და სომხები არიან. ასე და ამ გვარად იქ ერთი და ორი მაგალითი არ ყოფილა ამ გვარი. ეს არამც თუ XVIII საუკუნეში იყო ქართველთ შორის, არამედ ასეა დღესაც და მთელს ოსმალეთში გაფანტულია ქართველები რომელთა რიცხვით 100 ათასამდე ადის. დღეს ყველა ესენი ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ, მაგრამ მათი პატარები კი ივიწყებდენ ქრთულს ენას და როგორც ძველად, ისე ამათაც ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში მთლათ დაავიწყდებათ ქართული ენა, ოსმალოს ძლიერება შესჭამს ამას. დღემდე თუ კი არს სადმე ქართველებში ქართული ენა ეს იმის წყალობა არს, რომ ესენი ახალი გადასახლებულნი არიან და დედა ენა კიდევ ახსოვთ. გავა მცირე დრო, თუნდ 50-60 წელი და ქართული ენაც მოისპობა მათში, ძირიან ფესვიანად ამოვარდება.

კათოლიკეთ ძმობის ისტორია საქართველოში.

ქართველ კათოლიკებს ძველადგანვე შეუგნიათ მნიშვნელობა ურთიერთ შორის პატივისცემის და სიყვარულისა. ამის მისაბაძს სახელმძღვანელოდ მათ წინ სარკედ ჰქონიად ევროპის ერთა ძმობათა ცნობანი, სადაც და მართლაც კა-

თოლიკებთ შორის ასეთი ძმობა ძველადგანვე დაარსებულან. საქართველოში ქართველ კათოლიკებს პირველად ძმობა 1701 წელს შეუდგენიათ და დაუარსებიათ ქ. თბილის. ამ ძმობის წესდების დასაწყისი აი ასე იწყება:

„წესი ძმობისა, რომელი განწესდა საქართველოს შინა, წელსა ათას შვიდას და ერთსა, პირველად სულიერი ძმობა განწესდა ამ ქვეყანასა შინა სამ რიგად, მამა იოსებისა,ზიარებისა და სავარდისისა და რამეთუ მცირედ იყვნენ მართლმადიდებელნი ამა სამთაგან, სავარდისისას ძმობა განწესეს თფილისს ქალაქსა და გორსა შინა. და წელსა ათას შვიდას ორმოცდა ხუთმეტს, ქვეყნისაგან პატრებს ექსორია უყვეს და გორსა შინა ძმობა ესე მოიშალა და წელსა ათას შვოდას სამოცს პატრი მთავარ უფროსმან პატრი ანდრიამ პალერმელმან მეორედ განაახლა და პირველს დაუწერა ამ წიგნსა ზედან სამოცნი ძმანი და დანი დაწერნეს ამ ყოვლად წ˜ა სავარდისის ძმობისა შინა იესო, მარიამ და იოსების საფარველს ქვეშ და ჯეროვნად რამეთუ იესო არს მაცხოვარი ჩვენი ყ-დ წ-მი და მარიამ მოწყალების დედა ჩვენი და წმიდა მამა იოსები და შუამდგომელი ჩვენი. ესენი ამა სიცოცხლეში და საუკუნოდ ჩვენი სასოება და სიყვარული იყვნენ და პატრონობამან მათმან ჩვენ დაგვიფაროს სულთა და ხორცთა ყოვლისა განსაცდელისაგან ამინ".

შემდეგ, მეორე თავში აწერილია მიზეზი თუ რისთვის განწესდა ძმობა. აი სათაურიც „რომლის მიზეზისათვის განწესდა ძმობა ესე“. მეორე თავი მოგვითხრობს ძმობის წევრთ მოვალეობას, ძმობის მნიშვნელობას. ნამეტურ მას, თუ ძმობაში ჩაწერის შემდეგ რას უნდა ემსახურებოდეს ყოველი მათგანი. ასეთი ძმობა კათოლიკებს საქართველოში, თფილისში ჰქონიათ დაარსებული, გორს, ქუთაისს და ახალციხეს. ამ ძმობის მომდინარეობა თფილისს, გორს და ქუთაისს დღემდე არსებობს და ყველა კათოლიკს სამღრთო ვალად მიაჩნია, რომ ამ ძმობაში ჩაეწეროს და ამისთვის მხვედრი ფულიც შეიტანოს. ამ საშუალებით შეკრებილი ფული ხმარდება ღა-

რიბ კაცთა შვილების განათლებას და ღატაკთა და შეუძლოთ დასახმარად. აღსანიშნავია ის კეთილი გარემოებაც, რომ ძველადგანვე ამ ძმობის საშუალებით ბევრ გაჭირებულს კაცს შველებია, ბევრი გვემული და სნეული მორჩენილა, ბევრს განწირულს და ყელგამოჭრილ კაცს უხსნია თავი, ბევრი ქალწული ქალი დარჩენილა თავის სიღატაკის დროს სუფთათ, ბევრი ობოლ-ოხერი გამოზრდილა, მოკლედ უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად დიდი, ბევრი სიკეთე დათესილა და დაფანტულა ამ ძმობისაგან საწყალ ხალხში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთ დაარსებულ ძმობას რატომ ქართველნი კი არ აქცევდნენ ყურადღებას, რატომ ქართველთ შორის კი არ იყვნენ ისეთნი, რომ ქართველ კათოლიკეთათვის მიეგბაძნათ და მათაც შეედგინათ ძმო-

ბა რათა მით დახმარებოდენ ქართველ ღატაკებს. საოცრება არის ჩვენი ძველების ასეთი გულგრილობა, მაგრამ ქართველები აბა რაში არა ვართ გულგრილნი, ყველაფერში.

„ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვჭამოთ
და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ ძმათ ცილი ვწამოთ“.

ეს იყო ჩვენი საქმე, ამას მივსდევდით და ძმობის შესადგენად ვიღას სცალოდა. ძველად კი არა და ასეთი ძმობა ჩვენ, ქრთველებს დღესაც გვენატრება. თვით დღევანდელი ძმობა ანუ „კონგრეგაცია, პ. ხარისჭირასშვილისაგან შედგენილი ჩვენში საყურადღებოთ უნდა იყოს გამხდარი, რადგანაც ჩვენ ქართველთ მთელს საქართველოში ერთი ასეთი ძმობაც არ გვაქვს დაფუძნებული.

ქართველ კათოლიკეთ მოსპობა სხვა და სხვა სოფლებში.

კათოლიკენი მოიხსენებიან შემდეგ ადგილებში, რომელთა ხსენება და შთამომავალნი ამ ადგილებში დღეს აღარავინ სცხოვრებს.

თელავში, მოხსენებულ არიან XVIII საუკ. ნახევარს, იქ სხვა კუთხიდამ მოსული კი არა, არამედ იქაური მცხოვრები.

ავჭალას, მოხსენებული არიან ხსენებულსავე საუკუნის ნახევარს. დღეს ავჭალას აღარავინ არის.

მცხეთას, მოხსენებულია XVIII საუკ. ამასვე ასაბუთებს მცხეთელის იეზაანთ გვარის სიგელი, რომელიც მიუციათ XVIII საუკ. იეზაანი მცხეთის საპატრიარქო ყმანი ყოფილან. დღეს აქ აღარვინ არის დაშთენილი.

ახალქალაქს, მოხსენებულნი არიან XVIII საუკ.

ხანდაკს, მოიხსენებიან აგრეთვე, აქ აღარავინ არიან.

კარალეთს, მოიხსენებენ XVIII საუკ. გორის კათოლიკეთ მღვდლები, დღეს აქ აღარავინ არის დაშთენილი.

ტყვიავს, მოიხსენებიან ლათინის პატრებისგან, დღეს აქ აღარავინ არის დაშთენილი.

მეჯვვრის ხევს, მოიხსენებენ აგრეთვე, დღეს იქ აღარავინ არის.

დუმეთს, მოიხსენებენ აგრეთვე XVIII საუკ. დამდეგს, დღეს იქ ძველის მცხოვრებლის არავინ არის. ორ კომლს კი ასახლებენ ახალ მისულებს.

ცხინვალს, XVIII საუკუნის ნახევარს 25 მოსახლე იყო, დღეს კი ერთი მოსახლეც აღარ არის.

რუის, მოიხსენებიან რუისელი კათოლიკენი XVIII საუკ. დღეს იქ აღარავინ სცხოვრებს.

პატრიკეთს, მოიხსენებენ ლ. ისარლოვი, მაგრამ დღეს

იქ კათოლიკის აღარავინ არის.

ზუგდიდს, XVIII საუკუნეში, რამდენიმე კომლი სცხოვ-
რებდა მეგრელ კათოლიკების, რომელნიც კათოლიკობასთან
XVII საუკუნის დასაწყის იქმნენ დაკავშირებულნი, მათში
თავად აზნაურებიც ერივნენ. ზედმიწევნით ვიცით, რომ მაშინ
სამეგრელოში მეგრელებთ შორის 5000-მდე იყო კათოლი-
კობის პატივის მცემელო რიცხვი. ხოლო შემდგომ იქ ეს

ისე შემცირდა და მოისპო, რომ დღესაც ზუგდიდში კათო-
ლიკის სარწმუნოების აღარვინ უნდა იქმნეს. ამათი ეკლესიაც,
რომელიც XVIII საუკუნის დამდეგს იქმნა აღგებული. დღეს
იქ მისი ნიშანიც აღარ არსებობს. სხვა და სხვა ცნობებით
სჩნდება, რომ სამეგრელოს და აფხაზეთის კათოლიკენი სულ
ევროპისკენ გაფანტულან, რადგანაც თავიანთ ქვეყანაში იგი-
ნი უდევნიათ.

აწყვერში, კათოლიკენი გამრავლებულ იყვნენ XVII საუკ.
იქ მათ საკუთარი ეკლესიაც ჰქონიათ, დღეს კი აღარავინ არის
დაშთენილი.

ასპინძას, XVII საუკუნის ნახევარს, მრავლად სცხოვრე-
ბდენ კათოლიკენი, დღეს იქ აღარავინ არის დაშთენილი.

კლდეს, სცხოვრებდენ XVIII საუკუნეში, დღეს აღარა-
ვინ არის.

ოზურგეთს, სცხოვრებდენ XVII საუკუნის ნახევარს, გუ-
რიას კათოლიკეთ რიცხვი 5000-მდე ადიოდა, გურია-სამე-
გრელოში კი 10,000 მდე იყო. XVII საუკუნის დამლევს
გურულებმა ოზურგეთიდგან პატრები სდევნეს, მათი ეკლესია
დააქციეს და კათოლიკებიც სტანჯეს სასტიკათ, რამაც სრუ-
ლიად მოსპო კათლიკობა გურულებში. შემდეგ, ანუ XIX
საუკუნის დამდეგ, იქ რამდენიმე კათოლიკეთ ოჯახნი გადა-
სახლდა მესხეთიდამ და ესენი დღესაც სცხოვრობენ.

ატოცს, სცხოვრობდნენ XVIII ს., დღეს აღარავინ არის.

ხელთუბანი, სცხოვრობდნენ კათოლიკები თვით თავადი
თუმანიშვილებიც, დღეს ხელთუბანში კათოლიკების გლეხ-
თაგანი არვინ არის დაშთენილი.

ალი, (სოფელი) მოხსენებულ არიან XVIII საუკუნის
გასვლამდე. აღარავინ არის დღეს.

არაშენდა, მოხსენებულ არს XVIII საუკუნეში. აღარავინ
არის დღეს.

ჩიხორი, აგრეთვე მოიხსენიებიან ჩიხორელი ვაჭრები – მე-
ჩითეც კი. დღეს აღარვინ არის.

რუისი, იყვნენ XVIII საუკ. დღეს აღარვინ არს.

სხვა სოფლებშიაც ყოფილან კათოლიკენი, მაგრამ ჩვენ
მათი ცნობა არა გვაქვს. აღსანიშნავია რომ ზემო ხსენებულ
სოფლებში დღეს ქართველ კათოლიკეთ შთამომავალნი აღა-

რავინ სცხოვრებენ, მოსპობილია ყოველგან ამათი კვალის ნიშან წყალიც კი.

რადგანაც ეს წიგნი ჩვენ „საქართველოს დაკარგულის სოფლებით" დავასახელეთ, ამიტომ ეხლა აქედამ მოვიყვანთ შემდეგ სიას.

მთელი სამცხე-საათაბაგო 1627 წლამდე შესდგებოდა ერთს ვრცელ სამთავროდ, რომელიც თავის საზღვრებით ნახევარ საქართველოს უდრიდა.

მთელს კუთხეს განაგებდა ათაბაგი. იგი ოსმალეთს ექვემდებარებოდა და ხარჯს აძლევდა, თავის სრული ავტონომია აქვნდა. მისი ავტონომია 1628 წ. გაუქმდა ძირიან-ფესვიანად.

მთელი სამცხე-საათაბაგო შესდგებოდა ცამეტის საეპისკოპოზო კათედრისაგან. ცამეტი მღვდელ-მთავარნი განაგებდენ, ყველა იგინი მცხეთის კათოლიკოზს ემორჩილებოდნენ.

მთელს ამ ვრცელს კუთხეში საუკუნის ნახევრამდე იყო 5000-მდე დიდი და პატარა სოფლები. ყველა ამ სოფლებში სახლობდა ქართველი ტომის ერი, ქართულს ენაზედ მოლაპარაკენი. ყოველივე მთა, ბარი და ნაშთი ქართველების საკუთრებას შეადგენდა. იმ დრომდე მარტოდ მესხეთსა და ჯავახეთში ჩილდირამდე ერთი მილიონი ქართველობა ესახლა.

მთელი ეს ვრცელი კუთხე 1629 წ. ოსმალეთს დაემორჩილა სასტიკათ, მოიშალა ათაბეგობა და განწესდა ფაშობა. ამ დღეღამ მიეცა აქეთ ქართველობა ვრდომილებას, ქრისტიანობის დაცემა და ისლამის ვრცელება, ქართული ენის მოსპობა და ოსმალური ენის ვრცელება, ქართული ნაშთების დაქცევა და ოსმალთა ჯამეების კეთება. ასე რომ 200 წლის განმავლობაში ქართველებმა დავკარგეთ ნახევარი საქართველო, მასში მდებარე ქართველთ სოფლები, ქართველთ ხალხი და მასთან ქართული ენაც.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე მთელი ამ ვრცელი კუთხის სოფლები და ხალხი ჩვენთვის დაკარგულად მიმაჩნია. მართალია, ზოგს სოფლებში ქართული ენაც არსებობს, მაგრამ მით ფარსაგი მაინც არა არს-რა ჩვენთვის, რადგანაც ოსმალთა სასულიერო წოდების წყალობით თვით ამ ქართული ენის ხალხი მათ ისე ეჯავრებათ, ისე სძულთ, რომ მასზედ უსასტიკესი აღარა შეიძლება-რა! ასეთ ხალხში რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართული ენის არსებობას, არაფერი, სულ უბრალო მნიშვნელობა, იგი ჩონჩხია უსულო კაცისა. მართალია ენა ქართულია, სიტყვებიც ქართულად ისმის, ბევრს ალაგას სუფევს მათში ქართული ენა მჭიდროთ და ეს ენა მათში დიდხანს არც ამოვარდება, მაგრამ საქმე ეს კი არ არის, საქმე ის გახლავსთ, რომ მათში ზიზღი არ არსებობდეს ქართველობის და საქართველოსი. ქართულს ენას თუ ხმარობენ იგინი, ხმარობენ მხოლოდ მიტომ, რომ სხვა ენა არ იციან, ოსმალური

და ან თათრული რომ იცოდენ, მაშინ იგინი ქართულად ხმასაც არ ამოიღებენ. არ იფიქროთ, რომ ესენი ქართულ ენას ინახავდენ როგორც მამა-პაპურ ენას, ქართულს, არა. ეს რომ ასე გახლავსთ, ამას აჩენს ის გარემოებაც, რომ მათში ქართული ზოგ ალაგას მთლათ ამოვარდა, სოფლებიც კი დაიკარგა და მათი ქართული სახელებიც.

300 სოფელი იყო მესხეთს, ცოტა მეტ-ნაკლები. აქ მოისპო ქართველობა, მოისპო ქართული ენა, ზოგ სოფლებსაც შეეცვალათ სახელები თათრულად.

350 სოფ. იყო ჯავახეთს, ასევე მოხდა აქაც – დაიკარგა ბევრ ალაგას ქართული ენა, სოფლებსაც შეეცვალათ სახელები.

500 სოფელი იყო არტაანს, აქაც ასევე მოხდა, ქართველობა გათათრდა, ენა დაეცა, ქართული სახელებიც მოისპო, სოფლის სახელებიც დაიკარგა მთლად.

300 სოფელი იყო შავშეთს, მოისპო აქაც ქართველობა, ენა, სოფლის სახელებიც და მით დაიკარგა ყოველივე.

200 სოფ. იყო ერუშეთს, აქაც მოისპო ყოველივე, დაეცა ენაც, მთლად ამოვარდა ქართული ენის სისინი.

300 სოფ. იყო კლარჯეთს, აქაც ასევე მოისპო ქართული ყოველისფერი.

500 სოფ. ლაზისტანს და ჭანეთს, უმეტესად მოისპო ქართული სახელები და რაც დარჩა, ისიც მოისპობა.

250 სოფ. თორთომისკენ იყო, ადრიდგანვე მოისპო აქ ქართული ენა და ქართველობა დაეცა, დაიკარგა ყოველივე.

300 სოფ. იყო კარისკენ, ყოველივე მოისპო და დაიკარგა ქართული ენის, სოფლების სახელები მთლად.

500 სოფ. მეტი იყო საბერძნეთის და სომხეთის საზღვრებამდე, ამ სოფლის ხალხთათვის ორი ეპარქიაც არსებობდა: ბანელის სამწყსო და ბანის ეპისკოპოსი და ანელის სამწყსო. სხვა და სხვა კუთხეებიც არის აქ მოხსენებულ კუთხეებს გარდა, სადაც ქართველობის ყოველივე მოისპო, დაიკარგა. სოფლებს ისე შეენაცვლათ სახელები, რომ ქართულის მათ აღარა სცხიათ-რა. ქართული ენა არსებობს მთელს ბათომის ოლქში და ართვინისაში კი ნახევარს ნაწილს. მესხეთსა და ჯავახეთში 65 სოფელი არსებობს, ამათ გარდა არის ისეთი კუთხეები ოსმალეთის საქართველოში, სადაც აქა-იქ ქართველ მაჰმადიანებს შორის ქართული ხმები გაისმის. ბათუმის და ართვინის კუთხის სოფლებს აქვე დავასახელებთ, სადაც ქართული ენა არსებობს:

40 სოფ. კინტრიშისა და ქობულეთისაკენ, სადაც ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენ. მე ვიყავ აქ.

92 სოფ. აჭარაში არის, სადაც ლაპარაკობენ ქართულ ენას, ვიყავ აქაც.

120 სოფ. ზეგანს, სადაც ლაპარაკობენ ქართულ ენაზე.

42 სოფ. ლივანას (ლიგანის ხევი), ლაპარაკობენ ქარ-

თულად.

35 სოფ. მაჭახელს, ლაპარაკობენ ქართულად.

32 სოფ. მურღულის ხეობაში, ართვინის ოლქი.

18 სოფელ შავშეთს, სადაც ქართულად ლაპარაკობენ, და დანარჩენში კი ამოვარდა ყოველივე ქართველობის.

26 სოფ. იმერხევს, სადაც ლაპარაკობენ ქართულად.

53 სოფ. მესხეთს და ჯავახეთს, სადაც ქართველი ქრისტიანები სცხოვრებენ და ქართულად ლაპარაკობენ.

20 სოფ. ართვინის ახლო-მახლო სოფლებიდამ ს. ბნათა და ჭილი მთიდამ შეყოლება, ბევრში მოსპობილა მთლად.

20 სოფ. ჯავახეთს და მესხეთში, სადაც ქართველ მაჰმადიანები სცხოვრებენ.

25 სოფ. არჯევანიძიაანთ და სხვათა ხეობაში, ოსმალეთის სამფლობელოს.

26. სოფ. პარხალს და სხვ. ოსმალეთის სამფლობელოს.

10 სოფ. ოლთისისკენ ასახელებენ. მე ესენი არ მინახავს.

ბევრს კიდევ სხვა სოფლებს ასახელებენ, როგორც რუსეთის იმპერიის სამფლობელო საქართველოში, ისევე ოსმალეთის საქართველოშიაც, რომ იქ თურმე ქართველ მაჰმადიანთ შორის არის ისეთი ხეობანი და მასში მდებარე სოფლები, სადაც თურმე ქართულად ლაპარაკობენ. ასეთ ქართველთ რიცხვი დღეს იქ 300.000 ათასამდე ავა. 150 ათასი 1879 – 80-81 წ. გადასახლებულნი და დანარჩენი იქ მოსახლენი, ანუ ძველადგანვე საქართველოს ადგილებზედ მდებარენი, ხოლო ოსმალეთის ხელში მომწყვდეულნი.

დიახ, ეს შეიძლება ასე იყოს; რომ იქ ქართული ენა არსებობდეს და ამას ისიც ასაბუთებს, რომ მთელს ჭოროხის ხეობაში დღემდე, ქართველ მაჰმადიანთ შორის ქართული ენა არსებობს. დიახ, ეს თუმცა ასეა, მაგრამ თვინიერ ენის მათში ჩვენ ყოველივე დამხობილად მიგვაჩნია და როგორც ერთი და ორი კუთხე დავკარგეთ და მასში მცხოვრებ ქართველი ხალხი, ენა და სოფლის ქართული სახელები, ისევე ამ ხსენებულ კუთხეებს მოევლინებათ და გულ დაწყვეტით ვიტყვით, რომ – ყოველივე დაკარგულია ჩვენთვის. სადაც კი დარჩა ქართული ენა, იქ იგი დღეის შემდეგ დაკარგვას მიეცემა, ყოველივე ამოვარდება. ისევე, როგორც ეს ამოვარდა ზემოდ მოთვლილ კუთხეებში. ამის დასაბუთებისათვის ჩვენ შორს არ წავალთ. თვალთ წინ გვაქვს თრიალეთი, ჩილდირი, ჯავახეთი და მესხეთი, რაც შუაგულ ქართლზედ ახლოს სძევს, თითქმის ზედ არის მოკრული, მაგრამ ჟამთა ვითარებამ და დროის მახვილმა იქ ყველაფერი მოსპო და ამდაგდო ისე, რომ დღს თვით შოთა რუსთაველის სამშობლო რუსთავშიაც კი მხოლოდ ქურთები სცხოვრობენ.

მთელს კუთხეში ყოველივე დაკარგულია. ქართველნი არ ქართველობენ, ყოვლისფრით გარდაქმნას ეძლევიან, რის მოწმენიც არიან ადგილობრივ ქართველ გათათრებულ თავადის შვილებთაგან ფალავანიშვილები, ათაბეგები, ავალიშვილები, დიასამიძეები და მრავალიც სხვანი, დღეს თათრის ბეგებათ წოდებულნი და სრულიად გათათრებულნი.

ამ კუთხეში თუ არის ქართული ენა სადმე დაშთენილი, ეს გახლავსთ შრომა და წყალობა მესხეთის და ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა, რომელთაც დიდის შრომით და ცდით შეინახეს ეს ენა ამ კუთხეში. აქვე აღსანიშნავია ახალციხის ქართველ ებრაელთა მაგალითი და ღვაწლი ქართული ენის არ დაკარგვის წინაშე.

პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი)

1769-1855 წ.

> Павель Шагкуловъ былъ сильный словомъ, былъ неутомимый проповѣдникъ Слова-Божія. Знатокъ языковъ Латинскаго, Италіанскаго, Турецкаго, Армянскаго и Грузинскаго, какъ Пентиглоттъ переводилъ сочиненія на грузинскій языкъ полезныя для христіанъ.
>
> П. Іоселіани.

პავლე შაჰყულიანის ძველი გვარი ჭილიმუზაშვილია. მათი წინაპარნი ქართლში ყოფილან, შემდეგ სამცხეს გარდასახლებულან, შაჰყულაშვილები იქა სწოდებიათ; ამ გვარის წევრნი დღეს ქართლშიაც სახლობენ. ჟამთა ვითარების მეოხებით, ჭილიმუზაშვილები ჯავახეთში კათოლიკის სარწმუნოებას დაუკავშირდნენ. წინათ რომის ქართველთ კათოლიკეთ ირიცხებოდნენ, შემდეგ სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზე გადავიდნენ და დღეს სომეხ კათოლიკეთ ირიცხებიან. პ. ჭილიმუზაშვილს სომხურად შაჰყულიანცი ეწოდებოდა, ოსმალურად შახ-სულთანი, ლათინურად სკიაგლუნტი, რუსულად შაჰყულოვი. ამათ გვარს ზოგნი ჯინაშვილათაც ასახელებენ. ამ უკანასკნელ წლებში კი ჩვენ დანამდვილებით შევიტყეთ, რომ მათი ძველი გვარი ჭილიმუზაშვილი ყოფილა.

პავლე შაჰყულიანი დაიბადა 1770 წ. ქ. ახალციხეს. მისი მშობლები ახალციხის მოქალაქედ ირიცხებოდნენ. მამას

ალექსანდრე ერქვა, გარდაიცვალა 1807 წ. და დედას ანნა, გარდაიცვალა 1807 წელს. ამათ წინაპართ გვარი მოხსენებულია 1705 წ. ერთ კათოლიკეს ეკკლესიის მაზიარებელთ გვარების მოხსენების წერილში. ეს ცნობა, ამ ბოლოს დროს, მოიპოვა პატივცემულმა მოძღვარმა ვინმე მესხმა. აქამდის მრავალნი იტყოდენ და სწერდენ, რომ საქართველოში, მაზიარებელთ გვარების ანუსხვა და წერა, ქართველ სამღვდელოებამ სულ არ იცოდაო, ასევე ბრძანებდნენ მონათვლის შესახებ, მაგრამ ეს მტკნარს სიცრუეს წარმოადგენს, რადგანაც ჩვენ მოვიპოვეთ მონათვლის ისეთი წერილებიც კი, რომელნიც XVII საუკუნის ნახევრიდამ მე-XVIII საუკუნის დასაწყისამდე უწევენ. დრო და გარემოება ბევრს კიდევ სხვა მასალებს აღმოაჩენს, რაიც ცხად ჰყოფს ბევრ ცნობას, რაც კი აქამდე ბურუსით იყო მოცული.

პ. შაჰყულიანმა პირველ დაწყებითი სწავლა მშობლებთან მიიღო, ახალციხეს. იმ დროს ახალციხის და მის თემის ქართველ კათოლიკებში ყოველგან ქართული წერა-კითხვა სუფევდა, ყველა ქართულს წერა-კითხვას სწავლობდა, რადგანაც ყველა იგინი ქართველ ტომს ეკუთვნოდენ, ქართულს ენას მათში დიდი მშობლიური ადგილი ეკავა და მიტომ მეტად კარგათაც ასწავლიდნენ იმ დროის კათოლიკეთ ბავშვებს თავიანთ დედა-ენას. ეს ცხადათ ეტყობათ ყველას და ნამეტურ პ. შაჰყულიანს. შინაურ სწავლის შემდეგ ახალციხის ივანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის სკოლაში უსწავლია, მერე სტამბოლს წაუყვანიათ და 1776 წ. რომს წასულა, პაპის ბრძანებით „პროპაგანდოს“ სასწავლებელში მიუღიათ.

1788 წ. „პროპაგანდოს“ ფიცს აძლევს, რომ იგი იქნება ერთგული მოწაფე წევრი „პროპაგანდოსი“ და კათოლიკების. სჩანს, რომ პ. შაჰყულიანი სასწავლებელში 1786 ან 87 უნდა შესულიყო მოწაფეთ.

„პროპაგანდოს“ სასწავლებელში პ. შაჰყულიანი პირველი მოწაფე ყოფილა. იგი ყველა გაკვეთილებს ჩინებულათ სწავლობდა. გაკვეთილებს გარეშე ამას დიდათ უყვარდა ის-

ტორიული წიგნების კითხვაც. მაშინ საქართველო რომის სასულიერო წოდების წინაშე საყურადღებოდ იყო გამხდარი. იგინი საქართველოს ამბებს გაფაციცებით ეძებდნენ, კითხულობდნენ და სწავლობდნენ, მაგრამ ასეთი ცნობები კი მაშინ იშვიათი იყო, ამიტომ ხშირად თვით პროპაგანდობით ახალგაზრდა პ. შაჰყულიანიც კი მოუთხრობდა თავის უფროსებს საქართველოს ამბებს. მას ბევრი რამ საინტერესო ცნობები გარდაუცია ხოლმე რომის მოძღვართა და მოგზაურთათვის. 1795 წ. ამან სწავლა დაამთავრა. მის სწავლის მოწმობაში მოიხსენებენ ვითარცა კარგს მოწაფედ ყოფილს, მაგალითებრ: ლათინურად შემდეგი სიტყვები მოჰყავსთ: „iptimus in omnibuscc": ძრიელ კარგი ყველაფერში. მართლაც და იმ დროს პ. შაჰყულიანი რომ კარგი მოსწავლე არ ყოფილიყოს, უა-

მისოდ ამას ქართველი კაცი 1795 წ. ვერ მიიღებდა.

პ. შაჰყულიანი სწავლის გათავების უმალ, რომშივე იქმ-ნა ბერათ აღკვეცილი 1795 წ. რასაკვირველია ლათინოს ტიბიკონზედ; ამის დროს, რომში სხვა ქართველთ შვილებიც სწავლობდენ, მაგალითებრ როგორც ანტონ ხუციშვილი, რომელმაც სწავლა 1791 წ. დაამთავრა და პ. შაჰყულიანთან ერთად დაბრუნდა საქართველოში.

„პროპაგანდოში" ქართველებზე უპირატესო სომხები იყვნენ დაყენებულნი. იქ ქართულ ენასაც ასწავლიდნენ, მა-გრამ იმდენად, რაც კი მათ მქადაგებლებს გამოადგებოდათ. სომხურ ენას და მწერლობას კი დაწვრილებით ასწავლიდ-ნენ, რადგანაც სომეხ კათოლიკეთ რიცხვი იმ დროს ევრო-პაში დიდი იყო. მათთვის განცალკევებული ტიბიკონიც არ-სებობდა. კონსტანტინეპოლში დიდი რიცხვი იყო კათოლი-კების. მათ საკუთარი ეპისკოპოზიც ჰყავდათ; 1744 წ. სო-მეხ კათოლიკეთ კათოლიკოზიც ამოირჩიეს. რომის სამღვდე-ლოების წინაშე ესენი ისე იყვნენ დაწინაურებულნი, რომ თვით XVII საუკუნის ნახევარს, რომში პაპის ბრძანებით, რამ-დენიმე ტომი დაიბეჭდა სომხურს და ლათინურს ენაზედ სომეხთ კათოლიკეთ ეკკლსიის და ტიბიკონის შესახებ. ამ ტომებში

ბევრი რამ ცნობები მოიპოვება საქართველოს შესახებაც, მე-ტადრე ქართველთ მეფეების მიწერ-მოწერა პაპებთან. გარდა ამისა 1711 წ. დაიბეჭდა რომში ვრცელი სომხურ-ლათინუ-რი ლექსიკონი რამდენიმე ტომად, რაც მაშინ ერთობ ძვირად დაჯდებოდა; მაგრამ სომეხთ რიცხვის სიმრავლემ და საჭირო-ებამ გამოიწვია დიდის ხარჯის ატანა და ასეთი ვრცელის შრომის ბეჭდვაც.

სომეხ კათოლიკეთ სიმრავლის ქვეშ დაჩრდილულნი იყვ-ნენ ქართველ კათოლიკენი. ევროპაში სომეხთა მრავლად ცხო-ვრებამ, ვაჭრობამ და წარმატებამ რომის პაპების წინაშე სომხის გვარის მნიშვნელობა და ღირსება კარგის თვისებით გადასჭიმეს; უკანასკნელ, სომეხთ კათოლიკეთა მხითარისტე-ბის ძმობამ ხომ ნათელი მოჰფინა სომხის გვარს. კავკასიის ქრისტიან კათოლიკებთ შორის ყველაზე დიდის უფლებით სომეხ კათოლიკენი იყვნენ დაჯილდოვებულნი. ამ გარემოე-ბის მეოხებით, საქმე ისე ოსტატურათ მოეწყო, ქართველთ კათოლიკეთ გვაროვნობის პირობები ისე დაიხვანჯა, რომ ქა-რთველ კათოლიკეთ გვაროვნობის ყლაპიები ანუ დამკარგავ-ნი თვით ქართველთ გვარშივე, ქართველ კათოლიკებშივე სჩანდენ. ამას ის გარემოებაც-კი უწყობდა ხელს, რომ „პრო-პოგანდის" და სხვა კათოლიკეთ სასწავლებელში სომხურ ენას და მწერლობას ნამდვილ სომხის გვარის კათოლიკის გა-რდა, სხვა გვარის შვილებსაც-კი ასწავლიდნენ, მეტადრე ქარ-თველთ. ქართველთ ისე ამზადებდნენ სომხურ ენასა, ისტო-რიასა და მწიგნობრობაში, სომეხთ მსწავლულთ მათზე ისეთი ზეგავლენა ჰქონდათ, რომ უკანასკნელ ქართველთ ძენი სრუ-

ლიად კან-გამოცვლილნი გამოდიოდნენ, თვით ქართულ გვარ-
საც-კი იცვლიდნენ და გადაგვარებულები ჩამოდიოდნენ სა-
ქართველოში.

სწორეთ ასეთ კან-გადაბრუნებულ ქართველთ გვარის
მოძღვართაგან დაიბადა ისეთი აზრები და გავრცელდა ცრუ
შეხედულება, რომ ვითომც საქართველოში ძველის-ძველად-
გან კათოლიკების რიცხვი, მხოლოთ სომეხ-კათოლიკეთ გვა-

რისაგან შესდგებოდა ვითომც ქართულს ენაზე მოლაპარაკე
კათოლიკენი, როგორც სომეხ-გრიგორიანები, რომელნიც,
ვითომც ჟამთა ვითარების მეოხებით, გვარტომობით ან ენით
გაქართველებულან, მხოლოდ სარწმუნოება-კი დაშთენიათ მა-
მა-პაპის. ასეთს შემცდარს აზრს ადგნენ ისეთი ქართველ გვა-
რის ნასწავლი მოძღვარნიც, რომელთაც საქართველოს ის-
ტორია ზედ მიწევნით ჰქონდათ შესწავლილი. იცოდენ კარ-
გათ ქართული ენა და ქართულადაც მწერლობდნენ. ლათი-
ნურ და სომხურის ენიდამ ქართულს ენაზედ ვრცელს თარ-
გმანებს სწერდნენ. ასეთ პირებს ისტორიული მოსაზრება და
მისი ჭეშმარიტი ძიება ისე ჰქონდათ გაუკუღმართებული, რომ
მათ სოფლიო კრებების და ქართველთ ეკკლესიის განყოფის
ისტორიაც-კი არ იცოდენ, და თუ იცოდნენ განგებ პირს
არიდებდენ, რადგანაც ამ ისტორიის ცოდნას თვის სასარგე-
ბლოთ ვერ მზერდენ, მასში ვერ ჰპოვებდნენ ისეთ ცნობათ
სიმართლეს, რასაც საყოველთაოდ მათი სული და გული ეს-
წრფებოდა.

რადგანაც ასეთ მამათა აზროვნებას თავის გასავალი ად-
რიდანვე მიეცა, რადგანაც მათმა ძიებამ ზოგიერთის თვალ-
ში ჭეშმარიტების სახე და მიდრეკილება მიიღო, ამიტომ
ჩვენ, ჩვენის აზრით, მოვიყვანთ რამდენსამე ისტორიულს
ცნობას, ცნობებს ჭეშმარიტებით დამტკიცებულს, რომელ-
თაც თვით ჩვენს „ქართლის ცხოვრებაშიაც ჰპოვებთ, დაე,
ამ ცნობებმა იკამათონ შემცდარს აზროვნებასთან, მათ გან-
საზღრონ ჭეშმარიტება სომეხთ და ქართველთ გვაროვნობის
შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ ქართველნი და სომეხნი ადრე ერთი
ეკკლესიის აღმსარებელნი ვიყავით. ორივე ტომის ეკკლესია
ერთი იყო, უკანასკნელ მსოფლიო კრების გარდაწყვეტილე-
ბის მუხლები ქართველთ მივიღეთ, სომეხთ კი არ მიიღეს. ამ
სახითვე ქართველნი დავუკავშირდით ბერძნებს, სომხები –
კი გაჰშორდნენ. სომხის ეკკლესია დარჩა განკერძოვებული.
ახალ-ეკკლესიის წეს-რიგი ბევრს ალაგას თვით ქართველ-

თაც არ მიიღეს; ამათ სთქვეს: რომ ჩვენ, ჩვენს მამა-პაპის
რჯულზე დავრჩებითო. ამისთვის მათ ძალას არავინ ატანდა.
ასეთ ქართველთა რიცხვი იმ ეკკლესიის წილ-კერძად გახდა,

რომლებიც სომხებს ეკავათ. ნელ-ნელა სომხის ეკკლესია ფეხს იმაგრებდა, მისი წესები თვით ქართველთ შორისაც იდგავდა ფესვებს. ამ წესების აღმსარებელნი ქართველნიც თავიანთ თავს სომხად სთვლიდნენ, რადგანაც იგინი სარწმუნოებით სომეხთ ეკკლესიას აკუთვნებდნენ თავს.

ასეთ ქართველთ რიცხვი საქართველოში ერთობ დიდი იყო, თვით მთელი კახეთიც-კი მეათე საუკუნემდის სომხის ეკკლესიის წესებს აღიარებდა. სარწმუნოების ერთობამ სომეხთ მეისტორიეთ წინაშე დაჰბადა ისეთი შემცდარი აზრი, რომ ვითომც კახეთი ძველიდგანვე დიდის სომხეთის ნაწილს შეადგენდა, ვითომც კახეთის მცხოვრებნი სომხის ტომს კუთვნოდნენ, ვითომთ ამას მათი ტიპიც ამტკიცებს, ვითომც ამას თავის დროს ანტროპოლოგიაც დაამტკიცებს, ამაზედ იგინი შრომობენ კიდეც. ასეთ გარემოებას ჩვენმა ძველებმა ადრიდგანვე მიაქციეს ყურადღება და ზემოხსენებული მხარე ზემოხსენებულსავე საუკუნის ბოლოს ძალით იქმნა დაკავშირებული საერთოთ ქართველებთან, ე. ი. მართლ-მადიდებლ ეკკლესიასთან. მაინც შიგა და შიგ იყვნენ ისეთი ქართველნიც, რომელთაც არ მიიღეს ახალი სარწმუნოების წესები; იგინი ეკკლესიის კერძად შეიქმნენ, მათ დაიწყეს სომხური ენის შესწავლა, სომხურს ენაზედ იწყეს ლოცვა, სამღდელონი მათ სომხურს ენაზედ ათქმევინებდნენ აღსარებას და სომხურს ენაზევე ესაუბრებოდნენ. საქმე ისე , სომხის ეკკლესიის წესები ისე დაეპატრონენ ქართველთ სულიერს და ხორციელს მხარეებს, რომ ქართველთ თამამად იწყეს სომხობა, გვარების გადაკეთება. ნათლობის დროსაც ყმაწვილებს სომხურს სახელებს არქმევღენ, მოზრდილ ყრმათა და ქალთაც სასტიკათ უკრძალავდენ ქართველებთან მისვლა-

მოსვლას. ეკკლესიასთანაც-კი ახლოს გავლას და იქ ლოცვას ხომ ყოვლად მიუტევებელს ცოდვად სთვლიდნენ. *).

ასეთ მდგომარეობაში, არამც თუ მარტოდ კახეთში მცხოვრებთ ქართველთ ზოგიერთი ოჯახები მოჰყვნენ, არამედ სამშვილდეს, თვით შუაგულს ქართლს და სამცხეშიაც. აქ მცხოვრებთ გასომხებულ ქართველების უმრავლესობამ თვით ჩვენ დროსაც მოაღწიეს. დღევანდლამდე იგინი ქართულის ენით სცხოვრობდნენ, მათ კაცი ქართველ ტომთან ვერავინ ვერაფრით გაარჩევდა, ვერ გაარჩევდა, რადგანაც, მათი რიცხვი, ქართველის ტომისაგან შესდგებოდა. დღესა მათ შვილებს სომხურს ენას ათვისებენ, გვარებს სომხურად უსხვაფერებენ, უტყუვრად არწმუნებენ, რომ იგინი სომხის შთამომავალნი არიან, რომ დღეის შემდეგ გორის მაზრის სოფელთ ტყვიაველებმა, კარალეთელთა, ნიჩბისელთა, კავთისხეველი, ახალქალაქელთ, ახალ გორელთ, დუშელთ, ზერტელთ, წყნეთელთ, ავჭალელთ, ძეგველთ, მეტეხელთ, საგარეჯოელთა, თბილისელთა და კახეთის მრავალ სოფლებში მცხოვრებთ უსათუოდ უნდა შეისწავლონ სომხური ენა და

ქართული უნდა დაივიწყონ, რადგანაც იგინი შთამომავლობით სომხები არიან. ცდას თავისი გააქვს და უკუღმართი აზრები ფეხს იდგამს. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ადრინდელი ქართველი კაცის გვარი ჩუსტიჭამიაშვილი დღეს აღნიანცათ არის გადაკეთებული, მირზაშვილი მირზოევათ, ნადირაძე – ნადიროვათ, მენთეშაშვილი – მანთაშოვათ, სუნდაკიშვილი – სუნდუკიანცათ, მერაბაშვილი – მერაბოვათ, ყალამქრიშვილი – ყალამქაროვათ და ვინ იცის კიდევ სხვები რამდენია ენით მოუთვლელნი.

ჩვენ სხვათა ყლაპიაობა დიდ საზიზღარ საქმედ მიგვაჩნია. ამიტომ ვიტყვით შემდეგს, რომ საქართველოში XII საუკუნის ნახევარს, სომხეთიდამ რამდენიმე კომლი სომხები იქმნა გარდმოსახლებულნი, დავით აღმაშენებელის ბრძანებით და

---

*) ქართლის ცხოვრება ტი I ტფ. 1899 წ.

ქართლის სოფლებში დასახლებულნი. ასევე იქმნა XVII საუკუნის ნახევარს, რამდენიმე ასი სული სომეხთა გარდმოსახლდა თბილისში, ამ დრომდის-კი, მათი ხსენება საქართველოში ერთობ მცირე იყო. თუ რამ ნაშთები არსებობს სომეხთა საქართველოში, ყველა ეს ნაშთები XVII- XVIII საუკუნეს ეკუთვნის. ხსენებულთ გარდმოსახლებულების მსგავსსავე ვხედავთ XVIII საუკუნეში, მეფე ერეკლეს დროს. ამ მეფის გარდმოსახლებულნი ავლაბარში იქმნენ დასახლებულნი. ერეკლეს შემდეგ, მეფე გიორგის დროსაც იქმნა რამდენიმე სომხის გარდმოსახლება საქართველოში. XIX საუკუნის 1830 წ. ხომ კიდევ მოხდა რამდენიმე ასის სომხის გარდმოსახლება ახალციხისკენ. ნამდვილ სომხის გვარის ძეთა გარდმოსახლების რიცხვი სულ ხუთს წყობას შეეხება. ამ ხუთ გზის გარდმოსახლებულთა რიცხვი, რომ სულ ვიანგარიშოთ, ზედმიწევნით ხუთი ათას სულზე მეტი არ გამოვა, დღეს-კი მთელი ქართლ-კახეთი სავსეა სომხებით. ნუთუ შესაძლებელია რომ ასი წლის განმავლობაში ხუთი ათასი სულისაგან ორასი. და სამასი ათასი მოშენებულიყოს!!. ეს შეუძლებელია, მოუფიქრებელია, მაგრამ როგორც ვსთქვით ზემოდ, ამ სომეხთ რიცხვში ურევია ერთობ დიდი რიცხვი ისეთ ქართველთა, რომელნიც ჟამთა ვითარების მეოხებით, სომხის ეკკლესიის კერძათ დაშთენილან, დღეს ამ წესების საშუალებით, ამ ძირეულ ქართველთაც სომხებათ სთვლიან. მოკლედ უნდა ითქვას, რომ სომხის ეკკლესიის წესებიც ისევე ჰყლაპავს გვარტომობას, როგორც მუსლიმანობა-ისლამი.

გინდ რომ ასე არ იყოს, გინდ რომ საქართველოს სომეხთა რიცხვი პირდაპირ სომეხთა შთამომავლობას ეკუთვნოდეს, გინდ მართლაცა და ესენი სომხის ძეთა ძენი იყვნენ, მაშინაც მაინც ამდენი ხნის განმავლობაში, ამდენი საუკუნის გასვლის შემდეგ, ნუ თუ იმ სომეხთ, რომელთაც თავიანთის გვარტომობის არაფერი შერჩენიათ, ენით, ზნით და ხასია-

თით ქართველებს დაკავშირებიან, დანათესავებიან, ბუნებას მათზე თავის ადგილობრივი ზეგავლენის ბეჭედი დაუსვამს,

ადგილობრივი თვისება შეუსისხლხორცებია, გარდუქმნია ისე, ვითარცა ადგილობრივ მცხოვრებთ ძირეულ მკვიდრთაგანი, თითქმის შეუძლებელია მათი გარჩევა, რომ ასეთ პირებმა სომხობა დაიწყონ, ამაზედ რა უნდა სთქვას ეროპიულის ცოდით აღვსილმა კაცმა, ნუ თუ შესაფერი იქმნება ასეთ პირთათვის, რომ მათ ზურგი და გული ადრიკონ იმ მხრის ერს და მიწას სადაც მათს რამდენსამე თავობას უცხოვრიათ, სადაც დახოცილან მათი პაპანი, სადაც მდებარებს მათი საფლავები, რომ ასეთ ღვაწლ-დებულ კუთხის ტომის ენას, ზნესა და ხასიათებს გული აჰყაროს და დაუკავშირდეს ისეთ ტომთა ენას და ხასიათებს, რომელსაც ვინ იცის როდის რა რომელ საუკუნეში მოსცილებია. ასეთი საქციელი მე უჯეროთ მიმაჩნია. წმინდა შეცდომათ, უზომო მედიდურობათ, ფანატიზმათ, მეტს სხვა არაფრად. ამას არავინ შეიწყნარებს. ყველგან ასეთი უარის მყოფელნი გმობილნი იქმნებიან.

აი კიდევ უფრო საოცრება: ჩვენ კარგათ ვიცით და ამაზე ადრეც ვსწერდით, რომ ქართველ კათოლიკეთა მტრებთა რიცხვი თვით ქართველ გვარის კათოლიკებშივე მოიპოვებიან. ასეთია მაგალითებრ გასომხებული ქართველი ამაზასპ საფარაშვილი. მხითარისტი დღეს საფარიანცი. ეს მხითარისტი დიდი მტერია ქართველების, საქართველოსი და მის ავკარგიანობის. მთელი ამ მხითარისტის მოქმედება იმაზეა მიმართული, რომ როგორმე ქართველობა დაამდაბლოს, წაართოს მათი ისტორიული საკუთრება და სხვებს მისთვისოს. ხომ მოგეხსენებათ, ქართველი კაცი თუ გადაგვარდა, მერე ის დაწყევლილია. უცხო ტომის ფანატიკობით თავს ისახელებს, თვით ქართველობის სამაგალითო მტრად გამოვა. ასეთია ამიზასპ მხითარინ-საფარიანიც. ხოლო ამის ნატვრას კი თავის სისრულე არ მოეცემა და პატარა ჭიის მტრობა პაწაწკინტელასავებ დაშთება. აქ ამაზედ ჩვენ თუ რამეს ვამბობთ, ვამბობთ მიტომ როგორც უგვანი კაცის ნამოქმედარის ფაქტი, თორემ თვით ვინ არის, ან მისი სჯა რა უნდა იყოს,

რომ მაზედ ხმა ამოვიღოთ, არ ამოვიღებთ მით უფრო, რადგანაც ასეთი ჯურის ჩიტებით სავსეა ჩვენი ქვეყანა.

საფარიანცი – მეცნიერია, მოწაფე ლაელისა, მიტომ სომეხთა საგვარტომო სკოლებისთვის გეოლოგიის სახელმძღვანელოც მიუძღვნია და ამ გეოლოგიით პატარა პაიკებს ასწავლის, რომ საქართველოში სძევს სომხეთი, მაგალითებრ რუსეთის სომხეთის ნაწილს სოფ. ასპინძას და აბასტუმანს გამოდის გოგირდის წყაროები, სადაც ხალხი ბანავობს. სმენა იქონიეთ, ასპინძა და აპასტუმანი უცხო რამ კი არ გეგონოთ,

ჩვენებური აბასთუმანია და ასპინძა. როგორ მოგწონთ ესეთი თაღლითობა ნასწავლი კაცისაგან. ეს პატარა მოწაფეს-კი მიეტევება და „გეოლოგიის" შემდგენელს კი არა, მაგრამ რა გაეწყობა, ამას ჩვენ ვინა გვკითხავს, ბურთი და მოედანი მათია. კაცმა თავის ერის ისტორია, გეოგრაფია და ეტნოგრაფია არ იცოდეს და ის კი „გეოლოგიას" ადგენდეს, ეს მეტის მეტი ახირება არის და კან-გამოცვლილს ღამურასაც არ შეჰფერის ასე მოქცევა, რადგანაც აქ მტრობის და ლიქვნის მეტი სხვა არა სჩანს რა. ფარისევლობით ჩვენი დამცირება, სხვების გაძლიერება.

ახლა იკითხეთ თუ ვინ არის ეს პირი და ან რა ტომს ეკუთვნის. იგი გახლავსთ მესხელი. საფარა, საფარის მონასტერი ხომ მოგეხსენებათ. გარდა ამისა გაბრიელ, ქართველი კათოლიკოსი საფარელი VI საუკუნისა. მაჭახელშიაც რამდენიმე სოფელია ქართველ მაჰმადიანთა საფარაშვილების და ქრისტიანებიც არიან. აი ამათი შთამომავალია ჩვენი ღამურა. ნეტა ერთ-ერთი მაინც გაიხსენოს მან, ეს რა საჭიროა და ძალიანაც შორს ნუ წავალთ. თვით ამ პირის დედამ და ნათესავებმა სიტყვაც არ იციან ქართულს გარდა სხვა ენის, მაგრამ ამზასპმა იცის სხვა ენები და მის საფუძვლით თვითაც კარგად სომხობს, რაც ძალი და ღონე აქვს ამისთვის შრომობს კიდეც, და რომ შეეძლოს საქართველოს ერთ დღეს გადაყლაპავს კიდეც, მაგრამ ამის ძალა არ შესწევს მას და მიტომ იგი თავის უმეცრების შხამს კალმით ისვრის, მელუ-

რათ მოცოცავს ხოლმე ჩვენს ქვეყანაში და გველურათ-კი იკბინება. ასეთი მკბენავი გველებით სავსეა ჩვენი ქვეყანა. ბევრს გავუძელით და შეიძლება ბევრსაც გავუძლოთ, ხოლო თვით ამაზასპს-კი არ უნდა ავიწყდებოდეს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ კაცი რომელიც თავის ვინაობას ივიწყებს და ის სხვას ეკედლება, მერე მისგან ისიც ადვილათ მოხდება, რომ ამ სხვასაც ადვილათ მოსცილდეს და სხვებს მიეკედლოს კიდევ. ასეა აკაკის ღამურას მსგავსი კაცების ხელობა და ამიტომ ამაზასპს საფარიანსაც ვაფრთხილებთ, რომ ასეთ გზას თავი გაანებოს, მით სხვათა ცდუნებას საზღვარი მიეცეს და თვითაც თავის რკალში მოთავსდეს, თორემ ასეთის ფანდებით იგი ძრიელ შორს ვერ წავა.

აი ასეთი გახლავსთ ეს საფარიანი და ყველა ის ქართველ კათოლიკენიც, რომელთაც-კი მხითარისტების ბადეში გაუვლიათ.

ახლა მე ვკითხავ ზოგიერთ პირებს, ისეთ პირებს, რომელთაც აკაკის ღამურას ტყავი ახვევიათ გარს, თუ ესენი რას იტყვიან ჩვენი ცნობების წინააღმდეგ, რას ეტყვიან იმ დროთა პირებს, რომელთაც ეს ცნობები შეადგინეს, ვის უფრო კარგად უნდა სცოდნოდა ამის გარემოება, ჩვენ ძველებს თუ დღევანდელ კან გადაბრუნებულ მტერ მოყვარეებს. დაგვისახელონ თუნდ ერთი ცნობა, რომ საქართვე-

ლოში, ქართველთ შორის, სულ ძველადგანვე სომხის სარწ-
მუნოების მაღიარებელი ქართველნი არას დროს არ ყოფილან
და ჩვენ მზათა ვართ, რომ მაშინ ყოველივე მათი ვიწამოთ და
საქართველოში ყველა გვარ-ტომობის ზნისა, ხასიათის და
ენის მცოდნე, სომხის სარწმუნოების მაღიარებელი და კათო-
ლიკიც-კი პირდაპირ სომხის მოდგმას ვაკუთვნოთ, სომხათ
ავნუსხოთ.

უნდა ვთქვათ, რომ სომეხთ მცოდნეთ და მსწავლულთ
წინაშე ასეთ ვითარებათ ძიება, ძველადგანვე წავიდა წინ,
თითქმის იმ დროიდამ, რაც მათ საქართველოში მაღალის სი-
დიადით იწყეს გავრცელება-გამაგრება. მაგალითებრ: XVII

საუკუნეში გაჩნდნენ ისეთი სომეხთა მსწავლული მწერლები,
რომელნიც ქართველებისას ყველაფერს ჩრდილავდნენ და
ქართველთ ბინადრობის მსაკუთრებლებათ სომხებს აღიარებენ.
ასეთს უტყუარს მაგალითს წარმოადგენს XVII საუკ. საქარ-
თველოში მოგზაურის წინაშე მომხდარი სომეხთ საქმიები და
ხრიკები. ნუ გაიკვირვებთ, რომ ასეთ ხრიკებთა დაბადების
ხანა ერთობ ძველ დროს ეკუთვნის. აქ სიძველეს არაფერი
მნიშვნელობა აქვს, სადაც ერის მოწინავე ძალა მლიქვნე-
ლურს ცდასა და ღვწას ეძლევა. სომეხთა ძალა ადრიდგანვე
დაადგა ჭორიკანულს გზასა და კვალს. მათ თავიანთი ხვედ-
რიც გაიტანეს, შარდენს მთელი საქართველო კინაღამ სომ-
ხეთად აღაწერინეს, თბილისში, კათოლიკენი სომხის ტომის
ძეთ აცნობეს, ქართველებათ მხოლოდ ოთხი ქართველთ სა-
პყარი სცნეს და ხუთიც პატარა ღატაკ ბავშვები, რომელნიც
პატრების ხარკით იზრდებოდნენ.

შარდენის შემდეგ, ასეთ საყლაპიო ასპარეზზედ სხვებიც
მრავალნი აღმოჩნდნენ. ესენი უფრო შორს წავიდნენ, საქარ-
თველოს ადგილებთ, სახელ-წოდებითაც უწყეს გარდაკეთება
და გარდასხვაფერება, მრავალს კუთხეებს და ხეობებს დაარ-
ქვეს სომხური სახელები, მაგალითებრ, როგორც: ბოლნაფო-
რა – ბოლნისის ხეობა, მანგლაფორა – მანგლისის ხეობა, ასე-
ვე შეეცვალათ სახელები მრავალთ ძველთ ქართველთ ნაშენ
ეკკლესიებსაც. ამ ეკკლესიებთ სახელწოდებათა შეცვლის მან-
ქანებას დაწვრილებით არ გავყვებით, გავიხსენებთ მხოლოდ
ერთს საყურადღებო მაგალითს, რომელიც ამ ბოლოს დროს
მოხდა და გამოქვეყნდა სომეხთ მეტრფე მეისტორიე მწერალ-
თაგან. ერთმა არა სახელოვანმა მწერალმა სახელოვან ჰყო
თავი თვისი მით, რომ მან გამოაქვეყნა ერთი საოცარი საყ-
ლაპიო ტყუილი. ეს ტყუილი შეეხება ისეთს უზრდელს და
წარმოუდგენელს სიცრუეს, რომლის მოხსენებით ჩვენ დიდათ
ვსწუხდებით, რადგანაც ეს მატყუარა მწერლები თავიანთ ჭო-
რვათა ცნობებს ქართველთ მეისტორიებთა ცნობებზედ აფუ-
ძნებენ. ვითომც პ. იოსელიანის თქმით, ქ. ახალციხეს, XVII

საუკუნის დასაწყისამდე სომხური სახელი „„იშხანა-გიღ“ ერქვა, ვითომც ახალციხე ხსენებულ საუკუნის შემდეგიდამ დაერქვა. „იშხანა-გიღ“ ქართულათ „თავადების სოფელს“ ნიმნავს. ქართული სახელი „იშხანაგი-ღოს“ მას შემდეგ დარქმევია, როცა აქეთ მათი ძალა გავრცელებულა, თორემ მას სომხური სახელი რქმევია, რადგანაც მთელი ეს კუთხეც სომხეთის საკუთრება, სომხეთის ნაწილი ყოფილა. ასევე გვამცნიეს რომ ვითომც ძველათ არდანუჩს სომხური სახელი ერქვა ორჯნახი, ვითომც იგიც სომხეთის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ იგიც ქართველებმა მიითვისეს და მერე თავიანთი სახელი უწოდეს.

ეს კიდევ არაფერი, ჩვენ აქ არავის მტრობა არ გვინდა. ავნუსხავთ მარტოდ მას, რაც-კი მათგან იფინება ჩვენი ქვეყნის სავნოთ და დასანთქმელად. ამ თხუთმეტ-ოცი წლის განმავლობაში ევროპაში ხმები განისმა, რომ საქართველოში, უპირატეს მოწინავე ტომათ სომხები ირიცხებიანო, ყველა დაბა და მშვენიერი ქალაქები მათ ეკუთვნითო, მთელი ეს ხსენებული კუთხე სომხებით არის მოფენილიო, ქართველების ხსენება მარტოთ იალბუზის მთის კალთების მახლობლათ შეიძლება რომ მოვნახოთო, ასე და ამ გვარათ, გამოდის, რომ საქართველო იალბუზის ხეობაში ყოფილა. ამ სტატიების მეოხებით, ერთი კათოლიკის ბერი იწერება, რომიდამ შემდეგს წერილს შენიშვნებითურთ, ერთ თავის ქართველ კათოლიკეთა მოძღვართან: – „მაშ ძმაო ივანე, აიკიდე შენი გუდა-ნაბადი და მყინვარის მთებისკენ გასწიეთ, რადგანაც საქართველო მანდ არ ყოფილა“. ეს შენიშვნა ეკუთვნის ერთს ქართველთ კათოლიკეთ მოძღვარს, რომელიც დიდი ხანია რომში სცხოვრობს და იქ ქართველთ საწინააღმდეგო პოლემიკური წერილების წერას თვალ-ყურს მკაცრათ ადევნებს, რომელ წერილებმაც ეს მოძღვარი არა ერთხელ შეაწუხეს და ააღელვეს. ასეთ ხასიათებით გარემოცული წერილები საფრანგთის და რომის გაზეთებში ისე ხშირათ იბეჭდებოდა თურმე, რომ ხსენებული ქართველთ მოძღვარი დიდათ აღელდა, ისე შე-

წუხდა, რომ მათ წინააღმდეგ პასუხიც დაწერა და ფრანგულათ დასტამბა.

ესეც კიდევ არაფარი, ერთი ასეთ ვაჟბატონთაგანი უფრო შორს წავიდა, ბ. ბრამბეუს სენკოვსკიმ უფრო მკაცრი მსჯავრი წარმოსთქვა. ამ ბატონმა თავის წერილში შემდეგი სიცრუე მორთა ჭეშმარიტებით: ქართველები მეათე საუკუნემდის არ არსებობდენ, იგინი მთებში სცხოვრობდენ, ხოლო ამ საუკუნის დამლევს ჩავიდენ იმ ბარს ადგილს, სადაც დღეს ამ ალაგას სცხოვრობდნენ სომხები, ქართველებმა სომხები აქედან დასძრეს უფრო აღმოსავლეთისკენ გარეკეს და ხსენებული ადგილები თვითონ დაიკავეს. ასე რომ ამ მეცნიერის აზრით იხატება ის, რომ აწინდელი საქართველო სომხეთი,

ყოფილაო. მაშ ნეტა სომხეთი სადღა იყო და იმ ადგილებში ვიღა ხალხი სცხოვრებდა, სადაც დღეს სომეხნი სცხოვრობენ.

მეცნიერ ბარონ ბრამბეუს აკადემიკმა ბროსემ მისცა პასუხი. ამ პასუხის შემდეგ მეცნიერმა თავის ცნობები უკან წაიღო, თითქმის ბოდიში მოიხადა. სენკოვსკის შემდეგ, სხვებიც ბევრნი აღმოჩნდნენ. 1877 წ. საქართველოში მოვიდა საფრანგეთის მოგზაური კუტული. ეს ბატონი ტფილისის სომხებმა დაჰპატიჟეს, ორთაჭალის ბაღში სადილი გაუმართეს, მთელი საქართველო სომხეთათ აღაწერინეს, მთელი ამ ქვეყნის ძალა, მცხოვრებთ უპირატესობა, წარმატება, განათლება, ვაჭრობა დ მოძრაობა სომხებს მიაწერეს, მოგზაურობაში სომხობა გამოაქვეყნებინეს. ამ მოგზაურობის წინააღმდეგ ფრანგულსავე ენაზე პასუხი დაიბეჭდა. ამ პასუხის შემდეგ კუტულიმ თვალები გააღო და თავის მოგზაურობის ყველაფერი შეცდომათ აღიარა, მაგრამ რაღა დროს. მისი ნაწერები-კი დარჩა სომეხთ საშვილიშვილო საკუთრებათ და სადიდებლათ. კუტულის ცნობებისაგან მკაცრათ გატაცებული აღმოსჩნდა სომეხთ მოგზაური გალუსტ ქელბაქიანი. ამ მოგზაურმა დაიარა კერძოთ საქართველო და მერე მთელი კავკასიაც. ამანაც ბევრი კლანჭები გამოსდო ქართველებს, თამამი მოგზაური ისეთ მოთავა-

ზედ აღმოსჩნდა, რომ ქართველთ წმინდა ნინოც სომხის ქალად აღიარა; ვგონებთ ისტორიით, ჩვენ და მათაც, კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ წმ. ნინო რომაელი ქალი იყო. ეს ყველა იმ პირმაც-კი იცის, ვისაც თუნდ მარტოთ გაქრისტიანების ისტორია წაუკითხავს.

ზემოხსენებულს პირებზე არა ნაკლებ საინტერესო მოგზაურობა გახლავსთ ბ. რ. ფაფაზიანის მოგზაურობა ოსმალეთის სომხეთში. ამ პირს ღმერთმა მშვიდობა მისცეს, იმოგზაუროს ოსმალეთის სომხეთში და ასწეროს, ვინ უშლის, მაგრამ უბედურება და სიხარბე ის არის, რომ ამ პირმა, თავის მოგზაურობაში, მთელ დასავლეთ საქართველოსაც მობოჭა ხელი, ბათუმიდამ დაწყებული კარამდის სომხეთად აღიარა. აღწერას გარდა წიგნს ბოლოში ოსმალეთის სომხეთის ქარტაც აქვს მოქცეული. ამ ქარტაშიაც ისევეა საქართველო დახატული და სომხეთად აღნიშნული, როგორც მოგზაურობაში. ერთ ალაგას, სხვათა შორის, ბ. ფაფაზიანცი მოგვითხრობს: „რომ ლივანასა და ჭოროხის ხეობაში სომხური ენა არის გავრცელებულიო"?!. მე დავიარე ეს კუთხეები და იქ სომხური ენა მარტოდ ართვინში ვნახე, ისიც გასომხებულ ქართველ კათოლიკებში. თვით მოგზაურიც ქართველად მიგვაჩნია, რადგანაც ფაფაზიანცები ძველად ახალციხეს სცხოვრებდნენ და იყვნენ ქართველნი გვარისანი. მათი ძველი გვარი მოცოშვილი იყო. მოცი ხომ ქართულად ბალახს ნიშნავს. ესენი XVIII საუკუნის დამდეგიდამ მამაცაშვილებათ იწოდებიან. ჟამთა ვითარების მეოხებით და სომეხთ კათოლიკეთ გავლენის წყალობით უკანასკნელ ფაფაზიანი ეწოდათ.

დღეს ამ გვარის წევრნი ახალციხეს და თბილისშიაც სცხოვ-
რობენ და ქართველ გვარას კათოლიკედ ირიცხებიან.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ზოგიერთ მოგზაურებმა შემცდარ ცნობების მხილების შემდეგ თავიანთი შენანება აღ-
იარეს, მაგრამ მით რა გამოვიდა, არაფერი, მათ შეცდომა აღიარეს, მაგრამ ეს შეცდომები-კი ქაღალდზედ დაშთენ და-
სტამბულნი. ესენი დაშთებიან სამერმისოდ. მომავალ-სომეხ-

თა ძენი ამ ცრუ ცნობებს ხელზე დაიხვევენ, მათ დამწერთ
მაღალის ავტორიტეტებრივის ღირძებით შემოსვენ და ქართ-
ველებსაც ხმა მაღლა დაუწყებენ დავას და მხილებას, რომ
ამა და ამ დროს, ესა და ეს მსწავლული მოგზაური, სომხე-
ბის შესახებ აი ასეთ ცნობებს მოგვითხრობსო და აბა ამათ
წინააღმდეგ ვინ რა გაბედოსო. ეს დალოცვილები იმ
ცნობებს-კი მიაფანიერებენ და მიჩქმალავენ, რომ ამ მწერ-
ლებმა და მოგზაურებმა თავიანთი ნაწერები სრულს შეცდო-
მად აღიარეს, ამასთან მათ საქმე არა აქვსთ, ამის მიჩქმალვ-
მიმალვის გმირობაში მათ ვერავინ შეეცილება, ბურთიც მა-
თია და მოედანიც, ისტორიაც, ფილოსოფიაც, ეთნოგრაფიაც
და ბევროც კიდევ სხვა ღირს სახსოვარი საგნები.

ასეთ პირებს ბევრი მსწავლულ მწერალთაგანი შეუყვა-
ნიათ შეცდომაში. უეჭველია საფარიანსაც ამათი სიყალბით
მოუვიდოდა არა სასურველი შეცდომა. ბევრის უცხოს გვარ
ტომობის მექონ პირისთვის გადუბირებიათ გული და სული,
ბევრისთვის ჩაუნერგავთ ცრუ-ცნობები და ამის მეოხებით
ბევრი პატიოსანი მოღვაწეც უკუღმართ გზაზე დაუყენებიათ.
აქ ამ შეცდომების შესახებ ჩვენ ასე ვრცლად მიტომ ვისაუ-
ბრედ, რადგანაც ამ ცრუ ცნობების ამყოლთ თვით ჩვენს
ქართველობაშიც ვპოვებთ. სწორეთ ასეთ შემცდარ პირათ
ჩვენ მიგვაჩნია არქიმანდრიტი პ. ჭილიმუზაშვილი, რომელსაც
სომეხთ მხითარისტებმა ისე მოხვიეს ხელი, მის გონებას ისე
დაეპატრონენ, რომ ერთ დროს არქიმანდრიტმა კინაღამ თა-
ვის გვარტომობაც სომხად აღიარა.

პავლე შაჰყულიანი თავისს დროის კვალად მეტად სახე-
ლოვანი პირი იყო. მან ჩინებულად დაამთავრა, „პროპოგან-
დოში“ სწავლა. იქ ამან შეისწავლა ზედ-მიწევნით იტალიუ-
რი ენა, ლათინური, ბერძნული, სომხური ძველი და ახალი,
ფრანგული, ოსმალური და თავის დედაენა ქართულიც ჩინე-
ბულად. სხვა და სხვა ენებს გარდა სამღრთო ფილოსოფიაში
და თეოლოღიაშიაც მეტად განთქმული, დახელოვნებული
ყოფილა. ამ დახელოვნებისათვის დიდ-პატივს სცემდენ რო-

მის უმაღლესი სამღვდელო პირნი, თვით მსწავლულ კარდი-
ნალებსაც-კი მოსწონდათ პავლე შაჰყულიანი და მას ჯეროვ-
ნათაც აქებდენ. პ. შაჰყულიანი რომის სამღვდელოების წი-

ნაშე თავისს თავს, ანუ გვარტომობას ქართულად აღიარებდა. მას იმდენათ ჰყვარებია იმ დროის იმ საკამათო თეოლოღია, არ დარჩენილა არც ერთი წიგნი, რომ არ წაეკითხა. დღე-საც-კი მისგან დატოვებულს ბიბლიოთექის წიგნებს განცვი-ფრებაში მოჰყავს მკითხველი. მისი „სამკითხველოს წიგნები" მისს სიკვდილის შემდეგ დაშთა ახალციხის კათოლიკების იოა-ნე ნათლის-მცემლის ეკკლესიას, სადაც თვით მსახურებდა და უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ წიგნებით განცვიფრებაში მოვედი!

წიგნები შესდგება ლათინურის, ფრანგულის, იტალიუ-რის და სომხურის ტომებისაგან, დაბეჭდილნი XV, XVI,, XVII და მე- XVIII საუკუნოებში. ბევრი წიგნი არშინის ზო-მის და ოთხი ხუთის ვერშოკის სისქის, საშინელი ვრცელი ტომებია. ყველა ეს წიგნები მას ახალგაზრდობის დროს შე-უქმნია. მეტად ძვირფასს წიგნებათ უნდა ჩაითვალოს სიძვე-ლეთა გამო, საუბედუროდ, ამ წიგნებში, ქართული წიგნე-ბის-კი ერთის მეტი ვერა ვნახე-რა, ესეც მისი ხელთ-ნაწერი, რომელიც ინახება პატივცემულ მოძღვარის მღ. ივ. გვარამაძის ხელში, რომელ მოღვაწე მოძღვარიც პ. შაჰყულიანის თანა-მოადგილეა და მისი ნამოწაფარიც. ბევრს წიგნებს მისგან შე-ნიშვნებიც აქვს მიწერილი. ზოგი შეხედულება და ნამეტურ ფრანგულ, იტალიანურ და ლათინურ ენების სწორეთ ცოდ-ნას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. პავლე შაჰყულიანს, როგორც რომში იცნობდნენ და აფასებდნენ, იმათზე არა ნა-კლებ საქართველოში იცოდენ მისი გონების შემძლებლობა და ღირსება. საქართველოში უფრო დიდათ აფასებდნენ, მის-გან ბევრი საიმედო ნიშნები უჩნდებოდათ. ამათზე არა ნაკ-ლებ ეტრფოდენ სომეხთ კათოლიკეთ მოძღვარნი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ პ. შაჰყულიანი ვრცელს დახმარებას აღმოა-ჩენდა სომეხთ კათოლიკეთ სასარგებლოდ. ეს ისეც იქმნა.

უნდა ითქვას, რომ პ. შაჰყულიანი, თავის დროს, ყველას წინაშე მნათობივით ანათებდა.

როგორც თვით პ. შაჰყულიანის დარჩენილის ხელთ-ნა-წერების ცნობებიდამ სჩანს, იგი დაბადებულა 1769 წ. მო-ნათვლის სახელი დავითი უწოდებიათ. მომნათლავი ყოფილა ახალციხის იოანე ნათლის მცემელის მღვდელი აბაზაძე. აქე-დგან სჩანს, რომ ძველად აბაზაძეების გვარის წევრნიც ყო-ფილან კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნი, დღეს-კი მათი ხსენებაც აღარ არის. თუ ვინმეა დაშთენილნი, ისინიც აბაზაძეს მაგიერ აბაზოვებათ იწოდებიან. ისტორიულად ვი-ცით, რომ პ. შაჰყულიანს სწავლა 1795 წ. დაუმთავრებია და იქვე ლათინის ტიბიკონზედაც კურთხეულა მღვდლად და ამავე წელს რომიდამ კონსტანტინეპოლს მოსულა, აქ ორ სამ თვეს დაშთენილა, უმღვდლია, შემდეგ ამისა ართვინს და-ბრუნებულა, ისე რომ 1796 წ. პირველ თვის რიცხვებს არ-თვის ყოფილა უკვე მოსული და იქაც რამდენსამე ხანს

უმღვდლია და 1797 წლის დასაწყისში ახალ-ციხეში სჩნდე-
ბა უკვე ბლაღოჩინის ხარისხით და 1798 წ. მღვდელ მოქ-
მედებასაც იწყებს იოანე ნათლის მცემელის ეკკლესიაში. სხვა-
თა შორის, მღვდელ მოქმედების დროს, ახალციხეში ნათ-
ლავს ქართველ კათოლიკეთა ჩვილ ყმაწვილებს და ამათ მო-
ნათვლის ცნობასაც ქართულად სწერს, ხსენებულსავე ეკკლე-
სიის დაბადების წიგნში. მაგალითებრ, 1798 წელს მოუნათ-
ლავს ლაზარესშვილის ყმაწვილი, ნალბანდისშვილის, წალდა-
ძე ანტონასი, ნებიერიძისა, თავის ძმას უნათლავს ყმაწვილს,
და მრავლათაც სხვებს. აი, ესეც მაგალითი, ქართულად ნა-
წერი ბავშვების მოწმობა:

„წელსა უფლისასა 1799, სომხებისამებრ 1248 წ. ენკენის-
თვის 22, ხუთ შაბათსა შაჰყულიანთ ტერ-პოღოსმა, ბაროხმან წმ.
იოანე ეკკლესიისა, აბინაანთ ბატონი ტერ-სტეფანეს ნაცვლად მოვ-
ნათლე და მირონი იმავ მღვდლის საბარუხოსაგან ყრმაი ენკე-
ნისთვის 17 დაბადებული ყარსელაანთ ანტონისაგან და მის მეუღ-
ლე ბარქვიაანთ პეტროას ქალის სარასაგან, სჯულიერი ქორწინების

იმავ ეკკლესიის საბარეხოსაგან და ეწოდა სახელად მარიამი, მნათ-
ვლელი იყო მურადაანთა ანტონის შვილი აკოფა, ოვანას შვილის
ბატონი ტერ-ანტონის სამრევლოსაგან ივლიტას ეკკლესიისა".

აი ასე გახლავსთ მაშინდელთ ქართველთ კათოლიკეთ
მღვდელთაგან ბავშვების მონათვლის მოწმობები, ქართულად
დაწერილები. ზოგში ქალს მხევლად ახსენებენ, ვაჟს ყრმაწვი-
ლად. პ. შაჰყულიანი-კი აქ ქალს ყმაწვილს უხმობს და მომ-
ნათლავს ნათლიას, სხვა მოძღვარნი-კი სვინას უწოდებენ,
ზოგს მოწმობაში. როგორც სჩანს, ამ 1799 წ. დამდეგიდამ
უნდა მიეღოს პ. შაჰყულიანს ბარუხობა, ბლაღოჩინობა. 1801
წელს-კი მას უფრო მეტი უფროსობაც მიუღია და ახალცი-
ხის ივანე ნათლის მცემელის ეკკლესიაში დაშთენილა. აქ
უმწყსია, ამ დროს, ზოგიერთ მოძღვართ შორის, რაღაც
უთანხმოება დაბადებულა, უფრო-კი XVIII საუკუნის დროის
ძველის მღვდლების წყალობით. ამაზედ რომში მიწერ-მოწე-
რაც ატეხილა. რომის ერთს კარდინალს პ. შაჰყულიანისა-
თვის წერილი მოუწერია და მრევლის დაწყნარება დაუვალე-
ბია. კარდინალის დავალება თუ როგორ აღასრულა, ამის
ჩვენ არა ვიცით-რა, მხოლოდ 1806 წ. 27 იანვარს, ეს პა-
სუხს სწერს რომის კარდინალს და წერილს ხელს აწერს ასე:
„პავლე დავით შაჰყულიანი".

იგი თავისებურად მოქმედებდა, ახალციხის ბაროხათ ით-
ვლებოდა, ამიტომ მთელს მესხეთსა და ჯავახეთში თავისუფ-
ლად დადიოდა და ქართველ კათოლიკეთა საქმეებს თვალ-
ყურს ადევნებდა; რამდენ გზისმე ართვიანშიაც იყო. რო-
გორც კათოლიკეთ წინაშე, ისევე რომშიაც ჩენილ იყო ვი-
თარცა კარგი მღვდელი, ლათინის წესს-რიგის ეკკლესიისა.
ერთ ხნობით მას რომის სამღვდელოთ კრება დიდათ აფასებ-
და და პატივს სცემდა. ამ დროს, ახალციხეში, წირვა-ლო-

ცვას ქართულად ჰქონდათ და ქადაგებაც ხომ ერთ თა-
ვად ქართულად იცოდნენ. რომში პ. შაჰყულიანს ისე დაუ-
ტრიალდა საქმე რომ 1801, წელს ბოლოს, რომში წავიდა,
იქ მოისაქმიანა, 1802 წელს დაბრუნდა და იქიდამ პაპის ბუ-

ლა მოიტანა, რომლის ძალითაც მას ენიჭებოდა უფროსობა
ახალ-ციხის ქართველ კათოლიკებზედ, რომ იუფლოს და იუ-
ფროსოსო. ეს გარემოება ადგილობრივ სომეხ-კათოლიკეთ
ტიბიკონზედ მდგარს სამღვდელოებას დიდათ ეწყინათ, ნამე-
ტურ ოსმალეთის სომეხ-კათოლიკეთ ხუცებს, რომელთაც ლა-
თინის ტიბიკონზე მდგართ ქართველ გვარის მოძღვართა ჯავ-
რიც სჭირდათ. ამათ აღარ იცოდნენ რა ექმნათ. პ. შაჰყუ-
ლიანს სასტიკი მტრობა განუცხადეს, მათში დიდი შფოთი
დაითესა. სომხის ხუცებს მიეკედლნენ ლათინის წეს-რიგის
პატრებიც, რადგანაც ესენიც პ. შაჰყულიანის ხელ-ქვეითი
უნდა ყოფილიყვნენ და ამას-კი მათი უცხო გარემოება ვერ
იტანდა. ვერ ითმენდნენ ეს პატრები, მრევლს ლათინის
ტიბიკონით მწყსიდნენ და ქართული ენით კი ესაუბრებოდ-
ნენ და ქადაგებდნენ. მათს ოფიციალურს საჭირო დედა ენას
საქართველოში ქართული ენა შეადგენდა, ეკკლესიებში ეს
ენა მეფობდა, ამის წინააღმდეგი არც პ. შაჰყულიანი იყო,
იგიც ჰქომაგობდა ამ გარემოებას. პატრებში უკმაყოფილება
იმ გარემოებამაც დაჰბადა, რადგანაც პ. შაჰყულიანი ცდი-
ლობდა, რომ ოსმალეთის ქართველ კათოლიკეთ გარდა დაე-
მორჩილებინა თვით ქართლ-კახეთ-იმერეთის სამეფოს მცხოვ-
რებთ ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიები და მათი მრევლი,
რომელზედაც პატრები განაგებდენ. პ. შაჰყულიანი კარგად
იცნობდა თფილისის, გორის, ქუთაისის და სხვათა ადგილე-
ბის ქართველ კათოლიკეთ და მათ მოძღვართ, რომელ მოძ-
ღვარნიც რომიდამ მოდიოდნენ საქართველოში და რომლის
ზოგიერთებმა ქართული ენა იცოდნენ. ეს მოძღვარნი ექვემ-
დებარებოდნენ რომს, რომი-კი საქართველოზედ შორს იყო.
რომს ამ პატრების მფარველობა ადვილათ არ შეეძლო, მი-
ტომ მოუპოვა მათ პატრონად პ. შაჰყულიანი. ამ გარემოე-
ბამ-კი სხვა საქმე გამოიწვია. ევროპის ტომის ლათინის წეს-
რიგის პატრებს ეს ეწყინათ, აზიელი კაცის უფროსობა არ
ინდომეს, ამაზედ მათსა და პ. შაჰყულიანს შორის დიდი
მტრობა და შფოთი ჩამოვარდა. რომში საჩივრების წერაც

დაიწყეს, საქმე დიდათ გაამწვავეს, პ. შაჰყულიანი-კი ისეთი
ენერგიული კაცი იყო, რომ არავის უვარდებოდა, იგი სომეხ
კათოლიკეთ მღვდლებს თვის ცოდნით აჩრდილებდა, მათზე
მაღლა იდგა, ამიტომ ეს მათ ყოველიფერში სჯობნიდა, ლა-
თინის პატრებსაც არაფრით ჩამოუვარდებოდა, პირიქით ეს
მათზე ცოდნით მაღლა იდგა, რადგანაც ამან 1796 წელს

„პროპაგანდოში“ ქებით გაათავა სწავლა, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ. ამ ქებას თვით იმ დროის რომის სასულიერო აკადემიის სასწავლებელთაგან მიცემული მოწმობაც ამტკიცებს. გარდა ამისა, პ. შაჰყულიანი პატრებზედ იმითიც იდგა მაღლა, რომ მან ევროპიულს ენებს გარდა, აზიური ენებიც კარგად იცოდა. გარდა ამისა, პ. შაყულიანს კაი ცნობა ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხეების. იგი კარგად იცნობდა იმერეთის სამეფოს, რადგანაც იგი იქ რამდენ გზისმე იყო ნამყოფი, იცოდა აგრეთვე ქართლი და კახეთი და აქ კათოლიკეთ საქმენი.

თბილისის ქართველი კათოლიკობა მან 1799 წ. შუა რიცხვებს გაიცნა, როცა იგი მეფე გიორგისთან ჩამოვიდა და მეფის ერეკლეს გარდაცვალების გამო სამძიმარი მოახსენა, აუწყა ახალციხის ქართველ კათოლიკეთ ღრმა მწუხარება და თან განუცხადა მის მეფობის დღეგრძელობა, სამეფო ტახტის გამაგრება და მტერთ დამორჩილება. მოახსენა: რომ ჩვენი ახალციხელობა დიდი შემწე ვიქნებით თქვენიო. შემდგომ ამის პ. შაჰყულიანი დაბრუნდა ახალციხეს.

პ. შაჰყულიანი ახალციხეში მეტად ოსტატურად მოქმედებდა, მას დაახლოვებული კავშირი ჰქონდა ოსმალის ფაშებთან, ასეთ საქმეთა ასპარეზზედ მან უნარი თითქმის იმ დღიდგანვე გამოიჩინა, როცა იგი ახალციხეს მოვიდა. პირველ მოსვლისთანავე იგი გამოჩენილ იქმნა იმოდენათ, რომ ახალციხის ფაშაც-კი იწვევდა მას სახლში. ამის წარმატება და ნდობა იქამდე მივიდა, რომ 1800 წლის დასაწყისს, სელიმ ფაშამ ოსმალეთის სულთნის თხოვნით და მინდობილებით მეფე გიორგის კაცები გამოუგზავნა. ამ კაცებში საპა-

ტიო ადგილი პ. შიჰყულიანს ეკავა და სელიმ ფაშას. ესენი ამუდარებდნენ მეფე გიორგის შემდეგს: „ოღონდ საქათველოს რუსეთს ნუ დაუკავშირებთ და ჩვენ, თქვენს წართმეულს საქართველოს ადგილებს მთლად უკან დაგიბრუნებთო, პირობას დავდებთ, რომ დღეის შემდეგ აღარავინ გეზრძოლოთო, სპარსთა და სხვა მოსაზღვრე მაჰმადიანებიც ასეთ პირობას მოგცემენო, ჩვენ მოვახერხებთ ამასო". ოსმალთა მთარგმნელად და მრჩეველად პ. შაჰყულიანი ყოფილა დანიშნული. მეფეს დალაგებით მოუთხრობდა საქმის ვითარებას. ამან კარგად სცნა პატრი ნიკოლა, სოლო ლეონიძე და მრავალნიც სხვა გვარნი, რომელნიც ასევე თათბირობდნენ, მაგრამ მეფე გიორგიმ არ ქმნა. ერთ დღეს კერძოთ, ქართველთა საგულისხმოდ, აი რა უთხრა პ. შაჰყულიანს: – „მამაო, ვერ ვიზამ, ვერ მივიღებ ოსმალთა რჩევას, ვიცი მათი ბილწი, თათრული მოტყუილება, ნახევარი საქართველო წარიტაცეს და გაათათრეს, მოგვატყუილებენ, ამასაც მოგვტაცებენ, რაც დაგვრჩა, მე კი მათ საწინააღმდეგოთ ძალა არ მაქვს, შვილი ანუ ტახტის მემკვიდრე არის ურწმუნო, მარხო ჭამია, ტახტის მფლობის არა ღირსი, დედა-ჩემი ანუ დედინაცვალია მრისხა-

ნების, შფოთების, განხეთქილების მთესველი. მას ნებავს, რომ ჩემს შემდეგ მან იმეფოს, ან მისმა ნაშობმა და არა ჩემმა შვილმა, როგორც ეს მეფეთა წესია ძველადგანვე. ამყოლია ოსეფა ყორღანოვისა, მომხრეობს ასეთს კაცებს, აქეზებს ჩვენის ოჯახის მაშფოთრებს. დღითი დღე საქმე ძრიელ მიძნელდება, მეც ვსნეულდები, რუსნი ძრიელნი არიან, თანა მოსაყდრენი. იგინი შეგვეწევიან, იგინი დაფარვენ ქრისტეს კერძს, ქრისტეს მცხოვართ, მღვთის მშობლის მზითევს. ჩვენ არ ძალ გვიძს თავის შენახვა. თათრების კიდევ იმედი არა მაქვს, მოგვატყუილებენ, დაგვკარგავენ ქრისტეს გზიდამ, ამიტომ ვერ ვიზამ, ვერ მივიღებ მათს რჩევასო. ოსმალთა ნიტვრა ვერ აღუსრულდათ, მოციქულები ახალციხესვე დაბრუნდნენ, ფაშას მოახსენეს ყველაფერი. პ. შაჰყულიანმაც აუწყა:

თქვენი საქმე მძიმეთ გახლავსთ, მეფე ისეა გაჯავრებული,

რომ მას თათრების აღარაფერი სჯერა, რუსეთთან დაკავშირების საქმე გარდაუწყვეტია, გაუთავებია უკვე.

ამ გარემოებაზე და ცვლილებაზე, თუ რა გვარის იყო პ. შაჰყულიანი, ეს ჩვენ არ ვიცით, ის კი საფიქრელია, რომ საზოგადოთ, როგორის აზრისაც სხვა კათოლიკენი იყვნენ, რომ ამავე აზრის არ ყოფილიყოს პ. შაჰყულიანი, ამას ჩვენ მით უფრო, ვფიქრობთ, რადგანაც პ. შაჰყულიანს თავის სიცოცხლეში ქართული ენისთვის, არას დროს არ აუქცევია ზურგი. იგი ყოველთვის ქართულის ბუნებითის ენით მოქმედებდა, ქართულად სწერდა და ჰქადაგებდა. ზოგს ალაგს, რომ სომხის გვარის კათოლიკეთ აღიარებდა თავს, ეს იყო მხოლოდ დაბურული შეცდომა, უმხილველი მგრძნობარე გვამთაგან, დაჩრდილებულ და დაბურულ სომეხთა შეცდომისაგან და შეშინებულ რუსთა მოსვლით საქართველოში. ეს რომ ასეა და ყოველთვის პ. შაჰყულიანს თავის თავი ქართველად სცნობია. ამას გამოაცხადებენ მისს ნაშრომ ხელთნაწერნი, რომელთაც ქვემოთ მოვიხსენებთ, ხოლო რაც კი ამას სომხის კათოლიკის ტიბიკონზე და სომხის გვაროვნობით მოხსენებას შეეხება, ეს არ არის თვით პ. შაჰყულიანის საკუთრება. ეს არის სომეხთ მხითარისტებისაგან გამოქვეყნებული. მისს მეოხებით ბევრი ბრძენი ქართველი შემცდარა, ბევრს უდრეკია თავის გვარტომობისთვის გზა და კვალი, ბევრი გამხდარა ხსენებული ყლაპიაობის მეტრფე, ხოლო საქართველოს და ქართულ ენას-კი სამუდამოთ ვერ გამოსთხოვებიან.

დასამტკიცებლად მის, რომ ახალციხის ქართველ გვარის კათოლიკენი თითქმის კვნესოდენ საქართველოს უბედურებისათვის. ეს ცხადათ სჩანს, ასპინძის ომიდამ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ ომში ქართველ კათოლიკეებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს, საიდუმლოდ მეფეს და ჯარს დიდს დახმარებას აძლევდნენ, სულით და გულით უნებდათ მათ, რომ ხსენებული ადგილები მეფე ერეკლეს დაემორჩილებინა, ახალციხეში კვალად აღაღადებულიყო ქრისტიანთა ხმა. ყოველი

ქართველი კათოლიკე ამას ევედრებოდა ღმერთს, ყოველი

კათოლიკი ეკკლესიაში ამბობდა ლოცვით: ღმერთო,გაუმარ-ჯვე მეფე ერეკლეს, ღმერთო, ადღეგრძელე ქართველი მხედ-რობა, ღმერთო ასპინძას მიეცი დიდი ძალა ქართველთა, რომ სძლიონ ოსმალნი. ახალციხის სამღვდელონიც ყოველ დღე პარაკლისებს ხდილობდნენ ეკკლესიებში და ჩოქით ევედრე-ბოდნენ მღვთის მშობელს, რომ შენ დაიფარე საქართველო, შენ მოაბრუნე აქ ქართველობა; კვერთხი,გამგეობა,ძალა და ქრისტიანობავო".

ამიტომ დღე და ღამე, საიდუმლოდ ქართველთ ლაშ-ქარს ასპინძასთან, ქართველ კათოლიკეთაგან მისდიოდათ ჩუ-მათ ერბო, ქათმები, ბრინჯი, პური, თოფის წამალი, სხვა და სხვა იარაღები. ყველა ესენი, მათ ქართველთ ჯარის სა-სარგებლოდ ადრიდგანვე ეგროვებინათ ერთმანეთში ჩუმათ, რადგანაც მათ მეფის განზრახვა ადრიდგანვე სცოდნიყოთ. ამ განძრახვაში დიდ მონაწილეობას იღებდნენ ხურსიძენი. ესენი შეწირულებას ბორჯომის ახლოს სოფლებში ინახავ-დნენ, მერე აქედამ ეგზავნებოდათ ქართველთ მხედრობას და-ხმარება. მეფეს, ასპინძაში საქმე ძრიელ გაუჭირდებოდა, რომ მისთვის ახალციხის და სხვა სოფლის კათოლიკეებს დახმარე-ბა არ აღმოეჩინათ.

როგორც ვიცით და ეს მოხუცებულთაგანაც შევიტყე, ქართველ კათოლიკენი სულიერათ იტანჯებოდნენ იმ დროს, როცა-კი ქართველებს ოსმალებთან ომი ჰქონდათ. ეს წუთი, ეს სულის აღსარევი და აღსაშფოთი მდგომარეობა, მეტად ლამაზად დახატა, ქართველ კათოლიკე იაკობ ლაზარაშვილმა თავის დრამა „მტარვალში", რომელ დრამის სურათთა ცნო-ბებიც ახალციხელთ მოხუცებულთ ძველებურს გარდმოცემე-ბზეა დაფუძნებულ და რომელი დრამაც მშვენიერად ჰხატავს იმ დროის ოსმალთა ხელში მყოფთ ქართველთ სულიერ მდგომარეობას. დასაბუთებულია, რომ მესხ-ჯავახელ კათო-ლიკენი მეტის მწუხარებით უმზერდნენ ქართველთ გაჭირვე-ბას, თავიანთ მეფის დაუძლურებას. არ იციან რა ქმნან, ქარ-თველს დაეხმარონ, მაშინ ეს ოსმალთ ღალატი იქნება, რა-

ზედაც მათ სასტიკათ დასტანჯვენ, ოსმალთ დაეხმარონ და მაშინ რა ქმნან, ქართველებმა ქართველის წინაღმდეგ რო-გორ აიღოს ხელში ხმალი, ძმა ძმაზე როგორ მივიდეს. რა უნდა ექმნათ, რა უნდა მოეხერხებინათ ამ ქართველთ, ეს უწ-ყის ღმერთმან. მათს სულიერს მდგომარეობას კაცი ვერ ანუ-სხავს.

კათოლიკეთაგან უმისობა, უასეთ ტანჯულობა არც შეი-ძლებოდა. ეს ტანჯვა, პ. შაჰყულიანმაც კარგად იცოდა. იგი ახალციხის კათოლიკეებს ხშირად მოუთხრობდა ქადაგებით,

რომ ჩვენი ტანჯვის ზომა ცას მისწვდებაო, ნეტა ჩვენი ქვეყანაც ქართველთ მეფემ აიღოსო. ნეტა სხვა რომელიმე ქრისტიან სახელმწიფოს ჩაუვარდეთ ხელში, რომ ეგები ჩვენ ჩაგვრას ბოლო მოეღოსო. მაშინ ახალციხეს და სხვა ქალაქებში კათოლიკებს ზარის რეკაც არ შეეძლოთ. გარდა ამისა ქრისტიანის დასაფლავებაც წვალებით ხდებოდა, საფლავის გათხრის ნებასაც არ აძლევდნენ ქრისტიანებს, თქვენი მურდალი სხეული ჩვენს მიწაში არ შეიძლება რომ დაიმარხოს, რადგანაც მიწა წმიდა არისო, მაგრამ, რადგანაც ჰაერის აყროლების გვეშინიან, რომ თქვენისა აყროლებულის სხეულის გახრწნით ჩვენი საყლაპავი ჰაერი არ წახდეს, მიტომ გაძლევთ მიწის გათხრას და მის მურდალ გვამის დასაფლავებასო. ამ სისასტიკეს ასაბუთებს შემდეგი გარემობაც რომლის ბარათიც აღმოსჩნდა პ. შაჰყულიანის ქაღალდებში: ქრისტიანთ ერთი მოძღვარი გარდაცვლილა; საფლავის ნების მისაღებათ ხოჯასთან წასულან და უთხოვნიათ. ხოჯას უთქვამს:

– „თუმც ის მღვდელი მურდალი რჯულის იყო, თუმც მისს გვამს არც ცა და არც მიწა არ მიიღებს, მაგრამ ჩვენ მაინც გაძლევთ ნებას, რომ ის მურდალი მღვდელი დამარხოთ, მხოლოდ საფლავი კი ისე ღრმად გათხარეთ, რომ შიგ ჩააგდოთ, მისს ამოგდება იქიდამ მიწამ ვეღათ შესძლოს.“ აი ეს ქაღალდიც: „ჩუხურ, თესქურ, ლაბის ლიხასი, კათრანი, ჰამალი, თაჯი შეითანი, მარჰუ დირგეჰაი, რებაანი, ეეიქაფორ

გოჯა ქეშიშ, ქაფირი ქუფერათ მელთეინუზდე ბუდეფა გემირ მიშ ოლდუღ ჰაბრი, ალნან საჩიკ ნამ ქიმისენიპ ვუჯულ მექურესი, ჰერჩენთ იერ ვექომ გაბულ ეთმეს ისედე თააფფინენდნენ ალემი მუსლიმნიაზატ ელმაქ ილინ ბირ დერინ სენედევ აჩუბ, ვუჩუსდი, ქერჰესინე, იჩინე, თქაიუფ ბასუნეს ე-ი ქაფირ ქოჯა ქეში“.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქრისტიანებს პ. შაჰყულინი დიდათ მფარველობდა. იგი ფაშების წინაშე თავგამოდებით საუბრობდა, არავის მორიდება არ ჰქონდა. ევროპიული ენების ცოდნას უფრო განცვიფრებაში მოჰყვანდა ოსმალთ მოხელენი. ეს იყო მეტად სამართლიერი მოდავე არამც თუ მარტოდ ქართველ კათოლიკეთ გვარტომობის, არამედ ქართველთ მართლ-მადიდებლობისაც. სანაქებო ყოფილა ამის ქართული მუსაიფი, ნამეტურ მშვენიერი დარიგება სცოდნია ქართველ ტყვეების. ოსმალეთში სადაც ყიფილა და ეს ვინმე ქართველ ტყვეს, ან მოტაცებულს ნახავდა, მას მაშინვე დიდს დარიგებას მასცემდაო. სადაც-კი ყოფილა ეს მოძღვარი ყოველგან ქართულის ენით უქადაგნია, ყველგან თავისს ენად ქართული ენა უღიარებია, უთქვამს, რომ კათოლიკების დედა ენა ქართული ენა არის, ხოლო სომხის გვარისად ვითვლებითო. ესევე მოახსენა მეფე გიორგის თბილისში და იმ დროის პატრს დამიანე ანკოლელსაც. თბილისის ეკკლესიაში

რამდენიმე გზის ქართულად უწირავს და უქადაგნია. მაშინ უთქვამს, რომ ჩვენის კათოლიკების ბუნებითი დედა ენა ქართული ენა არისო. ასე უქადაგნია ქ. გორის ეკკლესიაში, როგორც 1799 წ. ისე მის შემდეგ, როცა ეს გორს მცირე ხანს იმყოფებოდა.

საქართველო რუსეთს ჩაბარდა, ერის მდგომარეობა წინ წავიდა, ქრისტიანთ სურათი შეიცვალა, ამ სურათის შეცვლას პავლე შაჰყულიანიც კარგად გრძნობდა. ამიტომ იგი დიდათ ნატრობდა რუსთაგან ახალციხის აღებას, ქრისტიანების თავისუფლებას. ამ ნატვრის მეოხებით იგი დაუახლოვდა რუსის მთავრობას და ვიდრე რუსეთი ახალციხეს აიღებდა,

მინამ მან ბევრნაირი დარიგება და დახმარება აძლია. საიდუმლოდ მიწერ-მოწერაც ჰქონდა, რაც-კი შეეძლო საჭირო ცნობებს ატყობინებდა. ამით მან რუსის მთავრობის წინაშე ნდობა და პატივისცემა მოიპოვა. ყველგან ერთგულად სთვლიდნენ მას, ქართველთ გულშემატკივრად. პავლე შაჰყულიანი რუსის მთავრობას, თვით არზრუმის აღების საქმეებშიაც-კი ეხმარებოდა, მიტომ ამას მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული იქაურს კათოლიკის სამღვდელოებასთან. ამ ხნებში პ. შაჰყულიანი მთელ დასავლეთ საქართველოში მეფესავებ მოქმედებდა. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული კონსტანტინეპოლის სომეხთ კათოლიკეთ პატრიარქთან, არზრუმის, რომის სამღვდელოებასთანაც, პოლშის ეპისკოპოზებთან, რუსეთის უმაღლეს მთავრობასთან და თვით კავკასიის მთავარმართებელთანაც.

ახალციხეში ეპისკოპოზის კათედრის განწესების ნატვრა პ. შაჰყულიანს ადრიდგანვე ჰქონდა. XVIII საუკუნის დამლევამდეს ოსმალეთის საქარველოში კათოლიკის ეპისკოპოსი არსად იჯდა, თვით ართვინს 1820 წ. დაწესდა. აქაც სულ სამი ეპისკოპოზი ყოფილა. ასეთი ნატვრა პ. შაჰყულიანს ახალციხეს 1798 წ. შეუტყვეს ლათინის პატრებმა. ამ გარემოებამ შფოთი დაბადა, საქმემ იქამდე მიაღწია, რომ ახალციხელთ კათოლიკებმა რომში იჩივლეს პატრებზედ. პატრებმა პასუხი მისცეს, მრევლის საქმე აიწეწა. 1801 წ. პ. შაჰყულიანი რომში იქმნა მოხმობილი. ეს მალე წავიდა. 1802 წ. ომიდამ მობრუნდა და თავის განდიდების ქაღალდი მოიტანა. მან დაიწყო მოქმედება და თავს უპირატესობით იჩენდა. ეს გარემოება სომეხთ კათოლიკეთ ხუცებს ძრიელ ეწყინად, მათ ჩუმათ დაიწყეს მოქმედება და პატრებს, პ. შაჰყულიანს, სომეხთ კათოლიკეთ მღვდელთა და, მრევლთ შორის განხეთქილება გაამწვავეს.

მალე კვალად იწყეს რომში საჩივრების გზავნა და ათასნაირი ცილის წამების მხილება. ყველა ჭორების და ცილის წამებათა ცნობების ახსნა რომიდამ პ. შაჰყულიანს ეკითხე-

ბოდა. რასაკვირველია, ესეც მალე აგებდა პასუხებს. რაც შეეხება მრევლში მოქმედებას თვით-კი მეტად კარგად მოქმედებდა. კათოლიკებს დაწყნარებას ამუდარებდა, შეერთებულის სიყვარულით ყოფნას და სხვ. კათოლიკეთ უსიამოვნება ისე გამწვავებულა, რომ 1805 წ. რომიდამ ამისთვის უთხოვნიათ ხსენებულ არეულ დარეულ საქმეებში ჩარევა, მონაწილეობის მიღება და მით საქმის დაწყნარება. 1802 წ. 27 იანვარს, რომში, კარდინალს წერილს სწერს და ატყობინებს შფოთების ცნობებს. 1806 წ. ამან რომიდამ კვალად მიიღო მადლობის წერილი და თან უფლება, რომ მას უსათუოდ უნდა ეუფლა ყველა კათოლიკებზედ. ამ დროს გამოარკვია პ. შაჰყულიანმა გეგმა მის შესახებ, რომ საქართველოში უნდა დაარსებულიყო ეპისკოპოზის კათედრა, ეპისკოპოზი, მის გამგეობა და მასთან სასულიერო სემინარიაც. ეს ამბები სომხის კათოლიკის ხუცებმა რომ გაუგეს, მათ ძრიელ ეწყინათ და პ. შაჰყულიანს მტრობა დაუწყეს. მასთან აშკარად ასმენდნენ, რომ შენ ლათინის ტიბიკონზედ სდგეხარ და სომეხ კათოლიკეთ საქმეებში ნუ ერევიო. ამაზე იგი სასტიკათ გაწყრა, მაშინათვე სხვა და სხვა ღონისძიებათა ფიქრებს მიეცა. ამ დროს პ. შაჰყულიანი ლათინის წესზედ იდგა, ეკკლესიაში ლათინურ-ქართულად სწერდა. იგი მტკიცე ქართველი იყო. სომეხთ კათოლიკეთ სამღდელოებას მან დიდი მტრობა შეატყო. კონსტანტინეპოლის პატრიარქმაც იცოდა პ. შაჰყულიანის საქმეები. საქმე ისე მოეწყო, რომ პ. შაჰყულიანმა ცხადათ დაუწყო სომეხ კათოლიკეთა ხუცებს მეგობრობა, მფარველობა და პატრებზედ მაღლა დაყენება. ამასაც რაღაც შური მოჰყვა და რომში საჩივრები. 1810 წ. პ. შაჰყულიანი კვალად მიიხმეს რომში. ეს მალე წავიდა. 1812 წ. ისევ დაბრუნდა და მან უფრო დიდის ხმით დაიწყო გამგეობა, აშკარად განაცხადა შემდეგი: რომის ტახტმა მე მიცნა უფროს პირად, მე მომანდო ყველა საქმეთა პატრონობა. ლათინის პატრები ამაზედ უმადურ იქმნენ და სომხის კათოლიკის მღვდლებმაც დიდი პროტესტი განუცხადეს. პ. შაჰ-

ყულიანს ეს ძრიელ ეწყინა და უკანასკნელ მან სასტიკათ დაიწყო გამგეობა და მკაცრათ სდევნიდა როგორც პატრებს, ისევე სომხის მღვდლებს. კონსტანტინეპოლის პატრიარქი მფარველობდა და ეწეოდა. პ. შაჰყულიანი მათ ვერას აკლებდა, ამიტომ ამან გულში ჩაინერგა ლათინის ტიბიკონიდამ სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ გადასვლა და ეს მალეც მოახერხა. 1815 წ. გადავიდა კიდეც აშკარად.

ამ ამბავმა ერთის მხრით სომეხთ კათოლიკეთ უმაღლეს სამღვდელოებას ასიამოვნა, მათ ერთგულება დაუმტკიცა, ნდობა გაიკეთა, თავის განძრახვის შესრულების იმედები მიეცა. უმაღლეს სამღვდელოების გარეშე მღვდლებმა-კი ეჭვის თვალით შეხედეს, სხვაფერ დაუწყეს მზერა. ამათ დაემატა

ლათინის პატრებიც. ამათ რომში ცნობა გაგზავნეს, მისწერეს, რომ პ. შაჰყულიანი ლათინის ტიბიკონიდამ სომხის ტიბიკონზედ გადავიდაო. ამაზედ გაიმართა კვალად ჭორები სომხის მღვდლებსა, პატრებს და მრევლს შორის და უმრავლესობა სულ პ. შაჰყულიანს ჰკიცხავდა. პ. შაჰყულიანი-კი არავის უშინდებოდა და ყველგან სადაც კი საჭირო იყო, პასუხებს აძლევდა. ამან რომს ბევრნაირი გამართლება მისწერა, მაგრამ არა იქმნა-რა, ტიბიკონის გამოცვლამ ცოტა ნდობა გაუფუჭა. მასზედ ლათინის ბერები ბევრს საჩივარებს გზავნიდნენ და მასთან სომეხთ კათოლიკეთ მღვდლებიც, ე. ი. ის მღვდლებიც-კი, ვის ტიბიკონზედაც იგი გადავიდა. ამათ გარდა მას მტრობით სხვებიც მრავალნი აბეზღებდნენ და მტრობდნენ უწყალოდ.

სხვათა შორის, 1800 წელს მეფე გიორგის კარზედ მოვიდა ბელგიელი პოლკონიკი როტიე. ეს კარგა ხანს იყო საქართველოში. 1817 წელს ევროპაში დაბრუნდა და 1818 წელს რომში მიიტანა მთელი რიგი ცნობები პატრი მ. თამარაშვილის ცნობანი პ. შაჰყულიანზედ. *) იგი ბევრს ბოროტებას აუწყებდა ამ პირზედ. როგორც როტიე, ისევე სხვა კათოლიკის მოგზაურნი და მოძღვარნი მტრობდენ და ითხოვდენ პ. შაჰყულიანის გაძევებას. ბევრის ჭორების შემ-

*) ისტორია კათოლიკობისა პატრი თამარაშვილისა. გამოც. 1904 წელს ტფ.

დეგ მათ წადილი შეუსრულდათ. პ. შაჰყულიანს დამცირება დაუწყეს, ეჭვის თვალით შეხედეს. ეს გარემოება პ. შაჰყულიანმაც კარგად შეიტყო. ამან საჩქაროთ რომში მიწერ-მოწერა დაიწყო და თავს მართლულობდა. 1818-1820 წლებს აი რას სწერდა რომს: საქართველოში სცხოვრებენ საკმარისი რიცხვი კათოლიკებისა, მარტოდ რუსის საბრძანებელ ქართლსა და იმერეთს 600 კომლი სცხოვრებს. სამცხის კათოლიკენი სხვა იყო, მაშინ სამცხე ოსმალთ ეკავათ. ამდენ მრევლისთვის საჭიროა ისეთი მღვდლები, რომ ამათ შეეძლოთ მათი მოვლა, უნდა იცოდენ ქართული და სომხური ენები, რათა ხალხს მათს ენაზედ ესაუბრონ. 2 საქართველოში უნდა დაარსდეს სამღვდელო სასწავლებელი და 3 ახალციხეში უნდა დაფუძნდეს კათოლიკის საეპისკოპოზო კათედრა. ეს დიდს საჭიროებას შეადგენს, რადგანაც სამოდელი მრევლი უმღვდელო, უსკოლო და უეპისკოპოზოდ არიან, ყოველთვის რომს ოსმალეთს და რუსეთის კათოლიკის მღვდლებს შეჰყურებენ და ელიან მათ მოსვლას აქ.

ასეთს შინაარსის წერილებს პავ. შაჰყულიანი ხშირად სწერდა რომს და თან ბევრს ჭეშმარიტს ცნობებსაც აუწყებდა. რომის გამგეობამ სხვა ჭორები უყურადღებოთ დასტოვა და პ. შაჰყულიანს კვალად მიანიჭეს თავისებურივე ღირსება და პატივისცემა. ამ დროს, ახალციხე ოსმალებს ეკავათ, მა-

გრამ ახალციხიდამ პ. შაჰყულიანი რუსის მთავრობასაც ეკე-
დლებოდა და ამათაც ავალებდა საქმეში მონაწილეობის მი-
ღებას, რომ საქართველოში კათოლიკის ეპისკოპოზის კათე-
დრა დაარსებულიყოს. ეპისკოპოზი და მათი სემინარია, ასეთ
საქმეთა ადგილათ ახალციხეს არჩევდნენ. ამ დროს რუსეთში
იეზუტების დევნა მოხდა, 1820 წლიდამ გაძევება დაუწყეს.
ამ გარემოებამ რომის „კონერეგაცია“ შეაფიქრა. პ. შაჰყუ-
ლიანისთანა კაცები საქმის სასარგებლოდ დაინახეს. მათ
ნათლად შეიწყნარეს პ. შაჰყულიანის გეგმა. ისურვეს საქარ-
თველოში საეპისკოპოზო კათედრის დაარსება, ეპისკოპო-
ზის დანიშვნა და მასთან სასულიერო სემენარიის გახსნაც.

რომის „კონგრეგაციამ“ ამაზედ რუსეთის მთავრობასაც დაუ-
წყო მიწერ-მოწერა. 1822 წ. მათ რუსეთის მთავრობას აც-
ნობეს შემდეგი: „პავლე დავით სკიაგლუნტი (შხს-სულტან)
რომში აღიზარდა, შემდეგ იგი აღყვანილ იქმნა ახალციხეს,
ვიც ვიკარად, რომელიც რომის „კონგრეგაციას“ სურს, რომ
აღყვანილ იქმნეს სომეხთ კათოლიკეთ ეპისკოპოზად საქართ-
ველოში, თუ ეს სასურველი იქნება ხელმწიფე იმპერატორი
სათვის და დახმარებას აღმოაჩენს ამ მოსაზრების სისრულეში
მოყვანისათვის.

პ. შაჰყულიანსაც ეს სურდა, ამას ნატრობდა: საქართ-
ველოში დაარსდეს საეპისკოპოზო კათედრა, ეპისკოპოსი, მის
გამგეობა და სემენარია. ეს გარდაწყვეტილება ქართველ კა-
თოლიკებს ძრიელ უხაროდათ. ახალციხელებს სრული იმედი
მიეცათ, რომ ახალციხე ამის ღირსი გახდება. ეპისკოპოზი
გვეყოლება და მასთან სასულიერო სასწავლებელიც, სადაც
ჩვენი კუთხის მღვდლები აღიზრდებიანო. ასევე ფიქრობდა
პ. შაჰყულიანი და ეს ამიტომ ადრიდგანვე შეუდგა ქართულს
ენაზედ ისეთი სამქადაგებლო წიგნების თარგმნას და წერას,
რაც ახალციხის კათოლიკების სემინარიაში სწავლების დროს
ქართულს ენაზედ მოუნდებოდათ მოწაფეთათვის. სომეხ კა-
თოლიკეთ ზოგიერთ მღვდლებს-კი არად ეჭაშნიკათ. ამათ
მორთეს სხვა და სხვა ჭორები დახ ცილის დაწამება. ამათ შე-
უერთდნენ პატრებიც და 1823 წ. დაიწყეს რომში პ. შაჰყუ-
ლიანზედ ცნობების გზავნა. ესენი სწერდნენ, რომ პ. შაჰყუ-
ლიანი ორ კუდა კაცია, იგი ახალციხიდგან გადადის ქუთაისს,
თბილისს და იქ რუსის ღენარლებს მეგობრობს და პატრებ-
ზედ ცუდათ მოქმედებს, აბეზღებს და მათ გაძევებას ამუდა-
რებს. რასაკვირველია სულ ჭორებით ხდებოდა ეს. რომის
„კონგრეგაცია“ გაუწყრა პ. შაჰყულიანს, ესეც გახელდა ცი-
ლის დაწამებაზედ, მათში გაიმართა დიდი განხეთქილება და
კამათი.

პავლე შაჰყულიანი გადააყენეს, არქიმანდრიტობა ჩამო-
ართვეს, თითქმის მღვდელ მოქმედების უფლებაც არ მისცეს,

დაამცირეს უკანონოდ, უჯეროთ. რომის „კონგრეგაცია“ სხვათა ენას აჰყვა, ერთი სიტყვით, მთელ კუთხეში, პ. შაჰ-ყულიანი აღარაფერი იყო. ყველა საქმეები ეკკლესიისა, შე-სავალი, გასავალი, ქონება, მრევლი, სამღვდელოება და სხვ. სულ კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოზისთვის ჩაუბარებია-ათ, რადგანაც მაშინ მთელი დასავლეთ საქართველოს კათო-ლიკენი, მათი ეკკლესიები და საქმენი კონსტანტინეპოლის სომეხ კათოლიკეთ არხიეპისკოპოზზედ ყოფილა მიწერილი. პ. შაჰყულიანის ადგილიც ერთის სომხის გვარის კათოლიკ მოძღვრისთვის მიუციათ.

ესეთი საქციელი „კონგრეგაციისა“ პ. შაჰყულიანს ძლი-ერ სწყენია. მას თავის გზის გარკვევა მოუძებნია და ამ გა-სარკვევ გზისთვის მალეც მიუგნია. მას დაუწყვია რომში სა-ჩივრების, ანუ აპელაციების გზავნა და თავისს გამართლება. ვიდრე ეს საქმე გამოიძევებოდა, მინამ პ. შაჰყულიანს თავისს თანამღებობისთვის თავი არ დაუნებებია, სომხის მღვდლების-თვის არაფერი ჩაუბარებია, რომის ბრძანება არ შეუწყნარე-ბია. ცდილობდა, რომ მრავალნი თანამგრძნობელნი მოეპო-ვნა და ისევ თვითვე დაშთენილიყო თავის ალაგას. ამისთვის მას დიდი ენერგია გამოუჩენია, თავის მექეშპეთათვის შესა-ფერი სამაგიერო გადაუხდია, მუსრი უვლია მათის უჯერო ცილისწამებისა და ჭორებისათვის. „კონგრეგაციას“ პ. შაჰ-ყულიანი რომში მიუხმიათ რამდენ გზისმე თავის გასამართლე-ბლად, მაგრამ პ. შაჰყულიანი არ წასულა, ყურადღება არ მიუქცევია. ამ წინააღმდეგობაში, მას ბევრი თანამგრძნობელ-ნიც ჰყოლია, თანამგრძნობთ რიცხვი დიდი ყოფილა, ამათი ცნობა რომშიაც შეუტყვიათ. მერე იქიდამ თვით ასეთ მრევლ-საც მოსვლია რომიდამ დარიგება და თან მუდარება, რომ პ. შაჰყულიანს მხარეს ნუ უჭერთ, დაწყნარდით და მისი მოა-დგილე მიიღეთო. მრევლთ შორის ბევრი მოწინააღმდეგენიც ჰყოლია. ამავე დროს მას დიდათ გადაჰკიდებია კონსტანტი-ნეპოლის ლათინის წესს რიგის ეპისკოპოზი და ამას პ. შაჰყუ-ლიანისათვის ბევრნაირი შეჩვენება უგზავნია, კვალად ატეხი-

ლა ახალციხის კათოლიკის მღვდლებსა და მრევლს შორის ჭორები, ცილი, ბეზღობა და სხვანი.

მალე კონსტანტინეპოლის ლათინის ეპისკოპოზს რომი-დამ ცნიბა მოსვლია, რომ პ. შაჰყულიანის შესახებ, ჩვენ ვერას ვიზამთ, აღარას მოგწერთ, ეგ ჩვენი ურჩია, იქნება შენ მოიხმო, დასაჯო და ადგილიდამ გადააყენოვო. რომის ასეთი განკარგულება კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოზმა 25 სექტემბერს, 1826 წ. პ. შაჰყულიანს აცნობა. თუმცა კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოზს მკაცრად მიუქცევია ყუ-რადღება. მიტომ პ. შაჰყულიანიც მკაცრად მოქცევია, მაგ-რამ უკანასკნელ მაინც ვერა გაუწყვია-რა. ყველა საქმეები ჩამოურთმევიათ და მღვდლის გ. მეფისოვისთვის გარდუციათ.

გ. მეფისოვი პ. შაჰყულიანის მოწაფეღ ითვლება. მღვდლად კურთხევის შემდეგ, პ. შაჰყულიანმა სოფ. ხიზაბავრას დანიშნა მღვდლად, მაგრამ ეს არ წავიდა იქ. ამათში უსიამოვნება ჩამოვარდა. გ. მეფისოვმაც თავისი დასი შეადგინა. ამის დასი პ. შაჰყულიანის წინააღმდეგ მოქმედებდა და გ. მეფისოვის სასარგებლოდ. გ. მეფისოვმა თავის ძლიერების მოსაპოვებლად ლათინის პატრებსაც მიემხრო, მათს მეტრფედ გახდა და ლათინის ტიბიკონს უფრო ადიდებდა. ამ გარემოებამ მას კაი ნდობა გაუკეთა, პატრებმა რომშიაც აცნობეს ამის ერთგულება. რომში ეს დიდათ ესიამოვნათ. გ. მეფისოვის ამაღლებაც განიძრახეს. ეს ცნობები გ. მეფისოვმაც იცოდა, ამიტომაც იყო, რომ ამას თავის უფროსის პ. შაჰყულიანის სიტყვა არ ესმოდა, სოფ. მღვდლად არ მიდიოდა. პ. შაჰყულიანმა უთხრა ერთ დღეს ასე: სოფლად სულ მოხუცებული მღვდლები არიან, დაღალულნი. სოფლის სამსახური მათ ძრიელ უჭირთ. ეხლა თქვენ ახალ გაზრდები წადით იქ და ის მოხუცნი აქ გადმოვიდნენ. გ. მეფისოვი ამას არ შვრებოდა. ეს პ. შაჰყულიანს დიდათ სწყენდა. ამის მიზეზი აი რა ყოფილა:

გ. მეფისოვი ავადმყოფი ყოფილა, ფერდის ქარი და სხვა სენი ჰქონია. ამიტომ სოფლად ყოფნა ვერ შესძლებია,

ქალაქ ალაგას სდომებია ყოფნა. პ. შაჰყულიანს-კი ეს მიზეზები არ სცოდნია და სულ ამ უცოდინარობას გამოუწვევია ერთის მხრით მათი განხეთქილება. ეს გარემოება რომ ცნობილ ყოფილიყოს, იქნება მაშინ საქმე ასე არ გამწვავებული ყო. გ. მეფისოვის დასიც არ ჩამოუვარდებოდა სომეხ კათოლიკეთა მღვდლების იმ დასსაო, რომელიც პ. შაჰყულიანის წინააღმდეგ იღვწოდაო. თვით გ. მეფისოვიც არ ყოფილა ურიგო მოძღვარი, ქართველ მკვიდრ შთამომავალი, ქართულის სულით და ხორცით შესხმული, მოქართულე მოძღვარი. ეს ითვლებოდა უპირველეს მოწაფედ პ. შაჰყულიანის. რაკი საქმე ასე იყო, ამიტომ პ. შაჰყულიანმა გ. მეფისოვს მანც არ გადასცა საქმეები და თვით აწარმოებდა. ამ საქმეებმა დიდი მიწერ-მოწერა გამოიწვია და დავი-დარაბა, როგორც რომში, ისევე, კონსტატინეპოლს და ახალციხეს. პ. შაჰყულიანი არავის ეპოვებოდა, თავის თავი მართლად მიაჩნდა და უფროსობას არავის უთმობდა. ერთის სიტყვით, საქმე ისე მოეწყო, რომ პ. შაჰყულიანს აუღავღავდნენ შინაურნიც, სომხებიც, კონსტანტინეპოლის კათოლიკის არქიეპისკოპოზიც და რომის „კონგრეგაციაც", ეს მაინც არ დაეცა, სხვა გზას დაადგა.

XIX საუკუნის შემდეგიდგან, სომეხ კათოლიკეთა და სომეხ გრიგორიანთ შორის დიდი აყალ-მაყალი ჩამოვარდა, გრიგორიანები ითხოვდენ, რომ თუ სომხის კათოლიკებს სომხები უყვარსთო, მაშინ იგინიც ჩვენ შემოგვიერთდენ, რათა შევერთდეთ და მით გავძლიერდეთო. გრიგორიანებთან დაკავშირებას ნამეტურ დასავლეთ საქართველოს ქართველ კათო-

ლიკებს სთხოვდნენ. ამათი სამღვდელო პირთ ფულით შესყიდვაც მოინდომა ეჩმიაძინის სინოდმა, მაგრამ ეს მათ ვერ მოუხდათ, ვერ მოახერხეს. ამის მიზეზი გახლდათ, რომ 1828 წ. ახალციხის და არზრუმის ფაშები ქრთამით შეისყიდეს და, მათის დახმარებით აღდგომის პარასკევს დღეს, 27 კათოლიკის მღვდელი დაიჭირეს და ციხეში ჩაყარეს, ეგონათ, რომ ამით რამეს გააწყობდენ, საუფლისწულო დღეების გამო უმღვდელო მრევლი გრიგორიანთ ხუცებს დაუკრავდა თავს და

გრიგორიანობას დაუკავშირდებოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, არა იქმნა-რა. მრევლი მაგრა დადგა. სომეხთ ასეთი საქმეები პ. შაჰყულიანმა კარგად იცოდა. და იგი მათ არაფერში დახმარებას არ აძლევდა. ამის მნატვრელნი ყოფილან მრავალნი მღვდელნი სომეხთ კათოლიკეთა. ამიტომ პ. შაჰყულიანმა ახალციხიდამ რუსეთის მთავრობას მომართა და 1827 წ. კავშირი გამართა.

პ. შაჰყულიანის დაახლოვება იმ დროის რუსის მთავრობას ძრიელ ესიამოვნა, ახალციხის აღების საქმეში ეს კაი დახმარებას გაგვიწევსო. 1827 წ. პ. შაჰყულიანი ახალციხიდგან თფილისსა და ქუთაისს ორ თვეში ერთხელ ჩამოდიოდა და მართლაც უნდა ითქვას, რომ იგი მთავრობას ბევრს ცნობებსაც აძლევდა. პ. შაჰყულიანის ცნობა და ქება პეტერბურგსაც წავიდა. თბილისში მას პატივს სცემდენ მთავრობის ყველა მოწინავე პირნი და თვით მთავარმართებელიც. პ. შაჰყულიანმა რუსის მთავრობას არამც თუ მარტო ახალციხის შესახებ აუწყა ბევრი რამ ცნობები, არამედ მათ დიდი ხელმძღვანელობა გაუწია თვით არზრუმის ომშიც. მინამ ომი მოხდებოდა, პ. შაჰყულიანმა ახალციხიდგან წერილების წერა დაიწყო ორს მათს არქიმანდრიტთან და მათ ავალებდა, რომ ომის დროს რუსის მხედრობის მხარე დაეჭირათ. ეს მართლაც ასე მოხდა და ომის დროს არზრუმის სომეხთ კათოლიკებმა რუსეთის მხედრობის მხარე დაიჭირეს, ამათ ჯვრით და ხატებით მოეგებნენ გზაში. ეს გარემოება ყველას გაუკვირდა, მიზეზები-კი არ იცოდნენ.

ამ მიწერ-მოწერის და განდიდების მეოხებით, პ. შაჰყულიანს გვამში ჩაენერგა ტრფიალება თავის განდიდების, ოდესმე ეპისკოპოსობის მიღების, თბილისს ან ახალციხეს საეპისკოპოზო კათედრის დაარსების, სემენარიის გახსნის. პ. შაჰყულიანი თუმც გადააყენეს, მაგრამ იგი ახალციხეს მაინც არ სცილდებოდა. იქ სცხოვრობდა და ქართველ კათოლიკეთ საქმეს თვალ-ყურს ადევნებდა, თან რომში ჰქონდა მიწერ-მოწერა გამართული და რუსეთის მთავრობასთან. აი ამ დროს

რა გამოაცხადეს ოსმალეთის საქართველოში სომხის ტიბიკონის მღვდლებმა:

„საქართველოში ლათინის წესს-რიგის პატრებს საქმე არა აქვსთ. მათ ამ ერის არც ენა იციან, არც ხასიათები. დროა, რომ ამ გვარს ერს თავისივე გვარის წარმომადგენელი მღვდლები ჰყავდეს; პატრები გაწყრნენ და ჰკითხეს მათ: „რა მიზეზით, რატომ, განა საქართველოში რომის კათოლიკენი არ არიან"?

– არა, ვინც საქართველოში კათოლიკეა, ყველა სომხის ტიბიკონის კათოლიკია, სომხის გვარის კათოლიკის ტიბიკონზედ მდგარი, მაშასადამე, მათთან ლათინის ტიბიკონს რა ხელი აქვს, რა საქმე. მრევლში ზოგიერთ მოძღვართა ხმამაღლა იწყეს ქადაგება, რომ ჩვენ სომეხ-კათოლიკენი ვართო. ვინც თავისს თავს სომხის კათოლიკეთ არ სცნავს, ის ჩვენის წმიდის კრებისგან განდევნილი და შეჩვენებული იქმნებაო. – ამას ჩვენ ვერ შევიწყნარებთო. ასეთ მრისხანე განჩინებას მრავალნი დაემორჩილნენ მით უფრო, რადგანაც ქართველ გვარის კათოლიკეთა ზოგნი ადრიდგანვე იყვნენ სომხურს ენაზე ლოცვების კითხვას და საუბარს შეჩვეულნი, მაგრამ იყვნენ ისეთი ქართველი კათოლიკენიც, რომელნიც ასეთ უკუღმართობას აეწინააღმდეგნენ, თავიანთ ვინაობა ლათინის წესის მაღიარებლად აღიარეს. მან დაბადა დიდი განხეთქილება. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველ გვარის კათოლიკებს სომეხ კათოლიკეები ეწოდათ. აქაც იწყო ამ სენმა აღორძინება და განმტკიცება, რაც ძველად კოსტანტინეპოლს, ტრაპიზონს, ართვინს, არდაგანს, (არტაანი) არდანუჯს და სხვა დასავლეთ საქართველოს ქართველ გვარის კათოლიკებთ შორის აღორძინდა. როგორც ხსენებულ ადგილებში მოისპო ქართველთ ხსენება, ისევე აქ უნდა დაწყობილიყო ეს მოძრაობა, ისევე აღმოსავლეთ საქართველოში უნდა მოსპობილიყო ქართველს გვარის კათოლიკეთ ხსენება. ამ მოსავალს აეწინააღმდეგა დროთა ცვლილება და მისი გარემოება. მეორე: კათოლიკებში გაჩნდნენ ისეთი მოძღვარნიც, რომელნიც სომხის კათო-

ლიკის ტიბიკონზე იდგნენ და გვარტომობით კი ქართველობდნენ. ამათ ხმამაღლა იწყეს საუბარი და ძიება, რომ ჩვენ ქართველები ვართო. ასეთივე პირია პავლე შაჰყულიანი, რომელიც ამ გათახსირებულ დროს შესაფერად მოქმედებს, ქადაგებს ქართულს ენაზედ, სომხის მღვდლების გარემოებას წინააღმდეგი უხდება და იმავ დროს ქართულად სწერს და სთარგმნის კიდევაც ფართო ტომებს. იმან და იმის მსგავსთა დაუდეს ნიადაგი ქართველ კათოლიკობას ახალ-ციხეს და მას თემთა მცხოვრებ მკვიდრ ქართველ კათოლიკებში ქართველობის ნიადაგს. ქართველ გვარის კათოლიკებში იყვნენ ისეთ სომეხ ტიბიკონის მღვდელნი, რომელთაც ახალციხეში და სხვაგანაც გამოაცხადეს შემდეგი:

– „შეჩვენებულ იყოს ის წმიდა კათოლიკე, ვინც თავის თავი სომხის ტიბიკონზე მდგარად არ იწამოს, ვინც ლათინის წესს-რიგის პატრები სახლში მიიღოს. ვინც ამას იზავს,

იმას სულის წაწყმედა მოელის საიქიოს".

ასეთი, შეჩვენება სომეხთ კათოლიკეთ გადაბრუნება, მღვდლებს პირველად 1805 წ. გამოუცხადებიათ. მრევლს შეუსმენია, ზოგნი წინააღმდეგნიც გამხდარან. 1829 წ. რუსეთმა ახალ-ციხე აიღო, შემდეგ არზრუმს და სხვა ადგილებს მიადგნენ. ახალციხის აღების შემდეგ, პ. შაჰყულიანი თბილისში გადმოსახლდა, კათოლიკის ეკკლესიის მამულში სცხოვრებდა. მაშინ, აქაურს ეკკლესიის გამგეთ პატრი ფილიპე ირიცხებოდა. სახელოვანი მოძღვარი იყო, მცოდნე ქართულის ენის და ექიმობის. პ. შაჰყულიანი მან პატივით მიიღო. პ. შაჰყულიანი სომხის ტიბიკონზე იდგა, ქართულად სწირავდა, ქართულათაც ქადაგებდა. ქადაგებით მან ქართველთა წინაშე მალე დაიმსახურა თავი. ათი წლის განმავლობაში, რომელიც მან დაჰყო თბილისში, სულ ქართულად სწირავდა და ქადაგებდა. დიდი პატივის ცემა მოიპოვა. პატივის ცემა იმ ზომამდის წავიდა წინ, რომ იგი მიწვეულ იქმნა მაშინდელს თბილისის ქართველთ სემენარიაში ლათინური ენის მასწავლებლად. თვით ჩვენი მეისტორიე, პ. იოსელიანი სწერს, რომ ლათინურ

ენას პ. შაჰყულიანი მასწავლიდაო. ამ დროს პ. შაჰყულიანმა, თბილისში, ქართულს ენაზე, რომის კათოლიკეთათვის პატარა ლოცვანიც დაბეჭდა.

პ. შაჰყულიანი ბევრათ მოხერხებული იყო, ვინემც ჯულარიანი და სეტიანი. მთავრობას ცხადლივ ასმენდა შემდეგს: მე სომეხ კათოლიკე ვარ, სომხის ტიბიკონზე მდგარი, ხოლო ადგილობრივ მცხოვრები, აქაური ერის ცხოვრების მცნობი და მისი ენის კარგათ მცოდნე. ჩემი ჰაზრები რომის ტახტმა ადრიდგანვე იცნა, ადრიდგანვე შეიწყნარა, ჩემი ამაღლება და ღირსების მონიჭება თვით რუსეთის კარსაც აცნობეს. მე ღირსი ვარ უპირატესობის, თბილისს, ან ახალციხეს უსათუოდ უნდა დაარსდეს კათოლიკეთ სემენარია, ეპისკოპოზად მე უნდა ვიქმნე, ეპისკოპოსის კათედრის განწესება თვით რომის სენატსაც სურდა ადრიდგანვე. 1822 წ. ართვინს გარდაიცვალა სომეხთ კათოლიკეთ ეპისკოპოზი, მისს მოადგილეთ რომმა მე დამინახა ღირსად. ამის შესახებ რომის სენატმა რუსეთის უცხო სარწმუნოებათა მინისტრს თხოვნაც გამოუგზავნა ასე: „ახალციხელი პავლე შაჰყულიანი რომში სწავლობდა „პროპაგანდოში“, შემდეგ იგი ახალციხეში ვიც-ვიკარათ იქმნა დანიშნული. ეხლა, რომის ტახტს სურს რომ ეს პირი ეპისკოპოზად იქმნეს დანიშნული. ეს თუ რუსეთის მთავრობისთვის არ ექმნება წინააღმდეგი, მაშინ ვითხოვთ მისს ეპისკოპოზათ დანიშვნას" .

ეს არ იყო რუსეთისთვის საწინააღმდეგო, მაგრამ პ. შაჰყულიანი მაინც არ იქმნა ეპისკოპოზათ დანიშნული. ამ გარემოებას, ერთის მხრით ლათინის წესს-რიგის პატრებთ ღწვა უხდებოდა, რამაც აღბორგა პ. შაჰყულიანი და ქართველ კათოლიკენი სომხათ აწოდებინა, მეორე – შემდეგი პირობა

და გარემოება იყო:

პ. შაჰყულიანი ახალციხეში სცხოვრებდა. მაშინ ახალ-
ციხე ოსმალებს ეკუთვნოდა. ოსმალეთის სომეხ-კათოლიკეთ
საქმეებს კოსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქი
განაგებდა და რუსეთისას-კი, სხვა მღვდელ-მთავარი. პ. შაჰ-

ყულიანს საქართველოში სურდა თავისებური ტიბიკონით გამ-
გეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არ ისურვებდა ეპისკო-
პოზობას, ამას სრული მეფობა სურდა, მისს სურვილს-კი კა-
რგი მიმდინარეობა არ ეძლეოდა. პ. შაჰყულიანი ბევრნაირს
დაბრკოლებას ხედავდა. მან შეუძლებლათ დაინახა ეპისკოპო-
სად აღსვლა, ისევ არქიმანდრიტათ დაშთა. მას ძლიერ ბევრი
ბჭობა მოუხდა, სასტიკად გადაეკიდა აუქიმანდრიტს სეტიანს.
საოცრება შეიქმნა პ. შაჰყულიანისთვის, რომ მთავრობისაგან
დაჯილდოვებულ იქმნა სეტიანი, არზრუმიდამ მოსული სო-
მეხი და პ. შაჰყულიანი-კი დაბლა დაყენებული. ამ გარემო-
ბას იგი უცხოს მიზეზებით ხსნიდა, მაგრამ აქ უცხო არა იყო
რა, ეს იყო მთავრობის განძრახვა. მთავრობამ სეტიანის და-
ჯილდოვება პირ და პირ პატივისცემით აღიარა.

ამ დროებში მოხდა არზრუმელ სომხების საქართველო-
ში გადმოსახლება. ამ სომხებს თან გადმოჰყვა არქიმანდრიტი
სეტიანი, ვენეციას გაზრდილი. რუსის ჯარს ამან გზა
და კვალი გაუხსნა არზრუმს. საქართველოში გარდმოსახლე-
ბულ სეტიანის პატივისცემა ინდომა მთავრობამ და ამიტომ
ახალციხეში 600 კომლი გარდმოსახლებულთ კათოლიკები
ჩააბარეს და მთელს კუთხეში აამაღლეს. ეს ერთობ ეწყინა
პ. შაჰყულიანს, ამას ეს არ მოელოდა. ადგილობრივ სამღვ-
დელოებაში დიდი განხეთქილება ჩამოვარდა. პ. შაჰყულიანი
თბილისს გადმოსახლდა. სეტიანი განაგებდა 1831 წლიდამ.
ამ გარემოების მრავალნი იყვნენ წინააღმდეგნი და მრავალნი
ითხოვდნენ, რომ პ. შაჰყულიანი უნდა იქმნეს ჩვენს ქვეყანა-
ში დაწინაურებულიო. ამასვე ითხოვდა პატრი იოსები; ამ
პატრს პ. შაჰყულიანი ღირსეულ პირად მიაჩნდა. ეფ. სეტი-
ანი ჭკვიანი კაცი ყოფილა და იგი თავისთვის დაშთა. სეტია-
ნისავე დროს, საქართველოში გაჩნდა მეორე არქიმანდრიტი
სომეხ კათოლიკეთა ჯულარდიანი.

ჯულარდიანი არზრუმელია. რუსები რომ არზრუმს შევი-
დნენ 1828 წ. ამ დროს, ეს 16 წლის ყოფილა. ვენეციას
წასულა, სწავლა იქ დაუმთავრებია. იქვე კურთხეულა. 1835

წ. ახალციხეში მიიცვალა უფროსი მოძღვარი ფარასი და ამის
მაგიერ რომიდგან 1837 წ. ეს ჯულარიანი დანიშნეს. ეს მო-
ვიდა და ადგილი დაიჭირა. ამ გარემოებამაც ცუდათ იმოქმე-
და პ. შაჰყულიანზედ. ამათში მცირე უსიამოვნებაც მოხდა.
ჯულარიანი პატრს ბონვენთურას მიემხრო. ამათ შეადგინეს

პ. შაჰყულიანის წინააღმდეგ დიდი წრე და დაიწყეს მოქმედება. ამ დროებში არც პ. შაჰყულიანს ეძინა. პ. შაჰყულიანის მოქმედებამ გამოაფხიზლა მთავარმართებელი ბ. როზენი და ამანაც მიაქცია კათოლიკეთა საქმეს ყურადღება და უმაღლეს მთავრობას მოახსენა, რომ საქართველოში კათოლიკის მღვდლები ისეთი პირნი არიან საჭირო, რომელთაც აქაური ენები უნდა იცოდენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, პ. შაჰყულიანს ნატვრა აღუსრულდა. 1841 წ. ეს დანიშნული იქმნა ახალციხეში უფროს გამგე სასულიერო პირად. ამ პირს არ ემორჩილებოდა ჯულარიანი, ამიტომ მათში განხეთქილება გამწვავდა, საჩივრები ატყდა, თბილისის პრეფექტმა გაარჩია, პრეფექტი ჯულარიანს მიემხრო. ჯულარიანი ახალციხიდამ სოფლად გადავიდა, იქ უნდა ეცხოვრა, მაგრამ ეს იქ არ ითმენდა, ახალციხეში ხშირად ადიოდა, ვითომც თავის ძმასთან სცხოვრობდა და იმავ დროს პ. შაჰყულიანის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა და ყოველივეს იწერდა, იხსომებდა და იქ ამლევდა ამ ცნობებს, სადაც საჭირო იყო. ჯულარიანი კაი მეგობარი იყო გრიგორ მეფისოვის. 1835 წ. ახალციხეს უფროს მოძღვრათ ეს იქმნა დანიშნული, ვიდრე ჯულარიანი მოვიდოდა, მინამ ეს განაგებდა მის თანამდებობას.

რა აზრისაც მთავარმართებელი იყო კათოლიკის სამღვდელოებაზედ, სწორეთ იმასვე ამბობდა პ. შაჰყულიანიც. ეს ითხოვა, რომ თბილისში დაარსდეს კათოლიკეთ საეპისკოპოზო კათედრა, სემინარია და აქაური ერისთვის მოძღვრები აქ გამოიზარდნენო. გარდა ამისა სამზღვარ გარეთიდან მოსულს პატრებსაც უნდა ეუწყოთ, რომ მინამ იგინი რუსეთის ქვეშევრდომობას არ მიიღებენ, მინამ მათი აქ მღვდლობა შე-

უძლებელი იქნებაო. თორემ ესენი მცირე ხნით მოდიან აქ, არც ხალხის ენას სწავლობენ, არც წეს-ჩვეულებასა და მერე ისევ მალე მიდიან და ახლა ამათ ალაგას კიდევ ხომ სხვა პირს ნიშნავენ და ამიტომ მრევლში ესენი არას აკეთებენო. აქაური ქვეშევრდომთ რომ ქმნება, მერე იგინი აღარსად წავლენ და აქ დაშთებიანო. პ. შაჰყულიანის მოხსენებაში მთავრობამ ბევრი რამ ნახა საყურადღებო. სომეხ კათოლიკეთ-კი ძრიელ ეწყინათ ის დავალება, რომ პ. შაჰყულიანი საეპისკოპოზო კათედრის დაარსებას და სემინარიის გახსნას თბილისში ითხოვდა. თბილისში კათოლიკის საეპისკოპოზო კათედრის და სემინარიის დაარსებას ითხოვდა თვით იმ დროის სამხედრო გუბერნატორი ფალავანდოვიც.

ამ ნატვრის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ სომეხ კათოლიკეთ მოძღვარნი და ეპისკოპოზნი. ამათ დაიწყეს ცდა და გამოაცხადეს, რომ საქართველოში მცხოვრებნი კათოლიკენი სომხის გვარისანი არიან, მათთვის სამღვდელო სასწავლებელიც არსებობს და ეპისკოპოზებიც არიანო. ამიტომ რა საჭიროებას შეადგენს თბილისში ანუ საქართველოს სხვა რომელიმე

ქალაქში სემინარიის გახსნა და ეპისკოპოზის კათედრის დაფუძნებაო. რა კი ეს არ იქმნა, მერე განწესდა, რომ სომეხთ კათოლიკეთ შვილები ვილნის სასწავლებელში წავიდნენ სასწავლებლად, სადაც, საღმრთო საგნით გარდა სომხურ ენასაც ასწავლიანო. ეს განკარგულებაც არ იყო სომეხთ კათოლიკეთ მოძღვართათვის მოსაწონი. ამანაც შეაფიქრა იგინი. მათ დაიწყეს ამის წინააღმდეგ ღვწა, მოქმედება.

ამ გარემოებამ რომის ტახტზე ცუდათ იმოქმედა. მათ ცხადლივ მიხვდენ, რომ რომის ეკკლესიის ტახტზე სხვა და სხვა ტომთ ეკკლესიის ტიბიკონს ხელი არ უნდა ჰქონდესო. სომეხთ კათოლიკეთ მღვდლებს განუცხადეს: დღეის შემდეგ ლათინის წესს-რიგის ეპისკოპოზებისაგან უნდა იკურთხოთო, კათოლიკობა უნდა გაერთიანდესო. რომის ტახტის ასეთმა განკარგულებამ სომეხ კათოლიკეთ მოძღვართ შორის დაბადა პატრების მტრობა, ჯიბრში ჩადგომა და ათასნაირი ცი-

ლის წამება. ასეთ ცილებაში მონაწილეობის მიღება პ. შაჰყულიანსაც ედება სომხის კათოლიკის სამღვდელოებას ისიც ამხედრებდა, რადგანაც მათ კარგად იცოდნენ, რომ სადაც რუსეთი ჩადგავდა ფეხს და აიღებდა რამე ადგილებს, იქ მცხოვრები კათოლიკენი რომს უნდა დამორჩილებოდნენ, სამღვდელოება კოსტანტინეპოლის სომეხ კათოლიკეთ პატრიარქისაგან თავისუფლდებოდა, მანამდის-კი მაგალითებრ, როგორც ახალციხეში, სომეხ-კათოლიკეთ პატრიარქისაგან ინიშნებოდა ყველაფერი, მისს განკარგულების ქვეშ იყო. წელიწადში ერთხელ პატრიარქი ზედამხედველსაც ნიშნავდა, რომელიც მოგზაურობდა დასავლეთ საქართველოში და სომხურის ენით ახდენდა გამოძიებას. ეს გარემოებაც დიდს სულს უდგამდა სომხურს ენას ქართველთ კათოლიკეთ შორის. აქედამაც კარგად სჩანს, რომ შაჰყულიანი სომხის კათოლიკე ლათინის წესზედ აღიზარდა და შემდეგ ლათინის ტიბიკონსაც დაადგა, მერე-კი ლათინის ტიბიკონიდამ სომხისაზედ გადავიდა, რადგანაც ამით მას სურდა თავის მიზნის მიღწევა და სომეხ გვარის კათოლიკის სამღვდელოებისაგან თავის დაღწევა, განთავისუფლება, საკუთარი კათოლიკობის აღორძინება. ეს ცხადათ სჩანს მის მოქმედებაში. მას ქართველ კათოლიკობა ედგა თვალთ წინ საქმეთ გამხდარი.

ნელ ნელა დრონი მიდიოდნენ, სომეხთ კათოლიკეთ და ლათინის პატრების მტრობას-კი დასასრული არ ეძლეოდათ. პ. შაჰყულიანიც კარგად მზერდა ამას, მიტომ იგი მეტად ოსტატურს გზას დაადგა, სდევნიდა ორივ მხრის სასულიერო წოდებას, მათ უსარგებლოდ სთვლიდა ადგილობრივ ერის და მთავრობისთვის. ლათინის პატარებმა ადგილობრივ ხალხის ზნე ხასიათის, ცხოვრების და ენის არაფერი იციანო. სომეხთ კათოლიკეთ სამღვდელონიც ხამნი და ურიგონი არიან საქართველოს კათოლიკეთათვისო. ჩვენ მართალია სომეხ კათოლიკენი ვართ, მაგრამ ჩვენ ჩვენი ქვეყნის მღვდლები უნდა გვყან-

დეს და არა უცხო ტომისო. უცხო ქვეყნებიდამ შემოსულთ მოძღვრებს ჩვენს მრევლში ხშირად ისეთი უცხო აზრებიც

შემოაქვსთ, რაც მთავრობისთვისაც არ არის კარგიო. ამისმა ცდამ იქამდის მიაღწია, რომ ერთ დროს თვით სომეხთ მხითარისტების ძმობის მიმართულებაც-კი მთავრობის სამტროთ აღიარა და ლათინის პატრების შრომას ხომ მეხი დაარტყა.

როგორც ვსთქვით ზემოთ, პატრი ფილიპე სახელოვანი პირი იყო. მიტომ მის წინაშე პ. შაჰყულიანსაც კრძალვით ეჭირა თავი. პატივს სცემდა მას როგორც უფროს და პატივცემულს. ამას არც იმაზედ ემდუროდა, რომ პატრმა ფილიპემ აკურთხა არქიმანდრიტად სეტიანი და ახალციხეს დანიშნეს. დროს ელოდა და ისიც კარგად შეიტყო, რომ ლათინის პატრები და სომხის მღვდლები ჩემს წინააღმდეგ შეითქვნენო. მე არ ვარ ამის ღირსიო, უთხრა ერთხელ პატრ ფილიპეს. მაგრამ რას იზავდა, არაფერს, დროებით ჩუმათ იყო. პატრი ფილიპეს სიკვდილის შემდეგ ხომ იგი არას ამბობდა, რადგანაც იგი განაგებდა მისს ადგილს, შემდეგ-კი, როცა პატრი ფილიპეს ადგილას რომიდამ სხვა ბერი დანიშნეს, მაშინ-კი იმან ვეღარ მოითმინა, იმ დროის მთავარ მართებელს ბარონ როზენთან ლათინის წესს-რიგის პატრებზე ცნობების ძლევა დაიწყო, მთავარ მართებელს გარდა იმ დროის თბილისის სამხედრო გუბერნატორსაც მოსცა ცნობები, რამაც გუბერნატორი იძულებულ ჰყო, რომ უმაღლესს მთავრობისათვის მიემართა და ეთხოვნა შემდეგი: „დღეის შემდეგ ლათინის პატრებს უნდა აღეკრძალოთ საქართველოში შემოსვლა, რადგანაც მათ ბევრი რამ მავნე აზრები შემოაქვსთ საქართველოში, იგინი იტალიანცები არიან, ჩვენი არა კეთილის მოსურნენი, ადგილობრივი ენები არ იციან, საჭიროა დაარსდეს ახალციხეში აკადემია და ეპისკოპოზის კათედრა". ეს ნატვრა პ. შაჰყულიანს ეკუთვნის. სომეხთ კათოლიკეთ მოძღვარნი-კი მისს წინააღმდეგ იყვნენ, იგინი ამბობდნენ:

ჩვენთვის აკადემია საჭირო არ არისო, სემენარია გუმბრში გვაქვს და აკადემია ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში. ასეთი რჩევა მთავრობას არა ერთხელ მოხსენდა. მთავრობამ განაცხადა შემდეგი:

„ჩვენ ძმათა „ალაზარისტებს“ ვერ ვენდობით, რადგანაც იგინი უცხოთ გავლენის ქვეშ იწურთვნებიან და ამიტომ შესაძლებელია, რომ მათაც ხშირათ არა კეთილი საქმეები ჩაიდინონ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შინაურებს უნდა მოვუწყოთ გზა და კვალი, მათ შინ უნდა მივსცეთ სახსარი მღვდელმოქმედების უფლების მიღებას, თორემ დღემდე მათი მღვდლები იკურთხებიან მხოლოდ ევროპაში, მერიდანს (ოსმალეთი)

სალმასტს (სპარსეთს) და დალმაციაში. ყველა ესენი საქართველოს კათოლიკეთათვის ერთობ შორს არის, ახალციხეში საეპისკოპოზო კაცათ გამოდგება პ. შაჰყულიანი, იგი რომში აღზრდილა, ადგილობრივი ენებიც კარგათ იცის. ძალიან გამოსადეგია მისი ეპისკოპოზათ დანიშვნა“.

პ. შაჰყულიანი ლათინის პატრების წინააღმდეგ მაშინდელ თბილისის გუბერნატორს ქართულად სწერდა წერილებს, გუბერნატორი ქართველი იყო. ერთი წერილი ამისაგან გუბერნატორთან მიწერილი მეც ვნახე. პ. შაჰყულიანის დაწინაურების სამზადისს მეტად დიდი ბჭობა მოჰყვა. ამას ხელახლა აეწინაღმდეგნენ ლათინის პატრებიც და სომხის კათოლიკენიც. პ. შაჰყულიანის კამათობის ისტორიამ რომის ტახტამდის მიაღწია. მას განსამართლება დაუწყეს. ადგილობრივი მთავრობა ჰქომაგობდა. პ. შაჰყულიანი ერთის წერილით მთავარმართებელ როზენს ასე შესჩივის:

„თუმცა მე მართალი ვარ, მაგრამ მე მაინც დიდათ მეშინის, რომ გუბერნატორთან ჩემგან მიმართული წერილები ლათინის წესრიგის პატრებს არ ჩაუვარდეთ ხელში, მეშინის მათი“. ამაზე ბარონ როზენი გალავინს სწერს და ატყობინებს შემდეგს:

„პ. შაჰყულიანის ევროპის კაპუცინების შიში არ შეიძლება, რომ არა ჰქონდესო“. ამ მიწერ-მოწერის წერილები და ცნობები მთლად დაკარგულია, სულ სამი-ოთხი ცნობა სჩანს, ბევრი ვეძიე, მაგრამ ვერსად რა ვპოვე. პ. შაჰყულიანს პატრების იმ მხრითაც უფრო ეშინოდა, რადგანაც პატრებს საქართველოს კათოლიკობა ადრიდგანვე სცემდა პატივს. ამ პატივის ცემის აღმოსაკვეთ იარაღს ეძებდა პ. შაჰყულია-

ნი. ღონისძიებათ მან დაინახა ქართველ გვარის კათოლიკეების სომხის გვარის კათოლიკედ წოდებაში ჩარიცხვა. ფიქრობდა, რომ მთავრობის წინაშე, ჩემს სასარგებლოდ ამაზე კარგს იარაღს მე ვეღარ მოვიგონებო. მაგრამ ვერც ეს მოგონება მოუხდა კარგად, თუმცა თავისი კი გაიტანა. საქართველოს რომის ქართველ გვარის კათოლიკენი სომეხ კათოლიკეთ იქმნენ ცნობილნი. სწორეთ 1835 წლიდამ,იმ დროდამ იწყობა პირველად საქართველოში, ქართველ გვარის კათოლიკების სომეხ კათოლიკეთ ხსენება, თორემ მინამდის, მათი ხსენებაც არ იყო. საქართველოში მთავრობის წინაშე, მთავრობისთვის ორივე ერთი იყო, – კათოლიკი ქართველი გვარის იყო თუ სომხის, თუმცა ის-კი უნდა ვსთქვათ, რომ სომხური სახელების ხსენება საქართველოში 1731 წლების შემდეგ შემოდის, მანამდის-კი სულ ქართულია. სახელებს გარეშე სომეხ კათოლიკი-კი ხსენებითაც არ იხსენება. საქართველოში კათოლიკენი რომის კათოლიკეთ იწოდებიან. ვერც ერთ ძველს წერილში, საფლავის ქვებზე და ეკკლესიების მაშენებელთა მოხსენებაში ვერ ჰპოვებთ სომხის ხსენებას. ყველგან, სომხის კათოლიკეთ მაგიერ, რომის კათოლიკედ იხსენებიან, მხოლოდ სახელებია, ზოგის სომხურად მოხსენებუ-

ლი, ეს რასაკვირველია, სომეხ კათოლიკების მღვდლების მანქანებით. სხვათა შორის, საქართველოს კათოლიკობაში ასეთი აზრებიც განავრცეს ზოგიერთ პირებმა, რაც უფრო დაეხმარა ჩვენს უბედურებას:

საქართველო რუსეთს უჭირავს, იგი პატრონია ყველა ქრისტიანისა. იგი სასტიკად პატრონობს თავის თანა მოსაყდრე ქართველებს. საქართველოში მათ ქართულის ენით მოლაპარაკედ მხოლოდ ქართველ მართლ მადიდებელნი მიაჩნიათ. თქვენ თუ თქვენს თავს სომეხ კათოლიკეთ არ აღიარებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ გაგაქართველებენ, კათოლიკობას დაჰკარგავთ. რომის კათოლიკობას საქართველოში არა აქვს ადგილი და ბინა. თქვენ მარტოთ თავი სომეხ კათოლიკედ აღიარედ, მარტოდ ეს არის საჭირო, რომ მისს მეოხე-

ბით თავი გადირჩინოთ გადაგვარებ-გადარჯულებისაგან. ქართველ გვარის კათოლიკობამ სჯულის შიშის გამო შეისმინა ტყუილი მოსაზრებანი და სომეხ კათოლიკენი დაირქვეს. ეს დარქმევა მთავრობასაც მოხსენდა. მან ფეხი აიდგა უფრო მას შემდეგ, როცა არზრუმის კათოლიკენი ახალციხის და ახალქალაქისაკენ გადმოასახლეს და მათ თავიანთ თავებს სომეხ კათოლიკენი უწოდეს. ამ წოდებამ ჩანთქა და დაფარა ქართველთ კათოლიკეთ ხსენება. ასეთმა მიამიტ მოჭორებულმა სახელწოდებამ მთავრობის ფურცლებზედაც დაიკავა ადგილი.

მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ იყვნენ ისეთი ქართველთ კათოლიკენი, რომელნიც თავის გვარ-ტომობისთვის სასტიკათ დავობდნენ, ესენი მკაცრად იღვწოდნენ ზემოხსენებულ აზრების წინააღმდეგ. ამაზე პ. შაჰყულიანის ამხანაგებსაც მოსდიოდათ ჯავრი. პ. შაჰყულიანის გულის თქმას კი ვერ იგებდნენ. უნდა ითქვას, რომ პ. შაჰყულიანი ნამდვილი ქართველი იყო, ხოლო ჯიბრმა და მტრობამ დაამხო და არიეს იგი. ამ გარემოებამ იგი ისე ააზავეს, რომ მან თვით მთავრობაც შეიყვანა შეცდომაში, სახელმწიფო საქმეებში და მიწერ-მოწერაში ყველგან ქართველ გვარის კათოლიკენი სომეხ კათოლიკებათ შთააწერინა. ეს გამოიწვია პატრების მტრობამ, ნამეტურ პოლონელების.

პატრი ფილიპეს სიკვდილის შემდეგ, საქართველოში პატრებსაც გაუჭირდათ საქმე. ბრძოლის ასპარეზზედ იგინი იმიდენს ხერხს და ძალას ვერ იჩენდნენ, რამდენსაც პ. შაჰყულიანი. ეს წყალობა სულ ქართული ენის ცოდნა იყო, რადგანაც ამ პირმა ქართული ენა კარგად იცოდა. ლათინის პატრები და ჯულარიანიც ამან დასძალა.

ბევრი კამათის და ბჭობის შემდეგ, მთავრობამ საჭიროდ დაინახა ახალციხის კათოლიკეთ სასულიერო გამგეობა თბილისის პრეფექტურისაგან გაენთავისუფლებინა, იქ სხვა პირი დაედგინათ, მაგრამ ეს ვერ ხერხდებოდა, რადგანაც ამის დამტკიცება რომისაგან უნდა ბრძანებულიყო. კონსტანტინეპოლის სომეხთ კათოლიკეთ პატრიარქს ამასთან საქმე არ

ჰქონდა, მეორე თვით ახალციხელნიც არ თანხმდებოდნენ ასეთ რჩევაზე. იგინი ამბობდნენ, რომ ჩვენ რომის კათოლიკენი ვართო და არა სომხისაო. პ. შაჰყულიანი გავლენიან პირად აღმოჩნდა. ამაზე თვითაც დარწმუნდა, მაგრამ მას მაინც იგოდენი მფარველობა არ ჰქონდა, რამდენიც ლათინის წესს-რიგის ბერებს. რომის განკარგულება პ. შაჰყულიანს დიდს დაბრკოლებას აძლევდა, იგი უხმოდ შთებოდა. ამის მოსასპობ სახსარს იგი სასტიკად ეძებდა, მთავრობას ათასნაირს ხმებს ასმენდა ლათინის ბერების შესახებ, სწამებდა მათ მთავრობის ღალატს, ორგულობას, მრევლის განცალკევებას, შფოთის დათესვას. 1842 წ. მთავრობას წარუდგინა შემდეგი მოსაზრება: წელიწადში საქართველოდამ 7 ყმაწვილი მთავრობის ხარჯით გაგზავნილ იქმნენ სომეხ კათოლიკეთა, ან პოლონელთ სასწავლებელში სასწავლებლად. მემრე იგინი გაწურთვნილნი იქმნენ ერთ-ერთ ეპისკოპოზისაგან და მღვდლად კურთხეულნიო, მისს შემდეგ კი შეიძლება, რომ ასეთ მღვდელთა მოქმედებით მოსპობილ იქმნას რომიდგან შემოსულთ პატრებთ რიცხვი. ამას გარდა ახალციხიდამ უსათუოდ გაძევებულ უნდა იქმნეს ყარსელი არქიმანდრიტი ს. ჯულარიანიცო.

პ. შაჰყულიანი მარტო ამის გაძევებას არ ნატრობდა. ვინც კი მისს წინააღმდეგი იყო, ყველას ეკამათებოდ, ყველას გაძევებას ცდილობდა. ლათინის წეს-რიგის თბილისის პრეფეკტმა პ. შაჰყულიანის ამბები სცნა, ამიტომ მან პ. შაჰყულიანი თანამდებობიდამ გადააყენა და მისი ადგილი მისცა პატრს ბონვენთურას. ასეთი ცვლილება ახალციხის ქართველთ იწყინეს და მათ თხოვნა დაიწყეს როგორც საერო მთავრობასთან, ისევე სასულიეროსთან, რომ ჩვენ დაგვენიშნოს ჩვენი ტომის მღვდელიო. ასეთ ღირსეულ პირად ჩვენ ვსთვლით პ. შაჰყულიანს, რომელიც კარგად გვიცნობს ჩვენ და ჩვენს ქვეყანასაცო. ამისთვის არზაც მიურთმევიათ. *)

*) აქტების ტომები.

ბევრის ბჭობის და კამათის შემდეგ, პ. შაჰყულიანმა ნახა, რომ სომხის კათოლიკის და რომის სამღვდელოებისაგან სიკეთე არა გამოდიოდა რა, ამიტომ ამათ თავი გაანება, მთავრობას დაავალა, რომ საქართველოს კათოლიკობა რუსეთის პოლონელთა ერთ-ერთ ეპისკოპოზს ჩაბარდესო, მათ ხელქვეით ვიქმნეთო. მთავრობამ ამის თხოვნა მიიღო და მალე რუსეთში აცნობეს, რუსეთში პოლონელთ ეპისკოპოზსაც აუწერეს, მალე მათგან მფარველობის თანხმობაც მოვიდა საქართველოში. რაც შეეხება უმაღლეს მთავრობას, ამათაც შეეწყნარათ პ. შაჰყულიანის მოსაზრება და ხელმწიფე იმპერა-

ტორს ენება ყოველივეს დამტკიცება. აი ზოგი ერთი მუხ-
ლები: პავლე შაჰყულიანი კურთხეულ იქმნეს ვიკარნი ეპის-
კოპოზად და აღყვანილ იქნეს ახალციხეში. მან უნდა განა-
გოს ყველა სომეხთ კათოლიკეთ საქმეები, ეკკლესიების შე-
სავალი, გასავალი, დანიშნოს მღვდლები, გადააყენოს, ერთის
სიტყვით განაგოს ისე, როგორც მას ენებოს. მრევლი და
სამღვდელოებაც უნდა ემორჩილებოდეს მას, მასთანვე უნდა
დაინიშნოს სასულიერო გამგეობა, რომელშიაც უნდა განირ-
ჩეოდეს და განიბჭობოდეს კათოლიკეთა მრევლის საქმეები.
აქ ყველა მღვდელი კათოლიკის პ. შაჰყულიანს უნდა ექვე-
მდებარეობდეს, მის განკარგულების ქვეშ უნდა იყოს. პ. შაჰ-
ყულიანს უფლება ეძლევა, რომ თვით უმაღლეს მთავრობას-
თან მიწერ-მოწერა იქონიოს და ყოველი კითხვა და თავის
შენიშვნა მოახსენოს.

ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება შესრულებულ იქმნა
და 1839 წ. პ. შაჰყულიანი თფილისის ეკკლესიაში კურთხე-
ულ იქმნა ვიკარნათ და მაშინათვე აღყვანილი ახალ-
ციხეს ივანე ნათლისმცემლის ეკკლესიაში. ამ დღიდგან და-
იწყო პ. შაჰყულიანის მოქმედება, მაგრამ ზოგი ერთი ლათი-
ნის მღვდლები მას მოსვენებას არ აძლევდენ, მასა სწამებდენ
იმის ბრალს, რომ ვინც საქართველოში უცხოელი მღვდლო-
ბას ინდომებს, მან რუსეთის ქვეშევრდომობაც უნდა აღია-
როსო, ეს იყო უმაღლესი განკარგულება. ამისი არავინ რა

იცოდა და ყოველივე პ. შაჰყულიანს ბრალდებოდა. ამიტომ
შაჰყულიანს ბევრ ნაირ ყვედრებას ასმენდენ აქა იქიდგან. ეს-
კი ყურადღებას არ აქცევდა და ახალციხეში ფეხის გამაგრე-
ბის შემდეგ უპირველესად კათოლიკეთა სკოლის საქმეს მიჰყო
ხელი და მალე სადიაკვნო პირები შეკრიბა, მათთვის გახსნა
სკოლა და სწავლება და მზადებაც დაუწყო. ფიქრი ჰქონდა,
მე ამათ ახალციხეში მოვამზადებ, ვასწავლი ყველაფერს და
შემდეგ რუსეთში ვაკურთხებინებ პოლშელ ეპისკოპოზს და
მით განვთავისუფლდებით რომისა და კონსტანტინეპოლისა-
განო. ეს გარემოებაც ძლიერ სწყინდათ როგორც პატრებს,
ისევე სომხის კათოლიკის მღვდლებს.

საქმე გათავდა. პ. შაჰყულიანი ახალციხეს დამკვიდრდა.
იგი თავის საქმეების მართვას მიეცა. იგი კარგად გაეცნა რუ-
სის საქმეებს, მასთან პოლონელთ ეპისკოპოზებთ წესებიც
შეისწავლა. მრევლში მოქმედებდა შეძლების დაგვარად,
ეკკლესიაში ქართულად ქადაგებდა, სახლში ქართულს წი-
გნებს სთარგმნიდა, საზოგადოთ კი იმას ნატრობდა, რომ
ოდესმე ახალციხეს კათოლიკეთ სემინარიაც დაარსებულიყო,
რომ მის საშვალებით ქართველთ ძენი აქა იქ სიარულს ას-
ცდენოდენ კურთხევის გამო. ერში მშვიდობიანობა მყარდე-
ბოდა და ახალციხეს, გორს, თფილის და ქუთაისის ქართველ
კათოლიკობასაც უახლოვდებოდათ, რაც შეეხება დასავლეთ სა-
ქართველოს დანარჩენ კუთხეებში მცხოვრებ კათოლიკეთა სა-

ქმეს-კი მაგალითებრ როგორც ართვინის, არდანუჯის და შავ-
შეთის, ესენი-კი ოსმალეთის სომეხ კათოლიკეთა კერძად და-
შთენ, იგი ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენდა. პ. შაჰ-
ყულოვს-კი დიდათ სურდა ყველა ამათ გაერთიანება და ერ-
თი საეპისკოპოსოდ აღნიშვნა. ასეთ ფიქრებში იყო პ. შაჰ-
ყულიანი და ასე შრომობდა იგი, რომ უცებ მის წინააღმდეგ
შესდგა ძრიელი პარტია და ამ პარტიამ ჩუმად დაიწყო ღწვა,
რომ პ. შაჰყულიანი როგორმე გადაეყენებინათ, ამ პარტიის
ღწვა 1841 გამოაშკარავდა. იგი არსებობდა ახალციხეს
და მათ წევრები ჰყვანდათ ართვინს, სტამბოლს, ვენეციას,

რომს, თფილისს და პეტერბურგს. ყველა ესენი ამხედრებულ
იყვნენ პ. შაჰყულიანის წინააღმდეგ და მრავალ დანაშაულო-
ბას გარდა მას სწამებდენ იმასაც, რომ შენ რუსის მიწიერობას
ეკედლები და მათი სჯულის მიღებაც გინდაო. ეს რასაკვირ-
ველია ჭორი იყო, თუმცა ერთ ხნობით-კი ესეთი ჭორი პ.
შაჰყულიანზედ გავრცელებული იყო მისის დაუძინებელის
მტრებისაგან. თფილისში ამის მტრათ ირიცხებოდა კათოლი-
კეთ პრეფეკტი, რამდენიმეც სხვა გვამნი. ახალციხეშიაც მრა-
ვლად იყვნენ. იქ ორ წრედ იყო გაყოფილი ამათი რიცხვი.
ერთნი წინააღმდეგნი იყვნენ პ. შაჰყულიანის და მის მაგიერ
ლათინის წეს-რიგის პატრს ბონვენთურას თხოულობდენ,
მეორენი მხითარისტს ჯულარიანს, რადგანაც ჯულარიანიც
მტრობდა პ. შაჰყულიანს. ამასაც თავის პარტია ჰყვანდა რო-
მელთ უმეტესიც გადმოსახლებულთაგან შესდგებოდა. საქმე
სახუმრო აღარ იყო, ამდენ არევ-დარევით ქართველ კათო-
ლიკებს დიდი ზარალი მოუვიდათ, ესენი შფოთებს და ვაი
ვაგლახებში იყვნენ გაბმულნი პატრებისა და სომეხთ მო-
ძღვართაგან და აზრუმელებმა-კი მათს კუთხეში საუკეთესო
ადგილები დაიტაცეს. მათ დაიჭირეს ყველაფერი და აქაურები
კი ცარიელები დაშთენ. ამ ტაციობას დიდათ უწყობდა ხელს
იმ დროის საქართველოს უფროსი ვ. ბებუთოვი, ქართველების
მტერი და სისხლის დამლევი. 1828 წ. შემდეგ ქართველ
მაჰმადიანები სულ ოსმალებს გამოუყენა თანა, გარეკა ძალათ,
აშინებდა: აქ ნუ დაშთებით, თორემ გაგაქრისტიანებენ რუსე-
ბიო. ქართველ მაჰმადიანები მართლაც თან გაჰყვნენ ოსმალთ
და ამათ მაგიერ სოფლებში-კი აზრუმელი სომხები გაამეფეს.
ამ ოსტატობას ქართველთ კათოლიკენი გვიან მიხვდენ, მაშინ,
როცა ადგილები სულ დატაცებული იყო და თვით ხახა-
მშრალები და დაშთნენ ერთმანეთის ჯიბრით და მტრობით.

პ. შაჰყულიანმა ბევრი რამ ამბები სცნა, შეიტყო ლა-
თინის პატრებისაგან განმზადებული მტრობაც და სომხის კა-
თოლიკის მღვდლების მოქმედება. ეს მალე ორივეს წინა-
აღმდეგ დაირაზმა, სომეხ კათოლიკების ხუცების გავლენა

მთელს მხარეში გააქარწყლა, მათ სიტყვის თქმის ნებაც არ მისცა, ყოველივე მოსპო: შფოთების ამტეხ დავსჯი მე, დასჯის მთავრობაც. ამათ შემდეგ ლათინის პატრებს მიჰყო ხელი, დაუწყო ბრძოლა, მტრობამ მტრობა გამოიწვია, ერთი მეორეს აღარ ინდობდენ. ლათინის ბერები ითხოვდენ პ. შაჰყულიანის გადაყენებას, გაძევებას და ათასიც სხვა. პ. შაჰყულიანი ითხოვდა მთავრობის წინაშე მძლავრის ხმით, ფრანგულად დაწერილის თხოვნებით: ლათინის პატრები საქართველოს კათოლიკეთა საქმეში ნუ ერევიან, რადგანაც მათ ამ ხალხის არაფერი იციან კარგათაო.

ვიკარნობის შემდეგ პ. შაჰყულიანმა მთავრობის წინაშე დიდი ნდობა მოიპოვა. მთავრობის ნდობას და პატივისცემას ვერც რომის სამღვდელოება აეწინააღმდეგა. სომეხთ კათოლიკეთ მღვდელნი ვერას აწყობდნენ, უკანასკნელ პ. შაჰყულიანი ისევ სომეხთ კათოლიკეთ მღვდლებს მიეკედლა, რადგანაც იგი მათზე ყოველთვის იუფლებდა. ლათინის პატრებს დღეს რომ მორეოდა, ხვალ ისინი დასჯაბნიდნენ, ვერაფერს გააწყობდა მათ წინააღმდეგ. სხვა და სხვა პირობების მეოხებით, მთავრობამ საჭიროთ დაინახა პატრების ყურადღების მიპყრობა. მალე გამოსჩნდა, რომ საქართველოში, კათოლიკეთ შორის შფოთები დ განხეთქილება დაუსრულებელი ხდებოდა. ეს გარემოება მთავრობასაც უჭირებდა საქმეს და ტვირთადაც აწვებოდა კისერზედ. ამას გარდა პატრების სიფრთხილეც ჰქონდათ, რომ რამე შინაური საქმეების ცნობები გარეთ არ გაეტანათ ხოლმე, ამაში იგინი მათ შინაურულად მიაჩნდათ. მუდმივ საჩივრებმა გააწბილეს ყველა. ამ საჩივრებს ზედ ერთობოდა სომეხთ კათოლიკეთ მღვდლების საჩივარი და პ. შაჰყულიანის ცნობებს ხომ საზღვარი არ ჰქონდა. ბევრის თათბირის შემდეგ, რუსის მთავრობა პოლონელის სამღვდელოებას შეეკითხა, საქართველოს კათოლიკების შესახებ კითხვები მისცეს. როგორც სჩანს, პოლონეთის სამღმდელოებამ საქართველოს კათოლიკობას მფარველობით შეხედა და თვის მფარველობის ქვეშ მიიღო. რაც შეეხებოდა საზღვარ გარე-

თიდგან მოსულ პატრებს, ეს მთავრობის ნება ყოფლობაზედ იქმნებოდა დამოკიდებული. როგორც მთავრობა ისურვებდა, ისე მოიქცეოდენ, ისე განაგებდენ.

მთავრობამ საჭიროდ დაინახა საქართველოდამ უცხო პატრების განდევნა და 1845 კიდეც გამოცხადდა მათი განდევნა*) და იგინი განდევნეს კიდეც. გორში როცა მისულან ამ განკარგულების გამოსაცხადებლათ და აღსასრულებლად, ამ დროს პატრები ეკკლესიაში ყოფილან მწირველნი. წირვის შემდეგ ისინი ეკკლესიიდამ კარში არ გამოდიოდნენ. ეკკლესიას გარს ჯარი შემოიკრეს. კარგა ხნის შემდეგ პატრები შემოსილები გამოვიდნენ კარში, ხელში ჯვრები ეკავათ. ყველა ეს შემოსილი პატრები ჩასხეს ეტლში და ოსმალეთის სამზღვრისაკენ წაიყვანეს. ამ გარემოებას გორის კათოლიკეთ

ქალნი და კაცნი მწარეთ დასტიროდნენ. იგინი ძრიელ სწუ-
ხდენ მათზედ, რადგანაც გორის პატრები მკურნალობასაც
მისდევდენ და მეორე, შენიშნულნი იყვნენ ვითარცა უანგარო,
სუფთა ადამიანები, მრევლთ შემბრალე და ყველას მფარველი.
ჩვენდა საუბედუროთ ამ საქმეების მოხდენის დანაშაული ზო-
გიერთებმა მტრობით პ. შაჰყულიანს დააბრალეს, რათა ამით
მასზედ მრევლში მტრობა და ზიზღი ჩამოეგდოთ, მრევლის-
თვის დაეჯერებინათ, რომ პ. შაჰყულიანი მავნებელი პირია
კათოლიკეთათვისო. ეს ესეც იყო და ძლიერ ბევრმა დაიჯერა
პატრების განდევნის ამბები და იგი პ. შაჰყულიანს მიაწერა.
მაგრამ ეს არ იყო მართალი, ცილით და მტრობით იყო მო-
გონებული და ხალხში რომ უფრო გაემწვავებინათ პ. შაჰ-
ყულიანის ზიზღი და მტრობა, ამ მტრობას დიდათ ხელს
უწყობდა ის გარემოებაც, რომ მართლაცა და პ. შაჰყული-
ანი მეტად ჯინიანი მოძღვარი იყო, დაუძინებელი მოკამათე
თავის მოწინააღმდეგის, მუსრის გამვლები, დაუდეგარის ენერ-
გიის მექონი იყო,მასთან დიდი ნიჭიერი. ამიტომ ხალხში
გამოთქვეს ერთი ლექსი, რომლის დასაწყისიც ასე იწყებოდა:

---

*) გაზეთი Новое обозрѣніе за 1901 г.

„ქალაქში მოვიდნენ თეთრი ბატები,
იანვარში გარეკეს ფრანგის პატრები.“

უცხოელის პატრების მაგიერ რუსეთიდგან უნდა გამოეგზავ-
ნათ პოლონელთ გვარის ახალგაზრდა მღვდლები, ეს რო-
გორც 1825 იქმნა უკვე წესად მიღებულ რუსეთის მთა-
ერობისაგან. პ. შაჰყულიანს ხშირად პირში აგონებდნენ და
ცილსა სწამებდნენ, რომ შენ პატრები სდევნეო. ეს არ იყო
ჭეშმარიტი. პ. შაჰყულიანი არამც თუ მდევნელი იყო მათი,
არამედ დიდი ქომაგი კათოლიკების, დიდი მფარველი. ასეთი
პირნი, მაშინ ძლიერ მცირე იყო ჩვენს ქვეყანაში.ახალ-ცი
ხელებიც ამ პირს განუსაზღვრელად აფასებდენ, და პატივს
სცემდნენ. თვით'სიკვდილის შემდეგაც არ ივიწყებდნენ მას და
აქებდენ განუსაზღვრელად. ამაზედ აი რასა სწერს პ. იო-
სელიანი:

Смерть, постигшая его въ 1855 г. и положила конецъ
его ученой дѣтельности и святости его жизни, про--
славляемой до нынѣ въ Ахалцихѣ, имъ, къ отрадѣ хри-
стіанъ, прославленномъ, и къ утѣшенію своему достоино
оберегающемъ прахѣ его, какъ остатки праведни-
ка новыхъ временъ. Онъ сканчался 87 лѣтъ...
პ. იოსელიანი.

ვიდრე ეს მოხდებოდა, მინამ საქმის დასაწყნარებლად ახალ-
ციხელებს ქართულად დაწერილი შემდეგი არზა მიართმევინეს
იმ დროის საქართველოს მთავარ მართებელს. აი თხოვნის პირიც:

„ესე არს ჭეშმარიტი მაგალითი არზისა მის ჩვენისა, რო-
მელ ცალკე ცალკედ წარმოუდგინეთ მთავარ მართებელს და

გუბერნატორს მოწერილობათა ათხუთმეტთა კათოლიკეთა მღვდელთა სომხის გვარისათა, წელსა 1843, ივლისის № № 17-18.

განცხადებით „აზრისა წერილთა ამით გთხოვთ სმენად ჩვენდა სულ გრძელებათა და აღსრულებათა თხოვნისა ამის ჩვენისა. რამეთუ დასაბამითვე მამა პაპათა ჩვენთაგან გვაქვს სჯული კანონი სომხის გვართა კათოლიკეთა, რომ

გვყავდეს ჩვენვე გვარისაგან უფროსად მღვდელი ვინმე. წესი არს ყოველთა გვართა შორის მსგავსად კვალად ეპისკოპოსთა გვარისა თვისასა საუფლოსაგან. აჰა ესე რა კვალად ჟამსა ამასა შინა გვყავს უფროსად მკვიდრი პოღოს ვართაპეტი შაჰყულიანი და ვიღაცა მთავრობა გვიშლის უცხოისა სამფლობელო-მღვდლისა ვისამე ცნობა და შეწყნარება, ბრძანებისა ამისა მარადის მორჩილ ვყოფილვართ და ვართ, არამედ კაპუჩინთ პატრები თბილისს მყოფნი და პატრი ბონვენტურა, რომელი აქ ან ახალციხეს არს, რომელთა არა ჰყავთ ერნი გვარისაგან თვისასა, არცა აქა, არცა ა-დ ვითარცა მწირნი და სტუმარნი არიან რუსეთის საბრძანებელსა შინა. ესენი არ გვასვენებენ ჩვენ მკვიდრთა ა-დ თანახმა ქმნილ რამდენიმე ჩგენი გვარისა ამრევ დამრევნი აქაურნი მღვდელნი ძველთა მტერთანა შაჰ-ყულოვისათა, კვალად ვენეტიკის მღვდელი ვინმე აღმშფოთებული სიმონ ჯულარდოვი, რომელი მალვით შემოძრომილ არს ერსა ამას შინა რუსის საბრძანებელსა და არა კაპუჩინების მხარესა, აღამღვრეველ მშვიდობისა. ესენიც ძალას გვატანენ, რომ შევიწყნაროთ უფროსათ ჩვენი დიდებულ ხელმწიფის წინააღმდეგ და უძველესს წესისა ჩვენისა, ვითომც პატრი დამიანე, რომელი თფილისს არის და თუ რომელი ბრძანებითა მათ თვით ჰკითხეთ.

ვ-ი წულასა, 1840, ამავე პატრი დამიანმა სტამბოლს წერილითა თუ ვითარი გამოუთქმელი აღშფოთება ჩამოაგდო ახალციხესა შინა და ცხადი დაბრკოლებანი. საქმენი იმოქმედა წინაშე ყოველთა გვართა აქ ახალციხეს ჩვენსა და ერსა შუა. ჩვენ თვით თვალითა ჩვენითა მხილველი ვიქმენით და სხვათა უდიდესთა უღმთოებათა იმოქმედებდა იგი, უკეთუ ღვთიულთა განგებულებათა თბილისით შეწევნაი არ მოგეშველებოდა, რათა იგივე პატრი დამიანე აქედამ სწრაფლ უკან დაბრუნებულიყო თბილისს. ვინაით პატრი ისევე იმ ახლო ჟამსა შინა აპირობს აქ მოსვლას, ისევე აღშფოთებისა მის ჩამოგდებათ, ამისთვის ვითხოვთ უაღრესობასა თქვენსა, რათა დაუშალო, აქ ჩამოსვლაი, რამეთუ ვითარცა წეღან მოგახსენეთ ჩვენ, პა-

ტრებს ვერ ვიცნობთ, არც გვნებავს, ვერც ძალგვიძს ცნობა მათი, თუ მიზეზისათვის აღშფოთებულსა ბუნებისა, ვითარცა გამოცდილ ვუწყით თუ მზაკვრობასა მაგათისა, რომელი ჰყვეს

შარშან ჩვენის დიდებულის ხელმწიფის ბრძანების პირ და პირ გაგზავნითა ახალციხელი პეტრე ივანის ძე აღუშოვის გრანიცისა გარეთა მღვდლათ და საკურთხებლად, რომ ესე იყო შაგირდი ტერ გრიქორ მეფისოვისა ამრევ დამრევისა თათრის მფლობის ჟამისვე იმავე პეტრე აღუშოვის მხარისაგანთა ხუთთა თავდებობის წერილი მისცეს აქ პოლიასა, რომელ იგი გრანიცის გარეთ არ უნდა წასულიყო და საკურთხებლათ, არამედ სტამბოლს წავიდა, იქ და ეკურთხა მღვდლათ და ერის კაცის ყალოღით (ერის კაცის ტანთ საცმელით) შემოიპარა რუსის მიწასა შინა და აწ არს თბილისსა, ანუ სხვაგან, ხოლო შაჰყულოვმან ვერ შეიძლო დასტურის აღება მთავრობისაგან, თუმცა მრავალ გზის გრანიცის გარეთ გაგზავნა ხუთთა სამღვდლოთა გვამთა, ვინაით შარშან იმ ჟამად გაგზავნა ხუთნი იგი პეტერბურგს და მუნ დააკურთხვინა იქაურ კათოლიკე ეპისკოპოზსა და შაჰყულიანის უფროსობა იქიდამაც დამტკიცდა, რომელ მოუვიდა წიგნები, რომ მოუტანეს იქიდამ ახლათ დაკურთხვილთა მღვდელთა მათ, დასაწყისსა წელსა ამისა პეტერბურგით, ამისთვის კაპუჩინთა პატრთა არა რაი ხელმწიფობა აქვსთ ჩვენზედა, ვერცა ძალუძს ქონვა, თუ ამისთვის სრულიად განრჩეულ არიან ძველნი მტერნი და თუ უთანხმოებისათვის ჩვენისა მათთან ბუნების შეზელილობითა ჰაერისა, წყლისა, ენისა თუ ტიბიკონისა სრულიად განრჩეულისა ურთი ერთ არს და თუ მიზეზისათვის იმპერატორის ბრძანებისა, რათა მისს საბრძანებელს გარეთ მყოფთ თუ ეპისკოპოზი თუ მღვდელი არ იცნობოს ეს, ვინაით და ხელმეორებით გთხოვთ, რათა არა უგულვებელს ჰყოთ თხოვნა ესე ჩვენი და ამის მაგიერი პასუხი გვიწყალობედო და დავშთებით უზესთაესსა უფლება თქვენისა. ახალციხეს ივნისს 1 1843 წელსა.“

ამ წერილიდამ ბევრი რამ საგულისხმო ცნობები სჩანს

პ. შაჰყულიანის მიმართულების და განძევების შესახებ. კარგად ჩანს, რომ ამ პირს ლათინის პატრების წინააღმდეგაც უბრძოლია და თავის არ მომწონე სომეხ კათოლიკეთ ხუცებთა წანააღმდეგაც.

ამ ბრძოლის და კამათის თანამგრძნობელნი და თანაზიარნიც ერის ხალხშიაც ჰყოლია. ერის კაცთ შორის სჩანან ისეთნიც, რომელნიც თავიანთ ქვეყნის თანამემამულეთ და სარგებლობის მომტან მღვდელ მთავარათ პ. შაჰყულიანს ასახელებდნენ, ამას ითხოვენ ეპისკოპოსათ. ამ თხოვნას იგინი აფუძნებდენ ძველ მამა პაპათა საეკკლესიო წესს-ჩვეულებაზე, რომ ძველათ, ჩვენ, ყოველთვის ეპისკოპოზად ჩვენის ქვეყნის შვილები გვყვანდნენო. ასეთი მუდარება მთავრობამ საყურადღებოთ სცნა: მთხოვნელთა მოსაზრება და პ. შაჰყულიანის განდიდება. ამასაც ეს უნდოდა, მთელი ამის შრომა ამაზე იყო მიმართული, ხოლო ამ განდიდებით რა სურდა მას, რას ელტოდა, რა ჰქონდა მას მომავლისათვის, ეს-კი ჩვენთვის

საიდუმლოა, მისი ჩვენ არაფერი ვიცით. ამის მხრით იგი მეტად ძნელი გასაცნობია, ძნელი შეტყობა უნდა მისს განძრახულებას, იგი არც სომეხია, არც ქართველი, ქართველიც არის, სომეხიც, ხან ორივ ერთათ, ხან ერთს ღალატობს, ხან მეორეს, მაგრამ მთელი მისი მიდრეკილება-კი უფრო ქართველებისაკენ არის მიმართული. ეს რომ მართალია, ამას ცხადათ ამტკიცებს მისგან ქართულს ენაზე ნათარგმნი წიგნები.

მისი აფორიაქება, ლათინის მღვდლების დევნა, სომხებთან სიყვარული, სომეხთ დევნა და ლათინთა სიყვარული პირ და პირ მისს საიდუმლოებაზეა დამოკიდებულ-დაფუძნებული. ჩვენ, არ ვიცით თუ იგი რათ მოქმედებდა ისე, ვერც იმას ვიტყვით, რომ იგი მტერი იყო ქართველების, რომ ვითომც იგი სდევნიდა ქართველ ტომს, ქართულ ენას. ეს არ, შეიძლება. თუ ქართულ ენას სდევნიდა, მაშ რაღას მუშაკობდა ქართულს ენაზედ და ვრცელ ტომებს სთარგმნიდა და სწერდა. ვინ იცის ყველა ამაებს ქართველთ გვარის სასარგებ-

ლოდ სჩადიოდა. იქნება მას ამით რამე სიკეთის მოტანა სურს და ქართველის ტომის წინაშე, უწყის ღმერთმა, ყველაფერი შესაძლებელია, რადგანაც იგი თავის თავს მხოლოდ სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ მდგარად აღიარებდა და არა სომხიშთამომავალს, სომხის გვარისას. პ. შაჰყულიანი 1846 წლებს შემდეგ უმაღლესს წერტილამდე ავიდა. იგი მთავრობის ბრძანებით ცნობილ იქმნა როგორც მსწავლულთ სომეხთ კათოლიკეთ არქიმანდრიტი. ცნობილ იქმნა თვით ლათინო წესსრიგის პატარებისაგანაც. იგი უკანასკნელ დადგენილ იქმნა ახალციხეში არქიმანდრიტათ. განაგებდა და მოქმედებდა ისე, როგორც მას სურდა; ვიდრე ამ მახვილ გონიერ კაცს თავისს წადილი შეუსრულდებოდა, მინამ მას არავინ დაუტოვებია კბილებ გაუკრავი. 1844 წლების შემდეგ, რაკი ლათინის პატრები უძლურ ჰყო, მერე სომხის გვარის კათოლიკეებს მიჰყო ხელი. იგი აღარავის ინდობდა. ვინც მისი მორჩილი არ იყო, იმას იგი თავისუფლად არ დასტოვებდა. ერთმა საპატიო მოძღვარმა მიამბო, რომ ვითომც ყველა ამაებს ქართველ გვარის სასარგებლოთ სჩადიოდა. ჩვენც ამ აზრის გახლავართ. 1847 წ. აი რას სწერენ კავკასიის მთავარ მართებულს: ზოგი ერთი სომხის კათოლიკეთ ხუცები: –„ვენეციის კუნძულზე არსებობს კათოლიკის ბერების ძმობა, რომელთაც სახელათ „ლაზარიტები“ ეწოდებათ. ესენი შემოდიან საქართველოში იმ აზრით, რომ აქ ხალხი გააფრანგონ. გარდა ამისა ელტვიან მთავრობის საწინააღმდეგოდ, ესენი სარევოლიუციო მოძრაობასაც ელტვიან, მთავრობის საწინააღმდეგოთ, იღწვიან. მათ დახმარება ფრანციიდგან ეძლევათ. ამ უკანასკნელ დროს, ამათ თავიანთ უმთავრესი არხივი თბილისიდგან ტრაპიზონს გადაიტანეს. ეს მათ საჭიროთ დაინახეს, რადგანაც იქიდგან უფრო თავისუფლად იმოქმედებენ ხალხზე, მათ

ვერავინ რას შეუტყობს!“ – ესეთი მითქმა-მოთქმა სომეხთაგან პ. შაჰყულიანს დიდათ სწყინდა. „ესენი ხალხს გარეშე შამილზედაც მოქმედებენ, ჩუმათ მისიონერებს გზავნიან იქ და დიდათ ამაგრებენ. ესენივე მოქმედებენ აფხაზებზე. აფხა-

ზეთის მთავრებსაც ესენი უნერგავენ ჩვენს მტრობას. მათი წინამძღვარი უმეტესს ტრაპიზონს სცხოვრებს და იქიდამ მოქმედებს. მათი დანაშაულობა ადრევე იქმნა ცნობელი და საქართველოდამ გარეკილები. საქართველოში, მრევლის წინაშე, მათივე მეგვარტომები უნდა იყვნენ მღვდლებათ და არა შორიდგან მოსული კრუები.

ბევრს კიდევ სხვა ასეთ ჭორებს ზიდავდენ მთავრობასთან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ისე მოგონებული ჭორები იყო, სომხის „ლასარისტებს“ მარტოდ თავის ტიბიკონის და გვარის დარდი ჰქონდათ, პატრებს დომის პატივის ცემა, რაის წინააღმდეგ პ. შაჰყულიანი სასტიკად იღწვოდა. ამის ღწვის დროს, ვორონცოვის წინაშე უკვე ცხადათ გამოირკვა ქართველთ კათოლიკეთ გვარტომობის სინამდვილე. ეს სინამდვილე განცხადებულ იქმნა მრავალ ქართველ კათოლიკეთაგან, თქმული, რომ თვით თფილისის შუა ბაზრის ეკკლესიაც თფილისის ქართველ კათოლიკეთა გვარის მრევლთაგან არის აშენებულიო. პატრები მიტომ ხმარობდენ ქართულს ენას, მიტომ ქადაგობდენ ქართულადო, ძველად, ხშირად ესენი ქართულის სამღვდელოს სამოსით იმოსებოდნენ და ქართულს ტიბიკონს უახლოვდებოდნენო. მთელი წირვის წესი ქართულის ტიბიკონით სრულლდებოდა. ერთი მხოლოდ პაპას ახსენებდნენ. ეს ასევეა დღეს – კონსტანტინეპოლის ქართველო კათოლიკეთა მონასტრებში.

ერთ დროს, ჩვენდა საუბედუროდ, პატრების ასეთი საქციელი ქართველ სამღვდელოების წინაშე ცუდის სურათით დაიხატა. ქართველნი ამათ სწამებდნენ, რომ პატრებს ქართველების მიზიდვა და გაფრანგება სურთო. მიტომ იგინი ღირსნი არიან დევნისა. სომხებსაც ეს უნდოდათ. ქართველთ ესეთი სენი თვით ჩვენ დრომდისაც არ დაწყნარებულა. ამ უკანასკნელ დროსაც გამოჩნდნენ ჩვენ შორის ისეთი მავნე პირნი, რომელნიც ლათინის წესს-რიგ პატრების წინააღმდეგ ისე იღწვოდნენ, მათ იქამდის მიაღწიეს, რომ დღეს კათოლიკეთ ეკლესიებში ქართული ენა მოსპობილია. ქართველ გვა-

რის კათოლიკეთ დამხობას ხელი შეუწყო თვით ქართველისავე ბედასლობამ, ქართველთ უმიზნო ღწვამ. ჩვენს მოკამათეებსაც ეს უნდოდათ. რაც ძველათ დაშთა ქართველთ შორის გადუგვარებელი, ის დღეის შემდეგ გადაგვარდებოდა. ამას ქართული მწერლობა მოევლინა წინააღმდეგად.

მთავარ მართებლის ვორონცოვის დროს, ის ჰაზრებიც-

კი გამოითქვა, რომ „საქართველოში ისეთი მღვდლები მოდიან, რომელთაც ადგილობრივი, ანუ ქართული ენა არ იციანო. საჭიროა აქ ისეთი მოძღვარნი, რომელთაც ქართული ენა უნდა იცოდენო, რომ აღსარების თქმა შეიძლონ. ეს ჰაზრი მარტივად უახლოვდებოდა იმ უტყუარს ჭეშმარიტებას, რომ საქართველოში ქართველ კათოლიკენი არსებობენ და მათი ენაც ქართული ენა არისო.“ ასეთ კითხვებთა შესახებ რუსეთის უცხო სარწმუნოებათა დეპარტამენტში ადრიდგანვე იყო კითხვა აღძრული, ერთი კითხვა მფარველობდა სომეხ კათოლიკობას და მათი აკადემიის აღორძინებას საქართველოში და მეორე მხარე-კი ლათინის პატრების მფარველობას და წარმატებას იცავდა, რადგანაც ამას რომიც მფარველობდა. რომის პატივისცემას მთავრობაც უკანასკნელ უეჭვოდ შეხედა. რომის საპატიოთ მთავრობამ ერთ დროს სომეხ კათოლიკეთ სამღვდელოებას კათოლიკეთ შვილების საქმეში მონაწილეობის მიღებაც აღეკრძალათ, რომ დღეის შემდეგ თქვენ ყმაწვილების განათლების საქმეში მონაწილეობა არ მიიღოთო, მაგრამ ეს იყო დროებითი.

პ. შაჰყულიანი, 1835 წ. პატრი ფილიპეს დროს, ვისიც მას დიდი შიში ჰქონდა. აი რაგვარ წერილს სწერს: – „სხვათა შორის ადრევე ვიუწყეთ ამიერიდგან განსვლა მონსიონერ-ქორესის ეპისკოპოზისა, უფალმა განუსვენოს და არა ჰკითხოს რაოდენიც ავნო ახალციხისა თემსა სულიერათ განუზრახველობითა. კ-დ ახლად გვესმა, რომ არზრუმს წასულა სტამბოლით ერთი მღვდელი და ვინ არის მაცოდინე და ძველ, იგი ისევ მანდ უნდა მოვიდეს პოღოსიანი. ვნახოთ თუ შეიფერებენ მასაც რომელ არა მგონია თავიანთ ქეიფისა უნდათ

მაგისაც – ყ-ლ მომიკითხე ყ-ლნი მანდაურნი სულიერნი თუ ერნი უკეთუ კიდევ ვახსოვდე.“

ჩემისა მაგიერ პასუხათ ფ-დ შემკულ თვისა ამის პ-ღსა მივიღე ზ. თქვენისა არა რაი სჩანს, თუმცა შესაძლებელ არს რომ იგი აქვნდეს სარისიოს რომელ კარახტინას მოწევნილ არიან და უ-ი ტერ-ანტობი გაუწყებს თუ რამე იქნება პატრი უფროსი მხულების ტკივილისა მიზეზით. აქედამ წარვიდა სამი კვირა არის და აწ ვგონებ ოცხას აბანოზედ იქმნების, ის ორნი შენი ნაცნობნი პატრნი მარტში წავიდნენ ქვეყანასა თვისსა და აქ ორნი ახალნი იპოვებიან და ერთი მათგანი სნეულია და პატრი კლემენტე აწ დასაბმელათ გამხდარა ქუთაისში, გოსპიტალში აუწევია. სტეფანე თათულაშვილი ისე ლენქორანს არის და აქ მოსასვლელია მცირე ჟამს, ხოლო იმ ფრანცისკესი არა ვიცით რა. „ორაცუცი“ თქვენგან წარმოგზავნული პატივის ცემით მივიღეთ და გმადლობთ. ყოველთა გთხოვთ, რათა მარადის დაუვიწყებელი ვიყო თუ ლოცვით და თუ ეპისტოლეთა თქვენთა (აკლია) და კურთხევითა, რაიცა წინაზე მოგწერეთ ის ამბავი არი, დავშთები ფრიად მადლობელი.“

ჩვენ რომ დაწვრილებით გავყვეთ პ. შაჰყულიანის ქართველების შესახებ აზრების მტკიცებას, ეს ერთობ შორს წავა. ჩვენ გვწამს, რომ იგი გულით ქართველი იყო, ქართული ენის და მწიგნობრობის მცოდნე. აი კიდევ ერთი მისი წერილი:

– „უსაყვარლესს და ფრიად პატივცემულს უ-ლ ულ-საუფლო გიხაროდენ და მშვიდობა. ართვინს უნის 19-1 1824 გეუწყებოდესთ ვ-დ არტანუჯით უფლის წყალობით უნებლათ ართვინს მოვიწიეთ გსრბოლი თვისა ამის 17-სა და მშვიდობით ვცხოვრობთ თქვენის ლოცვითა და მოიმედე ვარ კ-ლ დაუცხრომელად კ-დ შედგინებით ვცხოვრობთ, ჩვენთვის ილოცავთ ყოველნი, რათა ღირს ვიქმნე კ-დ თქვენ ყოველთა ხილვისა უვნოდ. ვინაც ვსასოებ ჯ. ვ-ა ჩვენ მაგიერი და მოადგილე ბრძანება ეგრეთვე მზრუნავი და კეთილს შურის მეძიებელ სულთა ცხოვრებისათა. ამისთვის საცნაურ იყოს თქ-

ვენდა ვ-დ ტერ თომასი კორძული მღვდელი შეუძლოდ ორიოდ წელთა ეს გამხდარ შევიდა. ერსა მისს საჭიროება აქვსთ მათ მღვდელის ერთის გრიქორისა დაუღალავად მაგის რათა მაინც ვიდრე ერთ ორ წლამდე სულიერად შეყაროს, რომელთა მით პ-ლად ყ-დ სათნო იქმნების წ-ე ღვთისა მეორედ აღვსნილ იქნებიან ყ-ლნი ბრალნი მისნი და მესამედ ყ-დ დიდის შესაძენს მიიღებს თუ ღვთისაგან და თუ ეკკლესიისაგან და დასასრულად მაგის საბოლოოდ ყ-დ კეთილ იქმნების ვ-ა ფ-დ საყვარელ ქვემდებარე მღვდელთათვის იდვას ეს ფერი მორჩილება მსწრაფლ ორთა კაცთა ცხოვნებითურთ წარმოუვლინენ, რათა პატივით აქ ჩამოიყვანონ ეგ და რაიც რიგი არს და ყოფილა, არა რაი სარჩო დააკლდების და თვით ჩემი ხელითვე ჩავაბარე ერსა და ვსასოებ უ-ლ მიერ ვ-დ ყ-დ საშუალს მოიხმარს საქმისა მის კ-დ წინ წასაყვანად, ვ-ა კ-დ იქმნები მოწადინე სხვა სულიერთ საქმეთა ადგილთა მაგათ და ვითხოვ რათა მსწრაფ მაუწყო მაგიერი, რომელ ფ-დ მოყვარული ვიქნები მისი და მას შეუდგება ჩემიც წამოვლა სიყვარულითა ძმათა ჩემთა ბატონთა მღვდელთა ყოველთა კვალად უსაყოვლიერად ერთა სიყვარულით, და კურთხევით მოვიკითხავ დ. დავშთები თქვენი ფ-დ პატივდებული უფლობისა მონა პოღოს ვართაპეტი შაჰყულიანი უფროსი.“

შეიძლება, რომ ესე ბუნებითად ქართული წერილის დამწერი ქართველი არ იყო? შეუძლებელია, მაგრამ რა გაეწყობა, პ. შაჰყულიანი-კი არა და სომეხ ქართველთ გვაროვნების შესახებ თვით ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი არქეოგი ბ. იოსელიანიც-კი სცდება. თვით ეს გამოჩენილი ისტორიქოსიც-კი პ.შაჰყულიანს სომეხ კათოლიკეთ სთვლის, სომეხს უწოდებს. აბა ამ შემთხვევის შემდეგ, პ. შაჰყულიანი რაღა გასამტყუნარია შეცდომის მხრით,როგორც ვსთქვით პ. იოსელიანი ისეთს უნებლიე შეცდომებს ჩვენი მოკამათენი ხელზე იხვევენ და მერე ჩვენვე გვამტყუნებენ თვით ჩვენსავე

შემცდარი ცნობებით. ჩვენი ნათქვამი და მოსაზრებანი, რომ მართალია, ამას ცხადათვე ამტკიცებს შემდეგი მაგალითი:

ახალ-ციხის ქართველთ კათოლიკებს ყმაწვილებთა მონათ-
ვლის წესი ძველადვე ჰქონიათ მიღებული. მღვდლებს მონა-
თვლის ცნობა, ყოველთვის ქართულად უწერიათ მაგალი-
თებრ: გრიგოლ მღვდელი, გვარი ისარლოვი აი რასა სწერს.

– „წელსა უფლისა 1780-სა მარიამობის 29 დღესა,
მე ტერ გრიგოლმან კრუხჭამიანთ უფროსმან და ვიქარმან
ახალ-ციხისა და მასი კათოლიკე თემისა ბარეხმან წმ. იოანე
ნათლის მცემლის ეკკლესიისა, მოვნათლე ყრმა ნაშობი სჯუ-
ლიერი ქორწინებითა დედ-მამისაგან იოანესი და კატარინესი
გვარისაგან მკალავი პაპუნასი, რომელსა ეწოდა ნათლის ღე-
ბისა შორის ანნა გამოუცვლელათ მირონის ცხებისა იოანე
ნათლის მცემლის ეკკლესიისა შორის, რომელ სვინა იყო
მკალავი ოთარიშვილი იოსება, სამრევლოსგან ჩემი.“

თუ ახალციხის კათოლიკენი გვარტომობით ქართველნი
არ იყვნენ, მაშინ ვინ ატანდა ძალას მათ მოძღვართ, რომ ყმა-
წვილებთა ნათელის მოწმობასაც ქართულად სწერდნენ?! თვით
პ. შაჰყულიანსაც ქართულად უწერია ყრმათა მონათვლის წე-
რილები. აი მაგალითიც, თვით პ. შაჰყულიანის ხელთ-ნაწერი:

– „წიგნაკი ყრმათა წოდებული, რომელსა შინა აღწე-
რილ არიან ამიერიდამ წმიდა იოანეს ეკკლესიის სამრევლოსა
სულთა შემვლელთა მღვდელთაგან რაოდენიც ყრმანი მოი-
ნათვლიან, და შედგინებით მირონ იცხებიან და ამასსა ში-
ნავე სახსენებელ არიან მღვდელი, მონათვლის სახელი და
გვარი, დღე მონათვლისა და დაბადებისა ყრმისა მისთვის და
წლის ანგარიშთა ადგილი მონათვლის, სახელი გვარითურთ
მშობელთა, და სახელი ყრმისა და მონათვლისა პ. შაჰყულოვი.“

პ. შაჰყულიანის ხელთ-ნაწერი წიგნი მე ვნახე. ამ (ძვე-
ლია) წიგნში ყველა ცნობები მღვდლებს ქართულად უწე-
რიად. წიგნში პ. ხარისჭირაშვილის ცნობებიც არის. არ მგო-
ნია, რომ ახალციხის კათოლიკენი გვარტომობით სომეხნი
ყოფილიყვნენ, მასთანვე სომხურის მიმართულების და მათ
თავიანთ საჭირო ეკკლესიის დავთრები კი ქართულად ეწერათ.
სომხური ენა მათ კარგად იცოდენ. ყმაწვილებსაც ყოველ-

თვის სომხურს სახელებს არქმევდნენ. სომხურათ წერა მათ
არც გაუჭირდებოდათ, მაგრამ არ სწერდენ სომხურათ. რად-
განაც მათში, როგორც ქართველებში ძველადგანვე ყოფი-
ლა წერა მიღებული. ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიებში
სომხურათ დავთრების წერა 1850 წლების შემდეგ შემოდის,
ე. ი. მას შემდეგ, რაც ქართველ კათოლიკე მოძღვართ მე-
ოხებით საქართველოში სომეხ კათოლიკეთ ხსენება აღორ-
ძინდა. სომხურს წერას მოჰყვა ქართველი ძველი გვარების

სხვანაირათ გადაკეთებაც.

ძველად, ახალ-ციხელის სტამბოლში მყოფთ ქართველთ კათოლიკეთ ვაჭრებს იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიისთვის შესაწირავები გამოუგზავნიათ. ამ შემწირველთ ძველი დავთრის ცნობები რომის კათოლიკეთ, ანუ ახალ-ციხელებათ ასახელებს და არა სომხებათ, მაგალითებრ: – „ღმერთმა განაძლიეროს სტამბოლს მყოფნი ახალ-ციხის კათოლიკე ერნი“. აქ სომეხი არსად მოიხსენება. ისიც-კი უნდა ითქვას, რომ პ. შაჰყულიანის სიკვდილამდის ახალციხის ქართველ კათოლიკებთ შორის ქართული ერის სწავლებას ყოველთვის უპირატესობა ჰქონია მინიჭებული. თვითაც ელტოლა ამას. პ. შაჰყულიანი გარდაიცვალა 1855 ქალაქს ახალ-ციხეს, მაისის 25 არქიმანდრიტის ხარისხზე აჰყვანილი. დასაფლავებული იქმნა იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიის კარის შესავალთან, ახლოს, კარში, რომლის საფლავსაც ქვა ადევს და ზედ სჩანს შემდეგი წარწერა ქართულს ენაზე: – „ესე არს სამარე კავკასიის ამიერ ს. კ. წინამძღვრის პ. მ. შაჰყულიანისა შ. 1771 წ. გარდაცვლილი მაისის 26 ს. 1855 წ.“

ქართულის შემდეგ ლათინური ეს წარწერა აქვს:
„Hoc monumentum iu testamonium genefativis praasizi Armeno-Catolicae Eclesia trans caucasi ca Provinsia Archimandrite Paulo Schachuliani.“

პ. შაჰყულიანი გარდაიცვალა, მაგრამ მის შემდეგ მისი დაწყობილი საქმე-კი მაინც არ შეჩერდა, არ მოისპო ქართველთ კათოლიკეთ გვაროვნობის შესახებ ბრძოლა. დღეს

აქეთ იქით ვაწყდებით, ვიბრძვით, ვეძებთ მიზეზებს, თუ ჩვენსა და მთავრობის წინაშე ასეთი შეცდომა ვინ გამოაქვეყნა, ვინ მოიგონა და მოაჭორა, რომ საქართველოში ქართველ გვარის კათოლიკები არც ძველად არსებობდნენ და არც დღესო! ვეძებთ ამის ცნობებს და უკანასკნელ ვტყობულობთ, რომ ყველა ჩვენთ უკან დასაწევ და დასაშლელთ საქმეების მომგვარებლათ და მომგონებლათ თვით ჩვენვე ვყოფილვართ, თვით ჩვენს მეამიტ შრომას გამოუწვევია ჩვენი უბედურობის დასაწყისი, თვით ჩვენ მიგვიცია სხვებისთვის მასალები ჩვენის უარყოფისა.

რაში არა ვართ უკუღმართნი და წყალ-წაღებულნი? ყველაფერში და ყველა საქმეში. პ. შაჰყულიანის გარდაცვალების შემდეგ ახალციხეში გაუქმდა კათოლიკეთ არქიმანდრიტის ხარისხი და იქაურობის ყოველივე სასულიერო საქმეები დაუკავშირდა თბილისის კათოლიკეთ სასულიერო გამგეობას. თუმცა პ. შაჰყულიანი ბევრს საქმეშია დამნაშავე, მას ბევრი რამ მიუძღვის ჩვენს წინაშე მიუპატივებლად, ოდესმე იქნება მკაცრადაც გაჰკიცხონ, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ იგი იყო თავის დროის კაცი, იგი ემორჩილებოდა იმ შემცდარ კილოს, რაც სხვა ქართველთაგან ადრევე იქმნა ცნობილი. მას არ შეეძლო თავის დროის საზოგადოებრივი შეცდომის

კვანძის შეტყობა, დასკვნის გამოყვანა. ამიტომ არც ძალა მოსდევდა მას, არც განვითარება, იგი იყო მიამიტი კაცი, მასთან სრული მორჩილი ყველა უფროსის, ბრძანებელის და მთავრობის მორჩილება ხშირათ კარგიც არის, მაგრამ ხანდისხან ითხოვს დაკვირვებას, შორს გამჭვრეტლობას, ჭეშმარიტების ძიებას.

ყოველს შემთხვევაში, პ. შაჰყულიანი იყო დიდი შრომის მოყვარე, მოყვარე თავის მრევლის, ქვეყნის, მწიგნობრობის და ქართულს ენაზედ წიგნების თარგმნით დაუცხრომელი მუშაკი. პ. თ. იოსელიანი სწერს: „Какъ пентиглоттъ переводилъ на грузинскій языкъ сочиненія полезныя для Христіанъ. Какъ служитель Алтаря кромѣ мно-

– 67 –

жества проповѣдей, предпринялъ переводъ церковной исторіи съ Италіанскаго на Грузинскій, доведя ее до VIII вѣка и изсясненіе четверо-евангелія (Explanatio s. s. Duatuor evangeliorum). Ни та, ни другая книга не из-Даны печатно“.

მისგან ნაწერ ნათარგმნთ განცვიფრებაში მოჰყავსთ ქართველი კაცი. ვინც ამისაგან ნათარგმნს და ქართულად ნაწერს წიგნებს ნახავს, არა მგონია, რომ იმან პ. შაჰყულიანის ქართველობის შესახებ ეჭვი აღიაროს. ამდენ ნაშრომთა პირი არ შეიძლება რომ სხვა ტომის იყოს და მან მასთანვე თავის მოსისხარი ერის ენაზე იმუშაკოს, წიგნები სთარგმნოს და სწეროს. პ. შაჰყულიანს თუ მართლა ქართველები ისე სძულდა, როგორც ზოგიერთნი მოგვითხრობენ, მაშინ იგი ქართულს ენაზედ ერთს წიგნსაც არ სთარგმნიდა, თავსა და მაჯას არ შეიწუხებდა. ვფიქრობთ, რომ მას ქართველი კათოლიკე სწამდა ქართველ გვარის კათოლიკედ ხოლო სომეხ ტიბიკონზე მდგარად, მისს მეოხებით სომეხ კათოლიკედ. აი მისი ნაწერებიც:

„ოთხი მახარებლის თარგმანი“ ე. ი. სახარების ვრცელი ახსნა, ოთხ დიდრონ ტომად, თარგმანზე დიდხას უშრომია, 1840 წლებში პ. შაჰყულიანი თბილისში იმყოფებოდა, ზოგიერთ იმ დროის საპატიო ქართველთა რჩევით პ. შაჰყულიანს ეს ვრცელი თარგმანი იმ დროის მთავარ მართებლისთვის წარუდგენია და მისი დაბეჭდვა უთხოვია. მთავარ მართებელს სიამოვნებით მიუღია და ხელთნაწერი რუსეთში გაუგზავნია განსახილველად. პ. შაჰყულიანს დაჰპირდა, რომ იმ ხელთნაწერს ნებართვის შემდეგ ჩემი ხარჯით დავბეჭდავო. ეს ხელთნაწერი რუსეთში დიდხანს დარჩა. მთავარ მართებელი სხვაგან გადიყვანეს. პ. შაჰყულიანს არც ხელთნაწერი დაუბრუნდა. 1845 წლებში პ. შაჰყულიანი აკადემიკს ბროსეს ბევრს სწერდა და ეხვეწებოდა, რომ იგი დაჰხმარებოდა და ხელთნაწერი მოეპოვებინა და საქართველოში დაებრუნებინათ, მაგრამ ვერც ამით შველებია რამე. ხელთნაწერი

საყოველთაოდ რუსეთში დაშთა და იქ საცაღა დაიკარგა ეს ვრცელი შრომა. დღეს კაცმა მისი კვალიც არ იცის.

„სომხურ-ქართულ და სხვა ენების ლექსიკონი“, მეტად დიდის ტანის, ქართულის დაბადებების, ზომით მასზე მეტი, დიდი შრომა დაუძს მას, პატივცემულის ვინმე მესხის სიტყვით. ამ შრომაზე პ. შაჰყულიანს ეხმარებოდნენ მღვდელნი: ანტონ ხუციანი, ხიზაბავრელი, მღვდელი ანტონ თუმანოვი ოცხელი, მღვდელი სტეფანე იესაშვილი ახალციხელი და მღვდელი სტეფანე ნავროზაშვილი. მეტად დიდი, საყურადღებო შრომა არის ეს ხელთნაწერი, ცოდვა არის მისი დაკარგვა, დღეს იგი არსადა სჩანს, სადმე კი იქნება დაშთენილი. მე გადავშინჯე პ. შაჰყულიანის წიგნთ საცავი, მაგრამ იქ ვერა ვნახეთ-რა. ამ ლექსიკონს ჩვენ დიდ მნიშვნელობას მით უფრო ვაძლევთ, რადგანაც იგი მესხთა სასულიერო პირებისაგან არის შედგენილი, მასში მესხურ სიტყვებსაც დიდი ადგილი ექმნება დაკავებული.

„ორმოცთა ქადაგებათა“ მამა პავლე გაბრიელ სენერიისაგან. უუპატივცემულესსა მღვდელსა და უუგანათლებულესსა მოქადაგისაგან კნინღა მრთელი იტალიისა განმარტებულ ქმნილ ქართველსა ენასა ზედა, შაჰყულიანთ პოღოს დავით ვართაპეტისაგან ადრევე დაწყობილი ახალციხეს ქალაქსა შინა, დასრულდა წელსა ცხოვრებისა სოფლისასა 1830 წ. ქ. თბილის, ჟამსა უმწვერვალისასა მამათ მთავრობასა წმიდისა მამისა ჩვენისა მეორე პიოს რომის პაპისა“.

ეს ხელთნაწერი შეიცავს 1100 გვერდზედ მეტს, ინახება ახალციხის კათოლიკების იოანე ნათლისმცემლის ეკკლესიის წიგნთსაცავში. წიგნს მიუძღვის წინა სიტყვაობაც, თვით პ. შაჰყულიანის ხელთ-ნაწერია. აი: – „თუ რაოდენი ნაყოფი გამოუღიათ ქადაგებათა მათგან იტალიის მორწმუნეთა, რომელთადმი უქადაგოთ გვამებრევად თვით კეთილ-მსახურსა მას აუქსონს და კვალად სხვათათვის დაუტოვებია ესევე წიგნი აღმოსაკითხავდა, რომელთა ყოფილ არს ესე საყვარელ და სასიამოვნო, ჯერ არს გაშინჯვად ვრცელ მოთხრობა მისივე

ცხოვრებისა. მხოლოდ ამას გეტყვით თქვენ აღმომკითხველნო, ჯერ პირველად გამოსცადოთ და გემო იხილეთ ქადაგებათა მათა და მაშინ სცნობთ პატიოსნებასა მათსა და იგრძნობთ ნაყოფიერებასა სულსა თქვენისასა, რომელ ესე გხ˜დ ყოფილ არს ორქანი ჩემი, ვინაიდგან არა მცირედი შრომა გამაწევიეს განმარტებად წიგნისა ამისა ვ˜ა კ˜დ სხვათა შეწევნითა უფლისათ. საცნაურ იყოს კ˜დ აღმომკითხველთათვის, რომელ ორმოცეულთა მათ ქადაგებათა წინა-სიტყვათა საჩვენებელ თუ სომხურად და თუ ხუცურად აღმწერელ ცალკ-ცალკედ, რათა მოქადაგეთა და სხვათა აღმომკითხველთათვის, სიადვილე ყოფილიყოს აღმორჩევად ნივთთა სათნოებისაებრ

თვისისა".

„წლიური ქადაგებანი“ ვრცელი ტომი. ბევრს ქადაგებაში მეტად სამაგალითო ცნობებსაც ეხება. ბევრს ქადაგებას შემდეგაც არ მოაკლდება თავისი მნიშვნელობა. იგი საყურადღებოა ბევრნაირის მხრითო. ეს ქადაგებანი ჩვენთვის საყურადღებოა მით უფრო, რომ იქმნება ამით მაინც გავიცნათ პ. შაჰყულიანის სულის ვითარება და გარემოება. იქმნება ამ ქადაგებებმა მაინც გვამცნიოს მისი სულის და გულის საიდუმლოება, თუ იგი რად იღვწოდა ლათინის წესს-რიგის პატრების წინააღმდეგ, რად მუსრავდა მათ და მათ მაგიერ რად ვლტოლა სომხის სიძლიერეს. სამწუხაროდ დღეს ეს ქადაგება არსად სჩანს, ხელთნაწერი დაკარგულია, საჭიროა ყურადღება მიექცეს, იქმნება სადმე აღმოსჩანდეს.

„ეკკლესიური ცხოვრება“ მეექვსე საუკუნემდის, თარგმანი ლათინურის ენიდამ. ეს ხელთნაწერი ჩვენ არ გვინახავს. პ. იოსელიანიც მოიხსენებს ამ თარგმანს და აქებს დიდათ. მეტად დიდი ტომი ყოფილა, დიდი ზომის. ვინმე მესხის სიტყვით ეს ვრცელი თარგმანი გადუწერია პ. შაჰყულიანს თანამედროვე ქართველთ კათოლიკეთა მოძღვარს ანტონ ხუციანს, (ხუციშვილი).

„მოკლე თარგმანი“ იაკობ ვილოთის ოთხ მახარობელთა, თარგმნილი იტალიანურის ენიდამ. ვრცელი ხელთნაწე-

რი. დღეს აღარც ეს სჩანს. იაკობ ვილოთი იყო იეზუიტების ორდენის ძმა, სცხოვრებდა XVI საუკუნეში სომხეთსა და საქართველოში. ამის აქ ცხოვრების შესახებ მარტოდ ცნობა სჩანს, სხვა არაფერი. სომხეთის და საქართველოს შესახებ სხვა და სხვა ისტორიული წერილებიც უწერია და უბეჭდავს რომში. („მსოფლიო ისტორია" თარგმნილი იტალიურის ენიდამ) კ˜დ შევთხზე ერთი სხვა საჩვენებელი ანბანგანური, რომელსა შეცმულ არიან ყოველნი იგინი ნივთნი, რომელთა ზედა ფართოდ ანუ მოკლედ ლაპარაკობს თვით ავქსონი სენერიე ქადაგებათა მათ შორის თვისთა და ძალ უცხოდ მათ ხმარება, მეტადრე ეკკლესიურთა ქადაგებასა ეგრეთვე წევრნი შ˜ა თვისსა, და კ˜დ სხვათა შემთხვევათა შორის“. როგორც ეტყობა ეს ხელთნაწერი სენერთის ქადაგების ახსნა უნდა იყოს ანბანზე გაწყობილი. ხელთნაწერი ჩვენ არსად გვინახავს.

„მსოფლიო ისტორია“ თარგმანი იტალიურის ენიდამ 1820 წლებში. ზოგნი ამბობენ, რომ ეს ისტორია აბატ მილოტს ეკუთვნისო. ამის ჩვენ არა ვიცით-რა.

„რომთა პაპის ეპისტოლენი“ სხვა და სხვა დროს თარგმნილი და ერთ წიგნად აკინძული. დღეს არც ეს სჩანს.

„ლოცვანი“ რომის კათოლიკეთათვის, თბილისს დაბეჭდილი თვით პ. შაჰყულიანისაგან 1831 წ. ამ ლოცვის წიგნმა ჩვენ დრომდისაც მოაღწია.

სხვა და სხვა ისტორიული წერილები: ჯავახეთის შესა-

ხებ, ახალციხელი ფაშების და კათოლიკის სამღვდელოების.

ზოგნი ამბობენ, რომ პ. შაჰყულიანი სომხურს ენაზე-დაც სწერდაო. მისის ნაწერების ჩვენ არა გვინახავს-რა. მე გავშინჯე მისი წიგნთ საცავი და იქ ერთი ცნობაც ვერ ვპოვე ამის შესახებ, რომ იქიდგან დამესკვნა სომხურს ენაზე მწერლობის შესახებ. ვენეციის მხითარისტების ჟურნალს „ბაზმავეპშიაც" არაფერი აღმოჩნდა ამასაგან ნაწერი. არა გვგონია-კი, რომ მომავალში, ამის ქართული ნაწერების სადმე რამე არა აღმოსჩნდეს-რა.

პ. შაჰყულიანის ყოველს თავის შემძლებლობას და მო-

ქმედებასთან დამკვიდრებული ჰქონია დიდი მოთმინება, სიმდაბლე, სიყვარული. ყველას პატივით იხსენიებდა, ყველა აქებდა მისს შრომას. 1850 წლების შემდეგიდამ იგი ლათინის წესს დაუახლოვდა, განძრახვა ჰქონდა უკანვე მიბრუნების. ერში, სახლში, კარში და სამართველოშიაც ყოველთვის ქართულს ენას ხმარობდა. წერილების და ცნობების წერას ქართულად აწარმოებდა, მისს ფარ-ხმლად ქართული იყო. ქადაგებაც ერთ თავად ქართულად იცოდა. არ იყო თავმომწონე, ძვირფასს სამოსის მიმდევარი. იყო უბრალო მწირ-ბერის კვალათ შემოსილი. სმა-ჭამასაც მცირედ მისდევდა. მრევლის შვილებთ გასანათლავად დიდად იღვწოდა. მისს დროს ქართველ კათოლიკეთ შვილებთათვის გამოცხადდა, რომ დღეის შემდეგ წერა-კითხვა ყველა ქართველ კათოლიკემ უნდა შეისწავლოსო. ყოველს თავის ამბოხებას და ბრძოლასთან დიდი შრომა მიუძღვის ქართველთ კათოლიკებზე. სადაც-კი მსახურებდა, მას ყველგან დაუტოვებია თავის ხსოვნა. მცირედ პ. ხარისჭირაშვილთან-კი უსიამოვნობა ჰქონია ჩავარდნილი. ამის მიზეზები ბევრნაირია. ზოგში გუმბრის სომეხ კათოლიკეთ არქიმანდრიტები და ვართაპეტნიც ურევიან. ესენი სტყუიან, ესენი აქეზებდნენ მას მოქართულე პატრების წინააღმდეგ, რადგანაც პატრები მათ სასტიკათ სძულდათ. სულ ამათი ბრალია მისი არევ-დარევა, თორემ იგი ქართველი იყო და ქართველობდა კიდეც. პ. შაჰყულიანი ქართულად აი როგორ სწერს თავის ტიტულს: – „ყოველთ უხმარი მონა პოღოს ვართაპეტ შაჰყულიანი, ახალციხის კათოლიკეთა თემისა სულიერისა წინამძღვარი 1817 წ." ბევრში პ. შაჰყულიანს ჩვენ არ ვეთანხმებით, მის ყოველ ნაბიჯს შეცდომებათ ვსთვლით. ჯინის მსხვერპლად ხდიდა ყველაფერ იმას, რასაც-კი მისი თანამედროვე მოქართულე მოძღვრები ადგნენ და აკეთებდნენ, მაგრამ რა გაეწყობა, უნაკლულო არავინ არის. მართალია პ. შაჰყულიანს მრავალნი გმობით მოიხსენებენ და ბევრნაირს ცილს, ბოროტებას და მრევლის არევ-დარევას აწერენ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ იგი ყო-

ველს ამბოხებაშიაც ნამდვილი კათოლიკე იყო, კათოლიკის ეკკლესიის შვილი. ერთ დროს მან მკაცრი პროტესტი გაჰ-ფინა კათოლიკის ეკკლესიის შესახებ ასე:

– „ჩემს გულში რომის სიყვარულს, პატივისცემას და პაპის ამაგს ისეთი ადგილი უკავია, ისეთი ბინა, რომ ძნე-ლად მე განვერინო მას და სხვას მივეკედლო. ჩემს გულში ისე მტკიცედ არის რომის რძე და ამაგი ჩაქსოვილი ჩანაღვა-რიო, რომ ჩემი გადასხვაფერება არას დროს არ მოხდებაო“.

პ. შაჰყულიანს რომი და პაპი თუ ასე უყვარდა, თუ მისს გულში რომის რძეს ისეთი ადგილლი ეკავა, მაშინ მისი სომხობა და სომხის ტიბიკონი ჩვენ საიდუმლო ოცნებათ უნდა მივიღოთ. არა გვგონია, რომ ასეთ სიტყვების მთქმელს გაე-ბედნა რომის ტახტის თუნდ მცირე წყენა, ისეთი წყენაც-კი, რომ ლათინის ტიბიკონს გარეშე სომხის ტიბიკონს მიკედ-ლებოდა. ჩვენ თამამად ვამბობთ, რომ პ. "შაჰყულიანი იყო ტომით, ენით და შთამომავლობით ქართველთ. როგორც კა-ცად კაცი და მოძღვარი. ჭეშმარიტების მოყვარე ადამიანი, ამითაც საყურადღებო ყოფილა. დღევანდლამდე ქართველ კათოლიკებში ყოფილი მოქართულე მოძღვრები სულ ამის აღზრდილები არიან, მისგან გაწვრთვნილნი, რომელთა რიც-ხვიც ეხლა ერთობ შემცირდა. თვით ვინმე მესხიც ამის მო-წაფედ ითვლება.

ქართველთ კათოლიკეთა

მოძღვარი ივანე გვარამაძე.

(ვინმე მესხი)

ვინმე მესხი – ანუ მოძღვარი ივანე გვარამაძე ქართვე-ლებში ცნობილი პირია. ქართველ კათოლიკეთა საზოგადო საქმეთა ასპარეზზედ მას შესამჩნევი ადგილი უჭირავს, თით-ქმის უპირველესი. ამაზედ უკეთესი მოღვაწე-მოძღვარი, მწე-რალი და საქართველოს ისტორიის მცოდნე მათში ბევრი არავინ არის. ერთის მხრით ასეთ პირთა ასე სიმცირე დიდი უბედუ-რებაც არის, მაგრამ რა გაეწყობა. ამ მოძღვრის შესახებ და-წვრილებითი წერილი რომ დაიწეროს, ის ნაწერი ვრცელი წიგნი გამოვა, ჩვენს-კი ასეთ აღწერას ვსტოვებთ დამხოლოდ გაკვრით ვეხებით ამ პირის მოღვაწეობის ისტორიას. გვარა-მაძიაანთ პირველ საბინადრო ადგილად ქართლის სოფ. რუი-სი ითვლება და ამასთან ზოგი რამ სხვა ადგილებიც. რო-გორც სჩანს, მამა ივანე გვარამაძის წინაპარნი ქართლიდგან უნდა იყვნენ სამცხეს გადასულნი, ან ოსმალთაგან ტყვეთ წაყვანილნი. ორში ერთი იქნება. თვით ივანე გვარამაძე მო-გვითხრობს, რომ ჩვენ წინაპართ წარმომადგენნი პირველად აწყვერში მდგარან და მერე აწყვერიდამ გადმოსულან ახალ-

ციხისაკენაო. ქართლში, გვარამაძიანთ გვარის წევრნი აზნაურის შვილებათ საშვალ საუკუნოებიდამ მოიხსენებიან. ზოგნი აზნაურის გვარის წევრნი ძველადგან სამცხეშიაც სჩანან და მოიხსენებიან ვითაარცა სამცხის აზნაურის გვარის შვილნი.

თვითონ გვარამაძე წარმომდგარი უნდა იქმნეს სიტყვა გვარამიდამ.

მღვდელი ივანე გვარამაძე, ასე და ამ გვარად ეკუთვნის ქართველ გვარის შთამომავლობას, სარწმუნოებით კათოლიკეა, სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ სდგას და ირიცხება, როგორც ქართველ კათოლიკე. ამათის გვარის კათოლიკობასთან დაკავშირება სამცხე-საათაბაგოს უნდა მომხდარიყოს არა უადრეს XVII საუკუნის და არც მის მოღმა. თუ თვით ივ. გვარამაძისამებრ ქართლის შემდეგ, ამათი წინაპარნი აწყვერს სცხოვრობდენ, მაშ აწყვერში დაუკავშირდებოდენ კათოლიკობას, რადგანაც კათოლიკენი ძველად აწყვერშიაც მრავლად იყვნენ, იგინი ქართველ ტომს ეკუთვნოდნენ და ქართველ კათოლიკეთვე იქმნენ წოდებულნი. მათ თავიანთი საკუთარი ეკკლესიაც აქვნდათ და საკმარისადაც სახელოვნებდნენ. ხოლო ოსმალთა მრისხანების მეოხებით მომავალში, იქ მათი რიცხვი დიდათ შემცირდა, მცხოვრებნი სულ აქეთ იქით გარდასახლდნენ და ბოლოს თვით აწყვერის ეკკლესიაც მოისპო, გაუქმდა იქ ყველაფერი. აი ასეთი გახლავსთ მამა ივანე გვარამაძის წინაპართ გვაროვნების და სარწმუნოების პირველ ისტორიის ცნობები. ისიც-კი უნდა ითქვას, რომ გვარამაძის, წინაპარნი წინეთ მართლ-მადიდებელთ ეკუთვნოდნენ და იქმნება ამათი გვარის წევრთა კათოლიკობასთან დაკავშირება ქართლში მოხდა, ნამეტურ გორს და მერე ქართლიდგან კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნი გარდასახლდნენ აწყვერს და შემდგომ აწყვერიდამ ახალციხეს.

მამა ივანე გვარამაძე დაიბადა ახალციხეს, 15 ოქტომბერს 1831 წ. ივანეს მამა იყო პავლე, პავლეს მამა ივანე ყოფილა. თავის დროის კვალად ესენი გამოჩენილ ოჯახის-შვილებათ ითვლებოდნენ, ხოლო როგორც მაშინ არსებობდა ქონებით-კი- არ ყოფილან ფეხზედ მდგარნი. ერთიცა და მეორეც კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნი ყოფილან. ივანეს მამა პავლე XVIII საუკუნის დამლევს უნდა ყოფილიყოს დაბადებული და პაპა-კი საშვალ საუკუნეში. მათ არ

ხსომებიათ ის, თუ მათ მამა პაპას როდის უნდა მიეღო კათოლიკობა. ივანეს მამა გარდა სახელოვნების სხვა ღირსებითაც მრავლად ყოფილა დაჯილდოვებული. მის ოჯახში ბევრი რამ სანუკარი თვისებები ყოფილა დაცული. სოფ. ვალეში პავლეს ოჯახი ყველასთვის მისაბაძი ყოფილა. მამა

ივანეს პაპის მამას სახელად არტემა რქმევია. როგორც ვიცით, არტემას შვილს ივანეს ორჯერ უქორწინებია. მეორე ცოლი შეურთავს ქუთაისს, მესარკოვის ნაცოლარი ელენე ბალახოვის ასული. ამ დროს ივანე 103 წლისა ყოფილა და წარმოიდგინეთ, რომ როგორც მამა ივანე სწერს, 103 წლის კაცის მეორე ცოლისაგან დაბადებულა. ამ ქალს პირველის ქმარისაგანაც ჰყოლია შვილი ანტონ მესარკოვი. ანტონ მესარკოვი ქუთაისში ვაჭარი ყოფილა.

მამა ივანე გვარამაძის პაპას კარგა ხანს უცოცხლია. როგორც ამბობს თვით ივანე გვარამაძე, ეს მოხუცებული 1828 წელს რუსებს მოუკლავთ ახალციხის აღების დროს. მაშინ ეს მოხუცი 140 წლისა იყოვო. ჩვენ ამაზედ არას ვიტყვით, ამ გრძელ რიცხვის გამო ჩვენ მარტოდ მამა გვარიმაძის სიტყვაზედ ვაფუძნებთ. როგორც ცნობები სჩანს, მ. გვარამაძის წინაპარნი სამხედრო საქმეშიაც დახელოვნებულნი ყოფილან. ხშირად ოსმალთა გავლენის ქვეშ ყოფნას გამოურკვევია ეს და დამკვიდრებულა მათში. მაგალითებრ: თვით ივანე გვარამაძის ბიძა სტეფანეც ყოფილა გაწვრთნილი და ჩენილი მხედარი. 1828 წ. თებერვლის თვის განმავლობაში, რუსთაგან ახლად აღებულს ახალციხეს აჭარლები დაეცნენ. აჭარლებს ხელმძღვანელობას უწევდა მაჰმად ხიმშიაშვილი. აჭარლებს სურდათ ახალციხის აფეთქება და ამიტომ იგინი ციხის ახლოს თხრილებს აკეთებდენ ასაფეთქებლად. სტეფანეს იმოდენი ხერხი გამოუჩენია, რომ ნაღმით თხრილი აუფეთქია და მით ციხე გადურჩენიათ დაქცევისაგან. იმ დროის რუსის მხედარ-მთავარს ეს გარემოება დიდათ გახარებია. ამ მხედარ-მთავრის ვაჭარი ყოფილა ანტონ მესარკოვი. ამისთვის უკითხავს, თუ ეს სტეფანე მესარკოვი ვინ არისო. ანტონს უთქვამს:

ჩენი ძმა გახლავსთო. მხედარ მთავარს ანტონის მხოლოდ დედით ძმა სტეფანეც ანტონის გვარზედ დაუწერია, ე. ი. მესარკოვი და ტემლაკზედაც წარუდგენია. ამ შეცდომის გამო გვარამაძეებს მესარკოვიც ეწოდათ; ეს შეცდომა შემდეგ მამა ივანეს შეუსწორებია. გვარამაძეებს ხოზოშვილებსაც უწოდებდნენ თურმე.

მამა ივანე გვარამაძე ყმაწვილობაში მეტად საყვარელი ყოფილა თავის მშობლების. ნიშნად ამ სიყვარულისა მშობლები მონათვლის სახელს გარდა კონასაც უხმობდნენ. ივანეს მამა ახალციხელი გახლდათ და დედა, მარიამი, სოფ. ვალელი. დედით მონათესავე იყო ართვინის კათოლიკეთ ეპისკოპოზის ზაქარიანის. პირველ ხანებში, ვიდრე ახალციხე ოსმალელთ ეკავათ, მინამდე ივანეს მამა და ბიძა ახალციხის ფაშების შემდეგ პავლეს მეწვრიმლობა დაუწყვია. ვაჭრობისთვის ახალციხიდამ ეს იმერეთშიაც გადადიოდა, ხშირად თან წაიყვანდა პატარა კონასაც, ნამეტურ რთველზედ, როცა თუთუნის კრეფა სცოდნია სავაჭრო ნივთებზედ. ახალციხელი ვაჭრები იმერეთში ოსმალოს დროსვე გადადიოდნენ და ვაჭ-

რობდენ. ოსმალის შემდეგ ეს მათში უფრო გახშირდა. კონა მამასთან ერთად სიარულის დროს მკვირცხლად თვალს ახელ-და და ეს მისი თვალის გახილება მერმისთვისაც კარგს ნია-დაგსაც უმზადებდა მას.

კონას დედა მარიამი, როგორც მოვიხსენეთ სოფ. ვალე-ლი იყო, ზაქარია ბაღდოთის ოჯახიდამ. იგინი ქართველ ტო-მის კათოლიკეთ მოდგმას ეკუთვნოდენ. მაინც მთელი სოფ-ლის ვალის კათოლიკენი ქართველ გვარს ეკუთვნიან. დღემ-დე მათში დაცულია ქართული ენა მკვიდრად. მარიამის დედ-მამის ოჯახი თავის დროის კვალად ვალში თითქმის პირველი ყოფილა. თვით მარიამი აღზდრილა დიდის სათნოებით და კრძალულებით. ამ ქალს ქართული წერა-კითხვა ჩინებულად სცოდნია და ხელ საქმეში და ქარგვაშიაც პირველი ყოფი-ლა. ამ ქალს სოფ. ვალეში ქალების სასწავლებელი ჰქონია. მასთან მოწაფედ დადიოდნენ არა მარტო ქართველ კათოლი-

კეთ ქალები, არამედ მართლმადიდებელ ქართველთა და მუსულმან ქართველთაც, რომელნიც ამ სოფელში სცხოვრე-ბენ. პატარა ქალებს მარიამი დიდის სიბეჯითით სწურთვნიდა და ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას და ხელ საქმეთ: ჭრას, კერვას, ქარგვას და ქსოვას, ამას გარდა ყველა მას, რაც იმ დროს საჭირო იყო მდედრობით სქესისთვის. ასეთ პატიოსა-ნი ადამიანის გავლენის ქვეშ იზრდებოდა პატარა კონა და თან ქართულს წერა-კითხვასაც სწავლობდა. კონას ისეთი ცოცხალი ნიჭი ჰქონია, რომ მას ერთობ ადრე დაუსწავლია წერა-კითხვა და მასთან მშვენივრად ხატვა და ხაზვაც. ხატვა თავის თავად უსწავლია. ხატვაში კონას ისეთი ნიჭი აღმოუ-ჩენია და სახელი ისე გასთქმია, რომ როგორც თვით ამბობს, 12 წლისა ვიყავი, მამაჩემმა იმერეთში წამიყვანა ვაჭრობის გამო და მე მხატვრობით ისე მქონდა სახელი განთქმული, რომ მარელისში ეკკლესია დამახატვინესო.

ნელ-ნელა ივანე გვარამაძე ისე მომზადებულა და საეკკ-ლესიო კითხვებში ისე წასულა წინა, რომ 15 წელს მიღწე-ულს, ეკკლესიაში დიაკვნობა თავისუფლად შესძლებია, სომ-ხური წერა-კითხვაც უსწავლია, ამიტომ ეს ახალციხეში, პ. შაჰყულიანის სასწავლებელში მიუბარებიათ მოწაფედ. ამ დროს იგი 17 წლისა ყოფილა. ახალციხის სასწავლებელში ივანე ჩინებულად სწავლობდა, ყველა საგნებს მშვენივრად და მა-ლე ითვისებდა, ნამეტურ მხატვრობაში სამაგალითო ყოფი-ლა. ერთი სიტყვით მოწაფეებში პირველი იყო თურმე. ეს მისი პირველობა მოწაფე ამხანაგებს ძრიელ სძულდათ, სძულ-დათ მით უფრო, რადგანაც ივანე მეტის მეტი მართალი და სათნოებიანი ყმაწვილი ყოფილა. ამხანაგ მოწაფეებს ივანე პ. შაჰყულიანთან დაუბეზღებიათ უმიზეზოდ, უბრალოდ და თან უთხოვნიათ მისი დათხოვნა. მოწაფეთა დავალების მეოხებით პ. შაჰყულიანს ივანე გვარამაძე დაუთხოვნია და მისთვის უთქვამს: რომ შენ მხატვრობის შესწავლაც გეყოფაო. ამის

შემდეგ, ივანე სოფელს ვალეს დაბრუნებულა, სამი წელიწადი შინ დარჩენილა და თავისით უმეცადინია. სწავლაში ერ-

თი კვირაც არ დაუკარგავს უბრალოდ და დროის შესაფერად მომზადებულა ყველა საჭირო კითხვებში, ნამეტურ კათოლიკეთ საეკკლესიო საგნებთა ცოდნაში. მერმე სახლიდგან ეს გადასულა ქუთაისს, მამა პეტრე ხარისჭირაშვილთან, ვისთანაც დაუწყვია მეცადინეობა და სწავლა საფუძვლიანად.

პ. ხარისჭირაშვილს მაზედ დიდი ზეგავლენა ჰქონია, მისგან ივანე ბევრს რამეს სწამლობდა და სრულიად მალე კარგადაც დაწინაურდებოდა, მაგრამ ამ გარემოებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ პ. ხარისჭირაშვილი 1856 წელს ევროპაში წავიდა. ამიტომ ივანე გვარამაძე ქუთაისიდგან ისევ ახალციხეს დაბრუნდა. ამ დროს ეს ისე კარგად ყოფილა მომზადებული წერა-კითხვაში, საუბარში და საქმის კეთებაში, რაისა გამო იმ დროის ახალციხის ეკკლესიათა კანონიკს მღვდელს სიმეონ ასლანოვს თავისთან მიუწვევია მრევლად. იქ ეს დაშთენილა რამდენსამე ხანს და პირნათლად უმსახურნია. 1857 ივანეს მამა მოჰკდომია და ამ გარემოებას მასზედ ისე უმოქმედნია, რის ჩამო მას გადაუწყვეტია მღვდლად მომზადება და კურთხევა. 1859 წ. მ. ს. ასლანოვი სამსახურიდამ გამოსცვალეს, ამიტომ ივანეს სამსახურის საქმეც სხვაფერ წასულა. ესეც დიდხანს არ დარჩენილა ახალციხეში და მალე კოსტანტინეპოლს წასულა.

კონსტანტინეპოლში ეს ჩამომხტარა ერთს ქართველ კათოლიკესთან და დაუწყვია მზადება საღმრთო საეკკლესიო საქმეებში, სომხურს ენაში და ლათინურშიაც. ამავე დროს მას შეუსწავლია თათრული ენაც უფრო უკეთესად და კონსტანტინეპოლში ყოფნას სხვაფრივაც კარგად უმოქმედნია მასზედ. ივანე ბევრნაირათ დაწინაურებულა წინ, თვალი კარგად გაუხილებია, ბევრი ავი და კარგი ცნობები შეუსწავლია. საკმარისად გასცნობია ევროპიელთ ერთა ცნობანი, ოსმალეთის სახელმწიფოს წეს-წყობილება, ბერძნების მდგომარეობა, სომხებისა და სხვათაც მრავალთა დამონებულთა ერთა ცხოვრების პირობები. უცხოობაში ყოფნას უფრო განუცხოვლებია მის გვამში საქართველოს სიყვარული. საქმე ისე

მოსწყობია, უცხოობას ისე გაუჭირებია საქმე, რომ ეს მოსამსახურედ ერთს ფოტოგრაფიაში შესულა. აქ დაუყვია რამდენიმე ხანს, მაგრამ საბოლავოთ მაინც ვერ გაუძლია. უკანასკნელ გადასულა ფერიქს, მ. პ. ხარისჭირაშვილთან, ვისაც დიდის სიამოვნებით მიუღია. ამაზედ მას სრული მზრუნველობა აღმოუჩენია. იქ პ. ხარისჭირაშქილთან უფრო უკეთესად გაწვრთნილა. ამ დროს პეტრე ხარისჭირაშვილს კოსტანტინეპოლში ქართველ კათოლიკეთ ეკკლესია ჯერ არ ჰქო-

ნდა გაკეთებული. იმის განძრახვა და შესრულება ახალად იდგავდა ფეხს.

კეთილი ადამიანის გვერდით ივანე გვარამაძეც მეტად კეთილად შრომობდა. უცხოეთში მყოფს უფრო მძლავრად უცხოვლდებოდა საქართველოს სიყვარული. მღვდლათ კურთხევის და მზადების საქმეს შეუდგა და ამისთვის გვარიანადაც შრომობდა და მეცადინეობდა, მაგრამ საქმე კარგად ვერ მისდიოდა, ნატვრას ევრ მიაღწია. მღვდლად კურთხევა მისთვის იქ შეუძლებელი გახდა. მიტომ ივანემ გადასწყვიტა საქართველოში დაბრუნება. მალეც დაბრუნდა. ახალციხეს იმყოფებოდა და მღვდლობისთვის სცდილობდა. 1861 დედაც მოუკვდა. სრულ ობლად დაშთა. ცოლის შერთვა განიზრახა და 1863 წ. დაოჯახდა კიდეც. აქ უნდა ვსთქვათ რამე, თორემ კათოლიკის სამღვდელო პირისაგან ცოლის შერთვის საქმე ბევრს გაუკვირდება. ლათინის ტიბიკონის მექონ პატრებს გარდა, ცოლის შერთვის ნება ემლევათ თითქმის კათოლიკის სხვა და სხვა ტომის ყველა ტიბიკონის მექონ კათოლიკეთა. მღვდლებს უფლება აქვსთ რომ მღვდლათ კურთხევამდე ცოლი შეირთან. ამიტომ ივანემაც აღასრულა ეს, რადგანაც იგი კათოლიკის ტიბიკონზედ იდგა. მღვდლად კურთხევის საქმეს ახალციხეში შეუდგა. იქიდან მაშინდელს კავკასიის ვიზიტარორს თხოვნა მისცა, რომ ეს ახალციხეში ასულიყო კათოლიკეთა სხვა და სხვა საჭირო საქმეთა გამო და იმ დროს ივანე გვარამაძეც მღვდლათ ეკურთხებინა.

ივანეს ამის სრული იმედი ჰქონდა, მაგრამ აქაც უმტე-

რეს. ახალციხიდამ სხვა და სხვა მღვდლებს ემტროთ და ამიტომ ივანეს ახალციხეში კურთხევა შეუძლებელი გახდა. პრელატმა მისი თხოვნა უყურადღებოთ დასტოვა. ამიტომ 1860 წ. გიორგობისთვეს თბილისში ჩამოვიდა და კათოლიკეთ მონასტერში იმყოფებოდა. მღვდლობისთვის მეცადინეობდა, მაგრამ არც რა თბილისში მოუხერხდა რამე. პრელატი არ შვრებოდა მის კურთხევას. თბილისში ყოფნის დროს, ივანე გასცნობია იმ დროის ქართველ კათოლიკობას და ქართველ საზოგადოებასაც. კათოლიკეთ მონასტერში ამას ბევრი რამ საქმეები უკეთებია. ამავე დროს გაუცვნია თბილისში ივანე კერესელიძე, „ცისკრის" თანამშრომლები: რაფ. ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძისა და მრავალნიც სხვანი იმ დროის ქართველთ მწერალნი და მოღვაწენი. ივ. კერესელიძეს სტამბაშიაც ვიყავი და სტამბის ქართულ წიგნების საქმიანობაც გავიცანი, მის შესწავლასაც დავადექით, მოცალეობისას სტამბაში დავდიოდი და ასოებს ვაწყობდიო. 1862 წ. თფილისიდგან ალექსანდრეპოლს წასულა, იქაურ სომეხ კათ. სასულიერო სასწავლებელში, სამღვდელ-კურთხეო ღირსების ეგზამენი უნდა დაეჭირა და მოწმობა უნდა მიეღო, რომ იგი მომზადებული იყო მღვდლობისთვის. ამ საქმეში მას სრულს ხელმძღვანელობას უწევდა მღ. პავლე ლაზარიანი და კვალად სასტიკად

მტრობდა ვიზიტატორი.

ივანე გვარამაძე იმავ თავითვე არ ყოფილა სხვათა მოძულე შფოთების ამტეხი, მითქმა-მოთქმის მიმტან მომტანი, რაც-კი საგმობია კაცისთვის. მას ყველა ეს დიდათ სძაგდა და ეტრფოდა მას, რაც კაცად კაცისთვის უპირველეს ღირსებას შეადგენს, ძვირფას სამკაულს, სწორედ ეს მისი სამაგალითო თვისება სხვათა წინაშე სამტროდ შთებოდა და მრავალ ნაცვლად პატივისცემის, მტრად ეკიდებოდნენ. ასეთი მტრები მას უფრო მომატებიან იმ დროს, როცა სახლობისთვის მოუკიდნია ხელი. 1865 წ. ღირსებია და მღვდლად კურთხევის უფლების მოწმობაც აუღია, ე. ი. გამოცდის ატტესტატი. მაგრამ ეს ბედნიერება ივანე გვარამაძეს ერთობ ძვირად დას-

ჯდენია, ვიზიტატორის და სხვა და სხვა მტრების მეოხებით სამი თვის მომზადება სამი წელიწადი გახდენია, ყველგან გზა უღობავთ და უმტრიათ. მიზეზი მტრობის კი საყოველთაოდ შური ყოფილა და გაუტანლობა, რაც სასულიერო პირთა წინაშე ერთობ ხშირია. ამდენი ვაი-ვაგლახის და სიარულის შემდეგ, როგორც იქნა და ივანეს ღირსებია მღვდლათ კურთხევა, მაგრამ უკანასკნელათაც მაინც დიდი შრომა მოსვლია. მისი კურთხევა თბილისში კი არ მომხდარა, არამედ 1868 წ. სარატოვში წასულა და იქაურის კათოლიკის ეპისკოპოზისაგან 9 დეკემბერს მღვდლათ უკურთხებიათ. პორწელ წელს მღვდლად ეს განაწესეს სოფ. ხიზაბავრას, ვიკარნად. მეორე წელს ისევ ახალციხეს გადაუყვანიათ, საერო სასწავლებელში კატეხიზს და სომხურ ენას ასწავლიდა. ორი წლის აქ მსახურების შემდეგ ისევ ხიზაბავრას გადიყვანეს. მღვდლათ მარტო ყოფილა და ხიზაბავრიდამ სოფ. ვარგავის და ბნელას შემვლელ მღვდლათაც ეს იყო. ხიზაბავრას საერო სასოფლო სკოლა გახსნა. როგორც მამა ივანე გვარამაძე, ისევე ამის მეუღლე სოფელში საუკეთესოდ მოქმედებდენ, ქალსა და კაცს დიდის სიამოვნებით ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას და სხვა და სხვა საჭირო ხელ-საქმეს.

მამა ივანე გვარამაძე მღვდლობის ასპარეზზედ ნამდვილ მოძღვრათ აღმოსჩნდა, ნამდვილ კაცად და მამად თავის მრევლისა, მაგალითი იყო ეს ყველასი და მისაბაძი, მაგრამ ამ დროსაც მისი სამაგალითო მხარეები ბევრში უფრო შურსა ღა მტრობას სძრავდა ვიდრე პატივისცემას, თანაგრძნობას ტ მიბაძვას, ამ მტრობის უმთავრეს მიზეზად.ში ისე ქართველ გვარის კაროლ.იკე მღვდელნი არ ხდებოდნენ. როგორც სომხის გვარისანი. მაგალითებრ ამ პირს ერთ დროს სასტიკათ გადაეკიდა სომეხთ კათოლიკეთ მ. აი ბოროტი არარატიანი, ეს უფროსი მღვდელი ანუ არქიმანდრიტად იყო და მასთან ქართველების მტერი იყო, ქართველნი სასტიკად სძულდა, ივანე გვარამაძეც, როგორც მოქართულე მოძღვარი, სასტიკათ ეჯავრებოდა, მტრობდა. ამიტომ ივანე გვარამაძეს საქმე

ისე გაუჭირდა ამ პირისაგან, რომ იძულებული იყო, ხიზაბავრისთვის თავი დაენებებინა და ახალციხეში გადასულიყო. ესეც ქმნა და მხოლოდ დროებით ამით მორჩა თავის მტრებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ივანე მოძღვარი დანიშნეს ივლიტის ეკკლესიის მოძღვრად. აქ ამან დაჰყო ორ წელს. ამ ხნის განმავლობაში ივლიტის ეკკლესიის მოვალეებს ვადა უთავდებოდათ. პასუხს არ აძლევდენ. ივანე გვარამაძემ ამათ სამმართველოში უჩივლა, ამიტომ აქ ამის მტრობამ კვალად გაიდგა ფეხი. სომხის ხუცები შეიკრიბნენ ერთად. მათ მიემხრენ სხვა და სხვა პირნიც. ივანე მღვდელი ივლიტის ეკკლესიიდამ გადააყენეს. ამის მაგიერ ხიზაბავრიდამ მღვდელი 1884 წ. ჩილინგაროვი ჩამოაყვანინეს და ივანე. გვარამაძე-კი ისევ ხიზაბავრას გადიყვანესს მღვდლად.

მამა ივანე გვარამაძემ მრევლის საქმე კულანდებურად განაგო. მან და მისმა ნეტარ ხსენებულმა მეუღლემ მრევლს თავი შეაყვარეს. იგინი ხიზაბავრაში ყველას საყვარელ პირათ ითვლებოდენ. მამა ივანე გვარამაძის გაცნობა მე ადრიდგანვე მინდოდა, მენატრებოდა და როგორც იქმნა 1881 წ. მოვახერხე, ახალციხეს წაველ და იქიდამ ხიზაბავრას ავედით. სოფელში ყოფნის დროს, მრევლის ვკითხე მისი ამბავი და ყველამ ქება, დიდებით და პატივისცემით მოიხსენა მამა ივანე. ყველა აქებდა არა მარტო მოძღვარს, არამედ ფოფოდიასაც. ორივე შესანიშნავი ადამიანები არიან და დიდი მწენი ხიზაბავრელებისაო. ხიზაბავრაში ამათ თავიანთი ნაყოფიც დასტონეს დღესაც ძებსლი-დებით მოიგონებენ ამათ ამაგს. 1884 წ. მამა ივანე ხიზაბავრიდგან ახალციხეს გადავიდა. ამ დროსაც მას სხვა და სხვა მტრები არ დალევიან. მცირე ხანს თავისუფალ იქმნა, შემდეგ-კი დანიშნეს ივანე ნათლის მცემელის მოძღვრათ და დღემდე იქ განაგებს მღვდელ მოქმედებით. სადაც-კი მამა ივანე მსახურებდა, იქ მან ყველგან რიგიანათ იმსახურა, ადამიანურად, მამულისა და ეკკლესიის ნამდვილ მსახურად. დღეს ახალციხეშიაც სწორედ ასეთ მოძღვრად ითვლება. ბევრს მტერსა და მაწყევართან ერთათ მა-

ქებარნი და მადიდებელნიც მრავალი ჰყავს ახალციხეში. დღეს იგი ერთ საუკეთესო მოძღვრად ითვლება. იგი მღვდელ-მოქმედების დროს მღვდელიც არის და სანაქებო მეგობარი, მამა თავის მრევლისა და მასთან მრჩეველიც.

იგი პირველია არა მარტო მღდელ მოქმედების ხარისხით, არამედ ადამიანობით, შორს მჭვრეტელის განსჭვრეტით„ მქადაგებლობით, მართლ-მსაჯულებით და კარგის ნათელის მოქმედებით. თვისი მრევლის ავი და კარგი მან ერთობ კარგად იცის. მრევლის ავი და კარგი მას ისე აწუხებს და ახარებს, როგორც თავის საკუთრება, თავის ცხოვრების საქმენი. მრევლის საქმეებისათვის იგი თავდადებულია. არაფერს

საქმესა და შემთხვევაში იგი მათთვის არას დაიშურებს, ყოველთვის და ყოველგან მზათ არის, რომ მათ რამე გაჭირების დროს ემსახუროს, საქმე გაუკეთოს და ამ განაკეთებით რამე სარგებლობა მოუტანოს. მისი ასეთი საქციელი ყველგან კარგად იციან, იციან თვით იმათაც, ვისაც მისი რამე პირადი მტრობა აქვს. გარდა თავის მრევლში სამართლიერად მოქმედების, ივანე გვარამაძე სხვა წრეებშიაც საუკეთესო კაცადითვლება, მართლ მსაჯულ მფარველად სიმართლისა, ჭეშმარიტებისა და სხვანი. ამას გარდა მორიდება და შიში არა აქვს. ჭეშმარიტების მეძიებლობით ყველგან გულ ამაყათა სდგას. სწორი ჭეშმარიტი მიმართულება და მოქმედება მის ფარსა და ხმალს შეადგენს, მის დროშას და ამიტომ სადაც-კი უნდა რამე საქმე ექმნეს, ძიება, სჯა, კამათი და სხვა. იქმამა ივანე გგარამაძე ერთს თავ-გამოდებულ ჭეშმარიტ მეძიებელ მოქალაქედ გამოდის და მფარველობს პატიოსანს საქმეს, უძლურთა შებრალებას, ნათელ მიმართულების დათესვას, ურთი ერთ შორის სრულს განწყობილებას, გმობას და ერთმანერთის შენახვას.

ივანე გვარამაძეს თავის ოჯახსა და ცხოვრების საქმეებში მუდმივ გაჭირვება აწვა კისერზედ. იგი სცხოვრებდა მეტად ღარიბად. 1881 წ. როცა მე მისი სახლ-კარი და შინაური მოწყობილობა ვნახე სოფ. ხიზაბავრას. უნდა მოგახსე-

ნოთ, რომ ძრიელ გავკვირდი. დიდს სიღატაკეს, დიდს გაჭირებას იტანდა, თავის სახლობით სცხოვრობდა სრულიად უბრალოდ, თითქმის ღატაკთ უარეს მდგომარეობაში და ამ დროსაც-კი მას არ უღალატნია თავის პირადის ღირსებისათვის. გლეხ-კაცობა სრულებით არ შეუწუხებია, არაფრით დაუტვირთავს. უცხოვრია ერთს მიწურს ბნელს ქოხში გაჭირებით, აუტანია ყველაფერი, მაგრამ მრევლი-კი მაინც ყოველთვის უზრუნველად ჰყოლია დატოვებული, ყოველივე ხარჯი სამღვდელო და გარდასახადი თვით გლეხთა ნებაყოფლობაზედ ყოფილა დამოკიდებული. თუმც ამ სიღატაკის დროს, მას მეუღლე და შვილებიც ჰყვანდა და ესენიც დიდს გაჭირებას იტანდნენ, მაგრამ მაინც ყველა ამათი გაჭირება უყურადღებოდ შთებოდა და სხვებს-კი არა ატყდებოდათ-რა თავზედ მხიმე ხარკათ. ასეთს საქმეებში მეტად სამაგალითო ადამიანად ითვლებოდა ივ. გვარამაძის მეუღლე ანნაც, რომელიც მართლაცა და შესანიშნავი მანდილოსანი იყო. მაგალითი თავის ქრმისა და შვილებისა, ნამეტურ მრევლისა.

ეს პატიოსანი მანდილოსანი მე გავიცანი 1881 წ. და უნდა მოგახსენოთ, რომ გაცნობის უმალვე გასაკვირველი დავშთი მის უმაღლეს ადამიანურს, ანუ დედაშვილურს ღირსებაზედ, ქართველს დედაკაცობაზედ. იგი ნათელი სახე იყო იმ ქართველ დედებისა, რომელთაც ჩვენი მგოსნები დიდის დიდებით დაჰგალობენ. საბრალო, ასეთი ძვირფასი ქართველი ადამიანი დიდხანს არ შერჩა თავის ოჯახს და 1890 წლებ-

ში გარდაიცვალა. ამ გარემოებას ივანე გვარამაძეზედ დიდათ
უნდა ემოქმედნა, რადგანაც ამ დროს, მისი ოჯახი ოთხის თუ
ხუთის გასაზრდელის შვილისაგან შესდგებოდა. გარდა ამისა
ოჯახის სიღატაკე და გაჭირებაც იგოდენათ ჰქონდა გაძლიე-
რებული, რომ ეს გარემოებაც მას უფრო შეაფერხებდა და
დააუძლურებდა. მაგრამ არა, მაინც ამ შემთხვევაშიაც მამა
ივანემ აღმოიჩინა უმაგალითო მხნეობა. ოჯახის დიდი დანა-
კლისი არად მიიჩნია, ყოველივე აიტანა და თავის ადამიანუ-
რის ღირსებისთვის არ უღალატნია, არსად რამე საქმეში წარბი

არ შეუხრია, მრევლის სამსახური არავისთვის დაუკლია, არც
რა ვისთვისმე მეტი წაურთმევია, რომ არიქათ შინაური საქმე
დამიუძლურდაო და მიშველეთ რამე, სახსარი არა მაქვსო.
დიდი, მეტად დიდი და თან ბევრი სიღატაკე აუტანია. მაგ-
რამ ამ დროსაც მას მაინც-კი არავისთვის არაფერი არ წაურ-
თმევია.

ასეთი თვისების იყო მამა ივანე გვარამაძე და ამ თვისე-
ბას იგი უცვალებლად შერჩა თავის მოხუცების დრომდე დღე-
საც იგივე პირია, იგივე წარბ შეუდრეკი და მართლ მსაჯუ-
ლი, რაც ამ 40 წლის წინეთ იყო. ეს მე რომ არა ვსთქვა
და არ ვამოწმო, ამას უჩემოდ სხვებიც იტყვიან. ეს რომ ასე
არ ყოფილიყოს და იგი იმავ თავიდგანვე თაღლითობის გზას
დასდგომოდა, დღეს იგი სულ სხვა პირი იქნებოდა, სხვა ცხო-
ვრების შეძლებით და წესებით მოწყობილი. შეძლებით დღეს
მას ბევრი მოძღვარი არ შეედრებოდა, ვიტყვით არ შეედრე-
ბოდა, რადგანაც მამა ივანეს ოჯახში მეტად მდაბიოთ ცხო-
ვრება უყვარს, მარტივი. მის სახლში უზომო ჭამა, სმა და
ლხინები არას დროს არ ყოფილა. ყოველთვის ზომიერად,
შესაფერად, ისე როგორც რიგი და წესია, როგორც შეჰფე-
რის ყოველს ჭეშმარიტს და შორს მხედველს მოქალაქეს, გა-
ნათლების მეძიებელს და მეტრფეს, რაც სხვებისაგანაც მისა-
ბაძი უნდა იქმნეს და სამაგალითო. ეს რომ მართალია, ამას
ამოწმებს თვით დღევანდელი ცხოვრება მამა ივანესი, დღე-
საც-კი როგორც შეუძლიან მას, ისე და იმ გვარად ემსახუ-
რება თავის მრევლს და თავის ყოველივე შეძლება, ძალა და
ლოცვა მხოლოდ მათკენ აქვს მიმართული და მიძღვნილი.
მრევლის ბედნიერება მას თავის სიკეთედ მიაჩნია.

ივანე გვარამაძე რომ ადრიდგანვე ყოფილა თვალ ხი-
ლული ადამიანი და კაცად კაცი, ეს გარემოება და ჭეშმარი-
ტება იქიდამაც კარგად სჩანს, რომ ეს ქართულ მწიგნობრო-
ბის და დედა ენის სიყვარულს ადრიდგანვე დასდგომია. იმ
დროის კვალად მისგან მე ამის შეგნება დიდ საქმედ მიმაჩნია,
რადგანაც სამცხე საათაბაგოში ქართველი ერი და ნამეტურ

ქართველ კათოლიკებში ქართველ გვაროვნობის ცნობიერება

ადრიდგანვე მიეცა დევნას და გმობასა. იქ თავისუფლად ქარ-
რველობა არავის შეეძლო, რადგანაც ამისთვის იგინი იდევ-
ნებოდნენ თვით ოსმალოს მთავრობისაგანაცა და სო-
მეხთ კათოლიკეთ სამღვდელოთაგან ხომ ყველა მოქართულე
კათოლიკს სრული შეჩვენება ელოდა. თუმც ასეთ გარემოე-
ბაში იყო მოთავსებული იმ დროის ქართველთ კათოლიკეთ
მდგომარეობა, მაგრამ მაინც ივანე გვარამაძემ თავისი გაიტა-
ნა და მამა პაპურ მცნებას გზა კვალი არ აუქცია, დრო და
დრო როგორც ცხოვრების სხვა და სხვა საქმეებში ვითარ-
დებოდა, ისევ წარმატებას ეძლეოდა ქართული წიგნების
კითხვაშიცა და ქართულს მწიგნობრობაშიაც საკმარისად ხე-
ლოვნდებოდა.

ივანე გვარამაძეს ქართული წიგნების კითხვა პატარაო-
ბიდგანვე ჰყვარებია. მის დროს, მესხეთში არ დარჩენილა რა-
მე ქართული ძველი და ახალი წიგნი, რომ მას იგი არ შეე-
ძინა და რამდენ გზისმე არ გადაეკითხა. მის დროს თუმცა
მესხეთში-კი არა და თვით ქალაქ თბილისშიაც-კი იშვიათო-
ბდა ქართული წიგნები, მაგრამ მაინც აქა იქ იყვნენ თითო
ოროლა ისეთი მხნე ქართველ მწიგნობარნი, რომელნიც თა-
ვიანთ შეძლების და გვარად ხალხში უანგაროდ მოქმედებ-
დნენ. მათ აქვნდათ საჭირო ქართული წიგნები და ამ წიგნებს
თავიანთ დროის გვარად ქართველთ მკითხველთათვის არ
იშურვებდნენ. იგინი ყოველთვის დახმარებას აძლევდნენ
წიგნების მოპოვების მხრით და მით ხელს უწყობდნენ ქართ-
ველთ მოზარდ ყმაწვილებს ქართული წიგნების წაკითხვასა
და შეთვისებაში. სწორეთ ივანე გვარამაძის თვალის გახილე-
ბის და გატაცების დროს გამრავლდა „ცისკრის“ გამოცე-
მაც, მას მოჰყვა „გუთნის-დედა“ და 1863 წელს „საქართვე-
ლოს მოამბე“, რომელსაც ცხადი საქმეა ივანე გვარამაძეც შე-
ხვდებოდა აქა იქ საკითხავად. ამის საფუძველს ჩვენ ის გარე-
მოებაც გვაფიქრებინებს, რადგანაც „ცისკრის“ რედაქცია და
მისი თანამშრომლები ივანე გვარამაძეს 1860 წ. გაუცვნია.

უეჭველია ეს გაცნობა მასზედ საკმარის გავლენას იქონიებდა.
მას უადვილესად დაუკავშირებდა იმ დროის ქართულ ბეჭდვი-
თი სიტყვის არსებობასთან, ე. ი. ქართულს მწერლობას, ქა-
რთველი ერის სულიერს და ხორციელს გარემოებას, მათს
მაჯის ძარღვის ცემას. ეს რომ სწორედ ასე უნდა ყოფილი-
ყოს, ამას აჭეშმარიტებს ცნობებიც, რომ ივანე გვარამაძემ
ქართულს მწიგნობრობაში 1866 წ. დაიწყო შრომა. პირვე-
ლად ამის წერილები იბეჭდებოდა გაზეთ „დროება"-ში, რო-
მელიც 1866 წ. ახლად იქმნა დაარსებული. ივანე გვარამაძე
პირველ ხანებში უმეტესად სხვა და სხვა მოკლე წერილებს
სწერდა, რაც უფრო გამოსადეგი იყო იმ დროის ახლად გა-
მოჩენილ ქართველ მკითხველთათვის და ქართულს ენაზედ ახ-
ლად დაარსებულ გაზეთისთვის.

ივანე გვარამაძე როგორც იმავ თავიდგანვე გულ მხუ-

რვალედ მისდევდა ქართული მწიგნობრობის შეთვისებას და გაცნობას, იმაზედ უფრო გულს მოდგინედ იგი სწავლობდა საქართველოს ისტორიას, მწიგნობრობას და სხვა და სხვა ბრძენ კაცთა მოღვაწეობას ქართველ გვარის სასარგებლოდ, რაც მას უფრო ასულდგმულებდა, აძლიერებდა და მომავლის სასოებითაც მოსავდა. როგორც ამ კითხვების შეთვისებაში წინაურდებოდა ეს, ამაზედ უფრო მეტად იგი აღგზნებული იყო ოსმალეთის საქართველოს ისტორიისაგანა, ქართული ენის დაკარგვის საქმეს ადრიდგანვე ეჩვეოდნენ და ეთვისებოდნენ. ნამეტურ ივანე გვარამაძეს აღელვებდნენ და აფიქრებდნენ ის ძრიელი და ურყეველი ნაშთები ქართველ ტომის ძლიერბისა, რომელნიც ჟამოთა ვითარების მეოხებით ოსმალთა მახვილს გადარჩენოდნენ. უკანასკნელ დრომდე მათ რის ვაის-ვაგლახით მოეღწიათ, მაგრამ ახლა ახალ დროთა მტერთაგან მუსვრასა და ნგრევა ქცევას მისცემოდნენ. ესეთი გარემოება ივანე გვარამაძეს ისე ადარდიანებდა, ისე აღელვებდა, რაისა გამო მან იმავ თავიდგანვე, თითქმის ახალგაზრდობიდამ მათ შესწავლასაც მოჰკიდა ხელი. დაიწყო მან სხვა და სხვა ძველი ცნობების კრება და უკანასკნელ მთელს ამ

ხსენებულს კუთხეში შთენილ ნაშთებზედ წერაც დაიწყო. მან ჩვენს ისტორიულს მწერლობაში მეტად ბევრი ძვირფასი მასალები შემოიტანა.

როგორც ვსთქვით, ივანე გვარამაძე, რამდენათაც ქართულს ენასა და მწიგნობრობაში იყო დაუცხრომელი მუშაკი და მკითხველი, არა იმაზე ნაკლებ სჩანდა სომხურს ძველს და ახალ ენის შესწავლაში, მწიგნობრობაში და ნამეტურ მათს ძველსა და ახალს ისტორიაში. სომხური ძველი და ახალი ენა, ისტორია და მწიგნობრობის ისტორია ისე ზედ მიწევნით იცის, რომ იგი იმით არც ერთს მხითარისტს არ ჩამოუვარდება. როგორც საქართველოს ძველი დროის ცნობები იცის, ქართველი ხალხის თავ გადასავალი და სხვა ასეთ ღირს შესანიშნავი ცნობები, ისევე იცის სომხეთის. უნდა ითქვას: ივანე გვარამაძე ამ ორ ერთა ისტორიის წყაროდ უნდა ჩაითვალოს, ნამეტურ ჩვენთვის, რადგანაც მან კარგად იცის ის, თუ სომხურს ძველსა და ახალს მწერლობაში სად რა არის საქართველოს და ქართველთ შესახებ დაწერილი და დაბეჭდილი. სომხურს ენაზედ საქართველოს და ქართველი ერის შესახებ დიდი ძალი ცნობებია დაბეჭდილი. მთელი მწერლობა არსებობს ჩვენ შესახებ და ჩვენ-კი მათი არსებობაც არ ვიცით. თუ რამ ვიცით, ისიც რუსულის ან ფრანგულის წყაროებით. რაც შეეხება სომხური ენის ძირეულად ცოდნას, ამისი ხომ სულ არ გაგვეგება-რა. ამ ჩვენს დიდს ნაკლს თვალსაჩინოდ ჰფარავს და ავსებს მამა ივანე გვარამაძე, რომელმაც და მართლა მშვენივრად იცის სომხური ძველი და ახალი ენა, მასთან ისტორია და მწიგნობრობა, რაის საშუალებითაც მისგან ჩვენმა ისტორიულმა მწერლობამაც ბევრი რამ ძვირფასი

განძი შეიძინა. სომხურის ენიდამ ქართულს ენაზედ ბევრი უცხო ჩვენთვის დღემდე უცნობი ცნობები გადმონერგა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ივანე გვარამაძის შესახებ, ამას არამც თუ მარტოდ მე ვამბობ, სწორედ ამავე აზრის გახლდათ დიმიტრი ბაქრაძე. ეს პირი მას ყოველთვის პატივისცემით იხსენიებდა. აქებდა იმასაც დიდათ, რონ მამა ივანემ სო-

მხური ენა იცისო, მას ჩვენს მწერლობაში ბევრი ძვირფასი ცნობები შემოაქვს და ბევრსაც შემოიტანს კიდევაო. სომხური ენის ცოდნით მან არამცთუ მარტოდ სომხური ზოგიერთი რამ წყაროების გაგვაგებინა, არამედ ოსმალურს, სპარსულ, არაბულ ძველი და ახალ მეისტორიეთა ცნობებისაც მრავალი გარდმოგვცა. ჩვენი საუბარი რომ მართალია და ჭეშმარიტი, დ. ბაქრაძე რომ ამას ყოველთვის ბრძანებდა, ეს თვით ვინმე მესხმაც კარგად იცის და ამასვე ამტკიცებენ თვით ივანე გვარამაძის ისტორიული შრომანიც.

მაგალითებრ, 1882 წ. თბილისში, მე გამოვეცი მისგან შედგენილი „მოკლე ქართლის ცხოვრება“ ახლად შედგენილი. პირველი წიგნი შეიცავს მხოლოდ ქრისტიანობის შემოტანის დრომდე საქართველოში. მეორე ნაწილი ვეღარ დავბეჭდეთ, რადგანაც პირველ ნაწილს ქართველებში მტრები გამოუჩნდენ და დროებით წიგნის გასაღებასაც შეუშალეს ხელი. პირველი წიგნი საკმარისად ვრცელი წიგნია და ჩვენს ძველ „ქართლის ცხოვრებაზედ“ ბევრად ფართო. ამ წიგნის გამოცემა ჩვენს ისტორიულს მწერლობაში დიდს განძათ ჩაითვალა, რადგანაც მასში ქართველ ერის შესახებ ბევრი ისეთი ცნობა არის შემოტანილი, რის ხსენება ჩვენ სხვა ისტორიულის წიგნებით სრულებით არ ვიცოდით-რა. ხომ იცით, თუ ჩვენი ძველი დროის ისტორია რა ძნელი რამ არის, ცნობების მხრით ღარიბი და მასთან მეტად უმნიშვნელო, თუმცა თვით ისტორიული ბანაკი მეტად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, მაგრამ საუბედუროდ იმ დროის მნიშვნელოვან მხარეთა შესახებ-კი ჩვენ ბევრი არა ვიცით-რა, არმაზის ისტორია – ქართლის და უფლის ციხის ამბავი. ეს არის სულ. ამას გარდა სხვა ცნობები სულ სიბნელის წყვდიადშია ჩანთქმული, ამიტომ ივ. გვარამაძის ისტორიას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგანაც მასში ავად თუ კარგად, მეცნიერულად, თუ არა მეცნიერულად ისეთი ცნობებია შემოკრებილთ, რაც ჩვენის დროის ისტორიისთვის სრულიად ხამად, ახლად ითვლება. დ. ბაქრაძემ როცა ნახა ეს ისტორია, ასე სთქვა: ამ წიგნ-

ში ბევრი ისეთი ღირს შესანიშნავი ცნობებია შემოკრებილი, რის ხსენება ჩვენ აქამომდე არ ვიცოდით. ასეთია მამა ივანე გვარამაძის შრომა ისტორიული ცნობების მხრით ჩვენი მწერლობის ასპარეზზედ. თუ ოდესმე ვინმე მეცნიერულს საქარ-

თველოს ისტორიას დასწერს, იმას ამ წიგნის გვერდ ავლა არ ასცდება. ის აქედამ უხვად ისარგებლებს. რასაც ნახავს, იმ მასალებს ქართულს და რუსულს წიგნებში ვერ ჰპოვებს. უმეტის ამ ცნობების შემოტანილია აღმოსავლეთის სხვა და სხვა ერთა ისტორიულის წიგნებიდამ, რა საკვირველია მხოლოდ ის რაც ქართველთ ქრისტიანობის წინა დროებას შელეხება.

ივანე გვარამაძე, როგორც საქართველოს ძველის ძველს ისტორიაშია დახელოვნებული; ისევე აღმოსავლეთის სხვა და სხვა ერთა ძველს ისტორიაშიაცა. საყურადღებოა ამის ცოდნა ქართული ძველი და ახალი სიტყვების ფორმების მხრით, მათი აწონ-დაწონვა, ერთმანერთს შედარება და მერმე მის საშვალებით ბევრით რამის ახსნა. ასეთ სიტყვებთა ახსნას თქვენ უხვად ჰპოვებთ თვით „ქართლის ცხოვრების" პირველს წიგნშიაც. ძველი დრო და ხანა, მის ერის ცხოვრება და ამბები ისე იცის, ამას იგი ისე აღწერს ხოლმე, რომ ოდესაც თქვენ მის კითხვას დაიწყებთ, ჰფიქრობთ, ასე გგონიათ თქვენც, იმ დროს სცხოვრობდეთ. ასეთი შნო აქვს მ. ივანე გვარამაძეს და ამ შნოთი ჩვენში იგი პირველობს. მე არ ვიტყვი, რომ ჩვენში მარტოდ ეს იყოს. არა, ისტორიული წერილების დამწერნი მრავალნი გვყავს, ხოლო რაც შეეხება ძველ დროსა და ხანს, ანუ ქრისტიანობის წინა დროის ამბების ანუსხვა, ეს-კი ძრიელ მცირეა და ვინც ნუსხავს, ისიც ხშირად ცნობათა სიმცირის გამო დიდს შეცდომებში ვარდება და ნათლად ვერას არკვევს.

როგორი მცოდინარეობაც მ. ი. გვარამაძეს ამ ძველს ისტორიაში აქვს, ისევე ახალ დროისაშიაც და ნამეტურ სამცხე-საათაბაგოს ისტორია ხომ მან ერთობ კარგად იცის. მესხეთში იგი იცნობს ყოველს კუთხეს, ყოველს ხეობას,

ყოველს დაბას, ქალაქს და სოფელს, მდინარეს, ღელეს, მთასა, გორაკს, ბარსა და ტყეს. იცის აგრეთვე მათი პირვანდელი სახელები, შემდეგი დრო და ამ დროის მიმდინარეობის მეოხებით მათ სახელებთა შეცვლა და ამ შეცვლის ისტორია. ბევრი რამ ამ კუთხის ნაწილების იქმნება მას თვალითაც არ უნახავს, მაგრამ რაც შეეხება მათს ცოდნასა და ისტორიას, ამაზედ-კი თამამია და ცნობებით სავსე. ეს ცნობები მას ზოგი ქართულის ძველის წიგნებიდამ უკინძავს, ზოგი მოხუცებულ მღვდელთა გარდმოცემით ურკვევია და მრავალ ალაგთა, დაბათა, მთათა და ბართა შესახებ თვისებათა, მაგრამ მეცნიერებისა და მასთან ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგართაც უნუსხავს და უმარტავს. რაც დასავლეთ საქართველოს ნაწილი ოსმალეთმა დაიკავა, მას შემდეგ იქ ქართველთ მეისტორიეთა და მკვლევართა რიცხვი ისე მოისპო, ისე გაქრა, რომ მის მერმე ივანე გვარამაძემდისინ სხვა არავინ გამოსულა. 1600 წლიდამ 1870 წლამდე არავინ იყო. ივ. გვარამაძე პირველია. იგი პირველია ისტორიულ მწერალთა რიცხვში სათვალავის

მხრით და პირველია აგრეთვე ისტორიულის ცნობების სიუ-
ხვით ცოდნაში. რაც ამ მხრით მან სამსახური გაგვიწია, უნ-
და მოგახსენოთ, რომ იგი სხვისაგან შეუძლებელი იყო და
არც არავის რამ უქმნია. სად მესხეთში დაბადებული კაცის
საქმე, ცოდნა და მოქმედება და სად უცხოს კუთხიდგან მო-
სულის მკვლევარის.

როგორის ცოდნისაც მ. ი. გვარამამე მესხეთის ძველის
დროის ადგილ მდებარეობათა ცნობებშია, ისეთივეა ახალ
დროის ცნობებშიაც. ქრისტიანობის შემდეგ დრომდე მან
კარგად იცის ყველაფრის ცნობები, რაც-კი მესხეთს შეეხება.
მან კარგად იცის ყველა შესანიშნავ ნაშთების აღშენების
ცნობანი, მაგალითებრ სხვა და სხვა დაბათა, ქალაქთა და
სოფელთა დაარსება, სხვა და სხვა ციხეების აღშენება, კოშ-
კებისა, ხიდებისა, ბოგირებისა, ძველის დარნებისა, რომლის
ცნობა ჩვენ არ ვიცოდით, სამალავებისა, აკლდამების, სენაკე-
ბის, მდევთა საბმელების და მრავალიც სხვა ასეთ სახსოვარ-

თა, რაც მესხეთში ერთობ ხშირია, ერთობ მრავალი, ხოლო
ჩვენთვის-კი უცნობია, რადგანაც ოსმალთა უფლებამ მის
ცოდნის ცნობები უჩუმრად დაამხო და მოსპო. მოსპო რო-
გორც ერში გადმოცემით, ისევე აქა იქ ძველს წიგნებშიაც.
ასე მოახერხა ოსმალოს ფანატიკურმა მახვილმა და დასავლეთ
საქართველოში ყოველივე აღგავა, მოსპო და მოცელა, მად-
ლობა ღმერთს, რომ ამ მხარეს ადრიდგანვე ქართველ კათო-
ლიკეთ მოძღვართ მიაქციეს ყურადღება და ისინი ინიშნავდენ
სხვა და სხვა ისტორიულს ცნობებს და მერე იგი მწერლობა-
შიაც გადაჰქონდათ. ამის მაგალითია ივ. გვარამაძეც.

საყურადღებოა აგრეთვე ამ პირის ცოდნა სხვა და სხვა
ძველი ნაშთების კვლევაშიაც. მაგალითებრ მან მეტად კარ-
გად და ზედ მიწევნით იცის მთელის მესხეთის ძველის ნაშ-
თების ისტორია, იცის ყოველი დიდი ტაძრის ისტორია და
მის მაშენებელთა ცხოვრების ცნობები. იცის ისიც კარგად,
თუ ამ ქრისტიანულმა ნაშთებმა მტერთა თავდასხმისაგან რო-
დის რა რყევა და გაცარცვა მიიღეს, როდის რა უბედურება
შეემთხვა, სად რა ქენჯნა, ოხრება და ქარიშხალები გარდახ-
დათ თავზედ, სად რა ნაშთი მოისპო და სად რა დაშთა.
კარგად იცის ყველა ამ ძველ ტაძრების გვერდით ძველ ქარ-
თულ სასწავლებელთ ისტორია, მასში მყოფ ქართველთ მსწა-
ვლულ მამათა ცნობები, მასწავლებელთა მხნეობა, ქართველ
მწერალთა შრომა სამწერლო ასპარეზზედ, ბევრი რამ ძველი,
წიგნების გადაწერა, აღდგენა, შემუშავება და შევსება, რაც
კი ხსენებული კუთხის ძველს ტაძრებში და მის სასწავლებ-
ლებში ერთობ ხშირი იყო და მასთან მრავალი. გარდა ასეთ
ცნობებისა მ. ი. გვარამაძემ იცის აგრეთვე ის გარემოებაც
კარგად თუ მესხეთს როდის ვისთან როგორი გაწყობა ჰქო-
ნდა სარწმუნოებრივის და სახელმწიფო საქმეების გამო.

გარდა ასეთ ცნობათა, მ. ი. გვარამაძე არც ნუმიზმატი-

კურს მხარეებშია უკან ჩამორჩენილი. მან მშვენივრად იცის როგორც ქართული ნუმიზმიტიკა, ისევე უცხოელებისა. მას აქვნდა ადრიდგანვე შეკრებილი ძრიელ ბევრი ძველი ქართუ-

ლი ფულები. ამ ფულებში ბევრი მეტად ძველის ძველი ფულებიც ერივნენ. ამ ძველი ფულების გამო 1881 წ. მასთან გიახლათ 1881 წ. თბილისში მომხდარ საზოგადო მეხუთე არქეოლოგიური კრების თავს მჯდომარეც, რომელიც ქართულ ნუმიზმატიკსაც მისდევდა. ამ პირმა მ. ი. გვარამაძისაგან დიდად ისარგებლა. ეს პირი გახლდათ გენერალ კამაროვი, დღეს ხივის უფროსი მთავარ სარდალი, მცოდნე აღმოსავლეთის ერთა ისტორიის და ნამეტურ ქართულის ნუმიზმატიკისა. ეს პირი მასთან რამდენსამე დღეს იყო სოფ. ხიზაბავრას. აქა იქ იმგზავრეს კიდეც და ზოგი რამ ძველი ნაშთებიც ნახეს. ეს გენერალი გაკვირვებული დაშთა მ. ი. გვარამაძის მხნეობით, ძველის ნაშთების კრებით და გამოკვლევით. მართლაცა და მ. ი. გვარამაძეს ძრიელ ბევრი ნაშთები აქვს შეკრებილნი, ძველი ქართული ფულები, წიგნები, სხვა და სხვა ძველი ბეჭდები, ჯვრები, გულსაკიდნი, კრიელოსანნი, სხვა და სხვა გაქვავებული კაცის სხეულის ნაწილები, გული, ძვლები, გაქვავებული ძველი სხვა და სხვა მწერები და ცხოველები, წარმოუდგენი დხ ხელშეუხებელი ძველი დაძინებული საუნჯენი, ძვირფასი განძეულობა ანტროპოლოგიოსათვის და ვინ იცის რამდენი რა გინდა რა. ბევრი მასში დიდათ იშვიათი, ძვირფასი განძებიც ურევიან, ჩვენ ისტორიისაათვის ანტიკათ ჩაითვლებიან. დღესაც იმავე ხალისით აგროვებს ასეთ ძველს განძეულობას, როგორც ამას იგი ადრე, ანუ ახალგაზდობიდამ დაწყობილი დროთა ხანში შესვლამდე ჰკრებდა.

მეტად დაუზარებელი პირია, შრომის მოყვარე, საგვარტომო საქმეებისთვის მსხვერპლი, ძველადგანვე დაწყობილი. იგი ყოველ ზაფხულობით მოგზავრობდა მთელს სამესხეთოში. აქა იქ სინჯავდა ძველს ტაძრებს. ტაძრებში ათვალიერებდა მხატვრობას, სწავლობდა მხატვრობის ოსტატობას და ყველა მას თავისთვის ინუსხავდა, იხსომებდა. ამას გარდა დიდს ყურადღებას აქცევდა ტაძრების წარწერას, ჩუქურთმებს და ბევრსაც სხვა და სხვა ღირს შესანიშნავს სახსოვრებს. სა-

დაც-კი რამე საყურადღებო წარწერებს ხედავდა, ყველა მას დიდის სიფრთხილით და დაწვრილებით ახსნას უწყობდა. ამის ძალა შეწევდა მას, რადგანაც მან ხუცური წერა-კი თხვაც მშვენივრად იცის. ძნელად რომ მას სადმე ძველი რამე ხუცური ნაწერი წაუკითხავი დაუშთეს. მისი შორს მჭრელი თვალი ყველა საუკუნის ნაწერს დიდის სიმარტივით არკვევს და კითხულობს. ბევრი ძველი გაურკვეველი წარწერა გაურ-

კვევია მას. ბევრი ისეთი ნაწერი აუხსნია, რომლის გაგება სხვებს სულ ვერ შესძლებიათ. ხუცურსა და მხედრულსაც როგორც კარგად კითხულობს, ისევე მშვენივრად სწერავს. ხუ-ცურს ისე სწერს, რომ სწორეთ ხატავს. ბევრი ვერ შეედრება ამის ნიჭით მას. ვინც-კი ამის ქართულს ნაწერს ნახავს, ის უსათუოდ სიამოვნებით დაუწყებს მას მზერას და სინჯვას. ბევრი ძრიელ ბევრი წარწერები აქვს მას გადაღებული. უმე-ტესი ნაწილი დაუბეჭდავია, ზოგი დაბეჭდილები აქვს. ქარ-თული ენა და ლაპარაკიც კარგად იცის. ენას მცირედ პრო-ვინციალიზმი ჰფლობს, მაგრამ ამით იგი არ დაიწუნება. ნა-ცვლად ამის მისი ენა მდიდარია სხვა და სხვა ქართულის ტე-რმინებით. მის ნაწერებში კაცი ბევრს ისეთ სახელებს ჰპო-ვებს, რასაც სხვაგან ამ გვარს არას შეხვდება. ბევრში იგი ისეთ მესხურს სახელებს ხმარობს, რაც მხოლოდ ოდესმე იხმარე-ბოდა მესხ-კლარჯთ ქართულ მწერლებთაგან და შემდეგ-კი აღარ ხმარებულა. ბევრი ძვირფასი და ხელს საგოგმანებელი ქართული ტერმინები შემოიტანა ჩვენს მწერლობაში. თბი-ლისში რომ ქართული ტერმინოლოგიური კრება შესდგა და კრებამ შრომა რომ დაიწყო, კრების დაარსებას იგი დიდის სიამოვნებით მიეგება და მე მოწერა დიდი თანაგრძნობის წე-რილი და სურვილი კრებაში შორიდამ მონაწილეობის მიღე-ბით, რასაკვირველია ტერმინების მოწოდებით.

ხალხის განვითარების საქმეშიაც მ. ი. გვარამაძეს პირ-ველი ადგილი უჭერია და იგი ყოველ თავის ძალ ღონით სულ სკოლების ნატვრას ჰღაღადებს, სასწავლებლების დახ.-სნას არა მარტო ვაჟებისთვის, არამედ ქალებისთვისაც. ერთის

წვრილით: 1883 წ. დიდს სიხარულს მწერს, რომ იქნება ხი-ზაბავრაში ქალების სკოლაც გაგვეხსნას, რადგანაც ჩვენი სო-ფლის მასწავლებელი ცოლს ირთავს და გვპირდება, რომ ჩე-მი მეუღლეც ქალებს მიიღებს სკოლაში და ასწავლისო. ღმე-რთმა ქნასო. ქართველ კათოლიკეთ განვითარების და მათში ქართული ენის აღორძინების საქმე მას მიაჩნდა და მიაჩნია კიდეც უმთავრეს ძალად, უმთავრეს სახსრად. მესხელ-ჯავა-ხელ ქართველ კათოლიკეთ დაწინაურება მისის აზრით არის მთელის სამესხეთოს ქართველთ შორის ქართული ენის მოფე-ნა, აღდგენა და გამრავლება, რათა ამ მივიწყებულს და და-ქვეითებულს ქართველებში ქართული ენა კვალად გახმაურ-დეს, თავისი წილი მხვედრი მიიღოს. აქ მესხეთსა და ჯავა-ხეთში ქართული ენა უნდა გამეფდეს, რადგანაც აქაური ერ-ის ენა და აკვანი ეს ენა იყო, ხოლო ჟამთა ვითარების მეო-ხებით დღეს ეს ენა დაქვეითებული აქვთ და მრავალს ალა-გას რყევას არს მიცემული და მის მაგიერ სხვა ენა იდგავს ფეხსაო. ეს გარემოება დიდათ ადარდებდა მ. ი. გვარამაძეს. სულ ამაზედ სწერდა და დარდობდა, სულ ამაზედ სჩივოდა და გოდებდა. ამ უბედურების მალამოდ მას ქართველ გვარის ხალხთ შორის მხოლოდ განათლება მიაჩნდა, სასწავლებლების

დახსნა, ქალსა და კაცში ქართული წერა-კითხვის გავრცელება, ქართული წიგნების მოფენა, შეგნება და ენით ქადაგება.

დიახ მ. ი. გვარამაძეს ერში კეთილი ქართველური აზრების მოსაფენად და აღსადგენად სწავლა და განათლების და წიგნების ვრცელების გარდა ენით ქადაგებაც მიაჩნდა, ამასაც დიდს მნიშვნელობას აძლევდა და მიტომაც იყო, რომ მთელს თავის მღვდელ მოქმედებითი სამსახურს სულ ქადაგებით ატარებდა და დღესაც ისევე ქადაგებით ატარებს. ქადაგების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს: მე მ. ი. გვარამაძის ქადაგებას ეკკლესიებში ხშირად დავსწრებივარ და უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველთვის სიამოვნებით დავშთენილვარ. იგი ქადაგებს მრავალნაირად და მრავალფეროვნად, სამღრთო საუბარს გა-

რეშე სამოქალაქო კითხვებსაც ეხება. მისი ქადაგების დედა აზრები ყოველთვის მოქალაქური მიმართულების წინაშე ტრიალებს, ყოველთვის მას დასტრფის და დაფრინავს გარს. გარდა ამისა ისე ქადაგებას არ დაიწყებს და არ დაამთავრებს, რომ იქ მან საქართველოზედ და ქართველებზედ არა სთქვასრა. ყოველთვის და ყოველგან მისი ქადაგებანი როგორც აღვსილნი არიან მოქალაქობით, ისევე მამულის შვილობით და საქართველოს სიყვარულით. იგი ყველა ქართველს თამამად ავალებს, რომ ის მტკიცე მამლის შვილი იყოს, საქართველოს სიყვარულით აღფრთოვანებული და მისთვის ზვარაკად განწირულიო. საქართველოს სიყვარული და მამულის შვილობა ამას ითხოვს საყოველთაოთაო. ეს მცნება ყველა ქართველს გაღვიებული და განღვიძებული უნდა ჰქონდეს გონებაშიო. უამისოდ ვერც ერთი ქართველი ვერ იმოქალაქებს და ვერც იქართველებსო. იგი მოესხლიტება ყოველს ნაირს ადამიანობას და პატივისცემასო.

რასაც ეს მოძღვარი ეკკლესიაში, წირვა-ლოოვის დროს ქადაგებს და ღაღადებს, იგივეა თითქმის მრევლშიაც და არსად და არას დროს ისე რამე წვეულება, ნადიმი და პურ-მარილი არ გათავდება, რომ იქ მამა ივანე გვარამაძემ თავის ბრწყინვალე კილოანის ენით რამე სიტყვა არ წარმოსთქვას და მით მსმენელთა გულსა და სულშიაც არ ჩასჭრას. იგი როგორც ეკკლესიაში, ეკკლესიას კათედრიდამ, ისეგე მრევლში ყოველთვის დიდის მჭერმეტყველობით ჰქუხს და მღელვარებს. მისი ქადაგება ყოველთვის იზიდავს მსმენელთა რიცხვის ყოველს სიტყვას, ყოველს წინადადებას მსმენელის გულში რაღაც უქრობელი ლამპარის სხივები შეაქვს. საქართველოსადმი სიყვარული და მრავალიც სხვა ამ გვარი თვისებანი და მიდრეკილებანი მიტომაც არის, რომ სადაც-კი მამა ივანე ჰქადაგებს ხოლმე, იმ ეკკლესიაში დიდი ძალი მრევლი იკრეფს თავსა და ქართველ კათოლიკებს გარდა სხვანიც მრავლად და ხშირად მიდიან ყურის დასაგდებათ და მოსასმენათ.

– 27 –

მამა ივ. გვარამაძის ქადაგება და სიტყვები ყოველთვის დიდს ზე გავლენას ახდენს მსმენელებზედ. იგი ჰქადაგებს მოურიდებლივ, პირ უთვნელად, სიმართლით და ჭეშმარიტებით. ყოველი სიტყვა მისის ქადაგებისა გამსჭვალულია მაღალის ადამიანობით, დიდის სიბრალულით, კაცთ მოყვარეობით და ურთი ერთ პატივის ცემით, მაგრამ ყველაზედ უფრო საყურადღებო სანუკარ მხარეთ მისი სიბრალულია საყურადღებოთ. იგი შემბრალეა ყველასი, ყველა საწყლისა, გვემულ მოხუცისა და ღატაკ ოჯახისა. აღარ იცის, რა ქმნას და რითი დაეხმაროს იმ დროს, როცა იგი საწყალს და ღატაკს ადაამიანს ნახავს. მისი ქადაგება ყველა მსმენელისათვის სახელმძღვანელოდ უნდა გახდეს. ვისაც სურს, რომ დედამიწაზედ იცხოვროს და თან თავის შემძლებლობით მხოლოდ კეთილის მთესველი და ჭეშმარიტების პატივისმცემელი იყოს, იმან თავის დევიზათ ცხოვრებაში მხოლოდ შეუძლო ხალხის დახმარება უნდა გაიხადოს საქმედ, მხოლოდ მას უნდა მიეცეს მფარველად, მას უნდა ემსახუროს და ყველგან და ყოველთვის საწყალის და შეუძლო ადამიანის მფარველად უნდა იქმნეს დანიშნული. უამისოდ ყველაფერი უბრალოა. ვერც კაცი იკაცებს და ვერც ადამიანის დიდი ღირსება იდღესასწავლებს. ეს არის მხოლოდ პატიოსანი კაცის ვალი. ამას უნდა უმზერდეს ყოველი ქართველი, ყოველი მამულის შვილი და ის თავგადადებით უნდა იღვწოდეს თავის თანამემამულე ღატაკთათვის, რათა მათში შეწუხებულთ ღატაკთა, მთხოვნელთა, ვრდომილთა და ოხერთა რიცხვი ერთობ მცირე იყოს, ერთობ მოცილებულნი დიდს სიღატაკეს, კაცის გულის და სულის გამომრღვნელს ბოგანობას და მწარე ტანჯვას. ამის წინააღმდეგ მებრძოლად უნდა გამოვიდეს ყოველი მეტყველი მოქალაქე, ბრძენი ქართველი, მამულის შვილი და განათლებული კაცი. ვინც ამის წინააღმდეგ არ იღვწის, ის რაც გინდ დიდი, ძლიერი მეცნიერი კაცი გახლდესთ, ის უამისოდ არა იქნება რა, უბრალო ჩონჩხი. აი ასეთ მიმართულებას ადგა ვინმე მესხი გვარამაძე თავის ქადაგებაში და ამასვე ავალებს ყველა ქართველს მუდარებით.

– 28 –

როგორც ქადაგებაში, ისევე მწიგნობრობაში, მამა ი. გვარამაძე დახელოვნებულ პირათ ითვლება. მან თითქმის პატარაობიდგან შეისწავლა ყველა საჭირო მეცნიერებანი და ყველა ამ შესწავლილ საგნებთ და კითხვებთა შესახებ სხვა და სხვა წიგნების წერასაც შეუდგა და სწერა კიდეც. მან შეადგინა მრავალი საჭირო წიგნაკები, რომელნიც თავიანთის შინაგან ცნობებით და ღირსებით ცხადათ მოწმობენ მ. ი. გვარამაძის ღირსებას და შემძლებლობას. ჩვენ აქ ამის შესახებ ძრიელ შორს არ წავალთ და ვიტყვით იმას, რომ დაუ-

ღალავმა მშრომელმა და მოღვაწემ ერთობ დაუცხრომელად იმოღვაწა და იმუშაკა. მან ადრიდგანვე მიჰყო ხელი ქართულს ენაზედ სხვა და სხვა საჭირო წიგნების გადმოთარგმნას და წერასა. ვინმე მესხი როგორც ქადაგებასა და თარგმნაშია მოხერხებული, ისეთივეა სხვა და სხვა საკუთარ ნაწარმოებთა წერაში. მაგალითებრ 1885 წლამდე ამან სწერა და მოამზადა ისეთი წიგნაკები, რაც იმის ასეთ ღირსებას უტყუვრად ამტკიცებენ. აი ესეც მისგან ნაწერი, ნათარგმნი და გადმოკეთებული წიგნები:

„ქართლის ცხოვრება“ I წიგნი, რომელზედაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და მიტომ აქ აღარ ვილაპარაკებთ.

„ლექსიკონი ფრანგულიდამ ქართულად“ გამოცემული პარისის აკადემიისაგან.

ფრანგულ, ლათინურ და იტალიური ენების შესახებ ვიტყვით, რომ თუმცა მამა გვარამაძეს დიდი თეორიული განვითარება და მომზადება არა აქვს, მაგრამ პრაქტიკულად ეგოდენათ მომზადებულია ხსენებულს ენებში, რომ მას თავისუფლად შეუძლია, წერა, თარგმანი და განმარტება, მიტომაც არის ხოლმე, რომ მის ნაწერებში ფრანგულსა და ლათინურს სიტყვებს ხშირად ვხედავთ ხოლმე.

„სადღესასწაულონი“, რომელშიაც შეკრებულია მთელი საწინასწარმეტყველონი სახარება-სამოციქულოსი მთელი წლის, გასაგონ ენაზედ დაწერილი, ვრცელი ტომია. დაუბეჭდავათ დაშთა.

„წყალ-რღვნა“ პოემა, დაბადების ცხოვრებიდამ გამოკრებილი. ვრცელი პოემა იყო, თექვსმეტ მარცვლოვანი ლექსით იყო ნაწერი და ზომით „ვეფხვის ტყაოსანზედ" უფრო ფართო გამოვიდოდა. დამწერს ხელთ ნაწერი დაეკარგა.

„ადამის ცხოვრება“ პოემა. არ არის დაბეჭდილი.

„ლუტერის და კალვინიზმის“ დარღვევა, დაუბეჭდავია, საკმარისი ხელთ-ნაწერია. დაწერის დროს უცხოელ მწერლებთაგანაც უხელმძღვანლია.

„სარწმუნოებისათვის ჩასაგონებელი და ატეისტათდმი ბჭობა“ შედგენილის სემურისაგან თარგმანი.

„ძველი ღმერთი“ წერილი დაიბეჭდა „კვალში". ნაპოლეონს შეეხება.

„ახალი ღმერთი“ დღემდე დაუბეჭდავია.

„ეკკლესიის ცხოვრება“ დაუბეჭდავია დღემდე.

„წმინდა ესტატეს ცხოვრება“ ანუ წამებულთა გვირგვინი. დაბეჭდილი კონსტანტინეპოლს 1878 წ.

„ვრცელი დაბადება“ ორ ტომად გარკვეულის ენით დაწერილი, გადმოცემით შედგენილი, რომელიც 700 გვერდზედ მეტს შეიცავს. საინტერესოა თავისებურის არგინალურის ცნობებით.

„საქრისტიანო მოძღვრება“ შემოკლებული, რომის კათოლიკეთაგან XVIII საუკ. ხოლო განმეორებით ახლად და-

წერილი.

„ჯვარის გზა“ პროზით, დაუბეჭდავიაᲐ

„სახელმძღვანელო სამესხეთოს ერთა“ მარად საგონებელი, ავ-კარგის გარჩევაზედ, ისტორიული წერილი. დღემდე დაუბეჭდავი.

„საქრისტიანო მოძღვრება“ მეორედ დაბეჭდილი კონსტანტინეპოლს 1880 წ. საქართველოს რომის ქართველ კათოლიკეთათვის.

„ფილოსოფია საღმრთო“ შემოკლებული, სომხურიდამ თარგმანი.

„რიტორიკა“ შემოკლებული, სომხურის ენიდამ თარგმანი.

„გრიგოლ პაპის მოძღვრებანი“ სასულიერო პირთა სახელმძღვანელოდ.

„ლურდის მღვთის მშობლის მოთხრობა“ დაუბეჭდავი.

„დარიგება და წრუთვნა“ საუკუნო ცხოვრებისა, რეტორიკებრივი.

„მიხეილ გობრონი ცხოვრება“ ანუ მიხეილ ახალციხელის ისტორიული პოემა, დაბეჭდილი თბილისში 1896 წ.

„წმინდა ნინო“ და მისი დროის ღირს შესანიშნავი ცნობანი, დაბეჭდილი.

„ყვავილის კონა“ ანუ რჩეული ლექსები, ყრმათათვის, კონსტანტინეპოლი 1877 წელს. უმეტესი ნაწილი აქ ამის საკუთარი ლექსებია.

„არქეოლოგიური მოგზაურობა“ სამესხეთოში, დასტამბულია „მწყემსში“.

„ისტორიული წერილები“ სამესხეთოს სოფლების შესახებ, დასტამბულია „კრებულში".

„სამეურნეო მუშაკობა“ ძველს საქართველოში და სხვა წერილები, დასტამბულია „ცნობის ფურცელში".

„მაჰმადის სწავლის დარღვევა“ დაწერილი მარტივის გასაგონის ქართულის ენით, გასაგონია ყველასთვის.

„წინამძღვარი ზეცისა“, თარგმანი სომხურის ენიდამ და დაბეჭდილი კონსტანტინეპოლს 1880 წ. კარგის ქართულის ენით არის ნაწერი.

„გზა ცხოვრებისა“ ანუ ქადაგებანი, გერმანელის მქადაგებლის ალფონს ლუგორისა, გერმანულიდამ სომხურად თარგმნილი და სომხურიდამ ქართულად გადმოღებული მდაბიურის გასაგონის ენით. ვრცელი ტომია. დასტამბული კონსტანტინეპოლს 1879 წ.

„სიბრძნე კაცებრივი“ ფილოსოფიური დარიგება და სჯა-თარგმანი სომხურის ენიდამ, დასტამბული კონსტანტინეპოლს 1879 წ.

„ცხოვრება წმინდა ალიოზ ქონზაქისა“ დაუბეჭდავი.

„ვარდის კონა“ კავკასიის ვიზიტატორის სადღესასწაულოდ შედგენილი. დაუბეჭდავია.

„წმიდა ლუდოვიკო როდორიკის ორი წიგნი“ დაუბეჭდავი. შედგენილი და არა თარგმანი, როგორც ეს აქამომდე მეგონა.

„წვრილი ლექსები“, ძრიელ მრავალი სხვა და სხვა დროს დაწერილი. ზოგი დაბეჭდილია, მრავალნი დაუბეჭდავად არიან დაშთენილნი.

„ისტორიული პოემები“ საქართველოს ისტორიიდამ ძრიელ მრავალი.

„მშობლების დარიგება და შვილების აღზრდა“ პროზათ, დაბეჭდილი, 1896 წ. ნახევარი ამ წიგნისა გადადებულ იქმნა ცხეთის ტაძრის განსაახლებლად.

„მისიონარული წყარო“ დაუბეჭდავია.

„საზოგადო გეოგრაფია“ სადაც საქართველოც არის ვრცლად აღწერილი. დაბეჭდილი კონსტანტინეპოლს 1881 წელს.

„სხვა და სხვა ისტორიული წერილები“ შესახებ მესხეთის, ჯავახეთის და ზოგი რამ ძველი ნაშთების შესახებ და სტამბული გაზეთ „დროებაში“ და „ივერიაში“.

„საპოლემიკო წერილები“ ისტორიულის შინაარსის, რასაკვირველია საქართველოს შესახებ, დასტამბოლია „დროებასა“ და „ივერიაში“.

„მეურნეობა ძველ საქართველოში“ დაბეჭდილია გაზ. „ცისკარში“.

„მშაკის“ მზა პასუხი წიგნაკათ დასტამბულია 1880 წ. კონსტანტინეპოლს.

„სომეხთა პასუხი“ დასტამბულია „დროებასა" და „ივერიაში".

„ახალციხური ფელეტონები“ დასტამბულია 1877-88 წ. „დროებაში“. ბევრი საინტერესო, მეტად ძვირფას ცნობებს გარდმოგვცემს ამ წერილებით.

ჩვენ აქ მოვიხსენეთ მარტოთ ის წიგნები და წერილები, რომლებიც ჩვენ ვიცით, ან გვინახავს და ან წაგვიკითხავს. ბევრი რამ წერილებისა ჩვენ არ ვიცით და არც გვინახავს. უმეტესი ნაწილი წიგნებისა და წერილების წერა შეიძლება თვით ივ. გვარამაძესაც არ ახსოვს, რადგანაც მათ დაწერის შემდეგ ერთობ დიდი ხანი გასულა და მათი შეუძლებლობის გამო დაბეჭვდაც არ ღირსებიათ, ეს ჩვენ კარგათ ვიცით. ჩვენი საუბარი პირნათლად შეეხება იმას, რომ რამე გვეთქვა ი. გვარამაძის დაუცხრომელ შრომის შესახებ. აქ მცირეთ ვისაუბრეთ კიდეც და ზოგი რამ მის შრომის ცნობებიც მოვიყვანეთ, რომელნიც ცხადათ მოწმობენ ივ. გვარამაძის შრომას, მის სიყვარულს, ჯაფის ატანას და მის შემძლებლობას. ჩვენ აქ ამ შრომათა შინაგან ღირსებას არ შევეხებით, ეს ჩე-

მთვის საჭირო არ არის. მე მინდა მხოლოდ მეჩვენებინა ზოგი რამ ცნობა ამ დაუღალავი მოძღვრის შესახებ და ცხადი საქმეა, რომ მკითხველი ამ მოთვლილ წიგნებიდამაც კარგად შეიტყობს მის შრომის მოყვარეობას და მწიგნობრობის ლტოლვას.

მ. ივ. გვარამაძე თავის დროის კაცია და ამიტომ მას ნურვინ უკიჟინებს, რომ მას ბევრი ურგები წერილებიც უწერიაო. ჩვენ ისეთი წყალ წაღებულები ვიყავით, რომ მისგან ესეც დიდ საქმედ ჩაითვლება. ან ამის მადლობელი ვინ არის. ვინ რითი აფასებს ქართველემში ასეთ კაცს, არავინ. ერთადერთი ჩვენი აკაკია, რომელიც ყველა ასეთ მშრომლებს ახალისებს და ასულდგმულებს.

რაც შეეხება მამა ივანეს ქადაგებას, უნდა ითქვას, რომ ყველა ამის ქადაგებანი ერთად შეიკრიბოს, იგი რამდენიმე ტომი გამოვა და მასში ბევრი თვალმარგალიტი ქადაგებაც მოექცევა. სწორეთ ცოდვაც იქნება რომ ასეთ მჭერმეტყველ მოძღვრის ქადაგებანი ერთად არ შეიკრიბოს, ოდესმე ცალკე წიგნად არ დაისტამბოს. ყველაზე საუკეთესო ცხოვრების სარკეთ ეს მისი ქადაგება ჩაითვლება, სადაც მ. ივანე გვარამაძე. ნათლად გამოჩნდება. იმიდამ ჩვენ კარგათ შევიტყობთ, თუ

მამა ივანე რა ენერგიის კაცი ყოფილა, რა მიმართულებისა, რა გვარი შეხედულება ჰქონია საქართვლოს ძველსა და ახალს მდგომარეობაზედ, ცხოვრებაზედ, მწერლობაზედ, მწერლებზედ და სხვანი, რომლის ბევრი რამ ცნობების გაგება და შეტყობა ჩვენ მის სხვა წიგნემიდამ სრულებით ვერ შეგვეძლება. ეს ქადაგებანი სარკეა მისი, სადაც კარგად და ნათლადაც გამოჩნდება მ. ივ. გვარამაძე. საჭიროა, რომ ამას თვით მოძღვარმა მაინც მიაქციოს ყურადღება და ყველა თავის ქადაგებანი ერთად აკინძოს.

ყველაზედ უფრო საყურადღებო შრომა მამა ივანე გვარამაძისა არის „ისტორიული ქრონიკები“, რომელიც საკმარისად ვრცელი წერილია. იგი დაიბეჭდა 1878 წ. და 1879 წ. გაზეთ „დროება“-ში ფელეტონებათ. ამ ქრონიკებით ივ. გვარამაძემ ქართველ საზოგადოებას ბევრი რამ გააცნო მესხეთის წარსულის და აწმყოს შესახებ, გააცნო ოსმალთაგან საქართველოს დაპყრობა, იქ ქრისტიანობის დაცემა და ქართველობაში ისლამის გავრცელება, ათაბაგების გათათრება, მათი გვარის ფაშები და მათივე შთამომავალნი სხვა და სხვა შემთხვევები და დევნილებანი ქართველებზედ, XVII საუკუნე და მესხეთში მომხდარი ამბები და ქრისტიანთ დევნილება, სხვა და სხვა სამწუხარო ცნობები, მეფე ერეკლეს კავშირი ოსმალებთან, ლეკების დაკავშირება ახალციხის ფაშებთან და შეერთებულის ძალით ქართველთ წინააღმდეგ ბრძოლა და მათგან ტყვეების ტაცვა და სყიდვა, ქრისტიანთ მფარველთ ქართველთ ღვწა და შრომა ოსმალოს მთავრობის წინაშე, ქართველ კათოლიკენი და მათი მდგომარეობა, მათი სამღვდე-

ლოება და ზოგიერთ მოძღვართა ღწვა ოსმალთა მთავრობის წინაშე ქართველ გვარის სასარგებლოთ. თუ სად როდის მესხეთსა და ჯავახეთში სად რამდენი გვარის კათოლიკობა იყო, იგინი აქედან სად წავიდნენ, სად სახლდებოდენ სხვაგან. მოგვითხრობს, რომ XVIII საუკუნეში, მარტოდ კონსტანტინეპოლს, 15000 კომლი ქართველთ კათოლიკნი იყვნენო. დღეს კი იქ ამდენ ქართველთ შთამომავალთ ხსენებაც აღარ არის,

სულ გასომხდენ, ე. ი. სომეხ კათოლიკებს დაუკავშირდენ და მით ქართული ენაც დაკარგესო.

გარდა ასეთის ცნობების, მოყვანილია ზოგიერთი ლექსები როგორც დაღისტნის ბელადების შესახებ, რომელ ბელადებსაც-კი XVIII საუკუნის დამლევს ქართველებთან ომი ჰქონდათ და ეს ბელადნი და ფაშები როგორ სძლიეს ქართველთა. მოყვანილია ქართველთ ფაშების მტრობაც, მათი მითქმა-მოთქმა და საქართველოს მტრობა. საყურადღებოა იმ ქრისტიანთ ქართველთა აღწერაც, რომელთაც უკანასკნელ დროებში იქ უცხოვრიათ და საიდუმლოთ ქართული ენის, საქართველოს მეფის და ქრისტიანობისთვისაც ჩუმად უმსახურნიათ. საქებია აგრეთვე მამა გვარამაძე მითაც, რომ „ისტორიულს ქრონიკაში" აქა იქ ქართველ კათოლიკეთ მოძღვართ ცნობებსაც შეხვდებით. ბევრი რამ საყურადღებო მასალებია ამ წერილში ანუსხული და უნდა ითქვას, რომ უმეტესი ნაწილი სულ ახლად არის შევსებული და აკინძული, რომელნიც რასაკვირველია ჩვენს მწერლობაში უმნიშვნელოდ არ დაშთებიან. მას ყოველთვის ეყოლება მკითხველი. ნამეტურ მესხეთის შესახებ თუ ვინმემ რამე დასწერა, ის უამისოდ ვერაფერს გააწყობს, მ. ი. გვარამაძის შრომა საკმარის შეღავათს მისცემს, კვალს კარგად გააგნებინებს. ვიტყვით, რომ მესხეთის ისტორია ჩვენთვის XVII საუკუნიდამ არის საჭირო რომ კარგად ვიცოდეთ, რა მდგომარეობაში იყო ქართველი ხალხი მის შემდეგ, რაც იქ ოსმალთა გამგეობა გაბატონდა და ქართველების ყველაფერი წესები მოიშალა. საქმე ეს ხანა და ისტორია, ამისი არა ვიცით რა, თორემ წინა დროების და 1827 წლის შემდეგიდამ არა უშავს რა. ბევრი რამ ავნუსხეთ,დავწერეთ, რაშიაც ქართველ კათოლიკეთ მოძღვართაც უნდა დაუმადლოთ. საქმე ის არის, რომ 1630 წლიდამ 1820 წლებამდე არ ვიცით, თუ მანამდე იქ რა ამბები იყო ქართველთ თავზედ, სად ვინ რა ტანჯვა და მახვილი მიიღო ოსმალთაგან. ამ წლების განმავლობაში დაეცა ნახევარი საქართველო, ამ ხნის განმავლობაში მოისპო ქართული

ენა, ქართველთ ნაშთები და ხსოვნა და რასაკვირველია ეს ხანა არის საჭირო და საყურადღებო. ყველა ამაების შესახებ მ. ი. გვარამაძის ისტორიული ქრონიკები დაწვრილებით თუ

არა, გაკვრით მაინც იძლევა ცნობებს.

ბევრი სამაგალითო საქმეები უკეთებია ჩვენში მამა ივანე გვარამაძეს. ბევრი რამ საყურადღებო და თან სამარადისოდ არ დასავიწყებელნი და სწორედ ასეთ პატივსაცემ საქმედ ითვლება ქართველ კათოლიკეთ კითხვის შესახებ ცდა და შრომა, რაც-კი ამ მოძღვარს მის წინაშე მიუძღვის. ქართველ კათოლიკეთა შესახებ შრომის მხრით ეს პირველი გახლავსთ, ამას ტოლი არა ჰყავს. მართალია პ. ხარისჭირაშვილი და პავლე შაჰყულიანიც ბრწყინვენ, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ესენი მასთან ვერ დადგებიან, მათ ასეთის თანაბრობისთვის არც გარემოება უწყობდა ხელს და არც ასეთი ვრცელი მომზადება ჰქონდათ. მომზადებას ვამბობ მხოლოდ საქართველოს ისტორიის და ეტნოგრაფიის მხრით, თორემ სხვა გვარის მომზადებით შეიძლება იგინი ამაზედ მაღლაც იდგნენ. უმთავრესად-კი ივ. გვარამაძის ღირსების საქმე აი რაში გახლავსთ. ქართველთ გვაროვნობის ძიებაში, მის ჭეშმარიტებით განსაზღვრაში.

ქართველთა ძიებით და ქართული ენის მფარველობით ქართველ კათოლიკობაში, ძველადგანვე სხვა მოძღვარნიც იყვნენ. ასეთ მოძღვრებს ჩვენ ვხედავთ თვით XVII საუკუნიდამ და XIX საუკუნის შემდეგიდამ ხომ მესხეთში მათი რიცხვი ერთობ დიდი იყო და ზოგმა მათგანმა ქართულს ენაზედ მწერლობითაც ჰმუშაკა. გარდა მწერლობის, ქადაგებითაც საკმარისად ბრწყინავდნენ და მათ მრავალი დასტოვეს ქართულს ენაზედ. ქადაგებას გარდა, ერში ქართული ენის მფარველობასაც დიდს სახსარს აძლევდენ. ყოველთვის და ყოველგან იგინი ქართული ენისთვის ფარათა და ხმლათ იდგნენ. მაგრამ რაც შეეხება მის ნათლად ძიებას, ამისი-კი წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ან ჰქონდათ და ეშინოდათ რამ გარემოების და ხიფათის. ეს შეიძლება კიდევაც, რადგანაც მათ

არც ისე ვრცელი მიმოხედვა ჰქონდათ შეთვისებული. მათი შრომა ქართული ენის სასარგებლოდ ერთობ ვიწრო ფარგალში იყო მოთავსებული, ვიწრო მიმართვა საზღვრავდა. უბრალო რამე გარემოება მათ მალე აგმობინებდა თავიანთ მიმართულებას. სწორეთ ასეთსავე ბურუსში იყო შთავარდნილი პ. შაჰყულიანი და მრავალნიც სხვა მოძღვარნი ქართველ კათოლიკეთა, რომელნიც ქართველ გვარის შთამომავალნი იყვნენ და ქართულის ენითაც მოქმედებდნენ მრევლში. ამ გარემოების ანუ ჩვენგან ნახსენებ სიმხდალეს და შიშს მხოლოდ ივანე გვარამაძემ აუქცია გზა და კვალი, მტკიცედ მხოლოდ ეს წავიდა მის წინააღმდეგ და მით ამან ქართველთ კათოლიკეთ ასპარეზზედ ძირითადი ცვლილებაც მოახდინა, თორემ მინამდეს სხვაფერ იყო საქმე მოწყობილი.

აი როგორ: ამ მოძღვრის ხმა მაღლა ქადაგებამდის, საქართველოში, ქართველ კათოლიკებთ შორის, თქვენ რომ გენახათ ვინმე ქართველ კათოლიკეთაგანი და გეკითხა მის-

თვის: თუ ვინ იყო იგი გვარტომობით, იგი თავის დღეში არ
გეტყოდა, რომ ქართველი იყო. კითხვის უმალ მოგახსენებ-
დათ, რომ ფრანგი ვარო, ან კათოლიკე. სხვა რამეს თქვენ
მას ვერ ათქმევინებდით. რომ აგეხსნათ მისთვის, რომ ეს ძრი-
ელ კარგი, რომ თქვენ ფრანგი ან კათოლიკი ხართ სჯულით,
მაგრამ ენით, ენით რომ ქართულათ ლაპარაკობთ, ენით და
მოდგმით ვიღას ეკუთვნით, იგი მაინც თავისას გეტყოდათ,
რომ კათოლიკესაო. ასეთს შეცდომებში არამც თუ გლეხ-
კაცნი იყვნენ შთავარდნილნი და მოქალაქენი, არამედ ის ქა-
რთველ კათოლიკეთ თავად აზნაურთა შვილებიც, რომელნიც
შთამომავლობით ქართველები იყვნენ, საქართველოს თავად
აზნაურათ ირიცხებოდნენ. მათ ისიც კარგათ იცოდენ, რომ
იგინი ქართველ ტომს ეკუთვნოდენ და ქართველ თავად აზ-
ნაურებათ იყვნენ ცნობილნი. მთავრობაც ასე უმზერდა მათ,
მაგრამ იგინი-კი არას დროს არ იტყოდენ რომ ჩვენ ქართვე-
ლი ტომისანი ვართ, ქართველები, ქართულად მოლაპარაკე-
ნი და ასაქართველოს შვილებიო. ყველა მოკლედ იტყოდა,

რომ კათოლიკე ვარ, ფრანგიო და ამით მორჩებოდა საქმე.
ასე იყო საქმე მოწყობილი და ამით რასაკვირველია სხვები
სარგებლობდენ და მასთან ხალხში ცრუ ცნობებიც იდგამდა
ფეხს და ისხავდა ფრთებს.

სწორედ ამ უკანონო გარემოებას ივანე გვარამაძემ ად-
რიდგანვე მიაქცია ყურადღება. მას ასეთი არა კანონიერი ოც-
ნებათა გავრცელების გამო გული დიდათ ეთანაღრებოდა, მა-
გრამ სად რას გააწყობდა. გულში იკრებდა ყველა ბოღმას,
სხვა და სხვა ცნობებს და ჯავრს. ჰფიქრობდა, რომ ოდესმე
მომეცემა შემთხვევა, მოვა დრო, როცა ჭეშმარიტებით აღვ-
სილი მეძიებელი ჩემსას გავიტან, უკუღმართ ცნობებთა მფე-
ნელთ და მღაღადებელთ მეხს დავარტყამო. ჭეშმარიტების
მეძიებელს მამულისშვილის მოძღვარს თავისი ნატვრა აღუს-
რულდა, როგორც იქმნა დიდის შრომით და ღვწით 1868 წ.
მღვდლათ ეკურთხა. ამისი მღვდლათ კურთხევა იყო და თა-
ვის განზრახვის სისრულეში მოყვანის შედგომაც. ეს თითქმის
მღვდელ-მოქმედების პირველ დღიდგანვე მიეცა ქართველ გვა-
როვნობის შესახებ ქადაგებას. როგორც თვით სთქვა მ. ივ.
გვარამაძემ და ეს სხვათაგანაც ვიცით, 1869 წ. პირველად ამას
გადმოუძახნია ეკკლესიის ტრაპეზიდგან ქადაგების დროს მრე-
ვლში, რომ ჩვენ კათოლიკენი გვაროვნობით ქართველნი
ვართ, ჩვენი სამშობლო ქვეყანა საქართველოა, ჩვენი დედა
ენაც ქართული ენა არის, ჩვენთან სომხობას არავითარი კა-
ვშირი არა აქვს, არავითარი ნათესავობა, გარდა მეზობლურის
განწყობილებისა. ამიტომ ყოველი კათოლიკე მოვალეა, რა-
თა მან კარგათ შეიტყოს თავის მამა პაპათა ვინაობა, შთამო-
მავლობა, სამშობლო ქვეყანა, მისი ისტორია, დედა ენა,
მწიგნობრობა და სხვანი. მოგახსენებთ, რომ ჩვენ ყველანი
ქართველები გახლავართ და ჩვენს დედა ენას და მწიგნობ-

რობასაც ქართული ენა და მწიგნობრობა შეადგენს.

ჩვენ სომეხ კათოლიკეთ მხოლოდ მიტომ ვიწოდებით, რადგანაც სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ ვსდგევართ, ესე იგი მარტოდ სომხის ტიბიკონი გვიპყრია, თორემ რაც შეეხება

გვარტომობას და მის ისტორიას, ჩვენ ქართველები ვართ და არა სომხები, როგორც ეს დღემდე მრავალ ქართველ გვარის კათოლიკს ჰგონია. ჩვენ რომ ქართველები ვართ და ქართველ შთამომავალნი, ამას ცხადათ ჰმოწმობს ჩვენი ზნე ხასიათი, ჩვეულებები და სახის მოყვანილობა. ჩვენსა და სომხებ შუა ისეთი განსხვავება სძევს, რასაც კაცი ერთის დანახვითაც-კი შეამცნევს და გაარჩევს. ამიტომ საჭიროა, რომ ყოველი გვარის კაცი თავის ვინაობას სისწორით და ჭეშმარიტებით იძიებდეს. ასე ცოდნა თავის გვაროვნობისა ყველა კაცისთვის არის საჭირო, ყველა მამულისშვილისთვის. კაცმა თუ თავის ქვეყნის და ერის ისტორია არ იცის, თავის წარსულ მამა პაპათა ვითარება და ცნობები, უამისოდ ის რას უნდა ემსგავსოს, არაფერს, გზა დაკარგულს ცხოვარს და წყალწაღებულ კაცს. ეხლანდელს მშვიდობიან დროშიაც ძრიელ ძნელი და უპატიური ცოდვა უნდა იქმნეს, რომ კაცმა თავის წინაპართა ცნობები არ იცოდეს. ეს დიდი ცოდვა არის ყოველ შეგნებულ კაცისთვის და ამიტომ ჩვენც ვეცადოთ, რომ ამ სამერმისო და საშვილიშვილო ცოდვას და შეცდომას თავი დავახწიოთ და ჩვენის მომავლის თავობისათვის ნათელი, ანუ ჭეშმარიტების საძიებელი ნიადაგიც შევამზადოთ.

აი ეს გახლდათ მამა ივ. გვარამაძის ქადაგებათა დედა აზრები და ეს ამ დედა აზრების მოსაფენად არც ერთხელ არ დამდგარა უკან, ხსენებულს დროდგან დაწყებული ვიდრე დღემდე გზა და კვალ გადუხვეველი სდგას ვითარცა მტკიცე ბურჯი, ვითარცა დაუქცეველი გოდოლი და ყოველგან და ყოველთვის ქართველი გვაროვნობის შესახებ ჰქადაგებს პირუთვნელად, მოურიდებლივ და თამამად. ამის სასარგებლოდ არც მისი ენა დამაშვრალა და არც მისი გონება დაღალულა და არც ხელ-ფეხი. ყოველთვის და ყოველგან ძვირფასი მოძღვარი ამის საქადაგებლად მზად ყოფილა და არას დროს არა შემთხვევაში მას იმედი არ გადუწყვეტია, რომ ოდესმე ქართველ კათოლიკეთა ჭეშმარიტს ძიებას თავისი ჭეშმარიტი მი-

მართულება არ მიეღო. იმედი ჰქონდა, სასოებას არ ჰკარგავდა და უკანასკნელ მას ნატვრა შეუსრულდა, ქართველ კათოლიკობაში აღორძინდა გვაროვნობის შესახებ სწორე შეხედულობა. კათოლიკობამ იცნა თავის ავი და კარგი, გვაროვნობა და მისი ისტორია. დღეს კათოლიკობაში უკვე მთელი თავობა არსებობს, რომელნიც ნამდვილის მამულის შვი-

ლობით არიან გამსჭვალულნი. ამათში ეს მომართვა და შეხედულება მტკიცე საძირკველზედ სდგას, მაგრა არის მასზედ დამყარებული. ვიტყვით, რომ ვიდრე ეს დამყარდებოდა მათში, მინამ მამა ივანე გვარამაძეს ბევრს შინაურს და გართულს პირებთან მოსვლია კამათი და ნამეტურ სომხურ გაზეთ „მეღუ ჰაიასტანთან“ „მშაკთან“ „არგონავტთან“ და ზოგიც მხითარისტების სხვა და სხვა გამოცემებთან. ყველგან მ. ივ. გვარამაძე სომეხთ ცნობებს მარტივად და ჭეშმარიტებით აქარწყლებდა, ამტყუნებდა ყოველ მათს მოსაზრებას და ცნობას, რაც ქართველთაგან დიდს ყურადღებას იპყრობდა თვისკენ. ამითიც მამა ივანე გვარამაძეს მეტად დიდი ამაგი მიუძღვის ქართველთ ტომის წინაშე, ამით საქებია იგი და მარად მოსაგონარი.

მამა ივანე გვარამაძეს ქართულს ლექსიკონურს ასპარეზზედაც დიდი შრომა აქვს დადებული. მისის ცდითა და შრომით შეკრებილა და დაწერილა 13,000 ქართული სიტყვები, რომლებიც საბა ორბელიანის, ჩუბინაშვილის და სხვათა ლექსიკონებში არ მოიპოვებიან. ასეთი შრომისთვის ჩვენ ვერას მოგახსენებთ, რადგანაც ამის სამზადისი არ გვაქვს და იმას-კი გავიხსენებთ, რომ ჩვენისთანა ერის მწერლობის ასპარეზზედ ასეთ სიტყვათა კრებულს დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგანაც ასეთ გათახსირებულ დროს, ერთის კაცისაგან 13,000 სიტყვის შეკრებვა და აკინძვა ადვილი არ არის. ადვილი არ არის მით უფრო, რადგანაც ეს სიტყვები სხვა ქართულს ლექსიკონებში არ მოიპოვება. აბა დააკვირდით ამას და თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა გვარი შრომა უნდა იყოს ეს ერთის კაცისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მამა ივანე

გვარამაძე დიდი მეტრფიალეა ქართველ ხალხის სწავლა განათლებისა, იგი თავის მღვდლობის დროს სოფ. ხიზაბავრას დიდათ შრომობდა სკოლის სასარგებლოდ, სულით და გულით სწადდა მათში სწავლა განათლების შეტანა. მისთვის არაფერს იშურებდა, ყოველთვის თავგამოდებით ცდილობდა და როგორც ბავშვებს ისე მათვე მშობლებს, მოწაფეებს, ყოველთვის უახლოვდებოდა და საჩუქრად ქართულ წიგნებსაც ურიგებდა. მოკლედ უნდა ვსთქვათ, რომ ქართველი ერის სახსნელად და წინ წასასვლელად მხოლოდ ამას სთვლიდა და სთვლის კიდევაც, რომ ქართველი ხალხი განათლების ასპარეზზედ გამოდის. ხალხთან დაახლოვება, მისი ცხოვრების და ავ-კარგიანობის გაცნობაც დიდს სახსრად მიაჩნია. იგი ყოველთვის დიდის სიამოვნებით უახლოვდება თავის მრევლს.

როგორც ერთსა და ორს შრომაშია მ. ივ. გვარამაძე ამაგდარი, სწორეთ ისეთივეა ქართულ სახალხო სიტყვიერების მწერლობის ასპარეზზედ. მან შეკრიბა დიდი ძალი სახალხო ნაწარმოებნი, ძველნი თქმულნი ლექსები, შაირები, ზღაპრები, ლეგენდები და თითქმის ქართული ძველი სიმღერების

ხმებიც-კი ისე კარგად იცის, რომ მესხეთსა და ჯავახეთში, ქართველთ შორის, ძველად თუ დღეს არ ყოფილა ისეთი რამე სასიმღერო ხმა და კილო რომ ის მ. გვარამაძემ კარგად არ იცოდეს. ცოდნით-კი იცის მართალია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ ხმებს ნოტებზედ გადაღება არ ეღირსათ. საქმეს თუ არა ეშველა რაო, უკანასკნელ ისე მოეწყობა, რომ მ. ი. გვარამაძის შემდეგ ამ ხმების არავის რა ეცოდინება და ყოველივე გაქრება უჩუმრად და შეუმცნევლად. ვამბობთ გაქრება მიტომა, რადგანაც მესხეთსა და ჯავახეთში ქართველთ შორის ძველი სიმღერების ხმები მთლად დაეცა, იგი დამალა თათრულმა გავლენამ. დღეს იქით ქართული სიმღერების ხმაურობა ძრიელ ნატამალობს.

მ. ივ. გვარამაძე ბევრს საგნებთა აღწერაშია მოხერხებული, ნამეტურ ქართულის ენის კარგად ცოდნის, სიტყვების ხმარებით და აღმამკობელის ენით, შემკობილის ნარნარის სიტყვებით. თვით მელექსეობის ასპარეზზედაც ამ მოძღვარს თავისებური შნო და ჰუნარი აქვს, რაც დიდათ თუ არა მცირედ მაინც ხატავს მის ნიჭიერებას და გონიერ ლტოლვიტებას მრავალ საქმეთა და საგანთ განსჭვრეტაში.

ისტორია

ხურსიძის (ისარლოვი) გვარისა

და

შოთა (შიო) რუსთაველი

ქართულს ძველს ისტორიულს წიგნებში, სიგელ-გუჯრებში, სამეფო დავთრებში და თვით ქართველთ მამათ-ცხოვრებაშიაც-კი უძველესის ქართველთ გვარები და სახელები ძრიელ მცირედ მოიპოვება. მაგალითებრ: ქრისტეს სჯულის წინა დროის ქართველთ გვართა და სახელების ცნობები ჩვენ ერთობ ცოტა გვაქვს, სულ მცირე, თითო ოროლა სახელები ვიცით და ისიც საქართველოს მამასახლისების, ერისთავთ-ერისთავების, მეფეების და თავადაზნაურების ყოველივე განძი ჩვენის ძველის დროის ქართველთ სახელ-გვარების ამით თავდება, მცირე მასალებია დაშთენილი. ამის შესამცირებელ მიზეზებათ ჩვენა ვსთვლით ქრისტიანობის შედეგს.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგიდამ ქართველთ შორის მოისპო ძველი სახელები ქართველთ კაცთა და დედა-კაცთა, მასთანვე გაუქმებულ იქმნა ყველა ის ქართული წიგნებიც, რაც-კი ქრისტიანობამდის იწერებოდა ქართველთ შორის. ქრისტიანობა და მისს წარმომადგენნი სასტიკად მუსრავდენ

ქართველთ ისეთ წიგნებს, რომელნიც ქრისტიანობამდე იყვ-
ნენ დაწერილნი; ქრისტიანობის წარმომადგენ მამებს დიდი
მორიდება და შიში ჰქონდათ ასეთის წიგნების. იგინი ფიქრო-
ბდნენ, რომ ამ წიგნების შენახვა ჩვენგან შეუძლებელიაო,
რადგანც მათში კერპების დროის ბევრი-რამ ამბები სწერიაო.

ამიტომ მათ უადვილესად გააქრეს ჩვენი ძველის მამა-პაპათ
საუნჯე, მათი ნატამალი და მით მოისპო ბევრი-რამ ცნობე-
ბი ჩვენის ძველის დროის სახელების და გვარებისა.

ასე, რომ ქართველთა ძველის დროის გვარების და სა-
ხელების ცნობები მხოლოდ ქრისტიანობის შემდეგ დროის
საუკუნოებიდამ იწყება, მხოლოდ ესეც ძრიელ მცირედ. აქა-იქ
კანტი-კუნტად, ძრიელ მოკლედ. ამ ნაკლს დიდი ყურადღე-
ბა მიექცა ამ ბოლოს დროს. მარტოდ ე. თაყაიშვილმა რა-
მდენიმე „ქართველთ-სიძველენი" დაბეჭდა, სადაც ქართველთ
ძველი სახელი და გვარები არიან მოხსენებულნი *)

აი, ერთს ასეთს უძველესს გვარს ეკუთვნის ხურსიძე,
რომელ გვარიც საქართველოში არსებობს უხსოვარის დრო-
დამ. თვით სახელი ხუსრიძე ანუ ხურსი უნდა იყოს წარმართ-
ობის დროს შენათხზი და დარქმეული იმ პირზედ, ვისაც
ეს მიესახელწოდებოდა. მაშინ ასე იცოდნენ და ქართველთ
შორის სადაც ასეთს გვარებს ნახავთ, იგინი სულ უძველეს
დროის ხანას უნდა ეკუთვნოდნენ. ასეთია ხურსიძის გვარის
ისტორია. ხურსიძე მოიხსენება IX საუკუნიდამ, ხოლო X
საუკ. სჩანს ვინმე ხურსი-ხურსიძე, გიორგი პირველის მეფის
ისტორიაში **). ეს მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში“. ამ
ხურს-ხურსიძეს დ. ბაქრაძე ხურსიძეთ სთვლის და ეს რასა-
კვირველია ასეც უნდა იყოს, რადგანც ძველად ქართველთ
შორის გვარები სულ ამ სახით მოიხსენებოდნენ. ასე და ამ
გვარად ჩვენ ვიცით, რომ ხურსი (960-1027) არის ძველი
გვარი ქართველთა, ისეთივე ძველი, როგორც ჯაყელი,
ხოსროვი, ორბელი, ერისთავი, ამანელი, ბადური, აბესალო-
მიძე და მრავალიც სხვა ამგვარნი. რომ ვიცოდეთ მნიშვნე-
ლობა და ადგილი ამ გვარისა, ამიტომ საჭიროდ ვსთვლით
მოვიყვანოთ „ქართლის ცხოვრებიდამ“ თვით ის ადგილიც, სა-
დაც პირველად მოიხსენება ეს გვარი. აქედან კარგად გამო-

---

*) საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილისა.

**) ქართლის ცხოვრება, I ტომი.

სჩნდება ის გარემოება და მნიშვნელობა ამგვარის და ისიც
თუ ამ გვარის წევრთ რა გვარი მნიშვნელობა ჰქონიათ იმ-
დროს, ან იგინი სად, ან ვისს გვერდით და რა თანამდე-
ბობით მოიხსენებიან. აი ცნობა:

„ხოლო დაჯდა-რა გიორგი ყოველსა სამეფოსა და მამუ-
lისა თვისსა, ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისა, რამეთუ

იყო, რა ჟამს მეფე იქმნა, წლისა იდ, მას ჟამსა ამა ქვეყანასა ჰე-
რეთს-კახეთისა, და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნენ ერ-
ისთავნი მათ ქვეყნად, კვალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, პირველ
აქვნდა იგი. ხოლო მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისა, გამოვიდა
ვასილი, მეფე ბერძენთა, ამ გიორგი მეფესა ზედა, ყოველთა სპითა,
საბერძნეთით და ურიცხვითა, ხოლო გიორგი მეფე განვიდა
სპითა დიდითა, წინააღდგომად მისსა და დაიბანაკეს ორთავე ქვეყანისა
ბასიანისასა მრავალდღე და არა მიმართეს ბრძოლად მრთმანეთსზედა და
მორიდა გიორგი მეფემან და მოვიდა და დაწვა ქალაქი ოლთისი და
მუნით მოვიდა კოლასა და გამოუდგა კვალსა და მოუდგა უკან ბასი-
ლი, ბერძენთა მეფე და შეკრბეს რა უკან მიმდევარნი გიორგისანი
და მისი მავალნი ვასილის ლაშქარნი, და იქმნა ბრძოლა დიდი, სო-
ფელსა მას, რომელსა ეწოდების შირიმთა და მოისრნეს ორ კერძო-
ვე მრავლად და მოიკლნეს მუნ დიდნი ერისთანი და დიდებულნი გიო-
რგი მეფისანი, რატი ლიპარიტისა და ხურსი“. *)

ვასილ ბერძენთა მეფისა და ქართველთა ომი დიდის
სიფიცხით და გმირობით არის აღწერილნი. სასტიკი ომი ჰქო-
ნიათ ჯავახეთს, ოლთისს, ბასიანს, კოლას, არტაანს და თრია-
ლეთს, მრავალ გზის უძლევიათ ერთმანეთი და უკანასკნელ
მაინც ქართველთ გაუმარჯვნიათ, რადგანაც გიორგი მეფე
თავისს დროის კვალად იყო გამოჩენილი მეფე და მასთან
ჭკვიანიც, შესანიშნავი შორს-მხედველი მხედარი ყოფილა და
მასთან დიდად სახელოვანი, უძლეველი ლაშქარში, ამის ჭკუ-
იერების საფუძვლად კმარა თუნდ დავასახელოთ ის გარემო-

*) ქართლის ცხოვრება I ტომი.

ებაც, თუ ეს მეფე თავის ქვეყნის სასარგებლოდ რა ზომებს
ხმარობდა, რა ჭკუიერს საშუალებას და ოსტატობას. სულ
ასეთი მეფეების და დავით კურატპალატის-მაგისტროსების და
პატრიკების მეოხება იყო, რომ საქართველომ უმაღლესს წე-
რტილამდე მიაღიწია და აფხაზთა და საქართველოს მეფე ერთ
დროს ბიზანტიის მწერლებისაგან კეისრათაც იქმნა წოდებ-
ლი“, ე. ი. იმპერატორად.

ყოველი მისი ნაბჯი იყო მიმართული საქართველოს
აღორძინებისაკენ და მართლაც მისს დროდამ იწყება სამეფ-
ოს გაძლიერების დასაწყისი. იმავ დროს, მრავალ მნიშვნე-
ლოვნად ბრწყინვენ სამცხის დიდებულნი და მცირებულნი
და ერთ ამ დიდებულთაგანნი არიან უძველესის დროის საქა-
ართველოს აზნაურის შვილნი ხურსიძენი.

ამ საყურადღებო მხარეს ქართველთ და ბერძენთ შეხე-
თქებისას ვახუშტის ისტორიაშიაც დიდი ადგილი აქვს დათმ-
ობილი. ამ ომის ქართველთ მებრძოლთ ცნობებს ვახუშტი
განცვიფრებით მოიხსენებს. დამწერი აღტაცებულია მით. ვა-
ხუშტის აღტაცებას ჩვენ აქ მიტომ ვახსენებთ, რადგანც ამ
საყურადღებო ომის უპირველეს გმირად ხურსი-ხურსიძეა, რო-
მელიც მომთხრობის თქმით უფრო გმირულად კვდება პირის-პირ
მტრისა. აქ ამ ომის აღწერა ვახუშტის ისტორიიდამ ჩვენ არი
შემოგვაქვს. მარტოდ ისიც ვიკმარეთ, რომ აქ მისი, განცვი-

ფრება აღგვენიშნა, ეს უბედური ხანა რამდენადაც საყურადღებოა ქართველთათვის. იმაზედ მეტი თვით ბერძენთათვისაც, რადგანაც ამ ორი საქრისტიანო სამეფოის ბრძოლის და შეხეთქების მიზეზები და ბრალი პირდა-პირ ბერძნებს ედებათ. ესენი არიან დანაშაულნი, იგინი მოუცვივდნენ ქართველთა და თრიალეთამდე წარტაცვას უპირებდნენ. ქართველნი გაგულისდნენ მაზედ და ბერძენთ წინააღმდეგ მკაცრად იბრძოლეს, ბერძნები სძლიეს, ქვეყანა თავისუფლად დასტოვეს. ბერძნებს აქ მრავალი მეომარი დაეხოცათ უბრალოდ. ამ გარემოებას მწუხარებით აღნიშნვენ ბიზანტიის მეისტორიენნი, სომეხთ მეისტორიე ასოღიკი, ევროპიელთ მეისტორიე ლებო და

ივერიის ათონის მთის ერთი მანუსკრიპტიცა *). საჭიროდ ვსთვლით, რომ ამ ორის ერის თანამორწმუნე საქრისტიანო სამეფოების ბრძოლის შესახებ შემდეგიც ვსთქვათ:

ქართველთ გამოჩენილის და დიდის მეფის დავით კურატპალატის დროს, რომელ მეფესაც „ქართლის ცხოვრება" ასე აღწერს:

„რამეთუ იყო დავით კურატპალატი პირველად მღვთის მოყვარე, გლახაკთ-მოწყალე, დავრდომილთ შემბრალე, მდაბალი, მშვიდი და ძვირ უხსნელები. ეკკლესიათა მაშენებელი. ტკბილი, უხვი, კაცთ მოყვარე, ყოველთათვის კეთილის მყოფელი და სავსე ყოველითა კეთილთა“ და სხვა.

ამ დავითის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი მის მონათესავე გიორგი I ერგო, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ. სწორედ ამ დროს სჩნდებიან საქართველოს ასპარესზედ ხურსიძენი. ზემოდ აღწერილს შემთხვევის ბევრად უწინარესს, დიდის დავით კურატპალატის გამგეობის დროს, ბიზანტია დიდს გაჭირებაში ჩავარდა, სკილაროსმა კინაღამ გაანადგურა. ბიზანტიელთა დავით კურატპალატს მომართეს და შველა დაავალეს. დავითამა 12 ათასი საუკეთესო ქართველთ მხედრობა მიაშველა და თან გამოჩენილი თორნიკე ერისთავი გააყოლა, რომელმაც სკილიაროსი გააქცია მესოპოტამიამდე და ბიზანტია უზრუნველი ჰყო. ეს ქართველთ გამარჯვება დიდის დიდებით არის ანუსხული „ქართლის ცხოვრებაში"*). ამავე გმირულს გამარჯვებას ცხადათ მოწმობს ზარზმის ეკკლესიის წარწერა, რომელმაც ჩვენ დრომდე უვნებლად მოაღწია. ეს წარწერა ჩვენთვის იმდენად საყურადღებოა, რომ აქ უნდა მთლად მოვიყვანოთ, რადგანაც იგი დაკავშირებულია ხურსიძეების გვარის ისტორიასთან. აი რა სწერია ზარზმის ეკკლესიის ტაძრის ერთს კედელზედ.

„ქ. სახელითა ღვთისათა და წმიდისა მღვთის მშობელისა მე-

*) ქართლის ცხოვრება, ტ. პირველი, 1898 წ.

**) ქართლის ცხოვრება I ტომი.

ოხებითა მე ივანე ძემან სულასამან, აღვაშენე წმიდაჲ ეგვტერი, მას ჟამსა,
ოდეს საბერძნეთ გადგა სკილაროსი: დავით კურატ-პალატი ადი-
ღმერთმან, –უშველა წმიდათა მეფეთა და ჩვენ ყოველნი სალა-
შქროთ წარგვავლინა. სკილხროსი გავაქციეთ მემონსქობანს (მესოპ-
ტანსა) რომელსა ჰქვიან ხარსანანი ადგილისა, რომელსა ჰქვიან სარ-
ვენისნი, მოწესედ ყოველნი ტახტი“.

ეს შემთხვევა და ქართველთ გმირული გამარჯვება მო.
ხდა 995 ამ ცნობიდამ კარგად სჩანს, რომ ზარზმის ეკ-
კლესია X საუკუნეებში უნდა იყოს აშენებული ბაგრატ მე-
სამის დროს, რადგანცა ზარზმის ეკკლესიის ერთ კედელზედ
დღემდე საჩნს ბაგრატ მესამის სურათი*) ზარზმის ეკკლესი-
ის წარწერა ჩვენ აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რადგანაც აღიარე-
ბულია, რომ წარწერაში მოხსენებული ივანე სულას ძე, ანუ
სულაშვილი გვარად ხურსი – ანუ ხურსიძე ყოფილა. გარდა
იმის, რომ ეს ივანე სულასძე ხურსიძე მონაწილე ყოფილა
ზარზმის ეკკლესიის აღშენებაში, მასვე ამოუჭრია თვით ეს
წარწერაცა ქანდაკით და ამას გარდა თვით ამ ივანე სულა-
შვილისაც მიუღია მონაწილეობა სკილაროსის გალაშქრე-
ბაში **). ზარზმის ტაძრის წარწერის და ჩვენის ისტორიულის
წყაროების საშუალებით, ჩვენ ვიტყვით თამამად, რომ სკი-
ლაროსის ომში მონაწილე ივანე სულაშვილი სახლი-კაცი
უნდა იყოს იმ ხურსიძისა, რომელმაც ხსენებულ ომის შემ-
დეგ, გიორგი პირველის მეფობასაც მოესწრო და მასთან ბა-
სიანში ქართველთ და ბერძენთ ომში მონაწილეობასაც იღებ-
და და სადაც მოკლეს კიდეც იგი. ***)

ამ ხურსის სახელს „ქართლის ცხოვრება“ არ იხსენიებს,
რადგანაც იგი ცნობილი პირი ყოფილა, მარტოდ გვარით
მოიხსენებენ. როგორც სჩანს ხურსიძე ქართველთ ორს დიდს

---

*) საქართველოს ეკკლესიების აღწერა დ. ბაქრაძისა, 1877 წ. ტფ.
**) ვახუშტის ისტორია I ტ. გამოც. 1885 წ. ტფილისი.
***) ქართლის ცხოვრება ტი I, გამ. 1898 წ.

ლაშქრობას დასწრებია და თანამედროვე ყოფილა დიდის და-
ვით კურატპალატის დროდგან მოკიდებული ყველა მეფე-
ებისა და ომების თავისს სიკვდილის დღემდე. ამის ცხოვრე-
ბის წელნი 1014-1077 წ. მისწვდება. *) აღსანიშნავია
აქ ის გარემოებაც, რომ ესევე ხურსიძე სამცხის ერისთავათ-
აც იწოდება. ამ ჰაზრისა არის დ. ბაქრაძეც და სკილაროსის
ომში ყოფილს და ზარზმის ტაძრის კედლის წანწერაში მო-
ხსენებულს ხურსიძეს პირდაპირ ერისთავ-ხურსიძეთ აღიარე-
ბს. ამ ხურსიძეს გარდა, რომელსაც სახელად ივანე უნდა
რქმევოდა და სულას ძე უნდა ყოფილიყოს, არის კიდევ სხვა
ერთი ფარსმან ერისთავი, რომელიც აგრეთვე ხურსიძე ყოფ-
ილა და რომლის სახელიც მოიხსენება ზარზმის ტაძრის ვე-

რცხლის ჯვარზედ, ეს ჯვარი ოქროშია დაფერილი.

მოვიყვანთ კიდევ შემდგეს: რომ ხურსიძეების გვარის წევრთა მნიშვნელობას და ერისთავობას ისე „ქართლის ცხოვრება“ არ ადიდებს, როგორც 1021 წ. ქართული ძველი გუჯარით, **) მაგალითებრ ამ ძველს „გუჯარში“ აი რა გვარ მოიხსენებენ:

„1021 წ. – და ამის გიორგისა მეფობისა მეშვიდესა წელსა გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე [ამას გიორგი მეფესა ზედა], ხოლო ესე გიორგი განვიდა ლაშქრითა დიდითა და დაიბანაკეს ქვეყანასა
ბასიანისასა ორთავე მრავალ დღე და არა მივიდეს ბრძოლად ერთმანერთსა [ზედა, არამედ] მოერიდა გიორგი [და] მოვიდა და დაწვა ქალაქ ოლთისი [გამოუდგა კვალსა] და მოუდგა უკანა მეფე ბერძენთა
და შეკრბეს რა უკანა მავალნი გიორგისანი [და წინა მავალნი ბასილი-
სანი ლაშქარნი] იქმნა ბრძოლა დიდი სოფლისა მას შინა, რომელსა ეწ-
ოდების შირიმთა, და მრავლად მოისრნეს ორკერძოვე და მოიკლნეს [მუნ-დიდნი) ერისთავნი: რატი, ძე ლიპარიტისი და ხურსი" და სსვა.

ამ ძველი „გუჯრის“ ერთი ადგილი თავისებურის ოს-

---

*) გურია-აჭარაში მოგზაურობა დ. ბაქრაძისა 1878 წ.

**) გუჯარი, ივერიის მონასტრისა.

ტატობით და წერის წესით აქ მიტომ მოვიყვანეთ, რადგანაც აქ მოხსენებულია, რომ დიდნი ერისთავნი რატი ლიპარიტის ძე დხ სურსიძეო. ხურსიძე, რომ ერისთავის თანამდებობის არ ყოფილიყოს, მაშინ ამ „გუჯრის“ დამწერი მრავლობითი სიტყვის მაგიერ მხოლოობით სიტყვას იხმარებდა, რადგანაც ერთი უნდა ყოფილიყოს ერისთავი, ე. ი. მარტოდ ლიპარატი. რაკი ცნობილს ომში დიდნი ერისთავნი ორნი ყოფილან, ამიტომ იგიც მრავლობითი სიტყვით ახსენებს და მით ხურსიძეც ერისთავად იგულისხმება რადგანაც ორივ მთავრები, ყოფილან, მიტომ ამ ძველი „გუჯრის" დამწერსაც ასე მრავლობითი სიტყვა უხმარია. მაშ მარტო ლიპარიტის ძეს ხომ არ დაასახელებდა, როცა მისს გვერდით ხურსიძეც მდგარა და ესეც მასთან მომკვდარა ბრძოლაში.

ამ წარწერიდამ სჩანს, რომ ვინმე ივანე დაკლაკის ძე და ხურსიძე და ივანე სულას ძე ხურსიძე სხვა და სხვა პირები არიან და სულ სხვა და სხვა დროსაც უნდა ეცხოვრნათ. რაც შეეხება რომ ივანე სულასძე ხურსიძე უნდა იყოს ის ერისთავ-ხურსიძე, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ X საუკუნის დამლევს და XI საუკუნის დამდეგს იხსენებს *), ამაზედ ჩვენ ეჭვი არა გვაქვს და რაც შეეხება ამ ივანე დაკლაკის ძე ერისთავ-ხურსიძის ცხოვრებას და დროს, ეს-კი შემდეგ უნდა იქმნეს. XI საუკუნის დამლევს უნდა ყოფილ-

იყოს, ან XII საუკურის დასაწყისს. ამ პირის ცნობას ბრო-
სეც ეხება. **) და დიმ. ბაქრაძე სწერს, რომ ეს ფარსმან
ერისთავ-ხურსიძე უნდა იყოს ის პირი, რომელიც მოხსენე-
ბულია სამცხე საათაბაგოს მღვდელთ-მთავართა სამწყსოს სია-
ში. მაგალითებრ: „ერისთავთ ერისთავი-ხურსიძესა აქუს ღობერნი,
სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა“.
როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, აქაც მოვიყვანთ მისს

*) არხელოგიური მოგზაურობა დ. ბაქრაძისა, 1878 წ. პეტ.
**) ბროსეს მოგზაურობა, 1855 წ.

დასამტკიცებლად სამცხე-საათაბაგოს მღვდელთ მთავართა
მოხსენების სიას, სადაც აგრეთვე წურწყაბელის სამწყსოში
მოიხსენებიან ხურსიძენი. დ. ბაქრაძის ფიქრით, ეს ფარსმან
ერისთავ ხურსიძე უნდა ყოფილიყოს XI საუკუნის შემდეგ
დროს. იგივე სწერს, რომ ეს ფარსმან ერითსთავ-ხურსიძე
უნდა იყოს ის ხურსიძე, რომლის სახელიც ზარზმის ეკკლე-
სიის ზარის წარწერაშიაც მოიპოვებაო. ეს წარწერა ადრე
ბროსეს შეცდომით გადუღია და მიტომ დ. ბაქრაძე ამ შეც-
დომას ასწორებს. ყოველს შემთხვევაში, ჩვენ ვიტყვით, რომ
როგორც ივანე სულას ძე, ისე ივანე დიკლაკის ძე XI საუ-
კუნის პირებათ მიგვაჩნია, შეიძლება ფარსმან ერისთავ-ხურ-
სიძე XII საუკუნესაც მოესწრო, ხოლო რაც შეეხება მისს
აქეთ ყოფნას, ეს-კი შეუძლებელია. მაინც საჭიროდ ვსთვლით
აქ მოვიყვანოთ ის წარწერაც, რომელიც ბროსეს შეცდომით
გადუღია და რომელსაც დ. ბაქრაძე ასწორებს. ეს წა-
რწერა ჩვენ შემოგვაქვს დ. ბაქრაძის შრომიდამ:

„აგარიანთა პირის დამყოფელსა ხურციძესა პატრონსა ფარსმა-
ნისა სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან. მღვდელთა
მთავართ მთავრობისა ხურსიძესა პატრონის მიტროპოლიტობასა
სფი-
რიდონისასა ქკ˜ნს სჲ.“

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ აკადემიკ.
ბროსეს ზარზმის ეკლესიის კედლების წარწერანი ნათლად და
კარგად ვერ ამოუკითხავს. მაგალითებრ ეკკლესიის ერთის
სურათის ზემოდ რასაც ბროსე კითხულობს: „მეფეთ მეფე
ბაგრატ-მამა“, ის უნდა იკითხებოდეს: – ერისთავთ-ერისთავი გი-
ორგი ჩორჩანელი“ შემდეგ ორის სურათისა, ერთის თავზედ
იკითხება „ხურსიძე“ და მეორეზედ „აშაბ“ ეს ერისთავთ-ერი-
სთავი ჩორჩანელი დ. ბაქრძეს პატრიკ ჩორჩანელად მიაჩნია
(980-1008), რომელიც იყო ნათესავი თორნიკე ერისთავისა *)
ჩვენ-კი დაურთავთ აქ, რომ მართალია ერისთავთ-ერისთავი
გიორგი ჩორჩანელის ცხოვრების დრო ძრიელ უახლოვდება

*) გეოგრაფია საქართველოსი, ვახუშტისა, გამოც. 1845 წ.

პატრიკის დროს, მაგრამ არც იმას დავიდუმებთ, როს ეს გიორგი ჩორჩანელი არ უნდა იყოს ხურსიძე და მცხოვრები ქვაბლიანის ნაწილის. ვიტყვით, რომ ხურსიძენი XII საუკუნის დამლევამდე ერისთავთ-ერისთავ, ან ერისთავად იწოდებოდნენ, ამას ფიქრი არ უნდა.

ისტორიულის ცნობებიდამ სჩანს, *) რომ ერისთავობა ძველად ჩვენში ხელობად ყოფილა, თანამდებობადა და ამიტომ ერთ დროს, ხურსიძის ოჯახის წევრთ ერისთავობაც ჰკავებიათ ხელში. ჩვენის ფიქრით ერისთავობა უნდა ყოფილიყოს როგორც მოურავობა. ერთი პირი განაგებდა ერთ რომელიმე კუთხეს, ამ კუთხის ერის ცხოვრების ყოველ ნაირის საქმეებს. იგი იყო მართველი, კანონმდებელი და ამიტომ ეწოდებოდა ერისთავი. ეს გარემოება და ამგვარნი მშვენივრად ახსნა ისტორიკოსმა ნ. ხიზინაშვილმა,**) ამიტო ნურავის გაუკვირდება ის გარემოება, რომ ერისთავის გვარის წევრნი საქართველოში ასე მრავლად არიან. აღსანიშნავია, რომ ერისთავი ზოგს მართველს და მათს მომავალთ წევრთ გვარათაც ერისთავი დაერქვათ და ძველი მათი საუკთარი გვარი კი დაეკარგად. ზოგს ასე მოსვლია, ზოგს-კი თავის ძველი გვარიც შერჩენია და ერისთავიც სწოდებიათ. ასე მომხდარა ხურსიძეების საქმეც. ამათ ერისთავობის დროს ძველი გვარი არ დაჰკარგვიათ და უძველეს დროდამ მოყოლებული უკანასკნელ დრომდე თავიანთ საკუთარი გვარით სწოდებულან. ხან ხურსიძე ერისთავთ-ერისთავად იწოდებიან და ხან მხოლოდ ერისთავად. მაგალითებრ: ერისთავი-არტანუჯისა, ერისთავი-კალმახისა, ერისთავი-კუხისა, ერისთავი-ფანასკერტისა. ერისთავი-რაჭისა და სხვანი, რომელნიც ხან თანამდებობის სახელით იწოდებოდნენ და ხან საკუთარის გვარით. ვახუშტი აი რას სწერს:

---

*) ანტ. ფურცელაძის წერილი – რუსთაველზე.

**) ბექა აღბუღა და მათი სამართალი, ნ. ხიზანოვისა.

„წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა და ამის მიერ მოურბეობა. სამართალი და ლაშქარნი მის ქვეყანისანი მის ქვეშე იყუნეს და იგინი მოჰკრეფდენ ხარკთა სამეფოთა, ხოლო ესე ერისთავი დაიდგნებოდნენ – მთავარნი და წარჩინებულნი და ძენი შეცვალებით; ხოლო წესი მთავართა იყო გვარი და შთამამავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი, ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, რათა აქვნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი, და თვინიერ ამისა არა ისახელებოდა მთავარად, ხოლო აზნაურსა აქვნდა გვარი და ჩამომავლობა და სიმაგრე რაიმე მისათა ანუ ბართა და დაბნებთა და ძალ ედვას გამოსვლა მარქაფითა, კარვითა, და მათთა გაწყობილებითა და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“.

უეჭველია მკითხველი აქედამ გაიცნავს ერისთავის მოხელთებას და იმ პირობებსაც, თუ როცა ერისთავობას აზნა-

ურის შვილს მიანიჭებდნენ, მაშინ აზნაურ ერისთავს რო-
გორ უნდა აესრულებინა თავისს თანამდებობა და ან რა
გვარი ჰქონდა მას მინიჭებული, კარგად სჩანს, რომ ხურსი-
ძენი ვითაარცა ქვაბლიანის უფროსს ერისთავთ-ხურსიძენი
სრულის თავისუფლებით იქმნებოდნენ დაჯილდოვებულნი.
ვახუშტის თქმით: ძველ საქართველოს მთავრებს და მოხე-
ლეებს თავიანთ თანამდებობის სახელი XII საუკ. თამარ მე-
ფის დროს, ზოგს გვარათაც ეწოდათო, მაგალითებრ, რო-
გორც სამეგრელოს დადიან-მთავარს, რომელიც კარიდამ კარს
დადიოდა და ამიტომ გვარათაც დადიანი ეწოდაო. რომ დავა-
კვირდეთ გარემოებას, ხსენებულ საუკუნის დამლევს, ზოგს
ერისთავს თავის ძველ გვარის მაგიერ ერისთავობა დარქმე-
ვია გვარად და ზოგს-კი ეს არ უნებებია, ისევ თავის ძველი
გვარი სწოდებია, რასაც ვახუშტიც ასაბუთებს*). სწორეთ ერთ-
ასეთ უძველესის პირთა რიცხვის წევრათ ითვლებიან ხურსი-
ძენი, რომელნიც თავიანთ ერისთავობასთან არც ძველს მამა-
პაპის გვარს ივიწყებდნენ.

---

*) ვახუშტის გეოგრაფია, გამოც. 1848 წ.

მთელის ხურსიძის გვარის სახლი და ადგილები წურწყა-
ბელის საეპისკოპოზო საბრძანებელში ყოფილა მოქცეული.
აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხურსიძის გვარის საბრძანე-
ბელი ფართოს ზომის რომ არ ყოფილიყოს, უამისოდ უე-
ჭველია, არც ასე მოიხსენებდნენ, რომ „წურწყაბლის სამწყსოს
შეადგენს სრულიად ხურსიძის სახლიო“. ქართველთ მეფის კურთ-
ხევის დროს, სვეტის ცხოვლის ტაძარში, მღვდელ მთავრებთ
შორის, წურწყაბელი მეცამეტე ადგილს იჭერდა, მტბევრის
ქვემოდ დაბრძანდებოდა. წურწყაბლის ეპისკოპოზს ქვემოდ და-
სხდებოდენ კიდევ ოცდა ორი ეპისკოპოზი. ამიდამაც სჩანს,
რომ წურწყაბელს – კათალიკოზის შემდეგ, თითქის არქიეპის-
კოპოზებთ შორის მეორე ადგილი ჰკავებია.

ამას ჩვენ აქ მიტომ ვახსენებთ, რადგანაც წურწყაბელთ
მღვდელთ-მთავრებთ და ხურსიძის სახლის-შვილებთ შორის
დაახლოვებული კავშირი სძევს. თითქმის ხურსიძენი უნდა ვი-
გულისხმოთ წურწყაბლის საეპისკოპოზო კათედრის მფარვე-
ლად და პატრონად. რადგანაც ხურსიძეს ებარა მთელი კუთ-
ხის გამგეობა და ერისთავობა, უეჭველია ამ კუთხის მოწინა-
ვე საეპისკოპოზო ტაძრის მღვდელ-მთავრის გამგეობის და
განკარგულების მეთაურნიც ესენი იქნებოდნენ. უამისობა არ
შეიძლებოდა. დრო-და-დრო ხურსიძის გვარიდამ ხსენებულს
სამწყსოს კარგი მფარველიც ეყოლებოდნენ. ხურსიძის გვა-
რიდამ ასეთი მფარველნი მით უფრო მოევლინებოდნენ, რად-
განაც ძველად ქართველთ დიდებულთ შორის დიდს ქებაში
იყო ის პირი, ვინც აღნიშნულს საქმეების სამსახურს მისდევ-
და, გვარში იგი მისს სახლიკაცებს სამთლად მიაჩნდათ.

მე-კი ვერას მოგახსენებთ და ისიც-კი უნდა გავიხსენოთ,

რომ ამ გვარის შთამომავლის ლ. ისარლოვის მოწმობით ხურ-
სიძეებს ძველად სხვა გვარიც სწოდებიათ, მაგალითებრ კოხაძე –
სამცხე-საათაბაგოს სწოდებიათ და სამეგრელოში კოროხია.
თუ როდის ეწოდათ კოხაძე და კოროხია, ამაზე ცნობა არა
გვაქვს. იქმნება კოხაძე ხურსიძეზედ უფრო ძველია. ვინ იცის,
კოროხია ვითომც იმ გარემოებისაგან. სწოდებიათ, რადგანაც

ძველადგანვე იგინი ყოფილან ქვაბლიანის მეუფროსენი, ანუ
ერისთავნი. ქვაბლიანში კი ძველადვე სეტყვა ერთობ ხშირად
სცოდნია, ამიტომ ქვაბლიანის მოწინავე გამგე მთავარსაც
გვარად ხშირი სეტყვის გამო კოხაძე სწოდებია. ძველად თურ-
მე ქართველთ შორის კვახი იხმარებოდა არა სეტყვა, ეს რო-
გორც დღეს არის, სეტყვა შემდეგ წასულა ხმარებაში. ეს
ცნობები ჩვენ აქ მოვიყვანეთ როგორც ლ. ისარლოვის მო.
თხრობილი ცნობანი, რომელიც თავისს ცნობებს სხვა და სხვა
მოხუცებულთაგან ნაამბობ ცნობებზედ აფუძნებს.

უნდა მოვიხსენოთ ისიც, რომ ახალციხეში, ზოგიერთ-
ნი ამგვარის წევრთ კრუხიჭამიაანთაც უხმობდნენ.

აქ ლ. ისარლოვის ცნობებით ვისაუბრეთ და ვსთქვით,
რომ ვითომც ძველად ხურსიძეები კოხაძეთაც იწოდებოდნენ,
სამეგრელოში – კოროხიათ და ჩოხაძეთაც. ამის ამბები ვი-
თომც ხალხშიაც ყოფილა გავრცელებული. ვინ იცის, მე
ამაზედ არ ავხირდები, ხოლო ერთის ცნობილის გვარის წევრ-
თა შესახებ ასე უმიზეზოდ ძველი გვარის მიტოვება და ახ-
ლების დარქმევა შეუძლებელი იქმნებოდა. მეორე: ხურსიძეები
ისეთ ცნობილ არიან IX საუკუნიდამ, რომელთა გვარის გა-
დაკეთება ასე შეუძლებელი იყო. ამ გარემოებას დაეხმარა ის
შეცდომით მხარეც, რაც ბროსემ დაუშო ზარზმის ხუცურ
ნაწერებს გადაწერას და ახსნაში,სადაც ერთ წარწერის რამ-
დენიმე ქარაგმიანი ასოები ამ გვარის მომასწავებლად ჩათვა-
ლა, უკანასკნელ ხუცური ასოების შეცდომით კოხაძეთ იქმ-
ნა ამოკითხული. ამ ძველს ხუცურს ქარაგმიან ასოებში კი
უნდა ამოვიკითხოთ შემდეგი: – „ქრისტე ადიდე ხურსიძე ვასილი“.
როგორც ამ წარწერამ ბროსე შეიყვანა შეცდომაში და ზე-
მოთ მოყვანილ სიტყვებს გარდა სულ სხვა სიტყვები იქმნა
ამოკითხული, ისევ იქმნებოდა იგი ძველად მრავალთ ადგი-
ლობრივ მცხოვრებთაგან მიღებული, რომელნიც შემცდარის
ამონაკითხით გააჩენდნენ – კოხაძეს, ჩოხაძეს და კოროხიას.
დ. ბაქრაძის ახსნით და ჩვენის ფიქრით ყოველივე ეს ხალხის

მოგონებული უნდა იყოს და ხურსიძის გვარი იმავ თავიდამ-
ვე XVII საუკუნემდე ხურსიძეთ უნდა იქმნეს წოდებული.
რაც შეეხება ამ შეცდომის გაფართოვებას, ამის საფუძ-
ვლად კმარა ჩვენ დავასახელოთ ქართულის ძველის ხუცურის
ქარაგმიანის წაკითხვის დიდი სიძნელე. ქართული ხუცურის

კითხვა ისეთი რთული ძნელი რამ არის, რომელსაც თავისს განსაკუთრებული მეცნიერული გზა და კვალი აქვს, თავისს მრავალ-ნაირი რთული ტეხნიკა, რომელსაც დიდი შესწავლა უნდა, დიდი ცოდნა და დაკვირვება, რომ უძველესი წარწერები სისწორით იქმნეს ამოკითხული.

როგორცა სჩანს, ხურსიძენი პირველის საუკუნიდგანვე წოდებულნი ყოფილან ვითაარცა „მეციხოვნე ანუ ჯაბახანის გამგენი-ერისთავნი“. ქართულს ისტორიულს წიგნებში ერთობ ბევრს ალაგას მოიხსენებიან მეციხოვნე-აზნაურნი, ხელის-უფალნი-აზნაურნი, მეციხოვნე-აზნაურ-ერისთავნი და სხვანიც ამგვარნი მრავალნი. ყოველ კუთხეს და ყოველ საბრძანებლის გამგე ერისთავად იწოდებოდა. იყო ისეთი ერისთავი, რომელსაც მარტოდ ერთი კუთხე ეკავა და განაგებდა, ანუ დღეინდელად რომ ვსთქვათ, ერთი უეზდის ტოლა ადგილთ და სოფლებთ გამგეობა ეკავა, ამიტომ ძველად მარტოდ სამცხე საათაბაგოს რამდენიმე ერისთავი იჯდა. XII საუკუნის დამლევიდამ-კი, თამარ მეფის დროს, ამ გარამოებას ჯეროვანი ყურადღება მიეპყრო. აზნაურთ შორის ერისთავობა მოისპო. იგი მიენიჭა მხოლოდ მოწინავე თავადიშვილის გვარის წევრთა და მასთანვე განდიდებულ იქმნა საბრძანებელიც მათი. ასე რომ, მთელი საქართველო დაიყო შემდეგ საერისთავოდ: „სვანთა – ერისთავ ბარამ ვარდანის ძე, რაჭის – ერისთავი კახაბერ-კახაბერის ძე, შარვაშიძე ცხუმის-რისთავი, ამანელისძე ოდიშის-ერისთავი – ბედიანი, და ლიხთ-იმერთ ქართლის ერისთავად რატი სურამელი, და კახეთის ერისთავად ბაკურ ყამის ძე, ძაგნის ძე, ჰერეთის-ერისთავად გრიგოლის ძე ასათ, რომელმან მოსტაცა მძლავრებითა და მორევითა საღრის კოლონკოლის ძესა და მცირედ ჟამ ქონებასა შინა იაჯა არშიანს ადგილასა დაჯდომა სასწაულითა და ჴელთ უდვა შვილ-

სა მისსა გრიგოლის ჰერეთის ერისთავობა, და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი და სხვანი ჴელის უფალნი, ტაძარსა და საყდარსა წინაშე მდგომელნი, განაჩინეს წესისამებრ და სიახლისა.“

ცნობებიდამ სჩანს, რომ მთელის საქართველოს ერის მართვა-გამგეობა ათ საერისთავოდ გაყოფილა. სამცხის ერისთავად ჯაყელი დაუნიშნავთ და მისთვისვე სპასალარობაც მიუნდვიათ. საქმე და ერისთავთ გამგეობა ისე მოუწყვიათ, როგორც თურმე მათი ახალი დრო ანუ სახელმწიფოს აგებულება და წესს-წყობილება მოითხოვდა. ამიტომ მრავალ ალაგას გაუქმებულა თემის-კუთხის ერისთავობა და მისს მაგიერ გამოცხადებულა, ანუ დამყარებულა უფრო ფართო საბრძანებლის ერისთავობა. ასე რომ ხურსიძეებს ერისთავობის თანამდებობა სწორედ ამ დროს უნდა ჩამორთმევოდათ, რადგანაც სამცხე-საათაბაგო ერთ საერისთავოდ გამოცხადდა, მინამდე-კი იქნება 10 ერისთავიც იჯდა, და უფრო მეტიც. ერისთავობის ჩამორთმევის შემდეგ მაინც აზნაურნი თუ თავადნი ხელის უფლად შთებოდნენ და იყვნენ ისეთი აზნაურის შვილებიც, რომელნიც თავიანთის წოდებით პირველ ხა-

რისხოვან თავადისშვილებს უდრიდენ. მათ შესამჩნევი ღირსება ჰქონდათ და სამეფო თანამდებობის დროს პირველ ხარისხის სახლის შვილებთან ერთად იკავებდენ ადგილს, თანამდებობას. ასეთი არიან ძველი აზნაურის გვარის წევრნი ასათისძე, ბადურისძე, გულისძე, ძაგნისძე და მათთანვე ხურსიძეც.

ხურსიძეებს თავიანთ საბრძანებელში ეკკლესიაც-კი ჰქონიათ საკუთრებათ და ისიც ისეთი ტაძარი, რომელიც არამც თუ იმ დროს, არამედ დღესაც საყურადღებოა. ეს საყურადღებო ტაძარი გახლავთ ზარზმა, რომელიც ახალციხიდამ 33 ვერსის სიშორიდ სძევს. ზარზმის ტაძარს გარდა ჭულევის ტაძრის მაშენებლობაც ამათ ეკუთვნისთ. ამას ჭულევის ტაძრის წარწერაც მოწმობს. შეუძლებელია, რომ უმნიშვნელო გვარის წევრთ იმ დროს შესძლებოდათ ორი გვარიანი ტაძრის მაშე-

ნებელ-განმანახლებლობა და მასთან პატრონობ-მფარველობაც. ამ ტაძართ უპირატეს მფარველობას ბროსეც სწერს თავის მოგზაურობაში *).

საქართველოში მრავლად გავრცელებულ ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა აზნაურის შვილებთ შორის შემცირდა და ერისთავ-ერისთავის მსგავსი თანამდებობა იქმნა შემოღებული: „ციხის თავობა“, თითო მოწინავეს, ან დიდებულთაგანს ჩაბარდა ერთი კუთხის რომელიმე ციხის მეუფროსობა, ანუ ციხის თავობა. ასეთ თანამდებობის კაცნი „ქართლის ცხოვრება“-შიაც მრავლად მოიხსენებიან სხვა და სხვა დროს, მაგალითებრ „ქართლის ცხოვრებაში“ 1230 წლებიდგან და „ქრონიკებში“ საშუალ საუკუნოებშიაც. ციხის თავნი ამაზედ წინეთაც არიან ხსენებულნი. **) ასეთი მოხელენი. წინეთაც ამ სახით განაგებდენ. XII საუკუნის შემდეგ ხურსიძეებს თანამდებობად „ციხის თავობა“ მიენიჭათ, ქვაბლიანსა და ახალციხეში. „ციხის თავად" ესენი ცნობილ იქმნენ საქართველოს მეფობის წინაშე. სამეფო გამგეობა ამათ ანიჭებდა შესაფერს პატივს ვითარცა ახალციხის „ციხის თავთ“ ეს თანამდებობა ხურსიძეებში საგვარეულო კუთვნილებად დაშთა და ერთის პირის სიკვდილის შემდეგ „ციხის თავობა“, ანუ მეუფროსობა მეორე პირზედ გადადიოდა, ხან შთამომავალზედ და თუ რომელიმე პირს თავის შთამომავალი არ ჰყვანდა, მაშინ ძმაზედ გადადიოდა, ან ბიძაშვილზედ. ციხის თავებს ასეთი ხარისხი ეკავათ, მიტომ სამეფოსაგან პატივიც ჰქონდათ მინიჭებული. საჭიროების დროს მათ წერილს სწერდა მეფე და თვით დედოფალიც. ასეთია მაგალითებრ: XVI საუკუნის დამლევს, დედოფალი ნესტან დარეჯანი ასეთ ბრძანების წერილს სწერს***) ალის მოურავს, რომელიც ციხის თავიც იყო:

---

*) მოგზაურობა ბროსესი .

**) ქართლის ცხოვრება I ტ.ი

***) დ. ბაქრაძის მოგზაურობა გურია-აჭარაში 1878 წ.

„გიბრძანებთ ალის მოურავო ციხისთაო და მებაჟენო და სხვა-ნო მოსაქმენო! ვინც სვეტი ცხოველის ყმანი მოქალაქენი მოვიდნენ მანდა, ნურას ბაჟსა სთხოვთ და ნურცა სალამათს, სვეტის ცხოველის-თვის მეგვიწირავს“. ამ გვარი ცნობები მრავალ ალაგას არის მოხსენებული და ყველგან კარგად სჩანს, რომ ციხისთავებს თავიანთ თანამდებობის გარდა ჯაბახანას, (არტილერია) სამო-ქალაქო და საერო ნაწილის საქმეებშიაც ჰქონიათ წილი და ციხის თავობის გარდა სხვა საქმენიც უსრულებიათ. კარგად სჩანს, რომ ციხის თავის თანამდებობა დღეინდელ კომენდან-ტების თანამდებობას უნდა უდრიდეს.

როგორც სჩანს, ხურსიძეებს იმავ დროიდგან ზოგთაგან გვარად „ციხისთავიც“ სწოდებიათ. ამის მსგავსი კახეთში აზნა-ურთ შორის „ციხისთავის“ გვარი დღეს ციხისტოვათ გადა-კეთებულა, თვით-კი სინამდვილით თავიანთ ძველს გვარს – ხურსიძეს, სულ ძველის ძველადგანვე *) ანუ ხურციძეს იწო-დებდენ. აქ გარჩევა უნდა იმასაც, თუ ხურსიძე უნდა იხმა-რებოდეს თუ ხურციძე. ჩვენ, ხურსიძე უფრო კანონიერად მიგვაჩნია, თუმცა სხვა და სხვა ალაგას ძველადვე შეცდო-მით სულ სხვა და სხვა ნაირად მოიხსენებენ.**) ხურსიძეთ იწოდებოდნენ იმ დრომდე, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ოსმალნი დაიკავებდენ, მერე კი ეს გვარი სხვაფერ შეენაც-ვლათ. XVI საუკუნის ნახევარს, სცხოვრებდა ერთი გამოჩე-ნილი მღვდელთ მთავართ მთავარი იოსები ხურსიძე, აგარიან-თა პირის დამყოფელი, რომელ მღვდელ მთავარიც ხურცის-ძედ არის მოხსენებული. ცხადია, რომ ხურსიძენი XVI საუ-კუნის გასვლამდენაც თავიანთ გვარით იწოდებოდნენ, ხოლო რაც შეეხება ამ მაგალითს, რომ ეს მღვდელ-მთავარი პირდა-პირი ნათესავია სამცხელ ხურსიძეებისა, ამას ამტკიცებს ზარ-ზმის ეკკლესიის სამრეკლოს წარწერაც. ეს წარწერა აი რას გვაუწყებს: – „აღშენდა ესე წმიდა ეკკლესია სახელსა ზედა წმინდი-

*) ქართლის ცხოვრება I ტ.

**) გურია აჭარაში მოგზაურობა დ. ბაქრაძისა 1878 წ.

სა იოანე მახარებლისა ნებითა ღვთისათა, და ბრძანებითა ყოვლისა ქვეყანასა სახელ განთქმულისა აგარიანთა პირის დამყოფელისა ხურ-ცისძისა პატრონისა ფასნისითა (ფარსმანი) სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან.“

მდვდელთ-მთავართ მთავრობისა ხურციძის პატრონის მიტრო-პოლიტის სპირიდონისა, ქკნს, სდე.“

წარწერიდამ სჩანს, რომ აგარიანი პირის დამყოფელის იოსებ მღვდელ-მთავრის დროს, ყოფილა ხურციძის გვარის მეორე უფროსთ უფროსი მღვდელ-მთავარი მიტროპოლიტი სპირიდონი. ერთიცა და მეორეც ჩვენს ისტორიაში ძრიელ მცირედ არიან ცნობილნი. ამათ არც საქართველოს საეკლე-

სიო ისტორიაში აქვსთ დათმობილი ადგილები და არც „ქარ-
თლის ცხოვრებაში“. ამის მიზეზი ვგონებთ მათი ცხოვრების
უიღბლობა უნდა იქმნეს. კარგად ვიცით, რომ XI საუკუნის
შუა ქართველთ ბრძენ მწიგნობართ მღვდელ მთავრებთ შო-
რის მაჰმადიანთ პირის დაყოფა ისე არ იყო აღორძინებული,
როგორც შემდეგ, საშუალ საუკუნოებში. ეს აღორძინდა
ქართველებში მას შემდეგ, რაც მუსულმანებმა ამაღლება იწ-
ყეს და საქართველოზედ მძლავრად გავლენა. ამის აღორძინე-
ბის ხანად უნდა მივიღოთ XIII საუკუნის დამლევი, ანუ XIV
საუკუნის პირველი წლები. ერთი საუკუნის განმავლობაში-კი
ეს მიმართულება ისე აღორძინდა, რომ XV საუკუნეში, ამის
შესახებ ქართველთ შორის, მწერლობაც გაბრწყინდა, სადაც
ირჩევოდა მუსულმანობის მოძღვრების დედა აზრები, მაჰმადი,
მისი ცხოვრება და „ყურანსაც“ *) არჩევდნენ. სწორედ ერთ
ასეთ ბრძენ მწერალ პირის დამყოფელ მქადაგებლათ სჩანს
მღვდელთ მთავართ მთავარი იოსებ ხურსიძე, რომელიც სცხოვ-
რებდა XVI საუკუნის ნახევარს. ამას ამტკიცებს ზარზმის ეკ-
კლესიის შემდეგი წარწერაც:

„ – 1577 წ. მოხსენებულია იოსებ ხურციძე (ხურსიძე), იოსებ
მღვდელ
მთავართ მთავარი აგარიანთ პირის დამყოფელი ქ-კს სჲ“. ეს ქო-

*) არქეოლოგიური მოგზაურობა ბროსესი საქართველოში 1855 წ.

რონიკონი უნდა გვიჩვენებდეს 1577 წ., და არა 1045 წ.,
როგორც ჰფიქრობდა ბროსე*) ამბობს, ცნობათა დამწერი. მე არ
ვიცი ამაზე რა მოგახსენოთ. ამ წარწერის ხურსიძე აგარიანთა
პირის დამყოფელი სულ სხვა სახელის პირია დი დიმ. ბაქრა-
ძის ხურსიძე-კი სულ სხვა სახელის გახლავსთ. იქნება ორივე
ხურსიძენი სხვა და სხვა პირები არიან და ორივ აგარიანთა
პირის დამყოფელნი. ვინ იცის, აქ შეიძლება უნებლიე შეც-
დომა არის დაშვებული, რაის გამო ერთის ცნობილის ისტო-
რიული პირის სახელი ორნაირად შეცვლილია. ამიტომ არც
დ. ბაქრაძეს დაუწყებთ გარჩევას და არც „ქრონიკებს“. ეს აქ
მივიყვანეთ როგორც არსებული წარწერანი და შეცდომის
გარჩევა სხვებისთვის მიგვინდვია. აღსანიშნავია კი ის გარე-
მოება, რომ როგორც ზარზმის წარწერა, ისე ამ აგარიანთა
პირის დამყოფელის ხურსიძის ცნობა ერთ დროის პირებს
შეეხება. „ქრონიკებში“ მართალია ზარზმის წარწერის ქორო-
ნიკონის შეცდომა სწორეთ არის გარჩეულ გასწორებული,
ხოლო რაც შეეხება მოყვანილს წარწერას, ეს-კი ძრიელ შეე-
საბამება დ. ბაქრაძის მიერ გადმოღებულს წარწერას და ამი-
ტომ საჭიროდ ვრაცხთ, რომ აქ ეს „ქრონიკების“ წარწერა
მთლად მოვიყვანოთ. რადგანაც ზარზმის წარწერა დ. ბაქრა-
ძის გარდა ვინმე მესხსაც სწორედ ისევე აქვს გადაღებული**),
როგორც დ. ბაქრაძეს და არა ისე, როგორც „ქრონიკებშია“.

აქ, აი, რა უნდა შევნიშნოდ ერთი: ზემოთ მოყვანილ

წარწერის ფარსმან ერისთავთ ერისთავი XI და XII საუკუ-
ნის დასაწყისის პირია და მისს ბოლოს მოხსენებული მიტრო-
პოლიტი სფირიდონი-კი XV ან XVI საუკუნის დასაწყისის
პირი უნდა იყოს. სჩანს, ზარზმის ტაძრის ის კედელი, რო-
მელზედაც მისს მაშენებელ ფარსმან ხურსიძის სახელი ყოფი-
ლა მინაწერი, ჟამთა ვითარებისაგan დაძველებულა, მერე ჩა-
მოქცეულა; შემდეგ ეს დაქცეული განუახლებიათ და ნაწე-

*) ქრონიკები II წიგნი, გვ. 416.
**) ვინმე მესხის შრომანი ზარზმის წარწერების შესახებ.

რის ალაგას ქვაზედ წარწერაც განუახლებიათ და მის ქვეშ
ისიც აღუნიშნავთ, თუ იგი რომელ მღვდელ მთავართ მთავ-
რის დროს აღშენდა და როდის განახლდა.

მაჰმადიანთ პირის დასაყოფლად ქართველთა მრავლად
სწერს და მასთან ზედ მიწევნით მეტად საფუძვლიანად, იგინი
მკაცრად არღვევდენ მაჰმადის სწავლა-მოძღვრებას და რაც ძა-
ლი და ღონე შესწევდათ თავიანთ ქადაგებას და ნაწერებს
მარტოდ ქართველებში-კი არ ავრცელებდნენ, არამედ თვით
მუსულმანებშიაც. ამიტომ იგინი ხშირად თავიანთ ნაწერებს
ოსმალურს და სპარსულს ენაზედაც სწერდნენ. ამის ძალა
და ცოდნა მათ კარგადაც ჰქონდათ, რადგანაც სპარსული,
ოსმალური და არაბული ენები კარგად იცოდნენ, ზედმიწევ-
ნით სწავლობდნენ არაბულს ენას, რომ „ყურანი" მათ არა
ბულს ენაზედ წაეკითხათ. ცხადი საქმეა, რომ იოსებ ხურსი-
ძეც ერთ ასეთ ენერგიულ მქადაგებელ მწერალთაგანი იქნე-
ბოდა, რომელსაც ბევრი ძვირფასი რამ მასალები და წიგნები
დაშთებოდა არა მარტოდ ქართელს ენაზედ, არამედ ოსმა-
ლურს და სპარსულს ენაზედაც. იოსებ ხურსიძის შესახებ უა-
მისობას ჩვენ ვერ ვიტყვით, რადგანაც მისს დროის გარემოე-
ბა და ისლამის ვითარება აუცილებლად ითხოვდა ასეთ ენერ-
გიით აღვსილს და მრავალ ნაირად მცოდნე კაცის ენას. უა-
მისობა-კი არც შეიძლებოდა. ხომ მოგეხსენებათ, რომ პოლე-
მიკაში და ისიც ასეთ სარწმუნოებრივ პოლემიკაში მოუმზა-
დებელი და განუვითარებელი პირი სრულებით ვერაფერს ჩა-
აწყობს, ისიც ფანატიკ და გაბოროტებულ მუსულმანებთან.

სწორედ ამ დროს, ამ იოსებ მღვდელ მთავართ ხურსი-
ძის დროს ცხოვრებდა ბაგრატ ბატონიშვილი, რომელიც
უკვე მოვიხსენეთ და რომელიც აგრეთვე მართავდა მაჰმადიანთ
პირის დამყოფლობის საქმეს. მისგან ნაწერმა „მაჰმადიანთ დარღ-
ვევამ“ *) ჩვენ დრომდისაც მოაღწია. სამწუხაროდ იოსებ ხურ-
სიძის ნაწერებს-კი ჩვენს მწერლობაში არაფერია დაშთენილი.

*) მაჰმადიანთ დარღვევა, შედგ. ბაგრატ ბატონიშვილისა XV საუკ.

რა ფიქრი ურდა *), რომ არსებობით-კი მრავალი რამ დაშთებოდა და მისს ფერ სხვა ქართველთ ბრძენ მწერალთაცა, მაგრამ ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. ისლამის წინააღმდეგ ქართველთ მწერალთა ბჭობას ვრცელი ისტორია აქვს. ამ ბჭობის შესახებ ქართველთ ასობით უწერიათ წიგნები, ხოლო მათი რიცხვი მოსპობილა ჩვენში და ისტორიაც მიმტკნარებულია. ასე და ამ გვარად, მაჰმადიანთ პირის დამყოფელი მღვდელმთავარი იოსებ ხურსიძე XVI საუკუნის პირია და არა XI საუკუნისა. იგი შვილია თავის დროისა და მწერლობით თუ სიტყვით იმ მოძრაობის და მიმართულების ნაყოფი, რაც-კი მისს დროს იყო ქართველთ ბრძენ მღვთის მეტყველთ მწერალთ შორის აღორძინებული.

საჭიროდ ვრაცხთ, რომ აქ აგარიანთა (ისლამის) პირის დაყოფის შესახებ დამატებით ვსთქვათ რამე, თუმცა ჩვენ მოვიხსენეთ, რომ ვითომც ისლამის დასარღვევი მწერლობა ქართველებში მხოლოდ XIII საუკუნის დამლევიდამ აღორძინდაო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველებში ისლამის დარღვევის მწერლობა და კამათი ძველადგანვე აღორძინებულა, თითქმის იმ დროდამ, როცა აზიის ერთა შორის მაჰმადის სწავლა წინ წავიდა**). შემდეგ საუკუნოებში-კი იგი დიდს წარმატებას მიეცა და მის ასპარეზზედ სამღვდელ მთავრო პირებს გარდა თვით ერის კაცნიც-კი გამოდიოდნენ. ამავე დროსა და ხანას ეკუთვნიან ის პირნი, რომელნიც ხურსიძის გვარიდამ გამოვიდნენ და რომელთაც მაჰმადიანთ შესახებ წერილები სწერეს. თანამედროვე მღვთის მეტყველნი და მეისტორიენი მასში ბევრს ცნობას ჰპოვებენ ისლამის საპასუხოდ და მასთან მეტად მოხერხებულათაც.

გაბრიელ წინამძღვარი ძე შოთა ყოფილის შიო ხურსიძისა. ამ გაბრიელ წინამძღვრის სახელს მოიხსენებს როგორც ზარზ-

---

*) ქართული მწერლობა XIII საუკ. ჩემი, ტფ. 1887 წ.

**) „წყობილ სიტყვაობა“ ანტონ კათალიკოზისა, გამ. 1851 წ. პ. იოსელიანის შენიშვნები.

მის ეკკლესიის სამრევლოს წარწერა, ისევე მოიხსენებს ზარზმის ეკკლესიის ერთი ძვირფასი ძველი ვერცხლის ჯვრის წარწერაც. ესევე გაბრიელ ხურსიძე მწიგნობარი პირი ყოფილა და მასთანვე პირის დამყოფელი მუსულმანთა სჯულის გამავრცელებლისა.

სპირიდონ მიტროპოლიტი ხურსიძე მოიხსენება როგორც ზარზმის ტაძრის წარწერებში, ისევე სხვა და სხვა ამავ ეკკლესიის ძველ ნივთების წარწერებში. ჩვენის მოსაზრებით ეს მღვდელ მთავართ მთავარი სპირიდონი უნდა ყოფილიყოს XIV საუკუნის დამლევამდე, არა უგვიანეს არც უადრეს ამისა.

უეჭველია მკითხველი ამ ცნობებიდან კარგად გაიგებს, რომ ხურსიძენი IX საუკუნიდამ მოყოლებული ვიდრე XVI საუკუნის გასვლამდე ყველგან ხურსიძეთ იწოდებოდნენ. ამას

ფიქრი არ უნდა, რადგანაც ცნობები გვაქვს, რომ სამცხე-საათაბაგოს პირველ აკლების დროს, ქვაბლიანიდამ, რამდენიმე წევრი ხურსიძის ოჯახიდამ გურიაში გადასახლებულან, რადგანაც ქვაბლიანი გურიაზედ ერთობ ახლოს არის. ქვაბლიანიდამ პირდაპირ ორი გზა გადის გურიაზედ და იმერეთშიაც. ასე რომ იმერეთს, გურიას და სხვაგანაც თუ სადმე ხურსიძენი მოიპოვებიან, ყველა იგინი ქვაბლიანიდამ არიან გასულნი სხვა და სხვა დროს, სხვა გაჭირვების და მტერთა თავ-დასხმის გამო, სადაც იგინი შემდეგ დროებში აქა იქ მგზავრობის გამო, თავიანთ გვაროვნობის ცნობას და აზნაურის შვილობასაც აუცილებლად დაჰკარგავდნენ. ამას ფიქრი არ უნდა, ეს ასე იქნებოდა.

რადგანაც წოდებათა ძიებისათვის აღარავის სცალოდა, ყოველმა ოჯახის წევრმა კარგად იცოდა, თუ იგი ვისი შთამომავალი იყო და ვისი ოჯახის შვილი, ხოლო შემდეგში ჟამთა ვითარება რას მოიტანდა, ამაზედ მათ ფიქრი არ ჰქონდათ, აქ წოდების რჩევა რაღა დროს იყო, როცა დადგა ქართველთა განკითხვის დღე, საქართველოს მოსპობის *) და უცხო,

*) ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ ანტ. ფურცელაძისა.

ქვეყნებში გარდასახლების, სპარს-ოსმალთა პოლიტიკას ეს შეადგენდა, ქართლის ამოწყვეტა, კახელთ გადასახლება, მიტომაც გადაასახლეს სპარსეთს 120 ათასი ქართველი! *)

სამცხე-საათაბაგოს მოწინავე ძალას და ხალხს ადრიდგანვე ეწვია ქუდზედ კაცის ძახილი და სისხლის ღვრა. მთელ საქართველოში სისხლის ღვარი მიდიოდა. მაშინ ყველა ქართველი მხოლოდ ქართველი მეომარი იყო. თავადს, აზნაურს და გლეხს საერთო ვარამი აწუხებდა, ქვეყნის დამხობა, მოსპობა და განადგურება. ამის შესრულება-კი მაჰმადიანთ ნატვრას'შეადგენდა. სამწუხაროდ ჩვენის სამეფოს წესები და მის გამგეობაც ისე უძლურდებოდა, რომ მისთვის შეუძლებელი იყო თვის ქვეშევრდომთ წოდებათა მფარველობა და უფლებით შემოფარგვლა თუნდ მარტოდ წერილობით ქაღალდზედ. ნამეტურ ეს ემჩნეოდა სამცხე-საათაბაგოს გამგეობას. ეს ნაკლი სამცხელთ მაშინ უფრო დაემჩნათ, როცა იგინი ოსმალთა მონების ქვეშ შევიდნენ, საქართველოს მეფობასთან დაკარგეს კავშირი და ნახევარ საქართველო ოსმალეთის სამფლობელოთ შეიქმნა. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ სამცხე-საათაბაგოს ერისთვის მათ გამგე მთავრებმა ბექამა, აღბუღამ და სხვათა სამართლის წიგნიც დასწერეს. ამ სამართლით მესხთათვის დაიდო ადამიანური კანონი, წესი და ყოველივეს ლაზათიანი დაკანონება მიეცა. ეს არსებობდა მხოლოდ ძლიერ მთავრების დროს, შემდეგკი უძლურ იქმნა და თითქმის ოსმალთა ძალმომრეობით ურგებიც, ყოველივე ქართველი ჭეშმარიტების სამართლის, კანონის თუ განკანონების ოსმალთა ძლიერების ქვეშ იყო მოქცეული, მათ მახვილის ქვეშ და-

ჩრდილული. სადაც ყოველივე ითრგუნებოდა და ილახებოდა, რაც ცხადი საქმეა ხურსიძის სახლის შვილებსა და მათ ყოფა-ცხოვრებაზედაც დიდს ზე გავლენას იქონიებდა. თუმც დიდი უძლურება უნდა ყოფილიყოს ამათ კარზედ მისული, მაგრამ მათ გვარში, მაინც თითო ოროლა ხელოვანნი მხედარნი და

*) პიეტრო დელა ვალეს წერილი ურბანს პაპთან 1620 წ.

მწიგნობართ-მწიგნობარ მღვდელ-მთავარნი თვით XVIII საუ-კუნის გასვლამდისაც-კი არ გამოლეულან. როგორც ხურსი-ძეების კათოლიკის სარწმუნოების დაკავშირებამდე, ისე მერე, მის შემდეგაც, როცა იგინი კათოლიკობას დაუკავშირდნენ.

ამას გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ ზარზმის წინა-მძღვრებთ შორის. რავდენიმე პირი სჩანს ხურსიძის გვარის წევრთა. ჩვენის მოსაზრების მაგალითს წარმოადგენს თორნი-კე ერისთავის საქმე, შოთა რუსთაველის ბერათ აღკვეცისა, იოანე შავთელის და მრავალიც სხვანი ენით უთვალავნი. საქართველოს ისტორია სავსეა ასეთი მაგალითებით. XVIII საუკუნის დასასრულამდე, საქართველოს სამეფოის დროს ყველა მღვდელ მთავრები, ქათალიკოზნი, მიტროპოლი-ტნი, არქიმანდრიტნი და წინამძღვარნი სულ თავად-აზნაუ-რის გვარის ოჯახის შვილები იყვნენ, გლეხთაგანნი ძრიელ მცირედ, ძრიელ იშვიათი იყო. ეს ცხადათ სჩანს ჩვენის ის-ტორიულის წიგნებიდამა და მის გარდა ყოველმა ქართველმა მწიგნობარმაც კარგად უნდა უწყოდეს.

გლეხთა შორის ამის ტრფიალება შეჩერებულ იყო ძვე-ლადგანვე. ქართველი გლეხობა საყოველთაოდ მეურნეობას და ხელოსნობას მისდევდა. ხსენებულის მიმირთვისაგან განდ-რეკას თვით მათივე ცხოვრება და ტვირთი აუწყებდა. მათ ამისთვის არ სცალოდათ. ხანდისხან კი სჩნდებოდენ გლეხთა გაკეთებულს ოჯახებში რომ თავადაზნაურთა მიბაძვით, გლე-ხის შვილებიც მიდიოდნენ სასულიერო წოდებაში. მაგრამ უმეტესი ნაწილი იმათგან დიაკვნობასა და მორჩილობაში ბერ-დებოდნენ, თითო-ოროლა-კი მღვდლობასაც ეღირსებოდა. ამი-ტომ ნურავის გაუკვირდება ის გარემოება, რომ საქართველო-ში იმოდენად გავრცელებულ ბერებსა და მღვდლებსა და მღვდელ მთავრებთ შორის გლეხთაგან სასულიერო პირთ რიც-ხვი ისე მცირე იყო. ამას თავისი მიზეზი აქვს. ამათი რიცხვი ერთ დროს სულ არ იყო საჭირო, რადგანაც თითო მოწინა-

*) ბექა, აღბუღა და მათი სამართალი ნ. ხიზანოვისა.

ვე გვარის ოჯახიდამ რამდენ-რამდენიმე პირნი მიდიოდნენ ბე რად, რასაც ცხადათ ხურსიძის გვარის ცნობაც ამტკიცებს. შემდეგ საუკუნოებში-კი, გლეხთა შორისაც იჩინა თავი ამ

მიმართულებამ და სამღდელო პირებათ სულ გლეხის შვილე-
ბი მიდიოდნენ. ბერმონოზნობა და უმაღლეს ხარისხს-კი თავად-
აზნაურობა ელტოდა. მიტომაც გახლდათ, რომ საქართველოს
ყველა კათალიკოზნი, მღვდელ მთავარნი და არქიმანდრიტნიც-
კი ყოველთვის ხსენებულის წოდების იყვნენ, გლეხთაგან ერ-
თი მაგალითიც არ ყოფილა.

ზარზმის ტაძარს რომ ხურსიძის გვარის წევრნი ხშირად
ჰყოლია წინამძღვრად და შემწირველად, ამას ამტკიცებს შემ-
დეგი: საშუალ საუკუნოებს, როდესაც სამცხე ოსმალთაგან
დევნას მიეცა, ამ დროს ზარზმის ეკკლესიაც დიდს გაჭირვე-
ბაში ჩავარდა, ეკკლესიას ხშირად მუსულმანები ესხმებოდნენ
და სძარცვავდნენ. უკანასკნელ საქმე ისე გაჭირდა, რომ მე-
თექვსმეტე საუკუნის დამლევს, ზოგიერთი რამ ძვირფასი ნივ-
თები ზარზმის ეკკლესიისა გურიაში გადიტანეს და ყველა იგი-
ნი შემოქმედის საეპისკოპოზო ტაძარში დაასვენეს, მაგალი-
თებრ: შემოქმედის ტაძარში დღემდე დაშთენილია ზარზმის
ეკკლესიის მშვენიერი ოქროს მღვთის მშობლის ხატი, რომ-
ლის წარწერა მოწმობს შემდეგს:

„წ. მოვჭედეთ: და: შევამკეთ: ხატი: ესე: ყოვლად: წმიდისა:
ჩვენ: ხურსიძის ქალმან: ბაბამან: თამარ: ქმარ-შვილთა: სადღეგრძე-
ლოთ: და საღსრად: სულისა: ჩვენისათვის:“

ჩვენის ფიქრით ეს ხატი მოჭედილი უნდა იქმნეს XIV
საუკუნის ნახევარს და თვით ეს ქალებიც ამავ საუკუნის პი-
რებათ მიგვაჩნია. ამ ძვირფასი ხატის მშვენიერი ხელოვნება და
მოწყობილობაც ამასვე ამტკიცებს, რადგანაც საქართველო-
ში ასეთი ხელოვნების და მხატვრობის წარმატება მხოლოდ
XIVსაუკ. დამდეგამდე სჩანს. შემდეგ იგი ეცემა, სუსტდება
ისევე, როგორც თვით ჩვენი სამშობლო საქართველო და-
სუსტდა და დაკნინდა. ამავ შემოქმედის ტაძარში დღემდე შე-
ნახულია მშვენიერი ვერცხლის ჯვარი, რომლის წარწერაც

მოწმობს ცხადათ, რომ იგი შეუნახავს ზარზმის წინამძღვარს
გაბრიელ ხურსიძეს. როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, გაბრიელ
ხურსიძე XIII საუკუნის პირია.

„ამისა“ მომჭედელსა: ხურსიძესა: ზარზმისა:. წინამძღვარსა:.
გაბრიელსა:. შეუნდოს:. ღმერთმან:.“

საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვათ, რომ ეს გაბრიელ ხურსიძე
უნდა იყოს ის ზარზმის სამრეკლოს მაშენებელი გაბრიელ
ხურსიძე, რომლის სახელიც მოხსენებულია ზარზმის ტაძრის
სამრეკლოს კედელზედ: აი ეს წარწერაც:

„ამისა აღმაშენებელისა წინამძღვარსა ხურსიძესა გაბრიელისა
ღმერთმან მისსა დედასა პატრონისა ივანესა ასულსა გუ-
ლადამ ყოფილსა გაიანეს ღმერთმან, მისსა მამასა შოთა
ყოფილს შიოს შეუნდოს ღმერთმან“.

ამ წარწერის შესახებ ჩვენ ჩვენი ჰაზრი გვაქვს. შემოქ-
მედის ზარზმის ჯვარის წარწერაში მოხსენებული გაბრიელ
ხურსიძე იმავ პირად დავსახეთ, რომელიც ზარზმის სამრეკ-

ლოს კედლის წარწერაზედ არის მოხსენებული. ეს პირი რო-
გორც სხვებს ჰგონიათ XVI საუკუნის პირად-კი არ მიგვაჩ-
ნია, არამედ XIII საუკუნის პირად.

ვერცხლის ჯვარი, რომელიც ოქროშია დაფერული,
ირგვლივ აქვს შემდეგი ხუცური წარწერა.

„ყოველთა სახლისა ჩვენისათა და მოსახსენებელად სულისა კურ-
თხეულთა მშობელთა და ძმათათვის ყოველთა სახლისა ჩვენისა გარ-
დაცვალებულთათვის დავხსენ წმიდასა საყდარსა ზარზმას მამულსა
ჩვენსა წინაშე ხატსა ფერისცვალებისასა აწ ჩვენნო დიდებულნო
მღვდელნო და დიაკონნო. იმსახურებდეთ ხურციძესა და სასახლესა
უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესსა მოხსენებით წმიდასა სახელითა უფ-
ლისათა მე ფარსმან ერისთავმან ძემან კურთხეულისა ცათა მბაძავის
ჩემდა შვიდთა ჩემთათვის“.

ამ წარწერაში ივანე მოიხსენება მარტოდ მამის სახელით
და გვარი-კი არ არის მოხსენებული. თუმც სხვა ცნობებით
ეს ივანე დაკლაკის ძე – ანუ შვილი გვარად ხურსიძეა. დ. ბაქ-

რაძეც ასე სწერს*), რომ ფარსმან ერისთავის დაკლაკის ძე გვა-
რად ხურსიძე არისო". ამასვე ამტკიცებს ზარზმის ტაძრის სამ-
რეკლოს კედლის წარწერა, რომლის ნახევარი მოგვყავს მხო-
ლოდ აქ, რადგანაც მთელი წარწერა ზემოდ მოვიყვანეთ.
დ. ბაქრაძესაც ასე აქვს გადაღებული.

„აგარიანთა პირის დამყოფელისა ხურსიძის პატრონისა ფარს-
მანისათა სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან“.

ზემოდ მოყვანილის ჯვარის წარწერას ფარსმან ერისთავი
და ამ სამრეკლოს კედლის წარწერის პატრონის ანუ მკეთე-
თებელის ფარსმანის სახელი ერთი და იმავ პირისა არის. ამას
ეჭვი არ უნდა. ამავ შემოქმედის ტაძარში არის მშვენიერი
ხატი მღვთის მშობლისა, ოქროსი, ძვირფას ხელოვნურად
ნაკეთი, რომელსაც ირგვლივ აქ-იქ ხუცური წარწერეები აქვს.
ზოგი ადგილები ამ წარწერებისა დაბნელებულია, ზოგში ქა-
რაგმით ერთ ასოში მთელი გვარი გამოიხატება. ამ ძვირფასად
ნაკეთ მღვთის მშობლის ხატის წარწერებშიაც მოიხსენება
ხურსიძე **). ეს ხატიც, რასაკვირველია, ამ გვარის წევრთა-
გან იქმნება გაკეთებული, შემკობილი და ზარზმის ეკკლესიი-
სათვის შეწირული.

ამ წარწერებს გარდა სხვა და სხვა წვრილმან წარწერებ-
შიაც მოიხსენებიან აქ-იქ ხურსიძეს გვარის წევრნი, ხოლო
სახელები კი არა, მარტოდ გვარი, რომელსაც გარშემო ზო-
გიერთი ადგილები და ასოები შემოფცქვნია და ამიტომ აქ
მარტოდ გვარის მოყვანა უხერხულიც არის. ცარიელი გვა-
რის ხსენებით არაფერი იქმნება, თუ მასთან წარწერის სხვა
სიტყვებიც არ იქმნებიან მოყვანილი. ყველა ეს ცნობები და
წარწერანი მხოლოდ ზარზმის ტაძრის კედლების ნაწერებშია
დაცული და ანუ იმ საეკკლესიო ძვირფასს ნივთებზედ, რო-
მელნიც ძველად ამ გვარის წევრთ ზარზმისთვის შეუწირავსთ

---

*) Археологическое путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бак-

радзе 1878 г.

**) იხილეთ დ. ბაქრაძის მოგზაურობანი.

და შემდეგ დროებში, XVI საუკუნის გასულს, ყველა იგი-
ნი გურიაში გადუტანიათ, სადაც ზარზმის სახელწოდებით ამ
საეკკლესიო ნივთებისთვის ეკკლესიაც გაუკეთებიათ.

რაც შეეხება ზარზმის ეკკლესიის სამგლოვიარო გარე-
მოებას და მაჰმადიანთაგან მიერ მისს შემუსვრას და სამცხის
ქართველთ დევნის ვითარების გაცნობას, ამიტომ აქ მოვი-
ყვანთ ერთ ძველ „სიგელს“, რომელიც ეკუთვნის გურიის მთა-
ვარს ვახტანგ მამიას ძე გურიელს. ეს ვახტანგი სცხოვრებდა
1590 წლებში *). ამ ვახტანგ გურიელს ცოლად სამცხე-საათა-
ბაგოს ქალი თამარი ჰყვანდა, რომლის ცნობა ჩვენ არა გვაქვს,
ხოლო მისს თქმა-კი შეგვეძლება, რომ ეს მაგალითი გურიელთ
და ათაბეგთ შორის მტკიცე კავშირად ვაღიაროთ. აი ეს წე-
რილიც:

„ნებითა და ჯერ ჩინებითა ღთ˜სა ყ˜ლისა მპყრობელისათა წ.
უკუჱ მონამან შენმან გიორგის შვილმან პატრონმან გურიელმან ვახ-
ტანგ გიძღუჱნ შენ მთასა წმ˜დასა მთაბორს გაბრწყინვებულსა ხატსა
ღ˜თაებისასა ოდეს ცოდვათა ჩუჱნთა და უსჯულოებათათვის ჩუჱნთა
შემცირდა ჭეშმარიტებანი ძეთა კაცთანი და უმეტეს ჩუჱნ ქრისტია-
ნეთაგანი. მას ჟამსა შინა, ოდეს პატიოსანი და დიდი საათაბაგო სა-
ქრისტიანო უსჯულოთაგან და უღმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუნა
იწყო მოკლებად სჯულმან ჩუჱნმან და აღორძინებად სჯულმა მახმე-
დისაგან მაშინ მას ჟამსა საათაბაგოს ურწმუნოთა და ბილწთა თათარ-
თაგან განირყუნა ზარზმის საყდარი მონასტერი მოიშალა და მოოხრ-
და და აიშალა და ზარზმის ხატი შენი ძლიერი მთაბორსა განბრწყინ-
ვებული აქ გურიას ჩამოასვენეს ვითარცა ექსორია ქმნილი და ვითარ-
ცა ქრისტე დღეთა ჰეროდესთა ვითარცა ეტყოდა ანგელოზი იოსებს
აღდეგ და ივლტოდე ეგვიპტედ. მას ჟამსა შინა აღვაშენეთ და შევამ-
კეთ ზარზმის საყდარი შემოქმედს და დავასვენეთ საძუალესა ჩუჱნსა
წ˜და ხატი ესე შენი მეოხებად ცოდვილისა სულისა ჩუჱნისა და ძმი-
სა ჩუჱნისა გურიელისა მამიას გასამარჯვებლად და ძეთა და ასულ-
თა მისთა საოხად და აღსაზრდელათ გაგვიწყვია ჩუჱნდა სასაფლაოდ.

---

*) გურია-აჭარაში მოგზაურობა დ. ბაქრაძისა 1875 წ.

ოთხმოცი კვამლის კაცით აზნაურის შვილებითა და ამ საწინამძღვ-
როზედ კანდელაკათ მათე წინამძღვრის ძმისწული იოანე მგალობელი
გოგიტიძე გაგვიჩენია და ამა ტაძრისა შენისა კანდელაკობა მისთვის
მიგგიცემია. ხუთის კომლის კაცით ამ კაცებით მირჩენია და შენთვის
შემოგვიწირავს ჩუჱნის ცოდვილის სულის საოხად და საცხოვნებ-
ლად და გურიელის ჩემის ძმის პატრონის მამიას გასამარჯვებლათ...
და ამა შენისა კანდელაკისთვის შენის მონასტრის მუდამ გაუყრელო-
ბისათვის წირვა ლოცვისა და სამსახურისათვის წელიწადში ჯამაგირი
გაგვიჩენია ათი გვერდი ღომი და ხუთი ქილა მარილი წელს მიეცე-
მოდეს... ამის მოწამენი არიან შემოქმედელ მთავარ ეპისკოპოსი
... ტონი ბესარიონ სახლთ უხუცესი მაჭუტაძე, რამაზ ართმელაძე,

ისაკ ნაკაშიძე, მამუკა და სხვანი ჩუᲬნი დარბაზის ერნი ყ˜ლნი უᲬე-
დაესნი და უქვედაესნი აᲬ ჩუᲬნსა შემდგომად ყ˜ლნო ბიჭვითისა ლა-
თალიკოსნო, თქვანცა ასრედ დაუმტკიცეთ ყ˜ლნო მიტროპოლიტნო
და მთავარ ეპისკოპოსნო თქუᲬნცა ასრე დაუმტკიცეთ არქიმანდრიტ-
ნო, წინამძღვარნი, ქორეპისკოპოსნო, ჴელის უფალნო, ნაცვალნო მო-
ხელენო ჩუᲬნნო კარის გამგებელნო თქუᲬნცა ასრედ დაუმტკიცეთ“.

ამ გრძელი სიგელის მოყვანა აქ მიტომ გავბედეთ, რად-
განაც როგორც ზემოთაც ვსთქვით, ეს კარგად ხატავს, რო-
გორც ხურსიძეების ზარზმის შემუსვრას, გაცარცვას და სხვა
სამწუხარო ცნობებს, ისევე სამცხე-საათაბაგოს ქართველთ
შორის ქრისტიანობის დაცემას და ისლამის გავრცელებას. ეს
სიგელი უტყუარი ჭეშმარიტება გახლავსთ ამისი და როგორც
აჩენს, შესანიშნავი ზარზმა XVI საუკუნის დამლევს მისცემია
უკვე შემუსვრას მტერთაგან *). აქედამვე სჩანს, რომ ზარზ-
მის ტაძრის მნიშვნელობა გურიელების წინაშე იქამდე შესამ-
ჩნევი ყოფილა, რომ მათ ამისთვის შემოქმედში თვით ზარზ-
მის სახელ-წოდებით პატარა ეკკლესიაც გაუკეთებიათ, სადაც
დაუსვენებიათ ნივთები და ხალხიც შეუწირავსთ. აქ ერთი
საკითხავი მხოლოდ ის რჩება, რომ, იმ დროს, ე. ი. 1580-
1587 წ. სჩანს ხურსიძეების წევრთ ზარზმის ტაძრის მფარვე-

*) საქართველოს ეკკლესიების და ნაშთების აღწერა დ. ბაქრაძისა.

ლობის აღარაფერი ძალა ჰქონიათ, რომ ესენი შელევიან
ზარზმის ძვირფასს ნივთებს და ნება მიუციათ გურიაში გა-
დატანის. ეს რასაკვირველია ხურსიძეებისთვის ადვილი საქმე
არ იქმნებოდა, რომ თავიანთ საგვარეულო მამა-პაპეულის
ნივთებს სამუდამოთ გამოსთხოვდენ, მაგრამ რას იზავდნენ,
მათ რომ გინდ თავიანთ სახლში წაეღოთ და იქ დაესვენე-
ბინათ, მაინც დრო ისეთი ბნელი და შავი იყო, რომ არც იქ
შეარჩენდნენ, ოდესმე აკლების დროს შინიდამაც წაერთმე-
ვოდათ ეს ნივთები. ამიტომ ისურვეს და დაუთმეს გურიაში
გადატანა და ეკკლესიაში საეროდ დაფარვა. თამამად შეიძ-
ლება ითქვას, რომ სამცხიდამ ხურსიძეების გადასვლა გურია-
ში სწორედ ამ დროს მოხდებოდა, ამას ფიქრი არ უნდა.
მაინც სამცხეში ქართველთ გადასახლება მთელ საქართველო-
ში ამ შავის დროდამ ემჩნევათ, რადგანაც თვით მცირებულთ
გარდა დიდებულნიც უძღოდნენ დევნას და ჩაგვრას.

რაც შეეხება ოსმალთ შიშსა და ქრისტიანთ დევნას, ეს
ვგონებთ ყველასთვის ცხადია. სამცხე-საათაბაგოს ქართველთ
შორის ოსმალთაგან დევნა და ქურდვა თითქმის XVI საუ-
კუნის დასაწყისიდამ აღორძინდა. ამის მაგალითს ზარზმის
ტაძრის ისტორიაც გვიმტკიცებს. უნდა მოგახსენოთ, რომ
ოსმალეთის ძრიელი სამეფო მაშინ ისე სამცხე-საათაბაგოს
განაპირა ადგილებს არ ელტოდა, როგორც ახალციხის და-
მორჩილებას და აკლებას. სამცხე-საათაბაგოს ცენტრად ეს
კუთხე და ქალაქი მიაჩნდათ და მიტომაც მათი სამხედრო ძა-
ლაც სულ ამ კუთხეზედ იყო მოზღვავებული. XVI საუკუ-

ნის დამლევს პარხალი არ იყო დევნილი, ხახულის დიდებუ-
ლი ტაძარი, იშხნისა და მრავალიც სხვა ასეთი ტაძრები და
ხეობანი, რომელნიც სამცხე-საათაბაგოს განაპირა ადგილებში
არიან დღემდე დაშთენილნი. ხსენებული ადგილები ზარზმა-
ზედ ერთი საუკუნის შემდეგ შეიმუირნენ და მოისპნენ. ასეთ
პოლიტიკას ადგა ოსმალეთი და იგი სამცხე-საათაბაგოს ისე
განაპირა ადგილას მყოფთ ქართველთ არ ავიწროებდა, რო-

გორც ახალციხეს, შუაგულს მცხოვრებთ ქართველთ და მათ
ავ-კარგიანობას.

იგინი არც შესცდნენ ამით, თავიანთი საძირკველი ახალ-
ციხეში გაამაგრეს, იქ აღმართეს მონობის მახვილი, ჯერეთ მის
ახლომახლო ადგილები დაიჭირეს, მონების ჯაჭვით შემოსეს,
დაამდაბლეს და მერე გარე იწყეს გასვლა და დევნა. რასაკვირ-
ველია პირველი მხვედრი უბედურებისა ახალციდამ პირდაპირ
ქვაბლიანს ხვდა და მიტომ დაეცა ეს კუთხეც. ქვაბლიანის საქმე
საშიშ მდგომარეობაში მოთავსდა, მისს მკვიდრ მებატონეთაც
საქმე გაუჭირდათ ძრიელ, ნამეტურ ხურსიძეებს, ქვაბლიანის
და ოცხის დევნა და შეწუხება რომ ოსმალთაგან ბევრად ად-
რეა გამოწვეული და დაწყობილი – ეს იქიდამაც კარგად სჩანს,
რომ XVIII საუკუნეში, ქართულს ენას ქართველ მაჰმადიანები
თვით ოლთისს, არტაანს და ყარსის მხარეშიაც-კი ხმარობდნენ
და ქვაბლიანში კი ოსმალური ენის შეჩვევა იწყეს. დღეს ხომ
ქვაბლიანში ქართული ენა ძირიან ფესვიანად არის დამხობილი.
ძრიელ მცირედ იციან აქა-იქ, ვინც იცის, ისიც მალავს, არ
აჩენს, ცოდვათ მიაჩნიათ ქართული ენის ხმარება. ეს არსებობს
ისეთ შუაგულ კუთხის ქართველ მაჰმადიანებში, სადაც ქარ-
თულს ენაზედ მოლაპარაკე მაჰმადიანთ აჭარელთ მოგზაურებიც
ერთობ ხშირია და მასთან ქართველ კათოლიკენი და ქართველ
ებრაელნიც ხშირად მგზავრობენ, ქართულის ენით საუბრობენ
და აღებ-მიცემა ამ ენით აქვსთ. მაგრამ ქართველ-მაჰმადიანები
ისე გაუკუღმართებულან რომ დედა ენაზედ ხმასაც არ იღებენ
და თავიანთ მოსისხარ მტრის ენით საუბრობენ. ასეთი მაგა-
ლითების მნახველი თვით მე ვარ. მიხეილ მეფისოვის სახლში,
ერთ დროს, ვერც ერთ ქართველ ბეგს ქართულად ვერ ამო-
ვაღებინეთ ხმა!

II

როგორც ვსთქვით ზემოდ, აქ არ შეიძლება, რომ ზარზმის
სამრეკლოს კედლის წარწერაში მოხსენებულის შოთას შესახებ

არა ვსთქვათ-რა, რომელსაც ერის-კაცობაში შოთა რქმევია,
ცოლშვილიც ჰყოლია, შემდეგ ცოლის სიკვდილისა ბერად
შემდგარა და მიტომ მისს სახელს შოთას მაგიერს შიო უწო-

დებიათ. ეს რასაკვირველია ასეც იქმნებოდა, რადგანაც ბერს ბერად აღკვეცის დროს, ისეთი სახელი უნდა უწოდონ, რასაც ერისკაცობის დროის სახელის პირველი ასო დაცული უნდა იქმნეს. მაშასადამე აქ ჰაზრი მტკიცეა, რომ შოთა როცა ბერაო შემდგარა, მისთვის სახელად რასაკვირველია შიო უწოდებიათ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ზარზმის ეკკლესიის სამრეკლოს გაკეთების ხანა XIII საუკუნის ნახევარს მიეწერება, ასე 1250 წლებში, ცოტა მეტნაკლებ შეიძლება იქმნეს. ეს რომ ცხადია და ზარზმის ეკკლესიის სამრეკლოს აღმაშენებელი XIII საუკუნის პირი უნდა იყოს, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ვინც ამ წარწერაში მოხსენებულია მაშენებელი ხურსიძე, მისი სახელი სხვა საუკუნოების ძველს ქაღალდებსა და სიგელ-გუჯრებში სულ არ გვხვდება. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ხსენებულს წარწერაში მოხსენებული პირნი: გაბრიელი, ქალი გულადამი, ყოფილსა გაიანეს და ამის მამა შოთა XIII საუკუნის პირები არიან და სხვა არავინ. ამ ცნობების საშუალებით მე ასეთ დასკვნას ვადგევარ, რომ შოთა ყოფილი- შიო უნდა იყოს შოთა რუსთაველი, ე. ი შოთა რუსთაველის გვარი ხურსიძე უნდა ყოფილიყოს. ამავე აზრის არის ალ. ხახანაშვილიც. ამას მე გარდაწყვეტით ვამბობ და ეს უფრო დამტკიცდება მაშინ, როცა ხსენებულ წარწერის დრო ნათლად იქმნება ახსნილი და განმარტული. აქ კი ისევ ზარზმის ეკკლესიის სამრეკლოს წარწერა უნდა მოვიყვანოთ:

„ამის აღმშენებელსა წინამძღვარსა ხურსიძესა გაბრიელსა შეუნდოს ღმერთმან მისსა დედასა პატრონისა ივანესა ასულსა გულადამ

---

*) არქელოგიური კრების წიგნი მოსკოვის არქელოგიური კომიტეტისა V ტ., წერილი ალ. ხახანაშვილისა.

ყოფილსა გაიანეს შეუნდოს ღმერთმან მისსა მამას შოთა ყოფილსა შ ი ო ს შეუნდოს ღმერთმან".

მოგეხსენებათ, რომ შოთა რუსთაველი მესხი იყო. იგი თავისს თავსაც ასევე უწოდებს რომ „და ვწერამ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთავისა დაბისაო“. ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ შოთა რუსთველს მეუღლეც ჰყოლია, შვილებიც მისცემია, მაგრამ ცოლის სიკვდილის შემდეგ ბერათ შემდგარა; ამის ბერად შედგომა საქართველოშივე მიეწერება. ბერათ აღკვეცის შემდეგ საქართველოში უცხოვრია და შემდეგ იერუსალიმში წასულა, ჯვარის მონასტერში, სადაც გაუტარებია თავისი უკანასკნელი დღენიც. ამას ეჭვი არ უნდა და ვგონებ არც არა სთქვას ვინმემ, თუ შოთა რუსთაველი ბერად სად აღიკვეცა? თვით შოთა რუსთაველის მკიცხველს ტიმოთე ქართლის მთავარ ეპისკოპოზსაც-კი არა აქვს ამის შესახებ რამე მოხსენებული, თუმცა იგი ერთ ალაგას შოთა რუსთაველზედ გმობას ამბობს: „კვალად ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეშ სვეტნი განუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთაველს, მე-

ჭურჭლეთ უხუცესს. თვითონაც შიგა ხატია მოხუცებული“. *)

საქართველოში, თუ იერუსალიმს შედგა ბერად შოთა რუსთველი. ამის შესახებ ეს მღვდელ-მთავარი არაფერს სწერს, თუმცა იგი იერუსალიმს ყოფილთ და თვის დროის მყოფთ ბერების შესახებ დაწვრილებით სწერს. გარდა ამისა არც იმას იხსენიებს, თუ შოთას იქ ბერობის დროს სახელად რას უხმობდნენ, ისევ შოთას, თუ სხვა სახელს. გამოჩენილმა მწიგნობარმა მღვდელ-მთავარმა არ იკადრა მისი სახელის მოხსენება, ღირსად არ სცნო, რადგანაც მას დიდი მტრობა და ზიზღი ჰქონდა. ამ ზიზღს მისი ცნობაც ამტკიცებს, რომ მან შოთა რუსთაველი ერის კაცის სახელით მოიხსენა. იგი ბერად იყო შემდგარი, მაგრამ მისგან დანათესი საქმე კი იქამდის ძლიერს სამოქალაქო საქმედ მიაჩნდა, იქამდის ამ ძალოვნების ქვაკუთხედ, რაისა გამო შოთა რუსთაველს იმდენად ბერათ არ სთვლიდა რამდენა-

*) ტიმოთეს მოგზაურობა იერუსალიმს, გამ., 1852 წ. თბილისი.

თაც ერის კაცად. ტიმოთე ეპისკოპოსმა კარგად იცოდა, რომ როდესაც შოთა რუსთაველი ბერათ შესდგებოდა, მისს შემდეგ მას სხვა სახელს უწოდებდნენ. რასაკვირველია ტიმოთესაც ამ სხვა სახელით უნდა მოეხსენებინა იგი იქ, სადაც რიგი იყო, მაგრამ ეს არ ქნა მან და აბუჩად ასაგდების კილოთი, დაცინვით მოიხსენა, გარდა ამისა მხოლოდ ის კი დაუმატა, რომ შოთა რუსთაველი თამარ მეფის მეჭურჭლე უხუცესათ ყოფილაო. ტიმოთეს წიგნიდამ *) კარგად სჩანს, რომ მას შოთა რუსთაველი „ვეფხის ტყაოსნის“ დაწერის გამო დიდად სძულებია და ამიტომაც ბრძანებს იმავ ნაწერის ქვეშ შემდეგს: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდის წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა, ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა საღმრთოდ სთარგმნე ბოროტი ლექსი მისი: აღწერა ქალისა ვისთვისმე თვალი მელნისა, პირი ბროლისა, ღაწვი ძოწისა და ამისა გამო დედანი საქართველოსანი ხატად ღვთის შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბმენ საბრხეთ სულთათვის **) და აბა ბატონებო ასეთი პირის ბერობა მას რად ექმნებოდა მიჩნეული და ის მას ბერობით და მის სახელითაც არ მოიხსენებდა.

ჩვენს სამღვდელოებას ასე ესმოდათ „ვეფხის ტყაოსნის“ მნიშვნელობა, ასე უმზერდნენ როგორც „ვეფხის-ტყაოსანს“ ისევე მისს დამწერს შოთა რუსთაველის ხსენებას. ამ მტრობის და ბოროტების გარეშე არამც თუ შოთა რუსთველის სახელის ზიზღია აქ საყურადღებო, არამედ თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ ბედიც-კი, რომ ის ამდენ მტრებს გადარჩა, ჩვენამდე მოაღწია და ჟამთა ვითარების მახვილმა ისე არ შეჭამა, როგორც თვით რუსთველის გვარსა და სახელს მოევლინა ცხადი საქმე, რომ სადაც რუსთაველზედ ასეთი შეხედულება ჰქონდათ, იქ ამას სიბერის დროს, ანუ ცოლის სიკვდილის შემდეგ – ბერად შედგომის მეტი სხვა აღარა ექმნებოდა რა დაშთენილი. იგი თა-

*) ტიმოთეს მოგზაურობა იერუსალიმს გამ. 1852 წ. თბილისი.
**) ტიმოთეს მოგზაურობა. გამ., 1850 წ., თბილისი.

ნამემამულეთ სიყვარულობის და თვით თამარ მეფის კარის კაცთა ცილის წამების შემდეგ, მყუდრო ბინად მხოლოდ მონასტერს ნახავდა, განმარტოებულს ცხოვრებას, შორიდამ მზერას და შემცნებით სინანულს ზოგთ თანამემამულეთ საყურადღებოთ. ბერათ რომ შეიმოსა შოთა რუსთაველი ეს მთელმა საქართველოის ერმა იცის, იგი მწერლობით აღიარებულია და მოთხრობილი ძველადგანვე მრავალთაგან, ნამეტურ ბერთა და მღვდელ მთავრებთაგან.

რაც შეეხება ზარზმის წარწერაში მოხსენებულ შოთას ბერათ აღკვეცას, ესეც ნამდვილია და ამას ეჭვი არ უნდა „შოთა ყოფილი შიო“ ცხადად მოწმობს. დ. ბაქრაძეც სწერს, რომ შოთა ბერათ შეიმოსა და შიო უწოდესო. ესევე გაიმეორა ადრე ა. ხახანაშვილმა „ივერია“-ში პირდაპირ სთქვა, რომ შოთას ბერობაში შიო ეწოდაო *) ცხადი საქმეა, რომ ამას იგი ზარზმის წარწერაში მოხსენებულის შოთა ყოფილის შიოთი იფიქრებდა. ეს რასაკვირველია ასე უნდა იყოს, მაგრამ შემდეგ ა. ხახანაშვილმა ეს კითხვა უყურადღებოთ დასტოვა და მისს შესახებ არაფერი დასწერა; **) რუსთველის აღწერაში მარტოდ ზარზმის წარწერაში მოხსენებული შოთა ყოფილი შიო მოიხსენა. იქმნება აქ მან საეჭვოდ ნახა რამე. ეს სახელი სხვა პირის სახელათ იცნა და თვისგან დაწერილს ქართულის სიტყვიერების ისტორიის მეორე ტომში მიტომ არა სთქვა რა იქ, სადაც რუსთველს და მის „ვეფხისტყაოსანს“ ასწერს. შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ზარზმის ტაძრის წარწერების ასე მოპყრობა და ჩვენგან სადათ ყურება შეუძლებელია, რადგანაც კარგად სჩანს, რომ ამ ტაძრის უმეტესი წარწერები XIII საუკუნეს შეეხება. დავსძენთ რომ ჩვენ-

---

*) ეს ვახტანგ VI-სისაგან დაწერილს „ვეფხისტყაოსნის“ ახსნას შეეხება, რომელიც დაიბეჭდა 1710 წ. თბილისში.

**) Очеркъ по исторіи грузинской словености вып. II А. Хаханова 1897 г. Москва და V ტ. არქელოგიურის კრებისა. ცალკე აწერილია დაწვრილებით მისგან ზარზმა და მის წარწერები.

გან დიდს საჭიროებას შეადგენს ხსენებული წარწერების გარჩევა, ამისთვის საჭიროა მთელი გუნდი იქმნეს მკვლევრად. ჩვენ თუ ამ წარწერების საშუალებით შოთა რუსთველის რამე ცნობები ფევიტყეთ, მერე გამოსჩნდება მთელი ისტორია შოთა რუსთველის ცხოვრების და მის გვარის, ზარზმის წარწერების შესახებ რუსულს ენაზედ მთელი ტომი არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ აქ მარტო ამ შესანიშნავ ტაძრის ხელოვნურს მნიშვნელობაზეა ყურადღება მიპყრობილი და არა წარწერებში მოხსენებულს ისტორიულს პირებზედ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ შოთა რუსთაველი ბერად საქართველოშივე შეიმოსა და რამდენსამე ხანს საქართველოში იცხოვრა. ბერად აღკვეცის შემდეგ იერუსალიმს გაემგზავრა. როგორც ვიცით ისტორიულის მასალებით მთელის ორის საუკუნის განმავლობაში მაგალითებრ XII და XIII საუკუნოებში, შოთა ვინმე გვარის შვილთაგანი ბერათ არავინ შემდგარა, ერთად ერთი რუსთაველი შეიმოსა ბერათ, სხვა ვინმე შოთას ბერათ შედგომის ცნობები ჩვენ არა გვაქვს, თუმცა-კი ისიც კარგად სჩანს, რომე არამც თუ XII და XIII საუკუნოებში სამცხეში მცხოვრებ დიდებულ გვარის წევრთაგანი ვინ შეიმოსა ბერათ, არამედ XIV საუკუნიდამ დაწყობილი, თვით XVIII საუკუნის გასვლამდისაც-კი თუ სადმე ვინმე ქართველთ თავადის, ან აზნაურის გვარის და გინდ წარჩინებულის გლეხის სახლის შვილი შედგა ბერათ, თვით მათი სახელებიც ვიცით და აბა, შოთა რუსთველის ცნობების გაგება რაღას დაგვემალებოდა და მასთან რაც შეეხება იმ მაგალითს, რომ შოთა რუსთველის გარდა იმ დროს სხვა ვინმე შოთაც სცხოვრებდა ასეთის გვარის შვილი, რომელიც მესხეთის წარჩინებულს ოჯახს ეკუთვნოდა და ის უკანასკნელ ბერათაც შედგა, რაისა გამო მას ბერობაში სახელად შიოც უწოდეს, ვინ იცის, შეიძლება, მაგრამ ჩვენ არა გვგონია, რომ ასეთი პირი და მისი ცნობა ჩვენს საეკკლესიო მწერალთ და ისტორიას გამორჩენოდა დიდებულ ოჯახის შვილის ბერად აღკვეცის ამბავი არსად მოეხსენათ.

– 39 –

როგორც სჩანს, საშუალ საუკუნოებში, შოთა რუსთველის მეტი მესხეთის მთავართ შვილთაგანი სხვა არავინ შემდგარა ბერათ და მიტომაც არის, რომ ისტორიაც სხვას არავის მოიხსენებს. ვიტყვით გარდაწყვეტით, რომ ეს ასე არ დაშთებოდა, უსათუოდ შოთა ბერი სადმე იქმნებოდა აღწერილი, რადგანაც მას ბერობაში სადმე გამოჩენილი მონასტერიც ეკავებოდა ხელში. სამცხელთ დიდებულ გვარის შვილთ ბერებთ შორის ეს არ იქნებოდა უცხო და ხამი.

ასე და ამ გვარად მთელის ჩვენის ბერ-მონოზნების ცხოვრებიდამ ხელთ გვრჩება მხოლოდ ერთი მაგალითი, რომ სამცხის დიდებულთ სახლის შვილთაგანი ვინმე შოთა ბერათ მიდის და მას ბერობაში სახელად შიოს უწოდებენ და რომელსაც ზარზმის ტაძრის სამრეკლოს მაშენებელთ წარწერაც მოწმობს. ამ სამრეკლოს მაშენებელთა გვარი არის ხურსიძე და ამავ გვარის წევრათ არის მოხსენებული შოთა ყოფილი ბერად შიო. „შოთა ყოფილი შიო" რომ სურსიძეა ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ამას წარწერა ცხადათ მოწმობს. ამ წარწერის ცნობით გამოდის, რომ შოთას მეუღლეც ჰყოლია და ამ მეუღლეს სახელად გულდამა რქმევია, შემდეგ გაიანე და ამათ შვილის კი გაბრიელი-ხურსიძე ე. ი. მაშენებელი ცნობილის საგვარეულო ზარზმის ტაძრის სამრეკლოსი, რომელიც თავის დედ-მამის სახელებს ღმერთს ავედრებს, რომ მან ამათ მიანიჭოს საიქიოს

საუკუნო განსვენება. ამაზედ მეტს არას მოგახსენებთ, ანიჟე-
ბით არაფერს გავაწყობ. ვიტყვი ამასაც, რომ XII საუკუნეში,
შოთა რუსთველის გარდა იყვნენ სხვა პირნიც, რომელთაც
შოთა ერქო სახელად. ერთი ამათგანი შოთა ართავაჩოს ძეა და
მეორე შოთა კუპრი, რომელთაც „ქართლის ცხოვრებაშიაც" უკა-
ვიათ ადგილი. *) ეს პირნი რამდენსამე ალაგას მოიხსენებიან.
მაგრამ როგორც ვიცით, არც ერთი ამათგანი ბერათ არ შემ-
დგარა, მათ განვლეს სოფელი ერის კაცობაში და შოთა არ-
თავაჩოს ძე გიორგი III-საგან დასჯილიც იქმნა სამეფო საქმე-

*) ქართლის ცხოვრება ტ. I პირველი, გამოცემა 1898 წ.

ების ორპირობის გამო. სხვა შოთა ყოფილი შიო ჩვენს ისტო-
რიულს წიგნებში სახსენებლათაც არ არის.

ამ პირების შესახებ ვიტყვით, რომ ადრე, შეცდომით ორივ
ეს პირნი რუსთველად მოვიღეთ და ასეც მოვიხსენეთ. შემდეგ
ეჭვი დაგვებადა ამაზედ, რადგანაც ერთ ხელთნაწერს ძველს
წიგნში *) აღმოჩნდა, რომ შოთა რუსთაველს ერის კაცობაში
აშოთანი რქმევია. მოგეხსენებათ „ქართლის ცხოვრებით"
რომ აშოთანი ქართველთ სწორე ქრისტიანური სახელია და ამ
სახელით ჩვენს ისტორიაში ძალიან ბევრნი არიან მოხსენე-
ბულნი ძველადგანვე. ესევე შეცდომა შემდეგ სხვებმაც გადი-
ღეს, თუმცა არც ის დაასახელეს, თუ ეს მათ საიდამ ამოიღეს.
თუმც ჩვენ ასეთის შეხედულების ვართ „ქართლის ცხოვრე-
ბის" შოთა ართავაჩოს ძე და შოთა კუპრის შესახებ, მაგრამ გარ-
დაწყვეტით მაინც ვერ შეიძლება მისი თქმა, რომ ვითომც
ერთ ერთ ამათთაგანი შოთა რუსთაველი არ იყოს. ამის უარ
საყოფელი ცნობები ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს. ისიც კი შეიძ-
ლება ითქვას, რომ ერთიცა და მეორეც სამცხის მოწინავე სა-
მეფო პირებათ ირიცხებიან. ერთ თავად ახალციხეს და სამცხე
საათაბაგოს სცხოვრებენ, ნამეტურ ქვაბლიანს, ზარზმის მახ-
ლობლივ. ვინ იცის იქმნება ეს პირნიც ხურსაძის გვარის წევრნი
არიან და შოთა რუსთველის ცხოვრების ცნობებიც ამ პირთა
ცხოვრების ცნობების ქვეშ იფარებაო ჟამთა ვითარების სისას-
ტიკის წყალობით. ამიტომ საჭირთა, რომ საქართველოში, ქარ-
თველთ შორის დაარსდეს ისტორიული გუნდი, რომელთაც უნდა
იძიონ და იკვლიონ ჩვენი ისტორიის ცნობები, თორემ უამი-
სოთ ბევრი რამ ძვირფასი მასალები მოისპობიან გაუცნობი და
გაურკვევი. საკვირველი კი გახლავსთ ასე დაჩრდილვა, ასე და-
ფარვა ისეთის კაცის თუ ბერის ცხოვრების, რომელმაც დაგვი-
წერა „ვეფხის ტყაოსანი". ამ ბოლოს დროს, რუსთველის ცნო-
ბას პროფესორმა ნ. მარმა ერთი ახალი ცნობა დაუმატა. ეს

*) მე მხოლოე სულიერი. შედგენილი XVIII საუკ. ბოლოს დაუ-
ბეჭდავი.

ცნობა ჩვენ მეტად უხამოდ მიგვაჩნია და ამიტომ არ შეიძლება აქ რამე არ ვსთქვათ. XII საუკუნეში, ჩვენში ცნობილია გრიგოლ ჩახრუხაძე, რომელმაც შეამკო თამარ მეფე. ეს გრიგოლ ჩახრუხაძე ჩვენის ძველის ცნობებით მოხევი ყოფილა, სოფელ ხეველი. პროფესორის ნ. მარის თქმით, ვითომც ეს გრიგოლ ჩახრუხაძე შოთა რუსთაველია, ვითომ რუსთაველი და ჩახრუხაძე ერთი და იგივე პირია. ეს არ უნდა იყოს სწორი. მაინც ჩვენ ამასთან საქმე არა გვაქვს, რადგანაც თვით რუსთველი სწერს, რომ მე მესხი ვარო და ჩახრუხაძე კი თავის თავს მოხევათ სთვლის.

„მოხევს ძეთა,
ჩახრუხას ძეთა,
ექო თამარი მეფე სვიანი,“ და სხ.

ამიტომ უფროა რკვევა და ძიება საჭირო, ვიცოდეთ კარგად, რომ სამცხის დიდებულ გვართა შვილებთ შორის XIII საუკუნეში, ბერად შემდგარი ანუ აღკვიცილი ერთად ერთი ეს ზარზმის წარწერაში მოხსენებული შოთა გახლავთ ცნობილი, რომელიც უკანასკნელ ბერად შემდგარა. და ბერობაში სახელიც შეუცვლიათ კანონისა მებრ და შიო უწოდებიათ.

რაც შეეხება შოთა ყოფილს შიოს გვარის ცნობას, რომ იგი ხურსიძე უნდა ყოფილიყოს, ვიტყვით, რომ არც ეს იქმნება ხამი, რომ ხურსიძეების გვარიდამ გამოსულიყოს. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რადგანაც ხურსიძეების გვარი თავის დროის კვალად სამცხე-საათაბაგოში დიდებულ გვართა შორის ითვლება. *) ამ გვარიდამ რამდენიმე მოწინავე პირი სჩანს ჩვენს ისტორიაში და ძალიანაც ადვილად შესასლებელია, რომ შოთა რუსთაველიც ამ გვარის პირთაგან იყოს გამოსული. თვით რუსთაველიც უწყებულია, რომ სამცხის დიდებულ გვარის შვილთაგანი იყოვო. მისს მამა-პაპეულ საცხოვრებელ ბინათ რუსთავია აღიარებული და ხურსიძეების სამკვიდრებელი ქვაბლიანი, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ რუსთავი ქვაბლიანზედ

*) ქრონიკები, II წ. გვერდი 152 1897 წ. ბილისი.

ძრიელ შორს არ არის და განა ის-კი არ შეიძლება, რომ ერთი დიდებულის გვარის წევრთ შორის იმდენი სახლის შვილნი და მეოჯახენი ყოფილიყვნენ, რომ ძველად ცნობილის და კუთვნებულის სამკვიდრო მამა-პაპეულს მამულს გარდა სხვაგანაც ჰქონოდათ მამული და ეცხოვრათ? განა დღეს ცოტა არის, რომ ერთი ოჯახის სახლის შვილებთ ერთს მარცხნივ აქვს მამული და მეორეს მარჯვნივ.

ასევე იქმნებოდა შოთა რუსთველის საქმე და ეს რომ ჭეშმარიტებას არ უნდა იყოს მოკლებული, ამას ამტკიცებს ზარზმის ტაძრის მაშენებელთ გვარის შოთა ყოფილის შიოს მოხსენება; ასე და ამ გვარად ზარზმის ტაზრის წარწერის შოთა ყოფილის შიო მე შოთა რუსთაველად მიმაჩნია და თუ

ეს ასე არ გახლავსთ, მაშინ მუდარებით ვითხოვ ამ მოსაზრების გარჩევას და ახსნას მის, თუ შოთა ყოფილი შიო, რომელსაც ზარზმის წარწერა მოიხსენებს, ვინ უნდა იყოს, სად უნდა ეცხოვროს, რა თანამდებობის და რა საქმის პირი იყო? გავიმეორებთ, რომ როგორც შოთა რუსთველის ცხოვრების ცნობებია სიბნელით მოცული, ისევე ამ შოთა ყოფილის შიო ხურსიძის ცნობებია მიმქრალებული. ამიტომ უფრო ეს რუსთველი უნდა იყოს სწორედ ის შოთა ყოფილი შიო ხურსიძე, რომელსაც ზემო ნაჩვენები წარწერაც მოიხსენებს. ასეთ დიდებული პირი, როგორც შოთა რუსთველი იყო, იერუსალიმში წასვლის შემდეგ, მტრობით თითქმის ყველას დაავიწყდათ. დრო ისეთი იყო და ამ დავიწყებას თავისი მომხრეების წამქეზებლებიც ჰყვანდნენ. წამქეზებელთ რიცხვი საქართველოში მით უფრო მრავლობდა, რადგანც რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი „ვეფხისტყაოსანიც“ იფინებოდა ხალხში და ვრცელდებოდა დიდის გავლენით, რაც ზოგიერთ გამგეობას და უცოდინარ სასულიერო პირებს დიდათ სწყინდათ და ეჯავრებოდათ. ამისთვის იგინი მახვილსაც-კი ხმარობდენ და აბა რუსთველის სახელს რაღა სიკეთით მოიგონებდენ.

ხოლო შოთა რუსთაველი არ დაივიწყეს მისმა მეგვარტომე ნათესავებმა, შვილებმა და თავიანთ ძველის საგვარეულო

ზარზმის სამრეკლოს განახლების დროს წარწერაში შოთა ყოფილის-შიოს სულიც ღმერთს შეავედრეს და ამიტომ მხოლოდ სახელი მოიხსენეს. გარდა ამის ისიც საფიქრებელია, რომ ისეთ კაცს, როგორც შოთა იყო, რომ მას ვინმე ნათესავთაგან გულშემატკივარი არა ჰყოლოდა და მისს იერუსალიმს გარდასახლების შემდეგ, მისი სახელი ერთ ალაგას მაინც სადმე მწერლობით არ მოეხსენებიათ. ეს შეუძლებელია მით უფრო, რადგანაც შოთა რუსთაველი სამცხის დიდებულ ოჯახის შვილად ირიცხება და ამ დიდებულ ოჯახის შვილთა წევრნიც ისე როგორ განვლიდენ სოფელს, რომ მათ თავიანთ დროს, ერთი რამ სამახსოვრო ნაშთი არ აღეგოთ, იმ ნაშთის კედელზედ წარწერა არ გაეკეთებინათ და იქ სხვათა პირთა სახელებთ შორის დიდებულის შოთა რუსთველის სახელიც არ მოეხსენებინათ. შოთა რუსთველის იერუსალიმს განსვლის შემდეგ, საქართველოშიაც ჰყოლია გულ-შემატკივარნი პირნი და ამ გულშემატკივართ თავიანთ გვარის მნათობ ვარსკვლავის სახელიც საგვარეულო ტაძრის კედელზედ სიამოვნებითაც მოუხსენებიათ, ამას ფიქრი არ უნდა.

აი ეს გახლავსთ ჩვენი მოსაზრება და ვაღიარებთ, რომ შოთა ყოფილი შიო უნდა იყოს შოთა (შიო) რუსთაველი.
ეს საგანი დიდათ საინტერესოა და თან კარგად გასარკვევიც. ამაზედ ნურავინ დაგვძრახავს. ეს მოსაზრება ჩვენ ზარზმის ტაძრის წარწერამ მოგვცა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებელი ცნობები შემდეგაც აღმოჩნდება რამე და მით მართლად გაირკვევა ის სამაგალითო და მეტად ძვირფასი

ცნობები, თუ ზარზმის წარწერებში მოხსენებული შოთა ყოფილი შიო ხურსიძე-შოთა რუსთაველია, ეს თუ არა? ამას გამოაჩენს ჩვენი ისტორიის შესწავლა, მასალების კრება და სხვანი.

III

ვფიქრობთ რომ, XVI საუკუნის გასვლამდე ხურსიძენი ახალციხეში და ქვაბლიანში სცხოვრობდნენ და „ციხის თავათ“

ითვლებოდნენ. ხსენებულ დროს, ამ გვარის პირნი მართლმადიდებელთ სარწმუნოებას ეკუთნოდნენ. ამ გარემოებას როგორც ამტკიცებს 1577 წ. ცნობა, ისევე ვახტანგ გურიელის სიგელი, ზარზმის ეკკლესიის ნივთების გამო მიცემული XVI საუკუნის დამლევს საზოგადოდ, კარგად სჩანს, რომ ამ დრომდე, სამცხე საათაბაგოს მცხოვრებ ხურსიძენი ყველგან ხურსიძეთ იწოდებოდნენ, ხოლო შემდეგ დროებში-კი გვარი ეცვლებათ, ამ ძველის გვარით თითქმის აღარსად სჩანან. მთელი საუკუნე ისე გადის, რომ ჩვენ ერთ პირსაც ვეღარ ვპოვებთ ამ გვარით, მხოლოდ 1730 წლებში სჩნდებიან ხურსიძეთ რამდენიმე წვერნი; მაგრამ ესენიც თავიანთ ძველის გვარით კი არა, არამედ ახალის ანუ ოსმალურის სახელით. ამ ცვლილებას, აი, რა გარემოება გაუხდა მიზეზად: მოგეხსენებათ *) XVI საუკუნის დამდეგიდამ სამცხე-საათაბაგოსთვის დადგა დიდი განკითხვის დღე, დიდი განსაცდელი. ათაბეგთ ხშირად ებრძოდნენ თვით ქართლის მეფე, იმერთ ბატონი, სხვა და სხვა მთავრები, ლეკები, სპარსნი და უფრო ოსმალნი. სამცხელთ მთელი საუკუნე ომებში გაატარეს, მაგალითებრ, ჩვენ აქ ჩამოვსთვლით ოსმალთ და ყიზილბაშთ ზოგიერთს გალაშქრებას სამცხეზედ და ეს კაცს განაცვიფრებს. იფიქრებთ, რომ ამდენი ვაი ვაგლახის შემდეგ ეს ხალხი ნეტა ან როგორღა გადარჩა და მოაღწია ჩვენამდე. ეს იცის გმირი და გაუტეხავი ხალხის ცხოვრებამ, მიტომ შეინახეს ქართველებმა თავიანთი მეფობა.

XVI საუკუნის შემდეგიდამ 1522 წ. გასწყვიტეს ქართლი და სამცხე. 1533 წ. მურჯახეთს მოხდა დიდი ომი. ეს ომი ჩვენ დიდ სამწუხაროდ მიგვაჩნია, რადგანაც ამ გაჭირების დროს იმერთ მეფემ და ათაბაგმა იბრძოლეს: 1541 წ. მოხდა ომი ოსმალთ ათაბაგთა და იმერთ ბაგრატ ბატონიშვილს შორის. 1549 წ. ადრიბეჟანიდამ სულთან სელიმი სამცხეში მოვიდა და დიდი ომი იყო. 1541 წ. მუსტაფ ფაშა ევროპიულის ზარბაზნებით მოადგა სამცხეს და აიღო (ქართ. ცხ. II ტ.

*) ქართლის ცხოვრება ტ. II 158 გვ. 59 და სხვა გვ.

გვ. 160) ამ დროს აუწყეს იუდა ქართველთა ოსმალებს, რომ ვიდ-

რე სამცხის ციხეებს არ დაიჭერთ, მინამდე ამ კუთხეს ვერ დაიმორჩილებთო. (იქვე). 1550 წ. ოსმალთ ტაოს ქვეყანა დაიჭირეს. 1556 წ. სამცხეს მოვიდა სულთან სელიმი, კარი აიღო და აღაშენა, ბასიანს დადგა. 1574 წ. კვალად ყიზილბაშთა სამცხე და ოცხე მოსწყვიტეს. 1578 წ. მოხდა დიდი უბედურება სამცხეში და იყო ტყვეობა ქართველთა და მრავალი ამ გვარნი ოსმალთაგან... აქ ყველა ესენი შემოკლებით მოვიხსენეთ. XVI საუკუნის გასვლამდის მესხნი თითქმის ყოველს წელს და თვეს ომში იყვნენ გახმობილნი, მათ ერთი წელიც არ მოუსვენიათ. ამ ხშირი ომიანობის წყალობა გახდა მიზეზად, რომ მესხეთში თათრების წყალობით მომსვრელი ჟამი ხშირად ჩნდებოდა და 1580 წლებში სასტიკი ჟამი კვალად გაჩნდა და მოსრა. უმრავლესნი უსაშვალოდ.

ამას გარდა, ოსმალთა ძლიერებით ქართველთა ტაძარნი, ეკკლესიები და მონასტრები მიეცნენ აოხრებასა, ოსმალთაგან გაცარცვას, ნივთების ტაცვას, ძველი ქართული წიგნების მოსპობას, დაწვას და გაუქმებას. ერთის სიტყვით მთელის საეროს ძალის ჩაყლაპვას ლამობდნენ, ყველა სამახსოვრო ნივთთა და ნაშთთა ს მოსპობას. აქ ყველაზედ-კი უფრო საყურადღებო ის არის, რომ მათ ქართველთაგან შესყიდვა იწყეს. შესყიდულ ქართველნი სჯულს იცვლიდნენ, მაჰმადიანობას უკავშირდებოდნენ. მცირე ხნის შემდეგ, ოსმალთა ქართველთა შესყიდვას თავი ანებეს და მძლავრობით და შიშით დაიწყეს ისლამის ვრცელება. ძალას ატახდნენ, ფული აღარ ეხარაჯებოდათ. „ხერხი სჯობია ღონესო" ნათქვამია: მესხთა ძალით იწყეს გამაჰმადიანება. 1590 წლებში დაიწყეს ქართველთა აშკარათ გათათრება. „ქართლეს ცხოვრება" ამ სამწუხარო საქმეს ასე მოგვითხრობს. *) „არამედ გარდაიცვლებოდენ წესნი და ვიეთნი ზოგნი პატივისათვის ნებითა და ზოგნი მძლავრებითა ოსმალთა გამაჰმადიან-

*) ქართლის ცხოვრება II ტ. გვ. 167.

დებოდნენ და იქმნებოდენ უმორჩილონი ათაბაგისანი, ხოლო მანუჩარ მძლავრობდა მათ და არა პატივს უყოფდა".

მინამ ათაბაგებს ძალი შესწევდა, მანამ ესენი დიდათ სდევნიდნენ გათათრებულ ქართველთ. ბევრი ბრძოლით ამათაც გამოელიათ ძალა. ოსმალმა დაამდაბლნა იგინი და მიტომ XVI საუკუნის დასასრულიდამ ვეღარას აწყობდენ ოსმალთ წინააღმდეგ. მთელ ქართველობისათვის დადგა დიდი შავი დღეები და ყოველივე მუსვრას მიეცა.

ამ მუსრვისა და გმირობის დროს, სამცხე საათაბაგოში მრავლად სცხოვრობდნენ ქართველ გვარის კათოლიკენი, ადრე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან, ესენი და მათი მოძღვარნი ყოველთვის ევროპის სახელმწიფოთ და პაპის მფარველობის ქვეშ იყვნენ შესულნი, ამიტომ ოსმალნი მათ არაფერს ერჩოდნენ. კათოლიკეთ სამღვდელოება თავისუფლად განაგებდა და

ოსტატურად მოქმედებისათვის მათ დიდი ძალიც შესწევდათ. აი, ამ დროს, ჯერეთ ისევ ათაბაგობის მორჩილების ჟამს, როცა ხურსიძეები „ცისის თავად“ ითვლებოდენ, ლათინის ბერებს დაუმეგობრდენ და მათგან კათოლიკობა მიიღეს. იგი სარწმუნოება აღიარეს ოფიციალურად, თორემ შემდეგ ამათაც იქ ისე მოელოდათ გათათრება, როგორც გაათათრეს სამცხის ყველა თავად-აზნაურნი: ფალავანდისშვილები, ციციშვილები, ავალისშვილები, აბაშიძეები, დაასამიძეები, და მრავალნიც ჩვენგნით მოუთვლელნი. დღეს მათ ქართული ენა და ლაპარაკიც აღარ იციან. ხურსიძეებმა ადრევე სცნეს საქმის ვითარება, მათ კარგად შეიტყეს, რომ რაკი კათოლიკობას მივიღებთ, მაშინ ჩვენ პაპის მფარველობის ქვეშ ვიქნებით და ოსმალნი ვეღარას გვიზამენ, ვეღარ გაგვათათრებენო. ეს მოისაზრეს და აღასრულეს კიდევაც.

ჭეშმარიტად, რომ ხურსიძეებს ყველაფერი მოსაზრება შეუსრულდათ. ოსმალოს მფარველობის დროს ესენი ქრისტიანად დაშთნენ და მათი ხმის გამცემი არავინ იყო. ხურსიძეების კათოლიკობასთან დაკავშირების ხანად ჩვენ მიგვაჩნია 1580 წლები, ე. ი. XVII საუკუნის დასასრულამდე, მიტომ რომ XVII

საუკუნეში ხურსიძეები უკვე ცნობილ კათოლიკებათ ირიცხებიან, თავიანთ დროის კვალად ახალციხეში ყველა ქართველ კათოლიკებს შეძლების და გვარად დახმარებას აძლევენ და შველოდნენ. ძნელი შემთხვევა იქმნებოდა, რომ ახალციხეს და მის მიდამოებში ოსმალთ მოტაცებით ქართველი ტყვეები წაეყვანათ, ეს ტყვეები ხურსიძეებს ენახათ და მათ-კი იგინი არ დაეხსნათ. ოსმალთა წინაშე დიდი ხმა და გავლენა ჰქონდათ ხურსიძეებს და ამ ხმის გავლენას მათ ის გარემოებაც უფრო ანიჭებდა და აძლიერებდა, რადგანაც იგინი ათაბაგების წინაშეც უპირველეს მეციხოვნე პირებად ირიცხებოდენ, სამცხე საათაბაგოს საქმეთა გულ-შემატკივართ, ქართველების მფარველად და პატივის-მცემლად. ეს გარემოება ამათის გვარისა არ არის უმნიშვნელო. ვიდრე სამცხე-საათაბაგოს ერთგული ათაბაგები ჰყვანდნენ, მინამ ხურსიძენიც მათთან ერთად იბრძოდნენ ოსმალთ წინააღმდეგ. ხურსიძეებს მანუჩარ პირველთან, მანუჩარ მეორესთან და მესამესთანაც ბევრს ცხარე ომებში მიუღიათ მონაწილეობა და ბევრს ალაგას უმუსრავთ მტერი, სადაც ხურსიძენი პირველნი ყოფილან *).

როგორც სჩანს, ხურსიძეების კათოლიკობასთან დაკავშირებას ათაბაგების წინაშე არაფერი მნიშვნელობა ჰქონია და თვით ათაბაგნიც ელტოდნენ კათოლიკობას. მეტი სახსარი აღარ იყო, მაშ რა უნდა ექმნათ ორში ერთი რჩებოდათ, ან იქიდამ მოშორება, სხვაგან გადასახლება, თუ არა და სიკვდილი. კათოლიკობა კი ქრისტიანობა იყო და შემომფარგლავიც მათის ცხოვრების და მამულ-დედულის უფლების. ამიტომ ხურსიძეები თავიანთ დიდ-მამულებს ვერ გამოეთხოვნენ და იქვე დაშნენ სიამოვნებით, ამიტომ გადავიდნენ ადრევე კათოლიკო-

ბაზედ და მათის მაგალითით სხვებიც დაუკავშირდნენ კათოლიკობას. ისიც უნდა ითქვას, რომ ახალციხეში ქართველთშორის კათოლიკობა ადრიდგანვე იყო გავრცელებული. ხურსიძეების კათოლიკობასთან დაკავშირების შემდეგ-კი ყველანი

*) იხილედ ლ. ისარლოვის წერილები.

ახალციხეს გადმოსახლდნენ და დასახლდნენ სოფ. ივლიტას, რომელ სოფელიც ძველათგანვე მათ საკუთრებათ ითვლებოდა და სადაც ქართველ კათოლიკენი სცხოვრებდნენ, აქედგან ემსახურებოდნენ ახალციხეში ათაბაგებს.

ხურსიძეებს თავიანთ საკუთარი ყმანიც ჰყოლიათ, ყმებთაგანის ზოგნი კათოლიკობაზედ გადასულან, ზოგნი არა. ეს გარემოება ხურსიძეებსაც კარგად სცოდნიათ. იმ დროს, ივლიტის ქართველ-კათოლიკებს თავიანთ საკუთარი ეკკლესიაც ჰქონიათ, უკანასკნელ ივლიტის კათოლიკების ეკკლესიას ხურსიძენი დაეპატრონენ. თუმცა ივლიტის პირველ ძველი ეკკლესია ქართველთა ხურსიძეების პატრონობის ქვეშ იყო, მაგრამ იგი მაინც ოსმალთაგან შემუსრვილ იქმნა სრულიად XVII საუკუნის ნახევარს. მის მერმე ისევ ივლიტელთა და ხურსიძეების დახმარებით სხვა იქმნა აღშენებული. ბევრათ პატარა და ძველთან არაფრათ არ შესადარი. იმ დროის ქართველ კათოლიკეთ თავადაზნაურებში ხურსიძეები თითქმის პირველ სახლის შვილებათ ითვლებოდენ. ასევე იყვნენ მართლმადიდებელთ და გათათრებულთ ქართველთ წინაშეც. ამათი ხმა და შიში თვით ოსმალებსაც ჰქონდათ და მიტომაც იყო, რომ ახალციხის „ციხის თავობა“ მათ ყოველთვის ხელში რჩებოდათ უვნებლად. XVII საუკუნის დამდეგიდამ ხურსიძეებში კათოლიკობა უკვე მკვიდრათ იყო დანერგილი. მათი გვარი წარმოადგენდა კათოლიკეთ ჯგუფს, ხოლო მათ გვარში იყო რამდენიმე პირი ბერძნის ტიბიკონისა. იგინი კათოლიკობას არ დაუკავშირდნენ. ვერც მართლმადიდებლობას აღიარებდენ, რადგანაც სამცხეში საერთოდ მოისპო ქართველთ სამღვდელოება, ბერნი და ეპისკოპოსნი შემცირდნენ. ამაზედ „ქართლის ცხოვრება“ აი რას მოგვითხრობს.

„არამედ ეპისკოპოსნი და მონასტერნი წინათვე აშლილობათა ამათა შინა ათაბეგთათა და უმორჩილებითა ქართლის კათოლიკოზისათა შემცირდებოდნენ ურწმუნოებითა მესხთა, რამეთუ მიუხმოდენ მამულ-შეწირულობათა, შემცირდებოდნენ და მოიშლებოდნენ მთავართაგან და შემდგომათ უმეტეს დაპყრობისა ტაო-კლარჯეთისა და

შავშეთ არტანუჯისა ოსმალთაგან, არღარა მოიპოვებოდა მუნ, ვინაითგან მოუსვენეს ოსმალთა სრულიად მამულ-შეწირულებანი და არღავინ იყო მეტრფე მონოზონებისა და წარაქვნდათ მუნიდამ სიწმინდენი ხატთა, ჯვართა და ნაწილთა სამცხეს, ქართლს, იმერთს. ეგრეთვე აწ-ცა მხოლოდ სამცხეს უმეტესად იქმნებოდნენ, რამეთუ არღა-რა

იყო ეპისკოპოსნი ანუ მონასტერნი, ვინაიდგან რისხვითა ღვთისათა გამაჰმადიანდებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი ამ ქვეყნისანი და დაიწყეს მიერით თათრობა, რამეთუ ჟამთა ამათ მოაკლდებოდა ქრისტიანობასა: არა იყო მორჩილება კათალიკოზისა, ანუ ეპისკოპოზისა და სამღვდელოთა. არამედ ოხრება ეკკლესია-მონასტერთა და შენება ჯამთა: ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდენ და მალვიდნენ ხატთა, ჯვართა და ნაწილთა წმიდათათ და სხვათა წარაქვნდათ პირველისაებრ იმერეთს და ქართლს და ივლტოდიანცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდნენ მაჰმადიანობასა, რამეთუ განაგებდა საფარ ფაშა ნებითა ოსმალთათა ყოველსავე: „ამას საფარ ფაშას სთხოვა მოურავმან სპანი და მოვიდნენ ლტოლვილნი სპანი ამისნი და მოურავიცა მოვიდა მისთანა, მერმე წარვიდნენ სტამბოლს. ხოლო მემდგომათ ესრეთის განგებისა მოკუდა საფარ-ფაშა წელსა ქს. ჩქლე, ქრ. ტკგ. არამედ ამის ქვემოთნი არღა-რა იწოდებოდნენ ათაბაგად, თვინიერ საქართველოსაგანთა. გარნა ახალციხის ფაშათ: ხოლო ვინადგან მოეცა ხონთქარსა ფირმანი მკვიდრობისა საფარ-ფაშისათვის, შემდგომად სიკვდილის მამათა მათთათ, წარვიდიან სტამბოლს და მისციან ქრთამი და მათ წარმოავლინიან ფაშად“.

სწორედ ამ უბედურობის დროს, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ასწერს, რაღაც მანქანებით რამდენიმე პირი ხურსიძის გვარისანი მუსულმანობასთან იქმნენ დაკავშირებულნი. ამ გარემოებამ ხურსიძეების გვარის წევრთ შორის დიდი განხეთქილება დაბადა, დიდი მტრობა და შუღლი, მაგრამ ქრისტიან ხურსიძეებმა ვერღარა გააწყეს რა სახლის კაცებში, ერთმანერთს მოშორდნენ. ქრისტიან სამკვიდრო ბინათ ახალციხე და ივლიტა იყო და მუსულმან ხურსიძეებისთვის-კი ქვაბლიანი, ანუ ადეგენი, სადაც აქამდეც-კი სცხოვრებენ ხსენებული გვარის შთამომავალი მუსულმან ხურსიძეები. როგორც ვიცით,

მუსულმან და ქრისტიან ხურსიძეებთ შორის მამულების შესახებ სადავო ბჭობა-კი არ ჰქონიათ მიღებული, ეს როგორც სამცხეში სხვა დიდებულებმა იცოდნენ. მომავალში მთელის ადუგენის მამულების მფარველ პატრონათ მუსულმან ხურსიძეები გამოცხადებულან. გათათრებამდე ხურსიძეების კავშირი ათაბაგებთან განუყრელად სჩანს. ათაბაგნი ხურსიძეებს ისე უმზერდნენ, როგორც ერთგულთ ქართველთ და ქვეყნის საჭიროებისთვის მხნე მეომართ, მამულის მცველთ და მფარველთ. ასე იყო ამათი პატივის ცემა ათაბაგთა წინაშე და თვითაც შესაფერად იღვწიდენ ქვეყნისთვის.

ხოლო როცა ათაბაგებთ შორის ბოროტებამ გაიდგა ფესვი და ბექა ათაბაგმა იკადრა არა საკადრებელი საქმე და განიძრახა ბოროტება, მას შემდეგ-კი ხურსიძეებსაც აეყარა პატივი. ხურსიძეებს და ათაბაგებთ შორის უსიამოვნება ჩავარდა. ბექა ათაბაგი მელურად დაწყნარდა და ლივანაში მიეცა ცხოვრებას. ათაბეგობას განაგებდა მანუჩარ მესამე. მანუჩარ მეორის სიკვდილის შემდეგ, მანუჩარ მესამე სტამბოლს წავიდა, სულთანი ნახა და საქართველოს შესახებ მოლაპარაკება გამართა. უკანასკნელ პირობა შეკრეს. სულთანმა ქრისტიანობით დაამტკიცა მანუჩარ მესამე და საქართველოში გამოისტუმრა. მანუჩარი შავი ზღვი-

დამ ლივანაში გაემგზავრა თავის ძმის შვილთან. მანუჩარმა თავის ძმის წულს უამბო ყოველივე, რომ სულთანმა ქრისტიანობით დამამტკიცა და პირობა დავსდეთ რომ დღეის შემდეგ ქართველთ გათათრებას თავს დაანებებსო. ჩვენ მასთან ხარჯის მიცემის მეტი სხვა აღარა გვექნება რა გარდასახადიო.

ბექას გულში ბოროტება ჰქონოდა. ვახშამზედ ბიძას საჭმელში საწამლავი შეაპარა და მოწამლა. ათაბაგ მანუჩარი გათენებამდე მოწამლვით გარდაიცვალა. მეორე დღეს მისს თანახლებულთ ათაბაგის გვამი ახალციხეს წამოასვენეს და ბექა ათაბაგი-კი სტამბოლს გაიქცა, სულთანი ნახა, აცნობა მანუჩარის სკვდილი და აუწყა ათაბაგობას თუ მე მომცემთ, მზად ვარ, რომ ეხლავ გავთათრდე და მის შემდეგ ვეცდები, რომ ქართველებიც გავათათროვო. სულთანს ძრიელ ესიამოვნა. ხო-

ლო, სულთანმა უთხრა, რომ ჩვენ საქართველოში ათაბეგობის მოშლა გვინდა, რადგანაც ეს ქართული წეს-ჩვეულება არისო. ჩვენ ფაშობას მოგცემთ, ოსმალურათ განგამწესებთო. ბექა თანახმა გახდა. იგი მალე გაათათრეს, სახელად საფარა უწოდეს და ახალციხის ფაშად გამოამწესეს. პირობა ასეთი დადეს: რომ ფაშობა ერთის პირიდამ მემკვიდრეობით მეორეზედ უნდა გადასულიყო. ამან დააბრმავა ბექა ჯაყელი და თავის ქვეყნის მტრად და ბიძის მკვლელად აღმოაჩინა.

საფარ ფაშა მალე მოვიდა თათრის ჯარით ახალციხეს და გაბატონდა. 1626 წ. შემოიღო სრულიად ოსმალური წესს-ჩვეულებანი, სამართველოებში ოსმალური ენის ხმარება, საფაშო საქმეებს ოსმალურის ენით დაუწყეს გარჩევა, სრულიად ოსმალურის სახელმწიფოს წესს-წყობილობანი შემოიტანა და დააფუძნა. ყველა მოხელეებს ოსმალური სახელი უწოდა. ამის დროს შემოვიდა და განწესდა ბეგობა, აღობა, ალია-ბეგობა, სანჯახ-ბეგობა და მრავალიც სხვანი. ასევე მოხდა და ამ დროის ახალციხის მცველთ, ანუ ციხის თავათ" ოსმალური სახელი ეწოდათ, ე. ი. „ციხის თავის" მაგიერ „ისარლი" ანუ „ისარლი აღასი“. რა-კი შეჩვენებული საფარ-ფაშას მეოხებით ასეთი წესს-ჩვეულება შემოვიდა, ვინ რას იზავდა, ყველას ოსმალური სახელები ეწოდა, ყველა მოხელის ქართული სახელი ოსმალურად შეინაცვლა. ქართველთათვის გაუგებარი სახელ-წოდების შემოღება მრავალ ალაგას ისე გადიქცა და ისე განეკიდურა, რომ ზოგიერთ მოხელეთ თანამდებობის სახელ-წოდება შემდგომ მათ გვართაც-კი დაერქვათ, როგორც ეს მოუხდათ ხურსიძეებს.

ყველა იმას ამბობდა, რომ „ისარლი აღასი“ ისარლი“ და არა ხურსიძე, ბრალიანს და უბრალოს ყველას „ისარლი“ გამოეჭიმა ტუჩებზედ და დროის განმავლობაში ისე მოეწყო საქმე, რომ ძირეულს დიდებულ ერისთავთ-ერისთავის თანამდებობის მექონთ ხურსიძეებს თავიანთ ძველი მამა-პაპეული გვარი ხურსიძე შეეცვალათ და მის მაგიერ მათ მოსისხარ მტრის ენით „ისარლი“ ეწოდათ. ასე და ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მაშინდელ

სამცხე საათაბაგოს დიდებულ ხურსიძეების შთამომავალნი დღეს ისარლოვად იწოდებიან.

საფარ-ფაშამ მარტო ეს არ იკმარა, რომ ხურსიძეს „ციხის თავის“ მაგიერ „ისარლი“ უწოდა და სხვა მრავალთაც ასე შეუცვალა სახელნი. მან ოსმალეთის სულთნის დაპირებისა მებრ ქართველთ გათათრებაც აშკარათ დაიწყო. ეს უსვინდისო თავის მტერს ისე დაემონა, რომ ქართველთა წინაშე გათათრების გავრცელებისათვის სისხლს ღვრიდა, მაგრამ არცაღა მესხნი უვარდებოდნენ და ყოველთვის საფარ-ფაშას ძრიელ უძნელდებოდა ქართველთ გათათრების საქმე, ამიტომ ამან ქართველთ ქრისტიანეთათვის შემოიღო დიდი ხარჯი და განაწესა.*) აღაწერინა მთელი სამცხე-საათაბაგო და მასთან დაწვრილებით ქრისტიანეთ რიცხვიც. მერე ქართველთ ქრისტიანებზედ განაწესა ასეთის ტვირთი: ქრისტიანებს სულზედ დრაკანი, ე. ი. 50 კაპ. ქრისტიანის ოჯახმი რამდენიც უნდა სული ყოფილიყოს, იმდენი ხარჯი უნდა გადაეხადნათ. მოსავალზედ სულითურთ შვიდის თავი. ცხვარზედ – ორი შაური, ცრეხაზედ – აბაზი, ცხენსა და კამეჩზე – ექვსი შაური. ხოლო საფაშოდ დრაკანის მესამედი, ე. ი. 17 კაპ. ცოტა მეტ-ნაკლები. ეს შემოუღიად იმ კვალად, როგორც იგი ოსმალეთში არსებობდა. ქრისტიან ქართველნი ამ ხარკმა დიდათ დასტვირთა. ვისაც ამის გადახდა არ შეეძლო, ის რომ გათათრდებოდა, მერე მას ასეთის დიდის ხარჯის მაგივრ მცირე ხარჯს ადებდნენ, რაც ოსმალეთში იყო მიღემული საერთოდ მუსულმანებზედ. ამ ოსტატურმა სა ქციელმა და ბექა ჯაყელის ბოროტებამ ამოაგდო ქართველთ შორის ქრისტიანობა და ყველა ზნე და ჩვეულება ქართველთა. სულ ათი წლის განმავლობაში, მაგალითებრ 1640 წლებამდე, სამცხე-საათაბაგო ნამდვილ ოსმალეთის, ანუ თათრის ფერი დაედო. იწყო ყოველივე ქართველთა ზნე-ჩვეულებამ გაქრობა და ოსმალურმა აღორძინება.

---

*) ქართლის ცხოვრება, II ტ. გამ. თფილისი.

ამ ფაშის მოქმედებით გაეთხარა სამარე ჩვენს სამშობლოს და მოეღო ბოლო. რაც ამან ვერ შეასრულა და თავისს გვარტომობის წესს ჩვეულების მოსპობა ვერ შესძლო, ის თავის შთამომავლობას დაუტოვა. საქმე და საკვირველობა აქ ერთი ის არის, რომ როგორი ბოროტიც ბექა ათაბაგი იყო, ისეთივე მისი შვილი აღმოჩნდა და შვილის შვილი როსტომ ათაბაგი. საფარ-ფაშას შემდეგ 1637 წ. გაფაშდა ძე მისი უსუფი. საოცარია ამ უსუფის საქმე, ესეც მამასავებ ახალი გათათრებული იყო, მაგრამ ესეც მამასავებ ნათესავების ჯიბრით ნამდვილი ოსმალი იყო, სასტიკი მუსულმანი, მოძულე ქართველთა და მეტრფე თათრის ზნე-ჩვეულების და წესების. ამან

მართა სრულის ერთგულებით ოსმალთა და ესეც მამასავებ სასტიკათ ავიწროებდა ქართველ ქრისტიანებს. თავის მოქმედებით „უსუფ-ფაშა მოიძულებდა ქრისტიანობასა და შესძინებდა მაჰმადიანობასა და აღმოიფხვრებოდნენ წესნი და რიგნი ქრისტიანობისანი ყოველნივე და შეჰმატებოდენ მაჰმადს“ *).

ამ ფაშის დროს, ქართველთ მართლმადიდებელთ გარდა კათოლიკენიც მიეცნენ დევნას, მაგრამ ეს მცირე ხანს იყო. ამას მალე მოევლინა წამალი რომიდამ! კათოლიკებს მფარველობას უწევდნენ ხურსიძენი. ახალციხის „ციხის-თავნი". ამ უსუფ პირველის სიკვდილის შემდეგ გაფაშდა ძე მისი როსტომ ფაშა. 1648 წ. ამ ფაშის დრომდე, სამცხის თავად-აზნაურის შვილები და ქალები კიდევ ქრისტიანობდენ. თვით ამ ფაშის ცოლიც ქრისტიანი იყო. ეს ამბები სულთანს აუწყეს. მისგან როსტომ-ფაშას ბრძანება მოუვიდა, რომ შენი ცოლი გაათათრე და მასთან სხვა დიდ-კაცის ცოლები და ქალებიცო. როსტომ-ფაშამ შეისმინა სულთნის ბრძანება. პირველი გათათრების ბრძანება თივისს ცოლს გამოუცხადა. ცოლმა არ ქმნა, ჯერეთ თავი მოიმშია და მით აპირებდა სიკვდილს, მაგრამ ეს მალე გაუგეს და ძალით პური აჭამეს. მერე კლდიდამ უნდა გადავარდნილიყოს, ამისთვის გაიქცა კიდეც, მაგრამ კაცები გამოუდგნენ

*) ქართლის ცხოვრება, ტ. II გამო. პეტერბურგს.

და დაიჭირეს და შეიკავეს. ბევრის წვალების შემდეგ ქმარს უთხრა:

– მე ვერ გავთათრდები იმ დრომდე, ვიდრე სხვა დიდ კაცის ცოლებიც არ გათათრდებიანო. თუ ეს იქმნება, მეც მაშინ გავბედავ, თუ არა და ეს ჩემგან შეუძლებელია.

მაშინ როსტომ ფაშის ბრძანებით გათათრდნენ მრავალნი თავად აზნაურის ცოლები და ქალები. ამ დროსვე გათათრებულან ხურსიძეების გვარის წევრთა ის ცოლნი და ქალები, რომელთა მამების გათათრება 1630 წლებს მიეწერება. საფიქრელია, რომ ადუგენის მცხოვრებთ გამამადიანებულ ხურსიძის ცოლები და ქალები სწორედ ამ დროს უნდა გათათრებულიყვნენ. რადგანაც ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ხურსიძეების გათათრების დროს, მარტოდ მამა-კაცთ გათათრება მოხდა, ქალები კარგა ხანს დაშთენ ისევე, როგორც სხვა დიდ-კაცის ცოლები და ქალები, ხოლო 1650 წ. როდესაც გამოცხადდა ყველა ქართველთ თავად-აზნაურთა ცოლების და ქალების გათათრება, მაშინ გამაჰმადიანებულ ხურსიძის ცოლებმა და ქალებმაც იწყეს გათათრება.

ხურსიძეებმა „ციხის თავობის“ დროს, დიდი მოხერხება აღმოიჩინეს. იგინი ოსმალთა ხელში დიდის ოსტატობით განაგებდენ; ოსმალებს თავს იწონებდენ და იმავ დროს თან კიდევ ქრისტიანებს ეხმარებოდნენ. ხურსიძეებთ ისეთი ძალა ჰქონდათ, რომ მით საფარ ფაშას პირობა ჩამოართვეს მასზედ, რომ როგორც ძველად ისევე დღეის 'შემდეგაც ახალციხის „ციხის თა-

ვის“ ჩვენს სამკვიდრებელ საკუთრებათ დაშთება და ერთის პირიდამ ეს თანამდებობა მეორე პირზედ გადავაო. როგორც საფარ-ფაშა, ისევე ოსმალეთის მთავრობა ამის პირობის თანახმა იყო და ყოველთვის „ციხის -თავობა“ ერთის პირიდამ მეორეს პირზედ გადადიოდა. ამის ცნობები უწყებულია თვით ოსმალეთის მთავრობის წინაშე სტამბოლს და ისიც, რომ ერ-

*) ქართლის ცხოვრება, II ტ 169 გვ.

თის „ციხის თავის“ სიკვდილის შემდეგ ეს თანამდებობა მისს შვილზედ გადადიოდა. თუ შვილი არ იყო, მაშინ ძმაზედ, ან ძმისწულზედ. „ციხას თავოსნის“ ასეთი პატივის ცემა ფანატიკ ოსმალეთის იმპერიაში ძრიელ იშვიათი იყო და თითქმის ერთად ერთი მაგალითი. ოსმალნი ძრიელ იშვიათად და ძრიელ ძნელად, რომ სადმე ქრისტიანებისთვის ასეთი თანამდებობა მიეცათ, ეს თითქმის პირველი მაგალითია, ამის საფუძვლად ჩვენ ის გარემოებაც უნდა მივიღოთ სახეში, რადგანაც ხურსიძეები ძველადგანვე თვით ქართველთ მეფეთა დროდგან მეტად ხელოვანი მეციხოვენი იყვნენ, ოსტატი მოლაპარაკე და გათათრებული ათაბაგ ფაშებზედ ბევრად მაღლა მდგარნი და მოხერხებულნი.

ხურსიძეებს ისე ოსტატურად ეჭირათ თავის საქმე, ესენი ისე განაგებდენ და მოქმედებდენ, რომ ამათი მორიდება თვით ოსმალოებსაც კი ჰქონდათ. რაც შეეხება ფაშებსა და ბეგების კავშირს და პატივის ცემას და ესეც თავის ზომიერებით იყო. XVIII საუკუნის დამლევამდე, ხურსიძეებს ახალციხეში თავიანთ მამა-პაპური თანამდებობა ეკავათ და ესენი სრულის ოსმალთა მორჩილების და ერთგულების ქვეშ ატარებდნენ. ამათ თავიანთი მამა პაპური „ციხის თავობა“ XVIII საუკუნეს გასვლამდე შეინარჩუნეს.

ასპინძის ომში მეფე ერეკლეს მესხეთს და ჯავახეთის ქართველ კათოლიკენი დიდად ეხმარებოდნენ. ამ ომს თვით ხურსიძეებიც დიდათ თანაუგრძნობდენ და საიდუმლოთ დახმარებასაც აძლევდნენ. ოსმალეთის მთავრობამ მესხელთ და ჯავახელთ ქართველთ კათოლიკებზედ ეჭვი აიღეს, ბრუნდეს თვალით დაუწყეს მზერა. ასევე ფიქრობდენ ხურსიძეებზედ, მაგრამ ზნევით-კი ვერაფერს უშვრებოდნენ. ხურსიძეებს, თანამდებობა და საქმე ისე ეკავათ, რომ მათ ვერავინ რას გაუგებდა ადვილად. ოსმალეთის მთავრობა მათ ისე ჰყვანდათ დამორჩილებული, რომ იგინი მათ, არამც თუ ორგულებას დასწამებდნენ რამე საქმეში, არამედ ხშირად წყალობის ფირმანებსაც-კი აძლევდნენ კარგის სამსახურისათვის. ამის მაგალითს წარმოადგენს 1732 წ.

მიცემული სულთან მაჰხმულის საგვარეულო წევრთა მადლობის წერილი, სადაც ხურსიძენი ოსმალეთის ერგულებათ

არიან მოხსენებულნი.

ამათ ისე ოსტატურად ეჭირათ თავიანთ მეფის და ერის მხარე, რომ ამას ოსმალის მთავრობა ვერ უგებდა და ყოველ-
თვის უეჭვოდ დიდ მადლობასაც-კი უძღვნიდნენ. ასეთ მადლო-
ბათა ფირმანების ცნობები ჩვენთვის დიდათ საინტერესოა და
ნამეტურ 1732 წ. ბოძებულის ფირმანი სადაც ჩამოთვლილ
არიან იმ დროის ისარლოვების გვარის წევრნი: ავთანდილი,
ლუკა, კარალი (ირაკლი თუ ან კარლოსი), გიორგი, მელქი-
სედი და ბასილი. მთავრობა ამათ თავის ერთგულებად აღია-
რებს და როგორის ერთგულებითაც თქვენს მამა-პაპას უმსა-
ხურნია ჩვენის წინაპრებისთვის, ისევე ჩვენის ერთგულებით
თქვენ გვემსახურებით და ამიტომ გაძლევთ ამ მადლობის გა-
მოსაცხადებელს ფირმანსაო. აი თვით ფირმანიც:

—

ფირმანი.

სულთან მახმუდისაგან ბოძებული 1732 წ.

ვინაითგან ყოვლისა მპყრობელმან და მისმან მიუწდომელობამან
და განგებულებამან და გამოუთქმელობამან და სახელისა მისისა დი-
დებულებამან, ესე იგი, უსწოროისად დასაბამითგან ძლიერსა და
მიუწდომელსა და ყოველთა მოწყალისად დაუსაბამოსა ღმერთმან
ჩვე-
ნი უძლური თავი ქვეყანასა ზედა ესრეთ გამოაჩინა; ჩვენი დიდების
უმაღლესობა ყოველსა ქვეყანასა გამოაბრწყინვა და დიდ სახელოვანი
სახელი ესრეთ ცხად ჰყო; შემწყნარებლობით სახე მომცა; ყოველთა-
თვის ჩვენი დიდი უფლება ბრწყინვალედ მართლ-მსაჯულობით
ქვეშე
დაწესებითა ერთა ჩვენთა ზედა განაგო; ჩვენი თვით-მპყრობლობა
მათ-
ზედა გარდაფინა და სიმდიდრე სიუხვესა ზედა მოანიჭა, და მშვე-
ნიერად მსაჯულად მკურნალად ქვეყანასა წინასწარმეტყველებრ
მომ-

ხილებლად მომავლინა და მოსამსახურე კაცთა ჩემთა მწყალობლად;
და ამასა ყოველსა ზედა დიდება მას მხოლოსა.

აწ ბრძანება ჩემი ეს არის და გიბრძანებთ ღვთის სამართალის
გამგებნო, ჩვენგან პატივცმულნო. ვინც იმყოფებით ახალციხის ვე-
ქილო და უხდებო, ახლა ვინც იმყოფებით აწ კიდევ უკუნისამდე კე-
თილ წარმატებულ იყვნენ თქვენი საქმენი ღვთის სამართლის ქვეშე;
აწ თქვენს წინაშე ეს ბარათი გვიბოძებია და ჯეროვნათ ისმინეთ. ეს
ძველათ გურჯის აზნაურნი ყოფილან, დიდებულის ჩემის ტახტის
ერთგულნი მოსამსახურენი ყოფილან პაპით, ბაბუით, მამით, აწ და
მარადის იქნებიან. ამათი სახელები: ავთანდილ, ლუკა, მიქაელ, კარა-
ლი, ბაღდასარ, გიორგი, მელქისეთ და ბასილ ისარლი. ახალციხის

ძირ მოსახლე ყოფილან; ერთგულნი ყოფილან დიდისხნით აქომამდე
პაპები ამათი, ბაბუები ამათი, მამები ამათი ციხეში დგომილან. ჯებსანა ან ზარბაზნები რაც არის მანდ და ან რაც იქნება შემნახავნი, ზედამდგომელნი და მომართველნი და რიგის მიმცემნი, როდესაც იმერეთში ანუ სხვაგან ლაშქრობა იქნება, ზარბაზნები მოაწყონ და რიგი მისცენ ერთგულათ და გაისტუმრონ და ემსახურონ დიდებულს ტასტსა. აწ რომ ამ სამსახურსა აღგვისრულებენ, ჩვენც ეს გვფერობს: საცა ჩემი მოხარჯე მიაწევს და ან მოაწევს, მანდ ხელში ჩემი ბარათი აქვთ; რავარც დაგვიწერია და ან ფერმანში გვიბრძანებია, ისრე აღასრულეთ. მხენი არავინ შეაწუხოს და არა აწყენინონ რა ამათ, რომლისა ამის ზევით სახელები გამოგვიცხადებია, მათს ოჯახებს განთავისუფლებით ამყოფებდეთ, ამიტომ რომ ამ სამსახურზედ ბეჯითად იმყოფებდნენ და დღესა ჩემსასა სიგრძესა ილოცვიდნენ.

აწ ეს ჩემი ბრძანება უფროს კაცთა გამოუცხადეთ, რომ მათაც ჩემი ბრძანება ასე ბრძანებისამებრ აღასრულებდნენ, რომ არასფერ არ აწყენინონ, ან არ შეაწუხონ რამე საქმეზედ. ამ საქმისათვინ წარმოვავლინე ჩემი ომანის მებრ უმაღლესი ბრძანება ათას ას ორმოცდა ათას რიცხვში მარტის თორმეტს გასულს, ესრეთ ყურად იღევით მანდ მყოფნო. აწ ღვთით რომ მოგივიდესთ ეს ჩემი ბრძანება, ეს ზემოთ რომ კაცების სახელები გამოგვიცხადებია, მაგათ სახლს კარს და მამულს თვალ ყური დაყარეო, ბეჯიდათ მიხედეთ, როგორც გვიბ-

რძანებია ისე ჩვენის დიდებულობისაგან, ერთ რამ შესაწუხებელი უდიერობით მიპყრობა არავინ გაბედოს. ვინც იქს და გაბედავს, ამაში ჩემი ბრძანება არ იქნება. მანდ, რომ ჯიზეიდრებს ხელში ბარათი შერიფი, უჭირავსთ, იმაშიაც ისე გვიბრძანებია და ჩემს ფერმანშიაც.

ასე გვიბრძანებია, ის დადის აზრითაც ამ ჩემი ბრძანებით გამოჩენილი არის, დაფთრებიც ასე მიცხადებს, აწ მანდ ახალციხეს ვინც იმყოფებით, დიდი თუ პატარა, ეს ჩემი ბრძანება ყველამ ყურად იღევით; ამ კაცებს უსამართლობით უდიერობა, ზულუმობა არავინ გაბედოს და უქნას ვინმემ, ან ახირებულათ არავინ რამე შეაწუხონ და არ გაცოდვონ ვინმემ. ყოველივე დაითხოვეთ, რომ არა მნებავს ამათ რამის წყენა მისდღეში, ჩემი ბრძანება ეს არის. ვინც ეს ჩემი ბრძანება გატეხოს და ჩემი ბრძანების უმორჩილო იქმნეს, რაც ჩემს უმორჩილებას ეკადრებოდეს, ისე სამართლის წიგნს დაეკითხეთ,
რავარც ბრძანოს სამართლის წიგნმა: ახით საცემი იყოს, ჯოხი ესვით ახირებულობით, რომ რამე გარდაახდევინოს, რამდენიც იყოს, ერთი ორათ გარდაახდევინეთ, და ამათ მიეცით.

სასიკვდილო თუ რამ დაუშავოს ვინმემ, დანაშაული კაცი თქვენც

მოკალით, და არჩევით. ასე გვიბრძანებია და ასე ყურად იღევით, ეს კაცები რომ მე რამეზედ შემომახვეწოთ, რაც მიბრძანებია არ დაიმარხოთ, ეს ჩემი ბრძანება უსიკვდილოდ ჩემს საბრძანებელში არ დავაყენებ. ასე ყურადიღევით ყოველთავემ ჩემი ხოსრივანის ბრძანება გამომიცხადებია და ესრეთ ჯეროვნათ დაიჯერეთ თქვენ ყოველთავემ.

სულთან მამუდის ბრძანება არის და ზემოთ მისი თურა და ბეჭედი აზის.

—

ეს ფირმან სულთან მაჰმუდისა, ბეჭედი დასმულია.

ფირმანში ნათქვამია, „თქვენ, ჩვენი ერთგული ხართ ისევე, როგორც თქვენი პაპა, პაპის მამა, ისევე მამა, თქვენიც ჩვენი ერთგული იყვნენო.

მოგვითხრობს კიდევ, რომ ამიტომ გიძღვნით მადლობასაო. თქვენ ახალციხის მოსახლენი ხართ ქართველები (გურჯები) და თქვენი წინაპარნი ყოველთვის კადნიერად და სინდისიერათ ასრულებდნენ თავიანთ თანამდებობას და მოვალეობასაო. ასეა ყოველგან, სადაც-კი ჭკვიანი და მოხერხებული კაცები განაგებენ. ჭკვიან და დარბაისელ მოხერხებულ კაცს, ვერავინ რას გაუგებს, თვით მოსისხარ მტერმაც-კი არა უნდა იცოდეს რა და ავთა და მოუსაზრებელ პირთაგან-კი ეს ასე არ მოხდება და ყოველ საქმის განძრახვათა ცნობას მტერი წინათვე შეუტყობს. ამის მაგალითია ქართველთ ცხოვრებაში 1832 წ,“ *).

სულთანის ფირმანი მოწმობს, რომ ისარლოვის გვარის წევრნი ჩვენი ერთგულნი იყვნენ და არიანო. ჩვენ-კი ვიცით, რომ მათზედ უერთგულესად იგინი ქართლ-კახეთ-იმერეთის ერის და მეფეების ითვლებოდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს თვით ის გარემოება, რომ XVIII საუკუნეში, ქართველთ ტყვეთა პატრონათ და დამხსნელად ახალცხეში, თითქმის მარტოდ ეს ხურსიძენი ითვლებოდნენ და რაც შეეხება ფაშებისა და ქართლ-იმერეთის მეფეების საქმეებს და მათ მომხრეობას, თითქმის ერთად ერთ გულ-შემატკივრად ესენი ითვლებოდნენ. ამათ მეტი ქართლის და იმერეთის მეფეების დამხმარედ სხვა არავინ ჰყვანდათ და ოსმალის ყოველს ჩვენს სამტრო დასაღუპ ცნობებს მეფეებს იგინი ატყობინებდნენ. ამათ ოსმალის ბევრი რამ საჭირო საიდუმლო ამბები შეუტყობინებიათ ქართლის და იმერეთის მეფეთათვის, რაც რასაკვირველია ყოველთვის საიდუმლოთ დაშთენილა. ქართლის მეფე და იმერეთის ბატონი ამიტომ ხურსიძეებს დიდს პატივს აგებდნენ და ანიჭებდნენ. ოსმალის მთავრობა მათ ვერაფერს უტყობდა, ნაცვლად „ციხის თავობის“ ძველადგანვე ახალციხის ჯაბახანაც კი მათ ჩააბარეს, ე. ი. არტილერია. ასეთი თანამდებობა ეკავათ მათ და არ

*) კავკასიის აქტის Vტ. დ. ს. დოდაშვილის ცხოვრების ცნო-

ბები.

შეიძლება აქ არ განვიმეოროთ შემდეგი მარად მოსაგონი ცნობა ხსენებულის გვარისა.

ხურსიძეები საქართველოს მეფეების ისეთი პატივის მცემლები იყვნენ, რომ თვით ასპინძის ომის მეთაურობა სამცხიდან საიდუმლოთ პირ და პირ ხურსიძეებს და სხვა კათოლიკებთ ეკუთვნისთ. იგინი მეფე ერეკლეს საიდუმლოთ დიდათ ამხნევებდენ და სხვა და სხვა საჭირო ცნობებს აძლევდნენ, რომ იგი ოსმალთ წინააღმდეგ ამხედრებულიყო და ახალციხეზედ წასულიყო საომრად და უკანასკნელ ბრძოლით ახალციხე აეღო, რაც ქართველთ სამეფოს ძლიერებისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა. ამისთვის იგინი დახმარებასაც-კი აძლევდნენ და სულით და გულით ენატრებოდათ, რომ ჯერეთ ახალციხე და მერე მთელი სამცხე-საათაბაგო ქართლ-კახეთის სამეფოსთვის შემოერთებინათ და მით გაძლიერებულიყო საქართველო. ახალციხის კათოლიკენი არამც თუ მარტოდ ამას ნატრობდენ, არამედ მათი უაღრესი შრომა და ღწვა იმასაც კი შეეხებოდა, რომ იმერეთის ყველა სამთავროები და სამეფო ქართლ-კახეთს დაკავრშირებოდნენ და ბოლოს ასეთის კავშირით ქართველი ძლიერი სამეფოც დაარსებულიყო. ამის თავდარიგი კათოლიკებმა ყოველთვის მკაცრად განისმოდა მათ ჰატრებთაგან, რომელთაც კარგი ცოდნა ჰქონდათ, საქართველოს აწეწილს მდგომარეობასაც კარგად იცნობდნენ და მის საკურნებელ მალამოს გზა და კვალიც იცოდენ, რის მოძებნას და შექმნასაც თვის მრევლს ყოველთვის ვალდებულებით ასმენდნენ. ამისთვის საჭირო იყო პატრების რჩევით ერთობა.

ყველა ამ დანაწილებულთ ქართველთ შორის მხოლოდ მარტოდ ერთად ერთი ერთობა იყო საჭირო, მათ რომ ერთობა ჰქონოდათ, მაშინ ვერც ოსმალი დასჯაბნიდა და ვერც სპარსნი. ქართლი კახეთს ებრძოდა, ქართლი იმერეთს, იმერეთი სამეგრელოს, სამეგრელო აფხაზეთს, აფხაზეთი გურიას და ხშირად ყველა ესენი-კი სამცხე-საათაბაგოს. სამცხემ დიდი წვა და დაგვა გამოიარა, ამიტომ ოსმალოს მონებაში მყოფნი ქართველნი ადვილად მიხვდენ ერთობის მნიშვნელობას. თავისუფ-

ლად მყოფ ქართლ-კახეთ იმერეთის სამეფოს ერთა-კი ვერაფერი შეიგნეს, რამდენათაც ქართლ-კახეთ-იმერეთის დაკავშირებას ახალციხის ქართველ-კათოლიკენი ნატრობდენ, იმდენი მოსაზრება მთელს ქართლ-კახეთ-იმერეთის ქართველთ არ ჰქონდათ. ოსმალის მონობის ქვეშ ყოფილ ქართველ კათოლიკეთ უფრო კარგათ ესმოდათ ერთობის მნიშვნელობა ვიდრე სხვათა. ოსმალოს საქართველოს ყველა ქართველის ნატვრას მხოლოდ ეს შეადგენდა, რომ იმერეთს – ქართლ-კახეთი დაკავშირებოდა, ქართველთა ერთი მეფე გამოცხადებულიყო და ბოლოს ეგები

სამცხე-საათაბაგოც დაეპყრათ, საქართველო ისევ გაერთიანებულიყო, ქართველთ ხმას გახმაურება და აღაღადება დაეწყო. ამას ნატრობდენ ახალციხის ქართველთ-კათოლიკენი და ქართველნი და ამის იმედით სცხოვრობდნენ. მიტომ იტანდენ ოსმალთაგან მრავალ ნაირ ტანჯვას და ვაებას, მხოლოდ მიტომ რომ ბოლოს მაინც დავძლიოთ ჩვენი მოსისხლე მტერი ოსმალნი. ახალციხე ისევ საქართველოს დაუკავშირდეს, ჩვენს მეფეს, სამეფოს, ესეც ჩვენი ქალაქია, ქართველთა და აქაც ქართველთა ძალა განმტკიცდეს და ჩვენ კიდევ სახსარი მივსცეთ აქ გამაგრებას და მის ძალასო.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, მათი ნატვრა ვერ ასრულდა, თავისუფლათ მყოფ ბედასლ ქართლ-კახელთ მეოხებით, რომელთაც იმერეთის ერის თხოვნა საქართველოს ნაწილ-ნაწილად დაყოფილ სამეფოების და სამთავროების დაკავშირების შესახებ უარი ჰყვეს და მით ჰგმეს ქართველთ დიდებულთ ბრძენ კაცთა და მუშაკთა დავალებანი. ყველა ამ მოსაზრებათა პირველ მნატვრელ და დამწყობათ ახალციხის კათოლიკენი და ხურსიძეები ითვლებოდნენ. ქართლ და იმერეთში ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ საიდუმლოთ, არსად არავის რა გაუგია, მეფე ერეკლეს, ახალციხის კათოლიკებმა და ქევხა კაცებმა აუწყეს, რომ ჯერეთ ანპინძის ციხე აიღეთ, მერე იქიდამ ახალ-

*) საქართველოს გათათრება, ჩემი, 1902 წ. თბილისი.

ციხესაც ადვილათ აიღებ, რადგანაც ასპინძის ციხე მაგარია და მის შემდეგ მთელს დასავლეთ საქართველოსაც ადვილათ დაიმორჩილებთო. პირველი საქმე და ძალა ის უნდა იყოს თქვენიო. ეს რასაკვირველია ჭკვიანი მოსაზრება არის და ყოველივე კარგათაც მოხდებოდა. იმდოლი ქართველთ სისხლი უბრალოთ არ დაიღვრებოდა, მაგრამ ქართველთ ეწვიათ უბედურება, მეფე ერეკლეს უღალატა უპირველესად ზაქი-ჭამიამ და მეორე რუსის გენერალმა ტოტლებენმა. ამათ დაიხვიეს მეფე ხელზედ და მოატყუილეს, რაის მეოხებითაც ასპინძას დიდი ძალა ქართველობაც გაწყდა და ყოველივე შრომა ქართველთა უბრალოთაც დაიკარგა. მეფე ერეკლემ ამაზედ ბევრი სტუქსა შვილი, მაგრამ რაღა დროს. გიორგი მეფემ იმ თავიდამ სულ ასე ჯიბრით ექცეოდა მამას! რუსის გენერლის შესახებ საჩივარი იქმნა რუსეთში გაგზავნილი. გენერალი დასჯილ იქმნა ეკატერინა იმპერატრიცისაგან.

ყველა ამ უბედურს საქმეებს ახალციხის და ჯავახეთის ქართველნი მწუხარებით უმხერდნენ. 1770 წლების შემდეგ, ხურსიძეების გვარის ზოგიერთი წევრთა სამრეწველო საქმეს მოჰკიდეს ხელი და მის მეოხებით ქართლსა და იმერეთშიაც იწყეს მოგზავრობა. მგზავრობას, რასაკვირველია ვაჭრული ხასიათი ჰქონდა მიცემული, მაგრამ უმთავრესად საქმის მიზანი-კი სხვასაც შეეხებოდა. ამ გარემოებით ხურსიძეებმა დიდად ისარგებლეს და ოსმალთ უეჭვოდ დაუახლოვდნენ როგორც ქართლ-

კახეთის მეფე ერეკლე მეორეს, ისევე იმერეთის მეფე სოლომონ პირველს, ხურსიძეების დაახლოვება ერეკლე მეფეს და სოლომონ პირველთან ქართველობის მალამოდ უნდა მივიღოთ, რადგანაც ხურსიძეები ოსმალეთის ისეთნი ერთგულნი იყვნენ, რომელ ერთგულებაც მხოლოდ საქართველოს ერის ერთგულებათ უნდა ჩაითვალოს და მათის მოსისხარ საქართველოს დასაღუპავ ოსმალისათვის-კი საღალატოდ, მტრობად და თითა ქმის გაცემათაც კი.

მაგრამ რა ვქნათ, ჩვენი ვალიც ასეა, ვინც ჩვენ შეგვიყვარებს ჩვენც ამას შევიყვარებთ, ვინც ჩვენი ქვეყნის და ერის

სისხლს დალევს, ჩვენც მისი სისხლის დალევას მივესწრაფით. ხურსაძეების სამშობლოს სისხლს ოსმალოები სთმდეგ- და მიტომ სურსიძეებმაც სამაგიერო გადაუხადეს ოსტატურად, ეს რომ ამათ ასე არ ექმნათ, მაშინ ხურსიძეები საქართველოს მოღალატეთ ჩაითვლებოდნენ, მტრებად, მაგრამ არა, ამ პირებმა მთელი თავიანთი ოსტატური ძალ-ღონე მხოლოდ თავიანთისავე დაუძინებლის მტრის მონების ბრძოლას მოანდომეს, რასაც ოსმალნი ქართლ-კახეთს, იმერეთის დასაღუპად რამეს განიძრახებდენ, ყველა ამ ღასაღუპ მოვლენათა ცნობებს ხურსიძეები თავიანთ ტანჯულს საქართველოს საყვარელ თანამემამულეებს და მეფეებს დაწვრილებით აცნობებდნენ. ამათ რომ ასე არ ექმნათ, მაშინ თქვენი მტერი, თუ ხშირად რა დაემართებოდათ სანაქებო გმირს ქართველებს, გონი ჩვენი სამშობლოცკი აეკლოთ მათ, აეღოთ გორი, თფილისი, მერე კახეთსაც დაიჭერდნენ და მის შემდეგ რაღა ფიქრი უნდა მთელ ქართლ-კახეთს დაღისტანთან გააერთიანებდნენ, მერე გათათრებასაც ადვილათ დაუწყებდნენ, მაგრამ არა, ეს ასე ვერ მოხდა და ვერცარაოდეს მოხდებოდა.

სწორეთ ამ დროის პირებათ ჩვენ უნდა ვაწამოთ ის ხურსიძეები, რომელთაც 1733 წ. სულთან მაჰმუდისაგან სიგელიც მიუღიათ, ხოლო ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იმ დროს ესენი ახალგაზდები იქმნებოდენ და მის მეოხებით 1770-75-80 წლებსაც ადვილათ მოაღწევდნენ. ამ გვარის წევრთა ცნობების შესახებ ისევ თვით მათისავე საგვარეულო ცნობებიდამ ვისაუბრებ.

ზემოთ ხსენებულ ქართველ კათოლიკ ხურსიძეების შთამომავალს ახალციხეს საკმარისი ხმა და გავლენა ჰქონიათ და ეგინი ყოველთვის თავიანთ ერის კვალად წარჩინებულ პირებად ყოფილან მიღებულნი. რასაკვირველია, ამ საპატიო პირებში მოჰყვება სახელები ზოგიერთის იმ პირებისაც, რომელნიც სულთან მაჰმუდის მიერ ბოძებულს სიგელშიაც მოიხსენებიან. მაინც ყოელ შემთხვევაში ვიტყვით, რომ მეფე ერეკლეს კარზედ ხურსიძებთაგანი დიდათ დაახლოვებული ყოფი-

ლა ლუკა ისარლოვი. ამავ დროს, იმერეთში, სოლომონ მეფის კარზედ იმყოფებოდა მელიქსედ ბატანჯანა-ისარლოვი, რომელსაც მეფე სოლომონის წინაშე დიდი ნდობა ჰქონდა მოპოვებული.

მეფე ერეკლემ ისურვა ლუკას სულიერად დაახლოვება სამეფო საქმეების გამო და საყოველთაოდ თბილისში დასახლება. ამიტომ მას მეფემ მშვენიერი ადგილები უბოძა და მასთან ფულიც გადასცა შენობის აღსაგებათ და ბაღების გასაკეთებლათ. ლუკამ თბილისში გააკეთა კარგი სახლი, გააშენა მშვენიერი ბაღები და თფილისში მიეცა ცხოვრებას. მეფის წინაშე ყოველს საქმეში ლუკა დიდს ნიჭიერებას იჩენდა. მეფემ იგი რამდენგზისმე ახალციხეშიაც გაგზავნა ფაშასთან მოციქულად. ფაშასთან ლუკა მეფის მინდობილებას დიდის ერთგულებით და პატივით ასრულებდა. ლუკამ ვექილ-ელჩობით და მოციქულობით საკმარისი ერთგულება დაიმსახურა მეფის წინაშე, უკანასკნელ მეფემ მას ურჩია, რომ სამუდამოთ თფილისში დასახლებულიყოს და ცოლიც შეერთა. ლუკამ მეფის ბრძანება შეასრულა და მეუღლედ შეირთა თბილისის ქართველ-კათოლიკ-აზნაურის ნებიერიძის ქალი, ანნა. ეს ქალი თბილისში გაზრდილი იყო. ამ გარდმოცემაში მოხსენებულის ცნობებიდგან კარგად სჩანს, რომ ფირმანში მოხსენებული ლუკა ისარლოვი სხვა უნდა იყოს და ეს ისარლოვი სულ სხვა დროისა. ლუკა ისარლოვი ჩვენ ამ ლუკას და მის ძმების პაპად მიგვაჩნია. ახალციხეში გარდასახლებას ძრიელ ერიდებოდა, როგორც ოსმალოს სამფლობელოში და ამიტომ იგი საყოველთავოდ თბილისში არჩევდა ცხოვრებას. რაღა ფიქრი უნდა, რომ სამცხე-საათაბაგელი ლუკაც თფილისში იცხოვრებდა, ქართველთ მეფის ქვეშევრდომობას მიიღებდა. ლუკას ასე დასახელება მეფე ერეკლეს მიტომ ენატრებოდა, რადგანაც ლუკა ხურსიძის ბიძა ბასილა, იმ დროს, ახალციხეში „ციხის თავად“, ანუ „ისარლად“ იმყოფებოდა და ე. ი. ახალციხის ციხის კარის მცველად, მძლეთ, ვისაც მეტად დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა ახალციხის ფაშების წინაშე. გარდა ამისა, რომ ლუკას ახალციხეში

დიდი გავლენიანი თანამდებობის ძმა ჰყვანდა, თვითონ ლუკა ისარლოვიც საუკეთესო, სანდო ქართველი პირი იყო ქართველთ მეფისა და საქართველოსთვის.

მეფე მას იცნობდა, როგორც ქართველთათვის გულ-შემატკივარს პირს, საქართველოს მოყვარეს და სხვანი. ამის მაგალითები ლუკას არა ერთხელ დაუმტკიცებია მეფის წანაშე. ამიტომ მეფე ერეკლე თავისს სამეფო საჭირო საიდუმლო საქმეებსაც-კი ანდობდა, თან ავალებდა ქვეყნის საქმეში მონაწილეობის მიღებას. ლუკა ისარლოვი დიდი გულ-შემატკივარი იყო ქართველთ მეფობის და მიტომ იგი ყოველთვის მხურვალედ იღებდა მონაწილეობას ყველა საჭირო სამეფო საქმეში, ყველა დავალებაში იგი სრულს ჭეშმარიტებას იჩენდა, უსამზღვრო სათნოებას, რაც მაშინ მრავალთ დიდებულთა წი-

ნაშე ერთობ იშვიათი იყო, დამცირებული. ამიტომ მეფემ იგი რამდენ გზისმე ამგზავრა სპარსეთში შაჰის წინაშე ელჩათ, სადაც მას ერთ მგზავრობის დროს ბოლოც მოეღო. ამის გარდაცვალების რიცხვი 1794 წ. უნდა ეკუთვნოდეს. რადგანც 1795 წლის შემდეგ, ლუკა ისარლოვის ხსენება თფილისში სულ აღარა სჩასს, თითქმის ისპობა საყოველთავოდ. ე. ი. სპარსეთში რჩება, იქვე კვდება. ამის ცხადი საბუთია ის გარემოებაც, რომ ლუკა ისარლოვისაგან დატოვებული ერთი ცნობა მხოლოდ 1794 წ. გვიჩვენებს, მის სიცოცხლის შემდეგი დროის ცნობა სპარსეთში უნდა ვეძიოთ, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ლუკას ჰყოლია ოთხი ვაჟიშვილი: გრიგორი, რომელიც ინდოეთში გარდასახლდა 1799 წ., ივანე, სტეფანე და პეტრე. ქალი სამი: ბარბარე, მაია და ნათელა. მაია მეფისოვის მეუღლე, ნათელა ქართველ კათოლიკ აზნაურის, მეფე სოლომონის ნაზარის დათიაშვილის მეუღლე ქუთაისს. ბარბარე მეუღლე დინიბეგოვისა.

როგორი ჭკვიანი კაციც ლუკა ყოფილა, როგორც ამას ჰყვარებია თავის ერი და მისი ბედნიერება, სწორეთ ისეთივე ყოფილან მისი შვილები, თუ კაცი და თუ ქალი, მაგალითებრ, ლუკა ისარლოვის ქალი ბარბარე ჭკვიანი მანდილოსანი ყოფილა, კარგად მომწრე ქართველთ მეფობისა და მასთან სამეფო

სახლშიაც იგი ხშირად დაიარებოდა ბატონის ქალებთან. ბარბარეს ბევრი რამ ძველებული ამბები ხსომებია, ნამეტურ ერეკლე მეფის შესახებ. 1840 წლებში, ამ ქალს თავისს ძმის წულისთვის აი რა საყურადღებო ამბავი უამბნია, რომელ ამბებიც სხვა ძველ მოხუცებულებსაც შეუმოწმებიათ და ჭეშმარიტებათ უღვიარებიათ ამ ქალის ნაამბობი ცნობები.

იმ დროის ქართველ ქალთა ვითარების შესახებ უნდა ითქვას, რომ იგინი თავიანთ დროის კვალად იზრდებოდნენ. ყოველი მათგანი იყო მწიგნობარ და მტრფობელ ქართველთ ცხოვრების. ნამეტურ ასეთ დარგით იყვნენ აღვსილნი ლუკა ისარლოვის ქალები, რომლის ერთმა, ანნამ შემდეგ დროს, შესამჩნევი სახელი და ღირსება დაიმკვიდრა.

„ლუკა ისარლოვი მეფე ერეკლესთან ძრიელ ხშირად დაიარებოდა, ხან მუდამ დღეც-კი, მეფესთან დიდათ დაახლოვებულ იყო, მეფეც დიდს პატივს ანიჭებდა. ერთხელ, ლუკა მეფის სახლში გიახლათ და იქიდამ შინ ძრიელ გაჯავრებული დაბრუნდა, ჩვენ, ქალებს, ყველას გვეწყინა და შევკრთით, მაგრამ მიზეზი ვერა გავიგეთ რა, მეორე დღეს-კი შევიტყვეთ, რომ ლუკა ძრიელ გაეჯავრებინა ოსეფა ყორღანოვს, დარეჯან დედოფლის მილახორს (Начальникъ конюшній) მიზეზი გაჯავრებისა იყო შემდეგი: დარეჯან დედოფლის წინაშე მილახორი საკმარისად პატივცემულ იყო და მიღებული. ამ გარემოებით იგი დიდათ სარგებლობდა. შეუბრალებლად სჩაგრავდა სხვა და სხვა თავად-აზნაურის შვილებს. ქალაქის ხალხი ხომ ფეხ ქვეშ ჰყავდა გაქელილი. ყორღანოვის ასეთს საქციელს

ლუკა ისარლოვი ვერ იტანდა. იმ დღეს, სამეფო სახლში, ლუკას და მილახორს ლაპარაკი მოსვლოდათ. მილახორს რაღაც უკადრისი სიტყვები დაეხარჯა. ამაზედ თურმე სასტიკათ შელაპარაკდენ. ლუკამ მილახორის უზრდელობა და არა კადნიერი სიტყვები და საქციელი ვერ აიტანა. ამიტომ მილახორი ხმალში გაიწვია. ვერ გაბედა მილახორმა ხმალში გასვლა. ამის შემდეგ, ერთ დღეს, სამეფო სახლში, კიდევ შეხვდა მილახორს

ლუკა, იქ ლაპარაკი კვალად მოუხდათ. ლუკამ ლაპარაკი ვეღარ აიტანა და მილახორს მრისხანებით შემდეგი სიტყვა უთხრა“:

– „შენ გეუწყებოდეს, რომ ფრთხილად იყო, თორემ მე არ შეგარჩენ, შეგანანებ ახალციხიდამ იანიჩრებს დავიბარებ, შენის სახლიდამ ღამე ჩუმათ მოგიტაცვენ, ოსმალეთში გიკრავ თავს და გაგყიდი. გეუბნები, რომ მისამარ ეს არ მიქმნია. შენ შენს უზრდელს საქციელს და უსამართლიბას სხვებთან თავი გაანებე, თორემ ინანებ.

– ბარემ აქვე გავათავოდ შენი მუქარა თუ კაი დედის შვილი ბძანდებით, მიუგო ყორღანაშვილმა.

– ძრიელ კარგი, ეხლავ გავათავოთ საქმე, მე შორს აღარ წავალ, ხმალში გამობძანდი, კოკა წყალზედ უნდა გატყდეს, გავათავოთ საქმე, სიტყვა სწორი, მართალი და ვაჟკაცური უნდა იყოს. მრისხანეთ მიუგო ლუკამ.

მილახორი ძრიელ შეშინდა და უამისობა მისგან არც შეიძლებოდა, რადგანაც იმ დროს, ახალციხეში სცხოვრებდა, როგორც ზემოთა ვსთქვით, ბასილა ისარლოვი, რომელიც იმ დროსაც-კი იანიჩრების უფროსად ითვლებოდა. ამ ბასილას იანიჩრებზედ ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ როდესაც ბასილა ახალციხის ციხიდამ გადმოდგებოდა და იანიჩრებს დაუძახებდა და ჰკითხავდა რამეს, იანიჩრები იმ წამშივე გაიკრძალებოდნენ მისს წინ და სულ განაბულები უსმენდნენ მისს ბრძანებას. ყოველს სიტყვას უტყუვრად ასრულებდნენ.

მისი ხმა ეხლაც-კი ყურებში მაქვს ცოცხლადაო, უთქვამს ლუკას ისარლოვისთვის 1840 წელს, ერთ მოხუცებულს, ახალციხელ ქართველ კათოლიკე, სტეფანე იზმირილიანს.

„ბასილა ჩვენი აღაც იყო და ფაშაცაო“.

ამავე მოხუცებულს კარგად უამბნია მისთვისვე ისარლოვების საგვარეულო ზარზმის ტაძრის გარემოება, ახალციხის ციხის ამბავი და სხვა. გარდა ამის უსაყვედურნია ლ. ისარლოვისთვის, რომ თქვენ სამშობლო მხარეს და საგვარეულო ზარზმის ტაძარს რათ ივიწყებთო. ამ მოხუცებულს კარგად ხსო-

ვნებია ბასილა ისარლოვი, რომელიც XVIII საუკუნის ნახევრის შემდეგაც ახალციხეში ისარლათ ყოფილა და რომელ ისარლი ბასილას ცნობა მთელს ქართლს და კახეთშიაც კარგად სცოდნიათ.

ბასილა ყოველთვის დიდს დახმარებას აძლევდა ქართლ-კახეთის მეფეს და იმერეთისას, ოსმალოს ყველა საჭირო ცნობებს საიდუმლოთ ატყობინებდა. უნდა ითქვას, რომ ეს გარემოებაც არ ავიწყდებოდა მილახორს და მიტომაც იყო იგი შიშში ჩავარდნილი.

ლუკას და მილახორის ამბები დედოფალმა კარგად იცოდა. მეფე ერეკლეს დაავალა, რომ ლუკა ისარლოვი და მილახორი ეგები მოარიგოვო, შერიგდნენო. მეფემ დედოფლის სასიამოვნოდ ლუკა ისარლოვს მილახორთან შერიგება სთხოვა. ლუკამ მეფის ბრძანება და დავალება სიამოვნებით მოისმინა და მოახსენა. – „დიდის სიამოვნებით, მეფეო, მე, თქვენს ბრძანებას შე ვასრულებ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მილახორმა თავის უზრდელობაზედ ხელი აიღოს, თავი გაანებოს, სხვებს უზრდელად ნუ ექცევა, მასთან ბოდიშიც მოიხადოს და პირობაც დადოს, რომ დღეის შემდეგ სხვა დარბაისელთა კაცთა დევნას და შეურაცხყოფას თავს გაანებებს. მაშინ მე მზათ გახლავართ თქვენი ბრძანება შევასრულო, თუ არა და მე ეგ ხმალში გამოვიხმე თუ კაცი გახლავსთ, გამოვიდეს.

მეფემ ყორღანაშვილი დაიბარა, ყოველივე უბრძანა.

ლუკა ისარლოვი თანახმა არის შეგირიგდეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ დღეის შემდეგ, შენ უკეთ მოიქცევი, მასთან ბოდიშსაც მოიხდი, თუ არა და იგი არ მოგეშვება, როცა იქმნება და სადაც იქმნება ხმალში გაგიწვევს, სამაგიეროს გარდგიხდის. არ ვიცი ის რათ გებრძვის ასე, ხმალში რად გიწვევს. ისევ მორიგება და ბოდიში გირჩევნიან მოიხადო, უბრძანა მეფემ.

ყორღანოვმა თანხმობა განაცხადა.

ბოდიშს მოვიხდიო. მალე ლუკა ისარლოვიც გიახლა სამეფო სახლში. ყორღანოვმა ბოდიში მოიხადა. მეფემ მილახორი და ლუკა ისარლოვი დედოფალთან წაიყვანა და მოახსენა:

ლ. ისარლოვი და მალახორი შევარიგე.

ერთის მხრით მეფე ერეკლეს ლ. ისარლოვის ასეთი სისასტიკე ძრიელაც მოსწონდა და მილახორს ამტყუნებდა, რადგანაც მეფეს ამის ჯავრიც სჭირდა. მეფემ ლ. ისარლოვის მრისხანებაში სრული სიამოვნება ნახა. ვაი ჩვენი ბრალიც. ის კაცი, ვინც ავღანისტანს და ინდოსტანს შაჰნადირის ლაშქრის მთავარ სარდლად იმყოფებოდა, ვისაც ვერავინ იმორჩილებდა, ის დაამორჩილა ადვილად მხოლოდ მოხუცების ჟამმა.

ლუკა ისარლოვმა მილახორს აპატივა, შეურიგდა. ამიტომ ეს დედოფალს ძრიელ ესიამოვნა და ნიშნად სიამოვნების ლ. ისარლოვს და მისს მეუღლეს დიდს პატივს აგებდა, ყოველთვის ეხმარებოდა ლუკას მეუღლე ანნას.

მეფე ერეკლემ 1786 და 1793 წლებში, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ლუკა ისარლოვი მესამედ სპარსეთში გაგზავნა, შაჰთან ელჩათ. შაჰთან დიდი ძალი საჩუქრები გაატანა. ლუკამ სპარსეთში თან გაიყოლა თავის პატარა შვილი გრიგოლიც,

თეირანში ჩავიდა, შაჰი ნახა და საჩუქრები მისცა. იქ ყოფნის დროს, ლუკა ისარლოვი ავად გახდა და თეირანში გარდაიცვალა. თეირანიდამ მარტოდ გრიგოლ ისარლოვი დაბრუნდა საქართველოში. მეფე ერეკლე ძრიელ შეწუხდა ლუკა ისარლოვის გარდაცვალების გამო. ლუკას მეუღლეს ამიტომ დიდი პატივი და დახმარება უბოძა. ასეთივე პატივით ეხმარებოდა ლუკას სახლობას დარეჯან დედოფალი. მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, დარეჯან დედოფალი მფარველობდა, რადგანაც დედოფალმა კარგად იცოდა, რომ ლუკა ისარლოვი მეფე ერეკლეს ერთგული მსახური იყო. მის ერთგულ სამსახურის გულისთვის თეირანში გარდაიცვალა.

ლუკას მეუღლეს ანნას თავის შვილებით მაზლები ახალციხეში იხმობდნენ საცხოვრებლად. ახალციხეში გარდასახლებას იმერეთში მყოფი სიძეც ითხოვდა, მაგრამ ეს ქალი თბილისს ვერ შორდებოდა, ახალციხეში უძნელდებოდა გარდასახლება, ოსმალთა ჩვეულებას ვერ ეთვისებოდა, იქ ქართველ

ქალები ოსმალურად პირ-დაფარულნი დადიოდნენ. მეტი რა გზა ჰქონდა, თბილისში დარჩა და სცხოვრებდა. უკანასკნელ 1795 წ. შემთხვევამ იგი სასტიკათ შეაშინეს, მიტომ გზა მონახა, ურემი დაიჭირა და ახალციხეს გაემგზავრა. იქ გარდასახლდა თავის წვრილი შვილებით. იმ დროს, ქუთაისში, მეფე სოლომონის კარზედ მსახურებდა ნაზირათ ქართველ კათოლიკე ცნობილი აზნაური დათიაშვილი, რომელსაც ჰყვანდა ცოლად ამის ქალი (ნათელა) ნატალია. ანნამ ახალციხიდამ მალე მოახერხა და ქუთაისს გარდასახლდა თავის სიძესთან. ამ ქალის გარდასახლების ამბავი სოლომონ მეფესაც ეუწყა. სოლომონმა გარდასახლებულთ დიდი პატივი აგო, იცოდა მათი ვითარება, ამიტომ დაუნიშნა ულუფა და მისს გარდა ანნას პატარა ყმაწვილებსაც ძრიელ ხშირად ინახულებდა. ანნა თავის შვილებით თითქმის ყოველს კვირას დაიარებოდა სამეფო სახლში. სასახლეში ყველა პატივით ეპყრობოდა, თვით დედოფალი მარიამიც: მეუღლე სოლომონ მეფისა ისეთი პატივისმცემელი გახლდათ ანნასი, რომ იგი ყოველთვის საიდუმლოებასაც-კი გაანდობდა. თვით ანნაც ჭკვიანი დედაკაცი ყოფილა და მასთან ექიმობის მცოდნეც. იყო დიდი გულ შემატკივარი იმერთის მეფის და დედოფლის და მართალი მტრფობელი იმერთ დამოუკიდებელის ცხოვრებისა.

დედოფალი უშვილო იყო და ანნას საიდუმლოდ გაენდო, იქმნება ქუთაისს, თქვენმა პატრებმა, ან სხვა პირებმა უშვილობის წამალი იცოდნენო, ეგები მეშველოს რამე, ვიწამლო და შვილი მომეცესო. ეს ამბავი ანნამ, რასაკვირველია, საიდუმლოდ შეინახა მათ სიცოცხლემდე, ზომებიც იხმარა, მაგრამ მკურნალობით-კი ვერა უშველა რა.

მეფე სოლომონს ანნას პატარა შვილები ისე უყვარდა თურმე, რომ ერთს ყმაწვილს სტეფანეს, ყოველთვის ასე უწოდებდა:

– „ჩემი პატარა სტეფანე, ჩემი პატარა ისარლი“.

ერთხელ მეფე აჯამეთის ტყეში ნადირობდა. იქ მათ მოართვეს ერთი მშვენიერი კალათა, კარგის ნუგბარის ხილით სავსე.

მეფემ რამდენიმე ცალი აიღო და დანარჩენი თანამხლებელთ გარდასცა და უბრძანა:

„ეს შემინახეთ ჩემი პატარა სტეფანესთვის, რადგანაც იმას ეს ძრიელ უყვარს“.

მარლაცა და მეფემ შინ მისვლის შემდეგ ხსენებული კალათა პატარა სტეფანეს გაუგზავნა. აი ასე პატივს სცემდა სოლომონ მეფე ისარლოვის ოჯახს. ესენი ქუთაისში სრულს ბედნიერებაში იყვნენ. უკანასკნელ ანნამ, როგორც თბილისელმა ქალმა განიძრახა თბილისში გარდასახლება და თავისს საკუთარის დაქცეულის სახლ-კარის განახლება. მეფე სოლომონმა ამ ქალს ქუთაისს დარჩენა სთხოვა, მაგრამ მან ნატვრა განუცხადა მეფეს, რომ 1795 წ. შემთხვევისაგან თბილისის მამულები სულ დამექცა და მიტომ გიახლებით, რომ დაქცეული სახლ-კარი აღვადგინოვო.

მეფემ ნება დართო, საგზაო საგძალი მისცა, თან კაცები დაუნიშნა, რომელთაც უნდა ჩაეყვანათ თბილისში. 1796 წ" ანნა უკვე დასახლდა თბილისში და მალე თავის დაქცეულ სახლ კარის შენებაც დაიწყო. მეფე ერეკლე ცოცხალი იყო ამ დროს. ამას გაახსენდა ლ. ისარლოვის ამაგი და მისი სიკვდილი სპარსეთში და მიტომ ქვრივს კაი დახმარებაც მისცა. ასევე მფარველობდა დარეჯან დედოფალი და ყოველნაირს დახმარებას უჩენდა. ოჯახი როგორც იქმნა მოაწყეს. მცირე ხნის შემდეგ მეფე ერეკლე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ლ. ისარლოვის ოჯახის ცხოვრების სურათიც შეიცვალა. გიორგი მეფე თავისს დედინაცვლის ჯავრით ისარლოვის ოჯახს გადაეკიდა და დევნა დაუწყო. ამაზედ დარეჯანსა და გიორგის უსიამოვნებაც მოუხდათ. ერთ დღეს გიორგი მეფემ ლ. ისარლოვის ქვრივი და მისი ვაჟი გრიგოლი დაიბარა და შემდეგი გარდასცა:

– როცა ლუკა ისარლოვი სპარსეთში წავიდა, მაშინ ეს გრიგოლიც თან წაიყვანა. მეფემ შაჰთან დიდი საჩუქრები გაატანა. ლუკა იქ მოკვდა, თბილისში ვეღარ დაბრუნდა. აქ მარტოდ გრიგოლი მოვიდა. იმ საჩუქრების ანგარიშის საქმე მე არ ვიცი,

ამიტომ გთხოვთ ანგარიშის მოცემას, თორემ ყოველივეს გადაგახდევინებთ, წაგართმევთ ყველა სარჩო-საბადელის.

ისარლოვის სახლობა ამაზედ გაჰკვირდა და ნამეტურ გრიგოლი. ანნამ მიუგო:

– ჩემი ქმარი სამეფო სამსახურისთვის თეირანში გარდაიცვალა, ის აქ არ მოვიდა, მარტო გრიგოლი მოვიდა. მეფე ერეკლემ ჩემი ქმრის სიკვდილი მწუხარებით მოისმინა. სამძიმარი გვითხრა, მის გარდა წყალობაც მოგვცა. შემდეგაც არ მოუკლია

თავის უხვი მფარველობა, თუ რამ ანგარიში იყო გასასწორებელი და საჭირო, იმას ის მოვგთხოვდა. მეფე ერეკლე გარდაიცვალა და აბა ჩვენ რა მოგახსენოთ, რა ანგარიში მოგცეთ, რა პასუხი უნდა გაგოთ, როცა ამის შესახებ, ჩვენ არც არაფერი ვიცით.

მეფემ არ შეისმინა ამ ქვრივის პასუხი და მიუგო.

– ჩემი საქმე არ არის, მე ყველაფერს გადაგახდევინებთ, გეუწყებოდეთ, ასეა ჩემი ბრძანება. გაიგეთ და შეიტყეთ, ანგარიში წარმოადგინეთ.

მართლაცა და ამის შემდეგ გიორგი მეფემ ამ ოჯახს დევნა დაუწყო, ბოლოს მამულებიც-კი წაართო. უკანასკნელ საქმე ისე ნოეწყო, რომ ახალგაზრდა გიგო დააპატიმრა და მისს დედასაც სასტიკათ სდევნიდა. ეს ამბავი ბევრს წარჩინებულს პირს ეწყინა, მაგრამ მასთან ვინ რას გააწყობდა, არაფერს.

როგორც ვიცით, გიორგი მეფე დიდი ღვთის მოყვარე კაცი იყო, იგი დიდი სიბრალულის მექონე იყო. სიმართლე ძრიელ უყვარდა, ფული და ოქრო ისე სძულდა, რომ ფულს მინამ კვერცხის საპნით კარგად არ გარეცხავდენ, მინამდის იგი ხელში ფულს არ აიღებდა, რადგანაც ფული მიაჩნდა ცოდვის ნიშნად. იტყოდა ხოლმე, რომ სულ ფულისთვის ხდებაო კაცის კვლა, ღალატი ქვეყნისა, გმობა ღვთისა და სხვაც ასეთნი ამ გვარნი და ნუ თუ ასეთი ჰაზრის მეფე ისარლოვის მეუღლეს ისე უდიერად მოექცეოდა და დაარბევდა, არა გვგონია: ეს ამბები მოგონებულია მტრობით ქვეყნის ამრევთაგან. გიორგი მეფე მართალია არ იყო დიდი ჭკვიანი მეფე, მაგრამ

ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს ღვთის მოსავი კაცი თავის ქვეშევრდომების ანიავებს სჩადიოდა და ისიც ნამსახური კაცის მეუღლის, რომელთაც მეფე ერეკლეს კარზედაც ემსახურნათ. ეს სულ სხვა და სხვა მტრების წყალობა უნდა გახლდესთ, და მართლაც მეფე გიორგი თუ რამე უდიერობას ჩაიდენდა ისარლოვის ქვრივის წინაშე, ეს იქმნებოდა სხვების ბრალი და მიზეზები. ამიტომ გიორგი მეფის უდიერობა არ არის შესაწყნარისი. იგი თავის სამეფოში უდიერად არავის ეპყრობოდა, მისი სახლის კარი ყველასთვის ღია იყო, მისი ნახვა ყოველ დღე შეეძლოთ თვით გლეხ კაცებს. ამის მაგალითს ამტკიცებს არა ერთი სიგელ-გუჯარი და მომხდარი საქმეები, ნამეტურ კახელთ ყმა გლეხის საჩივარი თავის მებატონე ანდრონიკაშვილზედ. მეფემ მოურავს ასე მისწერა: უთხარ მაგ ვაჟბატონს, რომ ამ გლეხის დევნას თავი გაანებოს, თურემ ამოვალ მანდ და დედამიწის პირიდამ ავგვიო". განა შესაძლებელია ასეთი პირის უდიერობის დაწამება? ეს სულ სხვების ენით არის მოხერხებული. სულ მეფის ეჭვიანობა გახლავსთ და ჭორები.

ამ დროს, თბილისში, ჩამოვიდა ახალ-ციხის ფაშისაგან გამოგზავნილი მიციქულად მუთი ბეგი და თან წერილი მოუტანა ფაშის. ფაშა მეფე გიორგის წერილს სწერდა და ატყობინებდა ზოგიერთ თავად-აზნაურთა გვარსა და სახელებს, რომ ეგენი

მიწვევენ მე, რომ ოსმალოს ჯარით ქართლის გზით თბილისში შემოვიდე და ავიღოვო. ამისთვის ეგენი დახმარებასაც მჭირდებიანო. მეფემ შეისმინა წერილის ცნობა და მუთი ბეგის სიტყვა და მაშინათვე აღნიშნული პირები დააპატიმრა და დასაჯა. ეს ფაქტი მართალია. ქართველთ ძრიელ სძულდათ მეფე გიორგი და მისს ტახტიდამ ჩამოგდებას და განთავისუფლებას დიდათ ნატრობდნენ. მუთი-ბეგი თბილისში, მეფე გიორგის კარზედ დარჩა რამდენსამე ხანს. ამ ბეგს მიმართა ისარლოვის ქვრივმა ანნამ, მეფე გიორგის დევნა აუწყა და თან დახმარება მოსთხოვა. მუთი-ბეგი ამ ქალს კარგად იცნობდა და თან ბასილა ისარლის საქმეებიც იცოდა. ამიტომ მუთი ბეგმა მეფე გიორგის ამ ქალის და მისს შვილების თავუსუფლება სთხოვა. ბეგმა აუწ-

ყა მეფეს, რომ ეს პირნი ოსმალს ქვეშევრდომად ითვლებიან და ამათი შეწუხება რომ ახალ ოსმალეთის მთავრობამ გაიგოს, ეს დიდათ ეწყინებათო. მეფე გიორგიმ მუთი ბეგის სიტყვა შეისმინა, გრიგოლი პატიმრობიდგან გაანთავისუფლა და მისს დედას დევნასაც თავი ანება.

ეს ქალი თავის შვილებით თბილისში აღარ დარჩა. მუთი ბეგმა მფარველობა გაუწია და თბილისიდამ ახალციხეში გაგზავნა, თან სელიმ-ფაშასთან წერილი გაატანა და აცნობა გიორგი მეფისგან მათი დევნა და შეწუხება. ესენი მივიდნენ ახალციხეში, ფაშას გარდასცეს წერილი და თან თავიანთ მდგომარეობაც აუწყეს. ფაშა დახმარებას დაჰპირდა, რომ მფარველობას აღმოგიჩენთ და მეფე გიორგის ვსთხოვ, რომ ყოველივე წანართმევი დაგიბრუნდესთო. ესენი დაიმედდენ. ახალციხეში დასახლდენ ბასილა ხურსიძესთან, რომელიც იმ დროს, „ციხის თავად“ იყო, ანუ „ისარლათ“ იმყოფებოდა.

ბასილა უძევო იყო და მასთან ხნიერი. ამის სიკვდილის შემდეგ „ისარლობა“ უნდა გადასულიყოს მის ძმის ლუკას პირველ შვილზე – გრიგოლზედ. ბასილამ უთხრა გრიგოლს: რომ კანონით ისარლობა შენ გეკუთვნის ჩემის სიკვდილის შემდეგო. ბასილ ისარლიმ თავის ძმის წულები ახალ-ციხის ფაშას კარგად გააცნო. ისარლოვებს გააცნო აგრეთვე იენგიჩრების საქმე, ისარი ლის თანამდებობა და სხვაც ბევრი რამ საჭირო გარემოებანი, რაც-კი ამათ მომავალში მოუნდებოდათ ოსმალთა სამსახურში. ლუკას მეუღლეს ახალციხეში ცხოვრება კიდევ გაუძნელდა, ვერ ეხერხებოდა, ოსმალური, ანუ თათრული წეს-ჩვეულება ძრიელ სძულდა და ამიტომ მცირე ხნის შემდეგ 1799 წ. ისურვა ქუთაისში კვალად გარდასახლება. ბასილა არ უშვებდა თავისს რალს, მაგრამ მაინც იმეცადინა და ფაშისაგან დროებითი ნება აიღო, იქ, ჩემი ქალის სანახავად მივალო. ფაშამ ნება მისცა და ქუთაისში გაისტუმრეს, თან კაცებიც გააყოლეს. ამ ქალმა აუწყა ფაშას და ბასილას, რომ მე თბილისში არ წავალაო, თორემ გიორგი მეფე დიდს ხარჯს მომცემს და დამსჯისო.

ისარლოვის სახლობა გადავიდა ქუთაისს და დასახლდენ თავისს სიძე, მეფე სოლომონ მეორის ნაზირს დათიაშვილთან. მეფე სოლომონს აცნობა დათიაშვილმა თავისს სიდედრის კვალად ქუთაისში მისვლა. მეფეს ესიამოვნა და წყალობა აგო, რადგანაც მეფეს დათიაშვილი ისე უყვარდა, რომ როცა-კი მეფე დაწვებოდა და დაიძინებდა, მაშინ მეფეს თავით დათიაშვილი უნდა სჯდომოდა მღვიძარე, სხვა ვერავის ენდობოდა. ასეთი ნდობა ჰქონია სოლომონ მეფეს იმ დროის ქუთაისის ქართველ კათოლიკობის. აქ ხსენებულ ქართველ კათოლიკ-მეფის ნაზირს დათიაშვილს ხალხი „ლეკი ნონიასაც“ ეძახდნენ, როგორც კარგს, მოხერხებულ, დამჭერ-მდევნელი ლეკებისა. ისარლოვის ქვრივის ქუთაისში მისვლის და დასახლების მცირე ხნის შემდეგ, სოლომონ მეფესთან თბილისიდამ სამეფო საქმეების გამო ამოვიდა გიორგი მეფისაგან გამოგზავნილი სარდალი დიმიტრი ორბელიანი. დიმიტრი ორბელიანი ქუთაისში რამდენსამე ხანს დაშთა და ამ ხნის განმავლობაში მან ცნობა შეიტყო, რომ ლუკა ისარლოვის მეუღლე ქუთაისშიაო. ეს ქალი ნახა, ესაუბრა და შემდეგ უთხრა – მეფე გიორგი ძრიელ სწუხს მაზედ, რომ მან უმიზეზოთ დაგსაჯათ თქვენ, შემდეგ ყოველივე შეიტყო და დღეს დიდად სწუხს, თქვენ თუ თბილისში დაბრუნდებით და თქვენს სახლ-კარს მოუვლით, ის დიდს დახმარებას მოგცემთ, მამულებს დაგიბრუნებსთ, თქვენი მომხრე იქნება. ამის სიტყვას მე თვით მოგცემთ, ოღონდ გაბედეთ და თქვენს მამულებზედ დაბრუნდით, თბილისს იცხოვრეთ. ეს სულ სხვების ბრალია. მართლაც და რაღა ფიქრი უნდა, რომ სხვების ბრალი უნდა ყოფილიყოს.

ისარლოვის მეუღლე უარს ეუბნეოდა ასე:

– ვერ წამოვალ, მეფე გიორგის სასჯელის მეშინიან, ის ჩვენ გვმტრობს. არ შემიძლიან, ვერც გამიგია მისი მტრობის მიზეზები რა არის? თვითონ ქრისტე მოსილი მეფე ბძანდება და, ნეტა ვინ აღელვებდა მას ჩვენზედ? დ. ორბელიანმა აუწყა ბევრ ნაირი დაპირება, მისცა იმედი თავისუფლად ცხოვრების და მამულების დაბრუნების. შემდეგ უთხრა: მე ძრიელ მწყინს,

რომ მეფე ერეკლეს მსახურ ლუკა ისარლოვის მეუღლე და შვილები სხვათა მეფის კარზე იყვნენ და არა სამშობლო ქალაქსა და მეფის წინაშეო. თქვენ დაბრუნდით თბილისში და მე ვარ თქვენი თავდები, რომ მეფის წინაშე პატივით იქმნებით მიღებული და დაჯილდოვებულიო, მისი წყალობა და მფარველობა არ მოგაკლდებათო.

დიდათ სცდებოდა თ. დ. ორბელიანი, რომ იმერეთის სამეფოს ქართლ-კახეთის სამეფოსთან უცხოდ სთვლიდა. განა ქართლ-კახეთის სამეფოსაგან იმერეთ უცხოების რა ეცხო გარს. არაფერი, უცხონი იყვნენ თვით ქართლ-კახელნი და სამეფოს მოწინავე პირნი, რადგანიც ადრიდგანვე უარი ჰყვეს იმერთ მუდარება ერთობისათვის-გაერთიანებისათვის. აი ასე ესმოდათ

ჩვენთ წინაპრებთ ურთიერთის მნიშვნელობა და ვინაობის ცოდნა, რომ ქართლის მეფის მოციქული იმერეთის სამეფოს ქართლისაგან უცხო სამეფოდ აღიარებდა. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ დიმ. ორბელიანი თავის დროის კვალად წარჩინებული ოჯახის შვილათ ითვლებოდა, მწიგნობარ კაცად. იგი მამა იყო პოეტის გრიგოლ ორბელიანისა. წარმოიდგინეთ, როცა მწიგნობარ პირნიც კი უკანასკნელ დროს საქართველოს ისტორიის ცოდნით ასე დაბნელებულნი იყვნეს, რომ ქართლი იმერეთისაგან ვეღარ გაერჩიათ, გიორგი მეფეს რაღას ვამტყუნებთ. აქ არც ერეკლეა დამნაშავე და არც გიორგი. სულ ასეთი გმირები გახლავნ დამნაშავენი და საქმის ამრევ-დამრევნი. ეს რომ ცხადია და ჭეშმარიტი ამას ცხადათ ამტკიცებს თვით მათი დღეინდელი მდგომარეობა. მთელს საქართველოს თავად-აზნაურის შვალებში ერთმა არ იცის საქართველოს ისტორია? ესენი ამის ცოდნას არც საჭიროებენ. პ. იოსელიანმა ერთხელ სამართლიერად სთქვა შემდეგი: ადრიდგანვე ერთობა დაკარგულ გვარის შვილები ვეღარ მოდიოდნენ თვის ცნობასა და ცნობიერებაზეო. ერთობის დამკარგველი ძალა გახდა მათ ცნობიერების გამათახსირებლათაცაო. ამიტომ ამაო იყო ს. ლეონიძის ღაღადება ქართლ-კახეთ-იმერთა დაკავშირებაზეო. ჭეშმარიტად რომ ეს ასე გახლავთ, დღეს და ჩვენი ცნობიერების

შემეცნება მოსპობილია თვით უპირველეს გვარის სახლის შვილებში.

ისარლოვის ქვრივმა ირწმუნა, ხოლო თბილისში გარდასახლებას-კი ვერ ბედავდა, თუმცა მას თბილისში კაი მამულ-დედული ჰქონდა და ამ მამულ-დედულისთვის გულიც ეთანაღრებოდა, რადგანაც ყოველივე მეფე გიორგისაგან წაერთვა და გაოხრებას იყო მიცემული. დიმიტრი ორბელიანი ქუთაისიდამ თბილისში დაბრუნდა, მეფე გიორგის აუწყა სოლომონის ცნობები, თან უამბო, რომ შენგან უბრალოთ დასჯილი ისარლოვის სახლობაც ქუთაისს სცხოვრობსო. გარდა ამის დაუმატა თურმე მანვე: .

– თქვენ თუ ასეთ პატიოსან პირებს თქვენის სამეფოდამ ასე დევნას და გაძევებას დაუწყებთ, მაშინ თქვენს სამეფოში, ქვეყნის გამცემთა და ორგულთა მეტი სხვა არავინ დარჩებაო.

მეფე გიორგი შეწუნდა, იმერეთში, ისარლოვის ქვრივს მოციქულად დუმბაძე გაუგზავნა და თბილისში დაბრუნება სთხოვა, შეჰპირდა, რომ ყოველივეს დაგიბრუნებ და პატივს გცემო. ამ დაპირებამ ისარლოვის ქვრივი დაიმედეს, თვით ამ ქალსაც ძრიელ უნდოდა თბილისში გადასვლა და თავის მამულების მოვლა. სოლომონ მეფეს აუწყა თავისი წადილი, თბილისში მინდა დაბრუნებაო. სოლომონ მეფემ უბრძანა:

– მე, აქ ერთს სოფელს გიბოძებ და შენის შვილებით აქ დარჩი და იცხოვრეთო, მაგრამ ისარლოვისამ არ ქმნა. მუდარებით ავალებდა მეფეს, რომ ნება მიბოძეთ თბილისში წასვლისაო.

მეფემ აუსრულა თხოვნა, მისცა საგძალი, თან გააყოლა რამდენიმე კაცი და ასე და ამ გვარად ისარლოვის ქვრივი ანნა თავის შვილებით თბილისში ჩავიდა. მეფე გიორგიმ მართლაცა-და პიტივით მიიღო. ყოველივე წართმეული მამულები დაუბ-რუნა, ამას გარდა საჩუქრებიც მისცა. ესენი მიეცნენ თბილისში ცხოვრებას და მოშენებას. რამდენიმე ხნის შემდეგ ვიღაცამ ბოროტებით მეფე გიორგისთან გრიგოლ ხურსიძე დააბეზღა, რომ თბილისიდამ გაქცევას აპირებსო.

გიორგი მეფეს ძრიელ სწყენოდა და ამიტომ გრიგოლ ხურსიძე დაიბარა და სტუქსა ასე:

– შენ კიდევ არ სდგები აქ, შენს მამულზედ, თურმე სხვა-გან აპირებ გარდასვლას. როგორ იქმნება, რასა ჰგავს ესა?!

– არა, ბატონო მეფეო, მე არსად გიახლებით, მიუგო გრიგოლ ხურსიძემ.

– სტყუი, როგორ არა. ვიცი ყველაფერი კარგად, მიუ-გო მრისხანებით გიორგი მეფემ.

– არა ბატონო, მეფეო, ტყუილი მოუხსენებიათ თქვე-ნის უმაღლესობისთვის.

– თუ ტყუილია, მაშინ რას გეტყვით: აქ თბილისში ცო-ლი შეირთე და მაშინ ვირწმუნებ, რომ ტყუილია, თუ არა და მე ვერას ვირწმუნებ, ვიდრე არ შეირთავ, იცოდე, მი-ნამ მუხლებში ხუნდებს გაგიყრი და აქედამ არსად გაგიშვებ.

გრიგოლ ხურსიძემ მეფეს თანხმობა განუცხადა, ხოლო მცირე ხანს დაცდა სთხოვა. მეფემ არ აცალა და უბძანა ასე:

– არ შეიძლება, ეხლავ უნდა დაინიშნო.

იმ დროს, იქ იმყოფებოდა მეფის ექიმი იოსებ ყარაევი. ყარაევს ქალი ჰყოლია დასანიშნი. საქმე ისე მოწყობილა, რომ მეფეს გრიგოლისთვის ყარაევის ქალზე ეკატერინეს დანიშვნა უბრძანებია. ამ დროს პატრიც იქ ყოფილა. გიგოს თანხმობა მოუხსენებია, პატრსაც მალე ნიშანიც უკურთხებია. ნიშნის კურთხევის შემდეგ მეფეს უბრძანებია:

ეხლა-კი მჯერა, რომ თქვენ თბილისიდამ აღარსად წა-ხვალთ, რადგანაც ცოლი გყავსთ აქა, თორემ უამისოთ არ-სად გაგიშვებდი, ბორკილს შეგიყრიდი და ისე დაგტოვებდი დრომდე.

დანიშვნის შემდეგ მეფე გიორგიმ გრიგოლს მიულოცა, ძღვენიც უბოძა. გრიგოლმაც სალამი და პატივი გადაუხადა. მეფე გიორგის საქციელის შესახებ ასახსნელად ჩვენ დაურთავთ შემდეგს: XVIII საუკუნის ნახევარს, საქართველოს სამეფო გამგეობამ დაადგინა ასეთი წესები: საქართველოს ვაჭრებს სა-ქართველოდამ ევროპის ქალაქებში სავაჭროდ წასვლის ნება

მხოლოდ მაშინ ეძლეოდათ, როცა იგინი საქართველოში ცოლს შეირთავდნენ და სახლობას აქ დასტოვებდნენ. ასევე იყო იმ

თავად-აზნაურის შვილებზედ, რომელნიც ევროპაში მიდიოდ-ნენ. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ევროპიდამ ხშირად საქართველოდამ წასულნი შინ აღარ ბრუნდებოდნენ. აღმოსავ-ლეთის ქვეყნებში-კი ნებას აძლევდნენ მგზავრობისას უცო-ლოებსაც. ამის შესახებ 1770 წლებში, საქართველოდამ ერთი რუსის აფიცერი პეტროვი და შემდეგ ივანოვიც სწერდა და ატყობინებდა რუსეთის მთავრობას. ამის ცნობები მოიპოვება 1850 წლების გაზ. „კავკაზში“ და ბუტკოვის წიგნებშიაც. და-ნიშნული გრიგოლ ხურსიძე რაღაც ვერ მოეწყო თავის საცო-ლოს სახლობას, მათ ვერ შეეთვისა, ასე რომ განიძრახა თავის დანებება და ეს მოახერხა კიდეც. მინამ ჯვარს დაიწერდა, მეფე გიორგის ნება სთხოვა ახალციხეში გამგზავრების, ნებართვა მალე აიღო და დროებით გაემგზავრა ახალციხეში. იქ რამდენ-სამე ხანს დაშთა.

ახალ-ციხიდამ სპარსეთში წასულა და სპარსეთიდგან ინ-დოეთში გადასულა, ქალკუტას. იქ დასახლდა და ვაჭრობა დაუწყვია. ვაჭრობით მას დიდი შემლებაც შეუძენია, შემდეგ ცოლიც შეურთავს, ინდოელი ქალი, არა ქრისტიანი, სახელ-დობრ მაისა. ამ ქალისაგან მას სამი შვილი ჰყოლია, ვაჟებოი: ლუკა და სტეფანე და ქალი ელისაბედი. მაშინ საქართველოს და სპარსეთს შორის წერილების გზავნა ერთობ ძნელი ყოფი-ლა. გრიგოლის ინდოეთში გადასვლის შემდეგ, საქართველო-ში მის ნათესავებთან მხოლოდ ორს წერილს მოუღწევია. ერ-თის წერილით ეს იწერებოდა საქართველოს შესახებ და კით-ხულობდა, რომ მეფე გიორგი ცოცხალია კიდევ თუ არაო? სა-ქართველოში დაბრუნება მინდა, მაგრამ თან მაგ მეფის მეში-ნიან, ვაი თუ კიდევ ცოცხალია და მე რომ მოვიდე, იქმნება უარესად დამსაჯოსო, რადგანაც ოსტატურად მეფე მეც მო-ვატყუვე და ახალციხის მაგიერ ინდოსტან წამოვედიო. მეო-რე ამის წერილი საქართველოში მოსვლიათ 1824 წ. ამ წე-რილში იგი იწერებოდა თავის ამბებს და სხვათა შორის იმ

სამწუხარო გარემოებასაც, რომ მე, აქ, ინდოეთში, ქართული ენა მავიწყდებაო და ამაზედ დიდათ ვსწუხარო, დიდითაო სა-ქართველოში დაბრუნება მინდა, მაგრამ ვერ მომიხერხებიაო. ინდოეთში დაშთენილა და 1829 გარდაცვლილა პილანგის კუნძულზედ, რომელ კუნძულსაც ინგლისურად პრინვალისკი ეწოდება.

გრიგოლ ხურსიძეს იქ დიდი შემლება დარჩენილა, თითქმის მილიონები. რამდენიმე ფულის ნაწილი ინგლისის ერთს ბანკში შეუტანია შესანახად, ვიდრე მისს მეგვარეები გამოჩნდებიან საქართველოდამ და მოითხოვენო. ამ კაცის შემლების შესახებ 1894 წ. თბილისის რუსულს და ქართულს გაზეთებშიაც სწე-რეს და სთქვეს, რომ ერთს ინგლისის ბანკში ისარლოვებისა-გან დიდი ძალი ფულია დატოვებული მათ მემკვიდრეთათვისო, მაგრამ ცნობები ვერ შეიკრიბა აღსავსეობით და საქმე დარჩა გაურკვევლად და გაურჩევლად. დღეს გრიგოლ ხურსიძის სახლო-

ბის ცნობები საქართველოში აღარავინ რა იცის. ზღაპრათაც აღარავის ახსოვს. თბილისში გრიგოლის ნათესავობა-კი დიდს ლოდინში ყოფილა ყოველთვის.

28 დეკემბერს, 1800 წ. მეფე გიორგი გარდაიცვალა და 1801 წ. საქართველო რუსეთს დაუკავშირდა. თბილისში მცხოვრებ ივანე და პეტრე ისარლოვები რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომათ ჩაეწერნენ. მისს შემდეგ მათ რუსული ენაც შეისწავლეს და უკანასკნელ რუსის სამსახურშიაც შევიდნენ. მაშინ თბილისის ყველა სამართველოებში საქმეების წერა და განკარგულებანი სულ ქართულად იწერებოდა, ხოლო ივანე და პეტრემ ქართული ჩინებულად იცოდნენ, ყველა ქართულს თხოვნებს, არზებს და განკარგულებას მშვენიერის ქართულის ენით და ანბანით სწერდნენ.

ესენი თავიანთ დროის კვალად სამცხელ აზნაურის შვილებათ ითვლებოდნენ. ქართლ-კახეთს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, იმერეთის სამეფო რუსეთისაგან შორს გადგა. სოლომონ მეფე იმერეთის სამეფოს დაკავშირებას არ ნდომობდა. ამიტომ რუსებმა იმერეთს 1802 წელს დამორჩილე-

ბისთვის დავა აუტეხეს და ომიც დაიწყეს. იმერნი რუსეთის წიანაღმდეგ 1810 წლამდე იბრძოდენ, ხოლო 1810 წ. რუსებმა ყოველ-ნაირი ძალა იხმარეს და იმერეთი დაიმორჩილეს. თვით მეფე სოლომონ ტყვეთ იპყრეს და თბილისში წაიყვანეს პატიმრად. სოლომონ მეფე შორს მხედველი კაცი იყო. ამას ახალციხიდამ ცნობა მოუვიდა, რომ თბილისში ფრთხილად იყავ, თორემ მოგწამლავენო. მეფე შეწუხდა ამაზედ, მაგრამ რას იზავდა, არაფერს, დუმილს მიეცა, აღარაფერს მიირთმევდა, ძრიელ შესწუხდა. ამის შესახებ მთავარ მართებელსაც აუწყა ასე:

– მე, თქვენი შიში მაქვს, მეშინიან, რომ არ მომწამლოთ.

მეფე სოლომონს უკანასკნელად მოაგონდა, რომ თბილისში სცხოვრებდა მისი კარგი ნაცნობი და მისი მცნობი ისარლოვის მეუღლე. ანნა მეფემ ეს ქალი მოიკითხა. იგი მალე ნახეს და მიიყვანეს მეფესთან, რადგანაც მას, იმ დროს, თბილისში ყველა იცნობდა. ისარლოვის ქვრივის ნახვა მეფეს ძრიელ იამა, გაეხარდა და ბევრი ლაპარაკის შემდეგ, მეფემ შემდეგი დაავალა ისარლოვის მეუღლე ანნას.

– ჩემო შეპურმარილე და პატიოსანო ადამიანო ანნა, მე, აქ დიდს შიშში ვარ ჩავარდნილი, საჭმელი ვეღარ მიჭამნია, მოწამლვის მეშინიან, თვით ჩემს ერთგულთაც ვეღარ ვენდობი. შენის მეტის მე იმედი არა მაქვს, თქვენ უნდა მომიხარშოთ კერძი და მომიტანოთ.

მეფის დავალება ანნა ისარლოვისამ დიდის სიამოვნებით მოისმინა და იმ დღიდამ ეს უმზადებდა მეფეს სადილ-ვახშამს და იგი მიართმევდა.

უკანასკნელ, როცა მეფე სოლომონმა თავის დალაქის ტანთ-საცმლის ჩაცმით მოახერხა და თბილისიდამ ახალციხეს გაიქცა, მისს შემდეგ, ანნა ისარლოვისა დიდს გაჭირებაში

ჩავარდა. მისს სახლს გარშემო მთავარ მართებლის ბრძანებით ყარაულები შემოარტყეს, ისარლოვების ყველა წევრნი პატიმრად ჰყვეს. ყველა ამბობდა ისარლოვისას ციმბირს გაგზავნიანო, რადგანაც მათაც წილი უდევსთ მეფის გაქცევაშიო.

– 82 –

მალე ისარლოვის ქვრივი ანნა საქართველოს მთავარ მართებელს წარუდგინეს. მთავარ-მართებელმა ტორმასოვმა საყვედური უთხრა ასე:

– რატომ თქვენ არ განუცხადეთ მთავრობას, რომ სოლომონ მეფეს გაქცევა უნდოდა ოსმალეთში, ამას იგი თქვენ გეტყოდათ, რადგანაც მის წინაშე დიდი ნდობა გქონდათ მოპოვებული? ანნა ისარლოვისამ მიუგო:

– თუ იმის გულისთვის სწარმოებს ჩემი პატიმრობა, მოგახსენებთ, რომ სოლომონ მეფეს ჩემთვის არაფერი უთქვამს. გინდ რომ მას ჩემთვის გაენდო თავისს განძრახვა, მე ამას მაინც არავის განუცხადებდი. განა შესაძლებელი იქმნებოდა ჩემთვის, რომ მე თქვენთვის, ან სხვა ვისთვისმე მეთქვა და მით გამეცა მეფე!? მეფე დედოფალი ყოველთვის მფარველობდნენ მე და ჩემს შვილებს. მე დიდი ნდობა მქონდა მათი და ნუ თუ მე მათ ჯაშუშათ (შპიონათ) დავდგებოდი? თუ ასე გახლავსთ საქმე, გთხოვთ, რომ ჩემს სახლს მეპატიმრე ყარაულთ გუნდი მოაშოროთ და გამანთავისუფლოთ. ეს საკადრისი არ არის თქვენთვის! მე, პასუხის მგებელი უნდა გამხდარვიყავი ღვთის წინაშე და მასთან დამნაშავე, რომ გამეცა ჩემის მფარველის მეფისაგან მონდობილი საიდუმლოება. გთხოვთ, რომ ჩემს სახლს მოაშოროთ ყარაულები, განმანთავისუფლოთ.

იქ, იმ დროს, მთავარმართებელთან იმყოფებოდა ქ. ფოთის ამღები თავ. ბ. ორბელიანი. მთავარ-მართებელმა ორბელიანს მიმართა და უთხრა:

– მართალია კნიაზო, რასაც ეს ქალი ამბობს, ყველა პატიოსანი კაციც ასე იზავდა.

თ. ორბელიანი კარგად იცნობდა ამ ქალის ქმარს. ამან უამბო მთავარ-მართებელს ლუკა ისარლოვის საქმეები და ერეკლე მეფის წინაშე ერთგულება და მასთან სხვა ცნობებიც. მთავარ-მართებელ-ტორმასოვმა ანნა დაამშვიდა და გარდასცა:

– თქვენ მიბრძანდით სახლში და ყოველივე ასრულებული იქმნება.

მაშინათვე თბილისის კომენდანტს და პოლიცმეისტერს

– 83 –

მიუწერა, რომ ისარლოვის სახლს ყარაული ახსენით და გაანთავისუფლეთო. ბრძანება მალე შეასრულეს და მთელი ოჯახი გაანთავისუფლეს.

მომსწრე კაცებთაგან გამიგონია, რომ ეს დედაკაცი მეტად მახვილ გონიერი ყოფილა, მწიგნობარი, გამოცდილი, მასთან მოყვარე საქართველოს მეფობის. ამ დედა-კაცს თავისს შვი-

ლებზედაც დიდი ზე-გავლენა ჰქონია დამას იგინი დიდის სათ-ნოებითაც დაუზრდია.

დღეინდელ ისარლოვების შთამომავალთა უმეტესი ნაწი-ლი ამ წარჩინებულის მანდილოსნის 'შვილის შვილებათ ითვლე-ბიან.

როგორც ძველის ძველ სამცხელ აზნაურის შვილებთ ძვე-ლადგანვე ესენი დაჯილდოვებულ იქმნენ სხვა და სხვა სიგელ-გუჯრებით. ჟამთა ვითარების მეოხებით ოსმალთა ხელში ყოფ-ნის დროს, ამათ დაკარგეს ყველა საგვარეულო სიგელ-გუჯრე-ბი. ამათ საგვარეულო გუჯრების დაკარგვის მიზეზათ ჩვენ მი-გვაჩნია შემდეგი გარემოება:

XVIII საუკუნის დამდეგს, სამცხე-საათაბაგოს მცხოვრებთ ქართველ მაჰმადიანებს, თუ ქართველ ქრისტიანებს გამოეცხა-დათ, რომ თქვენ ყველამ თქვენი ძველი სიგელ-გუჯრები წარ-მოადგინეთ, რათა იგინი განხილულ უნდა იქმნეს და მისს მა-გიერ სხვა უნდა მოგეცეთ ჩვენის დამტკიცებით, რადგანაც მათ ჩვენ წინაშე მნიშვნელობა აღარა აქვსთო. ქართველთაც, რა-საკვირველია, ყველა ძველი და ახალი სიგელ-გუჯრები ოსმა-ლის მთავრობას წარუდგინეს. ყველა იგინი მათ მოკრიბეს ერთად და კოსტანტინეპოლს გადიტანეს. უწყებულია, რომ ამ სიგელ-გუჯართ რიცხვი ერთობ ბევრი ყოფილა, დიდი ძალი, მასში რეულან ასეთი სიგელ-გუჯრებიც, რომელნიც VIII-IX – X-XI საუკუნოებშიაც უბოძებიათ ქართველ მეფეებს სამცხელ თავად-აზნაურთა და ხალხთათვის. ამ გუჯრებისა კოსტანტინე-პოლში გადატანის დრო 1730 წლები უნდა იყოს.

ამ სამამაპაპეულო სიგელ-გუჯრების ნაცვლად ოსმალეთის მთავრობამ სულ სხვა მოწმობანი მისცა მათა და მით დაარ-

ღვიეს და შემუსვრეს ქართველთ სამიწათ-მფლობელო წესი, საგ-ვარეულო და წოდებრივის გარემოებათა პირობების ცნობები. ამბობენ, რომ ზოგი რამ ძველი ცნობები დღემდე კოსტანტი-ნეპოლის არქივებშიაც ინახებაო. ამისთვის ერთ დროს დ. ბაქ-რაძეც იქმნა კოსტანტინეპოლში ოფიციალურად გაგზავნილი 1888 წ., მაგრამ, როგორც თვით დიმიტრი ბაქრაძემ გადმოგვცა: იქ ასეთის მასალების აღარაფერი დაშთენილა. ოსმალის ფანა-ტიკურს მახვილს იგი მთლად მოუსპია და მით გამქრალა დიდი საუნჯე საქართველოს ერის ისტორიისა. ჩვენ პირ-და-პირ ეს გარემოება მიგვაჩნია იმის საფუძვლად, რომ ამ უძველეს სამ-ცხე-საათაბაგოს აზნაურის გვარის წევრთ უძველესის დროის აღარაფერი ცნობები აქვსთ დაშთენილი. ესენი როგორც ოსმა-ლეთის ქვეშევრდომათ ადრიდგანვე შესულნი, მასთანავე „ცი-ხის თავნი“ და „ჯაბახანის“ მწარმოებელნი, რაღა ფიქრი უნდა, რომ თავიანთ მანქანა მთავრობის ბრძანებას შეასრულებდნენ და ყველა საგვარეულო ძვირფას სიგელ-გუჯრებს მათ დაუთ-მობდენ.

ჩვენ პირ-და-პირ ამ გუჯრებს ვაღიარებთ იმის დასამტკი-ცებლათ, რომ 1732 წ. ბოძებულს სულთან მაჰმუდის „ფირ-

მანში“ მოხსენებულია რამდენიმე ცნობა ისარლოვების გვარის და მათ ძველ მამა-პაპათა ღირსების, თანამდებობის და მნიშვნელობის. ასეა თუ ისე, მაინც ისარლოვები ცნობილნი არიან ოფიციალურად როგორც უძველეს დროის ქართველთ აზნაურის შვილები. მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ, ჩემთვის ორივ ერთი გახლავსთ. მე მარტოდ ცნობას მოგახსენებთ. როგორც ეტყობა ისარლოვების კათოლიკობასთან დაკავშირება არ ყოფილა უმნიშვნელო, მათ მხოლოთ ამით შეუნახავთ თავიანთი დედა-ენა და ქართველობა, თვინიერ ამისა, მამა პაპის ყოველი ძვირფასი განძეულობა-კი ძველადვე დაჰკარგვიათ. XVIII საუკუნეში, ამათ გვარში რამდენიმე სასულიერო პირნიც გამოსულან, რომელთა ზოგნი რომშიაც ყოფილან ნასწავლნი და ზოგნი სომეხთ მხითარისტების სასწავლებელში. რომში ყოფილთ ცნობები არა გვაქვს, მხითარისტების გავლენის ქვეშ

გაზდილ მღვდლებათ ითვლებიან გრიგოლ და ანტონ მღვდელი.

გრიგოლ მღვდელი ისარლიშვილO, სცხოვრობდა XVIII საუკუნეში, იმყოფებოდა ახალციხის იოანე ნათლის მცემლის ტაძრის მოძღვრათ. ამის დაბადების წელნი არ ვიცით, გარდაცვალებულა 1784 წ., ღრმა მოხუცებაში მყოფი. ეს მოძღვარი იყო ქართველი მწიგნობარი, ქართული მწიგნობრობის და ისტორიის მცოდნე. ეკკლესიებში საყოველთაოდ ქართულად მოქადაგე, ქართულად მკითხველი სამღრთო წერილისა. იცოდა კარგა დასავლეთ საქართველოს ისტორია და ნამეტურ თავიანთ საგვარეულო ხურსიძე-ისარლოვებისა. მონათვლის, დასაფლავების და შემწირველთა ცნობებს სულ ქართულად სწერდა. ეს მოძღვარი ღვიძლი ნათესავი ყოფილა იმ დროის ხურსიძე-ისარლოვებისა, რომელნიც ახალციხეს სცხოვრებდნენ.

ანტონ მღვდელი ისარლოვი, სცხოვრებდა XVIII საუკუნეში. მსახურებდა სხვა და სხვა ეკკლესიებში და უკანასკნელ ახალციხის ივანე ნათლის მცმელის ეკკლესიაშიაც უმსახურნია. ეკკლესიის „კონდაკში“ ასეა მოხსენებულია მისი სახულიც. თავისს დროის კვალად ყოფილა მწიგნობარ მოძღვარი, დიდათ მოყვარე ქართული ენის და ამ ენითვე მოქადაგე და მწირველი. ქართულად უწერია მრავლად. ამ ორს მოძღვარს გარდა ისარლიშვილების გვარში სხვანიც არიან მოხსენებულნი, ხოლო მათი ცნობა ჩვენ არა გვაქვს, რადგანაც ერთი და იმავე სახელწოდების მექონი მღვდელნი მათში ძრიელ ხშირია. ქართველ კათოლიკებს ძრიელ უყვართ სტეფანეს ხსენება, გრიგოლი, ივანე, პეტრე, პავლე, რაფიელი, ნიკოლაი და მიხეილი. სხვა სახელების ხსენება მათში იშვიათია და ამიტომ ერთსა და იმავ მღვდლის სახელით ჩვენ რამდენსამე პირს ვხედავთ დიდი ხნის განმავლობაში, ხოლო მათი ცხოვრების განმასხვავებელი ცნობები-კი არ გვაქვს.

როგორც ვსთქვით ზემოთ, ძველად ანუ საფარ ფაშის და როსტომ ფაშის დროს, რამდენიმე წევრნი ისარლიშვილებისა მუსულმანობაზედ იქმნენ გადასულნი. ასეთ მუსულმანთ შთამომავალთ ძენი დღეს ოსმალეთშიაც სცხოვრებენ, რომელნიც, იქ XVIII საუკუნის დამლევს გარდასახლებულან, ზოგნი 1820 წლებში. ამათი წინაპარნი გათათრებულან, მათთვის ოსმალეთის მთავრობას ბეგობა მიუცია და ადუგენის ანუ ქვაბლიანის ბეგებათ დაუნიშნავთ. დღემდე ეს ბეგები ადუგენისკენ სცხოვრებენ და გვარად ხურსოღლი-ერისთავებათ იწოდებიან ე. ი. თანახმად IX და X საუკუნის მათის მამა-პაპის ღირსების და თანამდებობის წოდების. როგორც ეს ზემოთაც მოგახსენეთ „ერისთავთ-ერისთავი ხურსიძე“ ადგილობრივ მცხოვრებნი-კი მათ მარტოდ „ხურსოღლებს“ უწოდებენ. ამ ხურსოღლ ბეგებში ბევრი რამ საყურადღებო ცნობებია დაშთენილი მათ თათრობის და ბეგობის შესახებ. აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ამბავი, რომელიც არ იქმნება უმნიშვნელო.

უდის ბეიდნის ბეგი ხურსიძე 1815 წლებში ბენდიელ-ალი-ფაშის ბრძანებით დაახრჩეს. მიზეზი ხურსიძის დახრჩობისა ყოფილა შემდეგი გარემოება:

ბენდიელ ალი-ფაშა დიდი მტერი იყო მესხეთის მკვიდრთ მცხოვრებთ. იგი იყო მექრთამე და უსამართლო, სამართალს. ფულზედ ჰყიდდა. ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო ბეიდნის ბეგი ხურსიძე. ხურსიძის მეოხებით მთელი მესხეთის ბეგები და აღიები ფაშის წინააღმდეგ შეითქვნენ და სოფ ჭარალს, რომელ სოფელიც ახალციხიდამ ოც ვერსზედ სძევს და რომელიც სოფ. ვალის საზოგადოების ნაწილათ ითვლება, იქ მცხოვრებ ბეგის ავალისშვილის სახლში კრება დანიშნეს. ბეგების კრებას უნდა განეხილა ფაშის მოქმედების საქმეები და მერე უნდა გადაეწყვიტათ, თუ როგორ მოპყრობოდნენ მას.

ამათ განძრახვის ამბავი ბენდიელ-ალი-ფაშას შეუტყვია. ამიტომ დანიშნულს საღამოს ტანთსაცმელი გამოუცვლია, დევრიშის ტანისამოსი ჩაუცვამს და ერთის პირის საშვალებით ესეც დასწრებია ბეგების კრებას და რჩევას. კრებაზედ მთელი

ღამე უსაუბრიათ და ამ დევრიშისთვის-კი ვერა შეუმცნევიათ-რა. მეორე დღეს ფაშა ახალციხეს წასულა. იმავე ბეგს წაუყვანია, ვისაც იქ მიუყვანია. ვერც ამ ბეგს შეუმჩნევია ეს. ახალციხეში მისვლის და საქმის გამჟღავნების შემდეგ, ამ ბეგისთვის ფაშას მიზნევა არ უქმნია, უპატიებია. დანარჩენი ბეგები იმავ დღეს დაუბარებია. ყველას დამუქრებია, მაგრამ მიმყვან ბეგის წყალობით ყველასთვის უპატიებია, ხოლო ხურსიძე-კი დაუხრჩობინებია.

ამ გარემოებას დიდი უსიამოვნება აუტეხია ხალხში და ხურსიძეების ზოგნი ოსმალში წასულან სამართლის საძიებლად. ამ დროს, ამ ბეგებს, თავიანთი მამულები სოფ. ვალის ქარ-

თველ ქრისტიანებისთვის მიუყიდნიათ. დღეს ამ ბეგების შთამომავალი ბეგები ადუგენს სცხოვრებენ. ესენი თავიანთ გვარად ერისთავს აღიარებენ, ხალხიკი, როგორც ვსთქვით ზემოთ ხურსიძეს, ისარლოვებს-ხურსოღლებს უწოდებენ. დღეს ადუგენის ბეგები ესენი არიან და მათში ქართველობის ხსოვნის ყოველისფერი დამხობილია და მოსპობილი. მათ აღარიფერი იციან თავიანთ ძველების შესახებ და ნამდვილ ოსმალურს ბრბოთა უმეცართ გუნდს წარმოადგენენ. თვით ქართული ენაც-კი დავიწყებიათ. არიან ნამდვილი თათრები. როგორც ეტყობა მათგან დიდი რიცხვი კი უნდა იყოს ოსმალეთში გასული და გაფანტული, სადაც მათ გვაროვნობის ყოველივე დაკარგული აქვსთ და ნამდვილ ოსმალის ფანატიკ თათრებათ იგულისხმებიან. ამიტომ მათ შესახებ საუბარი ჩვენ აქ მეტად მიგვაჩნია და ამით ვათავებთ მათზედ წერას.

ზოგი რამ მასალებთა ცნობანი ხურსიძის გვარის ისტორიისა.

ხურსიძის გვარის და ზარზმის აღშენების ისტორიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ზარზმის წარწერების ნათლად ახსნასაც, თუმცა თავის ალაგას ამის მნიშვნელობაზედ საუბარიც გვქონდა, მაგრამ აქაც ვისაუბრებთ მცირედ, რადგა-

ნაც ამ უკანასკნელ დროს, მსწავლულთ შორის ზარზმის წარწერები თუობას, ანუ ზოგი რამ ისტორიულ ცნობების გამო ეჭვს ჰბადავს, შეიძლება ოდესმე პოლემიკაც გაიმართოს. ამ ბოლოს დროს, ამ წარწერებს ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ექ. თაყაიშვილმა. ზარზმის წარწერებს არა მარტო ხურსიძის გვარის და ზარზმის ისტორიისთვის აქვს მნიშვნელობა, არამედ მსოფლიო ისტორიისათვისაც, რადგანაც ერთს წარწერაში მოიხსენება ბიზანტიის იმპერიის ერთი დიდი სამხედრო გალაშქრების ცნობაც, რაც ევროპის მსწავლულთ მეისტორიეთაც აქვთ აღნიშნული და რასაც ზარზმის წარწერაც ასაბუთებს და ცნობებს ნათელს ჰფენს. ასეთ ცნობების შეკრებით „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიც თავის აღსავსეობით დასაბუთდება.

ზარზმის წარწერებიდამ პირველად უხელმძღვანლიად „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროს. შემდეგ იგი გადაღებულ იქმნა აკადემიკოს მარი ბროსესაგან, მაგრამ გადაღებულებს დიდი შეცდომები შეემცნა. ნამეტურ შეცთომით გადიღო ის წარწერა, სადაც იკითხება – შოთა ყოფილი შიო. ამას ბროსე აი ასე კითხულობს: „მამასა შუათა ყოვლისა საშოსა“.

ბროსეს შემდეგ ეს წარწერები თავის აღსავსეობით გადმოსწერა დ. ბაქრაძემ. მან ყველა წარწერას თავის სახე და აზრი ნათლად დაუტოვა. მისი გადაღებული სწორეა. იქნება აქა იქ ასოებში იყოს რამე მცირე ცვლილება. აქედამვე იხელმძღვან-

ლა ალ. ხახანაშვილმა და მანაც გადიღო ზარზმის წარწერები
და ამ წარწერების მნიშვნელობა ისტორიულ ცნობებს გარეშე
პალეოგრაფიულის ხელოვნებითაც დიდს მნიშვნელოვანად ჩათ-
ვლა, ჯეროვანი ყურადღება მიაქცია წარწერაში მოხსენებულ
შოთა შიო ყოფილის სახელის ვითარებასაც. ამის შესახებ მან
თავის დასკვნაც წარმოსთქვა. ეს დასკვნა საყურადღებოა ჩვენ-
თვის.

ამ ბოლოს დროს, ამ მნიშვნელოვან ტაძრის და მის წარ-
წერების შესახებ ბ. ექ. თაყაიშვილმა ვრცელი აღწერა წაიკითხა
„კავკასიის არქელოგიურ კომიტეტის“ სხდომაზედ. ძველად გა-
დაღებულ წარწერებში ბევრი რამ შეცდომები გაასწორა მარ-

ტივად, ბევრი საფუძვლიანი შენიშვნები წარმოსთქვა. სხვათა
შორის, ზარზმის წარწერებში მოხსენებულის ხურსიძის გვარის
წევრნი-კი ხამად ანუ უცხო, უცნობლად მიიღო. ჩვენს ისტო-
რიაში ამ გვარის წევრთა შესახებ ცნობები არ არის ნათლად
გარკვეულიო. ჩვენ კარგად არ ვიცნობთ ხურსიძის გვარის წევრთ
და სხვა ადგილებში არც მათი მაშენებლობის რამე ისტორიუ-
ლი ცნობები სჩნდებაო.

ამიტომ ბ. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობათა საგულისხმოთ,
ხურსიძეების გვარის შესახებ ვიტყვით შემდეგს: თვით პატივ
ცემულს ექ. თაყაიშვილსაც მოეხსენება, რომ ვინმე ხურსი-
ხურსიძე „ქართლის ცხოვრება“-ში X საუკუნიდამ სჩანს. აქე-
დამ ვიცით, რომ ხურსიძეები საქართველოში ცნობილ გამო-
ჩენილ გვარისშვილებათ უნდა ითვლებოდნენ უძველესის დრო-
დამ. XI საუკუნის შემდეგ, ვინმე ხურსიძეები მოიხსენებიან
ზარზმის წარწერაში და ამ მოხსენებით ჩვენ არამც თუ ერთს
და ორ პირს ვიცნობთ, არამედ რამდენიმეს, რომელნიც ზარ-
ზმის წარწერებს გარეშე სხვა და სხვა ძველს ხატებსა და საეკ-
კლესიო ნივთებზედაც მოიხსენებიან, როგორც შემწირველნი
ზარზმის ეკკლესიისთვის სხვა და სხვა ხატების და საეკკლესიო
ნივთების. ასე და ამ გვარად ჩვენ ვიცით ის, თუ ხურსიძეების
გვარის დასაწყისი როდიდან იწყება და ან შემდეგ საუკუნოებში
მათ სად როგორ რა უნდა ემართათ. მიზეზები მათის უცნობ-
ლობის მრავალ ნაირია და ნამეტურ ის გარემოება, რომ სამ-
ცხე-საათაბაგო უკანასკნელ დროს მეტად საოცარ გარემოება-
ში მოთავსდა.

იგი განცალკევდა მთელის საქართველოსაგან, თითქმის
განსხვავებული სახე მიიღო, თავის საკუთარი სამეფო აგებუ-
ლება, შინაგან და გარეგან სახე ქართველთა მოშლას მიეცა.
უკანასკნელ ქართველთ ძალოვნება მთლად დაეცა. ქართველ-
ნი ოსმალს დაუკავშირდნენ. იქ ყველაფერი ამოვარდა ჩვენი
და მის მაგიერ ოსმალის, ანუ თათრების ძლიერებამ იწყო გად-
ღესასწაულება. დღეს სამცხე-საათაბაგო ხომ მოგეხსენებათ თუ
რას წარმოადგენს. იქ განა მარტოდ ხურსიძეების გვარს მოევ-

ლინა ასეთი ბედი, არა, ძრიელ ბევრს კიდევ სხვებს. რა არ დავკარგეთ იქ, ყველაფერი, მოისპო ჩვენთვის ხახული, შატ-ბერდი, ტბეთი, დოლისყანა, პარხალი, ხალხი, სოფლები, ნაშ-თები, წიგნები და სხვანი. გაცოცხლება რომ შეიძლებოდეს და-ნახვა, ნეტა რას იტყოდნენ ამ კუთხის ხილვით ივანე შავთე-ლი, შოთა რუსთაველი, მთაწმინდელნი, პეტრიძენი, ექვთიმე ქართველნი, ხახულარნი, მტბევარ მწიგნობარნი და სხვანიც მრავალნი ენით დაუთვლელნი საუნჯენი ქართველთა.

ვგონებთ მხილველნი ასეთის გულ-საწვავ მდგომარეობის უმალვე ისევ სამარეში ჩაწვნენ. ასე დავემხენით და დავეცნით ქართველნი სამცხე-საათაბაგოში.

უმთავრესად ჩვენ ეს გარემოება მიგვაჩნია მის მიზეზათ, რომ ზარზმის მაშენებელთ ხურსიძეების ცნობები ისე მიმქრა ლებულა და რასაც ბ. ექ. თაყაიშვილიც ჰკვირობს, რომ ჩვენ ზარზმის მაშენებელთ ხურსიძეების გვარის წევრთა შესახებ არა ვიცით რაო. მართალი უნდა ითქვას, რომ ძველად ხურსიძეები უნდა ყოფილიყვნენ ამ ტაძრის პატრონნი და მაშენებელნიც. ამას ცხადათ ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ დღემდე ქვაბ-ლიანში, დიდი ძალი ცნობებია ამ გვარის შესახებ დაშთენილი. ქრისტიან ხურსიძეებს გარდა აქ მუსულმან, ანუ გათათრებულ, ხურსიძეებიც-კი სცხოვრებენ. ამ გვარის უცნობლობა ჩვენგან არ შეიძლება ითქვას, რადგანაც მის მეგვარეთა რიცხვი გურია-შიაც არის და იმერეთში სოფ ფერსათს. ვფიქრობთ, რომ ყველგან-კი აქედამ უნდა იყვნენ გადასულნი და შემდეგ დრო-ში მომრავლებულნიც.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სამცხელი ხურსიძეები პირ-და-პირ შთამომავალნი არიან იმ ხურსიძეების, რომელნიც „ქართ-ლის ცხოვრებაში" მე-XI საუკუნოდამ მოიხსენება და ზარზმის წარწერებში შემდეგ საუკუნოებიდამ. დღეინდელ ხურსიძეთ მიღებულნი არიან და ცნობილნი ისარლოვები. რადგანაც შეიძ-ლება ეს ბევრისთვის უცხოდ დაშთეს, ამიტომ ჩვენ აქ ამ გვა-რის შესახებ კვალად ვისაუბრებთ და იგი საკმარისად ახსნის როგორც ხურსიძეების გვარის ცნობებს, ისევე მათ შთამომა-

ვალ ისარლოვების და ზარზმის ტაძრის მაშენებელ-პატრონო-ბასაც. ამის მოყვანა აქ საჭიროდ მიგვაჩნია, რადგანაც შემდეგ დროშიაც, როგორც ვსთქვით, ოსმალთა მფლობელობის გამო ამ გვარის წევრთა საქმე სხვაფერ მოეწყო და მოთავსდა.

ქვაბლიანსა და ახალციხეს ხურსიძეები თავიანთის ქართუ-ლის გვარით იწოდებოდნენ XVII საუკუნის დამდეგამდე, ანუ როც ბექა ჯაყელი გათათრდა და ახალციხეში გაფაშდა. ეს რომ სწორედ ასე უნდა ყოფილიყოს, ამას ასაბუთებს შემდეგი: ვა-ხუშტი ამბობს, რომ სამცხე-საათაბაგოში, ქართველთ შორის ოსმალურმა ენამ და სარწმუნოებამ 1625 წ. იწყო ვრცელე-ბაო. გვარების გადაკეთება, მოხელეთა სახელწოდების და ბევ-რიც სხვა რამის ამ დროდამ არის შემოღებულიო. იგივე სწერს,

რომ ჩემს დროს, ე. ი. XVIII საუკუნეში, ოსმალეთის ძალა
და მფლობელობა სამცხეში ისე იყო გავრცელებული, რომ
აღარც ერთი თავადი, აზნაური და გვარიშვილი ქართულად
აღარ იწოდებოდაო, არამედ თავიანთ თანამდებობის და მოხე-
ლეობის სახელითაო, ანუ ბეგად, ფაშად, ალია ბეგად, სანჯახ-
ბეგად და სხვანიც მრავალნი ამ გვარნი. უნდა ითქვას, რომ
გვარების შეცვლა ოსმალთაგან ისე იყო ქართველთათვის შე-
მოღებული, რომ თვით ხელოსნებიც-კი იცვლიდნენ თავიანთ
ქართულ გვარებს და თავიანთ ხელობის სახელს ოსმალურის
ენით გვარად ირქმევდნენ. ამის მაგალითები მესხეთში და ჯა-
ვახეთში ერთობ ხშირია თვით დღემდე.

ჩვენი საუბრის სიმტკიცისთვის საჭიროდ ვრაცხთ თვით
ვახუშტის სიტყვებიც მოვიყვანოთ აქ, რომელიც საკმარისად
დაასაბუთებს როგორც ხურსიძის გვარს ისტორიის გარემოებათ
პირობებს, ისევე შემდეგ დროს და ისარლოვების გვარის დარ-
ქმევის ვითარებასცა. აი რას მოგვითხრობს ვახუშტი: „სამცხე
საათაბაგოს აზნაურნი და თავადნი აღარ იწოდებიან გვარითა, არამედ
ბეგად, ფაშად და სანჯახ ბეგად“. ამის შემდეგ ჩამოთვლის სამცხე
საათაბაგოს რამდენსამე თავადთა და აზნაურთა გვარებს და
ამბობს, რომ ესენი და ამ გვარნი თავიანთის გვარით მეტად
მცირედ იწოდებიანო. ამ მოხსენებულ პირებში ვახუშტი არ

იხსენიებს ხურსიძეებს და მიტომაც ამბობს რომ ასე და ამ გვა-
რათაც სხვა გვარნიო. ამ სხვა გვარში იგულისხმება არა მარტო
ხურსიძე-ისარლოვის ცნობა, არამედ სხვა მოწინავე გვარის
შვილთაც, რომელთაც ოსმალოს ენის მახვილის წყალობით
თავიანთი საკუთარი გვარიც დაეკარგათ.

აქ ამაზედ საუბარი საჭიროდ მიგვაჩნია, რადგანაც სამცხე
საათაბაგოს არამც თუ მარტოდ თავად-აზნაურების რიცხვმა
დაკარგა თავის გვარები, არამედ მთელმა ერმა, მთელს კუთხეში,
მთელს ამ ვრცელს სამეფოს ადგილში ქართველთ გვარების სულ
მოისპო და ამოვარდა. ვინც გათათრდენ იმათ ხომ ოსმალური
ეწოდათ და ვინც ქრისტიანათ დაშთენ თვით იმათაც, მაგალი-
თებრ თვით ქართველ კათოლიკე ქრისტიანებსაც-კი შეენაცვლათ
ქართული გვარები ოსმალურს ენაზედ. ამის სრული მოწამე და
ნიშანია ხურსიძის გვარის ისარლოვათ შეცვლის ისტორია.
მთელს არტაანის ოლქში, ყარსის და ოლთისისკენ ერთი ქარ-
თული გვარი ვეღარ ვნახე. თვით ქართველებში ქურდოვანიძე-
ქურდოღლად იწოდება, ბაბუჩაშვილი – ბაბუჩოღლათ, მეჯინა-
ღისშეილი – მეჯინოღლათ და ვინ იცის კიდევ სხვა რამდენი
ამისთანანი, ათი და ოცი ათასობით მოსათვლელი.

ჩვენდა სამწუხაროდ, თავის დროს, ამ გარემოებისთვის
ქართველთ რომ ყურადღება მიექციათ და დაეწერათ რამე ცნო-
ბები, მაშინ ჩვენ დღეს საეჭვოთ და საძებრათ აღარა გაგვიხდე-
ბოდა რა. თუნდ ვახუშტსაც რომ მიექცია ყურადღება და
აენუსხა იმ დროის სამცხე-საათაბაგოს ყველა მოწინავე პირთა
გვარები, ფიქრი არ უნდა, რომ დღეს ჩვენ ბევრი რამ გვექმნე-

ბოდა შენახული, არ დაკარგული და ამას ვახუშტიც ადვილათ მოახერხებდა, რადგანაც მის დროს, ქართველთ შორის ძრიელ ბევრს არ ექმნებოდა თავის ძველი გვარი დავიწყებული. სამწუხაროდ ამის შეგნება ვახუშტის არ ჰქონდა, თორემ მას ყველაზედ დაწვრილებით სამცხე-საათაბაგო უნდა აეწერა, იგი უნდა აენუსხა, რადგანაც აქ ჩვენი ყველაფერი გარდაცვალებას და დავიწყებას ეძლეოდა.

როგორც ვიცით, ვახუშტის სამცხე-საათაბაგო თვალითაც

არ უნახავს, სხვათა მოთხრობებით და ამბებით უწერია თავის ცნობები. მაინც დრო ისეთი საშიში იყო, რომ შეიძლებოდა მართლაცა და არც-კი იყო სამცხეში და ისე დასწერა თავის ცნობები. ამას ცხადათ ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ სამცხე საათაბაგოში ძრიელ ბევრი ადგილებია, ხეობანი, სოფლები, ნაშთები და სახელ-წოდებანი, რომელიც ვახუშტის არა აქვს ანუსხული. ვახუშტის აღწერა სამცხის შესახებ მეათასე ნაწილია, ეს მე თვით ვიცი, რადგანაც ეს ვრცელი კუთხე რამდენ გზისმე მიმოვლე. დღეს, სულ მისი ბრალი გახლავსთ, რომ ჩვენ ჩვენის ისტორიულის მწერლობისათვის ვეღარას ვაწყობთ და სამცხის შესახებ არაფერი ვიცით დაწვრილებით, არის ისეთი ვრცელი კუთხეები, როგორც მირატის ხეობა, რომ ვახუშტის სახსენებლათაც არ აქვს. ამ დიდი ნაკლის წყალობა გახლავსთ, რომ ხშირად აჭარელნი, ლივანელნი, მურღულელნი და სხვანი ქართველ მაჰმადიანები თავიანთ ძველ გვარებს გვეკითხებიან, მაგრამ ჩვენ-კი მათის გვარების არა ვიცით რა, ვერაფერ ბასუხს ვაძლევთ, თუმცა მათ-კი იმედი აქვსთ დამტკიცებით, რომ ჩვენი გვარების ცნობები თქვენებურს წიგნებში უნდა მოიპოვებოდესო.

ზოგს მაჰმადიანს ეხლა დიდი წადილი აქვს თავის ძველი ქართული გვარის აღდგენის, მაგრამ ამას იგი ვეღარ ახერხებს ჩვენის უცოდინარობით. განა მარტო ამაში ვართ ასე, ბევრს კიდევ სხვა საქმეებში გახლავართ ასეთნი. ქართველ მაჰმადიანების გვარების დაკარგვაზედ რაღა უნდა ითქვას, როცა ჯავახეთსა და მესხეთში გვარებს ჰკარგავდნენ თვით ქრისტიან ქართველებიც, მათაც-კი ავიწყდებოდათ თავიანთ ძველი გვარები. ამის ცხადი მაგალითია ხურსიძე ისარლოვების გარემოება. ვგონებთ, დღეს თვით ისარლოვებმაც-კი აღარ იციან რა თავიანთ ძველი გვარის ამბავი. შეიძლება ოდესმე ამ გვარის ცნობამაც საეჭვო მიმართვა მიიღოს. ამიტომ, აქ ამ გვარის შესახებ აღსავსეობით ვისაუბრეთ. ეს საუბარი ნათლად დაეხმარება იმ მეისტორიეთა მოსაზრებას და ეჭვს, რომელნიც ზარზმის წარწერებში მოხსენებულ ხურსიძეების შესახებ ეჭვს აღიარებენ და

ამბობენ, რომ ჩვენ ამ გვარის არც წარსული ვიცით და არც შემდეგი დროვო.

კარგად სჩანს და ამას თვით საღი მოსაზრებაც ასე გვა-ფიქრებინებს, რომ ხურსიძეები XVII საუკუნის დამდეგამდე თავიანთის ძველის გვარით იწოდებოდნენ ისევე, როგორც მა-შინ იწოდებოდნენ სამცხის ყველა დიდებულნი და მცირებულ-ნი. აქ ამისთვის ახლა ჩვენ ვიხმართ ზეპირ გადმოცემულ ცნო-ბებსაც, რომელიც ადრე მესხეთსა და ჯავახეთში მრავლად იყო განფენილი, დღეს-კი იშვიათობს. ადრე მთელს ახალციხეს და მის თემის მცხოვრებთ ქართველ ქრისტიანებმა და მაჰმადიანებ-მაც კარგად იცოდნენ, რომ ისარლოვების ძველი გვარი ხურ-სიძე იყო, ამათ სამკვიდრებელ ბინას ქვაბლიანი შეადგენდაო. ადრე თვით ისარლოვებიც ამბობდნენ, რომ ჩვენი ძველები ხურსიძეები იყვნენ გვარათო. ამ გვარის ჭეშმარიტ ცნობებს კარგი მცოდნე ყოფილი ახალციხელი ქართველთ კათოლიკე სტეფანე იზმირელი. 1845 წ. ეს პირი, ახალციხეში გაუცვნია ლუკა ისარლოვს. ამ დროს სტეფანე იზმირელი 60 წლის ყო-ფილა, მაშასადამე იგი კარგად მომსწრე იქმნებოდა XVIII სა. უკუნის პირების და მათგან ბევრი ძველი ამბებიც ეცოდინე-ბოდა, ასევე კარგად ეცოდინებოდა ხურსიძის გვარის ამბებიც. ლ. ისარლოვის გაცნობის შემდეგ სტ. იზმირელს დიდი გულის წყრომა უთქვამს ისარლოვისთვის, რომ თქვენი სახლი კაცები აქედამ მთლად წავიდნენ და ეს არ არის კარგი, თავიანთ სამ-კვიდრო მამულები და მამაპაპეული ზარზმის ტაძარიც უპატრო-ნოდ დასტოვესო, უთქვამს საყვედურით:

– თქვენ ძრიელ გვიან მოგგონებიათ თქვენი სამშობლო, მამულები და ზარზმის ტაძარი. ხურსიძეების ამბები ეხლაც ყუ-რში მაქვსო. მე ძრიელ მწყინს და გული მეთანაღრება მასზედ, რომ ხურსიძეების გვარის ისარლების შთამომავალთა რიცხვი ახალციხეში მოისპოვო. ეს არ უნდა მომხდარიყოს ასეო.

სტეფანე იზმირელმა ბევრი რამ ამბები უამბო ლ. ისარ-ლოვს და ძალას ატანდა, რომ მამულებსა და ზარზმას უპატ-რონეთო, მაგრამ ლ. ისარლოვი-კი უარს ეუბნებოდა, ჩუმათ

იყო, მთავრობის ერიდებოდა თურმე, მორიდებას თავისებური ხასიათი აქვს, ლ. ისარლოვი მორიდი მოხელე იყო. სტეფანე იზმირელის სიტყვის კვალად მეტად საყურადღებოა ის გარე-მოებაც, რომ მართლაცა და ახალციხეში ისარლოვების გვარის რიცხვი ასე მოისპო, თუმცა XVIII საუკუნის დამლევს, იქ რამდენიმე ოჯახი სცხოვრებდა და მათ შორის სამი მღვდელიც იყო. იქ დაშთენ მხოლოდ მუსულმან ისარლოვ-ხურსიძეები, მაგრამ იგინიც შემცირდენ, უკანასკნელ დროს ოსმალში გა-დასახლდენ ფანტიკობით.

ამ რამდენიმე წლის წინეთ მე გახლდით ქ. ახილციხეს, მიხეილ პეტრეს ძე მეფისოვთან. იქ ბევრს ძველს ამბებზედ გვქონდა საუბარი, ძველს ნაშთებზედ, გვარებზედ, ახალციხის კათოლიკეზედ, მუსულმანებზედ, დაქცეულ ტაძრებზედ და სხვაც ბევრს ასეთ საგნებზედ. მიხეილ მეფისოვი ასეთ ძველ ცნობათა ხსოვნის ნამდვილი საუნჯე იყო. სხვათა შორის ისარ-

ლოვების შესახებ სიტყვა ჩამოვარდა. მე ბევრი რამ ცნობები ვკითხე ჩემი კითხვის თანხმად მიხეილ პეტრეს ძემ ესეთი სიტ-ყვა სთქვა.

– დიახ, ისარლოვები ქვაბლიანიდამ უნდა იყვნენ, ახალ-ციხეში-კი მოხელეობის, ანუ თანამდებობის გულისთვის უნდა ეცხოვრნათ, ხან ივლიტასაც უცხოვრიათ. რადგანაც XVIII საუკუნეს ახალციხეში მთლად ქართველ მუსულმანები სცხოვ-რებდნენ და ციხის გარეთ და ივლიტას-კი კათოლიკებს, ქრის-ტიანებს უცხოვრიათ. იქვე ყოფილან ისარლოვებიც. მათი ძვე-ლი გვარი ხურსიძეა, მათი სახლი კაც თათრები-კი დღესაც ხურსოღლათ იწოდებიან ქვაბლიანში, მაგრამ მაინც დავიწყე-ბული აქვთ თავიანთი გვარის ცნობები. მათ ის-კი იციან, რომ ძველათ სხვა გვარი ჰქონიათ, ეხლა ისარლები არიან.

მიხეილ მეფოსოვმა ბევრი რამ ცნობები მიამბო. მე ვკითხე ლ. ისარლოვის და სტ. იზმირელის შესახებ და მათგან მოთ-ხრობილ ცნობების ვითარება და მან ყოველივე ჭეშმარიტებით აღიარა. სტეფანე იზმირელს მეც კარგად ვიცნობდი და რასაც იტყოდა ხოლმე, ყოველთვის მართალს და სწორესო. სიც-

რუისთვის მას ძალას არავინ დაატანდა, ისიც იმ დროს და სტეფანე იზმირელსაო. ის რასაც ამბობდა ისარლოვების, ზუ-ბალაშვილების თუ სხვების შესახებ, ყოველისფერს მართალს, ამბობდა და მეც უნდა მოგახსენოთ, რომ მეც ასე ვიცი და გამიგონია მომსწრე კაცებთაგან, რომ კათოლიკ ისარლოვების გვარი ხურსიძეაო. მათი საბინადრო მამულები ქვაბლიანში ყო-ფილა. საგვარეულო ტაძარი ზარზმა და ჭულები ყოფილა, მათ წინაპრებს უკეთებიათ ეს ტაძრები და მფარველობაც უწევიათ. ისარლი თათრული სახელია. ეს გვარი რაც მათ დაერქვათ სულ ორი ან სამი საუკუნე უნდა იყოს. წინეთ-კი ხურსიძე ყოფი-ლა, მაშ აბა თქვენა ბრძანეთ, ქრისტიან ისარლოვებს თათრუ-ლი გვარი ძველადგან რისთვის ეწოდებოდათ, გინდ რომ სწო-დებოდათ, მაინც სულ ძველად-კი თავიანთ გვარი ექმნებოდათ, ქრისტიანური სახელით. ე. ი. ხურსიძე ძველია და ისარლი ახალი. ასეთი ცნობები გადმოგვცა მიხეილ მეფისოვმა და ჩვენც ყოველივე ეს ჭეშმარიტად მივიღეთ.

მიხეილ მეფისოვი ჩვენში ისეთი ცნობილი პირია, ისეთი მცოდნე ჩვენის ქვეყნის ძველის თუ ახალის ამბების, რომელ-მაც მარტოდ ისარლოვების გვარის ცნობები-კი არა და მან ზედ მიწევნით მთელი სამცხე-საათაბაგოს ცნობები იცოდა კარგად. ამ კუთხის მას ერთი იოტის ოდენი ამბავიც არ გამოეპარებო-და, იგი იყო ზედ მიწევნით მცოდნე საქართველოს ძველის და ახალ ამბების, სამცხის ქართველ ქრისტიანების, მაჰმადიანების და თვით ქართველთ ებრაელთაც. იცოდა კარგად ოსმალეთის საქართველოს შინაგან ყველა საქმეთა ვითარება, იცნობდა კარგად ქართველ ფაშებს, კაიმაკანებს, ბეგებს, აღიებს და სხვა-ნი, იცოდა მათი გათათრების ამბები, გაფრანგების და ისიც თუ სად ვის რომელ ქართველს როგორ შეეცვალა თავის ძველი

ქართული გვარი, ოსმალეთის საქართველოში ქართული ენა სად დაიკარგა, სად დაშთა დღემდე.

მიხეილ მეფისოვი მთელს ამ მხარეს და მის მცხოვრებთ ძველსა თუ ახალს ამბებს ისე იცნობდა, ისე იცოდა, რომ ძნელად მას სადმე რამე ცნობა გამოჰპარებოდა, ან თქვენ რამე

ცნობა გეკითხათ და იმას კიდევ პასუხი არ მოეცა. ეს მისგან შეუძლებელი იყო. ასეთი ამბების მცოდინარეობის წყალობა გახლდათ, რომ მის დიდი პატივის მცემელი იყო დიმიტრი ბაქრაძე და ამ პირმა ოსმალეთის საქართველოში სულ ამ პირის საშუალებით გაარკვია გზა და კვალი და იმგზავრა. მ. მეფისოვი ცნობილი იყო არა მარტო ჩვენს წინაშე, არამედ მას იცნობდნენ თვით ქართველ მაჰმადიანებიც და ამიტომ ხშირად მოდიოდნენ მასთან და თავიანთ გვარების და ძველების შესახებ ცნობებს ჰკითხავდნენ. ასეთი გახლდათ მიხეილ მეფისოვი და მისგან ნათქვამ ისარლოვების გვარის ცნობების შესახებ ეჭვს ვერ ვინ აღვიარებს. ხურსიძეების შესახებ მისგან ნათქვამის უმთავრესად ეს უნდა დაისკვნას: ისარლოვების ძველი გვარი ხურსიძეა. ამათი სამკვიდრო მამულები ქვაბლიანისკენ ყოფილა, მათს საგვარეულო ტაძარი ზარზმა და ჭულებია. ხურსიძეებს ისარლობა თათრობის დროს თანამდებობის გამო დაერქვათ. ამავე პირის შენიშვნა გახლდათ შემდეგი: რომ სტ. იზმირელის ცნობებს შემოწმება და ჩხრეკა არ უნდა, მისი ამბები სულ მართალიაო. მან ძრიელ ბევრი რამ იცოდა ჩვენი ძველი ცხოვრების შესახებო. ჩვენ ვალად ვსთვლით რომ ამ გვარის შესახებ ასე თუ ისე ყველა ისტორიული ცნობები და გარდმოცემანი მოვიყვანოთ და ამიტომ აქვე მოვათავსებთ შემდეგსაც.

ვინმე მესხი ჩვენში ცნობილი პირია. იგი კაი მცოდნეა ჩვენის ძველის ცხოვრების და მის ამბების. ამ ცნობილის ვინმე მესხის ცნობებით ისარლოვების წინაპრებს წინეთ ნამდვილ უცხოვრიათ სამცხე-საათაბაგოს, სოფ. საძელს. ამ სოფლის მახლობლივ ყოფილა ძველად არაყისციხე, ეს ციხე ქართულ ისტორიულ და გეოგრაფიულს მწერლობაშიაც არის მოხსენებულიო. სოფელს საძელი მიტომ სწოდებია, რადგანაც ერთ დროს, სოფელთან ხშირი ტყე ყოფილა და ადგილობრივ მცხოვრებთ ამ ტყიდგან უზიდავთ სახლისთვის ძელები. ციხესაც მიტომ რქმევია არყის ციხე, რადგანაც მის გარშემო არყნალის ხეებიც მრავლად მდგარა. ეს ციხე დღესაც არის თურმე. ძველად ხურ-

სიძეებს აქა ჰქონიათ თავიანთი მამულები, დღეს-კი ამ მამულებზედ სცხოვრობს ორი კათოლიკეთ ოჯახი და ორიც სომხისა. იმავ მოძღვრის სიტყვით 1625 წ. საფარ-ფაშა ჯაყელს ქრისტიანეთათვის ჩამოურთმევია ბევრნაირი უფლება. მაშინ სოფელ საძელიდან აყრილან ხურსიძეები და მთლად ახალციხეში გადმოსულან, იქ დასახლებულან ქრისტიანებთან საცხოვ-

რებლად, უმეტესად ივლიტას ყოფილან. აქ ხსენებული არყის ციხის გამო სწოდებიათ ხურსიძეებს „ციხის მეპატრონენი“.

ამ ცნობიდგანაც ცხადათ დაისკვნება, რომ თუ ოსმალთ ჩვეულებათ ჰქონდათ, რომ ყველა მოხელისათვის თავიანთ ენის სახელით უნდა ეწოდებინათ სახელწოდება, მაშინ რაღა ფიქრი უნდა, რომ არყის ციხის მეპატრონესაც ოსმალურათ ისარლი ეწოდებოდა. ამას ახსნა აღარ სჭირია. ესევ მოძღვარი ამბობს ზეპირ თქმულების საშუალებით, რომ გვარამ მამფლის დროდამ სამესხეთოში, ხურსიძეების ხელში იყო ფულის ჭრის საქმეო. ე. ი. ფულის მჭრელნი ხურსიძენი ყოფილან ძველადგანვე ათაბაგების დრომდე. თუ მამა ივანე გვარამაძის ზეპირ განაგონ ამბებს ჭეშმარიტების ნიშან წყალი არ აკლია და სწორე გახლავსთ, რომელზედაც ჩვენ ეჭვს ვერ ვიქონიებთ, მაშინ აქ ვიტყვით შემდეგს:

ხურსიძეებს ციხის მეუფროსობა უნდა მიეღოთ მას შემდეგ, რაც ჩვენდა სამწუხაროდ ერთ სამეფო საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაიყო. ერთს ვრცელ სამთავროთ სამცხე-საათაბაგო იქმნა დანიშნული. ხოლო ფულის ჭრის თავდარიგი და თანამდებობა-კი მათ უნდა მიეღოთ იმ დროს, როცა გიორგი ბრწყინვალემ დაქუცმაცებული საქართველო გააერთიანა, როცა ერთ სამეფოდ გამოცხადდა და როცა საქართველოს მიჯნების სიმტკიცისათვის ათაბაგებს მეტი ხმა და ძალა მისცა და სამცხე-საათაბაგო ათაბაგებთა მფარველობის ქვეშ გამოაცხადა, ხოლო საქართველოს სამეფოსთან არსებულათ, განუხრელად. იქ ათაბაგნი საქართველოს სამეფოს მთავარ მართებლებივით იყვნენ და განაგებდნენ. გიორგი ბრწყინვალე ჭკვიანი მეფე იყო და მასთან ერთგულიც. მან სამცხე-საათაბაგოს

საზღვრებითი პირობები კარგად იცოდა და ამიტომაც იყო, რომ ყოველ მესხელ გვარიშვილის პიროვნებას ჯეროვნად აფასებდა, ხურსიძეების გვარის მნიშვნელობა მას კარგად ეცოდინებოდა. ეცოდინებოდა, რადგანაც იგი მწიგნობარი მეფე იყო და ამიტომაც ადვილათ მიანიჭებდა ხურსიძეებს ფულის ჭრის თანამდებობასაც. იგი ასეთ საქმეთა მოწყობის ხამი არ იყო, იყო ბრძენი კაცი და თავის საქმეებიც ბრძნულად მიჰყვანდა თავის მოწინავე გამგე პირთა დახმარებით და ერთგულის სამსახურით. ხურსიძეებს მდიდარი წარსული აქვნდათ და ამიტომ გიორგი ბრწყინვალისაგან მაინც შესაფერი პატივი ექმნებოდათ მინიჭებული. ციხის უფროსობა და ფულის ჭრის მეთაურობა მათთვის იქმნებოდა შესაფერი საქმე.

XV საუკუნის ნახევარს, გიორგი ბრწყინვალის დროს, ხურსიძეებს შესაფერი ადგილი ეკავებოდათ სამცხე-საათაბაგოს ასპარეზზედ. მის დროს, მთელი საქართველო ოთხ სადროშოდ გაიყო. პირველ მედროშენი მესხნი იყვნენ. ამათ შესახებ ვახუშტი სწერს: – „ოთხ სადროშოთ განყოფილნი, რამეთუ წინამძღომელნი იყვნენ თორელნი, ციხის-ჯვარელნი, და ახალციხელნი და მიმ-

ყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი“. სხვა ისტორიულ წიგნებშიაც ასე მოიხსენებიან მესხნი. იგინი ირიცხებიან ვითარცა მოწინავე მეციხოვნენი, ერთგულნი ქვეყნისა ბრძოლის ველზედ, ქვეყნის მართვაში და საამსოფლიერო საქმეებში და მიტომაც ვამბობთ მას, რომ ხურსიძენიც მტკიცე წევრნი არიან ზემოდ ხსენებულ მედროშეთა და ძველადგანვე საქართველოს მტკიცეს სამსახურით მომდინარენი.

მამა ივანე გვარამაძის ცნობების საშუალებით – შოთა შიო რუსთველის თუ ხურსიძის ცნობებს ერთი ზეპირ თქმულებაც ემატება. მღ. ივ. გვარამაძე ბრძანებს, რომ ხურსიძეებს ციხის პატრონობის დროს ფულის მოჭრის თანამდებობაც ეკავათო. ძველნი მემატიანენი სწერენ: რომ შოთა რუსთაველი თამარ მეფის მეჭურჭელ უხუცესთაც იყოვო, ანუ ხაზინადრათაო. ჩვენ აქ ამაზედ ახირებით არას ვიტყვით, იქნება ამ ცნობასა და შოთა ხურსიძის თანამდებობის ცნობებში რამე ხაზის გავ-

ლება შეიძლებოდეს, ვინ იცის, ამას მუშაობა უნდა და ცნობების პოვნა და გარკვევა. ყოველ ამ გვარს ცნობას ჩვენის მგოსნის შოთა რუსთველის ცხოვრების გასაცნობათ დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, მას პირველი ადგილი უნდა დაუთმოთ ბეჭდვის ასპარესზედ.

აქ კვალად ყურადღება უნდა მივაქციოთ კერძოთ ფირმანში მოხსენებულ ზოგიერთ საყურაღდებო რამ ცნობებს. აქ მოხსენებულია შემდეგი:

„ჩვენ, ოსმაეთის მთავრობა, თქვენ ისარლებს კარგად გიცნობთ, რომ თქვენ ახალციხის თემის გურჯის ფრანგები ხართო“. ვგონებთ ამ ცნობის შემდეგ, ჩვენთ შორის, მრავალთ მოწინააღმდეგეთ საფუძველი აღარ ექმნეთ მისის რღვევის, რომ ვითომც საქართველოში ქართველ გვარის გათოლიკენი არ არიანო. ვგონებთ ამ ოფიციალური დოკუმენტის შემდეგ ასეთ პირებს საფუძველი აღარ ექმნესთ უაზრო ლაპარაკის და ცრუ ცნობების ვრცელების.

ვგონებთ, რომ ოსმალეთის მთავრობას კარგად ეცოდინებოდა, თუ მის ქვეშევრდომნი რა ტომსა და ენას ეკუთვნოდენ. ამაში მუსულმანები მეტათ ფრთხილნი არიან და ჩვენი სწავლება ვგონებთ მათ არც მოუნდებოდათ. ამ ფირმანში საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 1732 წ. უკვე ისარლოვების გვარის წევრნი კათოლიკის სარწმუნოებით სჩანან, მთავრობაც ასე იცნობს მათ. მთავრობის ამ მოხსენებიდამ ცხადათ სჩანს და დაისკვნება ის ჰაზრი, რომ ისარლოვების გვარის წევრნი კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნი თვით XVII საუკუნიდამვე ყოფილან. ფირმანში მოხსენებული პირები დაბადებულნი უნდა იყვნენ XVII საუკუნის დამლევს, ან XVIII საუკუნის დამდეგს. ყოველს შემთხვევაში ეს პირები ჩვენ XVII საუკუნის პირებათ მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ იგინი უნდა იყვნენ მესამე თავობა კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელთ ისარლოვების. ფირმანისა საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მთავ-

რობა რა ყურადღებას აპყრობს მოხსენებულ პირების მნიშვნე-

ლობას და ამაგს, მასთანვე აღიარებენ, რომ თქვენ გვარ ერთ-
გულებათვე ირიცხებოდნენ თქვენი წინაპარნიც, მამანი, პაპანი
და პაპის მამანიო. აქედამაც კარგად სჩანს, რომ ხურსიძეებს
თავიანთი შემძლებლობა და დიდი გავლენა, თვით ისარლობის
მიღებიდგანვე უნდა მიეღოთ. ერთი აქ ის არის ნაკლი, რომ
ფირმანში ისარლოვების გვერდით არ არის მოხსენებული მათი
ძველი გვარი – ხურსიძე. როგორც ვახუშტიც სწერს, ალბათ
ოსმალოს მთავრობის წინაშე, არ იყო ამის წეს-ჩვეულება და
ისიც ქრისტიანეთათვის, რომ მათი გვარი ეწოდებინათ, იგინი,
ცხადი საქმეა, როგორც ფანატიკ მუსულმანები უფრო თა-
ვიანთ ენის სიტყვას ამჯობინებდნენ და ყველას ისე უწოდებ-
დენ, როგორც მაგალითად ხურსიძეებსაც უწოდეს, რომ
თქვენ ახალციხის – ისარლებსაო.

ჩვენდა სამწუხაროდ, რაც სამცხე-საათაბაგო საქართვე-
ლოს ჩამომგლიჯა და ოსმალეთს დაუკავშირდა, მის შემდეგ
დროის ამბებთა შესახებ ერთობ მცირე ცნობები გვაქვს, თით-
ქმის არაფერი. თითო ოროლა ასეთი მასალები სჩნდება, რო-
მელნიც ასე თუ ისე რამე ცნობებს იძლევიან. დანარჩენის ჩვენ
სხვა არაფერი ღონის ძიება გვაქვს და ისტორიული მასალები
რომ ვიცოდეთ მის საშუალებით რამე ცნობები. ვინც ჩვენი
ისტორია არ იცის, იმისთვის ეს არაფერი გახლავსთ და ვი-
საც-კი სამცხე-საათაბაგოს ვითარების რამე გაეგება, იმას-კი ეს
უეჭველად გულს დასწყვეტავს. 1625 წლიდამ 1827 წლამდე,
ისე გადის, რომ ჩვენ სამცხელ ქართველთა შესახებ აღარა ვი-
ცით რა, არც ქართველ ქრისტიანების, კათოლიკების და ქარ-
თველთ მაჰმადიანების. რაც შეეხება გვარების დარქმევის, ანუ
გადაკეთების, ქართველთა გათათრების, ქართველთა ტანჯვა-
წამების და მოსპობის ამაზედაც ხომ არა გვაქვს რა. რაკი ეს
კუთხე მოსცილდა ჩვენს ქვეყანას და განცალკევდა ჩვენგან, მერე
იგი ოსმალეთმა ისე შეზღუდა და ისე მობოჭა, იქ ქართველუ-
რი ძალა ისე ამოაგდო ძირიან ფესვიანად, რომ თანამედროვე
მწიგნობართ ქართველთ ერთი შემთხვევაც არ მისცემიათ, რომ

მათ ამ კუთხის შესახებ რამე დაეწერათ. სამწუხაროდ სულ
ამის ბრალია, რომ თვით ისარლოვებსაც-კი თავიანთ წინაპ-
რების არაფერი მასალები აქვს დარჩენილი, ერთად ერთი ეს
ფირმანია.

ახალციხეში ისარლოვების გვარის წევრთ ზოგნი ბატონ-
ჯანას, ანუ ბატონ ჯანაანათაც უწოდებდნენ. ეს წარმომდგა-
რი უნდა იყოს ნაზის, ანუ ისარლოვების გვარის წევრთა დი-
დის პატივ საცემ მოქმედებიდამ, რომელთაც ხალხი პატივ სცე-
მდა, ყოველ მათგანს მეტის პატივით და ხათრით ასე უხმობ-
დნენ.

ჩვენი წერილების წერა ქართველ კათოლიკეთა შესახებ ერთის მხრით საპოლემიკო მხარემაც გამოიწვია, რადგანაც მრავალნი ამბობდნენ, რომ ქართველ კათოლიკენი არ ყოფილან, არც ისარლოვები არიან ქართველებიო. მე პოლემიკას თავი დავანებე, ცნობების მოყვანას გავყე, დაე ამ ცნობებმა ისაუბროს მის შესახებ, თუ ქართველ კათოლიკენი არიან თუ არა. მხოლოდ აქ საჭიროდ ვრაცხთ ერთი ისტორიული ამბავი კი მოვიყვანოთ, რომელიც ცხად ჰყოფს ისარლოვების ქართველობას.

XVIII საუკუნის დამლევს, ახალციხეში, სომეხ კათოლიკეთ ხუცებს და პატრებს შორის დიდი უსიამოვნება ატყდა. ახალციხელთა მცხოვრებთა რიცხვი ორ წრეთ გაიყო. ერთნი სომეხ კათოლიკების მომხრენი იყვნენ და მეორენი პატრების. სხვათა შორის პატრების მომხრეთ ითვლებოდა ისარლიაანთ პეტროას შვილი. ამ პირის სახელს თანამედროვე მემატიანე არ მოიხსენებს, მარტოდ გვარს იხსენებს. ესეც კმარა ჩვენთვის. ისარლიაანთ პეტრუაშვილი ამბობს შემდეგს:

„მე ხუცებისთვის ერთ მარჩილსაც არ გავიმეტებ, რადგანაც ეს ხუცები ჩვენი ტიბიკონის და ტომის არ არიან და პატრებისთვის კი ათას მარჩილს დავდებო. ჩვენ პატრებს უნდა უშველით, ეკლესიები მათ უნდა მივსცეთ და არა სომხის კათოლიკეთ ხუცებსა, ჩვენ

იმათთან საქმე არა გვაქვს და იმათ ჩვენთანა, ჩვენ იმათ არ ვეკუთვნით და იგინი ჩვენა“.

ვგონებთ, ამ სიტყვას ახსნა აღარ მოუნდება და თვით ისარლოვის მოწმობაც საკმარისია მათი გვაროვნების შესახებ. ამას ვექილობა და ჩვენი ახსნა არ უნდა. ჭეშმარიტად რომ ესეც კმარა. ერთი მაგალითის დამტკიცება საკმარისია მრავალ ცნობათა, გვართა და პირებთა ვინაობის ასახსნელად და დასამტკიცებლად.

ზარზმის ტაძარი.

ზარზმის ტაძარი აღშენებულია XI საუკუნის ნახევარს, ბაგრატ მეოთხის დროს. მაშენებელია ვინმე ხურსიძე. აღშენების დროთ ჩვენებულია 1045 წ. ხურსი-ხურსიძე მოიხსენება „ქართლის ცხოვრებაშიაც". ჩვენის ისტორიით იგინი ცნობილნი არიან უძველეს გვარის შვილებათ, ქვაბლიანისაკენ მცხოვრებ და იმავ კუთხის გამგე ერისთავებათ იგულისხმებიან. ამ განთქმულ ძველის გვარის წევრთ გაუკეთებიათ ზარზმა XI საუკუნეში. ზარზმა აღშენებულია თავის დროის კვალად, შესამჩნევად. ამ ტაძრის პატრონები ყოველთვის ხურსიძენი და მათი შთამომავალნი ყოფილან. შესანიშნავ ზარზმის ტაძარს ხანდისხან ხურსიძის გვარიდამ მწიგნობარ მღვდელ-მთავრებიც-კი ჰყოლია გამგე წინამძღვრად და აქედამ სჩანს, რომ ეს ტაძარი იმავ თავიდგანვე სამღვდელ-მთავროდ ყოფილა დადგენილი.

XVII საუკუნის დამდეგამდე, ამ ტაძარში მღვდელ მოქმედება სწარმოებდა. საფარ-ფაშის შემდეგიდამ მთელი სამცხე

დიდს დევნას მიეცა. ოსმალეთმა ქართველთ ათაბაგების ავტონომია გააუქმა და მთელი სამცხე 1626 წ. ოსმალეთის საფაშალიკოთ გამოცხადდა. ქართველებს დაუწყეს გათათრება. ამისთვის ძალასაც ხმარობდნენ. ამ დროს აოხრდენ მთელი სამცხის ტაძრები. ამავ დროს აოხრდა ზარმა. ზარზმის საეკკლესიო ხატები და ნივთები მის მაშენებელთა შთამომავალთ ხურსიძეებმა გურიაში გადიტანეს, რამდენიმე ხნის შემდეგ გაჭირებისაგან თითონაც გაფრანგდნენ, კათოლიკის სარწმუნოებას დაუკავშირდნენ. იგინი იმ დროს ქვაბლიანის და ახალციხის უფროსათ იყვნენ და ამიტომ გვარათაც ხურსიძის მაგიერ მათი თანამდებობის სახელი ეწოდათ, ოსმალურათ ისარლი – დღეს ისარლოვები. ასეთი ცვალებადია ქართველი ერის ბედი.

ქართველთ გათათრების და ხურსიძეების გაფრანგების შემდეგ ზარზმა დაცალიერდა. მალე მის სოფლის მცხოვრებნიც გაათათრეს. XVIII საუკუნის დამდეგიდამ ზარზმა აღარაფერს წარმოადგენდა. ვახუშტი სწერს, რომ ზარზმა დიდ შვენიერად ნაგები დღეს ცარიელი არისო. მაინც ზარზმის ტაძარმა ჩვენს დრომდისაც მოაღწია თავის აღსავსეობით. მისი აღწერა და სურათები რუსულს ენაზედ რამდენსამე წიგნშია დასტამბული. ეკკლესიას აქვს გარედამ სიგძე 28 არშინი, სიგანე ჩვიდმეტი არშინი, სიმაღლეც თავის შესაფერი, ზომიერი. ქართველ მაჰმადიანებში ზარზმის შესახებ ბევრი რამ ცნობებია დაშთენილი.

სოფ. ჭულების ტაძარი.

ჭულების ტაძარი ადუგენის ახლოს სძევს. როგორც ვიცით ადუგენის მებატონენი იყვნენ ხურსიძეები. ეს ჭულების

ტაძარიც მათ მეგვარე ხურსიძეთა წინაპრებს გაუკეთებიათ. ეს ტაძარიც შესანიშნავია თავის დროის კვალად. ამ ტაძრის ისტორიასთან დაკავშირებულია ადუგენის მცხოვრებთ მებატონე ხურსიძეების გვარის ისტორიაც. XIV საუკუნის ნახევარს იგი განუახლებიათ, რასაც მოწმობს ტაძრის შემდეგი წარწერა ხუცურად:

„შეწევნითა ღვთისათა და წმიდისა გიორგი ჭულაისათა სრულ იქმნა ესე ეკლესია ჭულისა ხატებითა მხატვრისა არსენა თფილელისა, შეუნდოს ღმერთმა ქკ-ს ჲია“. ამავ ტაძრის ერთს ალაგას დაშთენილია ხუცური წარწერა, რომელიც აჩენს შემდეგს: – „ხურსიძე ბასილი" აქედამაც მტკიცდება რომ ჭულებიც აშენე-

ბულია ხურსიძეთაგან. ეს წარწერა მარი ბროსემ შეცდომით გადიღო. შემდეგ ეს შეცდომა დ. ბაქრაძემ გაასწორა. მოხსენებული „ხურსიძე ბასილი" გვაძლევს სრულს ფიქრს, რომ ეს ბასილი ხურსიძე უნდა იყოს XIII საუკუნის პირი. ეს ტაძარიც მაშინ გაკეთებული, შემდეგ დროს, ანუ არსენ თფილელის დახმარებით იგი უნდა განეახლებინოთ მხოლოდ.

ხურსიმე-ისარლოვების ბინათ სადგურნი.

ქვაბლიანს, სცხოვრებდნენ ძველად. აქედამ როდის წავიდნენ სხვაგან, ცნობები არ გვაქვს.
ადუგენს, სცხოვრებდნენ ძველად. უკანასკნელ დროს, აქ სცხოვ-

რებდნენ მუსულმან ისარლოვ-ხურსიძენი, რომელნიც აგრეთვე თავიანთ თავს ერისთავსაც უწოდებდნენ. ამათგანი ზოგნი ოსმალეთში გადასახლდენ.
ივლიტას, უცხოვრნიათ XVII საუკუნიდამ.
ახალციხეს, უცხოვრნიათ ძველადგანვე და იქვე ყოფილან ციხის თავად, ოსმალთა წინაშე ისარლებათ.
ასპინძას უცხოვრნიათ XVII საუკუნიდამ და ყოფილან ქევხა კაცები.
საძელს, სოფ. ვინმე მესხის სიტყვით უცხოვრნიათ სულ ძველის ძველად.
ქუთაისს, უცხოვრნიათ XVIII საუკუნის ნახევრიდამ.
თფილისს, უცხოვრნიათ XVIII საუკუნის ნახერიდამ.
არაშენდა, სოფ. სამშვილდეს სცხოვრებენ დღეს.
საღირაშენს, სოფ. სცხოვრებენ დღეს.
კოდას, სოფ, სცხოვრებს ერთი მემამულე.
და სხვაგანაც თითო ოროლა კომლი აქა იქ, რომელთა მოხსენებას აქ მაინცა და მაინც არა აქვს მნიშვნელობა.

ხურსიძე-ისარლოვების გვარის წევრნი.

სულა ხურსიძე X საუკუნის პირი „ქართ. ცხ."
ივანე სულას ძე ხურსიძე – ხურსი „ქართ. ცხოვრებ."
დაკლაკ (დავითი თუ?) ხურსიძე X ს. „ქართ. ცხოვ."
ივანე დაკლაკის ძე ხურსიძე 1027-1080 წ. „ქართ. ცხ.
ფარსმან ერისთავთ ერისთავი ხურსიძე 1030-1100 წ. „ქართ. ცხოვ."

გიორგი ერისთავთ ერისთავი ხურსიძე 1060-1135 წ. „ქართ. ცხოვრ.“

ვასილი ხურსიძე 1120-1I70 „ქართ. ცხოვრ.“

იოსებ მღვდელმთავარ ხურსიძე XIII საუკუნის პირი.

შოთა (შიო) ხურსიძე ზარზმის წარწერებით.

გულდამა (გაიანე) ივანეს ასული ხურსიძე XIII საუკ. ზარ. წარწ.

გაბრიელ მღვდელ-მთავარი ხურსიძე ძე შოთა (შიო) ხურ-სიძისა ზარ. წარ.

ბაბა (ბარბარე) და თამარი XIV საუკ. პირნი ზარ. ნივ-თების წარწ.

სფირიდონ მღვდელ-მთავარი ხურსიძე 1557 წ. „ქრონი-კები“ თ. ჟ.

ვასილი ხურსიძე მაშენებელი ჭულების ტაძრის, მისივ ტა-ძრის წარწერით.

ავთანდილ, ლუკა, მიქელ ხურსიძე – ისარლოვები კათ. სარწ. XVII *) საუკ. დაბადებულნი.

კარლი, ბაღდასარ, გიორგი, მელიქსედ, ლუკა, ბასილ ხურსი-ძე-ისარლოვები დაბ. XVIII სუკ. **).

გრიგოლ მღვდელი ხურსიძე-ისარლოვი დ. XVIII საუკ. † 1782 წ. მოხუცი.

ანტონ მღვდელი ხურსიძე ისარლოვი დ. XVIII საუკ. † 1784 წ. მოხუცი.

---

*) სულთან მაჰმუდ მეორისაგან 1732 წ. ბოძებულს საგვარეულო ხურსიძე-ისარლოვების ფირმანის ცნობით, სადაც მოხსენებულ არიან ესენი.

**) საყურადღებოა ის, რომ თითქოს ხურსიძეებს თავიანთი ძველი გვარი კათოლიკობასთან დაკავშირების შემდეგ უნდა შესცვლოდათ. ეს ასეც შეიძლება, რადგანაც ოსმალთაგან საქართველოს დამორჩილება ანუ ათაბაგთ ავტონომიის გაუქმება, ქართველთ გათათრება და გაფრანგება თითქმის ერთ დროს დაწყობილა. გამომცემელი.

ლუკა – მეუღლე ამისი ანნა. ძენი ამათი: გრიგოლი, ივანე, სტეფანე და პეტრე. ქალები: ნათელა, ბარბარე, სალომე.

ივანე – მეუღლე ამისი სალომე. ძენი ამათი: ზაქარია, ივა-ნე, გიორგი. ქალები: ნატალია, დარია, ქეთევან, სალომე.

სტეფანე – მეუღლე ამისი ბარბარე. ძენი მათი: ლუკა, ალე-ქსანდრე, ფარნაოზი. ქალები: ეკატირინე, ანნა.

ლუკა – მეუღლე მისი გაიანე. შვილები: იოსები და მარიამი.

იოსები, მეუღლე მათი ოლგა. ძენი: გიორგი, დიმიტრი.

ალექსანდრე, მეუღლე მისი ბარბარე. ძენი ამათი: ლევანი და ნიკოლოზი. ქალები ნინო, მარიამი.

პეტრე, მეუღლე ამისი ბარბარე. ძენი ამათი: გიორგი,ილა-რიონი, იოსები, მიხეილი, ნიკოლოზი, იაკობი, რაფიელი, გაბრიე-ლი, კონსტანტინე. ასული: სოფიო.

გიორგი, მეუღლე ამისი ანასტასია. ძე ამათი პეტრე.

მიხეილი, მეუღლე ამათი ადელაიდა.

იაკობი, მეუღლე ამისი ანნა. ძენი ამათი: პეტრე, კონსტა-ნტინე. ქალები: ბარბარე, მარიამი, ნინო, ელენე და სოფიო.

კონსტანტინე, მეუღლე ამისი სოფიო. ასული მათი ელენე.

აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ რაც დრო გადის, მით ასეთ უძველეს გვარის წევრთა რიცხვი საქართველოში, ქართველთ შორის, ერთობ მცირდება. ესევე სიმცირე დღეს კარგად ემჩნევა ხურსიძე ისარლოვის გვარის წევრთა, რომელთა გვარის წევრთა ოჯახნიც XVIII საუკ. ერთობ მრავლად ყოფილა. ასეთ გვართა აღწერით და სამცხე საათაბაგოს დაბალ ხალხის ცხოვრების გაცნობით შესდგება სრული ისტორიული მასალები ჩვენგან მივიწყებულ სამცხე-საათაბაგოსი.



ზარზმის ტაძარი

აღშენ. X საუკ. ხურსიძეთაგან.



სოფ. ჭულების ტაძარი

აღშენებული ხურსიძეთაგან.

ისტორია

ზუბალაშვილების გვარისა

მეცნიერულის ისტორიულ კრიტიკულის მწერლობით დამტკიცებულია, რომ ყოველი ერის სრული მეცნიერული ისტორია მხოლოდ მაშინ დაიწერება, როცა ერის ცხოვრების ყოველ ნაირს მხარეს და საგანზედ ცნობები შეიკრიბება და დაიბეჭდებაო, უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია, რომ ოდესმე, ქართველის მსწავლულისაგან მეცნიერული საქართველოს ისტორია დაიწეროსო. დღემდე ჩვენი მეისტორიენი სწერდნენ მეფეების ისტორიას, მთავართა, მღვდელ-მთავართა, ციხე-კოშკების და ომების. მთელი ჩვენი მატთიანე მხოლოდ ამაების აღწერით შესდგება. ეს კი არ კმარა მეცნიერულის მეისტორესთვის.

ზემო ხსენებულ საგანთ გარეშე, ისტორიისთვის უნდა შეიკრიბოს ცნობები თვით ხალხის ცხოვრებაზედაც, ხალხის სამოსწავლო მხარეზედ, განვითარების შესახებ, მწიგნობრობის, წოდებათა შესახებ და ნამეტურ გლეხთა და მათს დამოკიდებულებაზედ თავად-აზნაურებთან. ამას გარდა საჭიროა

ბატონ-ყმობის ისტორიის ცნობები, მეურნეობის, ხელოსნობის, მუშების, ხელოვნების და სხვანიც მრავალნი. საყურადღებოა აგრეთვე ანუსხვა ქართველ მოქალაქეთა ცხოვრების და მოქმედების ცნობები, მრეწველობის აღორძინება და გავრცელება ქართველ ერში. ყოველის ერისთვის ისტორიაში ასეთი კითხვები და ცნობები იკავებენ უპირველეს ადგილს. ეს არის საუნჯე და დაუფასებელი სალარო ყოველის ერის ცხოვრების, ისტორიის და მის ჭეშმარიტებისა.

ასეთ კითხვებთა ანუსხვა ნამეტურ ჩვენ, ქართველებს, გვჭირია, რადგანაც ესეთი ნაკლი ისე არც ერთ სხვა ტომის ხალხს არ ემჩნევათ, როგორც ჩვენ. ბევრი რამ ნაკლი გვაქვს, ბევრი რამ მასალები არ გვაქვს შეკრებილი და ანუსხვილი. ერთი ამ მრავალთაგანია ქართველთ მოქალაქეთ და გლეხთა ცხოვრების და მოქმედების ცნობები. ამიტომ ჩვენ ხელი მოვკიდეთ, შევკრიბეთ და შევადგინეთ დიდი ძალი მასალები ქართველთ მრეწველობის შესახებ, ვაჭრობის, მოქალაქობის, გლეხების და ხელოსან მუშების. ერთ ასეთ კითხვათა ჭეშმარიტ ისტორიულ მასალას წარმოადგენს ქართველთა უძველეს წარჩინებულ ძველ მოქალაქეთ ზუბალაშვილები და მათი გვარის ისტორია, რომელსაც ვნუსხავთ აქ. ზუბალაშვილების გვარის წევრნი ძველადგანვე ქართლში მოსახლეობდენ. იგინი ეკუთვნოდენ ქართველ ტომს და ქართლში უმეტესად ძველადგანვე იგინი მკაცრად მისდევდნენ სოფლის მეურნეობას. სოფლის მეურნეობა მათში აღორძინებული იყო. ამ გარემოებამ იგინი საკმარისად დააწინაურა. ეს დაწინაურება მათ მერმისისთვისაც კარგად დაეტყოთ. დღესაც კი სადაც სცხოვრებს სოფლად ამ გვარის ხალხი. ყველგან იგინი აღორძინებულ არიან მეურნეობის და სოფლის საქმეებში. მაინც ასეთს საქმეებში ქართველის წარმატება არ უნდა იყოს უცხოდ, რადგანაც ქართველი ერი მეურნეობის ნაწილში თავ-დადებულ მშრომელათ რომაელთ და ელინთ ძველ მწერლებთაგანაც არიან შენიშნული. ეინნი ჩვენ „გეორგიანს" გვიწოდებენ და ეს წოდება მათებურს ენაზედ „მიწის მუშაკს" ნიშნავს. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ჩვენს ფაქტად მარტოდ ზუბალაშვილების გვარს ვასახელებთ, თორემ რაც შეეხება ამას, ქართველთ წინაშე, ესკი საზოგადო იყო და როგორც ზუბალაშვილები, ისევე სხვა ქართველნიც იყვნენ ცხოვრებით და მეურნეობით დაწინაურებულნი.

ჩვენის მეფობის დროის ქართველებზედ ამის უარს ვერავინ იტყვის. იგინი, მართალია საყოველთაოდ ბრძოლაში იყვნენ დაბანდებულნი და მთელის აზიის მაჰმადიანთ წინაშე

სამეფოს იფარავდნენ, მაგრამ მათ გარდა, შთებოდა ისეთი ნაწილიც, რომელსაც სოფლის მევენახეობა და მეურნეობა წინ

მიჰყავდათ. ამისთვის იგინი არას იშურებდნენ, თვით სამეფოს დახმარებით მიუვალს ადგილს გაჰყვანდათ არხები, აკეთებდენ ხიდებს და მით აძლიერებდნენ ქვეყნის საქმეებს. ამათ დროის გაკეთებულ ხიდებს, არხებს, ნავენახარებს, მარნეულობას და ქვევრების სიმრავლეს განცვიფრებაში მოჰყავსთ თვით დღევანდელი ევროპიის მსწავლულთ მოგზაურები. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენის მეფობის და გამგეობის დროს, საქართველოში, ქართველთ შორის, არც ისეთი ბოგანო ერი (Пролетарія) იყო, რაც მაშინ სხვა ქვეყნებში არსებობდა. ქართველთ შორის ყველას თავის ქოხი ჰქონდა, თავის მიწა, მამული, მშიერი არავინ კვდებოდა. თვით „გლახაც“ რომ გდომნოდათ, საქართველოში, ქართველთ შორის, ქართველ გლახას ხსენებათ ვერ ნახავდით. საქართვერლოში „გლახები“, ერთ თავათ, სომეხნი, აისორნი, თათარნი და სხვა ტომის ერნი იყვნენ.

ასეთი გახლდათ წარსული ჩვენის სამშობლო ქვეყნის და მიტომ ნურავის ეუცხოვება ის გარდმოცემა, რომ ზუბალაშვილების გვარს აღორძინებით და სოფლის საქმეთა წარმატებით მოვიხსენებთ. აქ რაც ზუბალაშვილებზე ითქმის, იგივე ითქმის მთელ საქართველოს წარსულ დროთა ქართველებზედ. ზუბალაანთ გვარი მხოლოდ საკრებულო სარკეა და მასში ნათლად სჩანს ჩვენი წარსულის დიდება, სამეფოს მფარველ მეომართა ის მხნეობა, რომ 1455-1801 წლამდე გმირულად იბრძოლეს. სომხების, ბიზანტიის, ქალდიის, სლავიანთ ტომების მსგავსად 400-700 წლის წინეთ კი არ დაეცნენ, არამედ მეფობა მეცხრამეტე საუკუნემდე შეინახეს, მერე თვის ნებაუფლებით 1801 წლიდგან რუსეთის იმპერიას დაუკავშირეს. ზუბალაშვილების გვარის ისტორიაში მჭიდროთ არის დაკავშირებული იმ ქართველთა ისტორიული მოძრაობა, ამაგი, შრომა და პატივსცემის ხსოვნა, რომელიც მიწის ნიადაგს და ბუნებას მკაცრად ებრძოდა და მით იფარავდა თავის ქვეყნის

მოთხოვნილებას და არსებობას. ასე იყო ჩვენი ერის საქმე. ასე არსებობდა მისი სამოქალაქო წესები, თორემ მერწმუნეთ, რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენც ისევე ავიგვებოდით დედამიწის პირიდამ ძველადგანვე, როგორც ეს სხვებს მოუვიდათ.

როგორც ვსთქვით, ძველად, ზუბალაანთ გვარის წევრნი ქართლში სცხოვრებდნენ, ხოლო სულ ძველის ძველად-კი სად მოსახლეობდნენ, ამის შესახებ არაფერი სჩანს. არც ვიცით სინამდვილით, თუ ამათ პირველ ყოფილი სამშობლო საბინადრო სოფელი საქართველოს რომელ კუთხეში იყო და სად აღორძინდნენ ამ გვარის წევრნი. საშუალო საუკუნემდის ესენი სცხოვრობდნენ სოფ. ხეთს, გორის მაზრაში. ვახუშტის თქმით სოფ. ხეთის დაარსება მეტად ძველს დროს ეკუთვნის; საშუალო საუკუნეების შემდეგ ესენი პირველად ცხინვალში სჩნდებიან, მერე XVI საუკ. ქართლის სოფლებში და XVII საუკუნის ნახევარს გორს. ამავ საუკუნის ნახევარს, ჩვე-

ნის ისტორიის მწერლობის ასპარეზზედ რამდენიმე პირიც სჩნდება ზუბალაშვილების. ესენი ძველად იწოდებოდნენ ზუბაშვილებად და არა ზუბალაშვილები. ეს ამათ XVII საუკ. ეწოდათ, მას შემდეგ რაც იგინი ახალციხეს კათოლიკობას დაუკავშირდნენ და მერე ქართლს გადმოსახლდენ. კათოლიკობას რამდენიმე წევრი დაკავშირებია. XVI საუკუნის ნახევარს, ქართლში, ზუბალაშვილების სახლიკაცების ერთი ოჯახიც დაკავშირებია კათოლიკობას, ხოლო ესენი, როგორც ძველადგანვე, ქართლში მოსახლენი თავიანთ ძველი გვარი არ შესცვლიათ და თვით XVIII საუკუნის ნახევრამდე, ეს კათოლიკენი ზუბაშვილებათ არიან მოხსენებულნი, ზუბიაანათ. მაგალითებრ: 1740 წლიდამ რამდენიმე კათოლიკე ზუბაშვილი და ზუბიაანთი მოიხსენებიან და 1751 წლიდამ სჩანს ელენე ზუბიანთი, მარიამი, მოსე და სხვანი. ზოგს ძველ წიგნებში, ეს გვარი სხვა და სხვა ნაირათაც არის გადაკეთებული, მაგრამ ყველა ამ გარდაკეთებულ, აწუ გადასხვავებულ სახელწოდებას ცხადათ ეტყობა, რომ იგინი ერთის გვარიდამ უნდა იყოს გარდაკეთებული, სიტყვის ფესვი ერთია.

– 5 –

სხვა და სხვა ხელთ-ნაწერ ცნობებს გარდა, ერწო თიანეთის ზუბაშვილები მოხსენებულნი არიან 1670 წ. *)ერწო თიანეთის ზუბაშვილების ბეჭვდითი ცნობა ჩვენს ისტორიულს მწერლობაში მარტოდ ამ დროს შეეხება. რაც შეეხება ამ გვარის ბინადრობას, ეს-კი, მეტად ძველი უნდა იყოს. კარგად სჩანს, რომ ამ გვარის წევრნი ძველადგანვე მრავლად ყოფილან, რადგანაც ეს, როგორც ვსთქვით, მათი რიცხვი ადრიდგანვე მოეფინენ ერწოს, თიანეთს, ქართლს, თფილისს, ახალციხეს, აწყურს, ოცხეს, ხიზაბავრას, ასპინძას, ახალშენს, ქუთაისს, სამეგრელოს, კახეთს და სხვაგანაც. ზოგს ალაგს კი მოისპნენ. ქართლში მცხოვრებ ზუბალაშვილების შესახებ დარჩენილია კიდევ შემდეგი გარდმოცემა: ზუბალაშვილები პირველად ცხინვალში სცხოვრობდნენ. იგინი შთამომავლობენ ცხინვალში მცხოვრებ ქართველთ ისრაელთაგან. მათი ისრაელობიდამ ქრისტიანობაზედ გადასვლა ეკუთვნის იმ დროს, როდესაც საქართველოში ისრაელთა შორის საერთოდ მოხდა ეს და როცა კარსნელთ, ხოფელთ, ბოდელთ, მცხეთელთ და სხვათა ებრაელნი ქრისტიანობას დაუკავშირდნენ, ე. ი. IV საუკუნეში. ამაზედ უგვიანეს, საქართველოს ისრაელთა შორის, ეს არ მომხდარა. მაშასადამე ასე და ამ გვარათ, თუ მართალია მაშინ მათი ქრისტიანობასთან დაკავშირება, ერთობ უძველესს დროს მომხდარა, პირველ საუკუნოებიდამ VI საუკუნემდე.

რაც შეეხება ზუბალაშვილების გვარის წევრთა მოხელეობას, იგივე გარდმოცემა გვაუწყებს, რომ ცხინვალში მცხოვრებნი ზუბალაშვილები ძველადგანვე ვაჭრობას მისდევდნენ, აღებმიცემა მათ მამა-პაპათა საკუთრება იყოვო. რაც შეეხება მართლმადიდებლობიდამ კათოლიკობაზედ გადასვლას, ესეც ცხინვალში მოხდა ლათინის წესის რიგის პატრებისაგანაო. ძველად ცხინვალში კათოლიკების რიცხვი დიდი იყო. მათ აქ თავიან-

თი საკუთარი სალოცავიც ჰქონდათო. სალოცავს ყოველთვის რომიდამ მოსული მოძღვარნი განაგებდნენ. შემდეგ დროში,

*) საქართველოს სიძველენი, ტომი პირველი, გვ. 416 ტფ. 1899 წ.

ცხინვალში კათოლიკების საქმე ვერ წავიდა კარგათ, თორემ იქ, ძლიერ ბევრნი დაუკავშირდებოდნენ კათოლიკობას და ცხინვალში კარგი ეკკლესიაც გაშენდებოდაო. ეს ცნობები მოვიყვანეთ აქ, როგორც ხალხში არსებული, თორემ, რაც შეეხება მისს სინამდვილეს, ამაზედ-კი, გარდაწყვეტით ვერას ვიტყვით. ამას ჩვენ მიტომ მოგახსენებთ, რადგანაც ეს, ზეპირ ცნობები მხოლოდ ქრისტიანებშია დაშთენილი. ამ გვარის შესახებ, ცხინვალის ქართველთ ისრაელებში ცნობები ვიკითხეთ და მათში არც ამ გვარის რამე ბიოგრაფიული ცნობა აღმოჩნდა და არც მეგვარეები. ვინ იცის, იქმნება ცხინვალის ისრაელთ შორის, აღმოჩნდეს ისეთი გვარი, რომელსაც ამ გვართან რამე მსგავსება ჰქონდეს, ხოლო ნათესავობის-კი არა ექმნეს-რა. ცხინვალის ქართველ კათოლიკეების შესახებ ვიტყვით, რომ XVII საუკუნის დამლევს, იქ მართლაც მრავალნი ყოფილან, ხოლო პატრი გიორგის სიტყვით 1765 წ. იქ სულ ოცი კაცი ყოფილა, ამ კაცების გვარი და სახელებიც-კი ვიცით **).

ზემო ქართლში დაშთენილია კიდევ შემდეგი გარდმოცემა: ზუბალაშვილები მესხები არიან, ძველადგანვე იგინი მესხეთში სცხოვრებდნენ, მესხეთიდამ ქართლში გადმოსახლებულან, შემდეგ დროებში, ისევ მესხეთს გადასულან და ახალციხეს, ქვაბლიანს, ოცხეს, ჯავახეთს და ბორჯომის ხეობაზედ, სოფ. აწყვერს დასახლებულან. აწყვერში მცხოვრებთ ზუბალაშვილებს ძველადგანვე ვაჭრობა დაუწყვიათ, ზოგნი, მათგანნი სავაჭროდ კოსტანტინეპოლსაც წასულან. ასეც ამბობენ:

„ზუბალაშვილები ოცხელები არიან, იგინი ოცხიდამ გასულან და დასახლებულან ახალციხეს, მერე აქედამ გასულან და მოფენილან მთელს საქართველოს კუთხეებში. მიზეზი გარდასახლებისა ოსმალთ დევნა ყოფილა. ამავე დროს გარდა-

*) ქართლის ცხოვრება, I ნაწილი, გამოც. 1899 წ. ტფილისი.

**) იხილეთ გორის ეკკლესიის კონდაკი. შედგენილი XVIII საუკ-

სახლებულან ოცხიდამ დიდი ძალი ქართველობა. ქართლში დაშთენილია შემდეგი გარდმოცემაც, რომელიც სრულს ჭეშმარიტებას შეადგენს და ამ ჭეშმარიტებას ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობებიც დაამტკიცებენ.

ცხინვალის ზემოთ, ჯავის ხეობაზედ, არის ერთი სოფელი, რომელსაც სახელად ხეთი ეწოდება. ამ სოფელში ძველადგანვე სცხოვრობდნენ ზუბალაშვილთა წინაპარნი. ზუბა-

შვილები ძველადგანვე თავისუფალ გლეხ-კაცებათ ირიცხებოდნენ, ანუ სახასო (Государственный) გლეხებათ; მათში ბატონყმობა ძველადგანვე არ არსებულა. კახეთში – ქიზიყს, ქართლში – ამ ხეობას და ლივანში – მურღულს ძველადგანვე სრული მამულის საერთო მფლობელობა არსებობდა. ამათში, გლეხნი ყველანი მიწის პატრონები იყვნენ. ეს იყო მიზეზი, რომ სოფ. ხეთში, ზუბალაშვილების წინაპარნი ძველადგანვე ისე გამრავლდნენ, რომ შემდეგ მათ საკუთრებათ ერთი კაი ტყეც შეიძინეს და სოფელშიაც ერთ კუთხეს, ანუ უბანს, „ზუბაანთ უბანი“ ეწოდა. ნელ-ნელა აქ ესენი ისე გამრავლდნენ, რომ უკანასკნელ რამდენიმე წევრთ გორისკენ გარდმოსახლებულთ აღებ-მიცემის საქმეც კარგად წასვლიათ.

დრო, ზუბალაშვილების გორისკენ გადმოსვლისა, ანუ გადმოსახლებისა, არ არის აღნიშნული. ჩვენის ფიქრით, ეს გარდმოსახლება უნდა მომხდარიყოს XVI საუკ. ნახევარს. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულია ამ გვარის მინაგვარი სახელი „ზუბეიდალ-ბელადი“ დაღისტნისა. *) ამბობენ, რომ დაღისტანშიაც არიან ამ გვარის წევრნი. ესენი ძველადგანვე უნდა იყვნენ იქით გადასულნი ერწო თიანეთიდგან. ეს მით უფრო შეიძლებოდა, რადგანაც ერწო თიანელ ქართველთ ძველადგანვე ჰქონდათ ბრძოლა ლეკებთან. ესენი ყოველთვის ვაჟკაცურათ ებრძოდენ მათ და ხშირათ ტყვეობაც იცოდნენ. რაც შეეხება ზუბალაშვილების ძველს წინაპართ მეგვარეებს, ესენი საკმარისად გმირი მეომარი ხალხი ყოფილან, ვაჟკაცი,

*) ქართლის ცხოვრება, II ტ. გვ. 407. პეტერბურგი 1850 წ.

ხელის შემართებელნი. შესაძლებელია, რომ ამ გვარის ვინმე მეომართაგანი ოდესმე დაღესტანში ტყვედ ჩაუვარდათ და მისგან მოშენდა იქ ეს გვარი. არის ასეთი ცნობაც, რომ სულ ძველად რამდენიმე წევრნი ამ გვარისა, კავკავისკენაც გარდასახლებულან, მემრე იქიდამ რუსეთს, რუსეთიდამ საქართველოში აღარ დაბრუნებულან. ამ გარდმოცემას ახალციხეში დაშთენილი ზეპირ-ამბებიც ამტკიცებს. ამას ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ.

თბილისში, გორში, ცხინვალში და სხვაგან დაშთენილია შემდეგი გარდმოცემაც: ზუბალაშვილები ქართლში მცხოვრებ ოსთა შთამომავალნი არიან. იგინი ძველადგან ცხინვალს სცხოვრებდნენ, მერე გორში გადმოსულან, გორში მათ ვაჭრობა დაუწყვიათ, მეფეების დროს საკმარისად წინ წასულან, მერე გორიდამ თბილისში გადასახლებულან, თბილისშიაც კარგად წასვლიათ საქმე. მერე სხვა ქვეყნებშიაც დაიწყეს მგზავრობა და ვაჭრობა. ძველად მთელს ქართლს, სამცხე-საათაბაგოს და თბილისს ერთს ქართველ კაცს ვერ ნახავდით, რომ მას ზუბალაშვილების გვარის ამბები არა სცოდნოდა. ყველა ლაპარაკობდა სხვადასხვა ცნობებს, ნამეტურ, ამ გვარის წევრთა კათოლიკობასთან დაკავშირების შესახებ. მეორე: თბი-

ლისში ამათ დიდი ხმა და გავლენა ჰქონდათ, რამდენსამე ალაგას სახლები, სავაჭროები, ფართო აღებ-მიცემა და მასთან-კაი ქარხნებიც, სადაც თბილისის ხალხი მრავლად მუშაობდა. 1830 თბილისში გახსნილ „ქართულ შაქრის" ქარხანამაც დიდი სახელი შესძინა ამათ და ყველაზედ მეტი-კი უფრო ის იყო, რომ ამათ საპატიო ხსენება ქართველთ მეფეების დროდ-განვე ჰქონდათ მოპოვებული და ხალხში დამსახურებული.

II

XVI საუკუნის დასაწყისს, ოსმალთ და სპარსთა სამუ-დამოთ გარდასწყვიტეს საქართველოს დამორჩილება. მათი პო-ლიტიკა შემდეგს დასკვნას დაადგა: სპარსეთს უნდა დაეჭირა ქართლი *) კახეთი, სამხრეთ საქართველო და სამცხე-საათაბა-

გოს ერთი ნაწილი თრიალეთამდე. ოსმალეთს უნდა დაეჭირა ნაწილი სამცხე-საათაბაგოსი, აფხაზეთი, ჭანეთი, სამეგრელო, ე. ი. მთელი იმერეთი ქართლის საზღვრამდე *). ამ ჰაზრით დაეცნენ ქართლ-კახეთს სპარსნი, იმერეთს ოსმალნი, მაგრამ მათ ვერა გააწყეს რა და განძრახული პოლიტიკის გეგმაც შეეც-ვალათ. სპარსელებმა განზრახვას თავი გაანებეს, საქართველოს მხოლოდ დრო და დრო ასაკლებ კუთხეთ სთვლიდენ, მისს საყოველთაოდ დამორჩილებას არ ნატრობდნენ. ოსმალეთმა კი ადრევე გარკვეულს განძრახვას თავი არ გაანება და ისუ-რვა მთელის დასავლეთ საქართველოს და იმერეთის დაპყრო-ბა. ამაობაში მოახლოვდა XVII საუკუნის დამდეგიც, დადგა ეს საუკუნეც და ქართველთათვისაც დადგა დიდი „შავი დღე-ები“, ანუ ხანა საქართველოს ერის მოსპობისა, საქართვე ლოს ევლინებიან მრისხანე შაჰაბაზი და სხვანი. ხდება ქარ-თველთ უბედური ემიგრაცია. სპარსეთში მიჰყავთ 120 ათასი ქართველი. ქართველთ მეისტორიებმა ამ ბედ-შავ საუკუნეს „შავი დრო“ უწოდეს. ხალხმა აუარებელი ლექსები შეადგინა:

„ნუგზარ ერისთვის დროსაო,
სისხლის წვიმების დროსაო“,
„შავთა დროთ ვერა შეცვალეს,
მის გული ანდამატისა“.
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა.

ოსმალთ მოქმედება საქართველოს წინაამღდეგ უფრო მრისხანებით იყო გარე მოცული. 1600 წ. მათ უკვე სასტი-კათ დაიმორჩილეს დასავლეთ-სამხრეთ საქართველო. ამ კუთ-ხეში მაშინ ქართველთ ცამეტი ეპარქია ირიცხებოდა და ქარ-თველობაც იქამდე გამრავლებული იყო, რომ მარტო ახალ-ციხის კუთხისკენ ქვაბლიანიდამ ჯავახეთამდე ერთი მილიონი ქართველობა სცხოვრებდა. ყველა ეს ხალხი ოსმალთა 1630

*) ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ ან. ფურცელაძისა.

წლიდგან 1805 წ. მთლად გაათათრეს; ამ გათათრებულებში თვით ზუბალაშვილებიც მოჰყვნენ ასპინძას 1771-80 წლებამდე. ოსმალთა, თუმცა ნახევარი საქართველო დაიპყრეს და ქართველებიც გაათათრეს, მაგრამ საქართველოს სამეფოს და საყოველთაოდ მოსპობა-კი ვერ მოახერხეს. ეს იყო მათი დარდი და ვარამი, ამისთვის უკვნესდათ გული. 1626 წლიდამ ოსმალთა ათაბაგობა მოსპეს და ფაშობა განაწესეს. სამცხე-საათაბაგოს გათათრების შემდეგ მათ განიზრახეს თბილისის დაჭერაც, უფრო იმ ჰაზრით, რომ საქართველო დაღისტანთან დაეკავშირებინათ, თფილისში ოსმალოს ფაშა დაესვათ და მერე მთელი საქართველოც გაეთათრებინათ. ამ ძალოვნების გასამტკიცებლათ, მათ უმთავრესს იარაღათ, ბორჯომის ხეობიდგან ქართლში შემოსევა დაინახეს საჭიროდ, გორის აღება და მერე ამის საშუალებით ფეხის განმტკიცებაც. ამას ესენი მით უფრო ფიქრობენ, რადგანაც მათ, ვიდრე სამცხე-საათაბაგოს ვასალური ავტონომია არ გააუქმეს, ქართველნი არ გაათათრეს და მათში ისლამის ფანატიზმი არ განავრცეს, მინამ მათ იქ ფეხი ვერ გაიმაგრეს.

ოსმალნი შეუდგნენ თავიანთ გეგმის შესრულებას. სპარსთაგან დაუძლურებული საქართველო ჯერ არ გამაგრებულიყო, შაჰაბაზისაგან ნამოქმედარ დესპოტიზმის ნიშნები აქა იქ კიდევ ეტყობოდათ, ქართველნი და საქართველო ცოტ-ცოტად ღონიერდებოდა, ყველაფერი ფეხს იდგამდა და ამ საბედნიერო წარმატების დროს, უცბად, მალულად 1610 წ. ბორჯომის გზით ოსმალთა გამოვლეს ქვიშხეთი, მოულოდნელათ გორს დაეცნენ. დიდი და მოულოდნელის ბრძოლის შემდეგ გორის ციხე აიღეს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ სამწუხარო მოვლენას, თუ ქართველთათვის რა იყო გორის ციხის აღება, იგი იყო ნიშანი მთელი ქართლ-კახეთის დაპყრობის ტრაპიზონიდამ ყარსამდე, თრიალეთამდე და ბათუმამდე. მთელი და-

*) ქართლის ცხოვრება II ტ. პეტერბურგი 1850 წ.

**) ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ ან. ფურცელაძისა 1898 წ.

სავლეთ საქართველო ლაზისტანით, ოსმალთ სამფლობელოს შეადგენდა, იმერეთიც დაიმორჩილეს და მოხარკეთ გახადეს; დარჩა მარტოდ ქართლ-კახეთი. ამ ორი კუთხის გაუქმება და მთელის საქართველოს თათრის მსხვერპლად განცხადება ერთი იქმნებოდ. გორი აიღეს, ფეხის გამაგრებას აპირებდნენ, მერე აქედამ თფილისსაც ადვილათ დასცემდნენ. გორის აღებას ქართლ-კახეთისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დრეპერის სიტყვით, ბიზანტიის იმპერიის დამხობა და

ტრაპიზონის, ანუ კოსტანტინეპოლის აღებას *).

ოსმალეთის ასეთი განძრახვა ქართველთაც კარგად იცოდნენ, უამისობა მათგან არც შეიძლებოდა, რადგანაც ოსმალთ ხონთქარმა ერევანიც აიღო, ერთი ქართლ-კახეთიღა აწუხებდა. გორის ახლოს იქმნა ქართველთ საერთო კრება. მათ გარდასწყვიტეს პირისპირ ოსმალთან შებმა, სასტიკი ბრძოლა, გორიდამ ოსმალთ სრულიად განდევნა, მით სამშობლო ქვეყნის განთავისუფლება. შაჰაბაზის და შაჰთამაზის ბრძოლის დროის კვალად ქართველთათვის დადგა შავი დღეები, „სისხლის წვიმების დრო", ქუდზედ კაცის დაძახება. ძლიერ მოკლე დროის განმავლობაში ქართლში მოგროვდა საუკეთესო ლაშქარი ქართველთა, საუკეთესო ვაჟკაცნი და მეომრების, რომელთაც პირისპირ შეეძლოთ შებმა და ნატვრის აღსრულება, საყოველთაოდ მით სამშობლო ქვეყნის განთავისუფლება.

ამ საუკეთესო მეომარ გმირებშივე ერივნენ დღევანდელ ქართველთ კათოლიკეთ ზუბალაშვილების წინაპარნი.

დანიშნულ დღეს, ქართველთა და ოსმალთ დაიწყეს ბრძოლა. გორის ფაშას დიდი ძალი მოეშველა აზრუმიდამ და ტრაპიზონიდგან. ამათვე შველოდნენ დაღისტნელნიც. იგინი სასტიკათ იბრძოდნენ, მაგრამ უკანასკნელთა მაინც ვერა გააწყეს-რა. ქართველებმა სძლიეს, გორიდამ დასძრეს და ისე განდევნეს, რომ ქალაქს და სოფლად ერთი ოსმალოს კაციც-

*) История умственнаго развитя эвропы, Дрепера 1866 г.

კი არ დასტოვეს; ოსმალეთის ჯარი ქვიშხეთამდე მირეკეს, მერე აქედგანაც დასძრეს და ბორჯომის გზით აწყვერამდე მირეკეს. აქედგან ახალციხისკენ უნდა წაეყვანათ, ახალციხეც უნდა დაეჭირათ, მაგრამ ეს ვეღარ მოუხდათ. ოსმალთ აწყვერში გაიმაგრეს ფეხი და ქართველნი უკუ იქცნენ. ოსმალთა ამ ომში დიდი ძალი განძეულობა დაკარგეს, დიდი ძალი ჯარის კაცნიც დაეხოცათ. ყველა ამის სანაცვლოთ მათ ქართველთაგან მხოლოდ რამდენიმე ტყვე იპყრეს ხელთა და ზოგიერთ ალაგას ქართველთ სოფლები და ეკკლესიები დასცარცვეს. ამავე დროს ეკუთვნის აწყვერის დიდი ეკკლესიის გაქურდვა და შემუსვრაც, რომლის შთენიც დღესაც იხილვება.

ქართველთ მეომარ ტყვეთ წაყვანილებში, სხვათა შორის ერივნენ რამდენიმე მეომარი ვაჟ-კაცნი ქართლელთ ზუბალაშვილებისა. საუბედუროთ, ოსმალთა, ტყვეთ სულ საუკეთესო ქართველთ მეომრები ჩაუვარდნენ ხელში, მათ ეს მეომრები ახალ-ციხეს გადაიყვანეს, იქ დააპატიმრეს, მერე, ოსმალში უპირებდნენ გარეკვას, მაგრამ საქმე ისე არ მოხდა; ქართველთა და ოსმალთა ომის გათავების და მორიგების შემდეგ არ გავიდა დიდი ხანი, რომ ახალციხელთ ქართველთ კათოლიკეთა, მათ მოძღვართა და მართლ-მადიდებელთა ციხეში

პყრობილ ტყვეების საქმეებს დიდი ყურადღება მიაქციეს. განიძრახეს მათი დახსნა, ამისთვის ერთმანეთში ფულიც მოაგროვეს და როცა ოსმალთ მეომრები ციხიდამ გამოიყვანეს და ოსმალისკენ წაყვანას უპირებდნენ და იქ დაყიდვას, მაშინ მათ შეევაჭრნენ ახალ-ციხის კათოლიკეთ მოძღვარნი, ყველა ტყვეები დაიხსნეს და გაანთავისუფლეს. ამ განთავისუფლებულებშივე მოჰყვნენ ზუბალაშვილები. განთავისუფლებულები პატრების მფარველობის ქვეშ იქმნენ შესულნი. ამათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდათ.

განთავისუფლებულის ტყვეების ზოგნი მაშინათვე ქართლში დაბრუნდნენ, ზოგნი-კი იქ დარჩნენ. პატრების მფარველობის ქვეშ შესულნი, ახალციხეში მოეწყვნენ ცხოვრებასა,

იქ დამკვიდრდნენ. სწორეთ ასეთ პირებში რეულან ზუბალაშვილებიც. ახალციხეში მყოფ ქართველ კათოლიკის მღვდლებმა დიდის სიბრალულით დაუწყეს მზერა, დიდ დახმარებას, დიდ მფარველობას აძლევდნენ, ყველაფერს საქმეში წინამძღვრათ ევლინებოდნენ. როგორც ეს მოძღვარნი პატრონობდნენ და მფარველობას უჩენდნენ დაჩაგრულ გმირებს, ასევე კიდევ ესენი უმზერდნენ მათ, ყოველ მათს სიტყვას დიდის პატივის ცემით უმზერდნენ, რასაც-კი მათ მოძღვარნი ეტყო--დენ, იგინი მას მაშინათვე უაღრესად ისმენდნენ, გულში ინერგავდნენ. კათოლიკის სუფთა მოღვაწე ბერებმა მათზედ ისეთი დიდი ზეგავლენა იქონიეს, რომ უკანასკნელ მათში კათოლიკის სარწმუნოებაც შეიტანეს, კათოლიკობის გავრცელებისათვის მოძღვართ არავითარი ოსტატობა არ უხმარიათ. თვით ქართველთ სარწმუნოებრივი მდგომარეობაც ისეთ პირობებში იყო მოთავსებული, რაის გამო მათში კათოლიკობა, როგორც ქრისტიანთ სარწმუნეობა საჭიროც ი, ამის მიზეზსაც მოგახსენებთ:

ახალციხეში, მართლ-მადიდებელთ ქართველთ საკუთარი ეკკლესია ძველადგანვე მოესპოთ. 1630 წ. სულ იქმნა შემუსსვრილი, ახალციხის დიდი ეკკლესია ჯამეთ იქმნა გადაკეთებული. როგორც ისტორიით ვიცით, ახალციხეში კათოლიკობა ძველადგანვე იყო აღორძინებული, თითქმის იმ დროდამ როცა იგი საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდა *). აქ კათოლიკობა XII საუკ. დასაწყისიდამ სჩანს. ეკკლესიას გარდა, ქართველთ არც მღვდლები ჰყვანდათ და აბა მაშ რა უნდა ექმნათ, სალოცავად კათოლიკის ეკკლესიებში დადიოდნენ, მფარველობას კათოლიკის ბერები უწევდნენ, მათთან დადიოდნენ და ლოცულობდნენ, ზიარებას მათგან ღებულობდნენ, ერთი სიტყვით, სულიერათ და ხორციელათ, სულ მათ ეკუთვნოდნენ და აბა სარწმუოების მხრითაც რაღა დაუშვებდა, რომ მათ არ დაკავშირებოდნენ. ამ დაკავშირებას პირველად

*) წერილი ვინმე მესხისა „მოგზაური“.

ხელს უწყობდა კათოლიკის მღვდლების მხნე ადამიანური მოქმედება და ხალხის სიბრალული, მეორე კიდევ, რომ ოსმალის მთავრობა და სასულიერო წოდება ქართველობას და მართლ-მადიდებელ სარწმუნეობას სასტიკად სდევნიდა და მესამე კიდევ და უმთავრესად ის გახლდათ, რომ ახალციხის მართლ-მადიდებელ ქართველთათვის საჭირო იყო ეკკლესია, ქრისტიანური ლოცვა და ამის მოპოვების სახსარი-კი მათ არ ჰქონდათ. ამიტომ იგინი ნატვრით დაუახლოვდნენ კათოლიკის სარწმუნოებას და მალეც აღიარეს იგი დიდის სიამოვნებით. სწორედ ამ ახალ მაღიარებელთ შორის ერივნენ ზუბალაშვილების რამდენიმე წევრნიც. ამ პირთა კათოლიკობასთან დაკავშირება ზედ მიწევნით 1620 წლებს მიეწერება. შეიძლება, ერთი წელიწადი, ან აქით იყოს, ან იქით, ხოლო არა 1625 წელზე უგვიანეს არ მოხდებოდა, რადგანაც 1670 წლებში ზუბალაშვილები უკვე კათოლიკის სარწმუნეობაში მტკიცე მაღიარებლათ სჩნდებიან. მათში კათოლიკის წესები იმ სისუფთავით და აღსავსებით არის დანერგილი რაც 20, 40 და ან 50 წელიწადშიაც-კი იშვიათად დამკვიდრდება და დაინერგება რომელიმე ოჯახის წევრთა კრებულში, რომელნიც-კი ერთი სარწმუნოებიდამ მეორეზედ გადასულან და ახალი სარწმუნეობის წესები შეუსწავლიათ.

კათოლიკე ზუბალაშვილები დამკვიდრდნენ ახალციხეს და იქ პატრების მეოხებით აღებ-მიცემაც დაიწყეს. ამათთვის ეს არც უნდა ყოფილიყო ძნელი, რადგანაც იგინი აღებ-მიცემას ძველადგანვე იყვნენ შეჩვეულნი. ახალციხეში მათთვის მარტოდ თანხა იყო საჭირო. თანხა და ნდობა კათოლიკის მღვდლებმა მოუპოვეს და ახალციხის ქართველ კათოლიკეთ მოწინავე კაცებმა: ქეთხუდებმა, იშხანებმა და აღალარებმა. ჩვენდა საუბედუროთ, ოსმალთა გაძლიერების შემდეგ, ახალციხის მცხოვრებთ ქართველ კათოლიკეთ დიდის ოჯახის შვილებს, ასეთი თათრული სახელები ეწოდათ. რა გაეწყობა, ამიტომ ჩვენ ნუ შეგვრისხავთ, რომ ჩვენც ამ სახელებს ვხმარობთ აქ, როგორც ეს მათ ოსმალთაგან ეწოდათ და რაც

იქმნება არც იმ დროის ქართველთ მოსწონდათ, ვინ იცის, მოგეხსენებათ, რომ ძალა აღმართსა ჰხნავსო, თუმცა ძველადგან ისიც არის ნათქვამი, რომ ხან აღმართი ხნავს ძალასაო. აღებ-ბიცემაში ზუბალაშვილებმა საკმარისი ნიჭიერება გამოიჩინეს, იგინი მალე დაწინაურდნენ, პატრების ვალიც მალე მოიცილეს და კერძო კაცებისაც. ქონებით და მის შესაძენის ხერხითაც უფრო მოიქარგნენ. მალე იგინი შემცნეულ პირებათ გამოცხადდნენ, მთელს ახალციხეში იგინი ცნობილ იქმნენ.

ვაჭრობაში რაკი მათ ფეხი გაიმაგრეს, მერე ახალ-ციხიდამ მთ სხვა და სხვა სოფლებშიაც დაიწყეს მოგზაურობა და აღებ-მიცემის გამართვა, მაგალითებრ: ესენი დადიოდნენ

ოცხეს, ჯავახეთს, ქვაბლიანს, არტაანს, შავშეთს, ართვინს, აჭარას და ყველგან ვაჭრობდნენ სოფლებში, ცოცხლად მიჰ-ყვანდათ თავიანთ საქმე. ამათ სოფლად გაჰქონდათ ყოველ-ნაირი საქონელი და იქ ფულს გარდა, ამ საქონელს სხვა და სხვა სოფლის ნაწარმოებზედაც სცვლიდნენ და მერე ამ სოფ-ლის ნაწარმოებს ქალაქ ადგილებში ასაღებდნენ. ვაჭრობის მხრით ზუბალაშვილებმა თავიანთი ნაბიჯის ხსოვნა დასტოვეს და ხსოვნას გარეშე, ასპინძას, ხიზაბავრას, აწყვერს, ახალ-ციხეს და სხვა კუთხეებში მამულებიც მრავლად შეიძინეს ისე, რომ XVIII საუკუნის ნახევარს, ასპინძაში მცხოვრებ ვაჭარ ზუბალაშვილების მამულების მხრით თვით მეზატონეთაც-კი ირიცხებოდნენ, და მასთან მეტად შეძლებულათ და ცოცხალ ენერგიის მექონეთ. რაც დრო გადიოდა, მით ზუბალაშვილე-ბის ოჯახთა წევრთა რიცხვიც მატულობდა და ნელ-ნელა, მის მეოხებით, წარმოებაც უფართოვდებოდათ. გაფართოვება ისე წავიდა მათში, რომ უკანასკნელთა შთამომავალთა სამც-ხე საათაბაგოს გარდა, მოგზაურობა და ვაჭრობა ქართლშიაც დაიწყეს, თავიანთი მამა-პაპეული კუთხეც გაახსენდათ, ქართლ-შიაც გადმოვიდნენ, ქართლიდგან სხვა კუთხეებსაც დაუახლოვდ-ნენ,მაგალითებრ თბილისს და სხვა პატარა ქალაქებს. ქართლში საბინადროთ მათ გორი ამოირჩიეს. გორში გაიკეთეს ბინა და იქ დაიწყეს აღებ-მიცემა და მხნეთ წარმოება.

ქართლი – ზუბალაშვილების მშობელი კუთხეა. აქ უც-ხოვრიათ მათ წინაპართ, მათ მშობელთ. თავიანთი სამშობლოს მფარველობისთვის ხშირად სისხლიც უღვრიათ. ხშირად მტერს პირისპირ შებმიან და ისე შეუნახავთ თავიანთი მეფობა, ერი, ქვეყანა, ქრისტიანობა, ენა და მწიგნობრობა. ეს ხომ უტყუა-რი ჭეშმარიტება გახლავსთ. ამას ამტკიცებს თვით იმ ზუბალა-შვილების წევრთა ისტორიის ცნობებიც, რომელნიც ცხარე ბრძოლის დროს, საუკეთესო ვაჟკაცნი მტერთა ბანაკიდამ იგ-დეს ხელში და თან წაიყვანეს, დააძაბუნეს, სამშობლო ქვეყ-ნის ბრძოლას და უბედურობას შორიდგან მზერდნენ, მაგრამ რას იზამდნენ, მტრის მახვილს ვერ გაექცეოდნენ, ბედს დაე-მორჩილენ. ბედმა იგინი ახალციხეს გადასტყორცნა, მაგრამ იქ სხვაფერ დაუტრიალდათ საქმე, გარემოებამ გაუღიმა მათ. ტყვეობაში ცხოვრების გეგმა შეიცვალა, იგინი თავისუფალ იქმნენ; შემდეგ სხვა და სხვა ღირსებითაც დაჯილდოვებულ და ამაღლებულ და უკანასკნელ შეძლებითაც ჩენილნი.

ქართლში გარდმოსული ზუბალაშვილები ყველამ სია-მოვნებით მიიღო. მრავალთ გაახსენდათ ძველად, ანუ 50 წინეთ ქართლიდამ ტყვედ წაყვანილთ ზუბალაშვილების ცნო-ბები და მრავალთ ისიც იცოდნენ, რომ ეს ტყვე ზუბალაშვი-ლები ახალციხეში სცხოვრებენ, დაცოლშვილებულან და აღებ-მიცემას შესდგომიანო.

ქართლში ეს ყველამ იცოდა; გლეხმა, მოქალაქემ, თა-ყადმა, აზნაურმა, მღვდელმა და ბერმა. მიტომაც იყო, რომ

ქართლში მოსულ ზუბალაშვილებს პატივით უმზერდნენ ყველანი საერთოდ და თვით ბატონიშვილებიც. ყველას ახსოვდათ ზუბალაშვილების ღვაწლი სამშობლოა ქვეყნის წინაშე და მიტომაც მათ შთამომავლობას შესაფერის პატივითაც უმზერდნენ. აქ უნდა ვსთქვათ, რომ ახალციხიდამ ქართლში დაბრუნებული ზუბალაშვილები ისინი კი არ იყვნენ, რომელნიც ტყვედ ჩავარდნენ და თან წაიყვანეს ოსმალთა, არამედ მათი შვილები იყვნენ, რომელნიც, ვაჭრობის მხრით, მათ მამებს წინათვე ემზადებინათ, ქართლშიაც ეტარებინათ და ყვე-

ლასთვის კარგად გაეცნოთ. მშობლებს შვილებისთვის ბევრი რამ ცნობები ჩაენერგათ გულში და ბევრი-რამ ეუწყებინათ თავიანთ ცხოვრების და თავგადასავალის შესახებ. ეს ცნობა შთამომავლობას ისე გაუმტკიცდა გვამში, რომ უკანასკნელ სამუდამო საცხოვრებელ ბინათაც კი თავინთ წინა-პართ კუთხე გაიხადეს, იქ ინატრეს დამკვიდრება, წარმოების გაფართოვება და ცხოვრება.

ზუბალაშვილებს ოსმალეთიდგან და ოსმალეთის სამფლობელო საქართველოდამ ქართლში, თფილისში და შემდგომ იმერეთშიაც გადმოჰქონდათ ის საქონელი და ნივთეულობა, რაც აქ იყო საჭირო და გასავალი ჰქონდა. საქონელს ზოგს ფულზედ ჰყიდნენ, ზოგს ჭირნახულზედ სცვლიდნენ და ზოგსაც სხვა და სხვა ისეთ ნაწარმოებზედ, რაც საქართველოში მრავლად მოდიოდა და მას ოსმალეთშიაც კარგი გასავალი ჰქონდა. ვაჭრობით ამათ გორში, ცხინვალში, თბილისში და სხვაგანაც ერთობ კარგად წაუვიდათ საქმე. იგინი მალე დაწინაურდნენ ქონებით, ქართლში შეიძინეს კარგი მამულები და უკანასკნელ ახალციხიდამ რამდენიმე ოჯახი გორში გადმოსახლდნენ, აქ ააგეს შენობა და საყოველთაოდ აქ დამკვიდრდნენ. მკვიდრათ დასახელების და განმტკიცების შემდეგ მათ უფრო მხნეთ და ენერგიულათ იწყეს მგზავრობა სხვა და სხვა ქვეყნებში და აღებ-მიცემა. აქამდე ესენი თუ მარტოდ ოსმალეთში დადიოდნენ, მის შემდეგ სპარსეთში, რუსეთში, ინდოეთში და კოსტანტინეპოლშიაც იწყეს მგზავრობა. იქიდამ ამათ შემოჰქონდათ შაქარი, ყავა, ქაღალდი, სარკე, ფარჩეულობა და სხვა და სხვა საქონელი, რაც-კი საჭირო იყო საქართველოში და მას კარგი გასავალიც ჰქონდა.

ზუბალაშვილები ახალციხეს კათოლიკობას ლათინის ტიბიკონით დაუკავშირდნენ. მაინც ძველად, საქართველოში, ქართველთ შორის, კათოლიკობა ლათინის ტიბიკონითაც ვრცელდებოდა, თუმცა ლათინის ტიბიკონის მოძღვარნი წირვა ლოცვას ქართულის საეკკლესიო წესის ტიბიკონითაც ასრულებდნენ. ძველად, საქართველოში, ასე იყო და ამიტომ ვამბობთ

აქ, რომ, როგორც ზუბალაშვილები, ისევე სხვა ქართველნი,

როცა-კი კათოლიკობას დაუკავშირდებოდნენ, იგინი ყოველთვის ლათინის წესრიგის ტიბიკონზედ გადადიოდნენ. შემდგომ იგინი იწოდებოდნენ სარწმუნოებით რომის კათოლიკეთ, ხოლო გვარათ, ანუ ნაციონალურის მხარეებით – ქართველად, ქართველი. თუმცა ამაზედ ჩვენ ქვემოთაც გვექნება საუბარი, მაგრამ აქაც აღვნიშნეთ ის გარემოება თუ, როდესაც ქართლიდამ წაყვანილი ზუბალაშვილები ახალციხეში განთავისუფლდნენ და მერე კათოლიკობას დაუკავშირდნენ, თუ იგინი რა წესს-რიგს დაუკავშირდნენ; სხვა ტიბიკონის კათოლიკობას აბა იგინი როგორ დაუკავშირდებოდნენ, როცა ძველად დასავლეთ საქართველოში, ქართველთ შორის, ყველგან ლათინის ტიბიკონის მოძღვარნი სცხოვრებდნენ და კათოლიკენიც ასევე იწოდებოდნენ. ასე და ამგვარად, ძველად, საქართველოში, სომხის ტიბიკონის კათოლიკეთა ხსენებაც არ ყოფილა. სომხის კათოლიკის ხსენება და არსებობა საქართველოში 1730 წლიდგან შემოდის. ამას ცხადლივ ამტკიცებენ თვით დღემდე დაშთენილი კათოლიკეთ ძველი ეკკლესიები, რომელთა ძველი ცნობები და ქაღალდები ყველგან აცხადებენ სინამდვილეს *).

III

ქართველ კათოლიკ ზუბალაშვილების ქართლში გადმოსვლა დ დასახლება XVII საუკ. ბოლოს მიეწერება, ზედ მიწევნით 1680 წლებში. ამ რიცხვს შეიძლება ერთი ან ორი წელიწადი აეწინაღმდეგოს, მეტი-კი შეუძლებელია. გორში ამ დროის ქართველ კათოლიკე ზუბალაშვილებათ სჩანან ზურაბი, პავლე, კოსტანტინე და მარიამი. მამაკაცებთ შორის, სხვებიც სჩანან, ზოგნი მათში ზუბაშვილებათ იწოდებიან. აქ მო-

*) იხილეთ ახალციხის იოანე ნათლიმცემლის „კონდაკები“ დაწერილი XVIII საუკ.

ხსენებული ზურაბის მეუღლე ყოფილა მარიამი. ეს ზურაბი და მარიამი XVII საუკუნის პირებად ირიცხებიან. სად გაატარეს მათ თავიანთი სიცოცხლე და, ან სად, და როდის გადაიცვალნენ, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით მწერლობით. ის-კი მოთხრობილი არის მრავალთაგან და ცხადია, რომ ზურაბი და მისი მეუღლე მარიამი ახალციხეში დაბადებულან, იქვე აღზრდილან და იქვე დაქორწინებულან. ზურაბი აღებმიცემაში აიმოდენათ ყოფილა წინ წასული, რომ მას ვაჭრობა ახალციხეს გარდა ქართლშიაც ჰქონია დაწყობილი და გორში ამათ ისე ჰქონიათ წარმოება მოწყობილი და დაწინაურებული, რომ უკანასკნელ საყოველთაო საცხოვრებელ ბინათაც გორი ამოურჩევიათ. გორში უცხოვრიათ, იქვე დაბერებულან და იქვე გარდაცვლილან. როგორც ვსთქვით, ზურაბის გარდაცვალების წელნი არ სჩანს. ამის მეუღლე მარიამი

კი 1732 წ. გარდაცვლილა.

ამ ზურაბის და მარიამისაგან 1696 წ. დაბადებულა გიორგი ზუბალაშვილი. გიორგი გორში აღზრდილა. იმ დროის კათოლიკის მოძღვართაგან ქართული წერა-კითხვა შეუსწავლია, შემდგომ სწავლისა ვაჭრობისთვის მოუკიდნია ხელი და თავისს უკანასკნელ დღემდე ვაჭრობის ასპარეზზედ დარჩენილია. იმ დროს ქართლი ნელ-ნელა მოშენებას ეძლეოდა, ხალხი წელში მაგრდებოდა და ამიტომ მრეწველთა და ვაჭრებსაც ბედი უღიმდებოდათ. ყველა საქმეთა უკეთ აღებ-მიცემა ფეხს იდგამდა. გორის ვაჭრებმა თავისუფლად იწყეს აქეთ-იქით მგზავრობა და აღებ-მიცემობა. ასეთმა გარემოებამ გიორგი ზუბალაშვილსაც კარგათ შეუწყო ხელი და ამის საქმეები უფრო კარგად წავიდა, რადგანაც მას ამისთვის თანხაც ჰქონდა და ამ წარმატებისთვისაც ძალაც მოსდევდა. მოწიფულობის დროს, გიორგი გორში დასახლკარდა და მეუღლეთ შეირთო იმ დროის ქართველ კათოლიკის ქალი თამარი. ამ ქალის ვინაობა ჩვენთვის უცნობელია, ხოლო ის-კი კარგად სჩანს, რომ იგი, ქ. გორის მკვიდრთაგანი უნდა ყოფილიყოს. ქართველ კათოლიკეთ შემცნეული ოჯახის ასული.

ამას იმ დროის გორის ქართველ კათოლიკეთ მოძღვარიც ამტკიცებს: იგი, გიორგისა და თამარს გორის მკვიდრთაგანს სთვლის, მათ სამშობლოთ იგი მიაჩნია. ამიტომ ჩვენ აქ ვიტყვით, რომ გიორგი და თამარი გორში არ ყოფილიყვნენ დაბადებულნი, უამისოდ იმ დროის ლათინის მოძღვარი გიორგისა და თამარს გორის მკვიდრთაგანათ არ ჩასთვლიდა. ამათ სამშობლოთ გორს არ აღიარებდა, რადგანაც მათ ჩვეულება ჰკონდათ, რომ სადაც უნდა ვინმე კათოლიკე მოენათლათ, ან ჯვარი დაეწერათ და გინდ დაესაფლავებინათ, იმას ისინი აღნიშნავდნენ საკუთარი სახელის მოხსენებით, იმ თემის, ქალაქის, დაბის და სოფლის სახელებით, სადაც აღნიშნული პირი დაბადებულა. ეს ჩვეულება მათ თვით მონათვლის და ქორწინების დროსაც კი ჰქონდათ მიღებული. მაგალითებრ: 1784 წ. „მოვნათლე სჯულიერის დედმამისაგან ყმაწვილი ივანე, რომლის სვინათ იყო კლდიელი სვიმონი, შავშელი სტეფანე, ხანდაკელ სლავიანე, ცხინვალელ პეტრე, ოქრო ბაგეთელი გიორგი" და სხვანი ამ გვარნი. ამას ჩვენ აქ თამამად ვიტყვით, რადგანაც თვით ამ გიორგის ბიძის, ანუ სახლიკაცს, მერაბს, გორის პატრი ხიზაბავრელად მოიხსენებს, რადგანაც მერაბი მხოლოდ ხიზაბავრაში დაბადებულა, თორემ აღზრდით ქართლში აღზრდილა და 1781 წ. გარდაცვლილა 80 წლისა, ე. ი. დაბადებულა 1700 წ. სახლისკაცობის მხრით ჩვენ აქ ამ მერაბზედ ვერას ვიტყვით, იქნება ეს გიორგის ღვიძლი ძმაც იყო, ვინ იცის.

გიორგის და თამარს 1734 წ. დაებადათ შვილი, პეტრე. ჩვენ არ ვიცით პეტრეს შესახებ, თუ ეს მათი სიყმის შვილი იყო, თუ მეორე და მესამე. ამ დროს, გორის კათოლიკეთ

ეკკლესიის მღვდელათ ყოფილა ფელიქს ანტონი, რომელსაც პეტრე მოუნათლავს და ამ ყმაწვილის მონათვლის ცნობა გორის ეკკლესიის კოწდაკშიაც მოუქცევია. იქ ასე სწერს: – „ფელიქს ანტონიუმ გოჯიელმა გორის კათოლიკეთა ეკკლესიის მოძღვარმა, ამ (გორის) სამშობლოს შვილებს თამარს და გიორგის ზუბალოვს მოუნათლე შვილი პეტრე 1734 წ.“ პეტრეს შემდეგ,

გიორგის და თამარს 1736 წ. დაბადებიათ მეორე ვაჟი-შვილი სახელად ფელიქსი უწოდებიათ. ამ დროს გორში მოძღვრათ ყოფილა ანჟელო მარია ვილათელი. ამ პატრს მოუნათლავს. 1737 წ. დაბადებულა ვაჟის შვილი, სახელად ფრანცისკე უწოდებიათ. 1740 წ. დაბადებიათ ასული, ანნა. ამ დროს მოძღვრათ ყოფილა სერაფიონ მელითელი, ნათლიათ ყოფილა ელენე ზუბალაშვილისა. 1747 წ. დაბადებიათ ვაჟი-შვილი ივანე, მოძღვრად იგივე ყოფილა. 1750 წ. დაბადებიათ ასული, სახელად მარია უწოდებიათ, ნათლიათ ყოფილა მერაბ ზუბალაშვილი, იგივე სერაფიმ მოძღვარი ყოფილა ამ დროსაც.

გიორგის და თამარის შვილებათ ჩვენ მარტოდ ეს პირები მოვიპოვეთ და მათი სახელები. ამათ ძეთა სჩანს კიდევ ერთი ვაჟი-შვილი, სახელდობრ იერონიმე, მაგრამ მის დაბადების დრო ჩვენთვის უცნობია. აზრი არის, რომ იერონიმეს გარდა გიორგის და თამარს სხვა შვილებიც უნდა ჰყოლოდეს, ხოლო ამათ ცნობა-კი ჩვენ არ გვაქვს და რომ უნდა ყოფილიყვნენ, ამას კი ეჭვი არ უნდა, რადგანაც 1740-50 წლებში, გორში და სხვაგანაც კათოლიკე ზუბალაშვილების ერთის სახელის მექონი პირნი მრავლად სცხოვრებდნენ, როგორც კაცებში, ისევე ქალებში. ამათი ასული ანნა, ჩვილი გარდაცვლილა 1741 წ. ამას გორის იმ დროის პატრიც ამოწმებს ერთი შვილიც ამავე მშობლებისა გარდაცვლილა 1771 წ. ამის სახელს, იმ დროის მოძღვარი არ ასახელებს. მარტოდ ასე მოწმობს: – „1770 წ. გარდაიცვალა გიორგის შვილი". ხოლო ვინ იყო ეს, ქალი თუ ვაჟი, ამაზედ არას სწერს; თუ ეს მოწმობა მართალია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარდაცვალებული შვილი მცირე წლოვანი არ იქმნებოდა, რადგანაც გიორგი ზუბალაშვილი, მოხუცებული, 74 წლის იყო. თვითონ ეს მოხუცებულიც მალე გარდაიცვალა, წლის თავზედ 1771 წ. 75 წლისა, ხოლო რომელ თვეს, ეს კი არ არის მოხსენებული. გიორგის მეუღლემ 15 წლით მეტი იცოცხლა თავის მეუღლეზედ და გარდაცვლილა 1785 წელს 70 წლისა. აქედამ სჩანს, რომ გიორგის ქალი, მეტად ახალ-გაზრდა

შეურთავს ცოლად. ასე რომ ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ. რომ გიორგის და თამარის ქორწინება 1831 ან 32 წ. უნდა მომხდარიყოს, რადგანაც ამ წლებს ქალი 16-17 წლის იქმნებოდა და კაცი-კი მეტის ხნის. ჩვენ იმასაც თამამად ვიტ-

ყვით, რომ 1734 წ. დაბადებულთ პეტრე სიყმის შვილი უნ-
და იყოს და ივანე კი მეშვიდე შვილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა აქ მოთვლილი პირები
სულ გორში გარდაცვლილან და იქვე დაუსაფლავებიათ. ივა-
ნე ზუბალაშვილი გახლავსთ პაპა სტეფანე ზუბალიშვილი-
სა. რადგანაც აქ უკვე ცნობილია ივანე ზუბალაშვილის წინაპარ-
ნი, ამიტომ ჩვენ ივანეს მამის თანამედროვე ზუბალაშვილებზე-
დაც ვისაუბრებთ, მერე ივანეზედ გადავალთ. ეს ჩვენთვის მი-
ტომ უფრო გახლავსთ საჭიროთ, რადგანაც გიორგი და მის
მამის თანამედროვე ქართველ კათოლიკეთ ზუბალაშვილების
ცხოვრება და საქმეები მეტად მჭიდროთ არის დაკავშირებუ-
ლი როგორც ზურაბის ოჯახთან, ისევე გიორგის, მის შვი-
ლის ივანესი და მასთან იმ დროის გორის მთელ ქართველ
კათოლიკეთ ყოფა ცხოვრებას და მათს პირობებთან.

გიორგი ზუბალოვის და მის მამის ზურაბის თანამედრო-
ვე პირად რამდენიმე გვამი სჩანს ზუბალაშვლებისა და ერთი
ამათგანი გახლავსთ მერაბ ზუბალაშვილი. მერაბი 1700 წელს
დაბადებულა, გიორგი ზუბალაშვილზედ 5 წლით გვიან. ჩვე-
ნი საგნის ცნობები რომ არ აირიოს, ვიტყვით, რომ XVIII
საუკ. ნახევარს, ერთიც სხვა მერაბ ზუბალოვი სჩანს, რომელ-
მაც XIX საუკ. პირველ რიცხვებამდეც მოაღწია, ხოლო სად
გარდაიცვალა და რა ხნის, ამის არა ვიცით-რა. პირველ მე-
რაბის შესახებ ზოგიერთი რამ ცნობები გვაქვს: როგორც
სჩანს, მერაბი ხიზაბავრაში უნდა იყოს დაბადებული, რადგანაც
გიორგი მოძღვარი ასე მოიხსენებს მას: .1767 წ. ნათლიათ
ყოფილი მერაბ ზუბალაშვილი, ხიზაბავრელი“. ესევე მერაბი და
ამის მეუღლე ელენეც ხშირად ყოფილან ნათლიათ, არამც
თუ უცხო პირების, არამედ თავიანთი მეგვარეების, თვით
გიორგის და თამარის შვილებიც მოუნათლავსთ. მერაბი გარ-

დაცვლილა 1781 წ. 80 წლისა. ამის მიცვალების დროის
გორის კათოლიკეთ მოძღვარიც ასაბუთებს, რომ „1781 წ.
მერაბი ზუბალაშვილი ხიზაბავრელი გარდაცვლილა 80 წლისა“. მე-
რაბის შემდეგ 1783 წ. გარდაცვლილა ამის მეუღლე ელენეც
70 წლისა.

მერაბის და მის მეუღლის ცხოვრებას და მოქმედების
ცნობებს ჩვენ იშვიათად ვხვდებით, ის-კი კარგათ სჩანს,
რომ ამათ მეტად დაახლოვებული კავშირი ჰქონდათ გიორ-
გი და თამარ ზუბალაშვილის ოჯახთან, ესენი ერთმანე-
თის ახლო ნათესავები უნდა ყოფილიყვნენ. მერაბის
მამათ ჩვენ მიგვაჩნია იოსებ ზუბალაშვილი, რომელიც
XVIII საუკ. დასაწყისს, სამცხიდამ ქართლში გადმო-
დის და 1770 წლამდე გორში სცხოვრებს. ამ მერაბს და
ელენს რამდენიმე შვილი მისცემიათ, ვაჟი და ქალი. ამათ
შვილების ცნობები ჩვენ არ გვაქვს, არ ვიცით, თუ რამდენი
შვილი ჰყვანდათ. უშვილობა კი არ შეიძლებოდა, რადგანაც
ამათ დროს, გორში კათოლიკენი მრავლად იყვნენ. გარდა

ამისა მოხსენებულია, რომ მერაბის ვაჟი ივანე გარდაიცვალა 1780 გორში. მერაბი სახელოვანი კაცი ყოფილა, მეფე თეიმურაზ და ერეკლე სცნობია. მეფე და ბატონიშვილები მას პატივს სცემდნენ. იგი სიბერეში კუტათ ჩავარდნილა. კუტათ კარგა ხანს ყოფილა. ეს ამბავი მეფე თეიმურაზ-მაც იცოდა და ამიტომ პატივსაც ანიჭებდა ყოველნაირის მხრით. მერაბი მეფის წინაშე მეტყველებასაც იჩენდა და კათოლიკობაზედ თავისუფლად ესაუბრებოდა. მერაბისა-ვე თანამედროვე პირად მიგვმჩნია ანდრია ზუბალაშვილი, რომელიც ცნობილი პირია მეფის ერეკლის და გიორგის წინაშე; იგი გორში სცხოვრებდა და იყო წარჩინებული ქარ-თველი. ამის გარდაცვალება 1793 წ. მიეწერება. ამ ანდრიას გარდა, 1770 წლებში, მეორე ანდრია ზუბალაშვილიც იყო, ძე იაკობისა.

იოსებ ზუბალაშვილი. იოსების მეუღლე ყოფილა ლალე-ბა. მათი შვილი გიორგი დაბადებულა 1776 წ. ამას მოწმობს

გორის კათოლიკეთ მოძღვარი პატრი ანდრია. იოსებისავე ასული ანნა 1787 წ. იოსების ასული მარიამი გარდაიცვალა 1772 წელს. ეს იოსები 1762 და 1775 წ. ყმაწვილებს ნათ-ლავს. იგი შენიშნულია, ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, კათოლიკი. ამის გარდაცვალება მიეწერება 1795 წლებს. ამ იოსების გარდა, სხვა იოსებიც სცხოვრებდა, რომელმაც XIX საუკუნის 1830 წლებამდესაც მოაღწია. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ 1776 წ. იოსებს უკვე შვილი უჩნდება და მეორე, იოსები-კი ძე იაკობისა ჯერეთ გაჩენილიც არ იყო. 1750 წ. გარდაცვლილა ქალია ზუბალაშვილისა, ხანში შესუ-ლი. XVIII საუკუნეში სჩანან კიდევ შემდეგი ქალები ზუბა-ლაშვილებისა: მარიამი – გარდაცვალებულა 1746 წ. ანნა – 1752 წ. მარიამი – 1752 წ. ვისი შვილები არიან, ან ვის ოჯახს ეკუთვნიან, ეს არ სჩანს.

XVIII საუკუნის პირადვე უნდა მივიღოთ გიორგის შვილი ფრანცისკე, რომელიც შენიშნულია, როგორც მტკიცე კა-თოლიკე, მფარველი კათოლიკეთ, მრავალ ტყვეთა დამხსნელი და მომნათლავი მათი; პატიოსანი პირია, თავისს დროის კვა-ლად და ღვიძლი ძმა ივანე ზუბალაშვილისა. ამის ასეთს თვისებას, თვით გორის კათოლიკეთ პატრიც ასახელებს. ასე-თის საქმეთა პატივისცემით მოიხსენებენ მას 1784 წ. გორს. XVIII საუკუნის ზუბალაშვილების ხნიერ პირთა ცხოვრების შესახებ მოვიყვანთ შემდეგს ცნობას;

მეფე თემურაზის ბრძანებით თბილისიდამ და გორიდამ ქართველ კათოლიკეთ მოძღვარნი დევნილ იქმნენ. მრევლიც უღვთოთ დასაჯეს. პატრები ახალციხეს გადავიდნენ, იქ და-მკვიდრდნენ. თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ, მეფე ერეკლემ თავისს და ანნა გაგზავნა ახალციხეში და პატრებს სთხოვა თბილისსა და გორში დაბრუნება. მასთან დაჰპირდა: ეკკლე-სიებს დაგიბრუნებთ, ზარალს აღგიდგენთ, ულუფასაც დაგი-

ნიშნავთ, დაბრუნდით და ხალხს უპატრონეთო“, *) მა-

*) იხილეთ „ანდერძის წერილი“ 1870 წ. ჟურ. „ცისკარი“.

შინ საშინელი ჭირიც მძვინვარებდა ხალხში. პატრებმა შეისმინეს თხოვნა და ქართლში დაბრუნდნენ. სხვათა შორის, ერთი დაბრუნებულთაგანი პატრი გიორგი შემდეგს სწერს:

„თეიმურაზ მეფისაგან პატრების განდევნას და ეკკლესიების წართმევის გორის ეკკლესიად იქმნა დაშთენილი გიორგი ზუბალაშვილის სახლი. როცა მეფე ერეკლეს თხოვნით მე გორში მოვედი, მაშინ გიორგი ზუბალაშვილის სახლში მოვნათლე ანდრია ზუბალაშვილი, დაბადებული 1767 წ. პატრი გიორგი მთავრინელი. ამავე პატრს აქ, ამავე გიორგის სახლში მოუნთლავს თამარი, ელენე და სხვანი. იგივე სწერს; – „1764 წ. მე რომ ახალ-ცი ხეს მოველი, მაშინ აქ, ზუბალაშვილებში შემდეგი პირი ვნახე: გიორგი, მერაბი, იოსები, ივანე და ვარდენი“. აქ ყველა არ არის მოხსენებულნი. ისინი არიან, ვინც მის დროს გორში იყვნენ და ანუ მოწიფულებაში შესულნი, მცირე წლოვანთ იმ დროის გორში არ ყოფილთ კი არ მოიხსენებს. შეძლების და გვარათ ჩვენ შევკრიბეთ იმ პირთა ზუბალაშვილის ცნობანი, რომელნიც-კი 1700 წლიდგან 1800 წლებამდე, ანუ საქართველოს რუსეთთან დაკავშირებამდე დაბადებულან და გარდაცვლილან, ზოგ ამათგანმა XIX საუკ. პირველ რიცხვებსაც მოესწრნენ და მიტომ ესენი ქვემოთ იქმნებიან მოხსენებულნი. ეხლა-კი ჩვენ შეუდგებით გიორგის და თამარის შვილს ივანეს და მისს ცნობებს.

ივანე გიორგის ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1747 წ. ამ რიცხვს ცხადათ ამტკიცებს გორის ეკკლესიის „კონდაკიც“. ივანე აღზრდილა გორში მშობლებთან. დროს მიღწეული მიუციათ იმ დროის კათოლიკის ეკკლესიის სკოლაში სასწავლებლათ. აქ მას უსწავლია ქართული წერა-კითხვა, ლათინური, ზოგი-რამ საჭირო ლოცვები და შემდგომ სწავლისა, აღებმიცემას მოჰკიდა ხელი. ეს უკვე 28 წლის ხელოვანი ვაჭარი იყო, რომ მამა მოუკვდა 1771 წ. ივანე ზუბალაშვილს. ადრიდგანვე შეეტყო გარდამეტებული ენერგია და რამდენიც ხანში მიდიოდა, იმდენი ეს თავის ვაჭრობას უფრო აფართოვებდა. მას გორში ჰქონდა რამდენიმე სავაჭრო და ასევე თბილისში.

გარდა თბილისსა და გორს, ეს მოგზაურობდა ოსმალეთს, სპარსეთს, რუსეთს და სხვაგან. მცირედ რუსული ენაც შეისწავლა და იქიდამ შემოჰქონდა საქართველოში დიდი ძალი საქონელი. რასაკვირველია ის საქონელი, რაც საქართველოში არ იშოვებოდა და იქ გაჰქონდა კიდევ ის ნაწარმოები, რაც საქართველოში მოდიოდა და მათში-კი არ იყო. ივანე ზუბალაშვილი თავისს დროის კვალად ისეთ სახელოვან პი-

რათ გარდიქცა, რომელიც ადვილად დაუახლოვდა იმერეთის მეფე სოლომონს II-ს, სამეგრელოს მთავარს, გურიის, აფხაზეთის და სვანეთისას. ამ მთავრების სასახლის ვაჭართაც ის ირიცხებოდა. ყველა საჭირო, სახმარი ნივთეულობა ამას მიჰქონდა სასახლეში. ივანეს ამიტომ მთავრები და ბატონიშვილები დიდათ აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. რაც ხანი გადიოდა, მით ივანეც, როგორც ქონებრივ იწევდა მაღლა, ისევე გამჭრიახობით, სხვა და სხვა სამრეწველო საქმეებთა და მაზანდების ცოდნის მხრით.

ჩვენის ძველის დროის ცხოვრების წეს-ჩვეულების თანახმად, ივანე ზუბალაშვილმა 20 წლისამ მეუღლეთ შეირთა გორელი ქალი. ვისი ქალია ჩვენ არ ვუწყით, ის კი სჩანს, რომ იგი, იმ დროის, საუკეთესო ოჯახის ქალათ ითვლებოდა. პირველი შვილი მიეცა 1770 წ. გაბრიელი. 1772 წ. მიეცათ მეორე შვილი, ანდრია, რომლის მონათვლასაც გორის ეკლესიის კათოლიკეთ პატრი სტეფანე ამოწმებს. შემდეგ ამისა მისცემია რაფიელი 1780 წ., პეტრე – 1785 წ. ამის დაბადებას და მონათვლას კარგად ამოწმებს იმ დროის კათოლიკეთ მოძღვარი, ანტონ ფრანცისკელი. პეტრეს შემდეგ დაიბადა იაკობი 1792 წ.; იაკობის შემდეგ სტეფანე 1794 წ. ამათ დაბადებას და მონათვლას იმ დროის მოძღვარი ბერნარდე ამოწმებს. 1797 წ. დაბადებულა პეტრე-პავლე. ამასაც ბერნარდე ამოწმებს. მისცემიათ კიდევ თამარი, რომლის დაბადება არ სჩანს. გარდაცვალებულა 1798 წ. დავითი, დაბადება არ სჩანს. გარდაცვალებულია 1817წ. მიქელი – დაბადება არ სჩანს, გიორგი – დაბადება არ სჩანს, ორი თუ სამი

ქალები ჰყოლია, მაგრამ ჩვენ არც ამ ქალების სახელები ვიცით.

ივანეს ოჯახი თავის დროის კვალად საქართველოში დიდს და მასთან ქებულ ოჯახათ ითვლებოდა. მათს ოჯახში ყოველი სანოვაგე სიუხვით მოიპოვებოდა, ეს როგორც მაშინ იცოდნენ. გარდა ამისა, ივანე და მისი მეუღლე მეტად ჭეშმარიტი ქრისტიანებიც ყოფილან, დიდათ ჰყვარებიათ გლახაკთ შემწეობა, ღარიბთა და დავრდომილთა შებრალება. მათს სახლს ვრდომილი ისე არ ნახავდა, რომ მოწყალება არ მიეღოთ. ცარიელს არავის გაუშვებდნენ. მაშინდელი გორის კათოლიკენი ქებულნი იყვნენ ამ სანაქებო საქციელით. გლახაკთ მწეობით ივანეს ოჯახი სახელოვნებდა. მათი შვილების აღზრდის, გამოწვრთნის და ცხოვრებაში გამოყვანის საქმეც ისე ჰქონდათ მოწყობილი, რაც ადამიანურს წესებს და შთამომავლობის განკაცებას კარგად უწყობდა ხელს. ასეთ გაბრწყინვალებულის ოჯახის დედა ანასტასია გარდაიცვალა 1802 წ. დაბადებიდგან სიკვდილამდე რამდენი ხნისა იყო, ეს არ სჩანს. როგორც ამ ქალს, ისევე ივანე ზუბალაშვილს მრავლად უნათლავთ სხვა და სხვა ოჯახის შვილები. ნათელ-მირონობა

ამათ ძლიერ ჰყვარებიათ. ანასტასიას შემდეგ 1817 წ. გარ-
დაიცვალა ივანე ზუბალაშვილიც – 71 წლისა. გარდაცვალება
ივანე და ანასტასიასი – გორს მომხდარა. ესენი მტკიცე წევ-
რებათ ირიცხებიან გორის ეკკლესიის „სავარდისის ძმობის“.
ქუთაისის ეკკლესიის, ახალციხის და სხვა ეკკლესიებისთვისაც
მრავლად უძლევიათ შეწირულება. XVIII საუკუნის ნახევარს
სჩანს კიდევ.დავით ზუბალაშვილი, რომლის ასული ნათელა
1784 წ. გარდაიცვალა გორს.

ივანეს შვილს ანდრიას მისცემია გრიგოლი, ივანე 1817 წ.,
თეკლე 1820 წ. გრიგოლი და მარიამი გარდაცვლილან 1823 წ.
გიორგის: ანასტასია, სიმონი, ალექსანდრე, იოსები, ნიკო-
ლოზ, ივანე, გიორგის მეუღლე ანნა მიიცვალა 1806 წ. ია-
კობს: – ლევანი, ალექსანდრე, კონსტანტინე, ალექსანდრე
მიიცვალა 1825 წ. მიქელს: ზაქარია, თომა, ალექსანდრე.

სჩანან კიდევ მიხეილ და თამარ ზუბალაშვილები და მათი
შთამომავალნი, რომელნიც XIX საუკუნეში სცოცხლობდნენ:
ბარბარე 1831 წ. გიორგი 1818 წ. სალომე, ელისაბედი,
სოფიო მიიცვალა 1831წ. სხვა შვილებიც ჰყოლიათ, ჩვენ
ამის არაფერი ცნობა გვაქვს. უნდა ვსთქვათ, რომ აქ მოხსე-
ნებულ ექვს ძმა ივანეს შვილებში იაკობი არის მეოთხე შვი-
ლი ივანესი. ამ იაკობის შვილის შვილია სტეფანე ზუ-
ბალაშვილი და დღევანდელი ამისი სახლისკაცები. მეექვსე
შვილის პეტრეს ცნობებისაც არაფერია დაშთენილი. უნდა
ვსთქვათ, რომ რაც ზუბალაშვილების გვარის წევრნი მართლ-
მადიდებლობიდან კათოლიკობაზედ გადავიდნენ, მისს შემდეგ
უნდა იქმნეს გასული 270 წელიწადი. ასე რომ, დღევანდელ
ახალ-გაზდათ ზუბალაშვილების შთამომავალნი მეშვიდე ან მერ-
ვე თაობათ უნდა მივიღოთ.

როგორც სჩანს XVIII საუკუნის ნახევრამდე, საქართვე-
ლოში ზუბალაშვილების გვარის წევრნი ძლიერ მრავლად
ყოფილან გავრცელებულნი და მათში მრავალნი ერთმანეთის
თანამოსახელენიც. თანამოსახელეთ რიცხვი ისე ყოფილა მრავ-
ლად, რომ ხშირად ორს ძმის შვილებში ორი და სამი თანა-
მოსახლენი ყოფილან. ამის მიზეზი ცხადია, რადგანაც კათო-
ლიკებში ძლიერ მრავალს ჰქვიან ერთი და იმავე პირის სახე-
ლები. მათში მცირე რიცხვი იხმარება სახელებისა და მიტო-
მაც არის, რომ ერთის სახელის მექონ პირებს კაცი ისე მრავ-
ლად და ხშირად შეხვდება. ეს სხვა ხალხში ასე არ არის.
რაც შეეხება ზუბალაშვილების თანამოსახელეთ თანამედრო-
ვობას, ეს-კი სხვაფერ არის. თანამოსახლენი არიან დროულ-
ნი, ხნიერნი, ჭაბუკნი, ახალგაზრდანი და ყმაწვილნიც. რო-
გორც აღვნიშნეთ, ივანე ზუბალოვს თავისს მრავალს რიცხვ
შვილებზედ მეტად დიდი გავლენა ჰქონია და მიტომ მისი
შვილები მომავალშიაც ცხოვრების ასპარეზზედ მოხერხებულ
ენერგიულ პირებათ აღმოჩენილან. ასეთის თვისებისა ყოფი-
ლა იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, რომელმაც, თავისს დროის

კვალათ, ქართველთ წინაშე საკმარისი მხნეობა გამოიჩინა და

მით ასახელა თავისი თავი და ოჯახიც. აქ იაკობის შესახებ გავჩერდებით და ისევ იზუბალაშვილების გვარის წევრთა სიმ რავლეზედ გადავალთ.

კათოლიკე ზუბალაშვილების აღორძინების და დაწინაუ-რების დროსვე, თფილისში, ვახტანგ მეექვსის კარზედ სცხო-ვრებდა მღვდელი, გიორგი ზუბალაშვილი, სარწმუნეობით მართლ-მადიდებელი, თავის დროის კვალად, დიდად მომზადე-ბული და განთქმული. ეს მღვდელი ჩვენ ისტორიაში 1690 წლიდგან სჩანს. იგი დაახლოვებული მეგობარია ვახტანგ მე-ფის და ყველა მისს სამწიგნობრო საქმეებშიაც დიდი თანა-მგრძნობელი. ეს მღვდელი გიორგი ზუბალაშვილიც ქართლე-ლი ყოფილა, ხოლო თფილისში აღზრდილა კათალიკოზის კარზედ. მღვდლად კურთხევის შემდეგკი თფილისში სცხოვ-რებდა. ფიქრი არ უნდა, რომ ეს მღვდელი, როგორც ქარ-თლელი, გორელიც იქმნება, მონათესავე იქმნებოდა იმ დროის კათოლიკე ზუბალაშვილებისა. ამ მღვდლის ცხოვრების ცნო-ბები 1730 წლის შემდეგიდამ აღარ სჩანს. ვგონებთ რუსეთ-ში გადაჰყვა 1721 წელს ვახტანგ მეფეს. ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც გიორგი ზუბალაშვილი, როგორც თავისს დროის მწიგნობარი პირი, ვახტანგ მეფეს დიდათ ეხმარებოდა 1707 წ. თფილისის სტამბის გახსნაში. იმან კარგად იცოდა სასტა-მბო საქმეთა ოსტატობა და ვითარება. წიგნების ბეჭდას როგორც ნიკოლოზ თფილელი მიტროპოლიტი განაგებდა, ისევე გიორგი ზუბალაშვილი შრომობდა. პირველად ქართუ-ლი წიგნების ბეჭდა თითქმის ამათი ზედამხედველობით იწ-ყეს. ამას გარდა, გიორგი მღვდელი ვახტანგს და მისს შვილს ისტორიული და გეოგრაფიული მასალების შეკრებას და ანუ სხვაშიაც ეხმარებოდა. რუსეთში გარდასახლების შემდეგ, სა-უბედუროთ ამ მღვდლის ცხოვრების ცნობები სრულიად დაჩრდილულია. იგი აქა-იქ სახელით მოიხსენება ვითარცა მწიგნობარი, ანუ როგორც მოხსენებულია: „გიორგი მღვდელი ზუბალაშვილი, მწიგნობარი“. ამას ჩვენ მიტომა ვფიქრობთ, რა-დგანაც ვახტანგ მეფის თანამხლებლებში, მარტოდ ეს მღვდე-

ლი სჩანს. ამას გარდა გიორგი არავინ არის, თუმცა ვახტანგ მეფეს, ჩვენდა საუბედუროდ 3000ქართველი გადაჰყვა, ეპი-სკოპონი, არქიმანდრიტნი, ბერნი, მღვდელნი და დიაკონნი.

გიორგი ზუბალაშვილის საქართველოში ცხოვრების შე-სახებ დარჩენილია ორი „გუჯარი“, რომელზედაც იგი ხელს აწერს ასე: „გიორგი მღვდელი ზუბალაშვილი“. გუჯრები დაწე-რილია 1700 წლებში. იგი თავის შინაარსით საკანონო მხარეს ეხება და აქედგან კარგად სჩანს, რომ მას იურიდიულ ასპა-რეზედ საკმარისი ადგილი ეკავებოდა. უამისობა არ შეიძლე-

ბოდა, რადგანაც მოძღვარი, თუ სახელოვანი იყო მეფის წინაშე, მომქმედი და მცოდნე მუშაკი, იგი ასეთ საქმეთა, ანუ საკანონდებულო ასპარეზზედაც გავლენიანი პირნი იქმნებოდა. სამწუხარო აქ ის არის, რომ ასეთ პირთა ცხოვრების ცნობების შესახებ, ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს. ამის უმთავრესს მიზეზებათ ჩვენ მიგვაჩნია ის სამწუხარო ქართველთ პატარა ემიგრაცია, რაც ვახტანგ მეფის დროს მოხდა და რამაც დიდი თავზარი დაატეხა საქართველოს. ეჭვი არ უნდა, რომ დღეს, რუსეთში, სადმე ამ გიორგი მღვდლის შთამომავალნი იქმნებიან კიდევ დაშთენილი, ხოლო იგინი სრულიად გადაგვარებულნი, გარუსებულნი იქმნებიან. ამ მღვდლის გარდა, მართლ-მადიდებელნი ზუბალაშვილები სხვებიც ყოფილან, მაგრამ მათზედ ცნობა არ არის დაშთენილი, ის-კი ეჭვს გარეშეა, რომ ესენი სახლი-კაცები უნდა იყვნენ კათოლიკ ზუბალაშვილებისა.

როგორც ვსთქვით, გორში მცხოვრებ ზუბალაშვილების გამრავლების საქმე 1700 წლიდგანვე კარგად წასულა, ისე, რომ 1750 წლებში, გორში უკვე რამდენიმე ოჯახი სცხოვრებდა კათოლიკე ზუბალაშვილებისა. ყველა იგინი ვაჭრობას მისდევდნენ. იმ დროის ქართლის სოფლებში ამათ აღებ-მიცემა საკმარისად განავრცეს. ამათგან ბევრმა გორელმა შეისწავლა აღებ-მიცემა და აქა-იქ მოგზაურობა. რაც შეეხება ზუბალაშვილების ასეთ საქმეთ ასპარეზზედ უპირატესობას, ეს-კი ცხადია, იგი, როგორც სხვაგანაც გვითქვამს, მიეწერება კათო-

ლიკის მხნე მღვდლების მოქმედებას. მათს აუცილებელს წესდების საჭირო მუხლის შეადგენდა ის გარემოება, რომ ვისაც-კი კათოლიკობას მიაღებინებდნენ, მის განკაცებას და აღორძინებაზედაც იმდენს იმეცადინებდნენ, იმდენს იშრომებდნენ, რომ უკანასკნელ სხვა სარწმუნეობის პირებზედაც მაღლა დააყენებდნენ; ამას ითხოვდა მათის ქრისტიანური მოთხოვნილება, კათოლიკის სარწმუნეობის გავრცელების ინტერესები. რითი გახდებოდა კათოლიკობა და ან თვით კათოლიკობის მაღიარებელთ წინაშე შესამჩნევი და საყურადღებო, თუკი იგი სხვების თანატოლა იქმნებოდა და მათზედ მაღლა არაფრით მდგარი. მაშინ კათოლიკობა უმნიშვნელოთ დარჩებოდა. მაგრამ არა, ეს ასე არ იყო. კათოლიკის სამღვდელოებამ კარგათ იცოდა ესა და მიტომაც იგინი თავიანთ მრევლის დაწინაურებას დიდს ცდასა და შრომას სწირავდნენ და მისს მეოხებით, მართლაც მიზანსაც ახწევდნენ. სწორეთ ეს გარემოება ჩაითვლება მიზეზად ზუბალაშვილების აღორძინების, თვალის გახელის და ვაჭრობის ასპარეზზედ დაწინაურებისა.

მეფე თეიმურაზ და ერეკლეს დროს, თფილისში, სცხოვრებდა ერთი გამოჩენილი რომან ზუბალაშვილი. თავისს დროის კვალად კაცი მწიგნობარი. ამ ზუბალაშვილს ფიქრობენ ვახტანგ მეფის თანამედროვე მღვდლის

შვილად. ჩვენ ამაზედ არას ვიტყვით, მარტო ცნობებს მოგა-
ხსენებთ, დასკვნა-კი თქვენი იყოს. რომან ზუბალაშვილი თა-
ვისს დროს გამოჩენილ მესტამბეთ ითვლება, ანუ წიგნების
მბეჭდავათ. არ სჩანს ცნობები, თუ ამ პირმა სად შეისწავლა
ეს ხელობა, ან სად აღიზარდა. თავისს დროის კვალად-კი
მცოდნე პირათ ირიცხება სტამბის საქმის და წიგნის ბეჭვდა-
ში. საუბედუროთ, ჩვენ არც ის ვიცით, თუ ეს რომანოზი
რომელ სარწმუნოებას აღიარებდა და ან რა დამოკიდებულება
ჰქონდა კათოლიკ ზუბალაშვილებთან, სახლიკაცი იყო თუ

ნათესავი. ზოგს ალაგს, ამ ზუბალაშვილის ძველებურის გვა-
რით ზუბაშვილათაც იხსენიებენ. ახლების, ანუ ზუბალაშვი-
ლათ აღნიშვნენ მრავალნი და მათ შორის პროფესორი ცაგა-
რელიც. ალ. ცაგარელს ერთს თავისს წიგნში აღწერილი აქვს
ერთი ძველად დაბეჭდილის „სახარების“ წიგნი, რომელ აღწე-
რაშიაც ერთი მონაწერი მოჰყავს მთლად. ეს წერილი „სახა-
რების“ დასასრულს ყოფილა დაბეჭდილი და რომელი ცნო-
ბაც ცხადათ ხატავს ზუბალაშვილის ხელოსნობის ცნობას, აი.
მაგალითად:

„На стр. 301 განსრულდა ხელითა მესტამბე რომანოზ
ზუბალაშვილი; პლაკის (матрипъ) მჭრელობით და დაზგის (ста-
нокъ) მართველობით კარის საყდრის დავით კეჟერაშვილი,
რუსეთიდგან მოვატანინეთ ქაღალდი/ – და სხვა და სხვა ქაღალდი
მოვადის, – განა-ღა არა ყოფისა სამღთოჲ საწერელისასა, ესრედ განა-
მრავლება ვარჩიეთ. *) ამ ცნობიდგან სჩანს, რომ რომანოზ ზუ-
ბალაშვილი მესტამბე ყოფილა, ე. ი. ამომწყობი და ამის ამ-
ხანაგი-კი დაზგის მმართველი (машинистъ) და ასოების ჩამომ-
სხმელი (словолитчикъ). რომანოზ ზუბალაშვილი ბევრს სხვა
და სხვა წიგნებზედაც არის მოხსენებული, რაც-კი მას ამოუ-
წყვია და დაუბეჭდია, თითქმის ყველა წიგნებზედ არის მოხ-
სენებული. ამის მოღვაწეობა სასტამბო საქმეებში მეფე ერეკ-
ლეს დროს იწყება და იგი გრძელდება კარგა ხანს. უკანა-
სკნელად რ. ზუბალაშვილი იმერეთში გარდასახლდა. მიზეზი
გადასახლებისა მრავალნაირია და ერთიც ის, რომ მეფე გიორ-
გი ადრიდგანვე არ იყო თანამგრძნობელი ამის და კეჟერა-
შვილის, რადგანაც მათ ბევრს ლოცვის წიგნში არ მოიხსე-
ნეს მეფე გიორგიც, როგორც მემკვიდრე ტახტისა, ერეკლე
მეფის შემდეგ.

რომანოზ ზუბალაშვილი იმერეთის მეფემ დიდის პატი-
ვით მიიღო, შეიწყნარა იგი ისე, როგორც დარბაისელი გვა-

*) Свѣденія о памятниках грузинской письменности А. Цагарели, вып. пер. Петербургъ 1986 г.

რის კაცი, მაშინ იმერეთს სხვანიც სცხოვრობდნენ ზუბალა-

შვილების, რომელთაც დიდი ადგილი ეკავათ არა მარტო იმერეთის მეფის კარზედ, არამედ სამეგრელოს, გურიის და სვანეთის მთავრების სახლთანაც-კი ჰქონდათ დამოკიდებულება და მათში ხშირად მოგზაურობდნენ. რომან ზუბალაშვილმა იმერეთშიაც იწყო წიგნების ბეჭდვა, ამის მოხსენებით იმერეთში უკანასკნელად დაიბეჭდა ერთი წიგნი. 1811 შემდგომ რომანოზ ზუბალაშვილის სასტამბო საქმეთა ასპარეზზედ დავით ზუბალაშვილი ჩნდება იმერეთში. დავით ზუბალაშვილის ცდით იმერეთში ქართული წიგნები იბეჭდება 1818 წლამდე, შემდგომ ამისა-კი იხურება ქართული სტამბა და მით დავით ზუბალაშვილის ცნობებიც იკარგება, აღარ სჩანს. ესენი სტამბას ხან ქუთაისში აწარმოებდნენ, ხან საჩხერში და ხან სოფ. წესს, რაჭას.*) არ სჩანს კარგად, თუ ეს დავითი და რომანოზ ზუბალაშვილები უკანასკნელად სად სცხოვრობდნენ, სად და როგორ განვლეს თვისი დღენი. ისიც არ ვიცით, თუ რომანოზ და დავითი ნათესავები ხომ არ იყვნენ. ვგონებთ, დავითი რომანოზის შვილი უნდა იქმნეს. სხვა და სხვა წიგნებშიაც ასევე მოიხსენებენ დავით ზუბალაშვილს. მათსავე დროს, ქუთაისს, მეფე სოლომონის კარზედ სცხოვრებდა გიორგი ზუბალაშვილი, რომელმაც რუსული ენაც იცოდა, მეფესაც კარგად იცნობდა. იგი მონაწილეობას იღებდა იმერეთის დაკავშირებაში. ეს გიორგი ზუბალაშვილი უნდა გახლდესთ ივანეს შვილი, ქართლიდამ იმერეთს გადასახლებული XVIII საუკუნის ბოლოს, ან XIX საუკ დამდეგს, პირველ წლებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ზუბალაშვილები XVIII საუკუნეში, ყველგან წარჩინებით ეძლეოდნენ ცხოვრებას და აღორძინებას. ამათ პატივს აგებდა მეფე ერეკლე, გიორგი, სხვა და სხვა ბატონიშვილები, იმერეთს სოლომონ მეფე პირველი, დავითი, არჩილი და ბოლონდელი სოლომონ მეორე, სამეგ-

*) ისტორია ქართულის სტამბებისა, 1890 წ. თფილისი.

რელოს მთავარი, გურიისა და სვანეთის. გიორგის გარდა, იმერეთში სხვებიც უნდა იყვნენ, ხოლო ამათი ცხოვრების ცნობები 1820 წლიდგან სჩნდება, თუმცა ისიც-კი სჩანს, რომ იმერეთის რუსეთთან დაკავშირების დროს, ქუთაისს რამდენიმე წარჩინებული ზუბალაშვილები სცხოვრებდნენ. ყველა მთავრებთან მათ მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. სასახლის კარი მათთვის ღია იყო. მეფე ერეკლე საქართველოს ვაჭრებს ძლიერ პატივს სცემდა. პატივს სცემდა აგრეთვე ზუბალაშვილებსაც და ნამეტურ ანდრიას, ივანეს და მერაბს. პატივის ცემის მიზეზათ ამათი შეძლება და აღებ-მიცემა ხდებოდა. ნამეტურ ის გარემოებაც, რომ ესენი იყვნენ ყოველთვის მეფის მორჩილნი, ერთგულნი და შეუძლოთა დამხმარენიც. მაგალითათ 1795 წლის უბედურების შემდეგ თფილისის ღარიბი ხალხი დიდს გაჭირებაში ჩავარდა, სახლ-კარდაქცეულთა და ქონება დამ-

წვართ ცხოვრების მოსაწყობათ და განსაგრძობათ ბევრი-რამ აკლდათ. ამ გაჭირების დროს, გორში და თფილისში მცხოვ-
 რებთ ზუბალაშვილებმა იგულის მოდგინეს და ღარიბთა და-სახმარათ ბევრირამ გამოიღეს. შეძლების და გვარად ესენი ეხმარებოდნენ ხალხს სახლ-კარის გასაკეთებელ მასალით, პურით, ფულით, ღვინით და ნართით. ასეთმა საქციელმა იგინი გახა-და საპატიო პირებად ყველას წინაშე. მეფიდამ დაწყობილი ყველა პატივს სცემდა, როგორც ქართლში, ამ საერთო და საჭირ ვარამო დროის გაჭირვებულ ხალხთა დახმარების გამო სცემდნენ პატივს, ისევე უმზერდნენ მათ იმერეთშიაც, იმერთ მეფე, თავადნი, მოქალაქენი და გლეხნი. ასე იყო მაშინ ჩვე-ნში, თუმცა დღეს-კი ნატამალობს.

საქართველოში, ქართველთ შორის, ამბათ არის დაშთე-ნილი, რომ მეფე ერეკლემ ზუბალაშვილების თავის ნებით აზნაურშვილობით დაჯილდოვება მოისურვა და ამის წინადა-დება ივანე ზუბალაშვილსაც მოხსენდაო. ამ მოხსენების ის-ტორია ასეთი გახლავსთ: ივანე ზუბალაშვილმა 1797 მეფე ერეკლეს რაღაც სათავაზო მიართო. მაშინ ჩვენში მეფესა და ხალხს შორის ადვილი წესები არსებობდა. ერის კაცი, ქვეშე-

ვრდომი, თავად-აზნაურებს გარდა მოქალაქენი და გლეხნიც ადვილათ ნახავდენ მეფეს და თავიანთ ცხოვრების შესახებ საჭირო ცნობებს მოახსენებდენ. ასე იყო მაშინ ჩვენში. ამას მოწმობს ჩვენი ისტორია და ზეპირ-გარდმოცემაც. ნამეტურ მეფე ერეკლე დიდს პატივს ანიჭებდა მოქალაქეებს. თფილი-სის მოქალაქეებს მეფის სახლში კარის კაცთა დაუკითხავათ შეეძლოთ შესვლა, მეფის კარის კაცათ კი ყოველთვის აზნა-ურშვილები იყვნენ. თფილისის მოქალაქეთ პატივის ცემა მე-ფე ერეკლემ განავრცო და განამტკიცა, მინამდე კი ესენი არ სარგებლობდნენ ამ უპირატესობით, მათ სხვაფერ უმზერ-დნენ. ვაჭრობას და ვაჭრებს დიდს თავაზს უწევდა. ამის მი-ზეზი გახლდათ, რომ მეფის ბრძანებით ადრე გაათავადეს ხო-ჯიმინასოვი, ამატუნი, ბებუთაშვილი. ასევე აზნაურობას ით-ხოვდნენ ბაბანაშვილი გლახა (დღეს ბაბანასიანცი) და ფინთუა-შვილი (დღეს ფითოევი). ფითუაშვილმა მეფეს აწყენინა.

ერთხელ ვაჭარი ფითუაშვილი სავაჭროთ რუსეთს მიდი-ოდა. მეფე ერეკლემ ამას წერილი გაატანა ეკატირინა იმპე-რატრიცასთან. ფითუაშვილმა წერილი მიუტანა და გადასცა, რაის გამო იქ საჩუქარიც მიეღო, ხმალზედ დასაკერებელი ლენტი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ფითუაშვილი წარსდგა მეფესთან და გადასცა ყოველივე იქიდგან გამოტა-ნებული, თან დასძინა:

ეკატირინამ ეს და ეს წყალობა მიყო და იმედია, რომ თქვენც რამე წყალობას მიზამთ.

– რა გნებავსთზ? ჰკითხა მეფემ.

მან მოახსენა – აზნაურის შვილობაო.

მეფეს ამაზედ ჯავრი მოუვიდა და მრისხანებით მიუგო.

– გადი, შე ფინთო, აქედგანა, რომ ჩემმა თვალებმა აღარ
გნახოს! – ეს გავიდა. მეფემ განაგრძო: მე, ჩემს მოქალაქეებს
აზნაურის შვილებზედ მაღლა ვაყენებ. იგინი შევმოსე ისეთის
ღირსებით, რასაც აზნაურები დანატრულებულები არიან. ეს
არ იკმარა და თავის ნებით აზნაური შვილობა მომეციო! ეს
ამბავი მთელმა ქალაქის ხალხმა შეიტყო და ესევე ამბავი კა-

რგად იცოდა ივანე ზუბალაშვილმა, ანდრიამ, მერაბმა, გიო-
რგიმ და სხვათაც.

ამიტომ თუ რა მიზეზის გამო მოხდა მხოლოდ ივანე ზუ-
ბალაშვილის და მეფის შორის ასეთი საუბარი და რჩევა-კი ყოს
ფილა 1797 წ. მეფე ერეკლემ უბრძანა:

– შვილო, ივანე, მე წადილი მაქვს, რომ თქვენი უხვი გული
და ერთგული მორჩილება აზნაურის შვილობითაც დავაჯილ-
დოვო.

– ბატონის წყალობა და მფარველობა ღმერთმა არ მოაკ-
ლოს საქართველოს და ჩვენს ოჯახს, თქვენ კარგად ბრძანდებო-
დეთ და მოგახსენებთ მეფეო, რომ ჩვენთვის თქვენი დღეგრძე-
ლობა უფრო უმჯობესია, ჩვენ თქვენი კარგათ ყოფნის მეტი არა
გვინდა რა.

– დიახ შვილო, ივანე, მეც მიტომ მსურს თქვენი პატივის
ცემა, რადგანაც მე კარგათ ვიცი თქვენი ერთგული სამსახუ-
რი და ხალხის პატივისცემა. თქვენ ხომ შვილო! ძალით არა
მთხოვთ, ამას. მე ჩემის ნებით და ჩემის სურვილით გეუბნებით.
მეფის მოწყალება გინდ მცირეც რამ იყოს, მაინც მოწყალე-
ბათ მისათვლელია“.

– კეთილი, ნება თქვენი ასრულდეს მეფეო. თქვენს მო-
წყალებას ჩვენ ყოველთვის დიდს ნუგეშათ მივითვლით. თქვენ
ჩვენი დიდი იმედი და მფარველი ბრძანდებით. თქვენგან და-
გვიბრუნდა კათოლიკეს ეკკლესიები, თქვენგან მოგვენიჭა
დიდი მოწყალების მფარველობა და თქვენგანვე გვაქვს იმედი
წარმატებისა, მიუგო ივანე ზუბალაშვილმა თავაზით და სიამო-
ვნებით.

მეფეს ძლიერ მოეწონა ივანეს დარბაისელი საუბარი და
სიტყვიერად ბრძანა სასახლეში ივანეს და მისს შვილების აზნაუ-
რობის ხარისხით დაჯილდოვება. ეს ამბავი ყველამ იცოდა,
ხოლო მეფე ერეკლემ დროით არ შეასრულა სიტყვის აღსრუ-
ლება, რადგანაც მან კარგათ იცოდა ივანეს თვისება, რომ ეს
არ ჩქარობდა აზნაურობის მიღებას. მეფე მისს აზნაურშვილო-
ბას დიდის ამბით აპირებდა, რადგანაც ივანეს და მისს შვი-

ლების აზნაურის ხარისხით დაჯილდოვებას იმერეთის მეფე
და მთავრებიც ითხოვდნენ. სამწუხაროთ, ამ დაპირების შემ-
დეგ, ძლიერ მალე, მეფე კახეთს გიახლათ, იქიდამ თფილისს
ვეღარ დაბრუნდა, ავად გახდა და თელავს, 18 იანვარს,

1798 წ. გარდაიცვალა, ვეღარ მოასწრო სიტყვით დაპირების გარეშე წერილითაც აღსრულება. ამ საქმის აღსრულებას არც თვით ზუბალაშვილები გამოეკიდნენ. არ გამოეკიდნენ მით უფრო, რადგანაც მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, საქართველოს სამეფო ოჯახის საქმეები ძლიერ აიწეწ-დაიწეწა, გიორგის გამეფებას ბევრნი ეწინააღმდეგებოდნენ. ამათში ერივნენ ძლიერ ბევრი მოქალაქენი ქართველთა და ამათშივე იყო ივანე ზუბალაშვილი და მისი სახლი-კაცები. ესენი ხმა მაღლა ამბობდნენ შემდეგს: – „მეფე გიორგი ვერ იმეფებს ერეკლეს შემდეგაო“. ასეთი სიტყვა გახდა იმის მიზეზათ, რომ მეფე გიორგიმ გამეფების შემდეგ თავის სიძე ბარათაშვილი გაალახვინა კიდეც. არევ-დარევამ იქამდე მიაღწია, რომ აქ მალე საქართველოს სამეფოს ტახტის დასასრულმაც იჩინა თავი. მეფე ერეკლე დაასაფლავეს. მისს შემდეგ გამეფდა გიორგი XIII-ტე, მაგრამ ესეც სნეული აღმოჩნდა, ვერ იმეფა, შინაური და სამეფოს საქმეები ძლიერ აირ-დაირია. ივანემ, როგორც შორს მხედველმა, არ ინდომა მეფის შეწუხება და ერეკლეს სიტყვიერად ნათქვამის საქმით აღსრულება. უძლური მეფის ძლიერ ერიდებოდა. ამაობაში მეფეც სუსტდებოდა, საქმეებს ვეღარ ასწრობდა და 1800 წ. 28 დეკემბერს მეფე გიორგიც გადაიცვალა და მით მეფე ერეკლეს სიტყვა და ანდერძი ზუბალაშვილების გვარის შესახებ დარჩა შეუსრულებელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამბის ცნობები ადრე საქართველოში ბევრს ხნიერს კაცს ეცოდინებოდა და თვით ზუბალაშვილებშიაც ხომ ცხადი საქმეა ეს ბევრს ეცოდინებოდა, რომ მეფე ერეკლემ მათ აზნაურის შვილობა დაჰპირდა, მაგრამ ამის შესრულება ვეღარ მოასწრო, რადგანაც მალე გარდაიცვალა.

V

რადგანაც სიტყვამ აქ ზუბალაანთ გვარის გააზნაურებაზედ მოიტანა, ამიტომ აქ ვიტყვიდ მცირეთ შემდეგს:

მეფე ერეკლე ჭკვიანი, შორს მხედველი კაცი იყო. ამან პირველად თავისი ნიჭი ინდოეთს და ავღანისტანში გამოიჩინა, როცა ეს იქ სპარსეთის ჯარის მთავარ სარდლათ იყო. ამის ქებას მაშინდელი პარიჟის გაზეთებშიაც სწერდნენ[1]). შემდგომ ინდოეთის გალაშქრებისა, შაჰნადირისაგან კახეთს მეფედ ეს იქმნა დანიშნული. ამ გარემოებით ისარგებლა და ქართლ კახეთი ერთის გვირგვინის ქვეშ დააკავშირა. ამით ისურვა მთელის საქართველოს გაერთიანება. ამანვე დიდი ყურადღება მიაქცია კათოლიკის პატრებს და კათოლიკეთ მფარველათ გახდა. ამის დროსვე დახსნეს საქართველოში სხვა და სხვა სასწავლებლები. რუსეთსა და საფრანგეთშიაც იწყეს ყმაწვილების გაგზავნა და იქ არტილერიის, ინჟინერიის [2]) და სხვა და სხვა მეცნიერებათა შესწავლა. ნასწავლნი შემდეგ საქართველოში ბრუნდებოდნენ და თან შემოჰქონდათ ევრო-

პიული სწავლა-განათლების ტრფიალება.

XVIII საუკუნეში, ამ მეფისთანა საქართველოს ხუთი კაცი რომ ჰყოლოდა, მაშინ მისი ბედის ჩარხი სხვაფერ დატრიალდებოდა; ასევე ამ მეფემ მიმართა რომის სენატს და საქართველოს გასაძლიერებლად დახმარება სთხოვა [3]). პირველად 1781 პატრი მავრო გაგზავნა და შემდგომ სხვა. ამ თხოვნის პასუხიც მიიღო და დაპირება. ოც-და ორი წლის განმავლობაში ინგლისის მთავრობასთან ჰქონდა მიწერ მოწერა და მათთანაც ითხოვდა დახმარებას [4]). რუსეთის იმპერატრიცა ეკატირინესაც მრავალჯერ დაავალა მფარველობა [5]) და ოსმა-

---

[1]) ბუტკოვი და პეისონელის წერილები.

[2]) გუჯარი შენახული წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგ.

[3]) უმთავრესი მიზეზები საქარ. მიმართ რომის ყურადღებისა 1828 წ.

[4]) საქართველოს შესახებ ტ. 1891 წ.

[5]) მეფე გიორგის ცხოვრება, პ. იოსელიანისა 1891 წ. თფ.

ლეთსაც ედავებოდა დასავლეთ საქართველოს დაბრუნებას, ბევრი-რამ სურდა ამ ძლიერ მეფეს თავისს ქვეყნისათვის, მაგრამ მისდა საუბედუროდ მოხუცების დროს მეტად დაუძლურდა, შვილები უხეიროები გამოადგნენ და ნამეტურ მეუღლე, დარეჯან დედოფალი, რომელმაც არია სამეფო ოჯახი და მათ ბოლოც მოუღო.

როგორ მნიშვნელობასაც ზემოდ დასახელებულ სამეფოთა აღორძინებას სცემდა მეფე და იგი ამაებს თავის სამშობლო ქვეყნისათვის საჭირო იარაღათ სთვლიდა, სწორედ ასევე უმზერდა ვაჭრობის საქმეს, ქარხანების და მის აღორძინებას კერძოთ თფილისში და მასთან მთელს საქართველოში. სწორედ ეს აზრი გახლდათ, რომ მეფე შესაფერის პატივით მზერდა ივანე ზუბალაშვილს, მერაბს, ანდრიას, პეტრეს, გიორგის და მრავალთაც სხვებს, რომელნი XV1II საუკ. ნახევარს სცხოვრობდნენ.

მეფე ერეკლე რომ ამათი დიდი პატივის მცემელი იყო, ეს ადრე, მრავალთ მოხუცებულთ იცოდნენ ზეპირად და, უეჭველია, ეს არ დასავიწყებელი ცნობები დღესაც მრავალთ ეხსომებათ, ნამეტურ-კი მათ, რომელთაც ცნობა აქვსთ ზუბალაანთ გვარისა. ხსენებულ პირების პატივის ცემას მეფეში იწვევდა ის გარემოებაც, რომ ზუბალაშვილებმა ადრიდგანვე დაიწყეს საქართველოში ვაჭრობის გავრცელება, ბევრს ალაგას აღორძინება და მოფენა. ამათ ვაჭრობა გამართული ჰქოდათ გორს, თფილის, ახალციხეს, ოსმალეთს, სპარსეთს, იმერეთს და მასთანვე დიდათ ხელს უწყობდნენ საქართველოს ნაწარმოებთ გასაღების საქმესაც. სწორეთ ზუბალაშვილების მხნე პირებისთანა კაცების წყალობაა, რომ XVIII საუკუნის ნახევარს, თფილისში საქარხნო საქმეები ერთობ დაწინაურდა და რაცა საქართველო 1771 წ. აკადემიკმა გულდენშტეტმა ასწერა, მაშინ მას თფილისში თითქმის ყველა საჭირო საქონელთა ქარხნები დახვდა.

მეშანდლეების ქარხანა, მესაპნეების სამი დიდი ქარხანა, აქ წელიწადში რამდენიმე ათასი ფუთი საპონი გამოდიოდა.

– 40 –

არსებოდა აგრეთვე სამთლის დიდი ქარხანა, სადაც დიდი ძალი ქონის სამთელი გამოჰყვანდათ. იყო სამღებროები, დაბღების დიდი ქარხნები, ყაზაზების, ქურქჩების, მექვაბეების, ხარაზების, ქოშების, მეტყავეების და მრავალიც სხვების, რომელთაც ჩვენ ვერ მოვსთვლით, სადაც მაშინ ქალაქის მუშახელი განვითარებას ეძლეოდა. ყველა ამ ქარხნებთან ერთობ დიდი დამოკიდებულება ჰქონდა ივანეს და მისს სახლი-კაცს ზებალაშვილებს. მიტომ აჯილდოვებდა ამათ ასე: მიტომ მფარველობდა მათ. მეფის ასეთი კეთილი აზრი გახდა მისს საფუძვლად და აგრეთვე ივანე, ანდრია და სხვა ასეთ პირთა პატივის-ცემად, რომ 1770 წ. რუსთა და ქართველთ სამეფო პირთა მოლაპარაკეობის შემდეგ გადასწყდა ეკატირინედარში სამ წელიწადში ერთხელ დიდი იარმუკობის გამართვა, სადაც რუსის ვაჭრებს თავიანთ საქონელი მოჰქონდათ გასასყიდათ. საქართველოდამაც ქართველ ვაჭრები მიდიოდნენ და თანაც საქართველოს ერის ნაწარმოები მიჰქონდათ და იქ ასაღებდნენ. იქიდამ აქ შემოქონდათ ის საქონელი, რაც საქართველოში არ მოიპოვებოდა. ასე და ამნაირად მფარველობდა მეფე ვაჭრობას და მისს წარმომადგენ ზუბალაშვილებსაც. ეს უაღრესობა იქიდამაც მტკიცდება, რომ როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა, მაშინ ზუბალაშვილები ცნობილ იქმნენ ვითაარცა ქართველთ მეფეთა ოჯახის წინაშე დამსახურებულ პირნი და სანდო ვაჭრები. ბატონიშვილებმაც ასე აცნობეს ესენი. ასევე იქმნენ ცნობილნი იმერთ სამთავროის მთავრებისაგან იმ დროს, როცა იგინი რუსეთს დაუკავშირდნენ. თვით მთავარ-მართებელმა ციციშვილმაც-კი დიდის პატივით მიიღო ზუბალაშვილები, რადგანაც მან კარგად იცოდა ამათი ამბები და საქმეები, პატივს და მფარველობას ანიჭებდა*) და ყოველთვის საიჯარადრო საქმეებსაც ამათ კერძავდა. ესეთ ღირსებას სხვა მაშინდელი თბილისის ვაჭრები და ძველი მოქალაქენი დანატრულებულნი იყვნენ.

---

*) Кавказскі акты V т.

– 41 –

საზოგადოთ უნდა შეინიშნოს, რომ ზუბალაშვილები იმავ თავიდგანვე დაბალ ანუ ქალაქის ხალხთან ერთობ ახლოს მდგარან, პირველი თავიანთ საქმის გულისთვის და მეორე როგორც კათოლიკენი და რიგიან მოძღვართა გავლენის ქვეშ აღზრდილნი. მფარველნი უძლურთა და მწენი ეკკლესიათა და მის გარშემო მცხოვრებთ ღარიბთა, ამათ გვარის წევრთა შეწირულება ხშირათ მიუღიათ კათოლიკის ეკკლესიებს: გორს, თბილისს, ახალციხეს, ქუთაისს და ახალქალაქს. ამათი ასეთი

თვისება იმ გარემოებიდამაც მტკიცდება, რომ ესენი, რო-
გორც ქრისტიანენი ძლიერ მრავლად იხსნიდნენ სხვა და სხვა
მებატონეთაგან დასაყიდს გლეხებს და მერე ამათ ანთავი-
სუფლებდნენ, ან თვით იყმობდნენ. ასეთი ყმანი მათს ბატო-
ნობას ნატვრით ეძებდნენ და უკანასკნელ კათოლიკობასაც
უკავშირდებოდნენ. ზუბალაანთ გვარის ყმათა სახელები საეკ-
ლესიო „კონდაკის“ წიგნებშიაც მოიხსენებიან. რასაკვირვე-
ლია მოიხსენებიან მარტოდ ისინი, ვინც რომელიმე კათო-
ლიკეთ ეკკლესიის ძმობაში წევრად ჩაეწერებოდა. სხვათა
შორის, მაგალითებრ მართლმადიდებელ გლეხთა ყმათა და კა-
თოლიკეთა, რომელნიც არსად ჩაწერილან ძმობაში, ამათი
რიცხვი ერთობ დიდი ყოფილა, მაგრამ მათმა ცნობამ ჩვენ
დრომდე ვერ მოაღწია.

სხვათა მრავალთა შორის, მეფე ერეკლეს დროს, 1793
წ. ერთის ქართველის აზნაურის ყმის კენწელაძის ოჯახი ოსებს
ტყვედ ჩავარდნიათ, ოჯახის უფროსი გლეხი მოკლეს და სახ-
ლობაც ტყვეთ წაიყვანეს მებატონე მივიდა ივანე ზუბალა-
შვილთან და მოახსენა: ესა და ეს ოჯახი ტყვეთ ამა და ამ
ალაგას იმყოფება, მე არ ძალმიძს მათი დახსნა, შეძლება არა
მაქვს და გთხოვთ, რომ თქვენ დაიხსნათ და მერე მე გავან-
თავისუფლებ მასაო.

ივანე ზუბალაშვილმა ყოველისფერი მოისმინა და უთხრა:

– „დიდის სიამოვნებით; დავიხსნი და მერე თქვენ იცით“. მართლა-
ცა-და გლეხის ოჯახი ივანე ზუბალაშვილმა მალე დაიხსნა და
თავის მამულში გადიყვანა. შემდეგ გლეხნი თავიანთ ბატო-

ნის ბრძანებით მუხრანის ბატონის ხელში გადავიდნენ ყმათ,
მათ იყმეს*) ასეთი მაგალითები ზუბალაანთ გვარის წევრთაგან
ძლიერ მრავლად მომხდარა გორს, ქართლის სოფლებს და
თბილისშიაც. ნამეტურ ამათ ასეთ საქციელს პატრებიც ავა-
ლებდნენ, რათა ამით სამსახური გაეწიათ მოძღვართა ნდობის
და პატივის ცემისთვის. მაღალის სიბრალულით ზუბალაშვი-
ლები იქამდის ცნობილ და პატივ-ცემულ იქმნენ XVIII საუ-
კუნეში, რომ მათ ყმებს თვით ქართველი მეფეც აძლევდა.
ერთი ასეთ ყმათაგანი ქართლელი გლეხი ზაქარია მოხსენებუ-
ლია გორის ეკკლესიის კონდაკში. ეს ჩვენ აქ ერთი მაგალი-
თი მოვიყვანეთ, თორემ ასეთი მაგალითები მათში ძველად
ერთობ მრავლად ყოფილა. ზუბალაშვილების ყმებმა თვით
ჩვენს დრომდისაც მრავლად მოაღწიეს, თვით ამ უკანასკნელ
წლებშიაც-კი. აწინდელ სტეფანე ზუბალაშვილის მამულების
გამგეთ ერთ დროს, თბილისში, ერთი ქართველ ყმათაგანი
ითვლებოდა.

ქართველთ მეფეების დროს, სხვა მებატონეთაგან იძენდ-
ნენ ყმებს თბილისს და გორის მოქალაქენი, და ნამეტურ
იძენდნენ კათოლიკეთ მოქალაქენი, რომელნიც უმეტესს ნა-
წილს ყმებისას ანთავისუფლებდნენ. დამტკიცებით ვიცით, რომ

თბილისში და სხვაგანაც სხვა ტომის მოქალაქენი ქართველთ ყმებს იძენდნენ როგორც სიმდიდრეს, როგორც მონებს. ესენი მათ უკანასკნელ თავიანთ რჯულზედაც მიაქცევდნენ. ზუბალაშვილებში-კი ასეთნი არ ყოფილან. მართალია, რომ 1730 წლებიდგან, გიორგის, პეტრეს, ივანეს, ანდრიას, მიხეილს, გიორგის და სხვა ზუბალაშვილებსაც შეუძენიათ ყმები და მათ ყმათა რიცხვმა ჩვენ დრომდეც მხოლოობით მოაღწიეგინი მართალია ქართველთ გლეხთა ყმებს იძენდნენ, მაგრამ როგორც კათოლიკის სარწმუნოების დედა აზრების პატივის მცემელნი, დევნულს გარემოებიდამ გამოხსნილს ყმებს უმალვე ანთავისუფ-

*) Грузинскія крестьянскія грамоты Д. Пурцеладзе 1888 г. Тифлисъ.

ლებდნენ, რასაც კათოლიკის პატრებიც ლოცვაკურთხევით უმზერდნენ და აქებდნენ მათ.

ძველ ქართველთ მეფეთ შორის, თბილისში, ქართველ გვარის მოქალაქეთ შორის, ითვლებოდნენ ისეთნიც, რომელნიც გრიგორიანთ სარწმუნოებას აღიარებდნენ. მათ ვაჭრობა ჰქონდათ გამართული საქართველოს, რუსეთს, სპარსეთს, ინდოეთს და ოსმალეთს. ასეთ ძველ ვაჭართ მოქალაქეთ ჯგუფს ეკუთვნიან ყუზანაშვილები, დღეს ყუზანოვი, ფითუაშვილები, დღეს ფითოიანცი, გლახა ბაბანაშვილი, დღეს ბაბანასიანცი, შადინაშვილები, მირზაშვილები და მრავალნიც სხვანი, ენით მოუთვლელნი, რომელთაც აუარებელი ყმებიც ჰყვანდათ და, ამ ყმებით იგინი ვაჭრობდნენ კიდევაც, ასეთის ვაჭრობით ფულებსაც აგებდნენ. 1864 წ. ამათ ყმებში კარგი ფულიც აიღეს, რადგანა მთავრობამ ყმები გაანთავისუფლა. თბილისის სომხის მოქალაქეებს რომ დიდი ძალი ყმები ჰყვანდათ, ეს ჩვენში მრავალთ იციან; ბევრს ალაგას მათ მთელი სოფლის ხალხი ჰყვანდათ ნაყიდი და ნაყმევი, ბევრს ალაგას იგინი ამ გლეხებს თავიანთ რჯულს, გრიგორიანობასაც უკავშირებდნენ. მაგალითებრ: რაც დღეს ქართლს, კახეთს და სხვა ადგილებში ქართველთ გლეხნი გრიგორიანის სარწმუნოებას ეკუთვნიან, იგინი სულ ამ მებატონეთაგან არიან ძალით თუ ნებით თავიანთ სარწმუნოებაზედ გადაყვანილნი.

ჩვენდა საუბედუროთ, ამ გარემოებას არც ქართველთ სამეფო და სასულიერო მთავრობა აპყრობდა ყურადღებას. ამ კითხვათა მუხლმა იმ დროის საიურიდიულო კანონდებათა კოდექსში ვერ დაიკავა ადგილი, თუმცა სამართლის წიგნებიც იწერებოდა და ამ სამართლის წიგნს ამუშავებდნენ კიდეც და მასში ბევრი რამ საყურადღებო მხარეებია აღწერილი იმ დროის ქართველთ ცხოვრების შესახებ, ხოლო ამ საყურადღებო კითხვის შესახებ-კი არაფერი მოიპოვება. სასულიერო და სამეფო მთავრობა მებატონეთაგან გაყიდულ ყმათა სარწმუნოების მფარველობას ზედ არ უყურებდა. ბატონს, როგორც უნდოდა, ისე მოექცეოდა და მიტომაც მოხდა, რომ ქართლსა და კახეთში

სულ მცირე დროის განმავლობაში ნამდვილ ძირეულ ქართველთ შთამომავალნი გლეხნი გრიგორიანობაზედ გადიყვანეს და მით გაავსეს ჩვენი ქვეყანა. რამდენი ამათგანი ქვემო ქვეყნებისაკენ გარეკეს და იქ არამც თუ მარტოდ სარწმუნოებით, არამედ ენითაც-კი გაასომხეს. ამას რიცხვი არა აქვს. ამას გარდა, რამდენი თვით ქართველი ეკკლესიებიც დაიჭირეს ბორჩალოს მაზრას, სამცხეს, კახეთს და ქართლს. ესეც ხომ ცხადია, ამაზედ საუბარიც არის ამტყდარი და ამათ ტრფიალება ისე იყო წასული, რომ 1721 წ. როცა ოსმალთ მცირე დროით თბილისი აიღეს, მაშინ ოსმალთა სომეხთ ჩაგონებით კათოლიკებს ეკკლესია წაართვეს და იმ დროის თბილისის სომხებს მიჰყიდეს, რომელ ეკკლესია დღესაც უპყრიათ მათ.

ყველა ეს საუბარი აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ მით აღგვენიშნა ძველ ქართველთ გვარის მოქალაქეთ ზუბალაშვილების წევრთა სულიერი და ხორციელი მხარეებით და მაგალითები, რომ ესენი ქართველთ გლეხებს მებატონეთაგან სავაჭროდ და მოსაგებათ-კი არ იხსნიდნენ, არამედ შებრალებითი დასახსნელად, სულის მოსაგებათ. უამისობა არც შეიძლებოდა, რადგანაც კათოლიკებს ასეთი ვაჭრობა პატრებისაგან სასტიკად ჰქონდათ აღკრძალული. ძველ ზუბალაშვილებს სამუდამო ყმებათ სჩანან იმდენი ქალი და კაცნი, რაც მათ სახლის მოსამსახურეთ იყვნენ საჭირონი. მეტი არა, თორემ ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ ზუბალაშვილების ყმათა რიცხვი ბატონ ყმობის განთავისუფლების დროს ასობით იქმნებოდა, ისევე თითქმის, როგორც ეს მაშინდელ გრიგორიანების მოქალაქეებს აქვნდათ.

ისიც-კი უნდა ითქვას, რომ ზუბალაშვილების ყმებთაგანი ძველად მრავლად დაკავშირებიან კათოლიკობას, ხოლო როგორ, ზუბალაშვილების ძალდატანებით-კი არა, არამედ თვით ყმათა სურვილით, ლტოლვით და სიყვარულით, რადგანაც იგინი თავიანთ მებატონეებს უმზერდნენ ვითაარცა კეთილ ქართველთ, მოწყალეთა და მფარველთა და მათთანვე მათ სამ-

ღვდელო პირთ პატრებს ქრისტიანობით აღჭურვილ მამების და უძლურთა შემბრალებლობით, რაც ეს მაშინ ყველასთვის ცხადი იყო და სხვა სარწმუნეობის სამღვდლო ჭირთაგან კი იშვიათი.

წარმოსადგენია ის გარემოებაც, რომ ასეთ ყმათა პირნი მომავალში კათოლიკის სარწმუნეობის მეოხებით ისე წინაურდებოდნენ, რომ უკანასკნელ თვით თავიანთ საეკკლესიო „სავარდისის ძმობაშიაც“-კი ეწერებოდნენ. ასეთ პირთა ცნობები ჩვენ მრავალი გვაქვს. უნდა მოგახსენოდ, რომ XVIII საუკუნეში, ყმა კაცისაგან თავისს თავის ჩაწერა საზოგადო საქმეთა დაწესებულებაში მე ერთობ დიდს საქმეთ მიმაჩნდა,

რადგანაც ასეთ მაგალითებს სხვა სარწმუნოების ყმა გლეხთა შორის ამას ვერ ვპოვებთ; ერთი მაგალითიც არ არის, რომ სადმე მოხსენებული იყოს. ჩვენის ფიქრით, ყმათა ასეთი წინ წასვლა და მათის ღირსეულის პიროვნებით ცნობა, თვით მათ მებატონეთა წყალობა უნდა იყოს.

ივანე ზუბალაშვილს და მის ძმებსა და ძმის შვილებს ყმები ქართლს გარდა იმერეთშიაც მრავლად ჰყოლიათ, მაგრამ მათ იგინი არსად შევიწროებულნი არ ჰყოლიათ. უეჭველია, მათი ამბები დღეს მრავალ მოხუც ყმებთაგანთაც ეხსომებათ. ამ გვარის წევრთა დევიზათ მარტოდ გლეხთა გამოხსნა იყო საქმედ გამხდარი და მაშინათვე განთავისუფლება, რაის გამო მათ მაშინათვე პატრებისაგან ლოცვა-კურთხევა და დიდება ეძლეოდათ. სწორედ ასეთი ქრისტიანული საქციელი გახდა ამათ პატივსაცემ მხარეებათ, რომ მას არ ივიწყებდნენ მეფენი და ბატონიშვილები და თვით რუსეთთან დაკავშირების შემდეგაც არ იქმნა ეს ღირსება დავიწყებული. რუსის მთავრობამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ გვარის წევრთ. მათ გაიხსენეს ქართველთ მეფეთ ძეთა ცნობა და ის პატივისცემა, რასაც ზუბალაშვილები ბატონისშვილებს ანიჭებდნენ და ემსახურებოდნენ. ზუბალაშვილებს დიდის პატივით მზერდა საქართველოს პირველი მთავარ-მართებული პ. ციციშვილი

საზოგადოთ, პ. ციციშვილი დიდი პატივის მცემელი იყო კათოლიკების და ამათის პატრების, კათოლიკობის პატი-

ვის ცემის გამო მას კათოლიკობაც დასწამეს იმ დროის უმაღლეს პირებმა*). მთავარ-მართებელი ზუბალაშვილებს ისე უმზერდა, რომ 1802 წ. ჯავის ხეობაზედ, გაცარცულ იქმნა ერთი მდიდარი ზუბალაშვილი, გიორგი, ბიძა ივანესი, რომლის ცნობა მაშინათვე ქართლიდამ თვით მთავარ მართებელს მოხსენდა**) და ამან მაშინათვე მიაქცია ფიცხელი განკარგულება. უეჭველია, რომ მთავარ მართებელთან ასეთ ცნობას არავინ გაგზავნიდა, რომ გაცარცული გიორგი ზუბალაშვილი შესამჩნევი კაცი არ ყოფილიყოს. მოკლეთ უნდა ითქვას, რომ საქართველში XVIII საუკუნეში, ისეთის სახელოვნებით, ქართლში, ბატონისშვილების წინაშე, ისე არც ერთი მოქალაქის გვარი არ იყო დაწინაურებული, როგორც ზუბალაშვილები და ამიტომ XIX საუკუნეშიაც ესენი უმთავრეს გვარის საპატიო მოქალაქებათ იქმნენ მიღებული რუსეთის მთავრობისაგან.

VI

როგორც ძემოთაც ვსთქვაო, ამ გიორგი კათოლიკე ზუბალაშვილის მამის თანამედროვე პირადვე ითვლება ვახტანგ მეექვსის თანამედროვე მღვდელთ მწიგნობარი გიორგი ზუბალაშვილი, ხოლო მართლ მადიდებელი და ვგო-

ნებთ სახლი კაცი კათოლიკე ზუბალაშვილებისა. როგორც წინანდელის პირების, ისევე შემდეგ დროის, როგორც ზუბალაშვილების, ისევე მართლ მადიდებელ ზუბალაშვილების სახელებიდგან კარგად სჩანს, რომ ამათ ქართული სახელების დარქმევა და ისიც ძირეულ ძველი ქართული სახელების დარქმევა ძველადვე ჰყვარებიათ, ძველადვე ჰქონიათ მიღებული, თითქმის იმ დღიდგანაც-კი, რა დროსაც ესენი კათოლიკობას დაკავშირებიან და ოდესაც იწყება ამ გვარის წინაპართ გამო-

*) კავკასიის აქტები.
**) კავკასიის აქტები.

ჩენა და ისტორიის ასპარეზზედ ტრიალი. ერთმა სთქვა, რომ ზუბალაშვილებში თამარი არ შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. მე ბევრს ვესაუბრე, მაგრამ მან მაინც უარი ჰყო ასე:

– „არ შეიძლება, არა, რომ კათოლიკებში, თამარი ყოფილიყოს, მე ასეთი არა გამიგონია-რა".

მე მაშინათვე გორის ეკკლესიის კონდაკი დაუსახელე და იმავ კონდაკში მოხსენებული ზურაბი, მარიამი და ამათი შვილი გიორგი და თამარი, რომელ გიორგი და თამარიც ითვლებიან დღევანდელ კათოლიკ ზუბალაშვილების წინაპარ პირებათ. ვუთხარი, რომ კათოლიკებში 1680 წლებიდგან არამც თუ ზურაბი, გიორგი და თამარი სჩანან, არამედ სჩანან ასეთს ქალების სახელებიც: მზისანდარა, რუსუდანი, გულქანა, ნათელა, ქეთევანი მანიჟა, ძუძუნა, იაგუნდა, დედაძალა, ვარდუა, ლალისხანა, გულახარა, ხვარამზე, ხორეშანა, დარეჯანა, თინა, ანნა, თურვანდა, თუთა, ლალება, მზექალა, ასთანდარა და მრავალნიც სხვანი. ძველი სახელები ქართველ კათოლიკეთ მამების ანუ მამა-კაცების: როსტომა, ზურაბა, ამირანა, დარჩია, ფარსადანა, ავთანდილა, ავთანდილი, ბერუკა, ბეჟანი, ქაიხოსრო, ელისბარი, რევაზი, გლახა, აღდგომელა, პაატა, მამულა, გურგენა და მრავალიც სხვანი. ეს სახელები ჩვენ აქ განაგონის ამბებით-კი არ მოგვყავს, რომელსაც შეიძლება მრავალთაგან ცილი დამწამოს და უარ იქმნეს ყოფილი, არამედ ესენი ჩვენ მოვიყვანეთ პირდაპირ ძველის „კონდაკებიდამ," რომელთა ხელთნაწერები ინახება ახალციხეს იოანე ნათლის მცემლის ტაძარში,*) სადაც მოხსენებულნი არიან ამ სახელების მამაკაცნი და ქალნი, რომელნიც დაბადებულან, ან მიცვლილან და იოანე ნათლის მცემლის მღვდელს მოუნათლავს, ან დაუსაფლავებიათ. ასვე სჩანს გორის საეკკლესიო „კონდაკიდამაც, **) რომლის შედგენა და წერა 1680 წლ. იწყება, მე მგონია, რომ ამ

*) საეკკლესიო კონდაკი, შედგენილი 1735 წლიდგან.
**) საეკკლესიო კონდაკი, შედგენილი 1680 წლიდგან.

ხელთ ნაწერების სინამდვილეზედ ეჭვს ვერავინ აიღებს. ვინც ამას ირწმუნებს ნაკლებათ, ის წაბძანდეს გორს და ახალციხეს, დაშინჯოს ხსენებული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები და ის ამაზე ცხადათ დარწმუნდება.

ყველა ამ სახელებიდამ კარგად სჩანს, რომ კათოლიკებს, როგორც ქართველთ გვარის შთამომავალთ თავიანთ მამა-პაპეული სახელების დარქმევა იმ დროსაც-კი ჰქონიად მტკიცეთ მიღებული, როცა იგინი კათოლიკობას აღიარებდენ და ამ ეკკლესიის სახელებსაც მტკიცედ ექვემდებარებოდენ. ქართველ კათოლიკობაში ასე იყო, ასევე გახლდად თვით ზუბალაშვილებშიაცა. ამათში ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა ყველა ქართული სახელებით არის მოხსენებული. 250 წლის განმავლობაში, ზემო ხსენებულს ხელთ-ნაწერს წიგნებში თქვენ ძლიერ ბევრს ნახავთ ზუბალაანთ გვარის წევრთ, რომელთაც ძველი ქართული სახელები ჰქვიანთ. მათში ერთს უცხო, სომხურს, ვერ ჰპოვებდ.

უკანასკნელ წლებს-კი, ანუ XIX საუკუნის დამდეგიდამ-კი რაც ქართველთ მეფობა მოიშალა, საქართველო რუსეთს ჩაბარდა და ზუბალაშვილების გვარის წევრთა ბატონიშვილებთან მისვლა-მოსვლა და მეგობრობა შესწყდა, მის შემდეგ, ზუბალაშვილებში რაღაც მანქანებით სომხური სახელების ხმარებაც შემოვიდა და ის პირნიც, რომელნიც XVIII საუკუნის გასვლამდე, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და გიორგის კარგად იცნობდნენ, იმერეთის სოლომონ მეფის და სამეგრელოს მთავრს ლევანს და სხვათაც მრავალთ წარჩინებულ პირთა და ვისგანაც ეს პირნი ქართულის სახელებით იწოდებოდენ, შემდეგ დროში, ანუ XIX საუკუნის დამდეგიდამ მათ სომხური სახელები ეწოდათ, ივანე ზუბალაშვილს რომელიც ამ სახელით არის მონათლული და ასევ იყო ბატონიშვილების წინაშე ცნობილი. 1815 წლიდამ, ივანეს მაგიერ ოჰანეზი ეწოდა და ამის სახლი-კაცს გიორგი ზუბალაშვილის, რომლის მონათვლის სახელი გიორგი იყო და რომელსაც ბატონიშვილებიც გიორგის უწოდებდენ, ამის ნაცვ-

ლად გრიქორა უწოდეს. ასე და ამ გვარად, ზუბალაშვილებში, სომხურის სახელების მექონნი ოჰანეზა, მართანა და გეურქა 1805 წლ. გაჩნდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ესენი ამ სახელებით იწოდებოდნენ უფრო სომეხთ ახლო-მახლო სავაჭრო ასპარეზზედ, თორემ შინაურობაში და ნამეტურ იმერეთში ისევ ძველ სახელებს, ანუ ქართულს მონათვლის სახელებს უხმობდნენ.

ურიგო არ იქმნება, რომ ახლა ჩვენ აქ მცირედ გავარკვიოთ ის გარემოება და ავხსნათ მიზეზები, თუ ზუბალაშვილებში ძველი ქართული სახელები რათ გადააკეთეს სომხურად, ამ გადარქმევის მიზეზებს ხელს ვინ უწყობდა და ან მთელს ქართველ კათოლიკობაში რა გარემოებით იქმნა შეტანილი სომხური სახელები, როგორ და რა მანქანებით გავრცელებულა

ეს მათში და მერე, ამის მეოხებით, როგორ მოისპნენ ქართველ კათოლიკენი ართვინს, ოლთს, არტაანს და (არდაგანს) არდანუჯს და სხვა მხრის სოფლებშიაც, სადაც დღეს ძირეულ ქართველ გვარის კათოლიკენი სომხურათ ლაპარაკობენ და მთლად ჩაყლაპულნი არიან სომხეთ კათოლიკეთა გავლენის ქვეშ.

ამაზედ ჩვენ აქ პატარა გარკვევით უნდა ვისაუბროთ, რადგანაც ზუბალაშვილების ამ გვარ უნებლიეთ შეცდომებს შემდეგში სხვა მიზეზები მოჰყვა და ამ უნებლიეთ შეცდომებზედ აშენდა ის გარდმოცემა და ამბები, რომ ვითომც ზუბალაშვილები სომხის შთამომავალნი არიან და არა ქართველის, ვითომც ესენი სომეხ-კათოლიკენი არიან და არა ქართველის, ანუ ლათინის. ამას სომეხნი მით უფრო ბრძანებდნენ და ბრძანებენ კიდევაც, რადგანაც, როგორც ზუბალაშვილებში გაჩნდნენ გეურქა და ოჰანეზა, ისევ სხვა გვარის კათოლიკებში პოღოსა, მიკირტუმა, არაქელა, და სხვა ამ გვარ სომხური სახელებიც მოიფინენ უხვათ.

კათოლიკობა, როგორც ძველად საქართველოში აღორძინდა, ამაზედ უფრო უხვად არმენიაში წავიდა ეს წინ,*) XII

*) Католицизмъ въ Грузіи А. Эрицова.

საუკუნეში არმენია უკვე დაცემული იყო და მიტომ უპატრონო ერი კათოლიკის ბერებს თავის პატრონობის და მოვლისთვის ქართველებზე უფრო ხელს უწყობდა, რადგანაც საქართველოს სამეფოს ჯერეთ საიმისოდ არა სჭირდა-რა. კათოლიკეთ მდგომარეობა ორსავ კუთხეში ერთნაირად მიდიოდა, ხოლო არმენიაში კათოლიკეთა შორის მიღებულ და შეტანილ იქმნა სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონი და საქართველოში-კი ქართველ გვარის კათოლიკენი ყოველთვის ლათინის წესს-რიგს ემორჩილებოდნენ, რომის კათოლიკეთ იგულისხმებდნენ.

ნელ-ნელა საქმე ისე მოეწყო, რომ 1744 წ. ოსმალეთში სომეხ კათოლიკებმა თავიანთი პატრიარქიც ამოირჩიეს. ეს ამბავი მთელს ევროპაში განისმა, რომ ოსმალეთში, სომეხ-კათოლიკებმა თავიანთი პატრიარქიც ამოირჩიესო. სომეხთაგან საკუთარი კონდაკის ქონვა და პატრიარქის ამორჩევა ერთის მხრით ევროპის კათოლიკის სამღვდელოებისათვის სასიამოვნოც იყო, რადგანაც მათ მთელის აზიის კათოლიკების ყურის გდება ერთობ უჭირდებოდათ. სომეხთ კათოლიკეთ პატრიარქი, სომხის ტიბიკონი და ეკკლესიებში სომხური ენის ხმარება ისე მიიღეს, როგორც ევროპაში პაპი, ლათინის ტიბიკონი და ლათინური ენა ეკკლესიებში ხმარებული. საზოგადოდ, აზიის კათოლიკებში უპირატესობა სომეხთ კათოლიკეთ დაეთმოთ, მათს ტიბიკონს, ეკკლესიებში სახმარებლათ სომხურ ენას და კონსტანტინეპოლში მცხოვრებთ სომეხ-კათოლიკეთ სამღვდელოებას და I744 წ. ამორჩეულს პატ-

რიარქს.

ასეთ უპირატესობის მინიჭებას ის გარემოებაც ეხმარებოდა, რომ სომეხთ კათოლიკებმა 1705 წლიდგან დააარსეს ევროპის ვენეციის კუნძულზედ მხითარისტების „კონგრეგაცია“, რომელ ძმობის წევრთაც მუშაკობა იწყეს არა მარტო სომეხთ-კათოლიკეთ სასარგებლოთ, არამედ მთელი გრიგორიანთა ერის ტომის. იქ დახსნეს მონასტრები, სასწავლებლები, სტამბები, დაიწყეს სომხურს ენაზედ აუარებელი

წიგნების ბეჭდვა და მით აღადგინეს ახალი სომხეთი *). რაც ხანი გადიოდა, სომეხთ კათოლიკენი მთელს აზიაში და ნამეტურ ოსმალეთში დიდს ხმასა, უფლებას და ნდობას იძენდნენ. უკანასკნელ ესენი გახდნენ სრულიად თავისუფალნი და მათს პატრიარქს და სამღვდელოებასაც დიდს უპირატესობას ანიჭებდნენ, ასევე უმზერდნენ გრიგორიანთ სამღვდელოებასაც. ესენიც მათი დიდი ერთგულები იყვნენ. მათი ასეთი განწყობა უცვალებლად ამ უკანასკნელ დრომდე დაშთა, ვიდრე ოსმალთა სომეხთა ხოცვა და დევნა არ დაიწყეს. სომხობამ მერე-კი გაახილა. მათ სცნეს თავისი მტერი, თვისი დამანაცრებელი, მოგეხსენებათ, რომ ოსმალეთის იმპერიას საქართველოს დიდი ჯავრი სჭირდა. ოსმალეთმა, რომელმაც ძველადგანვე დაამხო რამდენიმე სამეფო, მათ ვერ დაამხეს საქართველო, ხოლო 1580 წლიდგან ოდნავ დაიმორჩილეს სამცხე-საათაბაგო და მათ მხოლოდ ხარკი დაადეს, სხვა არაფერი.

ოსმალთა შესყიდვით მიემხრო ბექა ჯაყელი. ამან უღალატა საქართველოს, პირველად ეს გათათრდა. ამის სამაგიეროთ, ოსმალთ ათაბაგობა მოშალეს და ახალციხეში ფაშათ ახლათ გათათრებული საფარ ფაშა ჯაყელი დანიშნეს. ეს მალე მოვიდა ახალციხეს, ოსმალეთის სამზღვრები გაამაგრა და 1629 წლიდგან ქართველთაც გათათრება დაუწყო. გათათრების გამო ქართველთ დიდი სისხლი დაღვარეს, მაგრამ რას იზავდნენ, მათი დამხმარე არავინ იყო. ევროპაშიაც დიდი არევ-დარევა იყო, მათ საქართველოსთვის აღარ სცალოდათ. ამით ისარგებლეს ოსმალთა და მისს მეოხებით დაამხეს ერთი ნაწილი საქართველოსი და ხალხიც გაათათრეს **).

ამ დროს დასავლეთ საქართველოში ქართველთ შორის კათოლიკის სარწმუნოება უკვე აღორძინებული იყო. ყველა ეს კათოლიკენი ლათინის წეს-რიგის ტიბიკონს ასრულებდნენ, მათს ეკკლესიებში წირვა-ლოცვა და ქადაგებანი ქარ-

*) ახალი სომხეთი, შედგ. ინჯინჯიანისა, დაბეჭდილი ვენეტიკს.

**) ქართველების გათათრება. გამოც. 1901 წ.

თულსა და ლათინურს ენაზედ სწარმოებდა. იმ დროის რომიდამ მოსულ იტალიის მოძღვართ, თუმცა ერთის მხრით დიდად უძნელდებოდათ ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვის და ქადა-

გების წარმოთქმა, მაგრამ, მაინც შეძლების და გვარად, სცდილობდნენ და მრევლსაც ემსახურებოდნენ. თუ როგორის შრომით ექადაგნათ ამ მოძღვართ, ეს კარგად სჩანს ერთი ძველი ქადაგებიდამ, რომელიც შენახულია ახალციხის იოანე ნათლისმცემლის წიგნთსაცავში,*) ამ ქადაგებას გარდა სხვაც ბევრი მასალები გვაქვს ჩვენ.

მაშინდელ ქართველ კათოლიკეთ თუ მართლმადიდებელთ ერთათ ერთს შემბრალეთ და პატრონებათ მხოლოდ ლათინის პატრები იყვნენ, რომელთაც რომის პაპი მფარველობდა და ოსმალეთის მთავრობის წინაშეც პირობა იყო დადებული, რომ მათ ეს მოძღვარნი და მათი მრევლი არ ედევნათ. მაშინ, ანუ XVII საუკუნის დამდეგს ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრებდნენ შემდეგ ადგილებს: ართვინს (ართვინი) არდანუჯს, არტაანს, (არდაგანი) ახალციხეს ახალქალაქს ასპინძას, აწყვერს, აბასთუმანს, ლაზისტანისკენ, ჩხალის ხეობას, სოფ. ველს, არდაგანის ხეობისაკენ, სოფ. უდეს, არალს, ველს, ბალაჯარს, ივლიტას, ხიზაბავრას, ბნელას, ვარგავს, კარტიკანს, ხოლგუმოს, ვარევანს, ტურცხას (შავშეთისკენ), ოქრო ბაგეთს, სათლეს, ფხიკიურს, მამნელისს, ერუშეთს, ენირაბათს და ბევრსაც სხვა სოფლებს. შემდეგ დროს, ანუ XVIII საუკუნეში 2500 სული მარტოდ კონსტანტინეპოლს ითვლებოდა **) და ბევრსაც სხვა ადგილებს, რომელთაც ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით.

ყველა ამ სოფელში მცხოვრები კათოლიკენი იყვნენ ქართველ გვარის კათოლიკენი, ქართულს ენაზედ მოსაუბრენი და მათ ეკკლესიებში წირვა და ლოცვა ლათინურს და ქართულს

---

*) ქადაგებანი წარმოთქმული 1675 წლებს, ახალციხეს.

**) მასალები ივ. გვარამაძისა 1878 წ. „დროება“.

ენაზედ სრულდებოდა. ყველა ესენი რომის კათოლიკეთ იწოდებოდნენ, ხოლო ქართველ გვარისად. რაც დასავლეთ საქართველო ოსმალეთმა დაიჭირა, მით ამ სოფლებში მცხოვრებთ კათოლიკებსაც გაუჭირდათ ცხოვრება. უკანასკნელ საქმე იქამდე მივიდა, რომ იქ მცხოვრებ თვით ლათინის წესსრიგის პატრებსაც დიდათ უძნელდებოდათ, რადგანაც ოსმალთა ყაჩაღები მათ ხშირად სცარცვამდნენ, არბევდნენ და ხოცავდნენ. ამიტომ 1700 წლებიდგან აქ ლათინის წესს-რიგის პატრების მოსვლა ძლიერ შემცირდა, მთელს დასავლეთ საქართველოს ქართველ კათოლიკეთ საქმეები ოსმალეთის სომეხთ-კათოლიკეთ ეპისკოპოზს გარდაეცა და თან მათ დაევალათ ქართველა კათოლიკეთ ყურის გდება და პატრონობა.

სომეხთ კათოლიკებმა ეს დავალება თავს იდვეს. კონსტანტინეპოლიდამ მათ მალე იწყეს საქართველოში სომეხთ კათოლიკეთ მღვდლების გამოგზავნა და ხალხის პატრონობა; ასეთ მღვდელთა მოსვლა საქართველოში ქართველის გვარის კა-

თოლიკეთ წინაშე 1720 წლებს შეეხება. ნელ-ნელა ლათინის წესს-რიგის პატრებმა იწყეს შემცირება და მათ მაგიერ სომეხთ-კათოლიკეთ მღვდლებმა იწყეს გამრავლება და ხალხზედაც მოქმედება და გავლენა. ამ დრომდე-კი დასავლეთ საქართველოში, ქართველ გვარის კათოლიკენი ყველანი ქართველ გვარის ხალხად იწოდებოდნენ, ანუ ლათინის წესს-რიგის კათოლიკებად, მათში სომეხთ-კათოლიკების ხსენება და ჭაჭანებაც არ ყოფილა თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთს ძველ წიგნს, სიგელს და გუჯარს, რომ იქ დასავლეთ საქართველოს კათოლიკენი სომხის გვარის კათოლიკეთ იყვნენ მოხსენებულნი. ამას ცხადათ ამტკიცებს სოფ. ველელების თხოვნა და მუდარება, როცა ესენი უფროსს პატრს ევედრებიან, რომ ჩვენ ჩვენი ტომის.მღვდელი დაგვინიშნეთ „რადგანაც ჩვენ ქართველ გვარისანი ვართ, ხოლო ლათინის წესს-რიგის ტიბიკონისაგან დამონადირებულნი და არა სომეხი, ვითხოვთ ჩვენი ენის მცოდნე მღვდელს“. ველელების თხოვნა მეტად ძვირფასი მასალა არის

ჩვენის ისტორიისათვის*). ამ მასალიდგან სჩანს, რომ სომეხ კათოლიკეთ სამღვდელოების გავლენა ქართველებზედ არამც თუ მარტოდ 1720 წლიდგან შემოსულა, არამედ XVII საუკუნიდამაც, რადგანაც წერილის წერის კილო და ანბანის ხმარების წესი ცხადათ აჩენს ამას.

სომეხთ კათოლიკეთ მოძღვარნი შემოვიდნენ თუ არა საქართველოში, მათ კათოლიკებში მაშინათვე სომხის ტიბიკონის ხმარება შემოიღეს. სომხური ტიბიკონი, რასაკვირველია, სომხურს ენაზედ სრულდებოდა. ქართველნი და სომეხნი ძველადგანვე ერთს მეზობელ ხალხათ ვითვლებოდით და თითქმის მონათესავეთაც; ლაპარაკშიაც ხომ მეტად ბევრი სიტყვებია, რომელნიც ორივ ხალხთა ენებში ერთნაირად იხმარება. ქართველთ, როგორც ახლო მეზობელთ სომეხთა და მასთანვე მათი ენის მცოდნეთ, ძლიერ გაეხარდათ სომეხ კათოლიკეთ მოძღვართ დანიშვნა, სომხური ენის ეკკლესიებში ხმარება; ამ გახარებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რადგანაც მათ ლათინური ენის და პატრების გაგება კარგად არ ჰქონდათ, სომხურს უფრო ადვილათ ეთვისებოდნენ, როგორც მეზობელ ხალხის ენას, უფრო ადვილათ სწავლობდნენ, ლოცვების გაზეპირებაც ხომ სულ უადვილესათ ხდებოდა. სომეხ კათოლიკეთ მღვდლებმა ქართველ კათოლიკებს ისე შეაყვარეს თავი, რომ ქართველ კათოლიკებმა თითქმის პირველ დროიდგანვე მიეთვისნენ სომხის კათოლიკის მღვდლებს და სომხურ ლოცვების შესწავლას, და რადგანც ეს მათთვის ძნელი იყო და პირველად მათ სომხური ანბანის შესწავლა დიდათ უძნელდებოდათ, ამიტომ იგინი სომხურ ლოცვებს ქართულის ასოებით იწერდნენ და ისე სწავლობდნენ ზეპირად.

ასეთ ლოცვების ძველი ხელთ-ნაწერები თვით მეც ვნახე ლივანაში და სამი ხელთ ნაწერი წერა-კითხვის სამართველოს

სამკითხველოშიაც ინახება. უნდა მოგახსენოთ, რომ სომეხ-კა-

*) დაწერილია 1765 წლებს.

თოლიკეთ მღვდლების გავლენას და უპირატესობით პატივის ცემას ლათინის პატრებზედ ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რადგანაც სომეხთ-კათოლიკეთ მღვდლებმა ქართველთ ზნე, ხასიათი და ჩვეულებაც კარგად იცოდნენ და ამ ჩვეულებას იგინი ხელსაც უწყობდნენ, რაც მრევლში საყურადღებოდ ხდებოდა, მაგალითებრ: ლათინის წესს-რიგის პატრები მრევ-ლში მიცვალებულთა დასაფლავების დროს გამართულ ქელეხს სხვა თვალით უმზერდნენ; ასევე დიდს ლხინებს, ქორწილს, სამღრთოებს და სხვა ამ გვარებს, რაც ხშირათ მრევლისთვის მოსაწონი არ იყო და სომეხთ კათოლიკეთ მღვდლები-კი ყვე-ლა ამაებს ხელს უწყობდნენ და მრევლს თითქმის მათ ნები-სად აქებდნენ კიდეც, რომ მაგრე ქენითო, ოღონდ ჩვენი ტი-ბიკონი-კი იწამეთ, თქვენად მიიღეთო.

ნელ-ნელა საქმე ისე მოეწყო, რომ სომეხთ-კათოლიკეთა მღვდელნი ქართველ კათოლიკებს ყოველნაირის მხრით დაე-პატრონენ, მათში მათ დიდი ნდობაც მოიპოვეს, დიდი ადგი-ლი. ესეთი პატივის ცემა მოძღვართაც კარგად იცოდნენ და ამიტომ მათ ამ პატივის ცემის მოპოვების შემდეგიდამ მრევ ლში სომხური ენის სასარგებლოდ თავისუფლად და აშკარა-თაც იწყეს ქადაგება და მოქმედება, რადგანაც ქართველებში სომხური ენის და წერა-კითხვის სწავლება დიდათ ძნელდებო-და, ამით მათ მოიგონეს და განავრცელეს ქართველ კათოლიკე-ბში ისეთი ცრუ აზრები, რომ ვითომც დასავლეთ საქართვე-ლოში მცხოვრებ კათოლიკენი სულ სომხის მოდგმას ეკუთ-ვნიან, ვითომ მათი დედა ენაც სომხურია და ვითომც ეს მოძ-ღვარნიც მათ მიტომ დაენიშნათ რომიდამ პაპის ბრძანებით. ყველა ამას ქართველნიც დიდის მოწიწებით ისმენდნენ და ყოველთვის ასრულებდნენ წყნარად. დამორჩილებულს ხალხს საუბარი უწყეს ასრე: „თქვენ რაც უფრო ადრე დაისწავლით დედა საეკკლესიო ენას, მით უფრო უკეთესს იზავთ, რადგანაც პირველ თქვენს სამღრთო ვალს შეასრულებთ, დედა-ენას ისწავლით და მერე ჩვენს ქადაგებას და წირვა-ლოცვასაც ადვილად შეიტყობთ, ყოველთვის ნათლათ გაიგონებთ“. ერმა ირწმუნა ყოველივე.

ესენი მიეცნენ ერთგულად სომხური ენის შესწავლას და სულ მოკლე დროის განმავლობაში მათში სომხურმა წერა-კითხვის შესწავლამ ფეხი აიდგა, მან საიმედო სახე და აღორძინება მიიღო, ქართველთ კარგად და ადვილად იწყეს შეთვი-სება.

სომეხთ კათოლიკეთ მოძღვრებმა კარგად სცნეს, რომ ქართველ კათოლიკებში მარტოდ სომხური ენის გავრცელება

და მის რწმენა ვერას იქმოდა, თუ მასთან ქართველ კათოლიკეთ შორის ქართული გვარების და სახელების მაგიერ სომხური სახელი და გვარები არ აღორძინდებოდა. აი ამათ იწყეს ამის სასარგებლოდ მოქმედება და ყმაწვილების მონათვლის დროს სულ სომხურ სახელებს არქმევდნენ, მაგალითებრ: გრიქორას, ოჰანესას, მიკირტუმას, ბაღდასარას, კირაკოსას, სარქისას და სხვანიც ამ გვარნი. რაც შეეხება გვარების გადაკეთებას, ესეც ადვილად მოახერხეს და მათ ერთი ქართული გვარიც არ დატოვეს,რომ მისთვის კლანჭი არ ეკრათ და სომხურად არ გადაეკეთებინათ. გადაკეთებას ისრე ახერხებდნენ, რომ ახალ გვარს ძველი გვარის ნასახიც-კი აღარ ეტყობოდარა. მაგალითებსაც მოგახსენებთ: ფუჩეჩაშვილი, ფუჩეჩი ხომ მოგეხსენებათ ქართული სიტყვაა, სიმინდის ფუჩეჩი, დღეს ფუჩინიანცათ იწოდება, გურგნიძე – გურგენიანცათ; მაისურაძე – მაისურიანცათ; ლაზიშვილი – ლაზიანცათ. ლაზი ხომ მოგეხსენებათ ქართული სიტყვაა, ასევეც სხვა მრავალი გვარების, რომელთაც სომხური დაბოლოვება მისცეს. ასეთის მოხერხებით და ოსტატობით მათ ქართული ენა ძირიანად ამოაგდეს, დაავიწყეს კოსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკებს, ართვინის, არდატაანის, არდანუჯის, შავშეთის, ერუშეთის, ველხის, კარტიკამის, სუფლის, ალასტანის, ტურცხის, ხევს, არსიანს, კოლას, რიზეს, ოქრობაგეთს, მამანელს, სათლეს და მრავალსაც სხვა ადგილებს, სადაც დღეს ქართველთ კათოლიკეთ შთამომავალთ შორის ქართულის მოდგმის ხსოვნის შესახებ აღარაფერია დაშთენილი, მცირე რამ სიტყვები-კი

ართვინის კათოლიკებს შერჩენიათ, რაც მეტის მწუხარებით აღნიშნა პ. იეზოვმაც*).

ასე და ამ გვარად ქართველების გადაგვარება სომეხთ კათოლიკეთა მოძღვართაგან დაიწყო უფრო ისეთ შორეულ ქალხ1ქეჭიდამ და სოფლებიდგანა, რომელნიც ოსმალეთის შორეულ კუთხეებში იმყოფებოდნენ, ანუ საქართველოს კარგად განაპირა ადგილებში, იქიდგან დაიწყეს მათ. 1770 წლებში ახალციხეს მოახდინეს ეს, სადაც მათ მეტად დიდი წინააღმდეგი ძალა დახვდათ. აქ თუმცა ამ დროს ქართველ კათოლიკენი სომხურ გვარის კათოლიკებათ ირიცხებოდნენ და მათი მღვდლებიც სომხურ ენაზედ ასრულებდნენ წირვა-ლოცვას, მაგრამ რაც შეეხება გვარტომობის ცნობას, ეს-კი არ ავიწყდებოდათ მათ და მიტომ ეკკლესიებშიაც ყოველთვის ქართულს ენაზედ ქადაგებდნენ. ახალციხეს და მის ახლო მახლო კუთხეებს იგინი ეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ქართულ გვარის კათოლიკენი ვართ და არა სომხისაო.

ასეთი მოძღვარნი იყვნენ ახალციხის ეკკლესიებისკენ შემდეგნი პირნი: ტერ ლაზარე, ოცხელი, მწერალი და მთარგმნელი, დონ სტეფანე აწყვერელი ტერ იოანე. ესენი გარდაიცვალნენ 1764 წ. დონ-ანტონი – 1767 ტერ-იაკობ საბაშვილი – 1773 წ., პატრი გიორგი – 1774., იოანე გარსევანიშვი-

ლი – 1779 წ., ოქრობაგეთს სომეხთაგან მოკლული, ჩიგაანთ იოანე ვართაპეტი პროვიქარი – 1789 წ., ტერ-არაქელი – 1783 წ., ტერ-გრიგოლ კრუხიჭამიაანთი – 1786., დიდი ტერ-იოანე აივაზაშვილი, 1786 წ., მანქანდრიანთ ტერ-იოანე – 1797 წ., ნარუანთ ტერ-გრიგორი – 1798 წ., და მრავალიც სხვანი, რომელნიც XVIII საუკ. სცხოვრებდნენ და ესენი ქართულს ენაზედ მწიგნობრობდნენ, კათოლიკეთათვის საჭირო წიგნებსაც სთარგმნიდნენ და სწერდნენ. ამათგან ნაწერ და ნათარგმნ ხელთ-ნაწერებმა ჩვენ დრომდე მრავლათ მოაღწიეს. ესენი ქართული ენის ამოვარდნის საქმეს ახალციხეში წინ გა-

*) ქართველ კათოლიკეთა შესახებ, პ. იეზოვის 1898 წ. თფილისი.

დაეღობნენ. რაც შეეხება სომხურად, ანუ მამის მაგიერ ტერობით წოდებას – ეს-კი მათში მტკიცედ იყო დამკვიდრებულ და მრევლშიაც ესენი თავის და უნებლიეთ სომხურ სახელებს ავრცელებდნენ. ამათმა უნებლიეთ შეცდომამ გორშიაც იჩინა თავი და თუმცა ძველადგანვე გორს, ქუთაისს და თფილისს ქართველ კათოლიკენი ლათინის ტიბიკონზედ იყვნენ მდგარნი და ამათ აქ პატრები მწყსიდნენ, მაგრამ სომეხთ კათოლიკეთ მოძღვართ მეოხებით გორის მცხოვრებთ ზუბალაშვილებს, რაღაც მანქანებით გეურქა და ოჰანესა დაერქვათ. საქმე სახელების დარქმევა არ გახლავსთ, აქ საოცრება ის არის, რომ ამ სახელების დარქმევის დროს, თვით მათი გადაგვარების რწმენასაც-კი ეძლეოდა თავისი დასაწყისი. ყველა ქართველ კათოლიკეს უადვილესად ეხატებოდა თავში ის ოცნება, რომ ის სომეხ კათოლიკეა, სომხის გვარის, სომხის შთამომავალი. ამ გარემოებას წინააღმდეგ ძალათ მოევლინა 1829 წ. რუსთაგან ახალციხის აღება და იქით ოსმალთაგან ქართველთა დევნა, სადაც ქართველთა ხსენების ნებასაც-კი არ აძლევდნენ.

თუმცა ჩვენგან ზემორე მოხსენებულ მღვდლებმა იცოდნენ, რომ იგინი და მთელი სამცხე-საათაბაგოს კათოლიკენი ქართველ გვარის კათოლიკენი იყვნენ და ამას მათი წარსულიც ამტკიცებდა, მაგრამ იგინი, როგორც სომხის მხითარისტების მწერლობის გავლენის ქვეშ აღრზდილნი და სომხის ტიბიკონზედვე მდგარნი, იმას-კი ვერ ახერხებდნენ, რომ სომეხთ სახელებს და ენის ხმარებას მკაცრათ განშორებოდნენ და ქართულად ეწყოთ ხმარება. ეს იყო მათი სიმხდალე და მათი შეცდომა, რაც სომეხთ კათოლიკეთ მოძრაობას ფრთებს ასხამდა, თუმცა-კი ისიც უნდა შეინიშნოს, რომ კათოლიკებში იყვნენ ისეთი მოძღვარნიც, რომელნიც სომეხთ კათოლიკებს და სომეხთ გრიგორიანებს მკაცრათ ეწინააღმდეგებოდნენ. ასეთი იყო მაგალითებრ: მღვდელი იოანე გარსევანაშვილი შავშეთის ოქრო ბაგეთელი, რომელიც მტრობით იქმნა მოკლული 1779 წელს.

ახლა იქმნება თქვენ იკითხოთ, თუ ყველა ამაებს სომეხ კათოლიკეთ მოძღვარნი რად სჩადიოდნენ, ესენი რად ასხვა-ტომებდნენ ქართველთა და თვით რაზედ აპირებდნენ საქმე-სო. ამის მიზეზი გახლდათ ის გარემოება რომ 1730 წლებს სომხის ეჩმიაძინის გამგეობის წინაშე გამოირკვა ის აზრი, რომ ვიდრე სომეხ კათოლიკენი და გრიგორიანები ერთად არ და-კავშირდებიან, მინამდე ჩვენ სომხეთის აღდგენას ვერ მოვა-ხერხებთო. ამიტომ მათ ამის სასარგებლოდ მკაცრად იწყეს ცდა და სხვათა შორის 1744 წ. რაც სომეხთ კათოლიკეთ პატრიარქი ამოირჩიეს, მის შემდეგ, მათ დასავლეთ საქართვე-ლოს ქართველ კათოლიკეთ შორის კათოლიკის სამღვდელო-ება დაიახლოვეს, თითქმის შეისყიდეს და ამის მაგიერ, აი რას ავალებდნენ.

იმეცადინეთ, რომ ქართულათ მოლაპარაკე კათოლიკე-ბში სომხური ენა განავრცელოთ და მასთან საეკკლესიო დავთ-რების წერაც სომხურათ დაიწყოთ. მართლაცა და ზოგიერთ მღვდლებმა 1747 წლიდგან საეკკლესიო დავთრების წერა სო-მხურათ იწყეს*), მაგრამ ამ წერამ დიდს ხანს არ გასტანა და 1740 წლიდგან ისევ ქართულად დაუწყვიათ წერა. შემდეგ დროში, ეჩმიაძინის გამგეობამ რამდენიმე კათოლიკეთ მღვდე-ლნი ფულით შეისყიდეს, მაგრამ ვერცა რა ამით მოხერხდა, საწადელს ვერ მიაღწიეს. უკანასკნელ აღმოჩნდა, რომ მათ კათოლიკის მღვდლები სასტიკათ ატყუებდნენ. ამათ ასეთმა ცდამ 1785 წლამდე გასტანა და ამ წელს-კი აშკარა იქმნა, რომ იგინი კათოლიკებთან ვერას აწყობდნენ, უბრალოდ ფუ-ლებს ხარჯავდნენ, არა გამოდიოდა-რა დროებით, საქმეს თავი გაანებეს.

გავიდა დრო, დადგა 1795 წ. და ამათ კიდევ განაღვი-ძეს სომეხთ კათოლიკის მღვდლებზედ მოქმედება და ფულით შესყიდვა. კათოლიკის მღვდელნი იმედებს აძლევდნენ, ჰპირ-

*) ინახება ახალციხეს, იოანე ნათლის მცემლის ტაძრის სამკითვე-ლოში.

დებოდნენ, რომ უკანასკნელად წადილი შესრულდებაო, მაგ-რამ ესეც მოტყუება იყო თურმე. ამაობაში დადგა XIX საუ-კუნე, მოახლოვდა 1825 წლები და შესყიდულ კათოლიკე მღვდლებთაგან-კი არა კეთდებოდა-რა. შესყიდულებს დაპირე-ბის პირობა მოეთხოვათ. მათ უარი განაცხადეს. სომხის სამ-ღვდელოება აღელდა ამაზედ და ოსმალოს მთავრობა შეისყი-დეს, არზრუმის და ახალციხის ფაშას მისცეს ქრთამები და 1827 წ. აღდგომის პარასკევს დღეს, სულ ყველა წინააღმდე-გი მღვდლები დააჭერინეს, ერთ ციხეში შეაგროვინეს და მით ჰქონდათ იმედი, რომ იქმნება ამ საუფლო დღეებს უმღვ-დლო კათოლიკის მრევლნი დაგვმორჩილდნენ და გრიგო-რიანობა მიიღონო. თუმცა ასე ფიქრობდნენ, მაგრამ აქაც მო-

ტყუვდნენ და მათ არც ერთი კათოლიკი არ დაუკავშირდა. აი, ესეც ძველი პირი იმ ქაღალდისა, სადაც აწერილია პატიმარ მღვდელთა ცნობანი: „1827 წ. მარტის თვეს, საერთოთ კათოლიკე მღვდელნი სურგუნ ვიქმენით, ცამეტნი მღვდელნი ახალციხის საბრძანებელსა, პირველად უფროსი პოღოს ვართაპეტი შაჰყულიანი, ანტონ ოჰანანი, ტერ სტეფან მეფისოვი, ტერ სტეფან აბინანთი, ტერ სტეფან მღებრიანთი, ტერ სტეფან მაზმიანთი, ტერ სტეფან ნავროზანთი, ტერ ანტონ ხუციანთი, ტერ პოღოს ხარისჭაროვი, ტერ-სტეფან აღოშანთი. ეგრეთვე ლივანის სანჯახიდამაც იყვნენ, ართვინიდგან სამი მღვდელნი: ტერ თომა კორძულელი, ტერ პოღოს იესიანი, ტერ იოსებ ბილაჯიანი, არტანუჯიდამ – ტერ პოღოსი და ტერ იოჰანესი ბეთანიანი. შავშეთიდგან – ორნი, ტერ-აკოფი და ტერ პოღოსი; ველიდამ (არდაგანის ოლქი) ტერ ოჰანეს ზაქარიანი და ტერ პეტროს ყულახსიანი. წითელ პარასკევს ღამეს ქალაქის მღვდლები შერეკეს ციხეში, შაბათ დილას მუშაბირები დაგვეხსნეს სოფელში, ციხეში ვიყავით მთლად აპრილი, მაისის სამს. არზრუმს წაგვიყვანეს ოც-და-ორი მღვდელი, ასე რომ ამაღლებ დღეს საკირეს ვიყავით მიმავალი“ *).

აი ბატონებო, ეს გახლდათ მიზეზი და ამის ღწვა, რომ

*) იხ. ახალციხის ივანე ნათლის-მცემლის ეკლ. წიგნთსაცავში.

გორელ ძირეულ ქართველთ მცხოვრებთ ზუბალაშვილებს სომხური სახელები უწოდეს. ამ ხერხს მისდევნდენ ესენი ძველად და მისდევდნენ თვით იმ დროსაც, როცა კი საქართველო რუსეთს დაუკავშირდა, როცა ერს მოსვენებით უნდა ეწყო ცხოვრება და ისტორიულს ჭეშმარიტებასაც ფეხი უნდა აედგა, ფრთები უნდა შაესხა, მაგრამ საუბედუროთ, ეს არც იმ დროს მოხდა ასე და 1810 წელს, გორის მცხოვრებთ ქართველ მდიდარ მოქალაქე ზუბალაშვილებში გამოირკვა ის აზრი, რომ ვითომც ისინი სომეხ კათოლიკენი არიან და მათი რწმენა იქამდის წავიდა, რომ როდესაც საფრანგეთის ორიენტალისტი მოგზაური დუბო დე მონპრე მოვიდა საქართველოში, გორში ჩამოხტა და იქაურობა გაიცნო. სხვათა შორის, იმ დროს, მასვე გაუცვნია გორის მცხოვრებ ზუბალაშვილების ორი წევრი, სახელდობრ, გეურქა და მისი ძმა ოჰანეზა. მოგზაურს ამათთვის ვინაობა უკითხავსთ და ამათ მიუგიათ, რომ სომეხ კათოლიკენი ვართო“.

მეცნიერს მოგზაურს ესენი მართლაცა-და ასე მიუღია და თავის მოგზაურობაში ასე აუნუსხავს, რომ გორში მცხოვრები ზუბალაშვილები სომხის გვარის შთამომავალნი არიანო. ეს, რასაკვირველია, შეცდომით მოუხდათ ზუბალაშვილებს. მაშინ, საუბედუროთ, ბევრს ალაგას სარწმუნოების და გვარტომის გარჩევა სრულებით არ იცოდნენ. ამის ნათელი წარმოდგენა იშვიათი იყო და მიტომაც აქ ზუბალოვებს ნურავინ უსაყვედურებთ.

ასეთ შეცთომას, არცარა თვით მოგზაური ინებებდა, რომ მას სცოდნოდა საქმის ვითარება. მოგზაურს რომ შეეტყო, რომ ზუბალაშვილებმა მას აცნობეს თავიანთი ვინაობა ბრუნ-

დეთ, ანუ უცხო ტომის ტიბიკონის დაჩრდილების ქვეშ, მაშინ ის იმათ დაწვრილებით გამოკითხავდა და ისე აღნიშნავდა ზუბალაშვილებს სისწორით.

მაგრამ მან ეს არ იცოდა და ზუბალაშვილებსაც სულ არ მოუვიდათ ფიქრათ, რომ გორის მკვიდრთ ქართველთ შთამომავალთ მოქალაქეთ უცხო მოგზაური სომხათ აღიარებდა.

ზუბალაშვილები როგორ იფიქრებდნენ იმას, რომ მოგზაური და მასთან ნასწავლი კაცი, ქართველთ გვარის შთამომავალი, სარწმუნოების მხრით, სხვა გვარის ტომის შვილად აღიარებდა. ეს მარტოდ ჩვენში მოხდება, თორემ ევროპაში და საფრანგეთშიაც ფრანგი, კათოლიკის სჯულის, პროტესტანტის და სხვა სარწმუნოებისაც ყველა ფრანცუზათ ითვლება და არა სხვადსხვა ტომის ძეთ. სჯულის მეოხებით იქ ასეთ შეცდომებს არავინ დაუშვებს, თუმცა ეს ჩვენში-კი ერთობ ხშირია. ასეთ უნებლიეთ შეცდომებს ზოგიერთები ისტორიულ ხასიათს აძლევენ, მერე ავტორიტეტობრივ ღირსებასაც ანიჭებენ, შემდგომ ხელზედ იხვევენ და ამა თუ იმ კითხვებზედ სჯიან და ცნობებთა ისტორიულ ახსნას ისე მარტავენ, როგორც მათ უჯობთ და მათი საგვარტომო ინტერესებიც თხოულობს.

აი სწორეთ ესეთ გარემოებაშია მოთავსებული ზუბალაშვილების გვარის ისტორია და ამავე გვარის გარემოებასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული მთელი ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის ისტორიაც. მაგრამ რა, განა სომეხთ მოკამათენი მარტოდ ზუბალაშვილების გასომხებას დავობენ და ამათთან მთელ ქართველ კათოლიკების. არა, ესენი უფრო შორს მიდიან, თვით წმიდა ნინოც-კი სომხათ აღიარეს*). ამის გარდა ქართველობიდამ გადაგვარებულმა სომეხთ კათოლიკეთ ფაფაზიანცმა მთელი დასავლეთ საქართველო სომხეთის ნაწილათ აღიარა**). თვით ქართველთ შთამომავალმა სომეხთ კათოლიკე მამა საფარიანმა თვით ასპინძა და აბასთუმანიც-კი სომხეთის ნაწილათ ჩათვალა და სახელებიც კი შეუცვალა და აბასთუმანი აპასთუმნათ მოიხსენა და ასპინძა ასპინჭათ ***). სხვებზედ რაღა უნდა ითქვას, გეფიცებით პატიოსნებას, რომ ჩვენი მეფეების დროს, სომეხ კათოლიკეთ ჭაჭა-

*) მოგზაურობა ს. ქელბაქიან, ფრანგულს ენაზედ, პარიზი 1884 წ.

**) ოსმალეთის სომხეთი, მოგზაურობა ფაფაზიანცისა. 1890 წ. თფ.

***) გეოლოგია შედგენილი მ. საფარიანისა, 1890 წ. ვენეტი.

ნებაც არ ყოფილა, მაგრამ უკანასკნელ დროს, არამც თუ სომეხ კათოლიკეთ ხსენება შემოვიდა ხმარებაში, არამედ ამან მოგზაურის ორიენტალისტის დუბოას წიგნებშიაც-კი ამოჰყო თავი და თვით ამ მეცნიერმაც-კი შეუწყო სომეხთ ცთუნებას ხელი.

თუმცა კი ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მეცნიერ ორიენტალისტი ზუბალაშვილებს მარტოდ სომხათ მოიხსენებს, იგი მარტოდ იმას ამბობს, რომ ზუბალაშვილები სომხები არიანო. ხოლო თუ ზუბალაშვილებმა რად უთხრეს მოგზაურს, რომ იგინი სომხები არიან, ამაზედ ჩვენ ზემოდ განვმარტეთ და მიტომ აქ სხვას აღარას მოგახსენებთ. ვისაც სმენა აქვს, აქედამაც კარგად გაიგებს.

ისტორიულის გარდმოცემით ვიცით, რომ XVIII საუკ. ნახევარს ზუბალაშვილების ერთი თუ ორი წევრი რაღაც მიზეზების გამო კათოლიკობიდამ გრიგორიანობაზედ გადასულან, მიზეზი ამათი გადასვლის ჩვენ არ ვიცით, ის-კი უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ მათი გადასვლა სომეხ კათოლიკეთ მოძღვართაგან მოხდებოდა, თორემ რამდენადაც ჩვენ ვიცით ზუბალაშვილების თვისება და გარდმოცემა, იგინი თავიანთი ნებით და წადილით არას დროს არ დაუკავშირდებოდნენ გრიგორიანობას. აქ უეჭველია, რამე განსაკუთრებით პირობებს ექნება მნიშვნელობა. დღეს ასეთ გრიგორიანების მაღიარებელ ზუბალაშვილების შთამომავალნი სცხოვრებენ საქართველოში და იგინი თავიანთ ვინაობას სომხათ აღიარებენ. ჩვენთვის არც ეს უნდა იყოს საკვირველი, რადგანაც მთელს ქართლსა და კახეთში აუარებელი ქართველობა არის ძველათგანვე გასომხებული და გრიგორიანობასთან და კავშირებული, რომელთა უმეტესს ნაწილს დღევანდლამდე თავიანთ ქართული გვარებიც შერჩათ და მიტომ მათ ქართველი გრიგორიანებიც უწოდეს. *)

ჭეშმარიტად, რომ ეს სწორეთ ასეც უნდა იყოს. საქარ-

*) „მოგზაური“ 1902 წ. წერილი „ქართველ გრიგორიანები“.

თველოში, ქართველ კათოლიკეთა სომხათ წოდებას ის გარემოებაც კარგად დაეხმარა, რომ 1830 წ. თფილისში მყოფ ლათინის წესრიგის პატრების დევნა აღორძინდა. ამათ მავნებლობას სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონის მღვდლები ამტკიცებდნენ, თვით მთავრობასაც არწმუნებდნენ, რომ ესენი თქვენთვისაც მავნებელნი არიან და ამიტომ უმჯობესი იქმნება, რომ საქართველოდამ ეგენი გაძევებულ იქმნენო, წადილს მიაღწიეს და 1842 წელს, პატრების დევნაც გამოცხადდა *). ამ პირების განდევნის შემდეგ-კი სომეხთ-კათოლიკის ხუცებს დილა გაუთენდათ და როგორც ძველადგანვე დასავლეთ საქართველოს ქართველთ გვარის კათოლიკენი ჩანთქეს, კინაღამ ქუთაისის, გორის და თბილისის კათოლიკენიც სომხათ იქმნენ წოდებულნი. მცირე ხნით მაინც ასე იქმნენ ხმობილნი და ქართველთ ეკკლესიებიც სომეხ კათოლიკე ეკკლესიებათ იქმნენ შერაცხილნი. ეს მოწყალება ერმა იუცხოვა და რამდენიმე ხნის შემდეგ, მის წინააღმდეგ ადგა მრევლი და ამათის ცდით და შრომით უკუღმართი ჰაზრები სამარეს ჩაბარდა.

1850 წლებში, ახალციხის ეკკლესიებში, ამბინოზიდგან

იქმნა გადმოძახილი, რომ საქართველოში მცხოვრები კათოლიკენი ქართველ გვარის ქართველ კათოლიკენი ვართ და არა სომხისაო. ამ გარემოებამ ჩაუდგა სული ნათელს ჭეშმარიტს კითხვას, ამან აიყოლია მთელი ქართველ გვარის კათოლიკობა, ამასვე აჰყვა მთელი ქართველობა. მაღალმა მამულიშვილობამ გაიტაცა აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი. ეს გავიდა თავისს სამშობლოდგან კონსტანტინეპოლს, იქიდგან ვენეციას, იქ დაჰყო რამდენსამე ხანს და ლაზარეს მონასტერში გახსნა ქართული სტამბა და დაბეჭდა რამდენიმე ქართული წიგნები. ამ წიგნების ბეჭდვას დიდი შრომა და ფული სჭიროდა, მაგრამ მან და მისმა მეგობარ ქართველ კათოლიკეთ მღვდლებმა ამას დასძლიეს. მუდმივ იქ ყოფნა ამისთვის მოუხერხებელი იყო. ამიტომ ვენეციიდამ ის გავიდა ევროპას; პირველად ის

*) კავკასიის აქტები;

წავიდა რომში, ნახა პაპი, შესტირა მწარეთ და აუწყა ქართველ კათოლიკეთ მდგომარეობა. პაპმა ყოველივე დიდის სიამოვნებით მოისმინა და აქო პეტრეს შრომა ქართველ გვარის კათოლიკეთა სასარგებლოთ. შემდეგ ამან პაპის დახმარებით იმოგზაურა მთელი ევროპა, შეაგროვა დიდი ძალი ფული და ბოლოს საფრანგეთს (მონთობანს) დააარსა ქართველ კათოლიკეთ მოძღვართა ძმობა „კონგრეგაცია“.

მონასტერთან გახსნა სტამბა და „ძმობას“ გაუჩინა სამუშაკოთ, რათა მათ ქართული წიგნები ებეჭდა. შემდეგ ამისა, კონსტანტინეპოლს შეიძინა ადგილები და წმიდა იოსების სახელზედ გააკეთა ქართველთ კათოლიკეთა ეკკლესია. შიგ წირვა-ლოცვა ქართულად მოაწყო. მასთანვე კონსტანტინეპოლს გახსნა ქართველ კათოლიკეთ მოძღვართა ძმობა. „კონგრეგაციამ" იქვე ეკკლესიის ახლო დააფუძნა საქალებო და სავაჟო სასწავლებელი, სადაც ქართველ კათოლიკეთა ძენი სწავლობდნენ და მომავალში მღვდლათ ემზადებოდნენ. მონასტრის მახლობლივ გახსნა დედათა მონასტერიც, სადაც ქართველ კათოლიკეთ სამონოზნო ქალები სცხოვრებენ დღესაც; ყველა ამაებთან მანვე გახსნა ქართული სტამბა და ძმობას მიუჩინა სამუშაკოთ. ხსენებულ სტამბებში დაბეჭდეს ქართველ კათოლიკეთა და თვით მართლ-მადიდებელ ქართველთათვის მრავალი წიგნები, მაგალითებრ: გეოგრაფია, ისტორია, საზოგადო ისტორია, ალფონს ლუგორის ქადაგებანი „წალკოტი“, ეზოპეს იგავნი, წმიდათა ცხოვრებანი, გრამატიკა, ქართულ-ფრანგულ ხელს სამძღვანოები, ქართველთ კათოლიკეთათვის საჭირო ლოცვის წიგნები და მრავალიც სხვანი.

ყველა ამ წიგნებმა ქართველ კათოლიკობაში დიდი გზა გაიკვლიეს, დიდი ასპარეზი მოიპოვეს. ქართული გვარტომობის შეგნების სხივებმა თავი იჩინეს. დღეს კათოლიკობამ კარგათ იცის თავის ვინაობა, მათთვის ვექილობა საჭირო არ არის. ჭეშმარიტებით განმტკიცებული ნიადაგი თავის ძალას არ კარ-

გავს, მისი სამერმისო ასპარეზი უფრო დიდის სიმტკიცით მზადდება და ზედ უფრო მტკიცე თვისებით აღჭურვილ ნამდვილ

საქართველოს მოყვარე მამულიშვილთ კათოლიკეთ ძენი სჩნდებიან, რომელნიც თავიანთ ვინაობას არ ჰკარგავენ, გვარტომობის ნამდვილს ისტორიულს ჭეშმარიტებას, ისტორიულს ცნობებს შესაფერის პატივით ეპყრობიან და სადაც ჯერ არს, იქ სიტყვასა არ იშურებენ ამისთვის, რათა ისტორიული ჭეშმარიტებათ ცნობილი და საქართველოში ძირეულ ქართველ კათოლიკენიც ქართველად იქმნენ ხმობილნი. სწორე სიტყვას თავისი მომავალი ენიჭება და ქართველ კათოლიკენიც შესაფერის სიმტკიცით და ენერგიით მხნეობენ ამისთვის. სწორეთ საქებარია ამ მხრითაც ზუბალაშვილები, რადგანაც მათი მამულიშვილური მაგალითი მრავალ ქართველ კათოლიკეთ ახალგაზრდობას უადვილესად ასმენს და აძლევს მაგალითს, რათა იგინი მტკიცე პატივის მცემელნი იყვნენ ისტორიულის ჭეშმარიტების და თავიანთ ძველთ მამა-პაპათა გვაროვნების გარდმოცემის. ამ ჭეშმარიტ ნაანდერძევ მამა პაპათა მცნებას ეკუთვნიან მრავალნი წარჩინებულნი და დარბაისელნი გვამნი ქართველ კათოლიკეთა.

ზუბალაშვილები კათოლიკის სარწმუნოებით რომში ადრევე იქმნენ ცნობილნი. XVIII საუკუნეში, რომიდამ საქართველოში მოსულან კათოლიკის ორი ეპისკოპოსი, რასაკვირველია, სხვა და სხვა დროს, ასე 1745 წლების შემდეგ. ამ ეპისკოპოსებს მგზავრობის დროს გორში უსადგურნიათ. გორში მათ ქართველ კათოლიკეთათვის ნათელიც უცხიათ. მათი მოსვლა და ეს მრევლის მირონცხება ანიშნულია თვით გორის კათოლიკეთ ეკკლესიის ძველ წიგნში. პირველი ეპისკოპოსი ყოფილა ფილიპე, მეორეს სახელი არ სჩანს, ამ ეპისკოპოსებს მირონცხებულ კათოლიკეთ შორის პირველს დარგზედ ზუბალაშვილების გვარის წევრნი ჰყავს დაყენებული. ეპისკოპოსთათვის გორის ზუბალაშვილებს დიდი მფარველობა გაუწევიათ, იქ ყოფნის და ცხოვრების დროს დიდი პატივი უციათ, უცხოელ ეპისკოპოსთ დიდის თავაზით მიუღიათ და შეუწყნარებიათ ზუბალაანთ პატივის ცემა და კეთილი თავაზი. ეს მათი პატივის ცემა აღსანიშნავი ყოფილა თავისს დროს,

და აღსანიშნავია დღესაც, რადგანაც საყურადღებო მხარეა ჩვენს ისტორიაში და ნამეტურ ქართველ კათოლიკეთა ისტორიაში, რადგანაც, ამ გვარის ცნობებით, ეს ისტორია, ერთობ ღარიბია, ბევრი რამ ცნობები არა გვაქვს შეკრებილი და გაცნობილი, რომ მით შეგვეძლოს შევსება, გარკვევა და შემუშავება. ნამეტურ ასეთ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვსთ ისტორიულს პოლემიკაშიაც. ამიტომ, ამ ეპისკოპოსთ მოსვლას ჩვენ საკმარისს მნიშვნელობას ვაძლევთ, რადგანაც,

როგორც გვაუწყებენ XVI საუკ. შემდეგიდამ, საქართველოში კათოლიკის ეპისკოპოსნი ერთობ იშვიათად მოსულან.

ამ ხნის განმავლობაში თითქმის არავინ სჩანს. ეს პირველი მაგალითია, რომ მე XVIII საუკუნეში საქართველოში კათოლიკის ორი ეპისკოპოსი მოსულა და გორში მათ ქართველ კათოლიკეთათვის მირონიც უცხიათ. აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლათინის ეპისკოპოსნიც კათოლიკებს მირონს სცხებენ მხოლოდ ლათინის ტიბიკონზედ მდგართ კათოლიკებს და არა სომხის კათოლიკეთა ტიბიკონზედ მდგართ. აქედან სჩანს, რომ გორის კათოლიკეთ ადრიდგანვე ლათინის ტიბიკონზედ მდგარან. სამწუხაროთ, ჩვენ ის-კი არ ვიცით, თუ ამ ეპისკოპოსებმა გორს გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებშიაც იმგზავრეს და იქაც დაჰყვეს ხანი თუ არა?

საინტერესოა ამის ცოდნა. მას შემდეგ საქართველოში ევროპიდამ კათოლიკის ეპისკოპოსო ფეხი აღარ შემოუდგამსთ. არ შეიძლება, რომ ზუბალაანთ გვარის წევრთ შორის, ძველად ამ ეპოსკოპოსებზედ რამ ცნობები არ ყოფილიყოს დაშთენილი. ხოლო ყველა ეს ცნობები ჟამთა ვითარების და მუსულმანთა დევნის მახვილის მეოხებით შემცირდა და მოისპო ჩვენდა სამწუხაროდ. ურიგო არ იქნება, ახლა აქ ჩვენ მოვიყვანოთ რამდენიმე ცნობა ქართველ კათოლიკეთ ეპისკოპოსთ შესახებ:

ჩვენ კარგად ვიცით, რომ გორის ზუბალაშვილებში ძველად ბევრი რამ ღირსეული ცნობები ყოფილა შენახული საქართველოში, ქართველ გვარის კათოლიკეთა შორის ქ. თბი-

ლისს, კათოლიკეთ საეპისკოპოსო კათედრა XIX საუკ. დამდეგს იქმნა დაფუძნებული და პაპის იოანე XII-ის ბრძანებით დანიშნულ იქმნა ეპისკოპოსათ იოანე ფლორენციელი. აი ესეც ბულა პაპის იოანე XII-სა, რომელიც მიუღია თბილისის ეპისკოპოსს.

„პაპი იოანე XII თავისს საყვარელს შვილს, იოანე ფლორენტიელს, ამორჩეულ ეპისკოპოზს თფილისისა

როგორც გავლილად გავრცელებულა ქრისტეს სარწმუნეობა, ისე ახლად ღვთიული წ. სახელისა პატივის მოსაცემელად გამოძიებით და სხვა და სხვა ჯეროვანის მიზეზებისა ჩვენის ძმებისაგან შეგულიანებულთა ბოლოს გარდავსწყვიტეთ ჩვენის სამოციქულო შეძლებითა, რომ განწესებულ იყოს ჩინებულს თფილისის ქალაქში საეპისკოპოსო კათედრის ადგილი, რომელიც იმყოფება საქართველოს სამეფოში.

ვინებეთ ეს თფილისი მომავლად მუდამ საე[ოსკოპოზო ქალაქად დარჩეს სრულის შეძლებით და ჩვენის ძმების მოკითხვითა, როგორც ზემოთ ვსთქვით დამტკიცებით განვსაზღვრეთ, რომ დაარსდეს თფილისის ქალაქს საეპისკოპოზო ეკკლესია და მიეცეს მას ღირსებული ტიტული თფილისის ეპისკოპოზისა.

კვლავ ჩვენს თვალთა თქვენკენ მოვაქცევთ, რომელიც განწესებულ ხართ მასწავლებელად მოქადაგე ძმათა რიგისაგან, მეცნიერი მღვდელ წმიდის წერილებით, რომელიც იცნობთ თქვენ პიროვნულად მაგ ადგილების გარემოებათა და საჭიროებათა, რომ მრავალნი მოაქციეთ ღვთიულ სიტყვის ქადაგებით და შესძინეთ იესო ქრისტეს, გვაქვს

კეთილი გული წმიდის სარწმუნოებისა, წმიდა ცხოვრება, კეთილ ყოფა ქცევა და სიბრძნე სავსე მრავალ ნიჭ სათნოებათა, როგორც შეტყობილ გვაქვს სარწმუნო მოწმებისაგან; რომელნიც გრაცხვენ შემძლე ღირსეულ პირად, მით სრულ სამოციქულო შეძლებითა ჩვენითა შეკითხვისამებრ ძმათა ჩვენთა გადგენთ ზემოხსენებულ თფილისის ეკკლესიასა ზედა ეპისკოპოსად გამოძიებისა და ყოვლისფრის განხილვისა შემდეგა.

„მიეცა ავინონს XIV ნოემბ. წ. 1329-სა“.

ბულას თავზე ასე აწერია: – „გასაწურთნავად ქართველ ერისა ღვთიულ სიტყვითა – დამტკიცდა ქ. თფილისს საეპისკოპოზო

კათედრა და დაინიშნა ეპისკოპოზად იოანე ფლორენტიელი წმიდის დომინიკეს რიგისაგან“.

იოანეს შემდეგ, ბაგრატ V დროს, 1348 წელს განწესებული იქმნა ბერთნარდო თეოთინკო დომინიკიანელი. შემდეგ ამისა 1380 წლებში, დანიშნულ იქმნა ბერთრანო ეპისკოპოზი. დიდის მეფის ბაგრატის დროს, 1391 წ. ბონიფიციო პაპის ბრძანებით განწესებულ იქმნა რეინალდო დომინიკიანელი. XV საუკუნეში, ნიკოლოზ პაპის ბრძანებით დანიშნულ იქმნა ეპისკოპოსად ივანე სანკტე მიქალელი, შემდეგ დაინიშნა ალექსანდრე დომინიკიანელი. 1463 წ. მეფის გიორგის დროს, პაპის პიო მეორისაგან თფილისის ეპისკოპოსათ დანიშნულ იქმნა თურიკო დომინიკიანელი. ამავ საუკუნის გასვლამდე რომის პაპის პავლე მეორის ბრძანებით დანიშნულ იქმნა ეპისკოპოსათ იოანე ეპისკოპოზი, ძმა ავგუსტიანელებისა. შემდეგ ამისა იქმნა დანიშნულ ეპისკოპოსათ ალბერტო ანჯელო ფრანცისკიანელი. ამ ეპისკოპოსებს გარდა ყოფილა კიდევ ეპისკოპოსი ენრიკო ვონსტი, გარდაიცვალა 1469 წელს. მის შემდეგ დანიშნულ იქმნა ეპისკოპოსი ივანე იმაქი ავგუსტანელების რიგისაგან. ამ ეპისკოპოსებს გარდა სხვებიც ყოფილან საქართველოში, მაგრამ ჩვენ მათზედ ცნობა არა გვაქვს, ხოლო გარდმოცემით და სხვათა პირთა მოსაზრებით ასეა უწყებული, რომ ვითომც ეპისკოპოზის ალბერტო ფრანცისკიანელის შემდეგ ე. ი. 1495 წელს საქართველოში თვით დღემდე სხვა ეპისკოპოსნი არ მოსულან. ანჟელო ეპისკოპოზის შემდეგ საქართველოში ყოველთვის სხვდასხვა აბატნი მოდიოდნენ. დღეს-კი სულ სხვა ცნობები აღმოჩნდა და თვით XVIII საუკ. გასვლამდე, საქართველოში კათოლიკის ორი ეპისკოპოსიც მოსულან. ამათ გორშიაც უსადგურნიათ. გორის კათოლიკებს ესენი დიდის სიხარულით მიუღიათ. მათს შენდობას დიდის სიხარულით იღებდნენ. ეპისკოპოსთაც დიდად სიამოვნებიათ გორის კათოლიკეთ ასეთი საქციელით სასიხარულო გარემოება. როგორც ზემოდაც ვსთქვით, ხოლო გორის კათოლიკეთ ზუბალაშვილებს-კი

ეპისკოპოსთათვის დიდი, შესაფერი თავაზი გაუწევიათ და ამის

გარდა გზის მაჩვენებლობაშიაც კაი მეგობრობა გაუწევიათ. ამ დროს გორში სცხოვრებდნენ შემდეგნი პირნი ზუბალაშვილებისა:

გიორგი, მერაბი, ანდრია, სტეფანე. ივანე და სხვანი.

საქართველოს სამეფო სატახტო დედა ქალაქი თფილისი, ძველად მდიდარი იყო სხვა და სხვა შესანიშნავის ძველის შენობებით: დიდრონი ქარვასლები, მშვენიერის ბაღებით და მარმარილოს აუზებიც ხშირი იყო. დიდრონ ქარვასლებს გარდა იყო მრავალი დიდრონი შენობებიც, მაგალითებრ: სამეფო სახლი, რომელ სახლის შენობას, შუშაბანდიან აივნებს, შინაგან მორთულობას და გარეგან მშვენებას ევროპის სხვა და სხვა მოგზაურნიც აღგვიწერენ *). სხვათა შორის, როსტომ მეფის მშვენიერს სასახლეს შარდენიც აღგვიწერს, სასახლეში, შარდენიც მიუწვევიათ. ამ მშვენიერი სახლის რუკა დახატულია შარდენის მოგზაურობაში, რომელიც 1710 წ. ლიონში დაიბეჭდა. ამ ძველ შესანიშნავ სასახლის ნაშთმა ჩვენ დრომდისაც მოაღწია. იგი იყო აწინდელის მუ ხრანიანთ ხიდს ზემოდამ, რომელ ძველი ლიდი უზარმაზარი სასახლეც მხოლოდ 1890 წ. იქმნა მთლად დაქცეული. ეს სასახლე სწორედ ქალაქის გალავნის ნაპირას ყოფილა, რომელიც დასავლეთით „ავანაანთ ხევს“ დაჰყურებდა.

ამ სასახლის კარგა ზემოთ კიდევ და კიდევ „ავანაანთ ხევის“ ნაპირას, ძველადგანვე მდგარა ერთი დიდი შესანიშნავი ქარვასლა. ეს ქარვასლა ქართველთ მეფეებს და ბატონიშვილებს ძველადგანვე აუგიათ. ეს სასახლე ანუ ქარვასლა ძველადგანვე დანიშნული ყოფილა საქართველოში მოსულთ უცხო ქვეყნელთ ვაჭართა და მოგზაურთათვის. ევროპიელთ მოგზაურნიც აქ ისადგურებოდნენ, რადგანაც საშუალო საუკუნოებიდამ ამათ აქ მრავლად იწყეს მოგზაურობა. სახლში მოთავსებული იყო უცხო მოგზაურთა სასტუმროც (гостин-

*) Путешествіе Ж. Шардена 1860 г.

ница) ყველა აქ სადგურობდნენ. ეს კაი ვრცელი ძვირფასი და მასთან სხვაც მრავალი შენობები მე XVII საუკუნეში მტერთაგან იქმნა შემუსვრილი. ხსენებულისავე საუკუნის საშუალს იგი მდიდრათ იქმნა განახლებული საქართველოს მეფის ლეონ ირანთა მსაჯულისაგან, მაგრამ საუბედუროდ, ამ ღირს სახსოვარს შენობას არც ეს განახლება შერჩა დიდს ხანს: სოფლის ამაო მახვილმა კიდევ მოიცალა მაზედ. 1723 წ. ოსმალთაგან კვალად იქმნა შემუსვრილი. მისს შემდეგ ეს სასახლე მცირედ იქმნა შეკეთებული, მაგრამ ეს შეკეთება მისთვის არ იქმნა ხანგრძლივათ, მალე იწყო მუსვრა. სეტყვა, წვიმის და ქარიშხალის ძლიერებას ვეღარ გაუძლო. ამ მშვენიერს ძველს სასახლეს პ. იოსელიანიც ასე ასწერს: ქარვასლა ოთხ სართულიანი იყო. ძირის სართულში, ანუ სარდაფებში სხვა და სხვა ვაჭრების საქონელი ინახებოდა; იყო 80

დუქანი. მესამე სართულში მოთავსებული იყო მდიდარ სოვ-
დაგრების საქმეები და მეოთხე სართულში მოთავსებული იყო
სასტუმრო ევროპის და აზიის მცხოვრებთ მოგზაურთათვის.
ქარვასლის აივნებს მშვენიერი ფერადი მინის მინა-ბანდე-
ბი ჰქონდა, ეზოში კარგი წალკოტი, შიგ მარმარილოს აუზი
და მასთან შადრევანია ამ სასახლეს XVIII საუკუნის დამ-
ლევსვე უმზერდნენ ზუბალაშვილები და სურდათ მისი შეძე-
ნა. ეს მათ მხოლოდ XIX საუკუნის შემდეგ მოუხდათ.

სადაც ძველად მშვენიერი ქარვასლა არსებობდა, რო-
მელიც ბედისაგან უწყალოდ იქმნა შემუსვრილი, იქ 1820
წლებში, ზუბალაშვილებისაგან აღგებული იქმნა სხვა დიდი
სასახლე. სასახლე აღაგეს სწორედ ძველის შენობის საძირკვე-
ლზედ, 1820 წ. აღგებული ზუბალაშვილების სასახლე ერთად
ერთს სანაქებო სახლად ითვლებოდა, მას იმ დროს ვერავის
სახლი ვერ შეედრებოდა. ეს სახლი მეტად განითქვა, თფილისში
იყო 1833 წ. როცა საქართველოში რუსეთის იმპერატორი
ნიკოლოზი პირველი ჩამოვიდა თფილისში, მას სადილი ამ სა-
სახლეში გაუმართეს. იმპერატორი გაკვირდა სასახლის უმთავ-
რეს დარბაზის მოწყობილებით და ისურვა ზუბალაანთ გვა-

რის წევრთა პირადად ნახვა და გაცნობა. ბატანიკი ბარონ
კოხიც კი შეესწრა. იქ ესეც მიუწვევიათ და იგი სწერს, რომ
ზუბალაშვილის სასახლეში სადარბაზოთ 1000 კაცი დაეტია.
ესეც ძვირობს ამ სახლის სიმდიდრეზედ. 1835 წ. შემდეგ, სა-
ხლის სყიდვა ზუბალაშვილებს საქართველოს ეგზარხოსმა სთხო-
ვა სემენარიათ. ზუბალაშვილმა დიდის ნებით მოისმინა დავა-
ლება და ძვირფასი სასახლე ერთობ იაფათაც მიჰყიდა. ხსე-
ნებული ძველი სასახლის მნიშვნელობას ქებით მოიხსენებს
პლატონ იოსელიანი და ისტორიკოსი ბერძენოვი*). დაშთე-
ნილია ამბათ, რომ ძველის ისტორიულის შენობის სახის ნი-
შან-წყალი, აწინდელს ახალს შენობასაც საკმარისად აქვს და-
მჩნეულიო. ამის ნატვრა ყოფილა, არა მარტო ერთი პირის
ზუბალაშვილისა, არამედ რამდენიმე ამა გვარის წევრისა და
ნამეტურ ივანე გიორგის ძის, რომელიც სასტიკი მეტრფე
ყოფილა ქართული საკუთარი საგვარტომო ხუროთ-მოძღვრე-
ბისა, ამისს განვითარების და ქართველებში საყოველთაოდ
უცვალებლათ დაშთენის.

---

*) Въ историческомъ и этнографическомъ отношеніяхъ гор.
Тифлисъ. 1871 годъ, Петербургъ.

ასპინძის ომი 1770 წ.

ზუბალაშვილები – მათი გათათრების ამბავი – ფანატიკობა – ზოგიერთ
ზუბალაშვილების ოსმალეთში გადასახლება.

დასავლეთ საქართველო 1629 წ. ოსმალეთმა დაიმორ-

ჩილა. იმ დრომდე-კი თავის ავტონომია ჰქონდა და 1590 წლიდამ მხოლოდ ხარკს იხდიდა. მთელს დასავლეთს საქართველოში 13 საეპისკოპოსო კათედრა ითვლებოდა. ერთი მილიონი ქართველობა მარტოდ მესხეთში სცხოვრობდნენ. ოსმალეთმა ყველა ეს ვრცელი ადგილები 24 სანჯახათ გაჰყო და ოთხ საფაშალიკოდ. ასეთი ვრცელი ადგილების დაკარგვით საქართველო დიდათ დაუძლურდა. ეს დაუძლურება ყველასათვის ცხადი შეიქნა, ყველა გრძნობდა მას და ნამეტურ მესხეთის და ჯავახეთის ქართველნი. მაგალითებრ, ჩვენ კარგად ვიცით, რომ XVIII საუკუნის ნახევარს ახალციხის, ასპინძის და აწყვერის ქევხა კაცებს და იშხანებს დიდათ სურდათ ქართლ-კახეთ-იმერეთთან დაკავშირება და ამისათვის მათ მეფე ერეკლესთან მოლაპარაკებაც ჰქონდათ გამართული საიდუმლოთ.

ასეთ თანამგრძნობ პირებით ახალციხიდამ ხურსიძეები აღმოჩნდნენ და ასპინძას ზუბალაშვილები. მაშინ ასპინძის ზუბალაშვილები შეძლებულნი იყვნენ, ქევხა კაცებათ ირიცხებოდნენ და ოსმალთ წინაშე ცნობილნი ყოფილან, ვითარცა მათი ერთგულნი, მაგრამ ნამდვილათ-კი ასე არ ყოფილა: ზუბალაშვილები დიდი თანამგრძნობელი მეფე ერეკლესი, რომლისთვისაც მათ იმედები უძლევიათ ომში საიდუმლოთ დახმარებისათვის. მეფე ერეკლემ სულ ამ ზუბალაშვილების, ხურსიძეების და ასპინძაში მცხოვრებ კათოლიკების დაიმედებით გარდასწყვიტა პირველად ასპინძაზედ მისვლა, ჯერ ასპინძის

აღება, მის ციხეში ფეხის გამაგრება და მერე აქედან ახალციხის, ახალქალაქის და არტაანის აღებაც. ერთი სიტყვით. 1770 წელს ქართველთ ცხადათ გაიკვლიეს ის გზა და კვალი, რომ ვიდრე საქართველოს სამეფოს თავის ადგილები არ დაუბრუნდება, მანამდის მის გაძლიერება შეუძლებელი იქნებაო.

მოგეხსენებათ, რომ ასპინძის გამარჯვებით ქართველთ საქმე კარგად ვერ წავიდა: თუმცა გაიმარჯვეს, მაგრამ იქიდან შორს წასვლა ვეღარ გაბედეს. ბრძოლა ერთის მხრით საზარალოთ დაშთა, რადგანაც ქართველნი უკან დაბრუნდნენ. ოსმალთ ამ საქმეს გაფაციცებით შეხედეს. ამ დროს მესხეთში ათაბაგების გვარის ფაშა აღარავინ იყო და ახალციხეში ვიღაც ოსმალელი ფაშა იჯდა, უცხო ტომის. ამ ფაშამ მესხეთისა და ჯავახეთის ქართველებს ძლიერ ცუდის თვალით დაუწყო მზერა, ზოგიერთ ქრისტიანებს და ნამეტურ ასპინძის ქევხა კაცებს ღალატი დასწამა, მეფე ერეკლესი მომხრეობა და სხვანი. ომიანობის დაწყნარების შემდეგ, ფაშამ ზოგიერთი ქრისტიანი ქართველები სამართალში მისცა.ამათში მოჰყვნენ სხვათა შორის ასპინძაში მცხოვრები ზუბალაშვილებიც. ფაშა ამათ სწამებდა ღალატს, ქართველ მეფის მომხრეობას, საიდუმლოთ ქომაგობას. რისხვა და მუქარა ფაშისაგან ძლიერ იყო აზვიადებული. ქრისტიანი ქართველები ფაშის წინაშე თავს მართლულობდნენ, რომ ჩვენ არავითარი კავშირი

არ გვქონდა, არაფერი ქომაგობა არ გაგვიწევიაო. ფაშა მა-
ინც არ წყნარდებოდა და მეტის მრისხანებით განსაკუთრებით
ასპინძელებს ეპყრობოდა და ნამეტურ შეძლებულთ კათოლი-
კე ზუბალაშვილებს. ერთ დღეს ფაშასა და ასპინძის ზუბალა-
შვილებთ შორის ასეთი საუბარი მომხდარა ახალციხეში.

– თქვენ თუ მეფე ერეკლესთან არავითარი კავშირი არ
გქონდათ, მე ამას ვირწმუნებ მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ
ქრისტიანობას ჰგმობთ და თათრობას მიიღებთო, – უთქვამს
ფაშას.

ზუბალაშვილებს მიუგიათ:

– ბატონო ფაშავ! ჩვენი შიში რათ გაქვსთ, ჩვენ კათო-

ლიკენი ვართ, ჩვენ პაპს ვემორჩილებით. ერეკლე მეფესთან
საერთო რა გვაქვს, რომ თქვენ ღალატს გვწამებთ?

– ასეა საქმე, ჩემს საბრძანებელში დღეის შემდეგ ქრი-
სტიანად დაშთენა აღარავისი არ შეიძლება, კათოლიკეა თუ,
ქართველი ყველა უნდა გათათრებულ იქმნენ, ჩვენ ეს ადრე-
ვე უნდა გვექმნა, მაგრამ ვერ ვქენით და მიტომ ჩვენ დიდა-
თაც ვიზარალეთ. დღეის შემდეგ ასე უნდა შესრულდეს საქ-
მე, თქვენგან ჩვენ ერთგულების იმედი არ გვექმნება, ვიდრე
არ გათათრდებითო, – უთქვამს ფაშას გადაჭრით.

– ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ, ამაზედ პაპს დავეკითხებით,
ჩვენი გათათრება არ შეიძლება, – მიუგეს ზუბალაშვილებმა.

– ორში ერთი ამოირჩიეთ. მე პაპის კითხვამდის არ და-
გაცლით, საქმე ასეა, ან გათათრდით, ან აქედგან წადით, ან
დაიხოცებით. ხვალ ამის მაგალითებს ნახავთ.

მეორე დღისთვის დანიშნული იყო ფაშის წინაშე ყვე-
ლა ქრისტიანთ ქართველთ გამოცხადება. ქრისტიანები გა-
მოცხადდნენ. ოსმალეთის სულთანის ბრძანება გამოეცხადათ,
რომ დღეის შემდეგ თათრის სამფლობელოში ქრისტიან ქარ-
თველების დაშთენა აღარ შეიძლება, ყველა თათრის რჯულს
უნდა აღიარებდეს, ასეა ბრძანებაო. ამაზედ დიდი შლილობა
მოხდა და 1773 წ. ქრისტიანთ ხოცვა და ჟლეტა უღვთოდ
დაიწყეს. ჯერ გლეხებს ზოგს ხოცავდნენ დაზოგს ათათრებდ-
ნენ. საქმე გაჭირდა. ქრისტიანებისთვის დადგა დიდი განკით-
ხვის დღე. კათოლიკებმა პაპთან კაცები გაგზავნეს, ცნობები
აუწყეს. ამაზედ მიწერ-მოწერაც გაიმართა, მაგრამ ოსმალნი
მაინც არ დაწყნარდნენ. ახალციხის ფაშას კათოლიკებმა დი-
დი ქრთამიც მისცეს, მაგრამ არცარა ამ ქრთამებით იქმნა რა-
მე, ასპინძის მცხოვრებთ ქევხა კაცებს მაინც სასჯელი არ უმ-
ცირდებოდათ, მთავრობის რისხვა უფრო მათზედ ძლიერდე-
ბოდა. ღალატს თითქმის მარტო იმათ სწამებდნენ და ზუბალა-
შვილებმაც ფაშისაგან ამიტომ ვერ იხსნეს თავი.

თუმცა ძლიერ მორიდებით-კი, სინანულით, მაგრამ მე-
ტად გაჭირვებულმა და შეწუხებულმა ზუბალაშვილებმა გადა-

სწყვიტეს მუსულმანობასთან დაკავშირება და მით თავის გადარჩენა, უფრო-კი იმ მამულების გულისთვის, რომელიც ქრისტიანობის დროს მათ ამის წართმევა ელოდათ. ზოგნი წინააღმდეგნი გამხდარან გათათრებისა. მამულებისთვის თავი დაუნებებიათ და სხვაგან გადასახლებულან. მამულები-კი მეგვარეებისთვის დაუტოვებიათ. ვინც ასპინძას დარჩენილან, იმათ ცხოვრების საქმე ძლიერ გასჭირვებიათ და ამიტომ ფაშისთვის განუცხადებიათ თათრების ნატვრა, სურვილი. ფაშას გაჰხარებია და უთქვამს:

–ძლიერ კარგი, აი ახლა-კი გიწამებთ ჩვენს ერთგულებად.

– ნება თქვენი აღსრულდეს, – მიუგეს ზუბალაშვილებმა.

ზუბალაშვილები მალე გაათათრეს. ერთ კომლს საცხოვრებელ ბინად ახალშენი მისცეს, იქვე ასპინძასთან ახლოს და დანარჩენნი ასპინძაში დასტოვეს. ამ ზუბალოვების გათათრების დროს სხვა ქართველნი კათოლიკენიც მრავლად გათათრებულან, რადგანაც ესენიც დიდს დევნაში ყოფილან შთაცვივნულნი. მაშინდელ გათათრებულ ქართველ კათოლიკეთ შთამომავალნი დღესაც სცხოვრობენ მესხეთსა და ჯავახეთში. ამ გათათრებულთ ქართველთ გარდა 1773 წელს ოსმალეთის მთავრობამ დანარჩენ კათოლიკებსაც ცუდის თვალით დაუწყო ცქერა და ქრისტიანების სასარგებლოდ მათ თავისუფლად მოქმედების ნებას აღარ აძლევდნენ. კათოლიკობის გავრცელება შეჩერდა. მის შემდეგ იშვიათადღა ხდებოდა ამის მაგალითები ქართველთ შორის. კათოლიკის მღვდლებს ბრალი ედებოდათ მასზედაც, რომ იგინი სასტიკად ამაგრებდნენ თვით მართლ-მადიდებელ ქრისტიან გლეხთაც, რომ იგინი არამც და არამც არ გათათრებულიყვნენ.

გათათრებულ ზუბალაშვილებს მიენიჭათ ის უპირატესობა, რაც უნდა მიეღოთ მათ. იგინი მიეცნენ მოსვენებით ცხოვრებას და ნელ-ნელა ისლამის წესებსაც შეეჩვივნენ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მათ ქართუ-

ლის ენის მაგიერ ოსმალური ენა შეითვისეს. უკანასკნელ მათმა ქალმა, კაცმა და ბოვშმაც-კი დაივიწყეს დედა ენა და სრულიად თათრულად იწყეს საუბარი და მოქმედება. ასე რომ ქრისტიანობისადმი ამათ დიდი მტრობაც ჩაენერგათ გულში და ქართველთ სასტიკად ვნებდნენ. ამათ გადაგვარებას და გადასხვაფერებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ახალციხიდამ ახალქალაქამდე, მტკვრის შეყოლება, სადაც-კი კარგი ადგილები და სოფლები იყო, ოსმალებმა ნახევრამდე ქურთები დაასახლეს. ასევე მოხდა ასპინძაში, სადაც ნახევარზე მეტი ქურთები დაასახლეს. ქართველი მუსულმანები მათში აირივნენ და მით უფრო გადაგვარდნენ.

ნელ-ნელა ზუბალაშვილებში ფანატიკობა სრულს წერ-
ტილამდის ავიდა და 1877 წლის ომის შემდეგ ზუბალაშვი-
ლების რამდენიმე კომლი ფანატიკობით ოსმალეთში გადასახ-
ლდნენ. ასპინძაში დღეს მხოლოდ ერთი კომლიღა სცხოვ-
რებს ზუბალაშვილებისა. ამათ ქართული ენა დავიწყებული
აქვთ, შეძლებულ მცხოვრებლათ ითვლებიან, ნამდვილი თა-
თრის ფანატიკები არიან, თუმცა ზეპირ გადმოცემით ის ამ-
ბებიც იციან, რომ მათი წინაპარნი ქრისტიანები ყოფილან
და ოსმალთა ბრძანებით გათათრებულან. ისიც არის მათში
დაშთენილი, რომ ჩვენი მონათეესავები თბილისისაკენ სცხო-
ვრობენო. ერთმა ხიზაბავრელმა გლეხმა (ი. მ.) შემდეგი მი-
ამბო:

მოხუცებულთაგან გამიგონია, რომ ასპინძაში ზუბალა-
შვილების სამნი ძმანი ყოფილან იმ დროს, როცა მათთვის
თათრობა განუცხადებიათ. ერთი ძმა, რომელიც გათათრებუ-
ლა, ასპინძაში დარჩენილა, მეორე ძმა, რომელსაც თათრობა
არ მიუღია, თბილისში წასულა და მესამე გორშია. ასპინძის
ზუბალაშვილებში ის უკუღმართი ცნობაც არის დაშთენილი,
რომ ვითომც ესენი ძველად თათრები ყოფილან და მერე გა-
ქრისტიანებულან. ეს, რასაკვირველია, მოლებისა და ხოჯე-
ბის პოლიტიკა გახლავსთ. ამათის მეოხებით არამც თუ მარ-

ტოდ ასეთ გვართა გათათრების ცნობები მახინჯდება და სხვა-
ფერდება, არამედ ამათ თვით ჩვენს თამარ მეფესაც მოჰხვიეს
ხელი და ყველა ქართველ მუსულმანს იმას უმტკიცებენ, რომ
თვით თამარ მეფე მუსულმანი იყოვო. ასეთია ამ ფანატიკების
ისტორიული ცოდნა და მის ჭეშმარიტების ძიება.

სწორედ ამავე დროს გაუთათრებიათ სოფელ ბალაჯორ-
ში აბასთუმანის ახლო მცხოვრები ქართველთ კათოლიკეთ
რამდენიმე კომლი. დღეს ბალაჯორში რამდენიმე კომლიღა
სცხოვრებს კათოლიკეთა. ამბათ არის დაშთენილი, რომ აქა-
ურნი ქართველნი თათრობაზედ კათოლიკობიდგან არიან გა-
დასულნი ასპინძის ომის შემდეგ (1770 წ.) როდესაც მთელს
სამცხე-საათაბაგოში ქართველ კათოლიკეთ დევნა ოსმალთა-
გან მეტად გაძლიერდა და გაგრძელდა 1780 წლამდის. ამ
წელს-კი პაპსა და სულთანს შორის კავშირის პირობა დაი-
დო და ოსმალეთის საქართველოში ქართველი კათოლიკენი
და მათი სამღვდელონი განთავისუფლებულ იქმნენ და და-
ჯილდოვებულ იმ პირობით, როგორც იგინი მანამდე იყ-
ვნენ.

ვიტყვით იმასაც, რომ შეიძლებოდა ასპინძის ომის შემ-
დეგ, ასპინძაშივე მცხოვრები ზუბალაშვილები და სხვანი არა-
ფერს დევნას მისცემოდნენ, იქნება ოსმალთა წინაშე ზუბა-
ალაშვილების არავის რა შაეტყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა,
რადგანაც იგინი და რამდენიმეც სხვა კათოლიკენი ოსმალთ
წინაშე დაბეზღებულ იქმნენ იმ დროის ქრისტიანთ სომხებ-
თაგან. სომხების მტრობა გამოწვეულ ჰყო შემდეგმა გარემო-

ებამ: იმ დროის სომეხთ ეჩმიაძინი მთელს კათოლიკე სამღვ-
დელოებას ევედრებოდა, რომ იგინი გრიგორიანთ ტიბიკონს
დაკავშირებოდნენ. ნამეტურ ამას ავალებდნენ სამცხე-საათა-
ბაგოს ქართველ გვარის კათოლიკეთ, რომელთა სამღვდელო-
ებაც სომხის ტიბიკონზე იდგა და ეკლესიებშიაც უმეტეს ნა-
წილათ სომხურათ სწირავდნენ. ეჩმიაძინი ამისთვის ფულსაც
ხარჯავდა. მათ კათოლიკის ზოგიერთ სამღვდელო პირნიც
შეისყიდეს, იმედი ჰქონდათ დაკავშირებისა, მაგრამ ეს ვერ

მოუხდათ, რადგან მათ იმავ დროს ჰყვანდათ მოწინააღმდეგე-
ნიც, რომელნიც არ ეურჩებოდნენ მათს რჩევას. ასეთს პი-
რებს იგინი მოსაკლავათაც არ ინდობდნენ. ასეთ მოწინა-
აღმდეგეთაგანი იყო ქართველ კათოლიკეთ მოძღვარი იოანე
გარსევანიშვილი, რომელიც სომეხთაგან მოწამლულ იქმნა 5
თებერვალს 1779 წ., იგი მღვდლობდა შავშეთის სოფელს
ოქრობაგეთს. ასევე მოწამლეს შემდეგ დროებში პატრი ალო-
იზი. 1727 წ. ოსმალოს მთავრობაც შეისყიდეს და აღდგომის
პარასკევს დღეს ჯავახეთსა და მესხეთში ქართველ კათოლი-
კეთ 22 მღვდელი დააჭერინეს, ციხეში ჩაასმევინეს, ეკკლესი-
ები დაკეტეს და კლიტეები თვით დაიკავესო. აი ასეთი მტრო-
ბა ყოფილა დათესილი და ამ მტრობას გამოუწვევია ასპინ-
ძელი ქართველ კათოლიკეთ დაბეზღება და მტრობა.

პაპის წყალობა რომ არ მოვლენოდათ კათოლიკებს,
უამისოთ ქართველ გვარის კათოლიკენი დიდს უბედურებაში
ჩავარდებოდნენ, მათი დევნა არასოდეს არ მოისპობოდა და
მით მთელს კათოლიკობას გათათრება, ან გრიგორიანებთან
დაკავშირება აუცილებლათ მოუხდებოდათ. მაგრამ ეს ვერ
მოახერხეს მათ და კათოლიკენი თავისუფლათ დაშთნენ, ხო-
ლო 1780 წლის შემდეგ, რაც პაპსა და სულთანს შორის კა-
თოლიკების შესახებ ხელ-შეკრულობა მოხდა, ოსმალებმა კა-
თოლიკეთა დევნას თავი გაანებეს.

ზუბალაანთ გვარის წევრნი სამეგრელოს მთავრის დადიანის სასახლეში.

რადგანაც ქართველბში ბევრი რამ ნაწერები მტრის მა-
ხვილის და ცეცხლის ქვეშ მოისპო, მიტომ ჩვენ დრომდის
ვერც რამე ვრცელმა აღწერებმა მოახწიეს და ვერცა-რა
სხვა ძველ სავაჭრო და შინაურმა დავთრებმა. თბილისში მე
ვიცნობ ბევრს ძველს მოქალაქეთ ოჯახებს, დავიარე მათში,
ვსძებნე რამე ცნობები ძველის აღებ-მიცემის, გასესხების, მა-

ზანდის, სხვა-და-სხვა პირობების და საქმეების შესახებ და უნ-
და მოგახსენოთ, რომ ძლიერ მცირე ცნობები ვპოვე. ერთის
ოჯახის დავთრებში-კი აღმოჩნდა ცნობები შესახებ მე-XVIII

საუკუნის აღებ-მიცემის, საქართველოდგან ინდოეთსა, ოსმალეთსა და სპარსეთში ვაჭრების წასვლის და საქონლის შემოტანის შესახებ. ამ საქმეს დიდათ ხელს უწყობდა მეფე ერეკლე და ვაჭრებს ყოველ ნაირ შეღავათს ანიჭებდაო. XVIII საუკუნის თბილისის ვაჭართ და მოქალაქეთ შორის პირველიადგილი სჭერია ივანე ზუბალაშვილს, ამის ბიძას გიორგის და სხვათაც.

ჩვენს ძველს მოქალაქეთ ოჯახებში 1820-1870 წლებში, ბევრი რამ ძველი დროის ბარათები იყო დაშთენილი, სიგელ-გუჯრები, სხვადასხვა სავაჭრო ცნობათ ფურცელი და ნამეტურ დავთრები, სადაც იწერებოდა ყველა სავაჭრო ცნობები, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ძველ მოქალაქეთ ახალგაზრდა სომხის პატრიოტ შვილებისაგან მთლათ ეს ძველი ქართული დავთრებიც გაჰქრა, ცეცხლს და წყალს მიეცა, რადგანაც მათ ასეთი დავთრების მნიშვნელობისა არაფერი, წარმოდგენა ჰქონდათ. შესმენილი ჭკუა ასეთ გულგრილობას მწუხარის თვალით შეხედავს და უგრძნობისათვის-კი არაფერია. ასეთი დავთრების მოსპობა რამდენათაც საერთოდ არის სავნო და საზარალო ჩვენის ისტორიისთვის, იმაზედ უფრო მეტად უნდა ჩაითვალოს იმ მოქალაქეთათვისაც, სადაც ეს დავთრები იწერებოდა, ვის გვარს და ოჯახსაც ეკუთვნოდა, ვის ძეთა გონებრივს და აღებ-მიცემის საქმეს შეეხებოდა. ამიტომ ხშირათ ჩვენ ჩვენს ისტორიის ნაწილში ზეპირ-სიტყვაობასაც უნდა დავუთმოთ ადგილი და შემოვიტანოთ ყველა ის ზეპირ-გარდმოცემები, რაც-კი საყურადღებო იქნება და საზოგადო ხასიათს არ მოკლებული.

აქ შემოვიტან ერთ ზეპირ-გარდმოცემას, რომელიც მიამბო ქართველ კათოლიკეთა ვაჭარმა გრიგოლ ნალბანდოვმა ძველი გვარი შოშიაშვილი. ამათი გვარის წევრნი ახალციხელები არიან და აღებ-მიცემას ძველიდგანვე შესჩვევიან. ახალ-

ციხიდგან შემდეგ ქუთაისს გადასახლებულან და, უკანასკნელ, ბათუმშიაც დაუწყვიათ აღებ-მიცემა. ქუთაისში გადასახლებულთ ნალბანდოვებს გაუცვნიათ იმ დროის გამოჩენილი ვაჭარი იაკობ ზუბალაშვილი. ამ იაკობის შვილის შვილია ჩვენი მამულის შვილი სტეფანე კონსტანტინესძე ზუბალაშვილი. ეს გაცნობის ხანა უნდა მიეწერებოდეს 1820 წლების არა უგვიანეს, როდესაც იაკობ ზუბალაშვილი მთელს იმერეთში ცნობილი პირი ყოფილა და სოლომონ მეფეც კარგად ცნობია. სოლომონ მეფეს ანტონ ნალბანდოვიც (შოშიაშვილი) კარგად იცნობდა და როცა ეს მეფე ტრაპიზონს გაიქცა, მაშინ ანტონ ნალბანდოვიც სტამბოლში სავაჭროდ მიმავალი თან გაჰყოლია. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ სოლომონ იმერთა მეფე ჭკვიანი კაცი იყო, ბრძენი და მასთან მოქალაქეც. იგი თავისს სამეფოის ბევრს ვაჭრებს იცნობდა. ბედშავ მეფეს ბედმა არ გაუღიმა, თორემ მისის მეოხებით იმერეთის დამოუკიდებლობასთან ერთად ვაჭრობაც აღორძინდებოდა. მართლაც მის

დროს მრავლად იწყეს ვაჭრებმა მგზავრობა ოსმალეთში. XVIII საუკუნეს სტამბოლიდამ, ტრაპიზონიდამ და ყირიმიდამაც დიდი ძალი საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ქართველთ ვაჭრებს რომლის უმეტესი ნაწილი ქართველ კათოლიკებისაგან შესდგებოდა.

როგორი პატივის-მცემელიც ვაჭრობისა მეფე სოლომონი ბრძანდებოდა, ისეთივე სამეგრელოს მთავარი იყო და გურიისა. სამეგრელოს მთავარი და მისი მეუღლე ეკატერინე, ასული ალექსანდრე ჭავჭავაძისა, იქამდის კარგად იცნობდნენ იაკობ ზუბალაშვილს და საზოგადოდ ვაჭრობას ისე აფასებდნენ ესენი, რომ უკანასკნელმა იაკობ ზუბალაშვილის სამეგრელოში ვაჭრობის სრული უფლება მისცა, სასახლის ვაჭრათაც იგი დანიშნა და რაც-კი საჭირო იყო მთავრის სასახლისთვის, ყველა ის საჭირო ნივთები იაკობ ზუბალაშვილს მოჰქონდა მთავრის კარისათვის. ასეთ სამთავრო სახლის მოვალეობამ იაკობ ზუბალაშვილი იძულებული ჰყო, რომ საქართველოს ვაჭრობის და მრეწველობის გარეშე კონსტანტინეპოლის გზით

ევროპის ვაჭრებთანაც ჰქონოდა აღებ-მიცემა და კავშირი. უნდა ითქვას, რომ ი. ზუბალაშვილი მთავრის სახლს დიდის თავაზით ეპყრობოდა, არაფერს არ აკლებდა. მთელი საგვარეულო დადიანებისა და თვით მთავარი დადიანიც დიდს პატივს ანიჭებდა ზუბალაშვილს. სხვათა შორის იაკობ ზუბალაშვილს მთავრის სახლის საჭიროების გამო დაახლოვებული კავშირი ჰქონდა კონსტანტინეპოლში მყოფს ქართველ კათოლიკ ვაჭარ ნალბანდოვთან, რომელიც სტამბოლიდამ ბევრს რამე საქონელს უგზავნიდა ზუბალაშვილს და ესეც სამაგიეროთ კონსტან- ტინეპოლს დიდ ძალს საქონელს გზავნიდა, რაც მაშინ დიდს ფასადაც საღდებოდა. იაკობ ზუბალაშვილი საქართველოდამ გზავნიდა ბამბას, მატყლს, აბრეშუმს, ბზის ხეს, ხოლო იქიდამ მოსდიოდა ფარჩეულობა, შაქარი, ჩაი, ყავა, ძაფეულობა სარკეულობა და სხვაც ამ გვარნი. უნდა ვსთქვათ, რომ ძაფეულობა და ჩითეულობა საქართველოშიაც იცოდნენ, მაგრამ მთავართა და მეფეთა სახლთათვის უცხოეთისას ხმარობდნენ, რადგანაც უცხოეთის ნაწარმოები უფრო ნაზი თვისების ყოფილა.

როდესაც სამეგრელო რუსის მთავრობას ჩაბარდა, მაშინაც იაკობ ზუბალაშვილი დიდათ დაახლოვებული იყო მთავრის ოჯახთან. უკანასკნელ დღემდე, ვიდრე ამ სამთავროს ავტონომია მოიშლებოდა, ზუბალაშვილი მთავრის დიდ პატივის-მცემლათ და ერთგულათ ირიცხებოდა. ზუბალაშვილის ეს ერთგულება მთავრის მეუღლემაც კარგათ იცოდა და როდესაც მთავრის სახლის წევრნი წარსდგნენ რუსეთის მთავარმართებლის წინაშე, მაშინ მათ იაკობ ზუბალაშვილიც თან მიიყვანეს, ზუბალაშვილიც წარუდგინეს მთავარმართებელს და მოახსენეს შემდეგი: – „ეს ვაჭარი გახლავსთ იაკობ ზუბალაშვილი. ზუბალაშვილები საქართველოში ადრიდგანვე

არიან ვაჭრობით ცნობილნი და დამსახურებულნი, რო-
გორც ქართლში მეფე ერეკლეს და გიორგის წინაშე,
ისევე აქ, იმერეთში და ჩვენი სამთავროს წინაშეც. იგი არის
სანდო პირი, სწორი, რასაც იტყვის, არას მოგატყუებსთ, რა-

საც დაგპირდებათ, ყველაფერს შეასრულებს. ამიტომ ვითხოვ,
რომ, როგორი პატივისცემაც ამ პირს და ამათ გვარის წევრთ
მეფე ერეკლის, გიორგის და ჩვენის სახლის წინაშე ჰქონდათ,
ისეთივე მიანიჭოთ თქვენა და თუ სადმე ვაჭარი კაცები დაგ-
ჭირდესთ, ამას მიმართეთ, ეს ყველაფერს შეგისრულებსთ, რა-
საც თითონ ვერ მოასწრობს, იმას სხვებს გადასცემს, სხვებ-
საც გიშოვნისთ, ნამეტურ თქვენს ჯარს ეს დაეხმარება სურ-
სათის გარდმოცემით, „ფოდრატები“-თო. ზუბალოვს შეგიძ-
ლიანთ ერთი მილიონის იჯარა მისცეთ, მე ვარ ამის პასუხის
მგებელიო“.

მთავრის ნიკოლოზ დადიანის სიტყვა მთავარმართებელ
მა მოისმინა. იაკობ ზუბალაშვილი გაიცნო და იმ დღიდგან
იგი სანდო პირად იქმნა ცნობილი. პირველის წლიდგანვე
მას მიანდვეს პურის „ფოდრატი“, პური-კი დიდი ძალი იყო
საჭირო. აქ ზუბალაშვილმა დიდი მხნეობა გამოიჩინა და მთავ-
რობას ყველაფერი შეუსრულა, რისთვისაც მან მთავრობისა-
გან მადლობაც მიიღო და რაც შეეხება მოგებას, ესეც კარგათ
მოუხდა. მან მაშინ კარგა ბევრი ფული მოიგო და იმ დღიდ-
გან წავიდა მისი საქმე წინ. რუსების იმერეთში შესვლის შემ-
დეგაც იაკობ ზუბალაშვილის კავშირი არ მოსპობილა დადია-
ნის სახლთან, ვიდრე სამეგრელოს მთავრის შვილებს რუსეთ-
ში გადაასახლებდნენ. ამას ითხოვდა მთავრის ოჯახის პატივის-
ცემა, პურმარილი და მიტომაც იყო მათი ერთგული, პატი-
ვისმცემელი და მარადის ნატვრით მომგონებელი.

იაკობ ზუბალაშვილის მამა, ივანე ზუბალოვიც დაახლო-
ვებული პირი ყოფილა როგორც სოლომონ მეფის, ისევე სა-
მეგრელოს და გურიის მთავრების. ივანე ზუბალაშვილი თავის
შვილებს პატარაობიდამვე ატარებდა იმერეთში, ვაჭრობას და
ხალხს აცნობდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ ახალ-
გაზრდა იაკობ ზუბალაშვილი იმერეთში მგზავრობას ვერ და-
იწყებდა და ისე ადრე ვერც სოლომონ მეფე გაიცნობდა და
ვერც სამეგრელოს და გურიის მთავრები. იმერეთში, ჯერეთ
სოლომონ მეფემ და შემდეგ სამეგრელოს და გურიის მთავ-

რებმაც ისურვეს ზუბალაშვილების აზნაურობით დაჯილდოვე-
ბა, მაგრამ ზუბალაშვილებმა ეს არ ინდომესო, რადგანაც
საქართველოში, მეფე ერეკლეს დროიდგან მოქალაქეებს, ანუ
ვაჭრებს მეტი პატივი ჰქონდათ, ვიდრე აზნაურებსაო. მეფე
ერეკლეს ოჯახი, სოლომონ მეფის და სამეგრელოს მთავრის
სულ აზნაურ მოსამსახურეებით იყო სავსე და მოქალაქე ვა-

ჭარს-კი თქვენ ერთსაც ვერ ნახავდით, ამას მათ ვინ აკადრებ-
დაო, ვაჭარს ყოველთვის მეფე და მეფის ძენი სავარძელზე
დასომდნენ და ისე ემუსაიფებოდნენ სავაჭრო საქმეებზედო.
აზნაურები-კი ყოველთვის კარის კაცებათ ადგნენ და თავსს
დაჰყურებდნენო. ამიტომაც იყო, რომ ზუბალაშვილები აზ-
ნაურობას არა ნდომობდნენო. რამდენჯერაც მიუმართავთ
ამათთვის აზნაურობის მიცემის საუბრით, იმდენჯერვე მათ
უარი განუცხადებიათ და უთქვამსთ:

– მეფეო, თქვენი წყალობა იქამდის უხვი გახლავსთ ჩვენ-
ზედ, რომ ჩვენ ამ წყალობაზედ მეტს სხვას არას ვსაჭიროებთ,
ოღონდა მეფე ბრძანდებოდეს კარგათ.

სამეგრელოს მთავართ პატივისცემის ცნობები ზუბალა-
შვილების წინაშე მრავალთ ახსოვთ დღესაც, ბევრნი არიან
მის მომგონებელ-მომთხრობნი. მთავართ პატივისცემამ და სა-
ზოგადოთ ზუბალაშვილებისადმი ნდობამ თვით ქართველ მე-
ფეებიდამ დაწყობილი რუსეთის მთავრობამდის ისე წაიყვანა
მათი საქმე, რომ უკანასკნელ ზუბალაშვილები იმერეთის სამ-
რეწველო ასპარეზზედ ერთს მთავარ მრეწველათ აღმოჩნ-
ნენ. ჯერეთ, ვიდრე იმერეთის სამეფო მოისპობოდა, მინამ-
დისაც მრეწველობდნენ ესენი იქ და სამეფოს მოსპობის შემ-
დეგაც აწარმოებდნენ თავიანთ საქმეებს, თუმცა მხოლოდ
აქა-იქ, წვრილ წვრილად, უკანასკნელ-კი რა-კი საქართვე-
ლოს გაერთიანება მოხდა და ვაჭრობამ იწყო აღორძინება. ია-
კობ და გიორგი ზუბალაშვილებიც ერთი ათად წავიდნენ წინ
და მათ ბევრი რამ დიდი „ფოდრატები" აიღეს, ხოლო იმე-
რეთში მამა-პაპურს სამრეწველო საქმესაც ჯეროვანი ყურად-
ღება მიაქციეს.

VII

„კავკასიის აქტები“ რომ გადავსინჯოთ, იქ ძველი ვაჭ-
რების შესახებ მცირე ცნობებს ვნახავთ, თითქმის სულ არა-
ფერს და აქა-იქ თუ-კი ვინმე მოიხსენება, იმათში ზუბალაშვი-
ლებს შესამჩნევი ადგილი უკავიათ. მაგალითებრ, როგორი
მხნე მრეწველიც ივანე ზუბალაშვილი ყოფილა (1747-1817
წწ.), ასეთივე ყოფილა შვილი მისი იაკობ ზუბალაშვილი,
პაპა დღევანდელის სტეფანე ზუბალაშვილისა. კარგად შევნი-
შნეთ და ეს ყველასათვის აშკარა უნდა იქმნეს, რომ XVIII
საუკუნის ზუბალაშვილები საკმარისად მოხერხებულ ვაჭარ-
მრეწველად იგულისხმებიან. ჩვენ ქართველთ ასეთი პირების
ყოლა დიდს სანარუქო საქმეთ მიგვაჩნია, ჩვენს ცხოვრებაში
ამას საკმარისი ადგილი უნდა დაეთმოს, რადგანაც, ქარ-
თველნი, სავაჭრო ასპარეზს და კარგად მოწყობილ ენერგიულ
ვაჭრებს და ვაჭრობას თითქმის იმ დღიდგან ავსცდით, როცა
კი ჩვენმა სამშობლომ ვრდომა იწყო, როცა აზიის დაგეშილ
მუსულმანებმა ჩვენზედ ნავარდობა იწყეს. მაშინ აბა საიდამ-
ღა სცალოდა ვაჭრობისთვის, ამის ტრფიალი ვიღას უნდა ჰქო-

ნოდა, არავის... მაგრამ არა! გმირ ხალხთა ცხოვრებამ ასე იცის და იგი ყოველ განწირულების დროსაც-კი არ ჰკარგავს თავის საკუთარს სულის ძალას, ნაციონალურს სიმტკიცეს, აღმატებას და ყველაფერს შეძლების-და გვარად ეკიდება.

სწორედ ამის უტყუარს ჭეშმარიტებას წარმოადგენს ძველიდგანვე ზუბალაანთ გვარის წევრთა საკმარისის ენერგიით აღვსება, თვალის გახილება, ვაჭრობა, წარმატება და უკანასკნელ ჩვენის გვარის სასახელოდ ვაჭრობის ასპარეზზედ მოქმედება და ჩვენი ავ-კარგიანობის გამოჩენაც. ბევრნი ბრძანებდნენ ხოლმე, რომ ქართველებს არც ვაჭრები ჰყოლიათ, არც ქარხნები ჰქონიათ, ვაჭრობა ხომ სულ არაო, ეს რა მაგათი საქმე იყოვო, იგინი ყველაფერში უქმნი იყვნენ, ამ საქმეებს მათში მხოლოდ სხვა ტომის კაცები აწარმოებდნენ. ამას ბრძანებენ ის პირნი, რომელნიც ჩვენ ქვეყანას სრულებით არ

იცნობენ, ან იცნობენ და ამას ჩვენს დასამცირებლად ბრძანებენ, ჩვენის გვარის უკან მისაგდებად, მტრობით, რათა სხვების წინაშე დაგვამდაბლონ. ასეთმა პირებმა რამდენიც უნდა გვიმტროს, ისინი ვერას დაგვაკლებენ, ჭეშმარიტება არ დაეცემა და ნელ-ნელა დრო და გარემოება სხვა ნაირად ახსნის მთელის ერის გვაროვნობის ნიჭიერების საქმეს სამრეწველო ასპარეზზედ. ამ ნიჭიერების დასამტკიცებლათ კმარა ჩვენ დავასახელოთ თუნდა იოანე ზუბალაშვილი, რომელიც XVIII საუკუნის ერთ უმთავრეს მრეწველად ითვლებოდა საქართველოში. როგორ მხნე პირათაც XVIII საუკუნეში იოანე ზუბალაშვილი სჩანს, ისევე ამის ძე იაკობი XIX საუკუნეში. მოკლეთ დახასიათება ამ პირებისა არ იქნება ურიგო, რადგანაც დროსა და გარემოებას ბევრნაირი ცვლილება და პირობები მოაქვს. იოანე ზუბალაშვილი მრავალ ნაირად ამაღლებული პირია, ნამდვილი სახე ძველი დროის ქართველისა, გავლენიანი პირი არა მარტო წარჩინებულ პირთა წინაშე, არამედ გორის, თბილისის და იმერეთის ხელოსნებსა და ვაჭრებშიაც. გორში ისე რამ სახალხო საქმე ან ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახები კამათი და გარჩევა არ განიბჭობოდა, რომ იქ ივანე ზუბალაშვილს მონაწილეობა არ მიეღო. იგი იყო მათი მოსარჩლე, მოსამართლე, დამრიგებელი და დახმარების მიმცემიც. ასეთს გავლენას და უპირატესობას ივანეს გარდა სხვა ზუბალაშვილებიც არ იყვნენ მოკლებულნი, ყველანი შეძლების-და კვალად ემსახურებოდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყნის უმრავლესობას, ხოლო დღევანდელის მამულიშვილის სტეფანე ზუბალაშვილის პაპის მამა ივანე-კი მაღლა იდგა და განსხვავდებოდა სხვა იმ დროის ზუბალაშვილებისაგან ბევრი რამის გარჩევ-განსხვავებით. რადგანაც სიტყვა ჩვენს ვაჭრობის უარყოფაზედ ჩამოვარდა, ამიტომ ურიგო არ იქნება აქ მოვიყვანოთ შემდეგი; თვით XV საუკუნეში, როცა ქართველთ გათახსირების დრო დადგა, მაშინაც-კი არ მოსპობილა ქართველთ შორის ვაჭრობის მი-

დრეკილება. სხვათა შორის, მაშინ ქართველთ ვაჭართ შო-

რის სცხოვრებდა ერთი მდიდარი ვაჭარი მესხი, რომელიც შაქ შირვანშიაც დადიოდა და აბრეშუმით ვაჭრობდა*). ესევე პირი მოგზაურობდა სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს დ ევროპას. აბრეშუმს გარდა იგი ევროპაში ჰყიდდა ბამბას, მატყლს დ სხვებს. ეს მდიდარი ხელოვანი ვაჭარი ერთ დროს გაქურდული იქმ-ნა შირვანელთაგან, რამაც გამოიწვია ქართველთ მეფეთა შო-რის და შირვანელთ ომი. უნდა დავუმატოთ, რომ მატყლისა, ბამბის და აბრეშუმის გაყიდვა და სყიდვა ანუ ვაჭრობა ქარ-თველთა ადრიდგანვე იცოდნენ ალექსანდრიით**).

ივანე ზუბალაშვილი საქართველოს ერს, მეფეს, მეფის ძეთა და მთავრებსაც კარგათ იცნობდა და ყველგან ჰქონდა მისვლა-მოსვლა, კარგი განწყობილება, თავაზი და გავლენა. XVIII საუკუნის დასასრულამდე, მთელ საქართველოში, სა-დაც-კი უნდა გენახათ ვინმე და გეკითხათ ივანეს სახელი, ამის გვარის წევრნი მხნეთ მოგზაურობდნენ და აწარმოვებდნენ თავიანთს სქემებს. დღესაც ბევრს ახსოვს ამათი ვაჭრობის საქმე, თუ ესენი რა ენერგიით აღვსილნი მოქმედებდნენ სა-ვაჭრო ასპარეზზედ და თუ რამდენ ნაირი საქონელი შემოჰ-ჰქონდათ საქართველოში და მით ამრავლებდნენ ქართველ ხალხში. ჩვენ ვიცით კარგად, რომ ივანე და ამის მეგვარენიც ძველიდგანვე იყვნენ ქართულს მწიგნობრობას შეჩვეულნი. ქართული წიგნების კითხვა და ვარჯიშობა მათს მემკვიდრეო-ბითს ისეთსავე დარგად შესდგებოდა, როგორც სხვა იმ დროის წარჩინებულ ქართველებისას. საუბედუროთ ჩვენის სამთავრო სახლის შვილების ძველმა დავთრებმა, წერილებმა და სხვა-და სხვა ძველ ბარათებმა ძლიერ მცირედ მოაღწიეს ჩვენამდე, თორემ ჩვენ დრომდე რომ მათ მრავლად მოეღწიათ, მაშინ იქ ივანე ზუბალოვის ნაწერ წერილებში ბევრი რამ საინტერესო ცნობები აღმოჩნდებოდა, მისის საშუალებით ჩვენ ბევრს საინტერესო სავაჭრო მხარეს შევისწავლიდით ძველის ვაჭ-

*) ქართლის ცხოვრება II ტ. 157 გ.

**) ქართლის ცხ. II ტ. 316 გ.

რობის, მაზანდის და სხვადასხვა საქონლის საჭიროების შე-სახებ.

განსვენებულის კონსტანტინე ზუბალაშვილის მამა, ია-კობი, იყო ძე ამ ივანე ზუბალაშვილისა, დაიბადა 1792 წ., ესე იგი იმ დროს, როცა საქართველოს სამეფო ჯერ კიდევ მკვიდრს საძირკველზედ იდგა, როცა მისი ხსენება აზიაში ბრწყინვით განისმოდა, ქართველთ სამეფოს მფარველობა კავ-კასიის ყველა დაჩაგრულთ ქრისტიანებს მალამოსაებ ევლინე-ბოდა, როცა საქართველოში ქართულს ხმაურობას და სული-

ერებას თავისი კანონიერი ძალოვნება და პატივი ემოსა გარს. იაკობ ზუბალაშვილმა ჩვენის მეფობის დროს გაახილა თვალები. იგი თუმც პატარა იქნებოდა, მაგრამ მაინც მოესწრო პატარა კახის მეფობას, მის გარდაცვალებას, გიორგი მეცამეტის გამეფებას, შემდეგ, მის სიკვდილის და ქართლ-კახეთში ბაგრატიონების გვარის გამგეობის დასასასრულს და საქართველოს რუსეთთან დაკავშირებას. იაკობ 10 წლის იქნებოდა, როცა საქართველო რუსეთს დაუკავშირდა

იაკობ პატარაობის დროს თავის მშობლებთან სწავლობდა, შემდგომ კათოლიკის პატრებთან, ქართული ანბანი და წერა-კითხვის ცოდნა მას ჩვენის მეფობიდგანვე ჰქონდა შესწავლილი. მას პატარაობიდგანვე ეტყობოდა საგვარეულო ნიჭიერება, ყველა საქმისადმი ლტოლვა და მისწრაფება. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, პირველი რუსული სასწავლებელი 1802 წ. გაიხსნა. ამ სასწავლებელს გარდა ქართველთ სხვა ძველი სასწავლებლებიც გვქონდა: ოთხი სახალხო სასწავლებელი, ერთი სასულიერო, საექიმო და კათოლიკებისა, 1630 წლიდგან დაარსებული, რომელიც დღეს აც არსებობს. იაკობ ამ უკანასკნელს სასწავლებელშიაც სწავლობდა და შემდგომ ამისა, რუსეთის მთავარმართებლისაგან გახსნილს სასწავლებელში იქმნა გადაყვანილი. აქ დარჩა რამდენსამე ხანს, შეისწავლა უფრო უკეთ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, რუსული ენა, სხვადასხვა საგნები. ლათინურიც სცოდნია და სომხური და თათრულიც. მამის

სიკვდილის დროს იაკობი უკვე ცხოვრების ასპარეზზედ ყოფილა გამოსულთ. იგი ენერგიით აღვსილი ყოფილა. 1836 წელს იგი უკვე 12 კლასის მოხელედ მოიხსენება. შემდეგ ეს პირი მოხელეობის ხარისხითაც წინ მიდის. ნელ-ნელა იაკობ ზუბალაშვილი მაღალის ცნობიერებით იმოსება, სხვა-და-სხვა სამრეწველო საქმით იძენს ქონებას და 1837 წ. ადგენს თბილისში ერთს ახალს სავაჭრო ამხანაგობას, რომელიც თითქმის პირველ სამაგალითო ამხანაგობად ჩაითვლება საქართველოში.

სავაჭრო ამხანაგობამ იაკობის მეთაურობით მთავრობას ნებართვა სთხოვა საქართველოში პირველად შაქრის ქარხნის გახსნაზე. მთავრობამ ეს თხოვნა სანაქებოდ მიიღო, რადგანაც 1830 წლებში რუსეთიდგან გზა ძნელი იყო, საქართველოში შაქარი ძვირად და ძნელად მოდიოდა, რაც იყო, ისიც საქართველოს ერის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა და ერთობ ძვირიც იყო, ასე რომ გირვანქა 30-40 კაპ. იყიდებოდა. ხალხში ჩაისა და ყავის სმა წინ მიდიოდა და შაქრის სიძვირე და ხშირი უშაქრობა-კი ძალიან აწუხებდა ხალხს. სპარსეთიდგან, ინდოეთიდგან და ოსმალეთიდგანაც შეაჩერეს შაქრის შემოტანა. 1838 წ. ამათ უკვე შაქრის ქარხანა გახსნეს თფილისში, შაქრის გამოყვანაც დაიწყეს და წელიწადში 40 ათასი ფუთი შაქარი გამოყვანდათ. რადგანაც ქვე-

მოდ ამ ქარხნის შესახებ ვრცლად გვაქვს საუბარი, ამიტომ აქ ასე მოკლეთ ვსაუბრობთ. შაქრის ქარხანა პირველათ ვერაზე გახსნეს, მერე ვერაზედ დაკეტეს და კუკიაში გადმოიტანეს. კუკიის შაქრის ქარხნის სახლი დღესაც არის, კერძო პირს ეკუთვნის, ვერის შენობებში-კი შაქრის ქარხნის დაკეტვის შემდეგ საერო საავათმყოფო გახსნეს. დღეს ამ შენობის ალაგზე სამხედრო სასამართლოს შენობა არის აშენებული.

შაქარი იყო პატარა ზომისა, მოყვითალო ფერი ჰქონდა, ცოტა დუნე კი იყო, მაგრამ ტკბილი, ადვილად იმტვრევოდა. თითო თავი 10 გირვანქიდამ 15 გირვანქამდე მო-

ვიდოდა, სახელად ამ შაქარს „ქართული შაქარი“ ეწოდა, ნიშნად იმ ქართულის შაქრისა, რომელსაც საქართველოში ჩვენის მეფეების დროსაც აკეთებდნენ. სადაც-კი მიხვიდოდით და იკითხავდით, ყველგან ეს შაქარი „ქართული შაქარი“ იწოდებოდა. იგი გირვანქა 15 კაპ. იყიდებოდა და ხალხსაც ძრიელ მოსწონდა, ტკბილი იყო, იაფი და მასთან პატარა თავებად იყიდებოდა. საუბედუროთ ამ შაქრის ქარხანას მომავალში არსებობის საქმე ვერ წაუვიდა კარგად: გზა გაიხსნა, დრონი იცვალნენ, რუსეთიდგან ჩაი-შაქარი მრავლად იწყეს შემოტანა. უცხოეთიდგან მოსულნი უფრო რუსულ შაქარს ხმარობდნენ. საქართველოს ერიც რუსულ შაქარს შეეწყო, რადგანად ეს უფრო მაგარი იყო და მაგარი შაქრის უფრო ცოტა ეხარჯებოდათ, ამიტომ უკანასკნელ „ქართული შაქრის“ ქარხანა დაიხურა. დახურვის შემდეგ სიტყვა „ქართული შაქარი“ ინგლისურს შაქარს შეენაცვლა, რადგანაც ინგლისური შაქარი ძლიერ წააგავს „ქართულ შაქარს“, თვით ეს სახელი „ქართული შაქარი“ საქართველოს ვაჭრებში და ხალხში (თბილისში) 1880 წლებამდე იხმარებოდა. დღეს კი ამის ხსენება აღარსად არის დაშთენილი. ვგონებ დღევანდელ ქართველთ სიზმრათაც არ გაახსენდებათ „ქართული შაქრის“ ხსენება.

„ქართული შაქრის“ ქარხნის ამხანაგობის და ი. ზუბალოვის მოქმედება ნელ-ნელა უფრო წინ მიდიოდა, ამათ მთავრობისაგან აიღეს სხვა-და-სხვა სავაჭროების წარმოების უფლება, რაის სამაგიეროთაც მთავრობას საიჯარადროდ 120, 115 მან. აძლევდნენ. ასეთი ფულის ძლევა იმ დროის კვალობაზედ ჩვენ ერთობ დიდს საქმედ მიგვაჩნია. დღეს ეს მილიონს უნდა უდრიდეს. ამ საიჯარადრო საქმეთა მრეწველობის ასპარეზზედ ი. ზუბალაშვილმა საკმარისი მხნეობა გამოიჩინა, აღებ-მიცემა და მრეწველობა კარგათ წაიყვანა. ამ ამხანაგობის გარეშე, თვითაც იღებდა კერძო „ფოდრატებს“ და ამ ფოდრატების" საქმესაც კარგათ ასრულებდა. ამას გარდა კერძოთ ვაჭრობაც ჰქონდა აქა-იქ გამართული და დიდძალს პურს,

სიმინდს და ქერს ჰყიდულობდა, რაც ერთობ კარგათ ჰქონ-
და მოწყობილ-მოხერხებული და მით დიდძალ პურსა და
ქერსაც ჰყიდდა. ამითი კაი მხარს აძლევდა ქართლის გლეხ-
კაცობას და დიდს დახმარებას უჩენდა, რადგან მათ პურს,
სიმინდს და ქერს კაი ფასათ ყიდულობდა, რაც სხვა ვაჭ-
რებს ძრიელ ეჯავრებოდათ და ამიტომ ზუბალაშვილებსაც
სასტიკათ მტრობდნენ. ეს მტრები გორის ვაჭრები იყვნენ.
უკანასკნელ ამაზედ საჩივარიც ატყდა, მათ ბრალს სდებდნენ
ქართლში გლეხებისაგან. პურის ძრიელ იაფათ სყიდვაზე. გორს
წვრილმან სომეხ ვაჭრებმა ზუბალაშვილებს ცილის დაწამება
არ აკმარეს, თავიანთ საქმეშიაც ჩარიეს, გლეხებშიაც ხომ
გაავრცელეს, რომ „ზუბალაანთ ჩანახი“ ყველაზედ დიდი ჩა-
ნახიაო, მაგრამ უკანასკნელ ვერაფრით რა გააწყეს და სიმარ-
თლე იქმნა აღდგენილი, ცილისმწამებელნი ცნობილ იქმ-
ნენ, ზუბალაშვილებს ვერავინ რა უყო. გორელი ვაჭრების
ხრიკები მარტოდ მათთვის დარჩა, სხვას ვერა ავნო-რა. ეს
რომ მართალია, და „ზუბალაანთ ჩანახი“ უბრალოდ არის
მოგონილი გორის ჩარჩებისაგან, ეს იქიდამაც კარგად მტკიც-
დება, რომ ამ ცილისწამების შემდეგ არ გავიდა დიდი ხანი,
რომ საქართველოში პურის მოსავალმა დიდათ იკლო, გლეხ-
კაცობა გაჭირვებაში ვარდებოდა და ამ გაჭირვებაში ზუბალა-
შვილებს არ დაუვიწყნიათ ქართლის ღარიბნი და დახმარება
უძლევიათ იქ, სადაც ეს საჭიროთ დაუნახავთ. 1856 წ. თბი-
ლისში, დიდის სიძვირისა გამო, ი. ზუბალაშვილმა ფული
შესწირა თბილისის ღარიბთა სასარგებლოდ.

იაკობ ზუბალაშვილი გარდაიცვალა 1864 წ. შობიდგან
72 წლისა. ეს დასაფლავებულია თბილისის კათოლიკების
სასაფლავოზედ. საფლავის ქვას აქვს შემდეგი ქართული წარ-
წერა. „განსვენება საუკუნე მიანიჭე უფალო იაკობ ივანეს ზუბა-
ლაშვილს 72 წლისა, გარდაიცვალა 1864 წელს“.

აქვე განსვენებულის ახლოს დასაფლავებული არიან მეუღ--
ლე იაკობისა ანნა და ძენი ამათნი. აქვე მოგვყავს ამა მიცვა-
ლებულთა საფლავის ქვის წარწერანიც: – „განსვენება საუკუნე

მიანიჭე უფალო აქა მდებარე ანნა ზუბალაშვილისას, 68 წლისა.
მიიცვალა 1864 წ“. ეს მანდილოსანი მეულეა იაკობისა. აქე-
დამ სჩანს, რომ იგი დაბადებულ უნდა იყოს 1797 წ. ცოლ-
ქმარი ერთ წელიწადს გარდაცვალებულან, სახელდობრ 1864 წ.
აი ესეც ძენი ამათნი: – „კნეინა მარია მაგდალინა იაკობის ასული
თუმანისშვილის მეყღლე. დაიბადა 10 ივლისს, 1823 წ. მიიცვალა
1 აპრილს, 1865 წ. განსვენება საუკუნე მიანიჭე მას უფალო“. ერთს
ქვაზედ შემდეგი წარწერაა: „განსვენება საუკუნე მიანიჭე უფალო
ლევან იაკობის ძე ზუბალაშვილს, 22 წლის მიიცვალა 1840 წ. ეს
ლევანი ჩვენ მიგვაჩნია იაკობის სიყმის შვილათ, რადგანაც
ამ ლევანის წინეთ სხვა შვილების სახელი არა სჩანს. ამავ სა-
საფლავოზედ, ერთ ალაგას არის პატარა სასაფლავო, რომლის

ქვაზედაც რუსულათ შემდეგი აწერია: „გიორგი და ალექსანდრე ზუბალაშვილები, 1872 წ. სადაც იაკობი თავის მეუღლით და შვილებით ასაფლავია, ამ ალაგას მშვენიერი რკინის მოაჯირი აქვს, მშვენიერი ყვავილებით შემკული. კონსტანტინე ზუბალაშვილიც აქ გახლავსთ დასაფლავებული. ეს სასაფლავო მოაჯირისაგან ისეა შეზღუდული, რომ იქ ამათ მეტი სხვა აღარ დაეტევა. ეს შეზღუდული საფლავი მათ საკუთრებად დაშთება. თვით მიცვალებულთა საფლავის ქვები მარმარილოსია და ორი კაი მაღალი თლილი ქვის ძეგლიც გახლავსთ.

ერთი საყურადღებო მხარე კიდევ საზოგადოთ ზუბალაანთ გვარისა და კერძოთ დღევანდელის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის მამა-პაპის. ჩვენ, ქართველები, ძველიდგან მარტოდ ღვინის ხმარებას ვიყავით შეჩვეულნი, რასაც ვეწყობოდით და საკვეხათაც ვხმარობდით, მარტოდ მისი მოყვანა და შემუშავება ვიცოდით, მისი განვითარება, მაგრამ ქართლ-კახეთის ერი ღვინოსთან არაყსაც კარგათ ეწყობოდა, აქ ჭაჭის არაყი დიდს ხმარებაში იყო. მთის ხალხშიც ხომ არაყი იყო გავრცელებული და ლუდი (პივა). ქორწილი, ლხინი, აღაპი და ყველა ნადიმი ქართლსა და კახეთს ღვინით და არაყით იცოდნენ. აქეთ ჭაჭა უქმათ არ რჩებოდა. მაშინდელი ჭაჭის არაყი დღევანდელს საუკეთესო კო-

ნიაკს უდრიდა. მაშინ ჭაჭის არაყი ძლიერ იაფიც იყო. მთის ხალხში არაყს უფრო პურის, ქერის, სიმინდის, ფეტვის და ხილისგან ხდიდნენ. იმერეთში-კი ეს არ იცოდნენ. იმერეთში არაყი ძლიერ მცირედ იხმარებოდა და დიდი ძალი ჭაჭა უბრალოდ იკარგებოდა, მისგან არავინ რას სარგებლობდა. ამ გარემოებას ი. ზუბალაშვილმა საკმარისი ყურადღება მიაქცია, შეადგინა პატარა ამხანაგობა და მთავრობას თხოვნა მისცა იმერეთში არყის ქარხნის გახსნის შესახებ. ასეთ ქარხნის გახსნას მთავრობაც საჭიროებდა და თვით ხალხიც, რადგანაც დროსა და გარემოებას თავისი ნარუქები მოჰქონდა.

იაკობ ზუბალაშვილმა მალე მიიღო ნებართვა. ამ საამხანაგო საქმეში უახლოვეს ამხანაგათ გიორგი ზუბალაშვილიც ირიცხებოდა. ამათ ქუთაისის ახლოს გახსნეს არყის ქარხანა და არყის გამოსახდელად გლეხთაგან ჭაჭის შესყიდვაც დაიწყეს. აქამდე თუ გლეხნი ჭაჭას უბრალოდ აპნევდნენ, 1835 წლიდგან მათ მიეცათ საშუალება, რომ იგი უბრალოდ აღარ ეპნიათ და ფულზედ გაეყიდნათ. იმერეთში პირველი მაგალითი იყო, რომ გლეხთა შორის ხმა გაისმა, რომ ი. ზუბალაშვილი ჭაჭას ყიდულობსო. ჭაჭას იმდენს ყიდულობდნენ, რომ წელიწადში 7200 ვედრა ჭაჭის არაყი გამოჰყვანდათ. ეს რიცხვი იმ დროის კვალათ დიდ რიცხვათ მიგვაჩნია. გარდა ამისა, მან იმერეთის ერსაც ასწავლა არყის კეთების ოსტატობა. სადაც სულ არ იცოდნენ, იქ საკმარისად შეისწავლეს და სადაც იცოდნენ ძველიდგანვე მცირედ გამოხდა, იქ უფრო გაუმჯობესეს. საზოგადოთ იმერეთში არყის გამოხდის ხელო-

ვნობამ შესაფერი სახე მიიღო და მის გასაღებას და აღებ-მიცემასაც ერთი ათად მიემატა ვაჭრობა. მალე იმერთა შორის-არყის ვაჭრებიც გაჩნდნენ, უკანასკნელ, რადგანაც არყის გამოხდა და ვაჭრობა საეროდ გარდაიქცა. ზუბალაშვილებმა თავიანთი ქარხანა დაკეტეს.

ძველიდგან საქართველოში წურბლის ჭერას სავაჭრო სახე ჰქონდა მიცემული ის ტბები, სადაც წურბელა იცოდა, სამეფოსაგან იჯარით იცემოდა, რადგანაც მაშინ წურბელა

საქართველოს გარეშე სპარსეთსა და ოსმალეთშიიც დიდი ძალი გაჰქონდათ, იმდენი, რომ მისი საკმარისი ვაჭრობაც იყო გამართული; ვაჭრობდნენ ზოგს ალაგას ქართველი დალაქები და ზოგს ალაგას კერძოთ ამისთვის დანიშნული ვაჭრები, რომელთაც ხელოსნები ჰყვანდათ და აქა-იქ ტბებში წურბელას იჭერდნენ. წურბლის იჯარა რუსეთისგანაც იქმნა მიღებული და ერთ დროს წურბლის იჯარა ზუბალაანთ გვარის ერთმა წევრმა (ნ. ს.) 200 მანეთად აიღო, რაც მაშინ ეს შეუძლებელი იყო სხვათაგან. ამ პირმა წურბლის წარმოების საქმე ფეხზედ დააყენა, მის წარმოებას სპარსეთსა და ოსმალეთს უფრო წარმატების გზა გაუკვლია. უნდა ვსთქვათ, რომ ყოველთვის და ყოველგან, ასეთს საქმეებში, ქართველთ დიდ ხელმძღვანელობას უწევდა ივანე ზუბალაშვილი, პაპის მამა დღევანდელის სტეფანე ზუბალაშვილისა და აგრეთვე იაკობ ზუბალაშვილი. ვინც რა უნდა სთქვას და ჩვენს საუბარს სხვა სახით შეხედოს, მე მაინც ამ პირებს შესაფერის პატივით ვუმზერ და ჩემის პატივისცემის საფუძვლად ვხმარობ მარტოდ იმ საყურადღებო საქმეთა მაგალითებს, რომ საქართველოში შაქრის ქარხანა ზუბალაშვილის მეთაურობით გაიხსნა, შაქარსაც სახელად „ქართული შაქარი“ ეწოდა. ეს, ბატონებო, ჩვენს გათახსირებულს ცხოვრებაში მნიშვნელოვან საქმედ უნდა ჩაითვალოს. მოკლედ რომ მოგახსენოთ, 1800 წლის შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს დაუკავშირდა, მას შემდეგ ქალაქ თბილისს, ქუთაისს, გორს, ახალციხეს და სხვა ქალაქებშიაც ისე რამე სამრეწველო საქმე არა დაწყობილა-რა, ისე რამე საქმის ქარხანა არ გახსნილა, რომ იქ ზუბალაშვილებს რამე მონაწილეობა არა ჰქონოდათ მიღებული. ჩვენ აქ ყველა წვრილმან საქმეთა მოხსენებით მკითხველს თავს არ მოვაბეზრებთ, ამის ცნობას მხოლოთ მოკლე განმარტებით ვაუწყებთ, თუმცა ისიც-კი უნდა ითქვას, რომ ყოველს მათს წვრილმან საქმეთა და მოქმედებათა ცნობებსაც ერთობ კარგი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ერის ეკონომიურად, ხელოსნურად და ვაჭრობით აღორძინების ასპარეზზედ. ამ ღირსებას

ზუბალაშვილებს ვერავინ წაართმევს და სადაც ერთი და ორი ძველ მოქალაქეთა გვარი და სახელები აიწერება და დაიხა-

ტებიან, იქ ზუბალაშვილების გვარის წევრთა მოღვაწეობის ისტორიაც საკმარის ადგილს დაიკავებს. ამას განმარტება არ უნდა.

ამ გვარს რომ ძველადგანვე რუსეთის მთავრობა იმ პატივისცემით უმზერდა, როგორც ამათ საქართველოს მეფეების დროს უმზერდნენ და როგორის ღირსებითაც თვით იაკობ ზუბალაშვილი სამეგრელოს მთავარმა რუსეთის მთავრობის წინაშეც წარადგინა, ეს პატივისცემა კარგათ სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ 1855 წელს ერთს ზუბალაშვილს (იოსებს) სხვა და სხვა შემთხვევების მეოხებით დიდი ზარალი მოუვიდა. ამ ზარალის მიზეზი კი 1855-57 წ. ომსაც ედებოდა, ამიტომ მთავრობამ ზუბალაშვილს ნდობის თვალით შეხედა და მას თვრამეტი ათასი თუმანი აპატია (18,000 მ.). ვგონებთ, ამოდენა ფულის პატიება მთავრობისაგან დიდს განძად უნდა ჩაითვალოს რომელიმე ისტორიულის გვარისთვისაც-კი. განა ჩვენ ქართველთ ცხოვრებაში ასეთი მაგალითები აღსანიშნავი არ არის? განა თვით ეს ცნობები არ აჩენენ შესამჩნევ ღირსებას? ზოგიერთები ბძანებენ, რომ ქართველთ შორის სამრეწველო მოძრაობა ისე იყო დაქვეითებული, რომ ქართველთ არც მთავრობა უმზერდა ღირსეულის თვალითო. ქართველებში იგი მარტოდ სოფლის მხვნელ-მთესველს გლეხკაცობას ხედავდა, ქალაქში მუშებს, ხელოსნებს და თავადაზნაურებსო, სხვა არაფერსო. ეს არ გახლავსთ მართალი. მთავრობა რომ ქართველთ პატივით უმზერდა, ეს კარგათ სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ მან ბევრი რამ „საფოდრატო," საქმეები ზუბალაშვილებს მიანდო, ნდობა იმ ზომამდის ავიდა, რომ ივანემ და მისმა სახლისკაცებმა 1810 წლებში, თფილისში ფქვილის და ხორბლის მაღაზიაც გახსნეს. ამას გარდა, ჩვენ ისე რამე სამრეწველო საქმის დაწყობას ვერ ვნახავთ, რომ იქ რომელიმე ზუბალაშვილს მონაწილეობა არ ჰქონდეს მიღებული. მართალია, ბევრში ესენი არ იყვნენ

უდიდესი პატრონები და მათ თავიანთ ამხანაგებზედ მეტი არა ეკავათ რა, მაგრამ საქმე ის გახლავსთ, რომ შაქრის ქარხნის გახსნა, არყის, სხვა-და-სხვა საქონლის შეტანის თუ გატანის და სავაჭრო ამხანაგობის შედგენის მეთაურობა ამათ ეკუთვნისო, ამათ საკუთრებას შეადგენს.

საუბედუროდ, ჩვენ მარტოდ ჩვენს საკუთარს წარსულზედ ვსჩივით, რომ ჩვენი ძველები ქართველთ მეფეთა, მთას ვართა და დიდებულთა გარეშე სხვა არაფერს სწერდნენო. უნდა მოგახსენოთ, რომ ესევე ითქმის ჩვენის უახლოეს დროის თანამედროვე ქართველებზედ. საუბედუროთ არც ესენი აპყრობდნენ ყურადღებას შინაგან ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს და მის ავკარგიანობის დაკვირვებას. აბა ქართველებში ვინ რას მოიფიქრებდა მრეწველობის, ხელოსნების და ამის ასპარეზზედ ენერგიულათ მომქმედ პირთა შესახებ რამის დაწერას!.. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ ქართველთ ბევრი

რამ ღირსეული ცნობები არ დაგვეკარგებოდა.

VIII

ზუბალაანთ გვარის წევრნი ჯავახეთში პირველათ აწ-ყვერში აღმოჩენილან. მაშინ აწყვერი ქალაქათ ითვ-ლებოდა. იქ მცხოვრებთა რიცხვიც დიდი იყო. აწ-ყვერში ზუბალაშვილები უკვე კათოლიკის სარწმუნოებას აღიარებდნენ. დრო ამათის კათოლიკობასთან დაკავშირებისას უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკ., ასე 1653 წელს. ამ დროებ-ში გაძალუანებული ყოფილა აწყვერში ვინმე ქალიმაჯ ეფენ-დი, მტერი ქრისტიანებისა, მდევნელი მათი და სასტიკი ბო-როტი. იგი აწყვერშია დასაფლავებული. ესევე ეფენდი სას-ტიკი მდევნელი ყოფილა კერძოდ ზუბალაშვილებისა, რომ-ლებსაც აწყვერში იმ დროის კვალად კარგი ვაჭრობა ჰქონ-დათ გამართული და შესამჩნევი ვაჭრებიც ყოფილან, მაგრამ მალე აწყვერს ოსმალნი დასცემიან და ქრისტიანები დაურბე-ვიათ; ესენი აყრილან და სოფელ დვირს წასულან; ამათშივე

ყოფილან ზუბალაშვილები; ჯერ ვერც-კი მოასწრეს ახალ მო-სულებმა დვირს დასახლება, რომ 1655 წელს, ახლა ამ სო-ფელს დაეცნენ ლეკები. დვირელნი და ზუბალაშვილები სო-ფელ ხიზაბავრას შეეხიზნენ, რომელიც მაშინ განთქმული იყო შესანიშნავის ქართველთ მეომრებით და ფალავნებით. მოგეხ-სენებათ, რომ ძველად განთქმული მოჭიდავენი სულ ხიზაბავ-რელები იყვნენ, რომელთაც შემდეგ ქართლში ხიზაბავრელი უწოდეს.

თუმცა ხიზაბავრა მძლავრი სოფელი იყო და მის მცხო-ვრებნიც მძლავრ ვაჟკაცებად ითვლებოდნენ, მაგრამ ლეკები მაინც არც ამ სოფელს ასვენებდნენ და მათ უფრო სდევნი-დნენ, რადგანაც მათი შიში უფრო ჰქონდათ. უკანასკნელ, სოფლის მცხოვრებთ მობეზრდათ უღმრთოდ ბრძოლა და მათ აქეთ-იქით იწყეს (1670 წ.) გასვლა და თავის შეფარება. ზუ-ბალაშვილებიც ხიზაბავრიდამ ზოგი თბილისში გადმოსახლ-დნენ, ზოგნი გორს, ზოგნი მოზდოკს და მით გადურჩენიათ თავი.

ზუბალაშვილებს ახალციხეშიაც კარგა ხანს უცხოვრიათ. იგინი ერთგულ წევრებად ითვლებოდნენ იქაურის ღარიბ ეკკლესიების, და ქართველ კათოლიკებისთვის შეწირულებაც უძლევიათ. სამწუხაროდ ჟამთა ვითარებამ შთანთქვა სამცხის ეკლესიების ძველი კონდაკის წიგნები; ოსმალთა დევნის მე-ოხებით მრავალი ძვირფასი ხელთნაწერი დამწვარა, თორემ ზუბალაანთ გვარის შესახებ ბევრი რამ საინტერესო ცნობე-ბი აღმოჩნდებოდა, რადგანაც ამბად არის დაშთენილი, რომ XVIII საუკ. ზუბალაშვილები კათოლიკის ყველა ეკლე-სიებს დიდს დახმარებას უწევდნენო. ზუბალაშვილებს და-ახლოვებული კავშირი ჰქონიათ აგრეთვე აწყვერში მყოფ იმ

დროის გამოჩენილ ქართველთ მთავარ გვარამთან.

ზუბალაშვილებს მესხეთსა და ჯავახეთში ცხოვრების ასპარეზზედ ფეხი მაშინ გაუმაგრებიათ, როცა ოსმალებს კათოლიკებზედ დევნა შეუჩერებიათ და ვაჭრობის გულისთვის სხვადასხვა შეღავათები მიუციათ.

– 98 –

ახალციხის ზუბალაშვილების გვარის შესახებ დაშთენილა კიდევ შემდეგი ცნობა: XVII საუკუნის ზუბალაშვილების ერთი წევრთაგანი XVIII საუკუნეში ახალციხეში დაშთენილა, აქ დასახლებულა, შემდეგ ესენი გამრავლებულან, იგინი ახალციხეში აღებ-მიცემას მისცემიან, მათ მეცხრამეტე საუკუნემდის კაი შეძლებაც შეუძენიათ, მაგრამ მათდა საუბედუროთ, 1830 წლის დიდის ხოლერობის მეოხებით მთლად მოსპობილან, გადარჩენილა მხოლოდ ერთი – ლუკა ზუბალაშვილი, რომელიც შემდეგ ოქრომჭედლობის ასპარეზზედ ხელოვან ოსტატად აღმოჩენილა, მით სარჩოც კარგად შეუძენია და საზოგადოთ ყველა საქმეში სახელოვანი მრეწველი ყოფილა, მაგრამ უშვილოდ გარდაცვლილა 1880 წლებში და მით მოსპობილა ახალციხეში ზუბალაშვილების გვარის ის შტო, რომელიც დღევანდელს ცნობილს ზუბალაშვილებს ენათესავებოდათ.

ასპინძაში მცხოვრებთ გამაჰმადიანებულთ ზუბალაშვილებმა დღესაც კარგათ იციან, რომ ისინი მონათესავები არიან კათოლიკე ზუბალოვებისა. იგინი ამბობენ, რომ ჩვენი მონათესავენი ქართლში სცხოვრობენო. დღეს მაჰმადიანთ ზუბალოვებიც ისეთივე ფანატიკები არიან და მოძულე ქართველთა, როგორც სხვა ქართველთ მაჰმადიანები. ახალციხეში ყოფნის და ცხოვრების დროს, ზუბალაშვილები ყოველთვის ივანე ნათლისმცემლის ეკკლესიის მრევლათ ითვლებოდნენ და ამ ეკკლესიას გაჭირვების დროს ყურადღებასაც აპყრობდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: XVIII საუკუნეში, ცნობილის ანდრია ზუბალაშვილის მეუღლეს ანნას, ხსენებულის ეკკლესიისათვის შესაწირავი გაუგზავნია, რაც მოხსენებულია ამ ეკკლესიის „კონდაკში". ზუბალაშვილებს დიდი მეგობრობა ჰქონიათ პავლე შაჰყულიანთან და იმ დროის ახალციხის ყველა მღვდლებთანაც. თბილისში ყოფნის დროს შაჰყულიანი ხშირად ესტუმრებოდა მათ, ამის დახმარებაც სცოდნიათ; პატრის ფილიპეს უპირველეს მეგობრებად 1830 წლებში თბილისში მარტოდ ზუბალაშვილები იყ-

– 99 –

ვნენო. ახალციხეში ზუბალაანთ გვარის შესახებ ადრე ძველმა მღვდლებმა ბევრი რამ იცოდნენო. დღეს ამ მოძღვართ რიცხვი აღარ არს, განვლეს სოფელი, ერთათ ერთი მამა ივანე გვარამაძეა, რომელსაც ბევრი რამ ახსოვს ამ გვარის წინაპართა შესახებ.

გიორგი, ანდრია და ივანე ზუბალაშვილები ქართველ მეფეების დროს სცხოვრობდნენო. მათ დიდათ უყვარდათ ახალციხის ქართველ კათოლიკეთ სავარდისის ეკკლესია და ამიტომ მას იგინი ისევე სცემდნენ პატივს, როგორც ივანე ნათლისმცემელისას. 1789 წ. ამ ეკკლესიის ძმობაში ჩაწერილა წევრად და წლიური ფულიც შეუტანია გიორგი ზუბალაშვილის მეუღლეს, რაც აღნიშნულია ხსენებული ეკკლესიის კონდაკშიაც. მოხსენებულია, რომ ამ ქალის ფულით წელიწადში სამი ხმიანი წირვა უნდა გადაეხადათ. ესეც ერთი მაგალითი მის, რომ ძველადგანვე ზუბალაშვილები ლათინის ეკკლესიის წეს რიგზედ მდგარან და არა სომეხ-კათოლიკისაზედ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. საზოგადოთ ახალციხის ეკკლესიის დავთრებში ზუბალაანთ გვარის წევრნი ბევრს ალაგას არიან მოხსენებულნი ვითარცა მათი მფარველი და პატივის მცემელნი.

ზუბალაშვილები ვაჭრობას ძველიდგანვე შესჩვევიან, ვიდრე კათოლიკობას მიიღებდნენ. ძველადვე დაწინაურებულან იგინი, მაგრამ კათოლიკის სარწმუნოების მიღების შემდეგ უფრო მხნე პირებათ აღმოჩენილან. ისინი მოგზაურობდნენ საქართველოდგან სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და ევროპას, იქიდამ სხვა-და-სხვა საქონელი შემოჰქონდათ და მით ქართველებში ვაჭრობას და აღებ-მიცემას ავრცელებდნენ. ქართველთ მეფის და ბატონიშვილებისათვის ამათ ხშირად სხვადასხვა ძვირფასი ნივთებიც მოურთმევიათ ხოლმე; ისე ზუბალაშვილი არ დაბრუნდებოდა უცხოეთიდამ საქართველოში,

რომ იგი მეფეს არ ხლებოდა და პატივი არ ეცა. მეფენიც დიდათ აფასებდნენ ზუბალაშვილების შნოსა და აღებმიცემის საქმეს.

ერთი ასეთი ზუბალაშვილთაგანი იყო სტ. ზუბალაშვილი, მომსწრე მეფე ერეკლესი და თავის დროის კვალად ხელოვანი ვაჭარიც. მან მეფეების დროიდგანვე დაიწყო ინდოეთში მგზავრობა და იქიდამ სხვადასხვა საქონლის შემოტანა. მისდა საუბედუროდ, რამდენიც ეს საქართველოში მოვიდოდა და საქონელს შემოიტანდა, იმდენი საქონლის ფასის მაზანდა დაეცემოდა ხოლმე, რაც მას დიდს ზარალს აძლევდა. ამან დიდათ იზარალა და ქართველთ მეფობის შემდეგ რუსების დროს კიდევ მოჰკიდა ვაჭრობას ხელი, კიდევ სცადა საქმე, მაგრამ ვერ წაუვიდა კარგად. უკანასკნელ, ვგონებ, 1820 წლებში, საქართველოდამ სხვა-და-სხვა ვაჭრებს ინდოეთში გაჰყვა სავაჭროდ. იქიდამ ეს აღარ დაბრუნდა. არ ვიცით რა იქმნა, გარდაიცვალა სადმე უძეოდ და მით მოისპო ინდოეთში ზუბალაშვილების გვარის შტო, თუ იქ დასახლდა და დღე-

საც იქნება მრავლობენ სადმე. ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით მასზედ. ამაზედ ქვემოთაც ვისაუბრებთ.

ძველად კათოლიკეებში პატრებს ჩვეულება ჰქონდათ, რომ ვინც-კი კათოლიკობას მიიღებდა, იმას პირველს ყოფილს გვარისაგან მცირედ გვარსაც შეუცვლიდნენ. ზოგს გვარს მცირედ შეეცვლებოდა სახე და ზოგს კი სრულიად ისე, რომ ქართულის მას აღარა დაშთებოდა რა, ან სომხურს მიითვისებდნენ და ან თათრულს. ასეთი მაგალითების დამამტკიცებელია შემდეგ გვართა ისტორიები: ძველი ვარდიძე – დღეს ჩილინგარიანათ იწოდება, მანანაძე – პარმაქსიზოვათ, შოშიაშვილი – ნალბანდოვათ, მამაცაშვილი – ისკანდაროვათ, ყალაიჯოვი, ყრქსალოვი და სხვა ამ გვარნი, რომელნიც ქართველ კათოლიკებს მიეთვისათ ძველადვე.

ქ. გორში ნაამბობი ანტონ დავითის ძის ზუბალაშვილის მიერ და სხვათა ცხობები

მამის ჩემის დავითისაგან შემდეგი ამბავი შემიტყვიაო:

მეფის თეიმურაზის (1744-62 წ.) განკარგულებით, თბილისიდამ და გორიდამ ლათინის წეს-რიგის პატრები განდევნეს, პატრები ახალციხეს გადავიდნენ და იქ მიეცნენ ცხოვრებას. გორში ეკკლესია დაკეტეს, თბილისშიაც ასევე ქმნეს. გორის და თბილისის კათოლიკენი ამ უბედურების გამო დიდათ გლოვობდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, პატრებს ნება მიეცათ გორსა და თბილისში შემოსვლის და მღვდელ-მოქმედების შესრულებისა. გორში მათ ეკკლესია წართმეული ჰქონდათ, ქართველთ ეპყრათ. ამიტომ ზუბალაშვილებმა იმეცადინეს და თავიანთ სახლში ერთი დიდი დარბაზი მისცეს პატრებს სალოცავად. აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბებოდნენ გორის კათოლიკენი და აქ ლოცულობდნენ. ეს დარბაზი დღევანდლამდეა დაშთენილი. იგი გადაკეთებულ იქმნა გორის საოსტატო სემინარიის თათართ მოწაფეთა განყოფილების სადგომად. ამ დარბაზის მოწყობა ეკკლესიად და მფარველობა მთლად ზუბალაშვილებს ეკუთვნისთ. ყველა საეკკლესიო ხარჯი მათ ჰქონდათ ნაკისრი, ასე რომ პატრებსაც აძლევდნენ წასვლა-წამოსვლის ფულს, ულუფას, სხვა-და-სხვა შესაწირავებს და სხვ. პატრებს და საზოგადოდ კათოლიკე მოგზაურებს ყოველთვის ზუბალაშვილების ოჯახში ეძლეოდათ ბინა. ასეთი სამსახურის და პატივისცემის სამახსოვროდ პატრები დიდათ კმაყოფილნი იყვნენ და ზუბალაშვილების სამსახურის და მფარველობის ცნობებს ყოველთვის რომის პაპს ატყობინებდნენ. პაპმა ზუბალაშვილების ასეთს სამსახურს დიდი პატივი სცა და 1770 წლებში, გორის ზუბალაშვილებს ლოცვა კურთხევა და შენდობის წერილი (ინდულგენცია) გამოუგზავნა. ეს ძველი „შენდობის წერილი" ზუბალაშვილებში კარგა ხანს ინახებოდა. უკანასკნელ იგი მეტად დაძველდა, ამიტომ იოსებ ზუბალოვი რომში წავიდა, თან წაიღო და პაპს პიო მეცხრეს

სთხოვა განახლება. პაპმა სიამოვნებით განუახლა, ძველის მა-

გიერ ახალი მისცეს. შემდგომ ჩვენში ის ძველი სრულიად მიეფარა, დაიკარგა და აღარც ახალი ვიცით რა იქმნა, იოსე-ბისავე ხელში დაიკარგა. როგორც ვიცით, ასეთი შენდობის წერილი და ლოცვა-კურთხევა პაპისაგან საქართველოში მარ-ტოდ ზუბალაშვილებს ჰქონდათ მიღებული, სხვა არავის, თვით ქართველ კათოლიკე თავად-აზნაურებსაც-კი არ მიუღიათ პა-პისაგან ასეთი პატივისცემაო. მართლაცა და უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი ინდულგენცია და ლოცვა-კურთხევა საქართველო-ში არც ერთს გვარის წევრთ არ ჰქონიათ.

მეფის თეიმურაზის და ირაკლის დროს გამოჩენილი იყო მერაბ ზუბალაშვილი და ანდრია: მერაბი კუტი იყო, მაგრამ როცა მეფე თეიმურაზი ან შვილი მისი ერეკლე II-რე და ან სხვა ვინმე ბატონიშვილები მობძანდებოდნენ გორში, მაში-ნათვე მათთან წაიყვანდნენ კუტს მერაბას. მერაბი მოხუცი იყო, მეფენი სიამოვნებით მიიღებდნენ ხოლმე და ისიც ასე ავედრებდა მუდარებით მათ:

– ბატონო მეფევ! წყალობა გვიყავით და გორის ეკკლე-სია დაგვიბრუნეთ, რათა ვილოცოთ ჩვენის სულისთვის და თქვენის მეფობის გაძლიერებისათვის.

მერაბმა თავის დროის კვალად მეფისა და სხვა დიდებულ-თა საკადრისი სიტყვაც იცოდა, პატივისცემა, კარგი მუსაიფი და მიტომაც დადიოდა მეფის სახლში თავისუფლად. მერაბი, გორის ეკკლესიის გარდა, თბილისის ეკკლესიის მფარველობა-საც ავედრებდა მეფეებს. მერაბს თხოვნა აუსრულდა და მე-ფემ კათოლიკეებს ყოველივე დაუბრუნა, ეკკლესიები, ნივ-თები, პატრებიც განამრავლა და პატივი აგო, ჯამაგირი დაუ-ნიშნა და საჩუქრებითაც დააჯილდოვა.

თავის დროის კვალად გორში გამოჩენილ მოქალაქედ ითვლებოდა ანდრია ზუბალაშვილიც. ანდრია ზუბალაშვილს კარგათ იცნობდნენ მეფე ერეკლე, ანტონ კათალიკოზი და სხვა იმ დროის წარჩინებული პირნი. მეფე, კათოლიკოზი, მღვდელმთავრები და ბატონიშვილები გორში რომ მობრძან დებოდნენ, ყოველთვის ანდრია ზუბალაშვილსაც ნახავდნენ.

ხშირად თვით ანდრია მოიწვევდა ხოლმე მეფეს, შესაფერს ნადიმს უმართავდა და მეფე თუ კათოლიკოზი და სხვანი ყო-ველთვის სიამოვნებით მიბრძანდებოდნენ ზუბალაშვილების სახლიდგან. ერთხელ ანდრია ზუბალაშვილს თავის სახლის კა-ცებმა და სხვათაც შემდეგი რჩევა უთხრეს:

– ანდრიავ! მეფე და მეფის ძენი დიდი პატივის მცე-მელნი არიან შენი, ისარგებლე მით და სთხოვე, რომ თავა-დიშვილობა გიწყალობოს. უეჭველია მოწყალე მეფე ერეკლე შნთვის არ დაიშურებს ამას.

ანდრია ეტყოდა ხოლმე პასუხად:

– არა, ბატონებო, მე სადილზედ მოსამსახურეობის თავი არა მაქვს, მის უმაღლესობას სადილზედ ყოველთვის თავად-აზნაურები ემსახურებიან და მე-კი ასეთს ტვირთს ვერ ავიტან. მეფე და მეფის ძენი იქამდის მწყალობელნი არიან ჩვენი, რომ ამ პატივისცემის გარდა მე სხვა ამაღლება არ მჭირია.

ძველათგან დარჩენილია ამბად, რომ მეფე ერეკლე ზუბალაშვილებს და ნამეტურ ანდრიას ისეთს დიდს პატივსა სცემდა, რომ ანდრია რასაც-კი დაავალებდა და სთხოვდა, მეფეც ყოველთვის სიამოვნებით უსრულებდა დავალებას. ანდრიას სიტყვით მეფემ გორში ბევრს კაცს და ოჯახს მისცა მოწყალება და მფარველობა გაუწია. ანდრიას რომ მეფისთვის თავადობა ეთხოვნა, ამას უეჭველია მეფე არ დაუჭერდაო, მაგრამ ანდრიამ არ ინდომაო.

ზოგიერთი მოხუცებულნი ადრე იტყოდნენ ხოლმე, რომ ზუბალაშვილები პირველად ცხინვალში სცხოვრობდნენ. იგინი ენათესავებოდნენ ქართველ ისრაელებს და შემდგომ კათოლიკობას დაუკავშირეს ლათინის პატრებმა ისინი თვით ქ. ცხინვალშიო. ახალციხისკენ-კი სულ სხვა გარდმოცემას ამბობენ ამ გვარის შესახებ და ამათ პირდაპირ მესხებად სახავენ. ზუბალაშვილები მესხნი არიანო, ძველადგანვე მესხეთიდგან ქართლში გადმოსახლებულნი, შემდეგ-კი ისევ უკან დაბრუნებულან და აწყვერს დასახლებულან. ამ გვარის ცნობა თვით ცხინვალშიაც აღმოჩნდება, რომ მოიძებნოსო. არის ისეთი გარდმოცე-

მაც, რომ ძველად ზუბალაშვილების ზოგიერთი წევრნი კონსტანტინებოლშიაც წასულან სავაჭროდ და აწყურიდამ, ახალციხიდამ მათ ბევრი რამ საქონელიც გაუტანიათ გასასყიდათ კონსტანტინოპოლში, მაგრამ აღარა სჩანს იგინი ისევ დაბრუნდნენ იქიდგან საქართველოში თუ იქ დარჩნენ.

ასეთი გარდმოცემაც გახლავსთ: ზუბალაშვილები ჯავის ხევიდგან არიან და არა ჯავახეთიდგანაო. ჯავის ხეობაზედ იგინი მტერთა თავ-დასხმისაგან შეწუხებულნი ყოფილან. ერთი მათგანი გადმოსახლებულა გორში, იქ კათოლიკის პატრებს დაახლოვებია, კათოლიკობა მიუღია, პატრებისაგან ისე გაწვრთნილა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი საკმარისადაც დაწინაურებულა ცოდნით, საქმით და შეძლებით; ეს ხანა უნდა ყოფილიყოს XVII საუკუნის ნახევარს, და დღევანდელი ზუბალაშვილები სწორედ ამ ზუბალაშვილის შთამომავალნი არიანო. არის ისეთი გარდმოცემაც, რომ გორელ პატრს ტულუკაანთ დავითას, დიდი ზეგავლენა ჰქონია ზუბალაანთ გვარის პირებზედ. ამ პატრისაგან განმტკიცებულა მათში კათოლიკობა. ამ დროს ზუბალაანი შეძლებით ისე ყოფილან დაწინაურებულნი, რომ მათ ჯეროვანი დახმარება მიუციათ პატრი დავითისათვის და იგი 1724 წ. წასულა რომს. 1733 წელს იქ მან ქართულს ენაზედ „საქრისტიანო მოძღვრებაც“ დასტამბა, რომელიც ზუბალაშვილების დახმარებით მაშინათვე

მოიტანეს საქართველოში. XVIII საუკუნეში, ქართველთ კათოლიკეებში ყველაზე ამაღლებით და დაწინაურებით მარტოდ ზუბალაშვილები ითვლებოდნენ.

ხურსიძეების გვარში დაშთენილი.

ხურსიძეების გვარში დაშთენილია შემდეგი გარდმოცემა: ზუბალაშვილები ცხინვალელნი არიან. სხვა-და-სხვა მიზეზების წყალობით ესენი ცხინვალიდამ გორში გადმოსახლებულან. გორში ესენი ვაჭრობას შესჩვევიან. ეს დრო ზედ მიწევნით 1650 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. გასულა რამდენიმე ხანი,

ქ. გორს, ოსმალის ჯარი დასცემია და გორი აუღიათ, მაგრამ სამუდამოთ აქ-კი ფეხი ვერ გაუმაგრებიათ. ქართველნი შეკრებილან, შეთქმულან ერთად და ოსმალთან პირისპირ ბრძოლა დაუწყიათ, ქართველთ გაუმარჯვნიათ, მტერი გაუდევნიათ. ამ გამარჯვებას ქართველთ საუკეთესო ვაჟ-კაცობა შესწირვია, დიდი ძალი ქართველობა გამწყდარა. მტერი გაქცეულა. ამ გაქცევის დროს, მათ რამდენიმე ქართველთ მეომარი ტყვეებიც ჩავარდნიათ ხელთ. ეს ტყვეები ოსმალთ ახალციხეში ჩაუყვანიათ, იქიდამ ტრაპაზონისაკენ უნდა წაეყვანათ, იქით, რასაკვირველია, ყველა ამ ქრისტიან ტყვეებს დაჰყიდნენ, მერე გაათათრებდნენ. ამ ტყვეების ამბები იმ დროის ახალციხის კათოლიკის პატრებს და ქართველ გვარის მოწინავე კაცებს მალე შეუტყვიათ. ამათ ჯეროვანი ყურადღება მიუქცევიათ, მისულან ახალციხის ფაშასთან, მიუციათ კაი ფული და ყველა ტყვეები დაუხსნიათ.

ამ დახსნილ ტყვეებში რეულან ზუბალაშვილების რამდენიმე წინაპარნი. ტყვეების ზოგი ქართლშივე დაბრუნებულან, ზოგნი ახალციხეში დაშთენილან, აქ კათოლიკის პატრებს მიჰკედლებიან და შემდგომ კათოლიკობაც მიუღიათ. ერთი ამათგანნი ყოფილან ზუბალაშვილებიც, რომელნიც ახალციხეში დაშთენილან, პატრებს მიჰკედლებიან და მერე კათოლიკობაც მიუღიათ. ზუბალაშვილები ვაჭრობას ახალციხეში შესჩვევიან, აქ დაწინაურებულან, ხურსიბეების და სხვათა იმ დროის მოწინავე ქართველ კათოლიკეთა დახმარებით ფეხი წაუდგავთ და შემდგომ ვაჭრობით დაწინაურობისა გორში გადმოსახლებულან და აქეთ დაუწყვიათ ვაჭრობა. ძველად მათში ბევრი ხელოვანი ვაჭარიც ყოფილა.

იმ დროის კათოლიკის პატრები და ახალციხის მოწინავე ქართველ კათოლიკენი ოსმალთაგან ხშირათ იხსნიდნენ ტყვეებს, ამათ ყველას თავიანთ სახლებისაკენ აბრუნებდნენ. თითქმის ყოველ წელს რამდენიმე ას სულს იხსნიდნენ და სამშობლო საქართველოსკენ აბრუნებდნენ. ამ საქმეების წინაშე იმ დროის ახალციხის პატრებს და ქართველთ კათოლიკებს დიდი სამსახური და ამაგი მიუძღვისთ.

ქუთაისში დარჩენილი ამბები.

ქუთაისს, ქართველ კათოლიკებს ძლიერ ემარჯვებოდათ ცხოვრება. იმერეთის მეფენი დიდათ მფარველობდნენ მათ. იმერეთში კათოლიკობა უფრო ახალციხელებისაგან შესდგებოდა. ახალციხეს თათრის ხელში მათ შეწუხება ჰქონდათ, ამიტომ ქუთაისს ეტანებოდნენ, აქ ოსმალოს საქონელიც გადმოჰქონდათ და კარგათაც ვაჭრობდნენ. ერთი ამ კარგი მოვაჭრეთაგანი ყოფილა ზუბალაშვილებიც. ზუბალაშვილები ქუთაისს გორიდამ გადმოსულან. გორში ამათ ისე კარგათ წასვლიათ საქმე, იგინი თვით იმერთ მეფესაც გაუცვნია და მასთან სხვადასხვა მთავრებსაც.

ქუთაისის კათოლიკეთა რიცხვი საკმარისი იყო, ისე რომ XVIII საუკუნის ნახევარს, მათთვის ფართო ქვის ეკკლესიაც იყო საჭირო, მაგრამ მის კეთებას ვერ ახერხებდნენ, რადგანაც იმერეთი ოსმალთა დევნაში იყო და ქვის ეკკლესიას ყოველთვის გაცარცვა ელოდა და ხისას დაწვა და დაქცევა. ხსენებულ საუკუნის 1770 წლებს შემდეგ, ეს შიში სოლომონ იმერთა მეფის მეოხებით მოისპო. მშვიდობიანობა ჩამოვარდა, ვაჭრობამაც აყვავება დაიწყო. ამ დროს, ზუბალაშვილებიც დიდათ დაუახლოვდნენ იმერთ მეფეს სოლომონს. იმ დროს ქუთაისის შემლებულ ვაჭრებათ ესენი ირიცხებოდნენ. ყველა იშვიათი საქონელი ამათ შემოჰქონდათ სხვა-და-სხვა ქვეყნებიდამ იმერეთში.

მალე კათოლიკებმა ეკკლესიის შენებაც დაიწყეს. ეს დრო 1785 წ. მიეწერება. ამ შენებაში ზუბალაშვილებმა დახმარება აღმოუჩინეს 1793 წ. ამ ეკკლესიას ივანე ზუბალაშვილმა და მისმა ძმებმა კაი დახმარებაც აღმოუჩინეს, სხვა-დასხვა საეკკლესიო ნივთები შესწირეს. 1800 წლების შემდეგ, კათოლიკეთ გამრავლება იწყეს. აწინდელი ეკკლესია პატარა იყო. მათ განიძრახეს ძველი ეკკლესიის განახლება. ამ განახლებაშიაც მონაწილეობა მიიღეს, დახმარება აღმოუჩინეს. გარდა ამისა, ესენი დახმარებას აძლევდნენ ყველა იმ

კათოლიკეთ ვაჭრებს, რომელნიც ახალციხიდამ ქუთაისს, ან იმერეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში სავაჭროთ გადმოდიოდნენ. 1810 წლების შემდეგ, რაც იმერეთი რუსეთმა დაიმორჩილა. მის შემდეგ ქუთაისის კათოლიკებმა მრავლად იწყეს გამრავლება. ამათ ძველი ეკკლესიის მაგიერ ახალი კარგი ეკკლესიის შენება დაიწყეს. ამ ახალი ეკკლესიის აღშენებაშიაც დაახლოვებული მონაწილეობა მიიღეს და თავიანთ შემლებისდა გვარათ იმ დროის კვალად საკმარისი დახმარებაც აღმოუჩინეს. ეკკლესიის ცნობებიდამ სჩანს, რომ ზუბალაშვილებს არც ეკკლესიის აღშენების შემდეგ მოუკლიათ დახმარება და ყოველთვის კეთილის თვალით უმზერიათ და დახმარებაც უძლევიათ.

**საქართველოში არყის ქარხნის დაარსების ამბავი – მის წარმო-
მადგენელი იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი და სხვა ცნობები.**

როგორც ზოგი ერთს ჰგონია, ქართველი ერი არც ისე წყალ-წაღებულია ვაჭრობის ასპარეზზედ. ქართულის ისტორიულის მასალებით არ მოიძებნება არ არც ერთი საუკუნე და კუთხე, რომ საქართველოში, ქართველთ შორის, ვაჭრები და ვაჭრობა არ ყოფილიყოს გაჩაღებული. ყოველს დარგს სანოვაგისას, საქსოვისას, ქარგვისას, კერვისას, კეთებისას და სხვათაც მრავალთა ამგვართა ჰყვანდნენ თავ-თავისი წარმომადგენნი, თავ-თავისი მფარველნი. ზოგნი მათში დიდათ მდიდრებიც ერივნენ. შეძლება მათი და აღებ-მიცემა საქართველოს გარეშე სხვა ქვეყნებშიაც იყო გამართული. ასეთი იყო მაგალითებრ, ყაჭის, აბრეშუმის, ბამბის და მატყლის ვაჭართა გარემოებაც, რომელნიც საქართველოს გარეშე სპარსეთსა და ინდოეთსაც კი მგზავრობდნენ და აღებ-მიცემობდნენ. საუბედუროდ, ყველა ასეთ მწარმოებელთ შესახებ და ნამეტურ მათის აღებ-მიცემის ჩვენ ბევრი არაფერი მასალები გვაქვს და რაც გვაქვს, იმასაც აქ დავასახელებთ. ხოლო ჩვენ გაკვრით იმასაც შევეხებით, თუ ყოველს დარგსა და ნივთს საქართველოს მთავრობისაგან რა ედო ბაჟათ გარდასახადი, ამის გაც-

ნობა ჩვენთვის საჭიროა. ამიტომ აქედამ ჩვენ დავიწყებთ ღვინო და არყით მოვაჭრეებზედ და მათ ვაჭრობაზედ მთავრობის მიერ დადგენილს ხარჯზედ.

საქართველოს მეფეების დროს, ქართველი ხალხი და ნამეტურ ბარის მცხოვრებნი და მოქალაქენი არყის სმას მაინცა და მაინც ძლიერ არ მისდევდნენ. ერთის მხრით ქართველების ნაწილში არყის სმა სათაკილოდ იყო მიღებული, თუმცა თან შესამჩნევი პატივიც ჰქონდა მინიჭებული. ისე სადმე ძვირფასი ნადიმი, ლხინი, ან ჭირი არ იქნებოდა, რომ იქ ღვინოსთან ერთად არაყიც არ ჰქონდათ. საზოგადოთ ბარის ქართველნი უმეტესად მისდევდნენ ჭაჭის არყის ხდას, ჭანჭურის, უცეცხლო თაფლის და სხვა და სხვა ხილეულობის.

მთაში კი მთიელთათვის ღვინის მაგიერ ბევრს ალაგას არაყი იყო მიღებული. იქ ღვინოს მარტოდ მღვდელნი ხმარობდნენ, თორემ დანარჩენი დღესასწაული და წვეულების ნადიმები სულ არყით და ნადირის ხორცით სრულდებოდა. მთიელთ არაყი გამოჰყვანდათ ქერის, პურის, ფეტვის, სიმინდის და სხვა და სხვა ხილლეულობის. როგორც ბარში, ისევე მთაში, საარაყე ქვაბი და სახდელი თითქმის ყველა მეოჯახეს ჰქონდა. ყველა მეოჯახე იმდენს არაყს ხდიდა, რაც კი მისი ოჯახისათვის საჭირო იქნებოდა. გასაყიდს არაყს ხან მთელი სოფელი ერთად ხდიდა, ასე, რომ სოფელს თავის სასოფლო არაყი აქვნდა. არყის გამოხდაზედ მთავრობისაგან არავითარი გარდასახადი არ არსებობდა. ხარჯს ახდევინებდნენ მხოლოდ

მაშინ, როცა არაყს ვაჭრებზედ გაჰყიდიდნენ. არყის ხარჯის გარდახდა ხშირად არყითვე სწარმოებდა. ხარჯში ანაღები არაყი ხმარდებოდა სამეფო სახლს, ერს და მსახურთ, ნამეტურ მორიგ ჯარს. საქართველოში, ქართველთ შორის ძველადგანვე განთქმული იყო ჭაჭის არაყი. ლაშქართათვის ომში წასვლის ჟამს არაყიც მიჰქონდათ თან. ამ არაყს სოფელი იხდიდა თავის საარყიდგან. სამეფოს თავდარიგი ჰქონდა, თუ წელიწადში რამდენი არაყი უნდა დაემზადებინა ლაშქრისათვის.

ქალაქსა და დაბებში ღვინის და არყის სავაჭროდ დახსნილი იყო სირაჯის დუქნები. სირაჯები ვაჭრობდნენ ღვინით და არყით. ყველაზედ მეტი სირაჯების დუქნები ტფილის ქალაქს იყო, სადაც სირაჯები ისხდნენ. დღეს ამ მხარესაც სირაჯხანა ეწოდება. მათი ღვინოები მთლად კახური იყო, შიგა და შიგ ქართლის ღვინოებსაც ასაღებდნენ. მაშინ ღვინო თუნგი ისყიდებოდა 7-10 კაპ. არაყიც ძრიელ იაფი იყო, ისე რომ მისი ანუსხვა არც კი ღირს. ქართველ მეფეების დროს ყველაფრის მაზანდა იაფი იყო, მცირე. მაშინ მართალია ფული ძვირი იყო, მაგრამ მის მაგიერ მშიერი კი არავინ კვდებოდა. ბოსიაკები და ბოგანოები ჩვენში იმ სახითა არ იყო, როგორც ეს დღეს ევროპაში არის. საქართველოში, ქართველთ შორის გლახა იშვიათი სახილველი იყო, თუმც ისიც უნდა აინიშნოს, რომ სიღატაკესაც ჰქონდა თავის ადგილი დათმობილი. სიღატაკის განსაზღვრის საქმეს და მოსაზრებაში ვინმემ რეტროგრადობა არ დაგვწამოს. ჩვენ გარდაწყვეტით არ ვიტყვით, რომ ვითომც ჩვენი მეფობის დროს, საქართველოში სიღატაკეს სრულებით ადგილი არ ჰქონდა. არა ეს ასე არ იყო. იგი იყო და არსებობდა კიდეც, ხოლო მის გაბათილებას ძრიელ ეხმარებოდა სამეფოს წესები და ის გარემოება, რომ იჯარა და ბაჟი ყველაფერზედ მცირე იყო. ამის მაგალითს წარმოადგენს ღვინის და არყის ბაჟის საქმე. უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამეფოს ტფილისიდამ არყისა და ღვინის ბაჟი 1000 მ. ზევით ვერ ავიდოდა. ასეთის მდგომარეობით დაასრულა საქართველოს მეფობამ თავისი ხანა და ასეთის წესებით ჩაბარდა იგი რუსეთის იმპერიას. რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, პირველ წელს საქართველოს სამეფოის დროის ღვინის და არყის ბაჟმა ერთი ორად იმატა და 1801 წ. 1000 მ. მაგიერ 2000 მ. გახდა. შემდეგ და შემდეგ უფრო და უფრო მატულობდა და დღეს რაც არის და რასაც იხდიან, ეს ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცის.

XIX საუკუნის შემდეგიდამ, მოსვენებულ ქართველთ საკმარისად იწყეს თვალის გახილება. ამ დრომდის საქართვე-

ლოში ყველაფერი შინაურულად სწარმოებდა, მაგალითებრ,

ყველა სამრეწველო საქმეს უფრო შინაურული, ოჯახური ანუ კომუნარული სახე ჰქონდა, ვიდრე ვაჭრობითის, აღებ-მიცემის, მრეწველური, ანუ ქარხნული. მაგალითებრ, ფეიქ-რები და ასეთ მკერავ მკეთებელნი უფრო ისე არსებობ-დენ. იგინი სახლში სოფლისთვის მუშაკობდნენ და სოფელიც მათ ინახავდა. ხსენებული საუკუნის შემდეგიდამ კი, რაკი სა-მეფოს წესები შეიცვალა, მას მოჰყვა ძირითადი ცვლილება ეკონომიურის, კომერციის, ადგილ მდებარეობის და სხვ. კარ-ჩაკეტილმა ცხოვრების მოქმედებამ გაფართოვება და გაშლა იწყო. ქართველთ შორის აქა იქ ჩნდებოდნენ მრეწველობის მიმყოლნი და მის პატივის მცემელნი. საქართველოს კუთხე-ებზედ ქართველთ აქა იქ იწყეს თვალის გახილება, სხვა-და-სხვა სავაჭრო მაღაზიების და დუქნების დახსნა, სამრეწველო ქარხნების კეთება და სხვანი. ერთის სიტყვით, მოკლე დროის განმავლობაში, ქართველთ საკმარისად გაახილეს თვალები და იჩინეს ძალა. დღეს ამ ძალის ნაყოფი ჩვენში უკვე თვალსა-ჩინოდ სჩანს. ერთ ასეთ ნაყოფის დამრგველ პირათ ჩვენ მიგ-ვაჩნია მრეწველი იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, რომელზე-დაც აქ უნდა შევჩერდეთ.

იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1791 წ. ე. ი. ისეთ დროს, როცა ქართლ კახეთის სამეფო არსებობდა. რო-ცა ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას ჩაბარდა, მაშინ იაკობ ივანეს ძე 10 წლის იქმნებოდა და იმერეთის დაკავშირების დროს კი 20 წლის ყმაწვილი კაცი. ასე რომ იაკობ ივანეს ძე ქართველთ მეფობის არსებობას თავის თვალით კარგად მო-ესწრა. მან ნახა ყოვალივე მისის ავკარგიანობისა. ასე რომ იაკობს შემდეგ თავის დროის ცხოვრებაში მეტად კარგი ხსო-ვნა ექნებოდა იმ დროის ქართველთ ცხოვრებაზედ, რომელ-საც იგი მოესწრა, თვალი გაახილა და მასთან ბევრი რამ ავი და კარგიც ნახა. ამიტომ ჩვენ აქ თამამათ შეგვიძლიან დავა-სახელოთ, რომ იაკობ ზუბალაშილი მეთვრამეტე საუკუნის ქარ-თველთა შვილი იყო. იგი დაიბადა ხსენებულს საუკუნეში,

თვალი გაახილა, ქართული წერა-კითხვაც მაშინ შეისწავლა და ამათ გარეშე მკაცრად შეითვისა ყველა ის წესები და და-რგნი, რაც კი მეთვრამეტე საუკუნეში, ქართველთ შორის არსებობდა.

როგორც სხვაგანაც დაგვიწერია, ზუბალაშვილების გვა-რის წევრნი სარწმუნოებით რომის კათოლიკეებს ეკუთვნიან და ტომით ქართველობას. ამ გვარის წევრთ მრეწველობის ასპარეზზედ ნიჭი და შემძლებლობა ადრიდგანვე გამოიჩინეს. თითქმის იმ დღიდამ, როცა მათი წინაპარნი ქართლიდამ გა-სულ იქმნენ და კათოლიკობასთან დაკავშირებული. არ დარ-ჩა არც ერთი გვარი სავაჭროს ან სამრეწველოს განყოფილე-ბის, რომ ზუბალაშვილების გვარის წევრთ მასზედ შესაფერი შეხედულება და წარმოდგენა არ მიეღოთ. ამის უტყუარს მა-გალითს წარმოადგენს იაკობ ზუბალაშვილის ენერგიული მო-

ქმედება, რომელიც პირდაპირი თანამედროვეა, ანუ თანზრდილი პირია მეცხრამეტე საუკუნის ქართველთ ცხოვრების და მასთან თითქმის სახსარი და აგებულებაც ქართველის ერის ცხოვრების, მათი მაჯის ცემის, მოძრაობის და წარმატების. ამათის ნიჭიერების მაგალითად კმარა დავასახელოთ თუნდ ის გარემოებაც, რომ ამ გვარის წევრნი ძველადგანვე ქართველთ მეფეთა კარის ვაჭართ ირიცხებოდნენ და უკანასკნელ წლებს, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა. მაშინაც ესენი ირიცხებოდნენ წარჩინებულ მრეწველ-ვაჭრებათ, თვით სამეგრელოშიაც კი ჰქონდათ ამათ დიდი ხმა და გავლენა. დადიანების კარის ვაჭრებათაც ესენი ითვლებოდნენ.

როგორც ვიცით, ძველად ზუალაშვილებს საკმარისი შემძლებლობა ჰქონდათ ვაჭრობის ასპარეზზედ. ქართველთ მეფეების და დადიანების საშუალებით ესენი თავისუფლად მგზავრობდნენ კოსტანტინეპოლს, სლავიანთა სხვა და სხვა სამეფოებში და აქედამ მათ დიდძალი საქონელი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ საქართველოში. ამ აღებ-მიცემის საქმეებს საყურადღებო ისტორია აქვს, მაგრამ საუბედუროთ ჩვენ მის შესახებ ბევრი არაფერი ცნობები ვიცით. მისი ცნობა კი

ჩვენთვის ძვირფასი უნდა იყოს, რადგანაც მის ცოდნით კარგად შეიძლება განიმარტოს და აინუსხოს ის გარემოება, თუ საქართველოში როგორ იწყო ზრდა ფინანსიურმა გარემოებამ და ან სამრეწველო და სამეურნეო ნაწარმოებთაც როგორ ეძლეოდათ აღორძინება, ფასის ზრდა და ბევრიც კიდევ სხვა საყურადღებო მხარეები. მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ, ზუბალაშვილებმა საკმარისად განივრცეს სახელი ახალციხის მხარესაც, მაგალითებრ 1829 წ. ოსმალეთის სამზღვარი სოფელ ვალეს ზემოთ იყო, ერთობ ახლო ახალციხესთან. აქ რუსის და ოსმალოს დამოჟნაც არსებობდა. ამ დამოჟნაზედ ზუბალაშვილების საქონელი მრავლად შემოდიოდა. ამათი საქონლის შემოტანის ამბები ცნობილი იყო მთელს მესხეთის და ჯავახეთის ქართველებში, ნამეტურ საქონლის მზიდავ ქართველებში. უნდა ითქვას, რომ ზუბალაშვილებს სამზღვარ გარეთუ-ლი საქონელი მარტო ამ გზით არ მოსდიოდათ, არამედ სხვა კუთხეებიდანაც *).

იაკობ ზუბალაშვილის ნიჭიერების შესახებ ჩვენ აქ ბევრს არ ვილაპარაკებთ. იგი შვილი იყო თავის დროის და იმ სამრეწველო მხარეების, რასაც კი XIX საუკუნეში, საქართველოში, ქართველთ შორის აღორძინება ეძლეოდა. ეს სამრეწველო მხარე იყო პური, ღვინო, არაყი, შაქარი, ჩაი და ნართი. როგორც ვიცით, ზუბალაშვილების მრეწველობის და ვაჭრობის წარმატების საქმეებს დიდათ დაეხმარა სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანისაგან გაკეთებული რეკომენდაცია რუსის მთავრობის წინაშე. პირველ რუსობის შემდეგ ზუბალაშვილებმა, როგორც მთავრობისაგანაც მოსალოდნელი იყო, დიდი აღებ-მიცემა იწყეს პურითა. პურის ვაჭრობით იგი-

ნი კარგადაც დაწინაურდნენ. პირველი მაგალითი იყო საქართველოში პურის ვაჭრობა, ანუ ფოდრატები და მისაღებ-

*) ბოდიშს ვიხდი, რომ ამ საგნის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. ამას ვბეჭდავთ უფრო იმ აზრით, რადგანაც ერთიცა და მეორე წერილიც სხვა და სხვა დროს იქმნა დაწერილი და დაბეჭდილებიც ცალკ-ცალკე.

მიცემა: პურის ვაჭრობის ასე მოწყობა რუსეთის მხედრობის გამრავლებამ მოითხოვა. იმ დროის უცხო მთავრობისათვის პური ძნელი საშოვარი იყო. ჯარს ხომ ერთობ ხშირად აკლდებოდათ პური, ნამეტურ აქა იქ კავკასიის მთებში თათრებთან ბრძოლის დროს. ამის მხრით იგინი დიდს გაჭირვებას ითმენდნენ. აი სწორეთ ამ გაჭირების დროს, პურის ვაჭრობის ასპარეზზედ სჩანს სხვებთან ერთად ზუბალოვიც, მთავრობას აძლევს ხელშეკრულობას, ჰპირდება ლაშქართათვის საკმარის პურის მოტანას. იგი ამას კარგათაც ასრულებს ყველგან. ამით მთავრობას დიდს სახსარს უწევს და ლაშქართათვის საკმარის პურს ადგენს.

ამ დრომდე, საქართველოში პური მრავლად მოდიოდა. მის მოყვანას ყველგან გლეხკაცობა მისდევდა. დღე და ღამ გლეხნი პურის და ღვინის ასპარეზზედ შრომობდნენ. მაშინ სამწუხაროდ პურის ფასი ერთობ დაცემული იყო, კოდი ორ აბაზათ პური იყიდებოდა, ქერი ხომ უფასოდ იყო. აბა ასეთის სიაფის შემდეგ სხვა რაღა იქმნებოდა. ასე იყო პური იაფი, მაგრამ გლეხთაგან ვაჭრობის არ ცოდნის მეოხებით მთავრობას ლაშქარისათვის პურის შოვნა მაინც ყველგან და ყოველთვის უჭირდებოდათ. აღსანიშნავია, რომ ასე იაფად პურს მარტოდ გლეხებთაგან ყიდულობდნენ. თორემ მერე ფასი ერთი ორათ ემატებოდა. გლეხნი კი ყოველთვის გაჭირებაში იყვნენ. ამ გაჭირებას წინ გადაეღობნენ იაკობ ზუბალაშვილი და მისი მამა და მათ იწყეს მეცადინეობა გლეხთაგან პურის სყიდვის, ერთად შეკრების და მერე მთავრობის წინაშე წარდგენის. ამ დრომდე, სამწუხაროდ ქართველმა გლეხმა არც პურის ვაჭრობა იცოდა, არც ქერის, სიმინდის ფეტვის და ბრინჯის. ეს რომ ასე გახლდათ, ამას ისიც ცხადათ ამტკიცებს, რომ კოდს ორ აბაზათ პურს ჰყიდნენ და ზედ ნახევარ ფუთსაც მეტს აძლევდენ ფქვილს, ან ხორბალს. ზუბალაშვილები თავიანთ აღებმიცემით რამდენათაც მთავრობას უადვილებდნენ სურსათის მოპოვების საქმეს და ძალას, იმდენათვე ეხმარებოდნენ გლეხთა ვითარებასაც, საბრალო ქართ-

ველ ტეტია გლეხებში ადვილით შეჰქონდათ ვაჭრობის ცოდნა, პურის გაყიდვა, ფულის ცნობა და სხვანი. თორემ ხომ მოგეხსენებათ, ქართველი გლეხი უბედური იყო ბევრის საეშმაკოს ცოდნით და გაუწურთნავი იყო თვით ფულის ცნობი-

თაც.

პირველი მაგალითი იყო, რომ ქართლში გაიმართა პურის ვაჭრობა. მეტად ხამი იყო ეს გლეხთათვის. ამათ პირველად გამოდგეს ფეხი მის ასპარეზზედ და გასაყიდათ კარგად შეისწავლეს საწონ საწყავის ზომა, ფუტი, კოდი, ლიტრა, ჩანახი და ამგვარნი. მინამდეკი, ქართლში, გლეხთა შორის პური თითქმის უმოძრაოდ შთებოდა, ყველას თავის მოსავალი ჰქონდათ და მიტომ ვინ რაში მოინდომებდა რომ სადმე პური ეყიდნა. პურის სყიდვა და გასყიდვა საქართველოში ქართველთ მხოლოდ სიმშილის დროს იცოდნენ, ისიც ხშირად ერთმანეთს უფულოდ სესხივით ურიგებდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ეს დახმარება სამღვთო ვალათაც მიაჩნდათ. ასე და ამ გვარად, შუაგულს ქართლში, 1804 წლიდამ, პურის სავაჭრო ასპარეზზედ პირველად ქართველმა გლეხმა გამოდგა ფეხი. მან დაიწყო ამის ვაჭრობა და აღებ-მიცემა. ამ საჭირო გლეხთა თვალის გახილებასაც საკმარისი მხარი მისცეს ივანე და იაკობ ზუბალაშვილებმა, რომელნიც თითქმის წინ უძღვებოდნენ ქართველთ გლეხთა ვაჭრობის საქმეს და მათ უადვილესად თვალის გახილებასაც ასწავლიდნენ.

გლეხთა წარმატება აღებ მიცემის ასპარეზზედ მითაც მიდიოდა წინ და ფეხს იდგავდა, რადგანაც ზუბალაშვილებმა გორსა, თფილისს და სხვა ქალაქებსაც პურის მაღაზიებიც დახსნეს. ასეთი მაღაზიები ქართველებში პირველი მაგალითი იყო. ამ მაღაზიებში გლეხთაგან პურსაც ყიდულობდნენ და ჰყიდნენ კიდევაცა. ამ გარემოებამც დიდი ცვლილება მოახდინა ქართლის გლეხებში, თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ ასეთ მაღაზიების მსგავსი იყო ჩვენებური „ალაფების“ საქმე და აღებ მიცემა. ალაფები საქართველოში ძველადგანვე იყვნენ. ქალაქ ადგილებში ესენი ჰყიდდნენ პურს, ქერს, სი-

მინდს ფეტვს, ლობიოს, მარილს და მისთანებს. ხოლო მათ აღებ მიცემას იმოდენი ვაჭრობითი მხარე არ ჰქონდა, ფინანსიური მიდრეკილების არა ეცხო რა, უფრო ნივთის-ნივთზედ გამცვლელად იყვნენ, ანუ ამ გაცვლა-გამოცვლის შუა კაცად. იგინი ერთნაირ მარცვალს მეორეზედ სცვლიდნენ, ვისაც რა უჭირდათ, იმას აძლევდნენ, რასაკვირველია, მარცვლის მიმატებით, რაც შრომის და სარგებლის მაგიერ ითვლებოდა. ალაფები ამისთვის სოფლებშიაც მოგზაურობდნენ და ხშირად მარცვალს ნართზედაც სცვლიდნენ.

პურის აღებ მიცემის დროს, ზუბალაშვილები სხვა საქმეებშიაც აღმოჩნდნენ მცოდნე პირებათ. ესენივე ყიდულობდნენ სხვა და სხვა ჯიშის საქონელს, ტყავეულობას, ხილეულობას, ღვინის, არყის და ყველა ამაებს მთავრობაზედ ასაღებდნენ, როგორც პურის მხრით. ამათაც საკმარისი დახმარება და ძალა მისცეს ქართლის გლეხ-კაცობას. ერთის სიტყვით უნდა ითქვას, რომ ქართველთ მრეწველობის ასპარეზზედ პირველად ზუბალაშვილები აღმოჩნდნენ, რომელთაც

ხელში დაიკავებს მის ნათელი და ქართველ გლეხობასაც წინ გაუძღვნენ. უმთავრესად კი აღსანიშნავია შემდეგი გარემოება ზუბალაშვილების ცხოვრებიდამ.

მოგეხსენებათ, რომ ქართველები ღვინის და არყის კეთებას ძველადგანვე მისდევდნენ, ხოლო რაც შეეხება არყის ხდის წარმატებას, ეს კი მათ შეგნებული არ ჰქონდათ და არყის ხდას და ვაჭრობასაც ერთობ მძიმეთ მისდევდნენ, თითქმის მორიდებით. დიდი ძალი ჭაჭა უბრალოდ იკარგებოდა, მას არავინ რაში იყენებდა. ესეთი უსარგებლობა ჭაჭისა ნამეტურ იმერეთში იყო გლეხთა შორის გავრცელებული, სადაც გლეხთათვის ჭაჭა თითქმის უმნიშვნელო და უსარგებლო იყო. მაშინ ჩხავრის ყურძენი მრავლად მოდიოდა, ღვინო ბევრი იყო, ობი, ფილოქსერა და სხვა სულ არ იყო. ჭაჭა იმდენი იყო, რომ მას ვინ რაში გამოიყენებდა, შინაურ არყისთვისაც ჰყოფნიდათ და გადასაყრელათაც ბევრი რჩებოდათ, რაისა გამო იგი მინდვრებზედ იყრებოდა, რასაც მხოლოდ ღორებიღა

სჭამდნენ. ასე იყო საქმე მომართული და რაც კი ხანი გადიოდა, მით საქართველოში არყის საჭიროება კი ფეხს იდგამდა, ჯარის კაცთათვის არაყი რუსეთიდამ შემოჰქონდათ. ამ გარემოებას ბევრმა მხნე ქართველმა მიაქცია ყურადღება და ერთ უპირველეს გვამათ ირიცხება იაკობ ზუბალაშვილი და მისი სახლი კაცები, რომელთა ყურადღების მიქცევა მალე საქმეთაც განახორციელეს და საქართველოში გახსნეს არყის გამოსახდელი ქარხანა, სადაც იწყეს მრავლად არყის გამოხდა. – უნდა ითქვას, რომ საქართველოში ქართველთ შორის ეს ქარხანა პირველი მაგალითი იყო და მის დამფუძნებელთ ამხანაგებთ შორის უპირველესი ადგილი ანუ მეთაურობა იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილს ეკუთვნის.

არყის ქარხნის გახსნის ისტორიიდამ კარგად სჩანს, რომ მის გამხსნელთ კარგად ჰქონიათ შეგნებული ის გარემოება, რომ საქართველოში არყის საქმე და ჭაჭის ხდის მნიშვნელობა ისე არსად ყოფილა დავარდნილი, როგორც იმერეთში. ამიტომ მათ უპირველეს საჭიროებათ დაინახეს იმერეთში გახსნა. მალე მთავრობას თხოვნა მისცეს, ნებართვა აიღეს და პირველად გახსნეს შესამჩნევი დიდი არყის ქარხანა. ეს მოხერხება იმერეთის გლეხთათვის შესანიშნავ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. იმერთ გლეხთ რა ნახეს არყის ქარხანა, მასთან არყის კეთებაც, ცოტა არ იყოს, უცბად გაახილეს თვალები. მათ მალე შეიგნეს, რომ ჭაჭა ძვირფასი რამ არის, ჭაჭას არყის ქარხანაში ყიდულობდნენ და სხვა. მალე იწყეს გლეხებმა არყის ქარხანაში ჭაჭის ზიდვა და გასყიდვა. მოკლე დროის განმავლობაში ისე მოეწყო საქმე და ისე მოხერხდა, რომ მთელს იმერეთში სწრაფად მოიფინა ხმა და ცნობა ჭაჭის მნიშვნელობის, გასყიდვის, არყის გამოხდის ოსტატობის. არყის გამოსახდელათ მრავალნი მოზარდნი დიდის ხალისით მივლტოდნენ ქარხანაში მუშათ თუ შეგირდათ, რათა იქ

დაეყოთ ხანი და მით არყის ხელოვნური ხელოსნობა,
ან გამოხდაც-კი ესწავლათ. აქ დასადგომ ფასს შაგირდები
და მუშები ყურადღებას არ აქცევდნენ, ოღონდ საქმე გაეც-

ნოთ, შაესწავლათ და დანარჩენი მათთვის უმნიშვნელო იყო.

ამ არყის ქარხნის გახსნის შესახებ ძველ მოხუცებულებში ბევრნაირი ცნობებია დაშთენილი. ხოლო ჟამთა ვითარების მეოხებით მისი ცნობები ჩვენ ძველებისაგან არ იქმნა ანუ სრულ და გაცნობილი. ამის მნიშვნელობა მათ არ იცოდნენ და არც შეიძლებოდა სცოდნოდათ, რადგანაც იგი მათთვის კი არა და თვით ჩვენთვისაც კი ახლად ითვლება. ამ არყის ქარხნის გახსნა და მის ისტორიას ჩვენი მრეწველობის ისტორიის ასპარეზზედ პირველი ადგილი დაეთმობა. პირველი ადგილი მიეცემა ბევნაირის მხრით, ვაჭრობის ცოდნის ვრცელების, შრომის და ნაყოფის მრავლად გამოყვანის. წელიწადში ამ არყის ქარხანას 8000 ვედრო არაყი გამოჰყვანდა. ყველა ეს არაყი იქვე სუფთავდებოდა და ისე ეძლეოდათ აქეთ იქით გასაყიდათ. 8000 ვედრა არაყი 1838 წლების კვალად ჩვენ დიდ საქმეთ მიგვაჩნია. ამ რიცხვმა სამხედრო და სამოქალაქო მოთხოვნილებას დიდი დაკმაყოფილება მიცა. ამ გარემოებამ იმერთ შორის არამც თუ მარტოდ არყის ხდა და გაყიდვა განავრცო, სადაც საჭირო იყო, იქ იმერთ შორის მის მოთხოვნილებაც დაიწყეს, ე. ი. სმა. სმა რასაკვირველია უჯეროდ კი არა, არამედ ჯერით და საჭიროებით. ამ გარემოებამ იმერთ შორის საქმე ისე მოაწყო, რომ არყის ხდა თითქმის ყველა ოჯახში დაიწყეს, ყველა სახლში, გამონახადი ტიკებით აქეთ იქით გადაჰქონდათ და სხვა და სხვა ვაჭრებზედ ჰყიდდნენ. ცოტა არ იყოს ამ გარემოებამ ახლად გახსნილს ფართო ქარხანაზედ ერთობ ცუდი შედეგი იქონია. საქმე ისე მოიმართა, რომ იგი მალე დაიხურა კიდეც. იგი დაიხურა, მის მუშაკნი აქეთ იქით წავიდნენ, მაგრამ მით არავის რა დაჰკლებია, არყის მხდელნი გამრავლდნენ და ქართლ-კახეთის მსგავსად იმერეთსაც მოჰყვა სირაჯის დუქნებში ღვინოსთან ერთად არყის ყიდვაც. თუ რამდენათ აიწია ეს საქმე, თუ როგორ მოიმართა არყის აღებ-მიცემობა და როგორ მოეწყო მას ქართველი ერი, ეს კარგად სჩანს აწინდელის მდგომარეობიდამაც, რომ ქართველმა ერმა უკვე თვალი გაახილა

და ერთობ მალე უმრავლესი ნაწილი მრეწველობის და ვაჭრობის ასპარეზზედაც გამოვიდა.

იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი და მის თანამედროვეთ მოქმედება საყურადღებოა იმ გარემოებითაც რომ ამათ მბაძავთ შორის აღმოსჩნდნენ თვით მოწინავე პირებშიაც, შეძლებულთ ვაჭრობაშიაც. იაკობ ზუბალაშვილის მეოხებით XIX საუკუნის პირველ წლების შემდეგ საქართველოში და ნამე-

ტურ იმერეთს არყის ქარხნის მკეთებელთა რიცხვიც გამრავლდა. მაშინ ფოთი, ორპირი და ზოგი ერთი ასეთი ადგილები ვაჭრობის ასპარეზად ითვლებოდნენ. ორპირში კოსტანტინეპოლიდამ სხვა და სხვა საქონელს გარდა შემოჰქონდათ არაყი, მასტიკა და სხვა ასეთი სასმელებიც. ასე რომ მცირე დროის განმავლობის მეოხებით, ორპირსა და სხვაგან ევროპიელთ მრეწველთ და ვაჭართ სასმელებიც გაბრწყინდა. საქართველოში ევროპიდამ თუმც მრავლად იწყეს სხვა და სხვა სასმელების შემოტანა, მაგრამ ასე მრავლად შემოტანილი სასმელებიც საქართველოს ერს მაინც არა ჰყოფნიდა. ამიტომ 1845 წლებს, ორპირში, არყის ქარხანა გახსნა ორმა რუსმა. ამ ქარხნის საქმე დიდხანს ვერ გაგრძელდა, იგი მალე მოისპო. მიზეზი მოსპობისა ჩვენ არ ვიცით. ამის შემდეგ 1850 წ. სამტრედიაში გახსნა კარგი არყის ქარხანა ერთმა რუსის გენერალმა, მაგრამ საქმე ვერც ამას წაუვიდა კარგად. ამავე დროს იმერეთშივე რამდენიმე ალაგას ბერძნებმაც დახსნეს პატარა არყის ქარხნები. ნამეტურ შავი ზღვის პირა მდებარე ქალაქებში ადრიდგანვე ჰქონდათ ამათ არყის საქმე დაწყობილი, ხოლო ვერც მათ მისდიოდათ საქმეები უკეთ. მათ ქარხნებს არ ჰქონდათ საზოგადო ხასიათი, იგინი უფრო შინაურად არსებობდნენ. მათი არსებობის ისტორია ჩვენთვის თითქოს უმნიშვნელოა. საჭირო-კია რომ ყოველი ამ გვარი მხარე ჩვენის ქვეყნისა აინუსხოს. ასე, ამ გვარად 1840 წლებში სამტრედიასა და ორპირაში ორი დიდი არყის ქარხანა არსებობდა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების და დიდი გარდასახადის გამო ორივ ქარხნები 1850 წლების შემდეგ აღარ არსებობდენ, და-

იხურნენ. ამ ქარხნების შემდეგ, იმერეთში ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზედ გაჩნდა ბ. გიორგი ქაიხოსრო ძე ბოლქვაძე. ამ ენერგიულმა კაცმა მოჰკიდა არყის წარმოების საქმეს ხელი და 1865 წ. ქუთაისში გახსნა კარგი არყის ქარხანა. ამიტომ აქ მოკლედ უნდა მოვიხსენოთ ამის ვინაობაც.

გიორგი ბოლქვაძეს არყის ხდა, წმენდა და გასუფთავება და შეზავება კონსტანტინეპოლს უსწავლია, ბერძნებთან. ბერძნებში იგი ისე დაწინაურებულა, ისე დახელოვნებულა, რომ საქართველოში მოსვლის დროს, მას თავისუფლათ შესძლებია არყის ქარხნის გახსნა. საქმისთვის ხელი მიუყვია და მოკლე დროის განმავლობაში მან გახსნა კარგი დიდი არყის ქარხანა, ანუ არყის გასასუფთავებელი, სადაც გლეხთაგან არაყსაც ყიდულობდნენ და ასხვაფერებდნენ ოსტატურად, ასეთი საქმის დაწყება ქართველის კაცისაგან იმ დროს ჩვენ ერთობ სანაქებო საქმეთ მიგვაჩნია. საჭიროა მის მოღვაწეობის ცნობა მოკლეთ მაინც აინუსხოს. ამ მხნე და ენერგიული კაცის ნაშრომ ნაღვაწმა თავის დროს ერთი ათად იჩინა და იბარტყა, მომავალი ბრწყინვალე დაუდგა და მის ხსენება და სასმეულობაც საქართველოს ყოველ კუთხეს მოედო და მოიფინა. უკანასკნელ საქმე ისე მოეწყო, რომ გიორგი ბოლქვაძე თავის

შრომით და კარგის სასმელებით ცნობილ იქმნა თვით მთავ-
რობისაგანაც, უცხო სახელმწიფო მცოდნე პირთაგანაც და
მასთანავე პატივცემული. ამ ენერგიულს პირს სხვა და სხვა
სახელმწიფოებიდგან მიღებული აქვს დიდი ძალი ნიშნები:
ჩიკაგოდამ, ნიუიორკიდამ, ლონდონიდამ, პარიზიდამ, იტა-
ლიიდამ, ტუნისიდამ, ნიცადამ, ბერლინიდამ და სხვანი. სულ
ნიშნების რიცხვი 100 მეტია. მე, ასეთ ქალაქებიდამ ნიშნების
მიღება ქართველისთვის საქებ საქმეთ მიმაჩნია. უნდა აინიშ-
ნოს, რომ იმერეთის კვალად, ქართლში ამ ასპარეზზედ აღ-
მოსჩნდნენ ფორაქაშვილები. ფორაქაშვილებს მოსდევენ მირ-
ზაშვილები და ბოლოს დროს სარაჯისშვილი, რომლის აღებ
მიცემა და წარმოებაც ჩვენს ცხოვრების ასპარეზზედ საკმა-
რისად მნიშვნელოვანს მხარეს წარმოადგენს. აი ასეთი შედე-

გი მოჰყვა იმ სამრეწველო ნიადაგის განმტკიცებას, რომლის
მეთაურათაც იაკობ ივანეს-ძე ზუბალაშვილი ითვლება. XIX
საუკუნის შემდეგ იაკობ ივანეს-ძე ზუბალაშვილი მარტოდ
არყის სახდელ წარმატებაზედ არ გაჩერებულა. არყის ქარხნის
დახურვის შემდეგ მისის საშუალებით გაიხსნა თფილისში პი-
რველი შაქრის ქარხანა, სადაც შაქრის კეთება იწყეს. ეს სა-
ქართველოში პირველი მაგალითია და ამიტომ იაკობ ივანეს
ძის ზუბალაშვილის ამ შრომასაც ცალკე უძღვნით წერილს.

**მრეწველობის წარმომადგენნი იაკობ ივანეს ზუბალაშვილი
და ქართული შაქრის ქარხნის დაარსების ისტორია.**

ქართველთ წარჩინებულ ლექსიკოგრაფების თქმით, სიტ-
ყვა „შაქარი“ ქართული არ არის. ამას ასევე ხსნის საბა ორ-
ბელიანი. *) მისის თქმით შაქარი ინდოური სიტყვა არის და იგი
ქართულად ნიშნავს „შეყინებულ თაფლს“. ამას ასე მოიხსენებს:
„შაქარი ინდოურის ენით – თაფლი შეყინებულია“.

ქართველები შაქარს ძველის დროიდგან მოიხსენებენ.
სჩანს, ეს სიტყვა ინდოეთიდგან ძველადგანვე შემოსულა და
გავრცელებულა. ცხადია, რომ ასეთის სიტყვების საშუალებით
აშკარად გამოსჩნდება ის გარემოებაც, რომ ინდოელებს ქარ-
თველებზედ ძველადგანვე ჰქონიათ გავლენა. ეს რომ ასე იქ-
მნებოდა, ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ქართველებს მართლაც
და დიდი დაახლოვება გვქონდა აღმოსავლეთის მუსულმანის
თუ სხვა სარწმუნოების მექონ ერთან, და ჭეშმარიტებით
ვიცით, რომ ქრისტეს სარწმუნოებაზედ ბევრად უწინარეს
ქართველებს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ სპარსელებთან,
ინდოელეთან, ავღანელებთან და აბაშელებთან. ამ გარემოებას
უძველეს დროდამ ცხადათ ასაბუთებს ვახტანგ გორგასლანის
საქმე, რომელმაც მთელს აზიაში გაილაშქრა, თვით ინდო-
სტანს და აბაშეთშიაც იყო და იქიდამ მან საქართველოში

*) ლექსიკონი, საბა სულხან ორბელიანისა.

პირველად შემოიტანა აბრეშუმის თესლი, მკურნალობა და სხვაც მრავალნი ამ გვარნი. *)

ქართველების ხსენებულ ხალხთან დაახლოვება მეტად ძველია. ქართველთ მათი გეოგრაფიული მდგომარეობა კარგად ჰქონდათ შესწავლილი, ამიტომ ხშირად ომიც კი ჰქონდათ ხოლმე მათთან. ამას ასაბუთებს თვით XVIII საუკუნის ქართველთ მგოსანი დავით გურამიშვილი ასე:

„სამხრეთით ატყდა ოსმალო,
აღმოსავლეთით ავღანი!“

ქართველთ ხსენებულ ერთან ბრძოლა ყოველთვის ჰქონიათ. თვით ხივაშიაც კი იყვნენ ძველად მეომარ ქართველნი და თვით ამათგანვეა დაფუძნებულა ახალი **ახალი – თექა**. ამას გარეშე, ინდოეთს, მისირს, არაბეთს, სპარსეთს და ჩინეთს თითქმის ყველა ძველს ქართულს ნათარგმნს, თუ ორგინალურს ნაწერებშიაც მოიხსენებენ. ისე ძველს რამე ნაწერს ვერ ნახავთ, რომ იქ ხსენებულ ერთა შესახებ რამე ცნობები არ იყოს მოხსენებული. ასევეა მოხსენებული შაქარი რუსთველის, შავთელის და ჩახრუხაძის ნაწერებში. ვინ იცის რამდენ კიდევ სხვა ძველს წიგნებშია, ყველგან შაქარი მოიხსენება ქება-დიდებით. აქედამაც კარგად სჩანს, რომ ქართველებს შაქრის ხმარება და მისი ვითარება ძველადგანვე უნდა სცოდნიყოთ, თითქმის იმ დროდამ, როცა შაქარი იქმნა პირველად შემოღებული. სიტყვა შაქარი გავრცელებული იყო მთელს ქართველობაში განურჩევლად წოდების, წრის და გვარიშვილობის. შაქრის ხმარება იცოდა როგორც მეფემ, თავადმა, აზნაურმა და მათმა ჯალაბობამ, ისევე გლეხმა და მისმა სახლობამაც.

ევროპაში შაქრის ხსენება იქმნება ახალი საქმე იყოს. ვინ იცის, ამაზედ ჩვენ კამათს არ დავიწყებთ. ჩვენში-კი იგი უხსოვარის დროდგან სჩანს და ამ უხსოვრობას ცხადათ ასაბუთებენ თვით ქართველთ ძველი „კარაბადინებიც“. მაგალითებრ, X და XI საუკუნოებში შაქარი მოხსენებულია ჯანაოს ექიმს „კარაბადიმში“, რომელი „კარაბადიმიც“ ქართულს

*) ქართლის ცხოვრება, I ტომი, თფ.

ენაზედ თარგმნილია IX საუკუნის დასასრულს, ანუ X საუკუნის დამდეგს. მოხსენებულია აგრეთვე შარიე ზადეს „კარაბადიმში“, რომელიც სპარსულის ენიდამ არის ნათარგმნი და რომელ წიგნსაც სპარსულს ენაზედ „მუნთა ნაფიშია“ ეწოდება. არის კიდევ ერთი „კარაბადიმი“, მაგალითებრ, ვიღაც ხოჯა ყოფილის, რომელსაც ეს „კარაბადიმი“ სპარსულის ენიდამ ქართულს ენაზედ XII საუკუნეში უთარგმნია, ანუ თამარ მეფის დროს. ამ „კარაბადიმის“ ისტორია ასეთია: როცა ნუქარდინ სულთანი თამარ მეფის ლაშქარმა გააქცია, მაშინ

თათრის ტყვეებთან ეს „კარაბადიმიც“ უშოვნიათ. შემდგომ ამისა, თამარ მეფის თხოვნით ვინმე ხოჯა ყოფილს სპარსულის ენიდამ ქართულს ენაზედ უთარგმნია. თვით მთარგმნელის მოხსენებაც მოწმობს ამას ასე, რომ მე ხოჯა ყოფილს მებრძანა ქართულს ენაზედ ამ კარაბადინისა თარგმნაო.

როგორც ერთს „კარაბადიმში“, ისე მეორეში, მესამეში და სხვებშიაც შაქარი იმ სახით არის მოხსენებული, რომ მის ავ-კარგიანობა, მარგებლობა თუ ურგებლობა ქართველებს საკმარისად კარგად უნდა სცოდნოდათ. არის ისეთი ცნობანიც, რაის საშუალებითაც ჩვენ ვტყობულობთ, რომ ქართველებს ძველადგანვე თვით შაქრის შემზადების ოსტატობაც უნდა სცოდნოდათ. ამ გარემოებას ცხადათ აჭეშმარიტებს ისიც, რომ საქართველოში ქართველნი შაქარს არა მარტო წამლებში ხმარობდნენ მკურნალობის მხრით, არამედ შაქარი იხმარებოდა საჭმელებშიაც და თვით ს. ორბელიანის ლექსიკონის სიტყვით, ქართველნი ძველად შაქრის პურებსაც-კი აცხობდნენ, ანუ დღეინდელის სიტყვით რომ ვსთქვათ შაქრის პურებს, კრენდილებს, პიროჟნს და სხვანი. ასეთ პურების მცხობლად, ანუ კანდიტრებად, საქართველოში, ქართველ მეფეების დროს, ყოველთვის ყოფილან ამის ხელოს ნები და მათ სავაჭრო დუქნები და შაქრის პურების საცხობიც-კი ჰქონიათ. ასეთ ოსტატთა რიცხვი ყოველთვის ყოფილა და იგინი თავიანთ ხელობისთვის მუდამ შოულობდნენ შაქარს. არის ცნობები დაშთენილი, რომ ესეთი ოსტატები

ხელობას ყოველთვის სპარსეთის ქალაქებში სწავლობდნენ, ანუ ოსმალეთისკენ. ქართველთ გარდა, ტფილისში შაქრის პურის მკეთებელთ შორის, ქართველთ გარდა სპარსნიც მოიპოვებოდნენ. ასეთ სპარსელთ კანდიტრები, ანუ შაქრის პურის მკეთებელნი სპარსნი დღესაც სცხოვრებენ ტფილისში.

XVIII საუკუნის ნახევარს, რაც საქართველოში ქართველთ შორის, კათოლიკის სარწმუნოებამ გავრცელება იწყო, მას შემდეგ, უნდა ითქვას, რომ აზიურის ანუ ქართულის შაქრის პურის მცხობთა რიცხვს ევროპის მცხობთა რიცხვიც მიემატა. ამ დამატების გარემოებას დიდათ ხელს უწყობდა კათოლიკეთ მღვდელთა, ანუ პატრების სიმრავლე. უპირველესად თვით პატრები ასწავლიდნენ თავიანთ კათოლიკე მრევლთა შვილებს ევროპიული ბულკების და შაქრის კრენდილების ცხობას. ნელ-ნელა პატრების საშუალებით, ტფილისის ქართველ კათოლიკე შვილებთაგან ბულკის მცხობნიც გაჩნდნენ. ასე რომ ევროპის მებულკეთა მსგავსად ქართველთაგან თბილისში მეთვრამეტე საუკუნეში უკვე გაჩენილ იყვნენ და მათ სიმრავლეს ნელ-ნელა წარმატებაც ეტყობოდა. ქართულ თუ ევროპულ შაქრის მეპურეთა მეოხებით თბილისში უფრო გავრცელდა შაქრის ხმარება. ქართულის სამეფოს დავთრებიდგან კარგად სჩანს, რომ XVIII საუკუნის გასვლამ-

დე, თბილისში რამდენიმე შაქრის პურის მყიდავ მცხობთ დუქნებიც ყოფილა და ზოგი მეპურენი სამეფო სახლისთვისაც-კი აცხობდნენ შაქრის ბლითებს, ქადებს, ნაზუქებს და სხვა ამ გვარებს.

ასე თუ ისე, დიდათ თუ მცირედ, საშუალ საუკუნოების შემდეგ, საქართველოში, შაქრის ხმარება საკმარისად გავრცელდა და თბილისში თითქმის ყოველს მეწვრიმლებს იგი შემოჰქონდათ სპარსეთიდგან, ახალციხიდამ და რუსეთიდამაც. სპარსეთიდგან ხშირათ სხვა-და-სხვა სოვდაგრებსაც მოჰქონდათ და ჰყიდდნენ. შაქრის საჭიროებაც ქართველთ შორის ყავის ხმარებაც ამრავლებდა. საქართველოში ქართველებმა ყავის ხმარება ძველადგანვე იცოდნენ. ყავას

ხმარობდნენ ქართველები განურჩევლად წოდების. ყავის ხარშვა უშაქროთაც იცოდნენ და შაქრითაც. თბილისში ყავახანებიც იყო. ყავახანებს გარდა სხვა-და-სხვა დუქნებშიაც ხარშავდნენ, სადაც რასაკვირველია შაქარიც იხმარებოდა. ყავის ხმარება ქართველებში XVII საუკუნიდამ უფრო გავრცელდა და ამის გავრცელებამ შაქარსაც მისცა დიდი საჭიროება და ბაზარი.

ამ გარემოებას კვალად დაეხმარა XVIII საუკუნის ნახევარს ქართველთ შორის ჩაის ხმარების შემოტანამ და გავრცელებამაც. ბევრნი ამბობენ, რომ ვითომც ქართველებმა ჩაის სმა არ იცოდნენო. საქართველოში ჩაის ხმარება რუსეთთან დაკავშირების შემდეგ შემოვიდაო, ეს არ არის მართალი. საქართველოში ჩაის ხმარება მანამდისაც იცოდნენ. ამას ცხადათ ამტკიცებენ სხვა და სხვა ძველი ცნობები და ქართველთ მეფეთ და თავადთ ქალების მზითვის წერილებიც, სადაც მზითვის სიაში მოხსენებულია ყავადანი, ჩაიდანი და სხვა მისი ჭურჭელი. გარდა ამისა ჩვენ ისიც ვიცით, რომ 1780 წლებში, მეფე ერეკლეს რამდენიმე სამოვარი და მისი ჭურჭელი რუსეთიდამ ეკატირინა იმპერატრიცამ გამოუგზანა. მეფის სახლში სამოვრის დადგამა გახდა სამაგალითოდ და მის შემდეგ იგი სხვა დიდებულებშიც მოიფინა. ასე და ამ გვარად, ჩაი და მისი ხმარება ქართველთ ადრიდგანვე იცოდნენ, ხოლო XIX საუკუნის შემდეგიდამ კი, იგი წარმატებით გავრცელებას მიეცა და 1820 წლებში თბილისში ოთხსავ კუთხივ მოიფინა ჩაის ხმარება და სმა. თბილისში ამისთვის დაიხნა საჩაიე დუქნები, სადაც ჩაის ჰილით და მიხაკ-დარიჩინით ამზადებდნენ, მას ყველგან კარგი გასავალიც ჰქონდა.

პირველ ხანებში მეჩაიებად ყაზანის თათრები იყვნენ და რუსები, ამათ გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოში, 1820 წლებში, გაჩნდნენ მეეტლენი, ანუ მედროშკენი, რომელნიც ამ საჩაიებში დაიარებოდნენ და ჩაის სვამდნენ. უნდა ითქვას, რომ მაშინდელ მეეტლეთა ნაწილიც სულ ყაზანის თათრებთაგან შესდგებოდა. მერე, ნელ-ნელა

---

*) საქართველოს სიძველენი ექ. თაყაიშვილისა.

მეჩაიეთ რუსის მალაკნებიც ჩნდებოდნენ. ყველა ამაებმა საქართველოში შაქრის მრავლად შემოტანა დიდ საჭიროდ გახადეს. შაქარი ყველა კუთხეს და ოჯახში იყო საჭირო და ნამეტურ თავადიშვილებს და მოქალაქეებში. შაქრის შემოტანა კი მაშინ ისე სჭირდა და ისე ძნელი იყო, რომ მაშინ თფილისში შაქარი გირვანქა 60 კაპ. იყიდებოდა. ამ გარემოებამ მაშინ ბევრი ქართველი ვაჭარი და მრეწველი დააფიქრა, ბევრს მრეწველს აღეძრა შაქრის ქარხნის დაარსების ნატვრა, საქართველოში შაქრის კეთება. ამ ნატვრას ხელს უწყობდა ისიც, რომ ქართველთ მურაბების კეთება შაქრით იწყეს, ძველად კი ყველა მურაბებს თაფლით აკეთებდნენ და უკანას კნელ კი ეს დასტოვეს და შაქრით დაიწყეს იკეთება. დღეს ხომ მთელს საქართველოში შაქრით აკეთებენ ყველა ნაირ მურაბებს.

ერთი ასეთ პირთაგანი არის იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, პაპა აწინდელის ჩვენის მამულის შვილის და მეცენატის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილისა. იაკობმა შაქრის ვითარება და ქართველთ შორის საჭიროება ადრიდგანვე იცოდა. ამიტომ იგი ყოველთვის ნატრობდა თფილისში შაქრის ქარხანა გახსნილიყო და შაქარიც ეკეთებინათ. ეს გარემოება და ნატვრა თითქმის მალამოსაებრ მოევლინა იმ გარემოებას, რომ საქართველოში შაქრის ქარხანა გახსნილიყო, შაქარს სწოდებოდა ქართული შაქარი. ამ აზრის განსახორციელებლად იაკობ ივანეს ძემ თფილისის მოქალაქეებში აქაიქ საუბარი დაიწყო, ბევრს ასმინა შაქრის მნიშვნელობა, მასთან მისი საჭიროებაც, რადგანაც რაც მშვიდობიანი დრო მიდიოდა, მით ქართველთ შორის, ჩაისა, ყავის და შაქრიან პურებს გარდა შაქარი დიდად საჭირო ხდებოდა. თვით ქორწილებშიაც, ძველად, ქართველთ და სომეხთ ჰალავის კურთხევა შაქრით იცოდნენ, ხოლო შაქარი კი მცირე ჰქონდათ, თითო ნაჭერი. ასევე მიცვალებულის წლის წირვაზედაც ჰქონდათ წესად მიღებული შაქრის ხმარება. უკანასკნელ დროს, შაქარი უმეტესად სპარსეთიდგან შემოქონდათ. შაქარი ზოგი

სპარსული იყოს, ზოგნი ინდოური და ინგლისური, მაგრამ ქართველთ არა ჰყოფნიდათ. ამ გარემოებამ უფრო წაახალისა როგორც იაკობ ზუბალაშვილი, ისევე მისი ამხანაგები და თანამგრძნობელნი. მათ მალე დაიწყეს თათბირი შაქრის ქარხნის გაკეთების შესახებ. ნატვრას მალე მიეცა განხორციელება. იაკობ ზუბალაშვილის მეთაურობით მალე მიერთვა თხოვნა იმ დროის საქართველოს მთავარ-მართებულს. მთავარმართებელმა სანაქებოთ მიიღო ეს თხოვნა, ისურვა მეთაურთა გაცნობა და უკანასკნელ ვინც კი აღმოჩნდა მის მომსაზრებლათ და დამაარსებლად, მას ჯეროვანი პატივიც აგო და ხარის-

ხითაც წინ წასწია. იაკობ ივანეს ძე ცნობილ იქმნა როგორც ენერგიით აღვსილი მრეწველი, სხვა და სხვა სამრეწველოთა საქმის საკმარისად მცნობი.

შაქრის ქარხნის ამბავი საქართველოშიაც მალე მოიფინა. ერთი თვის განმავლობაში მთელმა თფილისის მცხოვრებთ შეიტყეს, რომ თფილისში შაქრის ქარხანა იხსნებაო. ძლივს გვეღირსება ნატვრის შესრულება, რადგანაც საქართველოში შაქრის ქარხნის გახსნის საჭიროება თითქმის 1770 წლიდამ ისმოდა. როგორც ზემოთაც ვსთქვით, პირველად შაქრის ქარ-ხნის გახსნის ნატვრა ქართველთ შორის მაშინ დაიბადა, რო-ცა მეფე ერეკლემ ინდოეთის ქალაქ მადრასეში მდიდარ სომეხს იაკობ შახრიმიანს თფილისიდამ კაცი გაუგზავნა და ინგლისის მთავრობასთან საქართველოს შველის, ანუ დახმარებას ავალე-ბდა. მეფის თხოვნა ინგლისის მთავრობამ შეიწყნარა და თვით მდიდარი შახრიმიანიც საქართველოში მოდიოდა და თან 10,000 ინდოელებიც მოჰყვანდა, რომელთაც საქართველოში შაქრის ლერწამი უნდა მოეყვანათ, მერე შაქრის ქარხანაც გაეხსნათ. ამ ქარხანას გარდა სხვა და სხვა ნივთების ქარხნებიც უნდა დაემართათ. მაგრამ ეს ნატვრა ვერ შესრულდა, თუმცა 28 წლის განმავლობაში ინგლისის მთავრობასთან მეფე ერე-კლეს მიწერ-მოწერაც ჰქონდა გამართული.*) უკანასკნელად დესპანად საქართველოდამ ინდოეთში გაგზავნილ იყო ქარ-

*) საქართველოს შესახებ, თფ. 1900 წ.

თველი კათოლიკე, რაფიელ დაინბეგოვი, რომელიც ინდოე-თიდამ საქართველოში 1799 დაბრუნდა, ე. ი. იმ დროს, როცა მეფე ერეკლე მიცვლილ იყო უკვე. ამ გარემოებამ და-უდო საზღვარი განზრახვას და ყოველივე შრომა დაშთა ამა-ოდ. აღნიშნულ დროის ნატვრის ერთ მუხლს, ანუ სახელ-დობრ შაქრის ქარხნის გახსნის საქმეს განხორციელება მიეცა მხოლოდ 1830 წლებში, რომლის მეთაურთაც, როგორც ვსთქვით, იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი ითვლება.

ამბობდნენ ძველად მოხუცებულნი, რომ ქართველთ მე-ფეების დროს, საქართველოში ყინვარ შაქარსაც აკეთებდნე-ნო. ყინვარ შაქარი ქართველთ შორის დიდს მოთხოვნილებაში იყოვო, მას წამლათაც ხმარობდენო, ნამეტურ ხველისთვის და წეს გარემოებაც იწვევდა ყინვარი შაქრის მრავლად კეთებასაო.

როგორათაც იაკობ ზუბალაშვილი უპირველეს მეთაუ-რად სჩანს არყის ქარხნის დაარსების ასპარეზზედ. ესევე სჩანს პურის მაღაზიის გახსნის, სხვა და სხვა სანოვაგეთა, ნივთებ-თა და საქონლის შემოტანის და მათთან კვალად შაქრის ქარ-ხნის გახსნის ასპარეზზედაც, რაც ქართველთ წინაშე საკმა-რის მნიშვნელობათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენს დროში, შეიძ-ლება ქართველის კაცისაგან შაქრის ქარხნის გახსნის საქმე დიდი არაფერი იყოს, მაგრამ 1830 წლების კვალად კი, იგი ჩვენის ქართველის კაცისაგან და ისიც საქართველოში გაკე-

თებული კი დიდ საქმედ მიგვაჩნია და მას ჩვენის მრეწველობის აღორძინების ისტორიაში საკმარისი ადგილიც დაეთმობა, მას მკლევარი გამოუჩნდება. მიზეზი ამისი ცხადია, რადგანაც ეს შაქარი საქართველოში, ქართველთაგან „ქართულ შაქრათ" იქმნა წოდებული.

ქართული შაქრის ქარხანა გაიხსნა 1835 წ. ვერაზედ, დღეს რომ სამხედრო სამართველოა, სწორეთ იმ ალაგას; შენობა გააკეთეს ფართო და რუსული შაქრის ქარხნების გეგმაზედ. შაქარი კეთდებოდა იმოდენა, რომ იგი მთელს საქართველოს ერს საკმარისად ჰყოფნიდა და მის გარეშე სხვა ქვეყანაშიაც გაჰქონდათ. წელიწადში გამოდიოდა 55 ათასი ფუთი, თავია-

ნი შაქრების, თითო თავი მიდიოდა 5-6-7 გირვანქა. იყიდებოდა 15 – ხან 20 კაპ. შაქრის თავები შეხვეული იყო ადგილობრივ გაკეთებულს ლურჯს სქელს ქაღალდში. შაქარს ფერი ჰქონდა მოვყითალო, იყო მეტად ტკბილი და მასთან საკმარისად დუნეც. დღევანდელ ინგლისურს შაქარს ძრიელ წააგავდა როგორც ფერით, ისევე ზომით და სიტკბო-სიდუნითაც.

ამ შაქარს კაცი ყველა მეწვრიმლის დუქანში ნახავდა, ყველა სავაჭროში. არ მოიძებნებოდა ქალაქში ისეთი სავაჭრო, რომ იქ ქართული შაქარი არ ჰქონოდათ გასაყიდათ. მუშტარი საცა კი მივიდოდა და იკითხავდა ამ შაქარს, უსათუოთ უნდა ეთქვა, „ქართული შაქარიო". უამისოდ არ შეიძლებოდა, რადგანაც ეს შაქარი ქართველთ გარდა სხვა ტომის წინაშეც ისევე იყო მიღებული და ყველა „ქართულ შაქარს" უწოდებდა. ქართულ შაქართან ერთათ რუსეთის და ინგლისის შაქარსაც ჰქონდა გასავალი. ქართული შაქრის სიუხვე საქართველოში, ქართველთ შორის, საერთოდ დაბადა თავი შაქრების ხმარება, ჰალავი მოირთო წყვილის თავის შაქრით და ასევე სხვა ტაბლიცებიც. ქართულმა შაქარმა ძრიელ გააადვილა ქართველებში ჩაის სმა. მოკლეს დროის განმავლობაში, არ დარჩა სადმე კუთხე, რომ იქ ქართულ შაქარს არ მიეღწია. ქართულ შაქრის სახელწოდების გავრცელებას დიდათ ხელს უწყობდა იაკობ ზუბალაშვილის მოქმედება და ლტოლვა. ამის ამხანაგები კი ისეთი ყალიბის იყვნენ, რომელნიც ქართულ შაქრის სახელწოდებას ადვილათ ვერ აიტანდნენ, მაგრამ იგინი ვერას აწყობდნენ და იაკობ ზუბალაშვილის სამართლიერის განსჭვრეტად ყველგან ქართული შაქრის ხსენება ვრცელდებოდა და ფეხს იდგავდა.

შაქრის ქარხნის ოსტატები რუსეთიდგან მოუყვანიათ. ზოგნი მათში უცხონიც ყოფილან, დანარჩენი მუშები-კი მთლათ ადგილობრივ, ანუ თბილისის მცხოვრებთაგანნი ყოფილან. ქარხანაში მუშაობდა 100 კაცზედ მეტი პირველ წელიწადს. შემდეგ შაქრის გამოყვანა ერთი ორად გამრავლ-

და, რადგანაც საქართველოში მებულკე და კონდიტრებიც გამრავლდნენ და მათთვის შაქარიც დიდს საჭიროებას შეადგენდა. რაც ხანი გადიოდა მით შაქრის ბაზარიც ჩაღდებოდა და ამ გაჩაღებას ისიც ეხმარებოდა, რომ ხშირად შეუძლო მეწვრიმალებს, ანუ ვაჭრებს შაქრის ქარხნიდამ ნისიათაც აძლევდნენ. თუმცა ქართული შაქრის საქმე ასე მიდიოდა, მაგრამ მაინც მასაც აქა-იქიდამ რუსეთის შაქრის გაჯიბრებაც ევლინებოდა. ამ გარემოებას საკმარისი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგანაც მომავალში მან დიდი ზეგავლენა იქონია და უკანასკნელ თითქმის ქართულ შაქრის ქარხანას ბოლოც მოუღო, დაიხურა საყოველთაოდ.

ვერის შენობაში ქართული შაქრის ქარხანა რამდენსამე ხანს დარჩენილა. რამდენ წელს, ამის ცნობა არა სჩანს. ის კი ვიცით, რომ ვერიდამ კუკიაში გადუტანიათ, მტკვრის პირას, ისარლოვის მამულში, სადაც დღეს თბილისის დოსტაქართა სკოლა არის. ამ ქარხნის შენობა დღევანდლამდისაც არის დაშთენილი. კუკიაში შაქრის ქარხანა რამდენსამე ხანს დაშთენილა და უკანასკნელ რუსეთის შაქრის შემოტანა ისე გამრავლებულა და შაქარი ისე გაიაფებულა, რომ ქართულ შაქარს ვერ შესძლებია დაშთენა და ქარხანა თვისად უნებურათ დაკეტილა. ამ სამწუხარო მოსავალს ის გარემოებაც უფრო უწყობდა ხელს, რომ რუსული შაქარი ქართულ შაქარზედ უფრო მაგარი იყო, ქართველები ჩაის სმის დროს მაგარ შაქარს საჭიროებდენ, რადგანაც ჩაის დამტვრეულის შაქრით სვამდნენ, წინეთ-კი ეს ასე არ იყო და საქართველოში ჩაის ჭიქაში ჩაგდებულის შაქრით სვამდენ. ამას-კი ქართული დუნე შაქარი უფრო უხდება, ვინემც მაგარი. შემდეგ-კი ეს ასე აღარ იქმნა, რადგანაც კულანდებურათ აღარ სმიდენ ქართველნი შაქარ-გამტკბარს.

შაქრის ქარხნის არსებობის საქმე დღეს ჩვენში მთლათ მიმქრალია, მის მომსწრე კაცთა ნახვა ერთობ იშვიათია. რაც შეეხება ამ ქარხნის მომუშავეთა საქმეებსაც, ესეც საზღაპროა თითქმის, მის არსებობის დროის ხელოსნების და მუშების

ფასის და ვითარების არაფერი ვიცით. საკვირველია მეტად, რომ იმ დროის ხელოსანთა და მუშათა საქმე ასე მიეფარა, ასე დაიკარგა. რაც შეეხება თვით ქართული შაქრის არსებობასა, იგი-კი თითქმის 1870 წლებამდის იხილვებოდა თბილისის ვაჭრებში. უკანასკნელ წლებს ანუ დახურვის წინეთ, ქარხანაში თურმე იმდენი შაქარი გამოიყვანეს, ისე ბევრი, რომ შაქარმა გასტანა იმდენი ხანი, რომ თვით ჩვენს დრომდისაც მოაღწია. ქართული შაქარი ბოლოს მაინც სრულიად მოისპო, მაგრამ არ მოისპო თვით მისი სახელწოდება და ქართველნი დღემდეც-კი ინგლისურ შაქარს ქართულს შაქარს უწოდებდნენ. პატარაობის დროს, როცა შაქრის საყიდლად გამგზავნიდნენ, თვით მეც-კი ასე მეტყოდნენ ხოლმე სახლში,

რომ ქართული შაქარი იყიდეო. ეს ქართული შაქარი იყო ინგლისური შაქარი, რომელიც დღესაც იხმარება საქართველოში.

ჩვენი მრეწველობის ისტორია ამ საქმის მეთაურებს ოდესმე შესაფერ ადგილს დაუთმობს და თუ სადმე ერთი და ორი პირი აიწერება, იქ იაკობ ივანეს-ძე ზუბალაშვილიც გამოსჩნდება, რომლის მოქმედებას და შრომასთან მტკიცეთ არის შეკავშირებული ამ ქართული შაქრის ქარხნის დაარსების და არსებობის ისტორია. ამიტომ აქ ჩვენ იაკობ ზუბალაშვილის ცნობებზედ არა ვსთქვით რა. ავნუსხეთ მხოლოდ ქართული შაქრის ქარხნის ამბავი და ამ ანუსხვიდამ, რაღა ფიქრი უნდა, რომ იაკობ ზუბალაშვილის შრომის ცნობებიც გამოსჩნდება. მეტად საინტერესო-კი იქმნებოდა, რომ ჩვენის ქვეყნის ასეთ თუ ისეთ საქმეთა დაწყების ცნობები შეკრებილ იქმნეს და ბეჭდვით ანუსხულ. მეტად სამწუხაროა, რომ ასეთ საქმეებთა და მთელის თბილისის ძველ მრეწველთ თუ ვაჭართ მოქალაქეთა ცხოვრების და მოქმედების ცნობები ასე უწყალოთ იკარგება და ისპობა საყოველთაოდ. რიგი კია, რომ ყურადღება მიექცეს. ბევრი ასეთი ძვირფასი საქმენი და ცნობები გამოსჩნდება ჩვენს წარსულს ცხოვრებაში.

სტეფანე ივანეს მე ზუბალაშვილი ინდოეთში – ინდოეთში ყოფილ ქართველთ ამბები – მათი ვაჭრობა დ სხვა და სხვა ცნობები.

ეს ზეპირ გადმოცემა, რომელიც ჩვენ გვიამბეს, პირდაპირ მოვიყვანეთ აქ. ამიტომ აქ ამ ზეპირ გადმოცემის დასამოწმებლათ ჩვენც ვიტყვით რამეს.

როგორც არა ერთ ალაგას გვისაუბრია, საქართველოში, ქართველთ შორის, ინდოეთის და სპარსეთის ერის და აღებმიცემის ცნობა ძველადგანვე გავრცელდა. ვიდრე საქართველო ფეხზედ იდგა და ქართველ გვარის წევრთა შორის ვაჭრობა იყო გავრცელებული, მინამდე საქართველოდგან ქართველთ ვაჭრები ერთობ ხშირად მოგზაურობდნენ სპარსეთს და ინდოეთს. მისვლა-მოსვლა და მეზობლური განწყობა იქამდე იყო აღორძინებული და დამკვიდრებული, რომ ამ გარემოებას თვით ჩვენმა ძველმა კლასიკურმა მწერლებმაც-კი მიაქციეს ყურადღება და მათ რაც სწერეს და სთარგმნეს, ამ თხზულებათა უპირველესს გმირთა მოქმედებაც ინდოეთსა და სპარსეთში გადიტანეს. ამის მაგალითს წარმოადგენს „ვეფხის ტყაოსანი“, მოსე ხონელის „ამირან დარეჯანიანი“, სარგის თმოგველის „დილარიანი“, „რუსუდანიანი“ და შემდეგ დროის ნათარგმნი „ქილილა და მანა“. ასე იყო ძველად, ასე დაახლოვებულ იყვნენ ქართველნი მათთან.

განვლო დრომ, საქართველოს უბედურობის მეოხებით, ეს განწყობილება სრულიად აღმოიკვეთა. მართლაცა და საქმე ისე მოეწყო, რომ იგი კინაღამ მთლად უცხო ტომის ძეთა მსხვერპლად გახდა. XVIII საუკუნიდამ-კი ამ გარემოე-

ბის წინააღმდეგი ძალაც მოევლინა და მეფე ერეკლეს ინ-
დოეთში ბრძოლის და დაბრუნების შემდეგ საქმე სხვაფერ წა-
ვიდა, საქართველოში თავი იჩინეს მხნე ქართველთ გვარის
ვაჭართა. ამათ სპარსეთსა და ინდოეთშიაც იწყეს მგზავრობა
და ვაჭრობა. ამ ვაჭრებს მეფეც უჩენდა დახმარებას.

ასეთ სააღებ-მიცემო გარემოებას დიდათ დაეხმარა ის პი-
რობებიც, რომ 1770 წლიდამ, მეფე ერეკლემ ინგლისის მთავ-

რობასთან დაახლოვებაც დაიწყო და ამ დაახლოვებისთვის მან
ინდოეთში კაცებიც გაგზავნა. ამ დაახლოვებისათვის მეფე
ერეკლეს 28 წლის განმავლობაში ჰქონდა მიწერ-მოწერა გა-
მართული. უკანასკნელად იქ გაგზავნა რაფიელ დანიბეგაშვი-
ლი, თფილისელი აზნაური, ქართველი კათოლიკე, რომელიც
1798 დაბრუნდა საქართველოში.

სწორედ ასეთ გარემოებათაგან გამხნევებულ პირათ ითვ-
ლება სტეფანე ზუბალაშვილი, რომელსაც ინდოეთის და სპარ-
სეთის ვაჭრობის შესახებ ცნობები ქართველთ მეფეების დროს
მომსწრე კაცთაგან გაეგონა და რომელ განაგონ ამბებითაც
იგი სავაჭრო საქმეებისათვის დიდათაც გამხნევებულა. მას ვაჭ-
რობისათვის ფართო პროგრამა შეუდგენია, მერე ეს შეუმუშა-
ვებია კიდეც. ეს სავაჭრო პროგრამა თავისს დროის კვალად
დიდად საქებია, ამიტომ ამაზედაც მოგახსენებთ რამეს.

ეს სტეფანე ზუბალაშვილი არის ძე ივანე ზუბალაშვი-
ლისა. სტეფანე ზუბალაშვილი დაიბადა 1780 წლებში. მისი
დაბადების რიცხვი კარგად არ სჩანს. პატარაობიდამ სტეფანე
მეტად მალხაზი და ცქვიტი ბავშვი იყო, დიდათ უყვარდა აქა-
იქ მოგზაურობა და მასთან ვაჭრობისაც დიდი ტრფიალი ჰქონ-
და. გარდა ამისა დიდათ უყვარდა წიგნების კითხვა, სხვა და
სხვა სახელმწიფოების ცნობების გაგება, ნამეტურ ვაჭრობის
და მათის აღებ-მიცემის. 15 წლის ყმაწვილმა სტეფანემ ვაჭ-
რობას ხელი მოჰკიდა. ვაჭრობის საქმე ამას ძლიერ კარგად
წაუვიდა. 1810 წელს, ეს ხელოვან ვაჭრათ ირიცხებოდა. ამ
დროს თფილისში სხვა და სხვა ტომის ვაჭართა მრავლად იწ-
ყეს შემოსვლა და ამ ვაჭრებთან სტეფანე ზუბალოვმა მკაც-
რად იწყო დაახლოვება. მათგან ტყობილობდა ცნობებს, რო-
გორც უცხოეთის ვაჭრების შესახებ, ისევე მათის ვაჭრობისას,
საქონელთა მაზანდის, მოგზაურობის, გზისა და კვალის ცნო-
ბისა. უცხოეთის ვაჭრობას და საქონლის ხილვას სტეფანე
ზუბალაშვილი აღტაცებაში მოჰყვანდა.

მისს ვაჭრობის ტრფობას საზღვარი არა ჰქონდა. დიდათ

---

*) საქართველოს შესახებ, 1901 წ. თფილისი.

ენატრებოდა მალე მგზავრობა დაეწყო აქეთ-იქით. პატარაო-
ბის დროს, სტეფანე, თავისს მამას საქართველოს სხვა და სხვა

კუთხეებშიაც დაჰყვანდა. პატარაობის დროსვე, გაიცნა სტეფანემ იმერეთი, სამეგრელო, გურია და ბათუმიც, რომელიც მაშინ ოსმალეთს ეკავა. იმერეთში მგზავრობის და ვაჭრობის დროს სტეფანე კარგად ვითარდებოდა, ნამეტურ ხალხის ცნობა მას მეტად აფხიზლებდა. ბათუმიდგან რამდენ გზისმე ახალციხეშიაც იქმნა გადაყვანილი. ახალციხეში მან ნახა რამდენიმე ვაჭარი ქართველ კათოლიკეთ გვარისანი, რომელნიც ახალ-ციხიდამ სპარსეთს და ინდოეთს მგზავრობდნენ სავაჭროდ. ამათი ამბის შეტყობა სტეფანეს ძლიერ გაეხარდა. იგი მალე გაეცნა ახალციხელებს და მალე მათთან მეგობრობაც დაიჭირა. ახალციხე მაშინ ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენდა და ამიტომ ხსენებულ ვაჭრებთან ძლიერ უჭირდებოდა მეგობრობის დაჭერა ვაჭრობის მხრით.

ამიტომ სტეფანემ თფილისიდამ ახალ-ციხეში მგზავრობა დაიწყო და იქ სხვა და სხვა საქონლის სყიდვა და ქართლში შემოტანა და ვაჭრობა, ახალ-ციხეში გაჰქონდა კიდევ ისეთი ნივთები და ნაწარმოებნი, რაც მათთვის იყო საჭირო. სტეფანემ ასეთის მოხერხებით ვაჭრობის ასპარეზზედ გზა გაიკაფა, ბევრი რამ შეიტყო და გაიცნა. ნელ-ნელა საქართველოში ვაჭრობაც წინ მიდიოდა და ამიტომ მან უკვე გადასწყვიტა ვაჭრობისთვის მგზავრობის დაწყობა. 1813 წ. ახალ-ციხელ ვაჭრებმა წაიყვანეს სტამბოლს სავაჭროდ. 1814 წ. უკვე დაბრუნდა მრავლის საქონლით. ოსმალეთიდამ მოტანილს საქონელს თფილისში სხვაფერ წაუვიდა საქმე. ვგონებ კარგი მაზანდა არ ექმნა, მიტომ თუმცა არა მოიგო რა, მიტომ არც იზარალა. 1816 წ. მოსკოვს წავიდა და იქიდამ მოიტანა საქონელი. ამ დღიდამ ეს რუსეთის საქონლით ვაჭრობდა. 1819 წ. ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებს სპარსეთში გაჰყვა სავაჭროდ და იქიდამ ინდოეთის ქალაქ მადრასეს და კალკუტაშიაც წავიდა, სადაც მაშინ ქართველ ვაჭრების რიცხვი საკმარისი იყო. 1815 წ. იგი დიდის საქონლით დაბრუნდა საქართვე-

ლოში. საქონელი მრავალ ნაირი იყო და მასთან კაი თვისებისაც, მაგრამ დიდი ხნის მოგზაურობამ, მთელს სპარსეთზედ გამოვლამ საქონელს გემო წაუხდინეს და მიტომ საქართველოში ის საქონელი მალე ვერ გასაღდა, ფასი წაუხდა. ამ გარემოებამ სტეფანეს დიდად აზარალეს, ეს ზარალი მისთვის შესამჩნევი იყო.

მაგრამ მან გული მაინც არ გაიტეხა და ფიქრობდა, რომ ეხლა შევცდი, სპარსეთს და ინდოეთის გზა არ ვიცოდი, მიტომ ბევრი ხარჯი უბრალოდ მომივიდაო. ეხლა ეს ასე აღარ მომიხდება და მეორე მგზავრობის და საქონლის შემოტანის დროს მე სხვაფერ მოვიქცევიო. საქონელს უვნებლად შემოვიტან და ფულსაც მოვიგებთ, რითაც ამ ზარალს დავფარავო. ამ მგზავრობისთვის მან ფულიც შეკრიბა და 1823 წელს კვალად გაემგზავრა. იყო სპარსეთსა და ინდოეთს, იქ რამდენსამე ხანს დაჰყო, ივაჭრა საკმარისად და დიდის ძალით საქონელით სავსე საქართველოში დაბრუნდა. 1820 წ. შე-

მოდგომას ეს უკვე თბილისში მოვიდა, საქონელიც მოიტანა. მაგრამ ბედმა უმტყუნა, მგზავრობის დროს, ცუდი ამინდები შეესწრა, არა მარტო ერთ კუთხეს, არამედ მთელს ინდოეთის გზაზედ, ინდოეთის შემდეგ სპარსეთზედაც ისე, რომ საქონლის უმეტესი ნაწილი თბილისში უვარგისად აღმოსჩნდა. ამიტომ ამ მგზავრობის დროსაც მას საკმარისი დიდი ზარალი მოუვიდა ისე, რომ ვაჭრობის გაგრძელება თავისუფლად აღარ შეეძლო. გულს მაინც არ იტეხდა. 1822 წ. თბილისის სავაჭრო მაღაზიები სხვას გადასცა, თვითონ-კი ახალციხეს წავიდა, სპარსეთს და ინდოეთში სამგზავროდ კვალად განემზადა და 1827 თბილისიდგან ინდოეთში რამდენსამე ვაჭარს გაჰყვა თანა. ვაჭრებში ახალციხელებიც ერივნენ. 1825 წ. ინდოეთიდამ და სპარსეთიდამ ეს ვაჭრები სხვა-და-სხვა საქონლით საქართველოში დაბრუნდნენ. მათთან ერთად სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი-კი აღარ დაბრუნდა. სთქვეს: იქ, ინდოეთს დარჩაო.

მისი ცხოვრების ცნობები ნელ-ნელა ისე შემცირდა საქართველოში, რომ 1830 წლებში, მისი ხსენება, თვით მი-

სმა ნათესავებმაც-კი აღარ იცოდნენო. ასე უცნობლათ მიეფარა ამ ენერგიით აღვსილ სტეფანე ზუბალაშვილის ცხოვრების ცნობები. მისი გარდაცვალების თუმცა არა ვიცით-რა, მაგრამ ახალციხელ ვაჭრებში ძველად ბევრს სცოდნიათ სტეფანეს ამბები და იმათ უთქვამსთ, რომ სტეფანე ინდოეთს სცხოვრებდა. მისი გარდაცვალება 1840 წლებს უნდა მომხდარიყოს, ხოლო სადა ან და ქონებათ რა დარჩა, ამის-კი არავინ რა იცისო. თვით სტეფანე ყოფილა მაგარი ხასიათის კაცი, გაუტეხავი, ვაჭრობის მებრძოლი, დაუღალავი მუშა-კი. მისს ენერგიულს სავაჭრო მხნეობას განცვიფრებაში მოჰყვანდა მრავალი ქართველიო. თავისს დროის კვალად ზუბალაშვილებში ეს დიდათ იქებოდა და იდიდებოდა, იცოდა სხვა-და-სხვა საგნები და მასთან წერა-კითხვაც-კი ფრანგული, თბილისს შესწავლილი პატრებთაგან; სპარსული, ოსმალური, სომხური, ინგლისური და ქართული ხომ წარჩინებულათო. აფსუს, ამის ცნობა და ვაჭრობის ასპარეზზედ ენერგიულად მოქმედების ცნობები რომ სმაილსს სცოდნოდა, ეს თავისს წიგნში ამ სტეფანე ზუბალაშვილს დიდს მნიშვნელობას მისცემდა და კავკასიის ერთა სამრეწველო და სავაჭრო ასპარეზზედ მხნეთ მოქმედებისათვის შესაფერადაც აღწერდა. ასეთი გაუტეხავი და ვაჭრობის ენერგიით აღვსილ კაცთა ცნობის შესახებ ჩვენს წინაშე საკმარისია ის მაგალითიც, რომ იგი ინდოეთში სცხოვრებდა და იქვე გარდაიცვალა ისეთ დროს, როცა მაშინ-კი არა და თვით ჩვენ დროის კაცთა და ვაჭართაც უჭირთ იქ მგზავრობა. ვიტყვით, რომ თუ არ დიდის ენერგიით აღვსილთ და დიდის სამზადისის მექონი კაცი, უამისოთ ის საქართველოდამ ინდოეთში 1820 წლებში რამდენგზისმე არ იმგზავრებდა. ამის დროსვე სპარსეთში სცხოვრობ-

და მეორე ქართველი გიგო ლუკას ძე ხურსი ძე. ამ პირის ცხოვრებაც მეტად საინტერესოა *)

საჭიროა დავასახელოთ ის აღმატებაც, რომ სავაჭრო ასპარეზზს გარდა ზუბალაშვილები ძველიდგანვე ხუროთ მოძ-

*) იხილეთ ლუკა ისარლოვის ნაწერები.

ღვრულს ოსტატობაშიაც დაწინაურებულნი ყოფილან. როგორც ძველად ისევე შემდეგ დროებაშიაც მათგან ბევრს ალაგას დიდრონი შენობებიც აღშენებულა, ნამეტურ ციხეები და კოშკებიც. ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: მცხეთის ხიდი ძველად არის გაკეთებული, იმ დროს, როცა საქართველო რომაელებს ეკავათ. ეს ხიდი იმპერატორის პომპეის ბრძანებით გაუკეთებიათ და მიტომ მას საქართველოში პომპეის ხიდს უწოდებენ ქართველნი. იგი ძველად რამდენგზისმე იქმნა შეკეთებული და XIX საუკ. შემდეგ ძველ საძირკვლის ალაგას სრულიად ახალი ხიდი გააკეთეს ზუბალაშვილებმა, რომელ ხიდიც დღემდე სდგას მკვიდრათ. გარდა ამისა, ამავე გვარის წევრთ თვით მთავრობაც მიანდობდა ხოლმე სხვადასხვა სასახლეების კეთებას, ხიდების, ბოგირების და სხვანი. ბევრს ალაგას გაუკეთებიათ ამათ სხვადასხვა დიდრონი შენობები. ამ შენობების ზოგი დღემდეც-კი მკვიდრათ არიან დაშთენილი. ასეთი შენობები მათ აუგიათ არა მარტო თბილისს, გორს და ქუთაისს, არამედ ქვემო ქვეყნებისაკენაც, სადაც რუსეთის მხედრობა ახლად იმაგრებდა ფეხს. ასეთს შრომას და შნოს გარდა მათ მხედრობის სანოვაგის მოტანაშიაც გამოიჩინეს დიდი უნარი, ნდობა. ბევრიც კიდევ სხვა ასეთი საქმეები უსრულებიათ მარდად. ფოდრაჩიკებისა და ასეთ საქმეებში შესანიშნავი ყოფილან, ყველგან სცოდნიათ მათი სახელი, ყველას ნდობა ჰქონია მათს წინაშე და მათაც ასევე.

უახლოვესი წევრნი ზუბალაშვილების გვარისა: ალექსანდრე ზუბალაშვილი–ნიკოლოზ დავათის ძე ზუბალაშვილი–ზაქარია ზუბალაშვილი–ექთიმა და სხვანი

როგორც მოვიხსენეთ, ზუბალაშვილების გვარის წევრნი ძველადგანვე მიეცნენ წარმატებას. ესენი თავიანთ შეძლების გვარად ყოველთვის შესაფერის შინაურის მოწყობითაც სცხოვრებდნენ. ძველად საქართველოში სადაც ერთი და ორი ოჯახი გამოჩნდებოდა თავიანთის შინაგან საოჯახოს ღირსის

გაწყობილებით, იქ ზუბალაშვილების გვარის წევრთა ოჯახნიც მესამედ ჩაითვლებოდა. ასე იყვნენ ზუბალაშვილები, არა მარტო თფილისს, არამედ გორსა და ქუთაისსაც. XVIII საუკუნის შემდეგ ესენი უფრო დაწინაურდნენ. ამ დაწინაურე-

ბამ მათს ოჯახზედაც კარგი ზეგავლენა იქონია, მე-XIX საუკუნის შემდეგ, საქართველოში და ნამეტურ გორსა და თფილისს ისე ვინმე უცხო მოგზაური და მწერალი არ მოვიდოდა, რომ მას ზუბალაშვილები არ გაეცნა, მათს სახლში არ ესადგურა და მასპინძლობაც არ მიეღო. უცხო პირთა პატივის ცემა მათ განცხოვლებული ჰქონდათ. ამ გვარის წევრნი ძველადგანვე იყვნენ ამას მიჩვეულნი, რადგანაც მათს ოჯახში ხშირად ისადგურებდნენ ევროპის კათოლიკეთ მოძღვარნი და მოგზაურნიც.

მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ, როდესაც საფრანგეთში სწავლულთ შორის, ასტყდა ბაასი აღმოსავლეთის ერთა და ქვეყნების შესწავლის შესახებ, მაშინ საქართველოს დიდი ყურადღება მიაქცია ორიენტალისტ სენ მარტენმა, დუბოა დე მონპრემ, ლანგლუამ, შემდეგ ბროსსემ, არმენისტმა დულორიემ და მრავალთაც სხვებმა. „პარიზის აზიურმა სამეცნიერო კომიტეტმა“ ჟურნალის გამოცემა დაიწყო. აღმოსავლეთი მათ გაითვალისწინეს, მის საფუძვლიანათ შესწავლა დაიწყეს. ამ დროს, საქართველოში მოგზაურობა მოუხდა ორიენტალისტ მეცნიერს დუბო დე მოპრეს. საქართველოში მოგზაურობის დროს, სხვათა შორის, გორშიაც მოხდა მოგზაურობა და დარჩენა. გორში მან გაიცნა ყველა წარჩინებულ ქართველთ ოჯახის შვილები და ნამეტურ იმ დროის გორში მცხოვრებ ზუბალაშვილების ოჯახიც. ზუბალაშვილები მან კარგად გაიცნა და ესიამოვნა კიდეც, რადგანაც მან გორში კათოლიკის მაღიარებელნიც ჰპოვა და მათთან ლათინის პატრიც. მოგზაურმა ზუბალაშვილებს გვაროვნობის ცნობაც ჰკითხა: მათ მიუგეს: „რომ ჩვენ სომეხ-კათოლიკენი ვართო“.

ასე იყო, მაშინ გორის ქართველთ კათოლიკეთ შორის მრავალნი იყვნენ ისეთი კათოლიკენიც, რომელნიც სომეხთ კათოლიკეთ მღვდელთა გავლენით, სომხის კათოლიკეთ აღი-

არებდნენ. მათგან ეს აღიარება მხოლოდ ეკკლესიის ტიბიკონს მოასწავებდა და არა გვარტომობას, სხვები კი სხვანაირად ხსნიდნენ, ნამეტურ სომეხნი და მათი მსწავლულნიც. მეცნიერმა მოგზაურმა ზუბალაშვილები სომხის კათოლიკეთ მოიხსენა, მას ესენი სომხის გვარის კათოლიკენი ეგონენ. მან რა იცოდა, რომ სომხებსა და ქართველებში ქართველ კათოლიკეთა შორის ასეთი გარემოება იყო დამკვიდრებული, თორემ მაშინ ამას როგორ იკადრებდა, ზუბალაშვილებს იგი მოიხსენებდა როგორც სომხის კათოლიკის ტიბიკონზეღ მდგართ, ხოლო გვარტომობით ქართველს. ეს მან არ იცოდა და ზუბალაშვილებსაც ფიქრად არ მოსვლიათ, რომ მეცნიერი მოგზაური მათ სომხად აღიარებდა, თორემ მაშინ თვითვე ეტყოდენ, რომ ჩვენ შთამომავლობით ქართველები ვართო, კათოლიკობას ბევრი ტომის ერი აღიარებს, მაგრამ ყველანი-კი ერთს ტომს არ შეადგენენ, არამედ სხვა და სხვას. გორში მოგზაურმა კათოლიკის მაღიარებელი ოჯახი ჰპოვა, ეს მას იქნება გაუკვირდა და თან ესიამოვნა კიდეც. მოგზაურმა ისურვა

ამათ გვარტომით გაცნობა და ეს კითხა კიდევაც, რადგანაც საქართველოში, კათოლიკეთ შორის ფრანცუზი, ნემეცი, პოლონელი და სხვა ტომის ხომ არ იქნებოდა. აქ ან ქართველი უნდა ყოფილიყოს და ან სომეხი. მოგზაურს ზუბალაშვილებმა აუწყეს, რომ სომეხ კათოლიკენი ვართო და მეცნიერმაც ასე მოიხსენა, რომ კათოლიკ ზუბალაშვილები სომხები არისო.

აი, ბატონებო, სულ ამ უნებლიე შეცდომებზედ აღაშენეს სომხებმა თვისი სამყარო, რომ ზუბალაშვილები სომხები არიანო. თავისს სჯას ყოველთვის დუბოა დემონპრეს ცნობებით ნათლავდენ, აგერ, გორის კათოლიკ ზუბალაშვილებს დუბოა დე მოპპრე სომხათ აღიარებსო. ზუბალაშვილებს გარდა, იმერეთში ამათ ბევრს ძირეული იმერთ თავადაზნაურთა კათოლიკებსაც გადუკეთებია გვარები და სომხური უწოდეს. ასეთ საქმეთა ღწვა მათში კარგა ხანია რაც გაღვიძებულია და ბევრს ალაგას ამით არ შემცდარან, თავიანთი გზა და კვალი გაუკვლევიათ. ბევრს ქართველ კათოლიკისთვის

დაურწმუნებიათ, რომ იგინი სომეხ კათოლიკენი არიან და სომხის შთამომავალნი.

ადრე, როცა-კი სომხურს მწერლობაში და ნამეტურ „მშაკში“ ქართველ კათოლიკეთ გვაროვნობის შესახებ საუბარი ამტყდარა, იქ მთელი ქართველი კათოლიკობა და მათთან ზუბალაშვილებიც სომხის გვარის კათოლიკეთ უდარებიათ. ამ მოხსენების საფუძვლად დუბოა დე მონპრეს შემცდარს ცნობებს ასახელებდენ. ამ შემცდარს ცნობებს დღესაც იმეორებენ მრავალნი და თამამად სწერენ, რომ, არამც თუ ზუბალაშვილები, არამედ საქართველოში ქართველი გვარის კათოლიკენი სულაც არ არსებობსო. აქ საოცრება ერთი ის გახლავსთ, რომ ასეთ მოკამათეებმა და მწერლებმა არც ქართთული ენა იციან, არც ისტორია, არც ისტორიული მასალები, არც ქართველ ერის და ნამეტურ კათოლიკეთა მცხოვრების ვითარება და უამისოდ-კი გვაროვნობის გარჩევასა და განსაზღვრაზედ-კი სჯიან. განა შეიძლება კაცმა ანტროპოლოგიური წერილები სწეროს და ამის ცნობები-კი თავიანთ თავებში სთხუზონ, ეს რა საკადრისია. მობრძანდნენ, ჯერეთ ქართული ენა შეისწავლონ, მწიგნობრობა, ისტორია ჩვენი, ჩვენი ძველი არხივები გაიცნონ და მერე ვნახოთ, თუ იგინი რა ლოღიკურს დასკვნამდე მივლენ, რას დასწერენ ქართველ კათოლიკეთ შესახებ, რას გამოაცხადებენ. საუბედუროთ, იგინი ამას არ მისდევენ, არც-კი კადრულობენ ქართული ენის და მწიგნობრობის შესწავლას და უამისოთ კი რუსულს, და სომხურს გაზეთებში ხშირად ურიგოთ და სიმცრუით სჯიან, რაც არც ერთს განათლების მექონ მწერალს არ შეფერის.

მე-XIX საუკუნის 30 წლების შემდეგ, ზუბალაშვილები ისე დაწინაურდნენ წინ, რომ საქართველოს გარდა, მათი გვარის ხსენება, როგორც საქართველოში მცხოვრებ კათოლიკის სარწმუნოების სტუმართ მოყვარის ბევრს ორიენტა-

ლიტებსაც გაუცვნიათ. ამის საფუძვლათ დუბოა დემონპრეს ბროსსეს ცნობები უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროთ ბროსსეს ცნობები არ ვიცით სად არის დაბეჭდილი, სადაც საქართვე-

ლოს კათოლიკებთ შორის ზუბალაშვილებსაც მოიხსენებს. მარრი ბროსსეს შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა მოგზაური დე სენკლერი და საფრანგეთის გამოჩენილი მოგზაური მწერალი ალექსანდრე დიუმა. მოგზაური რამდენ გზისმე ყოფილა მათს ოჯახში მიწვეული. ოჯახში ზოგიერთ წევრებთან მას პირისპირ შემთხვევია საუბარი, ალექსანდრე დიუმამ თფილისში მოსვლისას „ცისკრის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე გაიცნა და მთელი იმ დროის ქართველ მწერლობა და მოღვაწენი, ნამეტურ ალ. ორბელიანი. „ცისკრის“ რედაქციამ უცხო სტუმარს მასპინძლობა გაუწია და მასპინძლად ზუბალაშვილებიც იყვნენ. პირველ მასპინძლების შემდეგ, მოგზაურს აქა იქ ქართველ წარჩინებულს ოჯახებშიაც იპატიჟებდენ. ასევე მიუპატიჟებიათ ზუბალაშვილებს. მოგზაური მათს სახლში რამდენ გზისმე ყოფილა, იგი ამათ ოჯახში ხშირად დამტკბარა. მოგზაურობაში იგი ხშირად მოიხსენებს ზუბალაშვილებს. მეორე ტომში სწერს: – „თეატრიდამ ჩვენ მიგვიყვანეს ახლოს მდიდრის ი. ზუბალაშვილის სხლში, სადაც ორი ოთახი და დიდი დარბაზი ჩვენ დაგვითმეს. ოთახები და ნამეტურ დიდი დარბაზი მდიდრულათ და მშვენივრათ იყო მორთული“*) როგორც ერთ ალაგსაც მოგახსენეთ, ამათ სახლის შინაგან მოწყობილობას, სიმ დიდრეს და მშვენებას ბარონ კოხიც მოიხსენებს, რომელ ცნობებს პოტტოც იმეორებს. **)

უნდა მოგახსენოთ, რომ ზუბალაანთ გვარში, ზოგიერთ შესამჩნევ ისტორიულ პირებს გარდა, სხვებსაც ვპოვებთ. მაგალითებრ, კონსტანტინე ზუბალაშვილის თანამედროვე პირებათ ირიცხებიან ალექსანდრე იაკობის ძე ზუბალაშვილი, ღვიძლი ძმა კონსტანტინესი. ალექსანდრე ხანში შესული გვამია. კარგა ხანია, იგი რაც სამზღვარ გარეთ სცხოვრებს. საქართველოში მას შეძლებაც აქვს. იგი ადრიდგანვე შეუდგა სხვა და სხვა ძველი ნივთების კრებას, სურათების, ფულების და სხვა ამ გვარ იშვიათის ძველის დროისა. ეხლა მისს განძთ კრება საკ-

*) Путешествіе Дюма.

**) პოტტოს ნაწერები.

მარისის ფასისა გახლავსთ და თან შესამჩნევიც. მისს ძველ ნივთებს შორის რამდენიმე ძველი ქართული ხელთ ნაწერი წიგნებიც მოიპოვება, რომელნიც ალექსანდრეს შეუკრებნია საქართველოში. ამის გარდა მისს მუზეუმში ბევრიც სხვა საყურადღებო ძველი და ახალი ნაშთები არის შეკრებილი და მასზედ კარგი ფულია დახარჯულიო.

ალექსანდრე ზუბალაშვილი კარგი მცოდნეა თავისს ქვეყ-

ნის ისტორიის, ქართული ენის და სიტყვიერების, ქართული ენა კარგად იცის. 1877 თუ 1878 მან იმგზავრა ქართლ-
ში, დუშეთისაკენ და ეს მგზავრობა ასწერა კიდეც, რომელიც
იმ დროის გაზეთ „დროებაში“ დაისტამბა. ამ ათიოდე წლის
წინეთ ალექსანდრე საქართველოში გახლდათ. აქ ყოფნის
დროს, მან ბევრი რამ ავი და კარგი ამბები შეიტყო ჩვენის
ქვეყნის შესახებ. სამზღვარ გარეთ დაბრუნებამდე მან განიძ-
რახა ზოგიერთი შეწირულება. გაზეთ „ივერია"-მ აი რა გვაც-
ნობა: დიდად პატივცემულს ალექსანდრე ზუბალაშვილს განუ-
ძრახავს, რომ ჩვენს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელს საზოგადოებას" დახმარება აღმოუჩინოს, რომ საზოგადოე-
ბამ თავისს საკუთარი შენობა გაიკეთოსო, სადაც მოთავსე-
ბულ იქმნება მისი ძველი ნივთები, ანუ მუზეუმი და ძველი
წიგნების სამკითხველოვო. ეს განცხადება მთელმა ქართველო-
ბამ დიდის პატივით მოისმინა. ალექსანდრე უცოლშვილო
კაცია და იგი დიდი მოტრფეა თავის ძმის და ძმისწულების
ოჯახის, თუმცა დიდი ხანია, რაც ევროპაში სცხოვრებს,
მაგრამ სამშობლო ქვეყნის მდგომარეობას მაინც ჯეროვან
ყურადღებას აპყრობს და რაც-კი იბეჭდება სამზღვარ გარეთ
საქართველოს შესახებ, ყველა მას სიამოვნებით ადევნებს თვალ-
ყურს და კითხულობს.

ალექსანდრეს მახლობელ და თითქმის თანამედროვე პი-
რათ ირიცხება იოსებ დავითის ძე ზუბალაშვილი. იო-
სები ქართულ მწერლობის მცოდნე და მოყვარეც იყო და მან
1858 წლებში ჟურნალ „ცისკარში“ წერაც დაიწყო. შემდეგ
წლებში იგი ფსევდონიმით სწერდა ამავე დროს სახელოვნებო

და ექიმი ზაქარია მიქელის ძე ზუბალაშვილი, ბიძაშვილი
კონსტანტინესი. ეს ექიმი ზაქარია თავისს დროის კვალად
განათლებული პირია და მასთან მკურნალობის მხრით საწყა-
ლი ხალხის ქომაგიც. ზაქარია ზუბალაშვილი ქართული ენის
და მწიგნობრობის მცოდნე პირათ ითვლება. 1854 წ. „კავ-
კასიის საექიმო გამგეობამ“ გარდასწყვიტა ქართულს ენაზედ
პატარ-პატარა საექიმო ბროშურების გამოცემა. საექიმო გამ-
გეობამ ზაქარია მიქელის ძე ზუბალოვს მიანდო *) როგორც ვი-
ცით, და იმ დროებში, თფილისში, ექიმთაგანი ქართველი
თითქმის ერთად ერთი ეს ზაქარია ზუბალაშვილი გახლავსთ.
„საექიმო რჩევის“ გარდაწყვეტილება და ექიმი ზაქარია ზუბალა-
შვილი „კავკასიის აქტებშიაც“ მოიხსენება.

ურიგო და უადგილო არ იქმნება აქ მოვიხსენოთ ნიკო-
ლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილი. ეს პირი ღვიძლი ბიძაშვი-
ლია კონსტანტინესი. ნიკოლოზის მამა გიორგი ირიცხებოდა
სამსახურში და ხარისხი ჰქონდა ნადვორნი სოვეტნიკობის და
კავალერიის. ნიკოლოზი დაიბადა გორში, სწავლა მიიღო იმ
დროის თფილისის კეთილშობილთ სასწავლებელში. ეს სას-
წავლებელი შემდეგ კლასიკურ გიმნაზიათ იქმნა გადაკეთებუ-
ლი. ნიკოლოზიც აქ გადმოვიდა. გიმნაზიის სწავლის შემდეგ

იგი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. განსვენებული საზღვარგარეულ სცხოვრებდა. დიდი შეძლების პატრონი იყო. მეუღლეთ ყვანდა ფრანცუზის ქალი. გარდაიცვალა 1898 წ. ნიცცაში, უძეოთ. მისი გვამი საქართველოში მოასვენეს და თფილისის კათოლიკების ეკლესიაში დაკრძალეს.

განსვენებულმა თავის ქონებიდამ 600 ათას მანეთამდე თფილისის ქალაქის გამგეობას უანდერძა. ამ ნაადერძევი ფულის სარგებლით მათ უნდა არჩინონ 30 ღატაკი, 10 ქართველი, ათი რუსი და ათიც სომეხი. ამის გარდა თფილისის კათოლიკის ეკკლესიას დაუტოვა 30 ათას მანეთამდე და ზოგიც სხვა-და-სხვა სასწავლებელთ. მისი ანდერძის წერილი

---

*) „ცისკარი“ 1857 წ. ნახეთ „კავკასიის აქტები“

მოთავსებულია იმ დროის გაზეთებში, ეს გარემოება აღსანიშნავია. უეჭველია თფბილისის ქალაქის გამგეოება საყოველთაოდ იქონიებს მხედველობაში, რომ მას ქართველი კაცისაგან ოდესმე ამოდოლი ქონება და ფული მიეცა და რომელ ფულის გამგეობაც მათს ნებაყოფლობაზედ განისვენებს. ასეთი საქციელი მათ მეტი კაცთ მოყვარეობით უნდა აღინიშნოს ქართველი კაცისაგან სამაგალითოდ, რადგანაც სწორეთ იმ დროს, როცა ნ. ზუბალაშვილმა თფილისის გამგეობას ამოდელი ქონება დაუტოვა, სწორეთ ამ დროს-კი ახალციხის ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიებში და სკოლებში ცოდვის ლული იღვრებოდა; დღესაც იქაურ მოსწავლეთა სკოლის და საერო საქმეების მდგომარეობა საგოდებელს და სატირელს სურათს წარმოადგენს.

აღსანიშნავია და საყურადღებო ამ გვარში ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი. ეს პირი კონსტანტინე ზუბალაშვილის ბიძაშვილია და მასთან ახლო მდგომი პირი, როგორც დროის თანამედროვებით, ისევე მეგობრობით. ნიკოლოზ დავითის ძე დარბაისელი ქართველი მამულის შვილია. იგი დაიბადა ქ. გორს, სწავლა მიიღო თფილისის გიმნაზიაში, შემდგომ ამისა რუსეთში წავიდა, სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში დაამთავრა. სწავლის დამთავრების შემდეგ დროს, ანუ რაც საქართველოში ახალი მომრიგებელ სასამართლო წესები შემოვიდა, იგი ამორჩეული იქმნა მომრიგებელ მოსამართლეთ. მთელი თავისი საუკეთესო დრო ნიკოლოზ დავითის ძემ ამ თანამდებობაში შეალია. მან ჩინებულათ შეუფარდა რუსის კანონმდებლობა ქართველ ხალხის ადგილობრივ ზნესა, ხასიათს და ჩვეულებას.

მთელი თავის სამსახურის დროს, მან ასახელა სახელი და სახელით ჰქმნა სახელი. მისს გამგეობის დროს უმთავრესს დედა ჰაზრს პრინციპისას მხოლოთ მორიგება შეადგენდა. ამის სასარგებლოდ შრომა და ღვაწლი დაუფასებელია. მისს ამაგსა და ღვაწლს ჩვენი ქართველობა არას დროს არ დაივიწყებს, ოდესმე თვით ქართული მწერლობა წრფელის პატივის ცემით

– 144 –

ანუსხავს და ჯეროვანის თავაზით მოიხსენებს. ნიკოლოზ დავითის ძე ქართველთ ცხოვრებაში არის შესამჩნევი გვამი, ნათელის ადამიანობით აღვსილი. აღსანიშნავია აგრეთვე ამის დაუღალავი შრომა სხვა-და-სხვა საქმეებში და ნამეტურ თფილისის ქალაქის გამგეობაში. თფილისის გამგეობაში იგი კარგახანს ითვლებოდა ხმოსნათ. ბევრჯერ წარმოთქმულა ამის ენერგიული სიტყვა, ბევრჯერ წარმოთქმულა ამის ადამიანობით აღვსილი რჩევა და დარიგება. ბევრი, მეტად ბევრი, ანუ დიდი სამსახური მიუძღვის თფილისის გამგეობაში. თფილისის გამგეობაში ზუბალაანთ თითქმის მარტოდ ნიკოლოზ დავითის ძე იღებდა მონაწილეობას, სხვა არავინ. რაც ამ პირს ხსენებულს გამგეობაში ამაგი აქვს. აქ ყველასფერს ვერ ავნუსხავთ. მას ვრცელი ისტორია აქვს, მაგრამ უკანასკნელ არც ეს პირი იქმნა თფილისის გამგეობაში დაშთენილი. ამანაც დასტოვა იქ მონაწილეობის მიღება.

უნდა მოგახსენოთ, რომ აქამდე საზოგადოთ ყოველგან და კერძოდ ქართველებში გავრცელებული იყო ასეთი ჰაზრი, რომ ვითომც ქართველებში ძველად ქართველი მოქალაქენი სულ არ არსებობდნენო, ქართველებში მოქალაქური ცხოვრება და სულოვნება მხოლოდ XIX საუკ. შემდეგიდამ აღორძინდაო. მთელი საქართველოს მოქალაქენი და ვაჭრები სულ უცხო ტომის იყვნენო. რაც შეეხება ამ ვაჭართა და ხელოსანთა წესს-წყობილებას, იგიც უცხო იყო ქართველთ სამეფოს წინაშეო, მას ქართული წესს-წყობილების ხასიათისა არა ეტყობოდარაო. დღეს-კი, სულ სხვადასხვა ცნობები სჩნდება, რომელნიც ნათლად ამტკიცებენ რომ, არამც თუ ქართველთ ძველებურს მოქალაქობას, არამედ მათ წარმატებასაც. ამის უტყუარს მაგალითს წარმოადგენს ზუბალაანთ გვარის ისტორია, რომელ გვარის ცნობებიც ჩვენ საყურადღებოდ დავინახეთ და ერთად შევკრიბეთ და დავწერეთ. ამ გვარს თავისს შესაფერი საზოგადო ხასიათი აქვს და რაც ხანი გავა, იმდენი მას ეს საზოგადო მნიშვნელობა უფრო დაწინაურდება.

– 145 –

ზოგნი ამბობდნენ, სწერდნენ და დასწერენ კიდევაც, რომ ზუბალაშვილები და სხვა ასეთ კათოლიკენი რომ ქართველ გვარის იყვნენო, მაშინ იგინი ისეთნივე იქმნებოდნენ, როგორც მართლმადიდებელ ქართველნიო. ესენი მათგან დიდათ განირჩევიან და სწორეთ ეს გარჩევა გვაძლევს მისს საფუძველს. რომ იგინი სომხათ ვაღიაროთ. იგინი შნოთი და საქმით უფრო სომხებს ჰგვანანო.

ამაზედ აქ შემდეგ შენიშვნას მოვიყვანთ და იმედია ეს შენიშვნა უმნიშვნელოთ არ დაშთება ქართველ კათოლიკეთ გვაროვნობის განსაზღვრის ისტორიაში. უეჭველია ამას

ოდესმე ჩვენი მეისტორიენიც ყურადღებას მიაქცევენ. მას შემდეგ, რაც საქართველოში კათოლიკის ეპისკოპოსნი განწესდნენ და კათოლიკობამ აღორძინება იწყო, მასთანვე ერთად თანამორწმუნეებში ვრცელდებოდა ფხიზლათ თვალთხილვა, ევროპისაკენ გადახედვა, ევროპიულის წესს-წყობილების და ვაჭრობის შესწავლა. პატრებმა თავიანთი ენერგიულის შრომით თვისი მრევლი სხვებზედ მაღლა დააყენეს, სამღრთო სჯულს გარდა აცნობეს ევროპის სახელმწიფონი, აზიის მცხოვრებნი, სწავლა-განათლება, ხელოსნობა, ვაჭრობა, მეურნეობა, ევროპასა და აზიაში მოგზაურობა, აღებ-მიცემა და სხვა. სულ ამ მხნე მოძღვართ გავლენა იყო, რომ ქართველთ კათოლიკებმა საქართველოდამ მგზავრობა ევროპაში ერთობ ადრიდგანვე იწყეს.

ეს არის მცნება თანამედროვე რიალურის კრიტიკისა, ამაზედ არის დამყარებული მთელი კაცობრიობის აწინდელი ბრძოლა, ბრძოლა კალმით, სიტყვით და საქმით, ერთის სიტყვით, მთელი მეცნიერული და ფილოსოფიური კამათი მხოლოთ ამ მცნებათა განვითარების, აღორძინების გზას მისდევს და ამასვე მისდევდნენ ძველად თვით ჩვენი სამღრთო, საეკკლესიო მწერალთ მამები, სამღრთო ფილოსოფოსნი, მჭერმეტყველნი, ბუნების მეცნიერნი და ფილოსოფოსნი. ამ გზასა და მიმართვას ზუბალაანთ გვარის წევრნი ადრიდგანვე დაადგნენ. მათ ამ ასპარეზზედ თავიანთი ულოც გაიტანეს და მით

თანამემამულეთაც ამცნეს ცხადათ, რომ ქართველსაც შეუძლიან მომავლის მოქალაქური ცხოვრებისათვის შრომა, ცდა და მეცნიერულად ჰაზროვნება.

IX

ჩვენს წინა წერილებით გავაცანით მკითხველს საზოგადოთ ზუბალაშვილების გვარი, მათი დასაწყისი და თავ-გადასავალი, ხოლო განსვენებულის კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის ცხოვრების შესახებ კი, რომელმაც გამოიწვია ეს წერილები, ჩვენ თითქმის არაფერი გვითქვამს, რადგანაც საჭირო იყო უტყუარი ცნობების შეკრება. დღეს ეს ცნობები ჩვენ საკმაოდ შევკრიბეთ და საჭიროდ ვრაცხთ განვუზიაროთ იგი „ქართველ“ მკითხველს, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ ბევრს საინტერესოდ დაურჩება ეს ცნობები, როგორც თვით განსვენებულის შესახებ, ისე საზოგადოთ მის დროის ქართველი საზოგადოების.

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1828 წ. ქ. თბილისს. როგორც მოვიხსენეთ, მამა კონსტანტინესი იაკობი და დედა ანნა, თავის დროის კვალად ითვლებოდნენ ერთ წარჩინებულ და დარბაისელ ოჯახის შვილებათ. იგინი ირიცხებოდნენ თბილისის გუბერნიის ქართველ აზნაურისშვი-

ლებათ და მასთან საპატიო და რჩეულ მოქალაქეთაც. აზნა-
ურშვილობით მოხსენებული არიან თვით განსვენებულის ნამ-
სახურობის აღწერილობაში ასე: „კონსტანტინე ზუბალაშვი-
ლი – აზნაურისშვილი, თბილისის საგუბერნიო ქალაქის“. XIX საუ-
კუნის დასაწყისიდამ ზუბალაშვილები ოფიციალურად ცნო-
ბილნი ყოფილან როგორც აზნაურისშვილები. როგორც
წინა წერილებშიაც ვსთქვით, მეფე ერეკლეს დაპირებუ-
ლი ჰქონდა XVIII საუკუნეში და სხვადასხვა მიზეზე-
ბის მეოხებით ვერ აღუსრულა, ის XIX საუკუნეში რუსე-

თის მთავრობამ შეასრულა და ზუბალაშვილები აზნაურობით
იქმნენ დაჯილდოვებულნი.

არ იფიქროთ, რომ ჩვენ ამ გვარის წოდებრივს განსხვა-
ვებას რამე მნიშვნელობას ვაძლევდეთ. არა, აქ მარტოდ ის-
ტორიული ფაქტების აღნიშვნა გვინდა და არა წოდებრივის
განსხვავებით გარჩევა და პატივისცემა. ასეთის მიმართულების
იყვნენ თვით ზუბალაშვილებიც ძველად და მათ ნათლად სწამ-
დათ შოთას ბრძნული სიტყვები:

„ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
ბატონი კაცსა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილობა;
ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

ამიტომაც გახლდათ, რომ ძველად, ზუბალაშვილები
წოდებრივს ამაღლებას გულგრილად უმზერდნენ. კათოლიკე
პატრებისაგან გამცნებულნი და განსპეტაკებულნი, ესენი უფ-
რო ადამიანურს ღირსებას მისდევდნენ, კაცად კაცობას, ბრძენ-
თა და მეცნიერ გვამთაგან ქებულსა და დიდებულს, მრავალ-
თაგან ნანატრს და უმცირესთაგან არად მიჩნეულს ამას ნუ-
რავინ იხამებს. ქართველთ ცხოვრებაში ზუბალაშვილების
გარდა სხვებიც იყვნენ ასეთი მადლიანის თვესების.

მამა კონსტანტინესი იყო, თავის დროის კვალად, წარ-
ჩინებული ქართველი, სურათი XVIII საუკუნის ქართველთ
ცხოვრებისა და კარგად მცნობი, როგორც XVIII საუკუნის
დასასრულის ქართველთ სამეფოს მდგომარეობის, იმ დროის
ხალხის და მათის ცხოვრების, ისევე XIX საუკუნის დამდეგის
და შემდეგ დროის ქართველთ ცხოვრების და მათის ავ-კარ-
გიანობის. იგი მასთანვე იყო ხელოვანი მრეწველი, ცნობი-
ლი ვაჭარი, მასთანვე ჭეშმარიტი ადამიანი, გლახაკთ მწე და
შემბრალე. გლახაკთ სიბრალული ამათ გვარის წევრთა დარ-
გათ ყოფილა. იაკობის მეუღლე ანნაც შესანიშნავი მანდი-
ლოსანი ყოფილა, თავის დროის კვალად, მაღალის კრძალუ-
ლებით აღზრდილი, ნამდვილის ძველის ქართველთ დედათა

თვისების მექონი, სახე იმ პატიოსანთ და დიდებულთ ქართ-

ველთ დედათა, რომელთა მსგავს ძველ ქართველ ქალებს ჩვენი პოეტი ნ. ბარათაშვილიც აქებს ასე:

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო,
რა იქმნებოდა, ჩვენთ დედათაც
კურთხევა თქვენი გამოჰყოლოდათ?“..

იგი იყო ღვთის-მოსავი ადამიანი, საღმრთო წერილის მოყვარე, ქართული წერა-კითხვის მცოდნე, საყოველთაოდ ქართული წიგნების მკითხველი. მაინც ძველადგანვე შენიშნულია ზუბალაშვილების ოჯახი, როგორც ქართული მწიგნობრობის მოყვარე. დედ-მამის კეთილ თვისებას და რიგიანს საქციელს შვილების აღზრდაზედაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; იგინი თავიანთ შვილებს ისე ამზადებდნენ და სწურთნავდნენ, როგორც მათს ოჯახს ესაჭიროებოდა. მათს რიგიან ყოფა-ცხოვრებასა ასეთი ზეგავლენა ჰქონდა მათ თავიანთ შვილებზედ და ამიტომაც ყველა შვილები კარგის, სანაქებოს, თვისებით აღზრდილნი აღმოსჩნდნენ და მათ ყველგან ისახელეს.

ასეთის კარგი ღირსების იყვნენ კონსტანტინეს მშობლე ბი და ამიტომაც გახლდათ, რომ თვით კონსტანტინე ზუბალაშვილიც ერთ შესანიშნავ ადამიანად აღიზარდა, მტკიცე ქრისტიან კათოლიკეთ, გულ-მტკივნეულ ქართველად. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამათი დრო ისეთი გახლდათ, რომ მაშინ ქართველთ შორის რიგიანი ადამიანების აღზრდა იშვიათ საქმეს შეადგენდა. ქართველთ შორის ასეთ წარმატებათა ტრფიალება საკმარისად იყო დამცირებული. ჩვენში მაშინ სულ სხვა ნარუქი იყო წინ წასული და ქართველს უმრავლესთ სახლის შვილებიც მას მისდევდნენ. იმ დროის ქართველთ აზრი კარგად გამოხატა გ. ორბელიანმა:

„ორთხჭალის ბაღში მნახეთ ვინა ვარ,
ჯამით ტოლუმბაში მნახეთ, ვინა ვარ“. და სხ.

ასეთი გახლდათ იმ დროის ქართველთ უმეტეს ნაწილის ძეთა მოძრაობა. ასეთ ლტოლვას და მიმართულებას ჰქონდა მაშინ ფასი და დიდება. მაგრამ იყვნენ შიგა და შიგ ისეთი პატიოსანი პირებიც, რომელნიც გარემოებას მკაცრათ ეწინააღმდეგებოდნენ. რიგიან დედ-მამის გავლენის ქვეშ აღზრდილნი შვილნიც რიგიანს გზას ადგებოდნენ. უკანასკნელთ რიცხვს ეკუთვნოდა კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილიც. მართალია, იმ დროს, ქართველთ შორის, იყვნენ ისეთი პირები, რომელთ ხელობასაც მხოლოდ დილიდამ საღამომდე „დალიეს“ ხმა შეადგენდა და მით თავიანთი ოჯახების დაღუპვა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ უადამიანობის დროსაც, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ ისეთის ოჯახის

შვილებიც, რომლებსაც ცხოვრების წინ გამცნებული გეგმა ედოთ და თავიანთ მოვალეობას ნათლად ასრულებდნენ, მათ შეგნებით სწამდა:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსო, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“.

სწორეთ ასეთ სალ-პიტალ ჯგუფს უნდა მივაწეროთ კონ-სტანტინე ზუბალაშვილიც. ადვილი საქმე არ იყო, რომ ჩვენ-ში და ისიც ისეთ დროს, როგორიც 1820-30-40-50 წლებია, ვისმეს რამე გეგმა აერჩია და ამ არჩეულს რიგიან ცხოვრების გეგმაზედ უკანასკნელ დღემდე მტკაცედ დაშთე-ნილიყოს. ეს მაშინ კი არა, დღესაც იშვიათია. ჩვენს დროში საქებია ისეთი კაცი, რომელიც ახალგაზდობიდამ მოხუცებამ-დე ერთის მტკიცეს მიმართულებით და ენერგიით აღვსილი შთება, მტკიცე მიმართულება და მაგარი ხასიათები თვით საფ-ლავის კარამდე მისდევს. ასეთი კაცები მაგალითნი არიან სხვე-ბისთვის. იგინი ახალისებენ მოზარდ თაობას და ამხნევებენ მტკიცეს თვისებით და მაღალის სათნოებით. თავის დროის კვალად კ. ზუბალაშვილი და მისთანები სწორედ მანანასავებ ბრწყინავდნენ ქართველებში და თავისი ბრწყინვალებით ბევრს ხშულს გონებასაც აბრწყენდნენ.

ასეთის თვისების იყო კონსტანტინე, ასეთივე გახლავთ მათივე პირმშო ძე სტეფანე და მისი ძმებიც, რომლებიც ჩვენ მათის გენეოლოგიით ავნუსხეთ. ასეთსავე მიმართულებას ეკუთვნოდნენ მისი მშობლები – იაკობი და ანნა.

კონსტანტინე ზუბალაშვილის თვალის გახილების დროს-თან მჭიდროთ დაკაშირებულია ის დრო და ხანა, როცა ქარ-თველთ იწყეს თვალის გახხილება, ე. ი. როცა 1827 წ. ს. დოდაშვილმა ქართული გაზეთის „თბილისის უწყების“ გა-მოცემა დაიწყო, ამ გამოცემისთვის ქართული სტამბაც გახსნა, სხვა-და-სხვა ქართული სახელმძღვანელოებიც გამოსცეს და 1832 წლიდგან თვიური ჟურნალის გამოცემაც იწყეს. მას კი-დევ სხვა კეთილი საქმეები მოსდევდნენ. იმ დროს, თბილის-ში, ქართული ფულიც იჭრებოდა. ყველა სამართველოებს „საქართველოს სამართველო“ ეწოდებოდა და თვით მთავარ-მაერთებელიც „საქართველოს მთავარ-მართებლად“ იწოდებო-და. იმ დროის კეთილშობილთ სასწავლებელში, სადაც კონ-სტანტინე ზუბალაშვილიც სწავლობდა, მასწავლებლათ იმყო-ფებოდა ქართველ კათოლიკეთა წარჩინებული პირი, თავ. ალექსანდრე ჩიქოვანი, კარგი ამხანაგი ნიკოლოოზ ბარათა-შვილისა, თავის დროის დიდათ გამოჩენილი და მწერალიც. იგი დაახლოვებული იყო ზუბალაშვილებთან და, როგორც მასწავლებელს, მეტად დიდი გავლენა ჰქონდა თავის მოწაფე-ებზედ და ნამეტურ ზუბალაანთ იმ ყმაწვილებზედ, რომლებიც მის გავლენის ქვეშ სწავლობდნენ. კოსტანტინეც ერთი ამათ-

თაგანი გახლთათ.

სულ ამ კეთილ მასწავლებლის მეოხება გახლდათ, რომ კონსტანტინე ზუბალაშვილი მომავალს ცხოვრებაში საუკეთესო ქართველათ აღმოჩნდა, დიდ გულ-შემატკივარ პირად ჩვენის საზოგადო საქმეების. საზოგადო საქმეთ პატივისცემის სხივები მას უკანასკნელ დღემდე დაშთა. ეს ღირსებით აღვსილი სამკაული მის შვილებსაც გარდაეცათ მემკვიდრეობით ჩვეულებრივ თვისებათ. კონსტანტინე ზუბალაშვილი, როგორც წესი და ჩვეულება იყო ძველადგანვე ქართველ კათო-

ლიკებში, ჯერეთ სახლში სწავლობდა. როგორც ზემოთაც ვსთქვით, დედა მისი იყო ძველი ქართველი მწიგნობარი ქალი და ამიტომ იგი შინ ასწავლიდა პატარა კონსტანტინეს ქართულ წერა-კითხვას და საჭირო ლოცვებს. მცირე ხნის შემდეგ იგი თბილისის კათოლიკეთ სკოლაშიაც სწავლობდა და შემდეგ კი თბილისის კეთილშობილთ სასწავლებელში. თბილისის კათოლიკეთ სკოლა 1630 წლიდამ არსებობს. ამ სკოლაში ქართველთ კათოლიკეთ შვილებს გარდა სხვა სარწმუნოების ყმაწვილებიც სწავლობდნენ. ყველა დიდის სიამოვნებით აბარებდა აქ თავის შვილს, რადგანაც პატრები კარგად ასწავლიდნენ მოწაფეებს, ნამეტურ ლათინურს ენას და ფრანგულსაც. თვით ისტორიკოსი პ. იოსელიანი სწერს, რომ ლათინურს ენას მე კათოლიკე მღვდელი პ. შაჰყულინი მასწავლიდაო. ამ სკოლაში მრავალ წარჩინებულ თავადის-შვილებსაც უსწავლიათ. აქვე ყოფილა ერთ დროს ა. ჩიქოვანიც. კონსტანტინეს გარდა ამ სკოლაში სხვა ზუბალაშვილებიც ყოფილან მრავლად.

იმ დროის ქართველთ შვილების გუნდი ორ ნაწილად გაიყოფოდა. ერთი ნაწილი თავისი ქვეყნის შესწავლას მეტად გულ-გრილად უმზერდა, ქართულს მწიგნობრობას, ენას, ის ტორიას და ხალხის ფეხზედ დადგომას არად აფასებდა. ქართული ენა მათ მდაბიო, განუვითარებელ ენათ მიაჩნდათ, ამიტომ იგინი სახლში და კარში ყველგან ჰკრძალავდნენ დედა ენის ხმარებას. თამამად ამბობდნენ, რომ ეს ჩვენთვის საჭირო აღარ არისო, რის მაქნისია იგიო. ასეთ გარემოებაზედ სთქვა გრ. ორბელიანმა:

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“.

ასე გახლდათ მაშინაც, ესეთის თვისებით სახელოვნობდა ქართველთ ძეთა ერთი ნაწილი. მათს სანაქებოდ მხოლოდ თვისი წარსულის არად ცნობა იყო გამხდარი, მისი გმობა, ყველასაგან ხელის აღება და დავიწყება. საქართველო და

ქართველობა მათთვის არსებობდა როგორც საკვები სახსარი ძალა, სხვა არაფერი და ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთის პირების მეოხებით იყო, რომ თვით ქართველი გლეხებიც-კი იყიდეზოდნენ საქვეყნოთ *), რომელთაც უმეტესს ნაწილს ტფილისის მოქალაქენი იძენდნენ. ასეთ გათახსირებულ ქართველებზედ წარმოსთქვა იმ დროს ნ. ბარათაშვილმა:

„რის ქართველობა, რა ქართველობა,
ნეტავ რას გვავნებს უცხო ტომობა“.

ასე იყო მაშინ ქართველთ ვითარება. ასე მოეწყო დაცემულ ოჯახის საქმე. ასე გახლდათ ჩინებულ საქართველოში ქართველთ შორის. ასეთის თვისების ყმაწვილებით ივსებოდა ჩვენი ქვეყანა და ამ უკუღმართ გარემოებას თვით ქართველების უმეტესი ნაწილიც უწყობდა ხელს და მასთან სხვადასხვა პირობებიც. მოკლეთ უნდა ვსთქვათ, რომ იქებოდნენ და იდიდებოდნენ ისეთი პირები, რომელნიც თავიანთ ვინაობას გმობით მზერდნენ და სალაპარაკო ენასაც ივიწყებდნენ. ასეთს ხანასა და თაობაზედ წარმოსთქვა თავის დროს ი. ჭავჭავაძემ:

„თქვენ არა ხართ ის, როშ დედა-ენა,
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად,
შიშით არც კარში და აღარც სახლში,
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად“...
„ჩვენ ძუძუს ვსწოვდით, რომ თქვენა ჰგმობდით
ენას და ხალხსაც გარეთ და შინა“.

აი ეს გახლავსთ სარკე იმ დროის ქართველთ ერთის ნაწილისა, ამაში სჩანენ იგინი ნათლად. სწორედ ამ დროს გაახილა თვალები კონსტანტინე ზუბალაშვილმაც, მაგრამ იგი, როგორც პატიოსანი ოჯახის შვილი, დედ-მამასთან გამცნებული და გაადამიანებული ზემოხსენებულ წრემ ვერ აი-

*) „Кавказскій Въестникъ, 1846-47-48 წლების.

ყოლია. იგი შეჯგუფულ იქმნა იმ მიმართულების მექონ ახალგაზდა დასთან, რომლის წევრთაც საქართველოს ერის და მწიგნობრობის სიყვარული გულში გაბრწყინვებული ჰქონდათ. იგინი შეძლების და გვარად უკუღმართ გარემოებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ და ყოველგან და ყოველთვის თავიანთ ქვეყნის და ერის საქმეებს გარს ფთილასავებ ევლებოდნენ. ასეთ დასანატრ თაობის მეტრფიალეთ ირიცხებოდა კონსტანტინე ზუბალაშვილიც. ხსენებულ წრემ თავის ცხოვრების დრო განვლო. მათ აღბეჭდეს თვისი ნავალი. დღეს თუ ქართველს მაჯა უცემს და მის სულს და სხეულს თუ რამ ამეტყველებს, ყველა ეს ძლიერება თითქმის იმ ხსენებულ პირთა მეოხება არის, რომელსაც ჩვენ ვასახელებთ. ხსენებულ დროის

ქართველთა თაობამ გამოჰფინა თავისი ქვეყნის, ერის და მწიგნობრობის პატივისცემის ღაღადება და ნიშანი და ამ ნიშანმაც აიყოლია მთელი იმ დროის ქართველთ ახალ თაობაც.

კონსტანტინე ზუბალაშვილი დაახლოვებული მეგობარი გახლდათ „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძისაც და ყველა იმ პირების, რომელთაც კი სამშობლო ქვეყნის ასპარეზზედ 1860 წლებში მოქმედება დაიწყეს და ყველა ჩვენ საქმეებს და მოძრაობას სული ჩაუდგეს. კონსტანტინე ზუბალაშვილი პატარაობისასვე ეჩვეოდა ქართულ მწიგნობრობას. მან თავის დროსვე შეისწავლა ზედ-მიწევნით ქართული მწიგნობრობა და მისი ისტორია, სამეფო და საერო ისტორია, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ისტორია, სიტყვაკაზმული მწერლობა. არ დარჩა რამე ისტორიული წიგნი, რომელნიც კი თბილისს, მოსკოვს და პეტერბურგს დაიბეჭდნენ, რომ ეს წიგნები მას შეძენილი არა ჰქონოდა. იგი ისე გახლდათ ქართულს საქმეებში დახელოვნებული, რომ იმ დროს მას ბერნი ვერ შეედრებოდნენ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ რაღა გაგვიჭირდებოდა, დღეს, ჩვენი სამშობლო რიგიანის მამულისშვილებით იქნებოდე სავსე, ცხოვრების საქმეებით წინ ვიქნებოდით წასული. მცირე ვი-

ყავით და მიტომ მოხდა, რომ ჩვენ ჩვენს სამშობლოში ასე მძიმეთ დავწინაურდით. ყოველი პირი, რომელსაც კი თავისს ცხოვრებაში საქმე უკეთებია. ქვეყნისა და ხალხისათვის უღვაწნია, მარად ღირსია აღნიშვნის. ამის მოვალეა თვით შესმენილი მწერლობაც. ვინც კი შესამჩნევის თვისების გამოვა, ვინც კი ცხოვრების ასპარეზზედ აღმატებულებას გამოიჩენს. ის ვინც უნდა იყოს, დიდი, თუ მცირე გვარის, მწერალი თუ მრეწველი, ვაჭარი თუ მუშაკი, ნასწავლი თუ უსწავლი, მხედარი თუ მოქალაქე, ყველა თავ-თავის ალაგას არის აღსანიშნავი. მამულისშვილობით აღვსილს კაცს, ვისაც კი გული შესტკივა თავის ქვეყნისა და ერისათვის, იმას ვერავინ რას დაუწუნებს, ვერავინ რას უკიჟინებს. ის რაც გინდა მცირე საქმის, თანამდებობის და სახელოვნების იყოს, მას ვერავინ რას წაართმევს. ქართველთ ცხოვრებაში ზუბალაშვილების გვარის წევრთ შესაფერი ადგილი უკავიათ, იგინი ბევრის ღირსებით არიან დაჯილდოვებული. ამათი ღირსება ქართველ მოქალაქობის ასპარეზზედ შესამჩნევია, თითქმის შეუდარებელი. ამათი ენერგიული მოქმედება ცხადათ სჩანს ბევრნაირის საქმეებიდგან. იგინი ცხოვრების ზვირთებს ყოველთვის ფეხ-და-ფეხ მისდევდნენ და თავ-დადებით შრომობდნენ დაწინაურებისათვის. მათში, როგორის თვისებითაც XVIII საუკუნის პირები იყვნენ აღვსილნი, ისევე XIX საუკუნისა და თვით ჩვენი დროის ზუბალაშვილებიც, რომელნიც მართლაც და თავიანთის ენერგიულის მოქმედებით გაცილებით მაღლა სდგანან ბევრს თვის თანამედროვე წყალწაღებულ ქართველებზედ.

მოგეხსენებათ, რომ რაც საქართველო რუსეთს ჩაბარდა, მას შემდეგ მთელი თბილისი და მასთან საქართველოს მამულებიც მარტოდ ქართველების საკუთრებას შეადგენდა. მათი მოწილე და მოდავე არავინ იყო. ყველა ეს საკუთრება ნელ-ნელა მათის ხელიდგან ისე გაფრინდა, ისე წავიდა, რომ დღეს, იმ დროის ძირეულ ქართველის მეასე ნაწილსაც აღარ უკავიათ იმ ადგილების მეათასე ნაწილი, რომელიც მათ ადრე ეკავათ. თბილისის მცხოვრებთ ქართველთ ხელიდგან წა-

უვიდათ მთელი თბილისის ადგილ-მამულები, ბაღები, აბანოები, ქარვასლები და თვით ზოგიერთი ეკკლესიები კი. დღეს აქ ქართველი ნატამალობს. ეს არ გვაკმარა ბედმა და სოფლის მემამულეთაც იწყეს მამულების უბრალოთ ფანტვა და პნევა. მერე ვიზედ ჰყიდდნენ, სულ უცხოელებზედ, გარედგან მოსულ პირებზედ, რომელნიც შემდეგ მათ ჯიბრშიაც უდგებოდნენ.

ამაზედ ბრძანებს ვახტანგ ორბელიანი:

„ზოგთა თვისი ქონება ბითურ ცხრაში წააგეს,
და თავისი ცოლ-შვილი მშიერ-მწყურვალ დააგდეს,
ზოგთ დავა-დარაბაში რაც რამ ებადათ ყველა,
რაც ქველთ მამა-პაპადგან მათ დარჩომოდათ ბედათ“.

როცა კაცი ამ დროსა და ქართველობას წარმოიდგენს, იმას არ შეიძლება, რომ გული ბოღმით არ აევსოს და ცხარე ცრემლები არ დააფრქვიოს. ვინც ჩვენის ქვეყნის შვილია, ვისაც სწამს ჩვენი კულტურული წარსული, ვინც იცის ჩვენი განვლილი დრო და ის ამაგი და ღვაწლი, რაც ქართველ ტომს თავის ქვეყნის დაფარვის გულისთვის სისხლი უღვრია, ის ამაზედ მწარეთ იწყებს გოდებას და ვინც არა და მისთვის, სულ ერთია, იგინი თავიანთ ტომის უმრავლეს გლეხთა მუშაკთ უმიწა-წყლოთ სტოვებენ და მათგან განატაცს სხვებზედ, უცხო ტომის კაცებზედ ჰყიდიან. ამაზედ სწუხს იგივე ვ. ორბელიანი, როცა ამბობს.

„ამ ძუძუთ გაზრდილ ძენი, ნაჭერ-ნაჭერ მყიდიან“ და სხვა.

განა შეიძლება, რომ ჩვენ ყველა ის გამათახსირებელი ცნობები მოვთვალოთ აქ, რაც კი ქართველთ შორის ხდებოდა 1840-50 წლებში! ეს შეუძლებელია, ეს ყველა ჩვენთაგანმა კარგათ უნდა იცოდეს, რადგანაც ამ უბედურობის ხანას ჩვენ ბრძენ კაცთაგან „ქართველების ფანტიობის ხანა“ ეწოდა. აი ასეთ დროს, ასეთ ერსა და ქვეყანაში, ზუბალაანთ გვარის წევრნი დგანან შრომის, მხნეობის, მრეწვე-

ლობის და წარმატების სვეტად და იგინი ანათებენ მცირედ, სხვებს მაგალითს აძლევენ და თავიანთ მომავალ თაობასაც აწინაურებენ. სწორეთ ასეთ დამაწინაურებელ პირათ ითვლე-

ბა კონსტანტინე ზუბალაშვილი. ეს პატიოსანი გვამი მთელის თავის არსებით, მოქმედებით, წარსულით და აწმყოთი მხოლოდ ამის უტყუარს ნიშანს წარმოადგენს. იგი არის მტკიცე კედელი იმ სამარკველისა, რომელიც მის მამა-პაპათაგან მკვიდრათ იქმნა დანერგილი ძველადგანვე საქართველოში.

აბა აიღეთ, ბატონებო, ეს ორი ხანა და შეადარეთ ერთმანეთს. ერთს მხარეს თქვენ თვალ წინ დაგეხატებათ ფანტია ქართველობა, რომელმაც შეჭამა და გაყიდა თავის სახლ-კარი, მამულები, დააწიოკა თვით ქართველთ გლეხებიც და მით გაახარა უცხონი; იგინი სდგანან ჩვენ წინ ვითაარცა სამშობლოს ურჩნი, გვარტომობის პატივის არ მცემელნი, შინ ძლიერნი გარედ-კი მხდალნი, უძლურნი, წყალ-წაღებულნი. ტყუილათ-კი არ ბრძანებს ილია ჭავჭავაძე:

„ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი“...

აი ასეთი ბედნიერები ვართ, ასეთი ამაგდარნი და ღვაწლდებულნი, სწორედ ასეთი მხნე, გმირები. მეორე მხარეს თქვენ წარმოგიდგებათ ზუბალაანთ გვარის მხნე წევრნი და კამ მხნეთაგან ნამოქმედარი საქმეები. დიდება და სიქადული ასეთ მხნე პირთა ამაგს და სამსახურს წინაშე ქართველობისა. იქმნება ამ სამსახურის ნაყოფის ძველ ქართველთ არა ესმოდათ რა. ვინ იცის, ესეც შეიძლება, რადგანაც ჩვენდა საუბედუროთ, ხომ მოგეხსენებათ, ქართველებში ძველადგანვე გახლავსთ ერთი ანდაზა გავრცელებული, რომ: „დღეის კვერცხი მირჩევნია ხვალის ქათამსო". ამის ამყოლნი იყვნენ ძველად ჩვენ მამა-პაპათა უმრავლესნი და ამიტომაც მათ არ შეეძლოთ ვცნათ ღირსება ამ გვარისა. განვლო დრო-ჟამმან, დრონნი იცვალნენ, დღეს უკვე გამოსჩნდა ამითი ღირსება. ეხლა ყველას შეუძლიან თამამად დააფასოს, ვისაც თვალი

აქვსთ და ყურთა სმენა, მათ ამის დასაფასებლათ საკმარისი მასალები მოეძევებათ.

კონსტანტინე ზუბალაშვილი თავის ახალგაზდობიდამვე მეტად კეთილის თვისების ყოფილა, როგორც მოწაფე ყველა სასწავლებელში საუკეთესო, თავმდაბალ, მორჩილ მოწაფედ ითვლებოდა. მის ამხანაგთ შორის ვერ ნახავდით ერთ თანამედროვეთაგანს, რომ მისგან ვისმე წყენა და მეტი სიტყვა ხსომებოდა. მის თანამედროვე პირებს მე ბევრს ვიცნობდი და მათგან ერთი სიტყვაც არ გამიგონია რისამე ურიგოს მომასწავებელი. კონსტანტინე თავის მეგობრებში ყველას სანაქებო საყვარელ მეგობრათ ითვლებოდა, ახალგაზდა გულუხვ პირათ, მაგრამ მასთანვე პატიოსნების მეტრფეთ და ქართველ კარგ მამულისშვილთაც.

იგი კარგად და ნათლად მოესწრა ჩვენს უკვდავს პოეტს, ნიკოლოზ ბარათაშვილს და მისგან ნაღადაებ „ბედი ქართ-

ლისას". როგორც ილ. ჭავჭავაძის და აკაკის კალმის ქვეშ დაიზარდნენ 1860 წლის ახალგაზდა ქართველნი, ისევე კონ-სტანტინე ზუბალაშვილი და მისი თანამედროვენი იზრდე-ბოდნენ და იწურთნებოდნენ იმ დიადის მამულისშვილების გრძნობებით და კეთილის სხივებით, რასაც ნ. ბარათაშვილის, უკვდავი და შეუდარებელი ჰანგი ჰფენდა იმ დროს ჩვენს ქვეყანაში. კ. ზუბალაშვილი და მისთანები ნაყოფია ნ. ბა-რათაშვილის მაღალის იდეებით გამსჭვალულის პოეზიისა.

თანამედროვე უმეტესობის მოძრაობის ძალამ და იმ დრო-სი ახალგაზდათ ტრფიალებამ კი ზუბალაშვილებზედაც იქო-ნიეს ზე-გავლენა და რითაც მაშინდელი უმრავლესობა ხელმ-ძღვანელობდა, ესეც გაჰყვა იმავე ლტოლვას. ეს იყო მიზეზი, რომ ზუბალაშვილმა, ჯერ სრულიად ახალგაზდამ, პირდაპირ სკოლის სკამიდამ ისურვა სამხედრო ნაწილის სამსახურში გა-დასვლა და სამსახური. სამხედრო სამსახური მოგხსენდებათ, დღეს რა ხასიათების მექონ ძალას წარმოადგენს. ყველასთ-ვის ცხადია, დღეს მას მეცნიერთა, სწავლულთა და ფილო-სოფთაგან დიდი რამ მნიშვნელობა არა აქვს მინიჭებული,

მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ იმ დროის, როდესაც 16 წლის ახალგაზდა კოტემ ისურვა სამხედრო სამსახურში შესვ-ლა, სწორედ ამდროს, ამავე ნაწილის ასპარეზზედ მსახუ-რებდნენ პოეტნი გრიგოლ ორბელიანი, ვახ. ორბელია-ნი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ორბელია-ნი, დ. ორბელიანი, წარჩინებული გრიგოლ გურიელი და მრავალნიც სხვანი იმ დროის ხნიერ თუ ახალგაზდა ქარ-თველთ შვილებისა, რომელნიც ნათელის გულით ანათებდნენ აქა-იქ. კოტესაც მათკენ მიელტვოდა გული და ამიტომ იგი პირდაპირ გიმნაზიის სკამიდამ თავისუფალ მსახურად შედის სამხედრო სამსახურში.

კონსტანტინე ზუბალაშვილი პირველად „ქართულს მი-ლიციაში" შევიდა 2 აპრილს 1844 წელს. ამავე წელს, რუ-სის მხედრობას და ქართულ მილიციას დაღისტნელებთან და კავკასის მთიელებთან გალაშქრება მოუხდათ. ამ გალაშქრე-ბაში ახალგაზდა კონსტანტინემ საკმარისი ნიჭიერება გამოიჩი-ნა. ამიტომ იგი 14 თებერვალს 1845 წ. დანიშნულ იქმნა მილიციის პრაპორშიკათ. ამავე წელს მას მიანდეს ზოგიერთი სამხედრო საქმეების გამოძიება და მასთან სხვა და-სხვა საჭირო ღონისძიებათა აღმოჩენა; ამ მინდობილობაში კი ზუბალაშვი-ლმა ისეთი ენერგია გამოიჩინა. რომ იგი აპრილის 29 1846 წ. დანიშნულ იქმნა ფანენ იუნკრათ ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში. მან აქაც მალე დიდი მხნეობა გამოიჩინა და ამი-ტომ 29 დეკემბერს 1847 წ. იგი შერაცხილ იქმნა ნამდვილ სამსახურში პრაპორშიკათ. ამ დროს კონსტანტინე 21 წლისა ყოფილა, ასეა მოხსენებული მის ნამსახურობის აღწერილობა-ში. ამთ წელს რუსეთის მხედრობას ცხარე ბრძოლა ჰქონდა

გამართული დაღისტნელებთან; ახალგაზდა კონსტანტინემ აქაც თავისებური მხნეობა გამოიჩინა და ამიტომ მარტის 29 1849 წ. დაჯილდოვებულ იქმნა პარუჩიკის ჩინით.

შემდგომ ამის, უმაღლისის მთავრობის განკარგულებით კონსტანტინე გადაყვანილ იქმნა ერევნის კარაბინერთა პოლკ-

ში. დღეს ეს პოლკი ერევნის ლეიბ-გრენადერის პოლკათ იწ-ოდება.

სხვა-და-სხვა ალაგას ბრძოლის ველზედ სანაქებო სამსა-ხურის გამო 1 ივლისს 1849 გამოეცხადა უმაღლესი მა-დლობა. 1850 წ. 3 სექტემბერს, დაჯილდოვებულ იქმნა შტაბს-კაპიტნის ხარისხით. უკანასკნელ წელს, სამსახურის დროს, მას უცაბედათ მარცხი მოუვიდა და წაიქცა, რის გა-მო საკმარისადაც დაზიანდა და ამიტომ მცირედ ზერე-ქვერედ ავადმყოფობდა, ნელ-ნელა საქმე ისე მოეწყო, რომ 1856 წ. ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი გაანება. ამ დროს იგი 33 წლისა გახლდათ.

როგორც სჩანს განსვენებულის ნამსახურობის მოწმობი-დამ, მთელის თავისი სამსახურის დროს, ე. ი. 1844-1856 წლამდე სადაც კი უმსახურნია, ყველგან რიგიანად, ერთგუ-ლად, თავისი მოვალეობა დიდის ხალისით შეუსრულებია, ისე რომ თორმეტი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა შენიშნული რამე საქმეში. სამსახურის იმდენად მეტრფე ყო-ფილა, რომ მთელს ნამსახურობის განმავლობაში, მხოლოდ 1847 წ. დასთხოვნია 28 დღეთ შინაური საქმეების გამო. გარდა ასეთის ერთგულებისა, იგი ყველა სამხედრო საქმეებში-აც შესაფერს ნიჭიერებას იჩენდა, ნამეტურ ბრძოლის ველზედ მონაწილეობის მიღებაში. ჩინებულად უსრულებთია თავის მო-ვალეობას ყველა ბრძოლაში 1844-1850 წლამდე. არ მომ-ხდარა სადმე რამე ბრძოლა კავკასიის მთიელებთან, რომ იქ კონსტანტინეს მონაწილეობა არ მიეღოს. მაგალითებრ, მის ნამსახურობის წერილში ჩამოთვლილია ბევრი საყურადღებო ბრძოლა, სადაც იგი თანამოზიარე ყოფილა. გარდა ამისა კო-ნსტანტინე ხშირად დიდს მონაწილეობას იღებდა გვირაბების გაყვანაში, ლაღმის საშუალებით აფეთქებაში, ციხეების დაქ-ცევ-დანგრევასა და აღებაში, აქა-იქ ცეცხლის გაჩენაში მტრის წინააღმდეგ, ხიდების გაკეთებაში, მთებზედ გადასვლაში, ზა-რბაზნების სროლაში, იერიშით მოსვლაში, ხელდახელ ბრძო-ლაში. დაახლოვებული მონაწილეობა მიუღია გერგებილის

დაპყრობაში. ასევე სხვა სოფლების და დაბების დაპყრობაში-აც მხნედ იღებდა მონაწილეობას.

განსვენებულს ხშირად კავკასიის მთავარმართებლის ლა-შქარშიაც უბრძოლია, ხანდისხან ბნელს ღამეშიაც კი შემ-თხვევია ომი, როგორც, მაგალითებრ, 28 ივლისს, 1847 წ.

ხანდისხან ომი დილიდგან დაწყობილი საღამომდე გაგრძელებულა და ამ ხნის განმავლობაში განსვენებულსაც მონაწილეობა მიუღია ხან მთელი კვირის, ხან მთელი თვეების განმავლობაში და მაინც აქაც უსვენებლივ უბრძოლია.

აღვნიშნავთ, რომ მარტო 1848 წ. ივლისის პირველიდამ, ხოჯალმახის ომიდგან დაწყებული უომნია 12 ივლისს, 13, 14, 15, 17, 19, 20, 25, 27, 28-ს. ამ რიცხვებში მეტად დიდი ცხარე ბრძოლანი ყოფილა. ზოგიერთ წვრილმან ბრძოლას ჩვენ აქ არ ვახსენებთ. გამოანგარიშება კი იქმნეს, თითქმის ორ დღეში ერთ დღეს უბრძოლია. ვგონებთ, რომ ასეთ დაუღალავად მოქმედებასაც დიდი ზეგავლენა ექმნებოდა განსვენებულის აგებულებაზედ. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დროთა და დღეთა ბრძოლის და სისხლის ღვრის ამბავნი სწორედ საარაკო საქმეს წარმოადგენს. ამ დროთა მებრძოლნი დაიღალნენ ბრძოლით, მოიქანცნენ და მოიქანცა ჯერეთ ახალგაზდა კონსტანტინეც. სწორედ ასეთ მოქანცვას და კაცის სისხლის ღვრის გაუმაძღრობას მოასწავებს ის გარემოება, რომ იმ დროს თვით პოეტმა გრიგოლ ორბელიანმაც კი აითვალისწუნა სისხლის ღვრა ასე, როცა ამბობს:

„ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა!..
ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა...
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი თოფიცა გავარდა... აი ჰრბის ცხენი მხედრისა!..
ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად სურს სისხლი კაცისა?“

კონსტანტინე ზუბალაშვილი 1849 წ. მცირედ დაჭრილიც იქმნა. მუდმივის ომებისაგან ეს რომ არ დასუსტებუ-

ლიყო და სამსახურში დაშთენილიყო, მაშინ იგი 1860 წლამდე გენერლობასაც ადვილად მიაღწევდა. სამსახურიდამ გამოსვლის შემდეგ იგი შინაურს საქმეებს დაუბრუნდა და თან თავსაც მკურნალობდა. ამ დროებაში მისთვას დადგა სრულიად ახალი ხანა ცხოვრებისა და ჰაზროვნებისა. იგი გაიტაცა სამოქალაქო მიმართულებამა და მისმა ჰაზროვნებამ. იგი კარგად დაუახლოვდა ჩვენს მწიგნობრობას, ჩვენს ყოფა ცხოვრებას და საზოგადო საქმეებს.

როგორც ვსთქვით, იგი დიდის სიამოვნებით მიეგება 1857 წ. „ცისკრის“ გამოცემის საქმეს და მის რედაქტორს ივ. კერესელიძესაც შეძლებისდა გვარად დახმარებას უჩენდა. ამას გარდა განსვენებულმა დიდის ტრფიალებით შეხედა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ დაარსების საქმეს და მის საპატიო წევრათაც ჩაეწერა. თფილისის თავად-აზნაურთა სკოლის ღარიბ მოწაფეთა გამგეობასაც თავისი თანაგრძნობა არ მოაკლო. მას დიდათ ენატრებოდა „წერა კითხვის სამართველოს“ ფეხზედ დადგომა და მის წელში გამაგრება, სადმე საკუთარი შენობის შეძენა მისთვის, თორემ

უამისოდ ეს საზოგადოება ყოველთვის გაჭირებაში იქნებაო.

განსვენებული პირადათ მე გავიცანი 1877 წ. „ივერია“-ზედ ხელი მოაწერა და მაშინ სთქვა შემდეგი:

„ყველა ჩვენთაგანი მოვალეა, რომ ქართულ მწერლობას თვალ-ყური ადევნოსო“.

თვით იგი ძველადგანვე აქცევდა ყურადღებას ქართულ მწერლობას, საქართველოს ისტორიას, ქართველი ერის განვლილ დროთა ცხოვრებას. საქართველოს ერის სიყვარული მას ჯეროვნათ უღვივოდა გულში. იმავ თავიდგანვე, თითქმის რაც ქართულს ენაზედ ჟურნალ-გაზეთობა დაარსდა, იგი ყველა გამოცემას სიამოვნებით იბარებდა. დაბარება ჩვენს დროში სანაქებო საქმეთ ითვლება. ბევრი არც-კი იბარებს, ჩვენს ცხოვრებას და ქართველის ერის მდგომარეობას არაფერ ყურადღებას აქცევს. მათ საქართველოს ერის, მისი მწიგნობრობის და წარმატების ნატვრა გულში აღმოკვეთილი აქვთ.

ასეთის პატიოსანის ქართველებით ჩვენი საბრალო სამშობლო საქართველო სავსეა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ქართველთ მარტო ტფილისში ხუთი-ექვსი დღიური გაზეთი ექმნებოდათ. დღეს მართალია არსებობს „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „მოამბე“, „მოგზაური, „კრებული“, „მწყემსი“ და „ჯეჯილი“, მაგრამ ვაი მათ არსებობას, ყველა ესენი წვალებით იბეჭდება. ასეთია უმრავლესობა ქართველთა. ასე შესტკივათ გული და მიტომაც არის, რომ ჩვენში ყველა ქართული გამოცემანი უკიდურეს მდგომარეობაში არიან მოთავნებულნი, მათი უვალოდ გამოცემა შეუძლებელი ხდება და რაც შეეხება მწერალთა სიღატაკეს, ესეც ხომ ვგონებ, მრავალთათვის უნდა იყოს ცხადი.

როგორც ვსთქვით, სანაქებოა ის, ვინც-კი ჩვენში რამე ქართულ გამოცემას იბარებს და სანაქებოა ის უფრო, ვინც იბარებს და ამ დანაბარებსაც წაუკითხავად არ სტოვებს, ყურადღებას აქცევს. თორემ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ზოგი ქართველი მხოლოდ სახელისთვის იბარებს ქართულ გამოცემას, თორემ იგი არც არას კითხულობს და ასეთებმა ჩვენის ცხოვრებისაც აკი არც არაფერი იციან. ასეთი პირებისაგან თავის დროის კვალად კონსტანტინე ზუბალაშვილი დიდათ გაირჩეოდა. იგი ადრიდგანვე იბარებდა ქართულ გამოცემეებს და თვალყურს ადევნებდა, ყველაფერს იხსომებდა და ჩვენის ცხოვრების შესახებ საუბარიც უყვარდა.

როგორის ჭკვიანის შეხედულებისაც ჩვენს საზოგადო საქმეებზედ იყო და ამ საზოგადო საქმეთა პატივისცემაც გულში მტკიცედ ჰქონდა დამარხული, იგეთივე იყო ის თავის სააღებ-მიცემო წარმოებაში და მის კარგად მოწყობა-მოგვარებაში. 1860 წლების შემდეგიდამ კონსტანტინემ შეიძინა ბაქოში სანავთო ადგილები და 1873 წლიდამ ნავთის საქმესაც მოჰკიდა ხელი. ნავთის მოპოების და მის ასპარეზის განვითარება-აღორძინებაში კონსტანტინე ზუბალაშვი-

ლი ერთ წარჩინებულს პირათ ითვლებოდა. მისი შრომა ბა-
ქოს ნავთის წყაროების აღორძინების საქმეებში შეუდარებე-

ლია და საქები. ნამეტურ აღსანიშნავია მისი შრომა „ბიბი-ეი-
ბათის“ ალაგას, სადაც მაშინ ნავთის ამოსვლის იმედი არავის
ჰქონდა, მაგრამ ამ გარემოებასაც დასძლია განსვენებულის
ენერგიით აღვსილმა მხნეობამ. ამ მხნეობის დროს, მას დიდი
განსაცდელიც მოადგა კარს, ბევრი რამ წაუვიდა ხელიდამა
და უკანასკნელ განწირულებამდეც მიაღწია, მაგრამ ამ გან-
წირულების დროსაც მას გული არ გაუტეხია, წარბი არ
შეუხრია. თავის მხნე ენერგიულს შრომას მაინც არ სტო-
ვებდა. მას ამ დროსაც არ წაჰხდენია გული და იმედი. მისმა
ასეთმა ენერგიულმა მეცადინეობამ თავისი გაიტანა და თავის
საწადელსაც მიაღწია. მის მამულში ამოფეთქა ნავთის წყა-
როებმა და მით მრავალ ნაირად დაძაბუნებული კონსტანტი-
ნეს საქმეებიც ფეხზედ დადგა და წელში გაიმართა.

შინაურს ცხოვრებაში კონსტანტინე იყო წარჩინებული
დარბაისელი პირი, ყველას პატივისმცემელი და თანამგრძნო-
ბი, მასთან წყნარი, მშვიდობიანი და უძლურთ შემბრალე.
უძლურთ სიბრალული მას თვით იმ დროსაც კი არ მოსპობია
გულში, როცა იგი განწირულებაში ჩავარდა. სახლობაში
იყო სრული ადამიანივე, მოსამსახურეების დიდი მოამაგე და
დამფასებელი. მის სახლში ლაქია-მზარეული და სხვა მოსამ-
სახურენი ნამდვილს ადამიანებად იყვნენ ცნობილნი და არა
დამდაბლებულ არსებად, როგორც ამას სხვა ამაღლებულს
ოჯახებში ხშირად ვხედავთ. კონსტანტინეს ამის შეგნება კარ-
გად ესმოდა და ამიტომაც იყო, რომ მან ეს მოსამსახურენი
თვით სიკვდილის შემდეგაც არ დაივიწყა და მათი შრომა
ადამიანურის დახმარებით და პატივის ცემით დააჯილდოვა.
ეს ჩვენში ერთობ იშვიათი გახლავთ და უმაგალითო. ჩვენმა
მოსამსახურეებმა ასეთის პირის ხსენებით უნდა იმედიდურონ
და ინეტარონ, რადგანაც იქ, სადაც მათ ხშირად ხელსაც
არავინ ჩამოართმევს და სიტყვასაც არავინ გაუსწორებს, მათ
კონსტანტინემ ხელი გაუწოდა და ყველა თვის მსახურთ რამ-
დენიმე სახსარიც დაუტოვა, რითაც ეს ქართველთ-იმერ მო-
სამსახურენი ფეხზედაც დადგნენ, ცოლ-შვილით წელში გაი-

მართნენ, მათს შვილების სწავლას კარი გაეხსნათ. ჩვენში რომ
ყველა შეძლებულმა ასე ქმნას, ყველამ რომ განსვენებულს
მაგალითს მიჰბაძოს, მაშინ კი აღსრულდება მაცხოვრის სი-
ტყვა, რომ გიყვარდეთ ერთმანერთი და შეიყვარებდეთ ურთი-
ერთსა, რათა შეგიყვაროთ თქვენც ღმერთმაო. განსვენებული
ქრისტიანულს ვალსაც კარგად ასრულებდა და ადამიანურსაც.
კარგათ სწამდა მას:

„არ დაივიწყო, რომ ვალი გაძევს,

მისი, ვინც ობლად, ღარიბად არის,
ვის გაჭირვების უღელი აწევს,
ვინც მწუხარეა, მჭლე და გამხდარი“.

განსვენებული ამ ვალს დიდის პატივით ასრულებდა. მასს კარგად ესმოდა ასეთ საქმეთა მნიშვნელობა და მიტომაც იყო, რომ მამა-პაპათაგან დანატოვარ მცნებას ფაქიზად ასრულებდა, ამ სიფაქიზეს თავისს შვილების საყურადღებოდაც ხდიდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს წმიდათა წმიდა ძმური საქციელი მათ წინაპართ შორის უნდა გაღვიძებულიყო და წინ უნდა წასულიყო უფრო მაშინ, როცა იგინი კათოლიკობას დაუკავშირდნენ ე. ი. XVII საუკუნეს. ამათ წინაპართა ცხოვრების ცნობებიც რომ გავიცნათ დაწვრილებით და მას კარგად დავაკვირდეთ, მათაც შევნიშნავთ ცხადათ, რომ ამ გვარის წევრნი თითქმის დიდიდამ პატარამდე ყველა ერთის ჭეშმარიტის ძმურის სიყვარულით არის გამსჭვალული და ყველა მათგანს კარგად სწამთ უძლურთ შებრალება და ხელის მიწვდა. ასეთია ამ გვარის ქრისტიანური და ადამიანური ისტორია. ამისმტკიცე საფუძველია თვით განსვენებული თვისის შვილებით. უნდა მოგახსენოთ, რომ ხალხთა ცხოვრების მიმდინარეობაში განსვენებული იყო ნამდვილი ქართველი პატრიოტი, მოქალაქურის თვისებით აღვსილი, დიდი მნატვრელი ჩვენის ძეთა გონებრივ და ქონებრივ წარმატების, მათის საქმიანობის, ფეხზედ დადგომის, წელში გამაგრების. მისი ჰაზროვნება ასეთი იყო.

ქართველთა მომავალის ცხოვრება და მისს არ მოშლა მხოლოდ რიგიანად გაზრდილ თაობაზეა დამოკიდებუ-

ლი. მათ შეუძლიანთ მხოლოთ ჩვენი ავ-კარგიანობის შენახვა, ჩვენი სხეულის დაფარვა. ამიტომაც იყო, რომ განსვენებულის და მის შვილებისაგან ბევრს ქართველ შეუძლო კაცის-შვილებს მიუღწევიათ უმაღლესს სასწავლებლის კარამდე და კიდევაც ბევრნი მიაღწევენ. მხოლოდ ასეთ მცნებათ პატივის ცემა განსვენებულს ჩუმად უყვარდა, ფარულად, ისე რომ მარჯენა ხელის სიკეთე მარცხენამაც არ იცოდა. ესეც დიდი საქმეა ჩვენში. ჩვენ ვიცით კარგად, რომ ბევრი მხოლოდ იმიტომ ჩადის რამე სიკეთეს, რომ ეგები მერე გაზეთში შემაქონ, ქება მიძღვნანო, უამისოთ ის გროშსაც არავის სწირავს. კონსტანტინე ზუბალაშვილი-კი ასეთ თვისებისაგან შორსა სდგას და მისგან ძლიერ ბევრს მიუღია ისეთი დახმარება, რომ ეს კეთილთ საქმე მისს შვილების მეტს არავის სცოდნია.

ქართველთა შვილების საქმიანობა მას უსაჭიროესს სახსრად მიაჩნდა, ეროვნების საკურნებელ ძალად. მიტომაც იყო, რომ იგი გარშემო ქართველ შვილებს იკრეფდა და მათ აძლევდა უპირატესობას. რასაკვირველია ეს ასეც უნდა ყოფილიყოს, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში ისე არც ერთი ტომი არ არის დაქვეითებული, როგორც ქართველნი. თვით დაღისტნელნი ლეკნიც-კი გვჯობიან ერთნაირის სულიერების ძალოვნებით. ყოველი შეძლებული ბრძენი ქართველი, ვისაც-კი

ჩვენთვის გული სტკივა, იგი ჩვენს საქმეებს და ძეთა საქმიანობას მალამოთ უნდა ევლინებოდეს. ამის ვალი ყველა შეძლებულის ხვედრათ უნდა იყოს მიღებული, რადგანაც იმდენი ცუდად მოსიარული ახალგაზრდობა არსად არის, რამდენიც ქართველებში. იმდენი გაჭირვებული მოსწავლე არსად არის, რამდენიც ჩვენში. ქალაქ ადგილებს იმდენი შეუძლო ხელოსნები არსად არის, რამდენიც ქართველებში. მთელს თფილისის საშუალო სასწავლებლებში ერთი ქართველი ხელოსნის შვილი არ სწავლობს. უმაღლესს სასწავლებლებზედ ხომ არა ითქმის-რა. ცუდათ მოსიარულეებში თქვენ ნახავთ ბევრს მეტად აღმატებულ თვისებისას, ნასწავლთ და წრფელის მამულის შვილებად გამოზრდილებს, მაგრამ უსაქმობის

გამო დიდად დაჩაგრულებს, რომელთა შემცნევაც ჩვენში ყველას ადვილად შეეძლება, ვისაც-კი ამაზედ დაკვირვება ექმნება და ჩვენი ერის დასევდიანებული მდგომარეობის სიყვარული, ვის გულსაც ჩვენი ობოლი გამრემოება ლახვარად შეემსჭვალვის. ასეთ საქმეთა და გარემოებათა მეტად კარგი მცნობია სტეფანე ზუბალაშვილი.

მათი გაცნობა და ანუსხვა მით უფრო საჭირო არის, რადგანაც ოდესმე თუ ქართველი ერის განვითარების ისტორია დაიწერა, იქ ეს პირნი და ამათთან ბევრიც სხვანი საკმარის ადგილს დაიკავებენ. ამას მხოლოდ ანუსხვა უნდა, შეკრება. ასეთი წერილების წერა-ბეჭდვა სომხებში კარგა ხნის წინად დაიწყეს. ეხლა მათში ამ ისტორიის ვრცელი მასალათა კრებული არსებობს. იგინი ყოველთვის დიდის დიდებით ანუსხვენ ასეთ პირთა შრომას და მით თვის თანამემამულეებში ბევრს თანა მბაძველსაც აჩენენ. ამან აღადგინა მათი ტომი, მათი ძალა, მათი მოძრაობა და კაპიტალი. ამის წყალობა გახლავსთ რომ მათში დიდი კაპიტალისტ პატრიოტები მრავლად არიან, რომელნიც თავიანთ ტომის ძეთა საქმეს მალამოდ ევლინებიან. ეს ჩვენში კი სამთლით საძებარია და თუ არის ვინმე, ისიც უკუღმართობის გზას ადგა და ჩვენს ტომს არაფერს სამსახურს უწევს. ამათთვის ქართველის გაჭირვება და უსაქმობა, უსაქმურის ტანჯვა, ახალი ახალგაზდობის მფარველობა და სამსახური აინუშიაც არ მოსდისთ. ესენი გინდა გაწყდნენ, გინდ უცხოობაში დაიღუპნენ – ეს მათთვის ორივ ერთი იქმნება. ასეთი პირებით სავსეა ჩვენი სამშობლო ქვეყანა. ამათგან განირჩევიან მხოლოდ მცირენი.

ადრე, ერთს წერილში, პარივცემულმა ბ. ნიკოლოზ ნიკოლაძემ ქართველთ ქონებრივი ძალა შესამჩნევად დახატა*). ეს ბევრმა იგულისხმა, ეს სწორეთ ასეც გახლდათ. მართლაცა და განა ს. ზუბალოვებისთანა მდიდრები ჩვენ ცოტა გვყავს. ძალიანაც ბევრი, მაგრამ რა გამოვიდა მათის სიბევ-

*) Газ. ,,Новое Обозрѣніе“-ს ფელეტონი.

რით, იგინი ჩვენს ტომს და ჩვენს გაჭირვებულთ თავობათა საქმეს ზედაც არ უყურებენ, მათ ახლოსაც არ იკარებენ, კარებშიაც არ შეუშვებენ. ასეთის ჯურის ხალხისათვის საქმეთ გამხდარია: გაყიდვა, შეჭმა, ვალის აღება, ქართველი გლეხების შევიწროება, საეროთ არაფრის კეთება. კეთება და მათი სამსახური-კი არა და ნეტა არ ვნებდნენ, არ ჰკბენდნენ და არ არბევდნენ შეუბრალებლად.

ეს ღრმათ საფიქრელი ჩვენი ერის სევდა კარგათ ესმოდა კონსტანტინე ზუბალოვს. იგი კარგათ ესმის მისს შვილებსაც და იმედია, რომ ეს კარგად სმენა მათს წინაშე კარგს სავალდებულო ხელსამძღვანოთაც დაშთება, იგინი ჩვენს საქმეებსაც დიდის მამულის მოყვარეობით გაუძღვებიან, რაც ცხადია ესეთი საქმეთა ვალდებულება ვგონებთ ყველა გულ შემატკივარ ქართველს აღსარებათ უნდა მიაჩნდეს და ესევე მიაჩნდა განსვენებულს კოსტანტინე ზუბალაშვილს, რომელმაც თავისს სამშობლო საქართველოს კარგი შვილებიც გამოუზარდა: მაგალითია მისი პირმშო შვილი, სტეფანე ზუბალაშვილი ერთ უწარჩინებულეს მამულის შვილი.

ჩვენი სამშობლო ქვეყნის ასპარეზი რიგიანის მოწყალეს კაცებით დაცლილია, აქ ყველა ნატამალობს. არა ერთხელ დაჰკვნესა ილ. ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, აკაკიმ, ან. ფურცელაძემ. ამათ ბევრჯერ აღნიშნეს თავიანთ სიტყვებში ქართველთ წარჩინებულთ პირთა ნატამალობა და არა რაობა. მათი ღალატი კაცს ყოველთვის სევდით ავსებდა და ავსებს კიდევაც. მადლობა ღმერთს, რომ ამ დასევდიანების დროსაც კი, ამ მიბნედილს ხანშიაც-კი თითო ოროლა ჭირი სჩნდებიან ჩვენთ შორის აქ-იქ. იქმნება ესენი მაინც გახდენ იმათ მაგალითად და მისაბაძათ, ვისთვისაც ხელობათ მხოლოდ ჭამა, სმა და თანამემამულეთ ღუპვა გინდარა. ამ მხრითაც დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ზუბალაშვილის და მის განვითარებულ მხნეობას და სახლის-კაცებს.

სტეფანე ზუბალოვი არის გმირი იმ ბრწყინვალე იდეალებით აღვსილ პირების, რომელნიც ჩვენ ვინატრეთ. საჭი-

როდ მიგვაჩნია, რომ ასეთ აღმატებულ ოჯახის უმთავრეს ჯგუფთ კოსტანტინე ზუბალაშვილის მეუღლეზედაც ვსთქვათ რამე, რადგანაც ამ მარად მადლიან მოსაგონარ ადამიანის ცხოვრებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოსტანტინე ზუბალაშვილის შინაგან და გარეგან ცხოვრების მხარეებზედ. ეს მანდილოსანი მტკიცე საძირკველია კოსტანტინეს ოჯახში. იგი სანაქებო რძალი იყო თავის მამათილის იაკობის და დედამთილის ანნასი. ამ მანდილოსნისაგან დამყარებულს ბურჯზედ აღმოსცენდა კოსტანტინეს მომავალი ცხოვრება, მის ძეთა სიმრავლე და განკაცება.

მეუღლე კოსტანტინესი გახლდათ ელისაბედი, ასული

თავადის მიხეილ თუმანიშვილისა. ეს მანდილოსანი დაიბადა 1834 წ. ქუთაისს. იგი იყო ქუთათურ ერთის წარჩინებულის ოჯახის ასული. თავის დროს, თუმანიშვილის ოჯახი დიდათ სახელოვნებდა არა მარტო ქუთაისს, არამედ მთელს იმერეთშიაც. ელისაბედიც თავის დროის კვალად ნამდვილი სურათი იყო იმ წარჩინებულთ ქართველ მანდილოსნების, რომლითაც მაშინ სავსე იყო ჩვენი სამშობლო ქვეყანა. ასეთ მანდილოსანთ რიცხვი ქართველებში 1860 წლამდე-კი ხშირი იყო და მის შემდეგ-კი კლება დაიწყო. დღეს ასეთ დროის პატიოსან მანდილოსანთ რიცხვი დიდათ ნატამალობს. როგორც ვიცით, ელისაბედ მიხეილის ასული დიდის კრძალვით ყოფილა აღვსილი, წარჩინებულის ზნისა და ხასიათის ქალი, თავის დროის მაღალი სათნოების გავლენის ქვეშ აღზრდილი. მისი მშობლებიც ცნობილნი არიან ვითაარცა ნამდვილ ჭეშმარიტ ქართველ მეოჯახენი, ქრისტიანობის და ადამიანობის კაცთ მოყვარეობის სხივებით დაჯილდოვებულნი. რა ზნისა და პატიოსნებისაც ელისაბედის მშობლები გახლდნენ, ისეთივე ელისაბედი იქმნა, მშობლის სათნოება ელისაბედსაც გაჰმოყა უხვად.

ელისაბედი, თავის დროის კვალად, განსწავლულ იქმნა ქალაქ ქუთაისს. მან მიიღო საჭირო სწავლა. შეისწავლა თითქმის ყველა საქმეთა კეთების ცოდნა, რის ცო-

დნასაც მაშინდელ ქართველ კეთილშობილ ოჯახის ასულთათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა. ელისაბედი დაჯილდოვებული იყო ამ ღირსებით, ძნელად რომ მის დროს ამას ვინმე ქალი შესდრებოდა ოჯახის და სხვა და სხვა საქმის კეთების ცოდნაში. მაშინ, მაინც ჩვენში, ის ქალები იქებოდნენ და იდიდებოდნენ, ვინც ცხოვრების ასპარეზზედ საჭირო მხარეების ცოდნით აღმოსჩნდებოდნენ. ელისაბედი თავის დროის კვალად ქართული მწიგნობარიც იყო. მან ქართული წერა-კითხვა მშვენიერად იცოდა. წერა-კითხვის ცოდნით იგი დაბრძნილს არსებას წამროადგენდა, მშვენებას და ქებას ისეთი ადამიანებისას, რომელთა მსგავსი ჩვენმა აკაკიმ ქება დიდებით მოიხსენა და რომელ ქალთა საყურადღებოდ მშვენიერი ჰანგიანი ლექსიც წარმოსთქვა. ასეთ ძვირფასს მანდილოსნებს ჩვენი მწერლები დიდის ქება დიდებით აღნიშვნენ, რადგანაც ნაყოფი მათის ამაგისა ცხადია მრავალთა წინაშე. ასეთ ქების მოწმობის ნიშანს წარმოადგენს ელისაბედ ზუბალაშვილიცა.

ელისაბედი კონატანტინეზედ დაქორწინებულ იქმნა 1853 წლებში. 1856 წ. კოსტანტინე უკვე სახლობის პატრონათ არის მოხსენებული, ხოლო უშვილოდ. კარგად სჩანს, რომ ელისაბედი და კონსტანტინე 1856 წ. ახალ ჯვარ დაწერილნი უნდა ყოფილიყვნენ. ამის მოწმობა 1856 წ. 4 ივლისიდამ არის მიცემული და როგორც აღმოჩნდა, თფილისის და ქუთაისის კათოლიკეთ ეკკლესიის „კონდაკებიდამ" 1856

წლის გასვლამდე კი კონსტანტინეს მეუღლეს ელისაბედს ვაჟი შვილი მისცემია, ანდრია. ეს ანდრია 1862 წელს გარდაიცვალა. ანდრია ჩვენ მიგვაჩნია ელისაბედის და კონსტანტინეს სიყრმის შვილად. ანდრია დასაფლავებულია თფილისის კათოლიკების სოლოლაკის სასაფლაოზედ. საფლავს აძევს მარმარილოს ქვა შემდეგის წარწერით:

– 170 –

„განსვენება საუკუნო მიანიჭე შენ უფალო აქ მდებარე ანდრია კონსტანტინეს ძეს ზუბალოვს. დაიბადა 1857 წ. მიიცვალა 1862 წ.
„Покоется прахъ Андрея Константиновича Зубалова.“

ელისაბედს დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ზუბალაშვილების ოჯახში. ეს ქალი სწორედ სათნოების სარკეა მთელს საგვარეულოს წევრთა წინაშე. მარჯვენა მხარეა, ბურჯი კონსტანტინესი, შორს მხედველ-მწურთნავი ყველასი, ჭეშმარიტი მოძღვარ მანდილოსანი მთელის თავისს შვილებისა. შვილების აღრზდაში ამ პატიოსანს გვამს დიდი ადგილი უნდა დაეთმოს. სულ ამ პატიოსანი ადამიანის წყალობა გახლავსთ, რომ კონსტანტინეს შვილები ასეთი მაღალის იდეალებით აღვსილნი და გამსჭვალულნი გამოვიდნენ. ერთის სიტყვით, ეს ქალი სამთელი იყო თავისს შვილების და ოჯახის. მისგან ჭკუიერად მოწყობილი საქმენი დღესაც ანათებენ ბრწყინვით მათს ოჯახში.

ასეთი ღირსების მექონი ქალი სწორედ მაგალითი უნდა იქმნეს დღევანდელს ჩვენს კოპწია ქალების წინაშე. ასეთი დედანი იშვითია ჩვენში. ამას ცხადად მოწმობს თვით ამ ქალისაგან ადამიანურად დაზრდილი შვილების საქმე და ღირსება. ელისაბედი თავის მოძღვრებით ისე წყნარად და ჩუმად მოქმედებდა, კეთილი საქმისადმი თვის წვლილს ისე ჰფენდა და არიგებდა, რომ მის ცნობა თვინიერ კოსტანტინეს და მათის შვილების გარდა სხვამ არავინ რა იცოდა.

ეს წარჩინებული ქართველი დედა თავის შვილებისა, აღმზრდელი მათი, ბურჯი ზუბალაშვილების ოჯახისა და სანაქებო მაგალითი ქართველთა წინაშე, გარდაიცვალა 1894 წ. 60 წელს მიღწეული. მაშასადმე, ეს ქალი დაბადებულა 1834 წ. იგი ასაფლავია თფილისის ქართველ კათოლიკების სოლოლაკის სასაფლავოზე. საფლავს აძევ მარმარილოს ქვა და აქვს შემდეგი წარწერა:

– 171 –

„განსვენება საუკუნო მიანიჭე შენ უფალო ელისაბედ მიხეილის ასულს ზუბალაშვილისას, 60 წლის, მიიცვალა. 1894 წ. 16 იანვარს“.

ელისაბედ მიხეილის ასული იყო დიდათ მოყვარე მღვთისა, ეკკლესიისა და სამღრთო წერილისა, აგრეთვე პატივს

სცემდა ვრდომილს ხალხს. შეძლებისა და გვარად მას დახმარების მიცემაც ძლიერ უყვარდა. დახმარებას აძლევდა ეკკლესიებს, სამღვდელო პირებს, იცოდა სხვადასხვა შეწირულება-და ნამეტურ დიდის სასოებით ეხმარებოდა ღატაკს ხალხს, მოხუცებულთ, უძლურთა და სნეულთა. თავის შეძლებისა და-გვარათ ღარიბ მოსწავლებსაც კარგად ეხმარებოდა როგორც ელისაბედი, აგრეთვე კონსტანტინე ზუბალაშვილიც. ამათი ასეთი დახმარება ღატაკთ იმ დროსაც კი არ მოკლებიათ, როცა თვით მათაც განსაცდელი ადგათ კარს. ესენი თავიანთ სიკვდილის დღემდე დაშთნენ ასეთის თვისებით. ამ მანდილოსნის ქებას მოიხსენებენ თფილისს, გორს, ქუთაისს და ბათუმს გარდა ახალციხესაც, ივლიტას, ხიზაბავრას, ართვინს და თვით შავშეთის კათოლიკეთ ეკკლესიების მოხუც მღვდელნიც.

იქით თქვენ ისეთ მოხუცს მღვდელს ვერ ნახავთ, რომ მას თფილისში ყოფნის დროს ელისაბედისაგან რამე დახმარება არ მიეღოს. ეს მანდილოსანი იქამდე მღვთის მოსავი გახლდათ, რომ თფილისიდამ ახალციხის მაზრის სოფელ ივლიტის ეკკლესიისთვის აღთქმაც ჰქონია დადებული. ერთხელ ყოფილა კიდეც, ერთ კვირას დარჩენილა იმ ღატაკი ეკკლესიის გვერდით და იქ ყოფნის დროს შეუწირავს შემდეგი ნივთები: ბარძიმი და ზიარების შესანახი კიდობანი, ხალიჩა და ვერცხლის ტაბლა. ამავ დროს, სხვა ზუბალაშვილის ქალებიც იყვნენ აქაო, მითხრა ივლიტიის ეკკლესის ქართველთ კათოლიკეთ მოძღვარმა თომა ჩილინგარიანმა. ამ მოძღვარმა დიდის აღტაცებით და ქებით მოიხსენა ეს პატიოსანი მანდილოსანი

და მისი მეუღლე კონსტანტინე ზუბალაშვილი. იგინი დახმარებასაც დაგვპირდნენ ამ ეკკლესიის მლოცავთა და ღამის მთეველთა სახლის ასაშენებლათაო.

სანაქებოა აგრეთვე ამ ქალის ის აღმატებული თვისება, რომ მან ქართულს წერა-კითხვასთან იცოდა ცნობები ქართველთ მაჰმადიანთ შესახებ და დასავლეთ საქართველოში მყოფ გათათრებულ ქართველთა. ეს მანდილოსანი ამ ხსენებულ კუთხეში მცხოვრებ კათოლიკებს დიდს ყურადღებას აქცევდა და ამას გარდა დიდათ ენატრებოდა ქართველ თათრებში კვალად ქრისტიანობის მოფენა და ქართველობის პატივის ცემის გადღესასწაულება. სულით და გულით იყო აღვსილი ასეთის მიდრეკილებით, მთელს ძალას შეალევდა მას, ოღონდ მოსწრებოდა ქართველთ მაჰმადიანებში ქრისტიანობის ვრცელებას. საუბედუროდ, მისს დროს, ქართველთ მაჰმადიანებთ შესახებ ბევრი არა ვიცოდით რა. ის იყო ჩვენს მწერლობაში მათ შესახებ კითხვა აღიძრა და სწორეთ ამ დროს ელისაბედიც გარდაიცვალა. წარჩინებულის ელისაბედის თვისება მისს შვილებსაც მემკვიდრეობათ გარდმოეცათ. შვილები დედ-მამის მცნებით არიან აღზრდილ-ავსილნი. ამით იგინი სანაქებონი არიან და მრავალთაგან ყურადღების მისაპყრობ-

ნიც. მადლობა გარემოებას, რომ პატიოსანს ელისაბედს თავისს სიკვდილის შემდეგ შვილებისათვის კარგი მზრუნველი მეუღლე დაურჩა, ღირსეული პირი, შესადარი ელისაბედისა. მოკლეთ უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც ელისაბედი, ისევე მისი მეულე კონსტანტინე ერთს სანაქებო ქართულ სუფთა ოჯახის წარმომადგენლებათ ირიცხებოდნენ თავიანთ დროს,

განსვენებულმა ელისაბედმა, ერთ ზაფხულს ჯავახეთში და მესხეთში მყოფმან, დიდს სიღატაკეში იხილა ახალციხის იოანე ნათლის მცემლის ეკკლესია, რომელიც იქცეოდა მაშინ და იქცევა დღესაც. ასეთსავე სამწუხარო მდგომარეობაში იყო დ არის დღესაც ახალციხისავე კათოლიკეთ საერო სკოლის საქმე. შეუძლებლობის გამო სკოლისთვის თვით მასწავლებელიც არ ჰყვან-

დათ. ასეთსავე მდგომარეობაშია ივლიტის ეკკლესია. ეს ნაშთი ძველის დიდის ისტორიულის ტაძრისა ლამის დღეს სულაც მოისპოს, აღარა დაშთენილა-რა. ამ ეკკლესიას დიდი მლოცავი ჰყავს, მაგრამ თვით-კი მეტად ღატაკია, ლამის დაიქცეს. მლოცავთათვის ხომ შენობაც არ არის. ეხლა აშენებენ რის წვალებით და ისიც რის ვაივაგლახით. ყველა ეს ადგილები თავისს სიღატაკით ელისაბედს ადრე უნახავს. მას სურვილი აქვნდა მათის დახმარების, მაგრამ დახმარება ვეღარ მოასწრო, საქმე სხვაფერ მოემართა. ამასობაში მის სიკვდილიც მოჰყვა. განსვენებულს დღესაც მოიხსენებდნენ ხოლმე ჩემს მგზავრობის დროს და თან იგონებდნენ მისს კეთილ ქრისტიანურს ადამიანობას დ შეუდარებელს სამაგალითო საქმით, თვისი გავლენა უნდა დაემჩნია და შეძლებისა და გვარად უნდა ევნო კიდეც, მაგრამ არა, აქ ეს ასე არ მოხდა, რადგანაც ამ პატიოსან ადამიანისგან ყველაფერი რიგზედ იყო დაყენებული, ყველაფერი კარგად მოწყობილი და შვილებიც კარგად, კარგის მამულის შვილობით აღზრდილნი. მე არა მგონია, რომ ჩვენში გამოჩნდეს სადმე ისეთი პირი, რომ მას ელისაბედისაგან სწყენოდეს რამე. ყველა ლოცავს და ადიდებს მისს ხსენებას. მართალია, დაპირებას ვერ მოესწრა, მაგრამ მისი კეთილი რჩევა მაინც განგვეცხადა ჩვენა, რომელიც ადამიანის ღირსებას დიდად ასპეტაკებს და ეს ღირსება ქართველ კათოლიკებსაც სულით ამაღლებს.

დიახ, მე ვიმგზავრე ჯავახეთი, შავშეთი და ბევრიც სხვა ადგილები და უნდა მოგახსენოთ, რომ ჯავახეთის და მესხეთის ქართველთ კათოლიკობა დიდს სიღატაკეში ვნახე. მთელს ახალციხის ქართველ კათოლიკებს არა აქვსთ ერთი ფართო ეკკლესია. ძველი ეკლესია ლამის დაიქცეს და შიგ მოჰყვენ მრევლნი. არა აქვსთ სკოლა, სულ უბრალო სკოლა, რომ იქ მთელ ახალციხის ღარიბ ღატაკ კათოლიკის შვილებმა ანბანი ისწავლონ. ეკკლესია და სკოლის საქმე სწორედ წყალ-წაღებულ კაცის მდგომარებას ჰგავს. ერთი სახალხო სამკითხველო აქვსთ და სიღატაკის გამო ლამის ისიც დაიკეტოს.

სულ უბრალო დაუხმარებლობის გამო, ლამის მოისპოს. მთელი მესხეთის და ჯავახეთის ქართველ კათოლიკობა ერთ შვილსაც ვერ ზრდის სამოსწავლებლო ინსტიტუტში, ან სხვაგან სადმე. ერთი ახალციხელი კათოლიკის შვილი არ სწავლობს სადმე უმაღლესს სასწავლებელში. ასეთსავე შესაბრალის მდგომარეობაშია სოფელ უდის ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიის მდგომარეობა. ეკკლესია დაძველდა, ჭერი შუაზედ გარღვეულა. სოფელში 2000 სულზედ მეტი არის, მაგრამ სიღატაკის გამო ვერა მოუხერხებიათ-რა. თქვენი მტერი, ერთ დღეს ეკკლესიამ რომ იგრიალოს და რამე უბედურება ეწვიოს, შიგ 400-500 ქართველ კათოლიკეთ სულს გაჟლეტავს. დიდი ცოდვა და დიდი უბედურება დატრიალდება.

წარჩინებულის ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ თუმცა კონსტანტინე ბევრს რამ სიმგლოვნეს თავს არ უხრიდა და გაუტეხავი ბუნების კაცი გაუტეხავათ იდგა, მაგრამ სისუსტეს-კი მაინც თავისი გაჰქონდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სულ შვიდი წელიწადი-ღა იცოცხლა. უკანასკნელ, ხანგრძლივს ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა 26 მარტს 1901 წელს, ქ. თფილისს. მისი გარდაცვალება დასაკლისი იყო მრავალთათვის და ნამეტურ ქართველ ღატაკთათვის. კონსტანტინეს დასაფლავება მოხდა 3 აპრილს, ე. ი. აღდგომის მესამე დღეს. გვამი გამოასვენეს მისის საკუთარის სახლიდამ. პატივის ცემა საერთო იყო და ყველასაგან წრფელის გულით მიძღვნილი. ყველა დამსწრე და არ დამსწრე ცხონებას და ქებას უთვლიდა განსვენებულს. წირვა გადუხადეს თფილისის კათოლიკების მღვთის-მშობლის ეკკლესიაში. დასაფლავება მოხდა საერთო პატივისცემით და თანაგრძნობით. სანაქებოა და დასანატრი ისეთი ერი და საზოგადოება, რომელიც თავისს ცხოვრებაში ყველა შემჩნეულ პირის მოქმედებას ჯეროვან ყურადღებას აქცევს, ყველას შრომას თვალს ადევნებს და იმას თავისს ასპარეზზედ მნიშვნელობას არ უკარგავს, თავის დროს შესაფერათაც აფასებს.

რაც გინდ მცირე იყოს, რაც გინდ განკერძოებულის

თვისებით აღვსილი, მაინც მას თავისი პატივის ცემა და თანაგრძნობა არ უნდა მოაკლდეს. არ უნდა მოაკლდეს, რადგანაც ყოველი ჭირი ნაწილია საზოგადო მოძრაობის და ის კიდევ მთელის არსებით სხეულია ჩვენის ტომის, ჩვენის საზოგადო საქმეების. ვსთქვით და კიდევაც ვიტყვით, რომ დასანატრია ის ერი, რომელიც თავის ცხოვრების მიმდინარეობაში ყველაფერს აპყრობს ყურადღებას და ამ ყურადღების მეოხებით ყოველთვის თვალყურს ადევნებს, ნიშნავს, ნუსხავს და მერე ეს ანუსხული ამბავი კაცად კაცთა და პატიოსან შრომათა დანაფასის თვის ისტორიაში და მწერლობაში შეაქვს

და ყოველივეს თავისს ადგილს უთმობს, თავის ქებას, თავის შესაფერს პატივის ცემას. ჩვენი ტომის ისტორია და მწერლობა არის კარი და დასაბამი იმ ძალოვნებისა, სადაც უნდა შეკრებილი, შეტანილ და აღბეჭდილ უნდა იქმნეს ყველაფერი ცნობები, რაც-კი ჩვენს ტომის ძეთა განვლილს, თუ აწმყო დროის ღირსეულს საქმეთა აღწერას შეეხება.

ჩვენ ამ დედა აზრებს ვადგევართ, ამით ვხელმძღვანელობთ და ამიტომ შეძლებისა და გვარად აქ ფართო ადგილსაც უთმობთ ჩვენგან აღწერილ პირის ცნობებს. თუ რამდენად საყურადღებოა ასეთი პირნი ჩვენგან ყურადღებისა, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ განსვენებულის გარდაცვალებამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ქართველებში. გაზეთი „ივერია“ „ცნობის ფურცელი“ „კვალი“ „მოგზაური“ და სხვანიც. აი რა განცხადება დაიბეჭდა თფილისის გაზეთებში განსვენებულის გარდაცვალების შესახებ:

„ორშაბათს, 24 მარტს, ხანგრძლივის ავადმყოფობის მემდეგ გარდაიცვალა კოსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი.

რასაც შვილნი გარდაცვალებულისა ნათესავთა და ნაცნობთა მწუხარებით აუწყებენ. პანაშვიდები გარდახდილ იქმნება ხუთშაბათს 29 მარტს, და ორშაბათს 2 აპრილს, საღამოს შვიდ საათზედ. მიცვალებულს სამშაბათს, 3 აპრილს, დილის, 10 საათზედ გამოასვენებენ საკუთარის სახლიდამ რომაელთ კათოლიკეთ მიძინების ეკკლესიაში“.

დასაფლავების დროს, ვიდრე ცხედარს ჩაასვენებდნენ სამარეში,

მინამდე სიტყვა წარმოსთქვა პ. თუმანიშვილმა. მეორე დღეს განსვენებულის დასაფლავება და წარმოთქმული სიტყვა „ივერია“-ში დაიბეჭდა, ამიტომ მოგვყავს. აქ სისრულითა.

სამშაბათს, 3 აპრილს, დაასაფლავეს თფილისში განსვენებული კონსტანტინე ზუბალაშვილი, რომლის შვილებმა დიდი შესაწირავი გადასდეს მამის მოსახსენებლად სახალხო სახლის აშენებისათვის. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ სახლის აშენებაზე დღემდე ძალიან მცირე ფული ქონდა კომიტეტს და ეს შემოწირულება საქმისათვის კარგი ხელის გამართვაა. საზოგადოებამ მიცვალებულის ჭირისუფლებს ამ გულუხვობისათვის პატივი სცა და თვით სასაფლაომდე მიაცილა. მრავალ გვირგვინებ შორის იყო სახალხო სახლის კომიტეტისაგან და თავადაზნაურთა სკოლის კომიტეტისაგან.

რამოდენიმე ცნობა შეგვიძლიან განსვენებულის შესახებ მოვიხსენოთ. მას თფილისის საზოგადოება იცნობდა, როგორც მშვიდ, უწყინარ კაცს, მის მთელ ოჯახს, როგორც მშვიდობიანად მცხოვრებ სახლობას და არა ფუქსავატად მოლხინე და უაზროდ მფლანგავებს. მისი მეუღლე იყო სათნოებით შემკული მანდილოსანი. მათი მოწყალე გული არავისთვის იყო ცხადი, მდუმარე იყო და არა მყვირალი. მარჯვენა ხელის მოწყალება არ იცოდა მარცხენა ხელმა. ზოგჯერ ქველმოქმედება დაფარული არ მოეწონება კაცს, რომ კარგის მაგალითის დამალვა არ ვარგაო, უნდა ასწავლიდეს სხვასაც მიბაძვასაო, მაგრამ კაცია და გუნება. ზოგს არ უყვარს, არ

იამება სახელის საქვეყნოდ გამოტანა.

განსვენებული კონსტანტინე ახალ გაზდობაში სამსახურში იყო, კაპიტნის ჩინით გამოვიდა და ოჯახს უვლიდა მამისაგან დარჩენილ შუათანა შეძლებით. შემდეგ ის ნავთის საქმეს შეუდგა ბაქოში. ერთ დროს ბეწვზედ ეკიდა იმისი ავლა დიდება, ასე რომ ერთი საჩენი დიდი სახლიც-კი გაეყიდა თფილისში. გაჭირვების შემდეგ საქმე გამუობრუნდა და უკანასკნელ ხანებში შეიქმნა რამდენისამე მილიონის ქონების პატრონი.

ნავთის საქმის დაწყებამდე და თვით გაჭირების დროსაც, როგორც ღვთისნიერი ქრისტიანე, მას შესამჩნევი სამსახური მიუძღვის თფილისის კათოლიკე მრევლისათვის. კუკიის პეტრე-პავლეს ეკკლესიის შენობას თავს ედგა და მისის მზრუნველობის ქვეშ დასრულდა შემდეგ მეორე, ძველ(მიძინების) ეკკლესიის სამრევლო სკოლის შენობა მისისავე თავოსნობით, ხოლო საეკკლესიო ფულით აშენდა დიმიტრი თუმანიშვილის წინამძღვრობის დროს. ეს სკოლა ძველი სამრევლო სკოლაა, რომელიც დაფუძნებულია თფილისში 1630 წლებში. ახალი შენობა უფრო დიდი და ვრცელია. შემდეგ ამ შენობის დამთავრებისა, მისისავე მონაწილეობით შეკეთდა მიძინების ეკკლესია განსვენებულისავე პატრის თუმანიშვილის წინამძღვრობის დროს. იგი დიდ ხანს იყო ეკკლესიის მზრუნველთა წევრად და ერთგულ მოღვაწედ.

ამასთანავე, როგორც მოვიხსენეთ, განსვენებული და მისი მეუღლე იყვნენ მუდმივი ნუგეშის მცემელნი ღარიბთა და გაჭირვებულთა. თუ მათის სიცოცხლის დროს ეს გულმოწყალება ფარული იყო, სიკვდილის შემდეგ მაინც უნდა მოვიხსენოთ და ვიცოდეთ.

ამ გვარად, განსვენებული კონსტანტინე გაჭირების დროსაც და სიმდიდრის დროსაც ეხმარებოდა ხალხის და ადამიანის სულიერ წარმატებას ეკკლესიისა, ან სკოლის აშენებით და შინაურულად ღარიბთა შემწეობით. ეკკლესია და განათლება ხალხისა ორ დიდ საგნად მიაჩნდა და ემსახურებოდა.

ეს მაგალითი რომ შვილებსაც გადაეცა, ამის დამამტკიცებელი ახალი შემოწირულებაა, რომელიც ამ დღეებში მათ გადასდვეს ღირსეულ მშობელთა მოსახსენებლად“.

დასაფლავებაზე დიდ ძალი საზოგადოების დასწრების დროს განსვენებულის დისწულმა ბ-ნმა პავლე თუმანიშვილმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა და, სხვათა შორის სთქვა:

„გულ-კეთილობით მიისწრაფებოდი ღვთის სამსახურისკენაც. ამას მოწმობს კუკიის წმინდა პეტრე-პავლეს ეკკლესია, რომელიც აშენებულია შენის მზრუნველობით და მეცადინეობით. თუმცა შეგეძლო

გეცხოვრა განცხრომაში, უშრომელად, მოსვენებული, მაგრამ შრომის სიყვარულმა არ მოგცა შენ მოსვენება.

„შენ სცდილობდი შენის ოჯახის დაწინაურებასა და შენი გულის მხნეობით და გაბედულობით შეები დიდ საქმესა, რომელმაც შეარყია შენი კეთილ-მდგომარეობა და ჩაგაგდო დიდს გაჭირვებაში. მამაცურად ებრძოდი გაჭირვებასა, მოთმინებითა და მხნეობით იბრძოდი შენ იმ საშიშარ მორევში და ვერ დაგცა შენ გაჭირვებამ. იბრძოდი შენ ჯან გატეხილი, წელში მოხრილი, შეუდრეკელი მამაცურადა... შენ იღუპებოდი, მაგრამ მაინც არ დაეცი, მაინც ფეხზე იდექ, მაინც იბრძოდი“. ყოვლად მოწყალე უფალმა მოგცა შენ გამარჯვება, და მოგევლინა შენ ზეცით სასწაული და აავსო უფალმა სახლი შენი მოწყალებითა თვისითა.

„ასე, ამ დიდის წყალობითა უფლისათა დაგვირგვინდა ხანგრძლივის შრომითა, მოთმინებითა, სიმტკიცითა, მხნეობითა შემკული სიცოცხლე შენი, ნაკურთხი შენის მეუღლის ელისაბედის წმინდა ცრემლითა. აქ მოისვენე. – შენი შვილები არ დაგვიწყებენ და თავიანთ კეთილობით ემსახურებიან უკვდავ სულსა, ემსახურებიან ამ სოფლად შენს სახელსა და აგიგებენ კეთილ ხსენების ძეგლსა, რომ იყო ნეტარ სახსენებლად სამშობლოში, ქართველ ხალხის განათლებით...

„სასუფეველი დაემკვიდროს სულსა შენსა ზეცაში და ნეტარ ხსენების სახელი მრავალთა საუკუნეთა განმავლობაში დარჩეს სამშობლოში, რომელსაც ეკუთვნი დაბადებითა, სიცოცსლითა, საფლავითა.“

მიცვალებულის მოსახსენებლად თფილისის ეკკლესიებს გარდა, სხვა ეკკლესიებშიაც გადაუხადეს წირვა და პანაშვიდი. ბათუმის ეკკლესიაში გარდახდილი წირვა და პანაშვიდის შესახებ „ივერიაში შემდეგი წერილი იყო ბათუმიდგან მოთავსებული, რომელიც მგვყავს აქვე.

„ბათუმი, 16 აპრილი. ბათუმში, რომის კათოლიკეთ ერთა კონსულების თანადასწრებით დიდის ამბით გარდაიხადა პანაშვიდი ტფილისში გარდაცვალებულის განსვენებულის კონსტ. ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად; მწირველი იყო მძიმე

ძაძებში შემოსილი ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი მამა ანსელმო მღებრიშვილი. ჰგალობდა ორღანზედ დედათა მგალობელი გუნდი და ძვირფასის ცოცხალის ყვავილებითა და ნერგებით სამგლოვიაროდ მდიდრულად მორთული კუბო თავისთავად იწვევდა კითხვას, თუ რით ან როდის დაიმსახურა განსვენებულმა ზუბალაშვილმა ბათუმის კათოლიკეთა ასეთი პატივისცემა, რომელსაც თითქმის არავინ იცნობდა პირადად.

ისტორიული მხარე აღნიშნულის მოვლენისა და პასუხი გამოწვეულის კითხვისა იმდენად საგულისხმო და საყურადღებოა, რომ სწორედ ცოდვად ჩასათვლელი იქნებოდა, რომ მიზეზი ამისი არ აღვნიშნოთ, მით უმეტეს, რომ ბათუმის კათოლიკეთა უმრავლესობას შეადგენენ ეროვნებით ქართველები და თვით განსვენებულიც ეკუთვნოდა უძველეს შეძლებულ ქართველ მოქალაქეთა ოჯახს, რომლის შთამომავლობასაც სავსებით გაუმართლებია თქმულება: „ყოველივე ხე კეთილი ნაყოფითა მისითა იცნობებისო“.

როგორც მოგახსენეთ, განსვენებულს პირადად ბათუმში

არავინ იცნობდა, მაგრამ განსვენებულის ოჯახობას დიდი სულიერი კავშირი ჰქონია ბათუმის ერთმორწმუნე კათოლიკეებთან და აი როგორ:

რამდენისამე წლის წინად გარდაცვალებულის კონსტ. ზუბალაშვილის მეუღლეს, ასულს იმერეთში განთქმუთ თავადის მიხეილ თუმანიშვილისას, რომლის დიდი ღვთისნიერება და ჭეშმარიტი ქრისტიანული გულუხვობაც არა თავის გამოსაჩენად, არამედ ფარულად მოწყალების გაცემა დღესაც საარაკოდაა გადაქცეული მისს ერთმორწმუნე კათოლიკეთა შორის, წმიდადა სწამებია, რომ „სარწმუნოება თვინიერ საქმისა კვდარ არს". ამ კეთილს ქრისტიანეს გარდაცვალების ხანს სიტყვიერად დაუვალებია თვისის თანამოაზრე ვაჟიშვილისათვის, რომ ამან უკანასკნელ ომის დროს შემოერთებულ გამაჰმადიანებულს საქართველოში მისის სულის მოსახსენებლად „წმიდა ტაძარი“ ააგოს ერთმორწმუნე კათოლიკეთა სულიერ და გონებრივ საზრდოს მისაწოდებლად. ამ დიდის შეწირულებისა

და სურვილის განსახორციელებლად განსვენებულის ოჯახობას უსარგებლნია იმითი, რომ ბათუმში მრავლდებოდნენ კათოლიკენი და, რადგანაც ევროპიელ კათოლიკეთ სომეხ კათოლიკეთა წესრიგი და მათთვის გაუგებარი სომხური ენა და ამ ენაზედ წირვა ლოცვის აღსრულება არ აკმაყოფილებდა, ამათ თავიანთის კონსულების შუამდგომლობით მთავრობისაგან ნებართვა გამოუთხოვნიათ, რომ ახალი რომის კათოლიკეთა ეკკლესია აეგოთ იმ გეგმით, რომელიც ცნობილმა ხუროთ-მოძღვარმა ბ-ნმა ბაგუისკიმ შეადგინა და უნდა დაწყებულ დამთავრებულიყო კერძო შეწირულებით. ჯერ ორი წელიწადი არ არის, რაც ხსენებულის ეკკლესიის აგებას შეუდგნენ, მაგრამ განსვენებულის ზუბალაშვილის ოჯახის წევრთა უხვი შეწირულების წყალობით (დღემდე თავიანთ წილად ასიათას მანეთამდე ჰქონიათ დახარჯული), აგრეთვე განკარგულების მიმცემთა სასახელოდ შენობა წრეულს დამთავრდება, რომელიც ბათუმის ერთ საუკეთესო მორთულობას შეადგენს. რაც შეეხება აღთქმულს „გონების საზრდოს“, ე. ი. სამრევლო სკოლის აშენებას, როგორც ისმის, ამას შეუდგებიან ეკკლესიის სრულიად დამთავრების შემდეგ.

ყოველივე ესა და აგრეთვე ის გარემოება, რომ ზუბალაშვილებმა ტფილისში სახალხო სახლის ასაშენებლად უხვი შეწირულება (170,000 მან.) გაიღეს, ნათლად ამტკიცებს, რომ მათ მხოლოდ ერთ მორწმუნე კათოლიკეთათვის არ უზრუნიათ და ყველას პატივისცემა და ყურადღება ღირსეულად დაუმსახურნიათ“.

ასეთის პატივის ცემით გადუხდიათ ბათუმში წირვა და პანაშვიდი. აღსანიშნავია აქ ის გარემოებაც, რომ ბათუმში ქართველ ქათოლიკეთ ეკკლესიის გაკეთების საქმე პირდაპირ კოსტანტინე და მის მეუღლე ელისაბედს ჰკუთნებიან და არა სხვათა, როგორც ეს ჩვენ აქამდე გვაგონა. კმარა ამის დასამ-

ტკიცებლათ დავასახელოთ თუნდ ის გარემოებაც, რომ განსვენებულს ერთ ხნობით 100 ათასი მანათი მიუცია, ეს ფულლი არ ჰყოფნია და შემდეგ კიდევ გამოართვეს 60 ათასი მა-

ნათი. მოკლეთ უნდა მოგახსენოთ, რომ ბათუმის ეკკლესიის საძირკველი ამათი ფულით არის ჩაყრილი და ამართული. ასეთ სამაგალითო თვისებით როგორათაც კოსტანტინე, ისევე მისი შვილები მეტად ბრწყინვენ. თფილისის სახალხო თიატრის აღსაგებათ ამათგან დაენიშნა 170 ათასი მანათი, 1901 წ. აღდგომის სადღესასწაულოდ, თფილისის გაზეთების რედაქციებს 2000 მანათი გადასცეს და თან დაავალეს, რომ ეს ფული თფილისის ღარიბებს დაურიგეთო. 2500 მანათი „შრომის მოყვარეთა" საზოგადოებას შესწირეს. 3000 მან. ქუთაისის კათოლიკების ეკკლესიას. 3000 მან. თფილისის კათოლიკების ეკკლესიას, 3000 მან. გორის კათოლიკების ეკკლესიას, 2000 მან. თფილისის კათოლიკების სოლოლაკის ეკკლესიის სასაფლავოს გალავნის გასაკეთებლათ. 2000 მან. თფილის კათოლიკეთ ფერისცვალების ეკკლესიის მახლობლივ „სავარდისის ძმობისთვის". 75 ათასი მან. მისს მახლობლივ ნათესავთა და მოსამსახურეთა სასარგებლოთ. 15 ათასი მანეთი ერთს ქართველ გვარის კათოლიკეს, რომელიც დღეს სომხობს და მრავალნიც სხვანი ენით დაუთვლელი და უთვალავი. ამ საქმეთა მოწყალებისთვის განღებული ფულის რიცხვი ვიცით ჩვენა და ახლა რამდენი კიდევ სხვა მომხდარა, ჩუმათ, რომელიც არავის გაუგია, ამას ვერ მოვსთვლით, ვერ ავნუსხავთ. ვინ იცის, რამდენჯერ, რამდენ ალაგას და რამდენი ფული ამათგან გაცემულა სამადლოთ.

უადგილო არ იქმნება, მოგახსენოთ აქ ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ დროს კოსტანტინე ზუბალაშვილი ჩვენი მწერლობის ასპარეზზედ ქართულ ისტორიულ მწერლობას დიდათ აფასებდა და პატივს სცემდა. ნამეტურ იგი საჭიროთ სთვლიდა ქართველ კათოლიკეთ შესახებ წერილების წერას. მე რომ „პატრი ნიკოლა“ დავბეჭდე, ეს წიგნი მას ძლიერ ესიამოვნა. განსვენებულმა ინატრა, რომ კარგი იქმნება ქართველ კათოლიკების ეკკლესიები აღიწეროს და ყველა ის მასალები, რაც-კი ჩვენს წარსულს ეკუთვნის და ისტორიასაო. განსვენებულმა მაშინათვე განაცხადა თავის მხრით სრული თანაგრძნო-

ბა და ბეჭდვაში დახმარების აღმოჩენა. ჩვენ მაშინაც ბევრი მასალები გვქონდა შეკრებილი და იმის აღწერის სურვილიც განუცხადეთ, რაც-კი მან ინატრა. მას შემდეგ, ე. ი. 1806 წლიდგან ჩვენ შეუდექით და ბევრი რამ მასალები ავსწერეთ. ავსწერეთ კათოლიკეთ ეკკლესიები, ისტორიული მასალები, ძველ ქართველ კათოლიკეთ მოძღვარნი, პატრები, მათგან დატოვებული ქადაგებანი, სხვა და სხვა ძველი წიგნები, ეკ-

კლესიის წარწერანი, საფლავის ქვების წარწერანი, ხატებისა, ძველის „კონდაკებიდამ“ გამოვკრიბეთ მონათვლის, ზიარების, ჯვარისწერის და გარდაცვალების ცნობანი და მრავალიც სხვანი, რაც ყველა ეს ვრცელ ტომს შეადგენს.

ერთხელ წარმოსთქვა განსვენებულმა ასე: – „მასალები თუ შეიკრიბა, მერე კი იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი გვარ-ტომობის ცნობანი ნათლად გაირკვევა“. დიახ, მასალები იკრიბება და კითხვებიც ნელ-ნელა ნათლად ირკვევა, ხოლო ამ საყურადღებო კითხვების დაბოლოვებას-კი იგი ვერ მოუსწრა. ასეთის საქმეთა სასარგებლოდ ერთ დროს, რომში მცხოვრებ, ერთ ქართველ სასულიერო პირს, დახმარებაც მისცეს, ოღონდ შენ კი ვატიკანის და ევროპის წიგნთ-საცავებში ქართველ კათოლიკეთა შესახებ მასალები ჰკრიბე და დასაბეჭდად ამზადეო.

ასეთის შეხედულების გახლდათ განსვენებული ქართველ კათოლიკეთა შესახებ, იგი ყოველთვის იმედოვნებდა და ამბობდა: „რომ მადლობა ღმერთს, რაკი ქართველობამ განვლო საშუალ საუკუნოები და ის შავი და ბნელი დღეები, რა-კი ეს ერი და ქვეყანა მაშინ არ მოისპო და არ გაქრა, დღეის შემდეგ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ქართველობა წინ წადგამს ფეხს, ყველა საქმეთა ასპარეზზედ შნოსა და ენერგიას გამოიჩენს. ერთ სამშობლოში მჭიდროთ დასახლებული ერი, ერთი ენით მოლაპარაკეს არა უშავს-რა კათოლიკენი მალე იქმნებიან ქართველად ცნობილნი". ასეთის შეხედულებისა იყო განსვენებული კონსტანტინე ზუბალაშვილი ჩვენს ცხოვრებასა და მდგომარეობაზედ. იგი ჭეშმარი-

ტი ნიშანია იმ არსებითის მოძრაობისა და ქართულის მიმართულებისა, რაც 1830 წ. ს. დოდაშვილს, ნ. ბარათაშვილს და სხვათა წარჩინებულ მწერალთაგან აღორძინდა და მოიფინა. განსვენებულმა მთელი თავისი სიცოცხლე დაუცხრომელ შრომით გაატარა და მით უნათლესად აღბეჭდა თვისი კვალი ნავალ გზაზედ. დღეს, ეს დარჩენილი კვალი საკმარისად ხატვენ მისს ღირსებას და მნიშვნელობას.

თუმცა ჩვენ აქ კონსტანტინეზედ ასე ვლაპარაკობთ, თუმცა კეთილ-განზრახულებათა საქმეში მას ვაწერთ ყოველივეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მის სისრულეში მოყვანა-კი განსვენებულის შვილებს ეკუთვნის, ნამეტურ სტეფანეს, პეტრეს და იაკობ ზუბალაშვილებს. ამ პატიოსან პირთა კეთილ-კრძალულება და ხალხის სიყვარული გახლავსთ, რომ ყოველივე კეთილი აღსრულებას ეძლევა, თორემ რამდენი მაგალითები ვიცით, რომ მამებს რამე კეთილსაქმეთა ნატვრა ჰქონიათ, განძრახვაც დიდი, მაგრამ მათ სიკვდილის შემდეგ შვილებს-კი არაფერი გაუკეთებიათ, ყოველივე მამისა დაშთენილა უმნიშვნელოდ, ამაოდ. ასეთ პირთა საქმისაგან შორს სდგანან ზემოხსენებულ პირები და იგინი თავიანთის მოქმედებით ანათებენ და აბრწყენენ თვის მამის მოგონებას და მათ ღირსებასაც.

ვიტყვით, რომ ასეთ პირნი ჩვენს დროში ერთობ იშვიათია, სამთლით საძებ-საპოვნი.

—

ქართული სიტყვის საქმედ ქცევა

სტეფანე კონსტანტინეს ძე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები და ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველებში, სიტყვის თქმა ერთობ ადვილია, ნამეტურ დაპირება, დაპირება რასაკვირველია უხვის ქველმოქმედებით. ჩვენში, ე. ი. ქართველებში, ბევრს ალაგას თქმულა დაპირება რომელიმე კეთილ საქმისა-

დმი, მაგრამ დაპირება ყოველთვის ცარიელ ჩონჩხად დაშთენილა და საქმე კი არა გაკეთებულა რა. ამ მხრით ქართველები ისეთი ბედოვლათები გახლავართ, რომ ჩვენში ასეთ გულგრილობის გამო ანდაზებიც კი თქმულა ძველადგან. მაგალითად ერთს ანდაზას აქ მოგახსენებთ. ქართლში, ერთ თავადისშვილის ოჯახში დიდი ლხინი იყო გახურებული. ლხინში მომღერალნი და მესაზანდრენი ერთობ კარგად ასრულებდნენ თავიანთ ვალს, მსმენელნი აღტაცებაში მოჰყვანდათ. ერთმა ნასიამოვნმა სტუმართაგანმა დაიძახა:

– საზანდრებო! თქვენ, ისე მშვენიერად უკრავთ და მღერით, რაისა გამო მე მიბოძებია თქვენთვის ერთი ურემი პური.

ასევე სხვებმაც მიუგეს, მესაკრავენი უფრო ეშხზედ მოვიდნენ, უფრო კარგად დაუკრეს. მეორე დღეს, მესაკრავენი დაპირებისამებრ მივიდნენ ერთ მოქეიფეთაგანს და სთხოვეს დანაპირები. დამპირებელმა მოისმინა თხოვნა და ასეთი პასუსხი მისცა:

– აბა ერთი მითხარით გეთაყვა, თუ მე რა უნდა მოგცეთ. თქვენა მღერობდით კარგად, მე მესიამოვნებოდა, თქვენ გეუბნებოდით მე დაპირებას და თქვენ გესიმოვნებოდათ. ასე, რომ თანასწორნი თანასწორნი გახლავართ და ამიტომ შეგიძლიანთ წაბრძანდეთ იქით საიდამაც მოსულხართ.

ამ გვარ საქმეთა მეორე მაგალითს შეადგენს შემდეგი: ქართველი კაცი თუ პატარას აიწევს ცხოვრებით, მერე მშვიდობით, ის თავის ტომს აღარაფერში აღარ გამოადგება. მისი ადამიანობა მისთვის ამაღლებით დასრულდება. ასეთ საქმეთა და კაცთა შესახები ცნობები ჩვენ ერთობ ბევრი გვინახავს და ბევრსაც ვნახავთ კიდევ. ეს მხარე ქართველის კაცისა იქამდე საგულისხმოა, რომ მას ქართველმა მგოსნებმა ლექსებიც კი მიუძღვნეს. ასეთ კაცთა ჯგუფისაგან მკაცრად გაირჩევა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი თვისის ძმებით და ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილი.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი არის ისეთი

კაცად კაცი, რომელმაც სიტყვა და მისი მნიშვნელობა ერთობ

კარგად იცის. იგი არის ჭეშმარიტების საუნჯე, სიტყვის პა-
ტრონი და საქმის მკეთებელი. მან რაც კი სთქვა და დაჰპირ-
და ქართველობას, ყოველივე, იგი შეასრულა. სიტყვა საქმედ
აქცია. დღეს მის სიტყვის ნაყოფს უკვე ვხედავთ, საქმენი
კეთდებიან, სიტყვა საქმეს ეძლევა. ბათუმში გაკეთდა მშვე-
ნიერი ეკკლესია, რომლის ხარჯიც მთლად სტეფანემ გადაიხა-
და. დღეს ეს ეკკლესია მშვენება არის თავის სანახაობით.
თფილისში უკვე კეთდება სახალხო თიატრი და ესეც უეჭვე-
ლია ამ ერთის წლის განმავლობაში უკვე დასრულდება. კედ-
ლები უკვე ატანილია, მხოლოდ დახურვა აკლია. ცხადი სა-
ქმეა, რომ ესეც მალე შესრულდება. ამ საქმის გაკეთებით თფი-
ლისის მდაბიო ერს ეძლევა შემთხვევა, რომ მათაც ისარგებ-
ლონ და რიგიანად გაკეთებულს თიატრში იარონ. ჩვენ დრო-
ში ასეთი საქმე მდაბიოთათვის არ უნდა იყოს უმნიშვნელო
და ამიტომ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ამ საქმის მკეთებელს
კარგი გული და სიყვარული არ ექმნეს ჩვენი მდაბიო ხალხი-
სა, ეს შეუძლებელია.

ამ ჩინებული თიატრის გაკეთება მოწამია იმ უტყუარის
ჭეშმარიტების, რომ სტეფანე ზუბალაშვილს და მის ძმებსაც
საკმარისი სიყვარული და პატივის ცემა უნდა ქონდესთ რო-
გორც ქართველ მუშების და ხელოსნების, ისევე სომხის და
რუსებისაც. მათთვის ყველა ესენი განურჩეველია. მათ არავის
წყენა არ უნდათ, ყველას სიყვარული სურთ და პატივისცემა
და ამიტომაც სხვა მდიდრებთაგან იშვიათი ყოფილა, თით-
ქმის არას დროს არ მომხდარა არავისაგან. ამას დიდი მნიშ-
ვნელობა აქვს ქართველ ერის წინაშე და ნამეტურ ქართულ
თიატრის ისტორიაშიაც კარგს ალაგს დაიჭერს.

ქათული თეატრის ისტორია 1782 წ. იწყება. 1787
წ. თფილისში პირველად გამართეს ქართული წარმოდგენა.
წარმოდგენის მეთაური რუსეთში ნამყოფი გაბრიელ მაიორი
იყო. 1782-1793 წლამდე რამდენიმე პიესა იქმნა წარმოდ-

გენილი. მაშინდელი თეატრის ბილეთები ჩვენ ვიშოვეთ. ზედ
ასე აწერია:

„შაური ორი გაბრიელ მაიორი“. ე. ი. ბილეთი ორი შაუ-
რი. მაშინდელი პიესებიც გვაქვს დარჩენილი. 1793 წლის
შემდეგ, თფილისში, 1830 წ. ქართული წარმოდგენების
მართვაც დაიწყეს, მაგრამ ძრიელ იშვიათად. 1851 წ. კი ვო-
რონცოვის დროს, გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის წყალო-
ბით დაარსდა ქართული თიატრი, მაგრამ იგი 1860 წლამდე
უკვევ მოისპო. 1878 წ. რის ვაის ვაგლახით დაარსდა თფი-
ლისში ახალი ქართული სცენა და დაიწყეს წარმოდგენები,
მაგრამ ვაი იმ წარმოდგენების ბედსაც. შესავლის ორი წილი

თიატრის ქირაში მიჰქონდათ. მოთამაშენი ყოველთვის ცარიელნი შთებოდნენ. 1885 წლების შემდეგ გაკეთებულ იქმნა ქართული თიატრის შენობა.

ამ შენობის გაკეთებას დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ჩვენი ერის სახელოვნო მწერლობის წარმატების წინაშე და აი ეს ახალი შენობა თიატრისა, რომელიც ეხლა კეთდება ქართველის მამულის შვილის და მეცენატის სტეფანე ზუბალაშვილისაგან. ეს ხომ სახელია და სამარადისო ხსენება როგორც აღმშენებელთა სასახელოდ, ისევე ქართველის ერის წინაშე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ თიატრის არსებობა დიდს სახსარს მისცემს ქართველ ერის მდაბიოთა განკაცებას. იგი ძირითად ცვლილებას მოახდენს ქართველ ერში. ცხადია, რომ ამ თიატრის მოვლენას მომავალში ქართველთ მეისტორიენიც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ, ამაზედ არა ერთი და ორი ამბავი დაიწერება. სტეფანეს და მის ძმების ხსენებას ყოველთვის დიდის სიმპატიურის ხსენებით მოიგონებენ, შესაფერს სადიდებელს ქებისაც მიუძღვნიან.

ამ სამარადისოდ მოსაგონარს სახალხო საქმეზედ უფრო უდიდეს საქმეს შეადგენს თფილისში ქართველ სკოლის ანუ გემნაზიის შენობის კეთება, რომლის დიდი შენობაც ვერაზედ კეთდება და რომელ შენობასაც სტეფანემ და მისმა ძმებმა დიდი შეძლებაც შესწირეს. დღეს ამათი დახმარებით

კეთდება ეს შენობა. აქ განა მარტოდ ესენია სათქმელი, არა ბატონებო, ბევრი კიდევ სხვა საქმენი გაკეთებულა ამათგან ისე, რომ მისი გაკეთების ცნობა არავის შეუტყვია, არავის რა გაუგონია. ესეთი უკვდავი საქმენი ამათგან ჩვენს ერს არც მომავალში მოაკლდებათ. ამას ჰღაღადებს თვით მათი დაპირებაც. უნდა მოგახსენოთ, რომ სტეფანე ზუბალაშვილის და მის ძმების საქციელის მსგავს მიბაძვას შეადგენს ნიკოლოზ იაგორის ძის ზუბალაშვილის მოქმედებაც, რომელმაც თფილისის ღარიბ ღატაკთ თავ შესაფარ ბინათ 217,000 ათასი მანეთი შესწირა. ეს ფული, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ჩვენს დროში დიდს საქმედ და განძათ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც თფილისში ამოდოლი ფული ღარიბთა სასარგებლოდ არავის არ შეუწირავს. ნიკოლოზ ზუბალაშვილი მარტოდ ამ ქველ მოქმედებით რა არის ცნობილი, მან ბევრი კიდევ სხვა კეთილი საქმეებიც გააკეთა და დიდი ძალი ფული შესწირა თფილისის კათოლიკეთა ეკკლესიას, სკოლას, ძმობას, სხვა და სხვა დაწესებულებათა, გორის ეკკლესიას, ძმობას, სასწავლებელს, ქალების სკოლას, ვაჟების სკოლას და ვინ იცის რამდენ კიდევ სხვა დაწესებულებას. 15 ათასი მანეთი დასტოვა გორის მცხოვრებთ ქართველთ ერთ ერთის ღარიბის შვილის გამოსაზრდელათ, ესე იგი ამ ფულის სარგებელი საყოველთაოდ ერთ ქართველ ღატაკის შვილს გამოსდის. ყველა ამაზედ მნიშვნელოვანი არის ის საყურადღებო მხარე, რომ მან ჯეროვანი ყურადღება მიაქცია თფილისის მოხუცთა

და ღარიბ-ღატაკთ სნეულთა და მათ თავშესაფარ სახლის ასაგებათ ოცდა ორი ათასი თუმანიც დასტოვა. *)

ჩვენში ეს პირველი მაგალითია. ქართულს ისტორიაში მოხუცთა, ღატაკთა და შეუძლოთა ისტორია ერთობ ღატაკია. ქართველთ შორის, ასეთი თავ-შესაფარ სახლი პირველად გაკეთდა XV საუკუნეში, ერთი თფილისში და მეორე სამშვილდეს, *) სოფ. სამადლოს, რაისა გამო ამ სოფელსაც

*) ქართველთ სიგელ გუჯრები, სხვა-და-სხვა დროს დაბეჭდილნი.

მიტომ დაერქვა სახელად სამადლო. ეხლა ქართველის კაცისაგან თფილისში გაკეთდა ეს მესამე სამადლო სახლი, სადაც ქართველებთან ერთად თავს შეაფარებენ უცხო ტომის და უცხო სარწმუნოების ერნიც, რომელნიც კი სიღატაკისაგან დასჯილნი არიან. ესეც კიდევ საბუთია ქართველის კაცის ზე აღმატებულების, რომ მას თავის შვილთა და ძმათა და დათა გაჭირების დროს სხვა ტომის ღარიბთა გაჭირებაც სწამს და ორივე კი ერთად აწუხებს.

6 სექტემბერს, შაფათს, თფილისის კათოლიკეთა ეკკლესიაში, თფილისის გამგეობამან ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადაახდევინა, რომელსაც საკმარისი ხალხი დაესწრო, ხოლო 7 სექტემბერს, კვირას, საძირკველი ჩაყარეს იმ თავ-შესაფარ სამადლო სახლისა, რომლის საძირკველი კურთხეულიც იქმნა. ასე და ამ გვარად, ჩვენ აქ ვნახეთ ქართველის კაცისაგან ნათქვამ სიტყვის და დაპირების საქმედ გადაქცევა. უნდა მოგახსენოთ, ჩვენს გათახსირებულს დროში ასეთი მაგალითები ერთობ იშვიათია და ამიტომ ჩვენც აქ ამას მიტომ მიუძღვენით ცალკე წერილი. გაივლის საუკუნენი, ბევრის მდიდრის შემლება ამაოებასა და ნაცარს მიეცემა, ბევრის სიმდიდრის კედლები დაეცემა და შეიჭმება, ბევრი მდიდარი გაფლანგავს თავის საცხოვრებელს უქმათ და ნ. ზუბალაშვილისაგან ღარიბთა და მოხუც სნეულთა სასარგებლოთ აღგებული სახლი-კი არას დროს არ დაინგრევა და მომავალში რიგიან კაცთა შორის ბჭობასა და კამათშიაც პირველი ადგილი დაეთმობა. ეს სამაგალითო საქმეა როგორც ზუბალაშვილების გვარის და ღირსებისა ისტორიისათვის, ისევე ჩვენის, მთელის ქართველობისთვის.

ზუბალაშვილების

პირველ ბინათ სადგურ სოფლები და ქალაქები.

ხეთა, სოფ. სძევს გორის მაზრის, ჯავის ხეობაზედ. ეს სოფელი ძველის ძველადგანვეა ცნობილი. როგორც ზემოთაც ვსთქვით, ამ სოფელში უცხოვრიათ ძველადგანვე ზუბაშვილებს – ზუბალაშვილებს. ამ სახელწოდების სოფელი ხეთა სამეგრელოშიაც არის, ამ სოფ. მეგრელებში ზოგნი ხეითს უწოდებენ ხუთას. ხეითი საქართველოს სხვა ნაწილებშიაც არის. არის კიდევ ხრეითი და სხვანი. როგორც პირველ ბინათ სადგური ზუბალაშვილების ეს სოფელი მიგვაჩნია, ამ სოფლების დაარსების ისტორიული ცნობების არაფერია დაშთენილი.

გორი. ქ. გორი დაარსებულია ქრისტეს წინეთ, ფარნავოზ მეფის დროს. გორი ძველადგანვე ისეთ ქალაქათ ითვლებოდა როგორც მცხეთა, ართვინი და მრავალნიც სხვა ასეთ უძველეს ქალაქნი და დაბები. გორს – სახელი მიტომ დაერქვაო ვახუშტის თქმით, რადგანაც მის ახლო-მახლო გორაკებია აღმოზრდილიო *) გორის ზოგი რამ ძველი ნაშთები და ვითომც ციხეც აღუშენებია ბერძენთა ერეკლე იმპერატორს. მის დროს დაფუძნებულა გორიც. შემდგომ ამის ციხე გორისა განდიდნა ვახტანგ გორგასლანმა. XVI საუკუნემდე იგი მრავალ გზის იქმნა მტერთაგან შემუსვრილი. სიმონ მეფის დროს, გორის ციხე ოსმალთ ეპყრათ. სიმონ მეფემ წაართვა. შემდგომ სიმონ მეფის როსტომ მეფემ ეს ციხე გადააკეთა ყიზილბაშურად: – „წალკოტ-სავარდითა, დიდი ავაზანი წყლიანი, დიდ-დიდნი შვენიერნი". შემდგომ ამის ციხე ესე შემუსვრულ იქმნა. 1700 წლებში განაახლა ვახტანგ მეფემ. ვახტანგის შემდეგ ეს ციხე მრავალ გზის იქმნა შემუსვრულ. უკანასკნელ სრულიად განაახლა და გააკეთა კარგად თავადმან ივანე გივის ძე ამილახვარმან. დღეს

*) ბატონიშვილის ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 244.

ციხეში ბაღი არის და ქვეიდამ წყალიც აჰყავთ სასიალათი. მშვენიერი სახილველია და კარგი ყოვლის მიდამოთ. გორს სახლობენ ქართველნი, სომეხნი, კათოლიკენი და არსებობს კათოლიკეთა ეკკლესიაც. ქართველთა აქვსთ ოთხი ეკკლესია, სომეხთა სამი, რუსთა ერთი.

ახალციხე. ახალციხე ქრისტეს წინა დროს არის დაარსებული. ძველად ახალციხეს ლომსია რქმევია. ახალციხე დაერქვა X საუკუნეში. ზუბალაშვილები ახალციხეში პირველად გაჩნდნენ XVII საუკუნეში. აქ დაუკავშირდენ იგინი კათოლიკობას. შემდგომ აქედამ სხვა და სხვა სოფლებში გადასახლდენ.

თფილისი. თფილისი მოიხსენება თვით მოსეს „დაბადებაშიაც" თობალად. V საუკუნეში, მცხეთიდამ ვახტანგ გორგასლანმა სამეფო ტახტი თფილისში გადმოიტანა და სატახტო ქალაქად გააშენა. საქართველოს სამეფოს დასასრულამდე ესე იგი 1801 წლამდე ეს ქალაქი ირიცხებოდა საქართველოს სატახტო ქალაქად. ზუბალაშვილები აქ გაჩნდნენ XVII საუ-

კუნის ნახევარს, მეფის ვახტანგის დროს. თეიმურაზ, ერეკ-
ლე და გიორგი მეფის დროს დიდათ სახელოვნებდნენ ივანე ზუ-
ბალაშვილი, მერაბი და ანდრია. დღეს, თფილისში რამდენი-
მე ოჯახი სცხოვრებს ზუბალაშვილებისა.

ასპინძა. ასპინძაში ზუბალაშვილები XVII საუკუნის
გასულს გადავიდნენ ახალციხიდამ და დასახლდნენ. ძველად-
განვე ვაჭრობას მისდევდენ. ასპინძის ზუბალაშვილები სურსა-
თის მხრით დიდათ დაეხმარნენ მეფე ერეკლეს ასპინძის ომში.
1770 წ. ასპინძის ზუბალაშვილების ერთი ოჯახი ძალათ
გათათრებულ იქმნა. ქრისტიანი ზუბალაშვილები ასპინ-
ძიდამ ახალციხეს გადასახლდენ და თათრები კი ასპინძას დაშ-
თენ. მათი შთამომავალ მუსულმან ზუბალაშვილის ერთი კომ-
ლი დღესაც სცხოვრებს ასპინძას. მუსულმან ზუბალაშვილე-
ბის 1877 წლამდე რამდენიმე კომლი სცხოვრებდა. სამი კომ-
ლი 1877 წ. ომის შემდეგ ოსმალეთში გადასახლდნენ რო-
გორც ფანატიკები. დღეს ოსმალეთში სცხოვრებენ.

აწყვერი. აწყვერი ბორჯომის ზეით სძევს. მისი დაარ-
სება ქრისტეს წინა დროს ეკუთვნის. აქ არის მეტად დიდი
ციხე აწყვერისა და ეკკლესია აწყვერის მღვთის მშობლისა, რო-
მელიც შემუსვრილ იქმნა ოსმალთაგან XVII საუკუნეში. ვა-
ხუშტის თქმით, იგი სამიტროპოლიტო იყო და იჯდა მიტრო-
პოლიტი აქ ზუბალაშვილები აღებ-მიცემით გაჩნდნენ XVII
საუკუნის დამლევს, აწყვერში სცხოვრობდნენ XVIII საუ-
კუნის ნახევრამდე.

ხიზაბავრა. სოფ. ხიზაბავრა ახალქალაქის მაზრაში სძევს.
ეს სოფელი ძველი სოფელია. აქაურ ქართველებში კათოლი-
კობა ძველადგანვე გავრცელდა. XVII საუკუნის ნახევარს,
მთელი სოფლის მცხოვრებნი უკვე კათოლიკობას აღიარე-
ბენ. ზუბალაშვილები აქ გაჩდნენ XVII საუკუნის დამლევს.
აქ იბადება მერაბ ზუბალაშვილი 1701 წ., რომლის ვინაობა
კარგად არ ვიცით. XVIII საუკუნის შემდეგ აქ ისპობა ამა-
თი რიცხვი,

საჩხერი. საჩხერი საწერეთლოში სძევს. საჩხერეში,მეფის
სოლომონ პირველის დროს, სცხოვრებდენ ზუბალაშვილები.
სოლომონ მეორის დროს, აქ მათი კვალი მოისპო.

სიღნაღი. აქ ზუბალაშვილების რიცხვი XVIII საუკ. ნახე-
ვრიდამ სჩანს. მათი რიცხვი იქ ძველადვე რაღაც მანქანებით
გრიგორიანებთან იყვნენ დაკავშირებულნი. დღეს ამათ შთამო-
მავალ გრიგორიან ზუბალაშვილების ერთი ოჯახი სიღნახს
სცხოვრებს.

ცხინვალი. ცხინვალი სჩანს ძველადგანვე. აქ სცხოვ-
რებდნენ ძველად ზუბალაშვილების გვარის წევრნი. ვახუშტი
1737 წ. მოიხსენებს ცხინვალს. მასში ასახელებს მცხოვრებთ
ქართველთ, სომეხთ და ურიათა. კათოლიკებზედ არას ამბობს.
მას იმ დროს ქართველ კათოლიკეთ წარმოდგენაც კი არ
ექმნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ამ დროს, ცხინვალში

არამც თუ მარტოდ ზუბალაშვილების გვარის წევრნი სცხოვრებდნენ, არამედ სხვა კათოლიკენიც რომელნიც ქართველ გვარს ეკუთვნოდნენ.

– 192 –

ქუთაისი. ქუთაისს, ზუბალაშვილების გვარის წევრნი გაჩნდნენ სოლომონ პირველის მეფის დროს. შემდგომ იგინი აქედამ გადავიდნენ გურიას, სამეგრელოს და სხვაგანაც. XIX საუკუნის ნახევრამდე ამათი კვალი იმერეთში არ მოსპობილა. იმერთა მეფეთა წინაშე გამოჩენილი იყვნენ მესტამბენი: რომანოზ და დავით ზუბალაშვილები. ქუთაისში დღესაც სცხოვრობს ამ გვარის წევრნი.

წესი. სოფ. წესი რაჭის მაზრაში სძევს. იგი შესანიშნი სოფელია. იმერთა უკანასკნელის მეფის სოლომონის დროს, ქუთაისის და საჩხერის სტამბა ამ სოფ. წესში იქმნა გადატანილი. ამ სტამბის არსებობის გამო აქვე გადასახლდენ და დასახლდნენ ზუბალაშვილებიც. ზუბალაშვილები ამ სტამბაში მუშაობდენ კიდეც. ამათგან ნაბეჭდ წიგნებმაც მოაწიეს ჩვენ დრომდე. ზუბალაშვილებმა რაჭა პირველად ამ დროს გაიცნეს.

ზემოხსენებულს ადგილებს გარდა ზუბალაშვილის გვარის წევრნი ძველად და შემდეგაც სხვა და სხვა სოფლებსა და ქალაქებშიაც სცხოვრებდნენ, მაგრამ ჩვენ იმათ არ ვასახელებთ, რადგანაც იქ მათი ცხოვრება მცირე რიცხვის მცირე დროით ყოფილა ხოლმე.

– 193 –

ზუბალაშვილების გვარის წევრთა საფლავის ძმათა წარწერანი.

თფილისის სოლოლაკის ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოზედ მოიპოვება შემდეგ საფლავის ქვათა წარწერანი:

I

„განსვენება საუკუნო მიანიჭე უფალო იაკობ ივანეს ძეს ზუბალოვს. 72 წლისა გარდაიცვალა 1864 წელს.“

საფლავის ქვა არის ყვითელი და წარწერა გახლავსთ ცხადი. ამ საფლავის გვერდით ასაფლავია ანნა ზუბალოვისა, ე. ი. მეუღლე იაკობისა, რომელსაც აძევს მარმარილოს ქვა და აქვს შემდეგი წარწერა.

II

„განსვენება საუკუნო მიანიჭე შენ უფალო, აქა მდებარე ანნა ზუბალოვისას“ 68 წლისა მიიცვალა 1864 წ. მაშასადამე ეს ქალი დაბადებულა 1797 წ.

III

„განსვენება საუკუნო მიანიჭე შენ უფალო ლევან იაკობის ძეს ზუბალოვს. 29 წლისა მიიცვალა 1848 წ“.

IV

„ანდრია იოანეს ძე ზუბალოვი, მიიცვალა 77-ის წლისა, ნოემბრის 16-სა დღესა, 1847-სა წელსა.

ამის შემდეგ არის შემდეგი რუსული წარწერა:

„Андрей Ивановичъ Зубаловъ скончался 16 Нояб-
ря 1848 года на 78-го году отъ рожденія“ მერე აქვს ეს
ლათინური წარწერა:

„Reonie aeternom Donoei Domine“.

– 194 –

აქ მოხსენებული ანდრია გახლავსთ შვილი ჩვენგან მიერ კარგად ცნობილის ივანე ზუბალაშვილისა, რომელიც სცხოვრებდა XVIII საუკუნეში. ცნობიდამ სჩანს, რომ იგი დაბადებულა 1770 წ. რუსულს წარწერაში ერთი წელი წინ უზის. მის დაბადება თუ ასე იქმნა ანიშნული, მაშინ იგი დაბადებულა 1769 უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ანდრიას გარდა 1740 წლებში, მეფის თეიმურაზის დროს სცხოვრებდნენ სხვა ზუბალაშვილებიც.

V

„კნეინა მარია მაგდალინა იაკობის ასული თუმანიშვილის მეუღლე“.

„დაიბადა 10-სა ივლისს, 1823 წ., მიიცვალა 1-სა აპრილს,
1865 წელსა.“

როგორც წარწერა გაუწყებთ, ეს ქალი ყოფილა და კონსტანტინესი, ხოლო მეუღლე თავადის თუმანიშვილისა.

უნდა მოგახსენოთ, რომ თფილისის სოლოლაკის სასაფლავოზედ, ზუბალაშვილების რამდენიმე წევრთათვის ცალკე არის სასაფლავო, რომელსაც რკინის მოაჯირი აქვს შემოვლებული. ჩვენგან მოყვანილი საფლავის წარწერანი სულ აქ დასაფლავებულის ქვებიდამ არის მოყვანილი. აქვე ასაფლავია ელისაბედ მიხეილის ასული თუმანიშვილისა, რომლის საფლავსაც აქვს მშვენიერი მარმარილოს ქვის ძეგლი. ამ ქვაზე გამოქანდაკებულია მღვთის-მშობლის ხატი მლოცავის სახით. ამ სასაფლავოზედ მიცვალებული დასაფლავებულ არიან XVIII საუკუნის ნახევრიდამ. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ სასაფლავოზედ ზუბალაშვილების გვარის წევრნი ძველადგანვე იქნებოდნენ დასაფლავებულნი და მათ საფლავებს ქვებიც ექმნებოდა წარწერებით, მაგრამ მათ ჩვენს დრომდე ვერ მოაღწიეს. დრომ და მისმა ქარიშხალმა გადარეცხა ყოველივე სიძველე.

VI

„ჭოი მარიამ ქალწულო, უმანკო ჩასახებულო, გვიმეოხე ჩვენ ცოდვილთა შენდამი შემოხიზნულთა“.

„განსვენება საუკუნო მიანიჭე შენ უფალო ელისაბედ მიხეილის ასულს ზუბალაშვილისას“. 60 წლის მიიცვალა 1894 წელსა, 16 იანვარსა“.

შემდეგ აქვს ეს რუსული წარწერა:

„Елизавета Михайловна Зубалова. 1894 Янв. 1894 г“.

ამ წარწერის ცნობებით ეს მანდილოსანი დაბადებულა 1834 წ. რიცხვებში.

ამის საფლავის გვერდით გახლავსთ საფლავი კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილისა, რომელსაც აქვს მშვენიერი საფლავის ქვა და ზევიდამ მაცხოვრის ძეგლი აქვს დახატული. მაცხოვარი ჯვარის მტვირთველს წარმოადგენს. საფლავის ქვას აქვს შემდეგი წარწერა:

VII

„განსვენება საუკუნე მიანიჭე შენ უფალო კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალოვს 73 წლის მიიცვალა 1901 წელსა 26 მარტს“. Константинъ Яковлевичъ Зубаловъ, 26 Марта, 1901 г.“

საფლავზედ ჯვარის მტვირთველი მაცხოვარი შესამჩნევ ხელოვნებით არის გამოქანდაკებული.
გვერდით არის შემდეგი.

VIII

„განსვენება საუკუნო მიანიჭე უფალო აქა მდებარე ანდრია კონსტანტინე ძე ზუბალოვს. დაიბადა 1856 წ. მიიცვალა 1882 წ.“

შემდეგ აქვს ეს რუსული წარწერა:

„Покоется прахъ Андрея Константиновича Зуба--
лова“.

—

ბევრნი საეჭვოდ სთვლიან, რომ ქართველ კათოლიკებში ქართველ თავადისშვილთა გვარის კაცთა რიცხვი ერთობ მცირე იყოვო. ჩვენ-კი იმ აზრის გახლავართ, რომ საქართველოში არ მოიპოვებოდა არც ერთი უდიდესი გვარი ქართველთ თავადის შვილების, რომ მათის რიცხვიდამ ვინმე კათოლიკეთ მორწმუნე არ ყოფილიყოს. ამ მოსაზრებას ცხადლივ ამტკიცებს შემდეგი საფლავის წარწერა, სადაც მოხსენებულია თავადის ჩოლაყაშვილის ასული, უმთავრესად კათოლიკის სარწმუნოების მექონი და მეუღლე ზუბალაშვილისა. აი,

წარწერაც, რომელ მანდილოსანიც დასაფლავებულია თვით სასაფლავოს ეკკლესიაში, პატრი ფილიპეს სასაფლაოს მახლობლივ.

IX

„ამის ქვეშე განსვენებულ არს გვამი მერვე კლასის გიორგი ზუბალოვის მეუღლის ანნა ნიკოლოზის ასულის თავადის ჩოლაყაშვილისა, გარდაცვალებული მეორმოცდა ერთს წლოვანებასა შინა თვისსა.

და შენ ჭოი ღ-თ მოწყალეო, განუსვენე სულსა მისსა სადაც მართალ მწმენენი შენნი განმსვენებლობენ. გარდაიცვალა ჩყლ. აგვისტოს დ-სა“.

ესევე წარწერა რუსულადაც არის, ამიტომ ჩვენ ეს აქ აღარ მოვიყვანეთ. ცნობიდამ სჩანს, რომ ეს ქალი გარდაცვალებულა 1830 წ. მაშასადამე იგი დაბადებულ უნდა იყოს 1789 წ. ჩვენის მოსაზრებით ეს ქალი უნდა იყოს იმ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ასული, რომლის ნიკოლოზის წინაპართ თავად ჩოლაყაშვილებმა სპარსეთში ყოფნის დროს, ქეთევან დედოფალთან მყოფნი დაუკავშირდნენ კათოლიკის სარწმუნოვებას. ერთ ალაგას არის შემდეგი წარწერაც:

X

„Здѣсъ покоятся дѣти Георгій и Александръ Зубаловы сканч. Въ Маѣ 1872 г.“

– 197 –

თფილისის კათოლიკეთა მღვთის-მშობლის ეკკლესიაში საკურთხეველის გვერდით მოიპოვება ერთი ქვა, კედელში გაკეთებული, რომელ ქვის ვრცელი წარწერაც მოწმობს ამ ეკკლესიის აღშენების მოკლე ისტორიულ ცნობებს და სტეფანე ზუბალაშვილის უხვ შეწირულების ვითარებასაც. აი ესეც წაწერა:

XI

„რომის კათოლიკე ეკკლესია ესე მღვთის-მშობლის მიძინების აღაშენეს კაპუცინების პატრებმა 1808 წ.

ესე ეკლესია განახლდა 1886 წ. მზრუნველობითა დონ. დიმიტრი თუმანოვისა.

ივანე ანდრიას ძე ზუბალოვისა.

გიორგი პეტრეს ძე ისარლოვისა.

და ედუარდ იოსების ძე ყარაევისა.

მეორედ იგი განახლდა 1922-3 წ. მზრუნველობითა პ. პავლე ყალაიჯოვისა.

თ. პავლე თუმანოვისა.

პეტრე გიორგის ძე ისარლოვისა. და წევრთა აღმაშენ. კომისიისა წარსაგებითა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალოვისა.“

ამ ცნობებიდგანაც ცხადათ სჩანს, რომ თფილისის რომის კათოლიკეთა მღვთის მშობლის ეკკლესიაც სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის ვრცელის დახმარებით გაკეთებულა. აქ მცირე შრომა არს საჭირო, თორემ მის საშუალებით ბევრი რამ ცნობები აღმოჩნდება სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის უხვი შეწირულების. ცნობათა შესახებ გადმოგვცეს, რომ მთელი ეკკლესიის განახლების შრომა და ფული მარტოდ ამას ეკუთვნისო. ჩვენც გვწამს ეს განცხადება და ვეთანხმებით დაჭეშმარიტებით. ამ ეკკლესიის აღშენების მნიშვნელობა იმითიც საყურადღებოა, რომ ეკკლესიის კედლებზედ და თვით საკურთხევლის ზედა კედელზედაც ქართული წარწერები უხვათ მოიპოვება. ესეც ერთი საქმეა ქართველის კაცის მამულისშვილობის და ღირსების.

ეკკლესიის მარჯვენა მხრის კედლის წინ ასაფლავიან გიორგი ივანეს ძე ზუბალაშვილი, სიმონ გიორგის ძე და ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილები, რომელთაც ერთი ქვა აძევსთ და ამ აქვს შემდეგი წარწერა:

Hic senulti sunt Georgius Joannis filius Zubaloff mort, 15 Januarii 1864 habeus 82 an.

Simon Georgii filius Zuraboff mort, 17 Octmbris 1870 haBens 65 an.

Nicolaus Georgii filius Znbaloff mort, in Nitsa 21 Januarii 1898 an habens 78 annos.

Requiescant in pace.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ეკკლესია სავსებით ვერ ავსწერეთ ჩვენგან მიერ დაწერილს „კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში“. მიზეზი ამის ის გახლდათ, რომ იმ დროს, ეს ტაძარი ასე განახლებული არ იყო. ამიტომ ვიტყვით ეხლა, რომ ეს ეკკლესია თფილისში, ეკკლესიებთ შორის მშვენება არის. სივრცეც გაუფართოვეს. ოდესმე თუ საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა საქართველოში, უეჭველია მაშინ ამ ეკკლესიას თავის შესაფერი ღირსება დაუბრუნდება ისევ. ეკკლესია შემკულია მშვენიერის ეზოთი, სასწავლებლის შენობით და სხვანი. ყოველივე ასეთ საქმეთა მოწყობის საფასი ეკუთვნის სტეფანე ზუბალაშვილს და საქმის სისრულეში მოყვანისთვის ენერგიული შრომა და ცდა არის პატრის პავლე ყალაიჯოვისა (აბაზაძე). ეკკლესია მორთულია მხატვრობით, სკამებით. ეკკლესიას აქვს კარგი აივანი და ზედ დგას მშვენიერი არგანი. მოგახსენებთ, რომ ეკკლესიის ირგვლივი შემკობილება ქართულის წარწერებისას ცხადლივ ამცნევს მნახველს, რომ იგი საკუთრება არს ქართველთა. ქ. გორს, კათოლიკეთა ეკკლესიის გალავანში ერთ ალაგას ასაფლავია ზუბალაშვილების ასული, რომლის საფლავის ქვაც ეკკლესიის კედელშია ჩატანებული და აქვს შემდეგი წარწერა:

„ხელთა შენთა შევავედრებ უფალო სულსა ჩემსა. ვიქთორ ყანდინოვისა დავით ზუბალოვის ასული. დაიბადა 1840 იანვრის 12, მიიცვალა 1899 წ. ივლისის 7. მამაო ჩვენო“.

ყანდინოვები გორს გარდა თფილისშიაც სცხოვრებენ და იგინი ირიცხებიან საქართველოს ერთს უძველეს აზნაურის შვილის ოჯახად. ცხადია, რომ ამათი ნათესავობა ზუბალაშვილებთან იქნებოდა შესაფერი.

აქ უნდა ითქვას შემდეგი, რომ ადრე, ზემოდ მოყვანილ ფრანგულ წარწერების მაგიერ ქართულს ენაზედ აქვნდა ქვებს წარწერა. არ სჩანს მიზეზები, თუ რისთვის შესცვალეს ტაძრის და იატაკის განახლების დროს ქართული წარწერები!

უპირველესნი გვამნი ზუბალაშვილების გვარისა.

ზურაბ ზუბალაშვილი სცხოვრებდა XVII საუკუნის საშვალს. ცხოვრების წელნი მისწვდება XVII საუკ. ბოლომდე.

მარიამ ზუბალაშვილისა. მეუღლე ზურაბის, სცხოვრებდა იმავ საუკუნეში.

ქალია ზუბალაშვილისა დ. 1670 + 1747 წ.

გიორგი ზუბალაშვილი. დაიბადა 1694 წ. ცნობილი გვამია თავის დროის კვალად + 1771 წ.

თამარ ზუბალაშვილისა დ. 1704 წ. + 1783 წ. ეს ქალი გახლავსთ მეუღლე გიორგი ზუბალაშვილისა. იგი გორელი მოქალაქე კაცის ქალია, გვარი არ სჩანს.

მერაბ ზუბალაშვილი. დ. 1698 წ. სოფ. ხიზაბავრს. ამიტომ მას გორის პატრი 1740 წლებში ხიზაბავრელად ასახელებს. თავის დროის კვლად ცნობილი გვამი საქართველოში.

გიორგი მღვდელი ზუბალაშვილი. თანამედროვე ვახტანგ მეფისა, მწიგნობარი და მასთანვე ქართულ საღმთო სჯულის წიგნებთა შემსწორებელი, რომელ წიგნებიც დაბეჭდილ იქმნენ ქ. თფილის 1709 წ. იგივე სწერდა სხვადასხვა ისტორიულს წერილებსაც საქართველოს შესასხებ. ძველს სიგელ გუჯ-

რებში ასე ასახელებენ. შემდეგი ცხოვრება ამისი ჩვენთვის უცნობია. ვგონებთ იგი გადაჰყვა რუსეთში ვახტანგ მეფეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ასე რომ საქართველოში იგი აღარ დაბრუნებულა. ამის ცხოვრების ცნობები არ შეიძლება რომ არ აღმოსჩნდეს სადმე ძველ სიგელ-გურჯებში.

ანდრია ზუბალაშვილი დ. 1690 წლებს. სცხოვრებდა ქ. გორს, თავის დროის კვლად იყო ცნობილი გვამი ქ. გორს. იყო თანმედროვე მეფე ვახტანგის და თეიმურაზის. ამის გარდაცვალება მიეწერება 1772 წლებში. სიბერის დროს ანდრია უსინათლო იქმნა, მასთანვე დაკუტდა. უსინათლომ და კუტმა დიდხანს იცოცხლა. 1755 წლებში, მეფე თეიმურაზ დი-

დათ ავედრებდა გორში კათოლიკეთა ეკკლესიის დაბრუ-ნებას. მეფის წინაშე იყო თამამი და მეტყველი (ნაამბობი ან-ტონ დავითის ძე ზუბალაშვილის მიერ).

რომანოზ ზუბალაშვილი. მომსწრე მეფე თეიმურაზის, ერეკლესი და გიორგის. მცოდნე სასტამბო საქმეთა, წიგნების მბეჭდავი და ცნობილი გვამი საქართველოს ისტორიაში. ამან მრავალი ბეჭდა ქართული წიგნები ქ. თფილის და ამის შვი-ლებმა: დავითმა და გიორგიმ ქუთაის. ამის სახელი და გვარი მოიხსენება თვით მისგან დაბეჭდილს წიგნებზედაც. ამის შესახებ სხვა და სხვა ცნობები მრავლათ მოიპოვება აქა იქ ძველს წიგნებში. მისი გარდაცვალების წელნი ჩვენთვის უც-ნობია. ამაზნდ იხილეთ პროფესორის ალ. ცაგარელის შრომა: (Сведенія о помятникахъ грузинской письменности).

პეტრე ზუბალაშვილი ძე გიორგისა დ. 1734 წ.

ფელიქს ზუბალაშვილი ძე მისივე დ. 1736 წ.

ფრანცისკე ზუბალაშვილი ძე მისივე დ. 1738 წ.

ელენე ზუბალაშვილისა, ასული მისივე დ (?)

ივანე ზუბალაშვილი, ძე გიორგისა დ. 1747 წ.

იაკობ ზუბალაშვილი, ძე ივანესი დ. 1792 წ. + 1864 წ.

ანნა ზუბალაშვილისა ც. ამისი დ. 1797 + 1864 წ/

ანდრია (II) ზუბალაშვილი დაბადება მიეწერება 1750 წю გარდაიცვალა 1820 წლებს.

იოსებ ზუბალაშვილი, დაბადება მიეწერება 1650 წლებ-ში. ჩვენთვის უცნობია მისი გარდაცვალების წელნი და ცხო-ვრების ცნობები.

ანნა ზუბალაშვილისა 1752 წ.

მარიამ ზუბალოვისა 1740 + წ.

თამარა ზუბალოვისა + 1788 წ.

გაბრიელ ზუბალაშვილი დ. 1770 წ.

ანდრია (III) ზუბალაშვილი დ. 1772 წ.

რაფიელ ზუბალაშვილი დ. 1714 წ.

სტეფანე ზუბალაშვილი ძე ივანესი დ. 1780 წ. ეს იყო თავის დროის კვალად ხელოვანი პირი, მცოდნე სხვა-და-სხვა ქვეყნებთა ისტორიის და გეოგრაფიის, მისდევდა გულსმოდგი-ნედ ვაჭრობას. ჯერეთ სრულიად ახალგაზდამ მოჰკიდა ამ სა-ქმეს ხელი. საქართველოს რუსეთთან დაკავშირებამდე ორ გზის იყო სპარსეთსა და ინდოეთში. რუსობის შემდეგ 1820 წლებ-ში კვალად გაემგზავრა ინდოეთს სავაჭროდ, იქიდამ აღარ და-ბრუნებულა, იქ დარჩა, იქვე გარდაიცვალა. იხილეთ ამაზედ ცნობები ზემოდ, ამიტომ აქ მეტს არას ვამბობთ.

———

ლუკა და იოსებ ზუბალაშვილები. ოქრომჭედელნი, გამო-ჩენილნი ხელოსანნი თავის დროის კვალად ახალციხეში.

მიქელ ზუბალაშვილი, ძე ივანესი დ. (?)

გიორგი ზუბალაშვილი, ძე ივანესი ცნობილი გვამი თფილისში დ. 1782 წ. + 1864 წ.

სიმონ ზუბალაშვილი დ. 1807 + 1870 წ.

დავით ზუბალაშვილი, ძე ივანესი. დავითი თავის დროის კვალად გამოჩენილი ადამიანი, იყო დიდი სათნოების და სიბრალულის მექონი გორის შეუძლოთა. ამის ასეთ ღირსებას ქვემოდ მოყვანილი ლექსიც ასაბუთებს. დავითის კეთილ მოქმედების შესახებ გორის მკვიდრთ შორის ბევრი კარგი ცნობებია დაშთენილთ + 1866 წ.

ზაქარია მიქელის მე ზუბალაშვილი. ცნობილი გვამი თავის დროის კვალად. მკურნალი და თფილისში დიდათ ამაგდა-

რი მკურნალობის მოღვაწეობით და სხვა კეთილის საქმეთიაც. კარგად იცოდა ქართული ენა და რუსულის ენიდამ ქართულს ენაზედ სთარგმნიდა საექიმო წიგნაკებს. დ. 1810 წ. გარდაიც. 1877 წ. უნდა მოგახსენოთ, რომ ზაქარია ზუბალაშვილი თავის დროის კვალად იყო დიდათ განათლებული კაცი, მასთან კარგი მკურნალში, ქომაგი შეუძლო ერისა, ღარიბ-ღატაკთ სულ უფასოდ სწამლობდა. ხშირად წამლებს გარდა საჭირო სანოვაგეს და საჭმელსაც თვით უგზავნიდა უფასოდ, მუქთად. სწავლობდა თფილისის კეთილშობილთ სასწავლებელში. 1826 წ. 14 წ. ზაქარია მშობლებმა სასწავლებლად დერპტში გაგზავნეს. იქ უნდა შაესწავლა ვაჭრობა და ბუხგალტერია. იქ ამას დახვედრია ერთი შადინაშვილთაგანი, თფილისელი, რომელსაც ურჩევნია მისთვის, რომ ვაჭრობის მაგიერ ექიმობა შეისწავლეო. ამ რჩევის ძალით ზაქარია საექიმო სასწავლებელში შესულა, ექიმობა შეუსწავლია, შემდგომ ამ სწავლით აღვსილი დაბრუნებულა საქართველოში და მკურნალობა დაუწყია. მკურნალობას გარეშე იგი ყოფილა კარგად მცოდნე ევროპიულის ენების. კარგად სცოდნია ინგლისური ენაც. ვალტერ სკოტის „აივენგო" ამას ინგლისურს ენაზედ წაუკითხავს. ამას გარდა ზაქარია ზუბალაშვილს საქართველოში პირველად შემოუღია ვაზის და ყურძნის მკუნალობა, წამლები თვით მასვე მოუგონია. ამის გამო მას იმ დროის ცნობილს ექიმს ადნოსუმოვთან პოლემიკაც მოხდენია გაზეთ „კავკაზში". ამას გარდა იგივე იყო მცოდნე კარგად ხორველობის მკურნალობის. დიდი შნო და ნიჭი გამოიჩინა 1855 წ. ხორველობის დროს, მან ადგილობრივ მკურნალობაც გამოაჩინა და თავის საკუთარის გამონაცად წამლებით ძლიერ ბევრს ავადყოფებსაც ჰკურნავდა, ყველას უფასოდ მკურნალობდა. იგი იყო დიდათ მოსავი კაცი და კაცთა მოყვარე. ამაზედვე უნდა ითქვას შემდეგი: აქამდის ჩვენში ცნობილი იყო, რომ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, ქართველთაგანი რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში სოლომონ დოდოშვილი და პ. იოსელიანი წავიდნენო. ს. დოდოშვილმა პე-

ტერბურგის უნივერსიტეტში დაამთავრა სწავლა და პ. იოსე-
ლიანმა სასულიერო აკადემიაშიო. ეხლა ჩვენ ამ ორ პირს ეს
ზაქარია ზუბალაშვილიც უნდა მიუმატოთ, რომელიც ხსენე-
ბულ პირებზედ ბევრად ადრე წასულა სასწავლებლად და ის-
იც რუსეთში კი არა, არამედ სამღვარ გარედ, გერმანიაში.
ასე და ამ გვარად 14 წლის ზაქარია ზუბალაშვილის საქარ-
თველოდამ პირველად მოხდენია წასვლა სასწავლებლად, ასე
რომ დღეის შემდეგ, ჩვენ ეს ზაქარია უნდა მივიღოთ საქარ-
თველოდამ პირველ წამსვლელად სამზღვარ გარედ სასწავლე-
ბელში სწავლის მისაღებათ.

ლევან ზუბალაშვილი დ. 1819 წ. + 1847 წ.

ალექსანდრე ზუბალაშვილი ძე იაკობისა, ძმა კონსტანტი-
ნესი. საქართველოს სიძველეთა ნაშთთა მოყვარე, სცხოვრებს
ნიცაში, აქვს შეკრებილი ძველი ქართული წაგნებიც. კაცი
არს დარბაისელი, მოყვარე თავის ქვეყნის და ერის. ერთ
დროს ამის ერთი წერილი „დროებაში" დაიბეჭდა: მოგზაუ-
რობა დუშეთისკენ. ნახედ ამაზედ ზემოდ.

კონსტანტინე იაკობის ძეზუბალაშვილი. იხილედ წიგნში.

ელისაბედ მიხეილის ასული ზუბალაშვილისა იხილედ
წიგნში.

ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი, კაცი მაღალის
გონებისა და განათლებისა. დარბაისელი და თფილისის ხალ-
ხის წინაშე ჭეშმარიტის სამსახურისაგან დაღალულო. დიდი
პატივის მცემლები ჰყავს ამ პირს ქართველებში. იგი ცნობილია,
ვითაარცა ერთგული კაცი ქალაქის საქმეებისა, მხურვალე მო-
ნაწილე ყველა საზოგადო საქმეთა დაარსებაში, განურჩეველი
მსახური ყველა ტომისა, ჭეშმარიტი კანონ მდებელი და სრუ-
ლი მშვიდობა კაცთ მოყვარეობის და სათნოებისა, მისის მო-
სამართლობის დროს ბევრი რამ კეთილი დათესილა, ბევრი
სადავო სისხლის დამღვრელი დავადარაბა მოსპობილა მალიად.
ასეთ საქმეთა ასპარეზზედ ნიკოლოზ დავითის ძე მეტად იშვი-
ათ პირად ითვლება. მისი შრომის ამაგი ყველას კარგად ახ-
სოვს თფილისში.

ანტონ დავითის მე ზუბალაშვილი. დ. 1830 წ. ძმა ნი-
კოლოზის და ალექსანდრესი. სცხოვრებს ქალაქ გორს. ან-
ტონი თავის დროის კვალად საკმარისად არის მომზადებული
და გორის მცხოვრებთ ცხოვრების მარტივად მცოდნე. ამას
გარდა ანტონ დავითის ძემ სხვა ძველთ ამბებიც ბევრი იცის,
მისგან მოთხრობილი ცნობები ამ წიგნშიც არის მოთავსებუ-
ლი. ანტონ დავითის ძე მახვილ გონიერი კაცია და ვაჭრო-
ბის მიზნით რუსეთში მრავალ გზის ნავალი და გუმოცდილი.
მეუღლედ ჰყავს ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილის თავ.
ალ. ჩიქოვანის ქალი, ეკატირინე, ღვიძლი დაჲ აგრეთვე ქარ-
თულს მწერლობაში კარგად ცნობილის გიორგი ალექსანდ-

რეს ძე ჩიქოვანისა.

ალექსანდრე დავითის ძე ზუბალაშვილი. კაცი წარჩინებული და დარბაისელი დ. 1848 წ. დიდის ხნიდამ მსახურებს თფილისის თავად-აზნაურთა ბანკში და ირიცხება ერთს სამაგალითო ადამიანად.

ივანე გაორგის ძე ზუბალაშვილი. დ. 1831 წ. კაცი შეძლებული და დარბაისელი, კარგა ხანს მსახურებდა დუშეთის მაზრის უფროსად. ამ მაზრაში მას დღესაც ქებით-მოიგონებენ და აქებენ. სცხოვრებს ქალაქ თფილისს და განაგებს თავის მამულის საქმეებს. იგი ძმა არის ცნობილის ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილისა.

ნიკოლოზ გიორგის მე ზუბალაშვილი. დ.1820 წ + 1898 იხილედ ამის ცნობა ზემოდ.

ლევან კოსტანტინეს მე ზუბალაშვილი. დ. 1851 კაცი თავის დროის კვალად განათლებული და დარბაისელი. როგორც სტეფანე და სხვა ძმები, იგიც იმავე მამულის შვილობით გახლავს სავსე და სამაგალითო თვისების ადამიანი. ძმათა და სახლის შვილთა სიყვარულს მასში სამაგალითოდ აქვს სხივები დამკვიდრებული. სცხოვრებს რუსეთს. იგი სრული ადამიანობის სახეა და ნიშნი მშობლების. დიდი მოთანზმეობა და ერთობის სახე ძმათა შეერთებულის ცხოვრების, სამაგალითოა ამ პირის ასეთი ძმათა ერთობის სიყვარულით ცხოვრების ტრფიალება.

სტეფანე კონსტან. ძე ზუბალაშვილი. 1860 წ. წარჩინებული მამულის-შვილი, მოყვარე თავის ქვეყნისა და ერისა, დიდათ მოსურნე და მოტრფე შეუძლო ხალხის ბედნიერების

და კეთილ დღეობის მთესველი და დიდი მექომაგე შეუძლო ხელოსანთა და მუშათა. მისთვის მათი პატივი განურჩევლად არსებობს, მისთვის ქართველი, სომეხი რუსი და თათარი სულ ერთია. ყველას ერთნაირად აქცევს ყურადღებას და მფარველობასა. ამას გარდა იგი გამკეთებელია მრავალ შესანიშნავ საქმეთა. რადგანაც სტეფანე კონსტანტინეს ძის შესახებ ცალკე გვაქვს წიგნი დაბეჭდილი, მიტომ აქ არას ვიტყვით.
პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. დ. 1862 წ. უმაღლესად განათლებული პირი გახლავსთ. შესწავლილი აქვს ინჟინერობა. სცხოვრობს ქ. თფილის, თავის მამულში და ირიცხება ერთს უწარჩინებულეს ევროპიულად განათლებულ პირად, სახლობის პატრონი გახლავსთ და მასთან დიდათ გულ შემატკივარი ქართველთა საქმეების და წარმატების. იგი სრული მოთანხმეა თავის ძმის სტეფანესი და ყოველი ამითი კეთილის თესვა პეტრე კონსტანტინეს ძის თანხმობითაც იწყება და სრულდება. პეტრე როგორც სუფთა, სამაგალითო მოქალაქე, სრული ჭეშმარიტი ძმა გახლავსთ სტეფანესი და მასთან მორჩილი დიდის ადამიანობის თავაზით. პეტრესი და მის ძმათა შორის ურთიერთ სიყვარული სწორეთ საყურადღებოა სხვათა წინაშე, სამაგალითო და მისაბაძი. პეტრე კონსტანტი-

ნეს ძეს მთელს თფილისში კარგად იცნობენ და როგორც მომზადებულს პატიოსანს მამულის შვილს ყოველი კაცი პატივს აგებს და აფასებს.

იაკობ კონ. ძე ზუბალაშვილი. დ. 1876 წ. როგორც ლევანი, სტეფანე და პეტრე, იაკობიც ისეთივე მამულისშვილობით გახლავსთ აღვსილი და მასთანავე განათლებული. იაკობმა სრული მონაწილეობა მიიღო თფილისის ქართველთა თავად-აზნაურთა გიმნაზიის შენების ფულის შეწირვის საქმეში. ასე რომ თფილისის ყველა გაზეთებშიაც ასე იყო გამოცხადებული და ისიც უწყებულია, რომ იაკობსაც უხვად სცხია იმ მადლით სავსე თვისების მამულის-შვილური სხივები, რაც მის ძმებს და მშობლებსაც აქვნდათ უხვად მიმადლებული.

მარიამ კონსტანტინეს ასული ზუბალაშვილისა. ეს ქალი

მამით პოლონელია და დედით ქართველი, კათოლიკე თავადის თუმანიშვილის ქალის შთამომავალი. მარიამ ზუბალაშვილისა დაიბადა 1870 წლებში ახალციხეს. განათლება მიიღო თფილისის ქალების ინსტიტუტში, შემდეგ იგი სცხოვრებდა ერთის ქართველის წარჩინებულის ოჯახში, სადაც შეისწავლა ქართული წერა-კითხვა თავის დისაგან უფრო უკეთ და სხვაც საჭირო ზნე და ხასიათები. შემდეგ გათხოვილი ქმნა პეტრე კონსტანტინეს ძეს ზუბალაშვილზედ.

ეს წარჩინებული ქალი მეტად კარგს ოჯახში იქმნა რძლად შესული, მასთანავე კარგი მეუღლე, კარგის განათლებულის კაცის პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისა. პეტრე ზუბალაშვილი გახლავსთ კარგად მცოდნე ჩვენის ცხოვრების, ავ-კარგიანობის და ვითარების. დიდი პატივის მცემელი იყო და არის კიდევაც განსვენებულის თავისის მეუღლის. ამ ქალმა ზუბალაშვილების ოჯახში სრული ნიჭიერება გამოიჩინა, სრული ადამიანობა და კადნიერება. იგი გახლდათ დიდად მღვთის მოყვარე ადამიანი, მასთან დიდი ქომაგი უძლური ანუ შეუძლო ხალხის. რასაც კი ეს ქალი თავის მეუღლისაგან ფულს იღებდა, თავის წილად ყველა მას ღარიბებს ახმარებდა, მათ სწირავდა, მათთვის არაფერი შურდა. ყველა სალხინო საქმეს განშორებული იყო და მის ნაცვლად სულ ღარიბთ შველოდა. ღარიბთ და მეტად შეუძლო დედაკაცთათვის 70-მდე მარტოდ ძროხა ექნება ნაყიდი და დარიგებული, 40 საკერავი მანქანა და ამაებთან სხვაც კიდევ მრავალი. ენით დაუთვლელი, ასეთი თვისების ქალი იყო იგი და მის კეთილის თვისების სრული თანაზიარი გახლდათ თვით მეუღლე მისი პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი და სხვანიც ოჯახის წევრნი.

მარიამ კონსტანტინეს ასული გარდაიცვალა 34 წელში მისული 26 სექტ. 1903 წ. მას დარჩენ რამდენიმე შვილი, ქალნი და ვაჟნი. მისი დასაფლავება დიდის პატივით მოხდა. ცხედარს აქვნდა 15-მდე გვირგვინი. საფლავამდის მიაცილა დიდმა ხალხმა და ნამეტურ იმ დაცემულ ოჯახთა დედაკაცებ-

მა, რომელთათვისაც მარიამს ოდესმე დახმარება აღმოეჩინა. ასეთ პირთა შეწუხება მეტად საგრძნობი იყოს, ყველა მწარეთ გლოვობდა თავის მფარველს მარიამს. ესევე ქალი ირიცხებოდა ქართველ ქალთა სამკერვალო ამხანაგობის წევრად და მფარველად, ვისგანაც აქვნდა მირთმეული კარგი გვირგვინი შემდეგის წარწერით:

გვირგვინი: „ქართველ ქალთა სამკერვალო სასწავლებლის მოწაფეთაგან თავის მფარველს მარიამ კ. ასულს ზუბალაშვილისას“. და სხვანიც მრავალნი ასეთნი.

ნაამბობი ახალციხელის ქართველ-კათოლიკის სოლომან მუნჯიევისაგან

ოსმალეთის საქართველოში ოსმალთა ბატონობის დროს ისეთი წესები იყო, რომ ვინც-კი ქრისტიანი მუსულმანის ქალს შეირთავდა, იმას შვილები უსათუოდ მუსულმანი უნდა გამოსვლოდა, ე. ი. მუსულმანის სარწმუნოების უნდა ყოფილიყოს. ამის მაგალითს ამტკიცებს შემდეგი გარემოება: ოსმალეთის მფლობელობის დროს, მესხეთის სოფლის წყურთას ერთმა ქართველ კათოლიკე მირაქაშვილმა შეირთო ცოლად ქართველ მაჰმადიანის ქალი. ამ ქალისაგან მირაქაშვილს მიეცა ორი ქალი და ერთი ვაჟი. სარწმუნოებით სამივ მუსულმანები იყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ცოლთან ქმარს ჩხუბი მოუვიდა, ამიტომ მირაქოვი გაიგცა სოფ. წყურიდამ და თან გაიყოლა თავის ორი ქალი, გადავიდა გორში და იქ ყველა შვილები ქრისტიან-კათოლიკედ, ე. ი. თავის სჯულზედ დანათლა. ერთი ქალი კონსტანტინე ზუბალაშვილმა მონათლა. ეს ქალი მონათვლის შემდეგ გორს მცხოვრებ ქართველ-კათოლიკე ყანდინაანთა იმყოფებოდა. სახელად მას ელისაბედი ერქვა (გ. + 1901 წ.) რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ ქალების გაქრისტიანების ამბავი მათს დედას სოფ. წყურთას შეუტყვია, იგი გადასულა გორში და თავის ორივ ქალი მოტყუილებით წაუყვანია თან, მაგრამ ქ. ახალ-ციხეს ერთი ქალი (ელისაბედი) პავლე შაჰყულიანს ჩავარდნია ხელში. ამას მა-

შინათვე საეკკლესიო სახსრით 100 მანეთი მოუგროვებია და ის ქალი დაუქორწილებია ქრისტიანზედ, ქართველ კათოლიკეზედ. უკანასკნელ ამ ქალს დედა იპატიჟებდა თვისკენ, მაგრამ ქალი არ წასულა. ქალი მოუნათლავსთ. მაშინ თვით კონსტანტინეც პატარა ყოფილა. ამ ქალებს დიდათ ეხმარებოდენ იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, პატარა კონსტანტინე და მათი ნათესავები.

„ღრამმატა საქართველოჲსა“

გუბერნიის აზნაურთ წინამძღოლისა და უეზდების აზნაურთ დეპუტატთაგან შეკრებილთა შედგენისათვის აზნაური ნათესავთ სიტყვაობითის წიგნისა, მიცემული აზნაურისადმი მერვე კლასის და კავალერიის გრიგოლის ივანის ძის ზუბალაშვილისადმი შთამამავლობითურთ. განვიხილეთ რა საფუძველსა ზედა ყოვლად უმოწყალესად **ჩღპე** წელსა აპრილის **კა** დღეს ბოძებულსა, და **ჩყა** წელსა აპრილის ა-სა დღესა უმაღლესად დამტკიცებულსა რუსეთის აზნაურთადმი ღრამმატისა წარმოდგენილნი მისგან აზნაურის ზუბალაშვილისაგან აზნარობითის ღირსებისათვის მისისა საბუთნი ვცანით ისინი თანხმად წარმოწერილთა მას ზედა კანონთათანა, რომელთაც გამო ძალისამებრ მესამისა და მეოთხისა და პგ-ა მუხლისა განცხადებულისა მის ღრამმატასა იგი და ნათესსავი მისი შეტანილ არს საქართველოს აზნაურთა ნათესავთა სიტყვაობითისა წიგნსა შინა მეოთხესა ნაწილსა შინა მისსა, რომლისაცა სამოწმებელად ჩვენ გუბერნიის აზნაურთა წინამძღომელი და დეპუტატნი, და აღსასრულებლად უმაღლესის მისის იმპერატორებითის დიდებულების მნებელობისა მივეცით მას ღრამმატა ესე ხელის მოწერითა ჩვენითა და დავამტკიცეთ იგი საქართველოს აზნაურთ შეკრებილების ბეჭდით **ით** რიცხვს ივნისისა დღესა **ჩყლგ** წელსა.

საქართველოს გუბერნიის კეთილ-შობილთ წინამძღომელი გენერალი მაიორი და კავალერი თავადი.

თელავის უეზდის კეთილ-შობილთ დეპუტატი კალეჟსკის ასესორი თავადი. (?)

თფილისის უეზდის კეთილ-შობილთ დეპუტატთა გუბერნსკის სეკრეტარი თავადი მიხეილ სუმბათოვი.

გორის უეზდის კეთილ-შობილთ დეპუტატი პოდპორუჩიკი და კავალერი თავადი ნიკოლოზ ციციანოვი.

დუღშეთის უეზდის კეთილ-შობილთ დეპუტატი და კალლეჟსკის რეგისტრატორი თავადი რაფაელ ამატუნოვი.

——

ჩვენ, ზემოდ ვისაუბრეთ, რომ ზუბალაშვილების წინაპარნი ქართველთ მეფეთა დროსვე იყვნენ ცნობილნი აზნაურობის ხარისხით, ე. ი. იგინი მეფეთაგან ცნობილ და დამტკიცებულ იყვნენ ქართულის სამეფოს წესით. წარჩინებულ მოქალაქე ივანე, მერაბი, ანდრია, გიორგი, იაკობ და სხვანიც აზნაურებათაც იწოდებოდნენ. ამ საგანს ცხადლივ ასაბუთებს ზემოთ მოყვანილი ღრამმატა, რომელიც რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ბოძებულია 1833 წ. ამ ღრამმატიდამ სჩანს, რომ გიორგი ივანეს ძე ზუბალაშვილს რუსეთის მთავრობის წინაშე წარუდგენია აზნაურობის ისეთი ხარისხის ცნობები, რომელ ცნობანიც ქართველთ მეფეების დროსვე

ყოფილან ბოძებულნი და რომელ ძველი ბოძების ქაღალდები ახლად განუახლებიათ და ზუბალაშვილების გვარისთვის აზნაურისშვილობაც უბოძებიათ. ამას ცხადათ ასაბუთებს ცნობა, სადაც ზუბალაშვილების გვარი მოიხსენება *)

—

როგორც ამ საგანზედ გვქონდა საუბარი, ისევე მასზედ, რომ ზუბალაშვილების გვარის წევრნი XVIII საუკუნეშივე ენერგიულ ვაჭრებად და მრეწველებათ ირიცხებოდნენ და მასთან შემდეგ დროსაც, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა, ესენი ამ ახალ მთავრობის წინაშეც მოხერხებულ მრეწველებათ აღმოჩნდნენ, ეს რომ ასეა და მართალი, ამას ცხადათ ასაბუთებს შემდეგი ცნობა, რომელიც ბოძებულია კავკასიის ინტენდანტის სამართველოსგან.

---

*) Рапорть полк. Симоновича Генер. Тормасову. 1810 წ. За № 273. აქტის IV ტ.

მთავრობის მიერ ბოძებული წყალობის გამო

რ ა პ ო რ ტ ი

გარდმოწერილობა რაპორტისაგან ღენერალ ინტენდატისა უფლისა მთავარმართებლისადმი 24 აპრილიდგან 1829 წელსა – 1836 წ. პროვიანტსკის კომისიონერი მეათე კლასისა ზუბალაშვილი არის მოხელე, რომელსა ზედაცა არა თუ სამსახურისამებრ, არამედ ბუნებრივს თანა შეკრულობისა და გარე ვაჭრობისთვის მიმოქცევისა მიეცა მისისა აქაურს მხარესა შინა, აძევს უმძიმესი ნაწილი გამოკვებისა მხედრობათა, ღონის ძიებისა მიერ მისისა იქმნებიან უმთავრესნი საზრდო მზადებანი და კმაყოფილებანი მხედრობათა – და ღონისძიებისამებრ მისისა შეიპყრობიან ზომიერებასა შინა, თვით ძნელ გარემოებათა შორის შემძლებელთა აღმატებად მათი უკიდურს ზომამდე.

ესეთითა ხატითა მე შევესწარ მას მოქმედად აწინდელსა მთავრობასთანა, და ესრედ ყოველსა შინა დროსა მთავრობისა თქვენის ბრწყინვალებისა მოქმედებს განსხვავებულთა ერთგულებათა გულს მოდგინებათა და სარგებლობითა სამსახურისათვის.

ესე ვითარსა სამსახურისათვის სპარსეთის ყოფილს კომპანიისა გამო, მე მაქვნდა პატივი წარდგინებად განვლილსა დაჯილდოებულად ორდენითა წმიდისა ვლადიმერისა მეოთხესა ხარისხითა და თქვენმა ბრწყინვალებამანაც ინება ღირს ყოფად – უმცირეს ჯილდოსა ამის დანიშვნვად მისდა არა შესაძლო იყო, ვინაიდგან მას აწინდელსა მთავრობასა შორის უუმოწყალესთამებრ ნაბოძვარობათა უკვე აქვს: ორდენი წმინდისა ანნასი მესამე ხარისხისა, საყელოს ნაკერულობა მუნდერისა ვერცხლის ხმალი „სიმხნისათვის და ერთგულობისა“. შემდგომ

ჩინი შემდგომელობს მას გამომსახურებისათვის დაწესებულთა წელთა თანასწორ სხვათა თანა.

– 211 –

მას არა აქვნდა ბედნიერება მიღებადა ღირსებისამებრ ამა საჯილდაოს თქვენის ბრწყინვალებისა. ვითარავე იგი შემდგომადცა მისსა განაგრძელებდა და აწცა გაწაგრძლებს და აჩვენებს ხაზინასა და სამსახურსა უმაღლესისა არა მცირედსა მსახურებასა; მაშა ვითავსებ ვალსა კვალად წარდგინებად მისსა მთავრობისა ყურადღებისადმი თქვენის ბრწყინვალებისას დასაჯილდოებლათ ორდენითა წმიდისა ვლადიმერისა მეოთხის ხარისხისათა, განსახალისებლად უმანკოთა სასარგებლოთა მიმიქცევათადმი სამსახურთათვის.

კეთილ განსახილველად ფორმულიარნის მისის სამსახურისათვის სპისოკს ამასთან წარმოვადგენ.

——

აქ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: როგორც ზემოთაც ვსთქვით, ზუბალაშვილების გვარში, ძველად არა მცირედი მასალები იქმნებოდა დაცული მათი ნიჭიერი აღებ-მიცემის შესახებ. ჩვენის დროის გასაცნობათ ეს ერთი ცნობაც კმარა. ვაჭრობის ენერგია მათში ისე იყო გაცხოვლებული, რომ სტეფანე ზუბალაშვილი 1880 წ. ინდოეთში წავიდა სავაჭროდ და ზ. ზუბალაშვილი 1824 წ. გერმანიაში (ლეიპციგი) ბუხგალტერიის შესასწავლად. ქართველ მეფეთა და კათალიკოზთაგან მათ ბევრი სიგელ-გუჯრები ჰქონდათ ბოძებულნი, რომელნიც ასე თუ ისე ცხადათ მოწმობდენ ზუბალაშვილების მამაპაპათა განსაკუთრებითი ნიჭიერებას ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზედ. აქ შეერთებული ძალა და შრომა არის საჭირო, თორემ ჩვენის ვაჭრობის და მრეწველობის შესახებ ბევრი რამ ისტორიული მასალები შეიკრიბება. საჭიროკია, რომ თფილისის მოქალაქეთა ძველის ცხოვრების ცნობებს ყურადღება მიექცეს. მათში ბევრი საინტერესო დავთრები აღმოჩნდება. ქართველის კაცის ვაჭრულ და მრეწველურ გონებრივი სიმარჯვის შესახებ ბევრი სულის ასამაღლებელი მხარეები დაიბადება, ბევრს მკვდარს და მივიწყებულს ცნობას მოეფინება მზის შარავანდედი, სიცოცხლის ნათელი.

– 212 –

ქართველთ ვაჭართა და მრეწველთა ისტორიის ასპარეზზედ ზუბალაშვილების ასეთ ცნობათა აღწერა მხოლოდ პირველი მაგალითია. ასეთ მასალებიცა შეკრება და ანუსხვა კი ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, რადგანაც მით კარგად გამოსჩნდება ის ურთიერთ დამოკიდებულება, რაც კი ქართველ მეფეთა, სამეფო გამგეობისა და მრეწველთა და ვაჭართ შორის არსებობდა.

————

ბოდიშს ვიხდით მაზედ, რომ ჩვენი შეძლების და გვარად, ამ აღწერაში ბევრი რამ მასალები მრეწველობის და ვაჭრობის შესახებ თავის აღსავსეობით ვერ მოვათავსეთ. ამის ბრალი ჩვენი არ არის, მიზეზები ჩვენს წინაპართ ედებათ. იგინი არას გვიწერდნენ ამის შესახებ. მართალია თითო ორო-ლა პირს კი უწერიათ სხვა და სხვა ცნობები, მაგრამ იგინიც 1795 წ. უბედურს შემთხვევას მოუსპია. ჩვენი აღწერა ზუბა-ლაშვილების გვარის წევრთა შესახებ რომ თავის სისრულით არ აღმოჩნდება, ამას ფიქრი არ უნდა, ეს ჩვენც კარგად ვი-ცით და უეჭველია სხვებიც შენიშვნენ, მაგრამ რა გაეწყობა, ამ ნაკლის შევსება და შემუშავება მომავალის ჟამთა ვითარე-ბას და მასალების კრებას უნდა დაეთმოს, თუ იმ დრომდე ასეთ მასალების უმეტესი ნაწილი არ მოისპო და მთლად არ დაიკარგა ისევე, როგორც სხვა მხარეთა ისტორიული მასალე-ბი დავკარგეთ.

ჩვენდა სამწუხაროდ, თფილისის მოქალაქეებში ადრე ძველ წარჩინებულ მოქალაქეთ რიცხვი ერთობ დიდი იყო. იგინი ქართველთ მეფეებისაგან დიდათ პატივცემულნიც იყვ-ნენ, დაჯილდოვებულნიც. მათს ოჯახებში მრავლად იყო და-ცული ქართული წიგნები, სიგელნი, გუჯრები და მრავალიც სხვა წყალობის წერილნი, რომლებიც მათ ქართველთ მეფე-თაგან ეძლეოდათ ვითაარცა წყალობის ცნობანი. ასეთ წარ-ჩინებულ ოჯახის ძველს წევრთ ჩვენც მოვსწრებივართ და მათში ბევრი რამ ისტორიული მასალებიც გვინახავს. გვინა-

ნახავს თვით ძველი სავაჭრო დავთრებიც, სადაც ანუსხული ყოფილა მეფეების დროის ვაჭართა ცნობები, დღიური შესავა-ლი, მაზანდა საქონლის და ბევრიც სხვა ღირსეული ცნობე-ბი. ყველა ასეთ ცნობებს ძველნი მოქალაქენი დიდის სი-ფრთხილით ინახავდენ. იგინი ამ მასალებს არავის უთმობდენ. მაგრამ გავიდა ხანი, მათ განვლეს სოფელი და მათ შემდეგ ყველა ის ძვირფასი მასალებიც მოსპობას მიეცა, რადგანაც მომავლის თავობას წარსულის აღარასფერი შეგნება ჰქონ-და. დღეს, მთელს თფილისის მოქალაქეებში კაცი ჩვენის ძვე-ლის დროის ვაჭრობის და მწერლობის ცნობებს ერთობ იშვი-ათადა შეხვდება. ყოველივე განქრა! ყოველივე მოისპო, მეწ-ვრიმლების დუქნებში დაიხა ქაღალდათ.

ჩვენის მასალების ყოველივე ნაკლი სულ ამისი ბრალია. აი ეხლაც ვიცით შემდეგი ამბავი, რომელიც მრეწველობას და ვაჭრობას შეეხება, მაგრამ რადგანაც მასზედ დაწვრილე-ბით არ არის ჯერ ცნობები შეკრებილი, ამიტომ ვერც ჩვენ ვსაუბრობთ თამამად. XVIII საუკუნის დამდეგს, თფილისში და გორს სცხოვრებდა სამცხელი იოსებ ზუბალაშვილი, ვგო-ნებთ მამა იყო მერაბის და ძმა გიორგი ზუბალაშვილისა (დ. 1694 წ.) იგი სამცხიდამ თფილისში გადმოსახლებულა და და-სახლებულა ვაჭრობის გამო. თფილისში მას ჰქონია გამართუ-

ლი კარგი ვაჭრობა, დახსნილი ჰქონია სანთლის ქარხანა, საპნისა, ლარისა, ღაზლისა, ძაფისა და შალეულობისა. ამას გარდა მასვე გაჰქონდა ოსმალეთში მატყლი და სხვა ასეთ სახმარი საქონელიც, რომელსაც იქით გასავალი ჰქონდა. ოსმალეთიდამ და სპარსეთიდგან მას შემოჰქონდა ისეთი ნივთები და საქონელი, რასაც მთელს საქართველოში ჰქონდა გასავალი.

თფილისს გარდა ამავე იოსებს კარგი ქარხნები ჰქონია დახსნილი გორსა და ახალციხეშიც. ახალციხეში ადრე მის ამბები ბევრმა მოხუცმა იცოდა. იოსებ ზუბალაშვილი იმოდენად გავლენიანი პირი ყოფილა, რომ ქართველთ მეფეთა და ბატონიშვილებს გარდა თვით ოსმალეთის მთავრობაზედაც კი

ჰქონია დიდი გაელენა, მის საქონელს გზაში თურმე ვერვინ გასცარცვავდა, ყოველთვის იენგიჩრები მფარველობდნენ და საქართველოში ქართველთ სამეფო გზის დარაჯნი. სხვა ფრივაც შენიშნული ყოფილა ეს იოსები, როგორც ქრისტიანე. იგი ყოფილა მტკიცე კათოლიკე. მისი მეუღლე ყოფილა გორელი მოქალაქის ქალი ლალება (ელენე). ორივეს ძრიელ მრავლად უნათლავთ გორსა და თფილისში კათოლიკეთა პატარა ბავშვები. სამწუხაროდ ასეთ პირის საქმეთა და მრეწველობის შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ იოსების გარდაცვალება ეკუთვნის 1780 წლებს. ამას გარდა იყო კიდევ სხვა იოსებ ზუბალაშვილიც იმავ საუკუნეში. რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, იმავ დროს, ამ გვარში ვაჭარნი და მრეწველნიც სჩანან, მათი მოქმედების ცნობები კი არ გვაქვს. იოსებ ზუბალაშვილებს გარდა გაძრიელებულ მრეწველ-ვაჭრებად ითვლებოდენ მეფეთა წინაშე იზმირელები, შაღინაშვილები, ტერშმოვანი, ყუზანაშვილები, სარაჯიშვილები, ყალამქარი, ბაბანაშვილი (ბაბანოსოვი) ფითუაშვილები, მირიმანაანი, მირზაშვილები, ნარუაშვილები, ფიბუაშვილები, ისარლოვები, ხალათაშვილი და მრავალიც სხვანი. ამათთვის საქართველოს მეფის თხოვნით რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინემ ეკატერინესლავში იარმუკობა განაწესა. ამათ დაედგინათ გზის სავაჭრო ჰასასები (დარაჯნი) და მრავალიც სხვა. უპირატესობა მიენიჭათ ხოჯიმინასოვს, თავადიშვილობა ებოძა, ზოგს აზნაურისშვილობა. ვაჭრობის მხრივ წაახალისა მრავალნი მოქალაქენი და ვაჭრებიც დააწინაურა. ამ დაწინაურების წყალობით მოხდა შემდეგ და დროთა საქმეთ ცვლილება-აღორძინება.

1770 წ. თფილისის მოქალაქე ვაჭარი რაფ. დანიბეგოვი (ქართველთ კათოლიკე) გაიგზავნა ინდოეთში, იქაურს ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად საქართველოს შესახებ და თფილისში შაქრის ქარხანის დაარსებაზედ და 10,000 ინდუსელების საქართველოში გადმოსახლებაზედ. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და მხოლოდ 1830 წლებში გაიხსნა

თფილისში ქართული შაქრის ქარხანა ზუბალაშვილებისაგან.

თფილისში გაიხსნა საათის მაღაზიები, 1790 წ. საქართველოში ჩნდება მესაათე ნემენც გოტფლიდი. მესაათედ სტამბოლის სომხებიც იყვნენ. ქართველი მესაათენი ახალციხიდამ იყვნენ, სამცხელნი, ქართველ კათოლიკენი.

ფრანგის პატრებმა გახსნეს სამკურნალო სასწავლებელი.

განწესდა მეფეთაგან მოქალაქობა და მოქალაქეთა უფლება. იგინი იქმნენ ნდობილ მეფეთაგან და პატივცემულ როგორც თვით ზუბალაშვილები.

ამქრული წესები განავრცელეს და განაფართოვეს. იგი განთავისუფლდა სამეფოს წესებისაგან, თავისებური სრული საკანონო მხარე მიიღო.

იოსებ ზუბალაშვილმა თფილისსა და გორს გახსნა ქარხნები საპნისა, სამთლისა, ძაფისა, ლარისა, და შალისა. იმავ დროს სხვა მოქალაქეთაც განაახლეს მინის ქარხანა, ლილისა, აბრაშუმის, ხალიჩების ქსოვის და სხვანიც მრავალნი.

იზმირელმა და მისმა ამხანაგებამ დიდიძალი მატყლი და ბამბა გაიტანეს სპარსეთს და ოსმალეთს, იქიდამ ინდოეთს. მერე ამით ვაჭრობის ქსელიც გაიბა კალკუტას და მადრასეს საქართველოს ვაჭართ ქარვასლა,ც გაკეთდა.

თფილისში გამოიცა პირველი სამეფო ფურცელი 1765 წ. და მეორე 1782 წ. სამწუხაროდ არც ამ გამოცემათა შესახებ გვაქვს ცნობები. მათ მოპოვებაკი მეტად ძვირფასია ჩვენის ისტორიისათვის.

თფილისში გაბრიელ მაიორმა გამართა ქართული თეატრი, 1787 წ. წარმოდგენები გაგრძელდა 1794 წლამდე. ამ წარმოდგენების დაბეჭდილმა ბილეთებმაც მოაღწია ჩვენ დრომდე. ზედ ეწერა: „შაური ორი-გაბრიელ მაიორი".

პატრი მავრო გაიგზავნა რომის სენატში.

თფილისსა და თელავში 1780 წ. სასულიერო სემენარია გაიხსნა ევროპიულის წესით.

გაფართოვდა სასულიერო გამგეობა კათოლიკოზისა.

აღორძინდა სტამბათა საქმე, იწყეს წიგნების ბეჭდვა და

1781 წ. თფილისში გამოიცა ცალკე წიგნად ქართული სტამბის დაარსების ისტორია. სტამბის ასპარეზზედ მუშაკათ ზუბალაშვილებიც გამოსჩნდენ: რომანოზი, გიორგი და დავითი. დაარსდა კონვერტების გამოსაჭრელი საკაზმავი. იმერეთში დაარსდა ქართული სტამბა და მის გამგეთ ზუბალაშვილების გვარის წევრნი აღმოსჩნდნენ.

გაფართოვდა თფილისში წამალხანა, (აფთიექი) სავადმყოფო გახსნეს ფრანგის პატრებმა.

გაიხსნა სამათხოვრო სახლი „სამადლო“. ამ სახლს ინახავდენ მოქალაქენი.

ახალციხელ ქართველ კათოლიკეთ ვაჭრებმა იწყეს თფი-

ლისში გადმოსვლა და ვაჭრობა.

1775 წ. განწესდა წესი და რიგი მორიგი ჯარის კრების.

1776 წ. ჩამოისხა ზარბაზნები და საჭირო იარაღნი.

მოიჭრა ოქროს ფული და განახლდა ზარაფხანა და მდივანხანა. ოქროს ფული საშუალო საუკუნოების შემდეგიდამ საქართველოში აღარ მოჭრილა. მიზეზი სამეფოს სისუსტე იყო. ბევრნი ჰგონებენ, რომ ვითომც საქართველოში ქართველთ მეფეებს ოქროს ფული არ აქვნდათო. ეს არ არის მართალი. ამას არღვევს ქართული ნუმიზმატიკის შესწავლა.

თფილისის, გორის და ახალციხის ქართველ კათოლიკეზმა ევროპაში იწყეს წასვლა სწავლისათვის. პროპაგანდოში რამდენიმე ქართველმა დაამთავრა უმაღლესი სასულიერო და საერო სწავლა. 1795 წ. დაამთავრა სწავლა პ. შაჰპყულიანმა.

თფილისის და სხვა კუთხის სომხის მოქალაქეთა იწყეს მრავლად განსვლა სტამბოლს და ვენეციას სასწავლებლად და სავაჭროდ. საქართველოში გაჩდნენ სომხის ნასწავლი ერის კაცნი და სასულიერო გამგე პირნი.

მეფის თხოვნით ტერ-შმოვნმა გააკეთა თფილისის გეგმა და შემდეგ ამის გეგმათა ხატვის და ხაზვის ოსტატობაც გავრცელდა.

ვაჭარმა მთიულმა ბეწინამ სტამბოლით დიდ-ძალი ბამბა და მატყლი გაიტანა შვეიცარიას.

თფილისში გაკეთდენ რამდენიმე ფართო ქარვასლები, რომელნიც დღესაც არსებობენ. მოეწყვნენ იქ ვაჭრები და სოვდაგრები. იწყეს მრავლად საქართველოდგან სხვა და სხვა საქონლის გატანა და ისევე უცხო სახელმწიფოებიდამ შემოტანა სხვა და სხვა სავაჭრო საჭირო საქონლის, ხილის, წამლეულობის, სხვა და სხვა ნაყოფის და ფართლის.

თფილისს და ასეთ ქალაქებს გარეშე სახელოსნო და სავაჭროთ განწესდენ წესნი თვით დაბებშიაც, მაგალითებრ გურიაშიც კი განწესდა პარასკევობა და ისიც თუ პარასკევობას ვაჭარნი და ხელოსნები საგურიელოდ რა ხარკს იხდიდენ. ასევე სხვა სამთავროებმა იცოდნენ. თფილისში იარმუკობის დრო არ იყო განსაზღვრული. ბაზრობა იცოდნენ დრო და დრო თვეში ერთხელ, ხან სამ თვეში ერთხელ, ხან ადრე,ხან გვიან.

ყველა ასეთ საქმეთა თანაზიარი და თანამონაწილენი იყვნენ თფილისის მოქალაქენი, ვაჭრები, ხელოსნები და მუშებიც, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ამაზედ ცნობები არ გვაქვს. სადაც ერთი და ორი პირი იყო ამა საქმეთა თანამდევარ ვაჭარ, მრეწველ-ხელოსან მუშაკი, ასევე იქმნებოდნენ ზუბალაშვილებიც.

თფილისის მეიდანს მიემატა მეორე ნაწილიც და გაფართოვდა დღიური აღებ-მიცემა. ამისთვის დაიდგინა დღიური წესიც მაზანდისა. სამაგალითოდ მოვიყვანთ ამასაც: პური კოდი ორი აბაზი, ღვინო თუნგი ერთი შაური, ხორცი ლიტრა ექვსი კაპეიკი. თევზი ლიტრა ექვსი შაური, ხიზალალა ლიტ-

რა 70 კაპ. ცხვარი 80 კაპ. ძროხა 2 მანი. კალატოზი ორი აბაზი და სხვა სანოვაგეც ამ გვარ. ხე, ტყე და აგურის ფასიც განსაზღვრულ იყო; შალების, ძაფეულობის, ყაზაზებში დაბღებში, ხარაზებში, ჭონებში, მეშანდლე-მექვაბეებში. ერთის სიტყვით ყველა ხელობის და ვაჭრობის მოხელეთ მიეცათ წესი და რიგი.

თავის ალაგას ჩვენ მოვიხსენეთ, რომ როგორც კონ. ზუბალაშვილი, ისევე მის მეუღლე, ელისაბედ მიხეილის ასული ზუბალაშვილისა(† 1894 წ.) დიდი კაცთ მოყვარენი იყვნენ

და უძლურთ შემწენი. ამ მოსაზრებას თავის ჭეშმარიტების ნიშან წყალი სცხია და ამასვე ასაბუთებს შემდეგი ლექსი და მის ცნობა, რომელ ლექსიც მე მივიღე ბ. აღ. თუთაევისაგან. და აქ ვათავსებთ მას, როგორც უტყუარს მაგალითის ჩვენის მოსაზრებისას. ჩვენ იმ ჰაზრის გახლდით, რომ ვიდრე ზუბალაშვილები თავიანთ დახმარებას საქვეყნოდ გამოაცხადებდნენ, იგინი მინამდისაც ცნობილნი იყვნენ, როგორც ქველ მომქმედნი, ღარიბთ მწენი და მათი მექომაგენი. იქმნება გვარში ერთი ან ორი წევრი იყოს ასეთს დარგს მოცილებული, დანარჩენნი კი თითქმის ჩვენგან განმარტულ მცნებათა ღაღადებას ეკუთვნიან და თავიანთ ვალს ადამიანურად ასრულებენ, ყველა თავის შეძლების და გვარად ასრულებს ადამიანობის სავალდებულო მხვედრს.

ბ. აღ. თუთაევი, მოგეხსენებათ, ქართველებში ცნობილი პირია. იგი სწერს პიესებს, ლექსებს და წერილებს. ამას გარდა ცნობილია როგორც გულ კეთილი, მართალი ადამიანი და ქართველთა საქმეების კარგად მცნობი. მას კაი ცნობა ჰქოწია კ. ზუბალაშვილის და მის მეუღლის ელისაბედის. ეს ლექსი მას დაუწერია 1898 წ. და ძღვნათ მიურთმევია კ. ზუბალაშვილისთვის. თუმცა საგვარეულო აღწერაში ამ ლექსს ალაგი არ აქვს, მაგრამ როგორც მასალა და ცნობა გამომხატველი ერთის მაგალითის და საქმის, მიტომ ვათავსებთ ამას. აი ლექსიც:

ვუძღვნი კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილს.

მინამ არ მნახავ, ვერ მოიფიქრებ,
ვინ გიძღვნა ლექსი ამ დროებათა,
ვინ დაგიხატა მოკლედ ძველი დრო,
ხსოვნების და გვარ შედარებათა.

———

მე, ვარ, თუ გახსოვს, დუქნის შეგირდი,
განსვენებულის ბიძა თქენისა *)
მეთაურობდა გორის მცხოვრებლებს
ისე, როგორც რომ კარგ კაცს შვენისა.

———

იქ გაგიცანით, იქიდამ მახსოვს
მთელი ოჯახი მამის თქვენისა,
ქართლ-კახეთშია და იმერეთში
სახელი ჰქონდათ ნამდვილ ბრძენისა...

———

გორში მე ხშირად ვიყავი თქვენსა,
მორჩილს მგზავნიდნენ აქეთ-იქითა,
შინ წასვლისასა მე მამათქვენი
გამისტუმრებდა დარიგებითა.

———

თქვენი მეუღლე ელისაბედი
მე მპატრონობდა როგორც რომ შვილსა,
და მოსეს ხელით მოურავისა **)
ღარიბთ აძლევდა ყოველთვის წვლილსა.

---

*) ბიძა-ზუბალაშვილისა იყო დავითი. ბ. აღ. თუთაევის ცნობით დავით ზუბალაშვილი გორში უპირველეს პირად ირიცხებოდა. გორს და მის მცხოვრებთ იგი მეთაურობდა, გორში როცა კი მთავარ მართებული ან სხვა ასეთი ვინმე გიახლებოდათ, მაშინ მათს წინაშე დავითი წარსდგებოდა, გორის მცხოვრებთა საჭირო საქმეებზედ ისაუბრებდა. დავითი თავის დროის კვალად იყო შესანიშნავი პირი, მოწყალე და უძლურთა შემწე: ამის შთამომავალნი გახლავან ანტონი, ნიკოლოზი და ალექსანდრე ზუბალაშვილები.

**) იყო კ. ზუბალაშვილის ნაყმევთაგანი,მოურავად იყო კარგა ხანს.

მარტო წყალობა გორში არ ჰქონდა *)
თვით ქალაქშიაც ბევრს პატრონობდა
და ბევრი ხალხი მის სიცოცხლესა
დაუცხრომელად უფალსა სთხოვდა.

—

განვლო ხანებმა... გარდაიცვალა
ნეტარ ხსენებულ მამა თქვენია,
წელი მომწყვიტა იმის სიკვდილმა,
იმედი მქონდა მისგან ბევრია.

—

აი მას აქეთ მოვსტირი სოფელს,
აღმართ-დაღმართი ხშირად მხვედრია,
და თქვენთან მოსვლა ძველებურათა
ვფიქრობ და ვეღარ გამიბედნია **) .

—

მოველ კი იმ დროს, როს გარდიცვალა

ნათლით მოსილი ელისაბედი,
ბევრი ვიტირე დაკარგვისათვის
რომ მოგეშალათ თქვენი იმედი.

—

საჭირო არის თქვენი სიცოცხლე,
ესა სჯობია სუყველას დღესა,
მდგომარეობა გაგიძლიერდეთ,
იბედნიერეთ მრავალსა წელსა...

აღ. თუთაევი.

1897 წ.

---

*) ბ. აღ. თუთაევის სიტყვით ელისაბედ მიხეილის ასული ზუბალაშვილისა დიდს დახმარებას აძლევდა გორის მცხოვრებთ ღატაკებას. ელისაბედის გორში მოსვლას ღარიბთ ოჯახნი ზეცის მანანასავებ ელოდნენ. ნამეტურ ეხმარებოდა სააკაანთ, ბეჟანაანთ იორონიმეს დედას, ჯანდაკიანთ, ლომაანთ მარიამას და სხვათაც მრავალთა ხელმოკლეებს. ყველას არ იხსენიებს თანამედროვე მნახველი მოწამე. ესეც საკმარისია.

**) ლექსის მიღების შემდეგ კ. ზუბალაშვილს დაუბარებია აღ. თუთაევი და ბევრჯელაც უნახავს და საუბარიც ჰქონიად ურთი-ერთ შორის ქართველ ხალხის ვაჭრობასა და მწიგნობრობაზედ.

ბ. აღ. თუთაევს, როგორც თანამედროვე პირს, ყველაფერი დაეჯერება, იგი ტყუილს არას იტყვის, ამის ძალას არვინ ატანს. ზოგნი წინააღმდეგს ცნობებს ლაპარაკობენ. მაგრამ ამავოდ. წინააღმდეგი მტრობით უნდა იყოს მოგონებული, ვარდი უეკლოდ არვის უნახავს. ამავე პირმა აღიარა, რომ გორში როგორც დავითი იყო აღმატებულის თვისების, ისევე გიორგი ზუბალაშვილი და მამანი მათნიო. ყველა მათ გორის მცხოვრებთათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდათო. იგინი იყვნენ ბევრი ყმის პატრონებიც, მაგრამ ყმათა დევნასა და შეწუხებას კი სრულებით არ მისდევდნენო. მეტად წარჩინებულ პირები იყვნენ და გორში ამისთვის ხალხიც პატივს სცემდა, დიდათ აფასებდნენო. უნდა ითქვას, რომ გორს, ყოველ შეწუხებული პირის იმედი ზუბალაშვილები იყვნენ, ყველას მათთან ჰქონდა ბინა და პირის ადგილიო. ყოველ ამ პირების სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო გორის შეუძლო მცხოვრებთათვისაო. შეუძლებელია აინუსხოს ყველა ის სასიკეთო მხარეები და მოწყალებაო, რაც კი ამათის ხელით მოფენილა ხალხშიო. ამათ მათხოვარი ისე ვერ გასცილდებოდაო, რომ დახმარება არ მიეღოვო. ნამეტურ ქებული იყო ელისაბედ მიხეილის ასული, რომლის გარდაცვალებაც გორის შეუძლო ოჯახებმა დიდათ იგლოვესო.

ასეთ ცნობებს ყოველვთის უნდა დაეთმოს ადგილი და ბეჭდვით აღინიშნოს, რადგანაც იმ დროს, ჩვენში, ქართველთ შორის მოწყალე პირთა ხილვა სამთლით საძებარი იყო, იგი ერთობ იშვიათი გახლდათ ქართველთ შორის და კათოლიკობაში კი მაინც არსებობდა. ამ მიმართვას ყველა მისდევდა თავის შეძლების და გვარად და ქართველნი და სომეხნი კი გროშსაც არ გაიმეტებდნენ უძლურთა სასარგებლოთ.

რაც აღ. თუთაევმა გვიამბო და გადმოგვცაო, ამის ცნობების შემოწმებასვე მტკიცეთ ემოწმება ქართველ კათოლიკის აწ განსვენებულის იაკობ ლაზარეშვილის ცნობაც. ეს პირი თფილისის კათოლიკეთა ეკკლესიის სკოლაში კარგა ხანს მასწავლებლად იყო. იგი მომსწრე იყო ელისაბედის და მნახვე-

ლი იმ მოწყალების, რასაც კი ეს ქალი სხვებს უწილადებდა და მით სახსარს აძლევდა. ნამშტურ მოსწავლე ღატაკ ბავშვებსაც დიდს დახმარებას აძლევდაო და ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილიც ხომ მუჭით აძლევდა ხოლმე უძლურებს თეთრ ფულსაო. ასეთ ცნობების მოყვანას რომ გავყვეთ, ეს ერთობ შორს წავავო.

ყველა ეს ცნობები ჩვენ აქ მიტომ მოვიყვანეთ, რადგანაც არიან ჩვენში ისეთი პირები, რომელნიც მოწყალებას უარს ჰყოფვენ და იგინი ბრძანებენ, რომ ასეთი მოწყალებით ერის გაჭირებას არა ეშველება-რაო, მისის მეოხებით სიღატაკე ძირიან ფესვიანად არ ამოვარდებაო. ნაცვლად ამის ასეთი მოწყალება გაჭირების და სიღატაკეს უფრო ავრცელებს და ამაგრებსო. უნდა ითქვას, ამ ჰაზრის მექონი პირები თავიანთ აზრებს სხვა და სხვა მეცნიერთ პირთა შენიშვნებითაც ასაბუთებდენ და მოწყალებას უარს ჰყოფდენ. ამბობენ მოწყალება იმან გაიღოს, ვისის წყალობითაც სიღატაკე იბადებაო. უნდა ითქვას, რომ როცა კაცი გაჭირებაშია, მაშინ იმას დახმარება უნდა და არა ფილოსოფისურის ტრაქტანტებით ოცნებობა. გაჭირვებულს უშველეთ, რომ ის სიღატაკისაგან არ მოისპოს და თქვენი თანხები სამერმისოდ შეინახეთ. იგი მერე განახორციელეთ, მერე გამაიყენეთ ქვეყნის სასარგებლოთ.

ასე და ამგვარად უნდა ითქვას, რომ ზუბალაშვილების საქციელი სანაქებო ყოფილა და არის კიდევაც. საყურადღებოა ამითი ისიც, რომ დახმარების დროს თავიანთ ქვეყნის კაცთან სხვებსაც ერთად უმზერენ და ამათვის რუსი, სომეხი, თათარი და ქართველი სულ ერთია, ყველას ერთნაირად უმზერენ და ამასვე ასაბუთებს თვით ამათგან მოქმედული საქმენი, სხვა და სხვა საზოგადო სამადლო და საქვეყნო შენობათა კეთება, სადაც ყველა ტომის შვილთ ექმნებათ ბინა. ესეც ერთი სათნოება არის ადამიანის ღირსების, რადგანაც ჩვენს დროში, ასეთს სამკაულებით მხარეს ბევრნი არიან მკაცრად დაშორებულნი.

დიდებული სპენსერი ბრძანებს, რომ დრო იყო, როცა

ძველი ბიოგრაფები სულ მდევების, გმირობის და ზღაპრების ამბებს სწერდენ და მით ჰკვებავდენ მოზარდ თავობის გონებით მოთხოვნილებასაო. ეხლა უკვე მოვიდა მწერლობაში მისი დრო, რომ ახალი თავობა უნდა მომზადდეს განვლილ დროთა აღწერილის სწორეს, ჭეშმარიტის ცნობებით: ცნო-

ბები სწორეთ უნდა იყოს ანუსხული და მათ გარჩევა, ანუ საქების ქება და საკიცხის კიცხვის შეტყობა თვით ბავშვებსაც კი შეეძლებათო. ჩვენც ამიტომ დავიწყვეთ ასე და გვენატრება სულით და გულით, რომ კეთილ მხარეთა ანუ სხვას და მასთან საგმობსაც კი თავ-თავის ალაგი მიეცეს, აწერილ და ანუსხულ იქმნეს ყველაფერი, რათა მის საშუალებით მბაძველს მბაძველი არ დააკლდება და მოზარდი თავობაც ცხადი საქმეა მის წაკითხვით გონებას მოიმზადებს, აზრებს განისპეტაკებს და ცხოვრების გზაზედაც გეგმათ აღნიშნულს მხარეს დაიდებს აღსასრულებლათ და მით მოუტანს ქვეყანას და მის ერს თავის შესაფერს სარგებლობას. დასასრულს ყველა ეს ცნობები ჩვენგან გამოწვეულ ჰყო ზემოდ მოყვანილ სამახსოვრო ლექსმა, რომელიც ცხადათ მოწმობს ჩვენის საუბრის მტკიცე ჭეშმარიტებას.

დასასრულ უნდა ვსთქვად შემდეგი: ზემოდ ჩვენ მოვთვალეთ ზოგი რამ ისტორიულ საქმეთა აღორძინება, ანუ დაარსება და წარმატება. ამ საქმეთა გარეშე სხვა საქმენიც ბევრი რამ უკეთებიათ ჩვენ წინაპრებს, მაგრამ მათ შესახებ ჩვენს მემატიანებს არა უწერიათ რა. პატივცემულის იაკობ გოგებაშვილის მოწმობით დიდათ აღსანიშნავია ჩვენში თვით სამართლის კეთების ხელოსნობის ოსტატური საქმეც და მრავალიც სხვა ამ გვარნი სიმარჯვენი, რომელნიც წარმატებით იყვნენ მოსილნი და რასაც გულდენშტეტი, კლაპროტი და ბრონევსკიც ასაბუთებენ.

განა შეიძლება რომ რომელიმე ერში ასეთ საქმენი ყოფილიყოს გაკეთებულნი, მის დამფუძნებელთაც ეცხოვროსთ და მათზედ კი თანამედროვე მემატიანებს არაფერი დაეწეროსთ. რასაკვირველია არა და არსად შეიძლება ეს მომ-

ხდარიყოს. ეს მხოლოდ ქართველებში მოხდება, რასაც რასაკვირველია თავის მიზეზები აქვს. ამიტომ ყოველს ჩვენ გვარს აღწერას თავისი ნაკლი ექმნება. ამ ნაკლს ჩვენ გამოტეხით ვამბობთ არა მარტო ჩვენის შრომისთვის, არამედ მთელის ჩვენის ისტორიისთვის. 1785 წ. თფილისში არსებობდა მინის ქარხანა და საქსონის საინად წოდებულის ქარხანა, ქირმანის და რიზაი შალების საქსოვი ქარხანა. აქვე იქსოვებოდა შეიდიში, ყანაოზი და ბევრიც სხვა ნართი. ამათ გარდა თფილისში იყო რამდენიმე დიდი საფეიქროები, საფეიქრო თვით ღაზლისა და თოკისა. საფეიქროები თფილისს გარდა სხვა დაბებსა და ქალაქებშიაც არსებობდენ, სადაც გამოჰყვანდათ ქართველის ერისთვის ყველა საჭირო ნართი. თვით 1769 წ. „შეთქმის“ გამცემი დათუნა ფეიქარი იყო მის შემდეგ დიდი ფეიქრის ქარხნის პატრონი, რადგანაც მეფემ მას ბევრი ფული აჩუქა საფეიქროს გაფართოვებისათვის. მაგრამ არც ერთზედ ჩვენ ცნობა არ გვაქვს. ამიტომ უნდა კვალად ითქვას, რომ ზუბალაშვილების გვარის ისტორიაში ბევრი რამ საქმეთ ცნობები ვერ მოვათავსეთ. ამის შევსება მომავლისთვის მიგვინდვია.

აქვე წარმოვადგენთ ზუბალაშვილების გვარის შტოს. შტო შეეხება XVII საუკუნიდამ დაწყობილი ჩვენი დროის პირებამდე. ამაშიაც ცხადია ბევრი რამ ნაკლი გვექმნება, მაგრამ რა გაეწყობა. ესეც ძნელია ჩვენში და შეუძლებელი, რადგანაც მასალები მცირეა. დღეის შემდეგ ამ გვარის წარმომადგენელთ და მრეწველების შესახებ თუ რამ ცნობები აღმოსჩნდა, იმას ჩვენ მოვათავსებთ სხვა „კრებულში", რომელიც ცალკე გამოვა და მაშინ ყველა მასალები უფრო შემუშავდება და გაირკვევა ნათლად.

XVII საუკ. საქართველოს მეფეთა ევროპაში ყოფილი ელჩი მეგრელი „ჯვარის მამა" გაფრანგებული ნიკიფორე ირბახია.

ქართველი ერის ისტორიის მასალების სიმრავლე მეტად მდიდარია, იგი საოცრებათ დაშთება მრავალთათვის. ჩვენი წარსული შესანიშნავია მრავალნაირის ცნობებით. მასში ბევრი რამ ისეთ ბრწყინვალე პირთა ცნობებიც მოიპოვება, რომელთ მსგავს ცნობებს ევროპიელნი ორის ხელით ებღაუჭებიან და სამერმისოდ ინახვენ. ჩვენ კი, ქართველნი წყალ-წაღებულნი ვართ ბევრს საქმეში და ჩვენ ჩვენი ისტორიის არც მნიშვნელობა ვიცით, არც სიმდიდრე, არც მის დაქვეითების მიზეზები, არც კიდევ ბევრი რამ სხვა საყურადღებო მხარეები. ერთის სიტყვით, მოკლეთ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენის გულ-გრილობის გამო ბევრს რამეში ვართ უკან ჩამორჩომილნი! რა გაეწყობა.

აი, ეხლაც მოგვყავს აქ ნიკიფორე ირბახის ცნობა, რომელიც ჩვენს ისტორიაში მცირედ ცნობილ პირათ არის დაშთენილი. თუ რამ ცოტა ოდენი ცნობები ვიცით, ესეც ევროპის მოგზაურთ მოძღვართ ნაწერებიდამ. შარდენის მოწმობით ნიკიფორე, ანუ ნიკოლოზ ირბახი მეგრელი ყოფილა. იგი ეკუთვნოდა სამეგრელოს ერთს წარჩინებულს გვარის ოჯახს, სცხოვრებდა XVII საუკუნეში, სამეგრელოში. დღეს ირბახის მსგავსი სამეგრელოში აღარავინ სჩანს და ბახია კი მოიპოვებაო. ჩვენ, ირბახი – ირბახიათ მიგვაჩნია. ხოლო რაც შეეხება სამეგრელოს თავად-აზნაურთ გვარის აღწერას, იქ ამ გვარის მსგავსი არავინა სჩანს, ეს ყველა ჩვენგანმა უნდა იცოდეს. მაინც, ვინ იცის, იქნება ირბახის გვარის წევრნი XVII საუკუნეში სცხოვრებდნენ და შემდეგ აღარ დაშთნენ, მოისპნენ. ვინ იცის, ადვილი შესაძლებელია, მუდმივ ქართველთ გამწვავებულმა გარემოებამ და ომებმა ბევრი ძვე-

ლი ქართველი გვარის წევრნი გააქრო დედა-მიწის პირზედ და მით ეს გვარებიც მოსპო და გააუქმა. შეიძლება, რომ XVII საუკუნის შემდეგ ნიკოლოზ ირბახის გვარსაც იგივე უბედ ურება ეწვია.

როგორც სჩანს, ნიკოლოზი – ირბახის მონათვლის სახელი ყოფილა. იგი აღზრდილა სამეგრელოში, შემდეგ საბერძნეთშიაც ყოფილა, იერუსალიმშიაც რამდენ გზისმე უმგზავრნია, სადაც კი უცხოვრია ბერძნის ბერებთან, ყველგან თავის ნავალი დაუტოვებია. გარდა ამისა, იგი დიდი მოტრფიალე ყოფილა ევროპიულის ენების და მწერლობის. ახალგაზრდობაშივე შემდგარა ბერათ, სახელათ ნიკიფორე უწოდებიათ. ის კი არ სჩანს, თუ იგი სად აღიკვეცა ბერათ, საქართველოში, თუ იერუსალიმს. მოსწავლეობის დროს, მას ყველა საგანში თავისებური ნიჭი აღმოუჩენია, ყველა საგნებს ისე კარგად სწავლობდა, რომ შუა ხნის არც კი იქმნებოდა, რომ მან უკვე სახელოვნება დაიწყო. მალე განეთქვა სახელი როგორც სასულიერო ასპარეზზედ, ისევე სამეფო პირების წინაშე. სასულიერო პირნი მას უმზერდნენ ვითარცა მცოდნედა შორს მჭვრეტელს, განვითარებულს მეტყველს და მღვთის და კაცთ მოყვარეობით აღვსილს, რომელსაც მართლაცა და ეს აშკარათ ემცნეოდა. ასევე იყო მისი ხსენება სამეფო პირთა წინაშეც, რადგანაც მან, როგორც წარჩინებულ ოჯახის მყოფმა, ადრიდგანვე გამოიჩინა ნიჭიერება სამოქალაქო და სამხედრო საქმეებთა განსჭვრეტა და განბჭობაში.

ყველაზე უფრო საყურადღებო მხარე ნიკიფორე ირბახისა ყოფილა ის გარემოებაც, რომ მას თავის ახალგაზრდობიდამვე აღმოუჩენია დიდი ნიჭიერება არამც თუ მარტოდ ქართველ მწერლობის ასპარეზზედ, ქართულად წერაში, არამედ უცხო ერის ერთა მწერლობის ასპარეზზედაც. იგი ევროპიულსა და აზიურს ენებზედაც ისევე თავისუფლათ მწერლობდა, როგორც ქართულს ენაზედ. ევროპიულს ენებზედ უმეტესად საქართველოს შესახებ უწერია. ხანში შესვლის დროს,

ნიკიფორე იბრახი სამეგრელოში დამკვიდრებულა. იქ სცხოვრობდა ერთს მონასტერში, რომელ მონასტერსაც მთელის სამეგრელოს ერი დიდათ სცემდა პატივს. თვით ნიკიფორე ირბახიც მათში იყო დამსახურებული და სახელდებული, რომ მას დიდათ აფასებდნენ და საერთოდ ყველგან, მთელს სამეგრელოში მას უაღრესობით უმზერდნენ და ნიშნად ღრმად პატივის ცემისა ნიკიფორეს კი არ უწოდებდნენ, არამედ მამას, ანუ ჯვარის მამას, ვითარცა იერუსალიმში ყოფილს და დიდათ პატივცემულს მრავალთაგან და ხალხის მოყვარეს.

ნიკიფორე ირბახია ცნობილი ყოფილა არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელს საქართველოში. საქართველოში მას ყველა კუთხეში იცნობდნენ, თვით კახეთში. მეფე თეიმურაზ პირველიც კი იცნობდა კარგათ და შესამჩნევათაც აფასებდა. ნიკიფორეს მეფე მრავალ გზის სთხოვდა საქვეყნო სა-

ქმეებში მონაწილეობის მიღებას და მართლაც ნიკიფორეც ისმენდა თეიმურაზის სიტყვას და სამეფო და საერო საქმეებშიაც ერეოდა. ცნობა არ გვაქვს, მაგრამ, როგორც სჩანს, ნიკიფორეს სამეგრელოდამ კახეთშიაც ხშირად უმოგზაურნია. მას კახეთი და მის მეფეთ, თავადთა, აზნაურთა, სამღვდელოთ და გლეხთა საქმეებიც კარგათ სცოდნია. უამისობა არც შეიძლებოდა. იმასაც ფიქრი არ უნდა, რომ თუ ნიკიფორე ირბახმა სამეგრელოდამ კახეთის ვითარებაც კი კარგათ იცოდა, რასაკვირველია, მას კახეთამდის უფრო ახლოს მდებარე ქართველთ სხვა კუთხეები და მის მკვიდრთ მცხოვრებიც ზედ მიწევნით ექმნებოდა გათვალისწინებული და საფუძვლიანად აწონილ-დაწონილი.

ჭეშმარიტად რომ მართლაცა და ეს სწორეთაც ასე სჩანს და ნიკიფორე ირბახი, როგორც შორს მხედველი, თავის ქვეყნის საქმეებში შესანიშნავ პირათ იხატება, თავის ქვეყნის მდგომარეობის ღრმა დამკვირვებლად, სამეფოს პიროზების ყოველი საქმის კარგათ მცოდნედ და ნამეტურ ქართველთ ერის ცხოვრების ნათლათ მხედველისას. ამაზედ ჩვენ

ჩვენის მოსაზრებით და დასკვნებით რომ არ ვილაპარაკოთ, უამისოდ ევროპას მოგზაურნიც ცხადათ გვამცნევენ. ნათლად. სჩანს, რომ ნიკიფორე ირბახია, ქართველთ ცხოვრებაში საყურადღებო პირია, იგი თავის დროის კვალად სამაგალითო მისაღებ-მისაბაძია. მისი ცხოვრება მრავალ-ფეროვანია და მრავალ-ნაირად დაბრძნილი. ასეთ პირობების ბიოგრაფიების აღწერა სანუკარ საქმეთ უნდა გვექმნეს მიღებული. იგი შთამომავლობას საბოდიშოთ გარდაეცემა და ბევრს ქართველს გაამხნევებს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ცნობები არ გვაქვს. თუმც აღნიშნული პირის ცხოვრების მდიდარი ისტორიის მასალების ამბები კი კარგათ ვიცით. ყველამ უწყის, რომ ნიკიფორე ირბახიას ცხოვრება დიდათ საინტერესოა ჩვენთვის. მისი წაკითხვა ყველას განცვიფრებაში მოიყვანს, მაგრამ საუბედუროთ, ასეთი ძვირფასი ცნობანი ჩვენ დრომდის დაკარგულან, ხალხს არ შეუნახავს. მცირე რამ დაშთენილა აქაიქ, რაც აჩენს აღნიშნულ პირის სიდიადეს, მის მოქმედების მაღალს მნიშვნელობას ასაბუთებს.

სწორეთ მოგახსენოთ, ძრიელ ძნელი საქმე უნდა იქმნეს, რომ ერში რომელიმე პირმა, სუფთა მოღვაწეობით ასე დაიმსახუროს სახელი სიცოცხლეშივე, ხალხმა ისე ნათლათ იცნოს და შეიტყოს, რომ უკანასკნელ მისდა პატივის-ცემის ნიშნად მამა-ანუ ჯვარის მამა უწოდონ. ეს, ბატონებო, მეტად დიდი საქმეა ჩვენ დროში, და რაც შეეხება XVII საუკუნეს, მისას ხომ ზომა და ფასი აღარ უნდა ექმნეს, რადგანაც მაშინ, დრო და გარემოება მეტად უპირო და ბედშავი იყო. შეიძლება, ეს ზოგიერთებმა ასე არ მიიღონ და ჩვენის წარსულიდამ უფრო მეტი მამულისშვილები და გმირები დაასახელონ და დღევანდლიდგან კი, არც ერთი, მაგრამ ეს არ

იქნება სწორე მოხსენება-განცხადება. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ხომ თვით იმ დროის თეიმურაზ მეფეც არ იჩივლებდა გულ-მდუღრათ, რომ ჩემს სამეფოში, ერთი ისეთი რიგიანი კაციც ვერ ვიპოვე, ერთი გულ-შემატკივარი, რომ ის

სხვათა ხელმწიფის კარის წინაშე გამეგზავნა, მისთვის ჩემი გულის ჭირნი მიმენდო, რათა მას სხვის ხელმწიფისთვის შეევედრებინა, საქმე აქ არის, ეს არის საყურადღებო, რომ ასეთ გათახსირებულს ერში დიდათ სახელოვნებს ნიკიფორე ირბახია.

მოგახსენებთ, რომ ამ ნიკოლოზ, ანუ ბერობაში ნიკიფორე იბრახის გარდა, ნიკიფორე არქიმანდრიტი იმ დროს სხვაც იყო. ხოლო ეს ნიკიფორე, ტომით ბერძენი იყო. იგი უმეტესად საქართველოში, კახეთში, მეფის თეიმურაზის დროს სცხოვრობდა. მეფის თეიმურაზის წინაშეს დიდათ დამსახურებული იყო და ამაგდარი. თეიმურაზ მეფის გარდა, ეს ნიკიფორე ირბახი ქართლის მეფეს, იმერეთის ბატონიშვილებს და ლევან დადიანსაც კარგათ იცნობდა თურმე. საქართველოს მდგომარეობისათვის ამას გული დიდათ ეწოდა. რუსეთის მეფესთან თეიმურაზ მეფემ მიწერ-მოწერა რომ დაიწყო, ელჩათ, ანუ დესპანათ ეს ნიკიფორე გაგზავნა. ნიკიფორე თეიმურაზის საქმეებში მხურვალედ იღებდა მონაწილეობას. მან კარგათ იცოდა სპარსთ-ოსმალთ პოლიტიკა. იგი მეფის თეიმურაზის მიწერ-მოწერაში *) მაღალ ნიჭიერ კაცათ სჩანს, საქართველოსთვის გულ-შემატკივრათ, მეტად ბევრს, ბევრს საყურადღებო საუბარს უწევს, ბევრს ჭკვიან რჩევას აუწყებს. თეიმურაზ მეფე ნიკიფორეს მიტროპოლიტად ასახელებს. მასთან იგი დიდათ პატივსაც სცემსდა ხსენებულ წიგნში (38 გვ.) მოიხსენება, რომ 1610 წ. ნიკიფორე უკვე იმოდენი ხნისა ყოფილა, რომ მას საქართველოს საქმეების გულისთვის 50 წელიწადი უვლია და უმსახურნია. უეჭველია, ამას ქართული ენაც კარგათ ეცოდინებოდა. ეს ნიკიფორე იერუსალიმის პატრიარქს თეიმურაზ მეფის თხოვნით ჯერეთ ეპისკოპოსათ უკურთხებია, და შემდეგ მიტროპოლიტათ. მეფე თეიმურაზის

*) Переписка Грузинскихъ Царей, Петер. 1861 г.

სიტყვით, ერთი ეს მიტროპოლიტი ყოფილა მის გულის შემატკივარი, მის საქმეებთა პატივის მცემელი და სხვანი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ნიკიფორე მიტროპოლიტი და ნიკიფორე ირბახი ერთი და იგივე პირი არ იყოს. ვინ იცის, შესაძლებელიც არის, რადგანაც, როგორც ერთის, ისე მეორის შესახებ დაწვრილებით რამე ცნობა ჩვენ არ გვაქვს, აქ მხოლოდ წინააღმდეგ ჰაზრს შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს.

მეფის თეიმურაზის სიტყვით, ნიკიფორე მიტროპოლიტი

1640 წ. 70 წლის მოხუცი მაინც იქნებოდა. შარდენი საქართველოში მოვიდა 1671 წ. და აბა რაღა ფიქრი უნდა, რომ ამ დროს ნიკიფორე მიტროპოლიტი აღარც კი იქმნებოდა, გინდ რომ ყოფილიყოს, იგი მოხუცებისაგან ისე დაუძლურდებოდა, რომ მას სამეფო საქმეებში მონაწილეობის მიღება აღარ შეეძლებოდა. მაშასადამე, ჩვენის ფიქრით, ეს ნიკიფორე ირბახი სხვა პირი უნდა იყოს, რადგანაც 1672 წ. შარდენის საქართველოში ყოფნის დროს, სამეგრელოში სცხოვრებს. იგი ამ დროს არქიმანდრიტათ ირიცხება და ხალხშიაც ისე დაუცხრომლათ მოღვაწეობს, რაის გამოს, მთელს ერში, ანუ მთელს ქართველობაში, მას უაღრესად პატივსაც სცემენ და ნიშნად ამ პატივის ცემის, მას სახელად „ჯვარის მამას" უწოდებენ *). ჩვენ ამაზედ არ ავხირდებით მაინც, ამას მარტო ცნობების სხვა და სხვანაირობა გვაუწყებს. თეიმურაზ მეფე ნიკიფორე მიტროპოლიტს ბერძნათ მოიხსენებს და იმასაც 1640 წ. შარდენი კი ნიკიფორე არქიმანდრიტს ქართველად ასახელებს 1672-78 წლდებში. იგი ნიკიფორეს აკუთვნებს სამეგრელოს ერთს წარჩინებულს გვარის წევრთ. მაინც ყოველს შემთხვევაში, ეს ორი პირი, გინდ სხვადასხვა იყვნენ და გინდ ერთი, ჩვენი მოსაზრება და საუბარი მათს ვითარებას და პიროვნების ცნობებს მაინც არ აეწინააღმდეგება, რადგა-

*) Путешествіе Шардена 1672-1678 г. Тиф. 1902 г.

ნაც, როგორც თეიმურაზ მეფის სიტყვით ნიკიფორე მიტროპოლიტი 1640 წ. სჩანს ნიჭიერ და შორს მხედველ პირათ, ისე შარდენის სიტყვით 1672 წ. შესამჩნევის ნიჭიერებით და ენერგიულ დიპლომატათ მოიხსენება არქიმანდრიტი ნიკიფორე ირბახია. ასეა თუ ისე, ამაზედ სჯას არ განვაგრძობთ, ისევ შარდენის სიტყვებს მოვიყვანთ.

შარდენი თავის მოგზაურობის დასაწყისის შემდეგ, 4 თავში აღწერს სამეგრელოს სამღვდელოების მდგომარეობას, ბერების და მოლოზნების. ერთ ალაგას სწერს, რომ „სამეგრელოს სასულიერო პირებში დიდათ სახელოვნებს არქიმანდრიტი ანუ აბატი ნიკიფორე ირბახი, რომელიც ამ ჟამად 60 წლებში მიხწეულია და ხალხისაგანაც დიდათ პატივცემუნ. ლიას იგი ეკუთვნის ქართველთ ერთს უწარჩინებულეს გვარის წევრთ ოჯახს. ხალხს ძრიელ უყვარს იგი, ამიტომ ჯვარის მამას უწოდებენ. სამეგრელოს მთავრები და თავადის შვილები მას ხშირად ნიშნავენ თავიანთ უმაღლეს ვეზირათ, უცხო სახელმწიფოთა წინაშე დესპანათ, ელჩათ, რადგანაც მას მშვენივრათ ესმის პოლიტიკა. იგი ხშირად ყოფილა ისპანიაში, საფრანგეთს, ინგლისს, პოლონეთს და იტალიას. ყველგან იგი ისადგურებდა ჩვენს ბერებთან. მან იცის ბევრი ენები, ქართულისა და მეგრულს გარდა იცის ბერძნული, ოსმალური, არაბული, რუსული, ფრანგული, ისპანიური და იტალიური. პაპის ურბან VIII წინაშე, კათოლიკობა მიიღო. ჩვენს

ბერებს იგი დიდათ სცემს პატივს. ვგონებთ, ფიქრი აღარ უნ-
და გვექმნეს მასზედ, რომ თუ ქართველებს XVII საუკუნე-
ში ასეთი პოლიტიკოსები და ენათ მეცნიერნი ჰყვანდნენ,
რომ იგი ცოდნა მხოლოდ ერთსა და ორ კაცზედ ყოფილი-
ყოს შეზღუდული და მის გარდა სხვებში კი აღარავინ ყოფი-
ლიყოს ასეთი. ამას ფიქრი არ უნდა, სადაც ერთი და ორია,
იქ რამდენიმეც უნდა იქმნეს, ქართლსა და კახეთს თუ არა,
იმერეთს და ნამეტურ სამეგრელოს ხომ უნდა მაინც ყოფი-
ლიყვნენ, რადგანაც სამეგრელო ზღვის პირას მდებარეობდა.

მათ ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ კონსტანტინეპოლს, ევ-
როპას და სხ. გარდა ამისა, სამეგრელოშივე ძველადგანვე არ-
სებობდა კათოლიკის ბერების სრული მისია, სადაც ძმათა
რიცხვი ყოველთვის დიდი იყო და იგინი სარწმუნოების
საქმეებს გარეშე მკურნალობით და მასწავლებლობის შრომი-
თაც ეხმარებოდნენ ხალხს. მათ შეჰქონდათ მეგრელებში ბე-
ვრი რამ სამეცნიერო საგნების სწავლა, ევროპიული ენების
ცოდნა. ასე, რომ სამეგრელოში მაინც ნიკიფორე ირბახია-
სთანა პირები ცოტა არ იქნებოდა.

სწორეთ უნდა მოგახსენოთ, მე საქებ საქმეთ მიმაჩნია,
რომ საუკუნე-მო ქართველ კაცს, ლონდონი, პარიჟო-
ვენა, XVII რომი და სხვა ასეთი ქალაქები უნახავს. ამ ქალაქების
და ხალხის ნახვა მასზედ ძლიერად და მრავალ ნაირად იმოქ-
მედებდა. ევროპის ქალაქებთა მნახველი ნიკიფორე ირბახი
თავის სამშობლოშიაც ბევრ რამეს კარგს ცოდნას შემოიტან-
და. მას არა ერთხელ ექმნებოდა ლაპარაკი დიდებულ და მცი-
რე ბულთანაც, თუ ევროპაში როგორი წეს-წყობილება არის,
ხალხი რაგვარ ცხოვრებას მისდევს და სხვანი. რაც შეეხება
ენების ცოდნას, ესეც ხომ ღირს შესამჩნევად უნდა ჩაითვა-
ლოს. იგი ამითიც საკმარის მისაბაძი იქმნებოდა. ბევრი მეგ-
რელი შეისწავლიდა მისგან სხვადასხვა საქმეთ მიმბაძაობას.
რაც შეეხება უცხო სახელმწიფოებთა წინაშეც დიპლომატო-
ბას, ამასაც კარგათ გამოიყენებდა, უცხოელთა წინაშე სანა-
ქებოთ იქმნებოდა მიღებული, სანაქებოთ რასაკვირველია,
როგორც ქართველი კაცი და მასთან ევროპიულის და აზი-
ურის ყველა ენების მცოდნე. ამას რა ფიქრი უნდა, ეს არა
მარტო სანაქებო იქნებოდა ევროპიელთათვის. არამედ თვით
ქართველთაც უნდა ემედიდურათ, რომ მათ ჰყვანდათ ისეთი
დიპლომატი, რომელსაც ევროპის სახელმწიფო პირებთ წი-
ნაშე ადვილად შეეძლო წარდგენილიყო და მასთან მათს ენა-
ზედ თავისუფლათაც ესაუბრნა. ქართველი კაცი, მცოდნე ინ-
გლისურის, ფრანგულის, იტალიურის და სხვა ენების სწორეთ

სანაქებო იქმნებოდა იმ დროის ქართველთათვის და შესანიშ-
ნავია დღესაც. აქ ერთი უბედურება ის არის, რომ ამ პირის

ცხოვრების ცნობები დაკარგულია, ჩვენთვის უცნობი ნიკიფორე მიტროპოლიტის და ნიკიფორე ირბახიას ცხოვრების და მოქმედების პირობები და ვითარება ერთმანერთს წააგვანან. მხოლოდ აქ, ჩვენის ისტორიის ცოდნით, ნიკიფორე მიტროპოლიტს თეიმურაზ მეფისგან მარტოდ რუსეთში ვხედავთ ელჩათ გაგზავნილს და შარდენის დასახელებული ნიკიფორე ირბახია კი ევროპის სახელმწიფოებშიაც მრავალ გზის ყოფილა. ის კი სჩანს, რომ შარდენისაგან აღნიშნული ნიკიფორე ირბახი ერთხელ თეიმურაზ მეფეს ევროპაშიაც გაუგზავნია ელჩათ. განსხვავება აქ იმაშია, რომ შარდენის ნიკიფორე ირბახი 60 წლისა 1672 წ. უნდა იყოს და თეიმურაზ მეფის ნიკიფორე არქიმანდრიტი კი 1640 წ. არა ნაკლებ 70 წლის იქმნებოდა. მეორე თეიმურაზის ნიკიფორე მიტროპოლიტი მართლმადიდებელია, მკაცრი მფარველი მართლმადიდებლობის. შარდენის ნიკიფორე ირბახია კი პაპის ურბან VIII წინაშე, კათოლიკობას უერთდება, შემდეგ მართლაცა და ამ პირს კათოლიკობასთან სულიერად დაკავშირებულთაც ვხედავთ.

მე, აქ, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ნიკიფორე ირბახის ცნობებს განსაკუთრებით ხისიათს არ ვაძლევ. ჩემი აღწერა როგორც ნიკიფორე ირბახის ცნობებს ეთანხმება, ისევე ნიკიფორე მიტროპოლიტის.მკითხველმა ამ აღწერით ორივე პირის ცხოვრება უნდა გაიცნას, ხოლო ამ ორივეს ცნობა კი ერთნაირს კრებულს წარმოადგენს. ჩვენ ასე ვარჩიეთ, რადგანაც ეჭვი გვაქვს, რომ ვაი თუ შარდენი სცდება, იქნება ნიკიფორე მიტროპოლიტს იგი არქიმანდრიტათ შეცდომომით იხსენებს, ან ასე უნდა იყოს და ან ისე. ამას ჩვენ ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რადგანაც ნიკიფორე ირბახი 1628 წ. რომში ყოფილა მისული, „კონგრეგაციისთვის“ თეიმურაზ მეფის თხოვნა მიუცია. მეფე „კონგრეგაციას“ სთხოვდა შემ-

დეგს: გთხოვთ მუხლს დადგმით, გევედრებით, ყურადღება მიაქციოთ ჩემს მუდარებას და შემავედროთ სპარსეთის შაჰს, რომ მე და ჩემს საქრისტიანო ქვეყანას თავი გამანებოს, მომასვენოს. მე სრული თანახმა ვარ რომთან დაკავშირების, კათოლიკის სარწმუნოების აღიარების, ჩემი თანხმობის შესახებ, მე გარდავეცი პირადათ ნიკიფორე ირბახს, თვით ეს გამოგიცხადებთ ყოველივეს, რომ სრული მორჩილი ვარ რომის წმინდა ტახტისა.“ დიახ, მეფე თეიმურაზის თანახმად, ნიკიფორესაც დაწვრილებით მოუხსენებია მეფის განძრახვა კათოლიკობასთან დაკავშირების შესახებ. ამას გარდა, კარგათ უცნობებია საქართველოს მდგომარეობის ამბები, საკმარისად გადუშლია „კონგრეგაციისათვის“ საბრალო მდგომარეობა ქართველის ერის და ნამეტურ კახეთის. პაპამ ურბან VIII დიდი ყურადღება მიაქცია ნიკიფორეს საუბარს. იგი, ვითარცა ჭკვიანი დიპლომატი, ცნობილ იქმნა საქართველოს ელჩათ ევროპის სახელმწიფოებთა წინაშე ოფიციალურად.

ნიკიფორე ირბახის თხოვნის შესახებ „კონგრეგაციას“ სჯა ჰქონია, სხდომებიც გაუმართავს. უკანასკნელს, ერთს კრებაზედ ნიკიფორე უცვნიათ საქართველოს მხრით ოფიციალურ პირად, ამიტომ მისთვის სინამდვილის მოწმობა მიუციათ, ქართველ მეფის ელჩათ უცვნიათ. მოწმობაში სწერია „ნიკიფორე ირბახი, ბერი წმიდის ვასილის კრებისა“. „კონგრეგაციის“ წერილი ნიკიფორე ირბახს საშუალებას აძლევდა, რომ ამას მთელს ევროპის საქრისტიანო სამეფოებში დაევლო, იქ ენახა სამეფო პირნი და საქართველოს მდგომარეობის შესახებ ესაუბრნა და თან დახმარება და ყურადღების მიპყრობა დაევალებინა. გარდა ასეთის მოწმობის „კონგრეგაციამ“ წერილები გაატანა ისპანიის და ნიაპოლის მეფეებთან, რათა მათ ნიკიფორე პატივით მიეღოთ, საქართველოს კანონიერს დიპლომატათ ეცნათ, ამის მუდარებისთვის ყურადღება მიექციათ. ნიკიფორემ მიმოვლო მთელი ევროპის სახელმწიფონი და ნიპოლიის და ისპანიის მეფეს საქართველოს შესახებ ესაუბ-

რა. მათ ნიკიფორეს მოხსენება დიდის პატივით მოისმინეს, ქართველთ მდგომარეობა და მეფის თხოვნა გაიცნეს, პასუხიც მისცეს მალე, შემდეგ აუწყეს.

ნიაპოლიის, ისპანიის და ზოგიც სხვა მეფენი პირობას ვსდებთ ურთიერთ კავშირზედ, ხოლო ეს კავშირი არის იმის მიზეზი და ნიშანი, რომ ჩვენ განძრახვა გვაქვს ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრება, ომის დაწყება. ცხადი საქმეა, რომ ჩვენგან დაწყობილი საქმე თქვენს გარემოებაზედაც იქონიებს გავლენას. უეჭველია ჩვენ თათრებს საკმარისად შევაფერხებთ, ხოლო აქ ისიც საჭიროა, რომ თქვენც ჩვენი მხარე გეკავოთ. ჩვენ გაძლევთ პირობას, რომ თქვენი დამხმარე ვიქნებით. დახმარების შესახებ მათ სწორე სიტყვა მისცეს. ნიკიფორეც დაიმედებულია. ამ მეფეთა თათბირის შემდეგ ნიკიფორე მთელს ევროპის სახელმწიფო პირებს უცვნიათ საქართველოს ნამდვილ დესპანათ. ნიკიფორეს რომში მისვლა 1628 წ. ეკუთვნის ხოლო „კონგრეგაციას“ ამის თხოვნა 1628 წ. 20 ივნისს განუხილავსთ. ნიკიფორე სადაც კი ყოფილა, ყველგან თავისებურათ უმოქმედნია. ნიკიფორეს მგზავრობის შემდეგ საქართველო ევროპის მრავალ სამეფოთა წინაშე იქმნა ცნობილი. მრავალნი ჰკვირობდნენ ამ ერის შესახებ და არ იცოდნენ, რა ექმნათ, როგორ დახმარებოდნენ საქართველოს.

რომის „კონგრეგაციამ“ ნიკიფორეს ზოგიერთს ცნობებს სხვანაირის თვალით შეხედა, თითქოს მას ეჭვიც დასწამეს. ამიტომ „კონგრეგაციამ“ ილერიაში და ვენეციაში მცხოვრებ სომხებს მიმართა და შეეკითხა სხვადასხვა ცნობებს საქართველოს შესახებ. „კონგრეგაცია“ სომხებისაგან ელოდა ნიკიფორე ირბახის ცნობების დასაბუთებას, სინამდვილეს. სომხებმა „კონგრეგაციის“ თხოვნა შეიწყნარეს და საქართველოს და ქართველთ შესახებ სრულიად წინააღმდეგი ცნობები მისცეს. ამათ მოახსენეს, რომ სადაც „კონგრეგაციას“ საქართველო

ეგულება, იქ სწორეთ სომხები სცხოვრებენო. ჩვენ იქ, არც ქართველებს ვიცნობთ და იგინი იქ არც ოდესმე ყოფილა-

ნო. ერთის სიტყვით, ნიკიფორეს ცნობები მათ სრულიად უარი ჰყვეს. მაინც „კონგრეგაცია“ სომხების უარყოფას არ დაეთანხმა. იგინი სხვებსაც შეეკითხნენ ნამეტურ იმ პირთა, ვისაც საქართველოში ემგზავრა, ან ამ ერის შესახებ რამე დაეწერა. ასევე ჰკითხეს პიეტრო დელა-ვალეს. დელა-ვალემ სომხების წინააღმდეგი ცნობები მოახსენა „კონგრეგაციას“, საქართველო მშვენივრათ აუნუსხა, ბევრი რამ აუწყა მის შინაგან და გარეგან საქმეებზედ, რამაც უფრო ცხადათ დაასაბუთეს ნიკიფორეს მოხსენება და წერილები.

შარდენის თქმით, ნიკიფორე საქართველოს საქმეებით იქამდე გატაცებული ყოფილა, რომ ქართველთ მეფის პირობის სისწორის დასამტკიცებლათ და საქმის სინამდვილისთვის პაპის ურბან VIII წინაშე მას კათოლიკობაც მიუღია, რაც ცნობილ იქმნა ყველგან. ნიკიფორეს ასეთი საქციელი ჩვენ, ქართველთ მარტოდ სარწმუნოებრივ საქმეთ არ მიგვაჩნია, მას წმინდა მოქალაქური პირობებიც აკრავს გარს. კათოლიკობაში მწერლობისთვისაც მოუკიდნია ხელი. სხვათა შორის, „კონგრეგაციას“ ამის თაოსნობით გაუხსნია რომში ქართული სტამბა 1629 წ. ხუცური და ხედრული ასოების ყალიბების ჩამოსხმაში ამას დიდი შრომა აქვს მიღებულიო. პაულინის მიერ მაშინ ახლად შედგენილ „ქართულ-იტალიური ლექსიკონიც“ ამას უსწორებია ბეჭდვის დროს, ასევე მარიოს მაჯის გრამატიკა და სხვანი, რაც კი იმ დროს რომის ქართხთულს სტამბაში დაბეჭდილან. ქართული სტამბის სასარგებლოდ ნიკიფორეს შრომას მრავალნი მოიხსენებენ და სომხის ზოგიერთ მეისტორიენი ნიკიფორეს ქართველ გვარის კათოლიკეთ ასახელებენ.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, ნიკიფორეს, ქართულ ენის გარდა სხვა ენებზედაც უწერია. ქართულ ნაწერების ჩვენ არაფერი ცნობები გვაქვს, მაგრამ ეჭვი მაინც არ უნდა, რომ მას ქართულს ენაზედ კი არ ემწერლოს. რაც შეეხება ევროპიულს ენაზედ საქართველოს შესახებ მწერლობას, ამას ცხა-

დათ ასაბუთებს შარდენი. მაგალითებრ, სადაც შარდენი ქართველთ სარწმუნოების და საეკლესიო საქმეებს აღწერს, იქ ეს ერთ ალაგას ქართველთ გაქრისტიანების და წმიდა ნინოს ისტორიასაც ეხება. წმ. ნინოს ცხოვრების ცნობებს ნიკიფორე ირბახის წიგნის ცნობებზედ ამყარებს და თავის მოსაზრების დასამტკიცებლათ ამბობს, რომ „ნიკფორე ირბახის მერვე წიგნის 34 თავშიაც წმ. ნინოს შესახებ ასე სწერიაო. „ჩვენთვის მარტო ესეც კმარა, რომ ნიკიფორე ირბახს რვა წიგნი დაუწერია. ვინ იცის, იქნება მეცხრეც ჰქონდა და მე-

ათე წიგნიც. ან, ამ რვა წიგნს გარდა სხვა თხუზულებებიც. ყველაფერი შეიძლება ასეთი პირებისაგან. ფიქრი არ უნდა, რომ ნიკიფორეს ბევრი რამ ნაწერები ექმნებოდა დაწერილი და მასში საქართველოს შესახებ ძრიელ ბევრი ცნობებიც იქ-მნებოდა მოთავსებული. სანატრელია ამის შესახებ რამე ვი-ცოდეთ, მაგრამ ბევრი არაფერი სჩანს, ჟამთა ვითარებას ყვე-ლაფერი მხოლოდ ჩვენთვის დაუმალავს.

ნიკიფორე ირბახის შრომათვე ითვლება ქართული ანბა-ნის დაბეჭდვა რომში. ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში ეს მაგალითი უპირველეს მაგალითად უნდა ჩაითვალოს. პირვე-ლად ირბახს შეუდგენია ქართული ანბანი და რომში დაუბე-ჭდიათ. ანბანის წიგნაკები საქართველოში გამოუგზავნიათ და ქართველებში დაურიგებიათ. ქართულ ანბანს გარდა მასვე დაუბეჭდია ქართულ-იტალიური ანბანის წიგნი და ლოცვები ვგონებთ იმ დროის ქართველ კათოლიკეთათვის. ერთიც და მეორეც, რაღა ფიქრი უნდა, რომ თავის დროის ქართველთ წინაშე დიდ მნიშვნელობას იქონიებდა. ვფიქრობთ, რომ მა-რიოს მაჯი, პაულინი და მრავალიც სხვანი იმ დროის ცნო-ბილნი პირნი, რომელთაც რომის სტამბის გახსნაში დიდი მონაწილეობა მიიღეს, ყველა იგინი ნიკიფორე იბრახის გავ-ლენის ქვეშ იქნებოდნენ. ეს მათ დიდს ხელმძღვანელობას გა უწევდა, ბევრს რამე ცნობებს შეატყობინებდა. მაინც სულ ასეთ პირთა შრომა უნდა მივიღოთ მის უმთავრეს საფუძვ-

ლათ, რომ საქართველომ XVII საუკუნეში იტალიელთაგან ერთობ დიდი ყურადღება მიიპყრო თვისკენ, ძრიელ ბევრმა აიღო კალამი ხელში და საქართველოს, ქართველი ერის, ენის, სარწმუნოების შესახებაც სწერეს. რაც საქართველოს შესახებ XVII საუკუნეში წიგნები დაიწერა, მის შემდეგ იმო-დოლა აღარა დაწერილა-რა, ეხლა კი იწერება, მაგრამ ისე-თის მიმართვით კი არა, როგორც მაშინ. მაშინდელი მწერა-ლთა მიმართულება სხვანაირი ყოფილა და ამ განსხვავებულ გზასვე ადგა ნიკიფორე იბრახიც.

რომელიმე პირის ბიოგრაფია რომ დაიწეროს, იქ უსა-თუოდ უნდა დაინიშნოს აღწერილი პირის შთამომავალთ ცნო-ბანი და ნამეტურ მშობელთა და ზოგი რამ წვრილმანი ცნო-ბებიც. საუბედუროთ, ნიკიფორე ირბახის შესახებ ჩვენ ეს არ შეგვიძლიან, რადგანაც ჩვენ მის მშობელთა ვინაობის შესა-ხებ სულ არა ვიცით-რა, და რაც ვიცით, ისიც საეჭვოთ მი-გვაჩნია. ჭეშმარიტებით აქ მარტოდ თვით ნიკიფორეს ცნო-ბებია აღიარებული და ცნობილი. გარდა ბიოგრაფიულის ცნობებისა, არც ის ვიცით, თუ ეს პირი სად და როდის გა-რდაიცვალა. ამ პირის ცხოვრება ისეა არეულ-დარეული, რომ გარდა ელჩების, მწიგნობრობის, რომში ყოფნის და კათოლი-კობის მიღების სხვა არაფერი სჩანს, ან ის, თუ მასზედ კა-თოლიკობამ როგორი გავლენა იქონია, ან იგი კათოლიკო-ბაში როგორ მოქმედებდა. ფიქრი გვაქვს, იქმნება ამაზედ

რომში ცნობები იქმნეს დატოვებული. იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოშიაც შეიძლება იქმნეს რამე დატოვებული. თეიმურაზ მეფის დროის ნიკიფორე მიტროპოლიტი თუ ის პირია, რომელსაც შარდენი მოიხსენებს და რომელიც 1672 წ. ცოცხალია, მაშინ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ უკანასკნელ ნიკიფორი ისევ თავის გზაზედ დამდგარა, მაგრამ ამის სინამდვილეს არღვევს ის გარემოება, რომ შარდენი ნიკიფორეს 1672 წ. აბატათ, არქიმანდრიტათ მოიხსენებს და თეიმურაზ მეფის ნიკიფორე კი თვით 1630 წ. უკვე მიტროპოლიტათ

არის კურთხეული. მაინც, როგორც ერთია ჩვენთვის საყურადღებო, ისევე მეორე. ერთიცა და მეორეც საკმარისად საყურადღებონი არიან ჩვენს ისტორიაში. კარგად სჩანს, რომ რომის „კონგრეგაციის" წინაშე, საქართველოს ერის გაცნობის საძირკველი პირველად თითქმის ამ ნიკიფორეს ჩაუყრია და მოუმზადებია. ამის იქ ყოფნის და ხელმძღვანელობის შემდეგ რომში ქართველ კათოლიკეთაც ხშირად უმგზავრნიათ. გარდა მგზავრობისა, „კონგრეგაციის“ სკოლაში ქართველ კათოლიკეთ შვილებს სწავლაც დაუწყვიათ. ალ. ხახანაშვილის გამოანგარიშებით, 1633-1753 წლამდე, სულ 27 ქართველ კათოლიკეთა შვილებს მიუღიათ სწავლა. რაღა ფიქრი უნდა, რომ ყველა ესენი სასულიერო პირებათ მოემზადებოდნენ. სამეგრელოს მთავრებს რომის პაპებისთვის, სხვადასხვა დროს მეგრელთა ყმათა შვილების საჩუქრებიც კი უგზავნიათ, რომელთაც იქ კათოლიკობას უკავშირებდნენ და მერე „პროპაგანდის“ სასწავლებელში აძლევდნენ მოწაფეთ. ნათლათ და კარგათ სჩანს, რომ ნიკიფორე ირბახის შემდეგ, საქართველოს მეფეთ, მთავართა, ქართველ კათოლიკეთა და რომის „კონგრეგაციის“ შორის დაახლოვებული მიწერ-მოწერა დაწყობილა, ხშირი წასვლა ქართველთა რომში, იქ ყოფნა, კათოლიკობასთან დაკავშირება, თვალის გახილება, მერე შინ დაბრუნება. ასევე რომიდამ იწყეს საქართველოში ხშირად მოძღვარმქადაგებელთ გამოგზავნა, ნამეტურ რომელთაც ერთობ დიღი გავლენა ჰქონდათ ქართველებზედ. ამაზედ იხილეთ მ. თამარაშვილის შრომა.

მამა იოანე გარსევანიშვილი.

მამა ივანე გარსევანიშვილს ასე მოიხსენებენ: – „ტერ-იოანე გარსევანიშვილი“, ე. ი. ეს ყოფილა სომხის კათოლიკეთ ხუცესი. იგი ყოფილა შავშელი, სოფ. ოქრობაგეთელი, სადაც დღეს სომეხ-კათოლიკეთ და გრიგორიანებთ შორის ქა. რთული ენა დამხობილია, თუმცა გრიგორიანებიც ქართველი

ტომისანი არიან. ჟამთა ვითარების მეოხებით ძველადვე მი-

იღეს გრიგორიანობა და მის მეოხებით ქართული ენაც დაკარგეს. მამა ივანე რომ ქართველი გვარის ყოფილა, ამას მისი გვარიც ამტკიცებს. გარსევანაშვილები ვგონებთ ქართველები არიან და არა სომხები. გარსევანაშვილი ალექსანდრე დღეს ქართულ მწერლობასა და საზოგადოებაში ცნობილი პირია.

თავის დროის კვალად მამა ივანე გამოჩენილი მღვდელი ყოფილა. სჩანს, ამის დროს ოქრობაგეთელნი ჯერეთ ისევ ქართულს ენაზედ ლაპარაკობდნენ. ასევე იქმნებოდა სხვა სოფლებშიაც. 1779 წ. 5 თებერვალს, ივანე მოძღვარი მოუწამლავთ ოქრობაგეთელ სომხებს. მოწამლვით გარდაცვლილა. მიზეზი მოწამლვის სარწმუნოების მტრობა არის. ასე მოწამლვა მათ ხელობათ იყო გამხდარი. ვინც კი გრიგორიანთ ბრძანებას არ დაემორჩილებოდა, ან მათთან საიდუმლოთ კავშირს არ დაიჭერდა, იმას აუცილებლათ სიკვდილი ელოდა მოწამლვით. გარსევანაშვილების კათოლიკობასთან დაკავშირება XVII საუკუნის ნახევარს ეკუთვნის,

მამა იაკობ საბაშვილი, ბაროხი.

საბა – ხომ მოგეხსენებათ, რომ ქართული სახელია. სიტყვა საბადგან არის წარმომდგარი საბაშვილი. დღეს საბაშვილები საბაევათ იწოდებიან. საბაშვილების კათოლიკობასთან დაკავშირება XVII საუკუნის ბოლოს ეკუთვნის. საბაშვილები ძველადგანვე ყოფილან წარმატების გზაზედ დამდგარნი. ზოგნი ამათგანი ვაჭრობასაც გაჰყოლიან. ამიტომ იგინი ახალციხიდამ ოსმალეთშიაც მგზავრობდნენ. იქ ვაჭრობა ჰქონდათ გამართული. ორი საბაშვილნი XVIII საუკ. ნახევარს. ახალციხის იოანე ნათლისმცემლის ტაძარს ხუცურს სახარებას სწირავენ და სხვა რამ ნივთებს.

იაკობი საბაშვილი თავის დროის კვალად წარჩინებული მოძღვარი ყოფილა, ქართული მწიგნობარი, ქართული ენით მოსაუბრე, მრევლში კარგის, სუფთა ქართულის ენით მოქადაგე, მასთან მფარველი ყველა უძლურის და გვემულის. 1760 წლებში, ეს მოძღვარი თბილისში ყოფილა ახალციხიდგან გადმოსული, მეფე ერეკლესთან საქმე ჰქონია. თფილისის კათოლიკების ეკკლესიაში მამა საბაშვილს რამდენ გზისმე უქადაგნია. ერთს ქადაგებაში შეხებია საქართველოს, უქადაგნია მეფე ერეკლეს გმირობაზე. ქადაგებით მეფისთვის დაუვედრებია სამცხის ოსმალთაგან აღება, ახალ ციხეში ქართველთ განმტკიცება. ქართველთ ძლიერება აუცილებლად ითხოვს ახალციხის დაბრუნებასაო. გაბედეთ მეფეო, ოსმალთან ომი, ღმერთი მოგცემთ ძალას, მხედრობას გაგიძლიერებთ, ახალციხე და მის მიდამოებს აიღებთ, ჩვენც, ქართველ კათოლიკენი სულით, გულით და ქონებით მთლათ მოგეხმარებით და დიდს სამსახურს გაგიწევთო. მეფეს ძრიელ მოსწონებია ამ

მოძღვრის ქადაგება. სასახლეში მიუწვევია, მადლობა უთქვამს, სადილი მიურთმევია და მასთან საჩუქარიც უბოძებია. მამა საბაშვილი თფილისიდამ გორს დაბრუნებულა და გორიდამ ახალციხეს. იგი გარდაიცვალა 1773 წ. ახალციხეს. მის ქადაგების წიგნები ადრე მრავლად ყოფილა, დღეს კი აღარსად რა სჩანს. ქადაგების გარდა სხვადასხვა ისტორიული წერილები და წიგნებიც უთარგმნია და უწერია. არ ვიცი ჭეშმარიტად, თუ დღევანდელ საბაშვილებში ხსენებულ მათ წინაპართ რამე ნაწერები დაშთენილა თუ არა. საყურადღებოა რომ არ დაიკარგენ, რადგანაც ასეთ მოძღვართა ნაწერები სულ უცხო და ჩვენთვის უცნობ ცნობებს იძლევიან ოსმალეთის საქართველოს შესახებ და ნამეტურ ოსმალთ გამგეობაზე. საბაშვილის სახლიკაცებთა შთამომავალნი დღეს მცირედ ქ. ქუთაისს და ბათუმს სცხოვრებენ. ერთს კარგი სავაჭრო ფირმაც აქვს, სარწმუნოებით ქართველ კათოლიკს ნიკოლოზ საბაშვილს.

– 20 –

მღვდ. ანტონ ხუციშვილი.

ამათი ძველი გვარი გოდებაძეა, შემდეგ ხუციშვილი, უკანასკნელ სომეხთ გავლენის მეოხებით ხუციანცათ წოდებული, რომში ნასწავლი, შთამომავლობით ქართველი. 1811 წ. რუსებს ჯავახეთი აუღიათ, მერე დაბრუნებულან უკანვე. ხიზაბავრელები დიდს უბედურებაში ჩავარდნილან, ოსმალებს უტანჯნიათ, ტყვენი უტაცნიათ და უსყიდნიათ. ქვრივ-ობლებიც არ უსვენებიათ. ამათ წინააღმდეგ ანტონ ხუციშვილი დამდგარა. ამას თავის საფასით უთავისუფლებია ტყვენი, დახმარება უძლევია ქვრივ-ოხერთათვის. ერთს წერილში აი რას სწერს ანტონ ხუციშვილი:

– „ლივანაში წაველ ფულის მოსაგროებლად, რომ ჩემი ვალები გადამეხადნა. მოვაგროვე, წამოველ, წამოვიღე, მაგრამ მაჭახლელებმა გამცარცვეს, კინაღამ მომკლეს. მერე ფხიკიურელებს წავართმევინე“. სოფ. ფსილიური შავშეთს სძევს. იქ ქართველი კათოლიკენი სცხოვრებენ, ხოლო დღეს, ტომით და ენით გასომხებულნი. მათი ტიპიური შეხედულებაც კარგათ ამტკიცებს ქართველ მოდგმას, მაგრამ სომხათ ითვლებიან. 1822 წ. ეს ეს მოძღვარი ახალციხელ ვაჭრებს ინდოეთში გაჰყოლია სამგზავროთ, იქ კარგა ხანს სცხოვრებდა, მერე მობრუნდა და საქართველოში სცხოვრობდა, იყო ქართული ენის მომხრე, დიდი მეგობარი პ. შაჰყულიანის, მწიგნობრობასაც მისდევდა. ქართულს ენაზე სთარგმნიდა და სწერდა. ამაზედ აი რასა სწერს ვინმე მესხი: – „ანტონ ხუციშვილს გადაწერილი აქვს შაჰყულიანის ეკკლესიის ცხოვრება და ქადაგებები. გარდა ამისა, მთელი ძველი აღთქმა ბიბლიისა ხუცურიდგან მხედრულად და ორი თომა კემფელი, 60 ღვთის მშობლის, 120 სასწაულის წიგნი, 40 ეფიმვერდიც მრავალი, 100 ლოცვის წიგნი, და სხვა მშვენიერი ყვავილების ამოჭრაც სცოდნია ხეზედ და მით უბეჭდია წიგნები. ყვავილების მხატვრობაც იცოდა, დი-

დი ენა-პირიანი იყო, ბევრი ქართველი ტყვეები უხსნია ლე-

კებისგან ხიზაბავრელების საშუალებით. გარდაიცვალა 1859 წ. ანტონ ხუციშვილს ქუთაისშიაც უმღვდელია. ეს იქ ყოფილა XVIII საუკუნის დამლევს, როცა იმერეთის და ქართლის სამეფოც მკვიდრს საძირკველზედ არსებობდა. ამ პირს ქუთაისში ყოფნის დროს გადუწერია ერთი ქართული ხელთ-ნაწერი, მღვთის მეტყველება, რომელ ხელთ-ნაწერსაც შემდეგი წარწერა აქვს ან. ხუციშვილისა:

„მონამ ღვთისაგან მოსავმან ჯვარის ცხოვლისამან, მე ხიზაბავრელმან ხუციაანთ ასაძე ანტონმა, ოდესც ვიხილე ესე წიგნი „ღვთის მეტყველება, აღმეძრა სიყვარული, რათამცა აღვწერო და კვალადაც აღვასრულე ნატვრა და წადილი ჩემი, ამ საღმრთო წიგნის მღვთის მეტყველებისა. მთავრობისა პიოს მეშვიდის, რომის პაპის და სასწავლოსა შინა პატრი ელერინესისა, მეფობისა შინა სოლომონ არჩილიანისა, წელსა მაცხოვრისასა 1800 წ., ენკენისთვის 15, ქუთაისსა შინა“. მშვენიერის ნუსხურის ხელით არის ნაწერი, ვრცელი ტომია.

ხიზაბავრის, ან. ხუციშვილის სახლის კაცებს აქვსთ ერთი ხელთ-ნაწერი, მისი თარგმანი, რომელსაც აქვს მთარგმნელის წინა სიტყვაობა და მღ. ივანე გვარამაძისაგან ქებათ მინაწერი წარწერა მოძღვარის ანტონ ხუციშვილის შესახებ. აქ ეს ჩვენ მოგვყავს, რათა ამით ცნობილ იქმნას მთარგმნელის ქართული ენის ცოდნის წესი და რიგი.

წინა თქმულობა მოთარგმნისა.

„თუმცა გამოუთქმელ და გამოუკვლეველ არიან საკვირველებანი, გინა სასწაულნი და მადლნი ყ˜დ წმიდა დედისა ღვთის ქალწულისანი, ქმნულნი კაცთა ნათესავთა ზედა, ვ˜ა აღმოვიკითხამთ მოთხრობის წიგნთა და ვისმენთ მ˜დის, გარნა ვინებეთ მცირესა ამას წიგნაკსა შემოკრება მხოლოდ სამ გზის ორმოტეულისა, ვ˜ც ისიც სასწაულთა მისთა, რომ მხურვალეთა მისთა მათი წაკითხვითა ზედ მიწევნილ იქმნენ მისი სახიერებისა.

და სიყვარულისა, რ˜ლი აქუს კაცთა ნათესავთა მხოლოთ და

მით უმეტეს აღენთნეს სიყვარულსა და მსახურებასა მისსა ზედა და უმეტესი მხურვალებით დადგნენ ლოცვად მისა მხოდოდ და თქვან სავარდე და გვირგვინი მისი“.....

გევედრები გულხმიერად აღმოკითხვასა მათსა და სიმშვიდით ფიქრის ლოცვისა, გამოღებითა მუნით რამე სულიერი ზრახვასა, როგორც რომ თვითეული მოთხრობაებისა სწერია შემოკლებული სულიერი ნაყოფი. რამე რ˜ლი მართლად უ ვ˜რ ღირს არს იმ ფერად იქმნას, შეერაცხების მათ, ნამეტნავად უგუნურთ გვამთა, ფიქრის ლოცვის ადგილსა ასრე, რომ უგუნურნი უმეტესად მაგალითებით შეგულიანდებიან კეთილსა, ვირემც წ˜ათ დაჭვრეტილი სიტყვებითა.

ამისთვის-ღა ვიშრომეო შემოკრება მოთხრობათა ამათა, რათა მშობელთა ნაცვლად ზღაპართ მოთხრობისა შვილთა თვისთა და მოყვასმან მოყვასსა უმეტესად ყრმათა ურთი-ერთს მიუთხრიან სასწაულნი ღ~სა და დედისა მისისა.

ხოლო ყოველმან ვინმემან სიყრმესა თვისსა, დაიბეჭდოს იგინი თვის გონებაში და შედგინებითად იყოს უმეტესად ღ~ის მსახურ და მხურვალე ღ~ს მშობელი წ~ა ქალწულისა. მხოლოთ, რ~ლ არს დედა ყ~ლთა მადლითა, და რომ ესე წიგნი ვჰყავთ ნამეტნავათ გლეხთათვის შესაგულიანებლად მათ მხურვალებასა ზ~ა ღ~ს მშობელისა წ~ირ ქალწულისა, ამისთვის ვეცადეთ ადვილ შეიტყვის თხზულობითა ახლოს გლეხურის განწყობა მისი.

ხოლო თუ ვინაით შევკრიბეთ და ნამეტნავად აღმოვარჩიეთ მოთხრობანი ესე სასწაულთანი, ვიტყვი, რომ ვქმენით იგი წერილთაგან ორთა ჩინებულთა მამათა მოქადაგეთა იესოსიანის რიგისაგანთასა ვ~ა წერილ არს თვითეული სასწაულთ მოთხრობის თავშიდა. პ~ლი იგი არს მამა ალექსანდრე, ზედა სახელით დიოტა ღევიანი, კაცი იგი სულის მოყვარული და კეთილი და ფ~დ მხურვალე ყ~დ წ~ა ღ~ის მშობელი ქალწულისა მ~რთ, რ~ლსაცა აქუს ქმნილი პატიოსანი წიგნი იგი, რომელი იწოდების (ამ ალაგას სომხურია) და ქართუფ̆ლად „ა-

გალითი სინანულის“. ხოლო მეორე იგი არს მამა გარლოს ზედ სახელთა ბოვიანი კაცი მჭერ-მეტყველი და დიდი მოქადაგე, რ~ლიცა რაჲსაც მოსთხრობს ყ~ლს ქადაგების სახედ ქმნილ მიუთსრა ჰრომის ქალაქსა შ~ა სასმენელად ერისა: (მხ~დ ოთხნი მოთხრობანი ავიღეთ სხუათა წერილთაგან, რ~ლი იგიცა იჩვენების თვითეული თავების უწინარეს წერილთი შ~ს). და ამათაცა რ~ლნიც მოგვითხრობენ აუღიათ დიდ-დიდთა მოთხრობათაგან წ~ა ჰრომის ეკკლესიისაგან შეწყნარებულთასა, ვ~ა სახელნიცა მათნი იჩვენებიან ყ~ლთა სასწაულთა თავების თავსა მას შორის“.

მღვ. ანტონ აღუშოვი.

მამა ანტონ აღუშაშვილი თავის დროის კვალად შესანიშნავი მოძღვარია, ახალციხელი, სწავლა კონსტანტინეპოლს მიუღია, იქვე კურთხეულა მღვდლად. ძველადვე სომეხ-კათოლიკეთა გავლენის ქვეშ გაზრდილა, სომხის ტიბიკონზედვე მდგარა. ლათინურიც კარგათ სცოდნია. პირველად კონსტანტინეპოლს უმღვდელია, შემდეგ ართვინს, ახალციხეს, ახალციხის სოფლებს, შემდეგ ქუთაისს და გორსაც კი. ქუთაისს და გორს ლათინის წესზედ მდგარა. მამა ანტონი ქართული მწიგნობრობის მოყვარეც ყოფილა. 1826 წ., სომხის სამღვდელოების წყალობით ესეც ჩავარდნილა ტყვეთ იმ მოძღვართ შორის, რომელნიც ოსმალოს მთავრობისაგან იდევნებოდნენ, რადგანას სომეხთ ეჩმიაძინისაგან ქრთამს იღებდნენ და სო-

მეხთ ტიბიკონზედ მდგართ კათოლიკებს ძალას ატანდნენ, რომ გრიგორიანობას დაუკავშირდითო.

გორში მსახურების დროს, მამა ანტონს ქართულს ენაზედ უთარგმნია წიგნი: – „ცხრა დღის ფიქრის ლოცვა“ კლემენტე მამათ-მთავრის ცხოვრებისაზედა, აღიწერა ენგურელ (!) სტეფანე ეპისკოპოზის ბაჰარიანისა ხელითა და დაასტამბვინა თვის შრომითა და ხარჯითა წელსა უფლისა 1796 წ., თვრამეტსა მხითარ აბ-

ბაის სასტამბავში ეკკლესიის ბრძანებითა და უფროსი ნებითა. დაიწერა წელსა უფლისა ქის 1823 ავ=ს 17 ქართულს ენასა ზედა ფრიად კნინი მღვდლისაგან ტერ სტეფანე აღოშაანთისა გორის ქალაქში და კ˜დ სომხურის ენიდამ ქართულს ენასა ზედა გადმოთარგმნა ჴელ დაფარული უღირსი მღვდელი ტერ ანტონ აღოშაანთისა“.

„სიქადულად კათოლიკე მხურვალებით მსურველთ მკითხველთათვის და სასარგებლოდ სიცოცხლის გასწორებისა და დევნულებაში მოთმინების სწავლებისათვის რომელთაცა სულგრძელობით წამკითხველმან მიიღოს ფერ მოთმინების მადლი, ამისათვის მოვინდომე ქართულს ენაზედ გარდმოღება საერთო სიკეთისთვის და სასარგებლოდ მორწმუნეთა სულთათვის“.

„ლოცვები დღიურად“ ნერსეს სომეხთ კათოლიკოსისა თარგმანი სომხურიდგან.

„ლოცვები დღიურად“, თარგმანი, ვრცელი წიგნია.

მამა ანტონ აღუშოვს ქართლსა, იმერეთსა და სამცხე-საათაბაგოს ბევრს სოფლებსა და ქალაქებშიაც უმსახურნია. უკანასკნელ სად გაატარა თავის სიცოცხლის დღენი, ამის ცნობები ჩვენ არ გვაქვს. ეჭვი არ უნდა, რომ ამ ანტონ აღუშოვის ცხოვრების და მოქმედების მეტად დიდი ზე გავლენა ექმნებოდა პეტრე აღუშოვზედაც, რომელიც გარდაიცვალა 1899 წ. და რომელიც ახალციხეში, ერთს საუკეთესო ქართველ კათოლიკეთა მოძღვრათ ითვლებოდა.

უწყიან, რომ თუმცა ანტონ აღუშოვი არ იყო დიდი ენერგიის მოძღვარი, არცარა ბევრი რამ უწერია და დაუტოვებია ქართულს ენაზედ მაგრამ იგი საყურადღებოა მით, რომ თუმც სომეხთ სამღვდელოთა გავლენის ქვეშ ტერ ანტონათ იწოდებოდა, მაინც, ამ წოდებასთან იგი თავის ვინაობას კი არ ჰკარგავდა, არსად თავს სომეხ კათოლიკედ არ მოიხსენებს, ყველგან თავის ვინაობა ქართველად მიაჩნია. ამ ქართული ენის

სასარგებლოდ შეძლების და გვარათაც შრომობს და ქართულს ენაზედ წიგნებსაცა სთარგმნის და სწერს, რის უმეტესი ნაწილი ჟამთა ვითარების მეოხებით ადრევე დაკარგულან. ჩვენდა საუბედუროთ, არ ვიცით ისიც, თუ მამა ანტონ აღუშოვმა სად გაატარა უკანასკნელი წელნი სად აღესრულა. მესხე-

თისა და ჯავახეთისაკენ კი არ უნდა მომხდარიყოს ეს, რადგანაც იქაურს კათოლიკეთა გარდაცვალებულთ მოძღვართ სიაში ეს ჩვენ ვერსად ვპოვეთ.

სამწუხაროდ ამ მოძღვრის ცნობები დაკარგულა, თორემ ჩვენ დრომდე რომ მოეღწიათ, მაშინ მათში ჩვენთვის ბევრი რამ ძვირფასი მასალები აღმოსჩდებოდნენ, ნამეტურ ქართულ ენის და ქართველ კათოლიკეთ გვაროვნების შესახებ. ეს მოძღვარი მოხუცებაში მყოფი კი უნდა გარდაცვლილიყოს, რადგანაც მღვდლად უკურთხებია საუკუნის ბოლოს. ასე რომ 1859 წ. როცა ეს გარდაიცვალა,მაშინ იგი უეჭველია, 85 წლის მეტი მაინც იქნებოდა. ამის მეგვარეები დღეს ხიზაბავრას სცხოვრებენ. მის ნათესავათაც ირიცხებიან.

მღვდელი იოანე ლაზარიანი, ოცხელი.

ლაზარაშვილები ჯავახეთის სოფ. ვარგავს სცხოვრებენ. ამ სოფლელი იყო „მტარვალის“ დამწერი იაკ. ლაზარაშვილი. ამათსავე სახლიკაცთაგანი უნდა იყოს მამა პავლე ლაზარიანი, ანუ ლაზარეშვილი. პავლე ლაზარეშვილი 1874 წ. მიიცვალა და სოფ. არლის ეკკლესიის გვერდზე მარხია. ეს ივანე ლაზარიანი კი გვარად ოცხელი უნდა იყოს. მე კი შეცდომით ლაზარიანს ლაზარეშვილათ ვსთვლიდი.

ეს მამა იოანე ლაზარიანი ოცხელი სცხოვრებდა XVIII სა - უკუნეში. იგი XIX საუკუნესაც მოესწრა, აღიზარდა კონსტანტინეპოლს, შემდეგ იყო მხითარისტებშიაც. სომხური ენა და მწიგნობრობა კარგათ სცოდნია, სომხურ ენაზედ აღზრდილა და მომზადებულა, მღვდლათაც სომხურს ტიბიკონზედ უკურთხიათ. იგი რომშიაც ყოფილა და ლათინური ენაც სცოდნია.

დრო, მისი საქართველოში მოსვლის და მღვდლათ კურთხევის, ჩვენ არ ვიცით. იგი სამღვდელოს ხარისხით საქართველოში 1775 წლიდგან ჩნდება. სად იყო პირველად მღვდლათ, არც ესა სჩანს. 1780 წ. კი ახალციხის იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდლად სჩანს და იგი ამ წლიდგან ქართულს ენაზედ ქადაგებასაც იწყებს. ქადაგებათა გარდა, მას სხვა და სხვა წიგნებიც უწერი. ზოგი სომხურის ენიდგან უთარგმნია და ზოგიც ლათინურიდამ. საღმრთო შინაარსის წიგნებს გარდა, მას საქართველოს შესახებ სხვა და სხვა წერილებიც უწერია. ნამეტურ სამცხე-საათაბაგოსი და ახალციხის ფაშებზედ. საუბედუროდ, როგორც სხვა ბევრ ამ გვარ მოძღვართა ნაწერებმა ვერ მოაღწიეს ჩვენს დრომდე, ისევე ამის ნაწერებმა ვერ მოაღწია. მამა იოანე ლაზარიანს ქადაგება კი ისე ყოფილა გავრცელებული, რომ მის ქადაგების ჩვენ დრომდის ორმა ტომმა მოაღწია. ორივ ეს ტომები დაცულია ახალციხეს იოანე ნათლის-მცემლის წიგნთსაცავში. აი, ამ ქადაგებათა პირველი ტომის სათაური: – „წიგნი ქადაგებისა, რომელსა შინა შეიცავს 24 მშვენიერი ქადაგებანი, სადი-

დებლად ღ˜თისა და სასწავლოთა მორწმუნე სულებისა, აღწერილი ვინმე მღვდლისაგან წელსა უფლისასა 1793-სა 26 სექტემბერს“. ორივ ტომი მშვენიერის ნუსხურის ხელით არის ნაწერი. ენაც მშვენიერია, ქადაგებანიც თავთავის დროის დღეებს შესაფერად არის შედგენილი და წარმოთქმული. პირველი ტომის პირველს ფურცელზედ მოყვანილია შემდეგი ცნობა, რომელიც დაუწერია მღვდელს იოანე ლაზარიანს. ეს ცნობა შეეხება 1795 წ. ქართველთ უბედურების ამბავს და ამიტომ ეს ცნობაც პირდაპირ მოგვყავს აქ.

„1795 წ. მოვიდა დიდის ჯარით აჰმად შაჰი, რომელსაც უწოდებენ ხოჯა ხანსაც, ტფილისს ქალაქზედ, რომელშიაც მეფედ იყო ირაკლი, რომელი ვერ დაუდგა წინა მათს ძალასა, რისთვისაც ამტკიცებდნენ, რომ ჰყოლებოდეს სამასი ათასი კაცი, რომელნი მარიამობის თვის ნახევარიდამ ენკენისთვის ნახევრამდე სრულიად გაა-

ოხრეს და გააფუჭეს ქალაქი ტფილისი, სრულიად დასწვა ყოველნი ნაშენნი საყდრებითურთ და დაატყვევნა. მრავალნი ამბობდნენ, კინაღამ შვიდი ათასი, რაც მოეწონა მის უკეთურს თვალებს, ქალნი თუ რძალნი, ჭაბუკნი თუ ყრმანი (აქ სიტყვა ადარ სჩანს) ღვთის რისხვა! ტერ იოანე დაზარიანი“.

ეს მღვდელი თავის თავს ოცხელათ აღიარებს. სჩანს, ოცხიღამ ყოფილი. დღეს ოცხეში ქართველ კათოლიკეთ რიცხვი აღარ სჩანს, თუმცა შენიშნულია, რომ იმდენი ქართველ კათოლიკენი არსად ყოფილან, რამდენიც ოცხეს. მთელი ოცხის მცხოვრებნი კათოლიკობას აღიარებდაო. როგორც სჩანს, ოცხის კათოლიკობის უმეტესი ნაწილი ყარსის, არზრუმისაკენ, სტამბოლს, ტრაპიზონს და სხვა ასეთ ქალაქებისაკენ გარდასახლებულან. ოცხელთ ქართველთ კათოლიკეთ დაძვრა, რომელსაც ჩვენ თამამად შეგვიძლიან რომ ოცხელთ ქართველი კათოლიკეთ პატარა ემიგრაცია უწოდოთ, უსათუოდ უნდა მომხდარიყოს 1769 წ., ანუ ასპინძის ომის შემდეგ, როცა ქართველ მართლმადიდებლების მსგავსად ქართველ გვარის კათოლიკენიც დიდს დევნას მიეცნენ და კათოლიკეთ მოძღვართ საქვეყნოთ აღეკრძალათ კათოლიკეთ სარწმუნოების ვრცელება.

ძველად რომ ოცხე ქართველ კათოლიკობით სავსე ყოფილას ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ეს დღეს მრავალთ მოხუცებულთ ქართველთ კათოლიკეთაც კარგათ ახსოვთ. იოანე ლაზარიანის – ოცხელის გარდაცვალება არ ვიცით როდის უნდა ყოფილიყოს. ერთ სიაში მოხსენებულია ამის გარდაცვალების წელნი ასე: – „30 იანვარს, 1837 წელსა მიიცვალა ოცხელი, ტერ იოანე, უფროსი“. ეს ცნობა თუ სწორეა, მაშ ჩვენ გვეცოდინება გარდაცვალების დრო. ერთმა გარდმოცა, რომ იოანე მღვდლის გვარი ოცხელიაო, დღვანდელი ოცხელები მისი მეგვარენი არიანო. ლაზარეშვილი კი არა, იგი ლაზარიანათ ირიცხებოდა, რადგანაც მხითარისტებში ყოფილა გაზრდილი, ლაზარეს მონასტერშიო და შემდეგ „ლაზარეთა ძმო-

ბას“ ეკუთვნოდაო. ჩვენ ამის თანახმა ვართ. ყოველს შემ-
თხვევაში, ჩვენი ცნობები ცნობებათ დაშთება, იგი არავის
რით აეწინაღმდეგება ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის
ისტორიის ცნობათა განსაზღვრაში. იოანეს გვარი თუ ოცხე-
ლია, ვიტყვით, რომ ლაზარეშვილიც კათოლიკეთ გვარია
და ორივ ერთის მხრისანი. ასეა თუ ისე, ამით ვგონებ ბევრი
არა წახდეს-რა. აქ აღსანიშნავი ერთი ის გახლავსთ და სა-
ყურადღებო, რომ ამოდონი მღვდლების რიცხვთ, ამოდონი
ქართული ხელთნაწერები უწერიათ, ქართულათ ჰქონიათ ქა-
დაგება მრევლში და მათ ყოველთვის ქართული ენის მფარ-
ველნი ყოფილან. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება,
რომ ეს მოძღვარნი, თუმცა სომხის ტიბიკონზედ სდგანან,
თუმცა მხითარისტების გავლენის ქვეშ აღზრდილან, სომხის
კათოლიკის ტიბიკონის წესით უკურთხებიათ და სომხის კა-
თოლიკეთ ტიბიკონზედ მდგარან და უმეტეს ლოცვებსაც სო-
მხურათ ასრულებდნენ, მაგრამ რაც შეეხება თავიანთ თავის
ვინაობის, არსად სომეხ კათოლიკეთ არ ახსენებენ, არამედ
კათოლიკეთ. ესეც კიდევ ცხადათ მოწმობს და ამტკიცებს იმ
გარემოებას, რომ ქართველთ კათოლიკეთ ძველადგანვე ჰქო-
ნიათ განმტკიცებული ის ნათელი ჰაზრები, რომ ისინი შთა-
მომავლობით ქართველები ყოფილან. ეს რწმენა იმავ თავით
კი შეურყევლად ყოფილა და შემდეგ კი ნელ-ნელა შემუსვ-
რილა მათში, რამაც ჩანთქა ართვინის, არტაანის, ტრაპიზო-
ნის, კონსტანტინეპოლის და სხვა კუთხის მცხოვრებ ქართ-
ველ კათოლიკენი. ამ ოცხელის სახლიკაცთა შთამომავალნი,
ქართველ კათოლიკენი დღეს კუთაისს და ბათუმსაც სცხოვ-
რებენ. ქუთაისს სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი იო-
სებ ოცხელია და ქუთაისს და ბათუმში კაი ფირმის მქონე
ვაჭარ ძმანი ოცხელნი.

ღვდელი ანტონ თუმანიშვილი.

XVIII საუკ. დასასრულს, ახალციხის კათოლიკეთ სამ-

ღვდელოთ წინაშე უკვე ნათლად დასაბუთდა, რომ ისინი
შთამომავლობით ქართველის გვარისანი იყვნენ, საქართველოს
შვილები, ქართულად მოსაუბრენი, ხოლო სარწმუნოებით სო-
მეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ მდგარნი. სომეხთ კათოლი-
კეთ გავლენამ ამათ გვამში სასტიკათ აღმოეკვეთა ქართველ
გვაროვნების ოცნებები. ამ გარემოებას ოსმალთაგან ქართ-
ველთ დევნაც ეხმარებოდა. საქმე ისე მოეწყო, რომ XIX სა-
უკჟ დასაწყისიდგან, ახალციხეს, ქართველ კათოლიკებთ შო-
რის, ქართული ენაც ისევე დაიწყებდა ამოვარდნას, როგორც
ეს ართვინისკენ მოხდა და ამ ქალაქს იქით მდებარე სხვა და
სხვა სოფლებში, სადაც მთლათ ქართველ გვარის კათოლიკე-

ნი სახლობენ, ხოლო დროის და სომეხთ მეოხებით გადაგვა-
რებულ-ჩაყლაპულნი. ასეთი გადაგვარებული ქართველნი თვით
თფილისის მეფურნეებთ შორისაც კი მოიპოვებიან, რომელ-
თა სახეც და ხასიათებიც ცხადათ ამტკიცებენ ჩვენს ჰაზრს,
თვით ამათი გვარებიც კი დიდათ განსხვავდება ნამდვილს სო-
მეხთა გვარისაგან. ძველად, ქართველ კათოლიკენი სახლობ-
დნენ მრავლად თვით ტრაპიზონს, ირიზეს და მრავალ სხვა
ასეთ ქალაქებში, სადაც მათ მთლათ დაკარგეს ქართული ენა
და გვაროვნობის ხსოვნა.

ესევე შავი ბედი მოევლინებოდა ახალციხის და ახალ-
ქალაქის ქართველ კათოლიკებს, მაგრამ ამას წინ გადაეღობა
ის გარემოება, რომ XVIII საუკ. ბოლოს, ახალციხელთ ქა-
რთველთ კათოლიკეთ შორის გამოჩნდნენ ისეთ კათოლიკეთ
მოძღვარნი, რომელთაც თავიანთ გვარტომობას ნათელის თვა-
ლით შეხედეს, უკუღმართ გარემოებას წინ გადაეღობნენ, ხე-
ლში კალამი დაიკავეს და ქართველ კათოლიკებში მტკიცე
გვაროვნობის გზა გაარკვიეს. ერთ ასეთ მოძღვართაგანია ქა-
რთველთ კათოლიკეთ მოძღვარი ანტონ თუმანოვი, დროის
მეოხებით სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ მდგარი და სო-
მეხთაგან „ტერ ანტონ თუმანიანცათ" წოდებული. ანტონ
თუმანოვი სტამბოლს გაზრდილა, მერე ვენეტიკის მხითარის-

ტებში ყოფილა, შემდეგ პროპოგანდას. საღმრთო წერილს გა-
რდა სხვა და სხვა ენებიც უსწავლია, შემდგომ მღვდლათ კუ-
რთხეულა და სტამბოლიდამ საქართველოში დაბრუნებულა.
საქართველოში მოსულს ერთგულათ უღვაწ-უმსახურნია. პ.
შაჰყულიანს დაახლოვებია და ერთად უმეცადინიათ. შემდგომ
ამას ქართული მწიგნობრობისთვისაც მიუყვია ხელი და სხვა
და სხვა ენებიდამ წიგნებიც უთარგმნია. სხვათა შორის უთა-
რგმნია შემდეგი, რომლის სათაურიც მომყავს აქვე:

„გონიერება სწავლის მოყვარე ყრმათა, გადმოღებული მამა მი-
ნას მოძღვრისაგან მკურნალითსა სომხურს ენასა ზედა მხითარ აბბის
ძმათაგანის განსანათებლათ სომხის გვარისა, ოთხ ნაწილად განყო-
ფილი, ნაწილი მესამე, დასტამბული ენასა ზედა ვენეტი-
კსა შინა, მონასტერშიდ წმიდისა ლაზარესი, 1818 წ. შემდ-
გომ სომხურის ენიდამ გარდმოღებული თარგმნებით ქართველთ
სამოციქულო მისი ონარისა განსანათლავად ქართველ-
თა ენათა მცოდნე ძმათათვის“. შემდეგ ფურცელზედ წიგნის წი-
ნასიტყვაობა მისდევს. მთარგმნელი ბოდიშს იხდის, რომ ეს
წიგნი მდაბიურის გასაგების ენით ავწერეო. 250 გვ. მეტია.

ამ დროს მღვდელი ანტონ თუმანოვი ყირიმში ყოფი-
ლა, იქ უმღვდლია. ერთ ალაგას სწერს, ქართული წიგნები
რაც მაქანდა, მთლათ შინ დამრჩაო, ახალციხისკენ, აქ არა-
ფერი წიგნები მაქვს, რომ მათის კითხვით ქართული ენის ხე-
ლოვნურათ ცოდნა მქონიყოვო. ამიტომ წიგნში შეიძლება
ბევრი რამ შეცდომები შემეპარაო. მომიტევეთო. ყირიმის შე-
მდეგ ასტრახანშიაც ყოფილა, შემდეგ უმგზავრია ყიზლარს,
მოსდოკს, კავკავს და თფილისშიაც ყოფილა 1825 წლებში.

ყველგან მრევლში იგი ქართულის ენით საუბრობდა, ყველას აუწყებდა, რომ თქვენ ქართველ გვარის კათოლიკენი ხართ, თქვენი ბუნებითი ენა ქართული ენა არს, სომხობას მხოლოდ საეკკლესიოს წიგნების მხრით ეკუთვნით. ამას ქადაგებდა იგი იმ მრევლში, სადაც ქართველ გვარის კათოლი-

კენი იყვნენ, თორემ სომხის გვარის კათოლიკებთან მას საქმე არ ჰქონია. ერთ წირვაზედ ანტონ თუმანოვს თფილისის ეკკლესიაშიაც უქადაგნია ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ, კათოლიკეთა ბუნებითი ენის შესახებ. ეს პირი დიდი თანამოაზრე ყოფილა პ. შაჰყულიანის, კაი მეგობარი პ. ხარისჭირაშვილის და სხვათა იმ დროის მექართულე კათოლიკეთ მოძღვრების.

ეს მოძღვარი თავის ჰაზრებზედ რწმუნებული ყოფილა და ამიტომაც უთარგმნია მას ქართულს ენაზედ სხვა და სხვა წიგნები, ვრცელი ტომები, უფრო ზნეობრივის შინაარსის. რასაკვირველია, თანამემამულე ქართველ გვარის კათოლიკეთათვის, რომელთა ენის სიყვარული მას პატარაობიდგანვე ჰქონია განღვიძებული. ამ მოძღვარს ქართულს ენაზედ მრავალი თარგმანი დაშთენია. თვით დიდი სურვილი ჰქონია დასტამბვის, მაგრამ ამას იგი ვერ მოსწრებია. მის სიკვდილის შემდეგ მისი ნაწერები გაბნეულა მის ნათესავებთ შორის თფილისს, ქუთაისს, გორს, ახალციხეს, ოზურგეთს და ბათუმს.

სხვა ცნობები ამ მოძღვრისა ჩვენთვის უცნობია. უკანასკნელ იგი ქუთაისსაც სცხოვრებდა, შემდგომ ახალციხეს. გარდაცვალება მიეწერება 1860 წლებს. საკითხ კითხვათ მიგვაჩნია ახლა აქ ერთი ის, თუ საქართველოში, ქართველთ კათოლიკეთ შორის არ იყვნენ ქართველ გვარის კათოლიკენი და ქართულს ენაზედ მოსაუბრენი, მაშინ ვისთვის და რისთვის იწუხებდა თავს ეს მოძღვარი და ვრცელს ტომებს თარგმნიდა სომხურის ენიდამ ქართულ ენაზედ, ვინ ატანდა მას ძალას, რომ თავის ძმათა და დათა სასარგებლოთ სომხურის და სხვა ენებიდამ ქართულს ენაზედ წიგნებს სთარგმნიდა. არავინ, მან იცოდა, რომ'საქართველოში კათოლიკეთ შორის მრავლად იყვნენ ქართველ გვარის კათოლიკენი. ქართულს ენაზედ მოსაუბრენი და მიტომაც სთარგმნიდა სხვა და სხვა წიგნებს. იგინი რომ ქართველები არ ყოფილიყვნენ და მათი დედაენაც სხვა ყოფილიყო, თუნდ სომხური, მაშინ

სომეხთათვის სომხურის ენიდამ ქართულს ენაზედ სიტყვასაც არ გადმოსთარგმნიდნენ ისევე, როგორც ამას სომეხ გრიგორიანთ მოძღვარნი ჩადიოდნენ და ჩადიან კიდეც, რადგანაც მათ დაჟინებით სწამთ, რომ ქართლის ყველა სომეხნი, რომელნიც კი ქართულს ენაზედ საუბრობენ, რომ ისინი სომხის გვარს ეკუთვნიან, ესენი მათ არამც თუ წიგნებს უთარ-

გმნიან, არამედ ქართულს ენაზედ ლაპარაკსაც უკრძალავენ
და საიდუმლოთ ქართულ ლაპარაკს ტლანქ ენას ადარე-
ბენ. მათის ფიქრით, დიდი ცოდვა არის, რომ მრევლს არამც
თუ სომხურის ენიდამ ნათარგმნი წიგნები მიაწოდონ, არამედ
ქართულათ ხმაც კი გასცენ. თუ ამათში ასე გახლავსთ, მა-
შინ სომხის გვარის კათოლიკის მღვდლებს რაღა დაუშლი-
დათ, ამისთვის ვინ ატანდა მათ ძალას, რომ სომხის გვაროვ-
ნობას გაქცეოდნენ, მათ ენას და ქართულ ენას და საქართ-
ველოს მიჰკედლებოდნენ, ამას მათთვის რა ანგარიში უნდა
ჰქონოდა, რა საფუძველი, რა მიმართვა და კავშირი. ამას სა-
ღი ლოღიკით დაკვირვება აგვიხსნის, იგი მოგვცემს პასუხს.
ჩვენი სჯა რა საჭიროა, თვით საქმენი და ცნობები უფრო
კარგათ ასაბუთებენ. ავიღოთ თუნდა ის მაგალითები, რომ
სომხის გრიგორიანთ ხუცებს სომხურის ენიდამ ქართულს ენა-
ზედ არამც თუ წიგნები უთარგმნიათ და უბეჭდავთ, არამედ
იგინი სომხურ ლოცვებს ქართულის ანბანით სწერდნენ და
ამ ოსტატობით ავრცელებდნენ სომხურ ენას, სომხის გვარის
კათოლიკეთ მღვდლებს რაღა დაუშლიდათ, რომ მართლაცა
და ესენი სომხის გვარისანი იყვნენ, განა ესენი კი არ შეუ-
დგებოდნენ ცნობილ ოსტატობას, ვინემც თავს იტკენდნენ
და ქართველთათვის წიგნებს სთარგმნიდენ, ამის ნაცვლად
სომხური ენის გავრცელებას-ღაღადებას მრევლში უფრო ად-
ვილად შეასრულებდნენ, ვეება ვრცელ ტომების თარგმანზედ
თავს არ შეიწუხებდნენ, ტვინს არ დაღალავდნენ. მათ ნათ-
ლათ სწამდათ მრევლის ქართველ გვაროვნობა და მიტომაც
შრომობდნენ მრევლის სამშობლო ენაზედ. მოძღვარნი იმა-

ზედაც უკმაყოფილონი იყვნენ, რომ მათ ვენეციის და ვენის
მხითარისტები პატარაობიდგანვე აწვეთებდნენ ყურებში წი-
ნააღმდეგს, ცრუ-ტყუილს ცნობებს, რომ ვითომც ისინი სო-
მხის გვარის კათოლიკენი იყვნენ, ხოლო ქართულ ენაზედ
მოსაუბრენი. აი, ასეთი სიცრუით სავსე ძალდატანება უფრო
ჰბადავდა ხსენებულს მოძღვრებში გვარტომობაზედ სწორე,
ნათელ შეხედულებას და მიტომ იღვწოდნენ მრევლის დედა-
ენის სასარგებლოდ. ასეა საქმე, მაგრამ სარუხანოვები და ბა-
ბახანოვები ჩვენ არ გვკითხავენ. მათ ჭეშმარიტ ცნობებთან
საქმე არა აქვსთ. იგინი ერთი კალმის მოსმით არამც თუ მა-
რტოდ ქართველ გვაროვნობის კათოლიკებს, არამედ თვით
ქართველთ და საქართველოსაც აქრობენ.

ნეტავი წამოაყენა საფლავიდამ მოძღვარი ანტონ თუმა-
ნოვი, სომეხთ მხითარისტებთაგან ტერ ანტონათ წოდებული
და გვაკითხვინა, რომ თუ ის შთამომავლობით სომხის გვარს
ეკუთვნოდა, მისი მრევლიც სომეხ კათოლიკეთაგან შესდგე-
ბოდა. მაშინ განსვენებული რათ იცხელებდა თავს და ისტო-
რიულ წიგნებს გარდა თვით სჯულის წიგნებსაც კი სთარგმ-
ნიდა სომხურის ენიდამ ქართულს ენაზედ. ხსენებულ მოძღ-
ვართ გაცოცხლება და მათგან პასუხის მოცემა არ შეიძლება,

თორემ მაშინ ვთხოვდით ჩვენთ მყლაპავებთა და მოკამათეთა საქმეებს და სჯას. მაინც, ყლაპია მოკამათეებს თავისი გააქვსთ და ქართველ გვარის კათოლიკეთაგან მრავლად აჩენენ ფლიდონიანცებს, მერაბიანცებს, საფარიანცებს, ფაფაზიანცებს და სხვა მრავალთ, რომელთაც ცრუ, ოსტატურის და მაწყევარის ცნობებით გულსა და სულს უხიბლავენ, იქით კათოლიკენი და აქეთ გრიგორიანები, თითქმის ფულით ყიდულობენ. ჩვენ, ქართველებს კი არც არა ფული გვაქვავია და არცარა ჩვენ ჩვენ ეროვნობის ცნობები. ჩვენ რითი რას შევძლებთ, არაფრით ვერაფერს, „ოღონდ მამადგან დაშთომილა მამული ვსჭამოთ და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ ძმათ ცილი ვსწამოთ“ თორემ სხვა არაფერი გვინდა ამის მე-

ტი და მიტომაც გვიშვრებიან სხვები იმას, რაც ჩვენზედ ახია და მოსახდენი. აი კიდევ მაგალითი:

(მოძღვარი დიმიტრი თუმანიშვილი) შესანიშნავი მოძღვარი იყო ქართველთ კათოლიკეთ, თავადის გვარს ეკუთვნოდა. იყო წრფელი ქართველი. ამან განაახლა თფილისის ქართველთ კათოლიკეთ ძველი ეკკლესია, იგი შეამკო მრავალ ნაირად, ეკკლესიის გვერდით ძველად არსებული სამრევლო სკოლაც გააფართოვა, მას მოუპოვა გაუმჯობესობის უფლება, გადაკეთა ორკლასიან სასწავლებლად, სადაც ვაჟები და ქალებიც სწავლობენ. იყო მოწაფეების დამხმარე, წყნარი მქადაგებელი. შეადგინა კათოლიკეთათვის „კატეხიზმოს“ წიგნი. თფილისის სომეხთ კათოლიკებმა ცილი დასწამეს, რომ ვითომც იგი ეკკლესიაში სომხურ ენას სდევნისო, ვითომც მან სომხური წიგნებიც დასწვა! ამის ცილი პირველად სომხურ გაზეთ „ნორ დარში“ დასტამბეს, შემდეგ სხვაგანაც გადიღეს. ამ უჯერო ცილს მოძღვარმა დიმიტრი თუმანიშვილმა ქართულად აგო პასუხი და „ივერია“-ში დაისტამბა. ცნობებით ამტყუნებდა ცილის მწამებელთ და ბოროტებას სწამებდა, რომ ცილს მწამებენ, მე როგორ ვიკადრებდი, რომ სომხური წიგნები დამეწო, ან სომეხ კათოლიკენი ვდევნო, ამას, ჩვენ, ქერთველნი კი არა ვართ ჩვეულნი და თვით სომხები კი მრავლად მისდევენ ასეთ საქმეებსაო. ამავე მოძღვარმა განავრცო შემდეგი ჭეშმარიტი ცნობები კათოლიკებთ შორის:

თფილისი საქართველოს დედა ქალაქია. მას რუსეთი მფარველობს. ჩვენც ქართველები ვართ. ჩვენი დედაენაც ქართული ენა არის. ჩვენს გარდა, ამ ენაზედ მოსაუბრენი არიან ებრაელნი, ერმიანნი, მუსულმანი და სხვანიც მრავალნი. ერთი სიტყვით, თფილისში ყველამ იცის ქართული ენა, სახალხო ენათ ეს არის მიღებული, ამას გზასა და კვალს ვერავინ აუქცევს. ჩვენც ამ ჭეშმარიტებას ვემსახურებით და ხალხს იმ ენით ვესაუბრებით, იმ ენით, უქადაგებთ, რაც მათ პატარაობიდამ შეუსწავლიათ, რაც მათ მამა-პაპათაგან ძუძუს წოვის

დროს რძესთან შესთვისებიათ. რათ უნდა სწყინდესთ სომხებს ის, რომ ჩვენ ქრისტეს სწავლის მოძღვრებას ხალხს გასაგების ენით ვესაუბროთ. განა ეს საქციელი, ქართული ენით ქადაგება სომხებმა თავიანთ სამტროდ უნდა მიიღონ. აქ მტერობისა არაფერი სჩანს. აქ რა არის სამტროთ და დამამცირებელი. ვინც რომ საქართველოში არამც თუ მარტოდ ქართველი კათოლიკენი არ არიან, არამედ თვით სომეხ-კათოლიკეებში და ნამეტურ მეფურნეებშიაც კი მრავლად მოიპოვებიან ისეთი სომეხ კათოლიკენი, რომელნიც ქართველ გვარს ეკუთვნიან, ხოლო დროის მეოხებით ძველადვე გადაგვარებულან, გასომხებულან.

რამდენიმე ხნის შემდეგ, დიმიტრი თუმანიშვილი ადესის ეკკლესიაში გადიყვანეს მოძღვრად, იქ რამდენსამე ხანს დაშთა და ამ ხნის განმავლობაშიც მან მშვენიერად ისახელა თავი. იგი იქ აღმოჩნდა ისეთივე ადამიანად, როგორც საქართველოში იყო მისი აღმატება და ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოჩნდა იმ დროს, როცა იგი გარდაიცვალა. მთელმა ოდესის კათოლიკობამ მიაგო ჯეროვანი პატივი. იგი გარდაიცვალა 1896 წ. გვამი მისი მოასვენეს საქართველოში და დიდის პატივის ცემით ქუთაისს, კათოლიკეთ ეკლესიის გალავანში დაკრძალეს. განსვენებულის ცხოვრების ცნობები იმ დროის ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა და „კვალში" კარგი წერილიც მოათავსეს.

დღეს, თფილისის ქართველთ კათოლიკეთ ეკკლესიის მახლობლად თუ რამ არსებობს და მით კათოლიკეთ შეუძლონიც სარგებლობენ, ამის მიზეზი მხოლოდ პატრი დიმიტრი თუმანიშვილი გახლავსთ, რომელსაც და მართლადაც შესტკივოდა გული არა მარტო ქართველ კათოლიკეთათვის, არამედ ყველასთვის, განურჩევლად გვაროვნობის და სარწმუნოებისა. ქართველთ კი, რასაკვირველია, უპირატესობას ანიჭებდა ყოველს შემთხვევაში, რადგანაც იგი ქართველი თავადის შვილის შთამომავალი იყო, მასთან ზრდილობიანი და ბრძენი,

თავის სამშობლო ქვეყნის მოყვარე და პატივის მცემელი, რაც ცხადი საქმეა. ამის მეოხებით მასში ეს ყოველთვისაც ასე იქმნებოდა ბუნებისაგან დანერგილი. ვინც უყვარდა მას, იგიც მასვე ადიდებდა და მის ბედნიერებას ნატრობდა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ჩვენ წყალ წაღებული ვიქნებით. უცხონი ჩვენს გაქრობასა და შეჭმას იქადიან, ჩვენი თავადის შვილებიც ჩვენ გვმტრობენ, თავიანთ მამულებს სხვებზედ ჰყიდიან და მით ღატაკ ქართველ გლეხკაცობასაც ღუპავენ და ანადგურებენ – თვითაც იღუპებიან. ამ გათახსირების დროს თითო ოროლა ასეთი პირებიც რომ არ გვყვანდნენ, მაშინ თქვენი მტერი, რაც ჩვენ შავი დღეები დაგვადგება. ეს მოძღვარი იქამდე პატივსაცემი პირი იყო, რომ როცა თფილისის კათოლიკეთ სკოლა გააფართოვა, იქ მასწავლებლად ვლადიმერ აღ-

ნიაშვილი მიიწვია. ვ. აღნიაშვილთან მას დიდი მეგობრული კავშირი ჰქონდა, რომლის მიზეზით მხოლოდ ქართული მამულის შვილობა ხდებოდა და სკოლის საქმეების კარგათ წაყვანა. ვ. აღნიაშვილი აღტაცებული იყო ამ მოძღვრის მამულის შვილობისაგან. ამავე მოძღვრის დროს, აქვე მსახურებდა იაკობ ლაზარეშვილი, ქართველი კათოლიკე, დრამა „მტარვალის“ დამწერი. ეს პირი თითქმის დიმიტრი თუმანიშვილმა დააყენა ფეხზედ და გაამაგრა. იაკობ ლაზარეშვილი დიდის პატივით და დიდის მამულის შვილობით იხსენიებდა მამა დიმიტრის. როცა სომხურ გაზეთებში ცილი დასწამეს, სომხების მტრობა გამოაცხადეს, მაშინ ი. ლაზარაშვილი საშინლად აღელდა, არ იცოდა რა ექმნა და სთქვა, მართლაცა და ხშირად კაცს ასე გაამკაცებენო. წარმოიდგინეთ თქვენ, თუ მამა დიმიტრი კათოლიკე სომხებს რა დახმარებას, რა მფარველობას უწევს და მის ნაცვლად ერთი უყურეთ, რას ავრცელებენ, რასა სწერენ. უნდა გითხრა, რომ ამაზე მეტი უსამართლობა არა იქნებარა.

თვითონ დიმიტრი პატრი იყო წარმოსადეგი ადამიანი, მშვიდი, დინჯის ხასიათის მექონი და სრული მშვიდობა სი-

დარბაისლისა და კაცთ მოყვარეობისა. დონ დიმიტრი თუმანიშვილის საქმიანობას და შრომას მალამოდ ევლინებოდა ჩვენის მამულისშვილის სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის დახმარება. ესენი ნათესავებიც არიან დედის მხრივ.

ქართველთ კათოლიკეთ მქადაგებელნი.

საქართველოს მცხოვრებთათვის რომის „კონგრეგაციას“ სამქადაგებლო ძმობათა გუნდი ადრიდგანვე ჰქონდა დაფუძნებულნი. ძმანი ყურადღებას აქცევდნენ იმ ქართველთა ცხოვრებას, რომელნიც უპატრონოთ იყვნენ და მათ ამიტომ გათათრება მოელოდათ. გასათათრებლად ესენი არ უშვებდნენ და მათ ამიტომ კათოლიკობას უნერგავდნენ გულში. უკანასკნელ გასათათრებელი ქართველნი რომის კათოლიკობას უკავშირდებოდნენ. ასეთ მქადაგებელთა რიცხვი საქართველოში ყოველთვის საკმარისი იყო, მხოლოდ დიდის რევოლიუციის შემდეგიდამ მან კლება იწყო და დავრდომილება. პაპის „კონგრეგაციას“ საქართველოში მქადაგებლების გზავნა დიდათ უჭირდებოდა. თითო-ოროლა მოძღვრებს კი გზავნიდნენ, რათა მათ ლათინის წესრიგით საქართველოში კათოლიკენი ემწესათ. მაინც XVIII საუკუნის ქართველთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა აღარ საჭიროებდა იმ გვართ მქადაგებელთ, რაც მათთვის და XV-XVI და XVIIსაუკუნეში იყო საჭირო.

თუმცა ასე იყო საქმე, მაგრამ რომს არც ასეთ თავის გაჭირების დროს დაუვიწყნია საქართველო. რაკი მათ თავიანთი ტომის შთამომავალთა მქადაგებლების გამოგზავნა უძნელდებოდათ, ამიტომ მათ საქართველოს სომეხთ კათოლიკეთა

ტიბიკონზედ ქართველ გვარის მღვდლებს მიმართეს და მათ დაავალეს სამქადაგებლო ტვირთვის კისრვა, ქართველებში მეცადინეობა და კათოლიკის სარწმუნოების მფარველობა. მაგალითებრ ასეთია 1796 წ. დანიშნულის ნარუაანთ ტერ გრიქორისა მისიონერათ და მეორე მღვდელი, ამავე გვარის ტერ

ანტონ ნარუაანთი. როგორც სჩანს, ასეთ მღვდელთა სამქადაგებლო ძმობა პაპის ბრძანებით 1770 წლებს უნდა იყოს განწესებული. 1780 და 1795 წ. უკვე სხვა და სხვა ძველს ქაღალდებში ამ სამქადაგებლო ძმობის სახელწოდებაც მოიხსენება. ჩვენ ეს კითხვა მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია, რადგანაც საქართველოში სამქადაგებლო ნიადაგის განმტკიცება ქართველთ გვარის ძეთა შორის დიდ საქმეთ ჩაითვლებოდა. ცხადი საქმეა, რომ თვით ქართველთ შთამომავალთაგან უფრო მტკიცედ გაიდგავდა ფეხს ქადაგება, უფრო მტკიცე ნიადაგზედ დამყარდებოდა სამქადაგებლო მიმართულების დედა ჰაზრები.

ეს მოსაზრება ჭეშმარიტებას არ არის მოკლებული. რაც ქართველთ შორის მქადაგებელთ გუნდი აღორძინებულა, მის შემდეგ ქადაგებასაც აუდგამს ფეხი და მქადაგებელთაგან ხშირად წარმოთქმულან ქადაგებანი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ლათინის პატრების ქადაგებანი ქართველთ წინაშე მეტად საყურადღებო სახელმძღვანელოთ შთებოდა, რადგანაც პატრები ხშირად სამეცნიერო კითხვებსაც ეხებოდნენ და მდაბიურათ მარტავდნენ. გარდა ამის, მოუთხრობდნენ საექიმო ნაწილიდანაც, ევროპის ერთა ცხოვრების ცნობებს, მათს ცხოვრებას, აღებ-მიცემას, მრეწველობას, ხელოვნებას, საქალაქო წესს და მის დებულებას, სახელმწიფო წესებს, სახელმწიფოთა ვითარებას, სხვა და სხვა ტომთა სახელმწიფოებს, ხალხს, ქვეყანას და მის ავკარგიანობას. ამერიკის ხსენება საქართველოში ამათ შემოიტანეს და სიმინდის შემოღობის და გავრცელების ცნობაც ამათ შეეხება.

გარდა ასეთის სამეცნიერო საგნებისა, იგინივე ჰქადაგებენ ურთიერთ სიყვარულს, უძლურთ შებრალებას, მის პატივის ცემას, ერთმანერთის გაჭირებაში მფარველობას და მრავალიც სხვას, რაც იმ დროის ქართველ კათოლიკობას და თვით ქართველთაც ნათელივით ეფინებოდა. ერთის სიტყვით, ამათი ქადაგება ყოველთვის გამცნებულს დარიგებათ შთებო-

და მრევლის წინაშე. სულ ასეთ ბრწყინვალე ქადაგებათა წყალობა გახლავსთ, რომ ქართველ კათოლიკენი ძველადგანვე დაადგნენ წარმატების გზას და მათ თავიანთ ნაწარმოების შესაძენათ საქართველოდამ უცხო, შორს ქვეყნებშიაც კი იწყეს მგზავრობა. კათოლიკეთ პატრები ჩვენში გონებრივი ქადაგების მხრით უპირველესნი არიან, ხოლო ჩვენდა საუბედუროთ,

მათმა გამცნებულ ქადაგებათა წიგნებმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. დღეს ჩვენ რაც ხელთა გვაქვს, აქ მხოლოდ იმას დავასახელებთ. რაც შეეხება პატრებისაგან აღორძინებულ ქა-- რთულ ქადაგებათა მდიდარ სკოლას, ამას კი ვერავინ უარს ჰყოფს. მათში ყოველთვის იყვნენ ისეთ გამოჩენილ მქადაგე-ბელ-მოძღვარნი, რომელნიც ქადაგებათა დედა-ჰაზრების სიმ-დიდრით ყოველთვის ნათლად ბრწყინავდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს დღევანდელ მქადაგებლის პატრის ალფონს ხი-თარაშვილი, რომელიც მთელს საქართველოში ერთათ ერთ ნიჭიერ და შორს მხედველ მქადაგებლათ ითვლება.

პატრი ალფონს ხითარაშვილი.

პატრი ალფონს ხიზაბავრის მკვიდრთაგანი გახლავსთ, გვარად ხითარაშვილია და თვითც რომს და ვენეციას გაზრ-დილა, დროის კვალად წარჩინებული მოძღვარია, წრფელი ქართველი, მამულის შვილი, საქართველოს მოყვარე. ქართვე-ლი ერის ბედნიერების და წარმატების მნატვრელი ეს ძვირ-ფასი მოძღვარი ერთ დროს თფილისის კათოლიკების ეკკლე-სიაში მსახურებდა, სამსახური მას მრევლის წინაშე სანაქე-ბოთ მიჰყვანდა. ამას გარდა, იგი ყოველს უქმე და კვირა დღეებს ქართულათ ქადაგებდა. ქადაგებამან მან მჭევრმეტყველუ-რის კილოთი იცოდა, ხმაც კარგი ჰქონდა. ქადაგების დროს ისეთ გრძნობაზედ მოდიოდა, რომ სამქადაგებლო კილოს, ანუ ქადაგების დედა ჰაზრები მას სრულიად გაიტაცებდა. შესანი-

შნაი სჯა იცოდა, ისე, რომ მაყურებელთა და მსმენელთა-გან დიდს ყურადღებას იპყრობდა თვისკენ.

ყოველი ქადაგება მისი ამა თუ იმ საზოგადო საქმეს შე-ეხებოდა. საზოგადო კითხვებს და საყოველთაოდ კი ყოველი მისი სიტყვა სულ უძლურთ მფარველობის და ღაღადების გა-რშემო ტრიალებდა. მისი ქადაგების ცნობა ისე იყო თფი-ლისში გავრცელებული, რომ მრავალნი ნატვრით ელოდნენ იმ დღეს, როცა კი ალფონსი იქადაგებდა. ეკკლესიაში დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. კათოლიკებს გარდა უმეტეს ქართ-ველნი და სომეხნიც იყვნენ. ქალები ხომ რაღა დიდის სია-მოვნებით ისმენდნენ. არ მახსოვს კარგათ, ერთი ქადაგების შინაარსი, მაგრამ როგორც მახსოვს, იმას მე აქ მოვიყვან. ამას მე მით უფრო ვსაჭიროებ, რადგანაც დღემდე ალფონსის ქა-დაგებანი ერთად არ არის შეკრებილი, მის გამოცემა ფიქრათ არავის მოსვლია. აი ქადაგება, რომელიც მაშინვე იქმნა და-ნიშნული ქაღალდზედ: – „საოცრება არის ჩვენი შეძლებული ხალხის შვილების საქმე.

ზოგიერთი ყმაწვილი კაცი, ვისიც გული და სული ია-ვარდივით უნდა ყვაოდეს და ყველას ვარდის სუნათ უნდა ეფინებოდეს, ის მთელ დღეს ფაიტონით დასეირნობს, თვი-თონ სონსუსეს ან მონპლიზერს ზის, ქეიფობს და კარში კი

მეფაიტონე უცდის. შემდეგ ქეიფის შინ მიდის, ფულს ხარ-ჯავს ვინ იცის სადა და სად არა უბრალოდ. ასეთ პირთან რომ მივიდეს საწყალი და უთხრას: დღეს მე არაფერი მიჭა-მია და გევედრები, ერთი ლუკმა პურის ფასი მაჩუქოთ, იგი არაფერს მისცემს. მასთან რომ მივიდეს მოხუცი, გვემული, უძლური, საწყალი, სრულიად განწირული, ერთ ლუკმა ბუ-რის ფასის მთხოვნელნი... დაქვეითებულნი, მოწყალების მომ-ლოდენი, ამათაც კი გროშ, კაპეიკს არ მისცემენ. ვაი მათ სიმდიდრეს, მათს ადამიანობას.

ასეთსავე გარემოებას წარმოადგენს ზოგი ერთი დიდ-კა-ცის ცოლების საქმეც. აი მაგალითებრ, აქ ჩემს წინაშეც, ეკ-

კლესიაში, ზოგი ერთი ისეთი ქალები მობრძანდებიან, რომე-ლთაც ტანზედ ძვირფასი სამოსი ჰმოსიათ, ამათ გვერდით რომ საწყალო ღატაკი კაცის ქალი იდგეს, ამან რა უნდა ქნას, ჩემს ქადაგებას უნდა უყუროს თუ მდიდართ მორთულ ქალების ტანთ საცმელს? რაღა ფიქრი უნდა, რომ მათ ტანთ საცმელს. კარგი არ არის, კარგი. ერთი უბრალო ხელცახო-ცის მაგიერ ძვირფას ბაღდადს ხმარობენ, სულ ძვირფას სამო-სლებს, ვინ იცის რას არა, მაგრამ რაც უფრო ყველა ამაზედ ძვირფასია, რაც უფრო თვალ მარგალიტი სასიამოვნო, სუნე-ლოვანი და კარგი, ბევრად ძვირფასი მათ ძვირფას ტანისამო-სზედ, იმას კი ყურადღებას არ აქცევენ, ამას ზედაც არ უყუ-რებენ მერეთ, იცით რა არის ეს ძვირფასი საუნჯე ადამია-ნისა. ეს საუნჯე გახლავსთ საწყალი კაცის დახმარება, უძ-ლურთ პატრონობა, დაცემულის ფეხზედ დაყენება და სხვა-ნიც მრავალი ამ გვარნი, რაც კაცის სულს ამაღლებს, ადი-დებს, აძლიერებს, სამერმისოდ დიდის ბედნიერებით მოსავს, ხალხშიაც დიდს ღირსებას ჰმატებს. აი, ყველაფერს ძვირფასს სამოსზედ ეს საწყალთ დახმარება უფრო ძვირფას სამკაულათ ჩაითვლება ყველგან.

ქადაგებანი არის ნამდვილი სიბრძნე და გონება, სანატრ-მოსასმენი და მასთან ყველასთვის სახელმძღვანელო. ალფონ-სი მრავალნაირის ღირსებით არის დაჯილდოვებული და მის ღირსებას ერთი ისიც შეადგენს, რომ მან მეტად კარგად იცის ყველა ხალხის ცხოვრება, ზნე, ხასიათი და მათი სულის მო-ძრაობა. ამიტომაც არს, რომ მისი ქადაგება ყველა მსმენე-ლის სადიდებლათ ხდება. ეს გარემოება იქიდამაც კარგათ სჩა-ნდა, რომ ოდესაც თფილისში განისმა, რომ ალფონსი გადა-დისო, მაშინ მთელი თფილისის ქართველობა გულის წყრო-მით აღივსო და აღარ იცოდნენ მწუხარებით, რა ეთქვათ და ალფონსისთვის როგორი თანაგრძნობა გაეცხადებინათ. ღირ-სეულ მამულის შვილის მოძღვრის შრომას ყველა ნატვრით მოიგონებდა, ყველა აქებდა მას. დღესაც თფილისში ნატვ-

რით მოვიგონებთ ალფონს ხითარაშვილის ცნობებს და ქადაგებას.

დღეს ალფონსი, კონსტანტინეპოლს ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ბრძანდება, მონასტრის წინამძღვრათ, პეტრე ხარისჭირაშვილის მოადგილედ. მისმა მნახველთა გარდმომცეს, რომ დღესაც ალფონსი იგივე მამულისშვილი მოძღვარია, როგორიც თფილისში იყოვო. პირს აღარ იპარსავს ლათინურათ, წვერი დაუყენებია და სწორეთ სანაქებოა ეს პირი გინდ სახილველათაო. ყოველთვის ოხვრით და გოდებით მოიგონებს საქართველოს და სამშობლოს სიყვარულით აღარ იცის რა ქმნასო. მისი სიტყვა, სჯა, კამათი და საუბარი სულ მის სამშობლოს ბედნიერების ნატვრისკენ არის მიმართულიო. ალფონს ხითარაშვილი დროს შესული პირია, საქართველოში საშუალო სასწავლებლის სწავლა მიუღია და მერე რომში დაუმთავრებია. იგივე არის მწიგნობარი პირი, საქართველოს ისტორიის მოყვარე, ქართულის მწიგნობრობის და სხ. თფილისში ყოფნის დროს, ქართულს ენაზედ მან დასტამბა ქართულს ენაზედ კათოლიკეთათვის წიგნი „ვნების კვირა“ თარგმანი ლათინურიდამ 1873 წ. ქ. თფილისი. ეს წიგნი იმ დროს, ქართველ კათოლიკეთათვის თითქმის ერთათ ერთ წიგნათ ითვლებოდა.

სამქადაგებლო კილოს შესახებ, უნდა ითქვას, რომ კათოლიკებს თვალთ საჩინოდ ეტყობათ მის უკეთესად შესწავლა და შეთვისება, ცოდნა მის, თუ სად როგორ და რაგვარ უნდა იქადაგონ. აქ ერთი უბედურება ის არის, რომ ამ მქადაგებელთ თვის ქადაგებათა ერთათ შეკრება, ანუ ერთ წიგნათ აკინძვა სულ არ იციან, ჩვეულებათ არა აქვსთ. ამათში რომ ამის ცოდნა ძველადგანვე წასულიყო წინა, დღეს ქართულს ენაზედ მდიდარი სამქადაგებლო მწერლობა იქმნებოდა დაარსებული. ამიტომ ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ქადაგებათა წიგნებს, რომლებიც აქა-იქ გვინახავს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს ქადაგებათა წიგნები იმის მეათასე ნაწილიც

არ არის, რაც კი ქართულს ენაზედ კათოლიკის მღვდელთაგან წარმოთქმულა, მაგრამ რა გაეწყობა. აქ ეს იყოს ჯერა და იქნება შემდეგ სხვებიც აღმოჩნდნენ. იმის იმედი კი გვაქვს, რომ ჩვენს საუბარს აწინდელი ქართველთ პატრები მაინც მიაქცევენ ყურადღებას და თავიანთ ქადაგებათა შეკრებასაც დაიწყებენ, არ დაკარგავენ, წიგნებათ აკინძვენ, რაც მომავალში შესამჩნევ საქმეთ ჩაითვლება ქართველთ წინაშე.

კათოლიკეთ მოძღვართა ქადაგებანი რომ ძველადვე ყოფილა ქებული ქართველებში, ეს თვით დღემდე დაშთენილ ზეპირ ცნობებიდგანაც სჩანს. იტყოდნენ ძველად, რომ: „ფრანგის პატრები მშვენიერად ქადაგებენო“. ჩვენი სჯა ძველ ქართველ პატრების ქადაგებათა შესახებ სრულს ჭეშმარიტებას წარმოადგენს. უნდა ვსთქვათ, რომ ქადაგების მხრით ქართულს ენაზედ ის კათოლიკის მღვდლებიც კი ბრწყინავდნენ,

რომელნიც ქართულ გვარისანი იყვნენ, მაგრამ სომხის კათოლიკეთ ტიბიკონზედ იგნენ და სომხურათაც იყვნენ ვენეციას აღზრდილნი. თვით ესენიც კი თავიანთ მრევლში ქართულად ქადაგებდნენ, მათი სამქადაგებლო ასპარეზი ფართო იყო. ხოლო ჩვენ დრომდის მათ წიგნებმა ერთობ მცირედ მოაღწიეს. დასამტკიცებლათ ჩვენის საუბრისა, ეხლა აქ მოვიყვან ზოგი ერთ ძველ ქადაგებათა წიგნების სათაურებს, რომელთაც ჩვენ დრომდე მოაღწიეს და რომელიც პატრებს და მღვდლებს უქადაგნიათ და უწერიათ.

ქადაგებანი, წარმოთქმული 1780 წლებამდის, თავი და ბოლო აკლია. მიტომ არ სჩანს, თუ ვის წარმოუთქვამს და რომელ ეკკლესიაში, ან რა და რა დროს. კათოლიკის მღვდლის კია, ნაწერია მშვენიერის სწორის ხელით, მშვენიერის ქართულის ენით არის ნაწერი, მარტივის, გასაგების, საზოგადოთ ეტყობა კათოლიკის ბერის მქადაგებლის შნო და ჰუნარი. ვრცელი წიგნია.

– 44 –

„ქადაგებანი“ ვრცელი ტომია, ნუსხურის კარგის ხელით ნაწერი, კარგის ქართულის ენით არის წარმოთქმულნი. დრო მქადაგებლის 1770 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. ქადაგებათა რიცხვი წიგნის ზანდუკში 44-მდეა აღნიშნული, თუმც შემდეგ ძრიელ ბევრია მიმატებული. სათაურებს აქა-იქ ლათინური სიტყვებიც აქვს მიწერილი, ზოგი ერთი სიტყვები საქმე მოციქულთან, სახარებიდამ და სხვა ისტორიულის წიგნებიდამ არს მოყვანილი. სიტყვები ისე ოსტატურათ არს მოყვანილი, რაც დამწერის სასულიერო და სამქადაგებლო მაღალს შემძლებლობას აჩენს. უმეტეს ნაწილ ქადაგებისას საზოგადო ხასიათი აქვს. ზოგს ქადაგებაში აქა-იქ სომხური სიტყვებიც არს მოხსენებული სხვა და სხვა სომხურის წმიდათა ცხოვრებიდამ. წიგნიდამ სჩანს, რომ ქადაგებანი წარმოთქმულ უნდა იქმნეს XVIII საუკუნის უწინარეს, XVII საუკუნის ბოლოს, რადგანაც წიგნს ერთ ალაგას ბოლოს ქადაგების წარმოთქმის რიცხვათ 1705 უზის.

ქადაგების ფურცლები, ვისი და როდის, ეს არ სჩანს. ფართო ადგილი უკავია წმ. სტეფანეს ცხოვრების აღწერას და წარმოთქმას. მასთან „სავარდისს“ და სხვანი. 1770 წლებს უნდა ეკუთვნოდეს, ენა მესხურია.

ლოცვები და საგალობელნი, ვრცელი ტომით. ზოგ ალაგას საეკლესიო ლოცვები ლათინურათაც არის ნაწერი, ხოლო სიტყვების ასოები ქართულია. ერთ ალაგას რამდენიმე ლოცვის ნოტიც არის გაკეთებული. ბევრი რამ არის შიგ მოქცეული, წირვის წესი, ლოცვები, გალობა, ფსალმუნები და სხვანი. ვისი ნაწერია არა სჩანს, თავი და ბოლოც აკლია, წერის დრო კი XVIII საუკუნეს შეეხება. წელი კი არ სჩანს.

ენა ლოცვების საზოგადოა, ისე, როგორც ქართველ კათოლეკებს აქვსთ მიღებული.

– 45 –

საგალობელნი, ვრცელი წიგნო ნაწერტ 1780 წლებში, საზოგადო საეკკლესიო ლოცვები და კათოლიკეთ გალობანია შიგ მოთავსებული. ამისთანა ხელთ ნაწერებს ჩვენ კათოლიკებში მრავლად ვხედავთ. იგი შედგენილია ძრიელ ძველად, თითქმის იმ დროს, როცა საქართველოში კათოლიკობა აღორძინდა. ძველად ვის შეუდგენია და ან როდის, ამის არაფერი ცნობები სჩანს.

წმიდათა ცხოვრება, ხუცურად ნაწერი, თავი და ბოლო აკლია, როდის და ვის დაუწერია, ამის არა სჩანს რა. წერის ნიმუში კი XVII საუკუნეს ეკუთვნის.

ქადაგებათა რვეული, თავი და შუაში ბევრი აკლია. მქადაგებელს ეს ქადაგების წიგნი 1787 წ. დაუსრულებია, მაგალითებრ: – „აღესრულა ქადაგება ესე ქკს სტესს 1787 წ. იანვრის 18 გასულს“. ქადაგების ენა მშვენიერია, გასაგები. ვისი წარმოთქმულ არს, არ სჩანს.

ქადაგებათა მრავალი ფურცლები, ნაწერი ნუსხურის სწორის ხელით, ენა მარტივია, წარმოთქმულია კათოლიკის მღვდლებისაგან, მდაბიურათ. წერის დრო XVIII საუკუნეს შეეხება, ხოლო სად ყოფილა წარმოთქმულ, ვისგან და რომელ რიცხვში, ამის არა სჩანს რა, დიდათ არეულ-დარეულია ფურცლები.

ქადაგებანი წარმოთქმული XVII საუკუნის საშვალს რიცხვს. წერის წესი ცხადათ აჩენს ამას. ყოველს სიტყვას, გვერდით სამი წერტილი უზის. ეს როგორც XVII საუკუნეში იყო მიღებული. ასოებიც რვეულის სახით არის ნაწერი. ეს როგორც კიდევ და კიდევ XVI და XVII საუკუნეებში იწერებოდა. ეს ქადაგებანი წარმოთქმულია ლათინის წესის რიგის პატრისაგან. ამიტომ აქ მე მოვიყვან ამ ქადაგებიდან შემ-

– 46 –

დეგ ადგილს: „პირველს პარასკევს: მითქვხამს: ის: მდომ: რომ: ჰქონდა: იესო: ქრისტესთვის: ვნებაზედ და: როგორ ნატრულობდა თავისი: სატანჯველი: ჩვენი: სიყვარულისათვის: დღეს მინდოდა: მექადაგნა იესო ქრისტეს ვნებაზე: თქვენთვინ: მეჩვენებინა ის სიყვარუდი, რომლითაც: იესო ქრისტე: იტანჯებოდა: მაგრამ: ამისთვის: რომ: ეს ქადაგება ღვთის: წყალობით: პატრი უფროსი იქს მეორე პარასკევს: და ამისთვის რომ: დღეს: ყოვლად: წმიდის: მწუხრები ის: დღეობა: არის: იმ ქადაგების: გსშვებით: რომ: პატრი: უფროსმან ქნას: ამიტომ თქვენი: ენა: უფრო: კარგად: იცის: და: ჩემგან უფრო: მცოდინარე: არს: მე ყოვლად: წმიდის: მწუხ-

რებბზედ: ვიქადაგებ:" და სხვანი. ეს დიდად საინტერესოა, მაგრამ საუბედუროთ, ქადაგების ჩვენ დრომდის სულ რამდენსამე ფურცელს მოუღწევია. ერთ ფურცელზედ სრულიად ახალის ხელით შემდეგი მონაწერი აქვს: –„რომელ ნუღარ დაადგვიანებთ და ახლავ ერთი ამ ფერი ფარვანით ეგ ბატონი ეპისკოპოზი მაგავე მღვდლითა საშურვით გამოგვიგზავნეთ, რომე დიაღ ეჭირებათ ამ ქვეყანასა და რადგან დიაღ შიშში ვართ ყველა გზითა, ამისთვის ყოველის ძეს ბეჭდები არ მოენდო მ რომე ყოფილიყო, ეს არის ჩვენი ნახვეწარი და ახლა ნება თქვენი სიწმიდისა არს, ივლტას, მარტს 1774 წ.“ ნაწერში რამდენიმე სიტყვა არ არის კანონიერად ნაწერი, მახინჯია. ჩვენც ვერა გავიგეთ რა.

მეორე: ალაგას: თავში ლათინური სიტყვები აქვს, შემდეგ ეს ქართული: ეს მესამე ჯერობა რომ ვეჩვენები თქვენს სიხწმინდესა ჩემის დასაბეზრავის მოთხრობით და არც ვიცი ან თუ ერთი მაინც მოგწდონოდეს, აქნობამდის უფალმან წყალობა მყოს და მოგიწთობოდეს, სხვებანათა აქ შეკვეცილთა, რომელთაგან ადვილად იგულისხმებთ სხვა დანარჩენი დიდი ყოველივე აქაურობა ასეთი უბედო დროებაში ვართ ამას ჟამსა, რომელ უარესი არცა ვისმეს უნახავს და არც გაუგონია, თემი გადაქცეულია, მუდამ უარესად ოხრდება უილაჯო უძლურ შექმნილ მძიმე უღელის გაწევით“.

საინტერესო საყურადღებო ხელთ ნაწერი. მოგვყავს მცირე რამ ალაგი, რაც კი მთელის წიგნის დედა-ჰაზრს, თითქმის შინაარსსაც ჰხატავს.

XVIII საუკუნის ნახევარს, თფილისში მყოფთ ლათინის პატრებს და ქართველთ მღვდლებს ქართულ საღმრთო წერილის მწიგნობრობის სწორის თარგმნის შესახებ ბჭობა მოხდენიათ. ამ დროს თფილისში ყოფილა უდელი მღვდელი კათოლიკებისა. ეს დაქომაგებია ქართველ მღვდლებს. მღვდლებსა და პატრებს შორის კამათი ატეხილა. მღვდლებს ეხმარებოდა უდელი კათოლიკეთ მღვდელი, იმავ დროს ამ კამათობის ისტორია დაუწერია დაწვრილებით თფილისშივე მყოფ ქართველთ კათოლიკეთ მღვდელს აზარია უგვაროანთს. აი ესეც სათაური ამ წიგნისა „ლაპარაკი ქართულს წმიდა წერილზედა, ანუ მიგება იმ წიგნების პასუხისა, რომლითაც თხოულობს საპატიური ვინმე ამ ორს რამესა, მე ანუ თუ ქართული წ˜დ წერილი კაის ნაირად იყოს ნათარგმნული და ამისათვის უშიშრათ შეეძლოს მისივე კითხვა, მეორედ ნაირობასა, თუ რა გზა უნდა ეჭიროს ვისმესა წასაკითხავად წმიდა წერილისა, რომელს წაკითხვაზედ თვითო-თვითოდ აქ პასუხი მოეტევების“ უდელაანთ... და სხვანი დაწერა იწყობა კირიონ კათალიკოზის ისტორიიდგანა, მოხსენებულ არიან აქ V საუკ. მთარგმნელნი და ასევე სხვა საუკუნოებისაც, რომელთაც კი ქართლის საღმრთო მწერლობის სასარგებლოთ უმუშაკნიათ. იგი თფილისშია დაწერილი.

ქადაგებანი, ხელთ ნაწერი XVIII საუკუნის ნახევარს ეკუთვნის, პატარა რვეულია, თეთრ ქაღალდზედ ნაწერი. შიგა და შიგ სომხური სიტყვებიც არის ნახმარი, შემდეგ სხვა ქაღალდზეა ნაწერი. შემდგომ ამა ქადაგებათ ბერნარდის ქადა-

გებანია მოთავსებული“.

სტეფანგ მეფისოვი, ანუ მეფისაშვილი. თანამედროვე პირია პ. შაჰყულიანისა, გამოჩენილი თავის დროს, ზედ მიწე-

ვნით მცოდნე ქართულის ენის და ისტორიისა. ამ მოძღვრის ქონება მის ძმა ბაღდასარს დარჩა. ბაღდასარა ვენეციის მხითარისტებში ბერათ შევიდა და თან 45 ათასი მანათი შეიტანა. მის სიკვდილის შემდეგ ეს ფული მონასტერს დაშთა. მღვდელის ბაღდასარას მოქმედების შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ცნობა გვაქვს. ერთიცა და მეორეც ქართულის ენით მოსაუბრენი ყოფილან მრევლში. სტეფანე ყოფილა მკურნალობის მცოდნეც, მრევლში უსასყიდლოთ უმკურნალია. ყოფილა მასთანვე გონიერი მღვდელი, ქართული ენის მეტრფე და კათოლიკობის მფარველი. ყოფილა ქართველი მწიგნობარი და ქართული წიგნების კითხვის მოყვარე. თავის დროის შესახებ ამ მოძღვარს სხვა და სხვა საისტორიო და საექიმო ცნობებიც უწერია. უნდა ითქვას, რომ ძველად კათოლიკეთა მოძღვართ ჩვეულებათა ჰქონდათ ქართულს ენაზედ წერა, კითხვა და მრევლში ამით მოქმედებდა. სამწუხაროდ, ამ მოძღვრის ნაწერების ყოველივე დაიკარგა. მათ საქმეთა მთხრობი დღეს მხოლოდ ერთადერთი ვინმე მესხი გვარამაძე ღა გახლავსთ.

პეტრე ხუციშვილი. სომეხთაგან ხუციანცად წოდებული. აღიზარდა რომში, იქვე იქმნა მღვდლად კურთხეული. ეს მოძღვარიც 1795 წ. მოსულა საქართველოში, პ .შაჰყულიანთან ერთად. წინეთ ლათინის ტიბიკონზედ მდგარა, მერე სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ გადასულა. XIX საუკუნის შემდეგ, სხვათა შორის მას უმსახურნია ასტრახანის კათოლიკეთ ეკკლესიაში. პეტრე ხუციშვილი ქართული მწიგნობარიც ყოფილა. ასტრახანში ყოფნის დროს, მას ქართულს ენაზედ უთარგმნია წიგნი: – „ქადაგება სამოციქულო“, რომლის ხელთნაწერმა თვით ჩვენს დრომდე მოაღწია. ვრცელი წიგნია, მთარგმნელის წინასიტყვაობაც აქვს. შიგ ბოდიშს იხდის, რომ ქართული ენა კარგად არ ვიცი და ამიტომ შეცდომები მომიტევეთო. ცნობა არს, რომ ამ პეტრე ხუციშვილს სხვა წი-

გნებიც უწერია და უთარგმნია ქართულს ენაზედ, ხოლო მათ ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს.

გრიგოლ მეფისოვი. გრიქორად წოდებული სომეხთაგან. პ. შაყულიანის თანამედროვე პირად ირიცხება. იგი თავის დროის კვალად ცნობილი მოძღვარია მთელს საქართველოში. გაზრდილა რომში, სცოდნია სხვა და სხვა ენები. ქართული ენა და მწერლობაც კარგად სცოდნია, მასთან ყოფილა მოქა-

დაგე. 1829 წ. ეს დაუნიშნავთ ახალციხის ივანე ნათლის მცემლის ეკკლესიის მღვდლად. ამაზედ აი თვით რას სწერს „მე ტერ გრიქორ მეფისოვმა ვჰპოვე იოანე ნათლის მცემლის ეკკლესია უმღვდელოდ წელსა 1829 და ვიხმარე ყოველი საბარუხო შემლებანი ჩვენი, რომელიც მომეღო ადრევე ჩვენი თემის უბრწყინვალესი მთავარ ეპისკოპოსისაგან ვიჩენცი ქორძიზესაგან, რომელიც ბრძანდება კონსტანტინეპოლს და რაოდენსაც მოვნათლავთ ამ ეკკლესიისა, აქ შთავწერ“.

ეს მღვდელი და პ. შაჰყულიანი მცირედ ერთ-მანეთზედ გადაკიდებულ იყვნენ. მიზეზები მრავალ ნაირია. ამ ეკკლესიაში გ. მეფისოვი 1840 წ. დარჩა. ამის შემდეგ ისევ პ. შაჰყულიანი დანიშნეს. ეს რომა სწერს, 1828 წელს, ახალციხის იოანე ნათლის მცემლის ეკკლესია ცარიელი ვიხილეო, ამის მიზეზი ის გახლავსთ, რომ მაშინ კათოლიკის მღვდლები დაიჭირეს და ციხეში დააპატიმრეს. აქ საყურადღებო ის არის, რომ გ. მეფისოვს თავის სამსახურის დაწყების დღიდგანვე ქართულს საეკკლესიო დავთარიც შეუდგენია და შიგ ენაზე ქართულად დაუწყვია შთაწერა. გრიგორ მეფისოვს ქართულს ენაზედ სხვა და სხვა ისტორიული წიგნებიც უწერია. აქ ვიტყვით დავთრების წერის შესახებ შემდეგს: 1739 წ. ეს წიგნი ტერ იაკობს სომხურად უწერია. ასევე სომხურათ უწერია ტერ კირაკოს და ტერ არაქელს. ცნობა არის, რომ ამათგან დაწყებული სომხურად 1770 წლამდე გაგრძელებულა, მერე-კი ისევ ქართულად დაუწყიათ. როგორც სტეფანე მეფისაშვილი, გრიქოლ მეფისოვიც მისდე-

ვდა მკურნალობას, ხალხის პატრონობას. მისგან მრევლში ბევრი სიკეთე დათესილა. ამასვე უწერია სამკურნალო წერილები. ერთი ხელთ ნაწერი ამისაგან დატოვებული მკურნალობის შესახებ ბოლოს დროს იქმნა მოპოებული და 1904 წ. „მოგზაურში“ დასტამბული. იგი საყურადღებოა დამწერის საექიმო საქმეთა ვითარების კარგად ცოდნით.

გრიგოლ ბაღინაშვილი. ახალციხელი, სცხოვრებდა XVIII საუკუნეში, რამდენიმე ხანს XIX საუკუნის პირველ წლებსაც მოესწრა. იგი აღზრდილა მხითარისტებში, შემდეგ რომშიაც ყოფილა. უკანასკნელ, ანუ მღვდლად კურთხევის შემდეგ, იგი მსახურებდა რომის „კონგრეგაციის" სამქადაგებლოში, თანამდებობა ჰქონდა ქართულის და სომხური ენის თარგმნის და სწავლების, ე. ი. ერთ დროს, იგი ყოფილა ქართული ენის მთარგმნელად და მასთანვე პროპაგანდოში ქართული ენის მასწავლებლათაც. თვითაც ასე მოიხსენებს თავის თანამდებობას. იგი იყო მწიგნობარიც და 18000 წ. რომში მან მესამედ დასტამბა „საქრისტიანო მოძღვრება“ თარგმანი გორელის პატრის ტულუკაანთ დავითასი, რომელმაც ეს წიგნი რომში პირველად 1733 წ. დაბეჭდა.

გრიგოლ ბაღინაშვილი თავის დროის კვალად შესანიშნავი მოძღვარი ყოფილა, შთამომავლობით ქართველ კათო-

ლიკეთა, ბაღინაშვილები ახალციხეს გარდა სხვაგანაც სცხოვ-
რებენ, მაგალითებრ: თფილისშიაც. ზოგნი ამათგანი გასომხე-
ბულნიც არიან, ხოლო პირვანდელი ვინაობა-კი ამათი ქარ-
თველობას ეკუთვნის და უეჭველია ეს ცნობა გრიგოლ მღვდე-
ლსაც კარგათ ეცოდინებოდა, რაის გამო მან ქართული ენაც
კარგად შეისწავლა და მით თავის თანამემამულეთა ენასაც
ყურადღებას აქცევდა. 1800 წ. წიგნიც დასტამბა რომს. ცნო-
ბები არის, რომ გრიგოლ მღვდელს ქართულს ენაზედ სხვა
და სხვა თარგმანებიც ჰქონია, ხოლო ამ თარგმნებმა ჩვენ დრო-
მდე ვერ მოაღწიეს. სანატრელია, რომ ასეთ პირთა ნაწერები
და ცნობები მოპოვებული იქმნეს, ამას ჩვენი გარემოება უფ-

რო ითხოვს, რადგანაც ასეთ პირთა სამოღვაწო ცნობებით
კარგათ განისაზღვრება ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობა,
ვითარება. მე დარწმუნებული ვარ, რომ გრიგოლ მღვდელი
შთამომავლობით ქართველი არ ყოფილიყოს, უამისოდ ის
ქართველ კათოლიკეთათვის ქართულს ენაზედ წიგნის ბეჭდვას
კი არა და ხმასაც არ ამოიღებდა. ამ მოძღვარს მეტად ბევრი
ქართული ნაწერები აქვნდა თურმე რომს.

მღვდელი ივ. ხოჯივანაშვილი. ეს გვარი ძველი გვარია,
ხოჯ-ივანაშვილი. სულ ძველად ახალციხეს სცხოვრებდენ,
შემდგომ ქუთაისშიაც გადასახლებულან. ეს მოძღვარი სცხო-
ვრებდა XVIII საუკუნეში, იყო თანა მედროვე ქართველთ
მეფეების და მდგომარეობის. იგი ვინმე მესხის სიტყვით გა-
რდაიცვალა 1809 წ. თავის დროის კვალად როგორც გამო-
ჩენილი გვარის წევრი, სწავლა ჯერეთ შინ მიუღია და შემ-
დეგ კოსტანტინეპოლსაც ყოფილა, მერე მხითარისტებში და
იქიდგან რომშიაც წასულა. მღვდლათ იქითვე კურთხეულა.
თავის დროის კვალად წარჩინებული მოძღვარი ყოფილა, ბრძენ,
მქადაგებელი და შორს მხედველი. ივ. ხოჯივანოვს ხან ახალ-
ციხეს უმვღვდლია, ხან ქუთაის და ხან სხვა და სხვა სოფლე-
ბშიაც. მღვდელ მოქმედების დროს, იგი თურმე სანაქებოთ
მოქმედებდა, მოვალეობას ერთგულად ასრულებდა და მრევლის
სხვა ფრივაც დიდს დარიგებას აძლევდა, ბევრს რამ რთულს
გასაჭირს საქმეებში დიდს დახმარებას უჩენდა, საზოგადოთ,
როგორც კათოლიკეთ მღვდელნი მოქმედებდენ იმ ვაი ვაგლა-
ხების დროს, ეს წარჩინებული გვარის მღვდელიც ისევე მო-
ქმედებდა. ხალხი მას დიდად სცემდა პატივს.

მღ. ივ. ხოჯივანოვი ბევრს ღირსებასთან ერთად დაჯი-
ლდოვებული ყოფილა საქართველოს ერის და ისტორიის სი-
ყვარულითაც. მას დაახლოვებული მეგობრობა ჰქონია იმერთა
მეფე სოლომონ პირველთან, ქართლის მეფე ერეკლე მეორე-
სთან, სამეგრელოს და გურიის მთავრებთან და ამას გარდა
ახალციხის ფაშებთანაც. ასეთის სამეგობრო საქმეების და

დაახლოვებისათვის მას დიდათ ეხმარებოდა მისი სიტყვა პასუ-
ხიანი გამოთქმა, სიტყვის რიხიანათ გამოხატვა, მასთან ცო-
დნა სხვა და სხვა ენების და ნამეტურ სომხურის, ოსმალურის,
თათრულის, ქართულისა ჩინებულად და ლათინურს კითხვას
გარდა ევროპიული ენების ცოდნაც. ჩვენდა საუბედუროდ
ასეთ პირების ცნობები ჩვენ არა გვაქვს, ძრიელ მცირე მასა-
ლები, ისიც რის ვაის ვაგლახით შეკრებილი. ყოფილა
ისეთი შემთხვევები, რომ ქართლისა და იმერეთის მეფეებს ეს
მოძღვარი ახალციხის ფაშასთან სათათბიროდ და მოციქულ-
ათაც გაუგზავნიათ ხოლმე. მეფენი ამას მოურიდებლივ გარდა-
სცემდნენ თვით სმეფოს საიდუმლო საქმეებს და ესეც რასა-
კვირველია თავის მოვალეობას სინდისიერათ იცავდა მტრის
წინაშე, ყველაფერს სამშობლოს სადიდებლად ხმარობდა. ბევრ-
ნაირი შფოთიანი საქმეები მისის წყალობით მშვიდობით ბოლო-
ვდებოდა. მთელის სამცხე-საათაბაგოს უპატრონო ქართველი
ერის პატრონებად ეს მოძღვარნი იყვნენ. სამცხეში მართლ-
მადიდებელთ ქართველთ ხომ აღარაფრის ძალა აღარ ჰქონდათ.
მათი პატრონები ეს კათოლიკის მამები იყვნენ. ესენი მფა-
რველობდენ მათ და ათასნაირ დახმარებას აძლევდენ ობოლ
ერს. ასეთ მშრომელ კაცთა ცხოვრების ცნობები ჩვენ რომ
არ ვიცოდეთ, ესკი მეტი უპატიურობა იქმნება. ვინ იცის,
ამ მოძღვართა დახმარებით რამდენ ქართველ ქრისტიანს გადუ-
რჩენია თავი ოსმალოს მახვილისაგან, დევნის და თათრობის გა-
მო სიკვდილისაგანაც. ეს ძლიერ ბევრი იქმნება და მასთან მრა-
ვალ გვარიც, მაგრამ ცნობები არ გვაქვს, ცნობები ნატამალობს.
სათქმელია და მასთან საყურადღებოც, რომ ვინ იცის, იმ დრო-
თა გარემოებისა გამო ასეთი ფხიზელ ქართველნი როგორ
იტანჯებოდენ და კვნესოდენ, როცა თავიანთ ქვეყანას და ერს
მოსისხარ მტრის ქვეშ დაცემულად მზერდნენ. სწორედ ასეთ
მგრძნობიარე პირათ ითვლება მოძღვარი ივ. ხოჯივანოვი,
რომელსაც თავის დროის კვალად, ქართულს ენაზედ სხვა
და სხვა წიგნებიც უწერია. სხვათა მრავალთა შორის ამას და-

უწერია შემდეგი ცნობები, რომელთა სახელებმა მოაღწია
მხოლოდ ჩვენ დრომდე, თვით წიგნებმა-კი არა. ამასაც პატივ-
ცემული ვინმე მესხი ასახლებს. ეს რომ არ ყოფილიყოს,
უამისოდ ჩვენ არც ეს სახელები გვეცოდინებოდა.

„დღიური“ ქართულს ენაზედ ნაწერი 1763-1806 წლე-
ბამდი. ამ ცნობებში მას უწერია დღიური ამბები სხვა და სხვა
შემთხვევათა, რომელნიც ქართლსა და იმერეთში მომხდარან,
ანუსხული ყოფილა მრავალი ცნობები ქართლისა და იმერთ
მეფეების შესახებ. ცხადი საქმეა, ამ დღიურში ჩვენთვის ისე-
თი ცნობები იქმნებოდა შეკრებილი, რომელთა ხსენებაც „ქა-
რთლის ცხოვრება" და სხვა ისტორიულ წიგნებში სრულებით
არ მოიპოვება. ამ ცნობების რვეულს ვინმე მესხიც დიდის პა-
ტივის ცემით მოიხსენებს.

მესხეთის, ჯავახეთის და ახალციხის ფაშების აღწერა.

რაღა ფიქრი უნდა რომ ამაშიც მრავალი ჩვენთვის ხამი და თან საყურადღებო ცნობები იქმნებოდა აღწერილნი, მაგრამ აღწერა-კი არსად არის დაშთენილი.

ახალციხელთ ვაჭართ ცნობები ვაჭრების შესახებ და მათის მდგომარეობის, მოკლედ მარტივად, რაც ჩვენის მრეწველობის ისტორიისათვის ძვირფასად ჩაითვლება, მაგრამ სადღა რა არის დაშთენილი, არაფერი.

სხვა და სხვა ისტორიული წერილები საქართველოს შესახებ. დაკარგულ არს მთლად, ჩვენამდე ვერ მოაღწიეს სრულებით. ამ ცნობათა წიგნის შესახებ ვინმე მესხი აი რასა სწერს: – ხოჯივანთ ივ. მდ. გარდაიცვალა 1809 წ. ამას უწერია 1, დღიური 1763-1806 წ. ხან ქუთაისს უმღვდღია; ხან ახალციხეს, ხან ვალეს. 2, მრავალი ცნობები ფაშებზედ 3. სხვა და სხვა ცნობები ქართლის და იმერეთის მეფეებზედ. 4. ახალციხელ ვაჭრებზედ, წიგნი მთელი არ არის. სჩანს წინად ბევრი რამ ცნობები ყოფილა, მე გადმოვწერე უმრავლესნი. ახლა იმის მონათესავეს აქვს ეს წიგნი. ქ. ბათომს, იოსებ საფაროვის სახლში არის. ამ წიგნს მე „მისიონარული დღიური უწოდე“. ვინ იცის, განა მარ-

ტო ეს ცნობები ექმნებოდა ამ მოძღვარს. რასაკვირველია ძალიანაც მრავალი და უამისობა არც შეიძლებოდა, რადგანაც ასეთ თვალხილულ მოძღვარისთვის საწერი ცნობების რიცხვი მეტად დიდი იყო. და მასთან ვერც ზურგს ადრეკდენ და პირს მოარიდებდენ. ასე იყო თუ ისე იყო, ჩვენ ჩვენის უთაურობით ისიც დავკარგეთ, რის სახელებიც ვიცით, და რის სახელებიც არ სჩანს, იმას ვიღა სჩივის. ქართველ კათოლიკენი თავ შენახული ხალხია და არა მგონია-კი, რომ ამ მოძღვრის ნაწერები სადმე დაშთენილი არ იქმნეს. ამას ძებნა უნდა და შრომა. ამისათვის-კი ჩვენ შეჩვეულნი არ გახლავართ.

მთარგმნელ-მოღვაწე მოძღვარი ივანე მამულაშვილი.

1830 წლებში ქართველ კათოლიკეთა შორის ცხადად გამოირკვა ის ჭეშმარიტებით სავსე დედააზრი, რომ იმათთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა ქართულს ენაზედ დაბეჭდილი ლოცვანის ანუ სჯულის სხვა რამ სახმარი წიგნები. დაბეჭდილი წიგნები იმ დრომდისაც ჰქონდათ, მაგრამ ის წიგნები რომში იყო დასტამბული და XVII და XVIII საუკუნოებში, საქართველოში-კი, ქართველ კათლიკეთათვის არაფერი დაბეჭდილა. ტფილისში ქართველ კათოლიკეთა ლოცვანი პირველად 1829 წ. დაიბეჭდა ს. დოდაშვილის სტამბაში, სადაც მაშინ იმ დროის ქართულ ჟურნალ გაზეთებიც იბეჭდებოდნენ.

მას შემდეგ სამოცის წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ იქმნა ლოცვის წიგნები აღბეჭდული, ერთი 1864 წ. ქ.

ტფილისის, ვინმე მაისურაძისაგან და 1873 წ. პატივცემულ-
მა პატრმა ალფონს ხითარაშვილმა ლათინურიდგან ნათარგმნი
„ვნების კვირა“ დასტამბა. 1880 წლის შემდეგიდგან მრავალ
კათოლიკეთა მოძღვართ აღიარეს, რომ იმათთვის საჭირო იყო
მრევლთან ქართულს ენაზედ საუბარი, ქართულის წიგნების

ხმარება. ასეთ მოძღვართა რიცხვს უმეტეს ნაწილად ქართუ-
ლის გვარისანი ეკუთვნოდნენ და ისეთნიც ერივნენ, რომე-
ლნიც ქართველნი იყვნენ გვარტომობით, მაბრამ სომხობდნენ,
სომხის ტიბიკონზედ იდგნენ და ხალხსაც სომხურის ენით
უქადაგებდნენ; ასმენდნენ, რომ თქვენი ენა სომხური ენა არი-
სო. კათოლიკეთა გასომხებისა ამათ დიდი წადილი ჰქონდათ,
მაგრამ ამ წადილს ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ზოგიერთნი
ქართველის გვარის კათოლიკეთა მოძღვარნი.

1840 წლებში ხომეთ-კათოლიკეთა ტიბიკონზედ მდგარ
მღვდლებმა დაჰგმეს საქვეყნოდ ეკკლესიებში ის კათოლიკები,
რომელნიც თავიანთ თავს ქართველად სცნობდენ. ასეთ წყევა-
კრულვის დიდი მორიდება ჰქონდა ქართველ-გვარის კათოლი-
კეებს, ამათ ეშინოდათ ღვთისა და სარწმუნოებისა, სარწმუ-
ნოების შიშით თავიანთ თავს სომეხ-კათოლიკედ აღიარებდნენ,
სომხის შთამომავლად.

ასეთ დროის ქართველ კათოლიკეთა წინაშე იყვნენ ისე-
თნი მოძღვარნი და მხნე კაცნი, რომელნიც კათოლიკეთაგან
ქართულის ენის და მწიგნობრობის შესწავლის საქმეს მფა-
რველობდნენ. ამათს მოქმედებას ბევრი მოწინააღმდეგ ჰყავ-
და, მათში გამართული იყო ცხარე ბაასი და კამათი. ერთნი
სრულიად უარჰყოფდნენ ქართველ კათოლიკების გვაროვნო-
ბას, ქართველობას, მეორენი ამბობდნენ, რომ იქნება, მარ-
თლა, ჩვენ სომხის გვარის კათოლიკენი ვართ, ჩვენი ენაც
სომხური ენა იყოს, მაგრამ რადგანაც დღეს ჩვენი მრევლი
თავისს დედაენად ქართულს ხმაროს, ამიტომ ჩვენ მოვალე-
ნი ვართ, რომ ეს ენაც შევასწავლოთ ხალხს, ამ ენაზედაც
ვბეჭდოთ წიგნები, რომ მისის მეოხებით მრევლმა უფრო კარ-
გად შეიგნოს თავის მოვალეობა, თავისი სარწმუნოებაო.

ასეთმაბრძოლამ დ ქადაგებამ გაიტაცა მრავალი საპატიო
მოძღვარი ქართველ-კათოლიკეთა, და სწორედ ამანვე გაამხნევა
და აშრომა მოძღვარი ივანე მამულაშვილი, რომელმაც კალამი
აიღო ხელში, დაიწყო ქართველთა გვარისა და ენის სასარ-

გებლოდ შრომა, სხვადასხვა ენიდგან ქართულს ენაზედ სთა-
რგმნა მრავალი წიგნი, რომელთაგანაც ზოგი დასტამბულ იქ-
მნა ევროპაში.

მოძღვარი ივანე მამულაშვილი შთამომავლობით ქარ-
თველია, სამცხელი, მესხი. მთლად მამულაშვილები, სადაც-კი
სცხოვრობდენ, ყველანი ქართველ ტომს ეკუთვნიან. წინად

ესენი ერუშეთისაკენ (არდაგანის ოლქი) სცხოვრობდნენ. ქართველთა გათათრების დროს ერუშეთიდგან ჯავახეთში გადასახლდნენ, მერე ჯავახეთის კირთების დროს გურიაში გადასულან. იმერეთსა და ქართლში მთელი სოფელი სცხოვრობს ამ გვარისა. ქართლში სახლობენ: სოფი მეტეხსა, ბიწმენდსა და მცხეთაშიაც არიან.

სხვა-და-სხვა საქმეთა მეოხებით ამ გვარის წევრთაგანნი ზოგნი გრიგორიანობას დაკავშირებიან, ზოგნი კათოლიკობას, დაუკარგავთ თავიანთი გვარ-ტომობა, გადასხვაფერებულან და დღეს იგინი მამულოვებად იწოდებიან. ამას აღუდგა წინ მხნე მოძღვარი მამულაშვილი და მან ხმა მაღლად დაიწყო ქადაგება, პირ1და პირ განაცხადა, რომ ჩვენ ქართველის გვარის კათოლიკენი ვართ და არა სომხებისაო, თვით გრიგორიანთ სარწმუნოების მამულოვებიც გვარტომობით ქართველობას ეკუთვნიანო.

თითონ მოძღვარი მამულაშვილი სომხურს ტიბიკონზედ იდგა და იგი სომხის გვარის ტერ-ოჰანეზ მამულოვად ირიცხებოდა, მაგრამ იგი ქართველობას მაინც არ ივიწყებდა და მრევლში ყოველთვის ქართულად ჰქადაგებდა. თავის დროის კვალად შესაფერი სწავლა ჰქონდა მიღებული. ყოფილა კონსტანტინეპოლს და ვენეცის მხითარისტების „ძმობის" სასწავლებელშიაც, იცოდა სხვა-და-სხვა ენები და მასთან საქართველოს ისტორიასა და ქართულს ძველს მწერლობასაც კარგად იცნობდა.

კონსტანტინეპოლსა და ვენეციაში სწავლის შემდეგ იგი მოძღვრათ იქმნა კურთხეული და საქართველოში გამოწესებუ-

ლი კარგა ხანს მღვდლობდა. ხალხის თვალში იმისს პატივის ცემას ის უფრო ავრცელებდა, რადგან იგი იყო ქართველი მოძღვარი, ქართულს ენაზედ მქადაგებელი, ამასთან ქართველი მწიგნობარი, მწერალი, რომელიც თავის გვარის სასარგებლოდ დაუცხრომლად შრომობდა და მოღვაწეობდა. 1840 წლებში თითქმის ამან ჩაჰყარა ქართველ-კათოლიკეთა შორის ქართულს ენაზედ წიგნების თარგმნისა და ბეჭვდის საძირკველი.

მაშინ ვენეციასა, ვენასა და კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა შორის დიდად განთქმულნი იყვნენ მხითარისტების ინჯიჯიანი და ზურაბიანის ნაწერები. ინჭიჭიანი ძველისძველი მწერილი იყო. მიტომ იმის და ზურაბიანის ნაწერები მრავლად იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ხალხში. XIX ს. დამდეგს ინჯიჯიანმა დასწერა სომხურს ენაზედ „ახალი სომხეთი," ზურაბიანმაც სხვა-და-სხვა ისტორიული წერილები. მხითარისტების მსწავლულთა კონგრეგაციამ აღადგინა ახალი სომხეთი. ამათ ისტორიულის ნაწერებიდგან დიდათ ისარგებლა სენ-მარტენმა. მან ბევრი მასალა შეჰკრიბა თავისის ნაწერებისათვის. ამათს ცნობებს სენ-მარტენი დიდად აფასებდა.

ამ დროის სენ-მარტენმა ურჩია აკადემიკოს ბროსეს, რომ

კარგი იქმნება სომხურის ენიდგან ქართულს ენაზედ ინჯიჯიანისა და ზურაბიანის წიგნები ითარგმნოს და დაიბეჭდოსო. სენ-მარტენის რჩევით, მარრი ბროსემ მხითარისტებს სთხოვა, რომ იქმნება თქვენის ძმობის რომელმამე წევრთაგანმა ქართული ენა იცოდეს, კარგი იქმნება, რომ მან ინჯიჯიანისა და ზურაბიანის ნაწერები ქართულად სთარგმნოს და დაჰბეჭდოსო. აკადემიკოსის თხოვნა ვენეციის მხითარისტების ჟურნალშიაც დაიბეჭდა და მასთან პარიჟის „აზიურს ჟურნალშიაც.“ ამ დროსვე გამოცხადდა, რომ ამ ნაწერებს დიდი ხანია ქართულს ენაზედ სთარგმნის ქართულის ენის მცოდნე და ქართულის გვაროვნობის წარმომადგენელთ მღვდელი ივანე მამულაშვილიო.

– 58 –

ივანე მამულაშვილი ადრევე შესდგომოდა ამ მწერალთა ნაწერების თარგმნას და ზოგიერთი თხზულება 1851 წლამდე უკვე დაემთავრებინა. ამ დროს ივ. მამულაშვილი ახალციხისკენ ყოფილა მღვდლად. პეტრე ხარისჭირაშვილს მასთან მეტად დაახლოვებული კავშირი ჰქონია. ამათ დროსვე სცხოვრობდნენ: ანტონ ხუციანცი (ხუციშვილი) ხიზაბავრელი, მღ. ანტონ თუმანოვი-ოცხელი, მღ. სტეფანე იესაშვილი (დღეს იეზოვიე) და მღ. სტეფან ნავროზაშვილი. ესენი ყოფილან პავლე შაჰყულიანის მოწაფენი.

პ. ხარისჭირაშვილმა კარგად იცოდა ივანე მამულაშვილის შრომის ამბავი და როცა იგი საქართველოდგან ევროპაში გადასახლდა სამუდამოდ, მაშინ ივ. მამულაშვილის ზოგი ნაწერები თან წაიღო და ვენეციის მხითარისტების სტამბაში, 1850 წლებში, პირველად მოძღვრის ივანე მამულაშვილის ნაწერები დაიბეჭდა. ეს ნაწერები, როგორც სწერს ქართველ-კათოლიკეთა პატივცემული მოძღვარი ივანე გვარამაძე, დაბეჭდილა პ. ხარისჭირაშვილის რედაქტორობით და თვით იმისავე საფასით. აი ზოგი წიგნებიც:

1, **„ისტორია, გინა მოთხრობა ძველისა და ახლისა აღთქმისა,“** ქმნილი სომეხთ მხითარისტის იოანე არქიმანდრიტის ზურაბიანის მიერ, თარგმნილი სომხურის ენიდგან და დაბეჭდილი 1858 წ. ვენეტიკს, წმიდა ლაზარეს მონასტრის წიგნთსაცავში. წიგნის კაბადონთა რიცხვი 875 შეიცავს. წიგნის წინასიტყვაობაში ერთ ალაგას ნათქვამია: თუმცა დიდად ძნელი იყო ესე ჩვენთვის, რამეთუ არა გვყავდა ჩვენ ამა საქმისათვის ვინმე შემწე და არცა თანამშრომელი პირი ვინმე ქართულის ენის მცოდნე, გარნა რა ვხედავდით ვითარმედ ამა ოქროსა საუკუნესა შინა თითქმის ყოველთა ნათესავთა ენათა ზედ დაიბეჭდებიან ფერად-ფერადინი სამეცნიერო და სიბრძნის წიგნნი, ამის გამო ფრიად სასარგებლოდ ვრაცხეთ ქართულს ენაზედ წიგნების დაბეჭდვა, აწ სასოებით ვითარმედ წრფელ აზროვანს კეთილს მსურველს და გულს მოდგინეს მოღვაწე-

ობის ამასა ჩვენსა კეთილად მიიღებს საქართველოო, თვისთა ჩვეულებით კეთილშობილებრივი გულკეთილობითა, რომელიც უქმად არა გაატარებს შრომასაც ამისა ჩვენს, რომელნი რადგან ვართ მარად მსურველნი და მეძიებელნი ბედნიერებისანი, ხილვით, რომელ შრომითა ამითა ჩვენითა სარგებლობს საქართველო დიდათ განცხრომათა ყოფად არს იგი ჩვენთვის."

2, **წმიდანების ცხოვრება.** ქმნილი სომხურს ენაზე არქიმანდრიტი ლუკა ინჭიჭიანის მიერ; თარგმნილი და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა, ვენეტიკს, 1859 წ. წმ. ლაზარეს მონასტრის სტამბაში." ვრცელი წიგნია. ამასვე უთარგმნია იგავნი ეზეპოისი და დაუბეჭდიათ ვენეტიკს, ორ ტომად 1859 წ. ყველა ეს წიგნები დაბეჭდილია სუფთად, თავის დროის კვალად ძალიან ლამაზადაც-კი, მხოლოდ ენა არ უვარგათ მცირედ და ამას არც თვით მთარგმნელი მალავს, წინასიტყვაობაში ბოდიშს იხდის.

მოძღვარს ივანე მამულაშვილს სხვა ნაწერებიც ბევრი ჰქონია, მაგრამ დაბეჭდვა არა ღირსებიათ. უმეტესი ნაწილი ამ ნაწერების აქა იქ გაპნეულა, ვენეციას, კონსტანტინეპოლს და ახალციხეს. თვით ივ. მამულაშვილი გარდაიცვალა 1884 წ. საკმარისად მოხუცი. განსვენებული ყოფილა ქართული კათოლიკეთა კარგი მფარველი.

პეტრე აუღუშოვი, პ. შაჰყულიანის ნამოწაფარია, სწავლა განათლება სომეხ-კათოლიკეთ გავლენის ქვეშ მიიღო. 1845 წ. იგი სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ ეკურთხა, სომეხ კათოლიკე მღვდლათ ირიცხებოდა, სულით და გულით-კი ქართველი იყო, ეკკლესიაში უპირატეს ადგილს ქართულ ენას უთმობდა. იგი იყო შესანიშნავი მოძღვარი, შორს მხედველი, ყოველ საქმის სიბრძნით განმსჭვრეტი, მართლ მსაჯული, თავის სამწყსოს სწორი მსახური, მამა და სიმართლის მქადაგი. სხვა და სხვა გარემოების მეოხებით 1871 წ. იგი სომხის ტიბიკონიდამ

ლათინის ტიბიკონზედ გადავიდა. ამ გარემოებამ მასში ბევრი ცვლილება შეიტანეს, მრევლზედაც იმოქმედა. თვით იყო წარჩინებული ქართველი, სამღრთო მეტყველი, მწიგნობარი, ხალხის საქმეთა დიდი პატივის მცემელი, ქართველ გვარონობის უარის მყოფელთ მოკამათე. იგი გარდაიცვალა 1899 წ. შობიდგან 80 წლისა. ყველასაგან დიდად პტივცემული და ღირსეული ქართველი მოძღვარი, ღირსეულად დასაფლავდა. განსვენებული იყო ქართული მწიგნობრობის მოყვარე. იცოდა კარგათ საქართველოს ისტორია და ქართველთა წარსულისთვის დიდათ შესტკივოდა გულთ. ასეთ მოძღვართა შეინახეს ქართული ენა ჯავახეთში, თორემ ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, ქართული ენა იქაც ისევე ამოვარდებოდა, რო-

გორც ეს ართვინს და მის თემში მოხდა. განსვენებული იტა-
ლიურს ენაზედაც კითხულობდა წიგნებს და ძრიელ ბევრი
ლათინური და იტალიური წიგნებიც დარჩა. ეს წიგნები მეც
ვნახე მის სიკვდილის შემდეგ. შიგ ბევრი ძველი ქართული
ხელთნაწერებიც ერია. მათი გაშინჯვა ვერ მოვასწარ. პეტრე
აღუშოვი ახალციხეს გახლდათ მღვდლად ივლიტის საყდარში
და მისი წიგნებიც იმავ საყდარს დაშთა.

პატრი იოსებ წალდაძოვი (წალდაძე)

სახელოვან ქართველთ კათოლიკეთ აბატს პეტრე ხარი-
სჭირაშვილს ბევრი პატივისმცემელ ჰყავდა. პატივს სცემდნენ
მას თვით ისეთნი ქართველნიც-კი, რომელთაც ქართველობა
სძულდათ, ზოგნი-კი დიდადაც ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ
აბატი ყოველთვის მტკიცე ბურჯად იდგა თვის მიერ არჩეულს
გზაზედ, იგი გულს არ იტეხდა და დიდის ჭეშმარიტებით ჰქა-
დაგებდა ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის ცნობებს.

მიზეზი აბატის განსაცვიფრებელის სიმტკიცისა, მხნეო-
ბისა და იმ საოცარის გვართ მოყვარეობისა, რომელსაც იგი
იჩენდა, ასე რომ მან ქართული სტამბებიც-კი დაარსა: მონ-

თობანს (საფრანგეთშია), ვენეციასა და კონსტანტინეპოლს,
ის იყო, რომ იმას გარს ეხვივნენ ქართველთა საუკეთესო
მამულიშვილნი, ამხნევებდნენ და მხარს უჭერდნენ.

ერთი ასეთი მხნე მამულაშვილი იყო იოსებ წალდაძოვი,
იგივე წალდაძე. ქართველ კათოლიკეთა შორის ძველადვე
შემოიღეს გვარების გადაკეთება: ძეს ანუ შვილს ოვად სცვლი-
დნენ, მაგალითებ „წალდაძოვი, გძელოვი, იერიქოვი, მუთა-
ფოვი, ასლანოვი, როსტევანოვი, კაუხჭოვი და ათასი ამ გვარი,
რომელთა გვარის დაბოლოვება ძველად – ძე ან შვილი იყო.

იოსებ წალდაძე ქართველთა ძველს გვარეულობას უკუ-
თვნის. იგი იყო იმერი. პირველ დაწყებითი სწავლა ოჯახში
შეიძინა, მერე გაემგზავრა ევროპაში, მცირე ხანს დაჰყო კონს-
ტანტინეპოლს პეტრე ხარისჭირაშვილის სკოლაში, შემდეგ გაე-
მგზავრა მონთობანში და იქ ერთს გიმნაზიაში დაამთავრა სწა-
ვლა. აქ სწავლას მან მოანდომა 8 წელიწადი.

კლასიკურის გიმნაზიის სწავლის დამთავრების შემდეგ იგი
შევიდა ერთს უმაღლესს სასულიერო სასწავლებელში, იქ და-
ჰყო ექვს წელს. ამ ხნის განმავლობაში შეისწავლა ყველა
იმ დროის საღვთისმეტყველო და საფილოსოფო საგნები. აქ
შეიყვარა ფილოსოფია, საღმრთო ზნეობრივი სწავლა, შეის-
წავლა ევროპის სწავლულთა და მეცნიერთა ნაწერები და ნამე-
ტურ ფილოსოფია.

უმაღლესის სასულიერო სწავლის დამთავრების შემდეგ იგი
ბერად შედგა და დროებით საფრანგეთში დასახლდა, მონთო-
ბანს, პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაფუძნებულს მონასტე-
რში, სადაც ქართული სტამბაც არსებობდა და ქართველ

გვარის კათოლიკის ბერებმა ქართულის წიგნების ბეჭდვაც იწ-
ყეს. ახალგაზრდა ბერი იქ იმიტომ დასახლდა დროებით, მაშინ
ზოგერთნი ჰნატრობდნენ: კარგი იქნება, მონთობანსა და
კონსტანტინეპოლში ვენის და ვენეციის მხითარისტების წესდე-
ბისავით ქართველთა „კონგრეგაცია“ დავაარსოთო.

ბერი იოსებ წალდაძე მონთობანში დარჩა რამდენსამე

ხანს, მალე დაბრუნდა საქართველოში და მღვდელმოქმედებას
ასრულებდა ქუთაისში. დაჰყო სამს წელს და მეოთხე წელიწადს
ახალგაზდა მხნე ბერი, სულ 27 წლისა, უეცრად გარდაიცვა-
ლა 1883 წელს ქ. ქუთაის. მისი სიკვდილი ყველამ მწარედ
იგლოვა. მშობლებმა ძეგლით შეამკეს მისი საფლავი. ძეგლს
შემდეგი წარწერა ამშვენებს: „აქ არს მდებარე იოსებ წალდა-
ძოვი, – ივერიელი, ახლად ნაკურთხი მღვდელი (მონაზონი)
უმანკო ჩასახების ქალწული მარიამის კრებისა, რომელიც იყო
მაგალითი სათნოებათა. მშობელთა აღვსილთა ცრემლითა
აღუგეს შვილსა უსაყვარლესსა.“ მონთაბანს (ფრანცია) დაი-
ბეჭდა შემოკლებული „რეტორიკა“ და „ფილოსოფია“ 1878
წლებში. ორივ საღმრთო შინაარსს არიან. დღეს ეს წიგნები
ერთობ იშვიათია.

ბერმა ოსებ წალდაძოვმა იცოდა ენები: ქართული,
ფრანგული, ლათინური, იტალიური, რუსული, ბერძნული და
მცირედ ოსმალურიც. ზედ მიწევნით ჰქონდა შესწავლილი
საქართველოს ისტორია და ქართულის მწიგნობრობის ისტო-
რიაც. მეტად უყვარდა საქართველო.

პავლე შაჰყულიანი. იხილედ ამაზედ ჩემ-მიერ ცალკე
გამოცემული ქართული წიგნი, 1904 წ. თფ.

პატრი მიქელ თამარაშვილი. იხილედ ცალკე წიგნი ჩემ
მიერ დაბეჭდილი 1904 წ.

პატრი ნიკოლა. იხილედ ცალკე ჩემი წიგნი „პატრი ნი-
კოლა“.

პეტრე ხარისჭირაშვილი. იხილედ ცალკე გამოცემა ჩე-
მი წიგნი ამის შესახებ.

პატრი პავლე ყალაიჯოვი. ახილციხეში გაზდილი, შემ-
დეგ პეტრე ხარისჭირაშვილთან ყოფილი და აღზრდილი,
კურთხეულა მღვდლათ იქვე. მღვდლათ მსახურებდა აქა იქ,
იყო მოზდოკშიც. თვით არის სათნო ადამიანი, ქართული
გულით და სულით აღვსილი, სამაგალითო მოძღვარი, თავ
დაჭერილი, თავ შენახული და მრევლის პატივისმცემელი. ეს

მღვდელი კარგა ხანია თფილისში სცხოვრებს და განაგებს
კათოლიკეთა ეკკლესიას. გამგეობა ამისი არის მშვიდი, წყნა-
რი, ისეთი როგორიც მოეთხოვება ყოველს პატიოსანს კაცს
მოძღვარს. მთელი ამის მოქმედება არის სუფთა, სამაგალითო
მამაშვილური. ძნელად რომ მისგან სადმე რამე საქმე გაფუ-

ჭებულიყოს, შეუძლებელია. ამით პავლე ყალაიჯოვი სამაგალითო მოძღვარია და პატივ საცემი მრევლში.

დონ დიმიტრი თუმანიშვილის შემდეგ მან ეკკლესიის საქმენი ბრწყინვალეთ მართა. მის დროს განახლდა ხსენებული ეკკლესია, შეიმკო საჭირო ნივთებით, შესამოსით და სხვა იარაღითაც. ამ განახლებასა და განსპეტაკებაზე პ. ყალაიჯოვს საკმარისი შრომა მიუძღვის. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ამ მონასტრის სკოლის არსებობაზედაც დიდი ამაგი აქვს დათესილი. სკოლას იგი სამაგალითოდ ინახავს, ღარიბ ღატაკ კაცის შვილებს ყოველნაირის მხრით დახმარებას უჩენს. საზოგადოთ ყველას გულ შემატკივრათ ეპყრობა. ყოველივე საქმენი როგორც ეკკლესიის, ისევე იმავ ეკკლესიის „ძმობის“ და სკოლის სანაქებოთ მიჰყავს. პავლე ყალაიჯოვი ამით ყოველთვის საქები იქმნება. მღვდელთ მოქმედებასაც თავანკრად ასრულებს. საქმით სამაგალითოა და კაი შრომაც აწევს კისერზედ. ოცი წელიწადი მეტია თფილისში მსახურებს, კარგად მცოდნეა ქართული ენის და მასთან მახვილ გონიერი მოძღვარიც.

პატრი ივანე გიორგაძე. თანამედროვე პირია ანსელმოსი, პავლე ყალაიჯოვისა და სხვათა. დღეს წინამძღვარია ქუთაისის კათოლიკეთ ეკკლესიისა და ამ ეკკლესიის მოვალეობა მას მიჰყავს ჩინებულად, საქმეს შესაფერად უძღვება. პატრი ივანე შთამომავლობით მესხელია, ქართველი კათოლიკე. ამათი წინაპარნი კი ძველთაგან ქართლის, ანუ გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში ყოფილან, ძველი გვარი გიორგაძეა და შემდგომ ჟამთა ვითარების წყალობით სეხქანოვიც დარქმევიათ. იგი დაბადებულა 1851 წ. ქ. ახალციხეს. სწავლა მიიღო

ჯერეთ ახალციხეს, მერე კონსტანტინეპოლს სწავლობდა პეტრე ხარისჭირაშვილთან, შემდეგ დროს რომში სწავლობდა, იქ დაასრულა სამღვდელო სწავლა. მღვდლათ კურთხეული იქმნა 1875 წ. არხიეპისკოპოსის ანტონ მარია გლოსერისაგან და გამწესებულ მღვდლათ იქვე კონსტანტინეპოლს ფრანცუზების საავადმყოფოს მოძღვრად. იქ დარჩა რამდენსამე ხანსა. შემდგომ ამის გადაყვანილ იქმნა ისპანიას. ისპანიაში ეს რამდენსამე ხანს დაშთა. იქ შეისწავლა ისპანიური ენა. შემდგომ ისპანიისა იგი გადმოყვანილ იქმნა 1884 წ. ქუთაისის კათოლიკეთა ეკკლესიის ვიკარნი მოძღვრად. აქ ამ დროს იმყოფებოდა და მღვდლობდა ბიძა პატრი ივანესი, პატრი სტეფანე გიორგაძე. ქუთაისში მოსვლამდე პატრი ივანე 1882 წ. ისპანიიდამ სხვებთან ერთად იერუსალიმშიც წასულა და უმგზავრნია. იერუსალიმიდამ ისევ ისპანიას დაბრუნდა, იქიდამ სტამბოლს და მერე ქუთაისს. დღეს ქუთაისში განაგებს კათოლიკეთა ეკკლესიის საქმეს.

პატრი ივანე ენერგიული მოძღვარია და თავის სავალდებულო საგნები გარდა სხვა ბევრი რამ სახელოსნო და პრაქ-

ტიკული საქმეთა ავ-კარგიანობაც იცის. იცის აგრეთვე ენები ქართული, რუსული, ფრანგული, იტალიური, ისპანიური, თათრული, ლათინური და მცირედ სომხურიც. გამოცდილება დიდი აქვს და მასთან სიყვარული მრევლისა, პატივისცემა შეუძლოთა, მფარველობა მათი და ყოველს გასაჭირში ხელის გამართვა, საშუალების აღმოჩენა. ამით ესენი ქებულ არიან და მისაბაძნი მრავალთაგან. იგი საეკკლესიო და საერო საქმეებში ყოველთვის ერთს უანგარო პირად სჩანს, ერთს გულ შემატკივრად და მიუდგომელ მოსამართლე მოსარჩლე მოძღვრად. ეკკლესიის საქმეებს და მის მამულებს იგი ჰპატრონობს და უვლის ფრთხილად და გულ მოდგინეთ. მამულების ანუ საეკკლესიო ქონების საქმე ამას დიდ სისრულეში მოჰყავს. დღეს იგი ეკკლესიას უშენებს და უახლებს ერთს ძველს შენობას, სადაც რამდენიმე დუქანიც არის და

მასთან კარგი თავლა, ოდა-სადგომებიც. რაც ძალა აქვს, მით იგი თავის ცდას და შრომას არ აკლებს.

საყურადღებოა ამის შრომა აგრეთვე ეკკლესიის მოვლა შენახვაზედ, სისუფთავეზედ და სკოლის მოვლაზედ. სკოლის საქმეს მართავს გულს მოდგინედ და დღეს მოწაფეთათვის ეკკლესიის გალავანში აკეთებს კარგს ოთახებს, სადაც ბავშვებს სწავლას გარეშე სახელოსნო საქმეთა შეგნებასაც ასწავლიან, რათა მომავალში სწავლის გარეშე ხელოსნობაც შეეძლოთ, თუნდ წიგნების კაზმვით და სხვა. ასეთ სუფთა საქმეთა ცოდნით მრევლის წინაშე იგი ცნობილია როგორც მათთვის გულ-შემატკივარი მოძღვარი, უანგაროდა სუფთა ცხოვრებით დაჯილდოებული, არის ქართული გულისა და სულის მექონი მღვდელი, ჭეშმარიტი ადამიანი და მასთანვე გამბედავი, თავთავის ალაგას მოურიდებელი, სწორე საქმისთვის მომხრე, მფარველი და მასთანვე ამისთვისმე დაუშურვებელი, დიდი საქმიანობის მექონი მოძღვარია. დაუზარებელი, უზაკველი და მასთან ქართული პურ-მარილი და სალამის მოყვარე – ნამეტურ შეუძლოთა და ვრდომილთა მფარველი და დიდი პატივის მცემელი. ყოველივე ამას ცხადათ ამტკიცებს ამ მოძღვრის ქუთაისში ყოფნა და 20 წლის სამსახური.

პატრი სტეფანე გიორგაძე. პატრი სტეფენეს პირადი ცნობა მე არ მაქვს. ამ ცნობებს ვწერ მის მცნობთა მოძღვრებთა მოთხრობით. პატრი სტეფანეს მშობლები დიდის სათნოების პირნი ყოფილან. შვილზედ მათ დიდი ზეგავლენა ჰქონიათ. შვილისთვის ჯერეთ შინ მიუციათ სწავლა, მერე სკოლაში და შემდეგ ამის ვაჭრობაზედ მიუციათ. სტეფანე ვაჭრობაში აღზრდილა, აქ განვითარებულა და აქ ყოფნის დროს ფულიც მოუგროვებია.იმავ დროს ყოფილა იგი მღვთის მოშიში, მწიგნობარი და სუფთა მონოზნებრივი ცხოვრების მოყვარე.

სტეფანეს განუძრახავს ბერათ შესვლა. რაც-კი ფულები ჰქონია, იგი ყოველივე შეუკრებია და კონსტანტინეპოლს

წასულა, ყოველივე თავის მოგროებული ფულიც თან წაუღია. პეტრე ხარისჭირაშვილთან მისულა, ფული მისთვის გადუ-ცია და მის მახლობლივ დასახლებულა მისივე მფარველობის ქვეშ. შემდგომ ამის მომზადებაც დაუწყვია. შეუსწავლია კარ-გად საჭირო ენები, სამღთო საგანნი და უკანასკნელ აქამდე მისულა თავის ცდით და შრომით, რომ 1867 წ. მღვდლათაც უკურთხებიათ.

მღვდლათ კურთხევის შემდეგ, პატრი სტეფანე მსახურე-ბდა საქართველოში, თფილისის კათოლიკეთ ეკკლესიას, მოს-დოკს, გორს, ქუთაისს და დღეს კონსტანტინეპოლს. კურ-თხევის შემდეგ საქმე ისე კარგად წაუვიდა, რომ იგი მონთო-ბანის მონასტერში აბატათ იქმნა არჩეული. ამავ წარჩინებ-ულს მოძღვარს დიდი შრომა აქვს დათესილი კონსტანტინე-პოლის ქართველთა კათოლიკეთ მონასტრის შენობების შენე-ბაზედ, სკოლაზედ და ეკკლესიაზედ. ამა შთენთა აღშენე-ბის საქმე სწორედ საინტერესო საგანს წარმოადგენს და ამ საინტერესო მხარესთან მჭიდროთ არის დაკავშირებული პა-ტრი სტეფანეს განვლილი ღვაწლი და დღეინდელი შრომა. ყველა ამის შრომათ მოთვლა აქ შეუძლებელია.

პატრი სტეფანე რგორც მოძღვარი ნამდვილი კაცად კა-ცი გახლავთ, ჭეშმარიტი ქრისტიან მამულის შვილი ქართ-ველი. მის გვამში რამდენათაც კათოლიკის სარწმუნოებას უკავია ადგილი, იმოდენადვე უღვივის მას გულში საქართველ-ოს სიყვარული, ქართული ენის, მწიგნობრობისა და სხვანი. შორს მყოფს უფრო განცხოვლებული აქვს მამულის-შვილური ტრფიალება. იგი თავის სათნოს ცხოვრებით სამაგალითო ძმა გახლავსთ მთელს ქართველთ კათოლიკეთა სამღვდელოებისა და მრევლში. სადაცკი უოფილა პატრი სტეფანე, მას თავის მრევლის წინაშე ყოველთვის გამოუჩენია მაღალი ღირსება, გვემულთ სიბრალული და კაცთა შორის დიდი სიყვარული და სათნოება. ყველგან აღუბეჭდია თვისი ნაბიჯის ნავალი, ყველგან დაუტოვებია თავისი ბრწყინვალე მოქმედების ცნო-

ბები, დღესაც ამ პატრს მთელს კათოლიკებში დიდის ქება დიდებით მოიხსენებენ. იგი სამაგალითოა დღესაც იქ სადაცკი გახლავსთ და მღვდელ მოქმდებს.

———

დონ ივანე ანტონოვი გახლავსთ გორის ქართველ კათო-ლიკეთაგანი, სასულიეროდ განათლებული: დღეს სარათოვის კათოლიკეთა სემენარიის რექტორათ იმყოფება. ბოდიშს ვიხდი, რომ ამ ყოვლად გამოჩენილი მოძღვრის ცხო-ვრებას არ ვიცნობთ კარგად და აქ ასე მოკლედ ვსაუბრობთ. ოდესმე სხვაგან სხვანი ან უხსვენ უფრო უკედ. ეხლაკი ამას ვიკმართ, რომ ავნიშნოთ მხოლოდ ის, რომ დონ ივანე არის

უწარჩინესებული ქართველ მოძღვართაგანი, თავის მოვალეობაში კარგად დახელოვნებული და სიყრმიდგანვე ამ მოვალეობისათვის დანიშნული.

დონ ივანეს შესაფერს ნიჭიერებას ის გარემოებაც კარგად აჩენს, რომ იგი დღეს რექტორია სარათოვის სემენარიაში, სხვებისა კი რა უნდა ვსთქვა და მეკი ჩემად ამ ცნობილი მოძღვრის ასეთი ხარისხი და თანამდებობა სანაქებოდ მიმაჩნია და სამედიდურათაც ქართველ გვარის. დონ ივანე მთელის თავის მოქმედებით თავის ასპარეზედ წარმოადგენს სამაგალითო თვისების არსებობას, მისი მოქმედობა არის სამაგალითო და უღალველი. მასთანვე სათქმელია ისიც რომ ეს წარჩინებული მოძღვარი დიდი მტრფობელია თავის სამშობლო ქვეყნის, ერის, ენის და მწიგნობრობის. არის აგრეთვე მჭევრ მეტყველი, კარგი მქადაგებელი. მისი ქართული ქადაგება მე ვნახე 1903 წ. თფილისსა და ბათუმს და უნდა მოგახსენოთ, რომ მისის სმენით გავკვირდით. ღირსია რომ მისი ქადაგებანი ერთად შეიკრიბოს და ოდესმე ცალკე წიგნად დაიბეჭდოს.

როგორც ქართველი მოძღვარი, სარათოვის სემენარიაში და სხვაგანაც ქართველთ კითოლიკეთა სამღვდელო პირებს დიდს მფარველობას უწევს, მისის შრომით ბევრი ქარ-

თველ კათოლიკეთ მღვდელი იქმნა კურთხეული, ბევრმა მიაღწია თავის ხარისხს, უამისოდ კი რომ დონ ივანე არ ყოფილიყოს, ვინ იცის, რამდენს მოძღვარს როგორ არ გაუჭირდებოდა, ვგონებთ პოლონელ მღვდელ მთავრების ხელში ერთს პირსაც ვერ მიეღო მღვდელ მოქმედის უფლება და კურთხევა. საქართველოსთვის ერთობ აძნელებდნენ ქართველ გვარის პირთაგან მღვდელობის კურთხევას. დიდი დავადარაბა, უნდა, ამის ატანა კი ჩვენ ვერ შეგვიძლიან. ყველა ამას წინ დონ ივანე ევლინება მალამოდ. დონ ივანე მაინცა და მაინც ხანში შესული პირი არ არის. იგი სიცოცხლით სავსე მოძღვარია. ჯანით და სულით მაგარი და ნამდვილი მამულიშვილობით აღვსილი ადამიანი. საქებია მისიშრომა სამოსწავლო განათლების ასპარეზედ და მარად მოსაგონარი თავაზით.

დონ მიხეილ ანტონოვი. ძმაა დონ ივანესი, სათნოდ ჩენილი მოძღვარი. სამწუხაროდ ჩვენ არც ამ მოძღვრის ცხოვრება და მოქმედების ცნობები ვიცით, მხოლოდ ისკი შეიძლება ითქვას, რომ იგი სამაგალითო მოძღვარია და საქები ბევრი სანაქებოს საქმეებით. ერთ დროს იგი თფილისის კათოლიკეთა ეკკლესიაშიც მსახურობდა, იმავე დროს თფილისის კათოლიკეთ ეკკლესიის სასწავლებელში მასწავლებლადაც იყო. იაკობ ლაზარეშვილი დონ მიხეილის შესახებ აღტაცებული იყო და ყოველთვის ქებით მოიხსენებდა. ამბობდა, რომ ესეთი სამაგალითო მოძღვარი ჩემს თვალებს არსად უნახავსო, იგი დიდათ საყვარელი მოძღვარია ეკკლესიისაო. ერთხელ წარმოუთქვამს, რომ „მე ვარ მღვდელი და მამა ჩემის მრევლის

და ერისაო. გულით მტკიცე ქართველი მამულის შვილია, ძმასავებ ქართველთ საქმეებთა გულ შემატკივარი და მასთანვე მწიგნობარიც. ძმასავებ იგიც მაღალ გონიერებით არის დაჯილდოებული, სუფთას სათნოს ცხოვრებით და სამაგალითოს მოძღვრებით. იგი დღეს მსახურებს თემირხანშურის კათოლიკეთ ეკკლესიაში.

პატრი ანდრია ჩილაშვილი. ახალციხელი. ნაკურთხია

ბერძენთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ. კათოლიკენი ბერძნებშიაც არიან. მათ წირვა-ლოცვა ბერძნულს ენაზედ აქვსთ გამართული, ბერძნულის ტიბიკონით. 15 წელიწადია, რაც მღვდლად არის ნაკურთხი. იცის კარგად ფრანგული ენა, ლათინური, იტალიური, ბერძნული, თათრული და ქართული. მღვდლად არის კოსტანტინეპოლს (იენიშარს), მრევლი ბერძენთ კათოლიკენი ჰყავს, რომელთათვისაც წირვა ლოცვას ბერძნულს ენაზედ ასრულებს. ეკკლესიის გვერდით მას აქვს გახსნილი საერო სასწავლებელი, სადაც კათოლიკე ბერძენთ შვილებს უფასოდ ასწავლის. ამავე მოძღვარს შედგენილი აქვს 60 ყმაწვილისაგან სამუსიკო გუნდი. დიდი ამაგი მიუძღვის ამ მოძღვარს თავის მრევლის წინაშე. ჩვენ ეს მოძღვარი არ გვინახავს, მისი პირადი ცნობა არა გვაქვს. ხოლო ის-კი ვიცით, რომ იგი მეტად კეთილ გონიერი პირია, ბერძენ კათოლიკე მრევლში სამაგალითო მქადაგებელი, სამაგალითო მოძღვარი. იგი პ. ხარისჭირაშვილისაგან არის გამცნებულ და მღვდლათ კურთხეული ეს მოძღვარი დიდი მოყვარეა საქართველოსი და ქართული ენის, ხოლო თანა მემამულებთ შორიდამ უმზერის გულ-ხელ დაკრეფილი და თავისს გრძნობათა ღელვას ბერძენ კათოლიკეთა სინდისიერის სამსახურით იკლავს.

პატრი ათანასე ნასყიდოვი. ათანასე ნასყიდოვი დღეს ადრიანოპოლში სცხოვრებს. გასდილია პეტრე ხარისჭირაშვილთან და მისგანვე გამცნებულ განსპეტაკებული. ათანასე ნასყიდოვი ადრე ადრიანაპოლის კათოლიკეთ ეპისკოპოსის გამგეობაში მსახურებდა და იქაურ კათოლიკეთ სკოლების უფროსად ირიცხებოდა. მე კაი ცნობა მაქვს მისი და ადრე მიწერ-მოწერაც გვქონდა ერთმანეთში. მას გული დიდათ ეთანაღრება რომ ბედმა და გარემოებამ ასე შორს გადატყორცნა, მაგრამ რას იზამს, გარემოებას ემორჩილება და დროსა და სამშობლო ქვეყნის მღელვარის მახვილს საქმიანობით, ანუ ჯანის დაღალვით იკლავს.

იგი არის სამაგალითო სათნო მოყვასი, პატივცემული ყველგან და ყოველთვის. მისგან ბევრი წერილები მაქვს მე და უნდა ითქვას, რომ ყოველი წერილი ბრწყინავს ნათელის მამულისშვილობით. ათანასე ნასყიდოვს ერთხელ კაი მისვლა-

მოსვლა ჰქონდა ადრიანოპოლის გენერალ გუბერნატორ მეჰმედ ფაშა ვახვახიშვილთან. ათანასე ნასყიდოვი უცხოეთში სცხოვრებს, მაგრამ სულით და გულით კი საქართველოსთან არის, ქართველთ მდგომარეობას დიდათ ადევნებს ყურს. ერთ დროს თვით ჩვენგანაც იბარებდა ყველა ქართულ წიგნებს.

პატნი რაფიელ ნებიერიძე, ქართველი პატრების ბედი ისეთი გახლავთ, რომ მათ საქართველოს გარეშე სასულიერო მთავრობისაგან მგზავრობა უხდებათ თვით უშორეს აღმოსავლეთის ქვეყნებშიაც. მაგალითებრ წასულები არიან ორნი ჩინეთში, თვით ამაზედ უშორეს ქვეყნებში. ასევე გახლავსთ პატრი რაფიელ ნებიერიძეს საქმე. რაფ. ნებიერიძეს მე პატარაობიდგანვე ვიცნობ. მან სწავლა რომში დაამთავრა, იქვე ეკურთხა მღვდლათ და ჩარიცხულ არის „ლაზარისტების ძმობაში". მოგეხსენებათ, რომ „ლაზარისტების ძმობა" საკმარისად ვრცელი ძმობა არის.

სამღვდელო სავალდებულო საქმეებთა შორის მან იცის ენები: ლათინური, იტალიური, ფრანგული, რუსული, თათრული, ქალდეურული კარგად, სომხური და ქართული როგორც თავის დედაენა. ლაზარისტების ძმობისაგან იგი დანიშნულია სპარსეთში, სალმასტისკენ, ქალდეველთ კათოლიკეებში მქადაგებლად და მოძღვრად: სპარსეთში მიმავალი მე ვნახე და მას შემდეგ ჩვენ გვქვს მიწერ-მოწერა თუმც ხშირად არა, მაგრამ ხანდისხან მაინც.

რაფიელ ნებიერიძემ სპარსეთში დიდი ყურადღება მიაქცია სპარსეთში მცხოვრებ და გადაგვარებულ ქართველთ სპარსელთ მდგომარეობას და მათ შესახებ რამდენიმე საყურადღებო ცნობებიც შეკრიბა, რომელ ცნობებიც მე მიგზავნა და იგინი თავთავის დროს გაზეთ „ივერია“-ში იქმნენ მოთავსებულნი.

შემდეგ ყველა ეს ცნობები მე მოვათავსე ჩემს წიგნს, სახელდობრ „ქართველები სპარსეთში“. საყურადღებოა ამ მღვდელის ცნობები ქალდეველ იმ ქართველთ შესახებ, რომელნიც ალექსანდრე ბატონიშვილს გადაჰყოლიან საქართველოდამ და საყოველთაოდ იქ დაშთენილან. პატრი რაფიელ ნებიერიძის ცნობებით სჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს უკანასკნელ ცხოვრების წელნი სალმასტში, ქალდეველებთ შორის გაუტარებია, ბინა, მამულები და ყმანიც იქა ჰყოლია. იქ ამის დიდი ხსოვნა აქვსთ თურმე დღესაც კი.

დონ გაბრიელ ასლანიშვილი. დონ გაბრიელ ასლანიშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1860 წ. სწავლა მიიღო ჯერ შინაურად და მერე კონსტანტინეპოლს და მონთობასაც სწავლობდა. მღვდლად ეკურთხა 1890 წ. სარათოვს. სამღვდელო სწავლასა და ვალდებულებას გარდა იცის სხვა და სხვა ენებიც. ნამეტურ კარგად აქვს შესწავლილი ფრანგული ენა. ქართულიც კარგად აქვს შესწავლილი და რუსულიც ზედ მიწევნით იცის. მღვდლად კურთხევის შემდეგ პირველად იგი მსახურებდა რუსეთს, შემდეგ მოზდოკს, მერე ქუ-

თაისს, გორს და დღეს კვალად რუსეთსავე ემსახურება
როსტოვს. სადაც კი მსახურებდა ეს მღვდელი, ყველგან დაა-
ჩნია თავისი ნავალი. როგორც მოზდოკს, ისევე ქუთა-
ისს, გორს და იქაც ასევე იქმნება სადაც დღეს მსახურობს.
მაგალითებრ ქუთაისის სამრევლო სკოლის პროგრამა ისე შეს-
ცვალა, ისე მოახერხა იოსებ ოცხელის დახმარებით, რომ ამ
სასწავლებლიდამ ბავშვები ქუთაისის კლასიკურ გემნაზიაში
ახერხებდნენ სასწავლებლად შესვლას. ეს მოხერხება დიდის
საქმედ უნდა ჩაითვალოს ქუთაისის კათოლიკეთა მრევლის
წინაშე. უნდა ვსთქვათ ისიც, რომ გარდა ასეთის მოხერხების,
მანვე მოახერხა რამდენიმე სტიპენდიანტის შენახვა გემნა-
ზიაში. ასეთ მოწაფეთა შენახვის ფულს მოკრეფის წესი შრევ
ლში დაადგინა გაბრიელ ასლანიშვილმა და იოსებ ოცხელმა.

სასკოლო საქმების შეგნება მეტად ნათლათ აქვს გათვალი-

სწინებული, იგი სკოლის სწავლის ასპარეზედ იდეიური მღვდე-
ლია და უფროსად მოქალაქური. მას დიდი სურვილი აქვს
ქართული ერის უმაღლესად განათლების და განვითარების.
ყოველი მისი ნაბიჯი მიმართულია ხალხის მოქალაქური განა-
თლების სასარგებლოდ. მას ასეთი მიმართვა ყოველთვის
ლაპარაკშიაც ცხადათ ეტყობა. იგი რამდენათაც კათოლიკეთ
მოძღვარია, იმდენათვე თამამი ქართველი მამულის შვილია.
სიმართლე და პატიოსნება მის უმთავრეს იარაღს შეადგენს.
ეკკლესიის გარეშე იგი დაუცხრომელი, ჯერ ირ დაუღლელ
მოძღვარ მოღვაწეა. მას ენატრება დიდათ, რომ მის მოქმედე-
ბას ფართო ასპარეზი აქვნდეს, სამოღვაწო ბინა.

ამ მღვდლის საზოგადო საქმეთა კეთების მოთვლას სა-
თითაოდ არ გავყვებით. მოვიხსენებთ მხოლოდ რამდენსამე
საქმეს, რომელიც ღირსნი არიან არ დავიწყების. გორში
მღვდლად ყოფნის დროს მან ყურადღება მიაქცია ეკკლესიის
მამულების საქმეებს, იგი მოაწესრიგა, შენობები მოუმატა,
შესავალი გააფართოვა, ვენახიც გადუკეთა, გაულაზათიანა.
ამას გარდა სხვა საქმეც გააკეთა. გორის მრევლის სიმცირეს
დიდი ყურადღება მიაქცა, ამიტომ იშრომა და ითავა სოფ.
უდიდამ გორში რამდენიმე კათოლიკეთა ოჯახები გადმოასა-
ხლა და გორში საეკკლესიო და საბატონო მიწაზედ დაასახლა.
ამისთვის აქა იქ ფულიც მოუკრიბა და გადასცა მათ. დიდს
სამსახურს და ამაგს უწევდა ამ ხალხს მოძღვარი. უნდა ითქვას
რომ მრევლშიაც მეტად კარგი მოძღვარი იყო. გაჭირვებულ
მრევლთა დახმარება, ან ფულით სესხი, ხელით გამართვა
აუცილებელს საჭიროებათ მიაჩნდა. მე ვიცი, რომ მან რამ-
დენსამე გაჭირებულ მრევლს ხელი გაუმართა, ფული ასესხა
და მით გაჭირების დროს იგინი ფეხზედ დააყენა. ასეთის საქ-
მეებით საქები და მისაბაძია ეს მოძღვარი.

ერთი ჩვენი უბედურება ის არის, რომ ასეთ მოძღვრის
შეფერება ქართველებმა სულ არ ვიცით. შურით და მტრობით
ზოგიერთი პირნი წინააღმდეგ ამხედრდენ და აღარ იცოდენ

რა ექმნათ. მტრები: თუ რატომ ამადამ პირს უყო სიკეთე და
მე კი არაო! გაგონილა ასეთი უღმთოობა და უსამართლობა?..
შურმა და მტრობამ ეს მოძღვარი მოაბეზრა. იგი დასმენილ
იქმნა უსდელ და უგვან მოკამათე და მტერთ პირებისაგან.
მაგრამ იგი გულს არ იტეხდა, გორში ყოველს უწესოებას
და ურიგობას ზურგს არ უხრიდა. ბოლოს მაინც პატიოსანმა
პირმა ვეღარ შესძლო ბრძოლა, კამათი და უსამართლობა,
ყოველივეს მოშორდა და მით დააწყნარა მტერთა ბასრი კბი-
ლები.

გაბრიელ ასლანიშვილი არის მეტად ჯან გაუტეხელი
საღი მოძღვარი, მასთან ქართული მწიგნობარიც. თვალყურს
ადევნებს ქართულს მწერლობას, იწერს ჟურნალ გაზეთებს
და მასთანვე კარგი მეთვალყურეა და მწიგნობარიც. მი-
სი წერილები ადრე „ცნობის ფურცელში“ იქმნა დაბე-
ჭდილი კათოლიკების შესახებ. გარდა ამას მასვე აქვს ფრანგუ-
ლიდამ ქართულად ნათარგმნი საყმაწვილო კომედიები. ერთი
სახელდობრ „შალვა" ანუ მტკიცე პირობა მე დავბეჭდე
ცალკე წიგნად. სხვა თარგმანები დაუბეჭდავნი აქვს. იმედია,
რომ ესენიც დაიბეჭდებიან. გარდა ამის ამავე მოძღვარმა დი-
დი ყურადღება მიაქცია ქართველ კათოლიკეთა ლოცვის წი-
გნის საჭიროებას. შეკრიბა ყველა ლოცვის წიგნები და ამაე-
ბიდამ შეადგინა ერთი კარგი ახალი ქართული ლოცვის წიგნიც.
ამაზედ რამდენჯერმე ცნობებიც დაიბეჭდა ქართულ გაზეთე-
ბში. ამ ლოცვის წიგნის დაბეჭდისთვის ამ მოძღვარმა უმა-
ღლეს მთავრობასაც მიმართა და სთხოვა დაბეჭდვის უფლება.
ფიქრი არ უნდა, რომ ეს თხოვნა შეწყნარებული იქმნება,
რადგანაც ამ წიგნის საჭიროებას თვით კათოლიკეთა მრევლი
ითხოვს. საქმე მხოლოდ ის გახლავთ რომ თვითონ შემდგენე-
ლის საქართველოში არ ყოფნამ ხელი არ შეუშალოს ბეჭდვას.

აბატი ანტონ გლახოვი (გლახაშვილი). ამაგდარი მო-
ძღვარი ქუთაისის კათოლიკეთა წინაშე, შესამჩნევი კაცად
კაცი, დიდი სათნოება და თავი მრევლისა, დაუცხრომელი

მოღვაწე და მფარველი, მაშენებელი ქუთაისის ეკკლესიის და
სკოლისა, დიდათ პატივცემული მრევლის წინაშე. კათოლი-
კეებში მას ყველა სცემდა დიდ პატივს და თვით ყოვლად
სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელიც, იყო გულით,
სულით ჭეშმარატი მამა მრევლის და კარგი გულის მოძღვარი.
მან მრავლისაგან დაიმსახურა სრული პატივისცემა და სამსახური.
სწორედ მოგახსენოთ პეტრე ხარისჭირაშვილზე, ამაზედ და
ასეთ მოძღვრებზედ ითქმის შემდეგი შენიშვნა ანტონ კათო-
ლიკოზისა: – „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერა
მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან". რადგანაც ამ მოძ-
ღვარზედ ქუთაისში აღშენებულ კათოლიკეთა ეკკლესია-

შიც გვაქვს ცნობები მოყვანილი. ამიტომ აქ ეს ცნობები ვიკმაროდ. იგი გარდაიცვალა 1880 წ. ხანში შესული, მომზადებული მღვდელი თავის საქმეებში, მცოდნე ევროპიულს და აზიურის ენების, კარგი ქართული მწიგნობარი, გულ შემატკივარი ჩვენის ტომისა და სამაგალითო ადამიანი ყველა საქმეში ყოვლიდგან და ყოველთვის. ღირსია რომ ეს მოძღვარი ოდესმე ვისგანმე უფრო ვრცლად აღიწეროს. საყურადღებოა ანტონ გლახოვი მით უფრო, რადგანაც I845 წ. პატრების განდევნის შემდეგ, რომიდამ ეს მოძღვარი დანიშნეს საქართველოში, ე. ი. ქუთაისში მღვდლად. მაშინ ქუთაისის ეკკლესია ერთობ პატარა იყო. ანტონ გლახოვმა დაიწყო ეკკლესისთვის ფულის კრება და შენება, ბოლოს დაამთავრა კიდეც.

პატრი სტეფანე დემურაოვი. უეჭველია ძველად ამათი გვარი დემურაშვილი იქნებოდა. პატრი სტეფანე დაიბადა 1871 წ. 20 მაისს, ქალაქ თფილისს. მოინათლა იმავ წლის 30 მაისს. შემდეგ აღზრდის და საჭირო სწავლისა, იგი თფილისის კათოლიკეთა ეკკლესიის წინამძღვრის თავ. დიმიტრი თუმანიშვილისაგან გაგზავნილ იქმნა სარათოვს, იქაურს კათოლიკეთა სემენარიაში სასწავლებლად. სემენარიაში საღვთის მეტყველო და ფილოსოფიურ საგნებს სწავლობდა და ამავე კურსით მან სწავლა დაამმთავრა 1895 წ. და ამავ წლის

10 დეკემბერს ეკურთხა მღვდლად. მის შამდეგ მსახურებდა მოძღვრად გორის კათოლიკეთა ეკლესიაში, შემდეგ მსახურებდა ქუთაისის კათოლიკეთა ეკკლესიაში, თანაშემწედ ამავ ეკკლესიის მოძღვრის. აქვე იგი ასწავლიდა კათოლიკეთა მოწაფეთ სამღრთო სჯულს კლასიკურს გიმნაზიაში, რეალურსა და ქალების სკოლაში. 1902 წ. თიბათვის 30-დამ გადაყვანილ იქმნა სიმფეროპოლის სამს მაზრაში: პერიკიპისა, ევპატორისსა და დნეპრისა. აქ დაშთა 1804 წ. და ამავ წლის მაისის 20-დამ დაინიშნა ბაქოს კათოლიკეთა ეკკლესიის წინამძღვრად. აქვე იგი ასწავლის სამღრთო სჯულს ყველა საშუალო და დაბალ საწავლებლებშიც.

პატრ სტეფანეს სხვა და სხვა სამღრთო და საერო საგანთა გარდა შესწავლილი აქვს და სხვა ენებიც. ქართულიც რასაკვირველია როგორც სამშობლო ენა. გულსმოდგინედ მისდევს ქართულ საისტორიო წიგნების კითხვას. სხვათა შორის ამ ბოლოს დროს ქართულს ენაზედ დაუწერია „ზრდილობის კანონები", რომელიც მომავალში უეჭველია დაიბეჭდება. პატრი სტეფანეს წინაშე სამამეულო მწერლობის ასპარეზედ მარტო ამ შრომით არ შეჩერდება, სხვებსაც დასწერს, ანუ სთარგმნის სხვა და სხვა ენებიდამ. სხვაფრივ, როგორც კათოლიკეთა მოძღვართ წესია, იგიც იმავ ვალდებულებას ემორჩილება და თავის ვალს ასრულებს სინდისიერად და უზაკველად, დაუზარებლივ. იმედია, რომ სადაც კი ეს მღვდელი იმსახურებს, ყველგან დასტოვებს ბრწყინვალე ნიშნებს და მით ცხადლივ დაამტკიცებს, რომ ქართველ გვარის

კათოლიკეთა მოძღვართაც შეუძლიანთ, რომ ენერგიულად და ხალხის სამსახურის სიყვარულით განაგონ თვისი მოქმედება.

პატრი გაბრიელ გვარამაძე. შვილი გახლავსთ ჩვენის ცნობილის მოღვაწე მოძღვრის ვინმე მესხის. ქართულად ამ პატრს მზედჭაბუკი ეწოდებოდა. ახალციხის სწავლის შემდეგ იგი სარატოვის სემენარიაში იქმნა გაგზავნილი სასწავლებლად, სადაც მან 1899 წ. სწავლაც დაამთავრა და იქვე იქმნა

მღვდლად კურთხეული და შესაფერს სამრევლოში დანიშნული. იგი მსახურებს ნემენცის ტომის კათოლიკეთა წინაშე, სადაც მღვდელმოქმედებას გარეშე ქადაგება ნემენცურს ენაზედ ასრულებს, როგორც მამის შვილი ზედმიწევნით მცოდნეა საქართველოს ერის საქმეების და ქართულის მწიგნობრობის. თავის შესაფერი სწავლაც აქვს მიღებული და მასთან მახვილგონიერი მოძღვარიც გახლავსთ.

მღვდელი სერაფიმ მერაბიშვილი. მესხელი, უდელი ქართველ კათოლიკეთაგანია. იცის კარგად ქართული ენა და მწიგნობრობა. ქართველ კათოლიკეთა საქმეებს გულსმოდგინედ მისდევს, ნაკურთხია სომეხ კათოლიკეთ ტიბიკონზედ. მღვდლად არის ახალციხის მაზრის სოფელს ვალეს ეკკლესიაში. ჯერეთ ახალი მღვდელია და ამიტომ არას ვიტყვით აქ.

მღვდელი თომა იგითხანოვი. ახალციხელთ, სომეხ კათოლიკეთ ხმობილი, ხოლო გვაროვნობით და მოდგმით ქართველი. სწავლობდა ახალციხის სამოქალაქო სკოლაში. მის მერმე კარგა ხანს მსახურებდა თფილისის კათოლიკეთა სკოლის მასწავლებლად. შემდგომ ამის მღვდლად იქმნა კურთხეული და დანიშნული ბათუმის სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის მოძღვრად.

მე ვიცნობ მას, იგი არის ამ დროის მოძღვარი, კარად მცოდნე თავის ვალდებულების და მასთანვე ქართულის ენის და წერა-კითხვის. მთლად ამათ გვარის წევრნი ქართველ გვარისანი არიან, ხოლო ქართული ენა აქვსთ ზოგს ალაგას დავიწყებული, როგორც მაგალითად ახალქალაქის მაზრის სოფელს კარტიკამელთ ქართველ კათოლიკეთ დაავიწყდათ და თვით მათ მოძღვარ იაკობ იგითხანოვს, რომელიც სომეხ კათოლიკეთ ტიბიკონზედ სდგას. ამ მღვდელს მე ვიცნობ პირადად და თვით მანვე აღიარა 1901 წ. სოფ. ხიზაბავრს, რომ ჩვენ იგათხანოვები ქართველ გვარისანი ვართ, ხოლო სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონზედ მდგარიო. ეს ცნობა აქ იმიტომ

მოვიყვანეთ, რომ მით აღგვენიშნა ამ მღვდლის თომა იგითხანოვის გვაროვნული მცირე ცნობებიც.

პატრი გაბრიელ გოზალოვი. ახალციხელი, იქვე გაზრდილი, შემდგომ სხვაგან სწავლობდა. ორი წელიწადია მას შემდეგ გასული, რაც იგი პატრათ იქმნა კურთხეული სარა-

თოვს. დღეს იგი განაგებს ახალციხის სომეხ-კათოლიკეთა ზემო ეკკლესიის მრევლს, როგორც ქართველის გვარის. ქართული ენა კარგად იცის და მასთანვე ქართულ მწერლობასაც მისდევს. ერთხელ მქონდა შემთხვევა ნახვის ამ მღვდლის და უნდა მოგახსენოთ, რომ მას ცხადად შეემცნა მახვილგონიერება და ნამეტურ სწორე შეხედულობა თანამედროვე მოძრაობის და წესების შესახებ. როგორც მოძღვარი საქებია თავის ხარისხით და პატივცემული მრევლთაგან.

—

მამა მიხეილ ვარძელაშვილი. კარგი, მოხერხებული მღვდელია. შთამომავლობით ქართველ კათოლიკე, მსახურებს ხიზაბავრის ეკკლესიაში და ირიცხება ერთს წარჩინებულ ამაგდარ ენერგიულ მოძღვრად. მისი შრომით ხიზაბავრას აღშენდა ქართველ კათოლიკეთ ეკკლესია, სკოლა ქალებისა და ვაჟებისაც. ქართული სამკითხველოს გახსნაც სურდა. აქ ამაზედ მეტს არას ვიტყვით, რადგანაც ამის შესახებ სხვაგან გვიწერია. იხილეთ ამაზედ „კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში“. თფ. 1803 წ. და „საქართველოს დაკარგული სოფლები“ 1904 წ. თფ.

ბოდიშს ვიხდით აქ ყველას წინაშე, თუ სადმე რამე შეცდომები წაგვივიდა. ნამეტურ ბოდიშს ვიხდით გულახდით იმ პირთა წინაშეც, რომელნიც იქმნება ჩვენის უცნობლობის გამო ვერ ავნუსხეთ და ამ წიგნში ვერ მოვათავსეთ. იმედია ამაზედ არ დაგვემდურებიან და გამოტოვებულნი პირნი თავიანთ ვინაობას გვაცნობებენ და მის მერე ვეცდებით, რომ ყველა იგინი მეორე წიგნში მოვათავსოთ, რომელიც უკვე დაიბეჭდება. ქართველ კათოლიკე მოძღვართა და საერო პირთა მოღვაწეთა საზოგადო სამოღვაწო ცნობებს ჩვენ სულ ვერ შევკრებთ, თუ თვით მოღვაწე პირნი არ დაგვეხმარენიან და ცნობებს არ მოგვაწვდიან. ამის მოიმედენი ვართ და ჩვენი აღწერის შევსებას მათგან ვიმედოვნებთ.

მამა პეტრე მჭედლიშვილი სომეხ კათოლიკეთაგან ტერ პეტროზათ წოდებული. კარგა ხანს მსახურებდა თფილისის კათოლიკეთა მეორე ეკკლესიაში. სომეხთ კათოლიკეთა ტიბიკონზედ იდგა, მაგრამ ენით და ტომით ქართველი იყო. ამას თითონ არც მალავდა და ყოველთვის ლაპარაკობდა, რომ ჩვენ ქართველის ტომისანი ვართო. იყო კარგად მცოდნე თავის ვინაობის, მცნობი ქართულის ენისა და მეტად ახლო ნათესავი ჩვენში კარგად ცნობილთ ბათუმელ ქართველ კათოლიკ მჭედლიშვილების. აქედამ უნდა ვიცოდეთ, რომ მამა პეტრეც შესმენილი მღვდელი იქნებოდა, როგორც სხვა მჭედლიშვილებიც არიან. მამა პეტრე თფილისში გარდაიცვალა. იგი იყო აშკარად მოქართულე მოძღვარი და არავის წინაშე არაფერს არ დამალავდა თავის ვინაობას და ქართველობას. გარდაიცვალა 70 წელს გადასული, სომეხთა და ქართველთ შორის სიყვარულის მფენელი და ამისთვის მქადაგებელი.

მამა თომა ჩილინგარიან. ჩილინგარი ხომ იცით რა სიტყვაც არს, ქართული სიტყვა არს. მამა თომა ჩილინგარიანი სომეხთ კათოლიკეთ ტიბოკონზედ სდგას, კარგა ხანია რაც მღვდლობს, 65 წელს გადასული მოძღვარია. ახალციხეს და

მის თემზედ ამ მოძღვარს კარგი სამსახური და ამაგი მიუძღვის, იგი კარგა ხანს ახალციხის კათოლიკეთა სასულიერო ძმობის წევრითაც იყო. თვითონ არის კარგად მცოდნე ქართულის ენის. მტკიცედ ასრულებს თავის სამღვდელთმთავრო ვალს და მრევლის წინაშე ირიცხება ერთს სუფთა ამაგდარ უვნებელ მოძღვრად. დანარჩენ საქმეთა შესახებ ცნობა არ მაქვს და მიტომ აქ არც ვსაუბრობ ვრცლად.

პატრი ლაზარე გოზალოვი. მსახურებს ახალციხის სავარდისის ტაძარში, ირიცხება ერთს წარჩინებულს მოძღვრად. იცის კარგად სხვადასხვა ენები, ქართული ზედ მიწევნით და ქართულ მწიგნობრობასაც მისდევს. ახალ გაზრდა ენერგიით სავსე მოძღვარია და იმედია რომ მთელს თავის სიცოცხლეს

და მოქმედებას ქართულის მამულიშვილობითაც დააგვირგვინებს.

პატრი ლაზარე გოზალოვი ახალციხის საერო სასწავლებლებში სამღვთო სჯულსაც ასწავლის. არის დაუზარებელი მღვდელი და მასთანვე მრევლისაგანაც პატივცემული.

პატნი დომინიკე ნუღაშოვი, ჯავახეთის სოფ. ხიზაბავრელია. სწავლა მიიღო კონსტანტინეპოლს, მერე რომს. შემდეგ დაბრუნდა და სარათოვის ეპისკოპოსისაგან ეკურთხა მღვდლად. დღეს მსახურებს თფილისის კათოლიკეთ ეკკლესიაში. იგი ირიცხება ერთს უწარჩინებულეს პატრად. სუფთა, უანგარო მღვდელია, უეშმაკო, მრევლის გულ შემატკივარი. მღვდელმოქმედებას გარეშე იგი აქა იქ სხვადასხვა სასწავლებლებში კათოლიკეთა ბავშვებს სამღრთო სჯულსაც ასწავლის. იმედია მომავალშიც ეს მღვდელი კარგის მოქმედებით დასახელოვნდება.

ამის იმედი უნდა ვიქონიოთ, რადგანაც იგი მეტად დაუზარებელი მსახურია თავის მოვალეობის ასპარეზედ და უმწიკვლო.

—

მღვდელი სიმონ ჩილაშვილი. სომეხ ტიბოკონზედ სდგას და მსახურებს სოფ. უდის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში. სიმონ მღვდელი არის დაუცხრობელი მუშაკი მრევლისა და ერისა. უდეში იგი სანაქებოდ მოქმედებს. გულით და სულით ქართველთ მოძღვარია, ქართველი მწიგნობარი და საყოველთაოდ მტრფოელი ჭეშმარიტ გვაროვნულის ძიებისა. ამის მადლობელი ვარ, რომ საფაროვის წიგნის შინაარსი ერთხელ გამაცნო. დღეს ეს მოძღვარი უდის ეკკლესიის შენებაზედ მეცადინეობს და იღწის. რადგანაც ამ მღვდლის შესახებ უდის აღწერაში გვაქვს ნაწერი, ამიტომ აქ შემოკლებით ვსაუბრობთ.

პატრი ალოაზ ამირხანოვი ქუთათური ქართველ კათოლიკეთაგანი, ახალგაზრდა მოძღვარია. რომში გაზდილი, შესანიშნავად მომზადებული, მცოდნე სხვადასხვა ენების და

ნამეტურ ლათინურის და ფრანგულის ქართულიც კარგად იცის და რუსულიც. მღვდლად კურთხევის შემდეგ მცირე ხანს ბათუმის ეკკლესიაში მსახურებდა ვიკარნი მოძღვრად და უნდა მოგახსენოთ, რომ მან მრევლში სრული პატივისცემა დაიმსახურა, სრული ყურადღება მიიპყრო თვისკენ. სხვადასხვა შეუთანხმებელ მიზეზების გამო იგი ბათუმიდგან ქუთაის გადავიდა დღეს ადესის კათოლიკეთა ეკკლესიაში მსახურებს.

ჩინებული თვისების მოძღვარია, კარგი გამტანი მრევლის და საყვარელი ყველასი, აფსუსია მეტად, რომ ასეთი მოძღვარნი თავიანთ სამშობლოს გარეშე უცხოეთში მსახურებდენ. ბათუმიდამ წასვლის დროს, ამ კარგი მოძღრის დიდი ღირსება ბათუმელ მრევლმაც დაუმტკიცა რომელთაც დიდი სინანული განუცხადეს ბათუმიდამ სხვაგან გადასვლაზედ. ჭეშმარიტად რომ სამწუხაროა ეს, მოძღვარს სურდეს მრევლის წინაშე სათნოებით სამსახური, შრომის გაწევა და მით თავის ღირსების დაჯილდოვებაც, მაგრამ სამწუხაროდ საქმე ისე იყოს მოწყობილი, რომ მას ამის შესრულება-კი არ შაეძლოს. ეს მეტად გულ დასაწყვეტი უნდა იყოს და არა კანონიერი მდგომარეობა.

თვითონ ალოიზ ამირხანოვი ბევრს სამაგალითო ღირსებასთან მწიგნობარი პირიც არის, კითხულობს სხვადასხვა ენებზედ საჭირო წიგნებს. ქართულ კითხვასაც დიდათ მისდევს, ყოველს ჩვენს ავ-კარგიანობას თვალ-ყურს ადევნებს. ჯერეთ ახალგაზრდა მოძღვარია და იმედია, რომ მას მომავალიც კარგი, თვალთ საჩინო ექმნება.

მრავალთათვის დიდს საწყენად დაშთა ამ პატრის ბათუმიდამ სხვაგან გადასვლა.

—

პატრი დამიანე სააკოვი. სააკაშვილები ძველად სააკაძეთ იწოდებოდნენ, ძველადანვე გორში სცხოვრობდნენ და ირიცხებიან ქართველ გვარის კათოლიკედ. პატრი დამიანე სააკო-

ვი კარგი მოძღვარი უნდა იყოს. მე მისი პირადი ცნობა არ მაქვს. არც მის ცხოვრებას ვიცნობ. ვიცი მხოლოდ ის, რომ იგი ადესაში მსახურებს კათოლიკეთა ეკკლესიაში და იქ ირიცხება იტალურს ენაზედ მქადაგებელ მოძღვრად. 1903 წ. საქართველოში კათოლიკე ეპისკოპოზს თან ახლდა, თფილისში ვნახეთ და უნდა მოგახსენოთ, რომ მას კარგი ადამიანობის ნიშან-წყალი ეცხო. კარგი მოძღვარი უნდა იყოს და მასთანვე შესმენილი ქართველი მამულისშვილი მღვდელიც. ჯერეთ ახალგაზრდა მოძღვარია. ასე მოიხსენებენ ამას კათოლიკეთა სასულიერო წოდების „კალენდარში“ ДАМІАНЪ СААКОВЪ, ПРОПОВѢДНИК ИТАЛЯНСКОЙ НАЦІИ“ და სხვანი.

—

პატრი ლევან აფრიამაშვილი. პატრი ლევანი შთამომავ-

ლობით მესხი უნდა იყოს, სტამბოლს გაზდილი. მერე მონთო-
ბანს და შემდეგ რომშიაც ყოფილი და მღვდლად კურთხეული.
ერთ დროს ეს თფილისის კათოლიკე ეკლესიაშიც მსახურე-
ბდა და იმ დროს იგი ირიცხებოდა ერთს უკეთეს შესმენილ
მოძღვრად. მარტივად მცოდნეა ქართველის ერის ცხოვრების,
მოყვარე საქართველოს წარსულის დროის და ნამეტურ ქარ-
თველთა საჭირო მდგომარეობის. ეს მოძღვარი აღტაცებული
იყო ერთ დროს „ამირან-დარეჯანიანის" გამოცემით და კი-
თხვით, ვინაიდგან იგი მასში ჰხედავდა ქართველი ერის დიდს
საგმირო წარსულს და ქვეყნისა და ქრისტიანობისთვის დიდს
თავგანწირულს ბრძოლას. პატრი ლევანი ყვლგან პატივცე-
მულ მოძღვრად ყოფილა, თავის ვალი სამაგალითოდ უსრულებია
და როგორც ერთი და ორი ემსახურება თავის ქვეყნას და
მის ინტერესებს, ესეც ისევე გახლავსთ და მასვე ემორჩი-
ლება. ერთი მწუხარება ჩვენი ის არის, რომ ქართველთ გვა-
რის კათოლიკეთა პატრებს საქართველოში არ სტოვებენ და
უცხო ქვეყნებში რეკავენ. თფილისში ქართველ გვარის პა-
ტრებთაგანი 1, ხან 2 მოძღვარი არის. დანარჩენი სულ უცხო-

ელები და პოლონელები არიან. დღეს ლევანიც სხვაგან
მსახურებს. კათოლიკეთა კალენდარში ეს მოიხსენება ასე:
„Леонъ априамовъ, проповѣдникъ французской націи“.

—

პატრ ანსელმო მღებრიშვილი. პატრი ან. მღებრიშვი-
ლი ქართველებში ცნობილი მოძღვარია, კათოლიკები მას
კარგად იცნობენ და დაუცხრომელის მოღვაწეობისთვის საკ-
მარს პატივსაც აგებენ. პატრი ანსელმო მღებრიშვილი ადგილ-
მდებარეობით მესხელია, ანუ ახალციხელი, ჯერეთ იქ აღზრ-
დილი, მერე კონსტანტინოპოლს ყოფილი, რომში გაწვრთვნილი
და სამღვდელ მოქმედო საქმეებში კარგად დაბრძნილი და
განვითარებული. პატრი ანსელმო მღებრიშვილი თავის თანა-
მედროვე მღვდლებში ჩაითვლება გამოჩენილ პირად. სადაც
ერთი და ორი გამოჩნდება ქართველ კათოლიკეთ წარჩინე-
ბულ მოძღვრათ, იქ არც ანსელმო მღებრიშვილი გამორჩება,
იგიც დაიჭერს შესაფერს საპატიო ადგილს, თავის ჯილდო
ყოველთვის ხელშეუხებლად დაუშთება.

პატრი ანსელმო პატივცემულია რამდენათაც ქართველ
კათოლიკებში, ისევე პოლონელებში, ქართველებში და სომ-
ხებშიც. მას ყველგან იცნობენ როგორც კარგს, პატიოსანს
გულ შემატკივარს მოძღვარს. თავის კვალად იგი არის მომ-
ზადებული მღვდელი ყველა საჭირო საქმეებსა და კითხვებში,
მოქალაქობა და ეკლესიის სიყვარული ერთად აქვს დაკავში-
რებულ აღმოძინებული. იგი რამდენადაც ეკკლესიის მსახურია,
იმდენადვე თავის ქვეყნის მოტრფიალე და პატივის მცემელიც
არის. მისი ნათქვამი სიტყვებითა: – მე უაღრესად მწამს მღვთის
მშობელი და საქართველოვო“. ეს ორი საგანი შეადგენს ჩემს
ქვა კუთხედ ძალასო. იგი ამ ორ საგანს ემსახურება დიდათ,

ეს ორი მცნება აქვს საქმეთ და საგნათ გამხდარი.

მრევლში იგი ითვლება წმინდა კათოლიკეთ, კათოლიკის სარწმუნოების დიდს გულშემატკივრად, ამ სარწმუნოების ზომიერ მოსარჩლედ. კათოლიკობის ისტორია მან კარ-

გად იცის. სადაც კი უმსახურნია და უმღვდლია, ყველგან დაუმჩნევია თვისი ნავალი, ყველგან დაუტოვებია რამე საკეთილო სახსოვარი საქმენი. მრევლის წინაშე ფრთხილი მოძღვარია და ამათ ავ-კარგიანობის დიდი პატივისმცემელიც. არის ქომაგი მათი, მოსარჩლე და მასთან მეპურ-მარილეც. ბევრს სასიკეთო მხარეებთან არის მწიგნობარიც, შეძლების დაგვარად მწერლობასაც ადევნებს თვალს. მისგან ითარგმნა ლათინურის ენიდამ ქართულს ენაზედ „მიბაძვა ქრისტესი“ თომა კემფელისა. ეს წიგნი საინტერესოა მითაც, რომ იგი დაიბეჭდა ქ. გორს პირველად. გორში, მართალია, სტამბა არის, მაგრამ აქ ქართული წიგნი არავის დაუბეჭდია, ეს პირველი მაგალითი იყო. წიგნის შინაარსის შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, იგი ცნობილია თავის შინაარსით მრავალთ წინაშე.

ანსელმოს შრომა საყურადღებოა კიდევ მით, რომ ბათუმში ქართველ კათოლიკეთათვის გააკეთა კარგი საყდარი. საყდრის გასაკეთებელი ფული თუმცა ცნობილის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილისა იყოს, მაგრამ საქმის თავს დება, შრომა, წინ გაძღოლა და ამოდოლი შენობის დამთავრების ღწვა და ამაგი კი პირდაპირ ანსელმოს ეკუთვნის. ამის შრომა ამ საქმეში მისაბაძია და სამაგალითო, მერე ისიც ჩვენში, სადაც ცილი, შური და მტრობა ისე უხვია, ისე დიდი, რომ ვგონებ აქ კაცმა დიდი რამ შთენის გაკეთება კი არა და პატარისაც ვერ მოახერხოს. ვიტყვით რომ სამაგალითო შთენია ეს ტაძარი და მასზედ დახარჯული შრომაც ნათლად სჩანს. თვით მღვდელი ანსელმო 60 წლებში მიღწეული გახლავსთ. თუ რამ გააჩნია, ყველა იგი ეკკლესიის მსხვერპლად აქვს დანიშნული.

თუმცა ანსელმო მღებრიშვილს პატივს ვსცემთ, მაგრამ იმასაც არ დაუმალავთ, რომ მან სტეფანე კონსტანტინესძე ხუბალაშვილისაგან ბოძებული წყალობა ვერ მოიხმარა კანონიერის კეთილის გზით. ს. კ. ზუბალაშვილს მან გამოირთვა 240 ათასი მანათი. ამ ფულით მას შეეძლო არა მარტო ბა-

თუმში ერთი საყდრის გაკეთება, არამედ რამდენიმე საჭირო საქმის შესრულებაც მოხერხდებოდა: პირველი ბათუმში ისე დიდი რიცხვი არ არის ქართველ-კათოლიკობის, რომ იქ ამათთვის ასეთი ვრცელი საყდარი გაკეთებულიყოს. მათი რიცხვი სულ რამდენიმე ასი კაცისაგან შესდგება და ამ საყდარს კი ათასობით უნდა. მეორე თვით ეკკლესიასაც არავითარი ნიშან წყალი არა ცხია ქართულის. არსად არა ფერი ნაწერე-

ბი აქვს, არსად თუნდ მის ცნობაც, თუ იგი ვისგან არის აღშენებული. ამ საყდარს დღესა თუ ხვალ პოლონელები დაიჭერენ, რადგანაც უპირატესობა მათ ეკუთვნისთ და ყოველივე მათს საკუთრებას შეადგეს. მთელს საქართველოში და ნამეტურ მესხელ-ჯავახელ ქართველ კათოლიკებში სიღარიბის წყალობით სწორედ ცოდვის ლული იღვრება, ბევრს სოფელს არა აქვს სკოლა, არა აქვს საყდარი, სოროებში ლოცულობენ, შენებას იწყებენ და სოფლის საწყალ სალხს აშენების გამო პირში სულს ხუთვენ, ტყავს აძრობენ. იქ ასეთი საცოდავობა არის და ბათუმში-კი ანსელმო მღებრიშვილმა ასეთი საყდარი წამოჭიმა. ნეტა ვისთვის და რისთვის და ისიც უნდა ითქვას, რომ თვით საყდრის შენობაც მდარია, ტლანქი, ცემენტით გაკეთებულია, რასაც ბათუმის მწვავის წვიმებისაგან ყოველთვის ხიფათი ელის და დიდი მოვლა-შეკეთება სჭირდება წელიწადში 3000-4000 მ. ფული დასჭირდება და პ. ანსელმომ ვის უნდა ართვას ეს ფული, უწყის ამისი ღმერთმან. ვიტყვით, რომ ბათუმში ანსელმოსაგან ასეთი შეცდომის დაშავება არას დროს არ ეპატიება და ვგონებთ მესხელ-ჯავახელთ ქართველ კათოლიკეთა სიღარიბის ცნობებმა თვით საფლავშიაც-კი არ მოასვენოს. ჩვენ ამის მეტს არას ვიტყვით და გონიერ მკითველისათვის მიგვინდვია მის განსჯა.

პატრი ვასილი მუთაფოვი. პატრი ვასილის გვარი ძველად მუთაქაძე ყოფილა. ზოგნი ამ გვარის წევრნი აზნაურებიც ყოფილან, ზოგთ იმერეთში უცხოვრიათ და ზოგს სამცხე-საათაბაგოს. პატრი ვასილი 60 წლებში მიღწეულია, კარ-

გი მოძღვარია თავის მრევლის, ერთ დროს თფილისშიაც მსასურებდა, რამდენიმეხნის შემდეგ რუსეთში იქმნა გადაყვანილი. დიდი მოყვარეა ქართულის მწერლობის და ჟურნალ-გაზეთების, აქვს ქართულს ენაზედ მრავალი წიგნები. თვალი და გულით ეს მღვდელი მოყვარეა თავის სამშობლო ქვეყნის და ერის, დიდი მოყვარეა ქართული ენის, ქართულის პურმარილის და ზნე-ჩვეულების. როგორც მღვდელი ხელგაშლილია, უშურველი და სამაგალითო მოწყალე თვისი მრევლის წინაშე თავის შეძლების და გვარად. ამ პატრს დიდათ ეთანაღრება გული მასზედ, რომ თავის სამშობლოს გარეშე მსახურებს. იმედოვნებს იგი, რომ სამსახურის დროს გათავების შემდეგ მაინც დავბრუნდები ჩემს სამშობლოში და მაშინ მაინც ვიცხოვრობ აქა და მოვიკლავ ჩემი ქვეყნის და ერის სიყვარულსაო. ასეთი პატივცემული და სამაგალითო მღვდელი გახლავსთ პატრი ვასილი მუთაფოვი. დღეს იგი რუსეთში მსახურებს. რადგანაც ამ მოძღვარს თვით აქვს თავის ვრცელი ავტობიოგრაფია დაწერილი, ამიტომ ჩვენც ეს ვიკმარედ აქ, მოკლედ.

მოძღვარი დიონოსე კალატოზიშვილი. ოზურგეთელი, გურული, კათოლიკე სარწმუნოების ქართველი. ესენი მესხები არიან, ახალციხიდან გურიას – ოზურგეთს გადასახლებულნი.

გაიზარდა ვენეციის მხითარისტებში, სწავლაც იქ მიღო მათში. იცის კარგად სხვა და სხვა ენები და მასთან თავის დედა ენა ქართული ენაც. ზედ მიწევნით შესწავლილი აქვს სომხური ძველი და ახალი ენები და მწიგნობრობა და მის ისტორია. ნამოწაფარია სომეხთა გამოჩენილის გეოგრაფის ალიშანის.

ქართული წერაც კარგათ იცის და ქართული წიგნების კითხვასაც მისდევს. იცის შეძლების და გვარად ძველი და ახალი ქართული მწერლობის ცნობები და ისტორიაც. სუფთა თვისების მოძღვარია და მასთან სამაგალითოც. ადრე ზოგი ერთებმა ამ მოძღვარს ქართველთ სავნოდ მოქმედების ბრალი დასწამეს და ამით მეც დამარწმუნეს. სამწუხაროდ

მის შესახებ აქა იქ დაბეჭდილიც იქმნა ზოგი რამ ცნობები. ბოლოსკი ყოველივე მოჭორებული აღმოჩნდა. ამისგამო მეც სინანულში შეველ და რამდენჯერმე ქართულ გაზეთებში მისი უვნებლობაც ავნიშნე და ჩემი ბოდიშიც. იგი არას დროს არც ყოფილა მტერი ქართველთა და არც შეიძლება იქმნეს როდისმე. ეს ღირსება მან საქმითაც დაგვიმტკიცა.

ყოველივე ჩვენში ჭორებით ხდება და მტრობით ფუჭდება. დიონოსე კალატოზიშვილი დღეს ახალციხის კათოლიკეთა სასულიერო გამგეობის წევრათ ირიცხება და იქვე მსახურებს კიდეც ივანე ნათლის მცემლის ეკკლესიაში. მოქმედება მისი საყოველთავოდ სუფთა იქმნება მამულის შვილური და სამაგალითო. ჯერეთ ახალგაზრდა მოძღვარია იგი და იმედია რომ შემდეგში თავის სამშობლო ქვეყნის და ერის სასარგებლოდ ბევრს რამე სამახსოვრო საქმებს გააკეთებს. მხითარისტებში იგი პატივცემულია როგორც განათლებული მღვდელი. სომხურად სწერს კიდევაც.

ამაზასპ საფარიანი. მხითარისტი, ძველის ძველი გვარია ქართული. საფარის მონასტერი ხომ მოგეხსენებათ და მასთან გაბრიელ კათოლიკოზ-საფარელი. აჭარაში სამი სოფელია საფარასშვილები-საფარივების. იგინი ძველთაგან ქართველ ისრაელთა ნათესავებს ეკუთვნიან. ვინცკი საფაროვები არიან კათოლიკენი ან სომეხნი, ყველა იგინი ქართველობიდგან არიან გასულნი. ამათი შთამომავალია ამაზასპ საფარიანი. იგი აღიზარდა ვენეციის მხითარისტებში. დღეს მოძღვრად არის ყირიმისაკენ. იცის კარგად სომხური ძველი და ახალი ენა და მწიგნობრობა, სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ სდგას..

ამან სომხურს ენაზედ ვენეციაში 1884 დაბეჭდა სახელმძღვანელოდ ერთი წიგნი „მინერალოგია“ სადაც სწერს ერთ ალაგას შემდეგს: – „რუსეთის სომხეთის ნაწილს აპასტუმანს და ასპინძას გოგირდის თფილი წყლები გამოდის“. ეს რასაკვირველია მისგან დიდი შეცდომა არის. სხვა და სხვა ენების გარდა იცის თავის დედა ენა ქართულიც. სხვა რამ ცნობე-

ბი მის ცხოვრებისშესახებ ჩვენ არა გვაქვს. ცოტად ქართ-
ველებს ზურგს უქცევს და სამშობლო ქვეყანას და ენას გულ-
გრძნობს. თავის შთამომავლობას უარს ჰყოფს. სომხობს.

პატრი შიმანოვსკი. უცხო ტომის კარგი მოძღვარი, მა-
გრამ გულით და სულით ქართველი. ეს მოძღვარი ერთს
დროს სტავრაპოლს მსახურებდა და იქიდამ მრავლად ქართ-
ული წიგნებიც გაიწერა. იცის კარგად ქართული ენა, წერა-
კითხვა და მწიგნობრობასაც მისდევს. ერთ დროს მეც მაქვ-
ნდა მასთან მიწერ-მოწერა. სამაგალითო მოძღვარია და კაცად
კაცი თავის ქვეყნის და ერისა. სხვაფრივაც დიდით ქებულია
ეს მოძღვარი.

ონაფრიოს ოჰანჯანოვი. თავის დროს გამოჩენილი მღვდე-
ლი ქართველ გვარისა. მისიონერი 1807 წლამდე, იყო მწი-
გნობარი.

პეტრე მღვდელი ყორღანაშვილი. ახალციხელი კათოლი-
კე, სცხოვრებდა XVIII საუკ. იყო აღმწერი და გადამწერი
ქართულ წიგნების. სამწუხაროდ მის ნაწერ და გადაწერილე-
ბმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. ივლიტიდგან პაპას წერი-
ლებსაც სწერდა.

ფრანციკე შარიანი პატრი ქართველის გვარისა XVIII
საუკუნის.

პატრი გიორგი. სცხოვრობდა XVIII საუკ. ნახევარს.
იყო მწიგნობარი, იცოდა მკურნალობაც. აღმწერი ქართულ
წიგნებისა და შემდგენი საექიმო სახელმძღვანელოებისა. იყო
მასწავლებლათაც თავის დროს თფილისის სკოლებში ლათი-
ნურის ენისა.

ტერ ივანე ერემიანი. ტფილისელი, ქართველის გვარისა,
მიტომ ვნუსხავთ აქ ამ მოძღვარს.

მღვდელი იოსებ დათიაშვილი ხიზაბავრელი დაიბადა
1835 წ † 1877 წ. ძველად ამათ გალეგაშვილებსაც უწოდებდენ.
სწავლა მიიღო სტამბოლს. იცოდა ენები ევროპიული და
აზიური. ნაკურთხი იყო ქართულ ტიბიკონზედ. მერე იმყო-

ფებოდა ფერიკოვში. მოგზაურობდა ბორდოს, ისპანიას, იტა-
ლიას და ფრანციას. ყველგან უცხოთა ეკლესიებში ქართუ-
ლის ტიბიკონით სწირავდა. დიდი მეტრფე იყო ქართულის
ენის, საქართველოსი და ქართული მწიგნობრობის. ეს ით-
ვლებოდა პეტრე ხარისჭირაშვილის ხელ ქვეითად. თავის
დროს იყო მხურვალედ მფენელი ქართული ენის ქართველ
კათოლიკებში და გამავრცელებელი. ამისი ჩუმი თუ ხმიანი
ქართული წირვა ქებული ყოფილა სტამბოლს. გარდაიცვალა
ქართველთ კათოლიკეთა წინაშე ქართულის ენის სამსახურის
ამაგით დაჯილდოებული და ამაგდარი.

მამა ტერ გრიქორ ფუჩინიანი. ქართველთ შთამომავალი,
ფუჩეჩაშვილი-ფუჩეჩათი. ართვინში ძველადგანვე გადასულან ამ-
ათი მშობლები ახალციხიდამ და ამიტომ მათ ქართული ენა დავი-
წყებიათ. თვითონ მოძღვარი ფუჩინიანი საუკეთესო წარმომად-

გენელია პატივცემული მრევლთაგან და მრავალნაირის ღირსებით დაჯილდოებული. იცის ქართული ენაც და დიდის პატიოსნებით არის აღვსილი. პაპისაგან ბოძებული აქვს კარგი ძვირფასი ბეჭედი სომხის კათოლიკეთა საქმეების და ისტორიის ზედ მიწევნით მცოდნეა. გვაროვნობის გარჩევის მხრით ქართველთა და სომეხთა დიდი მოყვარეა. დროს მიხწეული გახლავთ. ბათუმის სომეხ-კათოლიკე უფროს მოძღვარად ითვლება.

ეპისკოპოსი იოანე ზაქარიანი-ართვინისა. 1879 წ. ოსმალეთის საქართველო რუსეთს დაუკავშირდა. ართვინიც რუსებს ჩაბარდათ. აქ ქართველ კათოლიკენი ძველადვე გამრავლდენ. ადრე ყველა ქართულად ლაპარაკობდა, მერე სომეხ კათოლიკეთა გავლენის წყალობით ქართველთ ქართული ენა დაავიწყდათ. ამათაც ისევ დაკარგეს ქართული ენა, როგორც ქართველ მაჰმადიანებმა.

ზაქარიანები მთლად ქართველ გვარის არიან!. აჭარა-მაჭახლში რამდენიმე სოფელში სცხოვრობენ და მაჭახლის პირს ბეგებიც არიან ზაქარიაძეები. ოსმალთა მონობის დროს ზო-

გნი კათოლიკობას დაუკავშირდენ, ზოგნი სომხობას და უმეტესიც გათათრდა. ვინც არ გათათრდენ, ისინი იმერეთში გადმოსახლდნენ, იმერთ მეფეს შეაფარეს თავი და დღესაც სცხოვრებენ იქ ზაქარიაძეები.

ასეთ შთამომავალთ ქართველებს ეკუთვნის ეპისკოპოსი ზაქარიანი. იგი ენათესავებოდა ბათუმელ მჭედლიშვილებსაც. იყო გამოჩენილი მღვდელ მათავარი, მხითარისტებში გაზდილი, განათლებული მათ გავლენის ქვეშ და დიდათ პატივცემული ქადაგებით და საერო საქმეების კეთებით. თფილისში ყოფნის დროს, მან კათოლიკეთა ეკკლესიაში სწირა სომხურად და სიტყვაც წარმოსთქვა. სიტყვაში ილაპარაკა საქართველოს შესახებ, დასავლეთ ქართველთა გათათრების და გაფრანგების. ქადაგება ასე დააბოლავა: „დიას, ჩვენ, ართვინელი სომეხ კათოლიკენი გვაროვნობით ქართველნი გახლავართ, ხოლო სომეხ კათოოლიკეთ ტიბიკონზედ მდგარნი, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართველთ შთამომავალნი ვართ და ჩვენს მჭიდრო მონათესავეთ ქართველები ითვლებიან“. მღვდელ მთავარმა დასძინა: „სომეხთ“ და ქართველთ ყოველთვის ერთად გვიცხოვრია და ერთმანეთის სიყვარული გვქონია და გვენატრება რომ ეს სიყვარული კვალადაც ექმნეს ამ მონათესავე ტომთ მკვიდრად დაცულიო“. სამწუხაროდ ეპისკოპოზმა დიდხანს ვერ იცოცხლა. თფილისიდამ ართვინში დაბრუნების შემდეგ გზაში მგზავრობის დროს გაცივდა და ლივანაში გარდაიცვალა.

ამ მღვდელ მთავარს დიდი ცოდნა აქვნდა საქართველოს ისტორიულის ცნობებისა. სამწუხაროდ მას დიდს ხანს არ დასცალდა, რაღაც საკვირველებით გზაში გზაში გარდაიცვალა. დასაფლავებულია ართვინის კათოლიკეთა ეკკლესიაში, რომლის საფლავსაც არავითარი ნაშთი არ აქვს. ჩვენ აქ ამ ერთ პირს ვნუსხავთ და ვინ იცის სომეხთ კათოლიკეთა შორის რამდენი სხვა ამისთანა ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მქადაგებელნი

ბერნი იქმნებოდნენ ძველად და შემდეგ დროსაც.

კარდინალი ოვანე ლეონიძე. კარდინალი ლეონიძე შავშელი უნდა იყოს, ვგონებ იმერხეველი, რადგანაც იმერხევში ლეონიძეების რამდენიმე ოჯახი სცხოვრებს. სად როგორ და რა დროს წავიდა ეს ივანე ლეონიძე და როგორ მიიღო სწავლა და კარდინალობა, ამაზედ ცნობები არ გვაქვს. მხოლოდ ის კი არს უწყებული, რომ ძველად რომში ყოფილა ერთი კარდინალი იოანე ლეონიძე ქართველის გვარისა.

ქართველ კათოლიკეთა მოლოზნები.

ნატალია პეტრეს ძე გიორგაძე (იგივ სექანოვი). თუმცა ქართველ კათოლიკობა საქართველოში არ შეადგენს დიდს რიცხვს, მაგრამ მათ შორის როგორც მოიპოვებიან მამრობითი სქესის ბერები, ანუ პატრები, რომელნიც უცოლონი არიან ჩვენებურის ბერებივით, ისევე ქართველ კათოლიკობაში არიან მდედრობითი სქესის მოლოზნებიც. თუმცა ქართველ კათოლიკეთა მოლოზნებთა რიცხვი სულ მცირეა, მაგრამ ჩვენ აქ მას მაინც მოვიხსენებთ და მასთან გავაცნობთ ისეთ სათნო და პატივ საცემ ხელოვან და მუშაკთ მოლოზონთა ცხოვრებას და ვინაობას, რომელთაც კათოლიკეთ სამოლოზნო ასპარეზი გაუხდიათ საგნათ და მის გამო ამიერ სოფლის სიამოვნებას გამოთხოვებიან და თავიანთ ღწვითა და შრომით ერის მსახურად და მღწველად გარდაქცეულან. ამათგანი არს რამდენიმე, მაგრამ ჩვენ აქ მოვიხსენებთ მარტოდ მათს ცნობებს, ვისიც კი რამ ხელში გვაქვს. ერთი ასეთგანია ნატალია პეტრეს ასული გიორგაძე – იგივ სექანოვი.

ნატალია პეტრეს ასული (მოლოზანი) გიორგაძე სექანოვისა, 40 წლებში მიღწეული გახლავსთ. პირველ დაწყებით იგი სწავლობდა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა სამრევლო საქალებო სკოლაში. იქაურ სწავლის მიღების შემდეგ იგი წაყვანილ იქმნა კონსტანტინეპოლს და მიბარებულ ქართველ კათოლიკეთათვის ახლად დაარსებულ დედათა მონასტერში.

აქვე იქმნა აღკვეცილ და სახელად უწოდეს ანნა. კონსტანტინეპოლს ანნამ დაჰყო რამდენსამე წელს. იქ იგი იზრდებოდა და იწვრთნებოდა გამოჩენილის აქრიმანდრიტის პეტრე ხარისქორაშვილის გავლენის ქვეშ. სტამბოლის სწავლის შემდეგ იგი გაგზავნილ იქმნა ფრანციას, ქ. მოასაკს, სადაც არსებობს დედათა შესანიშნავი მონასტერი. იქ შესანიშნავად ასწავლიან ჭრა-კერვას და ქარგვას. ამ მონასტერში ანნამ დაჰყო 8 წელი და ამ დროის განმავლობაში იგი დახელოვნდა ყოველნაირის სწავლით, ენების ცოდნით, ჭრა-კერვით, ქარგვით და სამოლოზნოს ღირსებით.

საფრანგეთიდან იგი დაბრუნდა კვალად კონსტანტინეპოლს. იქ დროებით სცხოვრებდა დარდანელს. იქ ყოფნის დროს ანნა გიორგაძისამ დიდი ნიჭი გამოიჩინა ჭრა-კერვა ქარგვაში, ნამეტურ ქსოვაში. სტამბოლიდამ საქართველოში დაბრუნდა. მოსვლის დღიდანვე მან დაიწყო ხელსაქმით შრომა და მოქმედება. პატარა და დიდს ქალებსაც კი აქა იქ სამაგალითოდ ასწავლიდა ჭრა-კერვა ქარგვა-ქსოვას. ამ ქალის ქსოვას დიდი ნიჭიერების ნიშან წყალი სცხია. მან მოქსოვა შესანიშნავის ხელოვნებით საქართველოს მეფეთა გერბი, რუკა და სხვა ამ გვარები, რომელნიც გაგზავნილ იქმნა პარიჟის გამოფენაზედ, რაის გამო მას ნიშნად კარგის ხელოვანის ნიჭიერების ოქროს მედალიც მოუვიდა, რასაკვირველი თავის შესაფერის პატივისცემით. საქართველოდამ ეს ქალი ერთ დროს მოსკოვშიაც წავიდა, იქაც დაჰყო რამდენსამე ხანსა და შეისწავლა და გაიცნო რუსეთის საუკეთესო სამკერვალო და საქარგავ ქალთა სკოლების საქმეც. თვისის გამოცდილების და ხელსაქმის და ჭრა-კერვის ქარგვის კარგად ცოდნის გამო სამადლობელი ნიშანიც მიიღო, ე. ი. ატესტატი. რუსეთიდამ საქართველოში დაბრუნდა და დღეს ეს ქალი სცხოვრობს საქართველოში და თავის თითებით და ნიჭით პატარა ქართველ კათოლიკეთა ქალებში ჰფენს ჭრა, კერვა და ქარგვის სინათლეს, მის კარგად

ცოდნას. თვითონ ეს ქალი არის სამაგალითო სათნოს თვისების, კარგის ხასიათის და ნამდვილი სახე მისაბაძის ცხოვრების. თავის შეძლებისდაგვარად სამღრთო მწიგნობარიც არის და მცოდნე აწინდელის დედათა მდგომარეობის და მათ ცხოვრების ავ-კარგიანობის. ამ ქალისავე თანამედროვეთ და თანამედათ ირიცხებიან აგათა და ფილომინე გოზალოვებისა.

აგათა გოზალოვისა მესხელია, სოფ. არლელი, ქართველ კათოლიკე. პატარაობის დროს, როგორც ნატალია გიორგაძისა, ეს ქალიც კონსტანტინეპოლს იქმნა წაყვანილი და იქ მოლოზნად შემოსილი. ამ ქალმაც ჯერეთ სტამბოლს შეისწავლა სხვა და სხვა ენები და ხელ საქმე და მის მერე ფრანციას იქმნა გაგზავნილი, სადაც დაჰყო რამდენსამე ხანს და იქ უფრო უკეთესად შეისწავლა როგორც ენები, ისე ჭრა-კერვა და ქარგვა. ამ ქალსაც აქვს პარიჟის გამოფენიდამ ხელსაქმიანობის კარგად ცოდნის მოწმობა. ამ ქალსაც დიდი შნო და ოსტატობა აქვს შეძენილი თავის ვალდებულების, ანუ ხელოსნობის ასპარეზედ. ბევრს საყურადღებო ძვირფას განძეულობას ეს ქალი და ნატალია გიორგაძის და ფილომინე გოზალოვისა ერთად ქსოვდენ. საქართველოს მეფეთა გერბზედ ამათ ერთად უმუშაკნიათ, რამაც დიდი ყურადღება მიიპყრო თვისკენ. აგათა გოზალოვისა თფილისში სცხოვრებს, ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მახლობლივ და ამავ ეკკლესიის ქალების სამრევლო სკოლაში ბავშვებს ხელ საქმეს ასწავლის. თვითონ აგათა გოზალოვისა არის მღვთის მოსავი

მოლოზანი, თავ-მდაბალი და ცხოვრების სამაგალითო თვისებით დაგვირგვინებული.

ფილომინე გოზალოვისა და არის აგათასი, ესეც კონსტანტინეპოლს წაყვანილი და მოლოზნად იქ შემოსილი, ამ ორი ქალის მსგავსად მომზადებული, მათივე თანამედროვე და სამაგალითო ქალია. სცხოვრებს თფილისის კათოლიკეთა ეკკლესიის მახლობლად და ეს ქალიც ხელ საქმეს ასწავლის მოწაფეებს. რადგანაც ეს ქალიც ბევრი არაფრით განსხვავ-

დება ზემოხსენებულ მოლოზნებისაგან, ამიტომ აქ ამაზედ ამით ვათავებთ და ვიტყვით იმას კი, რომ ეს ქალიც სამაგალითო ადამიანია თავის ასპარეზედ. ეს დანი თავიანთის ცხოვრებით და მოქმედებით კარგად აღბეჭევენ თავის ნავალს. ამათგან ბევრი ქართველი ქალი შეისწავლის სამაგალითო თვისებას და ხელ საქმიანობას.

მე ეს სამი ცნობა მოვიყვანე, ანუ სამი პირი ავნუსხე ქართველ კათოლიკეთა მოლოზანთა ცხოვრებიდამ. ამ ქალთა გარდა სხვა მოლოზნებიც სცხოვრებენ თურმე კონსტანტინეპოლს და ფრანციას, რომელნიც აგრეთვე სამაგალითონი არიან თურმე. მე მათის ვინაობის არა ვიცი რა და მიტომ ვსდუმდები აქ. შენიშვნად ვიტყვი შემდეგს: ჩემს აღწერაში შეიძლება ბევრი რამ ცნობები გამომრჩა, ბევრი იქმნება საკმარისად საყურადღებო პირებიც ვერ ავნუსხეთ, ესეც შეიძლება, მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენგან უამ ნაკლოდ არა გაკეთდება-რა, ჩვენს დროს ეს შეუძლებელი გახლავსთ. ამიტომ ვთხოვ ყველას, რომ ამ საქმეში დახმარება აღმოგვიჩინონ და ქართველ კათოლიკეთა შორის თუ სადმე ვინმე საყურადღებო მოღვაწე პირი მოიპოვება, ან ძველად ყოფილან სადმე და ჩვენ კი მათი ცნობები არ გვაქვს ანუსხული, მათი ცხოვრების ცნობები გვაცნობონ. ამ ცნობებს ჩვენ მოვათავსებთ მეორე წიგნში, სადაც ანუსხული იქმნება ქართველთ კათოლიკეთა საერო მოღვაწე პირები.

ამ ბოლო დროს ხიზაბავრის საქალებო სკოლაშიაც მოსულა ორი მოლოზანი კონსტანტინეპოლიდამ, ზემოხსენებულ დედათა მსგავსად გამცნებულნი და ოსტატნი ხელსაქმიანობით, რომელთაც იქ უნდა ასწავლონ ჯავახელ ქართველ კათოლიკეთა ქალებს სელ-საქმიანობა, ჭრა და კერვა, რასაც რაღა ფიქრი უნდა რომ დიდი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს ჩვენი ტომის ხელსაქმიანობის განვითარების ასპარეზედ. მესხეთსა და ჯავახეთში ძველადგან უყურადღებოთ დაშთენილ ქართველ ქალებში ეს მცოდნენი დიდს სარგებლობას მოი-

ტანენ და კარგის სინათლით აღბეჭდვენ თვის ნავალს. ამათი ამაგი ქართველ კათოლიკეთა ქალების წყალობით მესხეთის და ჯავახეთის მართლმადიდებელ ქართველთ სოფლის ქალებ-

ზედაც მოეფინება. ახალციხის და ახალქალაქის მაზრის ქართველი ქალები ტანიდამ მალე მოიცილებენ თათრულს წითელ ტანთ-საცმელს, ფართუკებს და ასეთს არა ქართულ წეს ჩვეულების სამოსის ნაჭრებს, რასაც მძლავრად ამჩნევია ჩვენ მტერთა ოსმალთა განვლილ დროთა დიდი ძრიელი გავლენის ბრჭყალები.

ქართველთ კათოლიკეთა ეპისკოპოსნი საქართველოში.

საკამათო სჯა ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ მგონი რომ მალე გაირკვევა და ჭეშმარიტი ცნობები ხალხში უტყუვრად მოიფინება. რაც დრო გადის, ჩვენ მის დასამტკიცებლად ძალიან ბევრს მასალებს ვპოულობთ. აი, ეხლაც აღმოჩნდა გორში ერთი ძველი ქართული ხელთნაწერი, რომელიც ჰმოწმობს, რომ 1723 წ. ქ. გორში ქართველ კათოლიკებს შეუდგენიათ ძმობა, რომელსაც სახელად „სავარდისი" სწოდებია. ცნობა ჰმოწმობს, რომ გორის ქართველ კათოლიკეებმა ეს ძმობა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ძმობის მიბაძვით შევადგინეთო, რომელი ძმობაც ტფილისში 1703 წ. იქმნა დაფუძნებულიო.

წიგნის ბოლოს ჩამოთვლილნი არიან ისინი, ვინც ძმობის წევრებათ ირიცხებოდნენ და ან როდის გარდაიცვალნენ. დაწვრილებით არის მოხსენებული გარდაცვალების წელი და მიცვალებულთა გვარი და სახელები, გვარები სულ ქართულებია. დღეს ამ გვარების წევრთა შთამომავალ კათოლიკეთაგანი ბევრი აღარავინ სცხოვრობს გორში. უმეტესი ნაწილი 117ნ4 მეფის თეიმურაზის ბრძანებით დევნილ იქმნენ, მიტომ იგინი გრიგორიანობას შეუერთდნენ ჯიბრით. დღევან-

დელს გორის სომხობაში დიდ-ძალი ქართველის გვარის კათოლიკობაა მოყოლებული.

მეორე ხელთ ნაწერი არის დაშთენილი ლათინურს ენაზედ ნაწერი. შიგ მოხსენებულია დაბადებულთა და გარდაცვალებულთა ცნობები. მოხსენება იწყება მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარიდგან. ლათინურ აღწერის ბოლოს გვარები ქართულის ასოებით არის მოწერილი; ყველა გვარები ქართულია. ასეთი ხელთნაწერი წიგნები სხვა ეკკლესიებშიაც აღმოჩნდა. ახალციხისაკენ ერთს ეკკლესიის ცნობებში პატივცემულმა ვინმე მესხმა ზიარების აღსარების სიაც კი მოიპოვა.ეს აღსარების სია 1705 წ. მიეწერება. მაზიარებელთა გვარი და სახელებიც მთლად ქართულია.

ამ უკანასკნელს ხანს ევროპის სხვადასხვა არხივებშიაც აღმოჩნდა ცნობები და, სხვათა შორის, დიდად პატივცემულმა მიხეილ თამარაშვილმა ვატიკანის წიგნთსაცავში იპოვნა ბევრი მასალა ქართველთა და კათოლიკეთა შესახებ, პაპების მიწერ-მოწერა საქართველოში მეფეებთან და მეფეებისა – პა-

პებთან. იქვე აღმოჩნდა სია იმ კათოლიკეთა ეპისკოპოსებისა, რომელნიც საქართველოში ყოფილან და ქართველთა კათოლიკეთა საქმენიც უმწყესიათ. ეს ცნობები პატივცემლის მოძღვრისაგან სიფრთხილით არის გამოწერილი და სხვადასხვა ისტორიულს ცნობებთან შემოწმებული. აი თვით ცნობებიც:

იოანა პაპმანა. ქართველთა სამეფო ქალაქს ტფილისში კათოლიკის ეპისკოპოსის კათედრა განაწესა და ეპისკოპოსად იოანე ფლორენტოელი დანიშნა, წმიდა დომინიკიანების რიგისაგან.

ბატონიშვილის ბაგრატ მეხუთის დროს განაწესეს ეპისკოპოსად კათოლიკეთა ძმა ბერნარდო თეოთინკო დომინიკიანელი 1366 წელს, კაცი აღმოსავლეთის ენების მცოდნე. ამ ეპისკოპოსმა საკმარისი დრო დაჰყო სქართველოში, თავისი მოვალეობა ჰმართა ჩინებულად და მეფეზედაც დიდი ზეგავლენა ჰქონდა. იყო ჭკვიანი და ქართულის ენის კარგად მცოდნე.

1311 წელს, დიდის ბაგრატ მეექვსის დროს, ბონიფაციო პაპის ბრძანებით, ტფილისის კათოლიკეთა ეპისკოპოსად განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი რეინალდო დომინიკიანელი. ამ ეპისკოპოსმაც კარგად იცოდა ქართული ენა. მას დაახლოვებული კავშირი ჰქონდა სამცხის ათაბეგებთან და მეგობრობდა მცირე ხანს ათაბეგს ბექსა.

1450 წელს, მეფის ალექსანდრეს დროს, ტფილისის კათოლიკეთა ეპარქიის ეპისკოპოსად განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი ალექსანდრე დომინიკიანელი, კაცი მაღალ ღირსებისა და კარგად მცოდნე ევროპიულის და ქართულის ენებისა. ამ ეპისკოპოსმა კარგა ხანს დაჰყო საქართველოში, დიდი გავლენა ჰქონდა მეფეზედ და მის განზრახვასაც არ იწყნარებდა საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაყოფის შესახებ.

1462 წელს რომის პიო მეორე პაპმან, გიორგი მეფის დროს ტფილისის კათოლიკეთა კათედრაზედ ეპისკოპოსად განაწესა ეპისკოპოსი თურიკო დომნიკიანელი, კაცი კარგად მცნობი საქართველოსი და მასთანავე ქართულის ენისა. ამან საქართველოში დაჰყო მცირე ხანს, მიქცეულ იქმნა ისევ რომს საჭირო საქმეებისა გამო.

1469 წელს, მეფის კონსტანტინეს დროს, რომის პაპმა პავლე მეორემ ტფილისის ქართველთ კათოლიკეთა ეპისკოპოსად განაწესა ძმა იოანე ეპისკოპოსი მეორე ავგუსტინელი. კაცი თავის დროის კვალად მომზადებული, მცოდნე აღმოსავლეთისა და აზიის ენების და ისტორიისა. ქართული ენაც კარგათ სცოდნია. საქართველოს შესახებ ამას ბევრი ცნობები უგზავნია რომში.

1493 წელს, რომის პაპის ალექსანდრე მეექვსის ბრძანებით საქართველოში ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეპისკოპოსის კათედრაზედ ეპისკოპოსად განწესებულ იქმნა ძმა ალბერტ ანგელო ფრანცისკანელი, კაცი ღრმად განვითარებული, თავის დროის კვალად ქართეელთა სამეფოს საქმეთაცა

კარგად მცოდნე. ამ ეპისკოპოსმა ტფილისში კარგა ხანს და-

ჰყო, თავისი სამწყსო, ჰმართა ბრწყინვალედ. კათოლიკეთა შვილთათვის დააარსა სასწავლებელი, ქართველთ ბატონიშვილებზედ ჰქონდა საკმარისი გავლენა. საქართველოს შესახებ ამან სწერა მრავალი ისტორიული ცნობები.

ამ ეპისკოპოსის დროის კათოლიკეთა ბერებში დაიბადა აზრი საქართველოს რუკის შედგენისა, რომ ამ რუკას მეოხებით საქართველო რომს და ევროპას კარგათ გაეცნო. ამათ ცდით რომში სქართველოს რუკა პირველად ქვაზედ დაიბეჭდა 1520 წელსა.

ამ ეპისკოპოსის შემდეგ დროის ეპისკოპოსების ცხოვრების შესახებ ჩვენ არაფერი ცნობები გვაქვს და ჯერ ჯერობით არც ვატიკანის წიგნთასაცავებში აღმოჩნდა რამე. შესაძლებელია შემდეგ კი მოვიპოვოთ რამე ცნობა, რადგანაც ისტორიით ვიცით, რომ მეთხუთმეტე საუკუნის შემდეგ მეთექვსმეტე საუკუნის გასვლამდე ყოველთვის ეპისკოპოსები ინიშნებოდნენ.

მეთექვსმეტე საუკუნის შემდეგიდგან კი ეპისკოპოსის მაგიერ აბატს ჰნიშნავდენ. აბატნი განაგებდნენ თვით გიორგი მეცამეტეს დრომდის, ვიდრე საქართველო რუსეთს დაუკავშირდებოდა. კარგათ ვიცით, რომ უკანასკნელ აბატთაგანი იყო დამიანე ანკოლელი, რომელიც საქართველოში მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მოვიდა, გიორგი მეფეს გამეფება მიულოცა და თან პაპი პიოს ლოცვა-კურთხევა ანუ ბულლა გარდასცა. აბატების შესახებ ჩვენ აქ უადგილობის გამო ვერ ვისაუბრებთ.

ამ ცნობების მოყვანის შემდეგ ვიკითხოთ, თუ საქართველოში ქართველი კათოლიკები არ სცხოვრობდნენ, მაშ ეს ეპისკოპოსები ვისთვის ინიშნებოდნენ? ვის ჰმწყისდენ ესენი, ვის საქმეებს განაგებდნენ, იქნება ისე ისხდენ, გულს ხელ-დაკრეფილი და სომხებს აფრანგებდნენ? ეს ხომ ჭეშმარიტებას მოკლებულია, რადგან იმ დროს ტფილისში სომხების რიცხვი ერთობ მცირე იყო.

„მშაკის“ წერილების დამწერმა საქართველოში ქართველ კათოლიკეების ხსენება სრულიად გააქრო. ამის საფუძვლად მან დაასახელა მოგზაურ შარდენის ცნობა, რომ მისის მოწმობით როსტომ მეფის დროს ტფილისში ქართველის გვარის კათოლიკე ოთხი ღატაკი მათხოვარი კაცი იყო და ხუთიც ობოლი ბიჭიო, რომელთაც კაპუცინები ზრდიდნენ თავიანთ სასწავლებელშიო; არ შეიძლება, რომ პატივცემულმა დამწერმა ამის პასუხი გვაგოს, თუ მართლა მაშინ საქართველოში ქართველ გვარის კათოლიკე მხოლოდ ოთხი კაცი იყო, ნუ თუ შესაძლებელი იქმნებოდა რომისაგან ოთხის

კაცისათვის ეპისკოპოსის დანიშვნა.

ერთმა ასეთმა პატივცემულმა სომეხთ კათოლიკეთ მოძღვართაგანმა მოკლედ მომიგო და უარ ჰყო ქართველ კათოლიკეების არსებობა. მან პასუხად მომცა: რომ ფრანგები განგებ ქართველობენო, რაღაც ანგარიში აქვთო. ავიღოთ თუნდა მაგალითად, ისარლოვების გვარიო. ძველად ისრაელიანი იყო და დღეს-კი ისარლოვებად იწოდებიანო. მე მოვახსენე, რომ ისარლოვები ახალციხელები არიან, ქართველთ შთამომავალნი. ამათი ძველი გვარი ხურსიძეა და რადგანაც ერთი ამათგანი ოსმალთაგან ახალციხის დამორჩილების დროს ციხის კარის მცველად ყოფილა, ამიტომ ოსმალთაც ამ თანამდებობით მიუღიათ და სახელად ციხის მცველისთვის ოსმალურად ისარლი აღასი უწოდებიათ. შემდეგ ხურსიძეს მაგიერ ისარლოვი სწოდებიათ გვარად.

პ. მიხეილ თამარაშვილის თქმით საქართველოში ყოფილა სულ ცამეტი მღვდელ მთავარნი. ჩვენ კი შვიდი გვყავს ცნობილი მ. თამარიშვილს მოჰყვს შემდეგი სია, რაც ჩვენ ცნობას ავსებს და ამიტომ მოგვყავს ესეც აქვე: იოანე ფროლენციელი, პირველი ეპისკოპოსი 1329 წლიდგან. იოანეს სიკვდილის შემდეგ 1349 წ. დანიშნულ იქმნა თფილისის მეორე ეპისკოპოსად ბერთრანდო კოლეტი, დომონიკიანელი. შვიდი წლის შემდეგ ეს ეპისკოპოსი გერმანიის ამპურიენის ეკ-

ლესიაში გადიყვანეს და მის მაგიერ დანიშნეს მესამე ეპისკოპოსად ბერთრამო დომინიკიანელი 1356 წ. მეოთხე ეპისკოპოსად გამოუგზავნიათ 1370 წ. ანტონ მილერვიტანელი. ეს ეპისკოპოსი გამოსცვალა კლემენტი ანტი პაპმა და მის მაგიერ დანიშნა მეხუთე ეპისკოპოსად ჰენირიკო რაცი, ფრანცისკიანების წესისა. შემდეგ ამის მეექვსე ეპისკოპოსად დაინიშნა 1391 წ. ლეონარდო ვილაკოელი, დომინიკიანელი. ამის გარდაცვალების შემდეგ მეშვიდე ეპისკოპოზად დანიშნულ იქმნა იოანე ეპისკოპოსი. ეს გარდაცვლილა 1424 წ. ამის სიკვდილის შემდეგ მერვე ეპისკოპოზად დაინიშნა პაპის მარტენ V-ის დროს ივანე სანკტე მიქაილელი. შემდგომ ამ ეპისკოპოსის, 1493 წ. პაპის ალექსანდრე მეექვსის დროს, ეპისკოპოსად დანიშნული იქმნა ცნობილის მინორიტების წესის ალბერტო ენჯელი. ამ პირთ გარდა თამარაშვილი კვალად უმატებს შემდეგ ცნობებსაც: 1450 წ. პაპის ნიკოლოზ V-ეს თფილისის ეპისკოპოსად დაუნიშნავს ალექსანდრე დომინიკიანელის წესისა. 1462 წ. პაპს პიო მეორეს დაუნიშნავს ენრიკო ეპისკოპოსი, მისი ძმობის წესი არ სჩანს. შემდგომ ამის დაუნიშნავთ ეპისკოპოსად ჰენრიკო ვონსტი. 1471 წლის შემდეგ ეპისკოპოსად დაუნიშნავთ ივანე იმაქი ავგუსტიანელების წესისა. ეს ეპისკოპოსი I576 წ. ცოცხალი ყოფილა (მ. თამარაშვილი). ასე და ამ გვარად პატივცემული პატრი მიხეილ თამარაშვილი თავის შრომაში სულ ცამეტს მღვდელ მთავარს ასახელებს, რომელთაც უმწყსიათ საქართ-

ველოში. იგი იმედოვნებს, რომ ამ მღვდელ მთავრებად გარ-
და შემდეგ საუკუნოებში სხვებიც ყოფილან თფილისის კათე-
დრაზედ აყვანილი, ხოლო მათი ცნობები რომის არქივებში
არ მოიძებნებაო. საფიქრელია რომ ჭეშმარიტად საქართვე-
ლოში კათოლიკებს რომი უმღდელ მთავროდ არ დასტოვე-
ბდა იმ დრომდე, ვიდრე ქართველ კათოლიკენი სომეხთ კათოლი-
კეთ მღვდელ მთავრათ არ ჩაბარდებოდენ კონსტანტინეპოლს
(„ივერია" 1899 წ. „მშაკისა" პასუხად.)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ამ წიგნში სხვა და სხვა პირთა აღწერანი თავ თავის
ალაგას არ არის მოთავსებული, როგორც ვკრებდით ცნო-
ბებს, სტამბაშიაც ისე ვბეჭდავდით ნელ-ნელა. ამიტომ გახ-
ლავსთ, რომ ზოგი ძველი დროის პირი ბოლოშია აღწერი-
ლი და მოთავსებული და ზოგიც თავში. ამ გარემოებამ და-
მირღვია წელიწადთა რიგობა. მაინც ყოველი პირის დრო
წელთ აღრიცხვით კარგად სჩანს.

ზ.

კათოლიკეთა ეკკლესია

(უძღვნი დიდათ პატივცემულს და დასავლეთ საქართველოს ისტორიის
საძირკვლის დამფუძნებელს მოძღვარს ივანე გვარამაძეს).

იოანე ნათლის მცემლის ეკკლესია (ახალციხეში) გაკეთე-
ბულია XIII საუკუნეში, ზედ მიწევნით 1298 წ. იგი აღუშე-
ნებიათ უბრალო დიდრონის თლილის ქვებით, თითქმის ლო-
დებით, შიგა და შიგ აქა-იქ კედლეში, ზოგი ერთ ალაგას
კარგი ქვებიც ჩაუტანებიათ. ამ ქვებს ქართული წარწერანიც
ემჩნევათ ცხადათ, ხოლო მეტად მქრალად-კი. ეკკლესია გა-
კეთებულია თავის დროის რიცხვის მრევლის კვალობაზედ. თვით
ეკკლესიის გარეგანი სახეც მოწმობს მის უხუცესობას. ძვე-
ლი ეკკლესიის სიგრძე იქნება თორმეტი არშინი და სიგანე
შვიდი არშინი. შიგ გაულესავია, ძველად-კი გალესილი ყო-
ფილა. ამ ეკკლესიას ბევრი მწუხარება და დევნა გამოუვ-
ლია მაჰმადიანთ დევნულობისაგან XVII-XVIII საუკუნოე-
ბში. რადგანაც მესხეთსა და ჯავახეთს კათოლიკის მრევლს გამ-
რავლება დაუწყვია, ამიტომ ამ ძველის ეკკლესიისათვის წი-
ნიდამ კარგა ვრცელი ეკკლესია მიუდგამთ, ეკკლესია უყავ-

რულო, უფრო ძველებურს მიწურს ქოხსა ჰგავს, ვინემც ეკკლესიას. ახლად მიშენებული კარგა ვრცელია, საკმარისი, ხოლო ძრიელ მდაბიურათ-კი არის გაკეთებული.

ეკკლესიაში მოიპოვება ბევრი ძველი ხატები. სხვათა შორის, აქ ასვენია აწყვერის მღვთის მშობლის ხატი, რომელიც ძველადგანვე, ანუ აწყვერის ტაძრის გაუქმების შემდეგ მოუტანიათ ამ ეკკლესიაში. აწყვერის დიდი ტაძარი გაუქმდა XVII საუკ. ნახევარს.

აქ არის მაცხოვრის ხატი XVI საუკ. ქართულის წარწერით. წარწერა მოწმობს შემდეგს: „ქრისტმ ხატი მაცხოვრისა შევამკეთ ჩვენ ჩიჯავაძემ პაატამ თანა მემცხედრემან ჯაფარიძის ქალმან თამარმან ცოდვათა მისატევებლათ ჩვენთა და ჩვენთვისაცა შენდობა ბრძანეთ მღვთის გულისთვის. ვინც ეს საფლავს განაშოცროს, ჩვენი ცოდვამსცა ეკითხვის მას საშინელსა სასჯელსა".

მეორე: „ესე ხატი იანვრის პირველს შევწირეთ სტამბოლსა შინა მყოფთა ძმებმა წმ. იოანეს ეკკლესიას მოსახსენებლად ცოცხალთა და მკვდართათვის 1749 წ.“.

ეკკლესიას სომხურ კათოლიკეთ ტიბიკონი აქვს მიღებული. საეკკლესიო წიგნებში სომხურს გარდა ქართული საეკკლესიო წიგნებიც მრავლად არის, თითქმის ყველა საჭირო წიგნები, რადგანაც ეკკლესიაში ქართულს ენასაც ახმარებენ. ხატებსა და საეკკლესიო ნივთებს შორის ბევრი რამ ძველის ძველის ნივთებისაც მოიპოვება.

ოსმალთა მფლობელობის დროს ამ ეკკლესიაზედ და საზოგადოთაც ქრისტიანებს ზარის ჩამოკიდება და რეკა არ შეეძლოთ. დღეს ეკკლესიას ორი პატარა ზარი აქვს ძველად შემოწირულნი. გარდმოცემა გახლავთ, რომ ვიდრე სომეხთ კათოლიკეთ გავლენა გაძლიერდებოდა ახალციხის ქართველ კათოლიკებზედ, მინამდის ამ ეკკლესიაში წირვა ლოცვა სულ ქართულად სწარმოებდა, რადგანაც მაშინდელი მრევლი მთლად ქართულს ენაზედ მოსაუბრე კათოლიკეთაგან შესდგებოდაო. მიტომაც არის, რომ ამ ეკკლესიას სულ ძველისძველად კათოლიკენი თვით ქართულს დაბეჭდილს ხუცურს საეკკლესიო წიგნებსაც-კი სწირავდნენ, ეს ეკკლესია რომ ძველადგანვე ქართველ ტომის საკუთრება ყოფილა, ეს კარგად სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ ეკკლესიაში უძველესს საფლავების ქვებზე წარწერანი ქართულად აქვსთ. ეს ქვები შეეხება XVI-XVII საუკუნოებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ეკკლესია ძველად სომეხ კათოლიკების ყოფილიყოს და ახალციხეშიაც სომეხ კათოლი-

კენი, მაშინ ეკკლესიაში ერთი ქართული წარწერაც-კი არ დარჩებოდა. წვიმისაგან გადარეცხილ ქვებს გარდა სჩანან საფლავის ქვები 1782 წ. დასაფლავებულის, 1789 წ., 1771 წ. 1779 წ. 1798 წ. 1795 წ. 1782 წ. და მრავალიც სხვა-

ნი, რომელთ მოხსენებაც ქალის თუ კაცის სულ ქართული სახელებია, ისეთი სახელები, რომელსაც სომეხნი თავიანთ დღეში არავის დაარქმევდნენ.

ერთ დროს, რადგანაც ამ ეკკლესიის მრევლი დიდი ყოფილა, მიტომ შემდეგ და შემდეგ ახალციხელთ მკვიდრთ აქეთ-იქით იწყეს განსვლა და ამიტომ მრევლმაც იწყო კლება. კარგა ხანია მას შემდეგ გასული, რაც აქ ერთი მოძღვარი, ანუ წინამძღვარი განაგებს. სხვა და სხვა დროს სულ სხვა და სხვა ტომის მოძღვარნი განაგებდნენ. საუბედუროთ, ამ გამგეთა ცხოვრების წელნი ძლიერ შორს არ მიდის, მაგაჯლითებრ: მოძღვარი ლაზარე მიიცვილა 1764 წ., დონ ანტონი 10 მკათათვეს, 1767 წ., მამა სტეფანი 1771 წ., მამა იაკობი საბაშვილი, ბაროსი 1773 წ., პატრი გიორგი 1777 წ., პატრი იოანე გარსევანაშვილი 1779 წ., მამა არაქელი 1783 წ. მამა გრიგორ კრუხიჭამიანთი 1786 წ., მამა იოანე აივაზიანი 1787 წ., მაქანდრიანთ მამა იოანე 1797 წ., მამა გრიგოლი 1798 წ., პროვიქარი მამა ანტონი ქაჩახათი 1800 წ., აღამალიანთ მამა სტეფანე 1800 წ., ისკანდრიანთ მამა პოღოსი 1807 წ., ხოჯივანაანთ მამა იოანე 1808 წ., ვართანაანთ ტერ ხეჩუათი 1810 წ. საღამოს ლოცვისას ეკკლესიას მეხი დაეცა და იმისაგან მოკვდა. მეხის დაცემის შემდეგ მან მცირე ხანს იცოცხლა. გორელი მამა ფრანჩისკე 1814 წ., ხუციაანთ მამა პოღოსი, უდელი 1818 წ. დიდი მამა იოსები 1819 წ., სათლელი მამა გაბრიელი 1824 წ., სილაჯიანთ მამა იოანე მიიცვალა 1828 წ., მამა სტეფანე მღებრიაანთი 1829 წ., პატრი ფილიპე 1835 წ., ოცხელი მამა იოანე 1837 წ., პატრი თომა კაპუჩინი 1838 წ., ნავროზიანთ მამა სტეფანე 1839 წ., მამა ანტონ ხუციაანთი 1841 წ., აბინაანთ იესაშვილი 1842 წ., ხარისჭირაშვილი მამა პო-

ღოსი 1854 წ., პავლე შაჰყულიანი, არქიმანდრიტი 1855 წ., გრიგოლ ვართაპეტ ზარაფიანი 1858 1 წ., ხიზაბავრელი მამა ანტონ ხუციაანთი 1859 წ., აზრუმელი ტერ გაბრიელი 1862 წ., მამა იაკობ ფეიქრიშვილი 1864 წ., ტერ სარქის მხითარიანი 1870 წ. და სხვანიც, რომელთაც დრო და დრო უმსახურნიათ ამ ტაძარში.

დღეს, ამ ეკკლესიას განაგებს და წინამძღვრობს ყველა ქართველთაგან დიდათ პატივცემული მოძღვარი ივანე გვარამაძე, ქართულ მწერლობის ასპარეზზე სამწერლო მუშაკობის მხრით ვინმე მესხის სახელწოდებით ცნობილი, დაუცხრომელი მოძღვარი, მქადაგებელი და მწერალი თავის სამშობლო ქვეყნის და ერის წინაშე.

ამავ ეკკლესიას დაშთა მდიდარი ბიბლიოთეკა 1855 წ. პავლე შაჰყულიანისაგან. წიგნების უმეტესი ნაწილი ლათინურს, ფრანგულს და იტალიურს ენაზეა დაწერილები, ხოლო დაბეჭდილები-კია XV-XVI და XVII-XVIII საუკუნიებში. მათში მეტად იშვიათი და ძვირფასი წიგნებიც ურევია.

ქართული ძველი ხელთ-ნაწერებიც არის როგორც თვით პავლე შაჰყულიანის ნაწერი, ისევე სხვა და სხვა ქართველთ ძველთ მწერალთ და მთარგმნელთა, ნამეტურ ქართველ კათოლიკეთ ახალციხელთ მოძღვართა ნაწერების.

საყურადღებოა აგრეთვე სამი ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნების, ეკკლესიის კონდაკებისა: 1, კონდაკი იწყება 1760 წლიდამ და გრძელდება 11845 წლებამდე. „კონდაკის“ დასაწყისს, ანუ სახელმძღვანელო მღვდელთათვის და ისტორია კონდაკის მნიშვნელობისა ეკკლესიის მოძღვართათვის სომხურათ არის ნაწერი, მონათლულთა გვარებიც სომხურად მოიხსენებიან, გვარები სულ ქართულია, სომხური ასოებითა და სომხურათ გაზრდილ მღვდლებთაგან ხშირად სასტიკათ არის გადამახინჯებული ქართველი გვარები.

სულ ასეთ მღვდელთა გავლენა გახლავსთ, რომ შემდეგა და შემდეგ ქართველთა გვარები სულ სომხურათ გარდაკეთდა. ხელთ ნაწერი საკმარისი ზომისა არის, ყდაში ზის,

მხედრულად არის ნაწერი. 2, „კონდაკი“ მხედრულით ნაწერი, იწყება XVIII საუკუნიდამ, ანუ იმ დროდამ, როცა საეკკლესიო ასპარეზზედ მღვდელმოქმედების ხარისხით პ. შაჰყულიანი აღმოსჩნდა, ე. ი. 1798 წლიდამ და გრძელდება 1850 წლებამდე. უმეტესი ნაწილი შაჰყულიანის ხელით არის ნაწერი. ორივ ამ ხელთ ნაწერებში ბევრი ძვირფასი ქართველთ გვარებია ჩამოთვლილნი, რომელნიც კათოლიკობას შეეხება და რომლის უმეტესი ნაწილის ქართველთა უნებლიეთ სულ სომხურად და ოსმალურად არის გადაკეთებული. 3, ხელთ ნაწერი: მოხსენება ამა ეკკლესიის მსახურთა, მამათა და ძმათა, შედგენილი სხვადა სხვა ძველის ცნობებიდამ. ძველად ბევრი რამ მასალები ჰქონია ამ ეკკლესიას. დღეს მცირეღა არის. სულ გაბნეულა აქეთ-იქით. რაც შეუკრებია, ისიც ამ უკანასკნელ დროს მომხდარა ვინმე მესხისაგან.

აი ზოგიერთი ადგილი კონდაკისა, რომელიც სიტყვით სიტყვამდე მოგვყავს აქ:

„წელსა უფლისასა 1780-ს: მარიამობის 29-ს მე გრიგოლმან კრუხიჭამიაანთ უფროსმან და ვიქარმან ახალციხისა და მის კათოლიკე თემისა ბარობმან წ˜მ. იოანე ნათლის ეკკლესიისა: მოვნათლე ყრმა ნაშობი შჯულიერი ქორწინებითა დედმამისაგან იოანესი და კატირინასი გვარისაგან მკალავი პაპუნასი რ˜ლ ნათლის ღებისა შორის ანნა გამოუცვლელად მირონის ცხებისა შინა: ქალაქსა მინა ახალციხესასა იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიასა შორის, რომლისა სვინა იყო მკალავი ოთარის შვილი იოსები სამრევლოსაგან ჩემისა“.

1782.

„წელსა უფლისას 1782 და სომხისას 1781, იანვარის 21, მე მაქანდრიანთ ტერ იოანემ სურბ ეკკლესიის ბარობმან მოვნათლე და მირონი ვაცხე ამავ იანვრის 13-სა შობილი ყრმაწვილს

შჯულიერი დედ-მამისაგან ესე იგი დუნჯათ პოღოსისაგან და მისი მეუღლე ხანუმისაგან და სახელი უწოდე ანტონ მნათელია ამისი იყო ჩიტირეკათ სვიმონა ტერ სტეფანეს სამრევლოსაგან“.

– 8 –

აქ საკვირველი ის არის, რომ შემდეგს მონათვლის წერილებში მამა იოანე სომხურ სიტყვებს აღარ ხმარობს ყველგან ქართულათ ახსენებს წმ. იოანეს ეკკლესიას. სჩანს მაშინათვე მიხვედრია თავისს უნებლიე შეცდომას. აი, ესეც მეორე მოხსენება. ამის შემდეგ, რაც ამ მღვდელს უმღვდლია და ყმაწვილები მოუნათლავს, ყველას მონათვლას ასე ასწერს.

1782.

„ამავ წელსა 1782 და სომეხთა 1231 წ. მარტის პირველსა მე მაქანდრიანთ ტერ იოანემ და წშ. იოანეს ეკკლესიის ბართხმან მოვნათლე და მირონი ვცხე თებერვლის 27 შობილი ასული შჯულიერი დედ-მამისაგან და სახელი უწოდე ანნა. მრთელია ამისი იყო ნურალიანთ ივანე ტერ გრიგოლის სამრევლოსაგან.“

1782 წ. ტერ იოანეს მარტოდ თავისს ეკკლესიაში ასეთი გვარის ყმაწვილები მოუნათლავს: შალჯებიაანთ თათეოზას შვილი, აღოშაანთ ალექსანდრეს შვილი, ფეიქრის შვილისა, ივთარაშვილის ყმაწვილი, ნათლია ატოციაანთ ოსეფა, ივლიტის მდაბისაგან, შარაჯი კარაპეტასშვილი, მეფრუნე ანდრიასშვილი, ნათლია ყალიჯიაწთ იოანე-აბაზაძე ტერ იოანეს სამრევლოდგან, ასლანისშვილისა, ნათლია დაულჯი იოანე, ნარიბეგისშვილის, სარიაშვილის, ნათლია იყო ყუმჩი ყაზარა, ყარსელიანისშვილი, ბარელესელისშვილი, ქიდიარჯიანთ (?) ყმაწვილი, პაპუნაანთ ყმაწვილი, მაქანდრიანთი, მნათლია ხარისჭირაშვილი, პეტრე ხოჯივანანთი. აქ მოხ. სენებულ სახელების უმეტესი ნაწილი სხვა და სხვა ხელობათა სახელებიც არის, მაგალითებრ ვისაც რა ხელობა სჭერია, იმას ის სახელი გვარათაც დარქმევია და ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ უმეტეს ხელოსნებთა სახელები ოსმალურს ენაზედ სწარმოებდა, რადგანაც გამგეობაც მათი იყო. შემდეგ-კი ეს სომხებს სულ სხვაფერ ექმნათ მიღებული.

– 9 –

1783 წ.

ჯინოსიძესძე, საღათელაშვილისა, თერძისშვილისა, იესასშვილისა. აი კიდევ პირ და პირ მოყვანილი: „წელსა უფლისასა 1783 წ. და სომხის 1232 წ. აპრილის 28-სა, მე მაქანდრიანთ ტერ იოანემ წშ. იოანეს ვიქარმან მოვნათლე და მირონი ამავე თვის 16 შობილი ყმაწვილი, შჯულიერი დედმ-მამისაგან ვითომცა ჯინოსსიძე პეტროასაგან და მისს შეუღლე კატირინასაგან, ნათლიათა იყო სალიაანთ პეტრე ივლიტელი“.

საღათელაშვილის, დუნჯიასშვილისა, ნათლია ჩიტირე-
კიაშვილი, ყალთალჩის (ხელობის სახელი) შვილი, მალხა-
ზაშვილი, ოსანულაშვილის ანტონასი, ნათლია გორელისშვი-
ლი სტეფანე. გორელისშვილს სტეფანეს და მისს მეუღლე
ელენეს შვილი. კიდევ ყარსელაშვილის, კიდევ იმავ გვარის,
კიდევ ამავ გვარის კირილესი, ნარიბეგაანთ პეტრესაგან და
სხვა. შემდეგ 1785 წ. ამ წლის შემდეგ თავის წელიწადთა
რიგის მისადევრობით მონათვლა ისპობა და შემდეგ 1790
წლიდან კვალად იწყება ნათელთ მაგალითებრ: ჩხალელისა,
კლდიელისა, ბალღამაშვილისა, ნებიერიძისა, იანღუანთისა,
ყალაჯი იოანესი, შარაჯებიანთ თადეოზის, მექოშე პეტრესი,
შაჰზადასი, ვარძელაშვილის. 1791 წ. ქაუხჩიაანთი, მამული-
ანთ როსტომასი, აკოფასშვილის, ბეკარსმე (!) ბატონჯანასი.
იესესძე პეტრესი. ამ წლის შემდეგ მონათლულთ რიცხვი
ისპობა და 1796 წ. აღარ სჩანს. 1779 წ. ახალციხეში სჩნდე-
ბა შაჰყულიაანთ ტერ პოღოსი. აი ამის მონათლულის ცნო-
ბა: „წელსა უფლისასა 1799 წ., სომხებისამებრ 1248 ენკენის-
თვეს 22, ხუთშაფათს, შაჰყულიანთ ტერ პოღოსმა ბოროხმა წმ. იოა-
ნეს ეკკლესიისამ აბინაანთ ბატონი ტერ სტეფანეს ნაცვლათ მოვ-
ნათლე და მირონი ვცხე იმავე მღვდლის საბარახოსაგან ყრმას ენკენის-
თვეს 17, დაბადებული დარსელაანთ ანტონასაგან და მის მეუღლე

არქელაანთ პეტროსის ქალის სარასაგან, სჯულიერ ქორწინების იმავ
ეკკლესიისა საბარახოსაგან და ეწოდა სახელად მარიამი, მნათლია იყო
მურადაანთ ანტონასშვილი აკოფა ოვანასშვილი ბატონი ტერ ანტო-
ნის სამრევლოდგან ივლიტის ეკკლესიისა.

ამ ერთი მონათვლის შემდეგ ისევ ტერ იოანე მაქანდა-
როვი მოდის თავისს სამწყსოში, მერე ნათლავენ შემდეგ გვა-
რებისას: ოთარისშვილის აკოფასი, სვინა იყო აბასთუმნელი
არაქელასშვილი ყაზარა, ქურქჩიბაშიაშვილის, მალხაზაშვი-
ღლის, ხუციშვილის ანტონასი, ბაღოასშვილის, ქურქჩიბაშვი-
ლი, ჩიხტიაშვილი და სხვანიც მრავალნი. 1783 წ. ჭილი-
მუზაშვილის აფრიამასი, ბასჯაჯიაანთ აივაზასი, სოლომონას-
შვილის, ჩაიქოლაანთ სტეფანესი, მალაქაშვილის.

1782 თიბათვის 15. „მე ტერ გრიგოლმან კრუხიჭაშიაანთ
ვიქარმა ახალციხის კათოლიკე თემისა და ბარობმან წ˜მ იოანე ნათ-
ლის მცემლის ეკკლესიისა მოვნათლე ჩემის ძმის წული მეორე აკო-
ფაი. რომელ სვინა იყო სუჯიაანთ ჯინასშვილი, არუთინა“. 1788 წ.
დავითაშვილის, პურადაშვილის გიორგასი, ჩაიქოლაშვილი, ჯინო-
სიძე, ყასპისშვილი, გიორგიძე, ნარიბეგოვი, დურგლიშვილი, ქაჩ-
ლიშვილი, აწყვერელი სტეფანესშვილი, ავთანდილაშვილი, მღებრი-
შვილი, თავდიდაშვილი, 1790 კოჭიბროლაანთ (გოზალოვი) პეტ-
რეს და მის მეუღლე ელენესი მონათლეს 2 თებერ. 1740 წ.
ათოაშვილის იგითხანისშვილი 1796 წ., ხიზანაშვილი 1797 წ.
ჩაიქოლაანთშვილი, ქურთისშვილი 1796 წ. ბეთანაანთ, კაკონაშვი-
ლი, აფრიამასშვილი, ვარსალიანთ იოსებასშვილი, ნალბანდიშვილი,

მღებრიშვილი 1793 წ., ბეროასშვილი ოჰანეზა 1753 წ., მე-
კურტნეშვილი, ზალიაშვილი, კოკაჩაშვილი ოსეფა და მის მეუღლე
ნალბანდი დავითის ქალი მარიამისაგან 1793 წ., ბეთანაშვილი,
შავშელი პოღოსას და მის ცოლი კოჭიბროლა ბოსჩაჯაშვილი 1797 წ.
დურგლიშვილი, თერძიანთი, ყრუაშვილი, შაგინაანთი, 1798
წ. ლაზარეშვილი.

1791 წ. ბატაშვილის, ხატაშვილი, ბერსოშვილი, ჩილა-

შვილი. 1792 სათლელი მეფურნე პეტრუასშვილის, ფონულა-
შვილი, ტერ სტეფანეიშვილი, შაქარაშვილი, მესარკესშვილი,
ყირმიზაშვილი.

ეკკლესია დაძველებულია, კედლებში აქა-იქ ბევრი სა-
ფლავის ქვებიც არის ჩატანებული, მათ ქართული წარწერა-
ნიც ეტყობათ. დრო წარწერის 1750 წ. ეხება, ზოგის უფრო
ძველია. შიგ ეკკლესიაშიაც ძლიერ ბევრი მიცვალებულთ
ქვები სჩანს, ხოლო, ნაწერების-კი სულ გადარეცხილა სიძვე-
ლის გამო, თუმც ისიც-კი კარგათ სჩანს, რომ ყველა ქვის წარ-
წერა ქართულია.

წმ. სავარდისის (ახალციხეს) ეკკლესია აღუშენებიათ 1540
წელს. პატარა ეკკლესიაა, ხუთი საჟენი სიგძე ექნება და ორ
საჟენ ნახევარი სიგანე. აღშენებულია ქვითკირით, ხოლო
უბრალოთ-კი, ძლიერ სადათ. აღმშენებელთ ვინაობა არ სჩანს,
ის-კი არის მოთხრობილი, რომ ეს ეკკლესია 1450 წლის
შემდეგ მრავალ გზის ყოფილა მუსულმანთაგან ნგრეულ-
ქცეული. ამ ეკლესიის ძველი კონდაკის ცნობები და სხვა და
სხვა ქართული წიგნებიც ისევე მოსპობილა და დამწვარა,
როგორც სხვა და სხვა ეკკლესიის წიგნები და საუნჯენი. ამ
ეკკლესიის კედლებში აქა-იქ ჩატანებულია ისეთი თლილი
ქვები, რომლებზედაც ქართული წარწერები მოიპოვება. ამ
ქვების უმეტესი ნაწილის ზოგი მეტის მეტს ძველს დროს
ეკუთვნის და ზოგი XVII-XVIII საუკუნოებს. შემდეგ სა-
უკუნოების ქვები ამ ტაძრის კედლებში უნდა ჩაეტანებინათ
სხვა და სხვა დროის განახლებისას. სამს-ოთხ ალაგას კედელ-
ში დატანებულია მშვენიერი ჩუქურთმიანი ქვები, რაზედაც
გამოჭრილებია ქანდაკით ჯვარი და სხვა ამ გვარნი. ეს ჩუ-
ქურთმიანი ქვები მოტანილ უნდა იყოს ქართველთ იმ ეკკლე
სიებიდამ, რომელთაც ოსმალონი სდევნიდნენ და აქცევ-ანგრ-
ევდნენ. ეს ცხადათ ასე უნდა ყოფილიყოს, რაც სამცხეს

ოსმალთაგან ქართველთ ეკკლესიები დაინგრა, ყველა იმათ
ჩვენ ვერ ავნუსხავთ, ის-კი უნდა ითქვას, რომ დიდი ძალი
ხელოვნური განძეულობა-კი გაუქმდა ამ ბარბაროსების მახვი-
ლის ქვეშ.

როგორც სჩანს, XVII საუკუნიდამ ამ ეკკლესიაში კერძოთ რომიდგან მოსულს ლათინის წესრიგის პატრებს უცხოვრიათ. თვით ეკკლესიის ძველი ნაწილის გეგმა ნამდვილ ქართულ საყდართ სახეს მოგვაგონებს. იგი ძველათ, XIV საუკ. წინეთ ქართველთ აღუშენებიათ, შემდეგ რაკი ოსმალთა დევნა ქართველებზედ გავრცელებულა, მაშინ დევნილთ ქართველთ კათოლიკეთათვის გარდაუციათ. ქართველ კათოლიკებს მიუღიათ და 1450 წლიდამ იგი ლათინის წესს-რიგის ტიბიკონის მექონ ქართველთათვის დანიშნულა, სადაც XV საუკუნიდამვე ყოველთვის ლათინის პატრები განაგებდენ, რადგანაც ახალციხეში კათოლიკობამ ძველად სწრაფად იწყო აღორძინება. ამიტომ ეს ეკკლესია 1560 წ. საკმარისად შეაკეთეს, გაამაგრეს, მაგრამ საქმე ამით არ გათავდა, სივიწროვე ხელს უშლიდა და ამიტომ იგი 1630 წლებს ისე განაახლეს, რომ შესავლის კართან ზომიერი ეკკლესიაც მიუშენეს. ძველს ეკკლესიას აქ-იქ კედლებში დაქცეული ქვები შეემცნა, ამიტომ XVIII საუკუნის ნახევარს დაქცეული ქვები კედლებიდამ გამოღებულ იქმნა და მათ მაგიერ სხვა თლილი ქვები შეაწყეს. ამ თლილ ქვებში მოჰყოლია სომხურ წარწერიანი დაძველებულ საფლავის ქვებიც, რომელ ქვებიც აქა-იქიდამ ძველ სასაფლაოებიდამ მოუზიდნიათ. XVIII საუკუნეში საქართველოში სომხურ წარწერიან ქვებს კაცი ძველს სასაფლაოებზედ თითო-ოროლას შეხვდებოდა, ამ ეკკლესიის კედლებში ბევრი ძველი ქვებია მოყოლებულ-ჩატანებული, რომლებზედაც ქართული წარწერებიც მოსჩანს.

ცნობებიდამ სჩანს, რომ ამ ეკკლესიაში, ლათინის პატრებს საგალობელი არგანი XVI საუკუნიდამ შემოუტანიათ. აქ ყოველთვის ლათინის წესს-რიგის პატრები და კაფუჩინები ყოფილან გამგეთ და როცა ესენი არ ყოფილან, მაშინ ქარ-

თველ გვარის ის პატრები განაგებდნენ, რომელთაც სწავლა რომში ჰქონდათ დამთავრებული. ამ ეკკლესიის მოხუცებუბულმა ართვინელმა ქართველ მოსამსახურე დედა-კაცმა სთქვა შემდეგი:

– „გარდმოცემა გახლავთ, რომ ამ ეკკლესიაში სულ 25 პატრი მჯდარა, აქამდის პატრი ლაზარე გოზალოვი 26-აო“.

როგორც ვიცით, ჩვენში პატრები ძრიელ გვიან მოდიოდნენ, მაგალითებრ, თითო მოძღვარი საქართველოში არა ნაკლებ 20 წელს იცხოვრებდა და მერე თუ მოიქცევოდა რომადვე, თორემ უაღრესად მას აქედამ არ გადაიყვანდნენ, რადგანაც მაშინ აქეთ ქართული ენის მცოდნე მოძღვარნი ძრიელ საჭირო იყვნენ და მასთან რომისთვისაც იშვიათი. ასე, რომ ზეპირ გარდმოცემის თანხმად 25 პატრისთვის უკანასკნელი 400 წელი მაინც იქმნება საჭირო საცხოვრებელ დროთ. ასეთ წინამძღვრებთ გარდა, სხვა და სხვა ორდენის მამებს როცა კი ევროპიდამ საქარველოში უმგზავრიათ და იგინი ახალციხეშიც ყოფილან, მათაც ამ ეკკლესიაში უცხოვრიათ.

უნდა ითქვას, რომ როგორათაც ივანე ნათლის მცემლის ეკკლესიაში, ისევე აქაც XIV საუკუნიდამ ქართული ენა განისმოდა მრევლის წინაშე, ქადაგებაც ხომ დაუცხრომლად სწარმოებდა.

ეკკლესიას აქვს სხვა და სხვა ძველი საეკკლესიო ნივთები, რომიდამ მოტანილი პატრებისაგან და ზოგიც სხვათაგან შეწირულნი. ეკკლესიას აქვს რამდენიმე ქართული სასულიერო შინაარსის წიგნებიც, რომელნიც ძველის ძველადგანვე ამ ეკკლესიაში უხმარიათ. წიგნები გადაწერილია ძველადვე, ზოგი XVIII საუკ., ზოგი ადრე, ზოგი გვიან. რადგანაც წიგნების გადამწერთ ცნობა და დაწერის თარგმანის, ან გადაწერის რიცხვი არ უზისთ, ამიტომ ჩვენც აქ მარტოდ სახელები მოგვყავს ამ ხელთ ნაწერების შესახებ: 1, ჟამნ-კანონი, ლათინურიდამ ნათარგმნი ქართულს ენაზედ, ვისგან არ სჩანს, ვრცელი ტომია. 2, „წირვის წესი“, ლათინურიდამ ნათარგმნი, ვინ სთარგმნა, არც ეს სჩანს. 3, ლოცვის წიგნი, სრული.

4, „ჟამ-კანონი“, თარგმანი ლათინურიდამ, ვისგან და როდის, არ სჩანს. 5, „ჟამ კანონი“ თავისს ფსალმუნებით. შიგა და შიგ ლათინური ლოცვებიც არის ჩართული ქართულის ასოებით. 6, „მოძრავი დღესასწაულის საგალობლები“. თარგმანი, როდის, ეს არა სჩანს. ამ წიგნებს გარდა, ეკკლესიას აქვს სხვა და სხვა ძველი და ახალი ლათინური წიგნებიც. ეკკლესიის შიგნით და გალავანში ძრიელ ბევრი საფლავებია, ზოგის ქვები აღარ არის. ეკლესიის განახლების დროს ეს ქვები კედლებში დაუტანებიათ, ზოგი აქეთ-იქით წაუღიათ. მაგალითებრ, მარცხენა კედელში არის ერთი ქვა, რომელზედაც იკითხება შემდეგი:

– „გძელი (გძელიძე) ბაღდასარას რძალი შუშანა“. წელი არ სჩანს, გრძელიძეს რძალი და შუშანა? ეს ცოტა დასაფიქრებელია, ეს ქალი უნდა გადაცვალებულიყოს XVIII საუკუნის ნახევრის შემდეგ, როცა ქართველ კათოლიკებში სომხური სახელების ხსენება ხმარებაში შემოვიდა, როცა სომეხთ კათოლიკეთ მოძღვარნი ქართველთ კათოლიკეთ ყოველნაირად დაეპატრონენ. მეორე ქვაზედ არის შემდეგი წარწერა:

– „პატივცემულსა მამასა იერონიმესა ნურსიიდგან გამგედ მყოფილი მიიცვალა უცვლის მიერ 6 მაის 1776 წელს უმბრიის თემიდამ", რომელიც ლათინურად ასეა. Ad Rend P Nierc-Nymum a Nursia Sa Praet. Obit in Domino d maii 1776 Proviae Umbriac".

როგორც სჩანს, ამ მამა იერონიმეს კარგა ხანს უნდა ემსახუროს სავარდისის ეკკლესიაში. ეს მტკიცდება იმ გარემოებიდამ, რომ იგი საქართველოში მოხუცებაში გარდაცვალებულა. იგი ყოფილა უფროსად დადგენილი ახალციხეს მყოფთ პატრებზედ. თვით ეს მოძღვარი ტომით იტალიელი ყოფილა, დაწვრილებით ამ მოძღვრის მოქმედების და ცხოვრების არაფერი სჩანს. ეს იერონიმე მოძღვარი დასაფლავებული

ყოფილა თვით სავარდისისს ეკკლესიაში. ამ უკანასკნელ წლებს, ეკკლესიაში, მიწის თხრის დროს, ერთ ალაგას აღმო-

სჩნდა ეს ქვა მიწაში დამარხული, მაშინ კარში გაიტანეს და დღეს ეკკლესიის კარის გვერდით ინახება.

მესამე, არა ამ ქვაზედ ნაკლები ღირსების არის ერთი ძველი საფლავის ქვა, რომელიც ჩატანებულია ეკკლესიის მარცხენა მხრით კედელში. ამ ქვის ლათინური წარწერა მოიხსენებს შემდეგს: „L. Reruardusa… S Jose vlaleon… ე. ი. მამა ბერნარდე… დგონ… წ˜და იოსები დგონ ლეონ... „ფრა ფერნარდეს ა˜ წ˜მ იოსების ალიონისა ივლისა, 1660 წელ.“ საუბედუროთ, თუმცა ამ საფლავის ქვას თავის წარწერის ბევრი სიტყვები წარხოცვია, არ სჩანს იერონიმეს გადაცვალების წლები და ან ის თუ აქ რამდენ ხანს სცხოვრებდა, მაგრამ ჩვენ ზედ მიწევნით ვიცით, რომ იგი ახალციხეში იმყოფებოდა 1660 წლებში და მისი დაბადების და გარდაცვალების წელნი კი 1600-1672 წლებამდის უნდა მიაღწევდეს.

ამ მოძღვარ იერონიმეს სახელს მოიხსენიებს მარი მაჯი თავისაგან შედგენილს ქართულ-ლათინურს გრამატიკაში, რომელიც დაისტამბა 1670 წ. რომს. ამ ისტორიულ ქვის გვერდით არის მეორე ქვა ლათინურის წარწერით, რომელიც, ჟამთა ვითარების მეოხებით საკმარისად დაძველებულა და ასოებიც წაშლილა. ეს ქვაც ეკუთვნის XVII საუკ. უბედურს შემთხვევას მხოლოდ შემდეგი სიტყვებიღა გადარჩენია: – „ unous Garnia Venecia… oben in domino die 16... უნ რეს კავენეცია… მიიცვალა უ˜ლის მიერ 18 დღეს 1655 წ.

ჩვენდა სამწუხაროთ, XVII საუკუნის შემდეგ დროის აქ მცხოვრებთ ლათინის პატრების შესახებ ჩვენ არაფერი ცნონები გვაქვს. XVII საუკუნიდამ XVIII საუკუნე ისე გადის, რომ ამ ეკკლესიაში ერთი მოძღვრის დასაფლავებაც არ მომხდარა თვითქოს. მხოლოდ XIX საუკუნეში სჩნდება ერთი პატრი თომა თემფიელი, რომელსაც აქ უცხოვრია კარგა ხანს და აქვე გარდაცვალებულა 1838 წ. აი მის საფლავისქვის წარწერა: – „Miserere Pater Thomae Kempii Cappucini ralz dreo 1838. „მოიხდენე პატრი თომა თემფიელი ქაფუჩინი ქ˜ნი წელსა უფლისასა 1838-სა ივვნისის 7 სა.“

ჯვარის ეკკლესია (ახალ ციხეს) აღშენებულია XIII საუკუნეში ქართველთაგან.

ეს ეკკლესია, სავარდისის ეკკლესია და იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიაც სულ ქართველთაგან არის ნაშენი. უკანასკნელ რაკი აქ ქართველთ მართლ-მადიდებლებმა კლება იწყეს და კათოლიკები მრავლობდენ, ამიტომ ეს ეკკლესიებიც

ქართველთა თავიანთ თანა მემამულე ქართველთ კათოლიკეებს დაუთმეს. 1333 წ. ეს ეკკლესია უკვე ქართველ კათოლიკეების ხელში სჩანს. XIII საუკუნეში ვინ აღაშენა ამის ცნობა არ გვაქვს. ის კი ვიცით, რომ იგი ყოფილა აღშენებული იმ კვალად და სიმაგრით, როგორც ეს ქართველებმა X- XI-XII საუკუნოებში იცოდნენ. ამ ეკკლესიამაც ძველის ძველათაგან ბევრი რყევა და ნგრევა გამოიარა ოსმალთა და სხვა და სხვა მტერთაგან. იგი რამდენ გზისმე იქმნა შემუსვრილი XIV-XV-XVI- XVII საუკუნოებში. რამდენჯერაც შემუსვრეს, იმდენჯერვე განაახლეს ალაგ-ალაგ. 1660 წ. განაახლეს საკმარისად, რადგანაც ოსმალთა და ათაბეგების ბრძოლის დროს იგი შემუსვრილი იქმნა ყუმბარებისაგან. ამ ეკკლესიას XVIII საუკ. დამდეგსაც ეწვია უბედურება, ამიტომ იგი განახლებულ იქმნა 1750 წ., უკანასკნელ-კი დროთა მიმდინარეობის მეოხით ისე შეირყა ეს ძველის-ძველი ტაძარი, რომ მისს მრევლთ რიგიანად ვეღარა მოისაზრეს-რა და ძველად აღგებულის ეკკლესიას ძველადვე მიმატებული მშვენიერი ჩუქურთმიანის ქვებით აღშენებული ეკკლესია დააქციეს და მისს მაგიერ უბრალო, სადა თლილი ქვის ეკკლესია აღაგეს, საკურთხეველი და ამის გუმბათი-კი ძველის ეკკკლესიისა არის, რაც მცირედ გარდააკეთეს.

დღეს, ეკკლესიის გარშემო, აუარებელი თლილი ქვები ჰყრია. ქართული წარწერები ზოგისა მათში მეტად ძველიც არის, ზოგს ხუცური წარწერაც აქვს, უმეტესი ნაწილი კი ასეთის ქვების აქა-იქ მიწაშია ჩაყრილ-ჩაფლული, ზოგიც ყორვებში ჩატანებული. ეკკლესიის გალავანში აქა-იქ ჰყრია დიდრონი საფლავის ქვები, მშვენიერის ჩუქურთმით მოქარგულნი,

ორი დიდი ქვა და სხვა და სხვა ქართულ ასოებს გარდა ზედ ჩუქურთმით გამოქანდაკებულია ჯვრები და ისეთი საეკკლესიო ნივთები, რომელ ნივთებიც მხოლოდ მღვდელ-მთავრების საფლავის ქვებზე იხმარებოდა. ეს ქვები მე მიმაჩნია ქართველ მღვდელთ-მთავრების ქვებათ. იგინი ეკკლესიიდგან უნდა იყვნენ აყრილი და კარში გამოტანილი. რაც შეეხება ჩუქურთმით ხელოვნობას იგი შეეხება XI-XII საუკუნოების ქართულ ხუროთ მოძღვრებას. ეკკლესიის გალავანში და გალავანს გარეთ მოიპოვება მაგალითებრ ასეთ ქართველთ კათოლიკეთ მიცვალებულთ საფლავები და საფლავის ქვის წარწერანი:

– „კაუხჩოანთ აკოფაა 1790 წ. კაუხჩოანთ მათეოზის მეუღლე ელენე 1796 წ. კაუხჩოანთ (აღარ სჩანს გვარი და სახელი კარგათ) ეკუთვნის 1786 წ.“ და სხვანი. გოკიელოვების გვარის წევრნი სჩანან რამდენიმე, რომელნიც XVIII საუკუნეს ეკუთვნიან. ესენი აქ სამეგრელოდგან უნდა იყვნენ ვგონებ მოსულნი და კათოლიკობასთან დაკავშირებულნი. ქვების წარწერანი ძლივს გაირჩა, ამ ორ სამ წელს წვიმა მთლათ გადარეცხს. 1784 წ. სჩანს გრიქორა, 1777 წ. ქართული ნაწე-

რი გვარი არ სჩანს. „1784 წ. ჩინჯიჯიაანთ ხეჩოას ასული თე-
რეზია“. გოგინოვების გვარის წევრთა ოთხი ძველი ქვაა,
XVIII საუკ. ერთი: – „1770 წ. გოგინოვი პეტრე ძე, მა-
რიამ მელქონაი (?)“ მეორე: – „გოგინაანთ სტეფანეს მეუღლე მე-
ლქონია 1799 წ.“ აქვე ასაფლავია ცნობილი მოძღვარი ხიზა-
ბავრელი ქართველ კათოლიკეთ მქადაგებელი იოსებ ხუციანო-
ვი 1806 წ. მიცვლილი. 1860 წ. ქართველ კათოლიკეთა
მოძღვრის მამა სიმონ ასლანოვი. ეს მოძღვარი 45 წ. განმა-
ვლობაში წევრათ იყო ახალციხის კათოლიკების სასულიერო
გამგეობაში და ყოველთვის ქართულად სწერდა როგორც
ქართველთ შთამომავალი. ასაფლავია აგრეთვე მოძღვარი
მურადოვი, წელი აღარ სჩანს ქართულად ნაწერი. მამა-
ჯანოვის მეუღლე ელენე 1801 წ. და მრავალიც სხვანი ენით
მოუთვლელნი, რომელთაც სულ ქართული წარწერები აქვს,

ხოლო გვარები-კი სომხურად და თათრულად გადაკეთებული.
მაგალითად: ყარქისალოვი და ამგვარნი. არის კიდევ: – „ეს
არს სამარე კათოლიკეთ წ˜ვ ი˜ე ეკკლესიის ბაროხის აბი-
ნაათ იესეს ძის (იესაშვილი) ტერ სტეფანის შობ. 1771-1842
წ." ერთ ქვაზე სწერია: „ეს არს სამარე ახალციხელის პროვიქა-
რის გრიგოლ კრუხიჭამიაანთი მიიცვ. 1786 წ.“

გრიგოლ მღვდელი თავის დროის კვალად წარჩინებუ-
ლი მოძღვარი ყოფილა, კოსტანტინეპოლს და რომში გაზ-
რდილ-ნასწავლი. ეს ყოფილა გვარად ისარლოვი: კრუხიჭა-
მიაანი ამ გრიგოლ მღვდლის მამისთვის ახალციხელებს ხუმ-
რობით დაურქმევიათ. ამ მღვდლის გარდაცვალებით ახალცი-
ხეში მოსპობილა ისარლოვების გვარის წევრთა რიცხვი სა-
სულიერო წოდებაში. ერთ ქვაზედ მოხსენებულია შემდეგი
ეპიტაფია:

„მივეცი ხარკი ბუნებას, ვით დაარსებით წესია,
ვაგლოვნე მოყვასნი ჩემნი, ვითარ მე დამითესია,
მზე და მთვარე დამიბნელდა, სამარეს ჩავეთესია,
ლოდი მომიძღვნეს გულზედა, სადგური ჩემი ესეა,
არუთინ მურვანოვის ძის საფლავი სტეფანესია,
წამკითხველნო ღმერთს ევედრეთ, როგორც ქრიტიანთ წესია“.

1860 წ. და მრავალნიც სხვანი, უთვალავნი, ძველნი
და ახალნი საფლავის ქვები, ქართულის წარწერებით, რო-
მელთაც რაღა ფიქრი უნდა, რომ XVIII საუკუნოებში ქარ-
თულათ არავინ დააწერდა საფლავის ქვებს, რომ ქართველო-
ბის რამე ნიშან-წყალი არა სცხებოდათ. ამას ჩვენ მიტომ
ვამბობთ, რადგანაც XVIII საუკუნეში, ოსმალეთში, არამც
თუ ქართულად საფლავებზე წარწერა, არამედ ლაპარაკიც-კი
იგმობოდა და იდევნებოდა. 1866 წ. ეკკლესია შეუკეთებიათ
ახალციხელთ ძველ მოქალაქე აზნაუროვებს, ეკკლესიის სამ-
რეკლოს შემდეგი ქართული წარწერა აქვს:

„სამრეკლო 1881 წ. აღაშენა ესე ელისაბედ თუმანოვის ასულ-
მა აზნაუროვის ქვრივმა თავისის და მშობელთა სულის საოხად.“.

იმავ თავიდგანვე ეს ეკკლესია ქართველთ კათოლიკეთ

საკუთრება იყო. აქ წირვა ლოცვა ლათინის პატრების და კაფუჩინებისაგან სრულდებოდა ლათინურად და ქართულად. რადგანაც არზრუმის სომეხ-კათოლიკებმა 1780 წლიდამ ხანდისხან გადმოსვლა იწყეს, ამიტომ, იმ დროს ამ ეკკლესიაში სომხურად ამბობდენ ზოგიერთ ლოცვებს. შემდეგა და შემდეგ-კი საქმე ისე მოხერხდა, რომ ახალციხის ორსს ეკკლესიაში სომხურად დაწესდა წირვა-ლოცვა. უკანასკნელ ეს განკარგულება სამღთო წესათ დაიდო და ამიტომ დღეს ეს ჯვარის ეკკლესია სომეხ-კათოლიკეთ ეკლესიათ ითვლება. ეკკლესიას აქვს ბევრი ძველი შესანიშნავი ხატები, რომელნიც XVI-XVII-XVIII საუკუნოებში უნდა იქმნეს პატრებისაგან რომიდამ მოტანილი. შიგ ეკკლესიაშიაც ერთი სომხური წარწერაც არ მოიპოვება. ეკკლესია ფართო არის.

წმ. ივლიტის ეკკლესია (ახალციხეს), ძველადგანვე იყო ქართველებში ცნობილი. ეკკლესიის სახელწოდების მეოხებით სოფელსაც ივლიტა დაერქვა. ივლიტა პირველად ქართველთ გააშენეს XII საუკუნეს, ოცხეს წყლის ნაპირას, სწორედ იმ კლდის ახლოს, სადაც დღეს ივლიტის ეკკლესია არის დაშთენილი. ეს ეკკლესია ოსმალთა დევნის მეოხებით XVII საუკუნის დამდეგს შეჩვენებულის ბექა ათაბაგის ბრძანებით დააქციეს. ივლიტაში ქართველთ რიცხვიც მაშინათვე მოისპო. ყველას გათათრების ეშინოდა. ნამეტურ ეს შიში მაშინ უფრო წავიდა წინ, როცა ბექა ათაბაგი გათათრდა და ხალხსაც დაუწყო გათათრება. საქმე უბედურათ დატრიალდა. ქართველთ ივლიტას თავი გაანებეს. მერე ოსმალთა და ქართველთ შორის ომი დაიწყო. ამ ომის დროს ოცხეს ნაპირიდამ ივლიტის ეკკლესია ყუმბარებით დაანგრიეს. ძველ ეკკლესიას წარეხოცა თავისი სახე, პირ-ქვე დაემხო, ქვები და მთლათ ეკკლესიის კედლებმა ოცხეს იგრიალა. იქ მაშინ ქართველთ კათოლიკეთა რიცხვიც მრავლობდა. იგინი ვაჭრობას მისდევდენ, რადგანაც მაშინ ივლიტა ქრისტიანთ

ქალაქათ ითვლებოდა. დაქცეულ ეკკლესიის ნაშთები ქართველ კათოლიკებმა მალე შეკრიბეს, ერთად დააწყეს და მერე ფაშას კაცი მიუგზავნეს, ქრთამი მისცეს და ეკკლესის გაკეთების ნება ითხოვეს, ფაშამ ქრთამით ნება დართო ეკკლესიის შენობის.

დაიწყეს ახალი ეკკლესიის აშენება და მალეც აღაგეს იმ ალაგას, სადაც ძველი იდგა, რადგანაც ხალხს ეს ივლიტის ეკკლესია დიდათ უყვარდათ, ამიტომ ახალ კათოლიკის ეკკლესიასაც ივლიტის სახელი უწოდეს. ეს ხანა უახლოვდე-

ბა 1640 წლებს. განვლო XVII საუკუნემ და ეს ეკკლესია ერთხელ კიდევ ააოხრეს ოსმალოთა. აოხრება ისე მძლავრათ მოხდა, რომ მის წელში გამართვა შემდეგისთვის ვეღარავინ გაბედა, ყველას ეშინოდათ. ამაობაში მოაღწია XVIII საუკ. და ამ საუკუნეში ქართველ კათოლიკეთ დახმარებით ეს ეკ-კლესია განაახლეს ახალციეხელ მოქალაქე ქართველ კათო-ლიკეთ ვაჭრებმა მეფისაშვილებმა. დღეს ყველა ამბობს, რომ ივლიტის ეკკლესია მეფისაანთ გვარის წევრთაგან გაკეთებულაო. ეკკლესია თვითონ ღარიბია. სამრეკლო რომ არა ჰქონდეს, უამისოთ კაცს ეკკლესიის გარჩევაც ვერ შეეძლება უბრალო მიწურის სახლიდამ. ამ ეკკლესიის განახლება, ანუ გაკეთება 1825 წლებს მომხდარა, როცა ოსმალთაგან ქრისტიანები დიდს დევნაში იყვნენ, სდევნიდნენ ნამეტურ საქართველოში მცხოვრებს ქრისტიანებს და მათ თუ არ ივლიტის მსგავსი ეკკლესიის გაკეთება, სხვა გეგმით ეკკლესიის გაკეთების ნე-ბას არავის აძლევდენ, არ აძლევდენ მით უფრო, რადგნაც ქრისტიანობის სიმძულვარესთან დიდი შურიც ჰქონდათ. აი ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ივლიტის ეკკლესია ასე ღარიბად აღუშენებიათ.

ივლიტა ადრე კარგს დაბათ ითვლებოდა, რადგანაც ახალციხეში სულ გამაჰმადიანებული ქართველნი ცხოვრებ-დნენ, ანუ თათრები. ქრისტიანებს აქ გამრავლების ნებას არც-კი აძლევდნენ. ამათი ბინა ივლიტა იყო. ივლიტიდამ ქართველთ ახალციხისკენ გადასვლა და გამრავლება 1780

წლებიდამ იწყეს. ამისთვის იგინი ფაშას დიდს ხარჯს ანუ ქრთამს აძლევდნენ. დღეს ივლიტას 8-10 კომლი-ღა არის მცხოვრებ ქართველ კათოლიკებისა. ეკკლესიას აქვს 12 არ-შინი სიგრძე, 5 არშინი სიგანე, ამდენივე სიმაღლე. ძველის დროიდამ აქ ხან ლათინის წესს-რიგის პატრები განაგებდნენ და ხანდისხან სომხის წესს-რიგის ხუცები. წირვა-ლოცვა და ქადაგება უმეტესად ქართულს ენაზედ სწარმოებდა, სხვა ენა აქ საჭირო არ იყო. ძველადგანვე ივლიტაში ქართული ენა მეფობდა. დღესაც ამ ეკკელსიის სასაფლაოზედ მთლად ქარ-თული ნაწერიანი ქვები მოიპოვება, უმეტესი მე XVIII სა-უკუნის ნახევარს ეკუთვნის და უძველეს დროის ქვებს-კი წარხოცვია თავის სახე და იქ აღარაფერი სჩანს. მაინც აქ არის ქართული ნაწერიანი ქვები: 1768 წ. ქისტანაანთ გრი-გორას მეუღლე შუშანა (?) სტეფანეს შვილი მიხეილი 1772 წ. არის კიდევ ფირალოვის, მეფისოვის, ბატონჯანაანთ, ფარემუზაშვილის, 1781, 1782 და სხვანი. ყაუხჩაშვილის 1766 წ. შამირას მეუღლე კათარინე 1782 წ. შამირაანთ გრიგოლას შვილი 1760 წ. 1793 და 1765 წ. და მრავალიც სხვანი, რომელზედაც ყველგან ქართული წარწერები მოიპო-ვება. ყველა წარწერას ცხადათ ეტყობა ქართული ენის ცო-დნის ბუნებრივი ხასიათი და არა უცხო ტომის, რაც ხშირია ეს იქ, სადაც ქართულს ენას ხმარობენ, სწერენ და კითხულო-

ბენ უცხო ტომის ძენი, ანუ ქართული ენის ბუნებითის კანონებით ვერ გამომხატველნი. ივლიტას ძველად ხურსიძეებსაც ხშირად უვლიად სალოცავად და ღამის თევად, ამათგანაც მოსდიოდა შეწირულება.

ივლიტის მღვთისმშობლის ხატის შესახებ მღ. თომა ჩილინგაროვმა შემდეგი გარდმოგვცა: „ივლიტის საკვირველ მოქმედი ხატი ართვინიდამ მოუტანია ერთ კათოლიკის დედა-კაცს. ძველად ეს ხატი ოსმალთ მოუტანიათ ერთის ეკკლესიდამ. მერე მათგან ამ დედა-კაცის ნათესავებს დაუხსნიათ. შემდეგ ამ დედა-კაცს რგებია მხვედრათ.ძველადგენვე ამ ხატს ისე განეთქვა სახელი, რომ ივლიტას ქართველ კათოლიკეთა ღამის თევაც გაუჩინეს. დღესაც აქ

ხშირათ მოდიან სხვა და სხვა კუთხის კათოლიკენი და ღამეს უთევენ“.

ივლიტა ოცხეს ნაპირას მშვენიერ ალაგას სძევს, ეკკლესიის ახლოს, მღვდლის თომა ჩილანგაროვის შრომით მომსვლელთ მლოცავთათვის კარგი სახლი გააკეთეს. ეკკლესიაც და ეს სახლიც მეტად ღარიბია, სახსარი არსაიდამ არა აქვს, შენობის გაკეთება-კი საჭირო იყო, რადგანაც ხშირად ღამის მთეველნი კარში შთებოდნენ და მით წვიმა ავდრისაგან ავათაც ხდებოდნენ. ეკლესიას აქვს თითო ოროლა ძველი ნივთები და ხატები. უმეტესი ნაწილი ძველის ნივთების კი ძველადგანვე დაკარგულა. ძველად ეს ეკკლესია ოსმალთ მტაცებელთ ხშირად გაუქურდავთ. ეკკლესიის მახლობლივ აქაიქ არის ძველი საფლავის ქვებიც ქართულ წარწერიანი, წარწერა აღარ ეტყობათ. დრო ჟამს წაურეცხავს.

ყოფილა ისეთი დრო, რომ ივლიტის ეკკლესია ქონებით, მრევლით, ქართული წიგნებით და ძველის ნივთებით. ახალციხის ეკკლესიებზედ მაღლა იდგაო. ძველაგანვე აქ ყოველთვის ქართულსა და ლათინურს ენაზედ სწარმოებდა ლოცვა, სომხური შემოდის ხმარებაში 1770 წლების შემდეგ, როცა სომეხ-კათოლიკეთ მღვდელთ გავლენა ივლიტელებზედ გაძლიერდა. ივლიტას ძველად შემდეგი მღვდელნი მიცვლილან:

– „გომელ მღვდელი ბატონჯანა 1795 წ.

აწყვერელი ტერ იოანე 13 მაისს. 1763 წ.

ჩიგიაანთ ვართაპეტი, ივანე პროვაქატორი მკათათვის 16-სა 1779 წ. და სხვანიც მრავალნი.

აწყვერის ეკკლესია, აღშენებული მე XVI საუკუნის გასულს, თვით აწყვერში მცხოვრებთ ქართველ კათოლიკეთაგან მღვთის მშობლის სახელობაზედ დროის მრევლის რიცხვის კვალობაზედ იყო აღშენებული ქართული სახით, მაშინ აწყვერში მთმლად ქართველ კათოლიკენი სცხოვრებდნენ, ამიტომ წირვა-ლოცვაც აქ ხან ქართულათ სწარმოებ-

და და ხან ლათინურად. მოძღვარნი რომიდამ მოდიოდნენ აწყვერის ეკკლესია მთელ საქართველოს კათოლიკობაში იყო ცნობილი. ამ ეკკლესიის არსებობის ცნობები დღევანდლამდეც იციან გარდმოცემით, ეკკლესია ორჯერ იქმნა შემუსვრილი XVII საუკუნეში. იქ ნელ-ნელა კათოლიკეთ რიცხვიც მცირდებოდა, ზოგი ახალ-ციხეს გადმოდიოდა, ზოგი არზრუმს, ტრაპიზონს, კოსტანტინეპოლს და ამიტომ იქ კათოლიკეთ რიცხვი XvIII საუკ. ისე მოისპოს, რომ აღარავინ დაშთა, ამიტოი 1730 ეკკლესიაც დაიქცა, შემდეგ მოისპო კიდეც, ოსმალთ დაანგრიეს. ამ ეკკლესიის ნაშთები დღევანდლამდეც კი იხილვება თავისს უძველესს ალაგას. სხვა რამ ცნობებმა ჟამთა ვითარების მეოხებით ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. ახალციხელთ ქართველთ უხუცესმა კაცებმა გარდმოცემით კარგად იციან ამ ეკლესიის ამბები. თვით პატივცემულმა ქართველთ კათოლიკეთ მოძღვარმა ივანე გვარამაძემაც ბევრი რამ უწყის.

XVIII საუკუნის გამოჩენილ პატრს ნიკოლას სწორეთ ამ აწყვერის მღვთის მშობლის სახელწოდებით განუძრახავს ახალციხეში ძველის კათოლიკეთ ეკკლესიის განახლება, რომლის ხელის შემშლელათ სომეხთაგან შესყიდული მაშინდელი ახალციხის ფაშა აღმოჩენილა. ამათ შეუშლიათ ხელი, მაგრამ უკანასკნელთ მაინც აღუშენებიათ სხვა და სხვა ახალციხის კათოლიკეთ დახმარებით და სახელათ იგივე რომის ეკკლესიის საზოგადო სახელი „სავარდისი“ უწოდებიათ, რომელიც ზემოთ აღვწერეთ.

აწყვერში როგორც გაქრა ქართველთ კათოლიკეთ ტაძარი ოსმალის ბოროტების მეოხებით, იქ ისევე გაქრა ქართველ კათოლიკეთ რიცხვიც. ამაზედ მწარე ხვედრი მოევლინა აწყვერის ქართველთა დიდს ტაძარს და შეიმუსრა მათგან სასტიკათ, რომლის კედლებიც დღეს გულ-ცეცხლით აღვსილი და სასტიკათ შემუსვრილი მწუხარებით უმზერს თვის მიდამოებში მყოფთ გათათრებულთ ქართველთ და მათგან თვის ვინაობის დავიწყებას.

ძველად აწყვერის კათოლოკეთ მღვდელნიც აწყვერელად იწოდებოდნენ, მაგალითებრ, როგორც ივლიტას ეკკლესიის წიგნში მიხსენებულია კათოლიკეთ აწყვერელი მოძღვარი, რომელიც ივლიტას მიცვლილა 1783 წ. მაგალითებრ: – „აწყვერელი ტერ-იოანე მიიცვალა 23 მაისს, 1783 წელს“. სჩანს, ამ წელს აწყვერის კათოლიკეთ ეკკლესია ახალი გაუქმებული ყოფილა.

მღთის-მშობლის მიძინების ეკკლესია (ახალციხის მაზრა, სოფელ უდეს). ეს ეკკლესია აღშენებული არის ქართველ

მართლმადიდებელთაგან XI საუკინის გასულს, ბაგრატ მესამის დროს. იგი აღშენებულია იმ ეკკლესიათ შენობის გეგმით და ხუროთ მოძღვრებით, როგორც საქართველოში ქრისტიანობის აღორძინების შემდეგ ქართულ ეკკლესია მაშენებლობა მესამე ხარისხის გეგმით იქმნა წოდებული. პირველი ხარისხის გეგმას წარმოადგენს: მცხეთა, გელათი, ალავერდი, ხახული, ზარზმა, საფარა, სიონი და მისთანანი. მეორე ხარისხის: – ტბეთი, მეტეხი, სამთავისი, ბოლნისი, კუმურდო და სხვა. მესამე: სხალტა, ანჩხატი, პარხალი და მისთანანი. უკანასკ. გეგმას ეკუთვნის ზემოხსენებული ეკკლესია და მასთან მთელს მესხეთს, ჯავახეთ და სრულიად დასავლეთ საქართველოში ქართველ და სომეხთ კათოლიკეთაგან პყრობილნი ძველი ეკკლესიები. დღეს თუ სადმე მათში ახალი ეკკლესიები შენდება, იგინიც ამ გეგმას ემორჩილებიან, მხოლოდ მცირე საჭიროების გამო განსხვავებას აძლევენ.

უდის ეკკლესია ყვაოდა ისევე, როგორც XI- XII და XIII საუკუნოებში, თვით საქართველოც სახელოვნებდა. პირველი მახვილი ამ ეკკლესიას მონგოლებთაგან ხვდა XIII საუკ. ბოლოს. ამ დროს სამცხეში ქართველთა შორის კათოლიკობამ იწყო აღორძინება. XIV საუკ. ნახევარს იგი დატოვებული იქმნა ქართველთ გვარის კათოლიკეთათვის, სადაც განაგებდნენ და მწყსიდნენ ლათინის წესს რიგის პატრები.

XV საუკუნის შემდეგიდამ ამ ეკკლესიამ მრავალ გზით გამოსცადა მტერთაგან დევნა და მუსვრა. ხშირად იგი საძირკვლამდისაც შეურყევიათ, ნამეტურ მე XVI-XVI1- XVIII საუკუნოებშიაც-კი და მისს შემდეგ ნელ-ნელი განახლება მიეცა, რაის გამო ძველს ტაძარს თავისი წინანდელი სახე სრულიად წარხოცია. ასეთ უბედურებათა გარდა, კაცის ხელის მტრობის გარეშე თვით ბუნებამაც მასზე მოიცალა და ორჯერ მეხიცა დაეცა. ბუნების ასეთს მრისხანებას, ამ ეკკლესიის გარდა, ვერც ტბეთი ასცდა. ხახული, ოპიზა,იშხანი, ანჩა, სხალტა და სხვანი, რომელთაც საკმარის შერყევის გარდა, კედლების რღვევით-კი არა აკლდებოდა რა. ეკკლესია ძველად დახატულ ყოფილა ფერადის წამლებით. დღეს ამისა აღარა ეტყობა რა.

ეკკლესიას აქვს შვიდი საჟენი სიგრძე, ათი არშინი სიგანე და თორმეტი არშინი სიმაღლე. ძველ კარის შესავალთან ძველადვე მიდგმულ ყოფილა დიდი სამრეკლო. სამრეკლოს კარგი გუმბათიც აქვს. სამრეკლოს გვერდის კედლები ამოუშენებიათ ძველადვე. ამიტომ ეკკლესიის გზა შეკრულა, თვით სამრეკლოს ქვებიც დაძველებულა; ეკკლესიას ძველს შესავლის კართა გარშემო დატანებულია რამდენიმე ჩუქურთმიანი კარგი ქართულის წარწერით ქვები. ეკკლესიას აღმოსავლეთ კედელზედ აქვს ოთხი ქვა, რომელზედაც ჯვრებია დახატული. დასავლეთ ეკკლესიის კედელზედ მაღლა ერთს ქვაზედ არის ქართული წარწერა, დღეს ძნელათ გასარჩე-

ვი, მხოლოდ სჩანს 1802 წ. დასავლეთით სჩანს კიდევ შემ-
დეგი: *) ვგონებთ ეს უნდა აღნიშნავდეს იმ დროის
განმანახლებელთა მოხსენებას და განახლების დროს აღმო-
სავლის კედელში, ერთ ქვაზედ მოიპოვება ხუცური წარწე-
რა, მეორე ქვაზედ არის ქართული მხედრულის წარწერით
შემდეგი: და მერე ამ უკანასკნელ ასოს გვერდით მიხა-
ტულია რაღაცნაირი თევზი. ეს ასოები ვერავის გაურჩე-

*) აქ რაღაც ქალდეური ანბანის მსგავსი ხაზებია.

ვია. ჩდილო მხრის კედელზედ აქა-იქ ქვებზედ სჩანს ხუცუ-
რი ასოები ნელად საკითხავი, შემდეგი ასოები-კი სჩანს.

კარის ბჭეში მიწერილია შემდეგი მხედრულათ: „სახელი-
თა ღთისთა აღშენებულ იქმნა დამატება ი. წ. 1862 წ." ეკკლე-
სიის გარშემო ოთხს ალაგას აწყვია ძველი თლილი ქვები,
რომლებზედაც გამოქანდაკებულია მღვთის მშობლის სახე მაც-
ხოვრით ხელში. ერთ ქვაზედ ოთხ კუთხივ გამოჭრილია სე
რაფიმ ქერაბიმი და ზოგიც სხვა წმიდანები. მრავალიც სხვა
წარწერები აქვს, მაგრამ ყველა იგინი გაუქმებულა. XIX
საუკ. ამ ეკკლესიას მეხი ორჯელ დასცემია, 1855 წ. და
1899 წ. ეკკლესიაში ძველი ხატები და ნივთები არაფერია,
ძველად-კი მდიდარი ყოფილა ეს ეკკლესია ძვირფასის ხელოვ-
ნურის ხატებით და სამკაულებით, მაგრამ ყველა იგინი ადრე
თათრებს დაუტაცნიათ. 1829 წ. რუსეთმა რომ ახალციხე აი-
ღო, მაშინ აჭარლები ჯავრით დაეცნენ ამ ეკკლესიას და ისე
გაცარცვეს, რომ შიგ აღარაფერი დასტოვეს, ძველის ძველი
ნივთები სულ მაშინ დაიკარგა, ეკკლესია ცარიელი დაშთა.
ომიანობის დამშვიდების შემდეგ მრევლმა იზრუნა და შეწირ-
ვით კვალად მოუგროვდა მცირე-რამ ნივთების, მაგრამ ძრი-
ელ უფასურის. შემწირველათ სჩნდებიან თვით სტამბოლს
მყოფნი ქართველთ კათოლიკე ვაჭარნიც, რომელთა მოხსე-
ნება ქართულათ ასეა:

„ღმერთმან განაძლიეროს სტამბოლს საერთო ახალცი-
ხელ ვეზირხანაში მყოფნი, რომელთაც ერთი ყო˜დ წმ.
მღვთის მშობლის ხატი."

„ღმერთმა მღებრიაანთ ოვანესას ქალი მაქთაღინა (?),
რომელმანც შესწირა ეკკლესიას ერთი ოქროთი დაფერული ვე-
რცხლის ღილი." არის კიდევ: .

„ერთი წირვა უნდა იწიროს მამაულაანთ არაქელასათვის (!) შე-
წირულ ყანისათვის ფული ელენასაგან უნდა მიეცეს. კიდევ ნიმუ-
შად:

„ღმერთმა შეიწყალოს შოშიაშვილი *) (ნალბანდოვი) ანტონა,

*) დღეს ნალბანდოვები.

რომელმანც შესწირა უდის ეკკლესიას თავის დედ-მამის ოსეფას (?)

სულის მოსახსენებლად ერთი წყვილი ბაჟაკის შუშა,“ და ამ გვარეზი სხვანი, სადაც გვარები სრულ ქართულია და სახელები-კი უკვე სომხურია. აქ თქვენ ნახეთ, რომ მოხსენებული მღებრიშვილი, მამულაშვილი და შოშიაშვილი ქართული გვარეზია, სახელები-კი სომხური. საინტერესოა კიდევ შემდეგი:

„ღმერთმა შეიწყალოს დავითაანთ აფრიამას ქალი ანნა, რომელმანც შესწირა უდის ეკკლესიას თავის ბიძა მიქელას სულის მოსახსენებლად ქართულს სახარებაზედ მოსახვევი ერთი ვალის (?) ხელმანდილი.“ ვალი რაღაც ფარჩის თუ სხვა რამის სახელი უნდა იყოს. ეს შეწირულება შეეხება 1780 წლებს.

ეკკლესიაში მოიპოვება სხვა-და-სხვა ძველი და ახალი ქართული და სომხური საეკკლესიო დაბეჭდილი წიგნები. აქვე შენახულია ამ ეკკლესიის კონდაკი, რომლის ორი-სამის ფურცლის შემდეგიდამ 1787 წ. იწყება. აქ მოხსენებულ არიან დაბადებულთ ცნობა, მონათვლის, ჯვარისწერის და ეკკლესიის შემწირველთა გვარები. ეკკლესიას აქვს თავისს ძველი ზარებიც. მისს სასაფლავოს ქვებზედ მოიპოვება ბევრი წარწერებიც, რომელიც XVIII საუკუნეს შეეხებიან. აქ ასაფლავია პ. ხარისჭირაშვილის პაპის დედა ბებერა. პ. ხარისჭირაშვილის პაპას პავლე რქმევია. ეს ხანა მისწვდება 1740 წლებს. ამ სოფლის მრევლთა წინაშე 1800 წლიდამ დღემდე შემდეგნი მღვდელნი ყოფილან: ტერ სიმონ ბალახოვი, ტერ ანტონ აკოფოვი, ტერ პოღოს ლაზარევი, ტერ პეტროს ლაზარევი, ტერ სიმონ ბალახოვი და სხვანი; ზოგთა სახელი არა სჩანს. დღეს განაგებს მღვდელი სიმონ ჩილაშვილი, ქართულ ენის და წერა-კითხვის კარგად მცოდნე, ქართული ენით მოქადაგე და ქართველ კათოლიკეთ დიდათ გულშემატკივარი. დღევანდელი მდგომარეობა ეკკლესიისა არის მეტად უნუგეშო. ეკკლესია მეტის სიძველისაგან დახავსებულა, კედლები შერყეულა, მეხსაც დიდათ დაუზიანებია. ლონფინი აჰყრია, აქა-იქ გარღვეულა, დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. დარღვევ-დაქცევა მუდამ დღე მოელის, ღმერთმა-კი ნუ ქნას,

თორემ თქვენი მტერი, ჩვენი ქართველ ერის ცხარე ცრემლი მაშინ დაინთხევა, დახმარება არის საჭირო, მიშველება. დიდი შიში აქვს ამ ეკლესიას, დიდი. მეორე 1500 სულისთვის ეს ეკკლესია ძრიელ პატარა არის. შიგ 300 სულიც ვერ ეტევა, თუმც აივანიც აქვს, მაგრამ წირვის დროს ქალები, ყმაწვილები და კაცების უმეტესი ნაწილი სულ კარში სდგანან.

ხალხი ქართველი გვარის არიან, ქართულათ მოლაპარაკენი, ზრდილნი, მწიგნობარნი, ქართველების პატივის მცემელნი, ქართული ენის მეტრფე და მედავენი. მცხოვრებთ გვარების უმეტეს ნაწილს-კი ჟამთა ვითარების მეოხებით ზოგთა სახე შესცვლიათ, გადაკეთებიათ. ზოგის ფორმა-კი ისევ ძველია, ძირეულად ქართული. სოფელს აქვს საკუთარი სკოლა, სადაც 80 ყმაწვილი სწავლობს. აქვე არსებობს „წერა-

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან“ დაარსებული ქართული სამკითხველო. ხალხი მეურნეობას მისდევს, მოჰ-ყავთ ხილეულობა. საქონლის გამრავლებასაც მისდევენ. ერ-ბო, ყველი, რძე კაი იცის, ფრინველიც მრავალია. ვაზი ვერ მრავლობს, ძველად-კი ყოფილა. ოსმალთა ფლობის დროს ამოვარდნილა ძირიანად. გლეხკაცობა მხნეა, ქველი, მუ-შაობაში გამრჯე. მამაკაცთა ტანთსაცმელი მესხურია, დედა-კაცთა ოსმალური, შიგა და შიგ დედა-კაცებთ შორის საზო-გადოთ ქართველ ქალთა ტანთსაცმელიც იდგამს ფეხს. რამდე-ნიმე ქალი ასე მორთულები ვნახე. ერთს დღესასწაულს დღეს დავესწარ ამათ ეკკლესიაში და იქ მთელი სოფლის ხალხი იყო მოსული. ხალხი მღვთის მოსავია დაქართული ლოცვე-ბი ზეპირათ იციან ისევ, როგორც სხვაგან ქართველ კათო-ლიკებმა. მღვდლის მოხმარება და დიაკვნობა თითქმის ყველას შეუძლიანთ. ამ სოფელში 300 მოსახლეა. 50 კომლი ქარ-თველ მაჰმადიანები არიან. მათში ქართული ენა ოჯახში აღარ ისმის, ამოვარდნილა. ქალს, კაცს და ჭაბუკს ქართვე-ლობა ჭირივით სძულთ. ქართული ენის მხრით ამ კუთხეში კანუ ქვაბლიანში სოფ. უდე თითქმის მფარველად და გამავრცე-

ლებლად უნდა მივიღოთ. ამ სოფლის მცხოვრებთ ქართული ენის ხმაურობას შეეძლება რომ აქ ქართულ ენას ძირი არ მოეთხაროს. ამას მხოლოდ ხელის შეწყობა უნდა და მფარ-ველობა. ეს ჩვენთვის დიდად საყურადღებო-კი უნდა იქმნეს, რადგანაც მთელს ქვაბლიანის ქართველ მაჰმადიანთ სოფლებ-ში ქართული ენა ამოვარდა, დღეს მხოლოდ ქართველ კათო-ლიკებში შენახულა. უდელნი ვაჭრობასაც მისდევენ, სხვა და სხვა ქვეყნებშიაც მგზავრობენ.

ადრე, ქართველობის დროს, ამ სოფელში ოთხი ეკკლე-სია ყოფილა, დღეს მხოლოდ ორიღა არის დარჩენილი და მესამეს საძირკველი. ეკკლესია არის პატარა, აღშენებულია XIII საუკუნის ბოლოს, 3საჟენი სიგძე აქვს, 2 საჟენი სიგა-ნე, სამი სიმაღლე, თლილი ქვით არის ნაშენი. ძველადგან ეს ყოფილა კათოლიკე ეკკლესიათ დანიშნული. შიგ პატარა აივანიც არის. დღეს იგი დაკეტილია და დიდს შერყევაშიაც არის მოსული. ძველად, XIII საუკუნეში, იგი აქ აღუშენე-ბიათ ქართველთათვის, შემდეგ კათოლიკებზედ გადასულა. ხალხს აქ ულოცნია კარგა ხანს. დღესაც წელიწადში ერთ-ხელ უხდიან დღესასწაულს. ამ ძველ ეკკლესიასაც მღვდელი ს. ჩილაშვილი პატრონობს.

უდის ეკკლესიის „კონდაკი“ იწყება 1780 წ. მხოლოდ სამს ფურცელს წელი არ უზის-კი, 1787 წ. რიცხვი იწყება, მოხსენებული გვარი და სახელები მთლათ ქართულია, ზოგს კი სახე შეცვლილი აქვს, მაგრამ მაინც ნიშან წყალი აცხია. ძველად ამ ტაძარს ქართული წიგნებიც მრავლად ჰქონია. პირველ ხანებში აქ წირვა ლოცვა და ქადაგება ქართულად სწარმოებდა, ხან ლათინურად. საინტერესო ნაშთებია ამ სო-

ფელში დაშთენილი, თუმცა ეს ნაშთები მცირენი არიან, მაგრამ სიძველით კი საყურადღებონი. სოფელის მცხოვრებთ შორის ქართული მეტყველება და წერა-კითხვა ფეხს იდგამს. სანატრელია აქაურ კათოლიკეთ ახალთავობის წარმატება, წინ წასვლა. ხალხი მშრომელი, დედამიწას მძლავრად ამუშავებენ, ხოლო თათარ მებატონეთაგან დიდს შევიწროებაში

არიან, თათრის მებატონე სასტიკათ სდევნის, მტრობა აქვს. მცხოვრებთ რიცხვი-კი დიდათ გამრავლდა, აქეთ იქით დადიან და ადგილებს ეძებენ. ამბობენ იგინი: იქმნება ზოგნი გადავსახლდეთო, ამიტომ მათ ქართლში გორის პატრსაც მომართეს, იქმნება გორის კათოლიკის ეკკლესიას სადმე ადგილები ექმნესთ და ჩვენ დაგვასახლოთო. თხოვნა შეწყნარებას ეძლევა, პატრი გაბრიელ ასლანიშვილი ქართლში მათვის ადგილებს ეძებს, გადმოსახლება უნდა. დახმარებას ჰპირდებიან სხვა და სხვა კეთილ მოღვაწე გვამნი. სტეფანე ზუბალოვმა 1000 მან. შესწირა.

მღთის მშობლის ეკკლესია (ახალციხის მაზრა, სოფელი ვალეს). ვალე ძველი სოფელია, კათოლიკობა ქართველთ შორის აქ ძველადვე აღორძინებულა. თითქმის მე XIV-XV საუკუნოებში. ძველად ამ სოფელში მთლად მართლმადიდებლები სცხოვრებდნენ, შემდეგ ესენი ძალით გაუთათრებიათ. გათათრების დროს ზოგნი კათოლიკობას დაკავშირებიან და მით გადურჩენიათ თავი. გადარჩენილთ გამრავლებაც დაუწყვიათ. უკანასკნელ იგინი იქამდე მისულან, რომ მათთვის საჭიროთ გამხდარა ეკკლესიის აღგებაც. 1670 წლებში ეკკლესიაც გაუკეთებიათ. მღვდლათ ჰყოლიათ ლათინის წესს-რიგის პატრი. წირვა-ლოცვა ძველადგანვე აქ ისევე ქართულად სრულდებოდა, როგორც ეს სხვაგან იყო. ხსენებული ეკკლესია ოსმალთაგან მრავალ გზის შემუსვრილა, ყოველთვის საკმარისად ამზნევდნენ. XVIII საუკ. იგი საძირკვლამდე შემუსვრეს. შემდგომ მისი განახლება შეუძლებლათ დაინახეს, ამიტომ კათოლიკენი დაეპატრონენ ვალეში მდებარე ქართველთ ერთს ძველს ეკკლესიას, რომელიც ცარიელი იყო და შიგ არავინ დადიოდა. ვალეს და მისს მიდამოებში ქართველთ რიცხვი ძველადგანვე ამოვარდა. აქაურს კათოლიკებს არც ეს ძველი ეკლესია შერჩათ დიდხანს. იგი ისე დაძველდა და შეიმუსვრა, რომ მასში ლოცვა შეუძლებელი ხდებოდა; ამი-

ტომ მრევლი თავ-და რიგს მიეცა და 1860 წლებს, სხვა ალაგას ეკკლესიის შენებას შეუდგა.

ახალი, ანუ დღევანდელი ეკკლესია დამთავრებულ იქმნა 1862 წელს. აღგებულია თლილის ქვით. სიგრძე აქვს რვა საჟენი და სიგანე ხუთი, სიმაღლე ოთხი საჟენი. შიგ ორი წყობა აივანი აქვს, წინ სამრეკლო მიდგმული. ეკკლესიის წარწერა არის:

– „აღშენდა ეკკლესია ესე წმიდა მღვთის მშობლის სახელსა ზედა, რომელთა იშრომეს ამის აღგებაზედა და ღმერთმან საუკუნო დაუმკვიდროს მათ“.

სამრეკლოზედ-კი სომხურად აქვს წარწერა. წარწერაში მოიხსენება აგრეთვე ამბავი ეკკლესიის აღშენებისა. ამაზე მღვდელს სიტყვა ვკითხე, თუ რატომ დააწერეთ სომხურათ? მან მომიგო:

– „ეს სომხური წარწერა უნებლიეთ მოხდა, თორემ აქ რა საჭიროა ესაო“.

ამ ეკკლესიის აღშენეის დროს გამგეთ იყო მოძღვარი სტეფანე ზაქარიანი. ეკკლესიისათვის ზარი შეუწირავს თბილისის ვაჭარს ივანე ურგენოვს. 4 ფ 16 გირ. საუბედუროთ, როგორც სხვაგან, აქაც წირვა-ლოცვა სომხურს ენაზედ სწარმეოებს. ზოგიერთს ლოცვებს-კი ქართულათ გალობენ. სახარებასაც ქართულათ კითხულობენ. ქადაგებაც ქართულად სწარმოებს. ერს დიდი ნატვრა აქვს, რომ ეკკლესიებში თავისს დედაენაზედ ექმნეს წირვა-ლოცვა გამართული. თუმცა წირვა-ლოცვა სომხურათ აქვს მოწყობილი, ხოლო სომხური ენა, კრინტი არავის ესმის, ნამეტურ დედაკაცებმა ხომ სრულებით არაფერი იციან. ეკკლესიის გვერდით არის საფლავი ამ ეკკლესიის ძველად ყოფილის მოძღვრია: – „აქ განისვენებს მღვდელი სტეფანე გოზალოვი, ვილოცოთ კეთილ მოღვაწეობისათვის
დაიბადა 1828 გარდაიცვალა 1895 წ. მარტის 9-სა. მღვდლად კურთხეულა 41 წლისა. დღევანდელი მღვდელი სტეფანე ზაქარაანი 40 წელიწადზე მეტია, რაც აქ მღვდლათ

არის. თვითაც აქაურია. ამავ სოფლიდამ გამოსულან შემდეგი მოღვაწენი:

სტეფანე ზაქარიანი, დაიბადა 1828. სტეფანე გოზალოვი, დაიბადა 1828 წ., პატრი ანტონ გოზალოვი, ძმა სტეფანესი. აქაურები არიან: პატრი ათანასე ნასყიდოვი, პატრი კირილე, თულიევი, სტამბოლს არის, იქვე ნაკურთხი და პატრი ლაზარე გოზალოვი, ვინმე მესხი და ამისი ძე პატრი მზე ჭაბუკი, პატრი ალექსანდრე მხითაროვი, პატრი სტეფანე ნავროზოვი და სხვანი. ამ სოფლის ახლოს სძევს სოფელი სხვილისი, სადაც მოსახლობენ სომხის გვარის კათოლიკენი. ეს კათოლიკენი 1829 წ. გადმოსახლებულან არზრუმიდამა. მათში ბევრი ქართველ გვარის კათოლიკენიც ურევია, ხოლო გასომხებულნი ენით და მოდგმითაც-კი. ვალეს ეკკლესიას ძველი ნივთები სრულებით არა აქვს. რამდენიმე ქართული ხელთნაწერი სასულიერო წიგნები-კი მოიპოვება. თვით სოფელი ვალე მშვენიერი სოფელია, ახალციხი-

დან 15 ვერსზედ სძევს. ვენახოვანია, ჰაეროვანი, მოხდენილია. მცხოვრებთ რიცხვი 200 კომლია. 100 კომლი ქართველ კათოლიკენი არიან, სრულიად ქართულად მოლაპარაკენი, 50 კომლი ქართველ მართლ-მადიდებელნი არიან და 50 კომლიც ქართველ მაჰმადიანები. მართლ-მადიდებელთ აქვსთ ძველი ეკკლესია XI საუკუნეში აღშენებული, მუსულმანებს ჯამე აქვსთ. მუსულმანები მოძულენი არიან ქართველთა და ქართულს ენასაც ივიწყებენ. სოფლის მცხოვრებთ შორის სოფლიერი განწყობა არსებოს, ცოტათ მუსულმანები-კი ეწინააღმდებებიან ამ გარემოებას. ამავე სოფელში არის სამინისტროს სკოლა და ბავშვები სწავლობენ. ბავშვები ქათველ, კათოლიკებს და მართლ-მადიდებელთ ეკუთვნისთ, მუსულმანები-კი ახლოსაც არ ეკარებიან. სოფელი შეუძლოა და მეტად მიყრუებულიც არის. ხოლო მეტად მშვენიერია. ხალხი მხნეა, მეურნეობას მისდევს, ვენახებიც მრავალია, მოსავალი კარგი იცის. ხალხი თან შეუძლოც არის. ქართული წერა-კითხვა მცირედ არის გავრცელებული.

– 33 –

წმ. მამა ოსების ეკკლესია (ახალციხის მაზრა, სოფელ არალს,) აღშენებული იყო XI საუკუნეში პატარაზომის და იმ გეგმის, როგორც უდის და თვით ამ სოფლის ახლოს მდებარე რქის ეკკლესიისა, რომელიც ფოცხოვის მდინარის ნაპირას სძევს და რომელიც 1850 წლებში ოსმალთაგან დაქცეული იქმნა. ხსენებული ეკკლესია ქართველ კათოლიკებს გადაეცათ XIV საუკუნის დამდეგს, როცა აქ ქართველთ შორის კათოლიკეთ რიცხვმა თავი იჩინა. ძველადგან ამ ეკკლესიას თავის ძველი ნივთებიც აქვნდა. არალის მცხოვრებთ შორის იგი ითვლებოდა ერთათ ერთ ეკკლესიად. სხვა რამ ეკკლესია აქ არ ყოფილა. იგი საკმარისად იქმნა დაჯილდოვებული ბაგრატ მეოთხისაგან. ბაგრატის შემდეგ დავით აღმაშენებელმაც მიჰკერძა ბევრი რამ, დიმიტრი მეფემ და თამარ მეფემაც. რუსუდან დედოფლის დროს, როცა მონგოლები საქართველოს შემოესივნენ, მაშინ სოფელ არალმა და მისმა ეკკლესიამ დიდი ვნება მიიღო. მტერთა მიზეზების გამო იგი შემუსვრილ იქმნა და შერყეული. მაშინ მთელს ქვაბლიანში არალის ეკკლესიაც ისევე სახელოვნებდა, როგორც სხვა რამდენიმე ეკკლესია ამ კუთხეში. მისდა საუბედუროთ ამ ძველს ეკკლესიას არც შემდეგ დააკლდა მტერთა თავდასხმა, რყევა და ცარცვა. 1435 წ. იგი კვალად იქმნა შერყეულ-გაცარცული მტერთაგან. მაშინ დრო ისეთი იყო, რომ ასეთ უბედურებას ვერც სხვა ტაძრები ასცდნენ. გიორგი ბრწყინვალის დროს ეს ეკკლესია განახლებას მიეცა. შემდეგ დროის კათოლიკენი მის შეძლების და გვარად აძლიერებდნენ და ამკობდნენ.

რასაც ამ ნაშთსს ოსმალნი აკლებდნენ, იმას ეს წყე-

ული ჯაყელაანთ გვარის ქართველ ფაშები უსრულებდნენ. რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი ქართველთ კათოლიკეთ სარწმუნოების მხრით დიდი სიმტკიცე ეძლეოდათ, რადგანაც ქართველთ მართლმადიდებელთ შორის თათრობა ვრცელდებოდა, გმობა ქართველთა ფეხს იდგამდა თვით ქართველთ შორის საქმემ იქამდის მიაღწია, რომ XVIII საუკუნის ნა-

ხევარს არალის ეკკლესია კათოლიკების ჯიბრით და მტრობით ოსმალებმა სრულიად შეარყიეს და ძირს დასცეს. მაშინდელი მშვენიერი დიდი თლილი ქვების დღესაც იხილვება ძველ ნაეკლესიარის მახლობლივ. ერთი დიდი ქვის ხუცური წარწერა ცხადათ მოწმობს მის ბრწყინვალე ისტორიას. ქვის წარწერა ამოჭრილია იმ ხუცურის ხელით, რაც ჩვენი პალეოოგრაფიულის ისტორიის შესწავლით X საუკ. ეკუთვნის. წარწერა ისე მიმქრალა, რომ მისს წაკითხვას ვეღარავინ ახერხებს.

XVIII საუკუნეს შემუსვრილის ეკკლესიის ქვებით და სხვა მასალით ქართველ კათოლიკებმა სხვაგან დადგეს პატარა ეკკლესია, სადაც ლოცვაც მოათავსეს. აქ განაგრძეს მათ წირვა-ლოცვა. XIX საუკუნემდე საუბედუროთ ეს ხელ-და ხელ გაკეთებული ეკკლისიაც ვერ აღმოჩნდა მაგრათ გაკეთებული. ამიტომაც იგი უძლურებას ადრიდგანვე მიეცა. ამ უძლურებას აქაური ბუნების მრისხანე ძალაც აორკეცებდა. უკანასკნელ ეს ეკკლესია ისე დაძველდა, შეიმუსრა და დაინგრა, რომ მასში ლოცვა შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ მრევლმა თავს იდვა და დიდი ღწვით აწინდელის ეკკლესიის შენება დაიწყეს და 1860 წ. დაამთავრეს. არალის აწინდელის წმ. მამა იოსების ეკკლესიას შვიდი საჟენი სიგრძე აქვს, 4 საჟენი სიგანე. სიმაღლე სამ საჟენზე ცოტა მეტი. აღშენებულია თლილი ქვით. ეკკლესიის კარის ბჭესთან ორ ქვაზედ მხედრული წარწერა არის, რაც მოწმობს მისს აღშენების დროს. ეკკლესიას გარს აკრავს გალავანი, შიგ დაასაფლავებულ არიან შემდეგნი მღვდელნი:

„შემიწყალე მე ღ˜ო დიდითა წყალობითა შენითა რათა მივაგო მე უფალსა ყოველი კეთილისათვის, რომელი მომცა მე. განსვენება საუკუნე მიანიჭე უფალო პეტრე მარტიროზის ძესა პატრს ალიოზის სულსა, შობ. 1847 წ. გან. 1874 წ.“

„საფლავსა ამასა შინა განისვენებს სოფ. ვარგაველი მღვდელი პავლე ლაზარაშვილი. წამკითხველო გთხოვთ შენდობა ბრძანოთ, დაიბადა 1829 წ. გარდაიც. 1874 წ.“

„საფლავსა ამასა შინა განისვენებს მღვდელი ტერ პოლოსი ბა-

ლიხოვი ჩი წამკითხველნო წამკითხველნ გთხოვთ უმორჩილესად უფალს შემავედროთ.“ შემდეგი წაშლილია, და სხვანი, რომელთ წარწერა არ სჩანს.

ეკკლესიას ძველი ხატები, ნივთები, „კონდაკი“ ანუ ხელთ-ნაწერი წიგნები ქართული, თვინიერ დაბეჭდილების

გარდა, სხვა არაფერი აქვს. ეკკლესიას დღეს განაგებს სო-
ხების გვარის და სომხის კათოლიკის ტიბიკონზევე მდგარი
მოძღვარი. წირვა-ლოცვა, მცირე რამ ქართულის ლოცვების
გარდა, მთლად სომხურად სწარმოებს, თვით ქადაგებაც-კი.

მცხოვრებთ რიცხვი შესდგება ქართველ გვარის კათო-
ლიკეთაგან. მათი დედა ენა ქართული არის. გვარები, სახე-
ლები და სხვა ზნე ჩვეულებაც ნამდვილი ქართულია. მცხო-
ვრებთ რიცხვი 160 კომლია, 1400-ს სულზედ მიაღწევენ
ორივე სქესის. იგინი მისდევენ მეურნეობას. ხილის ვენახები
აქვსთ, პურს სთესვენ, სიმინდს, საქონელს ამრავლებენ, რძე,
ერბო და ყველიც იციან. ხალხი მეტად გამრჯელია. მათ
დიდი სიყვარული აქვსთ ქართული ენის და ქართველობის.
ხოლო ძრიელ სწუხან მასზედ, რომ იგინი სომეხ-კათოლიკეთ
არიან შერაცხილნი და დღეს მათს ეკკლესიაში სომხური ენა
მეფობს. დიდათ სურთ ქართულს ენაზედ წირვა ლოცვა და
ნამეტურ ლოცვის წიგნების კითხვა. ლოცვის წიგნებს თვით
მე მთხოვდნენ, მავალებდნენ, რომ ოდესმე მათთვის მიმეწო-
დებინა. ამათში ძრიელ ბევრი უცხო ძველი ქართული გვა-
რებიც არის დაშთენილი.

უკანასკნელ წლებს ამ სოფლის გლეხობა დიდს გაჭირე-
ბაში ჩავარდა. მათს საკუთარს სასოფლო მამულებს ვიღაც
ნასომხარი და ვითომც ძველ ათაბაგ ჯაყელიაანთ გვარის
წარმომადგენი წაედავა, მამულება ჩემიაო. ამაზე საჩივარი ატ-
ყდა. ყველგან ამ ტყუილმა ათაბაგმა მოიგო, ყველგან ფუ-
ლით შეისყიდა სამართალი და მის მეოხებით გლეხნი განტ-
ყუნდნენ. დღესაც დავა არის ამაზედ და ამ დავის მეოხებით
გლეხკაცობა უწყალოთ და უღვთოდ დაეცა ამ უსამართლო
პირისაგან. საბრალო მდგომარეობაში შთაცვივდნენ ეს ქარ-

თველნი გათათრებულ მებატონისაგან. გლეხ კაცობაში წერა-
კითხვა მცირე ნაწილმა იცის. სკოლის გახსნას ახლა ფიქრო-
ბენ და იქმნება ბედმა გაუღიმოსთ და ეშველოთ რამე. აქა-
ურ ქართველ-კათოლიკეთა აღორძინება დიდს სახსარს მის-
ცემს ქართული ენის აღორძინების საქმეს ქვაბლიანში. ქარ-
თული წიგნები მაქვნდა, დაურიგე და აღტაცებით გამომარ-
თვეს. თვით ქალებიც-კი ამბობდნენ, რომ აქ არც ქართული
წიგნები გვაქვს და არც ქართველი ჯვარის მღვდელიო. ამა-
ზედ ვცდილობთ და ვნახოთ, იქმნება ჩვენი გვარის და ენის
პატრი გვეღირსოს ოდესმეო. ძველად, რომ სოფელს არალს
დიდი ვრცელი ეკკლესია ჰქონია, ამის ამბები აქ ბევრმა მო-
ხუცმა იცის. სოფელი კარგია, ჰავიანი და შემრგო წყლებით.
სოფლის ხალხი გათათრებულ მებატონისაგან დევნილია. იგი-
ნი ღირსი არიან შებრალების, ქართველთ პატრონობის. აქ
საჭიროა მათთვის ქართული სკოლა, სამკითხველო, ქართუ-
ლი წიგნების ვრცელება.

იესო გულის ეკკლესია, (ახალ-ქალაქის მაზრა, სოფელი ხიზაბავრა). მას შემდეგ, რაც საქართველოს დასავლეთ ნაწილს ოსმალეთმა მოხვია ხელი და დაიმორჩილა, როგორც სხვაგანაც გვითქვამს, იგინი თავიანთ მახვილს ისე არსად ხმარობდნენ, როგორც მესხეთსა და ჯავახეთზედ. 1626 წ. ახალციხეს ათაბაგების მაგიერ ოსმალთა ფაშები განაგებდნენ, რადგანაც ეს კუთხე უფრო ახლო იყო, თითქმის მოსამზღვრედ ქრისტიანათ შთენილთ ქართლ-კახეთის და იმერეთ გურიისა, ამიტომ ოსმალთა იცოდნენ ეს გარემოებანი და მათ მიტომაც მოჰკიდეს მაგრა ამ კუთხეს ხელი და ქართველობა აქ დიდის მონების ჯაჭვითაც შებორკეს. აჭარის, ლივანის, შავშეთის და ყველა იმ ნაწილების, რაც-კი მათ ეკავათ და რაც-კი უფრო ბიზანტიის იმპერიის და არმენიას უახლოვდებოდა, მათი შიში და ფიქრი სულ არ ჰქონდათ, საქმეთ ეს კუთხე მიაჩნდათ, მესხების და ჯავახების შიში ჰქონდათ. პი-

რველ გათათრების შემდეგ მათ გულიც იჯერეს და მესხეთს და ჯავახეთში ძრიელ ბევრი ქართველიც გაათათრეს. ვინც არ გათათრდა, მათ დიდი რისხვა მიაყენეს: იგინი დააქციეს, დაანგრიეს, ერთის სიტყვით სიცოცხლე და ქრისტიანობა გაუმწარეს. სწორეთ ასეთ გამწარებულთ ცხოვრებას წარმოადგენს სოფელ ხიზაბავრელების წარსული და მათგან შენახული ქრისტიანობის ისტორია.

ხიზაბავრელნი ქართველ გვარს ეკუთვნის, ჯავახებს. კათოლიკობას იგინი ძველადგანვე დაკავშირებიან. კათოლიკის ეკკლესიაც ძველადგანვე აუშენებიათ, მაგრამ ეს ეკკლესია და მათი ქრისტიანობა დიდს მუსვრას და დევნაში ყოფილა ოსმალთაგან. ამ საბრალოებს მართლაცა და ყოველთვის სული და გული ჩვენი მეფეებისაკენ ეჭირათ, ჩვენსკენ მოილტოდნენ, ანუ ქრისტიანთ მფარველობის ქვეშ. ესენი იცოდნენ ოსმალთა და იგინიც მიტომ სდევნიდნენ ამ საბრალოებს და ქრისტიანობის მფარველობის გულისთვის ათასნაირს მონებით სტვირთავდნენ. ხიზაბავრელებმა ქრისტიანობისადმი პატივის ცემა და ღაღადი XIX საუკუნეშიაც აღმოიჩინეს და როცა 1828 წ. რუსეთის მხედრობა ახალციხეზედ წავიდა საომრად, მაშინ მთავარ სარდალს ხიზაბავრის გვერდით მოუხდა თავისს ლაშქრით ჩამოხდენა და ცხოვრება, რომელთაც ხიზაბავრელებმა დიდი სამსახური გაუწიეს და ოსმალთა ჩუმათ ჯარს დახმარება აღმოუჩინეს. საყოველთაოდ ხიზაბავრელნი ასეთმა ქრისტიანულმა სამსახურმა ისეთ დღეში მოათავსა, რაის გამო იგინი დიდს სიღატაკეშიაც შთავარდნენ და მათ ერთად ერთის თავიანთი ძველი ეკკლესიის შეკეთებაც ანუ მცირედ განახლებაც ვერ შეეძლოთ, მაგრამ მღვთით, მათ მოევლინათ ისეთი მოძღვარი, რომელმაც ამ სოფლის ერის განვლილ დროთა ქრისტიანობისთვის ბრძოლას და ტანჯვა-ვაებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, მათთვის თავს

იდვა შრომა და უკანასკნელს თავისს ღწვითა და შრომით
მშვენიერი დიდი ეკკლესიაც აღუშენა. ამით დააჯილდოვა
მან ხიზაბავრელთ იმ ძველთ მამა პაპათა ხსენება და კურთხე-

ვა, რომელნიც მწარეს ნაღვლიანობაში შთავარდნილნი და
ქრისტიანობის შენახვის გულისთვის დევნულნი ოსმალთა
მონების ქვეშ იხოცებოდნენ.

მოხუცებულთ არ ახსოვთ, თუ ხიზაბავრელთ როდის
მიიღეს კათოლიკობა და ან რა დროს, რა საუკუნეში აღაგეს
კათოლიკის ეკკლესია. ჩვენის ფიქრით-კი ეს ხანა XVI საუ-
კუნეს უნდა შეეხებოდეს და იქმნება ადრეც, რადგანაც 1600
წლებში, აქეთ მჩურჩნავ და მოღალატე ათაბაგების მეოხებით
ქრისტიანების ზოგნი დიდს სასჯელს და გათათრებას იყვნენ
ძალით მიცემულნი. ხიზაბავრელთ ძველ ეკკლესიის აღშენე-
ბა მიეწერება XVI საუკუნეს.იგი პატარა ყოფილა, საყდ-
რის მსგავსი, მიწურის ქოხივით გაკეთებული, ჯვართ-ამაღლე-
ბის სახელწოდებით. ამ ეკკლესიის შთენი დღესაც არის და-
შთენილი. აქა-იქ დანგრეულა, მაგრამ ამასაც მოვლენია თა-
ვის წამალი და აწინდელს მოძღვარს, ხიზაბავრის ეკკლესიის
მაშენებელს, მამა მიქელ ვარძელაშვილს ნაკლული ალაგები-
შეუკეთებია. ვინც ამ ძველს ქოხის მსგავს ეკკლესიას ნახავს,
იმას ცხადათ დაეხატება თვალწინ ვაება და ტანჯვა, რაც-კი
ჯავახეთში ხიზაბავრელთ უნდა გამოევლოთ. ეს ეკკლესია
მოწამეა იმ შავის დროების, როცა აქეთ ქრისტიანთ ეკკლე-
სიების არამც თუ აშენების ნებას აძლევდნენ, არამედ მუსვ-
რასა და ქცევა ნგრევას ეძლეოდნენ ისეთი ძველი ტაძრები,
რომელნიც ბაგრატ მესამის, ბაგრატ მეოთხის და დავით აღ-
მაშენებელისაგან აქეთ მრავლად ნაშენ და გაფენილ იყვნენ.

ცხადათ სჩანს, რომ ეს ძველი ეკკლესია ხიზაბავრელთა
დიდის ქრისტიანთა შიშიანობის და დევნის დროს უნდა
იყოს განშენებული, ისეთ დროს, როცა აქეთ ქრისტიანთა
ხსენებაც-კი საგმობლათ ხდებოდა. ეს ეკკლესია XIX საუ-
კუნის დამდეგს უკვე ისე დაძველებულა, რომ მასში ლოცვა
შეუძლებელი გამხდარა და ამიტომ ხიზაბავრელთ მისსავე ახ-
ლოს სხვა უფრო ვრცელი მღვთის მშობლის ეკკლესია აღუ-
გიათ 1828 წ. ამის მაშენებელი ყოფილა მამა ანტონ გოდე-
ბაძე-ხუციევი, მაგრამ ესეც წინანდებურად ვაის ვაგლახით

და დიდის შიშისძრწოლით, ისეთის შიშით, რომ მაშინ
აქეთ ზარების კარში-კი არა და თვით ეკკლესიაშიაც
არ აძლევდნენ ნებას დარეკისას. ასეთი იყო მაშინ ქრისტი-
ანთ მდგომარეობა ჯავახეთში. აქ ჩვენ ასე მიტომ ვსწერთ,
რადგანაც დასავლეთ საქართველოს გათათრებას დიდი, ვრცე-
ლი ისტორია აქვს. ეს ისტორია რომ დაიწეროს, ვგონებ,
ოცდა ოთხი ტომი გამოვიდეს. შიშის და ვაი ვაგლახით გაშე-

ნებული ეკკლესია 1828 წ. მეტად მდარედ აღმოჩნდა მრევლისთვის პატარა და მასთან უბრალო სახლივით გაკეთებული, მიწურის ბანით და შიგ სრულიად მოუწყობი. ეს ეკკლესია 1881 წ. მეც ვნახე და უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ასეთ სოფლის ამაგდარ ქრისტიანებისთვის შეუფერებლად დავინახე, ნატვრით აღვივსე, რომ იქმნება ოდესმე ამ ერს ბედმა გაუღიმოს და ახალი ეკკლესია, სკოლა და სამკითხველოც ეშველის.

განვლო დრო ჟამმან. ამ სოფლის ეკკლესიის მღვდლად 1891 წ. დაინიშნა მღვდელი მიქელ ვარძელაშვილი. ამან თავის მოსვლის უმალვე ეკკლესიის გაჭირებულ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება, მასთან მრევლის რიცხვს, მათს მდგომარეობას და უკანასკნელ იგი რა დარწმუნდა აქ კარგის ეკკლესიის აღგების საჭიროებაში, მაშინ მან გულს მოდგინებით და ცარიელის ჯიბით თავს იდვა და განიძრახა ხიზაბავრაში ეკკლესიის აღშენა და ისიც ისეთის ეკკლესიის ადგება, რაც მთელს ამ კუთხეში სანაქებოთ უნდა დაშთენილიყოს. ამისთვის ასეთის ძნელის საქმისთვის, მამა მ. ვარძელაშვილს მეტად დიდი შრომა, ტვირთი და დიდი ამაგი დასჭირდა. ამას აქ ყველას ვერ ავნუსხავთ. იქმნება ამ დიდი ტვირთის ზიდვა და შესრულება მას ისე არ გასძნელებოდა, რომელ სიძნელის წუთების მოწამე ისევ თვით უნდა გახლდესთ. იქმნება ეს მის მეტმა სხვამ არც-კი იცის, მაგრამ რა გაეწყობა. აქ ერთი ჩვენი უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ასეთ წმიდა საქმეში, ასეთ საშვილიშვილო მარად სადიდებელ ძეგლის აღგებაშიც-კი მტრები გამოუჩნდნენ და

ისიც როგორი მტრები და ვინ, თვით სასულიეროს წოდებიდამაც-კი, რომელთა მტრობა და მითქმა-მოთქმა და ღალატი იმავ დროსვე იქმნა გაზეთებით ცნობილი.

ასეთ ცნობების წინააღმდეგმა ცნობებმა გაზეთებში მიტომ იჩინეს თავი. რადგანაც იგი ჩვენმა საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა მამა ვარძელაშვილის შესახებ უკანონოდ და უჯეროდ მიიღო. მასში ცილის-წამების, მტრობის და სინიდისის შეპილწვის მეტი სხვა არა სჩანდა-რა. მტრობამ იქამდის მიაღწია, იმ ზომამდე ავიდა, რომ საითაც-კი ამ მოძღვარმა ხსენებულის საქმისთვის ფეხი გადადგა, ყველგან-მტრები დახვდნენ წინ, ყველგან გადამღობველნი, ხელისა და გზის შემშლელნი. ეს მოძღვარი ამ ეკლესიის აღგების სახსრის მოსაპოებლად კოსტანტინეპოლშიაც წავიდა და იქ სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქს დავალებას სთხოვდა, ხელი შეგვიწყეთ, რომ კოსტანტინეპოლის ქრისტიანებში და რომში ფული შევკრიბოთო, ეკკლესია გავაკეთოთო. პატრიარქი დაჰპირდა, კონდაკი და ნებართვა უნდა მიეცა რომში წასასვლელად. მიდრე ამას მიიღებდა, მინამდის პატრიარქს თბილისიდგან ერთს სომხის მღვდლისაგან წერილი მიუვიდა და ასე სწერდა ეს მღვდელი:

„მანდ, თქვენთან, კოსტანტინეპოლს მღვ. მ. ვარძელოვი წამოვიდა, დახმარება გთხოვოთ. მას დახმარება არ მისცეთ, რადგანაც იგი ცხადათ ქართველობს, ეკკლესიაში სამღრთო მსახურების გარდა ლოცვებს და სახარებასაც უმეტეს ნაწილს ქართულად კითხულობენ. ყველგან ცხადათ ქართველობენ, თავიანთ ვინაობას ლათინათ სთვლიან, სომხობას სდევნიან, ნამეტურ სომხურ ენას“. პატრიარქმა ეს წერილი დაიხვია ხელზედ და მღვდ. ვარძელაშვილს ასე უთხრა:

„თქვენ რათა ქართველობთ, თქვენ ლათინათ სთვლით, სომხურ ენას სდევნით, სომხობას, თქვენს ეკკლესიაზედ ქართულათ დაგიწერიათ, რომ იგი რომის კათოლიკებს ეკუთვნისო, ამიტომ მე ნებას არ გაძლევთ. როგორც მოსულსართ, ისევე წადი აქედამ“.

აქ ამ მოძღვარმა ვეღარა გააწყორა, ცარიელი დაბრუნ-

და. მას ბევრი კიდევ სხვა ამ გვარები გარდახდა, მაგრამ მან მაინც გული არ გაიტეხა, აქა იქ იმეცადინა. ამ ცდაში მას დიდათ ახალისებდენ ახალციხის, ბათუმის და ქუთაისის კათოლიკენი, ნამეტურ აიმედებდა ნიკოლოზ ანტონის ძე საბაევი. ასეთი პატიოსან პირთა ქომაგობით და კეთილის რჩევით მამა ვარძელაშვილმა 1896 წ. ეკკლესიის შენებას ხელიც მოჰკიდა. ამ კეთილ საქმეში პირველად თვით ხიზაბავრელ გლეხნიც-კი ეურჩებოდნენ, ამათაც კი დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მ. ვარძელაშვილს დიდათ გაუჭირეს საქმე, ბევრჯერ გაამწარეს იგი, მაგრამ იგი მაინც გლეხების ურჩობას არ შეუშინდა და თავისაგან განძრახულს საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი და შენება დაიწყო. უკანასკნელ გლეხთა რა ნახეს ამ მოძღვრის წრფელი სამსახური და გულ შემატკივრობა, იგინიც დაემორჩილენ მას და ყველა საქმეში სრულს თანაგრძნობას უწევდნენ. ბევრის სიარულის შემდეგ ღწვის, ქადაგების და ხალხის მობეზრებისა, მამა ვარძელაშვილმა მიაღწია თავისს საწადელს და 1899 წ. ხსენებული ეკკლესია დაამთავრა კიდეც, რაც ჩვენს გათახსირებულს დროში და ისიც ისეთ მიყრუებულს მხარეში დიდს სანაქებოთ უნდა ჩაითვალოს. ეს ეკკლესია დღეს ნაყოფია მამა ვარძელაშვილის დაუღალავის შრომის და მამულისა, ერისა და ქრისტიანობის მტკიცე პატივის ცემისა მთელს ამ მხარეში. ასეთი ვრცელი ეკკლესია ამ ახალ დროში გაკეთებული არსად არის.

ეკკლესია აღშენებულია შავის თლილის ქვისასაგან. სიგრძე აქვს ცამეტი საჟენი, სიგანე შვიდი საჟენი, სიმაღლე ხუთი საჟენი. წინ, სამხრეთ ნაწილს აქვს კარგი სამრეკლო. სამრეკლოს ქვეშ ერთს ქვაზედ წარწერილ არის ქართულად და ლათინურად შემდეგი:

„აღშენდა ეს რომის კათოლიკეთა ტაძარი „იესოს გულისა“ მოღვაწეობითა მღვდლის მიხეილ ვარძელაშვილისათა და შემწეობითა ხიზაბავრელ, რუსეთელ და კავკასიელთ კათოლიკეთა, ღ˜თ წელისა

უფლისასა 1898-სა ჩყჟზ. შემდგომ ამისა არის შემდეგი ლა-
თინური: *)

„Jesus christus Deus Homo visit re curit imperiam Anno 1900 Leo X1II".

ეკკლესიას აქვს თითო მხარეს ექვს-ექვსი სანათური, სამხრეთ მხარეს ორი სანათური, გარედან მეტად სუფთა სახის არის, ეზოც მშვენიერი აქვს. მთელს ხიზაბავრის მიდამოებს ეს ეკკლესია მაღლობიდამ მშვენიერად დასცქერის. სოფელი სძევს 7 ათას ფუთის სიმაღლეზედ. შიგ ეკკლესიას აქვს ხუთი ტრაპეზი. ერთი ტრაპეზის აღსავალზედ შემდეგი წარწერა არის:

„ტკბილო გულო იესოსაო, შეგვიწყალენ ჩვენ".

ტრაპეზნი მორთულებია მშვენივრად, მშვენიერის ხატებით, შანდლებით და ფარჩეულების ყვავილებით. პირველ ტრაპეზის გვერდით მარჯვნივ და მარცხნივ ოთახებია, მოძღვართა შესამოსი. ეკკლესიას აქვს სამღვდელოთა შესამოსიც გვარიანი, ეკკლესიის კარგი ჭაღები და წიგნებიც, რაც-კი საჭირო არის, მდედრობით სქესისთვის გაკეთებულია სამი სართულიანი აივანებიც, სადაც მლოცველნი მრავლად მოთავსდებიან. ეკკლესია გაკეთებულია 1700 სულისთვის. ეკკლესიას შიგ კარგი წესიერება აქვს და სიფაქიზე. ხიზაბავრის მკვიდრნი ახტაცებულნი არიან ამ ეკკლესიის აღშენებისათვის და მოძღვარს მ. ვარძელაშვილს სამაგიერო არ იციან როგორ გადაუხადონ. აქაურ ქალთა და კაცთა სიამოვნებას საზღვარი არა აქვს.

მართლაცა და ჭეშმარიტად, რომ ასეთ მიყრუებულს კუთხეში ასეთ კაცთაგან მივიწყებულს მხარეში ასეთი ტაძრის კეთება-კი არა და თვით რიგიანი პატარა სახლის კეთებაც სჭირს. როგორც ვსთქვით, ეს ეკკლესია, მთელს ამ კუთხის კათოლიკეთ ეკკლესიებში უპირველესად ჩაითვლება. ბევრს ქალაქის ადგილებშიაც არ არის ასეთი ტაძრები, ად-

*) დღეს ეს ქართული წარწერა კედლიდამ გადაფხიკეს. ამ გადაფხეკის ისტორიას იხილავთ სხვაგან.

ვილი საქმე არ არის, 13 საჟენი სიგრძე და 7 საჟენი სიგანეა. აბა მკითხველი დააკვირდეს ამ სიგძე სიგანეს და ის ამაზედ ცხადათ დარწმუნდება, თუ ასეთ დიდს შრომას, რა შრომა, წვალება და ფული უნდა მოსდომნოდა აღშენებისათვის ეკკლესიას. სხვა რამ ძველი წიგნების, კონდაკების და დოკუმენტების არაფერი აქვს. ძველადგანვე გაუქმებულა მტრის თავდასხმისაგან. ეხლა აქ ახლად სწარმოებს საეკკლესსიო დავთრები. ამ ეკკლესიის მაშენებელს არც შემდეგ მოაკლდა მტრობა და თვით გაკეთების შემდეგაც, როდესაც ამ ეკკლესიის კურთხევა გახლდათ დანიშნული, მაშინ კურთხევაზედ გახლდნენ ზოგი ერთი სომხის კათოლიკის ტიბიკონზედ მდგარი მოძღვარნი. კურთხევა გათავდა 1900 წ. ივნისის 25 და მშვენიერი სადილი მიირთვეს და მის შემდეგ, თავ-თა-

ვიანთკენ გიახლნენ. პურ მარილით გამძღარნი კიდევ ამხედრდნენ ამ ახლად გაკეთებულ ეკკლესიას და მოძღვარზედ და სადაც ჯერ არს ცნობები მისცეს, რომ მღვდელი ვარძელაშვილი ყველგან ცხადათ ქართველობს და ეკკლესიასაც ქართული წარწერა გაუკეთაო.

ამ საქმეში დიდ მოწინააღმდეგეთ აღმოჩნდნენ ახალქალაქის სომხები, რომელნიც „მშაკში" წერილებსაც სწერენ და ზემოხსენებულს მღვდელსაც სასტიკა ჰკიცხავდენ. როგორც სხვა საქმეებში, აქაც მამა ვარძელაშვილი მართალ მოძღვრად აღმოჩნდა და მის მომჩივანთა საჩივრები უყურადღებოთ იქმნა დატოვებული მთავრობისაგან. მამა მ. ვარძელაშვილმა ამ სოფელს მარტოდ ეკკლესია არ აკმარა და ეკკლესიის გვერდით აღაგო ორ სართულიანი მშვენიერი თლილი ქვის სასახლე, სადაც მოთავსებულია რამდენიმე მშვენიერი ოთახი და როგორც თვით ვარძელაშვილმა ბრძანა, ამ სასახლეში ოდესმე ორს მღვდელსაც-კი შეეძლება ცხოვრება. სახლის მოწყობილებათა შორის ძრიელ ბევრი ნივთები ეკუთვნის თვით ეკკლესიას.

სომეხთ მოძღვართ მტრობა ამ სოფლის ერის, ეკკლესიის და მ. ვარძელაშვილის არც შემდეგ შესწყდა. „მშაკში"

ხშირად სწერეს ამის საყვედურები: თვით კოსტანტინეპოლის კათოლიკეთ პატრიარქმა უსაყვედურა მ. ვარძელაშვილს, რომ თქვენ თქვენს ეკკლესიაზედ მარტოდ ქართულად დაგიწერიათ და სომხურად-კი არაო, ეს როდესაც არ იყო თქვენგან მოსახდენიო. მ. ვარძელაშვილმა მიუგო: „ის მე-კი არ დავაწერე, თვით მრევლმა დააწერა. მრევლი ქართულს ლაპარაკობს და აბა მე რა საქმე მქონდა, მე რა შემეძლო. სოფელიც მათია და ეკკლესიაც და მათაც როგორც ინებეს, ისე დააწერესო, მე უგრალოთ მადებთ ბრალსაო". პატრიარქმა მოსმინა ვარძელაშვილის სიტყვა და მაინც კიდევ უთხრა: „თქვენი მოქმედება ჩვენი წინააღმდეგია, თქვენ სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ სდგეხართ და ამ ტიბიკონის ვალს-კი არ ასრულებთ, მის წინააღმდეგ მოქმედებთ და ქართველობთო".

ეკკლესიის გალავანში ასაფლავია მოძღვარი ანტონ გოდებაძე-ხუციშვილი, გარდაცვალებული 1859 წ.

ამ ეკკლესიის მოძღვრად ყოფილან XIX საუკ. შემდეგი პირნი: მღვდელი პავლე ლაზარევი, იოანე გვარამაძე, თომა ჩილინგაროვი, იოანე ასატუროვი, იოანე მამულოვი (მთარგმნელ-მწერალი) სტეფანე ზაქაროვი, ხარისჭირაშვილი პეტრე, იოსებ ხუციშვილი, ანტონ გოდებაძე, იაკობ მურადოვი და სხვანი. დღეს განაგებს მაშენებელი ამ ეკკლესიის მღვდელი მიქეილ ვარძელაშვილი (1891-1901 წ). ძველად ამ სოფელში ორი კათოლიკის სასაფლავო ყოფილა. ესენი დღესაც არის. საფლავის ქვებიდამ სჩანს, რომ იგინი მეტად ძველის დროიდგან უნდა იქმნეს დაფუძნებული. ქვებზედ ქართული წარწერები მოიპოვება და აქა-იქ ძველი დარნებიც არის.

დარნების შესახებ ნახეთ წერილი ვინმე მესხისა („მოგ-

ზაურში" 1891 წ.). ეკლესიას ძველის ნივთების და სამოსის მცირე რამ აქვს დაშთენილი. ერთი ძველი ვერცხლის ბარძიმი და რამდენიმეც ქართული წიგნი. ხიზაბავრა შესანიშნავი სოფელია, ხალხიც შესანიშნავია, მხვნელ-მთესველია. ყველა კათოლიკის სარწმუნოებას აღიარებს. ერთი კომლი მართლ მადიდებელია. ამავე სოფელში არის პატარა თლილი

ქვის ეკკლესია, ცარიელი, რომელიც ადრე მართლ-მადიდებელთ ჰკავებიათ. დღეს აქ წელიწადში ერთხელ იცის ხალხმა მოსვლა და წირვის გადახდა. კათოლიკებში ბევრი რამ ძველებური ცნობებია დაშთენილი.

მღვთის მშობლის მიძინების ეკკლესია თბილისს.

თბილისის ეკლესიის აღშენების ხანი XII საუკუნის დასაწყის მიეწერება, ზედ მიწევნით 1125 წელს, უკეთ რომ ვსთქვათ უფრო დავით აღმაშენებლის დროს. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ საქართველოში პირველად დავით აღმაშენებლის დროს მოვიდენ რომიდგან ლათინის წესს-რიგის პატრები. მცირე ხნის შემდე ამ პატრების შესახებ დავით აღმაშენებელს და რომის პაპს შორის მიწერ-მოწერაც გაიმართა. ამავე დროს ლათინის პატრებმა სომხეთშიაც გაიმაგრეს ფეხი. თბილისში კათოლიკეთ ეკკლესიის საძირკვლის დაარსებას ჩვენ ამ დროს მიტომ ვაწერთ, რადგანაც ამ დროდგან საქართველოში, ქართველთ შორის, კათოლიკეთ სარწმუნოების მაღიარებელთ რიცხვი უკვე სჩანს. XII საუკუნის დასასრულ თბილისში, კათოლიკეთ ეკლესიის გვერდით, ლათინის პატრებიც ისადგურებენ. ჩვენ მხოლოდ არ ვიცით ის, თუ იმ დროს, ხსენებულს ეკკლესიას რა სახელი ეწოდებოდა, აწინდელი, თუ რამ სხვა სახელი.

XII საუკუნის შემდეგ რომის ტახტსა და რუსუდან დედოფლის შუა მიწერ-მოწერა იმართება. ქართველნი პაპის თხოვნით მონაწილეობას იღებენ ჯვაროსანთ ომში, ქართველნი ევროპის ლაშქართან ერთად ომობენ. ბრძოლის შემდეგ საქართველოში ბრუნდებიან, თან შემოაქვთ ბევრი რამ ნარუქები, რაც ევროპიელთ ლაშქართან შეესწავლათ. ამის შემდეგ თბილისს ქართველ კათოლიკობა და ეკკლესია ცნობილი ხდება საქართველოში და საერთო მთელს ევროპაში. კათოლიკეთ რიცხვი ისე ვრცელდება, რომ 1329 წ. რომში უკვე გარდასწყდა საქართველოს დედა ქალაქ თბილისს,

კათოლიკების ეკკლესიაში, კათოლიკეთ ეპისკოპოზის დანიშვნა და მის კათედრის აღდგენა. 1329 წ. თბილისის კათოლიკეთ ეკკლესიას ენიჭება სხვა და სხვა უპირატესობა. მას

პატივს აგებენ მეფენი, მთავარნი და დიდებულნი. ევროპიდ-
გან უნიშნავენ საკმარის დახმარებას. ამ დახმარებით ეკკლე-
სია მტკიცდება მაგარს ნიადაგზედ, მის მოძღვართაც ენიჭე-
ბათ დიდი სახსარი ხალხში მოქმედების და ქრისტიანობის
გამტკიცების. 1329 წ. პაპის იოანე XXII „ბულლის“ ცნო-
ბით, რომელიც მიეცა თბილისში პირველად განწესებულს
კათოლიკეთა ეპისკოპოზს იოანე ფლორენციელს, სჩანს„
რომ კათოლიკეთა მოძღვართ ძლიერი გავლენა საქართველო-
ში ადრიდგანვე ყოფილა ცნობილი რომის ტახტის წინაშე
და მათაც მიტომ დაუარსებიათ თბილისის კათოლიკების
ეკკლესიაში ეპისკოპოზის კათედრა, და მასზედ ეპისკოპოზად
იოანე ფლორენციელი განუწესებიათ.

პაპი იოანე XXII-ე თავის საყვარელ შვილს, იოანე
ფლორენციელს ამორჩეულს ეპისკოპოზს თბილისისას:

„როგორც გავლილად გავრცელებულა ქრისტეს სარწმუნოება,
ისე ახლად ღვთიული წ. სახელის პატივის ცემის მოსამატებლად გამო-
ძიებით სხვა და სხვა ჯეროვანის მიზეზებისა ჩვენის ძმობისაგან შე-
გულიანებულთა ბოლოს გარდავსწყვიტეთ ჩვენის სამოციქულო შეძ-
ლებითა, რომ იყოს ჩინებულ თბილისის ქალაქში საე-
პისკოპოზო კათედრის .ადგილი, რომელიც იმყოფება საქართვე-
ლოს სამეფოში.

ვინებეთ, რომ ეს თბილისი მომავლად მუდამ საეპისკოპოზო ქალაქად
დარჩეს ჩვენის სრულის შეძლებით და ჩვენის ძმების შეკითხვითა,
როგორც ზემოთ ვსთქვით. დამტკიცებით განვსაზღვრეთ, რომ და-
არსდეს თბილისის ქალაქს საეპისკოპოზო ეკკლესია და მიეცეს მას
ღირსეული ტიტული – თბილისის ეპისკოპოზისა.

კვლავ ჩვენს თვალთა თქვენკენ მოვაქცევთ, რომელიც განწესე-
ბულ ხართ მასწავლებლად მოქადაგე ძმათა რიგისაგან, მეცნიერი
მღვდელ წმიდის წერილებით, რომელიც იცნობთ თქვენ პიროვნულად
მაგ ადგილების გარემოებათა და საჭიროებათა, რომ მრავალნი მო-

აქციეთ ღვთიულ სიტყვის ქადაგებით დხ შესძინეთ იესო ქრისტეს,
გაქვს კეთილი გული წმინდის სარწმუნოებისა, წმინდა ცხოვრება,
კეთილი ყოფა ქცევა და სიბრძნე სავსე მრავალ ნიჭ-სათნოებითა, რო-
გორც შეტყობილ გვაქვ სარწმუნო მოწმებისაგან, რომელნიც გრაც-
ხვენ შემძლე ღირსეულ პირად, მით სრულ სამოციქულო შეძლებითა
ჩვენითა შეკითხვისამებრ ძმათა ჩვენთა გადგენთ ზემოხსენებულ თბი-
ლისის ეკკლესიასა ზედა ეპისკოპოზად გამოძიებისა და ყოვლისფრის
განხილვის შემდეგომა. პაპი იოანე XXII-რე.

მიეცა ავინონს XIV ნოემბერს წ. 1329 სა“.

ბულლას თავზე ასე აწერია: – „გასაწურთნავად ქართველ
ერისა ღვთიულ სიტყვითა, დამტკიცდა თბილისს საეპისკოპოზო
კათედრა და დაინიშნა ეპისკოპოზად იოანე ფლორენციელი წმიდის
დომინიკის რიგისაგან“.

ხსენებულ დროის შემდეგ თბილისის კათოლიკების ეკ-
კლესიის ბედის უკეთეს პირობებში ვარდება. პირველ ეპის-
კოპოზის შემდეგ აქ არც შემდეგ მოსპობილან ეპისკოპოს-
ნი და ერთის სიკვდილის შემდეგ მეორეს განაწესებდნენ. ამ
ეკკლესიაში ეპისკოპოსთა გამგეობა რამდენსამე საუკუნეს
გაგრძელდა. აქ ეპისკოპოზად ყოფილან შემდეგნი პირნი:

იოანე ფლორენციელი, ბერნარდო თეოთინკო დომინიკიანელი, ალექსანდრე დომინიკიანელი, იურიკო დომინიკიანელი, იოანე ძმა ავგუსტიანელებისა, ალბერტო ანჟელო ფრანცისკინელი და სხვანიც, რომელთა ვინაობა ჩვენ არ ვიცით. ეპისკოპოზთა შემდეგ აქ ინიშნებოდნენ წინამძღვარნი, აბატნი. უკანასკნელ ჟამამდე აქ განაგებდნენ იგინი. უკანასკნელი აბატი იყო დამიანე ანკოლელი, მომხრე მეფე გიორგისა. ამ აბატმა მოართვა მეფეს რომის პაპის ბულლა და ლოცვა-კურთხევა. დამიანე ანკოლილის შემდეგ ამ ეკკლესიას განაგებდნენ პატრები და როცა საქართველოში კავკასიის ვიზიტატორი დაინიშნა, მის შემდეგ-კი ეს მათ ბინათ ითვლებოდა, უკანასკნელ-კი რაც თბილისში კათოლიკების მეორე ეკკლესია გაკეთდა, მის შემდეგ ვიზიტატორი ახალ ეკკლესიაში გადავიდა და ეს ეკკლესია ქართველ და სომეხ კათოლიკეთა

საკუთრებათ დაშთა. დღეს აქ ქართველი პატრი პ. ყალაიჯოვი განაგებს: სულ სამი მღვდელი სცხოვრებს, ორი ლათინის წესს-რიგს პატრი და მესამე სომეხ-კათოლიკეთ ტიბიკონზედ მდგარა.

ძველად, ანუ XII საუკუნის კათოლიკების ეკკლესია მდებარეობდა ჯვარის მამის ეკკლესიის მახლობლად, ცოტა ზემოთ, სოლოლაკის მხრით, სადაც დღეს აღარაფერი სჩამს და იქ სახლებია გაკეთებული. შემდეგ დროის ეკკლესიაც ამავე მხარეს არსებობდა. XVII საუკ. შარდენი რომ მოვიდა და თბილისში პატრებთან სცხოვრობდა, სწორეთ ამ ეკკლესიის მახლობლად უცხოვრია. დღეს ამ ეკკლესიის შთენიც სჩანს. იგი არ ვიცით, რა მიზეზებით დასტოვეს კათოლიკებმა და მის ზემოთ გააკეთეს,ეს კი ვიცით, რომ ეს ეკკლესია მრავალ გზის იქმნა შემუსვრილი.

1661 წელს რომის კრებისაგან აქ წარმოგზანეს მოძღვრათ ბონვენთურა სარნუთელი. ეს ეკკლესია დაშთა 1705 წ. ამ წელს იგი შემუსრეს. მცირე ხნის შემდეგ ადგილობრივ მოძღვართა ძმობამ ისევ შეაკეთა, მაგრამ ეს შეკეთება დიდ ხანს არ დაშთა მკვიდრათ. 1718 წ. ქართველთა და სომეხთ სასტიკათ გაცარცვეს, ეს არ აკმარეს და ეკკლესიის კარი, სანათურები, საკურთხეველი და ყოველივე ნივთები დაუმტვრიეს, დაუნგრიეს ისე, რომ კათოლიკენი ცრემლით გამოეთხოვნენ თავიანთ ეკკლესიას და სხვაგან სახლში ლოცულობდნენ ჩუმათ. რამდენიმე ხნის შემდეგ კათოლიკებს კვალად ნება მიეცათ ეკკლესიის აღშენების. ამათ სხვაგან აღაშენეს ხარების სახელზედ. 1729 წ. ეკკლესია უკვე მზათ იყო, რომიდამ საეკკლესიო ნივთები მოიტანეს და ყოველისფრის საჭიროებით შემოსეს. მაგრამ კათოლიკეთა საუბედუროდ, არც ეს ეკკლესია დაშთა დიდხანს კათოლიკების ხელში. 1755 წ. მეფე თეიმურაზის ბრძანებით ანტონ კათოლიკოზის გამო კათოლიკენი სდევნეს, ეკკლესია, საეკკლესიო ნივთები წაართვეს, აღარაფერი მისცეს. შემდეგ ეს ეკკლესია ქართველებმა სომხებს მიჰყიდეს. დღეს სომხებს უპყრიათ იგი,

და ამ ძველ ეკკლესიას სხვა სახელი უწოდეს. პატრები სას-

ტიკათ სდევნეს და ახალციხეს გარეკეს. 1760 წ. თეიმურაზ მეფის შემდეგ ერეკლე მეორე გამეფდა. ამან თავისს მეფობაში კათოლიკებს სრული თავისუფლება დაუბრუნა, ახალციხიდამ პატრები დაიბარა, ამათ კარგი სახსარიც აღმოუჩინა, ეკკლესიისთვის ბევრი რამ დახმარება მისცა.

ძველი ეკკლესია პატრებს ვეღარ დაუბრუნდათ. მათ მალე ეკკლესია აღაშენეს. ეს აღშენებული ეკკლესია მათთვის დროის შესაფერად ვერ აღმოჩნდა. სიმცირეს გარდა, სხვა მხრითაც ჰქონდა დაბრკოლება. ამიტომ 1801 წ. შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, მას შემდეგ თბილისის ქართველ კათოლიკებმა სხვა ეკკლესიის გაკეთების ზრუნვა დაიწყეს. ამ ზრუნვას ის გარემოებაც უფრო აორკეცებდა, რადგანაც თბილისში რუსთა მეოხებით პოლონელნიც გაჩნდნენ. ამით ეკკლესიას მრევლიც მოემატა, ამიტომ მისს გაფართოვებას მთავრობაც ითხოვდა. 1805 წ. ისარლიშვილების და ზუბალაშვილების თაოსნობით შეწირულ იქმნა ის ადგილი შუა ბაზარში, სადაც დღეს ეკკლესია არის. 1806 წ. ამ ადგილს რამდენიმე მიცვალებული დაასაფლავეს და 1808 წ. ეკკლესიის კედლები უკვე ატანილი იყო. ერთის მხრით ამ ეკკლესიის შენება მიდიოდა ნელ-ნელა და მეორეს მხრით თბილისში კათოლიკეთა რიცხვიც მრავლდებოდა. 1814 წ. რომიდგან დანიშნულ იქმნა ოცდამერვე მთავარ უფროსად პატრი ფილიპე თორონელი. 1817 წ. ამან აღაშენა და დაამთავრა დღევანდელი კათოლიკების შუაბაზრის ეკკლესია. პატრი ფილიპე თავის დროის კვალად შესანიშნავ მოძღვრათ ითვლება და მრევლის სულიერის და ხორციელი მსახურების კარგად მცოდნე და მცნობათ.

საქართველოში მოსვლის უმალვე მან შესანიშნავი სახელი დაიმსახურა როგორც ქართველთ კათოლიკეთ წინაშე, ისევე მთელის ქართველობის და საზოგადოებისაცა. მოძღვართ მოღვაწეობის გარეშე იგი იყო შესანიშნავი მკურნალიც. ქართველებში მალე განისმა ის ხმაც, რომ პატრი ფილიპე შესანიშნავი მკურნალიაო, მისკენ მიისწრაფოდა

ერი, ბერი, კათოლიკე, ქართველი, გრიგორიანი, რუსი და თათარიც. ამ სახელის მექონი ერთი პატრი ფილიპე XVIII საუკუნეშიაც სცხოვრებდა საქართველოში. ესეც გამოჩენილი მოძღვარი იყო, თავის დროის კვალად კარგი მკურნალიც. ამას ჩვენ აქ მიტომ ვახსენებთ, რადგანაც ამ ორ პატრთა ცნობებს ხშირად რევენ ერთმანეთში. ამიტომ ჩვენ აქ ამათ პირველ და მეორე სახელს უწოდებთ. პატრი ფილიპე მეორემ თბილისის შუა ბაზრის ეკკლესია 1817 წ. დაამთავრა და წლის გასულს ძველი ეკკლესია დასცალეს და ახალ ეკკლე-

სიაში გადმოვიდნენ და ძველი-კი საჯაროთ გაყიდეს. აქამდის ამ ეკკლესიაში მარილის მაღაზია იყო, ეხლა სხვა ნივთთა საწყობია. დღეს თბილისში კათოლიკების ორი ძველი ეკ-კლესიაა დარჩენილი, რომელნიც სხვებს უპყრიათ. ორივე სა-ვაჭრო საწყობათ არის გადაკეთებული. ერთი დღევანდელს ეკ-კლესიის ახლოს სძევს და მეორე მის ქვემოთ, ჯვარის მამის ეკკლესიის ზემოთ, რომელსაც კარგად ეტყობა კათოლიკის ეკკლესიის სახე. ამ ორს ეკკლესიას გარდა მესამე სომხებს უპყრიათ, იგი გარდაკეთებულია სხვა გეგმით.

ძველადგანვე, რაც თბილისის ეკკლესია დაარსდა, მას შემდეგ მისს გვერდით დაარსებულ იქმნა კათოლიკეთ სას-წავლებელი, რომლის დაარსება 1630 წ. მიეწერება. კათო-ლიკის სარწმუნოების გარეშე, აქ სხვა სარწმუნოების ყმაწვი-ლებიც სწავლობდნენ. ამ სასწავლებლის არსებობას შარდე-ნიც აღნიშნავს. ეს ძველი სასწავლებელი დღემდე არსებობს ეკკლესიის გვერდით, ხოლოდ გარდაკეთებული, წარმატებას მიცემული. დღეს იგი ორ კლასიან სასწავლებლად ითვლება. ამავ სასწავლებლის მოზარდ მოწაფეთ მოძღვარნი ექიმობას და წამლების კეთებასაც ასწავლიდნენ. ერთსა და იმავ დროს ეს სკოლა დოსტაქართა ანუ ფერშლის სკოლაც იყო. სას-წავლთ გარდა, იმავ ეკკლესიის გვერდით ძველადგანვე არსე-ბობდა მათხოვართა, მოხუცთ და უძლურთა თავშესაფარი ბინაც, სადაც უძლურთ მიიღებდენ და ვისაც ცხოვრების სა-ხსარი არ ჰქონდა, იმას აქ ჰქონდა სიკვდილის დღემდე ბინა. აქ

სცხოვრებდენ, სიკვდილის შემდეგ ქრისტიანულის წესით ასაფლავებდენ. ესევე მოძღვარნი ჰპატრონობდნენ უპატრონო ობოლ პატარა ყმაწვილებს და თავიანთ ხარჯით ზრდიდნენ. იქვე ძველადგანვე არსებობდა ევროპიელთ მოგზაურთა თავ-შესაფარი ბინა, ანუ სასახლე. ამ ეკკლესიის გვერდით ბევრს მოგზაურს უსადგურია. ბევრს უხელმძღვანია პატრების რჩე-ვით, ამათის გეგმით უმოგზაურნიათ, მათისავე დახმარებით აღუწერიათ საქართველო სხვა და სხვა დროს.

XVIII საუკუნის დამლევს ამ ეკკლესიას დიდი რისხვა მიადგა 1795 წ. უბედურების მეოხებით ამ უბედურებამ ეკ-კლესიის კედლებს გარდა სხვა ყოველივე ნივთები და გან-ძეულება სულ ცეცხლსა და მოტაცვას მისცა. მაშინ ამ ეკ-კლესიას ქართული წიგნებიც ბევრი ჰქონდა. მათში იშვიათი წიგნებიც რეულან, მაგრამ ყველა იგინი მტერს დაუწვავს, ნივთები-კი მოუტაცნიათ, დიდი განძი წაუღიათ, ყოველივე ეკკლესიის ფერფლად უქცევიათ. გორის „სავარდისის“ ძმობის წიგნის ცნობიდამ შევიტყვეთ, რომ 1705 წ. თბილისში, კა-თოლიკის ეკკლესიის მახლობლად „სავარდისის“ სახელწოდე-ბით ძმობა იქმნა დაარსებული, რომელ ძმობის მიბაძვით ჩვენ გორელებმაც ეს „სავარდისის“ ძმობა შევადგინეთო. თბილი-სის ძმობის ისტორიის წიგნი და ცნობები 1795 წ. გაუქმე-ბულან, დაკარგულან. რაც შეეხება მაშინდელ კათოლიკეთა

რიცხვს. ამათაც საკმარისად უზარალნიათ. ბევრი მათგანი ევროპიულის საქონლითაც ვაჭრობდა, მაგრამ ყველა იგინი ანიავებულ იქმნენ ქონებით, ფულით და საქონლით. 1795 წ. შემდეგ ეკკლესია და ყოველივე მათ დროით განაახლეს, რადგანაც კათოლიკეთ მოძღვართ ამის ძალა რომიდგანაც ეძლეოდათ და საქართველოშიაც საკმარისს საფას შოულობ-დნენ, თუმცა იგინი ამისთვის მრევლს სულ არ აწუხებდენ.

როგორც ვსთქვით, დღეინდელ თბილისის ქართველ კა-თოლიკეთ ეკკლესია აღშენებულია თვით ქართველ კათოლი-კეთაგან შეწირულის საფასით. უკანასკნელ წლებს რაკი ქართველობაზედ სომეხ-კათოლიკეთ გავლენა გავრცელდა

მის მეოხებით, მათ ეს ჭეშმარიტება უარი ჰყვეს და განავრ-ცეს ის ხმები, რომ საქართველოში არც ქართველ კათოლი-კობა არსებობს და ეს ეკკლესიაც სომეხ-კათოლიკეთაგან არის აღშენებულიო. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია, დი-დი აყალმაყალი სომეხ და ქართველ კათოლიკეთ შორის. კამათი გაიმართა. სომეხნი სრულიად უარს ჰყოფდნენ ქართ-ველ კათოლიკობას. ამიტომ ხსენებულ ეკკლესიასაც ეპო-ტინებოდენ. უკანასკნელ დავა გადაწყდა და მთავრობამ ეს ეკკლესია ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიად იცნა. აქ დღეს სადავო აღარაფერია, ჭეშმარიტებამ თავისი გაიტანა. უეჭვე-ლია ასევე წავა სხვა ეკკლესიების საქმეც და ნამეტურ მეს-ხეთის და ჯავახეთის სოფლის ეკკლესიებიც ასევე იქმნებიან შერაცხილნი. აქ საჭირო გახლავსთ ისიც, რომ ეკკლესიის ცნობასა და მიღებასთან ცნობილნი იქმნენ თვით საქართვე-ლოს კათოლიკენი, ვითაარცა შთამომავლობით ქართველ-გვა-რის კათოლიკენი. მარტოდ ეკკლესიის ცნობა ჩვენთვის ცა-რიელ ჩონჩხათ დაშთება, თუ მასთან ცნობილ არ იქმნა ქარ-თველ კათოლიკეთ გვაროვნება და ეკკლესიებშიაც ქართუ-ლი ენა არ იქმნა შეტანილი.

თბილისის ამ ძველ ეკკლესიაზედ მეტად დიდი შრომა დაუძს მამა დიმიტრი თუმანიშვილს. დ. თუმანიშვილმა განა-ახლა ეს ეკკლესია. წინ მიუდგა თლილის ქვით ნაშენი ნახე-ვარი ეკკლესია, შიგაც კარგად მორთა და შეამკო, გარს გა-ლავანიც გაუკეთა.

ეკკლესიის გვერდით განაახლა ძველი საეკკლესიის შე-ნობა და სრულიად შესცვალა სკოლა თავის გეგმით. ერთის სიტყვით დიდი ცვლილება მოახდინა ეკკლესიაში. ამ ეკკლე-სიის საკურთხევლის წინ ორს კედელზედ წმ. პეტრე და პავ-ლე იქმნენ დახატულნი, რომელთაც ქართული წარწერაც აქვნდათ. გარეთ, გალავანშიაც იყო ერთი ქვა მოყოლებული, რომელზედაც ქართული წარწერა იყო და რაც ცხადათ აჩენ-და, რომ ეს გალავანიც ქართველ კათოლიკეთაგან იყო აღშე-ნებული. იმავ თავიდგან ამ ეკკლესიაში წირვა ლოცვა

ქართულად და ლათინურად სწარმოებდა. ზოგიერთი რამ ლოცვები სრულდებოდა ლათინურად, თორემ დანარჩენი სულ ქართულად სრულდებოდა. საჭირო ლოცვის წიგნები მათ ხელთ ნაწერობით ჰქონდათ მომზადებული, ხელთ-ნაწერებს ხმარობდენ. ქადაგება და სახარების კითხვა საყოველთავოდ ქართულად სწარმოებდა. ლათინის ბერები რომიდგან მოდიოდნენ. ამათ ქართული იქვე იცოდნენ, აქ შეძლების და გვარად ლოცულობდნენ, ქართულად აწარმოებდენ ყოველივეს. რაც შეეხება საეკკლესიო საქმეთა ცნობათა წერას, ესეც ქართულად სწარმოებდა. ამას ცხადად ამტკიცებს თვით დღემდე მოღწეული საეკკლესიო დავთრები და მასში ქართულუი ნაწერები. თვით პოლონელთ, იტალიელთ და ფრანცუზთა მრევლთა ცნობებიც ქართულად არის ნაწერი. ხშირად პატრებს, თუმცა ენის უცოდინრობით ქადაგება გასჭირებიათ, მაგრამ მაინც შეძლების და გვარად ქართულად უქადაგნიათ, ასე ყოფილა მაშინ საჭრო.

სამოქალაქოს ნაწილიდამ ეკკლესიას ყოველთვის ჰყოლია თავის წარმომადგენნი და ამ წარმომადგენელთ უმართავთ მის შინაგან და გარეგან საქმენი. ასეთ სამსახურის ასპარეზედ საკმარისად ცნობილ ყოფილან იაგორ პეტრეს ძე ისარლოვი 1891 წ. და მის შემდეგ იაკობ პეტრეს ძე ისარლოვი, რომელსაც დღემდე თავის შრომა ამ ეკკლესიის საქმეებისათვის არა დროს არ მოუკლია, ყოველთვის თავგამოდებით უმართავს, არსად არაფერი დაუშურებია და სიტყვით, საქმით და თუ წერით ყოველთვის მზათ ყოფილა, რომ ამ ძველ ტაძარს რამე შემატებოდა. ამ შემატებით მისი შანაგანი და გარეგანი ღირსება წინ წასულიყო, ნამეტურ სკოლის საქმე დაწინაურებულიყოს და ყველა ამათზე-კი უფრო ის გარემოებაც იყო საყურადღებო, რომ ამ ტაძარს თავის ისტორიული მნიშვნელობა არ წართმევოდა, მის არსებობასთან გადამბულ ზუბალაშვილების და ისარლიშვილების შრომის და ამაგის ისტორიაც არ გამქრალიყოს, ეს ძირეული შთენი ძველის ქართველის გვარისა ქართველსავე დაშთენოდა თავის

საკუთრებათ ისევე, როგორც ეს წინეთ იყო მათში. აი ამის ღწვის წინაშეც ამაგდარია იაკობ ისარლოვი და მიტომ ჩვენც აქ პირნათლად მოვიხსენებთ ამ პირს და მისს შრომას.

აღსანიშნავია თბილისის ეკკლესიის შემდეგი ცნობებიც. როგორც სჩანს ამ ეკკლესიის ცნობებთაგან, აქ ყოფილან შემდეგი სასულიერო პირნი კათოლიკეთ ეკკლესიისა: პატრი მთავარ ეპისკოპოზი ლუკა, პატრი მთავარ ეპისკოპოზი სილიბისტრო, პატრი ფრანცისკო, ქალდეველთა მარტიროს ეპისკოპოზ დორმალელი, ისაია ეპისკოპოზი სალმატელი, პატრი ნიკოლოზ ჩეჩელელი, პატრი ჯერმინე, პატრი სერაფიმე, პატრი დომინიკე, ანჯელო პოპელი, პატრი დამიანე, პატრი ფიდელი, პატრი ალექსანდრე, პატრი პერევლინე, პატრი ლეონ ქართადონელი, პატრი კოსტანტინე, პატრი კლავდია ქართადონელი, პა-

ტრი კარლოსი, პატრი იოანე ჯიზივნელი, პატრი ანჯელო, პატრი იოსებ-მარია მთავრინელი, პატრი გიორგი თურთნე-. ლი, პატრი მავრო ვენეციელი პატრი იოსებ ჭაუველი, (დო-მინიკეს რიგისა), ჩიგიაანიანთ ოჰანეზა ვართაპეტი, აღამალა-ანთ ტერ სტეფანე, ფიბუაანთ პეტრესშვილი ტერ სტეფანე, ნეიფარაანთ იოანესშვილი ტერ გრიგოლი, ალაშკერტელი, კარლოს ვართაპეტი, ყანდინაანთი, პროპაგანდოს მოწაფე, პეტრე ვართაპეტი, ქალდეველი გრიგოლ ვართაპეტი, ვართა-პეტი სტეფანე, ვართაპეტი ლავრენტი, ვართაპეტი იოსები, ვართაპეტი დომინიკე, ვართაპეტი პეტრე პავლე, ვართაპეტი კარლოსი, პატრი სტეფანე ეხსანოვი, პატრი დიმიტრი თუ-მანიშვილი, ტერ ზაქარია გურგენოვი, მხითარისტი თბილი-სელი, პატრი ანდრია პალერმელი, პატრი ფრანცისკო ან-ტონინო, პატრი ჩელერინო, პატრი ფილიპე, პატრი ონფო-რე ტფილისელი ოჰანჯანაშვილი, რიგისაგან მოქადაგე, და-ვით ტენტესაანთ, მოციქულთა რიგისაგან, პატრი უფროსი ბერნარდინე, პატრი ფილიპე რომაელი, პატრი თომა ქარდი-ნელი, პატრი იოსებ ფრანცისკელი, პატრი იერემია პალერ-მელი, პატრი კლენტო რენელი, პატრი იოსებ ნუბერნელი, პატრი ფრანცისკო მერნელი, პატრი დამიანე ვიარჯელი,

პატრი ბენედიქტე ჯიზოელი ჩიჩილიდამ, პატრი სიმონ ჯულა-რდოვი არზრუმის წმ. ანტონის მხითარის რიგისაგან. პატრი ალიოზ პოპელი. თბილისის ეკკლესიის ვიქარი ტერ პოღოს ლა-ზარეშვილი. ახალციხელი პატრი ალფონს მხითარიანი, პატრი ვასილი მუთაფოვი, პატრი ლევან აფრიამოვი, დონ მიქეილ ან-ტონოვი, გაბრიელ ნაჰფეტოვი და პ. ყალაიჯოვი.

გორის ეკკლესია. გორის ეკკლესიის აღშენება XVII საუკუნის ნახევარს მიეწერება. რაც შეეხება ქართველ კათო-ლიკეთ რიცხვს, ეს-კი ძველადგანვე ყოფილა აღორძინებუ-ლი. მათ თავიანთი ეკკლესიაც ჰქონიათ, ხოლო ეკკლესია პატარა ყოფილა, სახლის მსგავსი, რომლის გვერდით სამღ-ვდელოდ კარგი სახლიც ყოფილა. აქ ლათინის წესს-რიგის პატრებსაც უცხოვრიათ. ევროპის მოგზაურნი, როცა-კი სა-ქართველოში მოვიდოდნენ და ქართლისაკენ გამოივლიდნენ, ესენი უსათუოდ გორში ქართველ-კათოლიკის პატრებთან ისადგურებდნენ. მოგზაურებს პატრები და ქართველ კათო-ლიკენი დიდს მფარველობას უწევდნენ, პატივსაც სცემდენ. ამ გარემოებამ და გორში ქართველ კათოლიკეთ მრევლის გამრა-ვლებამ ცხად ჰყო ყველას წინაშე, რომ გორში კათოლიკეთ ეკკ-ლესიის აღშენება აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა. ამ საჭი-როებას თეიმურაზ მეფემ ჯეროვანი ყურადღებაც მიაქცია. ამ ყურადღების მიპყრობას შემდეგი გარემოებაც დაეხმარა.

ქეთევან დედოფალი სპარსეთში რომ აწამეს, იმ დროს

იქ სცხოვრობდნენ ლათინის წესს-რიგის სხვა-და სხვა ორდენის მამები. ამ მამებს ქეთევან დედოფალთან დაახლოვებული კავშირი ჰქონდათ, მისვლა-მოსვლა და პატივის ცემა. დედოფალი მათ დიდ პატივს სცემდა და როგორც პატრი დელავალე ამბობს, იგი მათ შესაწირვებსაც სწირავდა. ეს მოძღვარნი ქეთევანის წამებას მწუხარებით უმზერენ, რომში მოხსენებაც გაგზავნეს. წამების შემდეგ რამდენიმე ნაწილი დედოფლისა ამათ მოიპოვეს, საიდუმლოთ შეინახეს და კახეშთი

მეფეს თეიმურაზს (შვილს) მოუტანეს. კახეთში პატრები დიდის პატივის ცემით იქმნენ მიღებულნი. ნაწილები ალავერდში დაასაფლავეს. მეფე თეიმურაზმა პატრებს გორში ეკკლესიის აღსაშენებლად ფული მისცა. ქართლის მეფესაც თხოვნა გაუგზავნა, რომ გორში პატრებს ნება მიეცით ეკკლესიის აღსაშენებლათაო. ნებართვა მალე მიიღეს და გორში კათოლიკის ეკლესია 1630 წ. წმ. გიორგის და სილიბისტროს სახელზედ უკეე აღაგეს. შემდეგს დროებში ეს ეკკლესია შემკობილი და გამშვენებულ იქმნა სხვა-და-სხვა ლათინის წესს რიგის პატრებისაგან. ეს ეკკლესია ქართველთაგან შემუსვრილ იქმნა 1719 წ. ბერები დევნილნი და გვემულნი. 1725 წ. კვალად განაახლეს ეკკლესია და შეამკეს სხვა-და-სხვა საეკკლესიო ნივთებით, ევროპიდგან მოტანილის არგანით. გვერდით კულანდებურათ სკოლაც გაუხსნეს, საავადმყოფო და მასთან წამალხანაც, მაგრამ არც ეს ეკკლესია დაშთა მოსვენებული. 1755 წ. იგი მართლმადიდებლებმა წაართვეს კათოლიკებს და დღევანდლამდის მათ უკავიათ ქ. გორში, რომელსაც დღეს ოქონიის მღვთის მშობელი ეწოდება და რომლის ხილვაც ცხადათ ამცნევს მნახველს, რომ ის გაკეთებულია კათოლიკის ეკკლესიის საზოგადო გეგმით. ნამეტურ ამას ეკკლესიის სანათურებიც ამტკიცებენ.

1750 წლებში გორის ქართველთ კათოლიკეთ ეკკლესია საკმარისად ბრწყინავდა. ეკკლესიის გვერდით არსებობდა სასწავლებელი, საავადმყოფო, წამალხანა და ევროპიელთ მოგზაურთა თავშესაფარი ბინა, სადაც იგინი ისადგურებდნენ ადგილობრივ ძმათა მფარველობის ქვეშ. მაშინ გორის ეკკლესია იყო შუაგული, ანუ ცენტრი ყველა იმ დროის ქართველ კათოლიკებისა, რომელნიც გორს გარდა ცხინვალს სცხოვრობდნენ, კარალეთს, ხანდაკს, მეჯვრისხევს და სხვა სოფლებშიაც, სადაც სიმცირის გამო საკუთარი ეკკლესია არ ჰქონდათ. გორის ეკკლესია ქებული იყო მრავალნაირად, თუმცა მას 1630 წ. გაკეთებული ეკკლესიის მსგავსი საქებარი კი აღარა ქონდა-რა. ხსენებულ წელს გაკეთებული ეკკლესია თლილის ქვით იყო და მის შემუსვრის შემდეგი-კი

აგურით იქმნა გაკეთებული, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ არც ეს ეკკლესია დაშთა დიდხანს ხელშეუხებელი, მასაც

მოხვდა ქართველი ერის მახვილი. გორის ეკკლესია და მისს მოძღვარნიც თუ რაოდენად იყვნენ განდიდებულ და ქებულ-ნი, ეს სჩანს შემდეგის გარემოებიდამაცა:

ანტონ კათოლიკოზი როცა ტყვეობიდამ გაანთავისუფ-ლეს და ნება მისცა თეიმურაზ მეფემ რუსეთში წარსვლის, ანტონ კათოლიკოსმა, გზათ მიმავალმა რუსეთს, გორში კა-თოლიკის ეკკლესიაში ჩამოხტა, ლათინის ბერებთან ისადგუ-რა. ამაზედ დიდი ალიაქოთი ატყდა, სამღვდელოება სასტი-კათ აღელდა, როგორ თუ ანტონ კათალიკოზი გორშიაც-კი კათოლიკის ბერებთან ჩამოხტაო. ანტონმა თავი იმართლა ასე: რა უნდა მექმნა, გორში სხვაგან ვერსად ვპოვე კარგი სახლი, ნაავადმყოფარი ვიყავ და ამიტომ ჩამოვხტი პატრებ-თანაო.

ანტონ კათოლიკოზი რუსეთს წავიდა. გორში პატრებმა დიდი პატივი აგეს, გზათ მომავალსაც შეეწივნენ, მაგრამ უკა-ნასკნელ ეს პატივისცემა და მისს სამაგიეროს გადახდა ქართ-ველთაგან ლათინის პატრებს მრისხანებით გადაეხადათ, შე-მუსვრით და ეკკლესიის წართმევით. 1755 წ. გორის ქართ-ველთ კათოლიკეთ წაერთვათ საკუთარი ეკკლესია, ჩამოერთ-ვათ ყოველისფერი. მოძღვარნი განდევნილი იქმნენ ახალცი-ხეს და მრევლის ზოგთ სახე დაუსერეს და ზოგთ სხვა სას-ჯელი მისცეს, ერთის სიტყვით თბილისს და გორს დარბეუ-ლები იქმნენ სასტიკათ. ამ დარბევას დიდათ უწყობდა მღდე-ლი ლარაძე და გაბაშვილი. ამათ დაამხეს ყოველივე, კათო-ლიკებისაგან ქრთამებიც-კი აიღეს. მაგრამ უკანასკნელ მაინც არ დაიფარეს და უმტრეს უღვთოთ. მართალია გორში კათო-ლიკებს წაერთოთ ეკკლესია და მის სამკაულები, დაუქციეს საავადმყოფო, წამალხანა და სასწავლებელი, მაგრამ მაინც ამ საჭირო დაწესებულებათა დაყაფლება დიდხანს არ დაშთა. 1757 წ. კათოლიკის ბერებს კვალად მიეცათ ნება გორში შემოსვლის, ყველა საქმეთა განახლების და ერში მოქმედების

დაწყობის. ახალციხიდამ პატრები მოვიდნენ, ქართველ კათო-ლიკების მწყვსას მიეცნენ, ხოლო რაც შეეხება ეკკლესიის შენებას-კი მათ გულიდამ გადიგდეს. ეშინოდათ, გაკეთება მით უფრო აღარ უნდოდათ, რადგანაც გორში კათოლიკეთ ეკკლესია 1755 წ. ზუბალაშვილების სახლში იქმნა მოთავსე-ბული. გორის ქართველთ კათოლიკეთ მდგომარეობამ უეკ-კლესიოთ 1773 წლამდე გასტანა, ხოლო ამ წლის შემდეგ-კი გორში კათოლიკის ეკკლესიის აღდგენის საქმეს მრევლი შე-უდგა. მათ მალე გააკეთეს პატარა ეკკლესია,შემდეგ ამ ეკ-კლესიის ზრუნვას პატრი მარიოსი მიეცა და მან 1813 წლამდე უკვე აღაგო ის ეკკლესია, რომელიც დღევანდლამდე გორში სდგას და ქართველ კათოლიკებს უპყრიათ. ამ პატრის შრომა პა-ტივის ცემით მოიხსენა დონ გაბრიელ ასლანიშვილმა 1890 წ. „ცნობის ფურცელში!“*)

გორის კათოლიკეთ ეკკლესიის ისტორია მეტად მდიდა-

რია. ჩვენ აქ მხოლოდ საჭირო ცნობებს ავნუსხავთ. აქედა-
მაც მიხვდება მკითხველი, რომ გორის ქართველთ კათოლი-
კეთ ეკკლესიის და ერის ისტორია და წარსულის ყოფა-ცხოვ-
რების გამორკვევა და გაცნობა არ უნდა იქმნეს ღირსეულს
მნიშვნელობას მოკლებული.

ძველად გორის კათოლიკეთ ეკკლესია დიდს მფარვე-
ლობას უწევდა თავისს მრევლს, იგი ყოველთვის პატრონობ-
და მათ. შუაგულს ქართლში ქართველთ წინაშე გორის ეკ-
კლესიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მისაბაძავათ ხდე-
ბოდა ქართველთ სამღვდელოთაგან, ნამეტურ სხვადასხვა
მხნე პატრების მოქმედება ხომ სანთლად შთებოდა ძველადგანვე.
როგორც თბილისის კათოლიკეთ ეკკლესიას ჰყავდა თავის
წინამძღვარი, ისევე გორის ეკკლესიასაც. თანასწორ ყოფი-
ლან იგინი. საშუალ საუკუნოებში თბილისის კათოლიკეთ
ეპისკოპოზნი რამდენადაც თბილისში სცხოვრებდნენ, იმდე-
ნადვე გორშიაცა. პატივცემულის დონ გაბრიელის სიტყვით,

---

*) წერილი: – „გორის კათოლიკეთ ეკკლესია“ დონ გაბრიელ ას-
ლანიშვილისა.

XVIII საუკუნის ნახევარს გორში მოსულან ორი ლათინის
ეპისკოპოსნი, რომელთაც გორის კათოლიკეთათვის მირონიც
უცხიათ. ამათი ცნობა შენახულია თვით ამ ეკკლესიის ერთს
ხელთნაწერში. სხვა-და-სხვა დროს აქ იშესანიშნავი მღვდელ-
ნიც ყოფილან. დღევანდელი ეკკლესია არის მშვენიერი, სიგ-
ძეს აქვს 20 არშინი, სიგანე 10 არშინი, სიმაღლე 10 არში-
ნი. გუმბათიც საკმარისი აქვს. ეკკლესიაში მოიპოვება ევრო-
პიდამ ძველადგანვე პატრებისაგან მოტანილი სხვადასხვა
ძვირფასი ნივთები, ძველი წიგნებიც, მაგრამ მუდმივ ქართვე-
ლების დევნამ, ეკკლესიის წართმევამ და შემუსვრამ ბევრი
რამ ძვირფასი ნივთები მოსპო ამ ეკკლესიისა. მართლმადი-
დებელნი ქართველნი ეკკლესიის დაქცევის დროს სხვა-და-
სხვა ნივთებსაც მოსტაცებდნენ ხოლმე.

თუმცა ასეთ დევნაში იყო გორის ქართველთ კათოლი-
კეთ ეკკლესია, მაგრამ მას მაინც შერჩენია რამდენიმე ძველი
ნივთი და ორიოდე წიგნი, რომელშიაც აღწერილია გორის
კათოლიკეთ მრევლის ცნობები, თუ 1730 წლიდამ როდის
ვინ დაიბადა, მონათვლა, გარდაცვალება, შეწირულთა რიცხ-
ვი, გორის ეკკლესიის „სავხადისის" ძმობის დაარსება, მისი
ისტორია და ბევრიც სხვა-და-სხვა ძველი გვარები ქართველ
კათოლიკეთა, რომელნიც ძველად ყოფილან გორს და მისს
მიდამო სოფლებში და დღეს-კი აღარ არიან. *)

1801 წ. ქართველთაგან ეკკლესიების წართმევაზედ
კნორნიგმა ალექსანდრე იმპერატორს აცნობა. მან ამაზე პასუ-
ხი მისცა ასე: ქართველებს თუ არ ეწყინებათ, კათოლიკებს
დაუბრუნდეთ თავიანთი ეკკლესიები. კათოლიკებს კანონიე-
რი, შესაფერი პატივი მიანიჭა პ. ციციშვილმა. გორის ეკკლ-

სიის წიგნში მოხსენებული არიან შემდეგი მოძღვარნი: „გორელი პატრი უფროსი ფიიჩე, ანტონი ფრანცისკო პადუელი, გორელი ფრა დომინიკე, მიიც. 1720, პატრი უფროსი ანდრია პალერმე-

*) იხილეთ წერილი დონ გაბრიელ ასლანიშვილისა „ცნობის ფურცელი“ 1899 წ. № 843.

ლი, მიიც. 1780 წ. გორის უფროსი პატრი აქვილელი ბერნარდე, მიიც. 1187 წ. პატრე პავლე ქამაიორელი, მიიც. 1788 წ. პატრი ბონვენთურა თავრინელი მიიც. 1797 წ. პატრი კარლო აქონელი მიიც. 1797 წ. პატრი უფროსი გორის მარიოს ტულაპტელი მიიც. 1810 წ. პატრი ანტონ პადუელი მიიც. 1810 წ. პატრი ფილიპე რომაელი 1817 წ. მოქადაგე პატრი ინვირიოს ფრა პეტრეს-პავლე, პატრი ემანუელ სარდინელი, პატრი ემიდო მორაველი. პატრი ონუმვრად წოდებული, მოქადაგე რიგისაგან მიიც. 1805 წ. პატრი სტეფანე ისარლოვი 1826 წ.“ ეს ხელთ ნაწერი გადუწერია სხვა ხელთნაწერიდამ გორელ მდივნისშვილს კათოლიკეს ავთანდილას 1804 წ. „სავარდისის“ ძმობა ამ ეკკლესიის გვერდით XVIII საუკუნეში დაუარსებიათ. გორელებს მიუბაძავთ თბილისის იმ „სავარდისის“ ძმობისთვის, რომელიც თბილისს 1705 წ. იქმნა დაარსებული.

ძველადგანვე გორის კათოლიკენი პატრების მეოხებით ვაჭრობის წარმატებას მიეცნენ და დაწინაურდნენ. მათში გაჩდენისეთი ვაჭრებიც, რომ XVIII საუკუნეში თვით ევროპაშიაც მგზავრობდნენ და ვაჭრობდნენ. ძველად კათოლიკებში მრავლად იყვნენ თავად აზნაურის გვარის წევრნიც. მაგალითებრ თავადნი: მაჩაბლის გვარის წევრნი, თარხნიშვილის, აბაშიძის, ციციშვილის, ორბელიანის, ჩოლოყაშვილის, ამილახვრის, ერისთავის და სხვ. აზნაურის: ბაქრაძე, ჩიკოიძე, ჟურული, კობახიძე და სხვანი. მოქალაქე კათოლიკეთ გვართ შორის ძველადგანვე ცნობილი გვარებია ჯულარდოვები, ტულუკაშვილები, სააკაშვილები, ფერშანგიშვილები, ზუბალაშვილები, ნალბანდისშვილი, ალპაპასშვილები, დავრიშაშვილები, შიხინაშვილები და სხვანი. დღევანდელი მდგომარეობა ეკკლესიისა არის კარგი. მას განაგებს დონ გაბრიელ ასლანიშვილი. ეკკლესიას აქვს თავისს საკუთარი შენობები და მამულები, რომელსაც კარგად მართავს ზემო ხსენებული მოძღვარი. ამ ეკკლესიის შენობაში ერთ დროს მოთავსებულ იქმნენ უდელ გლეხ-კაცნი, მაგრამ ადგილობრივ ვერ შეიფერეს ეს ღარიბი გლეხნი, კათოლიკობამ ვერ მოუარა

თვინიერ მღვდლის. კათოლიკობა გორში დიდათ კლებულობს.

———

მღვთის მშობლის ეკკლესია. (ახალ-,ქალაქის მაზრა სოფელ ალასტანს), აღშენებულ არის 1856 წ. ძველად აქ ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრებდნენ. შემდეგ-შემ-დეგ შემცირდნენ, ზოგნი შუა-გულ ოსმალეთში გადასახ-ლდნენ, ზოგნი სოფელ ხიზაბავრას და სხვაგან. საქმე ისე მოეწყო, რომ 1820 წლებს, აქ სულ ხუთი კომლი-ღა დაშ-თა ქართველ გვარის კათოლიკენი და მათი ძველი ეკკლესია, რომელ ეკკლესიაც ქართველ გვარის კათოლიკეთ XVIII სა-უკუნის ნახევარს აუგიათ. 1829 წ. აქ არზრუმიდამ გადმო-სახლდნენ რამდენიმე კომლი სომეხთ გვარის კათოლოკეთა. ამათ ჩაბარდათ ყველა ის მამულები, რაც-კი ქართველ მაჰმა-დიანებმა დასტოვეს და თვით ოსმალეთში გადასახლდნენ. 1829 წ. ამ სოფელში სომეხთ კათოლიკებმა იწყეს წინსვლა, ქართველთ კათოლიკეთ ძველი ეკკლესია შეაკეთეს და აქ მომართეს ლოცვა. ამ დღიდამ ალსტანში დამკვიდრდა სომ-ხური ენა. უკანასკნელ იქ მცხოვრებთ ქართველ გვარის კა-თოლიკენიც მოისპნენ. ზოგნი გადავარდნენ, სომეხთ სიმრავ-ლისაგან დღეს აქ ქართველ კათოლიკეთა გვარის ხსენება აღარ არის, ქართული ენაც მოისპო. მარტოდ ქართველთ კათო-ლიკეთ ძველი ეკკლესია დაშთა, რომელიც 1858 წლის შემ-დეგ გაუქმებულ იქმნა. ახალ ეკკლესიის კეთების დროს მისი დაქცევაც განიძრახეს, მასალად გამოგვადგებაო, ხოლო ამის ნება ვერ აიღეს, იგი ხელ შეუხებელად დაშთა, დღევანდლა-მდე იგი მთლათა სდგას ალასტანის ახალ ეკკლესიის გვერ-დით. თუმც ქართველობის დღეს აქ აღარაფერია, მაგრამ ჩვენ მაინც მიტომ აღვნიშნეთ როგორც ერთ დროის ქარ-თველ გვარის საკუთრებას, ქართველ გვარის კათოლიკე-თა მოდგმის საკუთარ საბინადროს. იმასაც უწყიან აქაური ძველი კაცები, რომ ეს ძველი ეკკლესია სულ ძველად მარ-

თლ-მადიდებელთ ქართველთ ყოფილა, შემდეგ კათოლიკებს დაუჭერიათ, რადგანაც ქართველთა კათოლიკობა მიუღიათო.

ეკკლესია ზომიერია, 4 საჟენი სიგძე აქვს, სამი საჟენი სიგანე და სიმაღლეც ამდენი. თლილის ქვით არის ნაშე-ნი. დღევანდელი ეკკლესია აგურით არის ნაშენი, რვა საჟე-ნი სიგრძე, ოთხი საჟენი სიგანე, სიმაღლეც ზომიერი, მთლად სომხურად არის შემკობილ-მოწყობილი.

ჰურის ეკკლესია, (არტაანის ოლქი), ეკკლესია არა აქვსთ, კერძო სახლში სწარმოებს ლოცვა. ჰური სძევს არტა-აანის ოლქში. ამ სოფელში ქარველ გვარის კათოლიკეთ რიც-ხვი ძველადვე იყო გამრავლებული. იგინი ოსმალთაგან ჩვეუ-ლებრივს დევნაში იყვნენ შთავარდნილნი. ამ დევნულებამ მცხოვრებნი ზემო ხსენებულ სოფელში მთლად შეამცირა, მოსპო ისე, რომ მე XVIII საუკუნის დამლევს იქ სულ რამ-

დენიმე ქართველ გვარის კათოლიკე-ღა იყო, დანარჩენი სულ ქართველ მაჰმადიანები. ქართველ კათოლიკეთა გარდასახლების შემდეგ მუსულმან ქართველებმა კათოლიკეთ ეკკლესია დააქციეს. ისე მოსპეს, რომ იქ დღეს ამის ნატამალიც აღარ სჩანს, სხვა და სხვა მამულებს-კი მოსული სომხები დაეპატრონენ. არზრუმში გადასახლებულ ქართველ გვარის კათოლიკობა მთლად გადაგვარდა, გასომხდენ.

ამ სოფლის ისტორიული გადმოცემა-კი ჯავახეთის ქართველ გვარის კათოლიკებში ამბათ დარჩა და უკანასკნელ დროს ჯავახეთიდან რამდენიმე კომლი კვლავ იქ მიტომ გადასახლდნენ. იქ ამათ თავიანთ წინაპართ ქართველ კათოლიკობის ვეღარა ნახეს-რა, სულ შემუსვრილი იყო, ამიტომ ლოცვის სახლი მოახერხეს. თვით ქართველობა გადაგვარებულია ისე, რომ მათში ქართველობის აღარა სჩანს რა. ლაპარაკი თათრული აქვსთ, წირვა-ლოცვა სომხურათ სწარმოებს. უკანასკნელ მათში სომხური ენა აიდგამს ისევე ფეხს, როგორც ეს შავშეთს, ართვინს და სხვაგან მოხდა. ძველად

სოფელ ჰურს სხვა სახელი ერქვა. იქ ქართველნი სცხოვრებდნენ. ჰქონდათ პატარა მღვთის მშობლის ეკკლესია. კათოლიკობასთან დაკავშირების შემდეგ ეს ეკკლესია კათოლიკეთ ეკკლესიად იქმნა გადაკეთებული, მაგრამ იგი არც ასე დარჩა დიდ ხანს. ქართველ გვარის კათოლიკეთ გარდასახლების შემდეგ იგი დაქცეულ იქმნა გათათრებულ ქართველთაგან. კათოლიკეთ ეკკლესიაც მღვთის მშობლის ეკკლესიად იწოდებოდა დღემდე.

ტურცხის ეკკლესია. (მღვთის მშობლის სახელწოდების ეკკლესია). ტურცხიც ისეთივე ძველი სოფელია, როგორც ჯავახეთის სხვა და სხვა სოფლები. აქაურ მკვიდრთ კათოლიკობა ძველადგანვე მიუღიათ, თითქმის იმ დროს, როცა კარტიკამში, ბავრა, ხულ-გუმო და სხვა სოფლის ხალხი დაკავშირებიან კათოლიკობას. ამის დროთ ჩვენ მიგვაჩნია XVI საუკუნეზედ არა უგვიანეს, რადგანაც XVII საუკუნეში აქ უკვე კათოლიკობა თვალთ საჩინოდ სჩანს. ამას ამტკიცებს იმ დროის ეკკლესიის ქვებზედ დარჩენილი წარწერანი და საფლავის ქვებზე დარჩენილნი ეპიტაფიები. ტურცხოს ქართველ კათოლიკებს XVII საუკუნეში საკუთარი ეკკლესია უკვე ჰქონიათ. მაშინ წარმოიდგინეთ, რომ კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელთ რიცხვიც დიდი ყოფილა. მათი რიცხვი შესდგებოდა სულ რჩეულ ქართველთაგან და შემდეგ კი აქ ოსმალთა დევნის მეოხებით და ხალხის გათათრების წყალობით კათოლიკეთა როცხვიც საკმარისად შემცირებულა და ამ სოფლის მცხოვრებთ ბევრი გარდასვლ-გარდმოსვლა გამოულიათ, ბევრი უბედურება, ბევრი დავიდარაბა. ამ და-

ვიდარაბას მათს ეკკლესიაზედაც უმოქმედნია, მასზედ ძველადგანვე დაუსვია თვისი შემმუსრავი ბეჭედი. იგი სასტიკათ შეურყევია. XVIII საუკუნის ნახევარს ტურცხოს ძველი ეკკლესიის ალაგას გააკეთეს პატარა ეკკლესია. აღშენება ლათინის ბერებს ეკუთვნისთ. ხოლო ეკკლესიის კედლები არ

ყოფილა მკვიდრ ქვით და ტალახით ნაშენი. XIX საუკუნის დამდეგს იგი უძლურებას მიეცა. უკანასკნელ ისე შეიმუსრა, რომ ლოცვაც არ შეიძლებოდა. ამიტომ მრევლმა თავს იდვა და 1855 წ. ახალი ეკკლესია აღაგეს.

ძველადგანვე აქ ქართველ კათოლიკენი ქართველ გვარისანი სცხოვრებდნენ. XVIII საუკუნის ნახევრამდე ამათ მღვდლებად პატრები იყვნენ, ლათინის წესით უწირავდნენ. XVIII საუკუნის დამლევს ამ კუთხის ქართველ კათოლიკებზედ დიდი ზე გავლენა იქონიეს სომეხთ კათოლიკებმა. ეს გავლენა მათზედ 1740 წ. მოვიდა, როცა კილიკიაში სომეხთ კათოლიკეთ კათოლიკოზი იქმნა ამორჩეული. სომეხთ კათოლიკობის სამღვდელოების ამაღლებამ და კათოლიკოზის გამგეობამ ასე მოაგვარა საქმე, ამათ ეკკლესიებში სომხური ენა იქმნა შეტანილი და გამეფებული. 1829 წ. რუსეთმა რომ ოსმალეთის საქართველოს ზოგიერთი ადგილები აიღო. მაშინ არტაანის ოლქის სოფელ ველიდამ რამდენიმე ასი კომლი ქართველ კათოლიკეთ გვარისანი გადმოსახლდნენ და რამდენიმე კომლის ამ ტურცხოში დასახლდნენ. ამათ მიემატნენ არზრუმიდამ გადმოსახლებულ სომხის გვარის კათოლიკენიც. დღეს ამ სოფელში ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრებენ. მათ ქართული ენა ძველათვე დაავიწყდათ. იგინი სომეხ კათოლიკეთ ტიბიკონზე სდგანან. ეკკლესიაში სომხურს ენაზე სრულდება წირვა-ლოცვა. ქადაგება-კი თათრულს ენაზედ აქვსთ, რადგანაც მათ სომხური ენის არაფერი იციან, დღევანდელი სომეხ-კათოლიკეთ მოძღვარნი-კი მათ გვარტომობას სომხათ აუწყებენ და სომხურ ენასაც ასწავლიან. უეჭველია საქმემ თუ ასე გასტანა, სულ მოკლე დროის განმავლობაში, ტურცხის ქართველ კათოლიკენიც ისევე დაეკარგება ქართველობას, როგორც სხვა კუთხის ქართველთ დაემართათ. ამის ნიშნები უკვე სჩანს. დღეს ტურცხის ქართველობამ ქართული აღარ იცის, მათი დედა-ენა თათრულია.

წმ. სტეფანეს ეკკლესია, (ახალ ქალაქის მაზრა, სოფ. ხულგუმოს), გაკეთებულია 1856 წ. ადგილობრივ მრევლის საფასით. ძველად ამ ეკკლესიის ალაგას ძველი ეკკლესია ყოფილა ქართველთა XI, XII და XIII საუკუნოებში აღგებული. შემდეგ აქ ეს ისე შეიმუსრა, რომ დღეს მისი ნასახიც

აღარ არის. აწინდელი ქვიტკირის ეკკლესია დეკემბრის 19-ს 1899 წ. რომ მიწა იძრა ახალქალაქის მაზრაში, მაშინ ეს ეკკლესიაც დაიქცა. დღეს მის ნაცვლად ფიცრულის პატარა ეკკლესია არის. ძველად ამ სოფელში ქართველები სცხოვრებდნენ. იგინი გათათრებულ იქმნენ. მათი ძველი ეკკლესიაც შემუსვრეს. დღევანდელ ეკკლესიაში ინახება ერთი ბარძიმი, რომელსაც ქართული წარწერა აქვს. ყველამ კარგად იცის, რომ ძველად ამ სოფელში ქართველი გვარის კათოლიკენი სცხოვრებდნენ. ძველად აქაურ ქართველ კათოლიკეთ ლათინის წესს-რიგის პატრები ჰყვანდათ. წირვა-ლოცვა ლათინურად და ქართულად სწარმოებდა. 1829 წ. რუსეთის ბრძანებით აქეთ გადმოსახლდნენ არზრუმის თემის სომეხ-კათოლიკენი და გრიგორიანები. რამდენიმე კომლი სომეხ-კათოლიკებისა ამ სოფელ ხულგუმოს იქმნენ დასახლებულნი. ამათ იმძლავრეს და 1841 წ. ხულგუმოს ქართველ კათოლიკეთა სომხის ტიბიკონის ხუცები განუწესდათ. მას შემდეგ სოფელ ხულგუმოს ქართველნიც სომხათ იქმნენ შერაცხილნი. მცხოვრებთ შორის დღესაც ნახავთ ისეთ კათოლიკებს, რომელთაც ქართული გვარები აქვსთ. ბევრს სომხურათ აქვსთ გადაკეთებულები, ზოგს თათრულად. უეჭველია, აქაც იგივე დატრიალდება ქართველ-კათოლიკებს, რაც სხვაგან.

———

მღვთის-მშობლის ეკკლესია. ახალქალაქის მაზრა, (სოფ. კარტიკანში.) ეს ეკკლესია აღგებულია უძველესის დროიდგან, თითქმის იმ დროს, როცა-კი კარტიკანელთ ქართველთ შორის, ოსმალთა დევნულების მეოხებით, ლათინის პატრების საშუალებით მათში კათოლიკობა გავრცელებულა. სოფელი

კარტიკანი ახალქალაქის ახლოს 5 ვერსზედ სძევს. ამათ ძველი ეკკლესიის აღშენების ხანა XVI საუკუნეს ბოლოს მიეწერება. XVIII საუკ. ეს ნაშენი ისე დაძველებულა, რომ მასში ლოცვა შეუძლებელი გამხდარა. ამიტომ მაშინ ძველი დაუქცევიათ და სახელდახელოთ ახალი ეკკლესია გაუკეთებიათ. XIX საუკუნეში, ეს ეკკლესიაც ისე დაძველდა, რომ მასში ლოცვა შეუძლებელი გახდა და ამიტომ იგი დაქცეულ იქმნა და 1843 წელს სხვა ახალი აღაგეს. ესეც კიდევ ჟამიერად და ამიტომ ამ უკანასკნელ დრომდისაც ეს ნაშთიც დიდათ დაძველდა. მას სამღრთო მსახურების დროს დიდი შიში აქვს. ამიტომ მრევლმა ისურვა ახალი ეკკლესიის აღგება. მათ თხოვნა მისცეს, სადაც რიგი იყო, იმეცადინეს და ნებართვაც აიღეს. ეხლა სხვა ეკკლესიის შენების დაწყება სურთი ნ წელიწადია, რაც ეს ეკკლესია დაკეტილი არის და ლოცვა ამავ სოფლის სკოლაში სწარმოებს. კარტიკანში ძველის ძველადვე ყოფილან ქართველი გვარის კათოლიკენი. 1820 წლებში აქ 18 კომლი ყოფილა. 1829 წ. არზრუმი-

დამ აქ გადმოსახლდენ რამდენიმე კომლი სომეხ კათოლიკეთა
და ამათ სიმრავლის მეოხებით ქართველ გვარის კათოლიკე-
ნი მთლად მოისპნენ. აქ ქართველთ გვარის შთამომავალთ
ამბათ თუ იციან, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან,
თორემ ქართულის ნიშან წყალის მათ აღარა სცხიათ-რა. ესე-
ნიც დაიკარგებიან ქართველთათვის ისევე, როგორც სხვები
დაიკარგნენ.

———

სოფ. ველის ძველი ეკკლესია, (არტაანის ოლქი), ველ-
ში კათოლიკობა ძველადვე აღორძინდა, იქ ქართველთ-კათო-
ლიკეთ რიცხვი მეტად დიდი ყოფილი. ძველად იქ ყველამ
იცოდა ქართული ენა და წერა-კითხვა. მღვდლად ყოველთ-

ვის ლათინის წესს რიგის პატრები ჰყვანდათ. წირვა-ლოცვა
ქართულად სწარმოებდა. ერთ დროს რაღაც შემთხვევით
მათთვის სომხის ტიბიკონის მღვდელი გაუწესებიათ, ჩვენ ამის
მიზეზების განხილვაში არ შევალთ. ეს საქმე ველელებს
ძრიელა სწყენიათ. მათ თხოვნა და საჩივარი გაუგზავნიათ იქ,
სადაც ალაგი ყოფილა და თან უთხოვნიათ, რომ ჩვენ, რა-
დგანაც ქართველ გვარის კათოლიკენი ვართ და ლათინის
დამონადირებულნი, ამიტომ ვითხოვთ, რომ ქართველი რი-
გის მღვდელი განგვიწესდესო. უფროს პატრს თხოვნა შეუწ-
ყნარებია და მალე ველელებისთვის ლათინის წესს-რიგის პატ-
რი დაუნიშნავსთ. აი თვით ველელების ერთი თხოვნა:

„ბატონო პატრი: უფროსს: და უმთავრესს: მამას: სამღრთო-
ის: .სიბრძნით: სავსეს: და: სამღთო მოქალაქობით: აღზრდილს:

ქ. ცოდვანი: ერნი ველის ზოგად კათოლიკებთა ქართველთა
გვარისანი უმწყემსოდ დაცვივნულნი მცხოვრებნი: პირველად: მღვთი-
საგან: რჩეულსა: და მერმე: წმინდის კრებისაგან აღმორჩეულსა აღ-
მოსავლეთის კათოლიკე ეკკლესიისა შვილებზედ ზედამხედველ და-
დგინებულს ჩვენ ცოდვილნი და რ... (რომის კათოლიკედ) ღირსად
წოდებულნი კათოლიკე სარწმუნოებისა... ქედ დადრეკით და დავრ-
დომით ხელ პყრობილნი სამღრთოსა მის ფეხრთა ანბორებას მიუძღვ-
ნით, ახლა ამას გეხვეწებით: დავცენჯებით რომ ჩვენი რიგის მღვ-
დლები ღმერთს გამოუგზავნია ჩვენთვის და ეგ ჩვენი კათოლიკე
მამები აყენებენ. ახლა ამ წყალობას ვითხოვთ თქვენის რომ
ჩვენ საბრალო სულებს მოუაროთ ჩვენს ქართულს რიგზედ
არა თუ იმ შეჩვენებულის ფოციოს რიგზედა, ან წმინდის მა-
მის იოანეს ოქროპირის რიგზედა. ახლა თუ იკითხოთ ჩვენი ნამყე-
ნობა ლათინთ ნამყენი ნამყოფნი დამოწაფულნი დამონადარებულნი
ვართ და არა თუ სომეხ გვარისაგან და უწყოდეთ ბატონო დიაღ
ბევრ სულებს შეგვიძინავს ღმერთი ამ წიგნის მოწამეა: ქ. პირველად
ტერ სიმონი (მღვდელი) მისი ძმის წული ეფრემა, ქ. ალექსანდრე,
ქ. ელისბარი, ქ. ყარაკოზი, ქ. დავითი ქ. ამოსტოლი, ქ. მესრო-
ფი ქ. ასლანი ქ. ჯოჯო, ქ. სუნბულა, ქ. პეტრე, ქ. ისაია, ქ. პა-

ვლე, ქ. ოქრო, ქ. შიო. ქ. ცაცო ქ. თათთ... ბოლო მოხეული აქვს შემდეგ: „პატრ უფროსს მიერთვას“.

ეს წერილი როდის არის ნაწერი, ამის არა ვიცით-რა. ის კი ცხადათ სჩანს, რომ იგი მაშინ უნდა იქნეს ნაწერი, როცა ველელები ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნენ. XIX საუკუნის პირვნლ წლებს, პ. შაჰყულიანს უკურთხებია აქ ორი დიაკვანი მღვდლათ სომხის ტიპიკონზედ და ესენი დაუდგენიათ აქ. ერთი ყოფილი ტერ პეტრუს ყულახსუზოვი და მეორე ტერ ოჰანეზ ვართანოვი. ორივე ქართულად მოლაპარაკენი, სომხური ენა დიდის წვალებით შეუსწავლიათ. პირველად ამათ უმწყსიათ ველელები სომხის ტიბიკონით, მალე ველელებს ლათინის პატრებიც მოსვლიათ.

როგორც სჩანს, არტაანისკენ ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა რომ დაკარგულა, მის შემდეგ კათოლიკებშიაც შერყეულა. ქართველ კათოლიკებს ქართული ენა 1820 წ. შემდეგიდამ დავიწყებიათ. 1829 წ. ველიდამ მთლად ახალქალაქისაკენ გარდმოსახლებულან და შემდეგ სოფლებში დასახლებულან: კარტიკანს, ხულგუმოს, ტურცხოს და ბავრას. 1860 წ. ხულგუმო და ბავრიდგან 18 კომლი ქართველ კათოლიკების უკანვე მიიქცნენ, იგინი დასახლდნენ სოფ. ხარაბას და რის ვაი ვაგლახით ერთი პატარა ეკკლესია გააკეთეს. დღეს ამ სოფლის მცხოვრებთ რიცხვი 40 კომლამდე ადის. ამავ სოფლებიდამ 1890 წ. არტაანის ოლქის სოფ. ჰურს გადასახლდნენ 10 მოსახლე ქართველ კათოლიკეთა, დღეს ერთსა და მეორე სოფლებშიაც ქართული ენისა აღარა იციანრა, თათრულად ლაპარაკობენ, სომხის კათოლიკის ტიბიკონზედ სდგანან და სომხის ხუცები განაგებენ სომხურად.

წმ. ჯვარის ეკკლესია, (ახალქალაქის მაზრა, სოფელი ბავრა.) სოფელი ბავრა სძევს ახალქალაქის ახლოს, სამი ვერსის სიშორეზედ. აქ არის ძველის ძველი ეკკლესია, აღშენებულ არის XVII საუკ. უკანასკნელს. იგი ისე დაძველდა,

რომ 1887 წ. შეაკეთეს საკმარისად და ისევ ძველი დასტოვეს. ძველი ეკკლესია თლილის ქვით კი არის ნაშენი. ამ ძველ ეკკლესიას ხუცური წარწერიანი ქვებიც აქვს, რაც ცხადათ ამტკიცებს ამ ეკკლესიის ქართველობას. ეკკლესიის გარშემო საფლავის ქვებზედაც მრავლად სჩანს კიდევ ქართული წარწერები; ქართველნი კათოლიკობას ძველადგანვე აღიარებდნენ. მათში ქართული ენა მეფობდა. საეკკლესიო ლოცვები მათ ზეპირად იცოდნენ. დღეს კი მათში დედა ე-ნა ამოვარდნილია, არავინ არ იცის. მოხუცებულთ კიდევ ახსოვთ ზოგიერთი ლოცვების დასაწყისი. თვითონ თავიანთ ვინაობას ქართველ კათოლიკებათ სთვლიან. სარწმუნოებით სომხის

კათოლიკეთ ტიბიკონზე სდგანან. წირა-ლოცვა სომხურად სწარმოებს, ხან ქადაგებაც-კი თათრულად წარმოსთქმენ. სომხის ხუცები მათ ასმენენ, რომ ვითომც იგინი სომხის შთამომავალნი არიან, ამით აჯერებენ კიდეც.

ნელ-ნელ სომხური ენა ფეხს იდგამს მათში, უკანასკნელს სრულს წერტილამდის ავა, ქართველობა თათრულის ენიდამ სომხურ ენაზედ გადავა, მათ დედა-ენად სომხური უნა შეიქმნება. დღესვე სჩანს ამის ნიშნები. სომხის ხუცების მეოხებით ქართველთ გვარების სომხურად გარდაკეთებაც დაუწყეს უკვე. 1829 წ. გადმოსახლებულ სომეხ გვარის კათოლიკენი აქაც დასახლდნენ, უმეტესს-კი ქართველ გვარის კათოლიკენი მოთავსდნენ. არტაანის სოფელ ველიდამ გადმოსახლებულნი, როგორც სხვა ქართველ სოფლებში ძველად ბავრას ქართველებსაც პატრები ჰყვანდათ მღვდლებათ, რომელნიც ქართულად სწირავდნენ, მრევლს ქართველობასთან აახლოვებდნენ, ქართულს ენას ასწავლიდნენ. 1841 წ. აქედგანაც განიდევნენ ლათინის წესს-რიგის პატრები და მათ მაგიერ სომხის ხუცები განაწესეს. ბავრის მცხოვრებთ ქართველთ კათოლიკეთ გვარები: ელიზბაროვი, ჭინავნიაანი, ჭიქილქიანი, ოქროაანთი, ღვინიაშვილი, თუმანიშვილი, ყარამანიანი, გოჩუაანთი, ილიაძე, ბუმბულიანი და სხვანი მრავალნი.

———

– 70 –

გრიგოლ განმანათლებლის ეკკლესია (ართვინს.) ართვინის ქართველთ მართლ მადიდებელთ მესამე ეკკლესიაც დაჭერილ იქმნა ქრთველის გვარის კათოლიკეთაგან. ეკკლესია აღშენებულია ძველად, თლილის ქვით, ჯვართ ამაღლების სახელობაზედ. შემდეგ იგი უკვე ქართველ გვარის კათოლიკეთ საკუთრებათ ითვლებოდა, ხოლო რა სახელით, ეს კი ჩვენ არ ვიცით, რომ „ართვინის ქართველთ მართლ მადიდებელთ ეკკლესია, რომელიც აღშენებულია ჯვართ ამაღლების სახელობაზედ, იპყრეს ფრანგთა და განაგებენ მათი მოწესე მღვდელნი“. დრო და ჟამთა მიმდინარეობის მეოხებით ეს ეკკლესიაც ისე დაძველდა, რომ XVII საუკუნის დასასრულს მისი არსებობა და შიგ ლოცვა საეჭვოდ, საშიშოდ შეიქნა, მაგრამ მრევლი მისს კეთებას ვერ ახერხებდა, დრო შავი იყო და ქარიშხალიანი. ოსმალნი ეკკლესიების კეთებას-კი არა თვით განახლების ნებასაც არ აძლევდნენ. ართვინის კათოლიკეთ მრევლის სიუხვემ და რომიდამ პაპის გავლენამ ეს მესამე ქართველთ ეკკლესიაც დაიფარა ოსმალთ მუსვრისაგან და რადგანაც ართვინს აქა-იქ სოფლებიდგან თითო ოროლა ქართველთ კათოლიკეთ რიცხვიც ემატებოდნენ საცხოვრებლათ, ამიტომ მათ ოსმალთაგან ნება აიღეს ახალი ეკკლესიის გაკეთების, იმავ ძველის ეკკლესიის ალაგას მისავე საძირკველზედ.

მალე დაიწყეს და 1690 წ. ეკკლესიაუკვე დაამთავრეს.

მაგრამ ეკკლესია არ იყო მაგარის კედლებით გაკეთებული. მასზედ სეტყვამ, ქარმა და წვიმამ თავისი ძრიელი გავლენა იქონია და იგი მუსვრას მიეცა თვით 1730 წლებიდამ, ე. ი. აღშენების 40 წლის შემდეგიდამ: მრევლი ყოველთვის ამაგრებდა და დაქცევამდე არ სტოვებდნენ. როცა ეს ძველი ეკკლესია გაუკეთებიათ, მაშინ მისთვის სახელად „გრიგოლ განმანათლებლის“ ეკკლესია უწოდებიათ. ქართველ გვარის-კათოლიკენი ამას არ იზავდნენ, მაგრამ სჩანს იმ დროს სომეხ კათოლიკებს ისეთი ძალა და გავლენა ჰქონდათ ქართველებზედ, რომ მათთვის ძალა დაუტანებიათ და განახლებულ ეკკლესიისათვის გრიგოლ ლუსაურჩი უწოდებიათ. ჩვენ ასე

ვფიქრობთ და ეს სწორეთაც ასე უნდა იყოს. 1730 წელი არის ისეთი დრო, როცა სომეხ კათოლიკებს ქართველ კათოლიკებზედ მეტად დიდი ზეგავლენა ჰქონდათ. ამ გრიგოლ ლუსაურჩის ეკკლესიამაც ვერ ემსახურა კათოლიკებს კარგა ხანს. იგი დახავსებული იქმნა 1800 წლებამდის ისე, რომ 1810 წ. კვალად განაახლეს აქა-იქ კედლებით და ჭერით, მაგრამ ვერც ეს განახლება გახდა დიდის ხნის განძათ. 1850 წ. ისე შეიმუსრა, რომ მასში ლოცვა აღარ შეიძლებოდა, ამიტომ ძველის ეკკლესიის საძირკველზედ აღმოიყვანეს ახალი ეკკლესია, რომელსაც 9 საჟენი სიგრძე აქვს და 5 სიგანე. სიმაღლეც თავის შესაფერია და შიგ მორთულია შეძლებისა და გვარად. ნაშენია არის ბელტის ქვებით და მაგარის ტალახისაგან.

უნდა შევნიშნოთ რომ, რადგანაც ართვინი მეტად მაღალ ალაგს სძევს. ამიტომ აქ სეტყვა, ქარი და წვიმა ძრიელია და იგი ასეთ შენობათაც ადვილათ აუძლურებს. მიზეზი სულ ეს არის, რომ ბაგრატ მესამის, ბაგრატ მეოთხის და სხვათა წარჩინებულ ქართველთ მეფეთაგან ასეთ ადგილებში აღშენებულ X, XI, XII საუკუნოებში ისე მალე იმუსრებოდნენ და XVIII საუკუნემდე იშვიათობით აღწევდნენ. ასეთი ულმობელი ხვედრი მხოლოდ ასეთ მიუვალ ადგილებში აღშენებულს ეკლესიებს ევლინებოდათ გარს და ევლინებათ კიდევაცა, თორემ დაბალ მყუდრო ადგილას, არამც-თუ მე X, XI, XII -ტე საუკუნოებში აღშენებულთ, არამედ V, VI, VII და VIII საუკ, აღშენებულთაც არა უშავსთ-რა და მათ ჩვენ დრომდე უვნებლად მოუხწევიათ. ასეთი იყო გარემოება ართვინის ეკკლესიებისა და ასეთსავე გარემოებაში მოთავსებულს პირობებს წარმოადგენს ყველა იმ ეკკლესიებთა მდგომარეობაც, რომელნიც ასეთ ადგილებში არიან მოთავსებულნი და აღშენებულნი.

კაოლიკეთ ეკკლესია სამეგრელოში ძველადგანვე ანუ XVI

საუკუნის დასაწყისის შემდეგიდამ. ზუგდიდში, ლათინის ბერებმა კათოლიკის ეკკლესიაც აღიშენეს, სადაც განაგებდნენ და სწირავდნენ რომიდან მოსულ მქადმგებელთ ძმობის წევრნი. არქანჯო ლამბერტის სამეგრელოში 22 წელი უცხოვრია, ისევე იოსებ ზამპას და ბევრსაც სხვა მოძღვართა და აბა აქ როგორ შეიძლებოდა, რომ ასეთ მოძღვართ თავიანთ საკუთარი სჯულის ეკკლესია-კი არ ჰქონოდესთ. უამისობა მათგან შეუძლებელია, მით უფრო, რადგანაც იმ დროს მეგრელებს შორის კათოლიკის მაღიარებელნი საზოგადოთ ერს გარდა თვით მთავრებშიაც მოიპოვებოდნენ. პატრების დიდ მეტრფეთ ითვლება ლევან დადიანი XVII საუკუნეში, რომელსაც ლამბერტიც მოიხსენებს. კოსტანტინეპოლიდამ საქართველოში მომსვლელთ ლათინის მქადაგებელთა ძმობის ბინას შავი ზღვის ნაპირებზედ უპირველესს სადგომს სამეგრელო შეადგენდა. ვინც-კი გამოახწევდა შავ ზღვას, ის პირველად სამეგრელოში მოდიოდა, იქ ისადგურებდა. ასევე იყო თვით შარდენიც, რომელმაც პირველად სამეგრელო ნახა და იგი აღწერა. თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ძველად ზუგდიდში კათოლიკეთ ეკკლესია არსებობდა, მაგრამ დღეს-კი მასზედ ხალხში არაფერი ცნობებია დაშთენილი. აქ ამას ჩვენ მოვიხსენებთ ვითარცა ცნობას, როგორც განვლილ არსებულის შთენისას.

შარდენი მოგვითხრობს, რომ ლევან დადიანმა სამეგრელოში მყოფთ კათოლიკის მისიონერ მღვდლებს მართლ-მა დიდებელთ ეკკლესია აჩუქა. ეს ამბავი ზოგიერთ ქართველ მღვდლებს ძალიან სწყენიათ და საბერძნეთის პატრიარქისთვის საჩივარი გაუგზავნიათ და უცნობებიათ, რომ ლევან დადიანმა კათოლიკებს მართლ-მადიდებელთ ეკკლესია აჩუქაო. პატრიარქი ამაზე ძრიელ გამწყრალა და წერილი გამოუგზავნია ლევან დადიანთან და დაუვალებია, რომ უსათუოდ ლათინებს ჩამოართვით აღნიშნული ეკკლესია და ისევ მართლ-მადიდებელთ დაუბრუნეთო. თუ ჩვენი თხოვნა შეწყნარებულ არ იქმნა, იმ შემთხვევაში შეჩვენებულ იქმნები ჩემ მიერ.

თუმცა მართლ-მადიდებელთ ეკკლესიის პატრიარქისაგან ასეთი წერილი მოუვიდა ლევან დადიანს, მაგრამ მან ასეთს ბრძანებას ყურადღება არ მიაქცია და კათოლიკის ბერებს ხმაც არ გასცა. ცხადად სჩანს, რომ ლევან დადიანს საკმარისი მიდრეკილება ექნებოდა ლათინებისადმი. იგი დიდი, ჭკვიანი კაცი იყო და მასთან მკურნალიც, რომლის მკურნალობას ლამბერტიც ახსენებს. ვფიქრობთ, რომ დადიანისაგან ბოძებული ეკლესია ზუგდიდში უნდა ყოფილიყოს, რომელიც შემდეგ დროებში სხვა და სხვა მტერთაგან იქმნა აოხრებული და რომლის არსებობას დღეს ჩვენ აქ მოვიხსენებთ.

კათოლიკენი ცხინვალს. ცხინვალში კათოლიკეთ რიცხვი XVIII საუკუნეში 20 კომლამდე იყო. მათ ჰქონდათ საკუთარი სამლოცველო. მოძღვრათ გორის პატრები ახლდნენ. XVIII საუკუნეში გორის ქართველთ კათოლიკთ მცხოვრებთ შორის 30 კაცამდე მოხსენებულნი არიან გორის ეკკლესიის ძველს წიგნებში, სახელი და გვარებიც-კი სჩანს. შემდეგ აქ კათოლიკეთ რიცხვი ისე შემცირდა, რომ დღეს იქ თითქმის აღარაფერია ამის დაშთენილი. დღეს აღარც სამლოცველოს შთენი სჩანს.

ოლთისის ეკკლესია. ოლთის ქართველ კათოლიკობა XV საუკუნის ნახევარს გაჩდნენ და მათ თავიანთი ეკკლესიაც მაშინათვე მოიპოვეს. ოლთისელთ შორის ქართული ენა XVIII საუკუნის ნახევრამდე არსებობდა, შემდეგ მოისპო. იქ დღეს ქართველ კათოლიკებისაც ისევე აღარაფერია დაშთენილა, როგორც ქართველ მაჰმადიანებში. ქართველ მაჰმადიანები ისლამმა შეჭამა და კათოლიკობაც სომეხთ-კათოლიკებამ. დღეს ჩვენ ოლთისის ქართველ კათოლიკობაზედ აღარას ვსწერთ. ვიტყვით იმას-კი რომ იქ სცხოვრებენ უმეტესი ნაწილი ქართველ გვარის კათოლიკენი, რომელთაც ჟამთა ვითარების მეოხებით თავიანთი დედა-ენა და-

ივიწყეს და გასომხდნენ. დღეს იგინი სომეხ-კათოლიკეთ იწოდებიან და მათში საქართველოს ხსენებაც კი ოცნებათ არის მიღებული.

თელავის ეკკლესია XVII საუკუნის ნახევარს. თელავში სცხოვრებდა რამდენიმე კომლი კათოლიკეთა. ამათ ჰქონდათ თავიანთი პატარა ეკკლესია. შემდეგ აქ ეს ეკკლესია მოისპო, რადგანაც კახეთში კათოლიკეთ რიცხვიც მოისპო სრულიად. თელავში ეკკლესიის ალაგი თეიმურაზ მეფემ აჩუქა პატრს ფრა თომასოს, რომელიც შაჰ აბაზმა გამოუგზავნა ერთ დროს მოციქულათ. კახეთში კათოლიკეთ რიცხვი სპარსეთიდან იყვნენ მოსულნი, საქართველოში მცხოვრებთ კათოლიკეთაგანი, ანუ ამ სარწმუნოებასთან დაკავშირებულნი, არავინ იყვნენ. კახეთში ვერც პატრებს ემარჯვებოდათ მისვლა-მოსვლა სიშორის, უგზო უკვლობის და შიშიანობის გამო და არც კახელნი მისდევდნენ კათოლიკობას, რადგანაც მათ მის წარმოდგენაც არ ჰქონდათ. კახეთში ქართველ გვარის კათოლიკენი იყვნენ სპარსეთში ყოფილნი, იქ დაკავშირებულნი კათოლიკობასთან. მოგახსენებთ, რომ სპარსეთში დი-

დი ძალი კახელობა იყო წაყვანილი ტყვეთ. ესენი იქ გათა-
თრების მაგიერ კათოლიკობას უკავშირდებოდნენ. ზოგნი ამა-
თგანი შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ და მათ როგორც
კათოლიკებმა თელავში ეკკლესიაც აღიშენეს. კახელ ქარ-
თველ კათოლიკეთა შორის დიდი ძალი რიცხვი იყო თვით
თავად-აზნაურებთაგანნიც, რომელნიც ჟამთა ვითარების მე-
ოხებით შემდეგ სრულიად შემცირდნენ. დღეს აქ მარტოდ
გვარებს გარდა ნასახიც აღარ არის დაშთენილი. იქმნება
ესეც გაუკვირდეს ბევრს, რომ კახეთში კათოლიკენი ავნუს-
ხეთ და მათი ეკკლესიაც XVII საუკუნის გასვლამდე. XVIII
საუკუნიდამ აქ კათოლიკობის აღარა სჩანს-რა.

– 75 –

მღვითს მშობლის ეკკლესია (ქ. ქუთაისს). ქუთაისის ქარ-
თველ კათოლიკეთ ეკკლესიის დაფუძნების ხანად 1670 წლებ-
ბი უნდა მივიღოთ. თუმცა ისიც ვიცით, რომ ამ დრომდე-კი
ანუ 1670 წ. ქუთაისს ქართველ გვარის კათოლიკენი სცხო-
ვრებდნენ, ხოლო მათ თავიანთ ეკკლესია ხის სახლში ჰქონ-
დათ მოთავსებული კერძოთ. 1650 წლების შემდეგ-კი ეკ-
კლესია ცნობილ იქმნა, აშკარა სახე მიიღო, თუმცა ხის
ეკკლესია იყო, მაგრამ მაინც იმერეთის სამეფოს წინაშე
ცნობილ იქმნა ვითაარცა საქრისტიანო ერის ქრისტიანური
ეკკლესია. რაც შეეხება ქუთაისში ქართველ კათოლიკეთ
ერის გამრავლებას, ეს კი უფრო ძველს დროს შეეხება, თითქ-
მის იმ დროიდამ იწყობა, როცა ჩვენდა სამწუხაროდ, საქართვე-
ლო სამ სამეფოდ განიყო და ხუთ სამთავროდ, როცა იმე-
რეთის სამეფო აღორძინდა. რადგანაც რომის პაპებისაგან გა-
მოგზავნილს წერილებში ჩვენ იმერეთის მეფეებსაც ვხედავთ
მოხსენებულს. ასეთია მაგალითებრ პაპის ურბან მერვის წე-
რილი, როცა ამ პაპმა პატრის ავითაბოლის წინამძღვარობით
იმერეთს და ქართლს ოცდა ოთხი მქადაგებელი ბერი გა-
მოგზავნა. პაპი წერილში სადაც ქართლის ანუ საქართვე-
ლოს მეფეს იხსენიებს, იქ იმათ მეფის გვერდით იმავე ღირ-
სებით მოიხსენებს იმერეთის მეფესაც. მასაც ისევე ვედრე-
ბით ავედრებს მოძღვართა მფარველობას, როგორც ქართლის
მეფეს. იმერეთის მეფის და სამეფოს გარდა, რომის ტახტის
წინაშე ცნობილ იქმნა კარგად თვით იმერეთის სამეფოს სამ-
თავრო სამეგრელო, მისი ერი, მთავარნი და მათი ყოფა-
ცხოვრება, გურიის, სვანეთის და აფხაზეთის. სწორეთ ეს
გარემოება უნდა ჩაითვალოს მის უმთავრესს საფუძვლად,
რომ სამეგრელოში, გურიაში, აფხაზეთში და სხვაგანაც ლა-
თინის ბერები ადრიდგანვე გასჩნდნენ და XVII საუკუნეში
სამეგრელოსა და გურიაში მთელი რიგი სცხოვრებდა ლათი-
ნის წესს-რიგის მსწავლულ ბერებისა. მოკლედ უნდა მოგახსენოთ,
რომ იმერეთს და მისს სამთავროებს რომი ძველადგანვე კარ-
გად იცნობდა. ამ კუთხეში უფრო ეადვილებოდაო ლათინის ბე-

რებს ცხოვრება, ვიდრე ქართლსა, კახეთში და სხვაგან.

ქუთაისის ქართველ კათოლიკეთ მოძღვართ რიცხვი მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისიდამ სჩანს. მინამდე-კი აქ გადმოდიოდნენ სხვა და სხვა ძმობის წევრნი სამეგრელოდგანა, რადგანაც სამეგრელოში ლათინის მოძღვარნი ძველადგანვე სცხოვრებდნენ მრავლად. ხანდისხან ახალ ციხიდამაც გამოდიოდნენ სხვა და სხვა მოძღვარნი და ქუთაისის ქართველ კათოლიკებს ალოცებდენ. ზემოხსენებულის საუკუნის ნახევრიდამ კი მათ საკუთარი მღვდელი ენიშნებათ. როცა ერთი მიდის, მის ალაგას მისს მაგიერ მეორე მოდის, უმეტესს-კი რომიდამ ნიშნავდნენ. სომხებს საქმე არ ჰქონდათ.

ქუთაისს ქართველთ კათოლიკენი უფრო სხვა და სხვა კუთხეებიდამ სჩნდებოდნენ და სახლდებოდნენ, ვგონებთ, ზოგნი ვაჭრობის მიზნით და ზოგნი სხვა და სხვა სახელოსნოს საქმის კეთებით. ესეთია მაგალითებრ ახალციხელ კათოლიკეთა გარდმოსვლა იმერეთს. ქართველთ გვარის კათოლიკენი ძველგანვე სცხოვრებდენ. მათი ეკკლესია არსებობდა, ვითაარცა საქრისტიანო ერის ეკკლესია და მას იმერეთ მებატონენი ისევე პატივს სცემენ და აღიარებდენ, როგორც თავიანთ ეკკლესიებს. ხოლო ქუთაისის ეკკლესია 1690 წლიდამ დევნას ეძლევა. ბერძნები მათ წინააღმდეგ იმერეთში ქადაგებას იწყებენ. მცირე ხნის შემდეგ ეს დევნა და მღელვარება იმერეთ შორის წყნარდება, კათოლიკეთ ეკკლესია მოსვენებას ეძლევა, მაგრამ არ გადის დიდი დრო და იმერეთ შორის კვალად იბადება მტრობა, კათოლიკეთ დევნა, ეკკლესიის შემუსვრა. ამ ტრობას ხელს უწყობს იმერეთის ფანატიკი სამღვდელოებაც. XVIII საუკუნის დამდეგს საქმემ იქამდე მიაღწია, რომ ეკკლესიაც-კი დაუკეტეს და რიგორც ქართლში, იქაც, სამარცხვინოთ იმერთა, საეკლესიო ნივთები წაართვეს და ბრძანება მისცეს კათოლიკებს, რომ დღეის შემდეგ თქვენ ქართველების ეკკლესიაში იარეთო. მაგრამ ეს მათ ვერ მოუხერხდა, რადგანაც კათოლიკენი სასტიკათ აეწინააღმდეგნენ და უკანონო განკარგულება უარი ჰყვეს,

არ შეიწყნარეს და უმართებულოთაც დააკანონეს. მერე ამათ თავიანთი მოქიშპე მტერი სამღვდელო პირნი ფულით შეისყიდეს.

თუმც ასეა და ჩვენ კარგად ვიცით, რომ იმერეთის სამეფო ქალაქ ქუთაისს, ქართველ კათოლიკენი და მათი ეკკლესია ძველადგანვე არსებობდნენ, ხოლო ის კი არ ვიცით თუ XVII საუკუნის დამდეგიდამ სად ან რომელ ალაგას არსებობდა ის ხის კერძო სამლოცველო სახლი, რომლის ცნობა 1801 წ. სჩანს; ჩვენის ფიქრით, XVIII საუკუნის კათოლიკეთ ეკკლესია უნდა იყოს განახლებული იმავე ალა-

გას, იმავ ეკკლესიის საძირკველზედ, რომელ ეკკლესიაც 1670 წ. არის ცნობილი, და რაც მისს დაარსებას შეეხება. ეს-კი XIV და XV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ასე რომ, XVIII საუკუნემდე ქუთაისის ეკკლესია ყოველთვის ერთ ალაგას ყოფილა, შემდეგ-კი ადგილი შეუცვლიათ. დღეს ქუთაისის ქართველთ კათოლიკეთ შორის დარჩენილია შემდეგი გარდმოცემა, რომელიც უკლებლივ გარდმოგვცა ქართველ კათოლიკეთ მოძღვარმა პატრმა გაბრიელ ასლანიშვილმა:

„ძველად ქუთაისს ქართველთ კათოლიკეთ არსებობდა, აწინდელ ეკკლესიის ზემოთ, ყანთართან. იქ ეს ეკკლესია კარგა ხანს ყოფილა, შემდგომ იგი გადმოუტანიათ ქვემოთ, აწინდელ ეკკლესიის ახლოს ვიღაც კათოლიკის სახლთან. მისს მერე ეს დაუტოვებიათ და გაუკეთებიათ სხვა, ქვითკირის, აწინ-ეკკლესიაც დაუტოვებიათ და გაუკეთებიათ სხვა, ქვით-კირის, აწინ-დელიეკკლესიის ახლოს, რიონის ნაპირას, რომელ ეკკლესიის არსებობამაც 1840 წლამდე მოსტანა. აწინდელ ეკკლესიის გალავანში, რიონის ნაპირას, დღესაც-კი სჩანს ამ ძველი ეკკლესიის საძირკველი. იგი საკმარისად მოზრდილი ყოფილა თავის დროის კვალად. მისი სრულიად გაუქმება, ანუ მოშლა 1850 წლებს ეკუთვნის. ასეთი გახლავთ ქუთაისის ქართველ კათოლიკეთ ძველი ეკკლესიის ისტორია“.

დღევანდელი ეკკლესიის შენება დაუწყვიათ 1814 წლიდგან. მიზეზი ახალის ეკკლესიის გაკეთებისა ის ყოფილა, რადგანაც ქუთაისს ქართველ კათოლიკებს გამრავლება და-

უწყვიათ. ამ სიმრავლეს ხელს უწყობდა ის გარემოებაც უფრო, რადგანაც ოსმალეთის საქართველოდამ იმერეთში დიდი ძალი ქართველთ კათოლიკეთ ვაჭრები გადმოდიოდნენ სავაჭროთ, ბევრნი ქუთაისშივე სახლდებოდნენ და უკან აღარ ბრუნდებობდნენ, რადგანაც როგორც ძირეულ ქართველთ თავიანთ მეფის ხელში გაჭირებით ცხოვრება უფრო ენატრებოდათ, ვიდრე ოსმალის ფაშის ხელში ყოფნა, გინდ კარგად ვაჭრობა და ცხოვრება. ერის სიმრავლის რიცხვმა გამოიწვია ახალი ეკკლესიის გაკეთება და როგორც ზემოთაც ვსთქვით, 1814 წელს ეკკლესიის ადგილი და საძირკველი გააკეთეს. 1820 წლიდგან შენება დაიწყეს და რამდენიმე ხნის შემდეგ ეკკლესიის კედლები აღაგეს, გუმბათიც გაუკეთეს, გარე სამკაულებით შეამკეს; შიგ-კი დაურჩათ შეუმკელ-მოურთავი. ამას იგინი არც ჩქარობდნენ, რადგანაც წირვა-ლოცვის გარდახდით ძველის ეკკლესიითაც იოლად მიდიოდნენ. ასეთ ეკკლესიის კეთებასა იმ დროის ქუთაისის კათოლიკობა ვერ შესძლებდა. მათ კაი დახმარება მოუვიდათ რომიდამ. ამით დაიწყეს შესრულება და ნელ-ნელა საქმეს ასრულებდნენ. ჯერეთ ეკკლესია არ იყო სრუიად დამთავრებული, რომ 1846 წ. საქართველოში გამოცხადდა ლათინს წესს-რიგის პატრების განდევნა. განდევნეს ქუთაისის პატრებიც. ამათ შემდეგ, ქუთაისის ეკკლესიაზედ განწესებულ იქმნა რომიდამ მოსული I846 წ. დონ ანტონ გლახაშვილი. ამან დაიწყო მრევლში

ფულის შეკრება და ეკკლესიის დამთავრება. ამ საქმეში მას ემხრობოდნენ თ. ვ. გაბრიელ იოსების ძე ანდრონიკოვი, ბაინდუროვი, ყაუხჩოვი და სხვანი. საერთოდ მრევლშიაც იქმნა შეკრებილი ფული და ასეთის საერთოს დახმარებით ეკკლესია სრულიად დამთავრდა 1860 წლებს. ეკკლესია აღშენებულია ყვითელის თლილის ქვით. ცხრა საჟენი სიგრძე აქვს, ექვსი საჟენი სიგანე და შვიდი საჟენი სიმაღლე გუმბეთამდე. შიგნით შემკულია შესაფერის კარგის საკურთხევლით, ტრაპეზით. აქვს ორი აივანი მლოცველთათვის. ეკკლესიის თითო კუთხეს სამ-სამი სვეტი აქვს. მთლად ეკკლესიის გუმბე-

თი და ჭერი ამ სვეტებზედ სდგას. აივანში ხშირად დღესასწაულ დღეებს მგალობელთ ქალნიც გალობენ. საკურთხეველი შემკულია სხვა და სხვა ხატებით, რომელნიც რომიდგან მოუტანიათ. მთლად ეკკლესიის გარშემო დასვენებულია 14-ტი ჯვრის ვაზის ხატი, პარისიდამ მოტანილი, რომელნიც შეუწირავს ქართველ კათოლიკეს იოსებ ყაუხჩოვს.

სხვათა შორის, ბევრს ძველს საეკკლესიო ხატებს და ნივთებს შორის შენახულია ძველი ხატი მღვთის მშობლისა, რომელიც ივერიის მღვთის მშობლის ხატს ჰგავს. ეს ხატი აქ მოუსვენებიათ ყირიმის ომის დროს. მანამდეკი იგი დასვენებული ყოფილა ოზურგეთის ქართველ კათოლიკების ეკკლესიაში, რომელ ეკკლესიის დაარსების დრო XVII საუკუნის დამდეგს ეკუთვნის. ეს ხატიც იმ დროისა არის. ამ ხატთან ერთად ზარი და საეკკლესიო ნივთებიც მოუტანიათ. ზოგი რამ საეკკლესიო ქაღალდები და საეკკლესიო ნივთებიცკი ოზურგეთელ თუმანიშვილებს დაშთენია სახლში. ეკკლესიის იატაკზედ აწყვია საჯდომი სკამები. ამ სკამის საჯდომებს თავ-თავის ნომრები აქვს და მასთან იმ პირის გვარის და სახელის წარწერაც, ვისაც იგი ეკუთვნის. ამის სამაგიეროთ თითო პირი წელიწადში 12 მან. იხდის. ასეთის შეკრებულის ფულით ინახვენ ხსენებულ ეკკლესიის სამრევლო კოლას, სადაც სწავლობენ ღარიბ ოჯახის შვილები. ეკკლესიას აქვს მშვენიერი ეზო, ბაღით შემკული, რიონის პირას ძრიელ კარგი სანახავია. ეზოს აკრავს კარგი გალავანი. ამბობენ, რომ XVIII საუკუნეში მთლად ეს ადგილები გიორგი აკოფოვს შეუწირავს, რომლის შთამომავალნი ქუთაისს გიორგის შემდეგ მეოთხე თავობათ ითვლებაო. ზემო ხსენებულსავე დონ ანტონ გლახაშვილს ეკკლესიის მოძღვართათვის გალავანში გაუკეთებია კარგი ქვის სასახლე, რომელიც დღემდე სდგას მკგიდრათ. შემდეგ დროს ამავე მოძღვრის თავოსნობით მოძღვართ სასახლის გვერდით გაუკეთებია სამრევლო სკოლა, რომელ შენობის კარის შესავალში თლილ ქვაზედ ქართულის მხედრულის ასოებით შემდეგი სიტყვებია

ამოჭრილი „სამრევლო სასწავლებელი ესე აღშენებულ არს სა-
შუალოთა მორწმუნეთა კათოლიკეთა მფარველობის ქვეშე წ˜ა მამა
იოსების წ. უ. 1879 წ. ნოემბრის 13-სა“.

ამ წარწერას თავზედ ლათინური ასოები აქვს:

„D. O. M“. ამავე მოძღვარს დონ ანტონ გლახოვს აღუ-
შენებია პატარა საყდარი ქუთაისის ქართველ კათოლიკეთ
სასაფლაოზედ, რომელიც დღემდე სდგას მკვიდრათ. ამ მოძ-
ღვარმა აქ 40 წელი განაგო. დასაფლავებულია შიგ ტაძრის
შუა გულს. მხოლოდ მისს სამარეს წარწერა ან სხვა რამ ნი-
შანი არა აქვს. პატივცემულის მოძღვრის გაბრიელ ასლანი-
შვილის ჩვენებით იგი დასაფლავებულია საკურთხევლის წინ
ტრაპეზის კარის შესავალში. ეკკლესიის გალავანში დასაფ-
ლავებულ არიან რამდენიმე პირნი, რომელთა საფლავის ქარ-
თული წარწერანი აქვე მოგვყავს:

„მოიხსენე უფალო სიმრავლისამებრ მოწყალებითა შენითა სუ-
ლი მონისა შენისა სტეფანე ანტონის ძე ყაუხჩოვისა. იგი შობილ
არს წელსა ჩყლგ. აპრილსა და გარდაცვალებულ არს სამარის წელს
ჩყ8დ, მაისის იზ. შემდგომ გვამი მისი სამარიდამ გადმოტანილ
იქმნა თვისი ძმის იოსების მიერ და დასაფლავებულ არს ადგილსა
მასვე წელსა შინა ოქტომბრის ი-სა“. ამ საფლავის მახლობლად,
თითქმის გვერდით მოიპოვება მეორე საფლავის ქვის ქართუ-
ლი წარწერა:

„მოიხსენე უფალო სული მონისა იოსებ ანტონის ძის ყაუხჩო-
ვისა, რომლის გვამი მდებარე არის ამა ლოდსა ქვეშ, შობილ არს
ჩყლდ სა ივნისის იდ, და გარდაცვალებულ არს წელსა ჩყ8ბ-სა ივ-
ლისის აბ-სა."

ამ საფლავის ქვების პირდა-პირ აღმართულ არს თლილი
ქვის ძეგლი, რომელზედაც აგრეთვე წარწერილი არს ზემო-
ხსენებულ ძმათა დაბადების და გარდაცვალების წელნი ლა-
თინურს ენაზედ. გარდმოგვცეს, რომ ამ პირთა აღთქმით და
დავალებით ეკკლესიას კარის წინ გაკეთებულ ექმნა ის გუმ-
ბათიანი ბჭე, რომელიც დღეს ცხადლივ ამშვენებს ეკკლესი-
ასა. ეს კარგი თლილი ქვის ბჭე გაუკეთებია ივანე ყაუხჭოვს,

სტეფანე და ანტონის შთამომავალს 1892 წელს. ამ შენობას
გარედგან ლათიხური წარწერაც აქვს, რაც მოწმობს მისს
აღშენებას და აღმშენებელთ ვინაობის ცნობას. არის აგრე-
თვე სამარე, სადაც მოიპოვება შემდეგი ქართული წარწერა:

– „გიორგი აკოფოვი, მოიხსენე უფალო ოდეს მოხვიდე სუ-
ფევითა შენითა. მიიცვალა აგვისტოს 10 წ. 1838-სა.“

ეს გიორგი აკოფოვი ის უნდა იყოს, ვისაც ხსენებული
ეკკლესიისთვის XVIII საუკუნეში დღეინდელი ეკკლესიის
საეკკლესიო ადგილიც შეუწირავს. ურიგო არ იქნება აქ მო-
ვიყვანოთ შემდეგი საყურადღებო ცნობაც: ამ ეკკლესიის
შენობის დროს სამეგრელოს მთავარ დადიანს შეუწირავს
ექვსი წყვილი კამეჩი თავის ურმით და ბიჭებით, რომელნიც
ეკკლესიის შენების დროს მუშაობდნენ. ეკკლესიას აქვს ერთი
დიდი შკაფი, სადაც ძველად დაბეჭდილი ლათინური წიგნები

აწყვია, ვრცელი ტომებია, დიდროვანი, ზოგი XV, XVI, XVII საუკუნოებში ნაბეჭდებიც არის. სიძველით არიან საყურადღებონი. უმეტესი ნაწილი სამღრთო მეტყველების, ფილოსოფიის, მჭერ-მეტყველების და კამათობას შეეხებიან. ეკკლესიასვე აქვს ძმობის წიგნი და ამ წიგნიდგან სჩანს, რომ „სავარდისის“ ძმობა კათოლიკებს აქაც ადრევე შეუდგენიათ და დაუარსებიათ იმავე წესებით, როგორც ეს იმ დროს თფილის და გორს არსებობდა.

სხვათა შორის ეკკლესიის „კონდაკში“ მოხსენებულ არიან შემდეგნი მოძღვარნი, რომელთაც უეჭველია ამ ეკკლესიაში უმწყსიათ: 1802 წლიდგან „პატრი ანტონ პადუელი, პატრი ჩელარინე ენაფონტელი, ტერ-იოსებ მღდისიანთ (?) ახალციხელი, ტერ სტეფანე მეფისაშვილი, პატრი იოსებ აქალციქანი(?), პატრი ბასილი, პატრი მარიოსი, გორშიაც იყო მარიოსი, ტერ იოანე ბეთანიანი 1813 წ., გრიგორ ვართაპეტი მულაშიანი, ახალციხელი პატრი ნიკოლოზ თელიანი, პატრი ფილიპე რომაული, პატრი იოსებ ჯენეველი, ტერ ანტონ თუმანოვი, ბერნარდო რომაული 1818 წ., გრიგოლ აზრუმელი, სტეფანე მაზმიანი, ტერ ანტონ ოჰანანი, გრიგოლ ნათაღე

ქალდეველი, მოსული ქუთაისს, უეჭველია როგორც მგზავრი, პატრი ემანუელ 1824 წ. პატრი აკოფაშვილი ქუთაისელი, პატრი იაკობ ქუთაისელი, ამის ვინაობა არ ვიცით და არც რამ ძველი წიგნებიდამ სჩანს, პატრი გიორგი ქუთაისელი“, არც ამის ვინაობა ვიცით და სხვანი უახლეს დროის.

ქართველ კათოლიკენი აქ მოხსენებულ არიან სულ ქართულ გვარებით. სხვათა შორის, ბევრი ძირეული ტეტიური გვარებიც არიან და ზოგნი ისეთნიც, რომლის სახლი-კაცები ქართლში და კახეთშიაც სცხოვრობენ, მაგალითებრ ნემსაძე, გვარიშვილი, როაშვილი, წალდაძე, ჩილაშვილი, გლახაშვილი, პურადაშვილი, მალხაზაშვილი, დათიაშვილი და მრავალიც სხვანი. რაც შეეხება ქალთა და კაცთა სახელებს, ესეც სულ ქართულია. მოიპოვება: რუსუდანი, თინათინი, დარეჯანი, ქეთევანი, ნინო და სხვა. მოხსენებულია აგრეთვე პატრი ონოფრე სააკოვის დედა ნათელა, რომელიც სიკვდილის შემდეგ 1782 წ. დაწერილა ქუთაისის „სავარდისის“ ძმობაში. აქ საყურადღებოა ის, რომ 1782 წ. ქუთაისის ეკკლესიაში „სავარდისის“ ძმობა უკვე არსებული ყოფილა, სადაც სიკვდილის შემდეგა ნათელა 1782 წელს წევრათაც ჩაწერილა. საყურადღებო ეს მით უფრო მიგვაჩნია, რადგანაც „კონდაკის“ წიგნს ზედაპირზედ აწერია, რომ ეს წიგნი დაწერილია 1802 წელსა, რადგანაც „სავარდისის“ ძმობაც ამ წელს შესდგა ქუთაისის ეკკლესიის მრევლთ შორის. ამ ცნობას ცხადლივ აქარწყლებს ხსენებული ცნობა. წიგნს ზედა პირზედ 1802 წ. აწერია და შიგ-კი ამაზედ უძველესს დროის პირნი არიან ჩაწერილი და მოხსენებულნი. ამ ძმობის დაარსების შესახებ ჩვენ იმ ჰაზრის ვართ, რომ ოდესაც ეს ,,სავარდისის" ძმობა

თბილისს 1705 წელს შეადგინეს და გორის 1785 წ., ქუთა-
ისშიაც უეჭველია ან 1705 წ. უნდა შეედგინათ და ან 1735 წ.
რადგანაც ქართლ-კახეთის და იმერეთის კათოლიკენი ერთ
უფროსს საეკკლესიო აბატს ემორჩილებოდნენ, ესე იგი თბი-
ლისისას.

შეიძლება, ეს ასე იყო, ხოლო ამ დროის შედგენილ

ძმობის „კონდაკმა“, ან სხვა რამ ცნობებმა 1800 წლამდე
ვერ მოაღწიეს და ამიტომ ეს ახალი ძმობის წიგნი დასწერეს
და წიგნსაც ის დრო კი არ დააწერეს, რა „ძმობის“ დაარსე-
ბის დროის აღწერასაც უნდა შეჰხებოდა, არამედ ის დრო
დააწერეს, როცა ეს წიგნი გადასწერეს და დასტოვეს.
რაკი ძველი წიგნი არ ჰქონდათ, ამიტომ იგინი ახ-
ლად ჩაწერილ „კონდაკში“ სახელებსაც ვერ ჩასწერ-
დნენ, რადგანაც მათი მოგონება ძნელი იქნებოდა. ნა-
თელას სახელი-კი მოუგონიათ და ვგონებთ, მეორედ ჩაუწე-
რიათ. ამ გვარად სხვა სახელებიც არის მოხსენებული, რომ
ესა და ეს პირი მეორედ ჩავწერთო, მათ რა ძალა ადგათ,
მაგრამ საქმე აქ იმაში იყო, რომ ძველი „ძმობის“ წიგნი და-
კარგულიყო, მისს დაკარგვით მრავალთ მოხსენებაც გამქრა-
ლიყო და რაკი დაკარგულის მაგიერ ახალი შეედგინათ, მი-
ტომ ეს ძველად დაწერილი სახელ გვარები ახალშიაც დაუწე-
რიათ. ამ დაწერილს მიტომ მოიხსენებდნენ მეორედ
ნაწერს. ასე და ამ გვარად, ქუთაისის „სავარდისის“ ძმობის
დაარსება ჩვენ ძველად მიგვაჩნია და არა 1802 წ.

კონდაკში მოხსენებულია ერთი კათოლიკის მეუღლე,
ვითაარცა სომხის ასული, მაგალითებრ:

– „გიორგი სომხის ასული ელისაბედი“, სხვაგან არსად სო-
მხის ხსენება არ არის, ყოველგან კათოლიკობით არიან მო-
ხსენებულნი. მოხსენებულნი არიან კიდევ „ვახტანგის შვილი,
ბატონჯანა ოცხელი, აგვისტინე არტანუჯელი, ჩხარელი, გაბრიელ
სიმონაშცილი“. ამ სახელებიდამ და მოხსენებიდგანც სჩანს, რომ
XIX საუკუნის დამდეგს კათოლიკენი ჩხარშიაც ყოფილან და
არტანუჯის კათოლიკებსაც ჯერეთ ქართული ენა დავიწყე-
ბული არ ჰქონიად. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ქუთაისის
ეკკლესიაზედ საკმარისი შრომა მიუძღვის დონ ანტონ გლახა-
შვილს. თვით ქუთაისის ქართველ კათოლიკობა არის დაბ-
რძნილი ერი, ბევრათ სხვებზედ მაღლა მდგარნი. მათი სახე
და ცხოვრების მიდრეკილება ნამდვილს ქართულ ძირეულს
სურათს წარმოადგენს. წინეთ აქაური კათოლიკეთა მამა-კაცნი

ქართლურის სამოსით ანუ ქართულის კაბებით იყვნენ შე-
მოსილნი და მდედრობითი სქესნიც ქართულად თავს იხურა-
ვდნენ. ეს იყო ნიშანი და გავლენა იმ პირობისა, რადგანაც
ქუთაისის ქართველ კათოლიკეთ შორის ძრიელ ბევრნი იყვ-

ნენ სამცხე საათაბაგოდამ გარდმოსახლებულნი, მაგალითებრ: ახალციხიდამ, არტანუჯიდამ, შავშეთიდამ, თბილისიდგან, გორიდამ და სხვ. მიტომაც ქალთა და კაცთა ჩვენებური ტანთ საცმელი დიდხანს დარჩათ იმერეთში. ეს დღესაც ისევეა მათში და ძრიელ ბევრნი იმოსებიან ქართულად, ნამეტურ ქალები.

მათში წერა-კითხვა და მეცადინეობა წინ არის წასული. კაცნი მხნე და ქველ ვაჭარ მრეწველნი არიან, მოზარდნი განთლების მიმდევარნი და მეტყველნი, მოქალაქენი და ამის მეტრფენი. ქალებშიაც დიდათ არის გავრცელებული ხელ საქმე, ჭრა-კერვა, ქართული წერა-კითხვის სიყვარული და ის კრძალულებით სათნოება, რითაც ძველად ქართველთ მდედრობით სქესი უხვათ იყო დაჯილდოვებული. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ქუთაისის კათოლიკობა რჩეულია სხვებისაგან. იგინი თვალ საჩინოდ განირჩევიან ყოველნაირის მხრით, და ქართველობის მხრითაც სრულს ქართულს მკვიდრს საფუძველს წარმოადგენენ. დღეს ქუთაისის ქართველ კათოლიკობა ვაჭრობას გარეშე სხვა დაწესებულებაშიც გამოსჩდნენ. იგინი მსახურებენ ყველა საქმეში. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ქუთაისის კათოლიკობა არის სწავლა განათლების მიმდევარი. ამ სწავლის სასარგებლოთვე უპყრავთ მათ ეკკლესია და მთელი არსებობა ეკკლესიისა, და ირგვლივ მისი მოწყობილებაც ამ დანიშნულებას ემსახურება. აქ ჰპოვებენ შვებას და იხარებენ გვემულნი, ღატაკნი, ქვრივნი, ოხერნი, მოხუცნი და უქონელნი. აქ ჰპოვებენ მფარველობას და მის ხიდათ კი ხსენებულ ეკკლესია არის გამხდარი და მის შეძლებულ მრევლთა წვლილი, რომელსაც იგინი ხშირად გაიღებენ ბოლომე.

ენი რაბათის ეკკლესია. ენი რაბათი ერუშეთში სძევს.

ძველად ამ სოფელს სხვა სახელი ერქვა. აქ სულ ქართველნი სცხოვრობდნენ. შემდეგ გაათათრეს, ზოგნი გაფრანგდნენ. ქართველთა ძველი ეკკლესია ქართველ კათოლიკებმა დაიჭირეს. მე ეს სოფელი არ მინახავს, სხვათა სიტყვით ვსწერ. ამათი ძველი ეკლესია ქვიტკირის არის. მცხოვრებთ რიცხვი 40 კომლია. თვით მცხოვრებნი ამბობენ, რომ ჩვენ ქართველთ შთამომავალნი ვართო. იმასაც ამბობენ, რომ ამ სოფელში ძველად ზოგნი სოფ. ტანზოთიდგან მოსულან, ზოგნი არდანუჯიდამაო. ყველანი ქართველნი ყიფილან. შემდეგ ქართული ენა დავიწყებიათო. დღეს ესენი სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზედ სდგანან. წირვა-ლოცვა სომხურად სწარმოებს. გვარი და სახელები გადაკეთებულები აქვსთ. ეკკლესია მშვენიერიაო, ძველს დროს ნაშენი ქართველთაგან.

იოანე ნათლის მცემლის ეკკლესია სოფელ სათლეს. (შავშეთში) შავშეთის სოფლებშიაც კათოლიკობის აღორძინება სწორეთ იმ დროს ეკუთვნის, როცა ეს მესხეთსა და ჯავახეთის ქართველებშიაც აღორძინდა. შავშეთის დაბათა და სოფელთ შორის უპირველესს კათოლიკეთა ბუდეთ უძველესს დროიდამ ართვინი და არტანუჯი ითვლებოდა. ამათ შემდეგ კათოლიკობამ სოფლებშიაც აიდგა ფეხი. სათლეში ქართველთ შორის კათოლიკობის გავრცელება ეკუთვნის XVI საუკუნის ნახევრიდამ, ხოლო XVII საუკუნის ნახევარს სათლეს გარდა კათოლიკობამ სხვა სოფლებშიაც მოიკიდა ფეხი და გამაგრდა. ქართველ მართლ-მადიდებელთ რიცხვი სათლეში 1650 წლებს შემცირდა, მთლად მოისპო. მათი ეკკლესია გაუქმებული იქმნა. მცირე ხნის შემდეგ იგი კათოლიკებმა დაიკავეს და თვისი წირვა-ლოცვა შიგ მოაწყეს. მაშინ სათლეს კათოლიკენი, როგორც კორძულისავე, ქართველ-კათოლიკეთ ირიცხებოდნენ და მიტომ მათს ეკკლესიაშიაც წირვა-ლოცვა ლათინურად სწარმოებდა, ხშირად ქართულადაც. ეკკლესია ძველი იყო და ამიტომ იგი XVIII საუკუნის ნახევარს შეიმუსრა. ამ შემუსვრით მოისპო ყველა ის ნიშნები

და სახსოვარი სამკაულები, რაც კი ამ ეკკლესიას გარს ეკრა და ცხადილივ მოწმობდა მისს ისტორიას და წარსულს. ახალი ნაშენი ძველზედ მეტად პატარა იყო და მასთან უხეირო ნაშენი. 1820 წლებს იგი სრლიად დაიქცა. მრევლთა იმეცადინეს და დაქცეული მალე აღადგინეს. ეს აღდგენილიც ისე მჩატე აღმოსჩნდა, რომ 20 წლის წინეთ ეს ეკკლესია მთლად შეიმუსვრა. უკანასკნელ დროს-კი სხვა და სხვა პირთა დახმარებით გაკეთებულ იქმნა კარგი ფართო ეკკლესია, რომელიც დღესაც არსებობს. ეკკლესია შავის თლილის ქვით არის გაკეთებული. სიგანე აქვს 7 საჟენზედ მეტი, სიგძე ხუთი საჟენი.

ამავე სოფელში არის მეორე ეკკლესია ძველ ქართველთ მართლ-მადიდებელთა. დღეს იგი ჯამეთ არის გადაკეთებული, ეკკლესიის ნიშან წყალი მთლად წახოცვია.

მცხოვრებთ რიცხვი შესდგება 100 კ., მათში გრიგორიანებიც ურევიან. XVIII საუკუნის ნახევრიდგან იწყო მათში ქბრთული ენის დავიწყებამ. ამ დავიწყებას ის გარემოებაც კარგად ეხმარებოდა, რადგანაც 1740 წლებში ანიდგან აქ გარდმოსახლებულ იქმნა 7-8 კომლი სომეხთა, რომელნიც სომხურად ლაპარაკობდნენ სათლელებში. ამავე დროს ოსმალთაგან შემოვიდა ქართული ენის დევნა და დროის განმავლობის მეოხებით როგორც ქართველ მაჰმადიანებმა დაკარგეს თავიანთი დედა ენა, ისევე კათოლიკებს მოუვიდათ. დღევანდელ სათლელ ქართველ კათოლიკებს ქართულის მოდგმის აღარა ეტყობათ რა ისევე, როგორც შავშელ ქართველთ მუსულმანებს. სათლელ ქართველთ კათოლიკეთ შორის ქართული ენა 1780 წლამდე სჩანს. მცხოვრებთ ქარ-

თული სახელები და გვარებიც-კი აქვსთ. ბევრნი ამათგანი ახალციხის ეკკლესიების ძველს „კონდაკის“ წიგნებშიაც მოიხსენებიან. იქ ესენი აღნიშნულ არიან ქართულის ასოებით, ქართულის ენის ცოდნით და ქართული სახელით და გვარით. სოფელი სათლე შავშეთში სძევს, ტბეთის ტაძრის უახლეს 10 ვერსით. იქ საბოქაულო გამგეობაც არის. ამ სოფელს

ვახუშტიც მოიხსენებს და მას აღნიშნავს, როგოც დაბას, სადაც ვაჭარნი მოსახლეობენო. მისს დროს აქ სომეხთ კათოლიკეთ რიცხვი სრულებით არ იყო და იგი მიტომაც არ აღნიშნავს მას, თორემ როგორც ვიცით, ვახუშტის აღნიშნული აქვს არამც თუ მარტოდ ის საქართველოს სოფლები, სადაც ქართველებთან ერთად ნამდვილ სომხის შთამომავალ სომხები სცხოვრებდნენ, არამედ მოიხსენებს და აღნიშნავს ისეთს სოფლებს და მათში მცხოვრებ სომხებსაც, რომელთაც მხოლოდ სარწმუნოება აქვსთ სომხის, თორემ ენა და ცხოვრების ყოველნაირი ზნე ჩვეულებრივ ქართულია და რომელნიც ჩვენგან დღეს „ქართველ გრიგორიანებათ“ უნდა იქმნენ წოდებულნი.

ცხადია, რომ ვახუშტის დროს სათლელნი არ იყვნენ სომეხნი და მიტომაც არ აღნიშნავს მას, თორემ ვახუშტიმ სადაც აწერა სათლე, იქ სომხებსაც მოიხსენებდა. მოუხსენებელ დასტოვა ესენი, რადგანაც სათლის ქართველ გვარის კათოლიკენი მაშინ ქართულს ენაზედ ლაპარაკობდნენ, იგინი ქართველთაგან არაფრით განირჩეოდნენ, ვახუშტის კიდევ ქართველ კათოლიკების გვაროვნობის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა. ამ სოფლიდგან მრავალნი XVIII საუკუნებში კოსტანტინეპოლს გარდასახლებულან, რადგანაც აჭარლებისაგან დიდათ შეწუხებულნი ყოფილან. მიამბეს სათლეს: მაჭახლელები არტაანაში მგზავრობის დროს ჩვენს სოფლებში მოდიოდნენ, ჩვენ ჩვენის სახლებიდამ კარში გაგვრეკამდნენ და შიგ თითონ დადგებოდნენ და ვიდრე გაემგზავრებოდნენ, მინამდე შიგ თამაშობდნენ და ყველაფერს გვიმტვრევდნენო და ახალ ახალ ტანისამოსებსაც გვტაცავდნენო. მათის შიშით ქალი თუ კაცი ახალ ტანთ საცმელს ვერ ატარებდაო.

დღეს სათლელებს ქართულ ენასთან ერთად დაკარგული აქვთ თვით ქართული გვარებიც, სულ სომხურებრ აქვთ გადაკეთებული. თვით სოფელი მშვენიერია, კარგს ალაგს, ხე ტყიანი, ვენახიან, წყაროიანი არის. უკანასკნელ დროს მათში ქართული ენის სიტყვებმაც იწყო ფეხის ადგმა, სა-

თლელნი უფრო ვაჭრობას და მეურნეობას მისდევენ. მათში ბევრი ძველი ამბებია დაშთენილი. იციან თამარ მეფის ამბებიც. სახეც ნათლად ამტკიცებს მათს ქართველ მოდგმას. ამას გარდა, სხვაც ბევრი რამ ნიშნებია მათში ქართველობის შე-

სახებ დაცული.

არდანუჯის წმ. სტეფანეს ეკკლესია. არდანუჯი ისეთივე ძველი ქალაქია, როგორც ართვინი და სხვა ასეთ უძველეს დაბა და ქალაქები საქართველოსი. მისი დაარსება ეკუთვნის ქრისტეს წინეთ II საუკუნეს. უძველესის დროდგანვე იგი ერთ შესამჩნევს ქალაქად ითვლებოდა, შავშეთის მთავარ ადგილად იგი იყო მიღებული. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ძველად, ეს გამოსჩნდება იმ გარემოებიდამაც, რომ VII საუკუნებში, ბაგრატიონების გვარის წევრნი აქ გამრავლდნენ, მერე აქედგან აფხაზეთში გადასახლდნენ, აფხაზეთში გაიმაგრეს ფეხი და მერე აფხაზეთში გამაგრებულთ შეაერთეს ნაკუწ-ნაკუწათ ქცეული საქართველო და ერთ ძრიელ სამეფოთ აღადგინეს და განასახელოვანეს მთელს აზიის სახელმწიფოებთ შორის. ასეთი ვალი დასდეს არტანუჯულ ბაგრატოვანებმა ადრინდელ საქართველოს. ამიტომ ძველადგანვე წარჩინებულ ქართველთა ამ ქალაქს ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს, პატივით დაუწყეს მზერა და ამ პატივის საცემლად მათ არტანუჯში გააშენეს რამდენიმე ტაძარი ქართველთა, არდანუჯის ციხე კოშკი, ხიდი და სხვანი, მაგრამ ყველაზედ უკეთესად ტაძრები განამშვენეს. ასე იყო მაშინ ძლიერება ქართველთა. მერე, შემდეგ კი საქმე სულ სხვაფერ წავიდა. ქართველთ ძლიერების იქ ყველაფერი დაემხო და მოიშალა. ამ გარემოებას, აი, რამ შეუწყო ხელი:

ოსმალთა დასავლეთ საქართველოზედ გაძლიერება იწყეს, შემდეგ ომები და ომების შემდეგ მეხარკეთაც გაიხადეს ქართველნი. უკანასკნელ ქართველთ გათათრებაც დაუწყეს და ძრიელ ბევრნი გაათათრეს. ოსმალთა მძლავრი მახვილი პირ-

ველად ყარს, არტაანს, ოლთს, ჭანეთს და სხვა კუთხეებს მოევლინა. მათ ამ კუთხეებში არც არდანუჯი გამოსტოვეს, რადგანაც ეს ქალაქი შავშეთში მათ ქრისტიანთ ბჭეთ მიაჩნდათ, ანუ საჭეთ. ამიტომ ოსმალთა არდანუჯს პირველ დროის ბრძოლის დროსვე დაუწყეს დევნა და გათათრება, გული ისრულეს და აქ ხალხიც მალე გაათათრეს. ამ დროს ზოგი ქართველთაგანი კათოლიკობაზედ იქმნენ გადასულნი, რადგანაც არდანუჯს კათოლიკობა ადრიდგანვე არსებობდა. ხოლო წინეთ აქ ცოტანი იყვნენ. XVII საუკუნის ნახევრიდამ-კი აქ ამათ გამრავლება იწყეს, ქართველნი-კი ისე ისპობოდნენ, რომ სულ მცირე დროის განმავლობაში ქართველთ ხსენება არდანუჯში მთლად გაქრა. დარჩნენ მხოლოდ ქართველ კათოლიკენი, ქართველთ მუსულმანები, ქართველნი კი მთლად მოისპნენ ისე, რომ ვახუშტის დროს (1735 წლებში) აქ ქართველთ რიცხვი მთლად გამქრალი იყო და სახლობდნენ მხოლოდ ქართველ გვარის კათოლიკენი, გათათრებული ქა-

რთველები და რამდენიმე სული, რომელნიც 1730 წლებში ანიდგან და არზრუმიდგან გადმოსახლდნენ და არდანუჯში და- სახლდნენ.

წინეთ,ვიდრე არდანუჯი ოსმალეთს სრულიად დაუმო- რჩილდებოდა, მინამ არდანუჯის ქართველ კათოლიკებში წირვა-ლოცვა ლათინურს ენაზედ სწარმოებდა. ხშირად ქარ- თულს ენაზედაც კითხულობდნენ და ქადაგებდნენ. მოძღვარ- ნი რომიდამ მოდიოდნენ, იტალიელები იყვნენ, ქართული უჭირდებოდათ. მაშინ ჯერეთ ქართველ გვარის მოძღვარნი არ იყვნენ გამრავლებულნი. ქართველთ გვარის მოძღვართ მხოლოდ 1720 წლებში იჩინეს თავი და ისიც ძრიელ მცი- რედ. ოსმალეთისაგან ამ კუთხის სრულიად დამორჩილების შემდეგ-კი არდანუჯში ქართველთ კათოლიკეთ შორის ლა- თინის წესს-რიგის პატრებმა შემცირება იწყეს და მათ მაგი- ერ სომეხთ-კათოლიკეთ ხუცები მრავლდებოდნენ, რომელ- თაც ქართველ კათოლიკებში სომხური ენა და ტიბიკონი

შემოჰქონდათ და ეს მერმისთვის არდანუჯში მტკიცეთაც დაამყარეს.

რადგანაც ძველად არდანუჯის ქართველ კათოლიკებს საკუთარი ეკკლესია არ ჰქონდათ გაკეთებული, ამიტომ მათ 1585 წ. დაიჭირეს არდანუჯის ქართველების წმ. გიორგის ეკკლესია და მასში მოაწყეს ყოველივე და ლოცვა დაიწყეს. ეს ეკკლესია XI, თუ XII საუკუნეშია გაკეთებული. ძველს ქართულს წიგნებშიაც ასე მოიხსენებენ. შემდეგ დროებში დრო და დრო ამ ეკკლესიას აახლებდნენ ხოლმე. იგი განა- ხლებულ იქმნა XVII საუკუნის ნახევარს, შემდეგ XVIII სა- უკუნის დამლევს და უკანასკნელ-კი მიმატებულ ანუ განდი- დებულ იქმნა იმით, რაც დღეს ძველს ეკკლესიას წინიდამ აქვს მიდგმული. არდანუჯის ეკკლესიას იქვს 8 საჟენი სიგ- რძე და 5 საჟენი სიგანე. თლილის ქვით არის ნაშენი. გა- ნაახლეს 1830 წლებს. ამ ეკკლესიას ძველად ბევრი ხატები აქვნდა, სხვა და სხვა ნივთები და წიგნებიც, მაგრამ ყველა ესენი XVIII საუკუნის დამლევს რაღაც მანქანებით გაქრა, მისი კვალი ვერავინ შეიტყო. რასაკვირველია სომეხ-კათო- ლიკეთ ხუცებმა მიმალეს, რომ მით არდანუჯში სრულიად მოესპოთ ქართველთ ხსოვნა. ასეც ჰქმნეს მათ და დღეს არ- დანუჯის ქართველ კათოლიკობასაც ისე აქვს თავისი ენა დავიწყებული და მოდგმის ისტორია, როგორც ქართველთ მაჰმადიანებს. გარდა ამისა, გვარებიც მთლად სომხურად აქვსთ გადაკეთებული, თუმცა მათში დღესაც არის ქართუ- ლი გვარის ნიშნები, მაგალითებრ: „ზაქარიაშვილები, გიორგობია- ნი, პეტრიაშვილები და სხვ.“ თვით გადაგვარებული და ქარ- თველთ მტერი სარუხანოვიც-კი ქართველ შთამომავალია და მასთან მრავალიც სხვანი. სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონმა და მათმა სამღვდელოებამ ასე ჩანთქა არდანუჯის ქართველ კათოლიკენი.

დღეს არდანუჯის ქართველთ შთამომავალთ კათოლიკებს შორის ქართველობის ხსოვნის აღარაფერია დაშთენილი. ის-კი იციან, რომ ხსენებული კუთხე საქართველოა,

რომ აქ ყოფილია ძველი ნაშთები ქართველ მეფეების გაკეთე ბულია, თვით არდანუჯიც, მისი ციხე, ეკკლესიის ნაშთები და თვით ის ეკლესიაც, რომელიც დღეს მათ უპყრიათ, მაგრამ ამასთან არიან ისეთნი სომეხნიც, რომელნიც მთელს ამ კუთხეს სომხეთის ნაწილად აღიარებენ და არდანუჯსაც სომხის ქალაქად სთვლიან. ამას ესენი თვით ბეჭდვითაც-კი აცხადებდნენ და კიდევაც აცხადებენ. დღეს არდანუჯი სომხების საკუთრება არის. XVIII საუკუნის დამლევს ახალციხიდამ აქ რამდენიმე კომლი გადმოსახლებულან ქართველ კათოლიკების. ამის ხსოვნა გარდმოსახლებულთ შორის დღესაც არის დაშთენილი, ხოლო ქართული ენა-კი მთლად დავიწყებიათ. გადმოცემა არის, რომ არდანუჯის ქართველ კათოლიკენი ახალციხიდამაც გადმოსახლებულან XVIII საუკუნეშიო. მაშინდელ მოსულ ქართველ კათოლიკეთ შთამომავალნი დღესაც სცხოვრებენ არდანუჯსა, მაგალითებრ ზურაბიანი, მელიტონიანი, პეტრიანი, გიორგობიანი, ბეთანიანი და სხვანიც მრავალნი. არდანუჯი მთლად მცხოვრებთ რიცხვი 220 კომლია, მთლად კათოლიკენი. ყველა ესენი ქართველთ შთამომავალნი არიან, საქართველოს შვილები, მაგრამ დროის და სომეხთ გავლენით ისე გადაგვარებულან, რომ დღეს მათ ქართველობის შთამომავლობის არა ეტყობათ-რა, ნამდვილი კრუები გეგონებათ. ასეა ეს წუთი სოფელი, რა გაეწყობა.

წმ. ანტონის ეკკლესია (სოფელ ტანძოთს). სოფელი ტანძოთი სძევს შავშეთში, არდანუჯს ახლოს 15 ვერსზედ. ეს სოფელი ჩვენს გეოგრაფიულ მწერლობაშიაც ისევე ჩენილია, როგორც სათლე, ოქრობაგეთი, მამანელისი, ფხიკაური, კორძული და სხვ., რომელნიც შავშეთს არიან ძველადგანვე დაარსებულნი. აქ ძველადგანვე სცხოვრობდნენ ქართველი გვარის კათოლიკენი. მათ აქვნდათ თავიანთი საკუთარი თლილი ქვის ეკკლესია და ეკკლესიაში წირვა-ლოცვა ქართული-

სა და ლათინურს ენაზედ სწარმოებდა. შემდეგ დროებში მცხოვრებთ შორის ქართული ენა ამოვარდა, მის მაგიერ ქართველთ სხვა ენაზედ იწყეს საუბარი. სოფელში 100 კომლი ითვლება. ნახევარზედ მეტი ქართველ გვარისანი არიან, თუმცა მათ დღეს ქართულის არა იციან რა და თავს სომხათ სთვლიან. ეკკლესიაში წირვა-ლოცვა სომხურად სწარმოებს

და მთლად სომეხ კათოლიკეთ ირიცხებიან.

სოფლის ვარგავას პატარა ეკკლესია,(ახალ-ქალაქის მაზრა, სოფელი ვარგავი.)

სოფელი ვარგავი ხიზაბავრასთან ახლოს სძევს. ვარგავის მცხოვრებთ რიცხვი ქართველ კათოლიკეთაგან შესდგება. 5 კომლი მართლ მადიდებელნიც ურევიან. ვარგაველთ კათოლიკობა ძველადგანვე მიუღიათ, იმ დროს, როცა ხიზაბავრელთა და სხვათ, როგორც ხიზაბავრელნი და სხვანი, ვარგავლენიც ძველად ლათინის ტიბიკონზედ იდგნენ. XVIII საუკუნის დამდეგიდამ ესენი სომხის ტიბიკონზედ მდგარ მღვდლების ხელში შთაცვივდნენ. მათს სამლოცველოში ყველაფერი სომხურს ენაზედ მოათავსეს. 1829 წ. გადმოსახლებული სომეხთ კათოლიკეთაგან ამათაც ეწვევოდათ რამე უბედურება და გადაგვარდებოდნენ, მაგრამ აქ ეს ვერ მოხდა, რადგანაც ვარგაველნი მათგან შორს დაშთენ. სომხებმა აქ ბინა ვერ იშოვნეს, მიტომ ვარგაველნიც არ გასომხდნენ, თორემ აქაც რომ დასახლებულიყვენ სომეხთ კათოლიკენი, მაშინ ესენიც ისევე ჩაიყლაპებოდნენ მათგან, როგორც სხვები.

ვარგაველთ რიცხვი 20 სულზედ მეტია. იგი მიწერილია ხიზაბავრის ეკკლესიაზედ. დღესასწაულებში აქ ხიზაბავრის კათოლიკეთ მღვდელი გადმოდის და ის ასრულებს სამღთო მსახურებას. ვარგაველ ოჯახის შვილათ ირიცხებოდა განსვენებული იაკობ ლაზარეშვილი, ქართველი კათოლიკე, რომელმაც დასწერა ჩინებული დრამა „მტარვალი“ ჯავახელ-მესხელ ქართველთ წარსულის ცხოვრებიდამ და რომელმაც

საკმარისი გავლენა იქონია ქართველს საზოგადოებაზედ.

როგორც ვარგავი, ისევე აქაური სოფლები, მეტად ღატაკი სოფლებია. ზამთარი დიდი იცის. შეშა მცირე აქვთ. ხშირად წვავს სწომენ. მოსავალი მცირე, ჰავა მრისხანე, ხალხის უმეტესი ნაწილი ფეხშიშველა დადის, ნამეტურ ქალები და ყმაწვილები. სახლები მათი სოროებსა ჰგავს, უფრო დარნებს. შიგ ჰაერი სულ არ სწარმოებს. ბევრს ოჯახში ხალხი და საქონელი ერთად სცხოვრობენ. მამულის მეპატრონენი უცხო თესლის კაცნი არიან. ამათ ზიზღი აქვსთ ქართველობისა. ამიტომ ესენი სასტიკათ სდევნიან მათ. ამ კუთხის ერის პატრონი არავინ არის. სიღატაკე და მისი ბრჭყალები აქ მძლავრათ არის გართქმული. ჩემის მგზავრობის დროს გაოცებული დავშთი. ერთ თავად ავათ ვიყავ, რადგანაც თითო ღამესაც ვერ ვათიებდი აქა-იქ სახლებში. აბა იმათ რა უნდა ქმნან, რომელნიც დაბადებიდგანვე სიკვდილამდე შიგ სცხოვრობენ. აჭარელნი და შავშელნი სახლ კარის სისუფთავით, შეძლებით და მოწყობით ბევრად მაღლა სდგანან ამ უბედურ კუთხის ხალხზედ. ამ მიყრუებულს კუთხეში

კაცს გული ცეცხლით აევსება, როცა კი ნახავს ამ უბედურებას. სომხის კათოლიკენი და სომხის გრიგორიანები ბევრად მაღლა სდგანან ქართველ მართლ-მადიდებლებსა და კათოლიკებზედ. ცხოვრების მხრით შედარებაც არ შეიძლება. აქეთ განათლებამა და ხელოსნობამ ფეხი თუ არ შესდგა, უამისოთ თქვენი მტერი, რაც ამათ დაემართებათ.

ვარგავის სამლოცველო საყდარი უბრალო მიწურის ქოხის მსგავსად არის გაკეთებული. სივრცე-კი საკმარისი აქვს. წირვა-ლოცვა სომხურათ სწარმოებს. ზოგიერთ ლოცვებს ქართულად ასრულებენ. ქადაგებაც ქართულათ აქვსთ. სოფელს არა აქვს სასწავლებელი და მეტად მიუვალს უბედურს ალაგს სძევს. ხალხი ხვნა თესვას და მეურნეობას მისდევს.

მამა ნელისის წმ. იოანე ნათლის მცემდეს ტაძარი. ძველად აქ სახლობდნენ ქართველ გვარის კათოლიკენი. იგინი ქართულად ლაპარაკობდენ. მათს ეკკლესიაშიაც წირვა-ლოცვა ქართულად და ლათინურად სწარმოებდა. მაშინ მთელი შავშეთის კათოლიკენი ლათინის ტიბიკონზედ იდგნენ. მათი მოძღვარნი რომიდგან მოდიოდნენ. შემდეგ დროებში რომის გავლენა შემცირდა და ქართველ გვარის კათოლიკენიც სომეხ კათოლიკეთ ჩაუვარდათ ხელში და მათში ყველაფერი სომხურათ მომართეს. წირვა-ლოცვა და მრევლიც სომხურ ენას შეაჩვიეს.

სოფელ ბნელის სამლოცველო (ახალქალაქის მაზრა, სოფელი ბნელა). სოფელი ბნელა ხიზაბავრის ახლოვს სძევს, მტკვრის ნაპირას. ბნელა ვგონებ მიტომ დარქმევია, რადგანაც სოფელი ერთობ დაბლა, ღრმა ხევში სძევს. სოფ. ბნელის ქართველთ კათოლიკობა XVII საუკუნეში მიუღიათ. წინეთ, ანუ XVIII საუკუნეში, აქ ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი 60 კომლი იყო. მათ ჰქონდათ საკუთარი ეკკლესია, ლათინის ტიბიკონზედ იდგნენ და ჰყვანდათ პატრი. წირვა-ლოცვა ქართულად და ლათინურად სწარმოებდა. ეს სოფელი თავის მცხოვრებლებით აოხრებულ იქმნა 1775 წ. ოსმალთა ქურდებისაგან. სოფელი ისე ააოხრეს, რომ ეკკლესიის ნაშთიც აღარ დასტოვეს, მთლად დააქციეს. ზოგი კათოლიკენი წაიყვანეს, ზოგნი გაათათრეს. ამ უბედურებას მხოლოდ სამიოდ კომლი გადარჩენილან, რომელთ შთამომავალნი დღესაც სცხოვრებენ იმ სოფელში. მცხოვრებთ გამრავლება-კი აქ ვერ მიდიოდა წინ, რადგანაც სოფელი ერთობ დაბლა სძევს. აქ ციებას გარდა სხვა და სხვა სატკივრებიც ხშირათ სცოდნია და მიტომ ხალხიც ხშირად იხოცებოდაო. ასევე მარწმუნა ხიზაბავრის მოძღვარმა, სოფელი ბნელა მიწერილია ხიზა-

ბავრის ეკკლესიაზედ. მღვდელი აქ ხიზაბავრიდამ გადმოდის
და ალოცებს. წირვა ლოცვა სომხურს ენაზედ სწარმოებს,

ხანდიხან ქართულადაც აქვს. სამლოცველო მიწურს ქოხშია
მოთავსებული. სოფელ ბნელის ქართველთ კათოლიკეთ რი-
ცხვი 60 სულისაგან შესდგება. ხალხში წერა-კითხვა და ამის
ტრფიალება თითქმის დამხობილია, უპატრონოთ არიან და-
შთენილნი. ამ სოფლის ზემოთ არის საქართველოს ისტო-
რიაში გამოჩენილი სოფელი დადეში. დიდათ საინტერესოა
ამ კუთხის საფუძვლიანათ გაცნობა. გასაცნობია არა მარ-
ტოდ ქართველ კათოლიკენი, არამედ ქართველ მართლ-მადი-
დებელნიც, რადგანაც ესენიც მაგდებული და მივიწყებულ არს
ქართულ მწერლობისა და საზოგადოებისაგან.

ასპინძის ეკკლესია. ასპინძა მოგეხსენებათ ხომა, შესანი-
შნავი სოფელია. იგი მტკვრის ნაპირას სძევს, მდიდრათ მო-
სავლიანი სოფელია, ვენახოვან, ყანიან, ხილიანი. ეს სოფე-
ლი საქართველოს ისტორიაშიაც ჩენილია. საქართველოს
დაუძლურების შემდეგ ქართველ კათოლიკენი ასპინძაშიაც
გაჩნდნენ. XVII საუკუნეში ასპინძის შემძლე კაცებად სულ
ქართველ კათოლიკენი ირიცხებოდნენ. ამათ დიდი ხმა და
გავლენა ჰქონდათ ახალციხელებზედ. 1740 წლებში ასპინძას
კათოლიკებმა თავიანთი საკუთარი პატარა ეკკლესიაც გაიკე-
თეს. 1770 წ. ესენი შენიშნულ იქმნენ ოსმალთაგან და მი-
ტომ სდევნეს სასტიკათ. მიზეზი დევნისა ის ყოფილა, რომ
ამათთვის დაუწამებიათ მეფე ერეკლეს მომხრეობა ასპინძის
ომში. მაშინ ამ საქმეში ზუბალაშვილებიც რეულან, რო-
მელნიც ასპინძას სცხოვრებდნენ, სარწმუნოებით კათოლიკე-
ნი იყვნენ და ასპინძის ქევხა კაცებათაც ითვლებოდნენ.

ეს ცილი კათოლიკებს ოსმალებმა ვერ დაუმტკიცეს,
მაგრამ მაინც სოფლის მკვიდრნი შეაწუხეს, კათოლიკების
მრავალნი გაათათრეს. მაშინ გაუთათრებიათ ზუბალაშვილების
ზოგიერთი წევრნიც. ეკკლესიაც დაუქცევიათ და კათოლიკეთ
რიცხვი და ძალა იქ სამუდამოთ დაუმხიათ და ძირიანად
ამოუგდიათ. ჩვენდა სამწუხაროთ, ასპინძის ეკკლესიის შესა-

ხებ ძრიელ მცირე ცნობებია დაშთენილი. ის-კი ვიცით,
რომ 1770 წ. აქაურს კათოლიკობას ღა ეკკლესიას რომ ეს
რისხვა არ მოვლენოდა, მაშინ იქ ქართველ კათოლიკობა
ძრიელ გაიდგამდა ფეხს, ხალხი წინ წავიდოდა, გამრავლდე-
ბოდა,რადგანაც ასპინძა ძრიელ მშვენიერია, მოსავლიანი სო-
ფელია და ქართველ კათოლიკეთ ვაჭრები და სოფლის მე-
ურნენი ძრიელ ეტანებოდნენ იქ დასახლებას.

სოფელ ტატანისელი კათოლიკენი და ეკკლესია ქართველ გვარისანი მოიხსენებიან XVIII საუკუნეს, 1770 წ.

სოფელ ატოცელ კათოლიკენი და ეკკლესია მოიხსენებიან 1770 წ.

პხიკურის ეკკლესია მღვთის მშობლის სახელზედ არის აღშენებული. ფხიკიური შავშეთში სძევს. აქ ძველადგანვე ქართველთ კათოლიკენი სცხოვრობდნენ. ამათი ენა ქართული იყო, ლათინის ტიბიკონზედ იდგნენ. შემდეგ ამათ სომეხთ კათოლიკენი დაეპატრონენ, ენით და შთამამავლობითაც გადააგვარეს, გაასომხეს. დღეს ფხიკიურელთ ქართული ენის აღარა ეტყობათ რა. იგინი ყველგან სომხათ არიან ცნობილნი და მიღებულნი. ქართველ კათოლიკობა აქ XVII-საუკუნეში წასულა წინ და ამათი ეკკლესიის აღგებაც იმავ დროს მოიწერება. დღევანდელი ეკკლესია ძველის ეკკლესიის საძირკველზედ სდგას. ფხიკიურელთ ზოგნი გასომხებულან კიდეც. გათათრებულთ რიცხვი ხომ ერთობ დიდია და ამან ჩანთქა ნახევარ საქართველო. დღევანდელი პხიკიურელი უფრო არზრუმელ და ვანელ კრუას წააგავს, ვიდრე ქართველ მოდგმას.

ტიტო ხარების ეკკლესია, ალექს. პოლ. მაზრა, (ერევ. გუბერნიაში) ტიტო ხარება სოფელს ჰქვიან. იგი სძევს ერე-

ვნის გუბერნიაში, ალექსანდრეპოლის მაზრაში. ამ სოფელში სახლობენ ქართველ კათოლიკენი. მათი რიცხვი 400 სულამდეა. აქვსთ სამლოცველო. ამ სოფელში ქართველ კათოლიკენი ჯავახეთიდგან გადასახლდნენ 1860 წ. 15 კომლი და ხსენებულს სოფელში დასახლებულან, დღემდე იქ სახლობენ. იგინი ეკუთვნიან სომხის კათოლიკის ტიბიკონს. წირვა-ლოცვა მათში სომხურად სწარმოებს. ქართული ენა მათში უკვე ამოვარდნილია. მოკლე დროის განმავლობაში მათ მგონია, თავიანთ გვარ ტომობის ხსოვნაც-კი დაავიწყდეთ.

სოფელ კლდიელი ქართველთ კათოლიკენი და ეკკლესია მოიხსენებიან 1760 წ.

ვარძიელ ქართველთ კათოლიკენი და მათი ეკკლესია მოიხსენებიან 1750 წლებში.

სოფ. ოქრობაგეთის ეკკლესია. (შავშეთში) აქ მთლად ქართველ მართლმადიდებელნი სცხოვრებდნენ. XVI საუკუნის დამლევს ზოგნი გათათრებულ იქმნენ, ზოგნი კათოლიკობას დაუკავშირდნენ და ზოგნი გრიგორიანობას. XVII საუკუნეში ამ სოფელში ქართველ კათოლიკებს თავიანთ საკუთარი ეკკლესიაც ჰქონდათ და თვითაც ქართულად ლაპარაკობდნენ. ეკკლესია აღშენებულ იყო წმ. სტეფანეს სახელზედ. ოქრო ბაგეთელ ქართველნი ქართულს ლაპარაკობდნენ 1780 წლამდე. ამ დრომდე აქ მცხოვრებ სხვა და სხვა ისეთ ქართველ კათოლიკეთ პირნიც სჩანან, რომელნიც ქართულად სწერენ და კითხულობენ და ქართულის გვარითვე იწოდებიან. მაგალითებრ: ოქრო ბაგეთელნი ქართულის ენით მოლაპარაკენი 1790 წლებშიაც სჩანან. ასეთ პირთა სახელები და ცნობები მე თვით ამომიკითხავს გორის, ქუთაისის და ახალციხის ეკკლესიის კონდაკის წიგნებში. ძველადგან ამ სოფლიდგან ქართველ კათოლიკეთ მოძღვარნიც გამოდიოდნენ.

ასეთი იყო მაგალითებრ მოძღვარი იოანე გარსევანიშვილი,

რომელიც სომეხთაგან 5თებერვალს, 1779 წ. მოწამლულ იქმნა და ამ მოწამლითვე გარდაცვალებულა. ძველადგანვე სომეხ გრიგორიანებს დიდი მტრობა ჰქონდათ კათოლიკების. მათ საწადელს მიაღწიეს და ოქრო ბაგეთის კათოლიკენი გრიგორიანობას ძველადგანვე დაუკავშირეს. ღწვა და შრომა მათში ადრიდგანვე იყო გამოწვეული. ასე რომ ოქრო ბაგეთელთა გრიგორიანობასთან დაკავშირება XVIII საუკუნის მიწურულს უნდა მიეწეროს. ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ XVIIIსაუკუნის დამდეგს ოქრო ბაგეთს მცირედ გრიგორიანნებიც სცხოვრობდნენ. სულ ამ მცირე ნაწილის ღწვა იყო, რომ შემდეგ კათოლიკენი მათ დაუკავშირდნენ ძალ-დატანებით.

კათოლიკეთ მოსპობის დროსვე მოისპო ძველი ეკკლესია კათოლიკეთა და მასთან გაქრა ყველა ის ნიშნები ქართველთა, რაც-კი ამ ეკკლესიას ეხვია შიგან თუ გარეთ. დღეს ოქრო ბაგეთის ქართველ გვარის კათოლიკენი სომხებად სთვლიან თავიანთ ვინაობას და შინა თუ გარეთაც საყოველთავოდ სომხურად საუბრობენ. მათი ტიპი და სახელები ცხადათ წააგავს შავშელ ძველ ქართველ ქრისტიანებს და თვით დღევანდელ გადაგვარებულ ქართველთ მაჰმადიანებსაც. ასე და ამ გვარად გაქრა შავშეთის სოფელს ოქრო ბაგეთს ქართველ კათოლიკენი და მათი ეკკლესიის ხსენება. დღეს იგინი სომეხ გრიგორიანები ირიან. ამასვე ამტკიცებენ და ავრცელებენ მათი მოძღვარნიც.

კორძულის ეკკლესია. სოფ. კორძული ართვინის ახლოს სძევს. კარგი სოფელია, ვენახიან-ხილიანი. კათოლიკობა აქ ქართველთ შორის XIV საუკუნის ნახევარს უკვე გავრცელებული იყო. კათოლიკეთ რიცხვიც თავისს დროის კვალად ყოფილა. XIV საუკუნის გასულს აქ ქართველთ კათოლიკეთ

რიცხვი 50 კომლი იყო. მათი ეკკლესია ძველადგანვე იყო აშენებული, XI საუკუნის დამდეგს, ბაგრატ მესამეს დროს, ეკკლესია იყო თლილის ქვით ნაგები და აღშენებული იყო წმ. გიორგის სახელზედ. შემდეგ დროს, ე. ი. როცა ქართველნი კათოლიკობას დაუკავშირდნენ, თუ მაშინ როგორღა იწოდა ეს ეკკლესია, ამის ცნობა ჩვენ არ გვაქვს. ის კი კარგათ სჩანს, რომ ქართველთ კათოლიკობასთან დაკავშირების შემდეგ სოფლის ეკკლესიაც კათოლიკის ეკკლესიად გადუკეთებიათ. მაშინდელი ეკკლესია შემკული ყოფილა გარედგან და სხვა და სხვა ჩუქურთმიანის ყვავილებით და შიგაც მთლად ფერადის წამლებით ყოფილა დახატული. ეკკლესიას სიგრძე ჰქონია ექვსი საჟენი და სიგანე სამი საჟენი. იმ დროის ქართველ კათოლიკენი ლათინის ტიბიკონზედ იდგნენ, საზოგადოთ ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში იქმნა ქართველთ შორის. ამის მაგალითს ცხადათ ამტკიცებს არტაანის ხეობის სოფელ ველელების თხოვნა, რომელნიც XVIII საუკუნის დამდეგს თავიანთ ვინაობას ქართველად აღიარებენ, ლათინის ტიბიკონზე მდგარათ და არა სომხის. ამიტომ როგორც ქართველ გვარის კათოლიკენი ლათინის წესს-რიგის პატრს სთხოვენ იქ, სადაც რიგი არს.

კორძულის ძველი ეკკლესია და მასში მცხოვრებთ ქართველ გვარის კათოლიკენი რომის ტახტის წინაშე XIV საუკუნის ნახევრიდგანვე ყოფილან ცნობილნი. პაპი და მისი გამგეობა ამ სოფლის კათოლიკებს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. XV საუკუნის დამლევს კორძულის ქართველთ კათოლიკეთ ხსენებულის ეკკლესიისთვის მამულები შეუწირავსთ და მამულების შეწვირვის გუჯარი პაპი სიქსტოს წინაშე წარუდგენიათ დასამტკიცებლათ. პაპი იმ გუჯარს 1501 წ. ამტკიცებს. დღემდე ეს გუჯარი ამავ ეკკლესიაში ინახება, ხოლო საუბედუროთ ჩემდა მე იგი ვერ ვნახე, ჩემს იქ ყოფნისას ეკკლესიის შენობას აკეთებდნენ და მღვდელმა სთქვა: ქაღალდები არეულ-დარეული მაქვსო და მალე ვერ ვიპოვნიო. ამ ეკკლესიას ძველიდგან სხვაც ბევრი რამ სიგელ გუ-

ჯრები და ქართული წიგნებიც ჰქონია, მაგრამ ყველა იგინი დაკარგულა. მღვდელმა მითხრა, რომ 100 წლის იქითა დროის ჩვენ არაფერი ქაღალდები გვაქვსო.

ჩვენ ეს მოკლე ისტორიული მიმოხილვა მოვიყვანეთ და

ახლა მოვიყვანთ შემდეგ ზეპირ გარდმოცემას: კორძულს ზემოთ, სადაც დღეს სახელმწიფო გზა გადის ართვინსა, არდანუჯს და არტაანს, იქ სძევს ძველად გამოჩენილი სოფელი სვეტის ნასოფლარი. ამ სოფელში ძველადვე ქართველნი სახლობდნენ, სარწმუნოებით კათოლიკენი ყოფილან. შემდეგ ამის, სვეტში ერთს ოჯახში ორი ძმა გაყრილან. ერთი მათგანს მგზავრობის დროს კორძულში დაღამებია, კორძულიდამ აღარსად წასულა. იქ ერთ ოჯახში გაუთიებია. ღამე ყოფნის დროს დღევანდელ ეკკლესიის ალაგას ერთი მშვენიერი ნათლის სხივი დაუნახავს. მალე წასულა იმ ალაგას და იქ უნახავს ქართველების ძველი დაქცეული ეკკლესია. რადგანაც ქართველები გაათათრეს და ეკკლესიაც დაუქციეს, დაქცეულ ეკკლესიის ერთ ერთ მხარეს დოლაბში, საცაღა სამალავ კუნჭულში დებულა დღვანდელი ის მღვთის მშობლის ხატი, რომელიც ამ ეკკლესიაში ასვენია და რაც შემკულია დიდად მრევლთაგან. იგი ივერიის მღვთის მშობლის ხატსა ჰგავს. შემდეგ ეს დაქცეული ეკკლესია განუახლებიათ, შეუკეთებიათ და მღვთის მშობლის ხატიც აქ დაუსვენებიათ. შემდეგ ეს ხატი საკვირველ მომქმედ იქმნაო და ბევრს ავადმყოფებს, კუტებს და ბრმებსაც არჩენდაო. ერთი კუტი დედაკაცი სოფ. მამაწმინელ თვით გათათრებულ ქართველსაცკი მოურჩინაო, რომელსაც აქ რამდენიმე ხანი დაუყვია და ღამე უთევია. ღამის მთევლები აქ ძალიან ხშირად იცის და მასთან მრავლად, რაის გამო დღეს ეკკლესიის გვერდით მღვდლის საცხოვრებლად და ღამის მლოცველთათვის ანუ ღამის მთეველთათვის სახლი კეთდება.

მღვთის მშობლის ხატი დღემდე ამ ეკკლესიაში ასვენია, შემკულია სხვა და სხვა ოქრო ვერცხლით. ძველად უკანა გვერდზედ ქართული წარწერაც აქვნდა. დღეს ეს წარწერა

აღარ სჩანს. მის მაგიერ მოსჩანს სლავიანური შემდეგი წარწერა „Казанскій Боже матери“. ხატი საკმარისის ზომის არს. ამ ხატს გარდა ეკკლესიაში ბევრიც სხვა და სხვა ძველი ნივთებია დაცულ-შენახული. დღევანდელ ეკკლესიას 6 საჟენი სიგძე აქვს, ცოტა მეტი და ხუთი საჟენი სიგანე და ამდენივე სიმაღლე. გაკეთებულია აგურით. გალავანი მეტად პატარა აქვს და თვით კორძულელთათვის ძრიელ მცირეა ეს ეკკლესია. 1800 წლების შემდეგ ეკკლესია ძრიელ დაქვეითებულა, დაძველებულა. 1815 წ. ეკკლესიისკედლები აუმაღლებია ტერ თომას კაფიგრანიანს. ამაზედ წინეთ მღვდლათ აქ ყოფილა მღვდელ ჰალაჯიანი. ამათ შემდეგ დიდი ამაგი დაუძს ართვინის ეპისკოპოზს ზაქარიანს, რომელიც ქართველთ შთამომავლად ითვლება, თავის ქართველობა თვითვე აღიარა. თბილისის კათოლიკეთ ეკკლესიაში ქადაგების დროს სთქვა: რომ ჩვენ, ქართველთ შთამომავალნი ვართო. დღეს ამ ეკკლესიას განაგებს მხითარისტი ბაშარიანი.

თვით დღევანდელ კათოლიკობასაც ატყვია კარგად, რომ

ისინი სომხის შთამომავალნი არ უნდა იყვნენ. ქალები და ვაჟებიც უმეტესს ქართველის ერის სახისანი არიან. იგინი არ ჰგვანან არზრუმის და ვანის შავს და გასუქებულს სომხებს. რაც შეეხება ლაპარაკის დროსაც თქვენ კარგათ შეატყობთ, რომ ისინი ძრიელ ხშირად ქართულ სიტყვებს ხმარობენ. ხშირად ისე წინადადებას არ იტყვიან, რომ იქ ქართული სიტყვები არ დაატანონ. ჩემს იქ ყოფნის დროს ერთის ოჯახის წინაშე პატარა გოგუებს ერთმანეთში ჩხუბი მოსვლოდათ და მათს ყვირილზე დედამ მრისხანებით დაუყვირა: „გოგოო“ და სხვანიც... გარდა ამისა, თვით კათოლიკეთა მოხუცებულნიც ლაპარაკობდენ, რომ ამ სოფელში მთლად ქართველ კათოლიკენი ყოფილან ძველადო. ამის შესახებ გარდმოცემანიც აქვსთ დაშთენილი. თვით ეკკლესიის მნათემაც კი ისაუბრა სომხურს ენაზედ, რომ ადრე კორძულელები ქართველ კათოლიკენი ყოფილანო. ზემოდ დასახლებული მღვდლის სიტყვით, ამ სოფელს კორძული შემდეგის გარემოებიდამ დარქმევია: რო-

ცა ეს ეკკლესია აღუდგენიათ, მაშინ ეკკლესიაში ერთი ძველის ეკკლესიიდამ მოტანილი კარები ჩაუტანებიათ და ამ ეკკლესიასაც მიტომ დარქმევია კორძული. ეს სიტყვა წარმომდგარა სიტყვა „კარ ძველი“ დამო, „კარ-ძველი“ ხომ იცით რას ნიშნავსო. მე ამაზე ვერა ვსთქვი რა. ვინ იცის, ესეც შეიძლება იქმნეს, თუმცა ჩვენს ძველს წიგნებში ყოველგან კორძულათ მოიხსენება. ასევე მოხსენებულია 1500 წ. ეკკლესიაში ჩატანებულ ძველი კარების გამო თუ დაერქვა ეს სახელი, უნდა ითქვას, რომ ეს ერთობ ადრე იქნებოდა, ე. ი. იმ დროს, როცა იგი აღშენდა XI საუკ. შემდეგ ეს არ მოხდებოდა ადვილათ. ასე და ამ გვარათ დღევანდელი კორძულის ეკკლესია აღშენებულ არს XI საუკუნეში. შემდეგ შემუსვრილ და გაცარცულ იქმნა თათრის ბეგებისაგან. ეს დრო მიეწერება XVII საუკ. ნახევარს. მცირე ხნის განმავლობაში იგი ისევ გააკეთეს, მაგრამ ისე-კი არა, როგორც ძველად იყო, არამედ შეძლებისა და გვარად, შესაფერად აამაღლეს. საძირკვლის კედლები არ იყო ამოგდებული და ამიტომ იგივ დაშთნენ. ეკკლესიის გარშემო ანუ სოფელში მთლად ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრობენ, ხოლო ჟამთა ვითარების მეოხებით ქართული ენა დაუკარგავსთ. ამათაც ქართული ენა დაკარგეს, ისევე როგორც ქართველ მაჰმადიანებმა. ტანთსაცმელიც უმეტეს ნაწილ ოსმალურათ აცვიათ, ზოგს მესხურათაც. ქალები-კი მთლათ ოსმალოს თათრის და სომხის ქალების წესით ირთვებიან და შუბლზედ დიდი ძალ ოქროს ფულებს იკეთებენ.

მცხოვრებთ რიცხვი 100 კომლია. ამბობენ რომ ამ სოფელში მცხოვრებნი რომ გამრავლდნენ, მერე იგინი ზემოთ ავიდნენ და დასახლდნენო, ე. ი. ართვინში. ამავ სოფელში მცირედ ქართველ მაჰმადიანებიც სცხოვრობენ. ქართული ენა დაკარგული აქვს და თათრულზე საუბრობენ. აქვსთ ჯამე

და ხოჯაც ჰყავსთ. რაც შეეხება ნამდვილ სომეხთ კვალსა
და შთამომავლობას, შეიძლება მცირეთ ესენიც ერივნენ მა-
თში. ამას ჩვენ მიტომ ვფიქრობთ, რადგანაც აქეთ გრიგო-

რიანებიც სცხოვრებენ. ეს გრიგორიანები ანიდამ უნდა იქმ-
ნენ მოსულნი და არა ქართველთაგანი. ქართველ კათოლიკობას
ჩვენ ავნიშნავთ როგორც ისტორიულ ფაქტს, თორემ სხვა-
ფრივ მათთან ჩვენ არა გვესაქმება რა, რადგანაც იგინი ენის
და გვარების მხრით მთლად გადასხვაფერებულან. გვარები
ისე აქვსთ გადაკეთებულ-გადასხვაფერებული, რომ კაცი მათს
ადრინდელ ქართველობას სულ ვერ მოიფიქრებს. ვერას შე-
ატყობს, ისე არიან გადასხვაფერებულნი. ამათი გადასხვაფე-
რება სულ 200 წლის განმავლობაში მოხდა, უფრო ნაკლებ.
კორძულში ქართულს ენაზედ ლაპარაკობდნენ 1770 წლება-
მდე. ამ წლების ქართულად მოსაუბრე კათოლიკეთ გვარნი
აქა-იქ მოხსენებულნიც არიან. კორძულის კათოლიკენი თავ-
იანთის ქართულის გვარებით მოიხსენებიან ახალციხის კათო-
ლიკეთ ეკკლესიის კონდაკებში, გორის და სხვ.

ბევრნი გაკვირვებით ამბობენ, რომ ეს როგორ მოხდა,
რომ ქართველ კათოლიკებმა ქართული ენა დაივიწყესო? ბე-
ვრნი ეჭვს აღიარებენ ამაზედ, მაგრამ თუ დავაკვირდებით,
აქ საეჭვო არაფერი არის. ჩვენ აქ პირველად ის გარემოება
უნდა ვიქონიოთ სახეში, თუ როგორ და რა გვარ დაკარგეს
ქართველ მაჰმადიანებმა ქართული ენა. ქართველ მაჰმადია-
ნებთ რიცხვი უფრო დიდი იყო, მაგრამ დღეს ჭოროხის ხე-
ობაში აღმოსავლით არტაანიდგან ვიდრე ართვინის იქით, და-
სავლით 15 ვერსზედ მდებარე ქართველთ ძირეულს ძველის
ძველს სოფლებში, ქართული ენა მთლად დაიკარგა. თუკი
ამოდოლა ხალხმა დაკარგა თავისს დედა-ენა ნუ თუ კათო-
ლიკებისთვის-კი ძნელი იქნებოდა ეს, როდესაც მათი რიც-
ხვი თითო ოროლა იყო სოფელში. გარდა ამის, ისიც საყურა-
დღებოა, რომ როცა ეს კუთხე ფორმალურად საქართველოს
სამეფოს მოსცილდა, მისს შემდეგ აქ მცხოვრებ კათოლიკე-
ნიც სომეხ-კათოლიკეთ სასულიერო გამგეობაზე იქმნენ მიწე-
რილნი. ამიტომ ქართველებს ენიშნებოდათ სომხის ხუცების,
რომელნიც სომხურად ესაუბრებოდნენ მრევლს. ეკკლესიაში
სომხურად სწირავდნენ და ქადაგებდნენ. ერთის სიტყვით

მათ სულიერ და ხორციელ ენათ ეს ენა ეპყრათ ხელში და
აბა ასეთ გავლენის ქვეშ რომ ქართველთაც დაეკარგათ ქა-
რთული ენა, ეს რა ძნელი უნდა ყოფილიყოს და მოუვლე-
ნელი. ასეთი გავლენა უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ მარტო
აქ-კი არ მოხდა, არამედ სხვაგანაც მრავალი და ენით დაუთ-
ვლელნი. ამაზედ ჩვენ ამათ ძველებს არ ვკიცხავთ, საკიცხია
მხოლოდ ოსმალეთის დესპოტიური მთავრობა, რომელიც

სდევნიდა ქართულს ენას ყველა გვარში, სდევნიდა ქართველ მუსულმანებში და ამ დევნით მათ საწადელსაც მიაღწიეს და საქართველოს მესამედი ნაწილს ქართული ენა დაავიწყებინეს და თათრული შეასწავლეს. სდევნიდნენ თვით ქრისტიან კათოლი,კებში და სომხებშიაც. ქართულს ენას გარდა რა ენაზედაც გინდათ ისაუბრეთო, ოღონდ ქართულს ენაზედ კი არაო.

სულ ეს მრისხანება გახლავსთ, რომ ქართველთ მაჰმადიანებთ ისე სძულთ თავიანთი შთამომავლობა, მისს შესახებ რამე ცნობის გახსენება და ქართული საუბარი. რაც მოხდა ამათში, იგივე მოხდა ქართველ კათოლიკებში. დღეს ჩვენთვის ორივ წარსულია. კათოლიკენი ქრისტიანები მაინც არიან. ამათ თავიანთი ძველების თუ აღარა შერჩათ რა და არას ამბობენ, ვნება მაინც არა მოაქვსთ რა და ადამიანურს ცხოვრებას და მოქალაქობას ელტვიან. საწუხარი და საწყენი ქართველ მაჰმადიანები არიან, რომ იგინი სჯულიდამ გადასვლას და ენის დაკარგვის გარდა თვით დაუძინებელ მოსისხლე მტრებიც არიან თავიანთ თანამემამულე და მონათესავე ქართველობის, ქართული ენის და საქართველოსი და შემთხვევა რომ ექმნესთ, თვით ქართველ კაცის სისხლსაც დალევენ და საქართველოსაც მთლად გაანადგურებენ და აი ძულებენ ისე, რომ მისს ხსენებას ძირიანათაც მოსპობენ. ეს არის საწყენი, სავალალო და საყურადღებო, რომ კაცი, ანუ მთელი ხალხი ისე დაეცეს, რომ თავისს სისხლის მსმელს მტერს მიეკედლოს, თავის ყველაფერი დაივიწყოს, მტრის შეიძინოს ესეც არ იკმაროს და უკანასკნელად თვის თანა

მემამულეთ მტერათაც აღმოჩნდეს. ეს არის საქმე და საწყევარი, თორემ გადაგვარებულს კათოლიკებზედ ჩვენ არას ვამბობთ. ამას აღვნიშნავთ როგორც ცნობას და არა ქადაგებას, რომ ჩვენი საუბარი ვინმემ რამე ქადაგებათ მიიღოს.

აქ საკვირველი ერთი ის არის, რომ კორძულის მღვთის მშობლის ხატი XVIII საუკუნის ბოლოს ვიღასაც ყაზანის მღვთის მშობლათ დაუსახავს და ზედაც სლავიანურად მიუწერია: „ყაზანის მღვთის მშობელიო!"

ოზურგეთის ეკკლესია (XVII საუკუნეში). ოზრუგეთში, ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიის აღშენება XVII საუკუნის ნახევარს მიეწერება, როდესაც გურიასა და სამეგრელოში, ანუ მთელს იმერეთში 10 ათასამდე ქართველ გვარის კათოლიკენი ირიცხებოდნენ. გარდმოცემა არის, რომ ოზურგეთის ეკკლესია აღუშენებიათ ივერიის მღვთის მშობლის სახელობაზედ. აღმშენებელნი ყოფილან ადგილობრივ კათოლიკის სარწმუნოების ქართველ მრევლნი და მასთან რომიდგან მოსული პატრებიც. თუმცა დღეს ამ ძველი ეკკლესიის აღა-

რაფერი ნაშთებია დაშთენილი და ბევრს იქმნება ეს გასაო-
ცებლათაც დაუშთეს, მაგრამ ჩვენ მაინც აღვნიშნავთ ძველს
ეკკლესიის ცნობებს და იმ გარემოებასაც, თუ ვის მიზეზით
უნდა მოსპობილიყო იმავ თავითვე ეს ეკკლესია. თითქმის
ნათლად სჩანს, რომ ამ ეკკლესიის აღშენების შემდეგ არ
გასულა 50 წელი, რომ იგი შემუსვრილა უმეცართაგან. მისი
შემუსვრა ეკუთვნის 1675-82 წლებს, ზედ-მიწევნით ისე
 რომ, ამ წლებს ადრე თუ გვიან ხსენებულ ეკკლესიის შე-
მუსვრის შესახებ არა უნდა ვძებნოთ რა. რაც შეეხება ეკ-
კლესიის დაფუძნებას, ეს-კი ზედ მიწევნით ეკუთვნის 1620
წლებს.

ძველის ცნობებიდგან კარგად სჩანს, რომ საქართველო-
ში რომიდგან მოსულს ლათინის ბერებს ისე არსად ემარჯ-

ვებოდათ ცხოერება და ხალხში მოქმედობა, როგორც შავი
ზღვის ნაპირას მცხოვრებ ქართველებში და მათს დაბებსა,
სოფლებსა და ქალაქებში. ამ ცნობებს ცხადათ ასაბუთებენ
თვით რომიდგან მოსულთ მოძღვართ ცხოვრების ცნობებიც,
რომელნიც ჩვენ ხელთა გვაქვს. მაგალითებრ რაც სამეგრე-
ლოში არქანჯო ლამბერტიმ იცხოვრა, იოსებ ზამპიმ და
სხვათაც მრავალთა, იგოდენი წელნი დანარჩენ საქართველოს
ადგილებში არც ერთს ლათინის ბერს არ უცხოვრია. ზემო-
ხსენებულ მცხოვრებთ მოძღვართ გარდა საყურადღებოა ის
გარემოებაც, რომ მათ ხსენებული კუთხეების შესახებ ვრცე-
ლი აღწერანიც დაგვიტოვეს და მასთან მეტად საყურადღე-
ბონიც. ამბობენ, რომ მაშინდელის კათოლიკეთ ეკკლესიის
ივერიის მღვთის მშობლის ხატი XIX საუკუნემდე დაშთა და
1850 წლებში იგი ქუთაისის ქართველ კათოლიკეთ ტაძარში
მოასვენეს და დღემდე აქ არის დაშთენილიო, მარცხენა კე-
დელზედ არის ჩამოკიდულიო. ოზურგეთის ძველი ეკკლესიის
ადგილი, ნაეკკლესიარი და ქვებიც-კი დღემდე სჩანს. დღეს
ოზურგეთში რამდენიმე კომლი სცხოვრებს ქართველ კათო-
ლიკეთა. მათი სალოცავი მოთავსებულია ოზურგეთის მოქა-
ლაქის თუმანიშვილის სახლში, სადაც ბათუმის მოძღვარი
ადის და მღვდელ მოქმედებას ასრულებს. კათოლიკენი
ლათინის წესსზედ სდგანან. ძველადგანვე ასე ყოფილან.
ოზურგეთელ ქართველთ კათოლიკის შვილია სომეხთ მხი-
თარისტი დიონოსე კალატოზოვი, ნასწავლი ბერი, მოყვარე
თავისს ტომის, დედა-ენის, მწიგნობრობის, სომხურს ძველსა
და ახალ მწერლობაშიაც დახელოვნებული, ჩენილი და სუფ-
თა მოძღვარი. ოზურგეთში დღეს კათოლიკეთა ხუთი კომლი
არის. ორი კომლი თუმანიშვილების, ძველადგანვე ოზურგე-
თს გადმოსახლებულნი და პატივცემულნი გურიელებისაგან.
ამ თუმანიშვილების შტოის წევრთა ზოგნი თავადისშვილებს
ეკუთვნიან, ზოგნი აზნაურისშვილებს. ამ გვარის წევრთა
ცხოვრების შესახებ მე ერთ დროს ბევრი ცნობები ვპოვე
ოზურგეთის სამაზრო გამგეობის არქივში. შემდეგ ეს ცნობე-

ბი მთლად დაიკარგა. ოზურგეთის კათოლიკებს ნატვრა აქვსთ, რომ ოდესმე შესაფერი ეკკლესია გაიკეთონ, თორემ ასე სახლში მსახურება ერთობ ემძიმებათ.

არტაანის ეკკლესია. არტაანს ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი ძველადგანვე იყო გავრცელებული XVII საუკუნეში. მათ იქ თავის საკუთარი ეკკლესიაც ჰქონიათ, ლათინის წესზედ იყვნენ მდგარნი. ეკკლესიაში რომიდგან მოსული პატრები მსახურებდნენ. ესენი ყოველთვის ლათინურათ და ქართულათ სწირავდნენ. შემდეგ დროს არტაანის ქართველ კათოლიკებს მიემატნენ სომეხ გვარის კათოლიკენიც. სხვა და სხვა მიზეზების გამო არტაანის ქართველ გვარის კათოლიკენი სომხის გვარის კათოლიკეთ იქმნენ შერაცხილნი, მათში სომხური ენა იქმნა გამეფებული. XVIII საუკუნეში ქართველ კათოლიკეთა საყოველთაოდ დაკარგეს ქართული ენა და მასთან გვაროვნობის ხსოვნაც. არტაანის ქართველთ გაფრანგება 1650 წლებს მიეწერება, თუმცა ამაზედ წინეთაც იყვნენ იქ ქართველ გვარის კათოლიკენი და მათ ჰქონდათ ძველი ეკკლესია, ოდესმე ქართველ მართლ მადიდებელთაგან აღგებული.

მაცხოვრის ეკკლესია, ახალციხის მაზრა, სოფელ თბილას. წყალ-თბილა მშვენიერი სოფელია. მართლაცა და აქ თბილი წყლებიც გამოდის. ქვაბილიანში სძევს. წინეთ აქ სახლობდნენ ქართველ მაჰმადიანები და მცირედ ქართველ კათოლიკენიც. 1829 წ. ომის შემდეგ ამ სოფლიდგან ბებუთოვის წაქეზებით ქართველ მაჰმადიანები ოსმალის სამფლობელო საქართველოში გადასახლდნენ და მათ მაგიერ ამ სოფელს არზრუმელი და ვანელი სომხები შემოვიდნენ. ესენი დასახლდნენ, ამათში აირია წყალ-თბილის ძველ მოსახლე

ქართველ გვარის კათოლიკენიც. შემდეგ ამათ ენაც დაკარგეს. წყალ თბილას ეკკლესია 1849 წ. აღაგეს. მცხოვრებთ შორის ბევრი სომხის კათოლიკის გვარია, რომელნიც ქართულიდგან არის გადაკეთებული ძველადგანვე. მრევლის რიცხვი 1100 სულზედ მეტია. ქართული ენის აქ ყოველივე მოსპობილია.

წმიდა ჯვარის ეკკელესია, ახალ. მაზ. სოფ. აბდახევს. აქაც ძველად ქართველ მაჰმადიანები და კათოლიკენი სახლობდენ. ეს სოფელი წყალ თბილას ახლოს სძევს. 1829 წ. ამ სოფლის მცხოვრებნი ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში გადასახლებულან. მათ მაგიერ არზრუმელი სომხის კათოლიკენი დაასახლეს. ამ სომეხ გვარის კათოლიკებში ქართველ გვარის კათოლიკენიც ურევიან. ამათაც დაკარგეს ქართული ენა, დღეს ქართველობის აღარა ეტყობათ-რა. ასე 5-7 კომლი იყო აქ ქართველ კათოლიკის 1829 წ. სომხურს ენაზედ ლაპარაკობენ დღეს. ამათ ძველად პატარა ეკკლესიაც ჰქონდათ, შემდეგ 1870 წ. განაახლეს, რადგანაც აღარ ვარგოდა. მცხოვრებთ რიცხვი 300 სულამდეა.

მღვთის მშობლის ეკკლესია, სოფ. სუფლის. ეს სოფელი წყალ თბილას დაბლა ხევის ახლოს სძევს. ამ სოფელშიაც ძველად ქართველ კათოლიკენი და მაჰმადიანები სახლობდენ. მაჰმადიანები 1829 წ. ვ. ბებუთოვის მეოხებით ოსმალოს მთავრობას გადაჰყვენ ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში და ამათ მაგიერ აქ დაასახლეს არზრუმიდამ მოსული სომეხ კათოლიკენი. ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი მაშინ აქ მცირე იყო. ესენი აირივნენ სომეხ-კათოლიკებში და მისს მეოხებით მალე ქართული ენაც დაკარგეს. დღეს აქ

თითო ოროლმა იცის ქართული. ძველ ქართულ ეკკლესიის ალაგას ამათ აღაგეს ახალი ეკკლესია 1843 წ. 500 სულამდე ირიცხება.

მღვთის მშობლის ეკკლესია, ახალციხის მაზრა, სოფ. წინაუბანს. ამ სოფელშიაც, როგორც სხვაგან, სახლობდნენ ქართველ მაჰმადიანები და კათოლიკენი. ესენი სხვათა ქადაგებით ოსმალეთს გადასახლდნენ. ამათ მაგიერ 1829 წ. სომხები დასახლდნენ. ამათში ხუთი კომლი ქართველ კათოლიკების იყვნენ. ესენი სომხებში აირივნენ და დღეს ქართული ენის აღარა იციან რა. ამათი ეკკლესია 1879 წ. განაახლეს. 300 სულამდე არის მცხოვრებთ რიცხვი.

მაცხოვრის ეკკლესია, ახალციხის მაზრა, სოფ. ნაოხრებს. აქაც ისევე მოხდა, როგორც ზემოხსენებულ სოფლებში. 1829 წ. არზრუმის სომხები დასახლდნენ. მაშინ აქ ქართველ გვარის კათოლიკენიც იყვნენ. ესენიც აირივნენ მათში. დღეს ქართული ენის არა იციან-რა გასომხდენ. ეკ-

კლესია 1870 წ. განაახლეს. მცხოვრებთ რიცხვი 400 მდეა. ამათში ქართველ გვარის კათოლიკენი აღარა სჩანს, მოსპობილია.

ბალაჯირის სამლოცველო, ახალციხის მაზრა. სოფელი ბალაჯორი აბასთუმნის გზაზეა, სოფი უდის პირ და პირ სძევს. ადრე ამ სოფელში მთლად ქართველ კათოლიკენი სცხოვრებდნენ. რამდენიმე კათოლიკენი ამ სოფლისა 1770 წ. ოსმალთაგან ძალით იქმნენ გათათრებულნი. დღეს ამ სოფელში ქართველ კათოლიკეთ რიცხვი 7 კომლია. სულ

სამი ოჯახის, სამის გვარის ხალხნი არიან. ამათ მეგვარე მუსულმანებიც სცხოვრებენ ამ სოფელში, რომელთაც გარდმოცემა აქვსთ დატოვებული, რომ ისინი წინეთ კათოლიკენი ყოფილან და მერე ოსმალთ ძალით გაუთათრებიათ. ყველა ესენი-კი ძველად მართლ მადიდებელნი ყოფილან. თვით ბალაჯორიც დიდი სოფელი ყოფილა. დღეს ამ სოფელში ორი პატარა ძველი ეკკლესია არის დაშთენილი. ერთში მოთავსებულია კათოლიკეთ სამლოცველო. ამათ მღვდლათ ირიცხება, სოფ. უდის მოძღვარი. ხანდისხან ეს გადმოდის აქა და სწირავს.

სოფელ ჯულგის სამლოცველო, ახალციხის მაზრა, სოფელი ჯულგა. ამ სოფელში რამდენიმე კომლი სცხოვრებს სომეხ და ქართველ კათოლიკეთა. ქართველნი გასომხებულ არიან. აქვსთ სამლოცველო. მცირე რიცხვია. სომეხნი 1829 წ. არიან გარდმოსახლებულნი და დასახლებულნი.

კულალის სამლოცველო, ახალციხის მაზრა, სოფელი კულალისი. აქაც სომხის კათოლიკენი სახლობენ. მათში მცირედ ქართველ კათოლიკენი ურევიან. სომეხნი 1829 წ. არიან გადმოსახლებულნი. ქართველ კათოლიკეთ რიცხვი მოსპობილია.

მღვთის მშობლის ტაძარი დაბა აბასთუმანს ახალ. მაზრა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში თქვენ ერთს სოფელსაც ვერ ნახავდით სადმე, რომ იქ ქართველ მაჰმადიანებთან ერთად ქართველ გვარის კათოლიკებსაც არ ეცხოვრათ. ბევრი სოფლების გამო შეიძლება

ჩვენ ცილი დაგვწამონ, რომ ვითომც აქ კათოლიკენი არ

სცხოვრობდნენ, ვითომც ეს ჩვენი მოგონილია. სულაც არა, დღესაც მრავალთ ახსოვთ ახალციხის ქართველ კათოლიკეთა მოხუცებულთ, რომ მესხეთსა და ჯავახეთში ვერ ნახავდით სადმე ქალაქს, დაბას და სოფელს, რომ იქ ქართველ მაჰმადიანებთან ერთად ქართველ კათოლიკებსაც არ ეცხოვრათ. ასე იყო ძველად, მაგრამ დრომა და ჟამთა ვითარებამ საქმე სხვაფერ მომართა. ხსენებულს კუთხეში სომეხ კათოლიკენი იქმნენ შემოსეულ და დასახლებულნი, რომლებშიაც აირივნენ აქა-იქ მცირედ შთენილ ქართველ კათოლიკენი და შემდეგ, სულ მალე ენით და ტომითაც გასომხდნენ. ერთის სიტყვით, სადაც-კი სომხებმა შედგეს ფეხი და აირივნენ ქართველ კათოლიკებში, იქ ქართველ კათოლიკენი აღარ დაშთენ, გასომხდენ, ჩვენთვის დაიღუპნენ. სადაც სომხებმა ფეხი ვერ შედგეს, იქ-კი ქართველ კათოლიკენი დაშთენ გაუსომხებელ. ასეთია მაგალითებრ: სოფელი ბალაჯორი, ახალციხის მაზრას, აბასთუმანი და ახალქალაქის მაზრას სოფ. ბნელა და ვარგავი, სადაც ქართველ კათოლიკეთ მცირე რიცხვი სცხოვრებს, მაგრამ რა-კი ამ სოფლებში რაღაც შემთხვევის გამო მოსულ სომხები არ დასახლდნენ, ამიტომ ამ სოფლის ქართველ კათოლიკენიც დღემდე ქართველად დაშთენ და ქართულათაც ლაპარაკობენ, ქართველ კათოლიკეთ მიაჩნიათ თავი. ვიტყვით, რომ აქაც დასახლებულიყვნენ სომეხ კათოლიკენი, დღეს აქ ქართველ კათოლიკეთ ხსენებაც აღარ იქმნებოდა, გაქრებოდა.

აბასთუმნის კათოლიკეთ თავიანთი საკუთარი სამლოცველო ძველადგანვე ჰქონდათ და როგორც სხვა სოფლებში, აქაურ ქართველ კათოლიკენიც ლათინის ტიბიკონის კათოლიკეთ იგულისხმებოდნენ. მათ სამლოცველოს ყოველთვის ახალციხის ლათინის წესს-რიგის სავარდისის ეკკლესიის პატრი განაგებდა. აბასთუმნის ძველი სამლოცველო 1866 წ. განაახლა თავისს ხარჯით ახალციხელმა ქართველ კათოლიკემ კარლოს მღებრიშვილმა. დღეს ეს სამლოცველო ქართველ კათოლიკეთა საკუთრება არის და მას თუ რამ ხიფათი

არ მოუვლინა, მაშინ უეჭველია აქ ქართველ კათოლიკენი თავიანთ საკუთარ ეკკლესიასაც გაიკეთებენ. ამისთვის დღეს უკვე ცდაც აქვსთ დაწყობილი.

ნამეტურ იღწვის ცნობილი მამულისშვილი პატრი გაბბრიელ ასლანიშვილი.

მღვთის მშობლის მიძინების ეკლესია ახალქალაქის მა-

ზრა, სოფელ ვარევანს. ვარევანი ალასტანის და ვარგავის პირდაპირ სძევს. ამ სოფელში ძველად მართლმადიდებელ ქართველნი სცხოვრობდენ და მცირეთ ქართველ კათოლიკენიც. ქართველ კათოლიკებს ძველადგანვე ჰქონდათ თავიანთი საკუთარი ეკკლესია. 1829 წ. ამ სოფელს შემოვიდნენ არზრუმიდამ მოსული სომეხ კათოლიკენი და დასახლდნენ. დღეს ამ სოფელში ქართველ მართლმადიდებელთ გარდა კათოლიკეთა 500 სულამდე ირიცხება. ზოგმა ქართულიც იცის. ეკკლესიაც აიშენეს 1856 წ. ქართველ მართლმადიდებელთ და კათოლიკეთ შორის განწყობა სუფევს. სომეხ გრიგორიანებს აქეთ ქართველები ვერ ეთვისებიან და კათოლიკებს-კი ძრიელ ადვილათ. აქ ცხადია ის გარემოება, რომ კათოლიკენი იმდენის გვარ-ტომელის სიმძულვარით არ არიან სავსენი, რამდენადაც გრიგორიანები.

მღვთის მშობლის ეკკლესია, ახალქალაქის მაზრა სოფელ ტორიას. ამ სოფელშიაც მოსახლეობენ სომეხ-კათოლიკენი. მათში მცირედ ქართველ კათოლიკენიც არიან არეულები. სომეხნი ახალ მოსულნი არიან 1829 წ. 500 სულამდეა. ძველად აქ ქართველ კათოლიკებს სამლოცველოც ჰქონდათ. აქ აღაგეს ეკკლესია 1893 წ. მთლად სომეხთ კათოლიკენი არიან.

იოანე ნათლის მცემლის ეკკლესია, ახალქალაქის მაზრე, სოფ. უჯმანას. ძველადგანვე ამ სოფელში სახლობდენ ქართველ გვარის კათოლიკენი. შემდეგ ამათ მიემატნენ სომეხ-კათოლიკენიც. დღეს აქ კათოლიკეთ რიცხვი 500 სულამდეა. ეკკლესია ძველათაც აქვნდათ. 1857 წელს ძველის ალაგას ახალი გააკეთეს. ქართველ კათოლიკე რიცხვი აქაც ამოვარდა.

მღვთის მშობლის ეკკლესია ახალქალაქის მაზრა, სოფელ ეშტიას. ეშტია ძეელი სოფელია. აქ ძველადგანვე ქართველ მაჰმადიანები და კათოლიკენი სცხოვრებდნენ. ქართველ მაჰმადიანები 1828 წ. ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში გადასახლდნენ. მათ ალაგას არზრუმიდამ სომხები მოიყვანეს და დაასახლეს. დღეს ეს სოფელი ამ ტომის კათოლიკებით არის სავსე. ის რიცხვი ქართველ კათოლიკეთა, რომელნიც ძველად სახლობდნენ აქ, სომხებში აირივნენ და სადღეისოთ სულ გადაგვარდნენ. უნდა ვსთქვათ, რომ ქართველ კათოლიკეთა ასე უხვათ და ადვილათ გათახსირებას

ერთობ ხელს უწყობდა და უწყობს კიდევაც ის გარემოება, რომ სომეხთ კათოლიკის მღვდელნი ქართველ კათოლიკებზედ ძრიელ მძლავრათ მოქმედებენ. სომხური ენის სიყვარულს სომეხ კათოლიკეთ ტიბიკონის საშუალებით ერთობ ადვილათ უნერგამენ გულში. ამ სოფლის მცხოვრებთ რიცხვი 2000 სული ირიცხება. ძველს ეკკლესიაზედ ახალი ეკკლესია 1882 წ. გააშენეს. ასეა ქართველ კათოლიკეთ გარემოება.

———

პეტრე პავლეს ეკკლესია ართვინს. ართვინს ქართველთ შორის კათოლიკობა ძველადგანვე აღორძინდა, თითქმის, უპირველეს ხნიდამ. ყველაზე წინეთ აქ მოიფინა ეს სარწმუნოება. ხანა კათოლიკობის დაწყებისა მიეწერება XIII საუ-

კუნის ნახევრიდგან. მაშინ ართვინი ძირეულს ქართველთ ქალაქათ ითვლებოდა. მცხოვრებთ რიცხვიც ქართველის ტომისაგან შესდგებოდა. ყველა ქართულად ლაპარაკობდა. კათოლიკობამ აქ ისე აიდგა ფეხი რომ, XVI საუკუნის დამდეგს მთელი ართვინის ქართველთ მცხოვრებნი კათოლიკობას აღიარებდა. იგინი კათოლიკობასთან დაკავშირებულ იქმნენ რომიდგან მოსულ ლათინის ტიბიკონის წესს რიგის მექონ პატრებისაგან. მაშინდელ აქაურ კათოლიკენი „ქართველ გვარის კათოლიკეთ" იწოდებოდნენ, ხოლო ლათინის ტიბიკონზედ მდგარათ. წირვა-ლოცვა აქ სწარმოებდა ლათინურათ. სახარების კითხვა, ზოგი ერთი რამ ლოცვების გალობა და ქადაგება-კი ქართულათ იცოდნენ. პატრები, როგორც უცხონი, დიდს წვალებაში იყვნენ ჩავარდნილი ქართული ენის უცოდინრობის გამო. იგინი დიდათ მეცადინეობდნენ, რომ ქართული ენა მალე შეესწავლათ და მისს მეოხებით უფრო ხშირად ეწირათ ქართულად და ექადაგნათ.

მაშინდელ ქართველ კათოლიკებს ეკკლესია აქვნდათ სწორეთ იმ ალაგას, სადაც დღეს ეს პეტრე პავლეს ეკკლესია არის აღშენებული. მაშინდელი ეკკლესია პატარა იყო და იგი ქართველთაგან მათ წილათ ერგოთ თვით იმ დროს, როცა მათ კათოლიკობა მიიღესო. მაშინ, ანუ XIII საუკუნეში, ქართველებს ექვსი პატარა ეკკლესია ჰქონდათ. ერთი კორძულს და ხუთი თვით ართვინს. ოთხი ეკკლესია პატარა ზომის იყვნენ და ერთი-კი ფართო იყო, მთავარ ეკკლესიად დანიშნული. უფროსი ეკკლესია კარგა ხანს დაშთა ხელ შეუხებელად. მაშინ აქაურ მცხოვრებთ რიცხვი დიდი იყო, მაგრამ ნელ-ნელა ოსმალთ თავდასხმისაგან შემცირება იწყეს, თუმცა არც მტერს ერიდებოდნენ და ბრძოლაშიაც თავს იჩენდნენ.

საბერძნეთის დაცემამდე ართვინი და მისებურად საბერძნეთთან ახლოს მდებარე ქალაქებში ქართველნი არ იყვნენ მაინცა და მაინც დიდათ შევიწროებულნი. კოსტანტანეპო-

ლის დაპყრობის შემდეგ გარემოება შეიცვალა და აქეთ მტე-

რთა თავ დასხმისაგან ქართველნი დევნას მიეცნენ, მაგრამ ქარც ეს იქმნა მათთვის მეხათ მოვლენილი. აქ კათოლიკობა-მაც იჩინა თავი. პირველად ქართველნი გაიყვნენ შუაზედ. ერთნი აღიარებდნენ მართლმადიდებლობას და მეორენი კათოლიკობას. XVI საუკუნიდგან მათში თათრობამაც იჩინა თავი და ამავ საუკუნის დამლევს საქმე ისე მოეწყო, რომ ართვინში ქართველთ ქრისტიანთ რიცხვი სრულიად შემცირდა. მცირედ კათოლიკენი დაშთნენ. უმეტესი გაათათრეს. კათოლიკებს აქვნდათ ერთი ძველი ეკკლესია, რომელსაც პეტრე პაელეს ეკკლესია უწოდეს. ძველი მღვთის მშობლის ეკკლესია ოსმალეთის მთავრობამ 1670 წლებში დააქცევინა და მის მასალით თავიანთი ჯამე გააკეთეს. ქართული ეკკლესიები და სამღვდელოებაც დიდს დევნის მიეცა.

ქართველთ მკაცრად სჯიდნენ. ამიტომ უმრავლესობა ქართველობისა კათოლიკებს მიეკედლნენ, კათოლიკობა აღიარეს და 1690 წლიდგან დანარჩენ ეკკლესიებიდგან ორი ეკკლესია კიდევ დაიკავეს და კათოლიკის ეკკლესიად გადაუკეთეს. XVII საუკუნის დამლევს ართვინში იყო სამი ეკკლესია კათოლიკების, ერთი ჯამე, სადაც ქართველ მაჰმადიანები ლოცულობდნენ, ერთიც მართლ-მადიდებლებისთვის იყო დაშთენილი და მიტომ დაკეტილიც. მალე აქ მართლმადიდებელთ რიცხვი მთლად მოისპო და ეს ერთად ერთი ეკკლესიაც უპატრონოთ დაშთა. 1702 წ. ანის და არზრუმის კუთხიდამ ართვინში გარდმოსახლდნენ 20 კომლი სომეხთ გრიგორიანებისა და 10 კომლიც სომეხ-კათოლიკების; სომეხთ გრიგორიანებმა დაიჭირეს ზემოთ ხსენებული ქართველების ეკკლესია და სომხურათ მორთეს.

ეს ეკკლესია იყო ის ეკკლესია, სადაც დღეს ართვინის გრიგორიანებს ეკკლესია აქვსთ განახლებული. 1735 წ. ართვინში სრულიად მოისპო ქართველთ რიცხვი და ხსენებაც-კი.

XVIII საუკუნის დამდეგიდამ ართვინში ფეხი გაიმაგრეს სომეხთ კათოლიკეთ ხუცებმა და უკანასკნელ საქმემ იქ-

ამდე მიაღწია, რომ ართვინში ლათინის წესს-რიგის პატრები მოისპნენ და მათ მაგიერ სომხის ხუცები გაჩნდნენ, რომელთაც ქართველ გვარის კათოლიკენი 1720 წლამდე უკვე სომეხთ-კათოლიკობას დაუკავშირეს. ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რადგანაც რომის ტახტი სომეხთ კათოლიკეთ სამღვდელოების წინააღმდეგ სულ არ იღვწოდა. იგინი ამათ ხელსაც უწყობდნენ. დიდათ უძნელდებოდათ თათრის ხელში პატრების გზავნა და ქადაგება. სომხის კათოლიკის ხუცებმა ქართველ კათოლიკებში და ეკკლესიაში სომხური

ენა შეიტანეს სახმარებლად და ერშიაც ანუ მრევლშიდაც ეს ენა გახადეს საჭიროთ. ამ ენის შესწავლა ყველასთვის საჭირო გახდა. ენერგიულის მღვდლების მეოხებით 80 წლის განმავლობაში ქართველთ ისე შეისწავლეს სომხური ენა, როგორც თავის დედა-ენა. ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ 1702 წ. აქ გადმოსახლებულ იქმნენ რამდენიმე კომლი სომხის გვარის კათოლიკენი და გრიგორიანების, რომელთა მეგობრობაც სომხურს ენას ადვილათ ავრცელებდა. მაშინ აქ თათრული ენა შეიქმნა საჭიროთ, როგორც სახელმწიფო ენა და მასთან სომხური, როგორც სჯულის, ანუ საეკკლესიო ენა. ასე და ამ გვარად, ართვინში როგორც ქართველ მაჰმადიანებში ამოვარდა ქართული ენა და ოსმალურათ იწყეს ლაპარაკი, რადგანაც ეს ენა მათი სახელმწიფო ენაც იყო და ჯამეში სახმარებელიც, ასევე ამოვარდა ქართველ კათოლიკებში ქართული ენა, ქართველთ მოდგმის ხსოვნა და დროის განმავლობის და სომეხთ კათოლიკეთ ხუცების წყალობით საქმე ისე დატრიალდა, რომ როგორც ქართველ მაჰმადიანებმა ქართული გვარები – ოღლებათ შეცვალეს, ისევე ქართველ კათოლიკებსაც ქართული გვარები სომხურად შეეცვალათ და შეეცვალათ ისე, რომ დღეს მას ქართულის ერთი სხივიც აღარ სცხია.

თუმცა ასე მკაცრათ ამოვარდა ქართველობა და ქართული ენა, მაგრამ მაინც მათში ბევრი რამ ქართული სიტყვები დაშთა, რომელნიც დღესაც ისევე და იმ ჰზრით იხმარე-

ბიან, როგორც ეს ადრე, ქართული ენის მეფობის დროს იხმარებოდა. ნამეტურ დედა-კაცობაშია ზოგი რამ სიტყვები შენახული. დედაკაცების ნახვა და მათი სახის მოყვანილობაც ხომ ცხადათ გამცნევსთ, რომ იგინი ქართველის ტომის უნდა იყვნენ და არა სომხის. თქვენ მათ უადვილესად გაარჩევთ თვით სომეხთ გრიგორიანებისაგან, რომელნიც-კი მართლაც სომხები არიან და ანუ სომხის კათოლიკეთაგან, რომელნიც სომხის მოდგმას ეკუთვნიან და რომელთა გარდმოსახლება ართვინში 1698-1702 წლებს შეეხება.

ჩვენის მოსაზრების საფუძვლად ჩვენ ვიხმარებთ იმ გარდმოცემებსაც, რაც ქართველ კათოლიკებში დარჩენილა და ეს დანარჩენი ამბები მათში სხვა და სხვა მოხუცებულთაც კარგათ იციან. ესენი თამამად ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ადრე ქართველ კათოლიკეთ ვიწოდებოდითო. ნელ-ნელა ასეთ მოხუცებულთა რიცხვიც ისპობა. ყველა ამაების სახსრად ჩვენ ხელთ გვრჩება ის ცნობები, რაც აქამდის მოვიპოვეთ და ანუ ის მოსაზრებანი, რაც პ. იეზოვმა წარმოსთქვა ძველ ართვინის მცხოვრებთ ქართველ კათოლიკეთა გადაგვარების შესახებ. დღეს ართვინში ქართული ენა მცირედ არსებობს იქაურს მოხელეებში, აჭარიდგან და სხვა კუთხიდამ მოსულ ქართველ მაჰმადიანებში, სადაც ქართული ენა დღემდე არ ამოვარდნილა. ესენი ლაპარაკობენ ართვინში

ყოფნის დროს, მოგზაურობის, ვაჭრობის და ან სამსახურის დროს.

დღეინდელი პეტრე-პავლეს ეკკლესიის საძირკვლის ჩაყრა ეკუთვნის XIII საუკუნის დამდეგს, მართლმადიდებლობიდგან კათოლიკობაზე გარდასვლა XV საუკუნიდამ. სრულიად შემუსვრა ეკუთვნის 1465 წ. მცირედ განახლება და დაფარვა 1480 წელს. სიძველის გამო განახლებულ და გავრცელებულ იქმნა 1650 წლებში, რასაც რომიდამაც დახმარებიან. შემდგომ ამისა ამ ეკკლესიის არსებობა გაგრძელდა და 1830 წელში კვალად იქმნა შეკეთებული. ეკკლესიას აქვს ათი საჟენი სიგრძე, რვა საჟენი სიგანე, სიმაღლეც სა-

კმარისი. წინ კარის შესავალთან არის ოთხი ბურჯი და მასზედ გადაყვანილია თაღი ეკკლესიის კედლამდე. ეკკლესიას შიგ თვითო მხარეს სამ-სამი სვეტი აქვს. შიგ მორთულია საკმარისად მდიდრათ და ბევრი ძველი საეკკლესიო ნივთებიც აქვს. იგი საეპისკოპოზო ეკკლესიად ითვლება. უკანასკნელ ეპისკოპოზათ აქ იყო ეპისკოპოზი ზაქარიანი, ქართველ კათოლიკეთ შთამომავალი. თბილისში იყო, კათოლიკების ეკკლესიაში სწირა, სადაც აღიარა ქადაგებაში, რომ ართვინის კათოლიკენი ქართველთ შთამომავალნი ვართ, ჩვენი წინაპარნი ქართველები იყვნენო. ამის ქადაგება, უეჭველია, ბევრს უნდა ახსოვდეს კარგად. ეს ეპისკოპოზი თბილისიდამ. რომ დაბრუნდა ართვინს, გზაში ავად გახდა და ართვინში' მისვლის უმალ გარდაიცვალა,. დასაფლავებულია ამავ ეკკლესიაში. ამისს საფლავს არაფერი ქვა აძევს და არც არა სხვა წარწერა მოიპოვება რამე.

ამ ეპისკოპოზმა აქ კარგა ხანს იმსახურა და მასთან მეტად ჩინებულადაც, გვარიანად. ზაქარიანზე წინეთ ეკკლესიაში მხოლოდ ორი სხვა ეპისკოპოსნი ყოფილან, მეტი არა. წინეთ წინამძღვარნი მჯდარან და ზაქარიანის სიკვდილით მოისპო აქ ეპისკოპოზთა რიცხვი. ეკკლესიის გალავანი სავსეა მიცვალებულთა საფლავებიო. გალავანში რომ გაიაროთ, ერთ ბეწო თავისუფალ ალაგს ვერ ჰპოვებთ, მთლად საფლავის ქვებით არის სავსე. ერთი ქვა მეორეს გვერდზედ ისეა დადებული, თითქოს ეკკლესიის გალავანი ამ სასაფლავოს ქვებით მოუკირწყლავთო, მაგრამ ამ შეხედულებას ქვების წარწერა არღვევს. აქედგან სჩანს, რომ ძველად ართვინის კათოლიკებში ეკკლესიის გვერდით დასაფლავება ძრიელ ყოფილა მიღებული და მასთან ერთობ ძვირათაც ფასებულა. ამის შესახებ ართვინელებს ვკითხე მე. მათ სთქვეს: „რომ ეს მიცვალებულნი ასე ახლო, ერთი მეორეზედ მიტომ არის დასაფლავებული, რადგანაც ოსმალთა ფლობელობის დროს ჩვენ აქ სასაფლავოს ადგილს ძრიელ ძვირად გვაძლევდენ, თითქმის არც-კი გვიშვებდენ, რომ თავისუფლად დაგვესაფ-

ლავებინა, ამიტომ აქ ეკკლესიის გალავანში ასე ახლო ვასა-
ფლავებდით. ისიც უნდა გითხრათ, რომ თითო ქვის ქვეშ
არამც თუ ერთი მიცვალებულია დასაფლავებული, არამედ
რამდენიმე. საფლავებს ვსთხრიდით და ერთს მეორეზედ ვმარ-
ხავდით. ვინ იცის, აქ თითო საფლავში ორი და სამი მიც-
ვალებულია დასაფლავებული და არა ერთი. დღეს-კი მად-
ლობა ღმერთს, ასე აღარ ვართ, თავისუფალი სასაფლავო
გვაქვს“.

———

მღვთის მშობლის მიძინების ეკკლესია (მოზდოკს). მო-
გეხსენებათ, რომ ძველად საქართველოს ერი მრავალნაირად
იყო ახვეწილ დახვეწილი. მისს მცხოვრებთ მკვიდრნი ხშირად
აქეთ-იქით მიემგზავრებოდნენ და ხან უცხო სახელმწიფოშიაც.
ქართველთ ძველადვე დაინახეს სასარგებლო კუთხეთ მო-
ზდოკი, რომელიც რუსეთის სამფლობელოთ ითვლებოდა.
აქ ძველად თავი მოიკრიბეს თვით ქართველთ კათოლიკეთაც
მართლმადიდებელთ რიცხვი ხომ ერთობ დიდი იყო და ამას-
თან გრიგორიანის სარწმუნოების მექონი ქართველნიც მრა-
ვლად იყვნენ. ქართველ კათოლიკეთ რიცხვი XVIII საუკუ-
ნეში იმოდენი იყო, რომ მათთვის კათოლიკის ეკკლესიაც
საჭირო შეიქმნა. აქ კათოლიკეთ ეკკლესია ძველადგანვე
დაუარსებიათ, ხოლო იგი პატარა ეკკლესია ყოფილა. შემ-
დეგ 1873 წ. აქ ეს ბატარა ეკკლესია სხვაფერ აღუგიათ.

კათოლიკეთა რიცხვი ძველადგანვე აქ ლათინის წესზედ
მდგარან. ყველანი ქართველ გვარისანი ყოფილან. ქართვე-
ლებში მოიპოვებიან თვით აზნაურისშვილებიც და თავადი-
შვილების გვარიც. მაგალითებრ მხეიძეების გვარის წევრთა
თავადიშვილები დღესაც სცხოვრებენ აქ. ამათ გარდა ქართ-
ველთ გვართაგანი არიან მაისურაძენი, მამულაშვილი, საყვა-
რელიძენი და მრავალიც სხვანი ქართველ გვარის კათოლი-
კენი. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ქართველ კათოლიკე-

თა უმრავლესობას დედა-ენა დავიწყებული აქვსთ და იგინი
სომხურს და სხვა ენებზედ საუბრობენ. ესეც საკვირველი
ნარუქია ქართველის კაცის მცონარეობისა. სანატრელი-კია,
რომ მოზდოკის ქართველ კათოლიკეთ შორის დედა-ენამ
ფეხი აიდგას, ფრთები შეისხას. დავსძენთ, რომ მოზდოკს გა-
რდა ქართველ გვარის კათოლიკენი და ნამეტურ მართლ
მადიდებელნი ამ კუთხისკენ სხვა ქალაქებშიაც სცხოვრებენ,
რომელნიც ძველად გასულან საქართველოდგან და იქ დასა-
ხლებულან, მაგრამ ყველა მათ ქართული ენა კი დაუკარგ-
ავსთ. სომხურს გარდა აქ ქართველთა ქართველობის არავის
რა ეტყობა. ყველგან ქართველობა აქეთ აშკარა რიცხვითაც
მცირდება. ძველად-კი მოზდოკს ქართველთ კათოლიკეთ რი-

ცხვი 300 კომლზედ მეტი იყო. უმეტეს ნაწილი რუსეთის ქალაქებისაკენ განბნეულან XIX საუკუნის დამდეგიდამ.

მოზდოკში ქართველთ გარდმოსახლება ეკუთვნის XVIII საუკ. შემდეგიდამ ზოგნი ვახტანგ მეფის თანხლებულთაგანი დასახლდნენ აქ და მეფეს რუსეთში აღარ გაჰყვნენ. ზოგნი გადასახლდნენ კახეთიდამ და ქართლიდამ 1733 წ. ზოგნი 1760 წლების შემდეგ ზოგნიც 1795 წ. ამ წელს ანანურიდგან მოვიდნენ. იქ XIX საუკუნეში გადასახლდნენ რაჭიდგანაც, ხოლო ესენი სად დასახლდენ, ამის ჩვენ არა ვიცით რა. ის კი ვიცით, რომ ზოგნი ამათგანი მოზდოკს მოვიდნენ და აქ დასახლდენ. რაჭიდგან და იმერეთიდამ 1878 წლებშიაც გადასახლდენ იქ. გარდა ასეთის გარდასახლებისა საქართველოს კუთხეებიდგან ყოველს თვეს და წელს მირბოდენ მებატონეთაგან დევნილნი ყმანი და მოზდოკს იკრეფდენ თავს, იქ სახლობდნენ, რადგანაც საქართველოს მოსამზღვრეთ რუსეთის უახლოეს ქალაქს მოზდოკი შეადგენდა. გარდა ამისა, საქართველოს სამეფოს პირთა უპირველეს რუსეთის სამფლობელო ადგილთა ეს ქალაქი ითვლებოდა. ყოველი ქართველი მოგზაური თითქმის აქ უნდა მოსულიყო, აქ უნდა მოესაქმიანა, აქ უნდა ენახა რუსეთის მოწინავე მოხელე პირი. რაც შეეხება ქართველ კათოლიკობას, ესენიც ზემოხსენებულ

დროს არიან გარდასახლებულნი. ზოგნი აქ დაკავშირებულან კათოლიკობას, ზოგნი გასომხებულან კიდეც, უფრო მრავალნი-კი გასომხებულან დროთა მიმდინარეობის მეოხებით და ეკკლესიის საეროს წესით. ამაო შესახებ წერილი დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“. დამწერი პატრი გაბრიელ ასლანიშვილი სწერს, რომ მოზდოკის კათოლიკენი შთამამავლობით ქართველები არიანო.

———

პეტრე პავლეს ეკკლესია თბილისში. ეს ეკკლესია აღშენებული არის 1877 წ. ლათინის წესზედ. აღსაშენებლად ფული შეკრებილ იქმნა საზოგადოთ და ნამეტურ საკმარისად შესწირეს თბილისის მოქალაქეთ ქართველ კათოლიკებმა. თითქმის მთელი ეკკლესია ამათგან აღშენდა. მაშინ აქ პოლონელების რიცხვი ძრიელ მცირე იყო. ალაგი, შენობა და სხვა შრომა სულ ქართველ კათოლიკებს ეკუთვნისთ. ეს ეკკლესია თბილისში კათოლიკების მეორე ეკკლესიათ ითვლება. აქ უმეტეს დადიან დღეს პოლონელები და უცხოელნი. ქართველ და სომეხ კათოლიკის მრევლიც მრავლად ჰყავს. ამ ეკკლესიის აღშენების შემდეგ შუა ბაზრის ძველი ეკკლესია ქართველთ საკუთრებათ დაშთა. კავკასიის ვიზიტატორები ამ ახალს ეკკლესიაში მსახურებენ და განაგებენ. დღევანდელ თფილისის პოლონელებს ეს ეკკლესია თავიანთ საკუთრებათ მიაჩნიათ, იგი თავიანთ აღშენებულათ ჰგონიათ.

ეკკლესია ვრცელია. გაკეთებულია ქართულის აგურით. შიგ შემკობილია სხვა და სხვა ხატებით და სხვანი იშვიათის რამ მხატვრობისა შიგ არაფერი მოიპოვება. ეკკლესიის გალავანი აღაშენა ქართველ კათოლიკემ ჯიმშერაშვილმა, რომელ რკინის ქვითკირის გალავანს კარზე შემდეგი ქართული წარწერა აქვს: „გალავანი ესე აღგებულ არს 1891 წელსა წარსაგებელითა მიხეილ, პავლე, ნიკოლოზ და დედისა მათისა მარიამ ჯიმშეროვებისათა. საუკუნო სახსენებელად ქრისტეს მოყვარე შემწირველი-

სა მამისა და მეუღლისა ივანე პეტრეს ძე ჯიმშეროვისა“. შემდეგ ამისა არს ეს ლათინური წარწერა Joanne vivas in Domino P. XS!

ბათუმის ძველი ეკკლესია. ბათუმში, კათოლიკეთ ეკკლესია, ძველადგანვე არსებობდა, იგი სომეხთ კათოლიკეთ კკელესიათ ირიცხებოდა და ექვემდებარებოდა ართვინის კათოლიკეთ სასულიერო გამგეობას. ბათუმში, ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი ძველადგანვე იყო, აქ ხშირად მესხელ, ჯავახელ კათოლიკენიც გადმოდიოდნენ სავაჭრო" და საცხოვრებლათ. ყველა ესენი სომეხ კათოლიკეთ ირიცხებოდნენ და მიტომ იგინი სომეხ კათოლიკეთა ეკკლესიაშიაც დაიარებოდნენ. მუდმივ იქ ცხოვრებამ და აღებ-მიცემამ იგინი სომეხ კათოლიკებთან ისე დააკავშირა და ისე დაახლოვა, რომ უკანასკნელ მათ ქართული ენაც დაკარგეს და მთლად გასომხდენ. ბათუმის კათოლიკეთ ეკკლესია მცირედ განაახლეს 1860 წ. შემდგომ ამისა აქ კათოლიკობამ ისე იმრავლა,, ისე წავიდა წინ, რომ მათ ეს მცირე ეკკლესია ფართოდ განაახლეს. დღეს ეს ეკკლესია სომეხ კათოლიკეთა საკუთრებათ ითვლება და მასში წირვა ლოცვაც სომხურათ სწარმოებს. ერთ ხნობით-კი ქართველ კათოლიკენიც აქ დადიოდნენ სალოცავთ. ეკკლესია ქვიტკირის არის, მაგრათ ნაშენი. სიგძე 10 საჟენი აქვს, სიგანე 6 საჟენი და ამდენივე სიმაღლე. სომეხ კათოლიკეთა რიცხვის კვალობაზე იგი საკმარისია, მაგარი ქვის შენობა არს, შინაგან მორთულია შესაფერად. დღეს მღვდლათ ირიცხება ართვინელ მოძღვარი პუჩინიანი, ქართველ გვარის შთამომავალი. ეკკლესია აღშენებულ არს სომეხთ კათოლიკეთა ფულით და სხვა ტომის ერთა შემოწირულვლებითაც.

ტრაპიზონის ეკკლესია. ტრაპიზონს ლათინის პატრებს ეკკლესია ძველადგანვე ჰქონდათ. საქართველოს გარეშე პი-

რველი მათი რეზიდენცია ტრაპიზონს იყო. XVIII საუკ.

ტრაპიზონში ქართველ კათოლიკენიც სცხოვრებდნენ. აქ ამათ თავი მოიკრიბეს ოსმალეთის საქართველოს დაბა, ქალაქ და სოფლებიდამ. ესენი უმეტესად ვაჭრობას მისდევდენ. ტრაპიზონის კათოლიკეთ ეკკლესიაში ბევრი ცნობები უნდა იყოს დატოვებული საქართველოს შესახებ. 1880 წლებში ტრაპიზონში მყოფ საფრანგეთის ვიც კონსულმა მარენგომ საქართველო ასწერა, რომელიც „მისიონ კათოლიში" დაიბეჭდა. იგი სწერს, რომ ამ აღწერის ცნობები მე სხვა და სხვა კათოლიკის მოგზაურ ბერების ნაწერებიდამ გამოვკრიბეო. პატრებს საქართველოდამ დიდი ძალი მასალები გაუტანიათ. 1755 წ. და 1845 წ. როცა ესენი განდევნილ იქმნენ. ეხლა ხანაც გვაუწყეს ტრაპიზონიდამ მოსულთ ქართველთ კათოლიკეთა, რომ ტრაპიზონის კათოლიკების ეკკლესიაში ბევრი რამ ცნობებია დატოვებული საქართველოს შესახებ. ცნობები პატრებს გადაუტანიათ საქართველოდამ დევნულების დროსაო. მასალები ნაწერია ლათინურს ენაზედ, იტალიურს, ფრანგულს, ქართულს და თათრულზედაცაო.

დღეს ტრაპიზონს ქართველ კათოლიკეთაგან აღარავინ არის დაშთენილი, ჟამთა ვითარებამ ჩაყლაპა. ტრაპიზონს ლათინის წესის ეკკლესიის გარდა სომეხ კათოლიკების ეკკლესიაც არის, რომელსაც ლაზარისტები განაგებენ. სხვა რამ ცნობები ჩვენ არა გვაქვს რა. ის კი ვიცითა კარგად, რომ ძველად კათოლიკის მღვდლები ლაზისტანშიაც ავრცელებდენ კათოლიკის სარწმუნეობას. ბევრს ლაზს მიუღია კათოლიკობა. ამის ამბები თვით ლაზებშიაც არის დაშთენილი გარდმოცემით, რომ ძველად ლაზები გათათრებას გარდა კათოლიკობასაც უკავშირდებოდენო. XVIII საუკუნის ნახევარს, ლაზისტანში კათოლიკ ლაზთა რიცხვი საკმარისი ყოფილა. მერმე ყველა ამ ლაზთა კათოლიკებს ტრაპიზონში მოუკრებიათ თავი, იქ უცხოვრიათ ერთობის გამო. შემდეგ-კი აქაც შემცირებულან და გაჭირების გამო აქეთ იქით გარდახვეწილან ოსმალეთის სამფლობელოს ქრისტიან ქალაქე-

ბში. ისიც ხომ ვიცით კათგათ, რომ კათოლიკობა თვით ჩხალის ხეობის ლაზებშიაც კი გავრცელებულა ერთ დროს. ვიტყვით, რომ ლაზებს გარდა, ძველად კათოლიკობა ოსებშიაც კი გაუვრცელებიათ ლათინის პატრებს და ჩერქეზებში კათოლიკობა ისე გამრავლებული ყოფილა, რომ XVIII საუკუნეში იქ კათოლიკის არქიეპისკოპოზიც მჯდარა, (ნახეთ ისარლოვის ნაწერები).

აქ თუ ასე იყო კათოლიკობა მოფენილი, აბა ლაზისტანზედ ეჭვი რაღათ შეგვიძლიან ვიქონიოთ, როცა ლაზისტანი კათოლიკის ძრიელ მისიასთან ზედ იყო მიკედლებული.

———

მღვთის მშობლის მიძინების ეკკლესია (თფ. მაზ. დ. ახბულახს). ახბულახს ძველად სხვა სახელი ერქვა, რასაკვირველია ქართული. ეს სახელი მას დაერქვა XVII საუკუნის ნახევარს. იგი თათრული სახელია. დღეს ამ დაბას რუსულად „ბელი-კლუჩი“ ეწოდება. ახბულახის ქართულს სახელს არც ვახუშტი ახსენებს. სჩანს მის დროს ქართული სახელი დაკარგული ყოფილა, თორემ ვახუშტი ქართულ სახელს მოუხსენებულს არ დასტოვებდა. ახბულახი სძევს საქართველოს სამხრეთ კუთხისაკენ, ანუ სამშვილდეს. ხსენებულს კუთხეში ძველადგანვე ქართველი ტომის ხალხი ესახლა. აქ ქართველთ რიცხვი იმოდენი იყო, რომ მათვის არსებობდა სამი საეპისკოპოსო კათედრა. დღეს კი ამოდოლა კუთხეში სულ 25 სოფელიღა არსებოსბს. ბორჩალოს მაზრაში ქართველნი მარტოდ ამ სოფლებში სცხოვრებენ. ასემოისპო აქ ქართველთ რიცხვი, ქართველთ ხსენება.

ხსენებულ კუთხეში ქართველთ მოსპობის მიზეზი ბევრნაირია და უპირველესად კი ისიც უნდა მივიღოთ, რომ შაჰ აბაზმა კახელებთან ერთად ამ კუთხის ქართველნიც სპარსეთში გადაასახლა, ამათ ალაგას თათრები და სომხები დაასახლეს. ერთი საუკუნის განმავლობაში აქ ქართველი ტომის

კვალი სრულიად მოისპო. ხალხის ცხოვრების სამახსოვროდ აქეთ დაშთა მხოლოდ სხვა და სხვა ტაძრები და ზოგიც სხვა რამ ნაშთები. რაც შეეხება ქართველთ მებატონე მემამულეთა ეს კი ხელ შეუხებლად დარჩა, ე. ი. ქართველების საკუთრებათ. დღეს ბორჩალოს მაზრას ანუ სამხრეთ საქართველოში სცხოვრებენ ქართველები, სომხები, თათრები, სექტანტები, და კათოლიკები. მემამულეთა შორის ალგეთის ხეობაზედ, სოფ. არაშენდას, ცნობილნი არიან ქართველ მემამულეთ შორის ქართველ გვარისავე კათოლიკენი ისარლის შვილები, სამცხე საათაბაგოს ცნობილ აზნაურის ხურსიძის შთამომავალნი.

მეცხრამეტე საუკუნის შემდეგიდან როგორც მთელს კავკასიაში, ისევე კერძოთ საქართველოში, ქრისტიანობის დროშის ქვეშ გამრავლება იწყეს კათოლიკებმაც. კათოლიკეთ რიცხვმა თვალ საჩინოდ იწყო გამრავლება ბორჩალოს მაზრაში და ახბულახს. ადგილობრივ კათოლიკეთ გარეშე თვით სამხედრო ჯარის კაცთა შორისაც იწყეს გამრავლება. მხოლო სამწუხაროდ აქეთ კათოლიკობას თავ-თავის ალაგას არ ჰქონდათ შესაფერი ეკკლესიები. ასეთი ნაკლი მეტად დიდათ ეტყობოდა ახბულახს და მის მკვიდრთ მცხოვრებთ კათოლიკებს. ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცია ზემოდ დასახელებულ ისარლიშვილის გვარის წევრმა იაკობ პეტრეს ძე ისარლოვმა. ამან დაიწყო შრომა, ცდა და ზოგი ერთ კეთილ პირთა დახმარებით ახბულახში აღაგო მღვთის მშობლის მიძინების სახელზედ შესაფერი ეკკლესია.

ეკკლესია აღშენებულია ალგეთის თლილის ქვით მშვენივრად, კარგად და მკვიდრად. ეკკლესიას აქვს 20 არშინი სიგძე, 10 არშინი სიგანე და 12 არშინი სიმაღლე. ეკკლესია შემკულია საეკკლესიო სხვა და სხვა ნივთებით და საეკკლესიო მოწყობილობით. აქვს აგრეთვე რამდენიმე ოქროს ნივთები მაგალითებრ: ძვირფასად ნაკეთი ბარძიმები. ერთი ბარძიმი შეუწირავს გრაფს სუმარკოვს, მეორე ბარძიმი შეუ-

წირავს დონ დიმიტრი თუმანიშვილს ოქროსი, კარგად შემკული, პიზონებით. ბარძიმს აქვს გარშემო შემწირველის გვარი და სახელის მომხსენებელი წარწერა. ამას გარდა სხვა ნივთებიც არის დაშთენილი. ეკკლესია შესაფერად შემკულია როგორც გარეგან, ისევე შინაგან.

უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც ამ ეკკლესიის შენების დამწყობ მეთაური იაკობ პეტრეს ძე ისარლოვი, ისევე დონ დიმიტრი თუმანოვი თავის დროის კვლად შესანიშნავ მოღვაწეთ ითვლებიან ქართველთ წინაშე. ამიტომ ამათ მოქმედების ხსოვნას ყოველთვის ავნიშნავთ. ამათი ამაგი არას დროს არ იქნება დაკარგული. ეკკლესია ახბულახში მცხოვრებთ კათოლიკეთ კვალობაზედ საკმარისის ზომისა არს. ასეთი ეკკლესია ბევრს ალაგას თვით ქალაქებშიაც იშვიათია. სამხრეთ საქართველოში კათოლიკეთ შორის ეს პირველი სამაგალითო ეკკლესია არის. ეკკლესიის კარის შესავალს ზემოთ ერთს ქვაზედ მოიპოვება შემდეგი ლათინური და ქართული წარწერა: Ecclesia Assuwptionis B. M. V. Edificata 1892.

„ეკკლესია მიძინების წმინდის მარიამისა! აღშენდა 1892 წ.“ ეს გახლავთ ლათინურის თარგმანი! შემდეგ ამის მოიპოვება ეს ქართული წარწერა, რომელიც მოწმობს და მოიხსენებს აღმშენებელთ ცნობას.

„შეწევნითა მღვთისათა აღშენდა ესე ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესია სამცხე-საათაბაგოს აზნაურის იაკობ პეტრეს ძე ხურსიძის ისარლოვისაგან და სხვათა კეთილ მორწმუნეთა ქრისტიანეთა დახმარებით. საუკუნო იყოს ხსენება მათი წელსა 1892“. ამ წარწერიდამ სჩანს, რომ ახბულახის კათოლიკეთ ეკკლესიის აღშენების ზრუნვა იაკობ პეტრეს ძე ისარლოვს უკისრნია და უთაოსნებია, ხოლო ამ საქმის შესრულებისათვის სხვებსაც თავიანთ შეძლების და გვარად ადამიანური დახმარებაც აღმოუჩენიათ, რომელსაც თვითონ აღმშენებელის მიერ გაკეთეუბლი წარწერაც მოწმობს.

ჯვართ ამაღლების საყდარი და თფილისის კათოლიკეთა სასაფლავო. ქართველ მეფეების დროს ქართველ გვარის კათოლიკენი თფილისში უმეტესად სცხოვრებდნენ ჯვარის მამის ზემოთ, სოლოლაკის შეყოლებით და თვით სოლოლაკ-

ზედაც. ჯვარის მამის მახლობლათვე იყო ამათი ხარების ეკ-
კლესია. ზემოხსენებულ ადგილებს გარდა ქართველ კათო-
ლიკებმა დასახლება იწყეს თფილისის იმ კუთხისაკენ, სადაც
დღეს შუა ბაზრის ეკკლესიაც არსებობს. როგორც შუაგულ
თფილის ისევე განაპირა სოლოლაკისკენ კათოლიკენი ძვე-
ლადგანვე სცხოვრებდნენ. XVIII საუკუნეში, როცა ევრო-
პიდამ საბა ორბელიანი საქართველოში დაბრუნდა, თფილის-
ში ქართველი სამღვდელოება ჩაქვავებას უპირებდა. ამი-
ტომ საბა ორბელიანი საბურთალოდგან სოლოლაკზედ წავი-
და და იქ მცხოვრებ ერთს ქართველ კათოლიკეთა ოჯახში
შეაფარა თავი. ამ ოჯახის ნათლია იყო და ნათლის დედა ელე-
ნე დიდს მფარველობას უწევდა. სოლოლაკზედ რამდენიმე
ოჯახი სცხოვრებდა ასეთ ხელოსან და მოქალაქე ქართველ
კათოლიკეთა.

ძველ ქართველ კათოლიკეთ ცხოვრებთ შესახებ თუმცა
ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ ის კი სჩანს, რომ სოლოლა-
კის განაპირას ქართველ კათოლიკენი მიტომ მისდევდენ ცხო-
ვრებას, რადგანაც მათ უფრო ქართველთა და სომეხთაგან
შორს ყოფნა სურდათ, მშვიდობიანი, მყუდრო ცხოვრება.
ასეთ გარემოებას ითხოვდა თვით კათოლიკეთა სასაფლავოს
თავისუფალი მდგომარეობაც, რადგანაც საფლავებიც-კი ეძლე-
ოდნენ ხშირად დევნას და ქცევა-ნგრევას. ეკკლესიას გარეშე
ჩვენ არც ის ვიცით, თუ კათოლიკეთ სასაფლავო თფილისში
ძველად საით არსებობდა. ჰაზრი არს, რომ სოლოლაკისკენ
უნდა ყოფილიყოს. ისიც ვიცით კარგად, რომ თფილისის
კათოლიკეთ სასაფლავო დიდს შერყევაში იყო ჩავარდნილი.
ქართველნი და სომეხნი ხშირად სდევნიდენ, საფლავის ქვე-
ბსაც უმტვრევდენ. მეტად მწარე, უნუგეშო მდგომარეობა
იყო იმ დროის ქართველ კითოლიკეთა თფილისში. XVIII

საუკუნის ნახევარს, მეფის ირაკლის გამეფების შემდეგ, თფი-
ლისში ხშირად იწყო გადმოსვლა ახალციხის მკვიდრთ ძველ
აზნაურისშვილთ ხურსიძე ისარლოვის შთამომავალმა ლუკა
ერეკლეს ძე ისარლოვმა. ლუკა ისარლოვი მალე დაუახლოვ-
და მეფეს. მათში წმინდა კავშირი მალე აღორძინდა. ასპინძის
ომის, ანუ ახალციხის აღებისთვის ბევრი რჩევა და თათბირი
ეკუთვნის ლუკა ისარლოვს. მეფე ერეკლეს თითქმის ლუკა
ისარლოვი აძლევდა ცნობებს ახალციხეზედ გალაშქრებისას
და ომზედ. მეფე ერეკლეს გარდა ლუკა ისარლოვი დაახლო-
ვებით იცნობდა ახალციხის ფაშას, მათ წესებს, თითქმის სა-
იდუმლოებასაც. ამათ გარდა ლუკა ისარლოვი იმერეთის მე-
ფესაც მეგობრობდა, იქაც ხშირად მგზავრობდა,იმერეთის მე-
ფესაც ბევრს რამ საიდუმლო ცნობებს ატყობინებდა. ასეთის
ერთგულებით ლუკა ისარლოვმა უპირველესი ალაგი დაიკავა
როგორც თფილისში მეფის ირაკლის კარზედ, ისევე იმე-
რეთის სამეფოს წინაშე. უკანასკნელ მან იმ პატივისცემას და
ნდობამდის მიაღწია, რომ იკავებს უპირველეს ადგილს, ხდე-

ბა მეფის სანდო პირად და ბოლოს მეფე ერეკლესაგან წარ-
გზავნილი სპარსეთში ელჩად ყოფილი კვდება შაჰის კარზედ.

ლუკა ისარლოვის წინაპარნი სამცხე-საათაბაგოს ძველა-
დგანვე დაუკავშირდნენ კათოლიკის სარწმუნოებას. მათი გვარის
წევრნი ძველადგანვე იქმნენ რომის წინაშე სარწმუნოების მხრით
ცნობილნი. ლუკა ისარლოვი, როგორც თავის დროის წარჩინე-
ბული , დიდი მფარველი იყო ქართველ კათოლიკობის რო-
გორც თფილისში, ისევე სამცხე-საათაბაგოს. თფილისის კათო-
ლიკეთ გაჭირვებული მდგომარეობა კარგად იცოდა. ამიტომ მან
მეფე ერეკლეს თფილისის ქართველ კათოლიკეთა თავისუფალ
სასაფლავოდ სოლოლაკზედ ადგილი სთხოვა. მეფემ თხოვნა
შეიწყნარა და ადგილი უბოძა. ეს ადგილი დღემდე არსებობოს
სასაფლავოდ,მხოლოდ იგი საეროდ გაუქმებულია. იქ ეხლა
საფლავდებიან რამდენიმე კომლი, ანუ წარჩინებულ გვარის წევ-
რნი ქართველ კათოლიკეთა. ამ ადგილის ჩუქების სიმტკიცისთ-
ვის აი როგორი სიგელი უბოძა მეფე ერეკლემ ლუკა ისარლოვს:

ქ˜ა-სა უპ, ქრისტესით ჩღპთ წელსა, წყალობითა მღვთისათა და
ნებითა და შეწევნითა ქართლისა და კახეთის მეფის ერეკლე მეორის
ბრძანებით ებოძათ სიგელი ესე და ადგილი სოლოლაკზედ მდე-
ბარე უერთგულეს მსახურს სამცხე-საათაბაგოს აზნაურს ლუკა
ერეკლეს ძე ხურსიძე ისარლიშვილს და მომავალთა შვილთა და შვი-
ლისშვილთა მათთა საგვარეულო სამარხად. უცვალებელმცა და
კაცისაგან ხელ შეუხებელ ჰყოს ღმერთმან ესე სიგელი და ადგილი".

ეს სიგელი დამტკიცებით ებოძათ ლუკა ერეკლეს ძე
ისარლოვს და მათს მომავალთა. ბოძების შემდეგ ადგილი
დანიშნულ იქმნა სასაფლავოდ. მეფისაგან ბოძება 1789 წ.
მომხდარა და სასაფლავოდ დანიშვნა კი 1790 უნდა იქმ-
ნეს, რადგანაც 1791 წ. უკვე დასაფლავებულ ქვებთა წარ-
წერანიც სჩანს. ამ სასაფლავოზედ მიცვალებულთ თავისუფ-
ლად ასაფლავებდენ. ადგილის ბოძების და საფლავად დანი-
შვნის შემდეგ ლუკა ისარლოვი მეფისაგან სპარსეთში იქმნა
წარგზავნილი, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ამბათ არის დაშ-
თენილი, რომ ლუკა ისარლოვის გვამი სპარსეთიდგან საქარ-
თველოში მოასვენეს და სოლოლაკის სასაფლავოზედ დაასა-
ფლავესო. აქვე ასაფლავია ცნობილი ქართველ კათოლიკე-
თა მანდილოსანი ანნა ისარლოვისა, ცნობილი მანდი-
ლოსანი მეფე ერეკლესი, გიორგისა, სოლომონის და სხვათა
წინაშეც.

სწორედ ამ სასაფლავოზედ 1835 წ. პატრმა ფილიპემ
გააკეთა ზემოდ დასახელებული ჯვართ ამაღლების პატარა სა-
ყდარი. საყდარი თავის კვალად ზომიერია, სასაფლავოს შე-
საფერია. მღვდელ მოქმედებას აქ ხანდისხან ასრულებენ.
წელიწადში ერთხელ დღესასწაულიც აქვს. აქვე დასაფლავე-
ბულია თვით მაშენებელი ამ საყდრისა პატრი ფილიპე, რომ-
ლის საფლავის ქვასაც ქართული და ლათინური წარწერაც
აქვს წარწერილი. თვით საყდრის სივრცე შესდგება რამ-
დენიმე საჟენისაგან' მშვენიერს ალაგას სძევს, სუფთასა

და მოხდენილსა.

———

ბათუმის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესია. XVII საუკუნის დასაწყისიდამ ოსმალეთმა მთელი დასავლეთ საქართველო სასტიკის მახვილით დაიმორჩილა. ამ დამორჩილების მეოხებით გაუქმდა და მოისპო ბევრი რამ საგვარტომო არსებობანი ქართველთა. მოისპო წეს-ჩვეულება ქართველთა და მის მაგიერ განწესდა ოსმალთა ჩვეულებანი. მოისპო ეკკლესიები და ტაძრები, მის მაგიერ გადღესასწაულდა ისლამი, იწყეს ჯამეების შენება. მოკლე დროის განმავლობაში ქართველთ ხსენება გახდა საგმობ ხსენებად. ამ სამწუხარო გარემოებას ძრიელ ბევრი წარჩინებული ქართველნი ეწინააღმდეგებოდნენ. ესენი თავგამოდებით იღვწოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ და არც ერთს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას და საქმეებისას მათ ადვილად არ უთმობდნენ. მთელის ქართველებისათვის დადგა დიდი განკითხვის დღე და ამიტომ ყოველს მამულისშვილს მწარეთ ადარდებდა საქართველოს უბედური მდგომარეობა და ქართველთ დამხობა, გათათრება.

ჩვენი წინაპარნი კარგათ გრძნობდნენ თავიანთ ქვეყნის წამებას და ამიტომაც იყვნენ, რომ იგინი მთელის აზიის მტრებს თავგამოდებითაც ებრძოდნენ. ებრძოდნენ გმირულად, მაგრამ ერთი პირი ასის წინაშე რას გააწყობდა. მტრის რიცხვს ვერ სძლევდნენ, სხვათა შველა კი არსაიდამ რა უჩნდებოდათ. მალე დადგა ქართველთ გათათრების ხანა და ქართველთა ყოველივე გარდაცვალებას ეძლეოდნენ. ამ გარდაცვალების ანუ გარდაქმნის მეოხებით ძრიელ ბევრი ქართველი ეტანჯა, ბევრი ეწამა, ბევრი იქმნა სასტიკათ გვემული და წამებული ქრისტიანობის და საქართველოს გულისთვისაც, მაგრამ ყოველ მათგანს თვით უკანასკნელ განწირულების დროსაც კი არ მოსპობიათ მომავლის იმედი, მათ ყოველთვის სწამდათ მომავლის იმედი, დავრდომილ მხარეში კვალად აღდგენა. სასოებდნენ, რომ ჩვენის წამებულის მამების საფლავებზედ კულანდებურად გაიხმაურებს ქრისტიანთ

ქართული ხმა, დაბნელებულს ერში კვალად დაირეკება ქრისტიანობის ნათელ ხმოვანი ზარიო.

ქართველთ გათათრების დროდგან ქრისტიანთ გასათათრებლათ, შესაშინებლად და მოსაკლავად შემდეგ ადგილებში იქმნენ თავ-საკვეთ და სახრჩობელა გაკეთებული. ერთი სახრჩობელა გააკეთეს კინტრიშის ხეობაზედ, სადაც ახრჩობდნენ ქრისტიანებს და მით სპობდნენ, ვინც კი არ გათათრდებოდა. მეორე სახრჩობელა და თავსაკვეთი გააკეთეს ბა-

თუმში, სწორედ იმ ადგილისაკენ, სადაც დღეს აღშენდა ბა-
თუმის ქართველ კათოლიკეთა ტაძარი. მესამე სახრჩობელა
მარან-დიდთან, მეოთხე ართვინის ახლოს, ხიდთან. ასევე ახალ-
ციხის მხარეს, არტაანს,ლივანს, შავშეთს, თითქმის ყველა
ადგილებში, სადაც კი ოსმალეთმა ფეხი შესდგა და დაიჭირა.
რაც ამ თავსაკვეთელ და სახრჩობელების წინაშე ქართველთ
სისხლი დაღვრილა, ყველა მისგან დიდი ტბა შესდგებოდა
და აწერა რომ იქმნეს, ვგონებ ოცდა ოთხს ტომში ვერ მო-
თავსდეს. მისი ანუსხვა ჩვენგან შეუძლებელიც არის, ხოლო
იმას კი ვიტყვით, რომ ბათუმიდამ მთელს დასავლეთ-სამხრეთ
საქართველოს საზღვრებამდე არ მოიპოვება არც ერთი მტკა-
ველი მიწა, რომ მასზედ ქართველთ წამებულთ სისხლი არ
იქმნეს დაღვრილი და ამ სისხლით შეზელილი არ იყოს ჩვე-
ნი მიწა მამული. ერთი სიტყვით, ამ კუთხის ყოველს გოჯს
მიწასაც კი აქვს თავის დიდი მნიშვნელობა. იგი მოწამეა
ქართველთ ამაღლებისაც და დაცემისაცა. იგი ჩამხუტებელია
ტანჯულ ქართველთ სისხლისაც და ძვლებისაც. სწორეთ ამ
ჩვენის სისხლით და ცრემლით გაპოხიერებულს მიწა მამულ-
ზედ ითქმის შემდეგი:

„აქ, დაბლა მე ვარ, მის მოწამედ და იქ მაღლა ცა,
როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა“.

პირველ დროის ჩვენი მამები დიდათ სასოებდნენ საპა-
ტიმროებში ქრისტიანობისათვის პყრობილნი და ტანჯულნი,
იმედს და სასოებას არ ჰკარგავდენ და ოსმალთაგან დევნილნი
თავიანთ მამა პაპის სიწმინდესაც დიდათ უფრთხილდებოდნენ

და ყოველს ძვირფას ნივთს მიწაში ფლავდენ და მარხავდენ,
რადგანაც მათ მომავალში ქართველთ აღდგენის იმედიც უტ-
ყუვარად სწამდათ; იგინი ფიქრობდენ, რომ დრო ცვალება-
დია, მრისხანე ისლამის ხანა გაივლის, ჩვენი მომავალი თაო-
ბა თავის ჭეშმარიტს ძალას მოიცავს, საქართველოში, ქარ-
თველთ შორის ქრისტიანობის ხმა კვალად იწყებს გახმაუ-
რებას და მაშინ ამ ჩვენგან მიწაში ჩაფლულს სიწმინდესაც
მიეცემა მკვდრეთით აღდგენა, სინათლის სხივის მიშუქება.
ასე ფიქრობდნენ და მიტომაც მათ თავიანთის ძვირფასის გან-
ძეულობის ბევრი რამ მიაბარეს ჩვენის სამშობლო ქვეყნის
შავ მიწას. დასავლეთ საქართველოში თქვენ ვერ ნახავთ სა-
დმე რამე კუთხეს, რომ მის მიდამოებში სადმე რამე ძვირფა-
სი ნივთები არ იქმნეს დაკრძალულნი. ამას კაცის ხელი და
შრომა უნდა, თორემ ბევრს ალაგას მეტად ძვირფასი ნივთე-
ბიც აღმოჩნდება. ამის მაგალითს წარმოადგენს ის გარემოე-
ბაც, რომ შავშეთიდგან სხვა ქვეყანაში 60 ფუთი ძველი ნი-
ვთები წაიღეს, ისეთი ნივთები, რაც სულ მიწაში თხრის
დროს იქმნენ პოვნილნი.

მართლაც განვლო დრო ჟამმან, გარემოება შეიცვალა,
დასავლეთ საქართველოს ნახევარი ოსმალეთს ჩამოსცილდა
და აღმოსავლეთ საქართველოს შეუერთდა და სადაც ადრე

თათრების წინაშე ქართველთ წმინდა გვამები ილახებოდა, სადაც ახრჩობდნენ მათ, თავებს სჭრიდნენ და ქრისტიანობის გულისთვის სტანჯავდნენ, სადაც მრავალ ქართველთ მშობლიური ქვეყნის გოდება, ცრემლი და სისხლი ცასაც კი მისწვდებოდა და თვინიერ ბარბაროს ოსმალებისა ყველას გულს სილბოს მოჰგვრიდა, დღეს ასეთ ტანჯულ მამათ საფლავებზედ ჩვენდა მოულოდნელად ქართველთ ქრისტიანობის ხმისღაღადებას დასაწყისი მიეცა, დღეს მათს დატანჯულ საფლავებზედ ვხედავთ ქრისტეს მოძღვრების გახმაურებით ზარის რეკას, ქართველთ დატანჯულთ მამათ მიძინებულ საფლავების გასუფთავებას, დამდაბლებულთ ჭეშმარიტ ქრისტიანეთ ღაღადების აღდგომას.

ჩვენს წამებულს მამებს ამის სმენა და გაგონება უნდა ჰქონდესთ, რომ ვამცნიოთ მათ ნატვრის აღსრულება და მათის დამარხული მიმართულების მკვდრეთით აღდგენა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მათი ძვალნიც კი შეუნძრევიან სამარეში სიხარულით და სასოებით. ასე და ამ გვარად, სადაც აქამდე, ორი საუკუნის განმავლობაში ქართველთ დაცემის და სისხლის ღვრის მეტი არა ისმოდა რა, იქ დღეს ღაღადებს ქრისტიანობის დიდი ხმა, რასაც რასაკვირველია, მომავლისათვის უადვილესად მოჰყვება ევროპის ერთა მსგავსად უდიდესი კულტურული განვითარება, უმაღლესი ცივილიზაცია, რომელსაც ქრისტიანობა დიდს გზასა და პატივისცემას ანიჭებს და ისლამი კი სრულიად წინააღმდეგ მიდის ასეთის აღორძინების. ასე მოეწყო ჩვენი საქმე და აქამდე ყოფილთ ქართველთ მაჰმადიანებსაც, ვისაც ისლამის მეოხებით განადირების და უმეცრების მეტი არაფერი ეფინებოდა, იქ მათ დღეს ეფინებათ დიდი სინათლე, დიდი მომავალი, რასაც ხმამაღლა აღვიძებს და ამხნევებს ახლად აღორძინებული ნათელი განვითარების ზარის რეკა.

სწორედ ჩვენის საუბრის უტყუარს ჭეშმარიტებას წარმოადგენს დღევანდელი ბათუმის ქართველთ ქათოლიკეთ ეკკლესიის აღშენების ისტორია. მის მაშენებელთ განძრახვაც პირდაპირ ამ გვარ მიდრეკილების ნატვრას შეადგენდა თურმე, რაც კი ჩვენ ზემოთ მოვიხსენეთ და ის ნატვრა ჩვენს მამა-პაპის საკუთრებათ ვაღვიარეთ. როგორც ძველად, ისევე დღესაც, ჩვენ სამშობლო ქვეყანაში ყოფილან თითო ოროლა ისეთი მამულიშვილები, რომელთაც გულში უაღრესად ჰქონდათ მოზღვავებული რომ ამ დავრდომილს და მიბნედილს ქართველთ კუთხეში რამე სამახსოვრო ნაშთი აღეგოთ, რომ მის მეოხებით დავრდომილს მხარეში ქრისტეანობის და განვითარების რამე დაინერგოს და მის პატივ სადებ სხივებმაც გაიხმაურონო. სწორეთ ასეთი გახლავსთ ჩვენის დროის სამშობლო ქვეყნის შვილი სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილის საქმე, რომელსაც ჩვენის ერის წარმატებისთვის დიდათ

შესტკივა გული და რომელსაც უაღრესად ენატრება და სწამს თანამემამულეთა წინ სვლა, განვითარება და მომავლისთვის აღორძინება. ამ ოცი წლის წინეთ აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ ბათუმში, სადაც ოდესმე ქართველთ სისხლი და ცრემლი იღვროდა ქრისტიანობის და ქვეყნის გულისთვის, იქ, მათ საფლავზედ, ჩვენთ მოსისხარ მუსულმანთა წინაშე ქართველთ ამოდოლი ტაძარი აღშენდებოდა. ბათუმში, ქართველ მაჰმადიანთ წინაშე ასეთი ქართული ტაძრის გაკეთება ჩვენ ერთობ დიდ საქმედ მიგვაჩნია და უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ისტორიული შესავალიც მიტომ ვუძღვენით მას.

II

აწინდელის ჩვენის ქველ-მოქმედის მამულისშვილის სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილის დედას, აწ განსვენებულ (1894 წ. †) ელისაბედ მიხეილ თუმანიშვილის ასულს დიდი ნატვრა და წადილი ჰქონია, რომ თუ ვინიცობაა და ჩვენ ბაქოს ნავთის მრეწველობის საქმე კარგათ წაგვივიდა, მაშინა საქართველოს რომელიმე კუთხეს ქართველთ კათოლიკეთათვის ეკკლესიას აღვაშენებთო. ასეთს საჭირო კუთხეთ ადრევ ჰქონიათ დასახულ-შენიშნული დასავლეთ საქართველოს კუთხის ქ. ბათუმი, რომელიც ოსმალთაგან 1878 წ. იქმნა შემოერთებული და რომელ ქალაქიც ძველადგანვე ოსმალთა, ანუ თათრის კუთხეთ იყო წოდებულ-ხმობილი. ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი აქ ისე მრავლობდა, ისე მიდიოდა წინ, რის გამო, მათთვის, აწ თათრის სამფლობელოდ ყოფილის კუთხეში ეკკლესიის აღშენება ისეთი საქმე იქმნებოდა, რომელსაც ვერაფერი დაემჯობინებოდა. ამის აღსრულებას ანუ აღშენებას აქ პირველად ითხოვდა ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი და მეორე ის გარემოებაც, რომ მთელს ამ კუთხეში სცხოვრობენ ქართველ მაჰმადიანებიც, რომლის ერთმა ნაწილმა დღემდე მტკიცეთ შეინახა თავისი დედა ენა და მთელს ბათუმის ოლქში ქართულათ ლაპარაკობენ.

უნდა ითქვას, რომ ასეთ ქართველთ განსანათლავად ქართველთ კათოლიკობაში აზრი ადრიდგანვე დაიბადა. მის უპირველეს მეთაურ მოღვაწეთ აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი ითვლება და მის შემდეგ თითო-ოროლა სხვა-და-სხვა პირნიც და უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყნის შვილი სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, რომელმაც მრავალთ მოღვაწეთა ქადილს ბათუმს განხორციელება დაუწყო და იქ აღაშენა მშვენიერი თლილი ქვის კარგი, დიდი ეკკლესია. ეს ეკკლესია თვალია მთელის ბათუმისა და თვალია მთელ იმ ქართველ მაჰმადიანებისაც კი, რომელნიც ამ ქალაქს ახვევიან გარს. ქართველ მაჰმადიანებიც კი დიდის მიმზიდვე-

ლობით უმზერიან ამ ტაძარს და ყოველი მათგანი განცვიფრებით კითხულობს: თუ ეს ვისი ეკკლესია არისო, ან ვისგან შენდებაო!?

ერთხელ, როცა ამ ეკკლესიის მაშენებელი სტეფანე ზუბალოვი ბათუმს ბძანდებოდა და ამ ეკკლესიის შენობას შინჯავდა, იმ დროს რაღაც შემთხვევით მისულიყო აჭარის სოფელ კაპნისთაველი ხოჯა შარაგიძე და ეკითხა: თუ ამ ეკკლესიას ვისი ფულით აკეთებენო? ცნობა მალე გარდაეცა, რომ აქვე ბრძანდება მისი მკეთებელი სტეფანეო. ისლამის ფანატიკი ხოჯა უცბათ მივიდა სტეფანე ზუბალაშვილთან და მეტად წრფელი მადლობა გადაუხადა, რომელ მადლობაც ფანატიკის ხოჯისაგან საოცრად იქმნა მიღებული. ასეთი აქვს გარეგანი სახე ამ ვრცელ ტაძარს და იგი თავის გარეგან შეხედულებით დიდათ იზიდავს არა მარტო ქრისტიანთ ყურადღებას, არამედ ქართველთ მაჰმადიანებსაც კი, რომელთა რიცხვი აქეთ ერთობ დიდია და რომელნიც ამ ტაძარს მუდამ დღე გავლა გამოვლის დროს დიდის სიამოვნებითაც ათვალიერებენ. ისე დღე არ გავა, რომ ჯერეთ ამ დაუმთავრებელს ტაძარში რამდენიმე ქართველთ მაჰმადიანები არ შემოვიდნენ და არ დაუწყონ მზერა დიდის აღტაცებით. აღტაცებულნი შთებიან ნამეტურ სხვადასხვა სურათების ხილვით და მალე სურათების გამოკითხვასაც იწყობენ. მე თვით ვნა-

ხე ჩემის თვალით ასეთი შემთხვევები: ერთ დღეს ტაძარში შემოვიდა მოხუცებული ქართველ აჭარელ მაჰმადიანი. მას თან შემოყვა ახალგაზრდა შვილი და მთელის ეკკლესიის შინაგან მოწყობილება დიდის მოწიწებით გასინჯეს. ხსენებულის ეკკლესიის მღვდელს ყოველის ხატის და სურათის ცნობებს დიდის ცნობის მოყვარეობით ჰკითხავდნენ და ყოველს მიგებულს სიტყვას და მცნებასაც დიდის პატივის ცემით ისმენდნენ. აი ასეთი გახლავთ მნიშვნელობა ამ ეკკლესიისა და იგი ასე ანათებს და ასხივებს თვით ქართველთ მაჰმადიანთ ფანატიკ გონებაშიაც. სანატრელია ამიტომ, რომ ამ ეკკლესიას მცირედ ეროვნული ხასიათი მიეცეს, ზოგიერთ ალაგას ქართულის ასოებით იქმნეს შემკობილი.

ასეთი ვრცელი ეკკლესიის გაკეთება ქართველთათვის სამახსოვროდ დაშთება და თან მის აღმშენებელთა ხსენებასაც საპატიო მნიშვნელობა ექმნება საყოველთაოდ. ექმნება მით უფრო, რადგანაც ეს ტაძარი საკათედრო ტაძრათ უნდა ჩაითვალოს და თუ ოდესმე კერძოთ საქართველოს და საზოგადოთ კავკასიის კათოლიკეთა კავკასიაში კათოლიკეთ ეპისკოპოსის დასმა ეღირსათ, მაშინ ეს ტაძარი კათოლიკეთა ეკკლესიათ შორის პირველ ადგილს დაიჭერს, უპირატესობა ამას დაეთმობა, რადგანაც მის მსგავსი ეკკლესია მთელს კავკასიაში კი არა და რუსეთშიაც იშვიათია.

ამ იშვიათობას ყველა კარგად გრძნობს, მისი მხილველი აღტაცებაში მოდის და სიამოვნებას ეძლევა, რომ ჩვენს დრო-

ში სჩდებიან ასეთი პირნიც, რომელნიც ასეთ საქმეთა შეწირულებას არ ერიდებიან. ამისთანა პირებს აქებს ყველა და აქებენ თვით სახალხო მელექსეებიც. აი ესეც მაგალითი, რომელ ლექსითაც ბ. დ. გაბრუაშვილმა 28 დეკემბერს, 1891 წ. შეამკო როგორც ხსენებული ტაძარი, ისევე მის მაშანებელნი.

– 137 –

„ვნახე ტაძარი ღვთაებრივი, ტურფა ქმნილება.
ვით ზეციური, დიდებული, წმინდა გვირგვინი;
ანგელოზთ გუნდთა საკრებულო მშვენიერება
და ამ ქვეყნისა ტანჯულ ერთა მხსნელი, მფარველი!

—

უმანკოების სადიდებლად წმინდათა წმინდა,
აღუმართიათ მშვენიერი ვით თაიგული,
მისი მხატვრობა დიდებული თვალსა იტაცებს
ისტორიულის სურათებით ტურფად მორთული.

—

აგერა მარჯვნივ, ჩრდილოეთით სად კარებია,
წმინდა ნინოსი დიდებულად სდგას ქანდაკება,
და მარცხნივ მხარეს მოციქული კიდევ ანდრია,
ხელთა უპყრია ვით უმანკო თვის ქადაგება.

—

ბრწყინვალე სახით ორივენი სამოციქულოთ,
ივერთა შვილებს მედიდურად გარდასცქერიან,
რომ ხალხთა შორის მოიპოვონ ბედნიერება,
თითქოს განგებას სასოებით ევედრებიან.

—

მე, მაგონებს მას დრო ნეტარსა, ოდეს შავი ზღვით,
ქართველთ სახსნელად შორის მხრიდამ შემოსცურიან,
და მადლი ზეცის ტანჯულ ერთა გარდასაცემად,
ჭეშმარიტებას ქადაგებით გულში უძღვნიან.

—

მათის მზერითა კმაყოფილი მსწრაფ აღგზნებული,
ხელი უმალვე სადიდებლად მოვკიდე კალამს,
ვინც აღაშენა ეს უკვდავი წმინდა ტაძარი,
დიდის დიდებით, მადლის ნიშნათ მიუძღვნით სალამს.

—

აქ, მას დაუდგამს დიდებული ძეგლი უკვდავი,
მარად და მარად განუხრწნელი საღაღადებლად.
დასაბამიდამ ცხოვრებისა ეს არს უკვდავი.
ვით ისტორია ხალხთა შორის გულში ექმნებათ“...

1901 წ. 28 დეკემბერს.

– 138 –

უნდა ითქვას, რომ ქართველთ კათოლიკეთა რიცხვიც იმდენად ქ. თფილისს არ მრავლობს, რამდენათაც ბათუმს. მიზეზი ამისა ის გახლავსთ, რომ მესხეთის, ჯავახეთის და თვით ოსმალეთის საქართველოს კათოლიკენი ისე არც ერთს შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში ცხოვრებას არ ელტვიან, როგორც ბათუმში. ბათუმი პირველია მათში და იქ ყოველი კათოლიკე სიამოვნებით მიილტვის. ამ გარემოებას ისიც უფრო აძრიელებს, რადგანაც ბათუმი აჭარის გზით მესხეთსა და ჯავახეთთან დაკავშირებულ იქმნა დღეს. ამ ხსენებულ კუთხის მცხოვრებნი ერთობ ადვილად მგზავრობენ, სადაც ამ 25 წლის წინეთ ხუთ კაცსაც კი ვერ შეეძლო თავისუფლად გავლა იქით, დღეს თვით ბავშვიც წავა უშიშრათ. ბათუმში წინეთ ქართველ კათოლიკენიც იყვნენ. მათ თავიანთი პატარა ეკკლესიაც ჰქონდათ, სადაც წირვა-ლოცვა სომხურს ენაზედ სრულდებოდა.

რუსეთ('ს იმპერიასთან ბათუმის დაკავშირების შემდეგ, როგორც ვსთქვით ზემოთაც, ბათუმში მეტად გამრავლდა ქართველ კათოლიკობა. ისე რომ მცირე ხნის განმავლობაში ქართველ კათოლიკეთ რიცვი რამდენიმე ათას სულამდე ავიდა. აქაური კათოლიკენი ანუ დროებით აქეთ-იქიდგან მოსულები ვაჭრობას ანუ აღებ-მიცემობას მიეცნენ. ასეთ კათოლიკეთ რიცხვი თითქმის ქართველ კათოლიკეთ გვარისაგან შესდგებოდა. ენითაც ქართულად მოლაპარაკე იყვნენ და არიან კიდევაც. ყველა იგინი ეკუთვნოდენ ლათინის ტიბიკონის საეკკლესიო წესებს. რადგანაც მაშინ ბათუმში ლათინის წესრიგის ეკკლესია არ იყო, ამიტომ ქართველთ კათოლიკენი სომეხ კათოლიკეთა ეკკლესიაში დაიარებოდნენ, სომხის კათოლიკის რიგის ღვდელს ემორჩილებოდნენ, თუმცა თავიანთი ცდა ლათინის წეს-რიგის მოძღვრის მოპოვებისათვის კი არა დროს არ მოსპობიათ.

იგინი დიდად მეცადინეობდნენ, რომ ბათუმში თავიანთ საკუთარი მოძღვარი ჰყოლოდათ და ლოცვაც ცალკე მოეხერხებინათ, გინდ ეს სულ უბრალო სახლშიაც კი ყოფილიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამისთვის სასულიერო მთავრობასაც სთხოვეს ლათინის წეს-რიგის მღვდლის განწესება და საეკკლესიო სახლის გაკეთების ნებართვა. დრო გადიოდა და სასულიერო მთავრობა თითქმის უყურადღებოდ სტოვებდა ამათ მუდარებას, ცნობა არ მოდიოდა, საქმეს კურნება არ ეძლეოდა. უკანასკნელ როგორც იქმნა, ბათუმელ ქართველ კათოლიკეთ ეშველათ და მათ მოძღვრათ გამოუგზავნეს პატრი ანსელმო მღებრიშვილი. ეს მღვდელი 3 წლის განმავლობაში სომხეთ კათოლიკეთ ეკკლესიაში სწირავდა. ამ გარემოებამ სომხებში ცოტა უკმაყოფილება დაბადა. იგინი კმაყოფილნი არ იყვნენ, რომ მათ ეკკლესიაში ლათინურს ენაზედ მღვთის მსახურება სრულდებოდა. მღვდელი ამის მეოხებით დიდ ტანჯვას იტანდა. როგორც სომეხ კათოლიკენი იყვნენ უმადურ-

ნი და არა მადრიელნი ლათინის წესრიგის მრევლისაგან, ასევე ესენი იყვნენ შეწუხებულნი და ნამეტურ ევროპიელნი.

ამიტომ ევროპიელთ მიმართეს თავიანთ კონსულებს და სთხოვეს, რათა მთავრობის წინაშე ეშუამდგომლათ, რომ ბათუმის ლათინის წესრიგის კათოლიკებს თავიანთ წესრიგის ეკკლესიის აღშენების ნება მისცემოდათ. ევროპის კათოლიკ სარწმუნოების ელჩებმა მიმართეს უმაღლეს მთავრობას, ითხოვეს კათოლიკის ლათინის წეს-რიგის ეკკლესიის აღშენება და ამათ 1896 წ. ნებართვაც მიიღეს უმაღლეს მთავრობისაგან ეკკლესიის აღშენებისთვის. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკკლესიის გეგმაც შეადგინეს და მთარობას ესეც წარუდგინეს. მთავრობამ გეგმაც დაამტკიცა. 1897 წ. 27 იანვრიდან დაიწყეს ფულის კრებაც და ერთ თვეში 1,500 მან. შეკრიბეს. მალე ქალაქსაც სთხოვეს ეკკლესიისთვის ადგილი. ქალაქმა დაუთმო 400 საჟენი მიწა. ამას გარდა 200 საჟენიც ფულით იყიდეს დი მის მერე კი გადასწყვიტეს ეკკლესიის კეთებაც. ამ საქმისთვის მიმართეს სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილსა და დახმარება სთხოვეს; მან ეს დავალება დიდის პატივისცემით მიიღო და აღუთქვა, რომ ჩემის დაუვიწყარის დედის სულის მოსახსენებლად მე აღგიშენებთ

მთლად ეკკლესიასაო და ამისთვის მან .15,000 მან. გადასცა იმ წუთშივე, რომლითაც 1897 წ. აპრილის 12 ჩაიყარა ეკკლესიის საძირკველიც.

მის შემდეგ შენდება ეს ვრცელი ტაძარი და ყოველ ამ ტაძრის გარდასახადს დიდის თავაზით იხდის ჩვენგან უკვე კარგად ცნობილი მამულისშვილი სტეფანე ზუბალოვი. სტეფანე ზუბალოვის ქება და დიდება ჩვენგან მეტი იქმნება. მის კაცთმოყვარეობას და მამულისადმი ჯეროვან პატივისცემას თვით მისი საქმენიც ამტკიცებენ. საკმარისია გაიხსენოს კაცმა ხსენებული ეკკლესიის ნაშთი, თფილისში სახალხო თეატრის შენობა და მასთან სხვა მეტად მრავალი უთვალავი საქმენი და მით დარწმუნდებიან ნათლათ ჩვენგან მოთხრობილს ჭეშმარიტებაზედ. ჩვენს დროში იშვიათია ისეთი პირების პოვნა და ისიც ჩვენში, ქართველებში. ამიტომ მე ვუწოდებ მას, როგორც მეტად მაღალ თვისების ადამიანს.

როგორც ვსთქვით, ბათუმის ქართველ კათოლიკეთ ეკკლესია არის თვალი მთელის ბათუმისა. იგი ცხოველის მყოფელის მიმხვედრელობით უნდა ასულდგმულებდეს ყოველ ქართველ კათოლიკეთ გვაროვნულს ცნობებს. ეკკლესიის ადგილი არის საკმარისად მშვენიერს ალაგას, თითქმის ბათუმის შუაგულად გახდება ოდესმე, რადგანაც მის დასავლით და სამხრით დიდი ძალი სახლები შენდება. მასთან ერთობ ახლოა რკინის გზის სადგური, ქართველთა და ბერძენთა სკოლები და მასთან სხვა ღირს შესანიშნავი სახლები და დაწესებულებანიც. ბათუმის აღწერაში ეს ტაძარი დაიჭერს უპირატეს ადგილს არა მარტოდ ეკკლესიის ნაშენობით, არამედ

ხელოვნურის და მხატვრულის შემკობილებითაც. ეკკლესიას ფართო ადგილი უკავია. გალავანიც საკმარისი დიდი აქვს. ეკკლესია მთლად ნაშენია ბიტონით და ქუთაისის წითელის და ყვითელის ქვით. საძირკველის ნიადაგი კარგა ძირიდამ არს გამაგრებული ცემენტის ნაღმებით. მერე ზემოდამ გადა-ტანილია ეკკლესიის იატაკი ცემენტითვე. იატაკს თავ-თა-ვის ალაგას აქვს შესანიშნავი ცემენტისავე სვეტები ანუ ბო-

ძები, რაზედაც მჭიდროთ დამყარებულია მთელი ტაძრის სი-მაგრე.

ეკკლესია აღგებულია გოტიკურ-რომაულის წესით. ესეც კარგი, საკმარისი მაგალითია ჩვენს ქვეყანაში. გოტიკურ-რო-მაულ სტილით შენებას სრულ იშვიათად მისდევენ, უფრო ბიზანტიის სტილით აკეთებენ. ეკკლესიას სიგძე აქვს 16 სა-ჟენი, სიგანე – 11 საჟენი, სიმაღლე ძირიდამ – 21 საჟენი, ე. ი. გუმბათამდე. ძირს, მიწიდამ იატაკამდე ორი საჟენის სი-მაღლეზეა აყვანილი კედლები. მასზედ დაიწყება იატაკი. ეკკლესიას აქვს მარჯვნივ და მარცვნივ შემდეგი სანათურები: ოთხი სანათური ერთ მხარეს, ოთხი მეორეს. ტრაპეზის გას. წვრივ კედლებშიაც მარჯნივ და მარცხნივ აქვს კარგი ორი დიდი სანათური. ყველა ეს სანათურები ეკკლესიას შინაგან ზომიერის სინათლით მოსვენ. სანათურებს აქვსთ თავიანთ შესაფერი სიგძე-სიგანე. ეკკლესიის კარის ბჭეს მისავალი აქვს სამ კუთხედ, ე. ი. ეკკლესიის წინა კედელს მთლად საზღვ-რავს გარემო კედლის კუთხებამდის და ამ ასავალს კიბეს სამი კარი აქვს შესავალი, ერთი შუაში და ორი მარჯვნივ და მარცხნივ.

ეკკლესიას ქვედა ანუ მიწის ნიადაგის სიმაღლიდამ აყვა-ნილს კედლებსაც კი აქვსთ თავის შესაფერი სანათურები, რომელნიც შესაფერად ანათებენ ძირსაც. აქვე მოთავსებუ-ლია ელეკტრონის განათების მანქანები, რომელნიც თავისუფ-ლად მოძრაობენ. ეს ძირის ნიადაგი თითქმის ამ საელეკტრო მანქანათა დასადგმელათ არის მომზადებულიო, თუმცა კეთე-ბის დროს ამის ფიქრი არავის ჰქონია. გარეგან ეკკლესია ნა-შენია თლილის ქვით და ცემენტით. ყოველი კარის და იატაკის ფაიები აყვანილია წითელის ქვით. ასევე აყვანილია გოტიკურ-რომაულ წესით გაკეთებულ გუმბათის სვეტები, ფაიები და გუმბეთებისათვის შესამკობელი ადგილები და სიმაღლენი.

საკურთხეველის უკან ეკკლესიის კედელს აქვს ერთი შესავალი, საიდამაც ეკკლესიაში მოვა მწირველი მღვდელი. შესავალს აქვს მშვენიერი ცემენტის კიბეები.

ეკკლესიის ყველა სანათურებს ირგვლივ ავლია მშვენი-ერი ჩუქურთმის ხელოსნობის ნაკეთობა. ნაკეთობა შესანი-შნავია თავის დროის ოსტატობით. ეკკლესიის ჭერი გაკეთე-

ბულია რკინის ბოძებით და დახურულია კარგის, მაგარის რკინით. ზეიდამ დაფენილია კარგის თუთიათი. ეკკლესიას აქვს სამი გუმბათი, სამივ გოტიკურათ ნაკეთი. ორი ტაძრის აღმოსავლით, მისავალ კარის ცოტა ქვემოთ და მესამე გუმბათი შუა ტაძრის ჭერზედ სდგას, რომელიც თავის მოქარგულობით მშვენიერად ამშვენებს მთელს ეკკლესიის გარეგან სახედველობას. ეკკლესიის ყოველი კედლის გადასახვევ-გადმოსახვევი შემკობილია მშვენიერის ოსტატურის ნაკეთულებით. უნდა დავუმატოთ, რომ მეტად მშვენიერია ეკკლესიის გუმბათები და ნამეტურ შუა გუმბათი, რომლის მეტად კოპწია ქვისა თუ თუთიის ფაიები მეტად მშვენიერს ოსტატობას წარმოადგენს. ეკკლესიას აქვს თავთავის ალაგას შესაფერი ფარღალალები (ვაზდუშშნიკი), მთელის ეკკლესიის გარეგან სახე წარმოადგენს ერთს მეტად დიდს, მშვენიერს გოტიკურს ჩუქურთმიანს ფერადის ქვით შემკობილს სანახაობას.

ყოველი კედელი, ყოველი კუთხე როგორც შეწეული, ისევე გარე გაწეული, პატარა თაღები და სხვა ასეთ უსაჭიროეს კედელთ ნაწილები თავთავის შესაფერის ზომის თაღებით და სიღრმით არიან გადამბულნი. ერთი ნაწილის სიგძე, სიგანე, სიღრმე და სისქე მეორე ნაწილის გარეგან სახეს არაფრით ღალატობს და შეეხამება. მოკლეთ უნდა ითქვას, რომ ეკკლესიას დიდი ხუროთ მოძღვრება ეტყობა. აქ როგორც კანონიერი ზომა არის დაცული სიგძე-სიგანის მხრით, ისევე დაცულია ყოველივე სხვა კედლის ნაშთები, ნაწილები და სხვანი. მცოდნე კაცებმა სთქვეს, რომ ამ ტაძრის ყოველივე ისე კარგათ არის შესრულებული, რაისა გამო იშვიათია, რომ სადმე ასეთის ოსტატობით რამე გაკეთდესო. ამ შენობას დიდი გულსმოდგინება ატყვიაო. აქ შეერთებულს შრომასთან წრფელი ნატვრა და ხატვის სიყვარულიც უნდა ყოფილიყოს განღვიძებული. ყოველი განაკეთებელი როგორც

კედელი, ისევე იატაკი, ყავრული და გუმბათები გაკეთებულია მეტად მაგრა, მკვიდრად, ისე რომ იგი ასე იქნება საუკუნეთა განმავლობაში და მას ვერ დაანგრევენ ვერც ქარი, წვიმა, ზღვის ქარიშხალი, სეტყვა და დროთა მიმდინარეობის მცხოვრებთ მტრული მახვილი.

ტაძარს წინა კარის, ანუ დასავლეთის შესავალის ზემოთ მარჯვნივ და მარცხნივ ორს ალაგას საკმარისად წმინდა ქვის დოლაბებში წითელ ქვაზედ გამოქანდაკებულია მთელის ტანით წმიდა ნინო და ანდრია მოციქული. ორივე შესანიშნავის სანახავობის არს და კაი ოსტატობითაც ნაკეთი. ქვის სურათის გარეგან სახე და მის ხელოსნობის ოსტატობა მკაცრათ ემსგავსება პერგამენტულ ქაღალდზე და ან ძველად ეკკლესიის კედლებზედ ფერადის წამლებით დახატულს სურათებს. ეს ორი სურათი მოასწავებს შემდეგს: ანდრია მოციქულს პირველად შეხვდა საქართველოში შემოსვლა და ქრისტეს სარწმუნოების ქადაგება. ამიტომ ქართველთა

წინაშე მოციქულებს შორის უპირატესი მნიშვნელობა ამას უნდა დაეთმოს, რადგანაც მოციქულთა რჩევით ანდრია მოციქულმა პირველად შემოსდგა ფეხი საქართველოში და ქრისტეს სწავლა იქადაგა.

წმინდა ნინო ნიშნავს ვითაარცა საქართველოს პირველ განმანათლებელი, ანუ ქრისტიანობის სწავლის შემომტანი და გამავრცელებელი ქართველთ შორის. ყოველ სურათს აქვს თავის შესაფერი ქართული წარწერა ევროპაში ამოჭრილი, ხოლო ეს ქართული წარწერანი პირველ გაკეთების დროსკი გაკრულ იქმნა სურათების წინაშე და მცირე ხნის შემდეგ კი რაღაც მიზეზების გამო აღებულ და შენახული. როგორც ეს ქვაზედ ამოჭრილი სურათები, ისევე მეტად საყურადღებოა ტაძრის გარეგან კედლების წითელ ქვებზედ ოსტატურათ ამოჭრილ ჩუქურთმიან ქვები, რქები, ერკემალნი, წოწოლა ფაიითა, სვეტები და მათ ოსტატურად გათლა-მოწყობა და კედლებზე დამაგრება.

ეკკლესიის კარის შესავალთან ორს მხარეს აქვს მარმა-

რილოს ქვები, რომლებზედაც მოიპოვება ქართული და ფრანგული წარწერა. წარწერა მოწმობს ამ ეკკლესიის აღმშენებელთ ცნობას. აი ესეც ქართული და ფრანგული წარწერა:

„ტაძარი ესე ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა მარიამისა, თვისის ზღუდითურთ, აღვაგე მე სტეფანე ზუბალაშვილმა, საცხოვნებლხად სულისა ჩემისა, შშობელთა, ძმათა და დათა ჩემთასა“.

„Cette église sous Ie vocable de la Nativité de la Sainte Viirge, avec clòture, a ètè erigèe par Etienne Constantinovitch Zoubaloff pour le salut de san àme, pour le repos de I, áme De ses parents et pour le salut des ámes de ses fréres es soeurs“.

$18\frac{IV}{12}$ 98---------- $19\frac{VI}{30}02$

ქართული წარწერა მშვენიერის შავის ასოებით არს ამოჭრილი. ამავ ტაძარს აქვს ორი შესაფერი ზარები, რომლებზედაც მოიპოვება შემდეგი წარწერანი: – „ზარები ესე შევწირე მე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა, ჩემ-მიერ აღგებულს ბათუმის ქართულს რომის კათოლიკეთა ეკკლესიას".

შინაგან სახე და მოწყობილება ეკკლესიისა ბევრად აღემატება გარეგან ეკკლესიის სინაზეს და მშვენებას. გარეგან ეკკლესია უფრო პატარა სჩანს და შიგ კი გარეგანზედ უფრო მეტი არს, ვრცელი, თითქოს ეკკლესია თავის შინაგან სივრცით გარეგან სახეს არ ეთანხმება. მთელი ტაძრის შინაგან სიგძე-სიგანე, სიმაღლე და იატაკ-ჭერი მოწყობილია-სუფთად და კარგად. ტაძრის ყოველს მხარეს ანუ მარჯვნივ და მარცხნივ ატანილია ოთხ ოთხი კარგი სვეტები, რაზედაც განისვენებს მთელი ეკკლესიის ზედა სამყარო, ე. ი. მთელი ტაძარი. სვეტებს აქეთ იქიდამ აქვს თავის შემამკობელი პატარა სვეტები, ანუ ფაიები, კარნიზები. ყოველი ასეთი თუ იმათი პატარა ნიშნებიც კი ნაკეთ ნაგებია მშვენიე-

რის ოსტატობით. სვეტები ისეა დაყენებული, რომ იგი ეკ-
კლესიის სინათლის მისხივებას სულ არ ეწინააღმდეგება.

ტაძარი დაფენილია მშვენიერის მარმარილოს მოზაიკის
ქვით, ასე რომ მთელი იატაკი ერთს გაერთიანებულს ხელოს-
ნობას წარმოადგენს, მშვენიერი სახილველია. იატაკზე ეკკლე-
სიის კედლები ერთი საჟენის სიმაღლემდის ატანილია თეთ-
რის და შავის მარმარილოს ქვებით. მარმარილოს ქვები მთელს
ეკკლესიას აკრავს ირგვლივ წინიდგან. იგი ნაკეთებია მეტად
სუფთად და მშვენივრად, რაც კაცის თვალს თვისკენ იზიდავს
თვისის სანახაობით. მაზედ მუშაობდენ ევროპიელთ ხელოვან
ხელოსნები, რომლებშიაც რამდენიმე ქართველი ხელოსნებიც
ვნახეთ, რამაც გაგვაკვირვა. ეკკლესიას აქვს თავის შესაფერი
მოწყობილობა ხალხის დასადგომად. მარცხენა მხარეს მეოთ-
ხე სვეტის წინ გაკეთებულია მარმარილოს ქვით მშვენიერი
სამქადაგებლო კათედრა. სამქადაგებლო კათედრა და მისი მა-
რმარილოს კიბე ანუ მქადაგებლის აღსავალი დიდს ყურად-
ღებას იზიდავს თვისკენ.

ეკკლესიას აქვს თავის შესაფერი ტრაპეზი (საკურთხევე-
ლი). საკურთხეველს წინიდამ აქვს გაკეთებული მშვენიერი
მარმარილოს ქვის სურათების აივანები, რომლის წინაც მაზი-
არებლები მივლენ და დაიჩოქვენ. ტრაპეზს რთავს მღვდლის
სამწირველოს მშვენიერი მარმარილოს ქვის ანალოღია. ზემო-
დამ გაკეთებული აქვს იორდანეს მსგავსად მშვენიერი ზედ
სადგომი, სამშვენი. ირგვლივ ანუ ოთხკუთხედ საკურთხევე-
ლი წარმოადგენს მშვენიერ საეკკლესიო ნივთებით შემკობი-
ლობას. საკურთხევლის გვერდებზედ მარჯვნივ და მარცხნივ
არს მშვენიერი ოთახები, სადაც შეიმოსებიან მღვდელნი და
სადაც ინახება საეკკლესიო და სამღვდელო ყოველნაირი
ნივთიერებანი და შესამოსელნი.

ეკკლესიის კარის შესავლის ზემოთ არის გაკეთებული
მშვენიერი თლილის ქვის აივანი, შესაფერის სივრცის, სადაც
დადგმულ არს საეკკლესიო არგანი. აქვე მოთავსებულ არს
მგალობელთა გუნდის ალაგი და მასთან მრევლიც დიდი რი-
ცხვი დაეტევა, რადგანაც აივანი საკმარისად დიდი არის.
იგი ეკკლესიაში კარგად სჩანს. აღსასვლელი კიბეც კარგად

არის ნაშენი და მაღლა აყვანილი. ამ აივანს ქვეშ ორს სვე-
ტზედ, ორს მარმარილოს ქვებში ამოჭრილია აიაზმის წყლის
ემბაზი. მთელი ეკკლესიის შინაგან კედლებთ განყოფილება
ერთი მეორეს კანონიერის სახით და გადაკავშირებით მისდევს.

მთელი ტაძარი იატაკიდამ გუმბათის სიმაღლემდე დახა-
ტულია ფერადის წამლიანის კოხტა ხელოვნურის ოსტატუ-
რის ხელოვნებით. მხატვრობა არს მრავალ ფეროვან წამლე-
ბთაგან შემდგარი. ყოველ წამლის საფერავს და ხმარების

ზომასაც დროის შესაფერი ოსტატის სამხატვრო ოსტატობა ანუ ხელოვნება ეტყობა. ეკლესიის კედლებზედ ირგვლივ ანუ მთელს ტაძარში დახატულია ძველის და ახალ აღთქმის მოძღვრების სურათები. გუმბათის ქვეშ დახატულია ოთხი მახარებელი, რასაკვირელია ისტორიულის ცნობილის სახით და მხატვრობის მოყვანილობით.

ეკლესიის სანათურების ზეიდამ ირგვლივ ჩუქურთმიანი ამოჭრილის ხელოვნებით დახატულია მოციქულნი.

საკურთხეველის ზემოდამ ჭერის შუაზე დახატულია მღვთის მშობლის დაგვირგვინება.

მარჯვნივ და მარცხნივ საკურთხევლის ზემოთ კედლებზე დახატულია წმინდა პეტრე და ამის შემდეგ წმინდა რომის პაპნი: ლინო, კალეტო და კლემენტო. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ პეტრე მოციქული მოხსენებულია როგორც რომის პაპი. რომის ეკკლესიის უმთავრეს პაპათ ეს ოთხი პირი ითვლება: პეტრე, ლინო, კალეტო და კლემენტო. ტრაპეზის ზემო მხარეს დახატულია მშვენიერი გუმბათი ლურჯის ცის ფერით შემკობილი და ბრწყინვალეს ვარსკვლავებით მოქარგულ-მოჭედილი.

ყველაზედ უფრო საყურადღებოა ეკკლესიაში შინაგან კედლებზედ ჩუქურთმიანის მოქარგულობით მაცხოვრის ცხოვრებიდან ტანჯვა, წამება, გარდამოხსნა და სხვა ამ გვარნი, რაც კი იესოს ცხოვრებას „სახარების“ მოთხრობითაც ეთანხმება. სადაც კი კედლებზე სურათები არ არის დახატული, იქ დახატულია ოქროს ვარაყიანის და ფერადის წამლებით

სხვა და სხვა არშიები და სხვა და სხვა შესამკობელნი.

ეკკლესიას მეტად კარგად ამშვენებს მაცხოვრის ცხოვრებიდამ გაკეთებული ხატები, რომელთა ოსტატობა მხილველთა თვალს სწრაფათ იზიდავს თვისკენ. ეს ხატები ამოჭრილია პატარა მარმარილოს ქვებზედ და დახატულია ფერადის წამლებით, თავთავის შესაფერის თვისებით ისე, როგორც რიგია და რასაც მხატვრობის ხელოვნებაც მოითხოვს, ამ სურათების გარდა ეკკლესიას სხვა სურათებიც აქვს, რომელნიც კარგათ რთავენ ეკკლესიის მხედველობას. სხვა რამ ნახატები და ამგვარნიც თავის შესაფერად აქვს. ყველა ეს მხატვრობა დიდის სახედველობით რთავს შინაგან სახეს ეკკლესიისას.

ეკკლესიას აქვს ოთხი დიდრონი, მშვენიერი ბრონზის და ბროლის მინებით შემკობილი ჭაღები. ამას გარდა ეკკლესიას ამშვენებს ოცი მშვენიერი კედლის სამ ტოტიანი შანდლები. ყველა ესენი რასაკვირველია ელექტრონის სინათლით იქნება განათებული. ეკკლესიაში წმინდა სანთელი ხმარებული იქნება მხოლოდ საკურთხეველში, მღვდლის წინაშე ტრაპეზზე. სხვაგან-კი ამ გვარი არა იქმნება რა. თვით ელექტრონის სინათლით ირგვლივ არს შემოვლებული როგორც ეკკლესიის შინაგან სივრცე, ისევე გარეგან და სხვა. ეკკლესიის კარის შესავალში ქართულს ენაზე შემდეგი წარ-

წერა აქვს: „მოვედით თაყვანის ვსცეთ და უგალობდეთ უფალსა“. შემდგომ ამის დაწერილია ლათინური ეს წარწერა:

„Orantibus in isto dimitte deccata populi tui Deus“

ე. ი. შეუნდე, ღმერთო, ცოდვანი ერსა შენსა, რომელნიც მოვ-ლენ სალოცავსა ადგილსა ამასა".

ეკკლესიის გალავნის კარის წინაშე მოზაიკით დაწერი-ლია შემდეგი რიცხვი.

$18\frac{12}{II}$ 98--------$19\frac{21}{IV}$02

ე. ი. 1898 წ. შენობა დაუწყვიათ და 1902 წ. დაუმ-თავრებიათ. მშვენიერს ეკკლესიას აქვს თავის შესაფერი ეზო და კარგი გალავანიც. გალავანი გაკეთებულია ძირიდამ მშვე-

ნიერის ქვითა და ცემენტით. მის შემდეგ მოაჯირიდამ ატანი-ლია მშვენიერი ქვის კარგი მოაჯირის ფაიები და ასე ამ გვარად ერთი ფაია მეორეზეა გადატანილ-გადაბმული. ხოლო რაც შეეხება ფაიების შუა გაკეთებულია რკინის მოაჯირები, რაის მეოხებითაც ერთი მოაჯირი გადაბმულია მეორე მოა-ჯირზედ და ასე და ამ გვარად გადატანილია ერთი მეორეზედ და მით არის შემდგარი მთელი ეკკლესიის ირგვლივ მა-გარი გალავანი.

ეკკლესიის ყოველს შინაგან ღირსებას ცხადლივ ამკობს და ამშვენებს შემდეგი ლათინური წარწერა: „Cibayrt nos Do-wunus ex adipé frimente et petrs, melle sasturavit nos“.

ამის ქართული სახარების თარგმანი: „გვაჭამა სიპოხისა-გან იფქლისა და კლდისა თაფლისა განგვაძღა უფალმან". აი ეს გახლავთ აღწერა ყოველივე ნაშთის, მხატვრობის და ან სხვა რამ საყურადღებო მხარეების ხსენებულის ტაძრისა. ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ აღვწერეთ ყოველივე ნაკეთობისა. მი-სი აღწერა არც არის საჭირო. ჩვენ ეს ავნუხსხეთ ისე, როგორც ტაძრის აღწერის წესი მოითხოვდა. ცხადი საქ-მეა, რომ რაც ეს ტაძარი დღეს არის, ის ხვალ და ზეგ ათჯერ და ოცჯერ მეტი იქმნება. იგი დაწინაურდე-ბა როგორც შინაგან, ისევე გარეგან, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ბათუმის მცხოვრებთ შორის რამდენათაც ქართველ-კათოლიკები არიან, მათზე მეტათ ირიცხებიან უცხოელები, მაგალითად ფრანცუზები და სხვანი და მათთან ერთად პოლო-ნელებიც.

მხოლოდ ამ ტაძრის მეოხებით უხდებათ ერთი ერთ და-კავშირება. აქ იკრიბავს თავს ევროპიის კათოლიკე სარწმუ-ნოების მაღიარებელთ ერთა რიცხვი, რომელნიც კი ბათუმს მოდიან ევროპიის გემებით. ესენი რა მოვლენ და ნახავენ ხოლმე ბათუმის ასეთს ძვირფას ტაძარს, მას კარგად ათვალი-ერებენ, შინჯავენ ყოველ სანახაობას, ინუსხავენ თავიანთ მოგზაურობაში და მერე ევროპიულს ენებზედაც გარდასცე-მენ ამ ტაძრის არსებობის ამბებს და იმასაც, თუ იგი ვისგან

არს აღშენებული, რომელ ტომის კათოლიკეთათვის და ან
იგი დღეს ვის საკუთრებას შეადგენს, ვინ და რა ტომის ენის
სამფლობელოთ ითვლება ეს ტაძარი სად არის ამ ერის ენის
საუნჯის ტრაპეზი, საიდგან ისმის ამ ენით მრევლის წინაშე
ცხოველი ქადაგება მშვენიერის და მეტად ხელოვანის სამქა-
დაგებლო კათედრიდან. თუმცა ეს ასეა და ამდენი სამაგალი-
თო მხარეები აქვს ამ ეკკლესიის მფლობელობის გარემოებას,
მაგრამ მას მაინც შეიძლება რომ მომავალში მრავალ ნაირი
განსხვავებითი მომავალი მოევლინოს. ვინ იცის ყველაფერი
შესაძლებელია, რადგანაც ქართველი ერი ძლეულია ყველა-
ფერში, დაძაბუნებული და მცონარე. ასე რომ უკუღმართი
ძლევა არ იქნება ძნელი და მოუვლენელი.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ამ ძვირფას ტაძრის აღ-
შენებაზე დახარჯულია თითქმის ჩვენის მამულის შვილის სტე-
ფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილის საფასი. ეს პირია ამ
ტაძრის დამაარსებელი, მან ჩაუდგა მას სამოქმედო ძალა და
პირობები. ამით მარად მოსაგონარნი არიან იგინი და მოსა-
გონარნი ის მანდილოსანი მათი მშობელიც, რომლის ხსენე-
ბასაც ეძღვნის ეს ტაძარი. როგორც ვსთქვით, რამდენათაც
სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილია პატივ-საცემი იმ-
დენისავე თანაგრძნობისა არის მამა ანსელმო მღებრიშვილი.
ამ მოძღვრის შესახებ ჩვენ აქ არას ვიტყვით, რადგანაც მას
ამის სურვილი არა აქვს. მოვიყვანთ მხოლოდ იმას, რომ მთე-
ლი ამ ტაძრის შრომის და ვაი-ვაგლახის გაძღოლა მარტოდ
მას ეკუთვნის. იგია მისი წინამძღვარი და ჩვენგან მისი შრო-
მის ანუსხვა არ არის საჭირო. ვინც ამ ნაშთს ნახავს და ის
მამა ანსელმოს შრომასაც გაიხსენებს, მაშინ ცხადათ დარწ-
მუნდება მასზედ, რომ ასეთი შრომის ატანა და გაძღოლა ერ-
თი კაცისთვის მეტათ ძნელი უნდა იყვეს. მაგრამ იქ სიძნე-
ლე ეცემა და ვარდება, სადაც კაცის ენერგიულს ცდას და
მხნეობას თავისებური მიმოსვლა აქვს და საქმის სიყვარული.
მამა ანსელმო არის შრომის მოყვარეობა, ცდა ყველა საქმე-
ში, ოსტატურად გარჯა, მასთან უხვად დაჯილდოვებული მა-

მულის სიყვარულით, პატივის ცემა ქართველობის, ქართუ-
ლის ეკკლესიის, ენის და ყველა ესენი კი რასაკვირველია
ცხადი და უმთავრესი ძალა არის ხსენებულის ძნელის საქმის
შესრულებისა. ამიტომ მამა ანსელმოს სადიდებელ სიტყვად
და სარკედ კმარა ჩვენს თვალთ წინ სახილველად თვით მი-
სივე შრომის ნაყოფი. აქ მოვიხსენებთ შემდეგსაც, რომ ამ
ტაძრის შენების დროს მამა ანსელმოს თანაშემდედ მღვდლო-
ბდა პატრი ალოიზ შამირხანოვი. წარჩინებულის მამულის
შვილობით ავსილი და სპეტაკი მოძღვარი თავის მოვალეობის
წინაშე.

———

დასასრულ ჩვენგან მარად მადლობა უნდა ეძღვნას რო-
გორც სტეფანეს მშობელთ, ისევე მის ძმებს: იაკოფს, პეტრეს
და სხვათაც, რათა მათის შეერთებულის ცდითა და შრომით
ბათუმის კათოლიკობას ეს ძვირფასი ტაძარიც აღუშენდათ.
კურთხევა ამის დანიშნული გახლავთ 5 მაისს, 1903 წ., რაის
გულისთვისაც თვით სტეფანე ზუბალაშვილმა სარატოვიდამ
კათოლიკეთა ეპისკოპოსიც მოიწვია და რომელმაც უნდა
აკურთხოს ეს ტაძარი. დავსძენთ, რომ საქართველოში კათო-
ლიკეთ ეპისკოპოსნი 1743 წლის შემდეგიდამ დღემდე არა-
ვინ მოსულა. ამდენი ხნის განმავლობაში ეს თითქმის პირველი
მაგალითია. პირველად გიახლებათ ეს მღვდელმთავარი საქა-
რთველოში.

———

– 151 –

ბათუმის ეკკლესიის კურთხევა.

ქართველ კათოლიკეთ ეპისკოპოსთ ისტორია მეტად სა-
ინტერესოა. საინტერესოა აგრეთვე იმ მღვდელ-მთავართ ვი-
თარება და ერთან დამოკიდებულება, რომელნიც კი საქარ-
თველოში სცხოვრობდნენ და განაგებდნენ. მათი სასულიე-
რო მოქმედება მჭიდროთ არის გადაბმული საერო საქმეების
მართვასთან. პირველად საქართველოში კათოლიკეთ ეპის-
კოპოსის კათედრა განწესდა XIV საუკუნეს, ანუ 1327 წ.
21 ნოემბერს. პირველ ეპისკოპოსად განწესებულ იქმნა ეპი-
სკოპოსი იოანე ფლორენციელი, დომინიკიანელების რიგისა-
გან. ამ დროს რომში განაგებდა პაპი იოანე XXII-რე. სა-
ქართველოში ეპისკოპოსის კათედრის განწესების შესახებ პა-
პმა ბულლაც გამოსცა. ეს ბულლაც საყურადღებოა ჩვენთვის.
მოხსენებულია, რომ „საქართველოს სამეფო დედა ქალაქ თბილის-
ში მწესდება ქართველ გვარის კათოლიკეთათვის საეპისკოპოსო კა-
თედრაო“. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ, რომ აქ მოვიყვანოთ
თვით ეს „ბულაც“. აი:

– „პაპი იოანე XXII თავის საყვარელ შვილს იოანე ფლორენ-
ციელს, აღმორჩეულს ეპისკოპოსს თბილისისას. როგორც წარსულში
გავრცელებული ქრისტეს სარწმუნოება, ისე ახლა ღვთიური წმინდა
სახელის პატივისცემის მოსამატებლად, გამოძიებით სხვა და სხვა
ჯეროვანის მიზეზების, ძმებისაგან შეგულიანებულთა, ბოლოს გარ-
დავსწყვიტეთ ჩვენის სამოციქულოს შეძლებთ რომ დაწესებულიყო
ჩინებულს თბილისის ქალაქის საეპისკოპოსო კათედრის ადგილი,
რომელიც იმყოფება საქართველოს სამეფოში. ვინებეთ, რომ ეს
თბილისი მომავალში მუდამ საეპისკოპოსო ქალაქად დარჩეს ჩვენთვის
სრულის შეძლებით და შეკითხვითა, როგორც ზემოთ ვსთქვით
დამტკიცებით განვსაზღვრეთ, რომ დაარსდეს თბილისის ქალაქში სა-
ეპისკოპოსო ეკკლესია და მიეცეს მას ღირსეული ტიტული – თბილი-
სის ეპისკოპოსისა.

კვლავ ჩვენ თვალთ თქვენკენ მოვაქცევთ, რომელიც განწესებულ ხართ მასწავლებლად, მოქადაგედ ძმათა რიგისაგან, მეცნიერთ წმინდა

წერილებით, რომელთაც იცნობთ პიროვნულად მაგ ადგილე-
ბის გარემოებათა და საჭიროებათა, რომ მრავალნი მოაქციეთ ღვთი-
ური სიტყვის ქადაგებით და შესძინეთ იესო ქრისტეს, გაქვს კეთი-
ლი გული წმინდა სარწმუნოებისა, წმინდა ცხოვრება, კეთილი ყოფა-
ქცევა და სიბრძნით სავსე მრავალ ნიჭ-სათნოებითა, როგორც შეტ-
ყობილი გვაქვს სარწმუნო მოწმისაგან, რომელნიც გრაცხვენ შემძლე
ღირსეულ პირად. მით სრულის სამოციქულო შეძლებითა ჩვენითა და
შეკითხვითა ჩვენი ძმებისა გადგენთ ზემოხსენებულს თბილისის ეკ-
კლესიასა ზედა ეპისკოპოსად გამოძიებისა და ყოვლის ფრის განხი-
ლვის შემდგომა“.

პაპი იოანე XXII.

„მიეცა ავინონს 1329 წ. XIV ნოემბერს“.

ასეთი „ბულლები“ შემდეგ დროის ეპისკოპოსთაც ეძ-
ლეოდათ. ყოველთის ეს ეპისკოპოსნი მოიხსენებიან როგორც
ქართველ გვარის კათოლიკეთა ეპისკოპოსნი, რომელნიც
იწოდებოდნენ ყოველთვის თბილისის ეპისკოპოსად.

პირველ მღვდელ-მთავრის განწესება ქ. თბილისს იქმნა,
როგორც საქართველოს სამეფო დედა ქალაქში. აქვე აღშენ-
და მაშინათვე საეპისკოპოსო ტაძარი. ერთის ეპისკოპოსის
გარდაცვალების შემდეგ ყოველთვის მეორე ეპისკოპოსი ინი-
შნებოდა. ასე და ამ გვარად, საქართველოში ქართველთ კა-
თოლიკეთ მღვდელ-მთავარნი საშუალ საუკუნოებიდამ ინიშ-
ნებოდნენ და დღემდე რომის არქივებში მ. თამარაშვილის
საშუალებით პოვნილ იქმნა სხვა და სხვა ძვირფასი მასალე-
ბი, რომელ მასალების საშუალებითაც ჯერჯერობით მხოლოდ
შემდეგ მღვდელ-მთავართ სახელები ვიცით, რომელთაც სა-
ქართველოში უცხოვრიათ, თბილისის ქართველ-კათოლიკეთ
კათედრაზედ მსხდარან და მით უმწყსიათ საქართველოს ქარ-
თველთ გვარის კათოლიკე საერო და სასულიერო საქმენი.

ეს მღვდელთ-მთავარნი არიან შემდეგნი პირნი:

პაპის იოანე XXII-ის დროს „განწესებულ იქმნა თფი-
ლისის ქართველ-კათოლიკეთათვის მღვდელმთავრად იოანე
ეპისკოპოსი „ფლორენციელი“. ამისთვის პაპამ „ბულლაც“

გამოსცა 1329 წ. 21 ნოემბერს. 1348 წ. გარდაიცვალა ეს
ეპისკოპოსი, ამიტომ 1349 წ. პაპის კლემენტო VI-ის ბრძა-
ნებით განწესებულ იქმნა მღვდელთ-მთავარი ბერთნარდო
კოლეტი, დომინიკიანელების რიგისაგან. ამ მღვდელთ-მთა-
ვარსაც ებოძა პაპის „ბულლა". ეს მღვდელთ-მთავარი საქარ-
თველოში 7 წელს დაშთა, შემდეგ იგი პაპის ინოჩენცოს
ბრძანებით გარდაყვანილ იქმნა გერმანიაში ეპისკოპოსად.
ამის მოადგილეთ განწესებულ იქმნა ეპისკოპოსად ბერთრამო,
დომინიკიანელების რიგისაგან. ამ ეპისკოპოსმა განაგო კარ-

გა ხანი. გარდაიცვალა 1391 წ. ამიტომ მის ალაგას პაპმა ბონიფაციო XI-ემ თბილისის კათედრაზედ დანიშნა ეპისკოპოსად ლეონარდო ვილაკოელი. ამის შემდეგ პაპმა მარტინ V-ემ 1425 წ. ეპისკოპოსად განაწესა ივანე სანკტემიქალელი. ივანე ეპისკოპოსის შემდეგ პაპის ალექსანდრე VI-ის დროს თბილისის ეპისკოპოსად განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი ალბერტო-ანჯელი, ფრანცისკიანელების რიგისაგან. პაპის ნიკოლოზ VI-ის დროს I450 წ. განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი ალექსანდრე, დომინიკიანელების რიგისაგან. ამის შემდეგ განაწესეს ეპისკოპოსი ენრიკო. ეს მღვდელთ-მთავარი მიცვლილა 1461 წ. ამის შემდეგ დაუნიშნავთ მღვდელთ-მთავრათ ენრიკო ვონსტი. ეს გარდაიცვალა 1469 წ. 1470 წ. დანიშნულ იქმნა ეპისკოპოსი ივანე იმაქი, ავგუსტიანელების რიგისაგან.

ამ ეპისკოპოსებთ გარდა სხვებიც ყოფილან, მაგრამ მათი ცნობა ჩვენ არ გვაქვს. რადგანაც საქართველო რომიდამ შორს იყო, მიტომ თბილისის ქართველ-კათოლიკეთ ეპისკოპოსის კათედრა დამორჩილებულ იქმნა სპარსეთში არსებულის ერთის კათოლიკის არხიეპისკოპოსის გავლენის ქვეშ, რადგანაც იქ კათოლიკობა გაძლიერებული იყო და შესანიშნავი კათედრაც არსებობდა. XVI საუკუნის შემდეგ თბილისის ეპისკოპოსის კათედრაზედ აღარავინ დაინიშნა. მიზეზი სამეფოს არევ-დარევა იყო, მუსულმანთ ომები და შიშიანობა. მის შემდეგ ინიშნებოდნენ სხვა და სხვა რიგის მონო-

ზნები. მართალია ამ დროდამ საქართველოში კათოლიკის მღვდელთ-მთავართ რიცხვი არ სჩანს, მაგრამ რაც შეეხება თბილისის კათოლიკეთ ეპისკოპოსის კათედრას, ეს კი ხელშეუხებლად დაშთენილა. მის გამგედ ყოველთვის მსხდარან მცოდნე სასულიერო პირნი. ცნობები არ გვაქვს და ვერც ვიტყვით გარდაწყვეტით, რომ XVI საუკუნის დამდეგიდამ საქართველოში კათოლიკის ეპისკოპოსნი აღარ ინიშნებოდნენ, ან მგზავრობით მაინც არ მოდიოდნენ. ამ საგანს ისტორიული ცნობების შეკრება გამოაჩენს. მ. თამარაშვილი საქართველოში ყოფილთ კათოლიკეთა მღვდელთ-მთავრებს სულ ცხრა პირს ასახელებს. ამათში ყველაზედ უდიდესად იოანე ეპისკოპოსი ბრწყინავს ფლორენციელი.სხვა მღვდელთ-მთავართა სახელები კი არ სჩანს, თუმც ეჭვი არის, რომ საქართველოში ამ ცხრა ეპისკოპოსთ გარდა სხვანიც ყოფილან შემდეგ საუკუნოებში, მაგრამ მათი ცხოვრების ცნობა ჟამთა ვითარების მეოხებით იკარგებოდნენ. იკარგებოდნენ ეს მით უფრო, რადგანაც ხშირად ეს მღვდელთ-მთავარნი თავიანთ სამწყსოდამ სხვა და სხვა კუთხეებშიაცმოგზაურობდნენ. თვით იოანე ეპისკოპოსიც კი საქართველოდამ რომში მიმავალი კონსტანტინეპოლს გარდაცვლილა 1348 წ. საქართველოში ამან იცხოვრა 30 წელი და 18 წელიწადი მღვდელთ-მთავრად იყო. ვგონებთ საკმარისი უნდა იყოს მის საფუძვლად, თუ

თბილისში კათოლიკეთ ეპისკოპოსნი რა ტომის ერისთვის იჯდნენ და განაგებდნენ.

ეს რომ მართლაც საფიქრებელია, ამას ცხადათ ასაბუთებს შემდეგი უცხო გარემოებაც. XVIII საუკუნის 1745 წლებში საქართველოში სამგზავროდ რომიდამ მოსულან ორი ეპისკოპოსი. ესენი მცირე ხანს გორშიაც დაშთენილანნ უსადგურნიათ იმ დროის გორის მცხოვრებ ქართველთ-კათოლიკე ზუბალაშვილების ოჯახში და გორის კათოლიკეთათვის მირონიც უცხიათ. ეპისპოპოსნი, რასაკვირველია, ყოფილან ლათინის წეს-რიგისა.

– 155 –

ამ მღვდელთ მთავართა შესახებ პატრი დონ გაბრიელ-ასლანიშვილი აი რა ცნობას იძლევა:

„1745 წ. 11 მაისს, რომელიც იყო დღე კვირიაკე, გორის კათოლიკეთა ახალ აღგებულ ეკკლესიაში წმ. სილიბისტროსი და წმ. გიორგისა, მე ფილიპე ეპისკოპოსმა მირონი ვსცხე კატირინეს შვილს: გიორგისა, მარიამს, ანნას, თინათინს, თამარს და სხვ“.

ხსენებულ პირთ გარდა მღვდელთ-მთავარს სხვა და სხვა პირებისთვისაც უცხია მირონი. ცხადი ფაქტია, რომ კათოლიკეთ ეპისკოპოსნი საქართველოს კათოლიკობას თვით საეპისკოპოსო კათედრის გაუქმების შემდეგაც არ მოსპობიან, თუმცა ხშირად კი არა, მაგრამ იშვიათად მაინც სწვევიან.

მეორე ეპისკოპოსის ცნობა და სახელი არ სჩანს. ეს ცნობები პატრს დონ გაბრიელ ასლანიშვილს გორის კათოლიკეთა ეკკლესიის ერთს ძველს „ტიბიკონში" მოუპოვნია. ცნობა ლათინურათ არს ნაწერი.

გორიდამ საით გაემგზავრნენ ეს ეპისკოპოსები, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით, ცხადია, რომ სპარსეთში წავიდოდნენ. ასე და ამ გვარად, სპარსეთში მიმავალ კათოლიკის ეპისკოპოსებს არა შემთხვევაში არ ასცდებოდათ საქართველო და მის მკვიდრთ კათოლიკეთ ნახვა და მათი ცნობების შეტყობა სხვათა შორის ზოგი რამ ძველის ცნობებიდგან სჩანს, რომ თბილისში კათოლიკეთ მღვდელთ-მთავრებთაგანნი მგზავრობის დროს ყოფილან შემდეგი პირნი: მთავარ-ეპისკოპოსი ლუკა, მთავარ-ეპისკოპოსი სილიბისტრო, ქალდეველთა ეპისკოპოსი მარტიროს დორმალელი, ისაია ეპისკოპოსი სალმასტელი და ბევრიც სხვანი, რომელნიც მგზავრად გაივლიდნენ საქართველოზედ. ნამეტურ ხშირად მოსულან ქალდეველთა მღვდელ-მთავრები. ბევრს ისე გაუვლია, რომ მათი ცნობა არავის ჩაუგია. რაც შეეხება საქართველოში ცნობით და რომიდამ მოწერილობით რომელიმე ეპისკოპოსის მოსვლის, ეს კი არ მომხდარა კარგა ხანია თითქმის 160 წელიწადია, რაც საქართველოს კათოლიკობას თავის მღვდელთ-მთავარი აღარ უნახავთ.

– 156 –

ვიტყვით, რომ რუს-ოსმალოს ომის შემდეგ, როდესაც

დასავლეთ-სამხრეთ ოსმალეთის საქართველო რუსეთის იმპერიის საქართველოს შემოუერთდა, მაშინ თბილისში ჩამოვიდა ართვინის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ზაქარიანი, რომელიც სომხის ტიბიკონის მღვდელთ-მთავრად ირიცხებოდა და თვითონ კი შთამომავლობით ქართველი გახლდათ. ეს თვითვე აღიარა ერთს ქადაგებაში, რომელიც მან წარმოსთქვა თბილისის კათოლიკეთ ეკკლესიაში, როცა იგი მწირველი იყო და წირვაც სომხურს ენაზედ შეასრულა. ეს ეპისკოპოსი თბილისიდამ 1879 წ. დაბრუნდა ართვინს. იგი ლივანას გარდაიცვალა. ნათესავი გახლდათ ბათუმში მცხოვრებ ქართველთ კათოლიკეთ მჭედლიშვილების.

დღეს, საქართველოს კათოლიკობა მიწერილია სარატოვის კათოლიკეთ ეპისკოპოსის კათედრაზედ. აწინდელი ეპისკოპოსი საქართველოში მოიწვია ჩვენის ქვეყნის მამულის შვილმა სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა. როგორც შევიტყეთ, მღვდელთ-მთავარს უკვე გარდუწყვეტია მგზავრობა. მისი საქართველოში მოსვლა მთელი საუკუნის განმავლობაში არის პირველი მაგალითი. მანვე უნდა აკურთხოს ბათუმის ქართველ-კათოლიკეთ მღვთის-მშობლის ეკკლესია, რომელიც აღშენებულ იქმნა: სტეფანე, იაკობ და პეტრე ზუბალაშვილების ფულით, მათ სამარადისოდ დაუვიწყარ დედის, აწ გარდაცვალებულის ელისაბედის სამახსოვროდ, რომელსაც მეტად დიდი ნატვრა ჰქონია ოსმალეთის საქართველოს რომელიმე კუთხეში ქრისტიანობის ტაძრის აღგების. ეს ნატვრა მისმა შვილებმა უკვე შეასრულეს და ამ საქმის შესრულებამ შემთხვევა მისცა, რომ საქართველოში მოსულიყო აწინდელი კათოლიკეთა ეპისკოპოსი და ხსენებული ეკკლესია ეკურთხა. ამ ეკკლესიის ისტორიაში ეს შემთხვევა სამახსოვროდ დაშთება. ამ სამახსოვრო საქმის უმთავრეს მიზეზად კი კვალად სტეფანე და მის ძმების საქციელი ჩაითვლება, რომელთაც მისცეს მიზეზი მღვდელთ-მთავარს, რომ მას საქართველოში ემგზავრნა და მით გაეცნო თავისი უშორესი სამწყსო.

აწ ახლად განწესებული კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონ ედუარდ როპი ტომით გერმანელია და თავის კვალად განვითარებული. მისი მოგზაურობა და ადგილობრივ მცხოვრებთ გვაროვნობის მხრით გაცნობა და ნახვა უეჭველია თავის შესაფერს ნაყოფს გამოიღებს და ჭეშმარიტება იქმნება აღორძინებული.

ეპისკოპოსი ბარონ ედუარდ როპი, როგორც ვიცით, უმაღლესად განათლებული პირია, მას ხალხთა ცხოვრების შესახებ შესაფერი წარმოდგენა ექმნება. იგი ბათუმს გარდა ახალციხესა და თფილისშიაც აპირებს მოგზაურობას. სრული იმედი გვაქვს, რომ ყოვლად სამღვდელო ამ უძველეს საქრისტიანო საქართველოს კათოლიკობას ისტორიულის ვითარებით გაიცნავს, მათში გამოიკითხავს ბევრს რამე საყურადღებო ცნობებს და მისი შეტყობით აღბეჭდავს თვის მღვდელთ-მთავრობითი სასარგებლო ნავალსაც, ამის საშუალებით ყოვ-

ლად სამღვდელო მომავალის მეისტორიესთვის საყურადღებო მასალას დასტოვებს. მაშ ვინატრებთ სულით და გულით, რომ ყოვლად სამღვდელოს მობრძანება როგორც სასარგებლო და მშვიდობიანი იყოს, ისევე იგი თავის მრევლისაგან მშვიდობით და სიყვარულის პატივისცემით დაბრუნდეს თავის სამწყ- სოში.

II.

მართალია, რომ XVI საუკუნიდამ საქართველოს დედა ქალაქ თბილისში, კათოლიკეთ ეპისკოპოსის კათედრაზედ არ ინიშნებოდნენ მღვდელთ-მთავრულის ღირსებით დაჯილდოებულნი პირნი, მაგრამ ვინც კი ინიშნებოდნენ და რა ხარისხისაც კი იყვნენ, ყველა ეს სამოციქულო პირნი თავიანთის მღვდელთ-მოქმედების მხარეებით და მასწავლებლობით არ ჩამოურჩებოდნენ სამღვდელ-მთავრო ხარისხით დაჯილდოვებულ პირებს. ასეთ ჩინებულ კათოლიკეთ მამანი საქართველოს დიდის ყურადღებით უმზერდნენ, ქართველთ ერს დამხმარებლებათ ევლინებოდნენ. იგინი იყვნენ როგორც წრფელი მოღვაწენი კათოლიკეთა მრევლის, ისევე მთელის

ქართველის ერის და მათსთან ყველას მკურნალნი, დოსტაქარნი და ჯარა ექიმნიც. კათოლიკეთა მოძღვართ მკურნალობა და წამლობა ქებულია მთელს საქართველოში. ქართველ მეფეებსაც ყოველთვის რომიდამ მოსული მოძღვარნი ახლდნენ მკურნალებათ. ასეთია მაგალითებრ პატრი ანდრია, ცნობილი მკურნალი XVIII საუკუნის ბოლოს, მეფე ერეკლეს კარზედ და პატრი ფილიპე 1830 წლებში.

დიდს დავალებას გარდა ქართველთ კათოლიკეთ გარეშე ლათინის წესრიგის პატრებმა საქართველო გაიცნეს დაწვრილებით. ყველა მათგანი საქართველოს დაწვრილებით გაცნობას თითქმის საღმრთო ვალად სთვლიდა. ყოველი მოძღვარი, რომელიც კი რომიდამ მოდიოდა საქართველოში, იგი უპირველესად სწავლობდა ქართულს ენას, მწიგნობრობას, საქართველოს ისტორიას, უღრმესად თვით ქართველ ერის ცხოვრებას და მდგომარეობას ყოველ ნაირის მხრით. იგინი კარგად ტყობილობდნენ თვით საქართველოს სამეფო ვითარებასაც, მათ მოსაზღვრე სახელმწიფოებსაც. მათ კარგად იცოდნენ როგორც საქართველოს სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიური მხარეები, ისევე უცხო სახელმწიფოთა. იგინი ძრიელ ხშირად ახლდნენ მეფეებს გვერდით და ბევრს რთულს სადიპლომატო საქმეებში მონაწილეობასაც იღებდნენ. ასეთია მაგალითებრ ნიკიფორე ირბაი, ფრა-ჯოვანო თადეოსი, რომელიც შაჰაბაზმა თეიმურაზ მეფეს მოციქულათ გამოუგზავნა, პატრი მავრო, რომელიც მეფე ერეკლემ 1781 წ. რომის სენატში გაგზავნა და მრავალნიც სხვა-

ნი ასეთნი და ნამეტურ პატრი ნიკოლა, რომელიც ერთ დროს საფრანგეთის იმპერატორ ნაპალეონ პირველთანაც იყო გაგზავნილი.

ამ მოძღვართა შორის ბევრი დიდათ მწიგნობარნიც არიან, მაგალითებრ ასეთ მწიგნობარ მოძღვართა საშუალებით, XVII საუკუნეში, პაპის ურბანუს VIII-ის დროს, რომის „კონგ-რეგაციას“ მოხსენდა საქართველოს ერის მდგომარეობა და ნამეტურ ქართველის ერისთვის წიგნის ბეჭდვის საჭიროება.

„კონგრეგაციამ“ თხოვნა შეისმინა, რომში ქართული სტამბა გაიხსნა, 1626 წ, და 1629 წ. იქ პირველად ქართული წი-გნიც დაიბეჭდა. წიგნები იყო შემდეგი: „ქართულ-იტალიური სლავარი“ შედგენილი პატრის პაულინისაგან, „ქართული ანბანი“ საქართველოს კათოლიკეთათვის, „ლოცვის წიგნი“, „ქართულ-იტალიურ-თათრული ღრამატიკა" შედგენილი ნიკიფორე ირბა-ხისა და სხვანიც. ამავე დროს, რომის „კონგრეგაციამ“ თვის უმაღლეს სამქადაგებლო სასწავლებელში განაწესა ქართული ენის კათედრა და მასზედ დაინიშნა ქართული ენის პროფე-სორი, რომელიც იქ ქართველ კათოლიკეთა შვილებს ქარ-თულ ენას ასწავლიდა. ასეთი პროფესორები ყოველთვის იყო იქ. უკანასკნელ პროფესორად 1800 წ. ახალციხელი კათო-ლიკეთ მღვდელი გრიგოლ ბაღინოვი გახლდათ.

ქართველი ერის სამსახური ლათინის პატრებისაგან მარ-ტო სტამბის გახსნით და ქართული საჭირო წიგნების ბეჭდ-ვით არ გათავდა. მათ შექმნეს დიდი ძალი წიგნები საქართ-ველოს შესახებ. მათ სწერეს ქართველ ერის და საქართვე-ლოს შესახებ ძრიელ ბევრი ისტორიული და ეთნოგრაფიუ-ლი წერილები. ასეთია მაგალითებრ სამეგრელოს ვრცელი აღწერა პატრი ლამბერტისა, რომელიც XVII საუკ. სცხო-ვრობდა და 18 წელს იმყოფა სამეგრელოში. იოსებ ზამპი, რომელიც იმავ დროს სცხოვრობდა და რომელმაც აგრეთვე დაგვიტოვა თვის ნაწერი საქართველოს შესახებ. ცნობილი პიე-ტრო დელა ვალე, რომელმაც დაგვიტოვა შესანიშნავი აღწე-რა საქართველოს XVII საუკუნის გაჭირვებულს მდგომარე-ობის და ქართველთ უბედურის ემიგრაციის შესახებ, ნამეტურ მის, თუ რაც ამ ერს შაჰაბაზ ბარბაროსისაგან მოევლინა და დაიღუპა. ბევრს კიდევ სხვა პატრებს და ეპისკოპოსებს უწერიათ საქართველოს შესახებ. ყველას ნაწერები კაცის გულს მაღალის სიბრალულით ავსებს, ბევრს რამ საყურად-ღებო მხარეებს აცნობებს ჩვენის ძველების შესახებ.

ასეთი შრომა და ამაგი ლათინის წესრიგის პატრებისა-გან ქართველ ერს არას დროს არ დალევია. ასეთი ამაგდარი

მოღვაწე მოძღვარნი საქართველოში იყვნენ თვით საქართვე-ლოს სამეფოს წესების დასრულებამდე. ასეთია მაგალითებრ

პატრი ნიკოლა, დამიანე და ამათ შემდეგ, ანუ 1835 წლებ-
ში, გამოჩენილი და მეტად ამაგდარი პატრი ფილიპე, რომე-
ლიც საქართველოს ერს დიდათ უყვარდათ. ამას პატივს
სცემდნენ არა მარტო კათოლიკენი, არამედ მთელი საქართ-
ველოს ერი, რადგანაც პატრი ფილიპე მოძღვარს გარეშე
იყო ხელოვანი მკურნალიც ყოველნაირის ექიმობის. ლათი-
ნის პატრები საქართველოში ყოველთვის ღარიბად სცხოვ-
რობდნენ, თითქმის ძროხის ჯიგრით იკვებებოდნენ და დანა-
რჩენი საცხოვრებელი და განძეულობა სულ საწყალი ხალ-
ხისთვის ჰქონდათ დანიშნული. დიდი მექმაგენი იყვნენ ესე-
ნი შეუძლო ხალხისა. იგინი განურჩევლად მფარველობდნენ
შეუძლო და სნეულ ერს. ყველას შესაფერს დახმარებას აძ-
ლევდნენ სიტყვით, საქმით თუ სხვაფრივ.

ასეთია წარსული როგორც კათოლიკეთა მღვდელთ-მთა-
ვართა, ისევე აბატთა, პრელატთა და არქიმანდრიტთა. ესენი
ასე აცხოვლებდნენ თვის სახელოვნებას, ასე აბრწყენდნენ თვის
მოქმედებას და მით იფარავდნენ კათოლიკის სარწმუნოებრივს
მხარეების პატივ სადებ დედა აზრებს. ასეთი ნიადაგი აქვს
დღემდე საქართველოს კათოლიკეთა ეკკლესიის ტახტს. იგი
ასეთის საპატიო მხარეებით არის გარემოცული. ეს საპატიო
მხარეები მის ისტორიისათვის საკმარისად ძველს საუნჯეს შე-
ადგენს. ეს საუნჯე საყოველთაოდ მოსაგონრად დაშთება
ქართველთ წინაშე, რადგანაც ნაყოფი ამათი ცხადი არს ქარ-
თველებში. სწორედ ამ უძველეს კუთხის კათოლიკეთა ღირ-
სეულს საეკკლესიო ტახტზედ ეძლევა შემთხვევა, რომ ყოვ-
ლად სამღვდელო ედვარდი მობძანდეს და იხილოს ასეთის
საყურადღებოს მხარეებით მკვიდრად დაცული და შენახული
თბილისის კათედრა.

უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ლათინის ეპისკოპოსო და პა-
ტრების ღწვა სარწმუნოებრივ მხარეების გარეშე თვით სამა-
სწავლებლო მხრითაც დიდათ საყურადღებოა. საქართველოში

სკოლების დახსნის გარეშე, კათოლიკის მოძღვართა მეოხე-
ბით ქართველთა შვილები ძველადგანვე თვით ევროპის უმა-
ღლეს სასწავლებლებშიაც იგზავნებოდნენ სასწავლებლად.
ბევრი მათგანი პაპის კოლეგიაში ათავებდა სწავლას, ბევრი
„პროპაგანდაში“, ბევრნი საერო სასწავლებელშიაც. ასეთია მა-
გალითებრ ქართველ გვარის კათოლიკეთ არქიმანდრიტი პავ-
ლე შაჰყულიანი, რომელმაც უმაღლესი სასულიერო სჭავლა
რომში დაამთავრა 1795 წ. ასე და ამ გვარად, უძველეს სა-
ქრისტიანო საქართველოს კათოლიკეთა შვილებს რომის
საშუალებით ხშირად მიუღიათ უმაღლესი განათლება. ზოგს
მათგანს შემდეგში თვით კარდინალობამდისაც მიუღწევია,
როგორც ეს ცნობილ არს აქამდე, რომ ერთ დროს ქარ-
თველ გვარის კათოლიკე ივანე ლეონიძეს კარდინალობამდი-
საც მიუღწევია. ჩვენთვის, საქართველოს კათოლიკობისთვის
დიდათ საინტერესოა ამ კარდინალის ცხოვრება. ამ პირს

გარდა ლათინის წეს-რიგის მღვდელთ-მთავრების წყალობით ქართველთ ბევრი კიდევ სხვა წარჩინებულნი პირნი გამოსდიან. ერთი ამათგანია აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, წარჩინებული გვამი, დღეს მ. თამარაშვილი, დონ ივანე და დონ მიხეილ ანტონოვები და მრავალნიც სხვანი უაღრესად დაჯილდოვებულნი მაღალის სათნოებითი ადამიანურის მიდრეკილებით და ქართველურის მამულისშვილობით.

ამიტომ სრული იმედი გვაქვს, რომ ყოვლად სამღვდელო ედუარდი საქართველოს კათოლიკობას შესაფერის თვალით შეხედავს. იგი თავის სამწყსოთა შორის საქართველოს ღირსეულ ხვედრათ მიიმჩნევს. საქართველოს კათოლიკეთა ეკკლესიის ტახტი მთელს კავკასიის კათოლიკეთა მაღიარებელთ შორის უპირველეს ცენტრად გახდება. მართლაცა და უნდა აღინიშნოს, რომ მთელს აზიის ერთა შორის კათოლიკობა საქართველოში ყოველთვის დიდის დიდებით ბრწყინავდა. მის მფარველებად და პატივის მცემლებად ნამდვილ კათოლიკეთა გარეშე თვით ქართველთ მეფენი და მღვდელთ-მთავრებიც ირიცხებოდნენ. ყველა ესენი ცხად საბუთს მისცემს ყოვლად

სამღვდელო ედვარდს, რომ საქართველო და მისი კათოლიკე ერი დიდის მხედველობით გაიცნოს და უძველეს საეკკლესიო მოხუცებულ ტახტს შესაფერი მფარველობაც გაუწიოს, მიაპყრას ისეთი ყურადღება და მფარველობა, რასაც ეს მოხუცი ეკკლესიის ტახტი ითხოვს და მის მაღიარებელთ ქართველთ კათოლიკეთ საყოველთაოდ სამართლიერი საჭიროება.

კათოლიკეთ ეპისკოპოსი საქართველოში.

6 მაისი, თითქმის 160 წელიწადია მას შემდეგ, რაც საქართველოში ქართველ გვარის კათოლიკობას თვისი ეპისკოპოსი აღარ სწვევია.

საქართველოში უკანასკნელად მოვიდა ეპისკოპოსი ფილიპე, მეფის თეიმურაზის დროს, 1745 წელს.

ახლა, როგორც ვიცით, სიქართველოს კათოლიკობას ეწვია ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ როპპი. ყოვლად სამღვდელო, ტფილისიდგან ბათუმში ჩამოვიდა ორს მაისს, საღამოს. თან ახლდნენ რამდენიმე სამღვდელოებანი, სხვათა შორის დონ იოანე და მიხეილ ანტონიშვილები, აგრეთვე მღვ. საკოვი, ოდესის კათოლიკეთა ეკკლესიის ფრანგულს ენაზედ მოქადაგე.

ეპისკოპოზს თან ახლდა ჩვენი მამულისშვილი სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილიც.

თფილისში, ედუარდ როპპი სადგომად ჩამოხტა სტეფანე, იაკობ და პეტრე ზუბალაშვილების სახლში. აქ მას მიაგეს სრული პატივისცემა, საჯაროთ გაუმართეს სადილი. თავადაზნაურობამაც ცალკე გადუხადა პატივისცემა როგორც ვიცით. ყოვლად სამღვდელომ ხსენებულს ოჯახში დიდი

პატივისცემა ჰპოვა, სრული მშვიდობა. ბათუმში ყოფნის დროს ყოვლად სამღვდელო სადგურად ჩამოხტა ქართველ კათოლიკეთა ოჯახში ნ. საბაშვილის სახლში, სადაც მან აგრეთვე ჰპოვა სრული პატივისცემა.

ყოვლად სამღვდელო ბათუმის საზოგადოებამაც დიდის თავაზით და პატივისცემით მიიღო.

მეორე დღეს ეპისკოპოსმა სწირა ძველს ეკკლესიაში. ოთხ მაისს აკურთხა ახალი ეკკლესია.

ეკკლესიაში ყოვლად სამღვდელოს მიღება იმავე ცერემონიით და წესით მოხდა, როგორც ტფილისში.

კურთხევისათვის ეკკლესია მდიდრულად იყო მორთული და ელექტრონის სანთლით განათებული.

კურთხევის შემდეგ, ვიდრე წირვა დაიწყებოდა, ყოვლად სამღვდელო კარში გამოვიდა და სიტყვა წარმოსთქვა ფრანგულად. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დონ-იოანე ანტონიშვილმა. წირვას დაესწრო დიდ-ძალი ხალხი. წესიერება დაცული იყო სამაგალითოდ. დიდძალი ხალხი იყო მოსული ბაქოდგან, განჯიდგან, ტფილისიდგან, გორიდგან, ქუთაისიდგან და სხ. აქვე იყვნენ რამდენიმე სამღვდელოდ მომზადებულნი, რომელნიც ყოვლად სამღვდელომ 6 მაისს აკურთხა. ამ დღეს მრევლსაც მირონი სცხო.

პირველ დღეს წირვამ კარგა ხანს გასტანა. სხვათა შორის, წირვაზედ გახლდათ ჩვენი მოხუცი მოძღვარი იოანე გვარამაძე (ვინმე მესხი), რომელმაც მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა.

წირვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელო და მრავალი ხალხი მიპატიჟებულ იქმნენ სადილად; სადილი გამართული იყო ბათუმის ქალაქის გამგეობის შენობაში. სადილს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ყოვლად სამღვდელომ რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა ფრანგულად, პოლონურად და გერმანულად. ყველა ტომს თავ-თავის შესაფერის სიტყვით მიჰმართა. ნამეტურ პოლონელებს დაავალა თავიანთ ეკკლესიის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული.

შემდეგ სიტყვები წარმოითქვა სულ უცხო ენაზედ, თუმცა ქართველთ რიცხვი მეტი იყო სხვა ტომის ხალხზედა. სადილზედ ქართულად სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ოცხელმა, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპეკტორმა. ორატორმა მშვენივრად დაასურათა ქართველი ერის აწინდელი მდგო-

მარეობა და ბოლოს დიდის მადლობით მოიხსენა სტეფანე ზუბალაშვილი, რომელიც თავის სამშობლო ერის სასარგებლოდ არას იშურებსო. სადილი 5 საათზე გათავდა.

ბათუმიდამ ყოვლად სამღვდელო ქუთაისს აპირებს წას-

ვლას. ქუთაისში დარჩება რამდენსამე დღეს და მერე იქიდამ ახალციხეს გაემგზავრება. ეკკლესიის კურთხევის დროს ეკ-კლესიის გალავანში ისყიდებოდა ამ ეკკლესიის აღწერა ქარ-თულად დაბეჭდილი და მეორე პატარა ბროშურად ამ სათა-ურით: „კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველო-ში“. რამდენიმე ასი ცალი იმ წიგნებისა უფასოდ იქმნა და-რიგებული შემდეგ.

ქუთაისში ყოფნის დროს ადგილობრივ მცხოვრებთ ქართველთ კათოლიკებმა დიდი პატივისცემა მიაგეს ყოვლად სამღვდელოს. ქუთაისის და მის საზოგადოების გაცნობით ედუარდ როპპი დიდის აღტაცებით აღივსო. იქ მან ჰპოვა სრუ-ლი მშვიდობა, ქართველური მამულისშვილური სალამი და პურ-მარილი აღტაცებული დაბრუნდა და თან წაიღო უსამ-ზღვრო თავაზი ქართველის ერის პურ-მარილისა. ქუთაისიდამ გორს გიახლათ და აქაც დიდის პატივისცემით დახვდა თვისი მრევლი. ყველგან სრულს პატივისცემას აგებდენ. გორში პურ-მარილი დიდათ ესიამოვნა. მიწვეულ იქმნა ქართველთ წარჩინებულ გვარიშვილებთაგანაც. გორის კათოლიკეთ პატ-რმა გაბრიელ ასლანიშვილმა დიდი შრომა მიაგო. გორი-დამ ყოვლად სამღვდელო სამცხე-საათაბაგოს გაემგზავრა, მიმო-ვლო კათოლიკეთა ყველა სოფლები, ნახა მათი ეკკლესიები, გაიცნა ყველაფერი შემლების და გვარად და ყველას შესაფე-რი განკარგულებაც აუწყა. ნამეტურ ცვლილება მოახდინა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა სასულიერო გამგეობაში. ყველგან ქართველ კათოლიკებმა თხოვნა მიართვეს და თან სთხოვეს, რომ ჩვენ ქართველ გვარის კათოლიკენი ლათინის ტიბიკონზედ მიგვიღეთო, ყველას ნატვრა ეს არისო. ედვარდ როპპიც დაჰპირდა. კათოლიკობას დიდი ნატვრა აქვსთ ლათი-წის ტიბიკონზედ გადასვლის. ყოვლად სამღდელო მოგზაუ-

რობის შემდეგ კვალად თფილისში დაბრუნდა და რამდენსამე დღეს დაშთა. ამ დროსაც მან ისადგურა ზუბალაშვილების ოჯახში. შემდგომ ამის დიდათ პატივცემული გაემგზავრა თავის სამწყსოსკენ.

წმიდა ალოიზის ეკკლესია, მანგლის აღშენებულ არს 1860 წ.

ბაქოს ეკკლესია, სახლში სწარმოებს.

სომხის გვარის კათოლიკეთ ეკკლესიები:

იოანე ნათლის მცემლის ეკკლესია აღშენებულ არს 1862 წ. ბორჩალოს მაზრა, სოფ. შახნაზარს აქ მრავლად არიან გა-დაგვარებულ ქართველ კათოლიკენიც.

მღვთისმშობლის ეკკლესია, აღშენებულ არს 1865 წ. ბორ-ჩალოს მაზრა. დიდი ყარაქლისი. სომხის გვარის კათოლიკე-თათვის, აქაც მრავლად არს ქართველთ გადაგვარებულთ რიცხვი.

მღვთისმშობლის ეკკლესია აღშენებულ არს 1865 წ. პატა-

რა ყარაქლისი, ბორჩალოს მაზრა, სომხის გვარის კათოლიკეთათვის, ძველადვე იყვნენ ქართველთ გადაგვარებულნიც.

მაცხოვრის ეკკლესია, აღშენებულ არს 1852 წ. ბორჩალოს მაზრა, სოფ. სარჩაპეტს სომხის გვარის კათოლიკეთათვის. ქართველთ რიცხვი არსად ჩანს.

მაცხოვრის ეკკლესია, აღშენებულ არს 1869 წ. ბორჩალოს მაზრა, სოფ. შიშტაბა, სომხის გვარის კათოლიკეთათვის.

ერევნის გუბერნიაში ქართველნიც არიან.

ერევნის გუბერნიაში შემდეგ ადგილებს არის კათოლიკეთ ეკკლესიები:

მღვთის მშობლის ეკკლესია, აღშენებულ არს 1855 წ. ალექსანდრეპოლს სრულიად სომხის გვარის, სომეხთ კათოლიკენი ეკუთვნიან სომხის გვარს.

წმინდა გრიგორის ეკკლესია, აღშენებულ არს 1843 წ. სოფ. ტაბატულაკს.

მღვთისმშობლის ეკკლესია, აღშენებულ არს 1859 წ. ყარაქლის.

ივანე ნათლისმცემლის ეკკლესია, აღშენებულ არს 1845 წ. სოფ. ვავტრელოს.

მღვთისშშობლის მიძინების ტაძარი, აღშენებულ არს 1865 წ. სოფ. კაზანიჩს.

მღვთისმშობლის ეკკლესია, აღშენებულ არს 1857 წ. სოფ. მუსლუხს.

წმ. სტეფანეს ტაძარი, აღშენებულ არს 1866 წ. სოფ. გირხს.

მაცხოვრის ტაძარი, აღშენებულ არს 1860 წ. სოფ. შიშტაბას.

მაცხოვრის ტაძარი, აღშენებულ არს 1873 წ. სოფ. წითელს. ამ სოფლის სახელი ქართულია და ვინ იცის, აქ ოდე სმე ქართველ კათოლიკენიც იყვნენ და მათგან დაერქვა წითელი.

მაცხოვრის ტაძარო აღშენებულ არს სოფ. დარაკოკს.

კათოლიკის სამლოცველო, სოფელ კარბულახს. ერევნის გუბერნია, დაღისტანს.

წმ. სტანისლავის ტაძარი, აღშენებულ არს 1843 წ. თემირხანშურას, ლათინის წესზედ.

მღვთისმშობლის მიძინების ეკკლესია. აღშენებულ არს 1845 წ. სოფელ სიამუტს, ლათინის წესზედ.

ბაქოში არის სამლოცველო, ლათინის წესზედ.

ფერისცვალების ეკკლესია, აღშენებულ არს 1846 წ. ლათინის წესზედ სტავროპოლს.

ამაღლების ეკკლესია, აღშენებულ არს 1868 წ. კავკავს.

გროზნის ეკკლესია, 1863 წ. არის აღშენებული ლათინის წესზედ.

ფერისცვალების ეკკლესია აღშენებულ არს 1873 წ. პეტი-

გორსკს, ლათინის წესზედ.

ეკატირინედარის ეკკლესია, ლათინის წესზედ, აღშენებულ არს 1893 წ.

მიქელგაბრიელის ეკკლესია, აღშენებულ არს 1870 წ. ლათინის წესზედ, მაიკოპის განყოფილების, სოფელი სემენოვკას.

წმ. შობის სამრევლო ეკკლესია, აღშენებულ არს ლათინის წესზედ 1883 წელს.

ბოდიშს ვიხდი მასზედ, რომ შეიძლება კერძოთ საქართველოში და საზოგადოთ მთელს კავკასიაში, ბევრს ალაგას არის ისეთი ძველი ეკკლესია, რომელიც მე არ მინახავს, არც ამიწერია. ამას ფიქრი არ უნდა, ასეთი ეკკლესიები შეიძლება იქმნეს დაშთენილი ოსმალეთის საქართველოში, სადაც მგზავრობა ერთობ ძნელია. გარდა ამისა, ამ კუთხის ძველი ნაშთების შესახებ ცალკე რამე დაბეჭდილი აღწერაც არაფერი არსებობს. იმედია, რომ ეს ნაკლი მომავალში შევსებული იქმნება სხვათაგან.

ზ. ჭიჭინაძის

ნაწერები ქართველ-კათოლიკეთ შესახებ:

კათოლიკეთ ეკკლესია საქართველოში.
დაბა, სოფელი და ქალაქი ქართველ კათოლიკეთა.
კათოლიკეთა მოღვაწენი საქართველოში. 1625-1860
წარჩინებულნი გვარის-შვილნი და მოქალაქენი.
ზუბალაშვილების გვარის ისტორია.
ისტორიული და ეთნოგრაფიული წერილი ქარ. კათოლიკეთ შესახებ.
არქიმანდრიტი პავლე შაჰყელიანი.
პატრი ნიკოლა.
აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი.
უმთავრესი მიზეზები რომის ყურადღებისა.
საქართველოს შესახებ ევროპის მოგზაურნი და მოძღვარნი.
ბათუმის ეკკესიის აღწერა.
ქართველ-კათოლიკეთა ეპისკოპოსნი.
ისტორია ქართველ-კათოლიკეთა XI-XIX საუკუნემდე.
ქართველ-კათოლიკეთ მოძღვარი ივანე გვარამაძე.
ხურსიძის გვარის ისტორია და ქართველ კათოლიკენი.
ქართველთ კათოლიკეთ შესახებ.
ქართველთ კათოლიკენი.

სარჩევი.

I. სამცხე-საათაბაგო უწყება მკითხველთადმი.
II. სტეფან კონსტანტ.-ძე ზუბალაშვილის ხსენება და სურათი.
III. სამცხე-საათაბაგოს გათათრება.
IV. საომარი იარაღის ხელოსნობა და მისი დაცემა სამცხეს.
V. გემებ-ნავების კეთება და გემოსნობა ლივანა-ლაზისტანში.
VI. სამზადისი გურიის გათათრებისა და ალი გურიელის დახვრეტა.
VII. აფხაზეთის გათათრება.
VIII. სამცხე-საათაბაგოს ათაბაგნი.
IX. სამცხე-საათაბაგოს ათაბაგნი.
X. სამცხე-საათაბაგოს დაკარგული და აწინდელი სოფლები.
XI.არქიმანდრიტი პავლე შაჰყულიანი და ქართველ კათოლიკენი ახალციხეს 1850 წლებში.
XII. მოძღვარი იოვანე გვარამაძე და ქართველთ კათოლიკენი.
XIII. ისტორია ხურსიძის გვარისა (ისარლოვი) ზარზმის ტაძარი.
XIV. მრეწველობის წარმომადგენნი და ქართველთ კათოლიკეთა ზუბალაშვილების გვარის ისტორია.
XV. ქართველთ კათოლიკეთა სასულიერო წოდება.
XVI. ქართველთ კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოს და სამ-ცხე-საათაბაგოს.